საბჭოთა სახელმწიფოს ზღვარგადასული ინტერვენცია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში და ბრძოლა ევროპაში განსწავლული მეცნიერ იურისტების წინააღმდეგ საბჭოთა საქართველოს ინტერიერში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტი

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის
ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა
(რომის კერძო სამართლის) და სამართლის ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სისტემებისა და
წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საბჭოთა სახელმწიფოს ზღვარგადასული ინტერვენცია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში და ბრძოლა ევროპაში განსწავლული მეცნიერ იურისტების წინააღმდეგ საბჭოთა საქართველოს ინტერიერში

საარქივო დოკუმენტები და მასალები

გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი
და კომენტარები დაურთეს
მარინა გარიშვილმა და **თორნიკე ნემსწვერიძემ**

უნივერსიტეტის გამომცემლობა

სამეცნიერო რედაქტორები:

მარინა გარიშვილი
სამართლის დოქტორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
თორნიკე ნემსწვერიძე
სამართლის მაგისტრი (თსუ), იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი დავითაშვილი
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

ნანა ჭიღლაძე
სამართლის დოქტორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ირაკლი ბურდული
სამართლის დოქტორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

გოჩა ფერაძე
სამართლის დოქტორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი

ქნიკური რედაქცია:

საბჭოთა სახელმწიფოს ზღვარგადასული ინტერვენცია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში და ბრძოლა ევროპაში განსწავლული მეცნიერ იურისტების წინააღმდეგ საბჭოთა საქართველოს ინტერიერში, საარქივო დოკუმენტები და მასალები, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს ***მ. გარიშვილმა*** და ***თ. ნემსწვერიძემ,*** თბილისი, 2022, 400 გვ.

© ავტორები, 2022
© მარინა გარიშვილი, თორნიკე ნემსწვერიძე, 2022
© იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტი, 2022
© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2022
ISBN ……..

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
***იურიდიული ფაკულტეტის 100** წლის იუბილეს,*

*პროფესორ **ლუარსაბ ანდრონიკაშვილის 150** წლის იუბილეს,*

*პროფესორ **იროდიონ სურგულაძის 130** წლის იუბილეს,*

*პროფესორების: **გიორგი ნანეიშვილის,***
ალექსანდრე ვაჩეიშვილის,
*დოცენტ **სერგი ჯაფარიძის***
ნათელ ხსოვნას

ეძღვნება ეს კრებული

საბჭოთა საქართველოში იურიდიული აზრის მდგომარეობის ამსახველი კრებულის გამოცემისათვის

ქართული იურიდიული ლიტერატურის თაროს მეტად საინტერესო კრებული შეემატა, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი ბრძოლა მოუწყო „ბოლშევიკური ტირანიის დამყარებიდან“[1] თითქმის ათი წლის თავზე მარქსისტ-ლენინელი იურისტების ხელით იმ პერიოდის პოლიტიკურმა ხელისუფალმა ცნობილ ქართველ იურისტებს. ეს გახლდათ ნამდვილი „მარქსისტულ-ლენინური გოლგოთა“, რომელმაც გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში პიკს მიაღწია და მთელი რიგი მეცნიერ-იურისტებისა ფიზიკურად შეიწირა, ნაწილს კი „განსაკუთრებულ“ პირობებში ამყოფებდნენ, რათა თავი „დაჩაგრულად“ არ ეგრძნოთ 30-იან წლებში დახვრეტილ მეგობრებთან შედარებით. შესაბამისად, წინამდებარე კრებულის გამოცემით მნიშვნელოვანი ინფორმაცია გახდება ცნობილი დაინტერესებული საზოგადოებისათვის, რათა მეტ-ნაკლებად სწორად შეფასდეს XX საუკუნის 20-30-იანი წლების იურიდიული აზრის მდგომარეობა საქართველოში. კრებული შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ პლატფორმად, რომელიც პროფესიულ წრეებს – იურისტებს, სამართლის მეცნიერების კონტექსტში, საბჭოთა წარსულის გააზრების საშუალებას მისცემს. მიუხედავად იმისა, რომ „კონდრატიევშჩინის“ პროცესი ქართული ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერული აზრის წინააღმდეგ და, შესაბამისად, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დამკვიდრებისათვის სწორედ იურისტებთან ბრძოლით დაიწყო 1930 წლის ოქტომბერში და შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში პედაგოგიური ინსტიტუტისა და საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების წინააღმდეგ გამართულ გაუგონარ და ამაზრზენ „პროცესიაში“ გადაიზარდა, იურისტების წინააღმდეგ მიმართული პროცესების ამსახველი საარქივო დოკუმენტები დღემდე არ გამოქვეყნებულა და, აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი კრებული უნიკალურია[2].

---

[1] ***ვაჩნაძე მ.***, ***გურული ვ.***, ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, კრებულში: ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს ***მ. ვაჩნაძემ*** და ***ვ. გურულმა***, თბილისი, 2004, 14.

[2] აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსებმა კრებულის სახით გამოსცეს გასული საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული დისკუსიების მასალები. იხ. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს ***მ. ვაჩნაძემ*** და ***ვ. გურულმა***, თბილისი, 2004. გასაკვირია, მაგრამ დაინტერესებული მკითხველის ინფორმირებულობის მიზნითაც კი

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია საქართველოში „იურიდიულ ფრონტზე“ წარმოებულ დისკუსიებთან დაკავშირებული დოკუმენტები, მოხსენებები და გაკრიტიკებული სამეცნიერო ნაშრომები (რომელთა გამოცემაც, ფორმატიდან და მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა). ვინაიდან იმ პერიოდში მთელი რიგი დოკუმენტებისა/ნაშრომებისა რუსულ ენაზე იქმნებოდა, საჭირო გახდა მათი ქართულად თარგმნა. სპეციალურად ამ კრებულისათვის რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა 1930 წლის ოქტომბერში გამართული დისკუსიის სტენოგრამა; ასევე, შეხვდებით სხვადასხვა მოხსენებასა თუ ოფიციალურ დოკუმენტს, სადაც ყველა სხვა შეხედულება უარყოფილია, გარდა მარქსისტულისა. მკითხველისათვის „კონდრატიევშჩინის“ პერიოდში საბჭოთა კავშირში „იურიდიულ ფრონტზე“ არსებული ზოგადი ფონის უკეთ წარმოდგენის მიზნით გადაწყდა, ქართულად თარგმნილიყო მარქსისტი სამართალმცოდნეების I საკავშირო ყრილობის რამდენიმე რეზოლუცია და პროფესორ ანდრის პლოტნიეკსის სტატია, რომელიც ერთგვარად აჯამებს 1930 წელს მოსკოვში გამართულ დისკუსიას, მოსკოვის დისკუსია კი განმაპირობებელი იყო საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში მსგავსი პროცესების დაწყებისა თუ განვითარებისა. ხაზგასასმელია, რომ კრებულში წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტაციის უმრავლესობა აქამდე ხელმისაწვდომი არ გახლდათ მკვლევრებისათვის და სამეცნიერო მიმოქცევაში წინამდებარე კრებულის მეშვეობით შემოდის. რაც შეეხება კრებულში შეტანილ სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც ერთხელ უკვე იყო გამოცემული, ისინი იმდენად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ, რომ ამ გამოცემით ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდება.

ტექნიკური თვალსაზრისით კრებულს ახასიათებს შემდეგი თავისებურებები:

1. თარგმნილი ტექსტის უკეთ გაგების მიზნით, მთარგმნელის ან რედაქტორის მიერ ოთხკუთხა კავებში ([...]) (კონკრეტული სუბიექტის მითითებით – მთარგმნელი ან რედაქტორი) ჩამატებულია დამაზუსტებელი სიტყვები, რომლებიც, მართალია, ორიგინალ ტექსტში სიყვასიტყვით არ გვხვდება, მაგრამ მკითხველს დახმარებას გაუწევს თარგმნილი ტექსტის უკეთ გასაგებად;
2. ქართულენოვან ტექსტებში მოჭარბებულად იგრძნობა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, სიტყვები, წინადადების წყობა, რომლებიც დღეს მკითხველს შესაძლოა, გრამატიკულად გაუმარ-

ვერ შეხვდებით 2004 წელს გამოცემულ კრებულში მითითებას ქართველი იურისტების წინააღმდეგ გამართული დისკუსიის თაობაზე.

თავად მოეჩვენოს, ამიტომაც ტექსტის შინაარსის აღქმის გამარტივების მიზნით გადავწყვიტეთ, სპეციალურად დამაზუსტებელი სიტყვები ან ასოები ჩაგვემატებინა ოთხკუთხა კავებში ([...]), რითაც გარჩევადი იქნება ტექსტის ავტორისეული ვერსია და სამეცნიერო რედაქტორის მიერ ტექსტის გაგების მიზნით გაკეთებული ჩანართები;

3. 1930 წლის დისკუსიის სტენოგრამაში მოხსენიებული პერსონალიების ვინაობისა და სხვადასხვა საჭირო საკითხის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შენიშვნებში (სქოლიოებში), შესაბამისი სუბიექტის მითითებით – მთარგმნელი ან რედაქტორი, ხოლო თავად დისკუსიაზე გამომსვლელების თაობაზე ინფორმაციას იხილავთ წინამდებარე კრებულის დანართში.

კრებულის ინტენციური დიზაინი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: პირველი – როგორც პროფ. აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა: „წიგნს აუცილებლად უნდა ეტყობოდეს ეპოქის კვალი, სურნელება, ხასიათი...“, ამიტომაც კრებულში შესული ყველა ნაშრომი თუ დოკუმენტი პირვანდელი სახით ქვეყნდება (თუ არ ჩავთვლით თარგმანებს); მეორე – იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსალური ტექსტოლოგიური გამოცემები, როგორც წესი, ემყარება პრინციპს – „თითოეული შემთხვევა სპეციფიკურია“[1]. შესაბამისად, წინამდებარე კრებულის მომზადების დროს შევეცადეთ, უპირატესობა მიგვენიჭებინა ტექსტების ავთენტურობისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტები/ნაშრომები ეფუძნება დედან, ორიგინალ დოკუმენტებს. კრებულზე მუშაობის პროცესში ჩვენთვის მთავარი პრინციპი იყო ოფიციალური დოკუმენტებისა და ავტორისეული ტექსტების ავთენტურობის დაცვა.

თანამედროვე ტექსტოლოგიაში პუნქტუაციის შესწორებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთნი მიუთითებენ, რომ ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას, ტექსტის სემანტიკურ ელემენტებთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობა აქვს და ცალსახად უნდა გასწორდეს, მეორენი კი ამის წინააღმდეგნი არიან და აღნიშნავენ, რომ ავტორისეული მართლწერა ტექსტს სპეციფიკურ, ამ კონკრეტული ავტორისათვის დამახასიათებელ ელფერს სძენს[2]. ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით, ასევე, მიუთითებენ, რომ: „თუ პუნქტუაციას რაიმე სახის დამატებითი მხატვრული მნიშვნელობა აქვს, ვტოვებთ ხელუხლებლად, დანარჩენ შემთხვევაში კი ვასწორებთ“[3]. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან პუნქტუაცია მხატვრული მნიშვნელობით არ

[1] ***ნინიძე მ.***, ***გიგაშვილი ქ.***, ტექსტოლოგია, თბილისი, 2018, 32.
[2] *იქვე*, 40.
[3] *იქვე*, 42.

იყო დეტერმინებული, ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი გზა უკეთესია, ამიტომაც ის ჩასწორდა.

ნიშანდობლივია, რომ 2022 წელი საიუბილეოა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისათვის – 100 წელი შესრულდა კავკასიაში პირველი იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდან და სწორედ ამ მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა წინამდებარე კრებულის გამოცემა, რომელიც პასუხია იმ კითხვაზე, თუ რამ შეუშალა ხელი 100 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის მეცნიერების კვლევის მაღალ დონეზე დაწყებულ საქმეს და რამ განაპირობა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში დიდხნიანი „თებერვლის ღამე“. კრებული, ასევე, ეძღვნება: საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ფუძემდებლის, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის 150 წლის იუბილეს, პროფესორ იროდიონ სურგულაძის 130 წლის იუბილეს, პროფესორების – გიორგი ნანეიშვილის და ალექსანდრე ვაჩეიშვილისა და დოცენტ სერგი ჯაფარიძის ხსოვნას.

კრებულში შესული რუსულენოვანი ტექსტების თარგმანები ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, სამართლის დოქტორ **მარინა გარიშვილს,** რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მხოლოდ რთული ფილოსოფიურ-იურიდიული ტექსტების რუსულიდან ქართულად მაღალაკადემიურ დონეზე თარგმანის პროცესში, არამედ კრებულის ამ სახით გამოცემაში, როგორც სამეცნიერო რედაქტორმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

კრებულის გამოსაცემად მოსამზადებლად გაწეული დახმარებისათვის გვინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის, სამართლის დოქტორ **თამარ ზარანდიასა** და ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, სამართლის დოქტორ, პროფესორ **ირაკლი ბურდულის** მიმართ; სხვადასხვა საარქივო თუ სამეცნიერო დოკუმენტის მოპოვებისათვის გაწეული დახმარებისათვის დასაფასებელია კორძაძის სადვოკატო ბიუროს მმართველი პარტნიორის, **ზვიად კორძაძის** წვლილი; კრებულზე მუშაობის პროცესში ხაზგასასმელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, **მორის შალიკაშვილის,** სარედაქციო კოლეგიის წევრების, პროფესორების – **გიორგი დავითაშვილის, ნანა ჭიღლაძის, ირაკლი ბურდულისა** და **გოჩა ფერაძის** წვლილი; აღსანიშნავია თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, საქართველოს ეროვნული არქივისა და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთე-

კის თანამშრომლების წვლილი ამ ორგანიზაციებში დაცული მასალების მოწოდებისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოს შექმნისათვის; საარქივო დოკუმენტებზე მუშაობასთან დაკავშირებული კონსულტაციისათვის მადლობას ვუხდით ისტორიის დოქტორ ქალბატონ **მანანა ლილუაშვილს;** განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მაია სულაქველიძე,** რეჟისორი, ასოცირებული პროფესორი **ოთარ ლითანიშვილი** და ქალბატონი **მაია ლოლაძე-ლითანიშვილი** მათ საოჯახო არქივებში დაცული უნიკალური დოკუმენტების მოწოდებისათვის.

კრებული მომზადდა იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა (რომის კერძო სამართლის) და სამართლის ისტორიის სამეცნიერო--კვლევითი ინსტიტუტისა და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე.

თორნიკე ნემსწვერიძე

სამართლის მაგისტრი (თსუ), იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი

შინაარსი

მარინა გარიშვილი, თორნიკე ნემსწვერიძე

ბრძოლა ქართველი მეცნიერ-იურისტების წინააღმდეგ ანუ პოლიტიკური ხელისუფალის მიერ მოწყობილი „მარქსისტულ-ლენინური გოლგოთა“ საბჭოთა საქართველოს ინტერიერში 17

იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზროვნებაში 53

ვინ ვის აკრიტიკებდა ანუ დისკუსიის მონაწილეთა პერსონალური ანატომია 288

დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტის მუშაკთა თათბირი 299

ანდრო გელოვანი

იდეალისტური სამართლებრივი აზრის გავლენა საბჭოთა საქართველოში დამნაშავეობისა და დამნაშავის შესწავლაზე 318

დოცენტი იონა ბოჭორიშვილი

მდგომარეობა სისხლის სამართლის ფრონტზე საქართველოში 348

[მოსაწვევი, თეზისები] 371

კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ 375

პროფესორი ა[ლექსანდრე] ვაჩეიშვილი

პროფ. ა. ვაჩეიშვილი გმობს თავის ანტიმარქსისტულ აზრებს 376

პროფ. იროდიონ სურგულაძე

ჩემი განცხადება 378

მიხეილ დოცენკო

რეცენზია წიგნზე – იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზროვნებაში, ამხანაგ ა.ი. გეგენავას მოხსენების – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“

– ირგვლივ გამართული დისკუსიის სტენოგრამა, ა.ა. ბოლოტნიკოვის რედაქტორობით, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ტფილისი, 1930, 146 გვ. 379

პროფესორი გიორგი ნანეიშვილი

ჩემი შრომების კრიტიკული ანალიზი..... 384

პროფესორი იროდიონ სურგულაძე

ჩემი ნაშრომების კრიტიკული ანალიზი 389

მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების და სამართალმცოდნეების I საკავშირო ყრილობის რეზოლუცია ე. პაშუკანისისა და ი. ბერმანის მოხსენებების მიხედვით 408

მარქსისტი სახელმწიფომცოდნეებისა და სამართალმცოდნეების I საკავშირო ყრილობის რეზოლუცია ამხანაგ კრილენკოს მოხსენების მიხედვით 425

პროფესორი ანდრის პლოტნიეკსი

სამართლის ზოგადი თეორია 1929-1931 წლებში: განვითარება, დისკუსიები, კონსოლიდაცია 436

ოქმი №1 462

ცკ-ის სამდივნოს დადგენილება 23/11-32 წ. 466

ცნობა 468

პროფ. გ[იორგი] ნანეიშვილი

სრული კმაყოფილებით ვესალმებით 469

პაატა გუგუშვილი

პროფესორ გიორგი (ზოზო) ნანეიშვილის გამოკვლევის – „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ – რეპრესირების ისტორია 470

დოცენტი ლაზარე შურღაია

თუ როგორ სრულდება ჩვენთან სკკპ(ბ) ცკ-ის 1946 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება: „ქვეყანაში იურიდიული განათლების გაფართოებისა და გაუმჯობესების შესახებ“ 474

დოცენტი ლაზარე შურღაია

განცხადება 482

დოცენტი ლაზარე შურღაია

განცხადება 489

ამონაწერი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს
1941 წლის 17 აპრილის სხდომის №17 ოქმიდან 492

პროფესორი მოსე გოგიბერიძე

გამოხმაურება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილის ნაშრომზე 495

**„წითელი“ პროფესორი ილარიონ ტალახაძე,
დოცენტი ბორის ფურცხვანიძე**

გამოხმაურება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილის ნაშრომებზე 497

**„წითელი“ პროფესორი ილარიონ ტალახაძე,
პროფესორი გიორგი სოსელია, დოცენტი დავით მირიანაშვილი**

გამოხმაურება პროფ. ვაჩეიშვილის შრომებზე 502

„წითელი“ პროფესორი ილარიონ ტალახაძე

რეცენზია ამხანაგ გიორგი ნიკოლოზის ძე ახუმიანის სადისერტაციო
ნაშრომზე 506

პროფესორი იასე ცინცაძე

რეცენზია 513

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე

შინაგანი რწმენა, როგორც განაჩენის უზენაესი საფუძველი 515

მიხ[ეილ] ღვამიჩავა

ადვოკატურა 519

პროფესორი ივანე სურგულაძე

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ 525

დოცენტი ლაზარე შურღაია

პირველი საკავშირო საპენიტენციარო ყრილობა 532

ექიმი, დოცენტი გ[იორგი] შენგელაია

სისხლის სამართლის უფლება, ბოროტქმედობა და ბოროტქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი 537

ექიმი, დოცენტი გ[იორგი] შენგელაია

დანაშაულობა და დამნაშავე 547

მარინა გარიშვილი*
თორნიკე ნემსწვერიძე**

ბრძოლა ქართველი მეცნიერ-იურისტების წინააღმდეგ ანუ პოლიტიკური ხელისუფალის მიერ მოწყობილი „მარქსისტულ-ლენინური გოლგოთა“ საბჭოთა საქართველოს ინტერიერში

„აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა“.[1]
კომუნისტური პარტიის მანიფესტი

„ის, რაც არ არის მარქსიზმი, არ არის მეცნიერება“.[2]

„ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს:
„ჯვარს-აცუ, ჯვარს-აცუ ეგე“.
ლუკა, 23, 24

„მოხუედ წარწყმედად ჩუენდა“.
ლუკა, 4, 34

„...თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!“
კოლაუ ნადირაძე

შესავლის ნაცვლად

კრიტიკისა და დისკუსიის გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერების განვითარება და, შესაბამისად, მეცნიერებისათვის იმანენტურ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ეს ორი ელემენტი. სამწუხაროდ, საქართველოში 70-წლიან-

* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

** სამართლის მაგისტრი (თსუ), იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

1 კომუნისტური პარტიის მანიფესტი, წიგნში: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი I, მეშვიდე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2019, 333.

2 ***ტორაძე მ.***, „მავნებლობიდან“ აკადემიურობამდე – გზა, რომელიც გაზეთმა გაიარა, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, №5, 25 აპრილი, 2013.

მა საბჭოურმა მმართველობამ ამ მიმართულებითაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა კრიტიკისა და დისკუსიის ცნებებში, მათ სემანტიკური მნიშვნელობა გამოაცალა და შემდეგ სრულად დაუქვემდებარა პოლიტიკურ კონიუნქტურასა და პარტიის ძირითად ხაზს. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავდა კრიტიკისა და დისკუსიის ორდინარული მიზნით – ჭეშმარიტების ძიების – გამოყენებას, მაგრამ, განსაკუთრებით, საბჭოთა მმართველობის სტალინურ პერიოდში ეს ინსტრუმენტები პოლიტიკური მიზნით გამოიყენებოდა[1]. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირი „კულტურის მთელი სფეროს, მათ შორის, მეცნიერების უმკაცრესი იდეოლოგიური კონტროლით ხასიათდებოდა“[2], დისკუსიებმაც ამ კონტროლის დამყარების პროცესში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის როლი შეასრულა. ფაქტობრივი დასაბამი, „მეცნიერული დისკუსიის“ სახით, გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს არსებულ სადისკუსიო ტალღას მისცა მოსკოვის დისკუსიამ, რომელშიც მარქსისტი იურისტები მონაწილეობდნენ. შეიძლება ამას ვუწოდოთ „შიდამარქსისტული გარჩევა“, ვინაიდან ერთი იდეოლოგიისა და ხედვის შიგნით მიმდინარეობდა ეს განხილვა და მისი მიზანი იყო მონოლითური თეორიის ჩამოყალიბება, რომელიც დაცლილი იქნებოდა ყოველგვარი განსხვავებულისაგან... ის უნდა ყოფილიყო სწორხაზოვანი.[3]

უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა მოსკოვში ხელისუფლებისათვის დაუნდობელი და სისხლიანი ბრძოლა მიმდინარეობდა, როცა ადამიანთაგან არავინ იცოდა, თუ როგორ დამთავრდებოდა საბჭოთა კავში-

---

[1] 1950 წელს „პრავდაში“ დაიბეჭდა სტალინის პუბლიკაცია, რომელიც ქართულად გამოქვეყნდა 1950 წლის „ლიტერატურული ძიებანის“ მე-6 ნომერში. რამდენადაც გასაკვირადაც უნდა ჩანდეს, ამ პუბლიკაციაში სტალინი მიუთითებს: „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება, მაგრამ ამ საყოველთაოდ აღიარებულ წესს ყოვლად უბოდიშოდ უგულებელყოფდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ“. იხ. ***სტალინი***, მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950, XXII. სტალინის ეს სიტყვები ისეთივე ტრაფარეტული გახლდათ, როგორც სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის სრული ტექსტი, რომელმაც თავისი ფორმალისტურობის გამო ვერ დაიცვა ადამიანი ამაზრზენი საბჭოთა რეპრესიებისაგან და რეალურად იქცა სახელმწიფოსათვის საჭირო დეკორატიულ ელემენტად.

[2] ***იმედაძე ი***., უზნაძე და საბჭოთა იდეოლოგია, წიგნში: დიმიტრი უზნაძე – სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის, პუბლიცისტური ნარკვევები 3, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2016, 104.

[3] დაწვრილებით საკავშირო დონეზე წარმოებული მოსკოვური დისკუსიისა და მისი შედეგების შესახებ იხ. ***Плотниекс А***., Общая теория права в 1929-1931 гг.: развитие, дискуссии, консолидация, Социалистическая революция и правовая идеология, республиканский межвузовский сборник научных трудов, под общей редакцией ***В. О. Миллера***, Рига, 1977, 3-33. სტატია თარგმნილია ქართულად და რედაქტორების მიერ შეტანილია წინამდებარე კრებულში.

რის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში წლების განმავლობაში მიმდინარე დაპირისპირება[1], რთული ვითარება შეიქმნა საქართველოშიც – მოდად იქცა მოსკოვისადმი მიბაძვა და სამარცხვინო „მარქსისტულ-ლენინური კათარზისი“. მოსკოვის მიბაძვით ცნობილი „სამეცნიერო დისკუსია“ გაიმართა თბილისშიც, კერძოდ, საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს შორის, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ არა მარქსისტები, არამედ მარქსისტები და არამარქსისტები. მარქსისტები ქართველი იურისტი პროფესორების ნაშრომებს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით განიკითხავდნენ, ხოლო ამ უკანასკნელთ განზრახულიც კი არ ჰქონიათ მარქსისტული ნაშრომების შექმნა, ვინაიდან ისინი იდეოლოგიითა და ხედვით არ მიეკუთვნებოდნენ იმ იურისტთა კატეგორიას, რომლებიც სამართლის მარქსისტული თეორიის აპრიორულ ჭეშმარიტებას აღიარებდნენ. ამასთან, იმ პერიოდის საქართველოში მარქსისტული სამართლის თეორია არც ისე ძლიერად ფეხმოკიდებული იყო[2], ვინაიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ პროფესორები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იროდიონ სურგულაძე, გიორგი ნანეიშვილი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, სერგი ჯაფარიძე და სხვები, რომლებიც, თავის მხრივ, ჰეგელის, ჰუსერლის, კელზენის სამართლის სოციოლოგიური სკოლისა და სხვა მიმდინარეობების წარმომადგენლები იყვნენ და მარქსიზმთან საერთო ნაკლებად მოეპოვებოდათ.[3] შესაბამისად, განსხვავებით მოსკოვისგან, სადაც დისკუსია წარმოებდა მარქსისტული სამართლის თეორიის შიგნით, საქართველოში სამართლის მარქსისტული თეორია დაუპირისპირდა „ჰუსერლიანობას“, „კელზენიანობას“, „იდეალიზმს“... მაგრამ, მიუხედავად არსებული განსხვავებისა, საქართველოში გამართულ დისკუსიაზე გამოჩნდა მარქსისტების მეცნიერული მომზადებულობის დაბალი დონე. ამ მოცემულობამ კი კრიტიკისა და დისკუსიის წმინდად მეცნიერულ ცნებებს შინაარსი გამოაცალა და ერთგვარ ავანტიურად შეფასების საშუალებაც მისცა მეცნიერებს[4]. წინამდებარე კრებულის გამოცემით

---

1 ***გურული ვ***., ჯვარცმული და ჯვარმცმელები, ილიას გმობის ისტორია (1861-1937), თბილისი, 2008, 43.

2 აღნიშნულს თავისი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა, მათ შორის, ცენტრში – მოსკოვში განვითარებული მოვლენები, სადაც მარქსისტულ-ლენინურ ბანაკებს შორის მიმდინარეობდა დავა და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია.

3 1930 წელს გამართული დისკუსიის შესახებ იხილეთ საინტერესო პუბლიკაცია: ***ყალიჩავა კ***., ქართული სამართლის მეცნიერების სათავეებთან, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 75-92.

4 მაგალითად, იხ. ***სავანელი ბ***., დისკუსია თუ ავანტიურა, ანუ როგორ მზადდებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ მეცნიერთა მიმართ, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1989, 43-49.

ნათელი ხდება, რომ იმ პერიოდის პოლიტიკური მმართველი წრეების წარმომადგენლები აქტიურ ზემოქმედებასა და მეცნიერებაში ჩარევის ღია ხერხებსაც კი არ ერიდებოდნენ, რათა საკუთარი, სახელმწიფო პოლიტიკით ნაკარნახევი წინასწარაკვიატებული სამართლის მარქსისტული ხედვისათვის მტკიცე საფუძველი შეექმნათ.

წერილის მიზანია თბილისში გამართული დისკუსიის ძირითადი პერიპეტიების წარმოჩენა და შემდგომ განვითარებული ზოგიერთი საკითხის განხილვა, რაც ერთობლიობაში მკითხველს „წითელი ტერორის“ ქრონომეტრაჟში იმ მძიმე პერიოდის გაანალიზებაში დაეხმარება, რომელმაც პირდაპირი მნიშვნელობით შეიწირა ქართული ჭეშმარიტი მეცნიერული იურიდიული აზრი. „მხატვარს და ისტორიკოსს ალბათ, გაუჭირდებოდა იმ პერიოდის უნივერსიტეტში მოღვაწეთა პორტრეტებისა და იმ ორგანული, დანგრეული ღირებულებების ისე წარმოჩენა, როგორც ეს დოკუმენტურ მასალებშია ასახული“,[1] და წინამდებარე კრებულის სახით დაინტერესებული საზოგადოების წინაშე წარმოდგენილია ის დოკუმენტური პირველწყაროები, რომელთა დახმარებითაც მარტივად შეძლებს საკუთარი შეხედულების შექმნას ქართული იურიდიული „ბოჰემის“ წარმომადგენელთა და იმ დროის პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენელთა შესახებ.

ზოგადი ფონი – „კონდრატიევშჩინა“ და „მტრების“ ძიება „საბჭოთა“ უნივერსიტეტებში

1921 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ისეთსავე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც უკვე იმყოფებოდნენ რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების უნივერსიტეტები: მოსკოვის, პეტერბურგის, ოდესის, კიევის, ხარკოვისა და სხვ. თბილისის უნივერსიტეტის საბჭოთა უნივერსიტეტად გარდაქმნას წინ აღუდგნენ მისი რექტორი ივანე ჯავახიშვილი და პროფესორები: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვები. საბჭოთა ხელისუფლებამ ოპოზიციურად განწყობილი უნივერსიტეტების პროფესორები „ძველ პროფესურად“ მონათლა და ვინაიდან ისინი არ ნებდებოდნენ, საბჭოთა ხელისუფლება რადიკალურ ღონისძიებებს მიმართავდა. საუნივერსიტეტო განათლების სის-

[1] როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან, საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები, წიგნში: ივანე ჯავახიშვილი, კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა, პუბლიცისტური ნარკვევები 1, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2015, 50.

ტემა საბჭოთა ხელისუფლებამ მოძველებულად ჩათვალა და დაიწყო უნივერსიტეტების დაშლა დამოუკიდებელ სასწავლო ინსტიტუტებად. 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოთხ დამოუკიდებელ, სპეციალიზებულ სასწავლო ინსტიტუტად გარდაიქმნა. ერთ-ერთი იყო საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის შემადგენლობაში აღმოჩნდა ყველა ჰუმანიტარული სპეციალობა.[1]

„ძველი პროფესურის“ წინააღმდეგ ბრძოლა 1930 წელს გადაიზარდა დიდ კამპანიაში, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით ცნობილ რუს მეცნიერ-ეკონომისტს ნიკოლაი კონდრატიევს, რომელიც არ იზიარებდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გეგმებს, ბრალი დასდეს არალეგალურ ანტისაბჭოთა საქმიანობაში, გაასამართლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს (1938 წელს ნ. კონდრატიევი დახვრიტეს). ნიკოლაი კონდრატიევის გასამართლების შემდეგ დაიწყო ბრძოლა ე.წ. „კონდრატიევშჩინის“ წინააღმდეგ, რაც, პრაქტიკულად, საბჭოთა წყობილებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პროფესორების დევნას ნიშნავდა. თითქმის ყველა უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო დისკუსიები, რომელთა მიზანი უნივერსიტეტებიდან არასასურველი პროფესორების განდევნა იყო.

„კონდრატიევშჩინა“[2] არსებითად რუსული მოვლენა იყო, რომელიც 1920-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, და მმართველი პოლიტიკური ძალის იმპერატიული მოთხოვნის პირობებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის უნივერსიტეტებში არამარქსისტულად ანუ, ბოლშევიკების ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, „რეაქციულად“ განწყობილი ძალების წინააღმდეგ ბრძოლას გამოხატავდა. შესაბამისად, მოსკოვის მიბაძვით ეს პროცესი იმ დროს რეორგანიზებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილ ინსტიტუტებშიც დაიწყო. სახელდობრ, დაიწყო ბრძოლა მეცნიერთა უფროს თაობასთან. პრესაში და საჯარო კრებებზე ამხელდნენ და კიცხავდნენ, „რეაქციულ“ მოაზროვნეებად რაცხავდნენ თითქოს „კონტრრევოლუციონერებად“ აღიარებულ პროფესორ-მასწავლებლებს. ეს მხილება და გაკიცხვა, როგორც წესი, უნდა განეხორციელებინათ

---

[1] ***გურული ვ.***, როგორ დაიცვა ტირანიის სამსჯავროზე აკაკი შანიძემ ივანე ჯავახიშვილი, წიგნში: აკაკი შანიძე 130 – ქართული საქმის კაცი, პუბლიცისტური ნარკვევები 4, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2017, 92-93.

[2] „კონდრატიევშჩინის“ ფენომენის შესახებ, ასევე, იხ. ***ვაჩნაძე მ.***, ***გურული ვ.***, ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, კრებულში: ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. ***მ. ვაჩნაძემ*** და პროფ. ***ვ. გურულმა***, თბილისი, 2004, 33-28.

ახალგაზრდა მეცნიერულ კადრებს – მარქსისტული იდეოლოგიის მხარდამჭერ ახალგაზრდა ასპირანტ-ასისტენტებსა და მოწინავე სტუდენტებს.[1] ხშირად „სადისკუსიოდ“ „მომზადებულმა“ კომუნისტმა ახალგაზრდებმა არც კი იცოდნენ, თუ რას გულისხმობდა მარქსისტული მეთოდოლოგია და რას ედავებოდნენ მეცნიერებს.[2]

კონდრატიევშჩინის ქვეტექსტი პოლიტიკური შინაარსისა იყო. ეს პროცესი ხელისუფლებისგან ინსპირირებული გახლდათ, რამაც მეცნიერულ დისკუსიებში შეფუთა მმართველი პოლიტიკური ელიტის მიზნები და ზრახვები. მათ სურდათ, „ბურჟუაზიული“ ინტელიგენცია გაეძევებინათ საუნივერსიტეტო სივრცეებიდან, რათა „შეექმნათ ერთგული და მორჩილი „სოციალისტური“ ინტელიგენცია. რეჟიმის მომხრე და რეჟიმის მოწინააღმდეგე ინტელიგენციას შორის დამოკიდებულება თანდათანობით მწვავდებოდა, ყველაზე მეტად ეს გამოჩნდა სამართლის სფეროში.[3]

„კონდრატიევშჩინამ“ კულმინაციას მიაღწია 1930 წელს. სწორედ ამ პროცესს უნდა დავუკავშიროთ საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილება, რომლითაც განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია[4], არარსებული „მტრების“ კოლექტიური სახის ძიების კვალდაკვალ. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და იურისტი ფატი გოკიელი მიუთითებს: „ვერ მოგახსენებთ, შესაძლოა, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მართლაც იყვნენ მოკალათებული ძველი დროიდან შემორჩენილი, რეაქციულად განწყობილი მეცნიერ-სწავლულები და საჭირო იყო მათი გაძევება, მაგრამ საქართველოს ნორჩ, ახლად აღმოცენებულ უნივერსიტეტში ასეთები არ იყვნენ და ამ ღონისძიების გადმოტანა ჩვენთან, თუნდაც შერბილებული სახით, ერთობ სავალალო მოვლენა იყო“.[5] ძალიან საინტერესოა ამ პროცესთან დაკავშირებით

---

[1] შეად. ანალოგიური ხედვით: ***გოკიელი ფ.***, ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, ***თ. ნინიძის*** შესავალი წერილი, ***კ. ანთაძის***, ***თ. ნინიძისა*** და ***მ. უგრეხელიძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2017, 176; ***გოკიელი ფ.***, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, №3, 2017, 46.

[2] შეად. ***ციციშვილი გ.***, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016, 155.

[3] ***გამყრელიძე ო.***, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ***გ. ფერაძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2015, 201.

[4] ***ჯორბენაძე ს.***, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, 1988, 122.

[5] ***გოკიელი ფ.***, ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, ***თ. ნინიძის*** შესავალი წერილი, ***კ. ანთაძის***, ***თ. ნინიძის*** და ***მ. უგრეხელიძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2017, 176; ***გოკიელი ფ.***, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, №3, 2017, 46.

პროფ. სერგო ჯორბენაძის შეფასება: „ეს იყო გაუმართლებელი რეორგანიზაცია, რომელიც უფრო საუნივერსიტეტო სწავლების ლიკვიდაციას უახლოვდებოდა, თავისთავად ისე დიდ ზიანს ვერ მოიტანდა, დაკავშირებული რომ არ ყოფილიყო უპირატესად ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლებში ახალი ხელისუფლების მტრების სავალდებულო ძებნასთან, მათთვის სხვადასხვა იარლიყების მიკერებასთან მეტად მძიმე შედეგებით. ასე 1930 წელს გასამართლებულ იქნენ გამოჩენილი მეცნიერი-ეკონომისტები: ნ. კონდრატიევი, ა. ჩაიანოვი და სხვები (ისინი 1987 წ. ივლისში, სიკვდილის შემდეგ იქნენ რეაბილიტირებულნი). ბრალდებებს კონდრატიევშჩინაზე, მემარჯვენე პროფესორებზე, ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე, ჩვენში ემატებოდა არა მხოლოდ ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენტობა, არამედ განსაკუთრებით „პირწავარდნილი“ ნაციონალიზმი“.[1] ეს, თუ გნებავთ, იმითაც მტკიცდება, რომ იერიში მიიტანეს ისეთ მეცნიერებზე, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი გეხტმანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვ., რომლებიც ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულნი არიან, როგორც ქართული მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი მოამაგეები.[2] საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის იანვარში გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა სტატია – „უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურა იბრძვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ“. ყოველივე ამას ადასტურებს 1930 წლის ბოლოს მოწყობილი დისკუსიები – „კონდრატიევშჩინის“ საბაბით ორგანიზებული კამპანია.[3]

საბჭოთა პარტიული ლიდერებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სუბიექტი პოლიტიკურად აქტიური იყო თუ არა. ამ შემთხვევაში მოქმედებდა პრინციპი: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა“. „ძველი პროფესურის, ე.წ. „ბურჟუაზიული კადრების“ იდეური და ფიზიკური განადგურება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ეს პროცესი იგეგმებოდა ისევე, როგორც ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმები“.[4]

გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში დაწყებულმა მოძრაობამ, რომელიც მიმართული იყო „მემარჯვე-

---

1 ***ჯორბენაძე ს***., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, 1988, 123-124.

2 ***გოკიელი ფ***., ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, ***თ. ნინიძის*** შესავალი წერილი, ***კ. ანთაძის***, ***თ ნინიძის*** და ***მ. უგრეხელიძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2017, 176-177; ***გოკიელი ფ***., ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, №3, 2017, 47.

3 ***ციციშვილი გ***., დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016, 153.

4 ***გურული ვ***., უნივერსიტეტის წითელი პროფესურის ფიზიონომია (დრო, მოვლენა, ადამიანები), კრებულში: ივანე ჯავახიშვილი – კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა, პუბლიცისტური ნარკვევები 1, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2015, 63.

ნე პროფესურის“ წინააღმდეგ, კარგად აჩვენა იმ პერიოდის პოლიტიკური ელიტისა და ინტერვენციის ძალით მეცნიერებაში შემოვარდნილი „წითელი პროფესურის“ ინტელექტუალური ფიზიონომია. მაგალითად, პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, „წითელი“ პროფესორი ივანე ვაშაყმაძე „კონდრატიევშჩინის“ აღმოფხვრის საბაბით სხვადასხვა ეპითეტით ამკობდა საქართველოს მოაზროვნე ინტელიგენციას – რომ მათ ახასიათებთ „ზოოლოგიური კაციჭამია ნაციონალიზმი“, რომ თითქოს და „მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი“, ზოგის ნაშრომს „ქართული ნაციონალისტური ინტელიგენციის სტილის მიხედვით დაწერილი“ უწოდა, ზოგისას – „ანტიმარქსისტულ-იდეალისტურ-რელიგიური“. მოკლედ, „წითელმა“ პროფესორმა ვაშაყმაძემ „ოპოზიციურად განწყობილი პროფესურის წარმომადგენლობიდან არავინ დატოვა მეცნიერული თვალსაზრისით დაუკნინებელი და გაულანძღავი“.[1]

„კონდრატიევშჩინის“ პროცესს, როგორც ამას იმ პერიოდის „წითელი ინტელიგენცია“ უწოდებდა, „იდეოლოგიურ ფრონტზე“ შედეგიც წინასწარგანზრახული მოჰყვა: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის იანვარში მიიღო რეზოლუცია „საქართველოში კონდრატიეველობის შესახებ“, სადაც ნათქვამი იყო: „ცკ-ის წევრებმა უარყვეს აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს სინამდვილეში კონდრატიეველობა უცხოა“ და უდავოდ მიიჩნიეს, რომ საქართველოში არსებობდა სრულყოფილი სახით კონდრატიევული პლატფორმა.[2] შესაბამისად, გამოჩნდა, რომ მთელი ეს პროცესი მიმართული იყო პოლიტიკური რეჟიმისათვის არასასურველი პროფესორების „განიარაღებისათვის“, დაშინებისათვის, დასამორჩილებლად[3]. ამას მოჰყვა „კონდრატიევშჩინის“ პროცესის დასაწყისშივე საბოლოო რეზულტატად მოაზრებული პროფესორთა გაძევება უმაღლესი სასწავლებლებიდან. კერძოდ, 1931 წლის 22 მარტს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო დადგენილება „საქართველოში კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის შესახებ“,[4] და სამეცნიერო დაწესებულებებიდან, როგორც „აშკარად კონდრატიეველები და სოციალისტური მშენებლობისათვის გამოუსადეგი“, განდევნეს ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, პროფ. გრიგოლ წერე-

---

1 დაწვრილებით იხ. ***ციციშვილი გ.***, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016, 153-155.

2 დაწვრილებით იხ. ***ციციშვილი გ.***, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016, 161.

3 ***ციციშვილი გ.***, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016, 161.

4 ნორმატიული საფუძველი მზად იყო, შესაბამისად, პარტიის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა განსახკომის 1931 წლის 28 მაისის ბრძანება „მემარჯვენე პროფესურის“ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. იხ. ***ჯორბენაძე ს.***, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, 1988, 128.

თელი, პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი, პროფ. გიორგი გეხტმანი და სხვები.[1] საუნივერსიტეტო სივრცის მეცნიერებისაგან „წმენდას“, როგორც ისტორიკოსი გ. ციციშვილი მიუთითებს, შედეგად მოჰყვა კათედრის გამგეებად და საგნის მასწავლებლებად „ცნობილი ჩეკისტი და ბოლშევიკი ბოევიკების“[2] მოწვევა.

„კონდრატიევშჩინამ“ კვალიც დატოვა: პოლიტიკური ქვენაგრძნობებით გაჟღენთილი სალანძღავი დისკუსიები მწერლების წინააღმდეგ – მწერალთა კავშირში, იურისტების წინააღმდეგ – საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლების წინააღმდეგ – პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფინანსისტ-ეკონომისტი მეცნიერების წინააღმდეგ – საფინანსო ეკონომიკურ ინსტიტუტში და სხვ. „კონდრატიევშჩინამ“ საქართველოში მოიტანა დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობების „მეცნიერთა“ ინტეგრირება საუნივერსიტეტო სივრცეში. ამ კუთხით, საგულისხმოა, თუ როგორ წარმოაჩენს „წითელი პროფესურის“ ანატომიას თავად ივანე ვაშაყმაძე – ერთ-ერთი რიგითი პაიკი ამ პროცესში, რომელიც აქტიურად გაირჯა ქართული მეცნიერული ინტელიგენციის წინააღმდეგ წარმოებულ „წითელ ბრძოლაში“. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მან თქვა: „...მართალია, წითელ პროფესორებს არ ჰქონდათ დრო, რომ მდიდარი იყვნენ ენით... რომ ენები შეგვესწავლა, 20-30 წლები კაბინეტებში ჩავკეტილიყავით და მრავალი წიგნები წაგვეკითხა... ჩვენ გავიზარდეთ ყანაში, წარმოებაში. ჩვენ ვართ წარმოების სიღრმის გულიდან გამოსული, დიდ რევოლუციაში და სამოქალაქო ომში გამობრძმედილი, რომელიც უფრო კარგად ითვისებს ჭეშმარიტების – მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას“.[3] სხდომაზე დამსწრე კომუნისტები ვაშაყმაძის ამ „ინტელექტუალურად დახუნძლულ“ რემარკას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

1930 წლის ოქტომბერი – ევროპაში განსწავლული ქართველი იურისტი პროფესორების წინააღმდეგ მოწყობილი „მარქსისტულ-ლენინური გოლგოთა“

„საბჭოთა მეცნიერება, ფაქტობრივად, რეპრესირებული მეცნიერებაა. ეს ეხება არა მხოლოდ რეპრესირებულ ავტორებს, მეცნიერებს, არამედ იდეებს, მიმართულებებს, სამეცნიერო ცენტრებს, წიგნებს... „არააკრძალულ“

---

1 ***ციციშვილი გ.***, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016, 161; ***ჯორბენაძე ს.***, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, 1988, 128.

2 ***ციციშვილი გ.***, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016, 165.

3 *იქვე,* 170-171.

მეცნიერებებში სასტიკად ისჯებოდა იმ თეორიებისადმი მიმხრობა ან თუნდაც ლოიალურობა, რომლებიც იდეალიზმში დაადანაშაულეს... ყველაზე მძაფრი სახით, მეცნიერებაში იდეოლოგიურ-პოლიტიკური ჩარევა გულისხმობდა მასში შენიღბული მტრების ძიებას, რომლებიც ბურჟუაზიის სასარგებლოდ ებრძვიან სოციალიზმს; შესაბამისად იქმნებოდა შიშის ატმოსფერო მეცნიერთა ქცევის მანიპულირებისთვის; ამრიგად, ახალმა ეპოქამ უმკაცრესი იდეოლოგიური შეზღუდვები მოიტანა. „დიამატ-ისტმატი“ სახელმწიფო ფილოსოფიად, რელიგიის კულტში აყვანილ დოგმატურ მოძღვრებად იქცა. მისი მიღება-არმიღება ლამის ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი გახდა“.[1]

საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში გამოევლინათ „ძველი ბურჟუაზიული კადრები“ და მათთვის სამეცნიერო და საპროფესორო მოღვაწეობა აეკრძალა.[2] მეცნიერების იდეოლოგიური წმენდის პირველი ტალღა 20-30-იანი წლების მიჯნაზე აგორდა, როცა სტალინმა ისროლა თეზისი კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების თაობაზე, მათ შორის, მეცნიერებაში კონტრრევოლუციონერებისა და მავნებლების მხილებისაკენ.[3]

გაივლის ათეული წლები და პროფესორი ოთარ გამყრელიძე დაწერს: „1930 წ. თბილისში გაიმართა ისტორიული დისკუსია სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემის გამო, სადაც ერთ მხარეს დადგნენ რეჟიმის მომხრე იურისტები და ფილოსოფოსები (პ. შარია), ხოლო მეორე მხარეს – ეგრეთ წოდებული „ბურჟუაზიული“ პროფესურა. კამათს გარეგნულად მიეცა დისკუსიის ხასიათი, თორემ სინამდვილეში ეს იყო ევროპულად განსწავლული პროფესურის რბევა-განადგურება, მისი დაშინება და თავისუფალი მეცნიერული აზრის მანამდე არნახული შეზღუდვა საბჭოთა საქართველოში“.[4]

1930 წლის 25 ოქტომბერი იდგა. სამი დღის (25 ოქტომბერი, 27 ოქტომბერი, 28 ოქტომბერი) განმავლობაში 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასი-

---

1 ***იმედაძე ი***., უზნაძე და საბჭოთა იდეოლოგია, წიგნში: დიმიტრი უზნაძე – სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის, პუბლიცისტური ნარკვევები 3, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2016, 104.

2 როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან, საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები, წიგნში: ივანე ჯავახიშვილი, კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა, პუბლიცისტური ნარკვევები 1, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2015, 48.

3 ***იმედაძე ი***., უზნაძე და საბჭოთა იდეოლოგია, წიგნში: დიმიტრი უზნაძე – სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის, პუბლიცისტური ნარკვევები 3, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2016, 104.

4 ***გამყრელიძე ო***., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ***გ. ფერაძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2015, 202-203.

ის კომუნისტური უნივერსიტეტის (ЗКУ)[1] მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის, ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ მარქსისტ სახელმწიფომცოდნეთა საზოგადოების გამგეობის ინიციატივით მიმდინარეობდა ისტორიული „საუნივერსიტეტო სასამართლო პროცესი" – ფართომასშტაბიანი შეტევა არამარქსისტი იურისტი პროფესორების წინააღმდეგ. პოლიტიკური ქვენაგრძნობით განპირობებულ დისკუსიას ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე „წითელი" პროფესორი ალექსეი ბოლოტნიკოვი. დისკუსიაში მარქსისტ სახელმწიფომცოდნეთა მხრიდან მონაწილეობდნენ დოცენტი ალექსანდრე გეგენავა, „წითელი" პროფესორი ილარიონ ტალახაძე[2], „წითელი" პროფესორი პეტრე შარია, „წითელი" პროფესორი ალექსეი ბოლოტნიკოვი, ლისოვსკი, ტატულოვი, ბარიგიანი, თუმანოვი, ხოლო ქართველი არამარქსისტი იურისტი პროფესორებიდან – იროდიონ სურგულაძე, გიორგი ნანეიშვილი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, სერგი ჯაფარიძე.[3] ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ევროპაში განათლებამიღებული მეცნიერ-იურისტების მოღვაწეობა სამართლის მეცნიერების სფეროში, რადგან ეს ხელს უშლიდა პოლიტიკური მიზნის – მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი ფილოსოფიის, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ყველა სფეროში რეალიზებას.[4]

თავდაპირველად საზოგადოების წინაშე წარდგა დოცენტი ალექსანდრე გეგენავა მოხსენებით – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი", სა-

---

[1] 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი თბილისში დაარსდა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერალური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 06 თებერვლის დეკრეტის საფუძველზე. უნივერსიტეტში იყო ნაციონალური (ქართული, სომხური, თურქული, რუსული) სექტორები, საზოგადოებრივ-პედაგოგიური ფაკულტეტი და პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტი.

[2] „წითელ" პროფესორ ილარიონ ტალახაძეს აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე „გრიაზნოვს" ეძახდა. იხ. ***ავალიანი ს***., XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა ბატალური ისტორიიდან, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა", №15, 2014, 31.

[3] ***Kordsadse S***., ***Nemszweridse T***., Professor Irodion Surguladse – das Portrait eines Wissenschaftlers mit europäischer Denkweise im sowjetischen Interieur, im Buch: ***Surguladse Ir***., Gewalt und Recht, Eine Abhandlung zum Problem des Verhältnisses von Staat und Recht, Erster Teil, Der Begriff des Rechtsverhältnisses, unter der Redaktion von ***S. Kordsadse*** und ***T. Nemszweridse***, Tbilisi, 2018, S. 25.

[4] ***გამყრელიძე ო***., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ***გ. ფერაძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2015, 202.

დაც მწვავედ გააკრიტიკა არამარქსისტი პროფესორების სამეცნიერო ნაშრომები. მომხსენებელმა, დოცენტმა გეგენავამ შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ სამართლისა და სახელმწიფოს საკითხები, მათი პრაქტიკული დანიშნულებით, არსობრივად კლასთა პოლიტიკური ბრძოლის საკითხებია; ასევე, ყველასათვის ისიც უნდა იყოს ცხადი, რომ სამართლისა და სახელმწიფოს თეორია, რომელიც პრაქტიკული პოლიტიკის გზებს განიხილავს, არის კლასობრივი თეორია, ანუ კლასის იდეოლოგიის სფერო, სადაც კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკა უშუალოდ აისახება.[1] შემდეგ ერთგვარი ყალბი რევერანსი მიუძღვნა თავის ადრესატ არამარქსისტ პროფესორებს, რომლებსაც და რომელთა ნაშრომებსაც მთელი მოხსენების განმავლობაში „მარქსისტული გოლგოთა“ მოუწყო. კერძოდ, აღნიშნა: ჩემი მოხსენება მიზნად არ ისახავს „პიროვნულად გაასამართლონ იმ ნაწარმოებების ავტორები, რომლებშიც წარმოდგენილია საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი. ჩემი მოხსენება სულაც არ არის საბრალდებო აქტი ჩვენი პროფესორების წინააღმდეგ, არამედ ის არის მათი ნაშრომების კრიტიკული ანალიზი. მე მსურს შევაფასო საბჭოთა საქართველოში არსებული, თანამედროვე სამართლებრივი აზრის მდგომარეობა, რათა ვიცოდეთ, თუ რა მოთხოვნების წამოყენება შეგვეძლება მის მიმართ უახლოეს დროში, თუ რამდენად წარმატებულად მივმართავთ მას მარქსისტულ-ლენინურ კალაპოტში“.[2] მიუხედავად ამისა, არა მხოლოდ მოხსენება, არამედ მთელი ეს პროცესი დეტერმინებული იყო არამარქსისტულად მოაზროვნე პროფესორებისათვის სხვადასხვა იარლიყის მიწებებითა და მათი მაქსიმალური შევიწროებით.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ წლებში საზღვარგარეთ განსწავლული პროფესორი იურისტები მოღვაწეობდნენ, რომელთაც, უმთავრესად, გერმანული იურიდიული და ფილოსოფიური განათლება ჰქონდათ მიღებული[3], ხოლო გასული საუკუნის ოციან წლებში, არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში ძალიან აქტუალური იყო სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემები. მაგალითად, გერმანიაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ნეოკანტიანობა (კელზენი) და ფენომენოლოგიური სკოლა სამართლის მეცნიერებაში გაბატონებისათვის.[4] სწორედ

---

[1] Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, 2.

[2] *იქვე.*

[3] ***გამყრელიძე ო.***, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ***გ. ფერაძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2015, 201.

[4] ***გამყრელიძე ო.***, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში, კრებულში:

ამან განაპირობა არამარქსისტი პროფესორების მხრიდან საკვლევად იმ თემების აღება, რომლებიც იურისპრუდენციაში ერთ-ერთი ურთულესია და აქტუალური იმ დროისათვის.

დისკუსიის განმავლობაში, მთელი სამი დღე, არ წყდებოდა „საინტერესო“ ეპითეტების მიწებება მარქსისტებისაგან არამარქსისტი პროფესორებისათვის. მაგალითად, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე და დისკუსიის თავმჯდომარე პროფესორი ბოლოტნიკოვი ასე აფასებდა პროფ. სურგულაძის წიგნს: „პროფ. სურგულაძის აღნიშნული მხოხავი ემპირიზმი არის ბურჟუაზიული აზროვნების ჩვეულებრივი შეზღუდულობა“[1]; „მეორე თუ მესამე საფეხურზე აყვანილ, შუასაუკუნოვან სქოლასტიკას წარმოადგენს“;[2] „...საბჭოთა საქართველოში ანტიმარქსისტული, პროლეტარიატისათვის მტრული, ბურჟუაზიული სამართლებრივი აზრი, მისი წარმომადგენლების სახით – პროფ. ვაჩეიშვილის, ნანეიშვილის, სურგულაძის, ჯაფარიძისა... განაგრძობენ არსებობას და ეწევიან ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ“.[3]

ხაზგასასმელია, რომ დისკუსიის მსვლელობისას ტალახაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ის პროფ. ირ. სურგულაძის წიგნის კრიტიკისას ძირითადად ეყრდნობოდა ამ წიგნზე პროფ. გიორგი ნანეიშვილის ქართულ ენაზე შესრულებულ რეცენზიას[4], საიდანაც ამოწერილი ჰქონდა ციტატები და კრიტიკას „მარქსისტულ“ ხასიათს სძენდა. მისთვის ოდნავადაც არ შეუქმნია უხერხულობა, რომ აკრიტიკებდა წიგნს, რომელიც მას, გერმანული ენის არცოდნის გამო, წაკითხულიც კი არ ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით ტალახაძემ აღნიშნა, რომ „...ის [იგულისხმება პროფ. გ. ნანეიშვილი – თ.ნ.] პროფ. სურგულაძეზე არანაკლებად ფლობს გერმანულ ენას და, ვფიქრობ, რომ სწორედაც აკრიტიკებდა (სურგულაძის რეპლიკა: და

სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ***გ. ფერაძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2015, 202.

1 ***Болотников А. А.,*** Введение, В книге: Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, XVIII.

2 Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, 112.

3 ***Болотников А. А.,*** Введение, В книге: Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, XX.

4 ***ნანეიშვილი გ.***, ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის, ჟურნალი „მნათობი“, №3, 1928.

თქვენ წაკითხული გაქვთ ჩემი პასუხი?). არ წამიკითხავს, მაგრამ – ერთია უპასუხო, მეორე კი – უარყო".[1] დისკუსიის პროცესში გაკრიტიკებული პროფესორებისათვის ნათლად გამოიკვეთა, რომ მომხსენებლებს მათი ნაშრომები ბოლომდე არ ჰქონდათ წაკითხული. ცალკე აღნიშვნის ღირსია მარქსისტების მხრიდან დისკუსიაზე სიტყვით გამოსული მარქსისტი „წითელი" პროფესორი პეტრე შარია, რომლის გაცნობის შემდეგ დაკვირვებული და საქმის მცოდნე მკითხველი დაინახავს, რომ პ. შარიას ნამდვილად არ აკლდა კომპეტენცია და მეტად საინტერესო გახლდათ შინაარსობრივად და მეცნიერული სიღრმის კუთხით მისი სადისკუსიო სიტყვა.

ხაზგასასმელია, რომ დისკუსიის ორგანიზატორებს მხოლოდ კონკრეტული პერსონალიები არ ჰყავდათ სამიზნეში ამოღებული. არსებობდნენ კრიტიკის სხვა სუბიექტები, რომელთა პერსონალიები დისკუსიაზე არ გაცხადებულა, მაგრამ „საუნივერსიტეტო სასამართლოს" მათთვისაც უნდა „ესწავლებინა" მომავალში მეცნიერულ-პედაგოგიური ქცევის მიმართულების გზები, რაც უპირობოდ პარტიულობის პრინციპს უნდა დაფუძნებოდა. ამის დასტურად შეიძლება მოვიტანოთ დისკუსიის სტენოგრამის შესავალში „წითელი" პროფესორის, ბოლოტნიკოვის სიტყვები:

„ყოველივე ზემოთქმულიდან საჭიროა იმ დასკვნის გაკეთება, რომ საბჭოთა საქართველოში ანტიმარქსისტული, პროლეტარიატისათვის მტრული ბურჟუაზიული სამართლებრივი აზრი, მისი წარმომადგენლების სახით, – პროფ. ვაჩეიშვილის, ნანეიშვილის, სურგულაძის, ჯაფარიძისა და, აგრეთვე, რიგი სხვებისა, – რომელთა გვარებს ჩვენ არ ვახსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მეცნიერ-მუშაკებს არ აქვთ სამეცნიერო და, ზოგადად, რაიმე სახის ნაბეჭდი ნაშრომები, თუმცაღა, რომელთა ანტიმარქსისტული პოზიციები ცნობილია, – განაგრძობენ არსებობას და ეწევიან ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ".[2] ამ ზოგადი რემარკის სამიზნე ჯგუფში, უპირველესად, იგულისხმებოდა საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ფუძემდებელი, პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელსაც არათუ ბოლშევიკები[3], არამედ იურიდიული ფაკულტეტის ზოგიერთი პე-

---

[1] Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии", под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, 36.

[2] ***Болотников А. А.,*** Введение, В книге: Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии", под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, XX.

[3] პროფ. ანდრონიკაშვილი არასდროს უშინდებოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, იმ დროსაც კი, როდესაც საკავშირო მასშტაბით მძვინვარებდა სტალინური რეპრესიების ჩარხი. საინტერესოა პროფ. ანდრონიკაშვილის პოზიცია შოთა

დაგოგიც კი, აქტიურად ებრძოდა.[1] გასული საუკუნის 30-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის პლატფორმას აქტიურად იყენებდა საბჭოთა ხელისუფლება, რათა პოლიტიკურად არასაიმედო „ელემენტების“ სახელები სახალხოდ „გაემჟღავნებინა“. კერძოდ, „უნივერსიტეტიდან პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისაგან გაწმენდის პროპაგანდით შეიარაღებული გაზეთი ე.წ. „ხალხის მტრების“ სიას აქვეყნებდა. ასეთ მტრებად დასახელებულნი იყვნენ ფილოლოგიური სკოლის დამფუძნებელი გრიგოლ წერეთელი და იურიდიული მეცნიერების ფუძემდებელი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი[2]. სამიზნე ჯგუფში, ასევე, მოიაზრებოდნენ გრიგოლ რცხილაძე და კონსტანტინე მიქელაძე.

დისკუსიის ბოლოს მიღებული რეზოლუციიდან ჩანს, რომ ბოლშევიკებს ლატენტური ანტიმარქსისტებიც/არამარქსისტებიც არ დაავიწყდათ, ვინც გარეგნულად მარქსისტ-ლენინელის საბურველით იყვნენ შემოსილნი და ხაზგასმით აღნიშნეს დისკუსიის ოფიციალურ შემაჯამებელ დოკუმენტში:

რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა, ხელოვნების მუშაკთა კლუბში. საიუბილეო ღონისძიებაზე ზოგიერთმა მომხსენებელმა გაატარა ნიკო მარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ არ აღნიშნავს ქართულ რეალობას და ის მუსლიმურ სამყაროშია შექმნილი და შემდეგ თარგმნილი ქართულ ენაზე. პროფესორმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა სიტყვა ითხოვა. იგი „ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი იყო, წამოდგა და დაახასიათა მართლმადიდებლური სარწმუნოების მრწამსი, ამ ფონზე განიხილა პოემის გმირთა ეთიკა, ქცევა და დაასკვნა, რომ პოემა მხოლოდ მართლმადიდებლების მიერ არის შექმნილი და რადგანაც სამხრეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მართლმადიდებელი, გარდა ქართველებისა, სხვა ხალხი არ არის – პოემა უდავოდ ქართველის მიერ არის დაწერილიო. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში გამეფებული მძვინვარე ათეიზმი, ამასთან 1937-1938 წლების რეპრესიები – ამ დროს ლ. ანდრონიკაშვილის ამგვარი გამოსვლა გმირობის ტოლფასი იყო. დამფრთხალი და დაშინებული საზოგადოება ნელ-ნელა ტოვებდა დარბაზს და მოხსენების დასასრულს ხალხით გაჭედილ დარბაზს მხოლოდ რამდენიმე „გაბედული“ მსმენელი შემორჩა“. იხ. ***გაჩეჩილაძე ი.***, ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი – ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე, მრავალთავი, ტომი 24, 2015, 250-251. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ისტორიკოსმა გიორგი ციციშვილმა გამოავლინა ის საარქივო დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ 1938 წელს იგეგმებოდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილთან ერთად პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დაპატიმრება და რეპრესირება, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს არ განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ***ციციშვილი გ.***, დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016.

[1] აღნიშნული ცნობების დამადასტურებელი საარქივო მასალები შესულია წინამდებარე კრებულში.

[2] ***კაკულია ნ.***, უნივერსიტეტის გაზეთის ისტორია – უნივერსიტეტის მემატიანე, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, №5, 25 აპრილი, 2013.

„გაერთიანებული სხდომა, აგრეთვე, აუცილებლად მიიჩნევს იმის აღნიშვნას, რომ ზოგიერთი კომუნისტი მეცნიერ-მუშაკის მხრიდან ადგილი ჰქონდა მითითებული პროფესორების [იგულისხმება ირ. სურგულაძე, გ. ნანეიშვილი, ალ. ვაჩეიშვილი, ს. ჯაფარიძე – თ.ნ.] ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან მიმართებით შემრიგებლურ დამოკიდებულებას, რომელიც გამოიხატება, მათი მხრიდან დისკუსიაში მონაწილეობისაგან თავის არიდებაში“.[1] აქედან ცხადია, რომ გაფრთხილება კომუნისტებმაც მიიღეს, ანუ პარტიაში მიმდინარე დაპირისპირება სარკისებურად აისახა საზოგადოებაში, მათ შორის, დისკუსიის ფორმატშიც იჩინა თავი, რადგან სწორედ ამ პარტიამ უზრუნველყო, შეექმნა აბსურდული სოციალური სარჩული „კონდრატიევშჩინისა“ და სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების წინააღმდეგ და მათ ასეთი პროცესებით დაპირისპირებოდა.

დისკუსიის მთავარმა მომხსენებელმა გეგენავამ საბჭოთა საქართველოში არსებული სამართლებრივი აზრი ანტიმარქსისტულად მიიჩნია, რის შემდეგაც გადავიდა მარქსისტულ-ლენინური იდეების ერთგული იურისტის მოძიებაზე, რომელთაგან დაასახელა გიორგი სოსელია.[2] თავის მხრივ, ძალიან

---

[1] Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, 138.

[2] **გიორგი ქუთიას ძე სოსელია** (1897-1961) – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. მან 1926 წელს დაამთავრა 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კურსი, 1928 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება, 1929 წელს – ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ასპირანტურა (სამართლის დარგი). 1931-1934 წლებში სწავლობდა მოსკოვში წითელი პროფესურის ინსტიტუტში. 1935 წლის 10 ნოემბერს კომუნისტური აკადემიის საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში გ. სოსელიამ საჯაროდ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გ.ვ. პლეხანოვი და საერთაშორისო რევიზიონიზმი, მოძღვრება სახელმწიფოზე“. ოპონენტებად გამოვიდნენ: პროფ. კაპლანი, პროფ. ბერმანი, პროფ. ჩელიაპოვი, პროფ. პაშუკანისი. პროფ. გიორგი სოსელიას, როგორც მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამცველს, პრინციპულად აღიზიანებდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასა და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებები საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე და მათ მიმართ პროფ. სოსელია თვალშისაცემ ტენდენციურობას იჩენდა. 1936-1937 წლებში პროფ. სოსელია მონაწილეობდა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენაში, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი და მდივანი. 1936-1937 წლებში ის იყო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური საკვალიფიკაციო კომისიის წევრი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, 1937 წლის თებერვლიდან კი – საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე. მიუხედავად პროფ. სოსელიას კომუნისტური წარსულისა და მარქსისტული იდეო-

საინტერესო პერსონაა პროფესორი გიორგი სოსელია, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიაში მონაწილეობა არ მიუღია, დოცენტ გეგენავას საქებარი სიტყვები დაიმსახურა და მის ფუტურისტულ მოხსენებაში ქართულ იურისპრუდენციაში მარქსიზმის დამცველ იურისტად მონათლა. გეგენავა მიუთითებს: „მხოლოდ სულ ბოლო დროს ჩვენ გვაქვს რამდენადმე სასიამოვნო მოვლენა მცირერიცხოვანი ახალგაზრდა მარქსისტი-ლენინელების პატარა ნაშრომების სახით. ამ ნაშრომებიდან მე მსურს აღვნიშნო ამხანაგი სოსელიას სტატია იმავე ჟურნალში – „მნათობი“[1], იმავე კაუცკის წინააღმდეგ. ამხანაგმა სოსელიამ ამ სტატიაში გვიჩვენა პრობლემისადმი ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა და დაამტკიცა, რომ კარლ კაუცკი სახელმწიფოს შესახებ საკითხებში არასოდეს ყოფილა მარქსისტი. ამხანაგმა სოსელიამ თავის სხვა ნაშრომში გამოავლინა, რომ არა მხოლოდ სამართალმცოდნეთა შორის, არამედ ქართველ ისტორიკოსთა შორისაც სახელმწიფოს შესახებ საკითხებში არსებობენ რეაქციული კონცეფციები, რომელთა არსი ისაა, რომ თითქოსდა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობა კლასების გაჩენამდე მოხდა“.[2] ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი, რომ იგივე მასალები, რომლებითაც ოპერირებდნენ ეს ისტორიკოსები, სწორედაც რომ იმაზე მეტყველებენ, რომ საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, სახელმწიფო წარმოიშვა კლასების გაჩენის შემდეგ, კლასობრივი ბრძოლის შეურიგებლობის შედეგად“.[3]

ლოგიის უპირობო მხარდაჭერისა და დაცვისა, მასაც შეეხო სტალინური რეპრესიები – იგი გადაასახლეს. გადასახლებიდან 1945 წლის ბოლოს დაბრუნდა და ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, საქმიანობდა გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. გიორგი სოსელიას შესახებ დაწვრილებით იხ. ***მიქავა ა***., გიორგი სოსელია – ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1985.

[1] იხ. ***სოსელია გ***., კაუტსკი სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორიის შესახებ, ჟურნალი „მნათობი“, №1, 1930, 205-215. განმეორებით გამოქვეყნდა წიგნში: ***სოსელია გ***., სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ტფილისი, 1934 [თ.ნ.].

[2] იხ. ***სოსელია გ***., ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ჟურნალი „მნათობი“, №5-6, 1930, 172-211. რუსულად გამოქვეყნდა: ***Соселия Г***., К вопросу о происхождении государства у картвельских племен, Научные записки Закавказского коммунистического университета им. 26-ти, Вып. 5, т. 1, Под ред. ***А.А. Болотникова*** и ***И.М. Степаньяна***, ЗКУ, Тифлис, 1931, 181-220. განმეორებით ქართულად გამოქვეყნდა წიგნში: ***სოსელია გ***., სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ტფილისი, 1934 [თ.ნ.].

[3] Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, 26.

1930 წელს გამართული დისკუსიის სტენოგრამის გაცნობის შემდეგ დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ სხვა დისკუსიებზე (მაგალითად, პედაგოგიურ ინსტიტუტში და ა.შ.) გამომსვლელებისაგან განსხვავებით, არცერთ გაკრიტიკებულ იურისტ ავტორს (პროფ. ირ. სურგულაძეს, პროფ. გ. ნანეიშვილს, პროფ. ალ. ვაჩეიშვილს, დოც. ს. ჯაფარიძეს) სხვა გაკრიტიკებული ავტორის პუბლიკაცია თავად არ გაუკრიტიკებია[1] და ისინი შემოიფარგლნენ მეცნიერებაში პარტიულობისა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპის მხარდამჭერი ანგაჟირებული ელიტისაგან საკუთარი სამეცნიერო ნაშრომის დაცვის ინსტინქტის გამოვლინებით, რაც გამკრიტიკებლების არგუმენტების უსაფუძვლობის მტკიცებაში გამომჟღავნდა. ამ ფაქტის აღნიშვნა არც დისკუსიაზე გამომსვლელ მარქსისტ-ლენინელებს გამორჩენიათ.

1930-1936 წლებში საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ უნივერსიტეტის „წითელმა პროფესურამ“ დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა სამარცხვინო დისკუსიების სახით[2]. ამ ამბების თვითმხილველი, ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მოგვიანებით იტყვის: „ვის დაავიწყდება მისი [იგულისხმება აკადემიკოსი აკაკი შანიძე – თ.ნ.] გამოსვლა ტფილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა ჩვენს ძვირფას ივანე ჯავახიშვილს თავს დაესხნენ უგუნური ფილისტერები“.[3] ასეთი ფილისტერები და ობივატელი სუბიექტები არც იურისტების წინააღმდეგ გამართულ დისკუსიას დაჰკლებია, პირიქით, სწორედ ისინი იყვნენ მთავარი დირიჟორები ამ შტურმისა, რომელმაც ქართული იურიდიული აზროვნების განვითარება შეაფერხა. მკითხველისათვის მნიშვნელოვანი იქნება დისკუსიაში მონაწილე „წითელი პერსონალიების“ შესახებ

---

1 ეს მიანიშნებს ამ პროფესორების მაღალ ადამიანურ, მოქალაქეობრივ და კოლეგიალურ დამოკიდებულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს შორის იქამდე დიდი სამეცნიერო დისკუსიებიც გამართულა. მაგალითად, იხ.: ***ნანეიშვილი გ.***, ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის, ჟურნალი „მნათობი“, №3, 1928; ***სურგულაძე ირ.***, იურიდიული მეთოდოლოგიისათვის, პასუხი გ. ნანეიშვილს, ჟურნალი „მნათობი“, №10, 1928; ***სურგულაძე ირ.***, დასკვნა გ. ნანეიშვილის სადისერტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომზედ – „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, კრებულში: ქართული სამართლის კლასიკა, წიგნი II, ეძღვნება პროფესორ გიორგი ნანეიშვილის 125 წლის იუბილეს, ***ზ. კორძაძისა*** და ***თ. ნემსწვერიძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2019, 450-504.

2 როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან, საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები, წიგნში: ივანე ჯავახიშვილი, კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა, პუბლიცისტური ნარკვევები 1, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2015, 46.

3 ***გურული ვ.***, როგორ დაიცვა ტირანიის სამსჯავროზე აკაკი შანიძემ ივანე ჯავახიშვილი, წიგნში: აკაკი შანიძე 130 – ქართული საქმის კაცი, პუბლიცისტური ნარკვევები 4, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2017, 96.

ინფორმაცია, რომელიც შემოთავაზებულია წინამდებარე კრებულში, დანართის სახით.

* * *

სამწუხაროა, მაგრამ დისკუსიაზე გაკრიტიკებული წიგნები აკრძალული იურიდიული ლიტერატურის ნუსხაში მოხვდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, დღეს შედეგად მივიღეთ მოცემულობა, როდესაც ამ პროფესორების იურიდიული მემკვიდრეობა დავიწყებულია, თითქოს და საბჭოური აკრძალვა ინერციული ფუნქციით აღიჭურვა და სტიგმად აქცია მათი იურიდიული კლაუზულების სამეცნიერო საქმიანობაში გამოყენება. მართალია პროფესორი ოთარ გამყრელიძე, როდესაც წერს, რომ 1930 წელს გამართულმა დისკუსიამ „თითქმის მთლიანად ჩაკლა ქართული იურიდიული აზროვნება და ოციანი წლებიდან კარგად დაწყებული საქმე დიდი ხნით შეაფერხა“.[1]

1930 წლის ოქტომბერში გამართული დისკუსია – ეს იყო მთელი სიმძაფრით გამოცხადებული სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, „ავანგარდული ბრძოლა“, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარულმა სახელმწიფო მანქანამ, საბჭოური საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული „ელიტის“ სახელით, გამოუცხადა არამარქსისტ მეცნიერებს: იროდიონ სურგულაძეს, გიორგი ნანეიშვილს, ალექსანდრე ვაჩეიშვილს, სერგი ჯაფარიძესა და, ასევე, მათ მომხრეებს. საბჭოური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი იყო „ბურჟუაზიულის“ მტრულად მონათვლა და მისი კრიტიკა, მიუხედავად იმისა, საკრიტიკო იყო თუ არა; აქ მთავარი ის გახლდათ, რომ ესა თუ ის დებულება „ბურჟუაზიული“ იყო, შესაბამისად, „რეაქციული“, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საბჭოური მეცნიერების ფეტიშად ქცეულ საფუძველთან – ისტორიულ მატერიალიზმთან, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიასთან, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტი მეთოდიკა იყო.[2]

როგორც მკვლევრები მიუთითებენ, იმ პერიოდის საქართველოში სამართლის მეცნიერების სფეროში ნეოკანტიანობასაც ჰყავდა თავისი მიმდევრები და ფენომენოლოგიურ სკოლასაც, მაგრამ განსაკუთრებულ გავლენას სამართლებრივ აზროვნებაზე საქართველოში ჰუსერლის ფილოსოფია ახდენ-

---

[1] ***გამყრელიძე ო.***, იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, წიგნში: სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, ***ო. გამყრელიძის*** თარგმანი, თბილისი, 2002, 8.

[2] ***ნემსწვერიძე თ.***, ***კორძაძე ზ.***, პროფესორ გიორგი ნანეიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა საქართველოში, წიგნში: ***ნანეიშვილი გ.***, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, აკრძალული იურიდიული ლიტერატურის სერია, წიგნი III, ***ზ. კორძაძისა*** და ***თ. ნემსწვერიძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2019, 36-37.

და[1]. „საბჭოთა ტიპის ტოტალიტარიზმი, აგებული პრინციპზე: „ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია“, აუცილებლობით გულისხმობდა ნებისმიერი ორიგინალური სააზროვნო აქტის უკუგდებას. აზროვნება ანტისაბჭოთა ხდებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აზრი უპირისპირდებოდა სისტემას, არამედ იმიტომაც, რომ სისტემა უპირისპირდებოდა აზრს.“[2] მოცემულ შემთხვევაში კი წარმოუდგენელია, პარტიული ვერტიკალი შეგუებოდა იმ ორიგინალური სამართლებრივი იდეების გავრცელებას, რომლებიც არ ემსახურებოდა მარქსიზმის პროპაგანდას. პირიქით, როგორც პროფ. გამყრელიძე აღნიშნავს: „პროფ. იროდიონ სურგულაძის გერმანულენოვანი მონოგრაფია სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის პრინციპების საუკეთესო გამოხატულებაა. ამავე სკოლის, მეორე ავტორიტეტული წარმომადგენელი გახლდათ პროფ. გიორგი ნანეიშვილი“.[3] დისკუსიაზე გაკრიტიკებული პროფესორების პუბლიკაციებში, როგორც წესი, საბჭოთა ფილოსოფიისათვის წმინდა წერილად ქცეული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებისათვის[4] ადგილი არ დარჩა, რადგან მათი მიზანი არ ყოფილა სამართალში მარქსისტული კვლევის განხორციელება და, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, არც ანტიმარქსისტული კვლევისა.

კითხვაზე – მიაღწიეს თუ არა მარქსისტებმა მიზანს? – პასუხად თავიდანვე შეიძლება ვთქვათ, რომ მოკლევადიანი პერსპექტივით მარქსისტებმა მიზანს მიაღწიეს, რადგან ამის შემდეგ ისეთი წინააღმდეგობა, როგორიც მათ 1930 წლის დისკუსიაზე შეხვდათ იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლებისაგან, ასე ცხადად აღარ მიუღიათ. ამასთანავე, თუ დოცენკოს მიერ 1931 წელს გამოქვეყნებული რეცენზიით ვიმსჯელებთ, თბილისში გამართულ დისკუსიაზე მარქსისტებმა საწადელს მიაღწიეს და გაიმარჯვეს „ბურჟუაზიულ პროფესურაზე“;[5] მართალია, საწადელს მიაღწიეს, მაგრამ მეცნიე-

---

1 ***გამყრელიძე ო***., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ***გ. ფერაძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2015, 202.

2 ***ზედანია გ***., რეპრესირებული აზრი, კონსტანტინე მეგრელიძის სოციალური თეორია, თბილისი, 2017, 2.

3 ***გამყრელიძე ო***., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები პოლიტიკური სისტემების ცვალებადობის მიხედვით საქართველოში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, ***გ. ფერაძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2015, 202.

4 ***ზედანია გ***., რეპრესირებული აზრი, კონსტანტინე მეგრელიძის სოციალური თეორია, თბილისი, 2017, 4.

5 ***Доценко М***., Рецензия на книгу: «Против идеализма в правовой мысли Советской Грузии». Стенограмма дискуссии по докладу А.И. Гегенава «Правовая мысль Советской Грузии». Под ред. А.А. Болотникова. ЗКУ. Тифлис, 1930,

რულ დისპუტში გამარჯვებით რომ ვერ გაიმარჯვეს, ამას დისკუსიის ტექსტის გაცნობაც ადასტურებს, თუმცა აქ ძალა განაპირობებდა „მოგების“ შანსს და არა მეცნიერული კამათი. პროფ. ოთარ გამყრელიძე მართებულად მიუთითებს, რომ: „...პაექრობა წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო და მხოლოდ გარეგნულად ატარებდა მეცნიერულ საფუძველს. ეს მოხდა იმ ისტორიულ დისკუსიაზე, რომელიც თბილისში გაიმართა 1930 წ. ეს დისკუსია იდეოლოგიური ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა მარქსიზმის მომხრე იურისტების მეოხებით ევროპულად განსწავლული იმ ქართული პროფესურის განადგურებას, რომელიც მარქსიზმს არ იზიარებდა. ასეთი იყო მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური ნება“.[1] პროფესორი ვახტანგ გურული 1930 წელს პედაგოგიურ ინსტიტუტში ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენელთა წინააღმდეგ გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ამ „შტურმის“ მიუხედავად უნდა ითქვას, რომ 1930 წლის დეკემბრის დისკუსია ხელისუფლებამ მაინც წააგო“.[2] შესაბამისად, „პარტიულმა დისკუსიებმა“ რეალურად ყველა ფრონტზე წააგო, მაგრამ ბოლშევიკებმა ეს მაინც გამარჯვებად მიიჩნიეს.

მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიაზე გაკრიტიკებულ იურისტებს მოუხდათ „გაავებულ“ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში დათმობაზე წასვლა, მათი პოზიციის დასტურად დარჩა დისკუსიის ჩანაწერი, რომლითაც შემდგომი თაობის იურისტებმა შეგვიძლია ვიამაყოთ, რადგან იმ დროს მხოლოდ მათ გაბედეს ეთქვათ და მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ „წითელი ტერორისათვის“, რომელიც მეცნიერებასა და აკადემიურ თავისუფლებას ნაძალადევი ერთფეროვნებით ემუქრებოდა. მაგალითად, პროფ. ნანეიშვილმა ღიად დააფიქსირა პოზიცია, რომ ის არ არის მარქსისტი, ხოლო შემდეგ მკაცრად გააკრიტიკა ტალახაძე: „თქვენ [პროფ. ნანეიშვილი მიმართავს ტალახაძეს – თ.ნ.] მუდმივად საუბრობდით კელზენის შესახებ, თუმცა თქვენ არ იცნობთ კელზენს... თქვენ ისეთ რამეში დამადანაშაულეთ, რომ პირდაპირ, არც კი ვიცი, რის თაობაზე გესაუბროთ, ვინაიდან ყველაფერი ის, რაც თქვენ წაიკითხეთ ჩემი წიგნიდან, იქ არ წერია. ...წიგნი უნდა გაიგოთ, ხოლო თქვენ ჩემი წიგნი ვერ გაიგეთ. ...მე თქვენთვის მხოლოდ ერთი რამის

[Критика и библиография], „Советское государство и революция права“, №4, 1931, 167.

1 ***გამყრელიძე ო.***, იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, წიგნში: ***სურგულაძე ირ.***, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა ***ო. გამყრელიძემ***, ***გ. ხუბუას*** რედაქტორობით, თბილისი, 2002, 14.

2 როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან, საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები, წიგნში: ივანე ჯავახიშვილი, კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა, პუბლიცისტური ნარკვევები 1, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2015, 52.

თქმა მსურს: გსურთ ჩვენი ინსტიტუტიდან გაძევება, ნება თქვენია, რა გაეწყობა – წავალთ.“[1] პარადოქსია, მაგრამ ბოლშევიკებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ დისკუსიის სტენოგრამა არსებობს და დაინტერესებულ პირებს მარტივად შეუძლიათ დისკუსიის მონაწილეთა მეცნიერულ-იდეოლოგიურ-მორალური ანატომიის შესწავლა.

საბოლოო ჯამში, მარქსისტებმა საწადელს მიაღწიეს – ავტორების ძირითადი ნაწილი აიძულეს, უარეყოთ თავიანთი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგი, შემდგომ ესეც არ იკმარეს და ზოგიერთი მათგანი სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლა, მათი სახელების ხსენება საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში, როგორც წესი, არ იყო მიღებული და შემდგომ ამ აკრძალვების შედეგებმა ჩვენს რეალობაშიც შემოაღწია და იროდიონ სურგულაძის, გიორგი ნანეიშვილის, ალექსანდრე ვაჩეიშვილის, სერგი ჯაფარიძის სახელებს დავიწყების სტიგმად დაეფუძნა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა საქართველოს სამეცნიერო სფეროში „კონდრატიევშჩინის“ ფენომენის პრაქტიკული გამოვლინება თუ გვექნება მხედველობაში, ვნახავთ, რომ სწორედ იურისტთა კლასტერმა მკაცრი, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „წითელ ტერორს“, მაგრამ ეს საკმარისი ვერ იქნებოდა ტოტალიტარული სახელმწიფო პოლიტიკის შესაცვლელად და ამ პოლიტიკის შეცვლაც წარმოუდგენელი გახლდათ.

შეტევის მეორე ტალღა – ანდრო გელოვანის მიერ 1932 წელს წაკითხული მოხსენება და პროფ. სურგულაძისა და პროფ. ნანეიშვილის „იძულებითი“ გამიჯვნა საკუთარი ნაშრომებისგან

პერსონალია – ვინ იყო ანდრო გელოვანი?

უპირველესად, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ინფორმაცია თავად მომხსენებელ ანდრო გელოვანის პერსონალიის შესახებ:

ანდრია (იგივე ანდრო) ანდრიას ძე გელოვანი დაიბადა 1904 წლის 2 აგვისტოს ლეჩხუმის მაზრის ორბელის თემში; მამა ანდრია გელოვანი იყო საბჭოთა მოსამსახურე, ხოლო დედა – დიასახლისი[2]. მან საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო, დაამთავრა ქუთაისის სოციალურ-ჰუმანური პირველი ტექ-

[1] Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу ***А. И. Гегенава***: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией ***А. А. Болотникова***, ЗКУ, Тифлис, 1931, 68.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 3, საქმე 296, ფურცელი 11.

ნიკუმი 1923 წელს.[1] 1918 წლიდან იყო მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი. 1923 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, სადაც მიავლინეს ლეჩხუმის მაზრის პროფ. ბიუროდან.[2] უნივერსიტეტში საკმაოდ წარმატებული სტუდენტი იყო[3], სრულყოფილად ფლობდა რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს[4]. ანდრო გელოვანის განათლებაზე დიდი გავლენა მოახდინა მამიდამ, დესპინე გელოვანმა, რომელიც ცნობილი ქალი მწერალი გახლდათ და „ბანოვანის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს.[5] როგორც მიუთითებენ, „ანდრო გელოვანს, ფართო განათლებისა და დახვეწილი კულტურის იურისტს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობაში თავისი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობით“[6]. გასული საუკუნის 30-იან წლებში ანდრო გელოვანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის შრომა-გასწორების განყოფილებაზე კითხულობდა სალექციო კურსს – „შრომა-გასწორების პოლიტიკა“[7], შემდგომ პერიოდში იგი პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობას ეწეოდა და იყო ადვოკატი[8], ამასთან, ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ ცალკეული ბროშურების სახით აქვეყნებდა პუბლიკაციებს აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე. იმის გათვალისწინებით, რომ ანდრო გელოვანის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული „ბოლშევიკური“ აქტივობები არ შეინიშნება, გასაკვირია 1932 წლის იანვარში მომზადებულ მოხსენებაში ასე რატომ „გაირჯა“ ავტორი.

კვლავაც პერვერსიული კრიტიკის წინაშე

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებობდა დანაშაულის შემსწავლელი კაბინეტი, სადაც 1932 წლის 22 იანვარს გაი-

---

1 იქვე, ფურცელი 1, 11.

იქვე, ფურცელი 11.

3 იქვე, ფურცელი 16.

4 იქვე, ფურცელი 1.

5 სწორედ ანდრო გელოვანმა უზრუნველყო დესპინე გელოვანის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემა სოლომონ ცაიშვილთან ერთად. ანდრო გელოვანი ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მამიდას პირობა შეუსრულა – შენს ნაწერებს მე ვუპატრონებო, – და მართლაც, დესპინე გელოვანი სიცოცხლეშივე მოესწრო, ენახა თავისი რომანი „შორეული ლანდები“, სოლომონ ცაიშვილის წინასიტყვაობით. იხ. ***ჩიხლაძე ნ***., ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები, თბილისი, 1990.

6 ***ჩიხლაძე ნ***., ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები, თბილისი, 1990.

7 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 26, საქმე 32, ფურცელი 6.

8 მაგალითად, იხილეთ ანდრო გელოვანის დაცვის სიტყვა კალაძის საქმეზე: ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები, თბილისი, 1963, 71-95.

მართა კაბინეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: იონა ბოჭორიშვილი, ალექსანდრე გეგენავა, ანდრო გელოვანი და სხვები.[1] სხდომაზე ანდრო გელოვანი გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „Влияние идеалистической правовой мысли на изучение преступности и преступника в советской Грузии“.[2] მიუხედავად იმისა, რომ მოხსენების თემა სულ სხვა გახლდათ, გელოვანმა საჭიროდ ჩათვალა, მისეული რევერანსით პატივი მიეგო ორი წლით ადრე ალექსანდრე გეგენავას მიერ 1930 წლის დისკუსიაზე წაკითხული „ძირითადი“ მოხსენებისთვის, სადაც გეგენავამ საბჭოთა საქართველოში „ამხილა“ იდეალისტური შეხედულებები სამართლის თეორიის მიმართულებით; გელოვანმა დადებითად შეაფასა გეგენავას ეს გამოსვლა და მოხსენებაში მიუთითებს: „სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში ჩვენთან თითქმის შეუზღუდავად ბატონობდნენ ბურჟუაზიულ-იურიდიული მსოფლმხედველობის წარმომადგენლები. მიუხედავად აღნიშნულ სფეროში მარქსისტულ-ლენინური ძალების მცირერიცხოვნობისა, ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებულმა [საბჭოთა] აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტმა შეძლო საფუძვლიანად შეერყია ჩვენთვის ამ მტრული თეორიული აზრის ბატონობა“[3]. როგორც ჩანს, ანდრო გელოვანი საკუთარ გამოსვლას გეგენავას მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებად, ტენდენციის გამოხატულებად მიიჩნევდა. გელოვანმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა პროფ. სურგულაძისა და პროფ. ნანეიშვილის ნაშრომები, მათი ანტიმარქსისტული შინაარსის გამო. როდესაც ანდრო გელოვანმა სურგულაძე-ნანეიშვილის პუბლიკაციების მარქსისტული „კრიტიკით“ გული იჯერა, შემდეგ პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომზეც გადავიდა, მაგრამ მასზე მცირე ხნით შეჩერდა. მეცნიერული პლატფორმის მომზადების შემდეგ გელოვანი გადადის მოხსენების ძირითად თემაზე.

ანდრო გელოვანის მოხსენებით მარტივად აღსაქმელია, რომ მისი მხრიდან პროფესორების კრიტიკის მცდელობაც ვერ მივიღეთ, რადგან მან შინაარსობრივად და მყარი მეცნიერული არგუმენტებით ვერ გააკრიტიკა პროფესორების ნაშრომები, რაც გასაკვირი არ არის, რადგან მან აპრიორულ მოცემულობად მიიღო მარქსიზმ-ლენინიზმის ჭეშმარიტება, რამაც მაშინვე ჩამოაშორა ეს ახალგაზრდა იურისტი მეცნიერებას, რადგან მეცნიერება სხვადასხვა მეთოდოლოგიისა და თეორიის ჭიდილია და არაერთი მეთოდოლოგიის აპრიორული ჭეშმარიტების პლატფორმა.

---

[1] სხდომას ესწრებოდნენ: მ. ფირცხალავა, გ. შენგელაია, შ. ზედგინიძე, იმერლიშვილი, ი. იაშვილი.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 336, ანაწერი 1, საქმე 130, ფურცელი 64. აღნიშნული მოხსენება პირველად ქვეყნდება წინამდებარე კრებულში.

[3] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 336, ანაწერი 1, საქმე 130, ფურცელი 27.

ანდრო გელოვანის მოხსენებით, ფაქტობრივად, თავიდან გაიხსნა ის ჭრილობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1930 წელს მიაყენა იურიდიულ მეცნიერებას საქართველოში. ამ დროიდან თითქოს დოგმად იქცა „ახალგაზრდა მარქსისტ-ლენინელების“ მხრიდან სამართლის მეცნიერებაში კლასიკური განათლების მქონე პროფესორების განქიქება და მათი ნაშრომებისათვის მარქსისტულ-ლენინურად „კბილის გაკვრა“. საკავშირო მასშტაბით, დაძაბული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, პროფ. ირ. სურგულაძემ და პროფ. გ. ნანეიშვილმა გადაწყვიტეს, ეპასუხათ გელოვანის ამ გამოხტომისთვის, ოღონდ არა მომხსენებლის გაკრიტიკებით, არამედ საკუთარი მოღვაწეობის შედეგის „ანტიმარქსისტულობაზე“ ხაზგასმითა და დაგმობით.

ანდრო გელოვანის მოხსენებიდან დაახლოებით ხუთ თვეში, 1932 წლის 6 ივნისს, საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში გაიმართა სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრისა[1] და სამეურნეო სამართლის კათედრის[2] გაერთიანებული სხდომა, სტუდენტთა ორგანიზაციებთან ერთად. სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ცინცაძე, ხოლო მდივანი იყო – მ. ბიწაძე, დღის წესრიგი გახლდათ: პროფ. ირ. სურგულაძისა და პროფ. გ. ნანეიშვილის შრომების კრიტიკული ანალიზი.[3]

პროფესორებმა წერილობით მომზადებული მოხსენებები წაიკითხეს, სადაც კრიტიკულად იყო განხილული 1930 წლამდე მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს იონა ბოჭორიშვილმა და ვინმე ალავიძემ. ეს უკანასკნელი მიუთითებდა: „ჩვენ მოვისმინეთ იმ ორი პროფესორის მოხსენებები, რომლებიც მიმართული იყო მათი შრომების მავნებლობის და მათი შრომების ანტიმარქსისტული აზრების წინააღმდეგ“. რის შემდეგ ალავიძე გადავიდა პროფ. ნანეიშვილის შრომების კრიტიკაზე. სხდომაზე საბოლოო სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. სურგულაძე და პროფ. ნანეიშვილი.[4]

მაშინ, როდესაც ეს საარქივო დოკუმენტები აღმოვაჩინეთ საქართველოს ეროვნულ არქივში, წერილობითი სახით ვერ მივაკვლიეთ თავად პროფ. სურგულაძისა და პროფ. ნანეიშვილის თვითკრიტიკულ მოხსენებებს. შემდეგ კი მოულოდნელად ჯერ პროფ. სურგულაძის საოჯახო არქივში აღმოვაჩინეთ მისივე ხელით დაწერილი მოხსენება, ხოლო შემდეგ პროფ. ნანეიშვი-

---

1 კათედრას ხელმძღვანელობდა პროფ. იროდიონ სურგულაძე.

2 კათედრას ხელმძღვანელობდა პროფ. გიორგი ნანეიშვილი.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 336, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 10.

4 *იქვე.*

ლის საოჯახო არქივში მოხსენების ნაბეჭდი ვარიანტი. ჩვენ ამ ეტაპზე, წერილის მიზნიდან გამომდინარე, დეტალურად ვერ შევჩერდებით ამ ტექსტებზე, რადგან ცალკე კვლევის საგანი შეიძლება გახდეს, ამიტომაც ისინი წინამდებარე კრებულში შეტანით ხელმისაწვდომი გახდება დაინტერესებული საზოგადოებისათვის, მაგრამ ერთი შეიძლება ითქვას – როდესაც ეცნობი ამ მოხსენებებს, ხვდები, თუ რაოდენ დიდი და მძიმე იყო იმ პერიოდში არათუ სამეცნიერო მოღვაწეობა, არამედ, უბრალოდ, არსებობაც კი. ტოტალური კონტროლისა და ზეწოლის პირობებში, რომელსაც შედეგად მოჰყვა ერთმეთოდოლოგიური ვერტიკალის ბატონობა მეცნიერებაში, ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ იროდიონ სურგულაძე და გიორგი ნანეიშვილი, იძულებული გახდნენ, „მარქსისტულ-ლენინური“ ლექსიკით გაეკრიტიკებინათ საკუთარი მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგი.[1] წარმოუდგენელი, არაბუნებრივი, ანომალიურია, მეცნიერება იყოს პარტიული, არათუ არ შეიძლება, პირიქით, არარეალურია, ერთი მეთოდოლოგია იყოს მხოლოდ ჭეშმარიტი და დანარჩენი ყველა „ცრუ“ და „ანტიმეცნიერული“. იმ ფონზე, როდესაც მეცნიერული გამოკვლევის შეფასება ეპითეტით – „ანტიმარქსისტული“ აპრიორულად გულისხმობდა მის „ანტიმეცნიერულ“ ბუნებას, საუბარიც ზედმეტია ჯანსაღ გარემოზე, რომელიც მეცნიერს სჭირდება კვლევის განსახორციელებლად. იმ დროს ბატონობდა აქსიომა – „ის, რაც არ არის მარქსიზმი, არ არის მეცნიერება“[2]. რეტროსპექტიული გადასახედიდან ცხადია, რომ კომუნისტები ამ ილუზიურობის შექმნას შეეცადნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის ფანტომი აღმოჩნდა, რომელიც არც არსებულა, მაგრამ ყოველივე ამან სამართლის მეცნიერებას საქართველოში დიდი ზიანი მიაყენა, რომელიც ინერციული სტიგმით თან სდევს ევოლუციას.

კრიტიკის მცდელობები

საბჭოთა საქართველოში არამარქსისტ მეცნიერ-იურისტებს კრიტიკის მცდელობები აკადემიურ სივრცეში არც შემდგომში მოკლებიათ. დოცენტმა იონა ბოჭორიშვილმა, რომელიც გარკვეული პერიოდი იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობასაც ასრულებდა, მოამზადა მოხსენება – „მდგო-

---

1 ხაზგასასმელია, რომ ორივე მეცნიერი საზღვარგარეთ სწავლობდა და ამის გამო საკმაოდ რთულ პირობებშიც უწევდათ ცხოვრებაც კი, სამეცნიერო საქმიანობაზე რომ არ ვისაუბროთ.

2 ***კაკულია ნ.***, უნივერსიტეტის გაზეთის ისტორია – უნივერსიტეტის მემატიანე, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, №5, 25 აპრილი, 2013.

მარეობა სისხლის სამართლის ფრონტზე საქართველოში“[1], რომელიც 1932 წელს გამოაქვეყნა, სადაც მკაცრად არის გაკრიტიკებული სისხლის სამართლის მიმართულებით საქართველოში განხორციელებული კვლევები, მათ შორის, ბოჭორიშვილის კრიტიკის ობიექტში მოხვდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები, რომლებიც ცნობილმა მეცნიერმა გამოთქვა ფუნდამენტურ ნაშრომში – „ქართული სამართლის ისტორია“. ამავე მოხსენებაში, რომელიც შესულია წინამდებარე კრებულში, გაკრიტიკებულია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის საინტერესო სტატია, რომელიც 1928 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ გამოქვეყნდა.

1938 წლის 25 მარტს გაიმართა საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კათედრის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: „წითელი“ პროფესორი ილარიონ ტალახაძე, პროფესორი იროდიონ სურგულაძე, დოცენტი[2] ივანე ძაძამიძე, დოცენტი იოსებ მრევლიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოცენტი დავით მირიანაშვილი, ასპირანტი ნიკო ლომსაძე და ასპირანტი გრიგოლ ერემოვი.[3] კათედრის ამ სხდომაზე სამართლის ფრონტზე მდგომარეობის შესახებ საჯარო მოხსენების გაკეთებისათვის მიმდინარე სამზადისზე ისაუბრა „წითელმა“ პროფესორმა ილარიონ ტალახაძემ. მან მიუთითა, რომ ეს საკითხი აწ უკვე გამოვლენილი ხალხის მტრის, იონა ბოჭორიშვილის[4] მიერ ყოველთვის მიტოვებული იყო. „საჭიროა, რომ უეჭველად დაჩქარებულად მოვაწყოთ ასეთი მოხსენება. უნივერსიტეტის ყოფილმა „ხელმძღვანელობამ“ ეს საკითხი ჩაშალა. მე მოხსენება ამ საკითხზე დაწერილი მაქვს 1935 წელს, მომიხდება მისი ცოტა გადამუშავება“. კათედრის სხდომაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა დოცენტმა ივანე ძაძამიძემ: „საჭიროა აღნიშნულ საკითხებზედ გაკეთებული იქნეს მოხსენება ამხ. ი. ტალახაძის მიერ. მოხსენება უნდა გაკეთდეს ჩვენი კათედრის საჯარო სხდომაზე. აუცილებელია, რომ ამ სხდომაზე ყველა საგნის ხელმძღვანელები გამოვიდნენ თავიანთ საგნებში მდგომარეობის შესახებ. შეიძლება გამოსვლა აქ ფრიადოსან[ი] სტუდენტებისაც. საჭიროა მოხსენებაზე დაუსწრებელ[ი] [იურიდიული] ინსტიტუტის მსმენელთა დასწრება“.[5] კათედრამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „ეთხოვოს ფაკულ-

---

[1] პირველად გამოქვეყნდა წიგნში: ***ბოჭორიშვილი ი.***, მარქსიზმი და სისხლის სამართალი („დანაშაული“ და „სასჯელი“), ტფილისი, 1932, 104-141 [თ.ნ.].

[2] საარქივო დოკუმენტში ივანე ძაძამიძე მოხსენიებულია როგორც პროფესორი, მაგრამ მას მინიჭებული ჰქონდა დოცენტის სამეცნიერო წოდება და არა პროფესორისა [თ.ნ.].

[3] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 26, საქმე 56, ფურცელი 11.

[4] ამ დროს დოცენტი იონა ბოჭორიშვილი უკვე რეპრესირებული იყო [თ.ნ.].

[5] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 26, საქმე 56, ფურცელი 14-15.

ტეტს, რომ ჩვენი კათედრის ინიციატივით მოწყობილ იქნეს სახელმწიფოს და სამართლის თეორიის ფრონტზე მდგომარეობისა და ამ ფრონტზე მავნებლობათა და დამახინჯებათა შესახებ მოხსენების საჯაროდ წაკითხვა ა/წ მაისის თვეში. ვშუამდგომლობთ ფაკულტეტის წინაშე, რათა ყველა კათედრებს და საგნის ხელმძღვანელებს ამ მოხსენების დროს მიაღებინოს მონაწილეობა თავიანთ საგნებში მდგომარეობის შესახებ. საჭიროა წინასწარ იყვნენ განსაზღვრული ამხანაგები, რომლებიც იქნებიან გამოსულნი ამ საჯარო სხდომაზე. აღნიშნულ[ი] საკითხის სამზადისისათვის კათედრამ ერთხელ სპეციალურად კიდევ მოიწვიოს სხდომა".[1] აღნიშნულის შესახებ, ასევე, მიეთითა საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კათედრის 1937/38 სასწავლო წლის სამუშაო გეგმაში, კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგში უნდა განხორციელებულიყო „წითელი" პროფესორ ილარიონ ტალახაძის მოხსენების – „სახელმწიფოს და სამართლის თეორეტიულ ფრონტზე მდგომარეობის შესახებ" – მოსმენა.[2] ნიშანდობლივია, რომ მსგავსი იდეოლოგიური ნიშნით წარმოებული დისკუსიების მოწყობაში ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული „წითელი" პროფესორი ტალახაძე და სხვა მარქსისტი იურისტები.

სახელმწიფო სამართლის კათედრის მიბაძვით, სამოქალაქო სამართლის კათედრის გადაწყვეტილებით, 1938 წლის 23 აპრილს კათედრის სხდომაზე დოცენტი იოსებ მრევლიშვილი უნდა გამოსულიყო მოხსენებით – „მდგომარეობა სამოქალაქო-უფლებრივ თეორიულ ფრონტზე"[3]. დიდი ალბათობით დოცენტ მრევლიშვილსაც ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში სამოქალაქო სამართლის მიმართულებით არამარქსისტების ძიებისათვის უნდა მიეძღვნა ეს მოხსენება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოხსენებები შესაბამის პირებს არ წაუკითხავთ. ყოველ შემთხვევაში, ამ დაგეგმილი დიკუსიის ჩატარების დამადასტურებელ საარქივო დოკუმენტს ამ ეტაპისათვის ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ გავეცანით „წითელი" პროფესორ ი. ტალახაძის 1957 წლის 08 იანვრის ჩვენებას, სადაც საინტერესო პასაჟებზეა ხაზგასმა. კერძოდ, იგი წერს: „ბერია აშკარად მფარველობდა ქართველ ნაციონალისტებს და მის დროს უსაზღვროდ გაშალა ფრთები შოვინიზმმა, განსაკუთრებით მეცნიერებაში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ ერთ საინტერესო მაგალითს შეუძლია ბევრი რამ განმარტოს მათთვის, ვინც მას არ იცნობს. 1935 წელს ორაგველიძის (უნივერსიტეტის რექტორი იყო), ჩემი (იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ვიყავი) და პროფესორ გიორგი სოსელიას ინიციატივით

---

1 *იქვე*, ფურცელი 15.

2 *იქვე*, ფურცელი 24.

3 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 26, საქმე 60, ფურცელი 17.

თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო მამხილებელი დისკუსია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფრონტზე. ჩატარდა სამი სხდომა, რომლებზეც განიხილეს ისტორიკოსების: ი. ჯავახიშვილის, ჯანაშიას, ბერძენიშვილისა და სხვ. შრომები. გამოვლინდა საქართველოს ისტორიისა და იურისპრუდენციის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დამახინჯების შემაძრწუნებელი სურათი. დისკუსიის დროს ბერიამ გამოგვიძახა მე და ორაგველიძე, ტყავი გაგვაძრო იმის გამო, რომ ვამხილეთ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სიმახინჯე საქართველოს ისტორიაში. ორაგველიძის და ჩემი გამოლანძღვის შემდეგ ბერიამ გვიბრძანა, დაუყოვნებლივ შეგვეწყვიტა ჩვენი „წამოწყება“ და აღარ გაგვებედა ჯანაშიასა და სხვათა ხელის ხლება. ამის გამო მომხსნეს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობიდან და გადამიყვანეს საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის ფილიალში, ორაგველიძე კი დატოვეს იმ პირობით, რომ არავის არასოდეს აღარ მისცემდა მსგავსი დისკუსიის უფლებას. რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ „კომუნისტში“ გამოვიდა პროფ. სოსელია სტატიით[1] საქართველოს ისტორიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დამახინჯებების წინააღმდეგ. იგი დაუყოვნებლივ გამოიძახეს ბერიასთან და ამ სტატიის გამო კარგად შეჯორეს (გთხოვთ დაკითხოთ გ. სოსელია – სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი)“.[2]

1957 წლის 08 იანვრის ჩვენებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კათედრის 1938 წლის 25 მარტის სხდომის ოქმის გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ:

1. ტალახაძემ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას ჩვენების სახით, რადგან საბჭოთა ხელისუფლების მიერ ინსპირირებული დისკუსია ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ ისტორიულ ფრონტზე გაიმართა არა 1935 წელს, არამედ 1936 წლის მარტ-აპრილში[3] და ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა აქვს.

---

[1] იხ. ***სოსელია გ.ქ.***, უმეცრება თუ შეგნებული მავნებლობა?, გაზეთი „კომუნისტი“, 16 აპრილი, 1936 [თ.ნ.].

[2] 1957 წლის 08 იანვრით დათარიღებული საქართველოს სსრ ყოფილი პროკურორის, ი.ი. ტალახაძის ჩვენება 1937-1938 წლებში მისი პროკურატურასა და შინსახკომის სამეულში მუშაობის შესახებ: იხ. ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, ტომი II, შემდგენლები: ***მ. იუნგე***, ***ო. თუშურაშვილი*** და ***ბ. ბონვეჩი***, თბილისი, 2015, 320. ზოგადად, ტალახაძის 1957 წლის 08 იანვრის ჩვენებაში გატარებულია პოზიცია, რომ მას, როგორც ე.წ. „ტროიკის“ წევრსა და რესპუბლიკის პროკურორს, არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა რეპრესიებზე.

[3] იხ. დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471,

2. იგეგმებოდა ისტორიკოსების წინააღმდეგ გამართული დისკუსიის მსგავსი დისკუსიის გამართვა იურისტების წინააღმდეგ (ტალახაძე მიუთითებს, რომ მას მოხსენება ამ მიმართულებით 1935 წელს ჰქონდა მომზადებული), რომელიც არ განხორციელდა.
3. ტალახაძეს აუცილებლობად[1] მიაჩნდა იურიდიულ მეცნიერებაში ანტიმარქსისტების ან არამარქსისტების გამომვლენი დისკუსიის მოწყობა, რომლის ვერგანხორციელებაშიც 1938 წელს შედგენილი კათედრის ოქმის საფუძველზე, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის ყოფილი „ხელმძღვანელობის“[2] ბრალს ხედავს, ხოლო მეორე მხრივ, „აწ უკვე გამოვლენილი ხალხის მტრის იონა ბოჭორიშვილის“. ამ მსჯელობით ტალახაძე ცალსახად გამიჯნულია დასახელებული რეპრესირებული აქტორებისგან და ყოველგვარ უმოქმედობაში მათ სდებდა ბრალს.
4. 1957 წელს მიცემულ ჩვენებაში სხვაგვარ აქცენტებზე აქვს ხაზგასმა „წითელ“ პროფესორს. ამ დროს ტალახაძეს უნივერსიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის, „წითელი“ პროფესორის და „წითელი“ რექტორის, კარლო ორაგველიძის და რეპრესირებული მარქსისტი იურისტის გიორგი სოსელიას თანამოაზრედ გამოჰყავს თავი და, ფაქტობრივად, ზოგადად, მსგავსი დისკუსიებისა და, კონკრეტულად, იურისტების წინააღმდეგ დაგეგმილი დისკუსიის გამართვის ხელისშემშლელ პირად ლავრენტი ბერია ჰყავს გამოყვანილი. ამასთან, ტალახაძე მიუთითებს, რომ იგი 1936 წლის მარტი-აპრილის დისკუსიის შემდეგ გაათავისუფლეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობიდან, მაგრამ არ მიუთითებს, რომ დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში გადაყვანის შემდეგ ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის პროკურორად დანიშ-

---

ანაწერი 19, საქმე 4; *იქვე*, საქმე 5; აგრეთვე, იხ. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. ***მ. ვაჩნაძემ*** და პროფ. ***ვ. გურულმა***, თბილისი, 2004; ***გურული ვ***., უნივერსიტეტის წითელი პროფესურის ფიზიონომია (დრო, მოვლენა, ადამიანები), კრებულში: ივანე ჯავახიშვილი – კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა, პუბლიცისტური ნარკვევები 1, კრებულის შემდგენელი და რედაქტორი ***ნ. კაკულია***, თბილისი, 2015, 68.

[1] ეს აუცილებლობა განპირობებული იყო იმ პერიოდის პოლიტიკური საჭიროებით.

[2] კერძოდ, ტალახაძეს მხედველობაში ჰყავს „წითელი“ პროფესორი და „წითელი“ რექტორი კარლო ორაგველიძე.

ნეს, ანუ მისი აქტიურობით კმაყოფილმა პოლიტიკურმა ხელისუფლებამ უზრუნველყო მისი კარიერული წინსვლის ხელშეწყობა.

5. ნიშანდობლივია ერთი დეტალის ხაზგასმაც: 1957 წლის ჩვენებაში ტალახაძე მიუთითებს, რომ თითქოს ლავრენტი ბერიას ძალისხმევით სრულიად მოისპო დისკუსიების გამართვის შესაძლებლობა და ამაზე აღარ ყოფილა საუბარი 1936 წელს გამართული დისკუსიის შემდეგ, მაშინ, როდესაც 1938 წლის 25 მარტის კათედრის სხდომის ოქმში გვხვდება დისკუსიის სამზადისის დეტალების შესახებ ინფორმაცია, ეს ჯერ კიდევ ის პერიოდია, როდესაც ლავრენტი ბერია საქართველოს სსრ კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის პოზიციას იკავებდა (ის უფლებამოსილებას 1938 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით ასრულებდა), თავად ბერია კი აქტიურად იყო ჩართული, მაგალითად, მწერალთა კავშირში გამართული დისკუსიების ორგანიზებაში.[1]

გასული საუკუნის 30-იან წლებში არამარქსისტულად მოაზროვნე იურისტების და, ზოგადად, მეცნიერებისა და მწერლების წინააღმდეგ წარმოებული დისკუსიების პერმანენტული ტალღა, ისევე, როგორც რეპრესიების ტალღა, 1938 წლის პირველი ნახევრიდან შესუსტდა უფრო დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე, მაგალითად, ცნობილია, რომ 1938 წელს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილთან ერთად იგეგმებოდა პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დაპატიმრება და რეპრესირება, მაგრამ, ზოგიერთი ისტორიკოსის პოზიციით, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ დღის წესრიგში სხვა საჭიროება დააყენა[2]. ამასთან, მსგავსი საკითხების გადაწყვეტა ვერ იქნებოდა დამოკიდებული რომელიმე პარტიული ჩინოვნიკის, თუნდაც ტალახაძისა და მისი მსგავსი პაიკების, ნებაზე, რადგან სოსელიას, ტალახაძეს, ორაგველიძეს, გეგენავას მაშინდელი პოლიტიკური ხელისუფლება ყოველთვის საკუთარი გეგმების განმახორციელებელ რიგით ჯარისკაცებად თვლიდა. სცოდავს ტალახაძე, როდესაც მიუთითებს ჯერ ახუმიანის საკანდიდატო დისერტაციაზე 1945 წლის ნოემბერში მომზადებულ რეცენზიაში (აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ) და შემდეგ 1957 წელს მიცემულ ჩვენებაში, თითქოს ერთ-ერთი მთავარი თავადაც გახლდათ, რომელმაც საკუთარი სურვილითა და მეცნიერებაში მარქსიზმ-ლენინიზმის დაცვის მოტივით ჯერ

---

[1] მაგალითად, იხ. ***ჩარკვიანი კ***., სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები, ***გ. ჩარკვიანის*** რედაქციით, თბილისი, 2015, 12.

[2] ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ***ციციშვილი გ***., დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 2016.

1930 წელს, ხოლო შემდეგ 1936 წელს უზრუნველყო იდეოლოგიური დისკუსიების ორგანიზება. ამ მასშტაბის ფიგურას არც მეცნიერულ, არც პედაგოგიურ და არც საზოგადოების სფეროში არ წარმოადგენდა „წითელი“ პროფესორი ტალახაძე.

1946 წელს ერევნის უნივერსიტეტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად მოვლენილი იყო გიორგი ახუმიანი, რომელმაც იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოადგინა ნაშრომი თემაზე – „სამამულო ომის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთ-ერთ ოფიციალურ ოპონენტად დანიშნა „წითელი“ პროფესორი ილარიონ ტალახაძე. გარდა იმისა, რომ ტალახაძის შეფასება ტენდენციურია და სამართლებრივად სიღრმისეული მსჯელობით არ ხასიათდება, იგი მისთვის ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე აკეთებს აქცენტს, კერძოდ, იგი წერს: „შეუძლებელია არ აღინიშნოს საქართველოში სამართლებრივი აზრის განვითარების შესახებ სამწუხარო ფაქტი, კერძოდ, **პროფ. სურგულაძის ანტიმარქსისტული და, მაშასადამე, ანტიმეცნიერული ნაშრომი** – “Gewalt und Recht”, რომელშიც ავტორი, მარქსი-ლენინის აშკარა კრიტიკის მცდელობისას, წერს: „საკმაოდ გავრცელებული თეორია, რომელსაც სამართალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურიდან გამოჰყავს, აბსოლუტურად ცრუდ უნდა მივიჩნიოთ“. თავის მითითებულ ნაშრომში პროფ. სურგულაძე ღიად აკრიტიკებს მარქსის მოძღვრებას, თუმცაღა არ ასახელებს მის გვარს“[1]. ფაქტობრივად, ტალახაძემ რეცენზია, რომლითაც უნდა შეეფასებინა დისერტანტის ნაშრომი, გამოიყენა პროფ. სურგულაძეზე თავდასხმის პლატფორმად. იგი იხსენებს 1930 წელს გამართულ დისკუსიას და წერს: „თხუთმეტი წლის წინ, ამხანაგი სურგულაძის აღნიშნული ნაშრომის გაკრიტიკებისას, ჩვენ, ნათლად გამოვააშკარავეთ ამ ნაშრომის ანტიმარქსისტული, ანტიმეცნიერული არსი. შემდგომში ამხანაგი სურგულაძე იძულებული გახდა, ეღიარებინა ჩვენი კრიტიკის მართებულობა და დაგვპირდა, მოეცა ამ ნაშრომის საჯარო კრიტიკა; მაგრამ, აი, უკვე თხუთმეტი წელია, ჩვენ არც კი, გვინახავს ეს თვითკრიტიკა“.[2] საინტერესოა, რომ იძულების ფაქტზე თავად ტალახაძეც აკეთებს აქცენტს, რაც მართალია; სწორედ 1930 წლის ოქტომბერში განხორციელებული შტურმის შედეგად გახდა პროფ. სურგულაძე იძულებული, თავის წიგნს განდგომოდა. ტალახა-

[1] საქართველოს ეროვნულ არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 422, ფურცელი 52 [ხაზგასმა ჩემია – თ.ნ.].

[2] საქართველოს ეროვნულ არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 422, ფურცელი 52.

ძეს განსაკუთრებით აღიზიანებს პროფ. სურგულაძის დამოკიდებულება, რომ ის არ ერიდება იმის დაფიქსირებას, რომ მან დაწერა – "Gewalt und Recht" – ქართული იურიდიული მეცნიერებისათვის მეტად ღირებული წიგნი და თავისი ცხოვრების Opus magnum-ი. ტალახაძე წერს: „მის მიერ უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის შედგენილ **ბიბლიოგრაფიულ საძიებელში,** ის **მოიხსენიებს ამ ნაშრომს, როგორც თავის სამეცნიერო შრომას;** უფრო მეტიც, მან **ეს ნაშრომი წარუდგინა** საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, **ავტორისათვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების** მისანიჭებლად. ნება მიბოძეთ, ვიკითხო, ნუთუ პროფ. სურგულაძე აქამომდე თვლის **აღნიშნულ ნაშრომს მეცნიერულად და რეკომენდაციას უწევს მას** ჩვენი სტუდენტებისათვის? ყოველ შემთხვევაში, არ იქნებოდა ზედმეტი, რომ პროფ. სურგულაძეს **ამაზე გაეცა პასუხი, თუნდაც დღეს საჯაროდ"**[1]. ბოლოს, „წითელი" პროფესორი აფასებს ახუმიანის „სამეცნიერო" ნაშრომს და მიუთითებს: „ამხანაგი ახუმიანის ნაშრომი არის ყოველი მსგავსი **ანტიმეცნიერული მსჯელობისა** და ნაშრომის [იგულისხმება, მათ შორის, კონკრეტულად პროფ. სურგულაძის წიგნი – თ.ნ.] ბრწყინვალე კრიტიკა და **ის გამანადგურებელ დარტყმას აყენებს ჰუსერლიანური ცრუმეცნიერული** აბდა-უბდის გადმოტანის მცდელობას საბჭოთა ნიადაგზე"[2]. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მეცნიერული სიღრმით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს ვერც ახუამიანის ნაშრომი და ვერც მისი „შემფასებლის" „შეფასება"[3], ამ ფონზე კი, განსაკუთრებით წარ-

---

[1] საქართველოს ეროვნულ არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 422, ფურცლები 52-53 [ხაზგასმა ჩემია – თ.ნ.].

[2] *იქვე*, ფურცელი 53 [ხაზგასმა ჩემია – თ.ნ.].

[3] ინტერესისათვის აღვნიშნავთ ერთ საინტერესო ფაქტს: გასული საუკუნის 50-იან წლებში „წითელმა" პროფესორმა ილარიონ ტალახაძემ გადაწყვიტა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარედგინა დისერტაცია „Происхождение Картвельского (грузинского) государства", რომლის შემფასებლადაც დაინიშნენ აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და პროფესორი კონსტანტინე გრიგოლია. ორივე ოპონენტი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს დისერტანტს. აკადემიკოსი ბერძენიშვილი წერს: „...პროფ. ი. ტალახაძის ნაშრომი „Происхождение Картвельского (грузинского) государства" შესრულებულია მეტისმეტად დაბალ მეცნიერულ დონეზე. ამდენადვე, მისი საპაექროდ გამოიტანა ავტორისათვის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების მიზნით სრულიად შეუფერებელია. ...პროფ. ი. ტალახაძის ამ ნაშრომს, ამრიგად, მეცნიერული საფუძველი მოშლილი აქვს: ნაშრომი აგებულია უვარგისი, არამეცნიერული მასალით. ეს გარემოება კი გამორიცხავს მის შემდგომ ზედმიწევნითი შეფასების მიზანშეწონილებას". იხ. საქართველოს ეროვნულ არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 51, საქმე 219, ფურცელი 52. პროფ. გრიგოლია თავისი დასკვნის ბოლოს წერს: „წარმოდგენილი ნაშრომი თავიდან ბოლომდე ტენდენციური ხასიათისაა და მეცნიერულ საფუძველზე არ

მოუდგენელია ისეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული კვლევა, როგორიც პროფ. სურგულაძის მონოგრაფიაა, ასეთი დაბალი მეცნიერული კრიტიკით უგულებელვყოთ. სამწუხარო ისაა, რომ დასკვნა ტალახაძემ 1945 წლის 12 ნოემბერს მოამზადა, ხოლო დაცვა იმავე წლის დეკემბერში გაიმართა, იქამდე კი, მოულოდნელად, 1945 წლის 22 ნოემბერს პროფ. სურგულაძე უნივერსიტეტში ინფარქტით გარდაიცვალა, შესაბამისად, ტალახაძის ასეთ თავხედურ გამოხტომას საკადრისი პასუხი ვერ გასცა რემარკის ადრესატმა.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და დამყარების პირველ წლებში იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლების აზროვნება საქართველოში დეტერმინებული იყო აკადემიური თავისუფლების პრინციპით, მაგრამ მეცნიერების პარტიულობის პრინციპმა სრულად ჩაკლა აკადემიური და აზროვნების თავისუფლება მეცნიერებაში, იგი გარეგნულად გამოხატავდა თავსებადობას მარქსიზმ-ლენინიზმთან მარქსიზმის კლასიკოსთა ციტატების გამოყენებით, მაგრამ შეფარვით ცდილობდა, საკუთარი სათქმელი გამოეხატა ინტერპრეტირებად ლინგვისტურ სენტენციებში.

მარქსისტულ-ლენინური „გოლგოთა“ ალბათ ვერ იქნება „ორიგინალური ტროპი“[1] იურისტი მეცნიერების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების აღსანიშნავად, მაგრამ ამ ყველაფრის მთავარი მიზანი სამართალში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის განმტკიცება იყო.

არის აგებული. ავტორი, თავის მხრივ, ვერ იჩენს მეცნიერულ[ი] კვლევა-ძიების ოდნავ დამაკმაყოფილებელ უნარს. ყველგან ის მექანიკური უარყოფით და მშრალი განცხადებებით კმაყოფილდება. წამოყენებული დებულების დამტკიცება-დასაბუთების საჭიროება ჩვენი ავტორისათვის საზოგადოდ არ არსებობს. გარდა ამისა, ავტორი საკმარისად დაუფლებული არ არის საქართველოს ისტორიას, ხოლო მის დამხმარე დისციპლინებს, კერძოდ, არქეოლოგიას სრულიად არ იცნობს. წარმოდგენილი ნაშრომის მიხედვით, დისერტანტისათვის რაიმე სამეცნიერო ხარისხის დოქტორის (თუნდაც კანდიდატის) მინიჭება შეუწყნარებლად მიმაჩნია“. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 51, საქმე 219, ფურცელი 70. აქედან ცხადია, თუ რა ინტელექტუალური და მეცნიერული ცოდნის მატარებელი გახლდათ „წითელი“ პროფესორი ტალახაძე, არადა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა იურიდიულ ფაკულტეტზე კათედრას, გამოდიოდა ოფიციალურ ოპონენტად დისერტაციების დაცვაზე და ახორციელებდა „სამეცნიერო“ კვლევას. თავად ტალახაძის სადისერტაციო ნაშრომი ხელმისაწვდომი არ არის, ის არცერთ ორგანიზაციაში (თსუ, ეროვნული არქივი, საჯარო ბიბლიოთეკა) არ ინახება. ალბათ „წითელი ტერორის“ „ინტელექტუალმა“ იზრუნა, რომ საგულდაგულოდ გადაემალა მომავალი თაობისათვის.

[1] ***ზედანია გ***., რეპრესირებული აზრი, კონსტანტინე მეგრელიძის სოციალური თეორია, თბილისი, 2017, 115.

ადამიანის ფენომენში არის რაღაც, რომელსაც ვერ დაუდგენ საზღვრებს და ეს რაღაც არის აზროვნება. საბჭოთა ხელისუფლება სწორედ აზროვნების კორექციას შეეცადა. მოსკოვის მიბაძვით საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებაც აქტიურად „მოღვაწეობდა“ ამ მიმართულებით, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ქართული მეცნიერული იურიდიული აზრის დეკონსტრუქციის პროცესში – იურისტი პროფესორებისაგან მოითხოვდნენ აზროვნების მარქსისტულად წარმართვას, აზროვნების ერთგვარ ჩარჩოებში მოქცევას და კონტროლირებადი აზროვნების ფენომენის შექმნას, რაც, პერსპექტივის გათვალისწინებით, ჩანასახშივე უტოპიური მიზანი იყო.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართველი იურისტების მიერ შესრულებული მეცნიერული სამუშაო, იურიდიული აზრის განვითარებისათვის საქართველოში, არის ეპოქის პრობლემების აღქმის საშუალება, რადგან ავტორების ტექსტები არ არის დეტერმინებული ბოლშევიკური, მარქსიზმ-ლენინიზმის ნარატივით, მაშინ როდესაც, მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული, მეცნიერება მარწუხებში მოაქცია პოლიტიკურად ანგაჟირებულმა ამ მეთოდოლოგიამ. სწორედ აქსიომად მიჩნეული პოსტულატით – „რაც მარქსიზმი არ არის, არ არის მეცნიერება“ – იყვნენ განმსჭვალული 1930 წლის ოქტომბრის დისკუსიის მარქსისტი მომხსენებლები, რომლებმაც, ფაქტობრივად, მარქსისტული „წითელი გოლგოთა“ მოუწყეს საქართველოში იურიდიულ მეცნიერებას და ჯვარს აცვეს მეცნიერ-იურისტები, მათი არამარქსისტობის გამო. დღეს კი, ამ მოვლენებიდან თითქმის ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ, მათ შორის, სწორედ იმიტომ ვაფასებთ მათ მიერ შესრულებულ გამოკვლევებს, რომ ისინი არ ექვემდებარებოდნენ პოლიტიკურ კონიუნქტურას და მარქსისტული ფრაზების გარეშე წარმოადგენდნენ ახალ სიტყვას ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში. წინამდებარე კრებულის გამოცემით კი შეიქმნა პლატფორმა, რომელიც პროფესიულ წრეებს, იურისტებს, სამართლის მეცნიერების კონტექსტში, საბჭოთა წარსულის გააზრების საშუალებას მისცემს.

მართებულად მიუთითებდა აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, როდესაც წერდა, რომ: „ისტორია თუ პანეგირიკად ვაქციეთ, ეს არას არგებს მომავალ თაობებს. თუ ისტორია ობიექტური მეცნიერებაა, ყველას თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ“.[1] წინამდებარე კრებული მკითხველს ნათლად დაანახვებს პოლიტიკური ხელისუფალის წინასწარ აკვიატებულ სურვილებს, ამ სურვილების განხორციელების მავნე, დეგრადირებულ ფორმებსა და პერსონალიების ორ ჯგუფს – მათ, ვინც შეძლეს, შეენარჩუნებინათ ადამიანური

[1] ***ყორანაშვილი გ***., ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა, ჩვენი ეროვნული გმირი თუ ქართველი ალკიბიადე?!, თბილისი, 2017, 5.

და პროფესიული სახე და მათ, ვინც ეს სახე ეპოქის მოთხოვნის შესაბამისად დაკარგეს და ამას არც კი განიცდიდნენ. ამ გამოცემის მიზანია, ყველას ახსოვდეს ის, თუ რას და ვის ვისი ხელით ანადგურებდა საბჭოთა ხელისუფლება და რამ განაპირობა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში დიდხნიანი „თებერვლის ღამე“.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი

26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის
მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა

იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზროვნებაში

ა.ი. გეგენავას მოხსენების – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“
– ირგვლივ გამართული დისკუსიის სტენოგრამა

ა.ა. ბოლოტნიკოვის რედაქტორობით

რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ასოცირებულმა პროფესორმა
მარინა გარიშვილმა

ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი
ტფილისი
1931

შესავალი

1

„კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა მთელ ისტორიულ ეპოქას მოიცავს, და ვიდრე ის არ დასრულებულა, ექსპლუატატორები უთუოდ ინარჩუნებენ რესტავრაციის იმედს, ხოლო ეს იმედი გარდაისახება რესტავრაციის მცდელობაში. პირველივე სერიოზული მარცხის შემდეგ დამხობილი ექსპლუატატორები... გაათმაგებული ენერგიით, ცოფიანი ვნებით, ასმაგად გაზრდილი ზიზღით, დაეშვებიან ბრძოლაში, რათა უკან დაიბრუნონ წართმეული „სამოთხე“ საკუთარი ოჯახებისათვის, რომლებიც ასე რიგ ტკბილად ცხოვრობდნენ და რომლებსაც „მდაბიო ნაძირლები“ სწირავენ გაჩანაგებისა და სიღატაკისათვის (ან „უღირსი“ შრომისათვის)“ (ლენინი).

მარქსიზმ-ლენინიზმის აღნიშნული, თავისი რევოლუციური შინაარსით, სიღრმისეული პრინციპი, მთლიანად და ყოვლისმომცველად მტკიცდება ჩვენი სოციალისტური რევოლუციის მსვლელობით.

საბჭოთა მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში მიღწეული გიგანტური წარმატებების საფუძველზე, განახორციელა რა ლოზუნგი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ, საბჭოთა ქვეყნების გამარჯვებული პროლეტარიატი აწარმოებს შტურმს საბჭოთა ქვეყანაში ექსპლუატაციის უკანასკნელი დასაყრდენის წინააღმდეგ, ძირფესვიანად აღმოფხვრის კაპიტალიზმის უკანასკნელ ნარჩენებს.

პროლეტარიატის მიერ სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე გაჩაღებული ფართო შეტევა კლასობრივი მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს. კლასობრივი ბრძოლის აღნიშნული გამწვავება გამომდინარეობს თვით სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდის არსიდან, რომელიც გულისხმობს კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად რევოლუციური გარდატეხის პერიოდს. სწორედ ამ პერიოდს შეესაბამება პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა, ვინაიდან „კლასების განადგურება – კლასობრივი ბრძოლის ხანგრძლივი, რთული, მძაფრი საქმეა, რომელიც კაპიტალისტური ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ არსად გამქრალა (ასე წარმოუდგენიათ ძველი სოციალიზმისა და ძველი სოციალ-დემოკრატიის უღირს ნარჩენებს/[ვულგარულ ადამიანებს]), არამედ მხოლოდ იცვლის თავის ფორმებს და მრავალი მიმართულებით კიდევ უფრო მძაფრი ხდება“ (ლენინი).

ჩვენს პირობებში ბურჟუაზიის წინააღმდეგობა იძენს ბრძოლის ძალზე დახვეწილ ფორმებს, სოციალიზმის აღმშენებლობის ასაფეთქებლად იყენებს უნატიფეს ხერხებს და [წარმოადგენს] მისი ჩამოშლის თავზეხელაღებულად

სასოწარკვეთილ მცდელობას. ამის მაჩვენებელია, თუნდაც, მავნებლური ორგანიზაციების მთელი სერია, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ჭრელაჭრულა სიმებად დეფილირებს პროლეტარიატის დიქტატურის რევოლუციური სასამართლოს წინაშე.

კაპიტალიზმის უკანასკნელ დასაყრდენზე ყოველმხრივი შეტევის პერიოდში კლასთა ბრძოლის არა მხოლოდ აღნიშნული გამძაფრება, არამედ ამ ბრძოლის თვით ფორმებიც კი, რომლებსაც სადღეისოდ იყენებს ჩვენი კლასობრივი მტერი, მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის სულაც არ არის მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი. კერძოდ, მავნებლობისა და პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლების მოტყუების ფორმები, ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკური ინტელიგენციის მხრიდან, უკვე იყო გათვალისწინებული მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ. ჯერ კიდევ ენგელსი[1], როგორც ცნობილია, ამბობდა, რომ „ისინი (ბურჟუაზიული სპეცები) იქნებიან ჩვენი პრინციპული მტრები და მოგვატყუებენ და გაგვყიდიან ჩვენ, როგორც კი ამას შეძლებენ. ჩვენ კი იძულებული ვიქნებით, გამოვიყენოთ დაშინება და ჩვენ მაინც მოგვატყუებენ“.

სწორედ ამ წინასწარგანჭვრეტაშია რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა, რომელიც გვინათებს სოციალიზმის პრაქტიკული აღმშენებლობის გზას.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ნამდვილი, გადამწყვეტი პერიოდი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ვითარებაში, საბჭოთა სახელმწიფოს დამგეგმავ-მარეგულირებელი როლის გაძლიერებისა და, განსაკუთრებით, საბჭოების – პროლეტარიატის დიქტატურის რევოლუ-

---

[1] **ფრიდრიხ ენგელსი** (1820-1895) – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და მეწარმე, მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი იყო კ. მარქსის მეგობარი და თანამოაზრე, რომელთან თანაავტორობითაც შექმნა რამდენიმე ნაშრომი. 1848 წელს კ. მარქსთან ერთად ენგელსმა დაწერა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს, რუსეთისა და საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ვარლამ ჩერქეზიშვილი ასაბუთებდა, რომ მარქსმა და ენგელსმა თავიანთი თეორიის არაერთი დებულება მიითვისეს წინამორბედი ევროპელი მოაზროვნეებისაგან, ხოლო მათი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ფრანგი ვ. კონსიდერანის ნაშრომის პლაგიატია. იხ. ***შველიძე დ.***, მარქსიზმის კრიტიკა ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაშრომებში, თბილისი, 1997). გარდა ამ ნაშრომისა, მან საკუთრივ და თანაავტორობითაც (ძირითადად, მარქსთან ერთად) დაწერა რიგი ნაშრომებისა, მოგვიანებით კი ფინანსურ მხარდაჭერასაც უცხადებდა მარქსს, ვიდრე ეს უკანასკნელი ახორციელებდა კვლევას და წერდა „კაპიტალს“. მარქსის გარდაცვალების შემდეგ ენგელსმა მოამზადა „კაპიტალის“ მეორე და მესამე ტომები; გარდა ამისა, ენგელსმა შექმნა მინაწერები მარქსისეული დამატებითი ღირებულების თეორიის მიმართ, რომელიც 1905 წელს გამოსცა კარლ კაუცკიმ, როგორც „კაპიტალის“ „მეოთხე ტომი“ [მთარგმნელი].

ციური ორგანოს, რევოლუციური როლის ხაზგასმის პირობებში, ჩვენს წინაშე ახალ და კიდევ უფრო რთულ ამოცანებს სახავს, რომლებიც სარეკონსტრუქციო პერიოდის მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს. ეს ამოცანები – საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საკანონმდებლო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობის გამარტივების, გაიაფებისა და გაუმჯობესების მიმართულებით რეორგანიზაციის ამოცანები, ქვეყნის უშუალო მმართველობის საქმეში კიდევ უფრო ფართო მასების ჩართულობის ამოცანები, პროლეტარიატის დიქტატურის აპარატში ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გამორიცხავენ მავნებლობის შესაძლებლობას და ა.შ. და ა.შ., – შესაძლებელია, წარმატებით განხორციელდეს იმავე მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საფუძველზე.

ამიტომ ნათელია, რომ სადღეისოდ სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებისა და ჰეგემონიისათვის ბრძოლა, სოციალიზმისათვის ბრძოლაში, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე მონაკვეთია.

თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ანტიმარქსისტული, პროლეტარიატისათვის მტრული სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის გამოაშკარავებისა და დაგმობის საქმეში, მიუხედავად ჩვენი მიღწევების მნიშვნელობისა, მიუხედავად იმისა, რომ მარქსისტულ-ლენინურმა დიალექტიკამ სოციალისტური აღმშენებლობის მთელი პრაქტიკული გამოცდილება ღრმა თეორიულ საფუძველზე გაიაზრა – ჩვენში მაინც შეინიშნება თეორიის პრაქტიკული გამოცდილებისგან ჩამორჩენა, „ზოგიერთი წყვეტა თეორიული აზრის განვითარებასა და სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკულ მიღწევებს შორის“, როგორც ამას ამხანაგი სტალინი ბრძანებს.

ასეთი ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრაქტიკისაგან მოწყვეტის მიზეზი, უპირობოდ არის ის გარემოება, რომ საბჭოთა სახელმწიფოს თეორიისა და პრაქტიკის, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში მოღვაწე სახეზე არსებული მარქსისტულ-ლენინურ მუშაკთა ძალები, რომლებიც უნდა იბრძოდნენ და იბრძვიან კიდეც აღნიშნულ სფეროში მარქსიზმის ჰეგემონიისათვის, აქამომდე არ არიან საკმარისად ორგანიზებული. და, თუ უდავოდ მიიჩნევა ის დებულება, რომ სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში თეორია ჩამორჩება პრაქტიკას, პროლეტარიატის დიქტატურის თვით ისეთ ცენტრებშიც კი, როგორებიცაა მოსკოვი ან ლენინგრადი, თუ აქაც კი შეინიშნება სამართლისა და სახელმწიფოს ბურჟუაზიული თეორიების მიმდევართა გააქტიურება, მითუმეტეს ადგილებზე, განსაკუთრებით, ეროვნულ რესპუბლიკებში, სადაც პროლეტარიატის კადრების სისუსტის გამო, მეცნიერება ხშირად წარმოდგენილია ნაციონალისტურად განწყობილი, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციით, ზოგჯერ

შეიმჩნევა კიდეც ბურჟუაზიული იურიდიული თეორიების სრულიად შეუზღუდავი ბატონობა როგორც, ზოგადად, საბჭოთა მკითხველის ტვინზე, ისე უმაღლესი განათლების მქონე კადრებზე, და, განსაკუთრებით, – პროლეტარიატის დიქტატურის აპარატის მომავალ პოლიტიკურ მუშაკებზე.

თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული წყვეტა აქ ზოგჯერ სახიფათო ზომებს იძენს.

მკითხველისათვის განსასჯელად შეთავაზებული, ამხანაგი გეგენავას მიერ წარმოდგენილი მოხსენების თაობაზე გაჩაღებული დისკუსიის დასახელებული სტენოგრამა სწორედ აღნიშნული მიმართულებით იწვევს ინტერესს. ამ დისკუსიაში მონაწილე პროფესორები არიან სახელმწიფოსა და სამართლის ღია და სრულიად შეუნიღბავი ბურჟუაზიული თეორიის ტიპური წარმომადგენლები. მრავალი წლის განმავლობაში ისინი ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზრს და ანიჭებდნენ მას მკვეთრად გამოხატულ იდეალისტურ ხასიათს.

დისკუსიაში მონაწილე პროფესორები არიან იმ ქართული პროფესურის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ავითარებს და იცავს მთელი სოციალისტური აღმშენებლობის საქმისათვის მტრულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას პროლეტარიატის იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ და დღემდე ის არ გამოუაშკარავებიათ; და არც ახლაა ის ბოლომდე გამჟღავნებული. ჩვენი დისკუსია ამ მიმართულებით არის მხოლოდ ბრძოლის დასაწყისი, მხოლოდ ის ამოსავალი წერტილი, რომლისგანაც უნდა დაიწყოს სისტემური სამუშაოს ათვლა დასახელებული პროფესურის გამოაშკარავების საქმეში.

ეს არის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ჰეგემონიისათვის სისტემური ბრძოლის, სამართლისა და სახელმწიფოს აღმშენებლობის სფეროში, პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად შესრულებისათვის საზოგადოებრივ-ორგანიზაციული ბრძოლის განმტკიცების დაწყება, სწორედ რაც სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში სულაც არ არის შემთხვევითი გარემოება. თუ განვითარებული სოციალისტური აღმშენებლობის გიგანტურმა წარმატებებმა მშრომელი მასების მძლავრი შრომითი ენთუზიაზმისა და, დაუნდობელ კლასობრივ ბრძოლაში, ურყევი ნების გამოვლენა გამოიწვია, რათა სოციალიზმის საქმე საბოლოო გამარჯვებამდე იყოს მიყვანილი, ჩვენი აღმშენებლობის იმავე წარმატებებმა და მოთხოვნებმა, ასევე, აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში მოღვაწე მუშაკების საქმიანობაში. სწორედ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მოღვაწე ეს მუშაკები, საბჭოეთის სხვა რესპუბლიკების მსგავსად, მტკიცედ გაერთიანდნენ ბრძოლაში და მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოება შექმნეს. სწორედ ამ პერიოდში ამიერკავკასიის სფსრ-ში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, შეიქმნა ამიერკავკასიის ცაკ-თან [იგულისხმება ცენტრა-

ლური აღმასრულებელი კომიტეტი – რედ.] არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ინსტიტუციურად სხვა კომუნისტურ ორგანიზაციებთან დაკავშირების შემდეგ და, უპირველეს ყოვლისა, ამიერკავკასიის უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრასთან ერთად, ეს დაწესებულებები უკვე წარმოადგენენ საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს თეორიასა და პრაქტიკაში რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმისათვის მებრძოლ კომპაქტურ ძალას. სწორედ ეს ორგანიზაციები მოგვევლინნენ მეისრეებად საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ ფრონტზე გაჩაღებული ბრძოლის საქმეში.

მათ მიერ მოწყობილი დისკუსია ქართველი ბურჟუაზიული პროფესორების ნაშრომების მიმართ, რომლებიც ძირითად მასწავლებლებად მუშაობენ საქართველოს სსრ-ის საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, წარმოადგენს ავანგარდულ ბრძოლას, რომელსაც უნდა მოჰყვეს ფართომასშტაბიანი შეტევა მოწინააღმდეგის სიღრმეში.

2

დამატებით გამოიკვეთა, რომ ქვემოთ დაბეჭდილ სტენოგრამაში მოცემულია დისკუსია, გაკრიტიკებული პროფესორების თეორიული პოზიცია, – და, უპირველეს ყოვლისა, და, განსაკუთრებით, უნდა შევჩერდეთ ისეთ პროფესორებზე, როგორებიც არიან სურგულაძე და ნანეიშვილი.

თავის მეთოდოლოგიურ მითითებებში ორივე მათგანი გამოდიან ჰუსერლის[1] შეხედულებებიდან და დისკუსიაში ორივე, – როგორც თითოეულ მათ-

[1] **ედმუნდ ჰუსერლი** (1859-1938) – ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის ფუძემდებელი. ჰუსერლი იყო ფილოსოფიის პროფესორი ჰალეში, გეტინგენსა და ფრაიბურგში, საიდანაც ფაშისტებმა ებრაელობის გამო დაითხოვეს. მეცნიერებათა ფილოსოფიის დაფუძნების ახალი პოზიცია ჰუსერლმა ჩამოაყალიბა „ლოგიკური გამოკვლევების“ 2 ტომში (1900-1901). I ტომის გამო იგი ანტიფსიქოლოგიზმის მედროშედ აღიარეს, II ტომის გამო კი ფსიქოლოგიზმის დაცვა დააბრალეს, რადგან დროსა და სივრცეში მოცემული ფაქტის ცვალებადობაში ინვარიანტული ზედროულის ძიების გზას დესკრიფციული ფსიქოლოგია უწოდა. ჰუსერლი ცოდნის ობიექტურობის საფუძვლებს სუბიექტურობაში – ობიექტების შესახებ ჩვენს ცოდნაში – ეძიებდა, რასაც ხელი შეუწყო მისმა შეხვედრამ ვ. დილთაისთან. განავითარა „ფილოსოფიის, როგორც მკაცრი მეცნიერების“ (1911) იდეა. ეს იდეა დაიცვა შრომაში – „იდეები წმინდა ფენომენოლოგიისა და ფენომენოლოგიური ფილოსოფიისათვის“ (დაწერა 3 წიგნად, 1913 გამოიცა პირველი – „ზოგადი შესავალი ფენომენოლოგიაში“, სხვები კი ჰუსერლის გარდაცვალების შემდეგ). ჰუსერლი არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, მუდამ ახალ დასაბუთებას ეძებდა თავისი ფენომენოლოგიისათვის. იგი თანდათან მეტ როლს ანიჭებდა წმინდა სუბიექტურობას, როგორც ჩვენი ცოდნის მაკონსტიტუირებელს. ამგვარი ტრანსცენდენტალური იდეალიზმით მას სურდა,

განს შეეძლო, – ცდილობენ ჰუსერლიანობისა და მარქსიზმის შერიგებას. საკუთარ მცდელობაში, ჰუსერლიანობა გამოეყვანათ მარქსიზმად, ისინი გამოდიოდნენ შემდეგი ფორმალურ-ლოგიკური კონსტრუქციიდან: ჰუსერლის მიხედვით, სამართალი არის ონტოლოგიურად განსაკუთრებული სახის მოვლენა, რომელიც არ უკავშირდება სოციალურ (კერძოდ, ეკონომიკურ) მოვლენებს და აქვს თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური კანონზომიერება. მაგრამ მარქსიზმსაც, ჩვენი პროფესორების მსჯელობით, ასევე, აქვს საქმე სპეციფიკურ კანონზომიერებებთან, და ამ საკითხში ის ებრძვის მექანისტებს, რომლებიც ამ სპეციფიკურობის იგნორირებას ახდენენ. და, თუ ასეა, მაშინ ყველაფერი ნათელია: ჰუსერლსაც იგივე მეთოდოლოგიური პოზიცია აქვს, რაც აქვს მარქსს.[1]

თანაც, პროფ. სურგულაძე ასეთ დროს იშველიებდა ამხანაგ ბობროვნიკოვის[2] ავტორიტეტს, რომელიც საკუთარ სტატიაში – „იდეოლოგიის ფორმი-

---

დაედგინა ბ. ბოლცანოს გავლენით გაზიარებული „თავისთავადი ჭეშმარიტების“ ბუნება. თუმცა არც ეს და არც „თავად საგნებისაკენ“ სწრაფვა არ ნიშნავდა ჰუსერლისთვის ცნობიერების ინტენსიურობას; ამიტომ მისი ფენომენოლოგია ტრანსცენდენტალური ეგოლოგიის (მოძღვრება აბსოლუტური „მეს“ შესახებ) სახეს იღებს: სუბიექტი ფენომენებს, როგორც ცნობიერების ნაკადს, მყარი ელემენტების, არსების ჭვრეტით აყალიბებს. ჰუსერლი ამ მიზნით ითვისებს რ. დეკარტის, ი. კანტისა და სხვათა შეხედულებებს. სხვა შრომებში ჰუსერლი ცდილობს, ახლებურად დაასაბუთოს ის შეხედულებანი, რომლებიც მოცემულია მის ძირითად ნაშრომში „იდეები...“ (1913). ეგზისტენციალიზმის აღმოცენების შემდეგ ჰუსერლი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საკუთარი მეთოდით გაგებულ ემპირიულ ადამიანს და სოციალურ გარემოს. ამის შედეგია ნაშრომი „ევროპული მეცნიერების კრიზისი და ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ (1936). იხ. თევზაძე გ., ედმუნდ ჰუსერლი, წიგნში: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი XI, 1987, 698 [რედ.].

1 თავის პირველ გამოსვლაში პროფ. სურგულაძემ ეშმაკურად სცადა საკითხის ასე დასმა, რომ, მისი მტკიცებით, თითქოს ჰუსერლი 1901 წლამდე იყო მარქსისტი და მხოლოდ 1911 წელს კი მან საბოლოოდ შეიცვალა საკუთარი აზრი და ჭეშმარიტ ჰუსერლად იქცა, ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება ცნობილ არაბულ ზღაპარში ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდის შესახებ, რომელმაც შეძლო და ერთხელ საკუთარი თავიდან ისევ საკუთარ თავში გარდაისახა, თანაც ისე, რომ მას ვერავინ შეამჩნია რაიმე ცვლილება.

2 **ნიკოლოზ ბობროვნიკოვი** (1897-1942) – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი (1928-1931), რომელიც სამსახურიდან ა.მ. დებორინის მხარდაჭერის გამო დაითხოვეს. ბობროვნიკოვი დაიბადა 1897 წლის 27 დეკემბერს ს. ბელსკიში, ირკუტსკის გუბერნიის ბალაგანის მაზრაში, ტყავის ქარხნის მესაწყობის ოჯახში. 1917 წელს ნ. ბობროვნიკოვი ჩაირიცხა ტომსკის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიის განყოფილებაზე. 1915 წლიდან ის მოსწავლეთა არალეგალური ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობდა, ხოლო 1917 წელს ბოლშევიკთა პარტიაში შევიდა. ციმბირში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა ირკუტსკის გუბერნიის საბჭოთა პარტიულ სკოლასა და ფაბრიკაში.

სა და შინაარსის საკითხის შესახებ“ (დაბეჭდილია რიაზანოვის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში – „საბრძოლო პოსტზე“ – დებორინის რედაქტორობით[1]), – მართლაც ავითარებს ჰუსერლიანობის დებულებების მსგავს მოსაზრებას, რითაც მკვეთრად აუკუღმართებს მარქსსა და ენგელსს.

მიუხედავად იმისა, რომ ორატორები საკუთარ გამოსვლებში უკვე შეეხნენ საკითხს სპეფიციკური კანონზომიერების შესახებ, გამოააშკარავეს რა, ძირითადად ამ საკითხის მიმართ ჰუსერლიანობის დებულებათა უზუსტობა, – ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, აქ შევაჩეროთ ყურადღება „მარქსიზმის

1923-1926 წლებში ის ირკუტსკის კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის განყოფილების მსმენელია, სადაც პირველ კურსზე დეკარტის ფილოსოფიას სწავლობდა. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ვ.ა. იურინეცი აღნიშნავდა მის დიდ შესაძლებლობებს, აგრეთვე, იმას, რომ მიუხედავად კრიტიკული აზროვნების ნაკლებობისა, ბობროვნიკოვი დიდ შრომისუნარიანობასა და შრომისმოყვარეობას იჩენდა. მეორე და მესამე კურსებზე ის კანტის ფილოსოფიის შესწავლით დაკავდა. აკადემიკოსი ა.მ. დებორინი აღნიშნავდა ბობროვნიკოვის ღრმა ერუდიციას, განსწავლულობასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარს. 1926 წელს ბობროვნიკოვი დაინიშნა სვერდლოვსკის კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორად. მან გამოსცა რიგი ნაშრომებისა ფილოსოფიის სფეროში. 1928 წლიდან ბობროვნიკოვი ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობდა, ხოლო 1930 წლიდან განაგებდა ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების კულტურის რევოლუციის პრობლემების სექტორს და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრიც გახდა. 1930 წელს კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც დებორინული ფილოსოფიური ხელმძღვანელობის გასანადგურებლად იყო მოწყობილი, ბობროვნიკოვი მამაცურად და საფუძვლიანად გამოვიდა დებორინის დასაცავად. მან პირდაპირ განაცხადა, რომ საუბარი ეხებოდა არა პირთა ცვლას, არამედ უწინდელ ფილოსოფიურ მიმართულებაზე უარის თქმას, ფაქტობრივად, სსრკ-ში ფილოსოფიური კვლევების განადგურებას. ბობროვნიკოვი ეწინააღმდეგებოდა სტალინის მიერ ინსპირირებულ, მიტინისა და მისი მიმდევრების მხრიდან, ჰეგელის დიალექტიკაზე თავდასხმას, რომელიც „დებორინშჩინის“ წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით მიმდინარეობდა: „თქვენ გსურთ, გადახაზოთ მთელი ისტორია და განაცხადოთ, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ჰეგელსა და ფოიერბახს, რომ ჩვენთვის არ არსებობს დიალექტიკის ისტორია, მატერიალიზმის ისტორია, რომ ჩვენ არაფერი გვახსოვს“. იმ პირობებში ეს გმირობა იყო. რა თქმა უნდა, აღნიშნული გამოსვლის შედეგად მიტინმა ბობროვნიკოვი დაითხოვა ინსტიტუტიდან, რის შემდეგაც მას აღარ შეეძლო ფილოსოფიის სფეროში საქმიანობის გაგრძელება და ის პედაგოგიკისა და კულტურის საკითხების შესწავლას შეუდგა. ბობროვნიკოვი ცსკი-ის ნ. კრუპსკაიას სახელობის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში ასწავლიდა. 1936 წელს, მოკლე ვადით, ის კომპარტიიდანაც გარიცხეს. 1941 წლის ივნისში ბობროვნიკოვი მოხალისედ ჩაირიცხა მოსკოვის ლენინის რაიონის სახალხო რაზმში. 1941 წლის 2 ოქტომბერს სმოლენსკთან ბრძოლაში ის ტყვედ ჩავარდა, ხოლო 1942 წელს გერმანელებმა ტყვეთა ბანაკში მოკლეს [მთარგმნელი].

[1] იხ. Бобровников Н., К вопросу о форме и содержании идеологии в учении Маркса и Энгельса, На боевом посту: сборник к шестидесятилетию Д. Б. Рязанова, под редакцией А. Деборина, 1930, 193-214 [რედ.].

შიგნით ახალ იდეებზე“, რომლებსაც უკანასკნელ პერიოდში ავითარებს ამხანაგი ბობროვნიკოვი.

დასახელებულ სტატიაში ბობროვნიკოვი წერს (ბოდიშს ვიხდით რამდენადმე ვრცელი ციტატების გამო): „მარქსს აქვს რა სურვილი, რომ ხაზი გაუსვას იდეოლოგიის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ყოფიერების მიმართ, როგორც დავინახეთ, კიდევ უფრო შორს მიდის და არ უშინდება იმის თქმას, რომ იდეოლოგიას არ გააჩნია თავისი დამოუკიდებელი ისტორია; არის რა მხოლოდ რეფლექსი და საზოგადოებრივი ურთიერთობების ანარეკლი, იდეოლოგია თან სდევს მატერიალური წარმოების განვითარებას. **აქ ფორმა დაკნინებულია შინაარსის ხარჯზე. სინამდვილეში იდეოლოგიას აქვს, მართალია, შედარებითი, მაგრამ საკუთარი ისტორია, საკუთარი დამოუკიდებელი კანონზომიერება,** სწორედ იმ განსაკუთრებული ფორმის წყალობით, რომელშიც ის (იდეოლოგია) ასახავს საზოგადოებრივი ურთიერთობების არსს. **სხვაგვარად შემეცნება ვერ იქნებოდა შემეცნებად, იდეოლოგია – იდეოლოგიად.** იდეოლოგია განსაკუთრებული თვისებაა, მიუხედავად იმისა, რომ ის საზოგადოებრივი ყოფიერების მხოლოდ „რეფლექსი“ და „ანარეკლია“ (ხაზგასმა ჩვენია – რედ.). ასეთია ამხანაგ ბობროვნიკოვის არაორაზროვანი პოზიცია. და რას ამბობენ პროფესორები სურგულაძე და ნანეიშვილი? პირველი მათგანი ამტკიცებს, რომ: „მართალია, ნაშრომში[1] ზედმეტად ხაზგასმულია სამართლის სფეროში მოცემული კანონზომიერების სპეციფიკურობა, მაგრამ, ჩემი აზრით, სამართლის სფეროში კანონზომიერების გარკვეულ თავისებურებაზე გაკეთებული მითითებაც არ შეიძლება მივიჩნიოთ უპატიებელ ერესად, ვინაიდან, თუ ჩვენ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ბაზისი და ზედნაშენი ექვემდებარება აბსოლუტურად ერთგვაროვან კანონზომიერებას, მაშინ ბაზისი და ზედნაშენი შეერწყმება ერთმანეთს და მათ შორის აღარ იქნება რაიმე განსხვავება“. იმავეს ამბობს პროფ. ნანეიშვილი: „თუ ჩვენ არ განვასხვავებთ სამართალსა და ფაქტს, როგორც ერთი და იმავე ნამდვილობის ორ განსხვავებულ ნაირსახეობას, მაშინ თქვენ არც ბაზისი უნდა გარდაგესახოთ სამართალში, ან სამართალი უდავოდ უნდა შეერწყას ბაზისს. სხვა გამოსავალი არ არის და ეს დებულება უნდა შეიმეცნოთ“. როგორც ვხედავთ, ამხანაგ ბობროვნიკოვის „აღმოჩენამ“ მიიყვანა ის ჰუსერლიანთა ბანაკში, რომლის წევრებმაც დაუყოვნებლივ გამოიყენეს ეს „აღმოჩენა“ მარქსიზმის უარყოფის მიზნით. და, თუ მარქსისტ ბობროვნიკოვს, საკუთარი წინდაუხედავი მსჯელობით, მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ მარქსის[2] „და-

---

[1] პროფ. სურგულაძეს მხედველობაში აქვს თავისი წიგნი – “Gewalt und Recht” (რედ.).

[2] **კარლ ჰაინრიხ მარქსი** (1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ეკონომისტი, მწერალი, პოეტი, პოლიტიკური ჟურნალისტი, ლინგვისტი, საზოგა-

ზუსტება“ (ჩათვალეთ: შესწორება, განწმენდა) და ამით ძლიერ გადაიხარა იდეალიზმის მიმართულებით, იდეალისტებმა, სურგულაძემ და ნანეიშვილმა აღნიშნული გამოხტომა გამოიყენეს, რათა „მარქსიზმით“ დაესაბუთებინათ ჰუსერლის ცნობილი დებულება, რასაც დისკუსიის მიმდინარეობისას ციტირებდა პროფ. სურგულაძე. ეს ადგილი ეხება ცალკეულ მეცნიერებებს და შემდეგნაირად ჟღერს (სურგულაძის შერბილებული გადმოცემით): „არავითარ ეჭვს არ ბადებს, რომ, თუ ძირითადი კანონზომიერება, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ გარკვეულ სფეროში, და რომელსაც ერთი მეცნიერება შეიმუშავებს, დაემთხვევა სხვა მეცნიერების ძირითად კანონზომიერებას, მაშინ შეუძლებელია ორი მეცნიერების არსებობა, ვინაიდან მეცნიერება იქ არის, სადაც მოცემულია მოვლენათა გარკვეული სფერო და ამ მოვლენათა სფერო რამდენადმე უნდა იქნეს გამიჯნული მოვლენათა სხვა სფეროსაგან“.

შემზღუდავი ტერმინები: „რამდენადმე“, „შედარებით (შეფარდებით)“ და ა.შ. თვით ჰუსერლთან, რა თქმა უნდა, არ არის, როგორც არ არიან ისინი სურგულაძის წიგნში, – ისინი ჩვენს პროფესორს დასჭირდა მხოლოდ დისკუსიის დროს, რათა ჰუსერლი „მარქსისტად“ დაეევარცხნა, როგორადაც ის ბობროვნიკოვს ჰყავს გამოყვანილი. სწორედ ამიტომ, მსგავსად, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, პროფ. სურგულაძე ჩაეჭიდა ბობროვნიკოვის სტატიიდან მოყვანილ ციტატას (გვ. 206-208) და ბობროვნიკოვი ენგელსთანაც კი გააიგივა.

მართლაც, კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის სურგულაძემ დათქმა გააკეთა ენგელსის მიერ 1890 წლის 27 ოქტომბერს კონრად შმიდტისათვის[1] გაგზავნილ წერილზე, და თითქოს დასახელებული წერილიდან მოიყვანა ციტატა: „წარმოება არის გადამწყვეტი მიზეზი საზოგადოებრივი

დო მოღვაწე. ფრიდრიხ ენგელსის მეგობარი და თანამოაზრე, რომელთან თანაავტორობით დაწერა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (1848). პოლიტიკური ეკონომიის სფეროში იგი არის კლასიკური სამეცნიერო ნაშრომის – „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1867) – ავტორი. მისი შრომების საფუძველზე განვითარდა შემდეგი მიმართულებანი: 1. მეცნიერებაში – მატერიალისტური დიალექტიკის სამეცნიერო მეთოდი; 2. ფილოსოფიაში – ჰეგელის ფილოსოფიის მატერიალისტური შეცნობა; 3. სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში – კულტურის ისტორიის მატერიალისტური შეცნობა; 4. სოციალურ პრაქტიკაში – მეცნიერული სოციალიზმი, კლასობრივი ბრძოლის პირველი თეორია; 5. ეკონომიკის თეორიაში – პოლიტეკონომიის კრიტიკა, დამატებითი ღირებულების პირველი თეორია. აღნიშნულმა მიმართულებებმა საერთო სახელწოდება – „მარქსიზმი“ – შეიძინა და კომუნისტური მოძრაობის საფუძვლად იქცა [მთარგმნელი].

[1] **კონრად შმიდტი** (1863-1932) – ცნობილი გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი. 1880-იანი წლების შუა ხანებში იგი სწავლობდა ბერლინში, ხოლო 1886 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. შმიდტი გახლდათ მარქსიზმის მკვლევარი [რედ.].

მთლიანის ყველა ნაწილის განვითარებისათვის: საქონლის მიმოქცევის, ფულის, სახელმწიფო მოწყობის, სამართლის, ფილოსოფიის, რელიგიის და ა.შ., თუმცა თითოეული დასახელებული სფერო ერთხელ შექმნის შემდეგ მისდევს საკუთარ მოძრაობას, რომელზეც, ზოგადად და მთლიანობაში, ბატონობს წარმოება, ოღონდ ამ საერთო დამოკიდებულების ცალკეულ ნაწილებში და მათ შიგნითაც ისინი მისდევენ საკუთარ კანონებს“.

თქვენ სრულიად ფუჭად დაკარგავდით დროს, თუ დაიწყებდით აღნიშნული ციტატის მოძიებას ენგელსის დასახელებულ წერილში – ის იქ არ არის და ეს ციტატა მთლიანად გადმოღებულია ბობროვნიკოვიდან (გვ. 208, მესამე აბზაცი), რომელიც საკუთარი სიტყვებით „მოგვითხრობს“ ენგელსის „ახალი აღმოჩენების“ შესაბამისად, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ ენგელსის შერყვნას ჰუსერლიანობის ყაიდაზე. და, მართლაც, გავაანალიზოთ 1890 წლის 27 ოქტომბრით დათარიღებული, შმიდტისადმი მიწერილი ენგელსის ჭეშმარიტი წერილი. აღნიშნული წერილი, თვით ენგელსის შენიშვნით, იძლევა პასუხს ისტორიული მატერიალიზმის რაობის შესახებ. განსაკუთრებით ამომწურავია ენგელსის მიერ განხილული პრობლემა ზედნაშენური მოვლენებისა და ეკონომიკური ბაზისის ურთიერთზემოქმედების შესახებ და ის კვლავადვე ეხება ჩვენთვის ამჟამად მეტად საინტერესო სამართლის საკითხს. ენგელსის მსჯელობის ცენტრში დევს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საკითხი. ის წერს: „მთელ ამ ნივთს (ენგელსს მხედველობაში აქვს ისტორიული მატერიალიზმის არსი – რედ.) შედარებით ადვილად აღვიქვამთ შრომის დანაწილების თვალთახედვით... იქ, სადაც საზოგადოების მასშტაბით ხდება შრომის დანაწილება, ცალკეული მუშაკები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი ხდებიან“. ცალკეული საზოგადოებრივი ფუნქციების მსგავსი გარეგნული იზოლირება, მათი თავისებურებანი შრომის მოცემული დარგის, მოცემული სპეციალობის ადამიანებს აიძულებენ, დაინახონ მთელი საზოგადოებრივი პროცესი და შეიმეცნონ ის მათი პროფესიული შეზღუდულობის თვალსაზრისით. ასე წარმოიშობა სოციალური სინამდვილის შერყვნილი გააზრება, იქმნება შერყვნილი აზროვნების მთელი სისტემები.

„ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სახის ანარეკლთან დაკავშირებით, – წერს ენგელსი, – ზუსტად ისეთივე რამ ხდება, როგორც ადამიანის თვალის ანარეკლთან გვაქვს საქმე. ისინი გაივლიან მათ შემკრებ ოსპს და, ამიტომაც, გადატრიალებული სახით, თავდაყირა წარმოგვიდგებიან. ის არ არის მხოლოდ ნერვული აპარატი, რომელიც წარმოდგენისათვის მათ ისევ ფეხზე დააყენებდა. ფულის ბაზრის მოხელე მრეწველობისა და მსოფლიო ბაზრის მოძრაობას მხოლოდ ფულადი და ქაღალდის ბაზრის ამოტრიალებულ ანარეკლში ხედავს და მისთვის დამდგარი შედეგი აქ მიზეზად იქცევა“.

ეს დებულება, ზოგადად, ვაჭრობასაც მიესადაგება: „წარმოება, საბოლოო ანგარიშით, გადამწყვეტი ხდება. მაგრამ, როგორც კი სურსათით ვაჭრობა წარმოებისგან **გამოცალკევდება,** პირდაპირი გაგებით, ის დაიწყებს საკუთარი მოძრაობით სვლას, რომელზეც, ზოგადად და მთლიანობაში, გაბატონდება წარმოება, თუმცა **ცალკეულ ნაწილაკებსა და აღნიშნული საერთო დამოკიდებულების შიგნით** (ხაზგასმა ჩვენია – რედ.), ის, ვაჭრობა, მაინც წაჰყვება საკუთარ კანონებს, რომლებიც აღნიშნული ახალი ფაქტორის ბუნებას შეესაბამება. დასახელებულ მოძრაობას (ვაჭრობას) აქვს თავისი საკუთარი ფაზები და, თავის მხრივ, მან უკუზემოქმედება [შეიძლება] მოახდინოს წარმოების მოძრაობაზე“. ამ დებულების დასამტკიცებლად ენგელსს მოჰყავს მთელი რიგი ისტორიული მაგალითებისა: ოქროს შიმშილმა, რომელიც გაფართოებული ვაჭრობით იყო გამოწვეული, ამერიკის აღმოჩენას აიძულებდა ევროპელებს. იაფი საქონლის მოძიების აუცილებლობამ ისინი (ევროპელები) ინდოეთამდე მიიყვანა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, ამ ქვეყნებში საქონლის **გატანის** აუცილებლობის გაჩენამ ევროპაში შექმნა და განავითარა მსხვილი მრეწველობა. და ენგელსი განაგრძობს: „ასევე, ხდება ფულადი ბაზრის მიმართაც. როგორც კი ფულით ვაჭრობა (საბანკო საქმე) **გაიმიჯნა** საქონლით ვაჭრობისაგან, ეს საბანკო საქმე იძენს საკუთარ განვითარებას (წარმოებითა და ვაჭრობით **დადგენილი ცნობილი პირობების არსებობისას,** და **მათი საზღვრების** შიგნით), აქვს საგანგებო კანონები, რომლებიც განსაზღვრულია მისი საკუთარი ბუნებით და გააჩნია საგანგებო ფაზები“ (ხაზგასმა ჩვენია – რედ.). და ენგელსს მოჰყავს საბანკო საქმის წარმოებაზე უკუზემოქმედების მაგალითი.

შემდეგ ენგელსი გადადის სახელმწიფოზე, როგორც ახალ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალაზე, რომელიც, „ზოგადად და მთლიანობაში, უნდა მისდევდეს წარმოების მოძრაობას, თუმცა ის, ისევ და ისევ, გავლენას ახდენს წარმოების მსვლელობასა და პირობებზე, მისთვის დამახასიათებელი ან, უფრო სწორად, ერთხელ მიღებული და თანმიმდევრულად, სულ უფრო განვითარებული შედარებითი დამოუკიდებლობის ძალით. ეს არის ორი უთანასწორო ძალის ურთიერთზემოქმედება... ეკონომიკური სვლა, ზოგადად, გაიკვლევს გზას, თუმცა მან საკუთარ თავზე უნდა განიცადოს პოლიტიკური მოძრაობის უკუზემოქმედება“. მებრძოლი კლასების ურთიერთობები, რაც მოცემული საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობების გამოხატულებაა, პოლიტიკაშიც პოვებს ასახვას, მთავრობასა და ოპოზიციას შორის ბრძოლის სახით. თანაც, ეს ანარეკლი საკმაოდ გამრუდებულია (verkehrt), ის ჩვენ წარმოგვიდგება არა როგორც კლასთა ბრძოლა, არამედ პოლიტიკური პრინციპებისათვის ბრძოლად. ათასწლეულების განვლა გახდა საჭირო, – აღნიშნავს ენგელსი, – ვიდრე ჩვენ გავიგებდით, თუ რაში იყო საქმე, ანუ ვიდრე ამოვიც-

ნობდით პოლიტიკური ზედნაშენის დასახელებული სარკის გამოცანას. „სამართალთან [მიმართებით], – აგრძელებს ენგელსი, – იგივე ხდება. როგორც კი წარმოიშობა შრომის ახალი დანაწილების საჭიროება, რომელიც ქმნის იურისტების პროფესიას, მაშინვე ჩნდება ახალი დამოუკიდებელი სფერო, რომელსაც, მიუხედავად მისი სრული დამოკიდებულებისა წარმოებასა და ვაჭრობაზე, მაინც გააჩნია განსაკუთრებული უნარი, მოახდინოს უკუზემოქმედება დასახელებულ სფეროებზე“. ამასთანავე, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სამართალი არა მხოლოდ ასახავს ან გამოხატავს კაპიტალიზმის ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა ის „მისი შინაგანად შეთანხმებული გამოხატულებაა, რომელიც, შინაგანი წინააღმდეგობების წყალობით, არ უნდა წასულიყო საკუთარი თავის წინააღმდეგ“.

სხვათა შორის, სწორედ ამაში ხედავს ამხანაგი ბობროვნიკოვი იდეოლოგიის სპეციფიკურობას. „ამ ციტატაში, – წერს ის, – ნაწილობრივ გაცემულია უკვე პასუხი იმაზე, თუ რა ქმნის იდეოლოგიის სპეციფიკურობას. იდეოლოგია, რომელიც საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას შეესაბამება, იმავდროულად, შინაგანად შეთანხმებული უნდა იყოს. იდეოლოგია – საზოგადოებრივი ურთიერთობების ლოგიკური (ან, თუ მხედველობაში გვაქვს ხელოვნება – წარმოსახვითი) გამოხატულებაა და ლოგიკის კანონები (ან წარმოსახვითი შემოქმედება) განსაზღვრავენ იდეოლოგიის ფორმას, საზოგადოებრივი ყოფიერების იდეოლოგიური გამოხატვის ხერხებს“.

აქ, უპირველეს ყოვლისა, თვალში გვხვდება ადამიანთა შემეცნების (იდეოლოგიების) ფორმათა ორგვარი კანონზომიერება: ერთი მხრივ, ლოგიკის კანონები, მეორე მხრივ – წარმოსახვითი შემოქმედების კანონები. გამოდის, რომ, როცა მხატვარი ან პოეტი რაიმეს ქმნის, მისი შეგნება ექვემდებარება რაღაც სხვა კანონებს, თუმცა არა ლოგიკისას. მხატვრული შემოქმედება ლოგიკის მიღმაა. მაგრამ მსგავსი დებულება ხომ წმინდა წყლის იდეალიზმია! მარქსიზმის თვალთახედვით, დაუშვებელია შემეცნების ორი კანონზომიერების არსებობა. ეს უკანასკნელი ყოველთვის მოძრაობს მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკის კანონების ფარგლებში. რაიმე სახის მისტიკურ გასხივოსნებას ან ლოგიკის მიღმა არსებულ შემოქმედებით აქტს მარქსისტი არ და ვერ ცნობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა კაუზალური კანონზომიერებისათვის ძირის გამოთხრა და სასწაულმოქმედების გამართლება. თუმცა ეს ისე, განსჯისათვის. გაცილებით მნიშვნელოვანია ბობროვნიკოვის მტკიცება იმის შესახებ, რომ სწორედ „ლოგიკის (ან წარმოსახვითი შემოქმედების) **კანონები განსაზღვრავენ** იდეოლოგიის ფორმას, იდეოლოგიური გამოხატვის ხერხს“ (ხაზგასმა ჩვენია – რედ.). უნდა ვაღიაროთ, ჩვენ აქამდე ვფიქრობდით, რომ იდეოლოგიის ფორმა განისაზღვრებოდა მისი შინაარსით, ანუ ადამიანის სოციალურ-კლასობრივი ბუნებით, რაც იყო მოცემული საზოგა-

დოების ეკონომიკის გამოხატულება. ასევე, უნდა ვაღიაროთ, მიგვაჩნდა, რომ ლოგიკა, მისი კანონები და პრინციპები ერთგვაროვანია როგორც ფეოდალისათვის, ისე მისი ყმა-გლეხისათვის, როგორც ბურჟუაზიისათვის, ისე პროლეტარიატისათვის. როგორც ირკვევა, ნურას უკაცრავად! „გვაროვნული წყობილების ადამიანისათვის ლოგიკურია, რომ აიღოს მეზობლის პური, თუ მას არ აქვს საშუალება, მოიკლას შიმშილი, თუმცა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მსგავსი ლოგიკისათვის ადამიანს ციხეში სვამენ. დეკარტის ეპოქაში ღმერთის არსებობის ონტოლოგიური მტკიცებულება იყო ლოგიკური. აბა, შეეცადეთ, იმავე მტკიცებულების „ლოგიკა“ უჩვენოთ თანამედროვე კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს – თქვენ მაშინვე დაგცინებენ, მიუხედავად ყველაფრისა“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვენ, მართლაც კი ვიქნებით გამასხრებულნი, თუმცა არა იმის გამო, რომ მღვდელსა და კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს განსხვავებული ლოგიკა აქვს, არამედ – „გააჩნია, რის“ – მომიზეზებით. ღმერთის არსებობის ონტოლოგიური მტკიცებულება ზოგიერთების მიერ სრულიად არადამაჯერებლად მიიჩნეოდა თვით დეკარტის ეპოქაშიც. პირიქით, დღესაც არაა მცირე იმ ადამიანთა წრე, ვისთვისაც ეს მტკიცებულება სარწმუნოა. თუმცა კი ბობროვნიკოვი თვლის, რომ მსგავსი მოვლენა სრულიად წარმოუდგენელია. ბობროვნიკოვის აზრით, დეკარტის ეპოქაში ყველა ადამიანს მხოლოდ ერთი ლოგიკა ჰქონდა და, შესაბამისად, ერთი იდეოლოგია, ახლა კი ყველას განსხვავებული ლოგიკა და, მაშასადამე, განსხვავებული იდეოლოგია აქვს, რომელსაც ეს ახალი ლოგიკა განსაზღვრავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ უბრალოდ სიბრიყვეა.

როგორ უნდა დაწერო მთელი სტატია იდეოლოგიის საკითხთან დაკავშირებით და, იმავდროულად, სრულიად უგულებელყო შემეცნების ფორმათა კლასობრივი ბუნება – ეს იმას ნიშნავს, რომ შეუმჩნეველი დატოვო მარქსიზმის მთავარი [პოსტულატი], ეს იმას ნიშნავს, რომ დაეცე ვაჰანიანის დონემდე, რომელიც მსგავს რაღაცას ამტკიცებდა ეროვნული კულტურის საკითხთან დაკავშირებით. ბობროვნიკოვის მოსაზრებით, იდეოლოგიური ზედნაშენი არის რაღაც ერთიანი, მთლიანი თაღის ან ფაფახის მაგვარი რამ, რომელიც საზოგადოების თავზეა ჩამოკიდებული. აღნიშნული იდეოლოგიური თაღის ჩარჩოდ და რაფთერებად მოცემული ეპოქის ლოგიკა გვევლინება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი შემეცნების (შეგნების) ფორმას. სინამდვილეში კი, საქმე არც თუ ისე არქიტექტურულად გამოიყურება და არც ისე მარტივადაა. კლასობრივ საზოგადოებაში თითოეული იდეოლოგია სულაც არ არის წარმოდგენილი მთლიანი ზედნაშენის სახით, – პირიქით, ის (იდეოლოგია) დაქსაქსულია ანტაგონისტურ ფენებად, რომელთა შიგნითაც, რა თქმა უნდა, უპირატესობა ენიჭება გაბატონებული კლასის იდეოლოგიურ ფე-

ნას, თუმცაღა სხვა კლასების (მათ შორის, ექსპლუატირებულთა) იდეოლოგიური წილებიც რეალურად არსებობენ და თავსაც შეგვახსენებენ ხოლმე.

მეორე მხრივ, ბურჟუაზიულ სამყაროში ნუთუ მხოლოდ ლოგიკის დარღვევისათვის სვამენ ადამიანებს ციხეში? ასეთ შემთხვევაში, არა მხოლოდ პროლეტარიატის ორატორების, არამედ ბურჟუაზიული დეპუტატების დაპატიმრებაც გახდებოდა საჭირო. აი, სწორედ ამაშია მთელი ეშმაკობაც, რომ, უპირველეს ყოვლისა, თვით ბურჟუებს ყოველდღიურად უნდა დაერღვიათ საკუთარი ლოგიკა და ჰერკულესის სვეტებისოდენა სიბრიყვემდე შეერყვნათ ის. და, სწორედ, ეს აქვს მხედველობაში ენგელსს, როცა ის ამბობს: – აქ ჩვენ ვაგრძელებთ შმიდტისადმი გაგზავნილი წერილის განხილვას, – იმისათვის, რათა სამართალი გახდეს შინაგანად თანწყობილი, „ეკონომიკური ურთიერთობების არეკვლის სიზუსტე (სამართალში – რედ.) სულ უფრო და უფრო ვნებულია“. და ბობროვნიკოვის აზრის საპირისპიროდ, ენგელსი ძალზე დამაჯერებლად ახდენს აღნიშნულის ილუსტრირებას. „1792-1796 წწ. ეპოქის რევოლუციური ბურჟუაზიის წმინდა, თანმიმდევრულმა (ლოგიკურად განმტკიცებული – რედ.) სამართლებრივმა იდეამ მრავალმხრივ განიცადა ფალსიფიცირება უკვე ნაპოლეონის კოდექსში და, რაც კი ამ უკანასკნელში განმტკიცდა, ყოველდღიურად უნდა განიცდიდეს შემსუბუქებასა და შესუსტებას, პროლეტარიატის სულ უფრო მზარდი ძალის წყალობით“. როგორც ვხედავთ, ამ შინაგანი თანხვედრით, სამართლის ლოგიკით, არაფერი გამოდის. აქ სამართლებრივი განვითარების სვლა „გულისხმობს, უმთავრესად, მხოლოდ იმას, რომ ჯერ ცდილობენ, აღმოფხვრან წინააღმდეგობანი, რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიკური ურთიერთობების იურიდიულ პრინციპებში უშუალოდ გადაყვანიდან, ხოლო შემდგომ ეკონომიკური განვითარება კვლავ მუდმივად ანგრევს აღნიშნულ სისტემას და ითრევს მას ახალ წინააღმდეგობებში“. თანაც, სამართალში ეკონომიკური ურთიერთობების მსგავსი გამრუდება, – ეს თავდაყირა დაყენებული ანარეკლი ისე ხორციელდება, რომ მთელი ეს პროცესი ვერ აღწევს მოქმედების ჩამდენთა შეგნებამდე. „იურისტს წარმოუდგენია, რომ მოქმედებს აპრიორული დებულებებით, არა და, ეს მხოლოდ ეკონომიკური ანარეკლია. ამრიგად, ყველაფერი დგას თავზე“. და მიუხედავად ამისა, მსგავსი გამრუდებული იდეოლოგიური მრწამსი, თავის მხრივ, „უკუგავლენას ახდენს ეკონომიკურ საფუძველზე და მისი, გარკვეულწილად, შეცვლაც კი შეუძლია“.

რაც შეეხება კიდევ უფრო მაღალ იდეოლოგიურ ზედნაშენს – რელიგიას, ზნეობას, ფილოსოფიას და ა.შ., მათ მიმართ ენგელსი აღნიშნავდა, „რომ მათ აქვთ წინაისტორიული არსი, რომელსაც პოულობს და ითვისებს ისტორიული პერიოდი, არსი, რომელსაც დღესდღეისობით ჩვენ სიბრიყვეს დავარქმევდით“. ამ სიბრიყვის, სულების, ჯადოსნური ძალებისა და ა.შ. შესახებ,

მთელი ამ ფანტასტიკური წარმოდგენების საფუძველში იდო, „უმეტესწილად, მხოლოდ ეკონომიკურად უარყოფითი: წინაისტორიული პერიოდის დაბალმა ეკონომიკურმა განვითარებამ, მისი დანამატის სახით, ზოგჯერ კი წინაპირობის სახით, და თვით მიზეზის სახითაც კი – იქონია ცრუ წარმოდგენა ბუნების შესახებ“. ეს ნიშნავს, რომ პირველყოფილი საზოგადოების იდეოლოგიური კვანძი ერთხელ წარმოშობის შემდეგ მიჰყვება საკუთარ მოძრაობას და გარკვეულ ჩარჩოებში აქვს საკუთარი კანონები, რომლებიც, თუმცა, არ გამოდიან სოციალურის ზოგადი კანონზომიერების ფარგლებიდან. აი, რატომაც იქნებოდა „პედანტობა, რომ მოგვეძია ყველა დასახელებული პირველყოფილი სიბრიყვისათვის ეკონომიკური მიზეზები“. თუმცა იდეოლოგიის სფეროში რაიმე „დამოუკიდებელი კანონზომიერების“, „საზოგადოებრივი შეგნების ფორმების კანონების სპეციფიკურობაზე“, იდეოლოგიის „იმანენტური კანონშესაბამისობაზე“ საუბარი, როგორც ამას აკეთებს ბობროვნიკოვი, ნიშნავს, დარჩე იდეოლოგად სიტყვის ყველაზე უგუნური გაგებით, იდეოლოგად, რომელსაც, წინა პერიოდის იურისტების ან ფილოსოფოსების მსგავსად, წარმოუდგენია, რომ ესა თუ ის იდეოლოგიური სფერო არის დამოუკიდებელი სფერო, და ვითარდება საკუთარი იმანენტური კანონების მიხედვით. სწორედ ამიტომ არ მოსწონს ბობროვნიკოვს, რომ მარქსთან „ფორმა დაკნინებულია შინაარსის სასარგებლოდ“. თუმცა ამხანაგი ბობროვნიკოვი არც ისეთი თანმიმდევრულია, როგორც ჰუსერლი ან სურგულაძე. ამხანაგი ბობროვნიკოვი საუბრობს იდეოლოგიის ისტორიის „შედარებით დამოუკიდებლობაზე“, ის საუბრობს „ნიადაგქვეშა წყლებზე“, რომელთა მოძრაობის ზედაპირულ ანარეკლს წარმოადგენს „ერთი წარმოდგენის მეორედან ლოგიკური მომდინარეობა“.

თუმცა აღნიშნული დათქმები მხოლოდ გვაბნევენ, ქმნიან ბოლომდე ართქმისა და კომპრომისის შთაბეჭდილებას. ერთი მხრივ, ეკონომიკის „ნიადაგქვეშა წყლები“, „შედარებითი დამოუკიდებლობა“, მეორე მხრივ, ასეთი ადგილი: „პრობლემა, რომელსაც ჩვენ აქ ვაყენებთ, ეხება მხოლოდ, ზოგადად, იდეოლოგიის ფორმის განვითარების **იმანენტურ კანონშესაბამისობას,** რაც, საზოგადოებრივ ყოფიერებასთან მიმართებით, იმ განსაკუთრებულ თვისებად აქცევს მას, რომელიც განსაზღვრავს იდეოლოგიის არსს“ (ხაზგასმა ჩვენია – რედ.), იმავდროულად, არაფერი კონკრეტული იმ „საზოგადოებრივი შეგნების ფორმების კანონთა სპეციფიკურობის“ თაობაზე, რომლებსაც საკუთრივ ეხება ეს სტატია.

თუმცა დავუბრუნდეთ ენგელსს. ფილოსოფიაზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე სუბლიმირებულ იდეოლოგიაზე, გადასვლისას ის წერს: „თითოეული ეპოქის ფილოსოფიას, წინაპირობის სახით, აქვს განსაკუთრებული სააზროვნო მასალა, მასალა, რომელიც მას წინამორბედებისაგან გადაეცემა და

რომლისგანაც ის გამომდინარეობს.“ ეს სააზროვნო მასალა არის რა განსაკუთრებული თვისება (თუმცა არასპეციფიკური ანუ ეკონომიკამდე არდაყვანილი და რომელსაც საკუთარი ისტორია აქვს), მოცემულ ეკონომიკურ სტრუქტურაში [არსებული] განსაკუთრებული სოციალური მოვლენა, მას შეუძლია, მაგალითად, ისე განვითარდეს, რომ „ეკონომიკურად ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ფილოსოფიაში წამყვანი როლის შესრულებაც კი შეძლონ“. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანია, როდესაც კლასიკური გერმანული იდეალიზმი (კანტი-ფიხტე-შელინგი-ჰეგელი) ყველაზე ადეკვატური ფილოსოფია იყო თვით ევროპის ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის (ინგლისი, საფრანგეთი). „აქ ეკონომიკა (ანუ ფილოსოფიაში – რედ.) ახლიდან არაფერს ჰქმნის“,[1] **მაგრამ ის განსაზღვრას არსებული სააზროვნო მასალის ცვლილებისა და შემდგომი განვითარების სახეობას?“** (ენგელსი – ხაზგასმა ჩვენია – რედ.). თანაც, ეს დეტერმინებულია, „უმეტესწილად, ირიბი გზით, ვინაიდან ფილოსოფიაზე უმნიშვნელოვანეს პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკური, იურიდიული, მორალური ანარეკლები“. მაშასადამე, მთელი ეს დიდებული ისტორიული პროცესი წარიმართება სრულიად უთანასწორო ძალების ზემოქმედების ფორმით: „მათ შიგნით ეკონომიკური მოძრაობა გაცილებით უფრო მძლავრი, პირველადი და გადამწყვეტია“. სხვა ადგილას კი – შტარკენბურგისათვის 1894 წლის 25 იანვარს მიწერილ წერილში – ენგელსი კიდევ უფრო გარკვევით წარმოთქვამს: „საბოლოო ჯამში, აქ ეკონომიკური აუცილებლობის საფუძველზე ზემოქმედება იჩენს თავს“.

ერთიანი სოციალური ყოფიერება – ეს, ასე ვთქვათ, სოციალური მატერია, რომელიც სოციალურ მოვლენათა საყოველთაო სინთეზია, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქცეს კანონზომიერებად, თუ მისი ყველა ცალკეული გამოვლინება გაერთიანდება საერთო კაუზალურ კავშირში. თუ ჩვენ სოციალურ ყოფაში დავუშვებდით ორ ან მეტ მიზეზობრივ ან სხვა ნებისმიერ, მაგრამ სპეციფიკური კავშირის რიგს, მაშინ ჩვენ გვექნებოდა, ცხადია, ორი ან მეტი ყოფიერება, მაშინ ჩვენ მივიღებდით ორ ან მეტ ონტოლოგიურ რიგს, როგორც ამას აქვს ადგილი ჰუსერლთან. ეს უკანასკნელი წერს: „ყოველგვარი გამოკვლევა, გამოგონება თუ აღმოჩენა ემყარება ფორმის (ლოგიკურის) კანონზომიერებას... მოწესრიგებული ფორმა ქმნის მეცნიერების არსებობის საშუალებას“. და სხვა ადგილას, კი [ვკითხულობთ]: „ნივთების თანაფარდო-

[1] დამახასიათებელია იმის აღნიშვნა, რომ თავდაპირველად ენგელსმა ეს ადგილი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ეკონომიკა აქ არაფერს ჰქმნის საკუთარი თავისაგან, თუმცა ის განსაზღვრავს და ა.შ.“... მოგვიანებით რედაქცია შემთხვევით [სულაც] არ დაზუსტებულა იმგვარად, როგორც ტექსტში არის მოცემული.

ბის – როგორც კანონზომიერის, ან მათი ჭეშმარიტების – როგორც აუცილებლობის, დანახვა და ნივთების თანაფარდობისა ან მისი ჭეშმარიტების საფუძვლების შემეცნების ფლობა – არსობრივად ერთი და იგივე გამოხატულებაა“ (ე. ჰუსერლი, ლოგიკური გამოკვლევები, ნაწილი I, რუსული თარგმანი, 1909, გვ. 17, 203). აქ, როგორც ვხედავთ, ლოგიკური აუცილებლობა ემთხვევა ნივთების ან ფაქტების კანონზომიერებას და ამიტომ ყოველივე „სისტემატური ერთობა იდეალურად ჩაკეტილი კანონების ერთობლიობისა“ გვაძლევს არა მხოლოდ განსაკუთრებულ მეცნიერებას, არამედ ხარისხობრივად განსაკუთრებულ საგნობრიობასაც, რომელიც ამ მეცნიერებას შეესაბამება.

აქ მთელი ნამდვილობა და, მათ შორის სოციალური, გახლეჩილია ნაწილაკებად, რომელთაგან თითოეულს შეესაბამება და მათზევე ბატონობს მისი განსაკუთრებული „არსი/[რაობა]“.

სწორედ აქედან, ამ მითითებიდან, ჩვენთვის გასაგები ხდება პროფ. ნანეიშვილის ცრუ (მანკიერი) „სამართლის არსი/[რაობა]“, რაზეც (ანუ არსზე/-[რაობაზე]) ამდენი ითქვა დისკუსიის მიმდინარეობისას.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მარქსიზმი სოციალურ მთლიანობას ერთიან პროცესად იღებს, რომლის შიგნითაც სამართალი გამოიყოფა როგორც აღნიშნული პროცესის სხვებისაგან ხარისხობრივად განსხვავებული ერთერთი მხარე, თუმცა, რომელსაც არ გააჩნია არც განსაკუთრებული სპეციფიკური კანონზომიერება, არც განსაკუთრებული ისტორია, არამედ თავისი განვითარებით ექვემდებარება ეკონომიკურ (სრულებითაც არალოგიკურ!) საფუძველს. სწორედ ამიტომ იმავე შტარკენბურგისათვის მიწერილ წერილში ენგელსი წერს: „რაც უფრო მეტად დაშორდება ეკონომიკურს ის სფერო, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, მით უფრო მიუახლოვდება ის წმინდა აბსტრაქტულ-იდეოლოგიურს, მით უფრო მეტად ვიპოვით, რომ ის საკუთარი განვითარებისას სულ უფრო მეტ შემთხვევითობას აღმოაჩენს, მით უფრო, მიხვეულ-მოხვეულია მისი მრუდი. ხოლო, თუ ჩვენ დავხაზავთ მრუდის შუა ღერძს, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ, რაც უფრო გრძელია საკვლევი პერიოდი, მით უფრო უახლოვდება ეს ღერძი ეკონომიკური განვითარების ღერძს, მითუმეტეს, მის პარალელურად მოძრაობს“.

თუმცა, სხვა ნებისმიერი ზედნაშენის მსგავსად, როგორც სამართალი, ისე სხვა ნებისმიერი იდეოლოგია, არ არის გულგრილი ეკონომიკური ბაზისის მიმართ. ეს არ არის მსხალი ან ვაშლი, რომელიც იზრდება ხეზე და სრულიად გულგრილია მის მიმართ. ზედნაშენი ყოველთვის აქტიურია ამა თუ იმ მოცულობით და, როგორც ითქვა, ზეგავლენას ახდენს ბაზისზე. „თვით სასიკვდილო დაღლილობაც კი, – წერს ენგელსი, – და გერმანელ მეშჩანთა უძლურება, რომელიც გამომდინარეობდა გერმანიის უკიდურესად საცოდავი ეკონომიკური

მდგომარეობიდან, 1648-1830 წლების პერიოდში, და, თავდაპირველად, გამოიხატებოდა წმინდანობის თამაშში, შემდეგ სენტიმენტალურობასა და თავადებისა და აზნაურების წინაშე ფორთხვაში – ეს მოვლენებიც კი არ დარჩენილა ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის გარეშე“. და კ. შმიდტისათვის მიწერილ წერილს ენგელსი ამთავრებს ასეთი საყვედურით ყველა იმის მისამართით, ვინც, ბარტის მსგავსად, ვარაუდობდა, რომ მარქსიზმი უარყოფდა ისეთი სოციალური ძალების რაიმე როლს, როგორებიცაა სახელმწიფო და იდეოლოგია: „და რაც აკლია ყველა ამ ბატონს, ეს არის დიალექტიკა. ისინი მუდმივად ხედავენ აქ მიზეზს, იქ კი – შედეგს. ისინი ვერ ხედავენ, რომ ეს არის ცარიელი აბსტრაქცია. მათთვის ჰეგელი არ არსებობდა“.

ჰუსერლიანობის კონცეფციიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით, სამართლის რაობა/[არსი] დაყვანილია წინადროებრივ გაგებამდე და უცვლელად იმყოფება ვნებისმიღმა ლოგიკური ფორმების სამეფოში, პროფ. სურგულაძე და, განსაკუთრებით, ნანეიშვილი ცდილობენ, კიდევ სხვა ხერხითაც „მიაწებონ“ ჰუსერლიანობა მარქსიზმს, იდეალიზმი – დიალექტიკურ მატერიალიზმს.

საკუთარი დისერტაციის დაცვით (“Gewalt und Recht”), ჩვენს დისკუსიაზე სურგულაძემ გარკვევით განაცხადა, რომ მის ამ წიგნში არის მთელი რიგი ადგილებისა, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ „როცა იხილება საკითხი ჩვენი სამართლებრივი ზედნაშენის წარმოშობის შესახებ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სამართალი არის ეკონომიკური ბაზისის ზედნაშენი“.

კიდევ უფრო გარკვევით ეს განაცხადა პროფ. ნანეიშვილმა: „ამრიგად, საკითხი არა სამართლის წარმოშობაში [მდგომარეობს]. ჩვენ ხომ ამ საკითხში ვეთანხმებით ერთმანეთს“, – და ნანეიშვილი ამატებს, – „გვიდგას წმინდა დიალექტიკური საკითხი, რადგან, როგორც იტყვიან, როგორც კერძო შეეფარდება ზოგადს, ანუ, ჩემი გაგებით, „ნამდვილობაც“ შეეფარდება „არანამდვილობას“. და, დამეთანხმეთ, რომ ზოგადის კერძოს მიმართ დიალექტიკური შეპირისპირება შეიძლება იყოს არსობრივი, ლოგიკური შეპირისპირება“.

პროფ. ნანეიშვილი მენტორული ტონით გვმოძღვრავდა: „მე მეკითხებიან – როგორ წარმოიშობა სამართლის ზოგადი არსი/[რაობა]? მე ვსაუბრობ მხოლოდ ლოგიკურ ურთიერთობებზე და ვთხოვ ამხანაგ ტალახაძეს, ერთხელ და სამუდამოდ გაითავისოს ეს. საკითხი დიალექტიკური ურთიერთობების (ზოგადისა და კერძოს) შესახებ არ არის სამართლის გენეზისის საკითხი“.

აქ განსაკუთრებით შთამბეჭდავია დიალექტიკის შეცნობა. ეს სწორედაც რომ ის გაგებაა, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ჰეგელი ბრწყინვალედ ამბობდა: „ჩვეულებრივ დიალექტიკას მიიჩნევენ გარეგან და უარყოფით მოქ-

მედებად, რომელიც არ უკავშირდება საქმის არსს, იმ სუბიექტურ ძიებას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ცარიელი პატივმოყვარეობის გამო შევარყიოთ და გავხრწნათ ის, რაც მყარი და ჭეშმარიტია, ან რაც, სულ მცირე, არაფერთან მიგვიყვანს, როგორც უმიზნოდ დიალექტიკურად – განსახილველი საგანი“. ხომ ნათელია, თუ როგორ ზუსტად ასახავს ეს [განმარტება] პროფ. ნანეიშვილის სამართლის ფილოსოფიის არსს!

აი, აქ კი, ნანეიშვილის საპირისპიროდ, ლენინი[1] განსაზღვრავს დიალექტიკის ჭეშმარიტ არსს: „დიალექტიკა არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ იყვნენ და როგორ არიან ერთგვაროვანი წინააღმდეგობანი, თუ რა პირობებში ხდებიან ისინი ერთგვაროვანი და გარდაიქმნებიან ერთმანეთში, – თუ რატომ არ უნდა მიიღოს ადამიანის ტვინმა ეს წინააღმდეგობანი მკვდრად, გაქვავებულად, არამედ ცოცხლად, პირობადებულად, მოძრავად, ერთმანეთში გარდამქმნელად“ (ლენინის კრებული, IX, გვ. 69).

ეს ადგილი, უკეთესად რომ არ შეიძლება იყოს, ისე წყვეტს პრობლემას იმის შესახებ, რომ სამართლის სფეროში ჰუსერლიანელად დარჩენით, იმავდროულად, სამართლის წარმოშობის საკითხში მარქსისტიც იყო. ეს ადგილი ურტყამს ამხანაგ ბობროვნიკოვსაც, რომელიც ცდილობს, სამართალში მოიძიოს სპეციფიკური კანონზომიერებანი და ამით ხიდი გადაუგდოს ჩვენს პროფესორებს.

ისტორიული მატერიალიზმი, ადამიანთა ისტორიის განხილვის აღნიშნული ხერხი, მატერიალისტური დიალექტიკის ჭრილში გვიხატავს ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრების გრანდიოზულ პროცესს, უპირველეს ყოვლისა, როგორც წინააღმდეგობათა ერთობას, ერთმანეთთან მებრძოლ ერთგვაროვნებასა და ერთმანეთში გარდასახულ წინააღმდეგობას, როგორც საზოგადოებრივი მოვლენების მთელი უსაზღვრო მრავალფეროვნების ერთიან მთლიანს, რომლებიც ერთიან სოციალურ კანონზომიერებაშია მოცემული.

---

[1] **ვლადიმირ უილიანოვი (ლენინი)** (1870-1924) – რუსი რევოლუციონერი, მარქსისტი და მარქსიზმის თეორეტიკოსი, საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო ფუნქციონერი, რსდმპ (ბოლშევიკების) დამფუძნებელი, რუსეთში 1917 წლის „ოქტომბრის“ პოლიტიკური გადატრიალების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, რუსეთის სახკომსაბჭოს (მთავრობის) პირველი თავმჯდომარე, რუსეთში საბჭოთა რეჟიმის შემქმნელი და წითელი ტერორის მთავარი იდეოლოგი, პუბლიცისტი, მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელი, მესამე (კომუნისტური) ინტერნაციონალის შემქმნელი და იდეოლოგი. პოლიტიკურ-პუბლიცისტური ნაშრომების ძირითადი სფერო: მატერიალისტური ფილოსოფია, მარქსიზმის თეორია, კაპიტალიზმის კრიტიკა, სოციალისტური გადატრიალების („რევოლუციის“), სოციალიზმისა და კომუნიზმის განხორციელების თეორია და პრაქტიკა, სოციალიზმის პოლიტეკონომია [მთარგმნელი].

3

დისკუსიის შედეგად პროფესორებმა – ვაჩეიშვილმა და სურგულაძემ ქართულ გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნეს განცხადება (იხ. სტენოგრამის დანართი[1]).

თავის განცხადებაში პროფ. ვაჩეიშვილი აღიარებს იმას, რისი აღიარებაც არ სურდა დისკუსიის დროს, კერძოდ, რომ მისი ნაშრომები „ცხადად ანტიმარქსისტულია“. კერძოდ, თავის ნაშრომზე – „კელზენის მოძღვრება სამართალ[სა] და სახელმწიფო[ზე]“, – პროფ. ვაჩეიშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ ეს წიგნი არის მავნე, მკითხველის ტვინში ავითარებს დაცემისა და გახრწნის ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. მოგვეჩვენება, მსგავსი აღიარება თავისთავად ნიშნავს, რომ პროფ. ვაჩეიშვილი საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზროვნებაში არის ზუსტად ასეთი ანტიმარქსისტული, მავნე და ა.შ. თეორიების წარმომადგენელი. თუ ამას დავუმატებთ პროფ. ვაჩეიშვილის მტკიცებას, რომ სამართლის მარქსისტული თეორია არის „ერთადერთი სწორი, თუმცა აბდაუბდა ბურჟუაზიულ თეორიებთან შედარებით, ახალგაზრდა მეცნიერება“, მაშინ ამ ყველაფრიდან ერთადერთი დასკვნაა ის, რომ პროფ. ვაჩეიშვილი დღემდე რჩება სწორედ ამ აბდაუბდა ბურჟუაზიული თეორიების მეხოტბედ ერთადერთი სწორი მეცნიერების საწინააღმდეგოდ – სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საწინააღმდეგოდ.

თუმცა, როგორც ირკვევა, ეს ასე არ არის, ვინაიდან ჩვენი პროფესორი იმავე განცხადებაში, იხსენებს რა დისკუსიის დროს თქმულს, რომ სამართლის მარქსისტული თეორია ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, რომ ის „დუღილის მდგომარეობაში იმყოფება“, მას ყოფნის სიმამაცე, ამტკიცოს, რომ: „მე არასდროს უარვყოფდი სამართლის მარქსისტული თეორიის არსებობას. ასეთი აზრი არ შეესაბამება არც ჩემს ძირითად თეორიულ შეხედულებებს, არც ჩემი პედაგოგიური საქმიანობის ხასიათს, ვინაიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მე სწორედ სამართლის მარქსისტულ თეორიას ვასწავლი“.

მაგრამ გამოდის ორიდან ერთი: პროფ. ვაჩეიშვილი ან რაღაც წარმოუდგენელს ამბობს, ან ის სადღაც არაგულწრფელია. ჩვენ გვესახება, რომ

---

[1] იქიდან გამომდინარე, რომ წინამდებარე კრებული დისკუსიასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ დოკუმენტებს აერთიანებს, სამეცნიერო რედაქტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროფ. ვაჩეიშვილისა და პროფ. სურგულაძის განცხადებები არა თარგმანის სახით შემოეთავაზებინათ, როგორც 1931 წელს გამოქვეყნებული სტენოგრამის დანართი, არამედ როგორც წინამდებარე კრებულზე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ცალკე დანართები. შესაბამისად, დისკუსიის ტექსტის სტენოგრამას დანართის სახით აღარ ახლავს ზემოთ დასახელებული პროფესორების განცხადებები [რედ.].

პროფ. ვაჩეიშვილი გაცილებით გულწრფელი იყო თავისი გამოსვლისას დისკუსიის დროს, როცა აცხადებდა, რომ მან ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა სამართლის მარქსისტული თეორია, ვინაიდან ეს უკანასკნელი „სადღეისოდ მხოლოდ მუშავდება“, „იმყოფება შემუშავების პერიოდში“ და ა.შ. და, მართლაც, როგორ შეიძლება, რომ იგივე პროფ. ვაჩეიშვილი, რომელიც რამდენიმე წელია (1930 წლის ჩათვლით), აყალიბებდა და იცავდა „აბდაუბდა ბურჟუაზიულ თეორიებს“ ერთადერთი სწორი მეცნიერების საწინააღმდეგოდ, სამართლის მარქსისტული თეორიის საწინააღმდეგოდ, საოცრებების მეშვეობით, მისი საპროფესორო მოღვაწეობის განმავლობაში, ასწავლიდეს სწორედ სამართლის მარქსისტულ თეორიას. სწორედ ამაზეა ნათქვამი: credo, quia absurdum est[1].

ასევე, თავის განცხადებაში პროფ. სურგულაძე აღიარებს, რომ მისი [წიგნი] − “Gewalt und Recht” − ანტიმარქსისტული ნაშრომია. ხოლო იმის შესახებ, რომ დისკუსიის დროს ის მისთვის სავალალო შედეგის დადგომით, თუმცა საკმაოდ ენერგიულად ცდილობდა ამ ნაშრომის მარქსისტულად შემოსაღებას, პროფ. სურგულაძე მოკრძალებულად დუმს.

შემდეგ ის აცხადებს იმის შესახებ, რომ კაუცკის[2] წინააღმდეგ დაწერილ სტატიაში ორ ადგილას აზრი არასწორად არის ჩამოყალიბებული, რამაც აღ-

---

[1] მწამს, რადგან აბსურდია [მთარგმნელი].

[2] **კარლ კაუცკი** (1854-1938) – ფილოსოფოსი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი. კაუცკიმ უმაღლესი განათლება ვენის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც ისტორიას, ფილოსოფიასა და ეკონომიკას სწავლობდა. 1875 წელს შეუერთდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. 1880-იან წლებში დაუახლოვდა გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს. 1883 წელს შტუტგარტში დააფუძნა სოციალისტური გამოცემა „Die Neue Zeit“. შემდგომ წლებში დაუახლოვდა ფრიდრიხ ენგელსს და ერთხანს ლონდონში ეწეოდა თეორიულ მუშაობას. 1891 წელს აუგუსტ ბებელთან და ედუარდ ბერნშტაინთან ერთად შეიმუშავა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძირითადი საპროგრამო დასაყრდენი, რომელიც „ერფურტის პროგრამის“ სახელითაა ცნობილი. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ კაუცკი მიიჩნეოდა ყველაზე ცნობილ მარქსისტ თეორიტიკოსად. 1890-იან წლებში არ გაიზიარა ედუარდ ბერნშტეინისეული მარქსიზმის რევიზიონისტული შეხედულებები და დაიცვა კლასობრიობის პრინციპი. XIX საუკუნის 90-იან წლებში კარლ კაუცკისთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერ ნოე ჟორდანიას. კაუცკი თავის თეორიულ ნაშრომებში მკაცრად იცავდა მცირე ერთა თვითგამორკვევის პრინციპებსა და მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას უჭერდა მხარს. კარლ კაუცკი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესს, ეხმარებოდა ქართულ დელეგაციას გერმანიაში. 1920 წლის სექტემბერსა და დეკემბერში კარლ კაუცკი, როგორც მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი, საქართველოში იმყოფებოდა. ის დელეგაციის სხვა წევრებთან შედარებით, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, გვიან ეწვია საქართველოს.

ნიშნული სტატიის განსხვავებული შეფასების საფუძველი შექმნა, თუმცა, ძირითადად და მთლიანობაში, ეს სტატია მარქსისტულია, და კაუცკის შეხედულებათა კრიტიკა მასში სახელმწიფოს შესახებ სწორედ მარქსიზმის მოძღვრების თვალთახედვით მიმდინარეობს.

თავის განცხადებაში პროფ. სურგულაძე დაახლოებით ასე მსჯელობს: „Gewalt und Recht“ ანტიმარქსისტული ნაშრომია, ეს სიმართლეა, თუმცა ის დაწერილია 1923-1924 წლებში და არ გამოხატავს იმ შეხედულებებს, რომლებსაც ამჟამად იზიარებს ავტორი. 1929 წელს მან დაწერა კაუცკის წინააღმდეგ მარქსისტული სტატია, რომელიც სწორედ იმ მოსაზრებებს გამოხატავს, რომლებსაც ემხრობა ჩვენი ავტორი და ავითარებს კიდეც საკუთარ აკადემიურ საქმიანობაში.

ამასთან, პროფ. სურგულაძეს ავიწყდება, ყოველ შემთხვევაში, ორი რამ: თავისი სტატია პროფ. ნანეიშვილის წინააღმდეგ “Gewalt und Recht”-ის გამო, სადაც ის სრულად და მთლიანად იცავდა თავის ნაშრომს, და მისი გამოსვლა დისკუსიაზე, სადაც მან იგივე გაიმეორა. ჩვენ შევახსენებთ პროფ. სურგულაძეს, რომ ნანეიშვილის საწინააღმდეგო სტატია მან 1928 წელს დაწერა,

---

საქართველოში ვიზიტის დროს მონაწილეობა მიიღო არაერთ მიტინგსა და გამოსვლაში. მრავალჯერ მიმართა საქართველოს მოქალაქეებს. დაესწრო სახალხო უნივერსიტეტის გახსნას, გვარდიის ყრილობას, ეკონომიკურ თათბირებს, შეხვდა რკინიგზელებს და დაესწრო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომას, სადაც წარმოთქვა სიტყვები: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მე უფრო დაახლოებულად ვგრძნობ თავს, ვიდრე რომელიმე სოციალისტურ პარტიასთან ევროპაში“. ვიზიტის ბოლოს კი საქართველოს თავდაცვის ფონდს მეუღლესთან, ლუიზ კაუცკისთან ერთად შესწირა ძვირფასეულობა. საქართველოში ვიზიტისას, ადგილზე დაკვირვებების საფუძველზე, არაერთი ნაშრომი შექმნა სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური მოდელის განხორციელების შესახებ. ნაშრომებში, ქართულ მოდელზე დაყრდნობით, უპირისპირდება საბჭოთა მოდელს და აკრიტიკებს ლენინის ხედვებს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მხარს უჭერდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას, პრესისა და წიგნების გვერდებზე აკრიტიკებდა საბჭოთა რეჟიმს. 1929 წელს დავით შარაშიძის წიგნს – „ჰ. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო“ – გაუკეთა შესავალი სახელწოდებით – „საქართველო და მისი ჯალათები“. პოლიტიკურ დახმარებას უწევდა დევნილობაში მყოფ საქართველოს მთავრობას. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ეწეოდა თეორიულ საქმიანობას, აკრიტიკებდა საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას, დასავლურ კაპიტალიზმსა და გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობას. ჰიტლერის რეჟიმის კრიტიკისა და ებრაული ფესვების გამო, გერმანიის დატოვება მოუხდა და თავი ნიდერლანდს შეაფარა. მისი შვილი ბენედიქტი 7 წლის განმავლობაში ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდა. კარლ კაუცკის მეუღლე ლუიზა აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა, თავად კი ამსტერდამში გარდაიცვალა. იხ. ირემაძე ი., კარლ კაუცკი, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, 2018, 218 [რედ.].

ხოლო დისკუსია 1930 წელს გაიმართა. ისმის შეკითხვა: მაშ, როდისღა შეამჩნია პროფ. სურგულაძემ, რომ მის მიერ 1923-1924 წლებში დაწერილი წიგნი არ გამოხატავს იმ შეხედულებებს, რომლებსაც ის ამჟამად იზიარებს და, კონკრეტულად, რომელი პერიოდიდან იწყება ეს „ამჟამად“?.

თუმცა საქმე ისაა, რომ პროფ. სურგულაძის უკანასკნელი სტატიაც, რომელიც კ. კაუცკის საწინააღმდეგოდ დაწერა, სინამდვილეში სულაც არაა არამარქსიზმის საწინააღმდეგო.

სამწუხაროდ, პროფ. სურგულაძე არ უთითებს, მისი სტატიის რომელი ორი ადგილის შესახებ საუბრობს თავის განცხადებაში, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ საუბარია იმ ორი ადგილის შესახებ, რომლებსაც საკუთარ მოხსენებაში ყურადღება მიაქცია ამხანაგმა გეგენავამ, როგორც იმ ცალკეულ ადგილებს, რომლებიც მოწმობენ, რომ პროფ. სურგულაძე ამ სტატიაშიც იმეორებს თავისი ძირითადი ნაშრომის ანტიმარქსისტულ დებულებებს, რითაც სახელმწიფოსა და საზოგადოების იდენტიფიცირებას ახდენს, წარმოგვიჩენს ანტიმარქსისტულ თეზისს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით და ვერ იაზრებს სახელმწიფოს კლასობრივ არსს.

აღნიშნულ სტატიაში სურგულაძე წერს: „სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემა არის სწორედ ის საკითხი, რომელშიც კაუცკი გამოდის ენგელსის თეორიის წინააღმდეგ და იძლევა საკუთარ ჰიპოთეზას; სწორედ ამიტომ თანამედროვე სახელმწიფოს დახასიათების საკითხშიც კაუცკის შეხედულებანი რამდენადმე განსხვავებული იქნება, ვიდრე ისინი, რომელთა აღდგენაც არის შესაძლებელი მარქს-ენგელსის ჩანაწერების მიხედვით“.

თუმცა, როგორც ირკვევა, კაუცკის გაკრიტიკებისას თანამედროვე სახელმწიფოს დახასიათების საკითხში პროფ. სურგულაძე თვითონ მივიდა „რამდენადმე განსხვავებულ“ შეხედულებამდე, „ვიდრე ისეთების, რომელთა აღდგენაც არის შესაძლებელი მარქს-ენგელსის ჩანაწერების მიხედვით“. საქმე ისაა, რომ იმ „ორი ადგილის“ არსი, რომლებიც თითქოს ვიღაცამ ვერ გაიგო, არა უსწორო ფორმულირებაა, როგორც ცდილობს პროფ. სურგულაძე, ამაში დაგვარწმუნოს, არამედ ის, რომ სწორედ აღნიშნულ ფორმულირებაშია მოცემული პრინციპულად ანტიმარქსისტული დებულება, რომელზეც აგებულია მთელი სტატია. ამიტომ ეს სტატია არ შეძლება იყოს და არც არის მარქსისტული.

წინადადებით – „კაუცკის სასაცილოდ და უაზრობად ეჩვენება მითითება იმაზე, რომ სადღეისოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული დემოკრატია ფორმალურ ხასიათს ატარებს, რომ, არსებითად, ის წარმოადგენს დემოკრატიას უმცირესობისათვის, ბურჟუაზიული კლასისათვის, ანუ ბურჟუაზიულ დემოკრატიას“ – პროფ. სურგულაძე მსჯელობს „კლასობრივი საზოგადოების ფარგლებში, სადაც ეკონომიკური ჰეგემონია გარკვეული კლასის – ბურ-

ჟუაზიის ხელთაა, და ბუნებრივია იმ დებულების დაშვება, რომ ეკონომიკური ურთიერთობანი უცილობლად მოახდენენ გავლენას როგორც, ე.წ. დემოკრატიული თავისუფლებების მოცულობაზე, ისე მათი რეალური განხორციელების საშუალებებზე. იმისთვის, ვისთვისაც ნაცნობია თანამედროვე დემოკრატიებში [მიმდინარე] პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები და ფორმები, უდავოა, რომ აქ, ფ. თიონესის გამონათქვამის გამოყენებით, სიმდიდრე საკუთარი ბუნებით ნიშნავს სოციალურ, და ამიტომაც, პოლიტიკურ ბატონობას“.

ეს არგუმენტი არ კლავს კაუცკის, ის სამიზნის მიღმა ურტყამს. თუ ტიპური ბურჟუაზიული სოციოლოგი თიონესი აღიარებს, რომ სიმდიდრე საკუთარი ბუნებით აუცილებლად გავლენას ახდენს სახელმწიფოზე, კარლ კაუცკიც არ უარყოფს ამას. ეს და ამის მსგავსი დებულებანი „სიმდიდრის ყოვლისშემძლეობის შესახებ“ სადღეისოდ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ზოგადი ნაწილია, ზოგადად, და სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში, კერძოდ.

აღნიშნულ პუნქტში პროფ. სურგულაძესა და კაუცკის შორის არ არის აზრთა სხვაობა. კარლ კაუცკი, თიონესის მსგავსად, და მის კვალად პროფ. სურგულაძე აღიარებს, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში სიმდიდრე ბატონობს. ის „მხოლოდ“ იმას ამბობს, რომ თანამედროვე სახელმწიფოებში ამ თავის ბატონობას „კაპიტალისტები ახორციელებენ არა სამხედრო დიდკაცობის წესებით, ანუ მასებზე შეიარაღებული უპირატესობის ძალით, რომლებსაც ისინი, ამასთანავე, ვერც რაოდენობრივად სჭარბობენ. მათ აქამომდე ეჭირათ ხელთ [ძალაუფლება], **საკუთარი სიმდიდრის წყალობით...“** (ტ. II, გვ. 447). ამასთან დაკავშირებით, კაუცკი ბევრად უფრო გარკვევით და ენერგიულად გამოხატავს აზრს, ვიდრე ამას აკეთებენ თიონესი და პროფ. სურგულაძე ერთად: „ახალი მონოპოლისტები, ისევე როგორც ყველა მონოპოლისტი, სულ უფრო მეტად ისწრაფვიან საკუთარი ინტერესების დასაცავად საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უხეში ძალის მეშვეობით... უკანასკნელ ათწლეულში ეს პოლიტიკა სულ უფრო მეტად იქცევა იმ [ძალების] პოლიტიკად, **ვინც კაპიტალის ძლევამოსილებას განაგებს“** (ტ. II, გვ. 577. ხაზგასმა ყველგან ჩვენია – რედ.).

მაშასადამე, კ. კაუცკი არ უარყოფს კაპიტალის ძლევამოსილების ფაქტს. ის არ თვლის, რომ კაპიტალი ამ ძლევამოსილებას (ეს უფრო ზუსტია, ვიდრე „სიმდიდრე“) საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე არ ფლობს. კაპიტალის ან სიმდიდრის ბუნების გამო კი არ ეკამათება კ. კაუცკი მარქსიზმს სახელმწიფოს საკითხებში, არამედ თვით სახელმწიფოს ბუნებისა და არსის გამო. საქმე აქ სწორედ ისაა, რომ, კაუცკის აზრით, „თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო იმით განსხვავდება წინათ არსებული სახელმწიფოს სა-

ხეებისაგან, რომ სახელმწიფო აპარატის აღნიშნული გამოყენება ექსპლუატატორთა კლასების მიზნებისათვის არ მიეკუთვნება მის არსს და არ არის მასთან განუყრელად დაკავშირებული. პირიქით, დემოკრატიული სახელმწიფო, მასში ჩადებული თვისებებით (Anlage) იმისკენ კი არ არის მიმართული, იყოს უმცირესობის ორგანო, როგორც ყველა უწინდელი სახელმწიფო, არამედ [არის] უმრავლესობის ორგანო, ანუ მშრომელთა [მასების]. თუ ის გადაიქცევა ექსპლუატატორული უმცირესობის ორგანოდ, ეს [სულაც] არ მომდინარეობს სახელმწიფოს საგანგებო თვისებებიდან...“ (ტ. II, გვ. 598).

სწორედ აქედან გამომდინარე, კაუცკი აკეთებს დასკვნას, რომ „თვით ექსპლუატირებულნიც სულ უფრო ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ დაამსხვრიონ სახელმწიფო, არამედ უფრო იმას ცდილობენ, დაეუფლონ სახელმწიფო ხელისუფლებას და ჩააყენონ ის მათ სამსახურში“ (ტ. II, გვ. 459). და უფრო მეტიც, „მსხვილი კაპიტალისტები სულაც არ საჭიროებენ დემოკრატიას, რათა გავლენა მოახდინონ მთავრობაზე. მათი ძლევამოსილება არა საკუთარი კლასის წევრთა რაოდენობაშია, არამედ მათ სიმდიდრეში. პირიქით, მშრომელ მასებს დემოკრატიის გარეშე არ შესწევთ უნარი, განავითარონ რაიმე ძლევამოსილება“ (ტ. II, გვ. 472).

მაშასადამე, სახელმწიფოს შესახებ კაუცკის „ახალი“ მოძღვრება მის ყველაზე გადამწყვეტ პუნქტში იმის თაობაზე, რომ, ამ მოძღვრების თანახმად, „თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო“, სხვა უწინდელი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, არის ისეთი პოლიტიკური ფორმა, სადაც კაპიტალისტები ბატონობენ არა სამხედრო ან სხვა რაიმე უპირატესობის ძალით, არამედ სწორედ იმის ძალით, რომ ისინი, კაპიტალისტები, ფლობენ სიმდიდრეს, ასე ვთქვათ, თვით „სიმდიდრის ბუნების“ ძალით. მაგრამ თვით დემოკრატიული სახელმწიფო, თავისი არსით, თავისი განსაკუთრებული თვისებებით, – გვმოძღვრავს კაუცკი, – არის მშრომელთა ბატონობის ფორმა, უმრავლესობის უმცირესობაზე ბატონობა, და, თუ ეს ფორმა ჯერ კიდევ არ შეივსო შინაარსით, ამაში დამნაშავეა ფაქტობრივი წესების გარემოებანი და არა „თანამედროვე დემოკრატიის“ მისეული ბუნება. კაუცკის ძირითადი თეზისი სწორედ ისაა, რომ „თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო“, საკუთარი არსით, საკუთარი თვისებებით (Anlage) არის არა ექსპლუატატორთა ბატონობის ორგანიზაცია, არამედ ექსპლუატირებული მასების სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ეს უკანასკნელნი კი მხოლოდ უნდა დაეუფლონ მას და ჩაიყენონ საკუთარ სამსახურში.

პროფ. სურგულაძე კი ამბობს, რომ თანამედროვე დემოკრატიის შესახებ აღნიშნული მსჯელობიდან, არსებითად, გამომდინარეობს მისი უარყოფა. სწორედ კაუცკის საკუთარი მსჯელობიდან უდავოდ გამომდინარეობს ის, რომ მდგომარეობა, რომელიც თანამედროვე დემოკრატიებში ფაქტობრი-

ვადაა მოცემული, არ იძლევა მშრომელი მასების პოლიტიკური ჰეგემონიის საფუძვლებს და, შესაბამისად, სახელმწიფოს ტრანსფორმირებისათვის. და შემდეგ პროფ. სურგულაძე აგრძელებს: „რაც შეეხება ტენდენციებზე[1] მითითებას, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი წლების ისტორიას, მაშინ შეუძლებელი გახდება იმის მტკიცება, რომ აქ პოლიტიკური განვითარება მიმდინარეობს მშრომელი მასების საჯარო უფლებების პერმანენტული გაფართოების გზით“.

პროფ. სურგულაძის აღნიშნული მხოხავი ემპირიზმი არის ბურჟუაზიული აზროვნების ჩვეულებრივი შეზღუდულობა, ის უშლის ხელს პროფესორს იმის გაგებაში, რომ ის ყველა მისეული ფაქტით ვერ აღწევს იმ პრინციპულ და მეცნიერულ სიმაღლეს, რომელზეც რენეგატი კაუცკი ცდილობს იკამათოს მეცნიერულ მარქსიზმთან. ამიტომ იმის ნაცვლად, რომ კაუცკის ძირითად თეზისს იმის შესახებ, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება ექსპლუატირებულთ, რომლებიც უნდა დაეუფლონ ასეთ სახელმწიფოს, „საკუთარ სამსახურში ჩაიყენონ“, პროფ. სურგულაძეს არ ძალუძს, დაუპირისპიროს მარქსისტულ-ლენინური თეზისი იმის შესახებ, რომ ექსპლუატირებულები კი არ უნდა დაეუფლონ, არამედ დაამსხვრიონ, ძირფესვიანად დაანგრიონ, გატეხონ ეს „თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო“, ვინაიდან ის სწორედ თავისი არსით, თავისი ბუნებით არის კომბალი კაპიტალისტების ხელში და სხვა არავითარი თვისებანი და „მაჩვენებლები“ მას არ გააჩნია.

ამ ყოველივეს ნაცვლად, პროფ. სურგულაძემ არაერთხელ განაცხადა, რომ „ფაქტობრივი მდგომარეობა“, „ტენდენციები“ და ა.შ., „არ იძლევიან საფუძველს პროლეტარიატის პოლიტიკური ჰეგემონიისათვის“, „არ იძლევიან საფუძველს სახელმწიფოს ტრანსფორმაციისათვის“, „არ უზრუნველყოფენ პროლეტარიატის ძირითადი ამოცანების განხორციელებას“.

ყველაზე სიღრმისეული პრინციპულობა, რომელსაც პროფ. სურგულაძე თანამედროვე სახელმწიფოს დახასიათების საკითხში საკუთარ სტატიაში აღწევს, შემდგომში მდგომარეობს: „თანამედროვე დემოკრატია, იმ გაგებით აღქმული, როგორც ის კაპიტალისტურ სახელმწიფოშია მოცემული, წარმოადგენს იმ პოლიტიკურ ფორმას, რომელიც თან სდევს ბურჟუზიას მისი ისტორიულ არენაზე გამოსვლის შემდეგ; ის თავიდანვე წარმოიშვა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის სახით, ამიტომ ნათელია, რომ ეს ფორმა არ შეიძლება მივიჩნიოთ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ტრანსფორმაციის საშუალებად.

---

[1] პროფ. სურგულაძე გერმანულ სიტყვა “Anlage”-ს თარგმნის სიტყვით – „ტენდენცია“.

პოლიტიკურ ინსტიტუტებს აქვთ საკუთარი ბედი, ისინი წარმოიშობიან გარკვეულ ეკონომიკურ ბაზისზე და გარკვეული სოციალური ურთიერთობების სფეროში და მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამ ურთიერთობების არსებობასთან; სწორედ ამიტომ არის შეუძლებელი, რომ საპარლამენტო დემოკრატიის ინსტიტუტები, რომლებიც გამოიწრთო ბურჟუაზიის ბატონობის იარაღის სახით, ჩაითვალოს თანამედროვე სახელმწიფოს სოციალისტური გარდაქმნის იარაღად“.

[მოცემულ შემთხვევაში] არ ხდება ამ პრინციპული დებულების გაგრძელება, განმარტება, დამტკიცება. ის მხოლოდ მარტივ პოსტულატად [ყალიბდება], თავისთავად იგულისხმება ან წმინდა ლოგიკურად [იგულისხმება], როგორც ავტორი ამბობს.

ყოველივე ზემოთქმულიდან უცნობია, თუ რას ნიშნავს პროფ. სურგულაძესთან „სახელმწიფოს სოციალისტური ტრანსფორმაცია“, ხოლო ამის შესახებ თქმა აუცილებელია, ვინაიდან, ზოგადად, ასეთი „ტრანსფორმაციის“ შესაძლებლობას ის, სავარაუდოდ, დასაშვებად მიიჩნევს. ის ხომ მხოლოდ იმას ამბობს, რომ „საპარლამენტო დემოკრატიის ინსტიტუტები“, არ შეიძლება მივიჩნიოთ ამის საშუალებად.

თავისი მხრივ, პროფ. სურგულაძე სხვა რაიმე გზებს არ გვთავაზობს, ამიტომ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, ვიცოდეთ, თუ რომელი საშუალებანი ითვლება პროფ. სურგულაძისათვის ვარგისიანად, ისინი ხომ არა, რომელთაც გვთავაზობდა ლ. დიუგი[1], ან ისინი, რომლებზეც საუბრობს ჰ.

---

[1] **ლეონ დიუგი** (1859-1928) – ფრანგი იურისტი, რომელიც საჯარო სამართლის სპეციალისტი იყო და იყენებდა ე.წ. სოციოლოგიური პოზიტივიზმის მეთოდს (დიურკჰეიმისა და კონტის გავლენით), პროფესორი, შემდეგ – ბორდოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი. საზოგადოებრივი სამსახურის თეორიის აშკარი მიმდევარი, რომელიც, მეორე მხრივ, მოითხოვდა საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის აღიარებას და ამუშავებდა სახელმწიფოს ინსტიტუტის მნიშვნელოვან კრიტიკას, რომელიც მანამდე მმართველობის ერთერთი შესაძლო ხერხი, არამდგრადი ფორმა იყო და შეიძლება გამქრალიყო კიდეც. ლ. დიუგი სოლიდარიზმის მოძღვრების მთავარი წარმომადგენელია. ფრანგი სოციოლოგების – დიურკჰეიმის, კონტისა და ბურნეჟუას იდეებზე დაყრდნობით, დიუგიმ განავითარა სოციალური სოლიდარობის კონცეფცია. დიუგის თეორიაში საზოგადოებაში ადამიანების გამაერთიანებელი კავშირები სოციალური სოლიდარობის კავშირებია. საზოგადოება იყოფა კლასებად, თითოეული კლასი საკუთარ მისიას, საკუთარ მოვალეობას, საკუთარ სოციალურ ფუნქციას ასრულებს სოლიდარობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებაში ჰარმონიის დამყარების მიზნით. ეს სოციალური კავშირები ეფუძნება შრომის განაწილებას. შრომის განაწილების პროცესში კლასების თანამშრომლობა მიგვიყვანს კაპიტალიზმის ჩრდილოვანი მხარეების დაძლევასთან – მშვიდობიანი გზით, რევოლუციების გარეშე. იურიდიული ნორმა წარმოიშობა სპონტანურად, საზოგადოებრივი ურთიერთკავშირების პირობებში, კანონმდებელი კი მხოლოდ მის

ლასკი[1], ან, შესაძლოა, ის ეთანხმება რ. მაკდონალდს[2], რომელიც დიდი ხანია, ცნობილია ამ მიზნით დაპატენტებული საშუალებების გამომგონებლად, დევიზით: „ჩვენ რეფორმისტები არ ვართ, ჩვენ ტრანსფორმისტები ვართ“.

კონსტატაციას ახდენს და არ ქმნის ნორმას. ამ ასპექტით, ლ. დიუგის თეორია დაკავშირებულია სოციოლოგიურ იურისპრუდენციასთან. სოციალური სოლიდარობის ნორმა ინდივიდისათვის ქმნის მხოლოდ უფლებას, შეასრულოს „სოციალური მოვალეობა“, განსაზღვრული სოციალური ფუნქცია, რომლის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული პირი იკავებს ადგილს საზოგადოებრივი სოლიდარობის სისტემაში და მას არ აქვს სხვა უფლებები. დიუგი საუბრობდა საზოგადოების სოციალური რეფორმის შესახებ, რომლის მიხედვითაც კლასობრივი საზოგადოება გადაეწყობა სინდიკატების საფუძველზე. თითოეული კლასი პროფესიული ნიშნით ერთიანდება პროფესიულ კავშირებში. კლასებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებენ არა კანონები, არამედ – ხელშეკრულებები [მთარგმნელი].

[1] **ჰაროლდ ჯოზეფ ლასკი** (1893-1950) – ბრიტანელი მეცნიერ-პოლიტოლოგი და პოლიტიკის თეორეტიკოსი, ეკონომისტი, მასწავლებელი, სამეცნიერო მწერალი. 1914 წელს ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა ოქსფორდის უნივერსიტეტში. 1916 წელს დაინიშნა თანამედროვე ისტორიის მასწავლებლად კანადის მაკჰილის უნივერსიტეტში. ასევე, ლექციებს კითხულობდა ჰარვარდისა (1916) და იელის (1919) უნივერსიტეტებში, რითაც უამრავი ნაცნობი შეიძინა ამერიკის მმართველ ელიტაში. 1920 წელს დაბრუნდა ინგლისში, სადაც ასწავლიდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში და 1926 წელს მიიღო პროფესორის წოდება, რომელსაც 1950 წლამდე ინარჩუნებდა. პრაქტიკულად, დაბრუნებისთანავე გახდა ლეიბორისტული პარტიის აქტიური მოღვაწე, 1920-იან წლებში დაწერა მრავალი პოლიტიკური ხასიათის ესე. პირველი დიდი ნაშრომები ლასკიმ ამერიკაში ყოფნის დროს დაწერა: „სუვერენიტეტის საფუძვლები“ (1921), „ძალაუფლება თანამედროვე სახელმწიფოში“ (1919), „სუვერენიტეტის პრობლემის გამოკვლევა“ (1917), რომლებშიც მკვეთრად აკრიტიკებდა ე.წ. „ყოვლისმომცველი სახელმწიფოს“ იდეას. ნაშრომებში: „პოლიტიკის გრამატიკა“ (1925) და „თავისუფლება თანამედროვე სახელმწიფოში“ (1930) ასახულია მისი შეხედულებები დემოკრატიული სოციალიზმის შესახებ, მაშინ, როცა 1930-იანი წლების ნაშრომებია: „დემოკრატია კრიზისშია“ (1933), „სახელმწიფო თეორიასა და პრაქტიკაში“ (1935); 1948 წელს მან გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „ამერიკული დემოკრატია“ [მთარგმნელი].

[2] **ჯეიმს რამსეი მაკდონალდი** (1866-1937) – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და ლეიბორისტული პარტიის ლიდერი. მაკდონალდი 1880-იან წლებში ბაირბეკის ლიტერატურისა და მეცნიერების ინსტიტუტში საღამოს კლასებში იღებდა განათლებას ბოტანიკისა და სოფლის მეურნეობის დარგებში, თუმცა ჯანმრთელობის პრობლემების გამო სწავლა მიატოვა. 1890-იანი წლების დასაწყისიდან ჩაერთო აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში, დაუახლოვდა რადიკალ ლიბერალ პოლიტიკოსებს. შემდგომში ხდება ფაბიანური საზოგადოების წევრი, თავისუფალი ჟურნალისტი და სხვადასხვა დროს, ცოდნის შევსების მიზნით, ესწრება ლექციებს ლონდონის ეკონომიკის სკოლასა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 1894 წელს შეუერთდა ახალშექმნილ დამოუკიდებელ ლეიბორისტულ პარტიას. 1901 წელს აირჩიეს ქალაქ ლონდონის საბჭოში, 1900 წელს – ინგლისის ლეიბორისტული პარტიის მდივნად. პირველად 1906 წელს აირჩიეს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრად. 1911 აირჩიეს ინგლისის ლეიბორისტული

ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალისტური ტრანსფორმაციის შესაძლებლობის შესახებ თეზისი არ არის მარქსისტული თეზისი. პროფ. სურგულაძის ძირითადი თეზისი ამგვარი ტრანსფორმაციისათვის თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არასაკმარისობის შესახებ, ასევე, მკვეთრად არასაკმარისია იმისათვის, რომ მის სტატიას შეძლებოდა, მარქსისტული სტატიის ხასიათი მიეღო. ამისათვის სავალდებულოა, დავამტკიცოთ თეზისი – ბურჟუაზიული სახელმწიფოს რაიმე სახით „სოციალისტური ტრანსფორმაციის“ შეუძლებლობისა და ასეთი სახელმწიფოს პროლეტარული რევოლუციის ნგრევის აუცილებლობის შესახებ.

დემოკრატიის საკითხში კაუცკის შეხედულებების კრიტიკის წარმოება სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრების თვალსაზრისით პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი დიქტატურის თვალსაზრისით მის წარმოებას ნიშნავს. სხვაგვარი კრიტიკა ვერ იქნება მარქსისტული კრიტიკა. პროფ. სურგულაძის სტატია არ შეიცავს და არ შეიძლება შეიცავდეს კაუცკის შეხედულებათა ამგვარ კრიტიკას, თუნდაც იმის გამო, რომ მარქსიზმთან აზრთა სხვაობამ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზთა საკითხებში, აგ-

---

პარტიის თავმჯდომარედ. წლების განმავლობაში იყო მემარცხენე ჟურნალის – “The Socialist Review” – რედაქტორი. პირველი მსოფლიო ომის დროს გამოდიოდა რადიკალური პაციფისტური მოწოდებებით და ეწეოდა ანტისაომარ პროპაგანდას. ომის შემდგომ პერიოდში აქტიურად საქმიანობდა სოციალისტურ ინტერნაციონალში. იმოგზაურა საბჭოთა რუსეთში. 1920 წლის სექტემბერში, სხვა ევროპელ სოციალისტებთან ერთად, რამსეი მაკდონალდი ეწვია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სიტყვით გამოვიდა საგარეჯოსა და ტყიბულის მიტინგებზე. საქართველოში ყოფნისას შეხვდა ბრიტანეთის წარმომადგენელ პოლკოვნიკ სტოუკს და საქართველოსათვის დახმარება სთხოვა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ არაერთი სტატია და მოხსენება გამოაქვეყნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ, სხვა ევროპელ სოციალისტებთან ერთად, აპროტესტებდა აღნიშნულ ქმედებას და გარკვეულ დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილ მთავრობას. 1924 წელს რამსეი მაკდონალდი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. წარუმატებელი მმართველობისა და პოლიტიკური კრიზისის შემდეგ 10 თვეში გადადგა, 1929-1931 წლების განმავლობაში მეორედ ჩაუდგა სათავეში ლეიბორისტულ მინისტრთა კაბინეტს. მმართველობის ეს პერიოდი „დიდ დეპრესიას“ დაემთხვა და არცთუ წარმატებული გამოდგა. 1931-1935 წლებში ხელმძღვანელობდა ეროვნულ მთავრობას, ეროვნული ლეიბორისტული ორგანიზაციისა და კონსერვატიული პარტიის შემადგენლობით, თუმცა წარუმატებლად. 1937 წელს, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, საზღვაო ლაინერით გაემგზავრა სამოგზაუროდ, გარდაიცვალა ატლანტის ოკეანეში, ჩაუტარდა კრემაცია, თავდაპირველად დაკრძალეს ვესტმინსტერში, შემდეგ კი მშობლიურ მხარეში. იხ. ***ირემაძე ი.***, რამსეი მაკდონალდი, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, 2018, 253 [რედ.].

რეთვე, სახელმწიფოსა და საზოგადოების გაიგივებით და სახელმწიფოს კლასობრივი არსის შეუცნობლობით, პროფ. სურგულაძე გარდაუვლად მივიდოდა და მივიდა კიდეც, მისივე ენით თუ ვიტყვით, თანამედროვე სახელმწიფოს დახასიათების საკითხში „რამდენადმე სხვა შეხედულებამდე, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ მარქს-ენგელსის თხზულებათა საფუძველზე“.

რაც შეეხება პროფ. ნანეიშვილს და ლექტორ ჯაფარიძეს, დისკუსიის შემდეგ ისინი აღარ გამოსულან რაიმე განცხადებით. ისინი უპირატესობას ანიჭებენ საკუთარი იდეოლოგიური „საიდუმლოების“ შენახვას მდუმარების წყალგაუმტარი ნიღბის ქვეშ და მხოლოდ ის ავიწყდებათ, რომ მდუმარებაც ხშირად მრავლისმთქმელი და დამაჯერებელია...

4

ყოველივე ზემოთქმულიდან საჭიროა იმ დასკვნის გაკეთება, რომ საბჭოთა საქართველოში ანტიმარქსისტული, პროლეტარიატისათვის მტრული ბურჟუაზიული სამართლებრივი აზრი, მისი წარმომადგენლების სახით, – პროფ. ვაჩეიშვილის, ნანეიშვილის, სურგულაძის, ჯაფარიძისა და, აგრეთვე, რიგი სხვებისა, – რომელთა გვარებს ჩვენ არ ვახსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მეცნიერ-მუშაკებს არ აქვთ სამეცნიერო და, ზოგადად, რაიმე სახის ნაბეჭდი ნაშრომები, თუმცაღა, რომელთა ანტიმარქსისტული პოზიციები ცნობილია, განაგრძობენ არსებობას და ეწევიან ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ.

ხოლო პროფესორების – ვაჩეიშვილისა და სურგულაძის განცხადებები მოწმობენ მხოლოდ იმას, რომ ეს ბრძოლა ახალ სტადიაში გადადის, სხვა ფორმებში. პროფ. ვაჩეიშვილი და სურგულაძე, რომლებმაც დისკუსიაზე ვერ შეძლეს იმის დამტკიცება, რომ ეს ნაშრომები მარქსისტულია, ახლა იმას აცხადებენ, რომ ეს ნაშრომები არ გამოხატავენ იმ მარქსისტულ შეხედულებებს, რომლებსაც ისინი, თითქოსდა, ავითარებენ საკუთარ აკადემიურ ნაშრომებში. ამაში უპირობოდ აისახება ახალი მცდელობა, დამალულიყო მათი ანტიმარქსისტული შეხედულებანი „მარქსისტული“ ფრაზეოლოგიის ნიღბის ქვეშ. პროფ. ვაჩეიშვილისა და სურგულაძის განცხადებათა პრინციპული მნიშვნელობა სწორედ ისაა, რომ, თუ აქამომდე იდეალისტური ბურჟუაზიული თეორიებით საბჭოთა საქართველოში სრულიად ღიად გამოდიოდნენ, აღნიშნულ განცხადებებში ჩანს ტენდენცია იქითკენ, რომ იგივე თეორიები სამომავლოდ უფრო დახვეწილად შენიღბული სახით გამოვლინდება, როგორც ეს ხდება სსრკ-ის სხვა ნაწილებში და რისიც პირველი ნიმუში ქართულ სინამდვილეში მოცემულია ჩვენ მიერ დასახელებულ პროფ. სურგულაძის სტატიაში, კაუცკის წინააღმდეგ.

აღნიშნული გარემოება, რომელიც უპირობოდ გულისხმობს ქართულ სინამდვილეში მარქსისტული თეორიის გამყარებას, ჩვენგან – მარქსისტი სახელმწიფომცოდნეებისაგან – მოითხოვს კიდევ უფრო მეტ სიფხიზლეს ანტიმარქსისტული რეაქციული თეორიების გამოაშკარავების საქმეში და დაუნდობელ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. შეფარული მტრის გამოცნობა არ არის იოლი, და ამიტომაც ის უფრო საშიშია, ვიდრე აშკარა მტერი. ამის უზრუნველსაყოფად გამოდგება „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატიის ისტორიული მაგალითი. საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგია უნდა გამოაშკარავდეს სრულფასოვნად და მთლიანად, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმაში შეიმოსება ის და რა სახითაც არ უნდა გამოდიოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ.

დისკუსიაზე გამოსვლისას პროფ. ნანეიშვილმა რაღაცნაირად განაცხადა: „მე მსურს, თქვენ მხოლოდ ერთი რამ გითხრათ: გსურთ, რომ ჩვენ გაგვაძევოთ ინსტიტუტიდან? – კეთილი, წავალთ; გსურთ, რომ ჩვენ თქვენთან ვითანამშრომლოთ, რომ ჩვენ თქვენთან მოვიდეთ ხოლმე, რომ დავამყაროთ რაღაც modus vivendi[1]? – მაშინ მოგვეცით საშუალება, მოისმინოთ ჩვენი ფრაზები და ჩვენი ფრაზების კრიტიკა, და არა ის ფრაზები, რომლებსაც თქვენ ჩვენ მოგვაწერთ“.

იმავე პროფ. ნანეიშვილს, რომელმაც, „ზედმეტი მოკრძალების“ გარეშე, დისკუსიის დროს შენიშნა: „მე პირადად მესმის, რომ, მიუხედავად იმისა, ჩემი ნაშრომი მომხსენებელს წაკითხულიც და კარგად გაზუთხულიც აქვს, მაინც ზოგიერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც ჩემს ნაშრომში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, მის მიერ არ არის გააზრებული და სათანადოდ შემეცნებული“ – და საკუთარ მოვალეობადაც მიაჩნდა დახმარებოდა მომხსენებელს, განეხილა მისი (ნანეიშვილის) ნაშრომი მარქსისტული თვალთახედვით. როგორც ჩანს [პროფ. ნანეიშვილს], ვერც ვერაფრით „გაუაზრებია“, ვერც „შეუმეცნია“ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ მათი ჩვენთან ერთობლივი საქმიანობა მხოლოდ ერთადერთი საფუძვლით არის შესაძლებელი, [მხოლოდ] მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე სახელმწიფოს აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში.

თუ ამხანაგი გეგენავა თავის დასკვნით სიტყვაში საუბრობდა იმის შესახებ, „ვის რა პოზიცია ეკავა სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ მეცნიერებაში... აბსოლუტურად აუცილებელია იმისთვის, რათა განვსაზღვროთ ჩვენი თანამგზავრების ჩვენთან თანამშრომლობის შესაძლებლობა და ფორმები“, მაშინ აქედან, რასაკვირველია, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ სადღეისოდ ასეთი თანამშრომლობა უწინდელი ფორმით, შეუძლებელი-

[1] დროებითი ზავი, შეთანხმება [მთარგმნელი].

ა. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად საბჭოთა მეცნიერების ინსტიტუტიდან გაყრას. საბჭოთა ხელისუფლება მათ ძალიან უფრთხილდება, განსაკუთრებით, ძველ დროში დამონებული ერების წარმომადგენელ მეცნიერებს, რომლებმაც მხოლოდ საბჭოთა სინამდვილის პირობებში მოიპოვეს ეროვნული კულტურის განვითარების რეალური შესაძლებლობები.

თუმცა პროფ. ნანეიშვილმა და მასთან ერთად მათაც, ვისი სახელითაც მან საკუთარ თავზე აიღო სიმამაცე, ისაუბროს, უნდა შეიგნონ, რომ ჩვენ ვაკრიტიკებთ და ვებრძვით არა ფრაზებს, არამედ თეორიულ პოზიციებს. მათი „ფრაზები“ მათი საქმეებია. მათში აღბეჭდილია ანტიმარქსისტული, პროლეტარიატისათვის მტრული, რეაქციულ-ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც წინააღმდეგ ჰუსერლისა და მისი მოწაფეებისა, არ არის მოწყვეტილი ჩვენი სოციალური ცხოვრებისაგან, ჩვენი დაძაბული სოციალისტური აღმშენებლობისაგან, ხოლო ბაზისზე ზედნაშენის უკუზემოქმედების კანონის ძალით პირდაპირ მტრობს აღნიშნულ აღმშენებლობას.

აი, [მიზეზი, თუ] რატომაც არ მოხდება, უმწვავესი კლასობრივი ბრძოლის არსებულ პირობებში, მათსა და სამართლისა და სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის წარმომადგენლებს შორის სხვა მოდუსის არსებობა, გარდა დაუნდობელი ბრძოლისა, მათ საბოლოო განიარაღებამდე.

[ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სოციოლოგიის
კათედრის გამგე, პროფესორი ალექსეი ბოლოტნიკოვი]

პირველი სხდომა

1930 წლის 25 ოქტომბერი

თავმჯდომარე ბოლოტნიკოვი:

ამხანაგებო, უფლება მიბოძეთ, გახსნილად გამოვაცხადო მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოების, ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის, ჩვენი კათედრისა და, აგრეთვე, საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის (უსდ-ს[1]) ღია გაერთიანებული სხდომა.

დღის წესრიგშია დაყენებული ამხანაგ გეგენავას მოხსენება საბჭოთა საქართველოში არსებული სამართლებრივი აზრის დახასიათების შესახებ. თუმცა, ვიდრე სიტყვას გადავცემდეთ მომხსენებელს, მე კრებას უნდა მივაწოდო ზოგადი ინფორმაცია აღნიშნული მოხსენების მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

მისი [მოხსენების] დაყენებისას ჩვენ ორი მოთხოვნიდან გამოვდიოდით:

1) დაგვედგინა დისლოკაცია საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ ფრონტზე ძალთა კონკრეტული განლაგებისა და

2) გაგვეთვალისწინებინა ის მარქსისტული ძალები, რომლებიც აქ მუშაობენ სამართლის სფეროში.

ჩვენ ვთვლიდით, რომ დაყენებული მოხსენებით ორივე ეს ამოცანა მეტნაკლებად გადაწყვეტილია, ყოველ შემთხვევაში, რეკოგნოსცირება ამა თუ იმ მიმართებით საკმარისად განხორციელებულია.

და, მართლაც, საქართველოს საბჭოთა სამართლის ინსტიტუტში მომუშავე პროფესორებისა და მასწავლებლების ნაწარმოებების გაანალიზებით, ჩვენ ვიძლევით შესაძლებლობას, ყოველმხრივ განვიხილოთ აღნიშნულ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებული კონცეფციები, როგორც მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების, ისე თვით ავტორებისა და სხვა ამხანაგების მხრიდან, რომლებსაც სურდათ, დაესაბუთებინათ და დაეცვათ ეს კონცეფციები.

ამრიგად, ჩვენ შევძლებთ, გამოვარკვიოთ როგორც ჩვენი საკუთარი ძალები, აგრეთვე, მეორე მხრივ, ჩვენი მოწინააღმდეგის ძალები. თანაც, მე წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ აქ გაკრიტიკებული კონცეფციები არის ანტიმარქსისტული, ამიტომაც იდეოლოგიურად მავნებელი, ასე რომ, მოწინააღმდეგის ცნება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არის აღებული.

აქ გაკრიტიკებული ნაწარმოებების ავტორებს, პიროვნულად, ჩვენ აღმატებული ხარისხით ვცემთ პატივს, როგორც ადამიანებს, რომლებმაც საკუ-

[1] იგულისხმება უმაღლესი სასწავლო დაწესებულება [რედ.].

თარი თავი წარმოაჩინეს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ერთგულმა მუშაკებმა. თუმცა ჩვენი სინამდვილის ნებისმიერ სფეროში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისათვის მძაფრი ბრძოლით ჩვენ უნდა ვებრძოლოთ და ვიბრძოლებთ კიდეც ყოველივეს [წინააღმდეგ], რაც უცხოა მარქსიზმისათვის, შევებრძოლებით ნებისმიერ იდეალისტურ, ცრუმეცნიერულ კონცეფციას, საიდანაც ის არ უნდა მომდინარეობდეს.

ეს, თავის მხრივ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბრძოლის სახელით ჩვენ უნდა დავამცროთ კრიტიკის თეორიული სიმაღლე (დონე, მნიშვნელობა). თეორიული ბრძოლის დროს საკითხის დაყენების აკადემიურობა საუკეთესო შედეგს იძლევა და ჩვენ მას დაჟინებით მოვითხოვთ.

რაც შეეხება რეგლამენტს, ვფიქრობ, რომ შესაძლებელია შევთანხმდეთ შემდეგზე: მომხსენებელს მივცეთ ორი აკადემიური საათი, თხუთმეტწუთიანი შესვენებით, ხოლო დისპუტაციის მიმართ, ცხადია, რომ დასაშვები იქნება დიფერენცირება, რომლის თაობაზე შესაძლებელია შევთანხმდეთ მოხსენების შემდეგ.

ახლა კი, ნება მიბოძეთ, სიტყვა გადავცე ამხანაგ გეგენავას.

გეგენავა:

ამხანაგებო, ცნობილია, რომ ჩვენთვის, მარქსისტი ლენინელებისათვის, საზოგადოებრივი იდეოლოგიის საკითხები, არსობრივად კლასობრივი ბრძოლის საკითხებია. მსგავსი მიდგომის მართებულობა საბჭოთა საქართველოში არსებული სამართლებრივი აზრის მიმართაც სრულიად ეჭვგარეშეა. თუ ყველასათვის ნათელია, რომ სამართლისა და სახელმწიფოს საკითხები, მათი პრაქტიკული დანიშნულებით, არსობრივად კლასთა პოლიტიკური ბრძოლის საკითხებია, ასევე, ყველასათვის ისიც უნდა იყოს ცხადი, რომ სამართლისა და სახელმწიფოს თეორია, რომელიც პრაქტიკული პოლიტიკის გზებს განიხილავს, არის კლასობრივი თეორია, ანუ კლასის იდეოლოგიის სფერო, სადაც კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკა თავის უშუალო ასახვას პოვებს.

სამართლის თეორია კლასობრივი თეორიაა იმ თვალსაზრისითაც, რომ, ფ. ენგელსის მართებული შენიშვნით, იურიდიული მსოფლმხედველობა არის ბურჟუაზიული საზოგადოების კლასიკური მსოფლმხედველობა ზუსტად ისევე, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობა იყო ფეოდალური საზოგადოების კლასიკური მსოფლმხედველობა. აქედან [გამომდინარე], გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე ეპოქაში ჩვენი კლასობრივი მტერი, ბუნებრივია, პოულობს მისთვის ხელსაყრელ პოზიციებს სწორედ სამართლის თეორიის სფეროში, მით უმეტეს, რომ იდეოლოგიის აღნიშნული სფერო ჯერ კიდევ არასაკმარისად განიცდის მარქსისტულ კრიტიკას და ამხანა-

გი სტუჩკას[1] თეზისი იმის შესახებ, რომ სამართლის რევოლუცია მხოლოდ ახლა იწყება, მნიშვნელოვანწილად, ამ დრომდე ძალაში რჩება.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემი დღევანდელი მოხსენება თემაზე – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“ აქტუალურია. არც მე, არც ის ორგანიზაციები, რომლებიც მე პატივს მდებენ ჩემი მოხსენების წარმოდგენით, არ ისახავენ მიზნად, პიროვნულად გაასამართლონ იმ ნაწარმოებების ავტორები, რომლებშიც წარმოდგენილია საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი. ჩემი მოხსენება სულაც არ არის საბრალდებო აქტი ჩვენი პროფესორების წინააღმდეგ, არამედ ის არის მათი ნაშრომების კრიტიკული ანალიზი. მე მსურს, შევაფასო საბჭოთა საქართველოში არსებული თანამედროვე სამართლებრივი აზრის მდგომარეობა, რათა ვიცოდეთ, თუ რა მოთხ-

---

[1] **პეტრე სტუჩკა** (1865-1932) – მწერალი, იურისტი, პროფესორი, ლატვიისა და სსრკ-ის პოლიტიკური ფუნქციონერი, ლატვიის კომპარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაამთავრა რიგის საქალაქო გიმნაზია (1883) და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1888). იგი იყო ლატვიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის – “Jaunā Strāva” (ახალი მიმდინარეობა) ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სტუჩკა გახდა პეტროგრადის საბჭოების ბოლშევიკური ფრაქციის წევრი, იყო ოქტომბრის გადატრიალების მონაწილე, 1917 წლის 24 ოქტომბრიდან იმყოფებოდა სმოლნიში და კავშირს ამყარებდა ლატვიელ მსროლელთა რაზმებთან, იყო პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, 1918 მარტში – პეტროგრადის შრომითი კომუნის იუსტიციის კომისარი, 1918 წლის 18 მარტიდან კი – რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარი. სტუჩკას მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მართლმსაჯულებას. ის იყო სასამართლოს შესახებ №1 დეკრეტის ერთ-ერთი ავტორი. „ჩვენმა პროექტმა სასამართლოს შესახებ №1 დეკრეტისა, – შემდგომში იხსენებდა სტუჩკა, – ვლადიმირ ილიას ძის აღფრთოვანება გამოიწვია. დეკრეტის არსი ორ დებულებაში მდგომარეობდა: 1) განიდევნოს ძველი სასამართლო და 2) გაუქმდეს ყველა ძველი კანონი“. 1918 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სტუჩკა იკავებდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობას, 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის იანვრამდე იყო ლატვიის საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე, 1919-1920 წწ.-ში – იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე. იმავდროულად, 1919-1920 წწ.-ში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სპეკულაციისა და მასთან დაკავშირებული სამოხელეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, 1920-იანი წლების დასაწყისში – საკოდიფიკაციო სამუშაოების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე (კერძოდ, მონაწილეობდა 1922 წლის რსფსრ-ის სამოქალაქო კოდექსისი შექმნაში) გახლდათ. პირველი საბჭოთა „სახელმწიფოსა და სამართლის ენციკლოპედიის“ (1925-1927) მთავარი რედაქტორი. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის (1931 წლიდან) ერთ-ერთი შემქმნელი და დირექტორი. მის სახელთან არის დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომლებიც მარქსისტული იდეოლოგიურ როლი სამართლისა და სახელმწიფოსი: ზოგადი სწავლა სამართალსა და სახელმწიფოზე (ზოგადი სწავლა სამართალზე) და 2. სწავლა რსფსრ-ის სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე [მთარგმნელი].

ოვნების წამოყენება შეგვეძლება მის მიმართ უახლოეს პერიოდში, თუ რამდენად წარმატებულად მივმართავთ მას მარქსისტულ-ლენინურ კალაპოტში.

უშუალოდ, ჩემი მოხსენების თემიდან გამომდინარე, მე იმ ძირითადი ფაქტიდან გამოვდივარ, რომ სადღეისოდ სამყარო გახლეჩილია ორ ერთმანეთთან მებრძოლ ბანაკად – ერთი მხრივ, პროლეტარიატი და მშრომელი მასები, მეორე მხრივ – კაპიტალისტები.

ჩვენ მიერ დღეს განვლილი პერიოდი არის ამ ორ ბანაკს შორის მიმდინარე გააფთრებული ბრძოლის პერიოდი, როგორც [ქვეყნის] შიგნით, ისე ჩვენი ქვეყნის მიღმა. სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის კაპიტალისტური გარემოცვა, ასევე, არის ისტორიული ფაქტი, და, თუ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს, საბჭოთა კავშირის სახით, აქვს ქვეყანა, სადაც, რევოლუციური სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკის დარად, აგრეთვე, გამოიწრთობა მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური აზრი, ჩვენი ქვეყნის შიგნით კაპიტალისტურ ელემენტებსაც აქვთ პოლიტიკური და თეორიული მოკავშირეები სიკვდილის პირას მიყვანილი უცხოური კაპიტალიზმის სახით.

ამიტომაც იმ პოლიტიკურ-თეორიული პოზიციის განსაზღვრის მიზნით, რომელსაც იკავებს საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი, სრულიად აუცილებელია, თუნდაც უზოგადესი სახით, შევეხოთ სამართლებრივი აზრის მდგომარეობას, ზოგადად, თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური აზრის ფაქტებთან დაკავშირებით.

თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ფაქტები (ასეთი ფაქტების რაოდენობა კი ძალზე დიდია, მე ყველას არ ჩამოვთვლი) იმაზე მეტყველებს, რომ კაპიტალიზმი განიცდის კრახს, რომ კლასთა ბრძოლაში ძალთა განლაგება მკვეთრად იცვლება შეტევაზე გადასული პროლეტარიატის სასარგებლოდ, რომ კაპიტალიზმს, ნებსით თუ უნებლიეთ, მოუწევს ადგილის დათმობა სოციალიზმისათვის. სრულიად ცხადია, რომ ყოველივე ეს არ ასახულიყო სიკვდილის პირას მისული ბურჟუაზიული საზოგადოების სამართლებრივ აზრზე.

საკუთარი სამართლისა და სამართლის თეორიის თვით არსებობაც კი გენეტიკურად უკავშირდება ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებას. როგორც თქვენთვის არის ცნობილი, ბუნებითი სამართლის ფილოსოფია წარმოიშობა და ვითარდება ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან ერთად; სწორედ ის ახდენდა საკუთარი ფილოსოფიური სისტემის პრინციპების შეპირისპირებას იმდროინდელი სინამდვილის ფაქტებთან, იმ ფაქტებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ ბორკილებს ბურჟუაზიული საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის. დასახელებული ფილოსოფიის გავლენის შესახებ შესაძლებელია ვიმსჯელოთ სახელმწიფო სამართლის ძალზე ავტორიტეტული ბურჟუაზიული თეორეტიკოსის თუნდაც შემდეგი სიტყვებით: „ბუნებითი სა-

მართლის ფილოსოფოსები, – ამბობს ის, – თუნდაც ირიბად, ჭეშმარიტი კანონმდებლები იყვნენ. ძველი დროის ლეგენდარული ფილოსოფოსების მსგავსად, მათმა თეორიულმა დებულებებმა და აქსიომებმა იმდენად საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და იმდენად ძლიერად დაეუფლნენ [ადამიანის] ტვინს, რომ რევოლუციური ეპოქის სახალხო კრებებმა მიიღეს და იმ ძირითად პრინციპებად აღიარეს ისინი, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს მთელი საზოგადოება; ისინი ზრუნავდნენ მხოლოდ მათ გამოყენებაზე“.[1]

მე არ ვისაუბრებ ამ პრინციპებზე, ისინი ყველასათვის ცნობილია. მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, როცა კაპიტალისტური ხელისუფლება და სახელმწიფო იქცნენ ფაქტად, აღნიშნულმა ფილოსოფიურმა პრინციპებმა და, ზოგადად, სამართლის ფილოსოფიამ, მნიშვნელოვანწილად ადგილი დაუთმეს იურიდიულ დოგმატიზმსა და პრაქტიციზმს. უკვე დაისიმ[2] აღარ მოიწონა ის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, იურისტი ვალდებულია, ბურჟუაზიული სახელმწიფოს კონსტიტუციაში იხილოს „არა მარტივი პოლიტიკური მოწყობა, არამედ, ასე ვთქვათ, სახელმწიფო აღმშენებლობის წმინდა საიდუმლოება“; „არა თავს დაესხას კონსტიტუციას ან დაიცვას ის, არამედ მხოლოდ განმარტოს მისი დებულებანი“; „იმ შემთხვევაშიც კი სცეს პატივი, როცა შეუძლებელია გააზრება“.[3]

ბურჟუაზიული სახელმწიფოს ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ის არ საჭიროებდა რაიმე სახის დასაბუთებას, გარდა საკუთარი არსებობის ფაქტისა. დაისის მიერ აღნიშნული, იურიდიული აზროვნების თავისებური ტრადიცია იმის შედეგი იყო, რომ სახელმწიფოს „უწმინდესი ნების“ ძლევამოსილება იყო ძირითადი პრინციპი. თუმცა დრო გავიდა! უკვე ამ საუკუნიდან მოყოლებული, მდგომარეობა შეიცვალა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ავტორიტეტმა რყევა დაიწყო, რევოლუციური ეპოქა გვიახლოვდებოდა და თან ეჭვებიც მოჰქონდა ბურჟუაზიული სამართლებრივი აზრის ძირითადი პრინციპების მიმართ. ამ, ასე ვთქვათ, საუკუნის სულისკვეთებითაა განმსჭვალული იმპერიალიზმის ეპოქის სახელმწიფო სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელი ლეონ დიუგი. მას ეკუთვნის შემდეგი მრავლისმთქმელი სტრიქონები: „მე ვთვლი კიდეც, რომ მრავალ ად-

---

1 А. Эсмен, Основные начала государственного права, Москва, 1898, 142.

2 **ალბერტ დაისი** (1835-1922) – ინგლისელი იურისტი. მისი მთავარი ნაშრომი „ინგლისის სახელმწიფო სამართლის საფუძვლები“ სახელმწიფო სამართლის სფეროში დაწერილი ყველაზე ღრმა და ფუნდამენტური წიგნია, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლის უზენაესობის კონცეფციას. 1916 წლიდან იყო სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა და ფილოლოგიის მიმართულებით (ისტორიულ-პოლიტიკური მეცნიერებების განხრა) [მთარგმნელი].

3 Даиси А. В., Основы государственного права Англии, Москва, 1905, 4-5.

მინისტრატორს აქამომდე ფარულად სწამს, რომ ისინი უზენაესი ბუნებისანი არიან. თუმცა საზოგადოება სკეპტიკური გახდა“.[1] აქედან მომდინარეობს მის მიერ ახალი საფუძვლების მოძიება იმავე კაპიტალისტური საზოგადოების დასაბუთებისათვის, ძველი პრინციპების უარყოფის ფასად, რომლებიც ახალ პირობებში უკვე უვარგისია. თუმცა, თუ დიუგის ეპოქაში „პუბლიკა“ მხოლოდ სკეპტიკური ხდებოდა, ახლა ეს სკეპსისი გარკვეულ უნდობლობაში გადაიზარდა. სახელმწიფოს „წმინდა ნების“ საიდუმლოება გაამჟღავნა რევოლუციურმა პროლეტარიატმა, როგორც ბურჟუაზიის კლასობრივი დიქტატურის საიდუმლო. აქედან გამომდინარეობს ორიუს[2] მრავალმნიშვნელოვანი თეზისი: „როცა მასები გადავლენ მოქმედებაზე, ჟანდარმების [ოდენობა] აღარ იქნება საკმარისი“, – აქედან, ბურჟუაზიისათვის იმის გაცნობიერების აუცილებლობა, რომ გამოიყენოს ეკლესიის, რელიგიის ავტორიტეტი... რელიგია და ეკლესია ყოველმხრივ გამოიყენება კაპიტალისტების გაბატონებული კლასის მიერ, თუმცა, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ნუთუ, ამ ბრძოლაში, როცა ჟანდარმების ოდენობა ნათელია, რომ საკმარისი არ არის მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მოსაშთობად, როცა თვით ეკლესია და რელიგიაა მობილიზებული, ნუთუ სამართლის ფილოსოფია – ბურჟუაზიული საზოგადოების კლასიკური მსოფლმხედველობა, ისტორიული წარსულის ძველი და დიდებული კლასობრივი ბრძოლის პაპისეული იარაღი, აღარაფერში ვარგა?

აქედან [გამომდინარე], მართებულია ჩვენს ლიტერატურაში ხშირად ციტირებადი მაქს ერნსტ მაიერი[3]: „როცა გადატრიალება პოზიტიური სამარ-

---

[1] Леон Дюги, Социальное право, индивидуальное право, преобразование государства, Москва, 1909, 79.

[2] **მორის ორიუ** (1856-1929) – ფრანგი იურისტი, ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტი, ფრანგული იურიდიული აზრის ერთ-ერთი კლასიკოსი. „სახელმწიფო ხელისუფლების სკოლის“ წარმომადგენელი, რომელმაც შეიმუშავა სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი ხელისუფლების ხედვა, რომლის არსიც განსაკუთრებულ უფლებებს ამართლებს; აგრეთვე, შექმნა ფილოსოფიური და სოციოლოგიური ხასიათის, ინსტიტუციებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების თეორია. ბორდოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას მან ბრწყინვალედ აითვისა რომის სამართალი და სამოქალაქო სამართალი. პირველი დისერტაცია დაიცვა 1876 წელს თემაზე – „უკიდურესი ვადები რომისა და ფრანგულ სამართალში“, ხოლო სადოქტორო დისერტაცია – 1879 წელს, სათაურით: „კვლევები contradictio-ს შესახებ, სასყიდლიანი პირობებით მეუღლეებს შორის დადებული ხელშეკრულებები“ [მთარგმნელი].

[3] **მაქს ერნსტ მაიერი** (1875-1923) – გერმანელი სისხლის სამართლის სპეციალისტი, სამართლის ფილოსოფოსი. მან 1893 წლიდან სამი წლის განმავლობაში ისწავლა ლაიფციგის, ჰაიდელბერგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში ლიტერატურის ისტორიის, ხელოვნების ისტორიისა და ფილოსოფიის მიმართულებით. ფილოსოფიის სიყვარულის გამო, მაიერი 1896 წელს დაბრუნდა ჰაიდელბერგში, სადაც

თლის მსხვრევის ყველასთვის ხილულ და ხელშესახებ შესაძლებლობას იძლევა, პოპულარული ხდება იმის გააზრება, თუ რისთვის არის საჭირო სამართალი და რისთვის შეიძლება იყოს ის გამოსადეგი... უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში კი დაიწყო სამართლის ფილოსოფიის აღორძინება; იმ მიმართებით კი, რომ სამართლის ფილოსოფიამ სულ უფრო მნიშვნელოვანი წრეები მოიცვა, რევოლუციამაც შეუწყო ხელი".[1]

მაქს ერნსტ მაიერი შეცდომას უშვებს მთავარში: ბურჟუაზიული პოზიტიური სამართლის მსხვრევა არ არის შესაძლებლობა, არამედ ისტორიული აუცილებლობაა; და კარს მომდგარი რევოლუცია არა მხოლოდ ხელს უწყობს სამართლის ფილოსოფიას, მოიცვას მნიშვნელოვანი „წრეები", არამედ არის [კიდეც] ამ ფილოსოფიის აღორძინების მიზეზი. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, მაქს ერნესტ მაიერი კონსტატირებს სამართლის ფილოსოფიის აღორძინების ფაქტს და ამ მოვლენის კავშირს კაპიტალისტური სისტემის კრახთან. სამართლის ფილოსოფიის აღორძინება ისტორიული ფაქტია, თუმცა ეს არ არის სამართლის „საჭიროებისა" და „სარგებლიანობის" შესახებ მარტივი მსჯელობა, არამედ ბურჟუაზიული თეორიული აზრის მტანჯველი საქმიანობაა იმ მიზნით, რათა დაასაბუთოს ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კატეგორიების აუცილებლობა, თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა ფაქტის საპირისპიროდ.

მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის არსებობა, ასევე, არის ფაქტი. საბჭოთა კავშირი არის პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა, მშენებარე სოციალიზმის ქვეყანა, ის ქვეყანა, სადაც სოციალისტური აღმშენებლობის პირობებში, რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური პრაქტიკის პროცესში გამჟღავნდება სამართლის ფორმის საიდუმლოებანი, როგორც საქონელმწარმოებელი საზოგადოების ურთიერთობათა განზოგადების ფორმისა. სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში თეორიული მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური აზრი არნახულ სიმაღლემდეა ატყორცნილი. თემა: „მარქსი და ლენინი" სადღეისოდ პოპულარულია თვით ევროპელი მეცნიერების ზოგიერთ სადისერტაციო ნაშრომში. ბურჟუაზიული მეცნიერება ცდილობს, დაასაბუთოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამოუსადეგრობა. თუმცა საქმე ეს არ არის, არამედ ისაა, რომ უკვე დიდი ხანია, წავიდა ის დრო, როცა რევოლუციურ მარქსიზმს პროფესორთა მეცნიერება უბრალოდ მიაჩუმათებდა.

მან კუნო ფიშერთან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში. მაიერი სამართლისა და პოლიტოლოგიის შესასწავლად გადადის ახალდაარსებულ კაიზერ ვილჰემის უნივერსიტეტში (სტრასბურგში). 1898 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ახლა უკვე იურისპრუდენციაში. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ის მუშაობდა სამართლის ფილოსოფიაზე, რომელიც 1922 წელს გამოსცა [რედ.].

[1] ვციტირებ ი. რაზუმოვსკის სტატიას – Возрождение философии права в немецкой литературе, сборник Революция права, Москва, КА, 1925, 61.

კლასობრივი ბრძოლის ამ ვითარებაში იდეოლოგიური ფრონტის სამართლებრივ მონაკვეთზე საბჭოთა საქართველოშიც იბადება და განვითარებას იწყებს სამართლებრივი აზრი. ბუნებრივია, ჩვენ უნდა დავსვათ შეკითხვა – რა პოზიცია დაიკავა მან აღნიშნულ კლასობრივ ბრძოლაში?

სწორედ ამ საკითხის გარკვევას ეძღვნება დღეს ჩემი მოხსენება. მე მსურს, გავარკვიო ეს საკითხი პროფ. ვაჩეიშვილის, ნანეიშვილის, სურგულაძისა და სხვათა ნაშრომების კრიტიკული ანალიზის გზით, ვინაიდან ეს ნაშრომები წარმოადგენენ აღნიშნულ სფეროში ძირითად შრომებს და შედეგი, რომელიც მიიღება მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრის კლასობრივი სახის მაჩვენებელიც იქნება. ვიმედოვნებ, რომ პატივცემული ავტორები, რომლებიც აქ იმყოფებიან, დამეხმარებიან აღნიშნული საკითხის მიმართ ჭეშმარიტების დადგენაში, შემისწორებენ იქ, სადაც, შესაძლოა, მე არასწორად გავუგე მათ; ხოლო, თუ ჩვენ მიერ გაანალიზებული ნაშრომები ვეღარ ასახავენ საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზრს (ვინაიდან ამ წიგნების ავტორები არიან ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ვითარდებიან, რომლებიც, შესაძლოა, ახლა განსხვავებულ თეორიულ პოზიციებზე დგანან, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ნაშრომები მათ ჯერ კიდევ არ აქვთ), ამის შესახებ აქ განაცხადებენ და ამგვარად შეიტანენ კორექტირებას საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრის დახასიათებაში, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს არსებული ნაშრომების განხილვიდან.

პირველი ნაშრომი – ეს არის პროფ. ა. ვაჩეიშვილის ნაშრომი – „სამართლის ზოგადი თეორია“, 1926 წ., ტფილისი, სახუნტი[1], სახელმძღვანელო. არ ვიცი, არის თუ არა ეს წიგნი სახელმძღვანელო მიმდინარე სასწავლო წელსაც, მაგრამ, თუ ის ამ სასწავლო წელსაც არის სახელმძღვანელო (ვიმედოვნებ, რომ არა), მე აუცილებლობად მიმაჩნია მისი ამოღება. ამ ნაშრომის მიმართ მე წამოვაყენებ იმ თეზისს, რომ მასში საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი შეგნებულად გვერდს უვლის სამართლისა და სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, გულუბრყვილოდ უპირატესობას ანიჭებს მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილი პოზიტივიზმისა და დოგმატიზმის პოზიციებზე დარჩენას.

რატომ წამოვაყენე ეს თეზისი? და, უპირველეს ყოვლისა, რატომ შეგნებულად? ამით რაიმე ბოროტი ნების კონსტატირება არ მსურს. მე ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ავტორი აცნობიერებდა, თუ რა გზას ირჩევდა. აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს: „რაც შეეხება იმ მი-

[1] შემოკლება, რომელსაც საბჭოთა დროში გამოიყენებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღსანიშნავად [რედ.].

მართულებას, რომელსაც სამართლის განმარტებაში შეაქვს სოციოლოგიური მრწამსი და მეთოდები (განსაკუთრებით, ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრება), ეს მიმართულება გამოყოფილია როგორც ცალკეული წიგნის შინაარსი, რომლის გამოცემაც ავტორს განზრახული აქვს დამატებით ახლო მომავალში". ავტორის აღნიშნული მსჯელობიდან სრულიად ნათლად იკვეთება, რომ მის წინაშე იდგა საკითხი: „მარქსიზმის მიმართ როგორღა მოვიქცეთ?". ეს საკითხი კი მან გადაწყვიტა მთელი ისტორიული მატერიალიზმის „ბრჭყალებში მოქცევით", ანუ მისი სრულებით „გამორიცხვით" საკუთარი ნაშრომიდან. პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომში ისტორიული მატერიალიზმი მხოლოდ ამ ადგილას არის ნახსენები და მეტად სხვაგან არსად, მაშინ, როცა სოციოლოგიური სკოლა, ავტორის მტკიცების საპირისპიროდ, მის ნაშრომში არის ჩამოყალიბებული (დიურკჰეიმის[1] მიმართულება).

შემდეგ ავტორი ამტკიცებს, რომ „ამ წიგნის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს სამართლის ზოგადი ცნებების შესწავლასა და გააზრებაში, მისცეს მათ სახელმძღვანელო პრინციპები" და ა.შ.[2]

---

[1] **დავიდ ემილი დიურკჰეიმი** (1858-1917) – ფრანგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი, ფრანგული სოციოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის წინამორბედი. ო. კონტთან, კ. მარქსსა და მ. ვებერთან ერთად, ითვლება სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ფუძემდებლად. მოდერნის პირობებში არსებული სოციალური ინტეგრაცია, რომელიც მოკლებულია ტრადიციულ და რელიგიურ კავშირებს, დიურკჰეიმის მთავარი საკვლევი ინტერესის საგანი იყო. სოციოლოგის პირველი დიდი ნაშრომი „საზოგადოებრივი შრომის განაწილების შესახებ" გამოქვეყნდა 1893 წელს, ხოლო ორი წლის შემდეგ გამოვიდა მისი „სოციოლოგიური მეთოდის წესები". იმავე პერიოდში ის გახდა საფრანგეთში პირველი სოციოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი სოციოლოგიის დარგში. 1897 წელს მან წარმოადგინა მონოგრაფია – „სუიციდი", რომელშიც განახორციელა კათოლიკურ და პროტესტანტულ თემებში თვითმკვლელობათა სტატისტიკის შედარებითი ანალიზი. ამ ნაშრომმა, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე სოციოლოგიურ კვლევებს, საშუალება მოგვცა, გაგვემიჯნა სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, ფსიქოლოგიისა და სოციალური ფილოსოფიისგან. დაბოლოს, 1912 წელს წიგნში – „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები" – დიურკჰეიმმა წარმოადგინა რელიგიის საკუთარი თეორია, რომელიც აბორიგენებისა და თანამედროვეთა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ურთიერთშედარებას ეფუძნება. დიურკჰეიმს სურდა, სოციოლოგია ეხილა ფართოდ აღარებულ, სრულფასოვან სამეცნიერო სფეროდ. სოციალური ინტეგრაციის კვლევისას დიურკჰეიმი წერდა სამართლის, რელიგიის, განათლებისა და სხვა ინსტიტუტების შესახებ. სოციოლოგის ინტერესის კიდევ ერთი სფერო იყო სამეცნიერო ცოდნის დაკავშირება გამოყენებად ფორმებთან. ძირითადი ნაშრომებია: „სოციოლოგიის ელემენტები" (1889); „საზოგადოებრივი შრომის განაწილების შესახებ" (1893); „სოციოლოგიური მეთოდის წესები" (1895); „სოციოლოგია და ფილოსოფია" (გამოქვეყნდა გარდაცვალების შემდეგ, 1924) [მთარგმნელი].

[2] ხაზგასმა ჩემია – ა.გ.

ბოლოტნიკოვი:

როდის გაჩნდა ეს წიგნი?

გეგენავა:

1926 წელს. მე ვთვლი, რომ ამ დროისათვის სსრკ-ში მარქსისტულ-ლენინური სამართლებრივი აზრი საკმაოდ იყო განვითარებული იმისათვის, რათა ავტორს შესძლებოდა იმის გაგება, რომ 1926 წელს საბჭოთა ქვეყანაში სრულიად შეუძლებელია სამართლის ზოგადი თეორიის სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება მარქსიზმ-ლენინიზმის სრული იგნორირების პირობებში.

ზემოხსენებულიც კი სრულიად საკმარისი იქნებოდა ჩემი იმ თეზისის გამართლებისათვის, რომ ამ ნაშრომში საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი მარქსიზმ-ლენინიზმის მიღმა გადის. ამას თვით ავტორიც აღიარებს. მაგრამ მე მაინც მსურს გიჩვენოთ, თუ რა „სახელმძღვანელო პრინციპებს“ აძლევს ავტორი სტუდენტობას. რთულია, დავადგინოთ ავტორის პრინციპული სახელმძღვანელო დებულება. ჩემი აზრით, წიგნში არ არის მთლიანი კონცეფცია, არის ცალკეული თავები, რომლებიც განმარტავენ ცალკეულ საკითხებს, თანაც სულაც არ არის რთული იმის ჩვენება, რომ სხვადასხვა თავში ავტორს განსხვავებული პრინციპული დებულებები [მოჰყავს].

მე მაინც მსურს, წარმოგიდგინოთ ავტორის რამდენიმე მოსაზრება, მათი მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ღრმად მტრული [დამოკიდებულების] დასადგენად. ჩვეულებითი სამართლის სავალდებულოობის საკითხის გადაწყვეტა, ავტორის აზრით, ჩვენ უნდა ვეძიოთ „ადამიანის სულიერი ბუნების იმ თვისებაში, რომლის ძალითაც მუდმივი ფაქტი იძენს ნორმატიული წესრიგის მნიშვნელობას. ერთი და იმავე ქმედების ხშირი განმეორებით, ან რაიმე ქმედებისგან თავის შეკავებით იქმნება ჩვეულება; იმას, რასაც ადამიანი ჯერ მოთხოვნილების ან იძულების ზემოქმედებით ჩადის, თანდათანობით, განმეორების გზით, გადაიზრდება ჩვეულებითი ქცევის წესში. ამ გზით ჩვეულების ბუნებითი ძალა იმას აღწევს, რომ მდგომარეობა, რომელიც თუნდაც იძულებით არის გამოწვეული, გარკვეული დროის შემდეგ ბუნებით, ნორმალურ წესად ითვლება, რომელიც იურიდიულ ხასიათს ატარებს. **ამით აიხსნება მონობისა და ბატონყმობის დაარსება და მათი მრავალსაუკუნოვანი არსებობა.** ამრიგად, ჩვეულებითი სამართლის სავალდებულოობის საკითხი დგას სამართლის მიღმა. მისი საბოლოო გადაწყვეტა ჩვენ უნდა ვეძიოთ ადამიანის ფსიქიკურ ბუნებაში“ (ხაზგასმა ჩემია – ა.გ.). ამ ციტატის მოყვანით მე ვირთულებ მდგომარეობას. მე იმაზე ვფიქრობ, თუ რამდენად არის შესაძლებელი იმ ორ საგანს შორის მსგავსების დადგენა, რომლებსაც არავითარი საერთო არ გააჩნიათ? რა საფუძველი უნდა მოვიძიოთ ამ წუთას მოყ-

ვანილი, ჩვენი პროფესორის აზრების შესადარებლად სამართლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიასთან. განსხვავება – ყველაფერში, მსგავსება – არაფერში. მარქსისტულ-ლენინური თეორია სრულიად რევოლუციურია, ის სახელმძღვანელოა მუშებისა და მშრომელთა მასების რევოლუციური მოქმედებისათვის, ყოველგვარი რუტინულისა და წყეული მონური წარსულის მემკვიდრეობის წინააღმდეგ. პროფ. ვაჩეიშვილის თეორია სრულიად რეაქციულია, რადგან, თუ „მრავალსაუკუნოვანი მონობის არსებობა“ და დაწესება აიხსნება „ადამიანის ფსიქიკური ბუნებით“, რომელიც მრავალგზის განმეორებულ ფაქტებს აღიქვამს როგორც ნორმას, მაშინ დაზუსტებით გვიხდება გაკვირვება იმით, რომ პროფ. ვაჩეიშვილი არ ცხოვრობს მონურ საზოგადოებაში.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენი ავტორი არსად იძლევა იმის ფიქრის საბაბს, რომ ის ხვდებოდეს განსხვავებას ჩვეულებასა და სამართალს შორის. საზოგადოებრივი მთლიანის მხრიდან მის მიერ დადგენილი უფლებების გარანტიის ნიშანი არ იძლევა აუცილებელ სამართლებრივ species.

მით უმეტეს, ავტორისათვის სრულიად უცხოა სახელმწიფოს, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანიზაციის, მარქსისტულ-ლენინური განმარტება. სახელმწიფოს წარმოშობას ის სრულებით არ უკავშირებს კლასობრივი ბრძოლის წარმოშობასა და შეურიგებლობას. ის თვლის, რომ „სოციალური კავშირის ფაქტორი, რომელსაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ, იწყება მაშინ, როცა საზოგადოება გადადის ბინადარ მდგომარეობაზე“ (!- ა.გ.). ავტორისათვის, ასევე, უცხოა აზრი, რომ სამართალი არის საქონელმწარმოებელი საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობების ფორმა. ის თვლის, რომ „იურიდიული ნორმები“, კონვენციური ნორმებისაგან განსხვავებით, „განსაზღვრულია და ხშირად, აგრეთვე, დადგენილია სოციალური ავტორიტეტიც, რომელიც მოითხოვს მათ აღსრულებას. აქ საზოგადოება გამოყოფს განსაკუთრებულ ორგანოებს, რომელთა ხელშია აღნიშნული ნორმების ცხოვრებაში გატარების საქმე. პირველ საფეხურზე (რის? – ა.გ.) თვით სოციალური ჯგუფი ასრულებს ამ ფუნქციას, თუმცა შემდეგ, როცა სოციალური კავშირი ფართოვდება და ხდება დიფერენცირება, აღნიშნულ ფუნქციას ასრულებენ განსაკუთრებული ორგანოები“.

აღნიშნული ციტატებიდან ნათელი უნდა იყოს ის, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენი ავტორი, მის მიერ სახელმწიფოსა და საზოგადოების, სამართლისა და ჩვეულების და ა.შ. გაიგივებით, რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს ბურჟუაზიული მეცნიერების მდგომარეობიდან, რომელმაც არა თუ დაადგინა ეს ელემენტარული განსხვავებანი, არამედ აღიარა კლასობრივი ბრძოლაც და, აგრეთვე, სამართლისა და სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი (მაგალითად: ლ. დიუგი, მ. ორიუ, ჰ. ლასკი და მრავალი სხვ. – ა.გ.).

სულ მცირე, რაოდენ ძველმოდურად ჟღერს ჩვენი ავტორის სიტყვები:

„სახელმწიფო არის **საზოგადოებრივი წესრიგის** მოწყობის უზენაესი და ურთულესი ნაირსახეობა“ (ხაზგასმა ჩემია – ა.გ.).

და, ეს ხომ ის „სახელმძღვანელო პრინციპებია“, რომლებსაც პროფ. ვაჩეიშვილი აძლევს სტუდენტებს „სამართლის ზოგადი ცნებების შესწავლისა და აღქმისას“.

თუმცა პროფ. ვაჩეიშვილი არამხოლოდ აღნიშნულ პრინციპებს აყალიბებს. თავს უფლებას მივცემ, შევჩერდე რამდენიმე მათგანზე:

„კულტურულ სახელმწიფოებში მიღებულია პრინციპი, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია“.[1] ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ საბჭოთა სახელმწიფოში ეს პრინციპი არ არის მიღებული, მაშინ ის (საბჭოთა სახელმწიფო) არ არის კულტურული სახელმწიფო. ან, იქნებ, პროფ. ვაჩეიშვილი ფიქრობს, რომ ეს პრინციპი არსებობს რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. ასეთი სახელმწიფო კი არ არის და არც შეიძლება იყოს, სადაც კანონის წინაშე ყველა თანასწორია. საქმე არამხოლოდ ისაა, რომ თვით „კანონის წინაშე თანასწორობა“, ანუ ფორმალური თანასწორობა, არსობრივად არის კლასობრივი უთანასწორობის გამოხატვისა და დაცვის ფორმა, არამედ ის, რომ ასეთი ფორმალური თანასწორობა კანონის წინაშე არცერთ სახელმწიფოში არ არსებობს, თუ „კანონის“ ცნებას ავიღებთ არა ცალკეული ნორმის თვალსაზრისით, არამედ კანონების მთელი მოქმედი სისტემის თვალსაზრისით. ხოლო „კანონის“ ცნება, აღნიშნულ შემთხვევაში, უნდა ავიღოთ ზუსტად ამ აზრით, ვინაიდან „კანონის წინაშე ყველას თანასწორობა“ ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგია ფეოდალური საზოგადოების პრივილეგიების წინააღმდეგ. სად, რომელ „კულტურულ სახელმწიფოში“ იცის პროფ. ვაჩეიშვილმა აღნიშნული პრინციპის განხორციელება?

თუმცა, მომიტევეთ, იტყვის პროფ. ვაჩეიშვილი, თქვენ მე ვერ გამიგეთ, ჩემთან, შემდგომ, 90-ე გვერდზე საუბარია იმის შესახებ, რომ ამ პრინციპს არ გააჩნია აბსოლუტური მნიშვნელობა და ა.შ. თუმცა ხომ ცხადია, რომ აქ საუბარია არა იმ გამონაკლისებზე, რომლებსაც ჩვენი ავტორი ადგენს, პროფ. გამბაროვის[2] მითითებათა საფუძველზე: „კულტურულ სახელმწიფო-

---

[1] А. Вачейшвили, Общая теория права, 29.

[2] **იური გამბაროვი** (1850-1926) – ცნობილი ცივილისტი, სამოქალაქო სამართლის მაგისტრი (1880). დაამთავრა ტფილისის გიმნაზია (1866), მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1870), 1870-1873 წწ.-ში მსახურობდა ტფილისის ოლქის სასამართლოში. 1873-1880 წწ.-ში იგი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, სამეცნიერო მივლინებაში სამაგისტრო გამოცდის მოსამზადებლად, 1880-1884 წწ.-ში – ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის (ქ. ოდესა) სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტი გახლდათ, ხოლო 1884-1899 წწ.-ში – მოსკოვის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ექსტრაორდინარული პროფესორი;

ში იძულება არის მხოლოდ სამართლის კუთვნილება; იძულება ემსახურება სამართალს“ და ა.შ. აღნიშნულ ნაწილში პროფ. ვაჩეიშვილის „სამართლის თეორია“, დაახლოებით, იმ საზრუნავის ფარგლებში რჩება, რომ ყველა მოქალაქეს ეცხოვრა კარგად და მშვიდად, რომ სიჩუმე და სიმშვიდე არავის დაერღვია. აქვე (ანუ, 29-ე გვერდზე), ნათლად გამოსჭვივის პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპისადმი ღრმად მტრული მოძღვრება „სამართლებრივი სახელმწიფოს“ შესახებ. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი ტყუილად ხომ არ ეყრდნობა ელინეკის[1] ავტორიტეტს. თუმცა ის ბოლომდე არ მისდევს მას [იგუ-

---

1899 წელს დატოვა კათედრა სახალხო განათლების მინისტრის დაჟინებული მოთხოვნით. 1899-1906 წწ.-ში პროფ. გამბაროვი პარიზში მონაწილეობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის საქმიანობაში (დააარსა მ. მ. კოვალევსკიმ), იყო ბრიუსელის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის პროფესორი (1900-1906); 1906-1917 წლებში – სანკტ-პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის ექსტრაორდინარული პროფესორი. 1917 წლის მაის-ნოემბერში იყო სამთავრობო სენატის 1-ლი დეპარტამენტის სენატორი, 1920-1922 წწ.-ში – ერევნის უნივერსიტეტის რექტორი, 1922-1925 წწ.-ში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, 1925 წლიდან იმყოფებოდა პენსიაზე. იური გამბაროვი რუსეთში სოციალური იურისპრუდენციის ერთ-ერთი თანმიმდევრული წარმომადგენელი გახლდათ. მის ნაშრომებში სამოქალაქო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბება შეჯერებულია ფილოსოფიური ხასიათის ზოგადი პრობლემატიკის გარჩევასთან. პროფ. გამბაროვმა 1880 წლის 22 მაისს სამოქალაქო სამართალში სამაგისტრო ნაშრომი დაიცვა თემაზე: „ნებაყოფლობითი და უსასყიდლო საქმიანობა სხვის ინტერესში სახელშეკრულებო ურთიერთობების მიღმა და კანონის მოთხოვნათა გარეშე“ [მთარგმნელი].

[1] **გეორგ ელინეკი** (1851-1911) – გერმანელი იურისტი, სახელმწიფომცოდნე, იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენელი. 1867-1872 წლებში გეორგ ელინეკი სამართალს, ხელოვნების ისტორიასა და ფილოსოფიას სწავლობდა ჯერ ვენის, ხოლო შემდეგ ჰაიდელბერგისა და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. 1872 წელს ლაიფციგში დაიცვა დისერტაცია – “Die sozialethische Bedeutung von Recht, Unrecht und Strafe” („სამართლის, უსამართლობისა და სასჯელის სოციალურ-ეთიკური არსი“) და გახდა ფილოსოფიის დოქტორი, ხოლო 1874 წელს ვენაში მოიპოვა სამართლის დოქტორის ხარისხი. 1879 წელს გაიარა ჰაბილიტაციის პროცედურა ვენის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად. ამის შემდეგ ელინეკმა დაიკავა სამართლის ფილოსოფიის პროფესორის თანამდებობა, 1881 წლიდან დაინიშნა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრად. 1882 წელს გამოვიდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი “Die Lehre von den Staatenverbindungen” („სახელმწიფოს უნიფიცირების თეორია“). ამის შემდეგ ის გახდა ვენის უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის ადიუნქტ-პროფესორი. 1889 წელს ელინეკმა დატოვა ავსტრია-უნგრეთში აკადემიური სამსახური და გახდა შვეიცარიაში, ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი. 1891 წელს ელინეკი გადავიდა გერმანიაში და დაიკავა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლის პროფესორის თანამდებობა. 1890 წელს გამოვიდა ელინეკის ძირითადი ნაშრომის – “Allgemeine Staatslehre” („ზოგადი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“) – პირველი გამოცემა, რომელიც, აგრეთვე, “Das Recht

ლისხმება ელინეკი – მთარგმნელი], როგორც ზემოთ ითქვა, მას არ გააჩნია ერთიანი კონცეფცია. ის სიამოვნებით ეყრდნობა დიურკჰეიმს, გირკეს[1], ტარდის[2], მ. კოვალევსკის[3]; ამ უკანასკნელს, მაშინაც კი, როცა ავითარებს ტარდის დებულებებს, ერთადერთი, ვისაც ავტორი არ უთითებს და ვისაც არავითარი გავლენა არ მოუხდენია მასზე, – ეს ისეთი სახელებია, როგორიც

---

des Modernen Staates"ის („თანამედროვე სახელმწიფოს სამართალი") სახელწოდებითაა ცნობილი [მთარგმნელი].

[1] **ოტო ფრიდრიხ ფონ გირკე** (1841-1921) – გერმანელი იურისტი, სამართლის ისტორიისა და სამოქალაქო სამართლის პროფესორი, ე.წ. გერმანისტების სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენელი. ის ითვალისწინებდა იმ ადამიანთა საზოგადოებაში, საზოგადოებრივ კავშირებში გერმანული სამართლის თვითმყოფადობის საწყისის განვითარებას, რომლებიც „სოციალური სულით" არიან განმსჭვალული. გირკე სწავლობდა ბერლინისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში, შემდეგ ასწავლიდა ბერლინისა და ბრესლაუს უნივერსიტეტებში. გირკეს ირჩევდნენ ორივე უნივერსიტეტის რექტორად, იყო ბრიტანეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1913). ნაშრომებია: „გერმანული საზოგადოებრივი სამართალი" (4 ტ., 1868-1913); „გერმანული კერძო სამართალი" (3 ტ., 1895-1917) [მთარგმნელი].

[2] **გაბრიელ ტარდი** (1843-1904) – ფრანგი სოციოლოგი და კრიმინოლოგი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეცნიერი. მისი სოციალური ინტერაქციის თეორიამ ხაზი გაუსვა ინდივიდს პირთა საერთო შემადგენლობაში, რითაც ტარდი დაუპირისპირდა ემილ დიურკჰეიმის მოსაზრებას, რომელიც საზოგადოებას კოლექტიურ ერთობად თვლიდა. 1875 წელს ტარდმა შეიმუშავა თავისი სოციალური ფილოსოფიის ძირითადი თეზისები. ტარდი მიიჩნევდა, რომ, ალბათ, 100 ადამიანში 1 არის გამომგონებელი. ის მიუთითებდა, რომ ინოვაციები იმიტირებულია, მაგრამ იმიტაციები თავისთავად განსხვავდება ხარისხით და სახის მიხედვით. ოპოზიცია წარმოიშობა როგორც მრავალფეროვან იმიტაციებში, ისე კულტურაში – ახალსა და ძველს შორის. შედეგი არის ადაპტაცია, რაც თავისთავად გამოგონებაა. ტარდმა ეს თანმიმდევრობა დაინახა როგორც დაუსრულებელი ციკლი, რომელიც შეადგენდა სოციალური ისტორიის პროცესს და ახსნა ფენომენი Les Lois sociales-ში (1898) [რედ.].

[3] **მაქსიმ კოვალევსკი** (1851-1916) – ცნობილი იურისტი და სოციოლოგი, 1914 წელს აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. განათლება მიიღო ხარკოვის, ბერლინის, პარიზისა და ლონდონის უნივერსიტეტებში. ლონდონში მან გაიცნო კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, ჰერბერტ სპენსერი და ვლადიმერ სოლოვიოვი. კოვალევსკი, ასევე, ჩაერთო მასონურ მოძრაობაში. 1878 წლიდან ის კითხულობდა ლექციებს იურიდიული მიმართულებით მოსკოვის უნივერსიტეტში. 1886 წელს ის გააძევეს ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტიდან, შემდეგ კი იძულებული გახდა, ქვეყნიდანაც წასულიყო. პირველი რუსული რევოლუციის შემდეგ კოვალევსკიმ განაახლა ლექციები რუსეთში (სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში), ჩაერთო პოლიტიკაში, ჩამოაყალიბა დემოკრატიული რეფორმების ცენტრისტულიპარტია, აირჩიეს პირველ სახელმწიფო სათათბიროში და დაინიშნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად. 1912 წელს კოვალევსკი ნომინირებული იყო ნობელის პრემიაზე. დაგეგმილი იყო, რომ კოვალევსკის მონაწილეობა უნდა მიეღო სამშვიდობო მოლაპარაკებებში პირველი მსოფლიო ომის დასრულებასთან დაკავშირებით, მაგრამ გარდაიცვალა 1916 წლის აპრილში [რედ.].

მარქსი, ენგელსი, ლენინი და სხვ.; თუმცა კიდევ ვნახოთ, რა „სახელმძღვანელო პრინციპებს“ აძლევს ავტორი საკუთარ სტუდენტებს. „სამართალი ზოგჯერ სცდება გარკვეული სახელმწიფოს ფარგლებს. ისტორია იძლევა ამის მაგალითებს: ზოგჯერ ეს დაპყრობის შედეგია, ზოგჯერ – მიბაძვის. მაგალითად: ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარიის კანტონები, რომლებმაც მიიღეს ფრანგული Code civil დაპყრობის შედეგად და შემდგომ დაიტოვეს თავისთვისაც. შვედეთმა და ავსტრიამ მიიღეს გერმანული სავაჭრო კოდექსი მიბაძვის გზით“. ყოველი მარქსისტი ამ საკითხს, რა თქმა უნდა, სრულიად სხვაგვარად მიუდგებოდა. ის არ შეიზღუდავდა თავს სრულიად აუხსნელი და, მაშასადამე, არამეცნიერული „მიბაძვით“, არამედ მოიძიებდა სხვადასხვა სახელმწიფოში ერთგვაროვანი სამართლის სისტემის გავრცელების ჭეშმარიტ მიზეზებს, ამ სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. ის არ შეიზღუდავდა თავს ისეთი არასერიოზული მტკიცებით, რომ დაპყრობილი ხალხი, უბრალოდ, იტოვებს თავისთან თავსმოხვეულ კოდექსს. თუმცა პროფ. ვაჩეიშვილს მარქსიზმთან ხომ საერთო არაფერი აქვს. ჩვენ უკვე ვიხილეთ, რომ მონობის წარმოშობა და მრავალსაუკუნოვანი არსებობა მის მიერ უბრალო ჩვევით აიხსნება. პროფ. ვაჩეიშვილის [აზრით], ადამიანის სულს აქვს იძულებასთან შერიგების თვისება და ის ეგუება იმას, რასაც მას თავიდან აიძულებდნენ და სამომავლოდ მას აღიქვამს როგორც წესრიგს. მაშ, რატომ არ უნდა ვაღიაროთ საზოგადოების ან სახელმწიფოს (ჩვენი ავტორისათვის ეს ერთი და იგივეა) მიმართ სახალხო სულის იმავე თვისებების [არსებობა], როგორც ის, რომ ხალხი ეგუება დამპყრობლების მიერ თავსმოხვეულ კანონებს და შემდგომ, მათ თავისთვის იტოვებს. მართლაც, ხომ რარიგ „სამეცნიერო სახელმძღვანელო პრინციპს“ გვასწავლის პროფ. ვაჩეიშვილი! მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ, პატივცემული პროფესორი როგორ ახსნის მის მიერვე შემჩნეულ ფაქტს, რომ უცხო ქვეყნის კანონების გადმოღება უბრალო მიბაძვის კანონის ძალით ხდება, და როგორია ეს კანონი და რა აზრით არის შესაძლებელი ამ დროს მ. კოვალევსკის მითითება, რომელიც სოციოლოგიაში ტარდის პირდაპირ მოწინააღმდეგედ არის ცნობილი? და შემდეგ პროფ. ვაჩეიშვილი თვლის, რომ „სამართალს აქვს გაერთიანებისადმი ტენდენცია“[1], მხოლოდ, სამწუხაროდ, ის არ ამბობს, თუ რამდენად უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ გაერთიანებას, ვთქვათ, საბჭოთა სამართლისა ფრანგულთან და როგორ მოხდება ეს – საბჭოთა სახელმწიფოს ფრანგულისადმი მიბაძვის გზით, თუ პირიქით?

კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა ჩვენი პროფესორის სამართლის თეორიის „სახელმძღვანელო პრინციპების“ ილუსტრირება. ყველა ეს პრინ-

[1] А. Вачейшвили, Общая теория права, 118.

ციპი ჩვენი ავტორის შეხედულებათა არეულ-დარეულობაზე მეტყველებს. თუმცა ჩვენი ამოცანა ეს არ არის, ან, უფრო სწორად, მხოლოდ ეს არ არის. ჩვენ ზუსტად იმ ფაქტის დადგენა გვმართებს, რომ პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომში საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი სულაც არ აღწევს უმაღლეს სიმაღლეებს, რომლებიც დაპყრობილი აქვს საზღვარგარეთ აღორძინებულ სამართლის იდეალისტურ ფილოსოფიას. პროფ. ვაჩეიშვილი უპირატესობას ანიჭებს ოსტინსა[1] და ელინეკს, ვიდრე რაინახს[2], ე. კაუფმანსა[1]

---

[1] **ჯონ ოსტინი** (1790-1859) – ცნობილი ინგლისელი იურისტი, სამართალში იურიდიული პოზიტივიზმის მიმართულების ფუძემდებელი. 1826 წელს ოსტინი გახდა ლონდონის უნივერსიტეტის იურისპრუდენციის პროფესორი, ხოლო 1832 წელს იძულებული გახდა, დაეტოვებინა მასწავლებლობა, ვინაიდან მან ვერ შეძლო ლექციებზე საკმარისი ოდენობის სტუდენტების მოწვევა. 1832 წელს ოსტინმა გამოაქვეყნა საკუთარი შეხედულებანი, თუმცა მისმა მოძღვრებამ ინტერესი მხოლოდ ოსტინის გარდაცვალების შემდეგ – 1859 წლიდან – გამოიწვია. სწორედ ოსტინს ეკუთვნის პირველობა ისეთი ფენომენის ფორმირებაში, როგორიცაა იურიდიული პოზიტივიზმი. იგი სამართლებრივი პოზიტივიზმის „მამად“ მიიჩნევა. მის ძირითად ნაშრომებში: „იურისპრუდენციის საგნის განსაზღვრა“ და „ლექციები იურისპრუდენციის შესახებ, ანუ პოზიტიური კანონის ფილოსოფია“ – ჩამოყალიბებულია ის საბაზისო იდეები, რომლებმაც იურიდიული პოზიტივიზმის განვითარებაზე მოახდინეს გავლენა. ოსტინი თვლიდა, რომ სამართალი ნორმაა, რომელიც იმ მიზნითაა დადგენილი, რათა ერთმა გონიერმა არსებამ მართოს ის მეორე გონიერი არსება, რომელსაც პირველის მიმართ ძალაუფლება აქვს. პოზიტიური სამართალი თავისებური მასალაა იმ ლოგიკურად დასრულებული სისტემის შესაქმნელად, რომელსაც აქვს ერთიანობა, კომპლექსურობა და იმპერატიულობა. მთავარი დასკვნა არის ფორმულა: კანონი არის კანონი, რომელიც ასახავს პოზიტიური მიდგომის არსს. ოსტინის აზრით, სავალდებულოა, სამართალი და ზნეობა ერთმანეთს მკვეთრად გაემიჯნოს [მთარგმნელი].

[2] **ჟოზეფ რაინახი** (1856-1921) – ფრანგი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე. ჟ. რაინახი დაიბადა ებრაულ ოჯახში. გამბეტას გარდაცვალების შემდეგ გახდა გაზეთის – “République Française” – დირექტორი. თავიდანვე გამოირჩეოდა ოპორტუნისტული შეხედულებებით, იყო ნებისმიერი სახის სოციალისტური მიმდინარეობის მოწინააღმდეგე და „ზომიერი“ რესპუბლიკის მომხრე. როგორც ჟურნალისტმა, პოლემიკის გასაოცარი უნარი გამოავლინა და საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დიდი გავლენა მოიპოვა. 1887 წელს რაინახი მკვეთრად დაუპირისპირდა ბულანჟიზმს, რომელსაც, მრავალგზის მხილებით, რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა; ამ მხილებათა გამო მას რამდენიმე დუელში ბრძოლაც კი მოუწია, მათ შორის, დარულედის წინააღმდეგ. 1889-1898 წლებში იყო დეპუტატთა პალატის წევრი. 1906 წლამდე ბეჭდურ მედიაში ჟოზეფ რაინახი ენერგიულად აწარმოებდა აგიტაციას დრეიფუსის საქმის გადასინჯვის მოთხოვნით, რითაც ის მხოლოდ ჟორესსა და ზოლას თუ ჩამორჩებოდა. აღნიშნულ საქმეს მან რამდენიმე ტომად დაწერილი წიგნიც კი მიუძღვნა – “Histoire de l’affaire Dreyfus”. არსებითად, ეს წიგნი საფრანგეთის ისტორიას წარმოადგენს 1894 წლის პერიოდიდან მოყოლებული და მასში შესულია ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების შესანიშნავი დახასიათებები (მერისე, მელინა). ამავე საქმესთან დაკავშირებით, რაინახმა გამოსცა წიგნი: “Une erreur judiciaire sous Louis XV”“, 1898. ძირითადი

და ე. ლასკის. მის ნაშრომში ესენი არ გვხვდებიან, ის იცნობს მხოლოდ შტამლერს[2], რომელიც, სამაგიეროდ, მის [ანუ პროფ. ვაჩეიშვილის – რედ.] პატივისცემას არ იმსახურებს. ზოგადად, ჩვენი ავტორი უფრო დოგმატურად არის განწყობილი, ვიდრე ფილოსოფიურად. მაგალითად, სამართლის წყაროების საკითხს ის წმინდა დოგმატური თვალსაზრისით უდგება. ბოლოსდაბოლოს ის კმაყოფილდება იმის მტკიცებით, რომ „ზოგადად, აღიარებულია სამართლის ორი ძირითადი წყარო: კანონი და ჩვეულებითი სამართალი“.

ეს პოზიცია სწორედაც რომ არაფილოსოფიურია. საკითხის ასეთი დაყენება სამართლის ფილოსოფოსს ვერ დააკმაყოფილებდა. ეს უკანასკნელი უფრო პროფ. პეტრაჟიცკის შემდეგ მსჯელობას დაეთანხმებოდა:

ნაშრომებია: “La Serbie et Monténégro” (პარიზი, 1876); “Voyage en Orient” (1879); “Les récidivistes” (1882); “Le ministère Gambetta” (1884); “Léon Gambetta” (1884; მცირე ზომის, ძალზე ცოცხლად, აღტაცებული თაყვანისცემის სულისკვეთებით, დაწერილი გამბეტას ბიოგრაფია); “Études de littérature et d’histoire” (1889); “Les petites catilinaires. I. La foire boulangiste. II. Le cheval noir. III. Bruno le Fileur” (ბულანჟეს წინააღმდეგ დაწერილი სტატიების კრებული); “La France et l’Italie devant l’histoire” (1893); “Pages républicaines” (1895); “Démagogues et socialistes” (1896) [მთარგმნელი].

[1] სავარაუდოდ, იგულისხმება **ერიხ კაუფმანი** (1880-1972) – ცნობილი იურისტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი გერმანიაში. კაუფმანი იყო კლასიკური ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელი და სამართლის ონტოლოგიური და მეტაფიზიკური თვალსაზრისის მომხრე. ერიხ კაუფმანს დევნიდნენ გერმანიაში ნაციონალური სოციალიზმის მმართველობის დროს, როგორც ებრაელს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიური იყო კაუფმანის კონკურენტი პროფესორი კარლ შმიტი. 1938 წელს კაუფმანი იძულებული გახდა, მიეტოვებინა საკუთარი პროფესიული კარიერა გერმანიაში და წასულიყო საზღვარგარეთ [რედ.].

[2] **რუდოლფ შტამლერი** (1856-1938) – ცნობილი იურისტი და სამართლის ფილოსოფოსი, პროფესორი, სამართლის დოქტორი (1876). ცნობილია, რომ 1887 წელს გამოქვეყნდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (Bürgerliches Gesetzbuch) პროექტი, რომელიც 1900 წელს მიიღეს. განხილვის პროცესში აქტიურად იყო ჩართული შტამლერი, რომელმაც მხარი დაუჭირა კოდექსის პროექტს და უარყო ნაციონალისტების ფატალისტური შეხედულებები, როგორიც გახლდათ ოტო ფონ გირკე, რომელიც მიუთითებდა, რომ „ხალხის გონი“ ბუნებრივად უნდა ვითარდებოდეს. შტამლერი, ასევე, ეწინააღმდეგებოდა ფერდინანდ ლასალესა და სოციალისტების მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ძალები განსაზღვრავენ კანონს. აღსანიშნავია, რომ, გუსტავ რადბრუხსა და ჰანს კელზენთან ერთად, რუდოლფ შტამლერი მიიჩნევა ევროპული იურისპრუდენციის წამყვან მოაზროვნედ, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ნეოკანტიანურ ფილოსოფიაში. შტამლერი მიუთითებდა, რომ სამართალი მთავარ როლს ასრულებს ეკონომიკის ფორმირებაში, განსხვავებით მარქსისტული შეხედულებისა, რომ სამართალი ბუნებრივად ვითარდება მოცემული ეკონომიკური სისტემის მხარდასაჭერად. მისი გარდაცვალების შემდეგ შვილმა – ვოლფგანგ შტამლერმა დაარღვია ოჯახის „იურიდიული“ ტრადიცია და გერმანული ლიტერატურის პროფესორი გახდა [რედ.].

„...წინამდებარე მოძღვრების, სწავლებისა კანონიერის, ჩვეულებითი სამართლის შესახებ და ა.შ., როგორც მოძღვრების სამართლის წყაროების შესახებ, განმარტების მცდელობა და, ზოგადად, დებულებანი და კვალიფიკაცია, ვერ უძლებენ მეცნიერულ კრიტიკას და, საერთოდაც, ელემენტარული ლოგიკური თვალსაზრისით, უცნაურ და არანორმალურ მოვლენას წარმოადგენენ.

ზოოლოგებს რომ ძაღლებისთვის, კატებისთვის და ა.შ. „ცხოველთა წყაროები“ ეწოდებინათ და იმის თაობაზე კამათი გაემართათ, თუ რა არის ცხოველთა წყაროები, თუ რა მიმართებაში იმყოფებიან ისინი ცხოველებთან, წარმოუდგენიათ თუ არა მათ ცხოველთა შეკრების ფორმები, ან მათი არსებობის საფუძვლები, ან მათი ცხოველური ბუნების ნიშნები და ა.შ., მაშინ ეს ყოველივე წარმოდგებოდა როგორც იმის [მიმართ] სრულიად ერთგვაროვანი აზროვნების მოვლენა, რაც დღევანდელ სამართალმცოდნეობაში გვაქვს ე.წ. სამართლის წყაროების შესახებ მოძღვრების სფეროში.

კატები, ძაღლები და ა.შ. – არსებითად, არ არიან ცხოველთა წყაროები, არ არიან ცხოველთა შექმნის ფორმები და ა.შ. და, ზოგადადაც, ცხოველებისაგან არა რაღაც განმასხვავებელი და მათთან რაღაც საიდუმლო, რთულად განმსაზღვრელი ურთიერთობის მქონე, არამედ უბრალოდ ცხოველები [არიან], ისინი სწორედაც არსებითად ცხოველების, ასეთების სახე და ნაირსახეობანი, და ზუსტად ასევეა ე.წ. „სამართლის წყაროები“: ჩვეულებითი სამართალი, კანონიერი სამართალი და ა.შ. – არსებითად სხვა არაფერია, გარდა თვით სამართლისა, პოზიტიური სამართლის სახეობისა, სამართლის ნაირსახეობისა და უცნაურია, უწოდო მათ „სამართლის წყაროები“, განსაჯო, თუ რა მიმართებაში იმყოფებიან ისინი სამართალთან და ა.შ.[1]

თუმცა საკმარისია ვაჩეიშვილზე [საუბარი]. ამჯერად, ჩვენი მიზანია პროფ. სურგულაძის წიგნის გაანალიზება, ავტორის მიერ ჩაფიქრებული, ვრცელი პუბლიკაციისა თემაზე – „ხელისუფლება და სამართალი“ (პირველი, შესავალი ნაწილი). ამ ნაშრომის დანარჩენი ნაწილები ჯერ კიდევ არ გამოსულა, რაც, რასაკვირველია, ართულებს ავტორის ზოგადი კონცეფციის გაგებას. თუმცა, როგორც ამას თვით ავტორი აღნიშნავს ნაშრომის პირველი ნაწილის წინასიტყვაობაში, ეს ნაწილი შესაძლოა, განვიხილოთ როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ნაშრომი. და ჩვენც შევეცდებით, გავერკვეთ ავტორის ძირითად დებულებებში იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს მისი ნაშრომის პირველი ნაწილითაა შესაძლებელი.

თავის ნაშრომში პროფ. სურგულაძე გვისვამს შეკითხვას სახელმწიფო სამართლის მეცნიერების შესაძლებლობის შესახებ. ის თვლის, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დამოუკიდებლობა შესაძლებელია დასა-

[1] Проф. Петражицкий, Теория права и государства в связи с теорией нравственности, т. II, СП-Б, 1910, 517.

ბუთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაპოვნი იქნება ამ მეცნიერების განსაკუთრებული საგანი, ვინაიდან, პროფ. სურგულაძე თვლის, რომ „არა თვალსაზრისისა და გამოკვლევის ფორმალურ-ლოგიკური მომენტებია მეცნიერებათა გამიჯვნის საფუძვლები, არამედ ობიექტურად არსებულ საგანთა განსხვავებები“. და პროფ. სურგულაძე გვმოძღვრავს: „სოციალური პროცესების ერთობლიობა, რომლებსაც ჩვენ სახელმწიფოს ცხოვრებაში ვხვდებით, არ არის მთელი მისი არსის ამომწურავი და სახელმწიფო, როგორც ის სოციალური წარმონაქმნი, რომელსაც თანაცხოვრების გარკვეულ ფორმად განვიხილავთ, უნდა განვასხვაოთ სახელმწიფოსგან ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტის არსით. თუმცა, მსგავსი განსხვავება წმინდა ლოგიკურია. რეალურ სინამდვილეში კი, როგორც თვით სახელმწიფოში, ისე წინასახელმწიფოებრივ სოციალურ ფორმებში, ორივე მხარე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და თითოეული მათგანი დიდწილად არ არსებობს დამოუკიდებლად“ (გვ. 16).

აღნიშნული ციტატიდან გამომდინარეობს: ჯერ ერთი, ის, რომ ავტორისათვის სრულიად უცხოა მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო არის საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი, შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობის შედეგი, კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია და ა.შ.; მეორეც, ჩვენ ვიგებთ, რომ ავტორის თვალთახედვით, სახელმწიფო არ ამოიწურება იმ სოციალური პროცესების ერთობლიობით, რომლებიც მიმდინარეობს სახელმწიფოს ცხოვრებაში, ანუ სახელმწიფო რაღაც უფრო მეტია, სახელმწიფოში არის რაღაც დამატებითი, გარდა სოციალური პროცესების ერთობლიობისა, მთელი სოციალური არსისა, სახელმწიფოს ცნება შეიცავს საზოგადოების ცნებას, პირველი მეორეზე უფრო ფართოა; მესამეც, ეს განსხვავება სახელმწიფოს, როგორც თანაცხოვრების ფორმასა და სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს შორის, წმინდა ლოგიკურია, ანუ რეალურ ცხოვრებაში ორივე მხარე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და თითოეული მათგანი „არ ეწევა, დიდწილად, დამოუკიდებელ არსებობას“. ამ უკანასკნელ გამოთქმას მე მთლად კარგად ვერ ვიგებ: თუ ეს განსხვავება წმინდა ლოგიკურია, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეები საერთოდ არ ეწევიან დამოუკიდებელ არსებობას და არამხოლოდ „დიდწილად“. და, კიდევ უფრო გაუგებარია: როგორ შეიძლება დავაყენოთ საკითხი წინასახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ ფორმებში სახელმწიფოსა და მისი ნაწილების არსებობის შესახებ.

ამრიგად, პროფ. სურგულაძე ეძებს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საფუძვლებს. ამ წუთს მან, აღნიშნული მიზნით, დაადგინა განსხვავება სახელმწიფოსათვის, როგორც სოციალური ფენომენისათვის და რაღაც სამართლებრივი ინსტიტუტისათვის. ცხადია, რომ მას სურს, ისარგებლოს ამ

განსხვავებით და ააგოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, რომლის საგანიც იქნება ეს „რაღაც სამართლებრივი ინსტიტუტი“. მაშასადამე, სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას შესაძლებელია ჰქონდეს საკუთარი საგანი, თუმცა ეს საკმარისია?..

„თავისთავად, აქ მითითებული განსხვავების არსებობა საკმარისი არ არის ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეცნიერების საფუძვლისგან, რომელთა ამოცანა, ერთი მხრივ, იქნებოდა სამართლებრივი მხარის გამოკვლევა, მეორე მხრივ [კი] – საზოგადოებრივი მოვლენების სოციალური შინაარსისა“.[1]

თუმცა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დამოუკიდებლობა, პროფ. სურგულაძის აზრით, „საჭიროებს უფრო ღრმა და პრინციპულ ბაზისს. ამ ბაზისის გარკვევის მიზნით ჩვენ კარდინალურ საკითხს ვსვამთ: ზოგადად, რას გულისხმობს ცალკეულ მეცნიერებათა ერთობლიობა?“

ამ საკითხის გადასაწყვეტად ის იყენებს ძალზე მარტივ ხერხს, კერძოდ, მას მოჰყავს გრძელზე გრძელი ციტატა ჰუსერლის „ლოგიკური გამოკვლევების“ პირველი ტომიდან (გვ. 228-234) და აცხადებს: „მთელ ამ გრძელ ციტატას, რომელსაც ჩვენ სრულებით ვეთანხმებით, ვიღებთ ჰუსერლისგან. ის **სრული სიცხადით** წარმოაჩენს პრინციპებს, რომლებმაც ჩვენ უნდა გვიხელმძღვანელონ სხვადასხვა მეცნიერების ერთმანეთისაგან გამიჯვნის დროს“ (ხაზგასმა ჩემია – ა. გ.).

ამრიგად, ჩვენი ავტორი საკუთარი ნაშრომის ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძველს წყვეტს მარტივი ხმის მიცემით თვით იდეალისტური ფილოსოფიის [სასარგებლოდ]. ის, უბრალოდ, უერთდება რეაქციულ ჰუსერლიანურ ფილოსოფიას და აგრძელებს დამოძღვრას: „მეცნიერება დამოუკიდებლად მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ის იმ საკუთარ კანონებს ემყარება, რომლებიც არ ეფუძნება იმ კანონებს, რომლებზეც ის სხვაა აგებული“.

საკუთარი თვალსაზრისის ამ საწყისი წერტილის „დადგენით“ პროფ. სურგულაძე, ჰუსერლიანური ონტოლოგიის კვალდაკვალ, უფრო შორს მიდის. ის იკვლევს სხვადასხვა ავტორის შეხედულებებს, რომლებიც სამართლის სფეროში ამა თუ იმ კანონზომიერებას აღიარებენ და სვამს საკითხს, როგორც იტყვიან, სრული სიმკვეთრით: „ორიდან ერთი: სამართლებრივი კატეგორიები, რომლებიც ჩვენ გვეძლევა სამართლებრივ ურთიერთობებში, ან რეალურ მომენტს წარმოადგენენ რეალურად არსებულ მოვლენებში და მაშინ ისინი მიზეზობრივი კავშირის კანონს ექვემდებარებიან, ან, პირიქით, ისინი იდეალური წარმონაქმნები არიან... ამ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების რეალურ ურთიერთობებთან იდენტიფიცირება ვერ მოხდება...“ და შემდეგ: „ის, ვინც იძენს სამართლის რეალურ ხასიათს, უნდა იძენ-

[1] იქვე, 17.

დეს სამართლებრივი მოვლენების შემეცნების კაუზალურ პრინციპს, პირიქით, ვინც იხრება იქითკენ, რომ **ბუნების კანონები** დაუპირისპიროს **სამართლებრივ კანონებს** (ხაზგასმა ავტორისაა – ა. გ.), ის უნდა უარყოფდეს სამართლებრივი მოვლენების რეალურ ხასიათსაც“.

ამ საფუძვლით პროფ. სურგულაძე არ ეთანხმება ბირლინგს, რომელიც „ამტკიცებს ამასაც და სხვასაც“ და ვარდება საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში. ამ მიმართებით უფრო თანმიმდევრულად ჩვენი ავტორი თვლის იმათ, ვინც „სამართლის, როგორც რეალური მოვლენის შესახებ მოსაზრებებიდან გამომდინარე, სამართლებრივი მოვლენების კაზუალური შემეცნების პრინციპიდან ამოდიან“.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით როგორია თვით პროფ. სურგულაძის მოსაზრება? ეს საკითხი ხომ მისი ნაშრომის ძირითადი საკითხია, ვინაიდან სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, ჩვენი ავტორის აზრით, საკუთარი დამოუკიდებლობის დასაბუთებას იმ შემთხვევაში შესძლებს, თუ მოძიებული იქნება სოციოლოგიის საგანსა და სახელმწიფო სამართლის საგანს შორის განსხვავება, აგრეთვე, ფუნდამენტური განსხვავება, რომლის [პირობებშიც], ამ ორ მეცნიერებას შორის თითოეული წარმოადგენს, როგორც ჰუსერლი ბრძანებს, „იმ სრულყოფილი თეორიის სისტემურ ერთობას, რომელიც ემყარება საკუთარ დამოუკიდებელ ძირითად კანონს, როგორც მის უკანასკნელ საფუძველს“.

საკუთარი გამოკვლევის ამ გადამწყვეტ პუნქტში და თავისი ნაშრომის 34-ე გვერდზე, პროფ. სურგულაძე უეცრად სახელმწიფო სამართლის სფეროდან ხტება სამოქალაქო სამართლის სფეროში. მოტივი ნათელი და გასაგებია. პროფ. სურგულაძემ უნდა შეისწავლოს გართულებული მომენტებისაგან, განსაკუთრებით ხელისუფლების, სახელმწიფოს და ა.შ. ცნებებისაგან ჯერ განწმენდილი სამართლებრივი მასალა, ასე ვთქვათ, „წმინდა სამართალი“. ნათელია ავტორის განზრახვაც: მას სურს, გამოიყენოს ის ჭეშმარიტება, რომელიც მოპოვებულია კერძოსამართლებრივი მასალის ანალიზის შედეგად სახელმწიფო სამართლის „მასალებთან“ მიმართებით. ჩვენი შეხედულებით, აქედან ავტორის კონცეფციით არაფერი გამოდის, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, ამჯერად კი გავყვებით ჩვენს პროფესორს „წმინდა სამართლის“ სფეროში. ამ გზაზე ჩვენ შემდეგ „ჭეშმარიტებას“ ვიგებთ: „სამართალი, საკუთარ დანიშნულებასთან მიმართებით, საშუალებათა კომპლექსია, ამით გარკვეულ მიზანს გულისხმობს; ამ უკანასკნელს ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებასა და ამ უკანასკნელთა გარკვეული მიმართულების შექმნაში“.[1]

[1] იქვე, 83.

აღნიშნული შეხედულებიდან, ავტორის აზრით, უკვე შეიძლება დავასკვნათ, „რომ მართლწესრიგი არა მხოლოდ საკუთარ ძირითად ელემენტებთან მიმართებით, არამედ საკუთარ შინაგან კანონზომიერებასთან მიმართებითაც არ შეიძლება იყოს გარკვეული, როგორც რაღაც, რაც ემთხვევა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მიიღება მისი რეალური განხორციელებისას ადამიანთა სოციალურ ყოფაში. და ზუსტად იმიტომ, რომ ანტითეზა „საშუალება – მიზანი“ ცალკეულ ჯგუფებს (მოვლენებს, რომლებიც საშუალებებს მიეკუთვნება, მეორე, მიზნის წარმომქმნელ მოვლენებს) შორის განსხვავებას გულისხმობს მათ საგნობრივ შინაარსთან მიმართებით, ისევე, როგორც კანონზომიერების განსხვავება, რომელიც თითოეულ მათგანში არის, – თავისთავად, ამ ჯგუფების წინააღმდეგობათა შესახებ არაფერია ნათქვამი, მათი განსხვავებული ონტოლოგიური რიგებისადმი კუთვნილების თვალსაზრისით; თუ როგორია განსხვავება აქ ნახსენებ საშუალებასა და მიზანს შორის, ამას მხოლოდ საწყისი წერტილის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რათა დადგინდეს საერთო საგნობრივ ჯგუფებს [შორის არსებული] უფრო ღრმა განსხვავება, მათი ონტოლოგიური მახასიათებლების შესაბამისად. ამ უკანასკნელი მიმართებით, რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან მართლწესრიგის გამიჯვნას ის საკუთარი დასაბუთება აქვს, რომ სოციალური ყოფა, ზოგადად, ონტოლოგიურად ხასიათდება როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა და საკუთარ არსებობაში განისაზღვრება მისთვის ძირითადი მიზეზობრივი კანონზომიერების მეშვეობით, მაშინ, როცა მართლწესრიგი, პირიქით – ონტოლოგიურად ხასიათდება, როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა, რომლის შინაგანი კანონზომიერება **გამორიცხავს** (ხაზგასმა ჩემია – ა.გ.) მიზეზობრიობის პრინციპს. ამრიგად, მართლწესრიგსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებს შორის დაპირისპირება არ ამოიწურება საშუალებასა და მიზანს შორის შეპირისპირებით, ვინაიდან სწორედ ასეთი არსებობს ერთი და იმავე ონტოლოგიური რიგის მოვლენებს შორის, **რომელშიც მოვლენათა თითოეული ჯგუფის სპეციალური კანონზომიერება (ანუ, საშუალებისა და მიზნის) აუცილებლად დასაბუთდება რიგის ძირითად კანონზომიერებაზე, მაგრამ ის არის იდეალურსა და რეალურს შორის ფუძემდებლური ონტოლოგიური დაპირისპირების გამოხატულება და, ამასთანავე, არის ორ ფუნდამენტურ კანონზომიერებას შორის განსხვავების გამოხატულება“** (გვ. 85-86, – ხაზგასმა ჩემია – ა.გ.).

ჩვენი ავტორის აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ:

პირველი, სამართალი და სოციალური ცხოვრება (მიზანი) ორ დამოუკიდებელ ონტოლოგიურ რიგს განეკუთვნება;

მეორე, სოციალური ყოფიერება ხასიათდება როგორც რეალური ყოფიერება, მართლწესრიგის საპირისპიროდ, რომელიც ონტოლოგიურად ხასიათდება, როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა;

მესამე, ამ ორი ონტოლოგიური რიგიდან თითოეული ექვემდებარება დამოუკიდებელ და თითოეული რიგისათვის ძირითად კანონზომიერებას;

მეოთხე, მიზეზობრივი კანონზომიერება არის სოციალური კანონზომიერება და გამოირიცხება მართლწესრიგისგან, რომელსაც აქვს საკუთარი კანონზომიერება, იმდენადვე ფუნდამენტური, როგორიცაა მიზეზობრივი კანონზომიერება.

ამრიგად, სოციალური სამყაროსა და სამართლებრივი სამყაროს გაუვალი კედლით გამიჯვნის შემდეგ, ჩვენი პროფესორი მაინც სვამს შეკითხვას – „სამართლისა და სოციალური ყოფიერების ფორმებს შორის ურთიერთობის ხასიათის შესახებ“. „იმის შესახებ, რომ ასეთი ურთიერთობები ნამდვილად არსებობს, რთულია არსებობდეს რაიმე ეჭვი“[1] – ამბობს ის. ჩვენ კი, ცოდვილნი, ძლიერ ვეჭვობთ იმაზე, რომ, თუ პროფ. სურგულაძის კონცეფციიდან ამოვალთ, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი, გვესაუბრა სამართალსა და რეალურ ცხოვრებას შორის რაიმე სახის ურთიერთზემოქმედებაზე. ავტორის შემდგომი მსჯელობის შედეგი ჩვენ კიდევ უფრო გვიმყარებს ჩვენივე ეჭვების საფუძვლიანობას.

„საკითხის მიმართ არასაკმარისი ყურადღების მიპყრობით, შესაძლებელია, მოგვეჩვენოს, რომ აქ, თითქოსდა იცვლება თვით მართლწესრიგი შესაბამის სოციალურ პროცესებში მისი რეალური გარდაქმნის დროს, ხოლო, ვინაიდან გარდაქმნის ცნებაში აუცილებლად უნდა შევიდეს კაუზალობის პრინციპი, მაშინ სამართალსა და უკვე ნახსენებ სოციალურ პროცესებს შორის არსებული ურთიერთობები უნდა განისაზღვროს როგორც კაუზალური ურთიერთობები. ამგვარი შეხედულებების უმართებულობის დანახვა იმითაც არის შესაძლებელი, რომ ურთიერთობათა ელემენტები აქ განსხვავებულ ონტოლოგიურ რიგებს მიეკუთვნება, რომელთა შორის კაუზალური კავშირიც თავისთავად გამოირიცხება. საჭიროა მხოლოდ საკითხის უფრო ნათლად დაყენება და ყველა იმ მოსალოდნელი შედეგის აწონ-დაწონა, რომლებიც სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის კაუზალური ურთიერთობების მიღებიდან გამომდინარეობს, რათა სწორედ აღნიშნულ დასკვნამდე მივიდეთ. სოციალური სამყარო არის კაუზალური ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც ფუძემდებლური, სოციალური ცხოვრების იმანენტური კანონზომიერების მეშვეობით, ცნობილ მთლიანობაში ერთიანდებიან“.[2]

---

[1] Gewalt und Recht, 86.

[2] იქვე, 87.

აქედან ნათელი უნდა იყოს, რომ, ავტორის აზრით, სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის თუნდაც რომ იყოს რაიმე კავშირი, ეს კავშირი სულაც არ არის კაუზალური ხასიათის. სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის კაუზალური ურთიერთობების შესაძლებლობა იმით არის გამორიცხული, რომ სამართალი და სოციალური ცხოვრება განსხვავებულ ონტოლოგიურ რიგებშია განთავსებული.

„ამიტომაც აქ არსებობს უშუალო ურთიერთობა არა სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის, არამედ სამართალსა და ცალკეული პირების ინდივიდუალურ შემეცნებას შორის, რომლებიც თვითონვე ქმნიან აღნიშნულ სოციალურ საზოგადოებას“.[1]

მაშასადამე, უშუალო ურთიერთობები არსებობს არა სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის, არამედ სამართალსა და ადამიანის ინდივიდუალურ შემეცნებას შორის, მაგრამ ამით პრობლემა ხომ ვერ გადაიჭრება, ის მხოლოდ გადაიწევს, რადგან ავტორს ჯერ ჩვენთვის არაფერი უთქვამს სამართალსა და ადამიანის შემეცნებას შორის ურთიერთობათა ხასიათის შესახებ, ვინაიდან სამართლის სამყარო და ადამიანის შემეცნების სამყარო სულაც არ არის ერთი და იგივე სამყარო, და, შესაბამისად, ჩვენთვის კვლავ არაფერია ცნობილი სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის ურთიერთობათა ხასიათის შესახებ. ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ უნდა გაგვერკვია ამ ახალი ურთიერთობების ხასიათი.

„თუ ჩვენ მივუბრუნდებით ამ ურთიერთობათა შინაარსს, – აგრძელებს პროფ. სურგულაძე, – მაშინ ადვილად მივალთ დასკვნამდე, რომ მათ არ გააჩნიათ კაუზალური ურთიერთობების ხასიათი... თუმცა ატარებენ ძალზე თავისებური ურთიერთობების ხასიათს, რომელთა ცალკეული მომენტების განხილვა ჩვენ აქ არ შეგვიძლია“.[2]

მაშასადამე, საკითხი გაურკვეველი დარჩა. ჩვენ სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის ურთიერთობათა ხასიათის შესახებ მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ეს ურთიერთობები არ ატარებენ კაუზალურ ხასიათს, თუმცა ჩვენ ეს თავიდანვე ვიცოდით, ვინაიდან სამართლისა და შეგნებული სინამდვილის სწორედ აღნიშნულ გამიჯვნაში – ორ დამოუკიდებელ სამყაროდ, მათი საკუთარი კანონზომიერებებით – მდგომარეობს ავტორის მოსაზრებათა ამოსავალი წერტილი. ჩვენ ვამტკიცებთ კიდეც, რომ ამ (თანაც უნდა ითქვას, რომ უბრალოდ დეკლარირებით, არაფრის დასაბუთებით, ვინაიდან გონივრულად ამის დასაბუთება შეუძლებელია) გამიჯვნით ჩვენმა ავტორმა წინასწარ განაპირობა მათ შორის ურთიერთობების შეუძლებლობა, და, შესაბამი-

[1] იქვე, 87.
[2] იქვე, 87.

სად, რა შუალობითი რგოლებიც არ უნდა მოიგონოს მან, ის მაინც ვერ იპოვის პრობლემის გადაწყვეტას, ვიდრე არ უარყოფს მოსაზრებათა თვით ამოსავალ წერტილს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პრობლემა, [ასე] ვთქვათ, „სულისა“ და „სხეულისაა“, „ფსიქიკურისა და „ფიზიკურისაა“. რამდენი გმირული ძალისხმევა იყო დახარჯული ძველი ფსიქოლოგიის მიერ, რათა აიხსნას „ფიზიკურის“ გადასვლა „ფსიქიკურში“. ორი, ონტოლოგიურად დამოუკიდებელი რიგის, ერთიდან მეორეში აღნიშნული გადასვლის ასახსნელად შემუშავებულ იქნა „შეგრძნების“ ცნება. თუმცა მაშინვე წარმოიშობოდა შეკითხვა: რას ნიშნავს თვით შეგრძნება? თუ ეს ფიზიკური მოვლენაა, მაშინ როგორღა გადადის ის ფსიქიკურში? ხოლო, თუ შეგრძნება ფსიქიკური მოვლენაა, მაშინ სადღაა გადასვლა და ა.შ. უსასრულობამდე, ზუსტად ისე, როგორც ამას აკეთებს პროფ. სურგულაძე. მე ვამტკიცებ, რომ პროფ. სურგულაძე ვერ გადაჭრის აღნიშნულ პრობლემას საკუთარი თხზულების ვერც ამ და ვერც სხვა ნებისმიერ ადგილზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ის გადაუჭრელია, ზოგადად.

აღნიშნული შედეგი გარდაუვალი იყო, ვინაიდან ჩვენი ავტორი საკუთარი გამოკვლევის ამოსავალ წერტილში უპირატესად მიემხრო ჰუსერლის იდეალისტურ-პლურალისტურ ონტოლოგიას. მაგრამ, თუ ჩვენი ავტორი აირჩევდა სხვა გზას, თუ ის კვლევის ამოსავალ წერტილად აიღებდა დიალექტიკური მატერიალიზმის მონისტურ მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, მაშინ ის მიხვდებოდა, რომ არ არსებობს „ონტოლოგიურად არსებითად დამოუკიდებელი“ სამყაროთა სიმრავლე, მათი საკუთარი „კანონზომიერებით“, არამედ არის ერთი მატერიალური სამყარო, რომელიც წარმოადგენს ერთიანობას სიმრავლეში. ის მიხვდებოდა მაშინ, რომ ფორმათა ის მრავალფეროვნება, რომელიც ჩვენ გვიხსნის სინამდვილეს, არის მრავალფეროვნება ერთიანობის შიგნით. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ავტორი იმ დასკვნამდე მივიდოდა, რომ კაუზალური კანონზომიერება არ არის მხოლოდ სოციალური ყოფიერების კანონზომიერება, არამედ ეს არის მთელი ყოფიერების უნივერსალური კანონზომიერება, ნივთების საყოველთაო კავშირის გამოვლინების ფორმა, და რომ ასეთი საყოველთაო კავშირის არსებობის გარანტ არის სამყაროს მატერიალურობა. სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ამ შემთხვევაშიც იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა შეუძლებელი იქნებოდა პროფ. სურგულაძის დასახელებული ნაშრომის [შექმნა], ვინაიდან ის შედგება პერმანენტული და უსარგებლო მცდელობისაგან, გამოიგონოს რაღაც კავშირი იმ ორ სამყაროს შორის – სოციალურ ცხოვრებასა და სამართალს, რომლებიც სრულიად ხელოვნურად მოწყვეტილია ერთმანეთისაგან თვით პროფ. სურგულაძისავე მიერ.

ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, შევეხოთ პროფ. სურგულაძის სხვა მოძღვრებას, და ეს არც წარმოადგენს ჩვენს დღევანდელ ამოცანას. ალბათ,

სურათის მეტი სიცხადის მიზნით, საჭიროა უფრო ახლოს გავეცნოთ იმას, თუ რას წარმოადგენს პროფ. სურგულაძის „სამართალი“, რომელსაც სულ-საც არ სურს, იყოს რეალური ცხოვრების დანამატი. თუ აღნიშნულ საკითხს მივუბრუნდებით, აღმოვაჩენთ, რომ „სამართალი“, პროფ. სურგულაძის მი-ხედვით, მთლიანად ხასიათდება სამართლებრივი მოწესრიგების სისტემად მისი უმარტივესი და ფუძემდებლური კატეგორიის აღიარების მეშვეობით, რომლის შინაარსი გამოხატავს ადამიანთა შესაძლო რეალური და ორმხრივი ურთიერთობების იდეას.

ამ იდეის ქვეშ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ რაღაც, რაც სა-კუთარ და დამოუკიდებელ მნიშვნელობასაა მოკლებული, რაღაც, რაც არსე-ბობს ადამიანთა ურთიერთობების რეალურ პროცესებში, ამ პროცესების აბ-სტრაქტულად გამორჩეული ელემენტის სახით, არამედ [უნდა გავიგოთ] სავ-სებით დამოუკიდებელი (აღნიშნულ პროცესებთან მიმართებით), წმინდა იუ-რიდიული კატეგორია, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი რეგულაცი-ის სისტემის შინაგან, შემდგომში განუყოფელ მომენტს.

„ზემოთ ჩვენ განვსაზღვრეთ ობიექტური მართლწესრიგი, ვინაიდან ის არის მოქმედი მართლწესრიგი, როგორც იურიდიული ურთიერთობებიდან გათავისუფლებული, არასამართლებრივი კატეგორიების სისტემა. აღნიშნუ-ლი გაგებით, ის [იგულისხმება მართლწესრიგი – მთარგმნელი] ქმნის ობიექ-ტური სამართლის არსებობის ძირითად ფორმას და სწორედ იმიტომ, რომ სხვა, აქ ნანახი ელემენტები, უმთავრესად, დამატებით როლს ასრულებენ და მხოლოდ მოქმედი მართლწესრიგის არსებობის სხვა სტადიაში გადასვლი-სათვის ძირითად პირობებს განსაზღვრავენ, ანუ იურიდიულად შესაძლებლი-სა ან რეალურად არსებულის მდგომარეობაში“.[1]

აღნიშნული მსჯელობიდან თუ საერთოდ რაიმეს გაგებაა შესაძლებელი, უკიდურეს შემთხვევაში გასაგებია, რომ, პროფ. სურგულაძის აზრით, სამარ-თალი:

ჯერ ერთი, ადამიანთა ურთიერთობების რეალურ პროცესებში არის არა რაღაც არსებული;

მეორე, ის რეალური ურთიერთობებიდან აბსტრაქციაც კი არ არის;

მესამე, ის არის იმ „ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგე-ნენ უსუფთავეს და, ამასთანავე, სამართლებრივი რეგულირების იმ ელემენ-ტარულ ფორმას, რომლისგანაც ამოგლეჯილია ნებისმიერი სინამდვილე“[2];

და მეოთხე, რომ ამ, ყოველგვარ კონკრეტულობას, რეალობასთან ყო-ველგვარ კავშირს მოკლებული, თუნდაც ამ რეალობისგან აბსტრაქციადაც

[1] იქვე, 90.
[2] იქვე, 89.

კი არქცეულ სამართალს გააჩნია დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობა, როგორც „სამართლებრივი რეგულირების უმარტივესი და ფუძემდებლური კატეგორია“.

სამართალი განთავისუფლებულია ყოველივე რეალურისაგან, ყოველივე კონკრეტულისაგან, ის მთლიანად და სრულად მოწყვეტილია სოციალური ცხოვრებისაგან, მაგრამ ის არ არის მარტივი აბსტრაქცია, არამედ მას აქვს დამოუკიდებელი არსი, როგორც განსაკუთრებული სამყარო. სად მდებარეობს ეს სამყარო, ეს არ იცის არა მხოლოდ პროფ. სურგულაძემ, არამედ მისმა მასწავლებლებმაც ძირგამომპალი კაპიტალისტური ეპოქის იდეალისტი ფილოსოფოსების [რიგებიდან]. თუმცა საქმე ეს არ არის, არამედ ისაა, რომ ეს მისწრაფება, რათა სამართლის ფორმა დაყენებულ იქნეს რეალური ცხოვრების მიღმა, იდეალისტური სამართლის ფილოსოფიის დამახასიათებელი ნიშანია.

აღნიშნული ოპერაციის ობიექტური არსი ისაა, რომ ბურჟუაზიული „სამართალი“ ამ სახით მაინც „დაიცვება“ სოციალურისაგან, მზარდი სოციალისტური რევოლუციისგან.

პროფ. სურგულაძეს თან სდევს რთული ამოცანა – თუ როგორ დაუკავშიროს სამართალი სოციალურ ცხოვრებას. ის აღმოაჩენს, რომ არსებობს არა მხოლოდ რაღაც კავშირი, არამედ რაღაც შესაბამისობაც მათ შორის. თუმცა პროფ. სურგულაძე განსხვავებულად წყვეტს ამ საკითხს. ის საუბრობს იმის შესახებ, რომ რეალურ ცხოვრებაში სამართალი თავად პოულობს საყრდენ წერტილებს, რომელთა მეშვეობით ის „სამართლებრივ რიგში“ ჩაითრევს რეალური სამყაროს საგნებს, ატყობინებს იმ თვისებებს, რომლებიც მათ არ გააჩნიათ მათივე საკუთარი ბუნებით. აღნიშნული სასწაულის ასახსნელად პროფ. სურგულაძემ რთული მექანიზმი გამოიგონა, რომელთა რგოლების, ბერკეტების და ა.შ. მეშვეობით, ჩვენი აზრით, ვერაფრით შეძლო ამ სასწაულის ახსნა.

ნაშრომის შემაჯამებელ ნაწილში პროფ. სურგულაძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დასაბუთდეს, თუ ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაზე რაღაც პლუსი იქნება ნაპოვნი. სწორედ ეს პლუსია ის ობიექტური მართლწესრიგი, რომელიც არ შეიძლება დავიყვანოთ რაიმე რეალურ პროცესებამდე, ის სრულებითაც არ ემორჩილება კაუზალურ კანონზომიერებას, არ შეიყვანება სოციალური ყოფიერების „ონტოლოგიურ რიგში“, არამედ, პირიქით, თვითონ ატყობინებს რეალობას ისეთ თვისებებს, რომ მან „თავიდან მოიგლიჯოს ბუნებრივი milieu[1] და მოახდინოს მისგან იზოლირება“, თვითონ დგება სამართლებ-

[1] გარემოცვა [მთარგმნელი].

რივ რიგში და თვითონვე ემორჩილება არა კაუზალურ, არამედ სამართლებრივ კანონზომიერებას.

როგორც ზემოთ ითქვა, პროფ. სურგულაძის ნაშრომი ჯერ არ არის დასრულებული, თუმცა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ, თუ ავტორი სამართალს არ დაუმორჩილებს სოციალურ ცხოვრებას, მაშინ მას მოუწევს, თვით სოციალურ ცხოვრებას დაუმორჩილოს სამართალი. სხვა შემთხვევაში ის ვერ შეძლებს წინააღმდეგობისათვის თავის დაღწევას. ყველა საფუძველია იმ ვარაუდისათვის, რომ ავტორმა მეორე გზა აირჩია...

აქამომდე მე ვავითარებდი იმ მოსაზრებას, რომ საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიღმა ვითარდებოდა, მას გვერდს უვლიდა, და, იდეალისტური ფილოსოფიიდან გამომდინარე, იდეალისტურ დასკვნებსაც აკეთებდა.

პროფ. სურგულაძის ნაშრომი – Gewalt und Recht, – 1925 წელს გაჩნდა. 1929 წელს ჩნდება პროფ. ნანეიშვილის ნაშრომი, რომელიც ამასვე მოწმობს.

პროფ. ნანეიშვილის წიგნის – „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ – მიმართ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მას უფრო მეტი სიცოცხლე, ჩვენი მიწის რეალური, „ცოდვილი“ სიცოცხლე აქვს. ის „აღიარებს“ ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ მარქსისტული თეზისის მართებულობას. მისი აზრით, ყველაფერი ის კი არა, რაც იქმნება ფაქტობრივი გარემოებების ძალით, საჭიროებს სამართლებრივ შეფუთვას, არამედ ზოგიერთი რამ, მხოლოდ მსოფლიო წესრიგის ნაწილი, რომელიც თითოეულ შემთხვევაში განპირობებულია ისტორიული პირობების ჯამით. პროფ. ნანეიშვილი საკუთარ კვლევას აქედან არ იწყებს, თუმცა მე უფრო ხელსაყრელად ვთვლი მისი თხზულების არსის გარკვევას აღნიშნული პოზიციიდან, დედამიწაზე უფრო მყარად დგომით და სწორედ აქედან შევხედო ზეცას, საითკენაც ჩვენ მივყავართ პროფ. ნანეიშვილს.

„მაგრამ რა ფაქტობრივი ურთიერთობები შეიძლება იქნეს მოცული სამართლებრივი საბურველით და ვინ შემოსავს მათ ამ სამოსელით?“ – სვამს კითხვას პროფ. ნანეიშვილი, და პასუხობს კიდეც: „ის, ვინც ისტორიით არის მოწოდებული, ის, ვისაც ისტორიამ მიანიჭა ძალა და ხელისუფლება, საკუთარი მრწამსის შესაბამისად, აწარმოებს შესაძლო ფაქტობრივი ურთიერთობების შეფასებას“. ეს „ძალა“ მასთან შემდგომში აიხსნება როგორც კლასობრივი ბრძოლის ძალა, იმ კლასთა ძალა, რომლებიც იბრძვიან, რათა იქონიონ ფაქტობრივად მოცემული სოციალური ურთიერთობების საკუთარი შეფასების შესაძლებლობა.

აღნიშნული სოციალური პროცესები ქმნიან პოზიტიური სამართლის ამა თუ იმ სისტემას. პოზიტიური სამართალი ამგვარად არის სოციალურად დეტერმინებული. ის წარმოიშობა დროში და, ასევე, დროში წყვეტს თავის არ-

სებობას, სოციალური ცხოვრების ფაქტობრივი გარემოებების ძალით. თუმცა საქმე ეს არ არის. პროფ. ნანეიშვილთან არსებობს „სამართლის არსის/[რაობის]“ კიდევ სხვა ცნება.

ის ამტკიცებს, რომ „ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის სამართალი სამართლის არსის/[რაობა] გარეშე“. მაგრამ რა არის ეს არსი/[რაობა]? იქნებ ეს არის სამართლის ზოგადი ცნება? ვთქვათ, ისეთი, როგორიცაა სამართლის სუბიექტის, სამართლებრივი ურთიერთობის და ა.შ. ცნება, ცნება, რომელიც მიიღება ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ისტორიის ხანგრძლივი გადამუშავების შედეგად. არა, სამართლის „არსი/[რაობა]“ პროფ. ნანეიშვილის მიხედვით, ეს არ არის – [მისთვის] ის ამქვეყნიური სამყაროდან არ გამომდინარეობს. ეს „არსი/[რაობა]“მას, როგორც „ღმერთი მანქანიდან“, უეცრად გამოუხტა, ნაწარმოების მე-9 გვერდზე, ავტორის შემდეგი მტკიცების სახით: „შეუძლებელია უარვყოთ, რომ დროში ცვალებადი, ნებისმიერი სამართლის ნორმაში არის ისეთი არსის/[რაობის] ნამდვილობა, რომელსაც სრულიად არ მიესადაგება ყოველივე, რაც მიესადაგება სამყაროს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ნამდვილობას“ – ეს არსი/[რაობა] უბრალოდ „არსებობს“, „არის“.

და, საიდან იღებს ეს არსი/[რაობა] სათავეს – ის წარმოიშობა თუ არ წარმოიშობა? ცნობილია, რომ ლოგიკური ცნებები წარმოიშობა და ვითარდება, მაგრამ სამართლის ეს „არსი/[რაობა]“ არ წარმოიშობა, არ „ხდება“ (დახასიათება, რომელიც პროფ. ნანეიშვილის მიხედვით, მხოლოდ ფაქტებს შეიძლება მიესადაგოს). პროფ. ნანეიშვილის აზრით, წარმოიშობა პოზიტიური სამართალი. ამრიგად, სამართლის წყაროს, სამართლის წარმოშობის შესახებ საკითხი – ეს პოზიტიური სამართლის წყაროს ან წარმოშობის შესახებ საკითხია. სამართლის „არსთან/[რაობასთან]“ ამ კითხვებს არავითარი შეხება არ აქვთ; პოზიტიური სამართლის წარმოშობა სულაც არ არის სამართლის „არსის/[რაობის]“ წარმოშობა, არამედ მხოლოდ ამ არსის/[რაობის] ნამდვილობის არსებობაა. შემდეგ ჩვენ ვიგებთ, რომ პოზიტიურ სამართალს წყარო გააჩნია სოციალურ ურთიერთობებში, არის კლასობრივი ბრძოლის შედეგი, მას მიეკუთვნება მარქსისტული თეზისი ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ, თუმცა ის ამ მარადიულის, აღნიშნული „სამართლის არსის/[რაობის]“ საწყისიდან არასოდეს წარმოშობილის მხოლოდ გამოვლინებისა და განხორციელების ფორმა არის. ამის შესაბამისად, სამართლებრივ სამყაროს ჩვენი ავტორი შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „სამართლებრივი სამყარო ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ან გავიგოთ მხოლოდ ისე, რომ ის შედგება არანამდვილი არსისგან/[რაობისგან]/[ჯერარსისგან] (სამართლის იდეისგან), ნამდვილი არსისგან/[რაობისგან], ანუ მოქმედი სამართლისგან და, ბოლოს, ამ აღნიშნული შინაარსის განხორციელებისაგან, ვინაიდან ამ განხორციელებაში ხდება სა-

მართლის აღსრულება“. მე აქ უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი [რამ]: როდესაც პროფ. ნანეიშვილი იხილავს ფაქტისა და ნორმის საკითხს და მათ ერთმანეთს უპირისპირებს, ის ამბობს, რომ ეს შეპირისპირება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თითქოსდა ვუპირისპირებთ ერთმანეთს ფაქტსა და ნორმას, როგორც არსსა და ჯერარსს, ვინაიდან ის, რაც მოცემულია, რაც მოქმედებს, რაც არის – ნამდვილია. აქ მე ის საკითხი მაინტერესებს, თუ რა ხასიათისაა ამ არსის/[რაობის] (სამართლის იდეის) ნამდვილობა? ვინაიდან, თუ ყოველივე ის, რაც მოცემულია, მოქმედებს და არსებობს, არის ნამდვილი, ხოლო სამართლის ეს არსი/[რაობა] არ არის ნამდვილი, მაშინ შეიძლება და უნდა ითქვას კიდეც, რომ თვით პროფ. ნანეიშვილის მიხედვითაც კი, ეს ჯერარსი (არანამდვილი არსი) არ არსებობს, რადგან, თუ ის იქნებოდა მოცემული, იარსებებდა, იმოქმედებდა, მაშინ ის არ იქნებოდა „არანამდვილი“/[ჯერარსი]. ხომ ნათელია, რომ საუბარი მიდის რაღაც არარსებულ ნივთზე, რომლის გამოვლინების ფორმა, პროფ. ნანეიშვილის აზრით, არის პოზიტიური სამართლის მთელი ჩვენი სისტემა, რომელიც სოციალური სინამდვილის ნაწილია. ამრიგად, ვიღებთ, რომ სოციალური ცხოვრების მდიდარი ნაწილი, კლასობრივ ბრძოლასა და რევოლუციასთან ერთად, არის მუდმივად არსებულის, საკუთარი თავის ტოლფასის, არასოდეს წარმოშობილის განხორციელების მარტივი ფორმა, აღნიშნული არსის/[რაობის], საწყისის გარეშე, რომელიც, ამასთანავე, არ არის ნამდვილი, რომელიც არ არსებობს.

შემდეგ პროფ. ნანეიშვილი ამტკიცებს, რომ სოციალური მეცნიერებანი არ სწავლობენ სამართალს, მათ არ შეუძლიათ სამართლის შესწავლა, ისინი სწავლობენ იმას, თუ რა არის ამ სამართლის განხორციელების შანსი. სამართალი არ არის სოციალურ მეცნიერებათა საგანი. ისტორია შეისწავლის სამართლის განხორციელების პროცესს, სამართლის ფილოსოფია სწავლობს სამართლის იდეას (სამართლის ჯერარსს). მე სხვა მოსაზრება მაქვს – ვთვლი, რომ სამართლის ფილოსოფია ამას კი არ შეისწავლის, არამედ რაღაც სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ვხედავ, რით არის დაკავებული ეს „სამართლის ფილოსოფია“? ნუთუ ის, მართლაც, დაკავებულია სამართლის არარსებული, არანამდვილი არსით/[ჯერარსით], სწავლობს იმას, რაც არ არსებობს?

სინამდვილეში, სამართლის ფილოსოფია დაკავებულია იმით, რომ ნივთებს თავდაყირა აყენებს. მას სოციალური ყოფიერების ნამდვილი არსი, რაც დღესაა სინამდვილე, რომელიც ბურჟუაზიული სამყაროს კაპიტალისტური სისტემის დაქცევაზე მიუთითებს, ეს ფაქტობრივი სინამდვილე მუდმივი „არსის/[რაობის]“ მარტივი ფორმის ხარისხამდე აქვს დამდაბლებული. თუმცა ეს სამართლის ფილოსოფია ასე მტრულად როდი არის განწყობილი სინამდვილის ყველა ფაქტის მიმართ. არის ზოგიერთი ფაქტი, რომელთა მი-

მართ სამართლის ფილოსოფიას სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს – ესენი ე.წ. ნორმატიული ფაქტებია. პროფ. ნანეიშვილი თვლის, რომ გარდა პოზიტიური სამართლისა და მისი ნორმებისა, არსებობს ისეთი ფაქტებიც, რომლებსაც თავისთავად აქვთ ნორმატიულობა. ნორმატიულობა აქვთ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათი არსებობითაც კი, იმით, რომ ისინი „მოხდნენ“, ქმნიან „აზრთა ისეთ ერთობას“, რომელიც ჩვენ განგვსაზღვრავს უფლებამოსილისა და ვალდებულის სახით. ასეთი ფაქტების ნორმატიულობა არ ეფუძნება არც პოზიტიური სამართლის ნორმებს, არც სამართლის წყაროებს – ისინი საერთოდ არ დგანან სამართლის არსზე/[რაობაზე]. თუ პოზიტიურ სამართალს ათასი წყარო აქვს, მაშინ ფაქტების ნორმატიულობის ასახსნელად ათასმეერთე საფუძველი უნდა მოიძებნოს. მაშ, რომელია ეს ფაქტები? ეს ისეთი ფაქტებია, როგორიც, მაგალითად, ხელშეკრულება, გარიგება. თუ სახეზეა ხელშეკრულების ფაქტი, ის მოსაზრებათა ისეთ ერთობას ქმნის, რომ ადამიანს მუდამ თან სდევს შეგნება, რომ მან უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით [ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება], მაშინაც კი, თუ ასეთი ხელშეკრულება პოზიტიური სამართლით აკრძალულია; ის ვალდებულია, შეასრულოს [ნაკისრი], და, თუ ფაქტობრივი გარემოებანი მას ამაში შეუშლიან ხელს, ის მაინც აცნობიერებს, რომ მის მიერ დარღვეულია ნორმა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკუთრივ მისთვის შეუსრულებლობა მომგებიანიც და სასარგებლოცაა.

მე არ ვამბობ, თითქოს პროფ. ნანეიშვილს იმის თქმა სურს, რომ „საბჭოთა ხელისუფლებამ რა კანონებიც არ უნდა დაწეროს, პოზიტიური სამართლის რა ნორმებიც არ უნდა დაიცვას, სამართლის განხორციელების „შანსების“ სფეროში, რა პირობებიც არ უნდა შექმნას, ხელშეკრულება მაინც ხელშეკრულება არის, მას ნორმატიული ძალა აქვს, ის არსებობს ყოველგვარი პოზიტიური სამართლის მიღმა. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: ხელშეკრულება არის ბურჟუაზიული საზოგადოების ურთიერთობათა ფორმა და პროფ. ნანეიშვილი ამსხვრევს რა ყოველივე დანარჩენს და სამართლის „არსის/[რაობის]“ მარტივ განხორციელებამდე დაყავს [ყველაფერი], ცდილობს ნორმატიული ფაქტების გადარჩენას. მე მესახება, რომ სამართლის ფილოსოფია სწორედ ამით არის დაკავებული. სამართლის ფილოსოფიის ამოცანაც სწორედ ისაა, დაასაბუთოს, რა სახის სოციალური ურთიერთობებიც არ უნდა არსებობდეს, როგორიც არ უნდა იყოს იქ სოციალური რევოლუცია, როგორიც არ უნდა იყოს პროლეტარიატის დიქტატურა, რასაც არ უნდა ამბობდეს ნამდვილი კლასობრივი ბრძოლის ფაქტები, მაინც არსებობს გარკვეული კატეგორიები, რომლებიც, მიუხედავად სოციალური ცხოვრების ამ პირობებისა, წმინდა და ხელშეუვალია. ამ კატეგორიების არსი კი ხელშეკრულება და გარიგებაა.

მე არ მაქვს შესაძლებლობა, შევეხო პროფ. ნანეიშვილის ნაშრომის სხვა მხარეებს, თუმცა მისი ნაშრომის იდეალისტური ხასიათი ისედაც ნათელია.

საკუთრივ პროფ. სურგულაძეც საუბრობს წმინდა, ყოველივე კონკრეტულისაგან გათავისუფლებული, სამართლის შესახებ. ის ეყრდნობა ჰუსერლიანელი ჰერინგის[1] აზრს, რომელიც ამბობდა: მოცემული ფერი მოცემულ ყვავილზე და ასეთივე ფერი სხვა ყვავილზე არ არის მათი ფერი, ჩვეულებრივ, სიტყვათა გამოყენებას ჩვენ შეცდომაში შევყავართ. უმჯობესია ვთქვათ, რომ მათ ერთი და იგივე ფერი, რომ მათ საერთო ფერი აქვთ. პროფ. სურგულაძეც ანალოგიურად ამტკიცებს, რომ, გარდა აღნიშნული სამართლისა და იმ სამართლისა, ანუ, გარდა ნებისმიერი კონკრეტული სამართლისა, არის კიდევ, ასე ვთქვათ, ზოგადი სამართალი, სამართლის გარკვეული სახე, რაღაც ზოგადი, რომელიც არსებობს არა კერძოში, არამედ მას აქვს დამოუკიდებელი ყოფა. სწორედ ეს არის ჰუსერლის „არსი/[რაობა]“ ანუ პროფ. ნანეიშვილის სამართლის „არსი/[რაობა]“. მართალია, ამ ორი პროფესორის ნაშრომებს შორის განსხვავება ისაა, რომ ნანეიშვილს სამუშაო გაწეული აქვს დიდი თანმიმდევრობით, სუფთად, დახვეწილად. სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვა, რომ პროფ. ნანეიშვილმა ნაშრომი 1929 წელს გამოსცა, ხოლო პროფ. სურგულაძემ – 1925 წელს და, შესაძლოა, აღნიშნული განსხვავების ახსნაც უნდა ვეძიოთ იმ წლების ოდენობაშიც, რაც ამ ორი ნაშრომის [გამოცემას] შორის გავიდა. მეორე განსხვავება ისაა, რომ, თუ პროფ. სურგულაძე არცერთ ადგილას არ ახსენებს მარქსს და, ზოგადად, მარქსისტულ კონცეფციას, თითქოსდა ასეთი კონცეფციები არც კი არსებულიყო, პროფ. ნანეიშვილი მაინც უწევს ანგარიშს მარქსიზმს, მას სურს, „სამართლის არსი/-[რაობა]“ დაუკავშიროს ბაზისისა და ზედნაშენის თეორიას, მიდის რა მარქსისტული კონცეფციის დაძლევის ხაზით, ვინაიდან ისეთი სრულიად შეურიგებელი საგნების შერიგება, როგორებიცაა იდეალიზმი და მატერიალიზმი, საერთოდ შეუძლებელია.

პროფ. ვაჩეიშვილის მეორე ნაშრომია „კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“. ეს ნაშრომი დამახასიათებელია საქართველოს სამართლებრივი აზრის განვითარების ხაზით იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ 1926 წელს ავტორი გვპირდებოდა, უახლოეს მომავალში მოეცა [ჩვენთვის] მისი წიგნისადმი – „სამართლის ზოგადი თეორია“ – დამატების სახით, სოციოლოგიური მიმართულებისა და, განსაკუთრებით, ისტორიული მატერიალიზმის ჩამოყალიბება.

1929 წელს ის იძლევა კელზენიანობის განმარტებას. კელზენის შესახებ არ ვისაუბრებ, მისი ფიგურა ყველასათვის ცნობილია – ვენის იურისტთა

[1] **ევალდ ჰერინგი** (1834-1918) – გერმანელი ფიზიოლოგი და ფილოსოფოსი [მთარგმნელი].

სკოლის ხელმძღვანელი, უკიდურესი ნორმატივისტი, რომელიც, აგრეთვე, ზურგს აქცევს ყოველივე ფაქტობრივს.

კელზენის ერთ-ერთი კრიტიკოსი კარიკატურულად შემდეგნაირად ახასიათებს აღნიშნული სკოლის იურისტებს: კანონმდებელო, შენ როგორი კანონებიც არ უნდა გამოსცე – ეს არაა ჩემი საქმე, ხოლო, როცა შენ მათ გამოსცემ, მაშინ მე გეტყვი შენ ლათინურად, თუ რა ეწოდება კანონს, რომელიც შენ გამოეცი. პროფ. ვაჩეიშვილი კელზენს არ განმარტავს კრიტიკულად, ის მას არ ეწინააღმდეგება. მე ვთვლი, რომ კელზენის ამგვარი განმარტება არ შეიძლება სხვაგვარად იქნეს განხილული, თუ არა როგორც კელზენიანობის იდეათა პოპულარიზაცია, ხოლო ეს იდეები, ჩვენდამი მტრულად განწყობილი, სამართლის ბურჟუაზიული ფილოსოფიის იმავე არსენალიდანაა. პროფ. ვაჩეიშვილის დასახელებული წიგნი, არსებითად, კელზენიანობის აპოლოგიაა. მაშ, რატომ ხდება, რომ პროფ. ვაჩეიშვილმა, რომელიც 1926 წელს სამართლის მარქსისტული თეორიის ჩამოყალიბებას გვპირდებოდა, კელზენიანობა ჩამოგვიყალიბა? იმიტომ, რომ 1929 წელს სოციოლოგიური სკოლა მოდიდან უკვე დიდი ხნის გასული იყო, ხოლო საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი, რომელმაც უდრეკად შეაქცია ზურგი მარქსიზმ-ლენინიზმს, წავიდა ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფიის კვალდაკვალ, რასაც პროფ. ვაჩეიშვილიც გაჰყვა თან. ამრიგად, ძირითადი ნაშრომები, 1925 წლიდან დაწყებული, 1929 წლის ჩათვლით, ჩვენ სულ ერთსა და იმავეს გვეუბნებიან, კერძოდ, იმას, რომ აქ ვითარდება სამართლის იდეალისტური ფილოსოფია, ან სხვისი ნაშრომების მარტივი პოპულარიზაციის გზით, ან დამოუკიდებელი შემოქმედების გზით.

სხვა ნაშრომების რიცხვშია ამხანაგი ჯაფარიძის ნაშრომიც. ეს არ არის ნაშრომი სამართლის თეორიაში, არამედ – სამეურნეო-ადმინისტრაციულ სამართალში. ნაშრომი სახასიათოა იმის მაჩვენებლად, თუ რამდენად სუსტია საბჭოთა საქართველოს მარქსისტული სამართლებრივი აზრი. ასე, მაგალითად, აღნიშნული წიგნის მე-10 გვერდზე ავტორი ადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის ორგანიზაციის პრინციპებს. ამ პრინციპებს შორის ფიგურირებს ასეთი პრინციპიც: „პირველი პრინციპი – ეს მეურნეობის ისეთი ორგანიზაციაა, რომ არ იყოს იმის ნიადაგი, რაზეც აღმოცენდება ერთმანეთთან დაპირისპირებული კლასები – დამონებულნი და დამმონებელნი, ბურჟუაზია და პროლეტარიატი... მიაღწევს საწარმოო ძალთა ისეთ განვითარებას, რათა დაგროვილი სიმდიდრე ყველას ეყოფა, ვინაც რამდენი არ უნდა მოითხოვოს. აღნიშნული მიზნის მიღწევის საუკეთესო გზად ითვლება სოციალიზმი (ან, უკეთ რომ ვთქვათ, მისი უზენაესი საფეხური – კომუნიზმი). სწორედ ეს არის მოკაშკაშე ვარსკვლავი“ და ა.შ. და ა.შ.

უნდა ვაღიაროთ, ჩვენ აქამდე გვეგონა, რომ სოციალიზმი არის გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაცია, სადაც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ „არ ურიგებენ“ ნებისმიერს იმდენს, რამდენსაც ის მოითხოვს, რომ კომუნიზმი, აგრეთვე, არის გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაცია და, თუ გნებავთ, გარკვეული აზრით, მიზანიც, რომლისკენაც ისწრაფვის თანამედროვე კაცობრიობა და, რომ ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა არის კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ გარდამავალი ეპოქა, როდესაც პირველი ძალადობრივად, რევოლუციურად გარდაიქმნება მეორეში და რომ ზუსტად ამ ეპოქას შეესაბამება პროლეტარიატის დიქტატურა.

თუმცა, ამხანაგი ჯაფარიძის აზრით, ეს სულ სხვაგვარადაა. გამოდის, რომ მასთან სოციალიზმი ან კომუნიზმი არიან, დაახლოებით, ამ მიზნის მიღწევის გზები, რათა „შექმნილი სიმდიდრე ყოფნოდა ყველას, რამდენიც არ უნდა მოეთხოვათ“.

მე ამას, სულ მცირე, კომუნიზმის უცნაურ შეცნობას ვუწოდებ. კომუნიზმის აღნიშნული გაგება, რა თქმა უნდა, ცუდი გარანტიაა იმისა, რომ ჩვენი სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართლის საკითხები ასახული ყოფილიყო ნაშრომში შესაბამისი პრინციპულობის სიცხადით.

59-ე გვერდზე ჩვენ ვპოულობთ ასეთ მტკიცებას – კაპიტალისტურ ქვეყნებში სააქციო საზოგადოების გამგეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ის ჩაანაცვლებს თვითონ საზოგადოებას, ამიტომ საბჭოთა სააქციო საზოგადოების გამგეობის შერჩევას ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ისე გამოდის, რომ სამეურნეო საქმიანობის კაპიტალისტური წესიდან გამომდინარე, დასაბუთებულია საბჭოთა სააქციო საზოგადოებების გამგეობის არჩევისადმი მიდგომაც.

ან შემდეგი დებულება: „საბჭოთა ხელისუფლება იყენებდა სინდიკატებს, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკითაა შექმნილი, თუმცა იყენებდა მხოლოდ მათ სახელწოდებებსა და ორგანიზების ფორმებს, სრულიად სხვა მიზნებისთვის“ (გვ. 81). მატერიალისტური დიალექტიკის მიხედვით, ჩვენ ვიცით, რომ ერთი და იგივე ფორმები არ შეიძლება იყოს გამოყენებული ხარისხობრივად განსხვავებული საგნების მიმართ და, თუ ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ სექტორსა და კაპიტალისტურ მეურნეობას შორის არის ხარისხობრივი განსხვავება, მათ არც ერთი და იგივე ორგანიზაციული ფორმები შეიძლება ჰქონდეთ. ეს განმარტება, ცალკეული ნაწილები, რომლებსაც ვთვლი, რომ უნდა განვიხილოთ, როგორც ავტორის უბრალო დაუდევრობის შედეგი, თუმცა ახლა ამხანაგი ჯაფარიძე რეპლიკას ისვრის, რომ ეს სულაც არ არის შეცდომა და დაუდევრობა და, რომ ის ამ დებულებას იზიარებს და მხარს უჭერს მას. შემდეგ, ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის მშენებლობის პრინციპების განხილვისას, საუბარი

მუდმივად მიდის საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, თუმცა ავტორის მიერ ის არსად არის განვრცობილი როგორც პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც აღნიშნული ცნების შინაარსის მრავალფეროვნებიდან და სიმდიდრიდან არის აღებული. მე კი ვამტკიცებ, რომ, თუ თქვენ არ ამოდიხართ პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპიდან, მაშინ ვერასოდეს მიხვალთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ სექტორსა და კაპიტალისტური მეურნეობის საორგანიზაციო ფორმებს შორის განსხვავების საკითხამდე. თქვენ ვერ ახსნით, მაგალითად, იმას, რომ, თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშაობის სტიმულს იწვევს მოგების მოლოდინი, რაღა იქნება ასეთი სტიმული ჩვენს საწარმოებში, სადაც სამუშაო ხორციელდება გეგმისა და დაკვეთების პრინციპის მიხედვით; რით არის განპირობებული უფრო მეტის დაზოგვისაკენ ლტოლვა, ნაწარმის ხარისხის ამაღლება და ა.შ. მე ვფიქრობ, რომ თქვენ სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართლის კურსში ვერასოდეს უპოვით ადგილს პროლეტარულ საზოგადოებას, სოციალისტურ შეჯიბრებითობას, დამკვრელობასა და მუშათა კლასის საწარმოო აქტივობის ორგანიზების მთელ რიგს სხვა ფორმებისას.

სულ ბოლო დროს კი ჩვენ გვაქვს პროფ. სურგულაძის სტატია ჟურნალ „მნათობში“[1], რომელიც ეხება კ. კაუცკის მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ. ამ სტატიის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროფ. სურგულაძის სახით საბჭოთა საქართველოს სამართლებრივმა აზრმა დიდი ნაბიჯი გადადგა მარქსიზმის მიმართულებით, მიუახლოვდა მას ძალზე ახლოსაც კი. მე არ ვაპირებ, ვამტკიცო, რომ სინამდვილეში ეს ასე არ არის, მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ მარტო აღნიშნული სტატიის მიხედვით, მსგავსი დასკვნების გაკეთება რთულდება და, აი, რატომ. იმიტომ, რომ პროფ. სურგულაძის თვალთახედვით, „მისი ძირითადი ნაშრომის მიხედვით“, სოციალური ყოფიერება – ეს ერთი საქმეა, მართლწესრიგი კი სხვა საქმეა, ამიტომ პროფ. სურგულაძეს შეეძლო სტატიის დაწერა კაუცკის წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის აქამომდე იზიარებს საკუთარი ძირითადი ნაშრომის დებულებას სამართლის ფილოსოფიის სფეროში, მით უმეტეს, რომ სტატიაში არის დებულება, რომელსაც, ჩემი აზრით, საერთო არაფერი აქვს მარქსიზმთან. მაგალითად, პროფ. სურგულაძე თვლის, რომ სახელმწიფოს პრობლემატიკა არის მარქსისტული თეორიის საწყისი წერტილი. თუ პროფ. სურგულაძეს მხედველობაში აქვს მარქსის წერილი, სადაც ის ამბობს: მისი დამსახურება ის კი არ არის, რომ მან აღმოაჩინა კლასები, კლასობრივი ბრძოლა, არამედ მისი დამსახურება ისაა, რომ მან გვაჩვენა პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებ-

[1] იხ. სურგულაძე ირ., კ. კაუცკის ახალი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, ჟურნალი „მნათობი“, №10, 1929, 197-215 [რედ.].

ლობა, მაშინ მე ვამტკიცებ, რომ იქ საუბარია პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, და არა სახელმწიფოს პრობლემის შესახებ. პროფ. სურგულაძის სხვა დებულება (სტატიის 1-ლ გვერდზე) – „სახელმწიფო – იგივეა, რაც კლასობრივი საზოგადოება“. ჩვენი აზრით კი, სახელმწიფო არ არის იგივე, რაც კლასობრივი საზოგადოება. გახსოვთ, როცა მე დავიწყე საუბარი სურგულაძის შესახებ, აღვნიშნე, რომ მის ძირითად ნაშრომში არ არის განსხვავება საზოგადოებისა და სახელმწიფოს შემეცნებას შორის. იგივე შეუმეცნებლობა მეორდება აღნიშნულ სტატიაშიც. შემდეგში პროფ. სურგულაძე ამტკიცებს, რომ „ისტორიული კანონზომიერების შემეცნება, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოება მის არსებობასა და განვითარებაში, შეუძლებელია, ვიდრე არ იქნება ამოხსნილი სახელმწიფოს ბუნების საიდუმლო“. მე ვამტკიცებ, რომ სახელმწიფოს საიდუმლოს მარქსისტები ხსნიან სწორედ სოციალური კანონზომიერების შემეცნებიდან გამომდინარე, ხოლო პროფ. სურგულაძესთან გამოდის, რომ, თუ თქვენ გსურთ სოციალური ცხოვრების კანონზომიერების შეცნობა, თქვენ უნდა ამოდიოდეთ სახელმწიფოს საიდუმლოს შემეცნებიდან. შემდეგში პროფ. სურგულაძე ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად თითქოს ენგელსი თვლიდა შრომის საზოგადოებრივ განაწილებას, კერძო საკუთრების წარმოშობასა და ა.შ., მე კი ვამტკიცებ, რომ ენგელსი სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად ამას არასოდეს თვლიდა. სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად ენგელსი კლასობრივი ბრძოლის შეურიგებლობას თვლიდა, ამიტომაც, ენგელსის მიხედვით, სახელმწიფო წარმოიშობა არა შრომის საზოგადოებრივი განაწილებით, კერძო საკუთრების წარმოშობით და ა.შ., არამედ საზოგადოებრივი განვითარების იმ სტადიაზე, როცა საზოგადოება საბოლოოდ გაიხლართა კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგობებში.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია იმის კონსტატაცია, რომ საბჭოთა საქართველოს სამართლისა და სახელმწიფოს თეორიის შესახებ ძირითად ნაშრომებში ჩვენ ბურჟუაზიულ დასავლეთში აღორძინებული ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის გადმოტანას ვაკვირდებით.

საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი, როგორც ეს ჩვენ მიერ გაანალიზებულ ნაშრომებშია წარმოდგენილი, არის ანტიმარქსისტული.

მხოლოდ სულ ბოლო დროს ჩვენ გვაქვს რამდენადმე სასიამოვნო მოვლენა მცირერიცხოვანი ახალგაზრდა მარქსისტი-ლენინელების პატარა ნაშრომების სახით. ამ ნაშრომებიდან მე მსურს, აღვნიშნო ამხანაგი სოსელიას სტატია იმავე ჟურნალ „მნათობში“[1], იმავე კაუცკის წინააღმდეგ. ამხანაგმა სოსელიამ ამ სტატიაში გვაჩვენა პრობლემისადმი ნამდვილი მარქსისტულ-

[1] სოსელია გ., კაუტსკი სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორიის შესახებ, ჟურნალი „მნათობი“, №1, 1930, 205-215; სოსელია გ., სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ტფილისი, 1934 [რედ.].

ლენინური მიდგომა და დაამტკიცა, რომ კარლ კაუცკი სახელმწიფოს შესახებ საკითხებში არასოდეს ყოფილა მარქსისტი. ამხანაგმა სოსელიამ თავის სხვა ნაშრომში გამოავლინა, რომ არა მხოლოდ სამართალმცოდნეთა შორის, არამედ ქართველ ისტორიკოსთა შორისაც სახელმწიფოს შესახებ საკითხებში არსებობს რეაქციული კონცეფციები, რომელთა არსი ისაა, რომ თითქოსდა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობა კლასების გაჩენამდე მოხდა.[1] ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი, რომ იგივე მასალები, რომლებითაც ოპერირებდნენ ეს ისტორიკოსები, სწორედ იმაზე მეტყველებენ, რომ საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, სახელმწიფო წარმოიშვა კლასების გაჩენის შემდეგ, კლასობრივი ბრძოლის შეურიგებლობის შედეგად.

რეგლამენტი იწურება. თავმჯდომარე მაჩქარებს, ამიტომ უფლება მომეცით, რომ ჩემი უკანასკნელი თეზისი, რომელშიც საუბარია მარქსისტი სამართალმცოდნეების ამოცანების შესახებ, არა ახლა, არამედ დასკვნით სიტყვაში განვავრცო.

თავმჯდომარე:

კამათის წესის შესაბამისად, სიტყვა ეძლევა პროფ. სურგულაძეს.

პროფ. სურგულაძე:

ამხანაგებო, უპირველეს ყოვლისა, მსურს, თქვენი ყურადღება ერთ უზუსტობას მივაქციო, რომელიც მომხსენებელმა თავიდანვე დაუშვა: მან თქვა, რომ პირველი ნაშრომი, რომელიც ჩვენთან გაჩნდა (თეზისებში, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ასეა ნათქვამი), ეს არის პროფ. ვაჩეიშვილის წიგნი. აქ, რა თქმა უნდა, საუბარია არა მარტივ ქრონოლოგიურ უზუსტობაზე, არამედ სხვაზე, კერძოდ, თავის თეზისებში მომხსენებელმა იმ ადგილებში, სადაც ის გადადის ჩემი ნაშრომის განსჯაზე, თქვა: „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი უფრო მკვეთრად აქცევს ზურგს მარქსიზმსა და ლენინიზმს“. ესე იგი, ვაჩეიშვილის ნაშრომში მან უკვე შეაქცია ზურგი მარქსიზმს, ხოლო კიდევ უფრო მკვეთრად – ჩემთან. რასაკვირველია, აქ გადაბრუნებული და არეულ-დარეულია ყველა თარიღი. ეს პირველი უზუსტობაა, რომელზეც მსურს თქვენი ყურადღების მიქცევა.

შემდეგ პირდაპირ გადავალ იმაზე, რასაც ავტორი გამოთქვამს ჩემი ნაშრომის მიმართ. მომხსენებელმა მაინც გამოიჩინა გარკვეული თავმდაბლობა; მან თქვა, რომ ნაშრომი გერმანულ ენაზეა დაწერილი, რომ მოხსენებაში მოყვანილია რამდენიმე ადგილი, შესაძლოა არასწორად, თუმცა მას ეჩვენება,

[1] იხ. სოსელია გ., ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ჟურნალი „მნათობი“, №5-6, 1930, 172-211; სოსელია გ., სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ტფილისი, 1934 [რედ.].

რომ თარგმანი სწორია. აი, დაახლოებით, როგორია მისი მოსაზრება ამ საკითხის მიმართ.

მე კი ვფიქრობ, რომ მომხსენებელს მთელი ნაშრომი წაკითხული არ აქვს და მე შევეცდები ამის წარმოჩენას იმ რამდენიმე დებულების შედარების გზით, რომლებიც მომხსენებელმა გამოიტანა ჩემი წიგნის ცალკეული ადგილების სახით. გამოდის ისე, რომ, თუ მთლიან სურათს რამდენიმე ნაწილად გავხლეჩთ, თქვენს ხელში კი ჩავარდება თვალი ან ყური და ამ საფუძვლით თქვენ მთელი სურათის აღდგენას ფიქრობთ. ამ სულისკვეთებით დაუშვებელია სამეცნიერო ნაშრომის გაკრიტიკება. აუცილებელია მოთმინება და შესაძლებლობა, რათა თავიდან ბოლომდე წაიკითხო წიგნი, ხოლო შემდეგ შეუდგე აღნიშნული ნაშრომების შეფასებას. ეს პირველი შენიშვნაა, რომელსაც მე მომხსენებლის მიმართ ვაკეთებ მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც ჩემს ნაშრომს ეხება. მე უნდა დავამტკიცო, რომ მოხსენების ცალკეული ნაწილები ნამდვილად არ შეესაბამება იმას, რაც გვაქვს წიგნში. მაგალითად, მან [ე.ი. მომხსენებელმა – რედ.] ძალზე კატეგორიული, შეპასუხების მიუღებელი ფორმით, გამოთქვა დებულება, რომ ჩემს ნაშრომში არსადაა ნახსენები ყოველგვარი სამართალი კლასობრივ არსთან მიმართებით. ეს კატეგორიულად გამოთქვა მომხსენებელმა. თუმცა, თუ ჩვენ ვნახავთ 65-ე გვერდს, იქ შემდეგი რამ არის ნათქვამი: მე შემიძლია, რუსულ ენაზე გითარგმნოთ, ხოლო, თუ გსურთ, გერმანულ ენაზე წაგიკითხოთ... (კითხულობს გერმანულ ენაზე). რას ნიშნავს ეს ადგილი? რუსულ თარგმანში ეს ნიშნავს: „უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ის დებულება, რომ ნებისმიერი სამართლებრივი ორგანიზაცია, საკუთარი სოციალური სტრუქტურით, არის კლასობრივი ორგანიზაცია, კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია და სოციალური ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების დროს გადამწყვეტ მომენტს, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს გაბატონებული კლასის ინტერესები“. საჭიროა კი ამის შემდეგ იმის განცხადება, რომ ნაშრომში, რომლის გაკრიტიკებაც საკუთარ თავზე აიღო მომხსენებელმა, არ არის რაიმე მითითება იმასთან მიმართებით, რომ სამართლებრივი ორგანიზაცია არის კლასობრივი ორგანიზაცია? ვფიქრობ, რომ არა.

ადგილიდან:

რა არის სამართლებრივი ორგანიზაცია? – ეს არის საზოგადოება, რომელშიც მოცემულია სამართალი.

პროფ. სურგულაძე:

ეს ერთი მომენტი. ახლა სხვა: მომხსენებელი ამტკიცებს, რომ ნაშრომი საერთოდ არ ეხება საკითხს საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონო-

მიკურ სტრუქტურასა და სამართლებრივ ზედნაშენს შორის ურთიერთობების შესახებ. თუმცა მე მივუთითებ ამავე ნაშრომში იმ კონკრეტულ ადგილზე, სადაც ეს საკითხი გარკვევით არის წამოყენებული. 92-ე გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ... (კითხულობს გერმანულ ენაზე). რუსულ თარგმანში ეს ნიშნავს, რომ: „ის ურთიერთობები, რომლებიც ჩვენ აქ შეგვხვდა, შეგვიძლია, სამ ძირითად სახეობად დავყოთ: პირველი სახეობა: გვაქვს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის ურთიერთობა, რომელიც სამართლებრივ ფორმაშიცაა მოცემული“. ნაშრომში სხვა ადგილებიცაა, საიდანაც შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ როცა განიხილება საკითხი სამართლებრივი ზედნაშენის წარმოშობის შესახებ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ სამართალი არის ეკონომიკური ბაზისის ზედნაშენი. ის ფაქტი, რომ მომხსენებელს თავიდან ბოლომდე არ წაუკითხავს ჩემი ნაშრომი და მხოლოდ ამ ნაშრომის ზოგიერთი ადგილით შემოიფარგლა, სხვათა შორის, მომხსენებლის თეზისებშიც პოვებს საკუთარ გამოხატულებას. თეზისებში ნათქვამია: „სამართალსა და შემეცნებას შორის კაუზალური კავშირის შესაძლებლობის გამორიცხვით, მან (სურგულაძემ) ვერ შეძლო სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის ურთიერთზემოქმედების ფაქტი იმგვარად აეხსნა, როგორც თვით სოციალური სინამდვილის დაქვემდებარება სამართლებრივი კანონზომიერებისადმი და აღნიშნული სინამდვილის ჩართვა სამართლებრივ რიგში“. მე ვამტკიცებ, რომ მთელი ეს ადგილი სრულებით გაუგებრობაა და, თუ ავტორი საკუთარ თავზე იტვირთავდა შრომას და თავიდან ბოლომდე წაიკითხავდა ჩემს წიგნს, ის, რასაკვირველია, არც ასეთ გაუგებრობაში ჩავარდებოდა. ეს ადგილი ნაშრომის იმ ნაწილიდან არის ამოღებული, რომელიც აღინიშნა როგორც დასკვნა, და აქ ნაშრომიდან გარკვეული დასკვნები კეთდება. სხვათა შორის, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ნაშრომის ძირითად ამოცანად არა სახელმწიფო სამართლის, როგორც ცალკეული მეცნიერების, არსებობის საკითხის გადაწყვეტა დგას, – ნაშრომის ძირითადი ამოცანა სხვა საკითხის გადაწყვეტაა, რომლისგანაც მე ვფიქრობდი ამოსვლას, რათა გადამეწყვიტა სახელმწიფო სამართლის არსებობის პრობლემა და, ზოგადად, ფაქტობრივისა და სამართლის ურთიერთობათა პრობლემა. როგორც თვით სათაურიდან ჩანს, ნაშრომს მხედველობაში აქვს არა, ზოგადად, სამართლის პრობლემა, არამედ იმის პრობლემა, თუ რა არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელი ელემენტებისაგან შედგება ის და რა ურთიერთობებში იმყოფებიან ერთმანეთთან სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები. ეს ის ძირითადი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტას ისახავს ამოცანად [განსახილველი] ნაშრომი.

როცა მე ჩემს ნაშრომში ვიხილავდი სამართლებრივი ურთიერთობის საკითხს, მე ვუთითებდი, რომ ცენტრალურია საკითხი სამართალსა და ფაქ-

ტობრივს შორის ურთიერთობათა შესახებ და, ამასთან დაკავშირებით, ვუთითებდი, რომ არსებობს სამი სახის ურთიერთობა სამართალსა და იმას შორის, რაც შესაძლოა აღინიშნოს როგორც ფაქტი. არის სამართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით განპირობებულობის ურთიერთობა – ეს ურთიერთობათა ის ძირითადი სახეა, რომელიც აქ არის მოცემული. არის ურთიერთობა, რომელიც არსებობს სამართლებრივ ელემენტებსა და ობიექტებს შორის. ყველასთვის, ვინც ელემენტარულად არის გათვითცნობიერებული სამართლის თეორიის სფეროში, ცნობილია, რომ სამართლებრივი ურთიერთობები შეიცავენ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, უფლებას, მოვალეობასა და სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტს. ასეთ ობიექტად კი გამოდის გარკვეული ფაქტი, და, ამ შემთხვევაში, სამართლებრივ ელემენტებსა და არასამართლებრივ მომენტებს შორის არსებობს ურთიერთობა, რომელიც აიხსნება ამ წიგნში. ნაშრომში მითითებული ურთიერთობათა მესამე სახე, ასევე, ცნობილია იურიდიულ ლიტერატურაში და ფაქტების იურიდიულ რელევანტურობას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ამ განსხვავებული სახის ურთიერთობების აღრევა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღება სრულიად გაურკვეველი „ვინეგრეტი“. იმისათვის, რათა მსგავსი აღრევა არ მოხდეს, მე ჩემს ნაშრომში მივუთითე, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ურთიერთობათა განსხვავებული სახეები, რომლებიც აქ არის მოცემული და თითოეული მათგანი ცალკეულ ანალიზს უნდა დაექვემდებაროს. შემდეგ, იმის გამო, რომ მე ამოცანად ვისახავდი სამართლებრივი ურთიერთობების არსის გარკვევას, ჩემს ნაშრომში დეტალურად შევჩერდი ურთიერთობათა მხოლოდ ამ ორ უკანასკნელ სახეზე – ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივ ელემენტებსა და სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტს შორის და ურთიერთობა სამართლებრივი ურთიერთობების სამართლებრივ ელემენტებსა და იურიდიულად რელევანტურ ფაქტებს შორის. ამ ფაქტებთან მიმართებით მე ვამბობ ჩემს ნაშრომში, რომ მათ მართლწესრიგით ნამდვილად მიეწერებათ გარკვეული იურიდიული თვისებები. ამ აზრის დასადასტურებლად ათასი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. მაგალითად, გაყოფადობისა და გაუყოფადობის, მოძრავი და უძრავი ნივთების ცნებას სამართალში, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე, ვთქვათ, ფიზიკასა და ქიმიაში. მაგალითად, გაყოფადი ან მოძრავი ნივთი, ფიზიკის ან ქიმიის თვალსაზრისით, შესაძლოა გახდეს გაუყოფადი ან უძრავი ნივთი, იურიდიული დოგმატიკის თვალსაზრისით. მე ჩემს ნაშრომში შევეხე ამ მოსაზრებას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი დოგმატიკის სიბრტყეში, და არა ჩვეულებრივი ურთიერთობის სიბრტყეში – ბაზისსა და სამართლებრივ ზედნაშენს შორის.

და, აი, თუ მომხსენებელი საკუთარ თავზე აიღებდა შრომას და ბოლომდე წაიკითხავდა ჩემს წიგნს, ის გაიგებდა, რომ ადგილს, რომელიც მან წიგნის დასკვნიდან აიღო (ფაქტობრივის ჩართვა სამართლებრივ რიგში), მხედველობაში ჰქონდა არა ურთიერთობა ბაზისსა და სამართლებრივ ზედნაშენს შორის, როგორც ამას მომხსენებელი ამტკიცებს, არამედ ურთიერთობა იურიდიულად რელევანტურ ფაქტებსა და სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტს შორის, ერთი მხრივ, და სამართლებრივი ურთიერთობების წმინდა სამართლებრივ მომენტებს, ანუ უფლებასა და მოვალეობას შორის, მეორე მხრივ. აი, ეს არის სწორედ ის გაუგებრობა, რომელზეც მე ზემოთ მივუთითე. შემდეგ მომხსენებელი უთითებდა: ჩემი კონსტრუქციით გამოდის, რომ არსებობს კანონზომიერების ორი განსხვავებული სახე, რომლებიც ერთმანეთისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია. ჩემი ნაშრომიდან ის ადგილი, რომელიც მე მოვიყვანე და სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ სამართლებრივი რეგულირება, მისი ჩასახვისას, განპირობებული იყო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით, ეს ადგილი, ჩემი აზრით, გვიჩვენებს, რომ შესაბამისი ადგილები ჩემი წიგნიდან არ შეიძლება გავიგოთ სამართლის სოციალური სინამდვილისაგან აბსოლუტური მოწყვეტის არსით. მართალია, ნაშრომში ზედმეტად ხაზგასმულია იმ კანონზომიერების სპეციფიკურობა, რომელიც სამართლის სფეროშია მოცემული, თუმცა, ჩემი აზრით, სამართლის სფეროში მოცემული კანონზომიერების გარკვეულ თავისებურებაზე მითითება არ შეიძლება ჩაითვალოს უპატიებელ ერესად, ვინაიდან, თუ ჩვენ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ბაზისი და ზედნაშენი ექვემდებარებიან აბსოლუტურად ერთგვაროვან კანონზომიერებას, მაშინ ეს ბაზისი და ზედნაშენი შეერწყმება ერთმანეთს და მათ შორის აღარ იქნება რაიმე განსხვავება. ჩემი აზრის დასადასტურებლად მოვიყვან ენგელსის მიერ 1890 წლის 28 ოქტომბერს შმიდტისადმი მიწერილ წერილს. იქ ნათქვამია: „წარმოება არის საზოგადოებრივი მთლიანის ყველა მხარის განვითარების გადამწყვეტი მიზეზი: საქონლის, ფულის, სახელმწიფო წყობილების, სამართლის, ფილოსოფიის, რელიგიისა და ა.შ. ბრუნვა. თუმცა მითითებული სფეროებიდან თითოეული ერთხელ წარმოშობის შემდეგ უნდა მისდევდეს საკუთარ მოძრაობას, რომელზეც, ზოგადად და მთლიანობაში, ბატონობს წარმოება, თუმცა, ცალკეულ ნაწილებსა და აღნიშნული ზოგადი დამოკიდებულების შიგნით ისინი უნდა მისდევდნენ თავის საკუთარ კანონებს“.

ეს ადგილი მოყვანილია ენგელსის მიერ შმიდტისადმი მიწერილი წერილიდან. გარდა ამისა, მივუთითებ კიდევ ერთ სტატიაზე, რომელიც სულ ბოლო დროს გამოიცა და რომელშიც ეხებიან ამავე საკითხს. აღნიშნული სტატია განთავსებულია კრებულში, რომელიც რიაზანოვის 60 წლისთავის პატივსაცემად [გამოიცა] და ეკუთვნის ბობროვნიკოვს. აქ ეხებიან საკითხს

იდეოლოგიის შინაარსისა და ფორმის შესახებ და იქ, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებით, 207-ე გვერდზე ნათქვამია შემდეგი: (კითხულობს).

ამ პატარა მითითებებით, მე მსურს, ხაზი გავუსვა იმას, რომ ურთიერთობა ბაზისსა და ზედნაშენს შორის არ შეიძლება იმ მარტივი სახით იყოს გაგებული, რა სახითაც ის გადაწყვეტილი აქვს მომხსენებელს; აქ უფრო მეტი ჩაფიქრება და პრობლემისადმი ფრთხილი მოპყრობა მოგვეთხოვება. მომხსენებელს მაგალითად მოჰყავდა პაშუკანისი[1] და ამბობდა, რომ ის ამ ავ-

---

[1] **ევგენი პაშუკანისი** (1891-1937) – საბჭოთა მეცნიერ-იურისტი, საბჭოთა ახალი სამართლის ფუძემდებელი, სკპ(ბ) წევრი, იყო იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე; 1920-1923 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში, იყო საზღვარგარეთ მცხოვრები პირებისათვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე; მისი გადაწყვეტილებით, ოქტომბრის პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ პოლიტიკური საქმიანობისათვის განხორციელდა მოქალაქეობის ჩამორთმევის მასობრივი პრაქტიკა. ზოგიერთი შეფასებით, ამ ღონისძიების შედეგად მოქალაქეობა ჩამოერთვა ორ მილიონამდე ადამიანს. 1922 წელს პ. ი. სტუჩკასთან ერთად შექმნა კომუნისტური აკადემიის სამართლის სექცია – სსრკ-ში მარქსისტული სამართლებრივი აზრის ერთ-ერთი სამეცნიერო ცენტრი. 1927 წელს გახდა კომუნისტური აკადემიის ნამდვილი წევრი, შემდეგ – მისი პრეზიდიუმის წევრი და ვიცეპრეზიდენტი. პაშუკანისი 1931 წლიდან იყო კომუნისტური აკადემიის საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, 1936 წლიდან – სსრკ-ის იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე. პაშუკანისი გახლდათ სამართლის ზოგადი თეორიის, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის, სამართლის ისტორიისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა სფეროებში სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. ძირითადი ნაშრომია „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი“ (ძირითადი იურიდიული ცნებების კრიტიკის გამოცდილება), 1924. ამ ნაშრომში მოცემულია უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი კატეგორიების მარქსისტული განმარტება, გაკრიტიკებულია ბურჟუაზიული სამართალი და სამართლის ბურჟუაზიული თეორიები, განხილულია სამართლის შემეცნების უსაფუძვლობა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების პირობებისა და კლასთა ბრძოლის პრინციპების მიღმა. პაშუკანისი უარყოფითად აფასებდა „პროლეტარული სამართლის“ კონცეფციას, რომელსაც მხარს უჭერდნენ რიგი საბჭოთა მეცნიერ-იურისტებისა და პრაქტიკოსი იურისტებისა, კერძოდ, ა. ი. ვიშინსკი. მისი აზრით, პროლეტარიატი არ ქმნიდა პრინციპულად ახალი სამართლის სისტემას; ვინაიდან სამართალი, ისევე, როგორც სახელმწიფო, მარქსისტული თეორიის მიხედვითაც შენარჩუნებულია სოციალიზმის პირობებში, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების გადმონაშთი, როგორც გარდამავალი პერიოდის ხარვეზები; მას ჯერ კიდევ ბევრი ბურჟუაზიული თვისება აქვს შენარჩუნებული; სოციალიზმმა უნდა აღმოფხვრას როგორც სახელმწიფო, ისე სამართალი, სახელმწიფოს კვდომის შესახებ მარქსისტული თეზისის შესაბამისად. პაშუკანისი უნებლიეთ იქცა სტალინური სახელმწიფო სისტემის კრიტიკოსად და „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს. დააპატიმრეს 1937 წლის 20 იანვარს. უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, 1937 წლის 4 სექტემბერს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა შეუფარდა. იმავე

ტორს ეყრდნობოდა. თუმცა ჩვენ ხომ ვიცით, რომ არის საკითხები, რომელთა მიმართ პაშუკანისს სხვა მარქსისტებისაგან განსხვავებული აზრი აქვს.

შემდეგ მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ თითქოსდა ჩემი კონსტრუქცია არის სამართლის სფეროში ჰუსერლის ფილოსოფიის გაგრძელება. მე ვფიქრობ, რომ ეს, აგრეთვე, არის გაუგებრობა. მომხსენებელმა თავს უფლება მისცა, გაეკეთებინა ასეთი დასკვნა იმ საფუძველზე, რომ ნაშრომის დასაწყისში, იმის განსაზღვრისას, თუ რა შემთხვევაში და როდის შეიძლება მეცნიერების დამოუკიდებლად მიჩნევა, მე ჰუსერლის ციტატა მოვიყვანე. მაგრამ, მაშინაც კი, თუ ციტატა განაპირობებდა ჩემი აზრების შემდგომ განვითარებას ჩემს ნაშრომში, მაინც არ ჰქონდა მომხსენებელს იმის მტკიცების საფუძველი, რომ ნაშრომი სამართლის სფეროში ჰუსერლიანობის გაგრძელებაა, ვინაიდან ეს ციტატა მოყვანილია „ლოგიკური გამოკვლევებიდან“, რომლებიც 1901 წელს გამოიცა, ხოლო 1911 წელს გამოვიდა ჰუსერლის სხვა წიგნი, რომელშიც მისი ძირითადი დებულება საბოლოოდ შეიცვალა. თუმცა საქმე ისაა, რომ წიგნში მოყვანილი ჰუსერლის ციტატა არც ერთ ხარისხში არ განაპირობებს ჩემს იმ აზრებს, რომლებიც ჩემს ნაშრომშია განვრცობილი. მომხსენებელი არც კი ცდილობს ამ დებულების დამტკიცებას, ის უბრალოდ უთითებს ფაქტს, რომ მე ვციტირებ ჰუსერლიდან და მხოლოდ ამ საფუძვლით შესაძლებლად მიაჩნია დაასკვნას, რომ თითქოსდა ჩემი წიგნი არის ჰუსერლიანობის გაგრძელება სამართლის სფეროში. მაგრამ, ნუთუ იმ ფაქტიდან, რომ მე ვციტირებ ჰუსერლიდან, შესაძლებელია მსგავსი დასკვნების გაკეთება? ჩემს ნაშრომში ხომ იმ ადგილას, სადაც მე ვციტირებ ჰუსერლიდან, გარკვევით ვუთითებ, თუ კონკრეტულად რაში ვეთანხმები ჰუსერლს. ამ ადგილს მე აქაც მოვიყვან და ამით დავამშვიდებ ზოგიერთ ამხანაგს (კითხულობს *გერმანულ ენაზე).* ეს ნიშნავს: არავითარ ეჭვს არ ბადებს, რომ, თუ ძირითადი კანონზომიერება, რომელსაც ჩვენ გარკვეულ სფეროში ვპოვებთ, რომელსაც შეიმუშავებს ერთი მეცნიერება, დაემთხვევა სხვა მეცნიერების ძირითად კანონზომიერებას, მაშინ ორი მეცნიერების არსებობა შეუძლებელია, ვინაიდან მეცნიერება იქ გვაქვს, სადაც მოცემულია მოვლენათა გარკვეული სფერო, და მოვლენათა აღნიშნული სფერო გარკვეულ ხარისხში შესაძლოა, გარკვეულწილად, გამიჯნული იყოს მოვლენათა სხვა სფეროსაგან. მე ვთვლი, რომ ამ საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა არ შეიძლება არსებობდეს.

ახლა გადავალ იმ შემეცნების, იმ ანალიზის საკითხზე, რომელსაც დაექვემდებარა ჩემი ის ნაშრომი, რომელიც უკვე ქართულ ენაზეა დაწერილი. მო-

---

დღეს დახვრიტეს. დაკრძალულია მოსკოვში, დონის სასაფლაოზე. 1956 წლის 31 მარტიდან რეაბილიტირებულია [მთარგმნელი].

ცემულ შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებდი არ მქონოდა რაიმე სახის გაუგებრობის მოლოდინი, ვინაიდან სტატია დაწერილია არა გერმანულ, არამედ ქართულ ენაზე. სამწუხაროდ, არანაკლები გაუგებრობაა იმ მითითებებში, რომლებიც მომხსენებელს აქვს გაკეთებული აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით. აქ მომხსენებელი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ თითქოსდა აღნიშნულ სტატიაში გამოხატულ აზრებს მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან საერთო აბსოლუტურად არაფერი აქვს. მე შევეცდები იმის ჩვენებას, რომ [სწორედ] მომხსენებლის მტკიცებებს საერთო არაფერი აქვთ მარქსიზმთან. მომხსენებელი უთითებდა, რომ თითქოსდა ჩემი აზრით ენგელსი სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად თვლიდა საზოგადოებაში შრომის განაწილებას. მე გადავფურცლავ ჩემს სტატიას და 201-ე გვერდზე შემდეგს ვპოვებ: მე საკუთარ თავს უფლებას მივცემ, წავიკითხო ქართულ ენაზე და გადავთარგმნო რუსულად (კითხულობს *ქართულ ენაზე).*

საკითხი აქ არა სახელმწიფოს წარმოშობას, არამედ მონობის ინსტიტუტის გაჩენას ეხება. ამხანაგმა [იგულისხმება გეგენავა – რედ.] მიუთითა, რომ თითქოსდა, ჩემი აზრით, სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად ენგელსი შრომის განაწილებას თვლიდა, აქ კი წერია: (კითხულობს *ქართულ ენაზე).* სხვათა შორის, დაწერილის წაკითხვის უნარი უნდა იქონიოთ და დაწერილი იმ კონტექსტში მიიღოთ, რომელშიც ის არის მოცემული. აქ გარკვევით არის ნათქვამი: „ის ძირითადი ფაქტორები, რომლებზეც უთითებს ენგელსი როგორც სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზზე – შრომის საზოგადოებრივი განაწილება, კერძო საკუთრების ჩასახვა, ქონებრივი უთანასწორობის გაჩენა და სხვა“ – მე იმიტომ გავაკეთე ეს ჩამონათვალი, სწორედ იმიტომაც, რომ ამ კონტექსტში, მოცემულ შემთხვევაში, მე უნდა შემეჯერებინა ენგელსის აზრები აქ მითითებული საკითხების ირგვლივ, კაუცკის საპირისპირო მტკიცებებთან.

გეგენავა:

ენგელსი ამას არსად ამბობდა.

პროფ. სურგულაძე:

აიღეთ საკუთარ თავზე ტვირთი, წაიკითხოთ – „ოჯახის, [სახელმწიფოსა] და კერძო საკუთრების წარმოშობა“. ნუთუ ენგელსი აქ არაფერს ამბობს კლასების წარმოშობის შესახებ? ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა სახელმწიფო, არამედ წარმოიშვა კლასების გაჩენის შედეგად. მაგრამ ვიმეორებ, მოცემულ კონტექსტში მე აღარ ჩავთვალე საჭიროდ ყველა დეტალის ჩამოთვლა. მე, უბრალოდ, შევაჯერე ენგელსის დებულება კაუცკისეულ დებულებებთან და მივედი დასკვნამდე, რომ კაუცკი განსხვავებულ მოსაზრებებს ემხრობა. აი,

რატომაც ვამბობ, რომ მოსაზრება იმ კონტექსტიდან უნდა გადმოიღო, რომელშიც ის არის მოცემული.

ახლა დავუბრუნდები სხვა [საკითხს]. სტატიაში მე ვუთითებდი, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის, ზოგადად საზოგადოებათმცოდნეობისათვის, ერთ-ერთი ძირითადი საკითხია სახელმწიფოს პრობლემა. მე არ ვიცი, მოიძებნება კი ისეთი მარქსისტი, რომელიც უარყოფს, რომ მარქსისტული სოციოლოგიისათვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სახელმწიფოს პრობლემაა. ამასთან მიმართებით ჩვენ ხომ ვპოვებთ ძალზე კატეგორიულ და [ზუსტად] განსაზღვრულ მითითებას ლენინის ნაშრომში – „სახელმწიფო და რევოლუცია“.

და ბოლოს, მესამე მითითება, რომელსაც მე, სხვათა შორის, არაერთხელ დავყრდნობივარ. აქ პირდაპირაა ნათქვამი (კითხულობს ქართულ ენაზე) – ზუსტ თარგმანში ეს ნიშნავს: იმ კანონზომიერების აღქმა, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოება საკუთარი არსებობისა და განვითარების კუთხით, იქამდე იქნება შეუძლებელი, ვიდრე სახელმწიფოს პრობლემა, ან სახელმწიფოს საიდუმლოება არ იქნება გადაწყვეტილი. ჩემთვის ეს დებულება იმდენად თვალნათელია, რომ მე აქამომდე ვერც კი წარმოვიდგენდი, აღნიშნულ დებულებას რაიმე სახის აზრთა სხვაობის გამოწვევა თუ შეეძლო. საზოგადოება, რომელიც სოციალური მეცნიერებით შეისწავლება, ან წინაკლასობრივი საზოგადოების – პირველყოფილი საზოგადოების სახით არის მოცემული, ან კლასობრივი საზოგადოების – საზოგადოებისა, რომელიც იყოფა იმ კლასებად, რომლებსაც აქვთ კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია და ასეთი საზოგადოებაა სახელმწიფო. მაშასადამე, ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა საზოგადოება ამ ორი სახით.

კიდევ, თუ შეიძლება იმის მტკიცება, რომ, თუ არ გვაქვს წარმოდგენა ამ კლასობრივი საზოგადოების ბუნების შესახებ, ჩვენ გვეცოდინება საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი ბუნება და ძირითადი კანონზომიერებანი? რა თქმა უნდა, ამის მტკიცებას არავინ დაიწყებს და არც ვინმეს შეუძლია. შესაძლებელია, მომხსენებელს მხედველობაში სხვა რაიმე ჰქონდა. შეიძლება, ის ფიქრობდა, რომ საწყის მომენტად უნდა აგვეღო წინაკლასობრივი საზოგადოების ანალიზი და მისგან გადავსულიყავით კლასობრივი საზოგადოების ანალიზზე. მე ვფიქრობ, რომ მსგავსი მეთოდი არის ანტიმარქსისტული მეთოდი. თუ ავიღებთ [ნაშრომის] – „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ – წინასიტყვაობას, თქვენ იქ ისეთ ადგილებს შეხვდებით, რომლებიც, ანალოგიის სახით, ჩვენ შეიძლება, ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ. აი, რას ამბობს მარქსი: „ბურჟუაზიული საზოგადოება არის წარმოების ყველაზე მეტად განვითარებული და მრავალმხრივი ისტორიული ორგანიზაცია. მისი ურთიერთობების გამომხატველი კატეგორიები, მათი ორგანიზების შემეცნე-

ბა, ამასთანავე, საშუალებას გვაძლევს, შევაღწიოთ სტრუქტურასა და ყველა დრომოჭმული საზოგადოებრივი ფორმების მწარმოებლურ ურთიერთობებში“. მაშასადამე, უნდა გამოვიდეთ ამჟამინდელი საზოგადოებრივი ფორმებიდან, ხოლო ამისათვის უნდა ვიქონიოთ აღნიშნული უზენაესი ფორმის შესახებ სრული წარმოდგენა... როცა მე ჩემს სტატიაში ვამბობ, რომ სახელმწიფოს ანალიზი, მისი ბუნების გაგება აუცილებელი პირობა არის, ამ დროს იქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ეს ერთადერთი პირობაა, ხოლო ერთადერთი პირობისა და აუცილებელი პირობის ცნებებს შორის დიდი განსხვავებაა. როცა მე ვუთითებ, რომ იმისათვის, რათა, ზოგადად, შევიცნოთ საზოგადოებრივი კანონზომიერება, აუცილებელია, ვიცოდეთ სახელმწიფოს ბუნება. მე ვთვლი, რომ ამ საკითხში მარქსისტული მეთოდის თანმხვედრი ვარ. ამით მე დავასრულე. რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ ჩემს ნაშრომში არ გვხვდება უმართებულო ფორმულირებანი და უსწორო მტკიცებანი. მე ვამბობ, რომ ეს ჩემი ნაშრომი 1923-1924 წლებში იწერებოდა, როცა სამართლის საკითხების შესახებ მარქსისტული ლიტერატურა, ყოველ შემთხვევაში, არც ისე მდიდარი იყო, თუმცა, მთელი რიგი საკითხებისა ახლაც იწვევს დავას, რიგი საკითხებისა, რომელთა მიმართ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამა თუ იმ ავტორიტეტის მოსაზრება გადამწყვეტია.

ვიმეორებ, მე არ ვამტკიცებ, რომ ჩემს ნაშრომში არ არის სადავო დებულებანი, მაგრამ ისინი სულაც არ არის იმ ადგილებში, რომლებსაც უთითებს მომხსენებელი. აღნიშნული უსწორო დებულებანი ჩემთვის ბევრად მეტად არის ცნობილი და მე სხვებზე უკეთ შემიძლია მათი გამოსწორება, ვიდრე იმას, ვისაც თავიდან ბოლომდე არც კი წაუკითხავს ჩემი ნაშრომი.

ტალახაძე:

ზოგადად და მთლიანობაში, ამხანაგო სურგულაძევ, თვლით თუ არა თქვენ საკუთარ ნაშრომს მარქსისტულად?

პროფ. სურგულაძე:

დებულებას იმის შესახებ, რომ სამართალი არის ზედნაშენი და რომ ის საკუთარი არსებობითა და ჩასახვით, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით არის განპირობებული, – მე მარქსისტულად ვთვლი. გარდა ამისა, ჩემს ნაშრომში სამართლის კლასობრივ ბუნებაზე მითითებას მე ვთვლი მარქსისტულად. რაც შეეხება წიგნის ძირითად შინაარსს, ის ეძღვნება სამართლებრივი ურთიერთობების ანალიზს, აგრეთვე, დოგმატური სამართალმცოდნეობის საკითხებს და არა ბაზისსა და ზედნაშენს შორის ურთიერთობებს. სამართლებრივი ურთიერთობების პრობლემების ანალიზი იმის ანალიზია, თუ რა არის სამართლის სუბიექტი და ა.შ. აი, იურისპრუდენ-

ციის დოგმათა სფეროში მსგავსი საკითხების განხილვა კი ნაშრომის ძირითად ადგილს იკავებს და ამ საკითხებთან მიმართებით დოგმატური იურისპრუდენციის სფეროში ვდგავარ და არა სამართლის ძირითადი პრობლემების გადაჭრის სფეროში.

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ტალახაძეს.

ტალახაძე:

ამხანაგებო, ჩემს გამოსვლაში მე მომიწევს, დიდი დრო დავხარჯო პროფ. სურგულაძის თხზულებებიდან ციტატებზე, რომელიც გვადანაშაულებს იმაში, რომ თითქოს ჩვენ ვამახინჯებთ მისი თხზულებების არსს ან ვერ ვპოვებთ იმ ადგილებს, რომლებიც მან ჩვენზე უკეთ იცის და რომლებიც წარმოაჩენენ მისი „მარქსისტული“ მსოფლმხედველობის დეფექტებს.

მე დავამტკიცებ, რომ პროფ. სურგულაძის თხზულებებში არის ბევრი არამარქსისტული, ანტიმარქსისტული ადგილი თავისი არსითაც და თავისი მეთოდოლოგიითაც.

პროფ. სურგულაძის გამოსვლამდე, უნდა ვაღიარო, ვფიქრობდი, ის დღეს იტყოდა, რომ უკვე აღარ იზიარებდა მის მიერ აღნიშნულ ნაშრომში გამოთქმულ შეხედულებებს, ვინაიდან ყველა ამხანაგი, ვისაც პროფ. სურგულაძის მიმართ ესა თუ ის დამოკიდებულება აქვს, ამტკიცებს, რომ ის წინ წავიდა, რომ ის მარქსისტად იქცა. თუმცა, რადგან პროფ. სურგულაძე დღეს ადასტურებს, რომ ის იზიარებს აღნიშნულ ნაშრომში გამოთქმულ დებულებებს, კერძოდ, ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ დებულებებს, ნება მომეცით ჩავთვალო, რომ ეს ნაშრომი პროფ. სურგულაძისათვის ამჟამადაც რჩება მთლიანად მისაღებად და ჩვენც მოგვიწევს მასზე უფრო მეტი დროით შეჩერება.

ვიდრე პროფ. სურგულაძის ნაშრომის განხილვას შევუდგებით, ნება მომეცით, ერთი ციტატა მოვიხმო მარქსიდან. რასაკვირველია, იმათთვის, ვინც იცნობს მარქსიზმს, ეს სიახლე არ არის, მაგრამ მათთვის, ვისთვისაც მარქსიზმი უცნობია, ეს სასარგებლო იქნება. „საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას – რეალურ ბაზისს, რომელზეც დაეფუძნება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი შემეცნების გარკვეული ფორმები“. მაშასადამე, ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა – წარმოება, განაწილება და ყველაფერი, რაც ამ ერთობლიობაში შედის, ქმნის რეალურ ბაზისს, რომელსაც დაეშენება იურიდიული, პოლიტიკური და სხვაგვარი ზედნაშენები, და შემდეგ აღნიშნულ ბაზისს (ეკონომიკურს) შეე-

საბამება საზოგადოებრივი შემეცნების გარკვეული ფორმები. ეს ფორმები შეესაბამება ბაზისს, სხვას არაფერს, არამედ სწორედ ბაზისს. ერთი ამხანაგი ხელებს გვიშლის – რისთვის დამჭირდა მარქსიდან ამ ციტატის მოყვანა? ის დაგვჭირდა იმისათვის, რათა გვეჩვენებინა, რომ ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობათა გაგება პროფ. სურგულაძესთან არ შეესაბამება მარქსიზმს. პროფ. სურგულაძის აზრით, ამ თითოეულ მოვლენას საკუთარი კანონზომიერება აქვს, ანუ ეკონომიკურს – ერთი, იურიდიულს – მეორე. ამხანაგებო, ნება მომეცით, გადავიდე მის ნაშრომებზე. როგორ წარმოუდგენია მას იურიდიულისა და ეკონომიკურის ურთიერთობა? ისინი საინტერესოდ გამოიყურებიან პროფ. სურგულაძის თხზულებაში, კერძოდ: სამართლებრივი – ერთი, სოციალური – მეორე. სამართლებრივი არ შედის სოციალურში, მათ შორის უფსკრულია, სამართალსა და სოციალურს შორის შემხებლობაც კი არ არის, მაშინ როცა ენგელსი და მარქსი თვლიდნენ, რომ სამართლებრივი არის სოციალური, იდეოლოგია – სამართლებრივი და არა ინდივიდუალურია. სურგულაძის თხზულებაში ყველგან ხაზგასმულია, რომ სოციალური ერთია, სამართლებრივი კი – მეორე; უფრო მეტიც, პროფ. სურგულაძის აზრით, თუ სოციალური შემხებლობაში მოდის სამართლებრივთან, მაშინ სამართლებრივი იმსხვრევა. ნება მომეცით, მივუთითო ამ ადგილს. სურგულაძე აკრიტიკებს იმათ, ვისაც შესაძლებლად მიაჩნია სამართლებრივის ახსნა სოციალურიდან [გამომდინარე] და ამბობს, რომ: „სამართალსა და სოციალურს შორის არა თუ არ არის კაუზალური კავშირი, არამედ, როგორც კი დავუშვებთ მათ შორის რაიმე ურთიერთობას, ჩვენ მაშინვე გავწყვეტთ კაუზალური ურთიერთობების კავშირს და დავკარგავთ, ამგვარად, ფაქტობრივ კაუზალურ კანონზომიერებას, ანუ პირდაპირ წინააღმდეგობაში შევალთ სოციალურ-სამეურნეო მეცნიერების ძირითად წინაპირობებთან“. გამოდის, რომ, როგორც კი სამართალი სოციალურთან მოვა შემხებლობაში, კაუზალურობა მაშინვე კვდება, სოციალურის კანონზომიერების ჯაჭვი მაშინვე წყდება. აი, ეს ადგილი: „საკმარისია მივუთითოთ, რომ რეალური სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების სამართალზე ზემოქმედების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი [იგულისხმება სამართალი – მთარგმნელი] თვითონ ხდება არარეალური“. როგორ მოგწონთ ეს? ხომ, მართლაც, ასპროცენტიანად ჭეშმარიტი მარქსიზმია? ნახეთ, რა [ხდება]: მოვლენა ერთი ონტოლოგიური რიგიდან შეიჭრა მეორე ონტოლოგიურ რიგში და მოხდა კატასტროფა. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. მე მსურს, კიდევ რამდენიმე ციტატა მოვიხმო: „სოციალური ყოფიერება ხასიათდება, ზოგადად, ონტოლოგიურად, როგორც რეალური ყოფიერება“ – ხედავთ, ის არ უარყოფს სოციალურ ყოფიერებას – „და თავის არსებობაში განისაზღვრება მისთვის ძირითადი კაუზალური კანონზომიერების მეშვეობით, მაშინ, როცა სამართლებრივ წესრიგს, პირიქით,

ახასიათებს ონტოლოგიურობა, როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა“. მაშასადამე, – სოციალური ხასიათდება როგორც ყოფიერების რეალური ფორმა და იმართება მისთვის ძირითადი, ერთი კანონზომიერებით, პირიქით, „სამართალი ხასიათდება, როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა, რომლის შინაგანი კანონზომიერებაც გამორიცხავს კაუზალობის პრინციპს“. ნახეთ, სამართალს არაფერი საერთო აქვს სოციალურ წყობასთან, ის არ უკავშირდება სოციალურ მოვლენებს, არ იცვლება საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობების შეცვლისას, რომლის ზედნაშენიც ის არის, არამედ, პირიქით, სამართალს აქვს სრულიად განსაკუთრებული კანონზომიერება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სოციალური მოვლენების კანონზომიერებასთან. მე მსურს, კიდევ რამდენიმე ადგილის მოყვანა, საიდანაც კიდევ უფრო მეტი ანტიმარქსიზმი მოჩანს. „მართლწესრიგი არა მხოლოდ მის ძირითად ელემენტებთან მიმართებით, არამედ შინაგან კანონზომიერებასთან მიმართებითაც არ შეიძლება განიმარტოს როგორც რაღაც, საზოგადოებრივი ურთიერთობების შესატყვისი“. მარქსისტები ამბობენ, რომ წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას – რეალურ ბაზისს, რომელზეც აღიმართება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი, რომელიც იძლევა საზოგადოებრივი შემეცნების გარკვეულ ფორმებს. პროფ. სურგულაძე კი, არათუ ვერ ხედავს რაიმე საერთოს სამართლებრივსა და ეკონომიკურს შორის, არამედ ისინი თავის განვითარებაში არც კი შეერწყმიან ერთურთს. საზოგადოებრივი ურთიერთობები განკერძოებულად დგანან, მართლწესრიგი კი სულ სხვა მხარეს დგას, და ისინი არც დროისა და ადგილის მიხედვით, არც განვითარების ფორმებით ერწყმიან ერთმანეთს. ამ ორ ცნებას არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ისინი არსებობენ როგორც სრულიად დამოუკიდებელი განკერძოებული მოვლენები. პროფ. სურგულაძის თხზულებიდან მე მრავალი ადგილის მოყვანა შემიძლია, რათა მან არ თქვას, რომ თითქოს რაღაც ერთი ადგილი აღმოვაჩინე, რომ თითქოს ეს არასწორი თარგმანია და ა.შ., მაგრამ, თუ ეკონომიკურ ურთიერთობებს, სურგულაძის აზრით, არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სამართლებრივზე, მაშინ საპირისპირო ხდება. ამრიგად, ვიღებთ, რომ სამართლებრივ მოვლენას შეუძლია იმოქმედოს ეკონომიკურზე და საკმაოდ შთამბეჭდავადაც. მე შემიძლია რამდენიმე ადგილის მოყვანა და მანამ ვიკითხავ, ვიდრე პროფ. სურგულაძე თქვენ წინაშე არ იტყვის, რომ საკმარისია და, რომ მას აღარ სურს გაიგონოს ციტატები მისი თხზულებიდან. ამხანაგებო, მე პროფ. სურგულაძის თხზულებიდან ასეთი ადგილი აღვნიშნე, დაახლოებით 90, მაგრამ ამოვიწერე მხოლოდ 25, ერთ თემაზე – რომ სამართლებრივი ერთია, სოციალური კი მეორე და რომ მათ შორის არაფერია საერთო. მე ვფიქრობ, რომ IV ჯგუფის მოწაფეც კი არ იტყვის ამას, და, აი, პროფ. სურგულაძე კი ამას 90

ადგილზე იმეორებს. მე მეტ ციტატას აღარ მოვიტან. ახლა გადავალ სხვა ადგილებზე, სადაც ის ამბობს, რომ სამართლებრივი გავლენას ახდენს ეკონომიკურზე.

ადგილიდან:

არასწორია!

ტალახაძე:

მე წავიკითხავ.

ადგილიდან:

ყველაფერი უნდა წაიკითხოთ!

ტალახაძე:

თუ აუდიტორია დამრთავს ნებას, მე ყველაფერს წავიკითხავ. ამხანაგებო, მე გადავდივარ მისი თხზულების იმ ადგილებზე, სადაც ნათქვამია, რომ სამართლებრივი გავლენას ახდენს ეკონომიკურზე: „იმისათვის, რათა ზეგავლენა მოახდინოს სოციალურ ცხოვრებაზე, სამართალმა შეგნებამდე უნდა მიაღწიოს... ამიტომ არსებობენ უშუალო ურთიერთობები არა სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის, არამედ სამართალსა და იმ ცალკეული პირების ინდივიდუალურ შეგნებას შორის, რომლებიც თვითონვე ქმნიან მოცემულ სოციალურ საზოგადოებას... თუ ჩვენ მივმართავთ ამ ურთიერთობების შინაარსს, „რაღაცის“ შემეცნებას არასოდეს განაპირობებს ამ „რაღაცაზე“ კაუზალური ზემოქმედება“. ჩემი აზრით, მხოლოდ უგუნურს/[ჭკუიდან გადასულს] შეუძლია, ეს მარქსიზმად ჩათვალოს. გამოდის, რომ, მაგალითად, მაგიდის შესახებ შემეცნებას არ განაპირობებს ჩვენს მხედველობის აპარატზე მაგიდის ზემოქმედება. საიდან მოდის შემეცნება? არც ერთ შემთხვევაში სინამდვილიდან. ამ ადამიანს ეყო სიმამაცე, გამოსულიყო აქ და ამხანაგ გეგენავას მოხსენების გაკრიტიკებით ეთქვა, რომ ის მარქსისტია, რომ ის ყოველთვის ამოდის ბაზისისა და ზედნაშენის ცნებებიდან და რომ ამხანაგმა გეგენავამ მას საპირისპირო რამ მიაწერა. თვითონ კი ამბობს, რომ „რაღაცის“ შემეცნება არასოდეს არის განპირობებული ამ „რაღაცით“.

ვაგრძელებ კითხვას: „რაღაცის“ შემეცნება არასოდეს არის განპირობებული ამ „რაღაცის“ ზემოქმედებით, თუმცა ატარებს ძალზე თავისებური ურთიერთობების ხასიათს, რომლის ცალკეული ელემენტების განხილვა ჩვენ აქ არ შეგვიძლია“. გეთაყვა, გიხაროდეთ, ის ჩვენ გვაბოდიალებდა, გვაბოდიალებდა უღრან ადგილებში და ამბობდა, რომ ყველაფერი, რასაც ფიქრობენ ფილოსოფოსები – არ გამოდგება, ხოლო ბოლოში კი ამბობს, რომ ეს რთული პროცესებია, აქ ვერ მოხდება მათში გარკვევა, უნდა გადავდოთ სხვა

შემთხვევისათვისო. ეს რაში ვარგა? მანამ, ვიდრე დაიწყებდა საკუთარ თზხულებაში უფლებებისა და მოვალეობების განმარტებას, ის ათეულობით გვერდზე ჩერდებოდა იმ ფილოსოფიასა და მეთოდოლოგიაზე, რომელსაც მარქსთან კი არ მივყავართ, არამედ მარქსიდან კანტისაკენ. ის ამტკიცებს, რომ ადამიანის შემეცნება არასოდეს არის დამოკიდებული რაღაც რეალურად არსებულზე. რა არის ეს – მარქსიზმი? ეს იდეალიზმია, წმინდა წყლის იდეალიზმია. ყოველივე ეს აღებულია ჰუსერლის ფილოსოფიიდან. მე ვიმეორებ ციტატას მარქსიდან: „არა ადამიანთა შემეცნება განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, ყოფიერება განსაზღვრავს შემეცნებას“, სურგულაძე კი ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ადამიანის შემეცნება განსაზღვრავს ყოფიერებას. როგორ შეიძლება, ამ ყოველივეს მარქსიზმი ვუწოდოთ? მე მსურს, თქვენი ყურადღება სხვა გარემოებასაც მივაპყრო. მისი თხზულება, რომლის უსწორო და არაზუსტ თარგმანშიც ის ჩვენ გვდებს ბრალს, გააკრიტიკა მისმა ახლო მეგობარმა პროფ. ნანეიშვილმა, რომელსაც, სურგულაძის დარად, ჩვენ დღეს ვაკრიტიკებთ. ამხანაგი ნანეიშვილი არ იტყვის, რომ ის მარქსისტია, თუმცა მე მასზეც შევჩერდები, დღეს თუ არა, სხვა დროს მაინც. ის იდეალისტია და თანმიმდევრული იდეალისტი და, ამავე დროს, აკრიტიკებდა პროფ. სურგულაძის აღნიშნულ თხზულებას. ის პროფ. სურგულაძეზე არანაკლებად ფლობს გერმანულ ენას და, ვფიქრობ, რომ სწორედაც აკრიტიკებდა.

პროფ. სურგულაძე:

და თქვენ წაკითხული გაქვთ ჩემი პასუხი?

ტალახაძე:

არ წამიკითხავს, მაგრამ ერთია უპასუხო, მეორე კი უარყო. და რა დასკვნები გააკეთა პროფ. ნანეიშვილმა, რომელსაც შეეძლო გასცნობოდა ამ თხზულებას დედანში? ჯერ ეს ერთი, – ამბობს ნანეიშვილი, – სურგულაძესთან სახელმწიფო ერთიანი მთლიანია, უზოგადესია, მაშასადამე, არავითარი კლასები სახელმწიფოში არ გვაქვს. მასთან, სახელმწიფო ერთიანი მთლიანია, საზოგადოებაა. და, რას გულისხმობს ამ ცნებაში ამხანაგი სურგულაძე? გულისხმობს თუ არა, რომ არ არიან კლასები, რომ სახელმწიფოში საერთოდ არ არიან ადამიანები, და, საერთოდაც, რთულია თქვა, რა არის ეს ერთიანი მთლიანი. ვფიქრობ, რომ ის კლასების არარსებობას გულისხმობს.

მეორე დასკვნა, რომელიც გააკეთა პროფ. ნანეიშვილმა: „სურგულაძესთან, სახელმწიფო საკუთარ თავში შეიცავს ორ, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ შინაარსს – სოციალურსა და სამართლებრივს“. ამას ამბობს მისი მეგობარი, რომელიც მას დიდ პატივს სცემს და ბოროტად კი არ აკრიტიკებს, არამედ, დიდი პატივისცემით, მხოლოდ იმის გამო აკრიტიკებს, რად-

გან შიში აქვს, რომ სურგულაძე ეკლექტიზმის გზას დაადგა. მისი თვალთახედვით, უკეთესი იქნებოდა, რომ ის თანმიმდევრულ იდეალისტად დარჩენილიყო.

შემდეგ, მესამე დასკვნა: „სოციალური და სამართლებრივი ერთმანეთთან შეპირისპირებულია და თანაც სრულიად დამოუკიდებელია“. და ბოლოს: „სამართლებრივი გამოყვანილია სამართლებრივისაგან“. აი, რა დასკვნა, აი, რა კრიტიკა გვაქვს მისივე მეგობრის მხრიდან. მანაც კი იპოვა მასთან წინააღმდეგობანი, კერძოდ: სამართლებრივი ერთია, სოციალური კი მეორე, სამართლებრივი სოციალურის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ სამართლებრივი გამოყვანილია სამართლებრივისაგან. თუმცა პროფ. სურგულაძესთან კიდევ უფრო დამაბნეველი ადგილებიც არის.

სახელმწიფოს [ცნების] ახსნას ის ასე იწყებს: „ერთმანეთისაგან განცალკევებით მცხოვრები, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ადამიანები არ ქმნიან საზოგადოებას, უკანასკნელი (საზოგადოება) მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა ცალკეულ პირებს შორის გარკვეული ურთიერთობები წარმოიშობა, რომელთა ერთობლიობა დაასაბუთებს სოციალური ცხოვრების ცნებას“. აქ მარტივი ტავტოლოგიაა, ხოლო ჩვენ გვესაჭიროება შეკითხვაზე პირდაპირი პასუხი. „ამ ურთიერთობათა არსი შესაძლოა, ძალზე მრავალფეროვანი იყოს. ის შესაძლოა, გამოიხატებოდეს სამეურნეო ურთიერთობებში, ან ადამიანებს შორის ურთიერთობებში, მათი ცნობილი რელიგიური კულტისადმი, გარკვეული სოციალური კლასისადმი, ხელოვნურად შექმნილი კავშირისადმი (რომელიც აკმაყოფილებს ამა თუ იმ მატერიალურ ან სულიერ ინტერესს) კუთვნილების გამო“. მაშასადამე, განცალკევებით მცხოვრები ადამიანები ჯერ კიდევ არ ქმნიან საზოგადოებას. ის მაშინ წარმოიშობა, როცა ადამიანებს შორის ურთიერთობები წარმოიშობა. მაგრამ, ოდესმე ყოფილა, რომ ადამიანებს ერთმანეთისაგან განცალკევებით ეცხოვრათ? მარქსი იწყებს იმით, რომ ადამიანი საზოგადო ცხოველია, რომ საზოგადოების მიღმა ადამიანი – ლოგიკურადაც და ფაქტობრივადაც – წარმოუდგენელია, ხოლო, სურგულაძის აზრით, [ჯერ] იყვნენ ცალკეული ადამიანები, ხოლო შემდეგ მათ შორის შეიქმნა ურთიერთობები. როგორი [სახის]? სამართლებრივი, რელიგიური, ეკონომიკური თუ თვით ხელოვნური ურთიერთობები, რომლებიც ამა თუ იმ სულიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. მარქსს არასოდეს უთქვამს, რომ ადამიანები განცალკევებით ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ შევიდნენ ერთმანეთთან ურთიერთობებში. სურგულაძის მიხედვით კი, „საზოგადოება მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ ურთიერთობებს“. მაშასადამე, ვიდრე ისინი არ შევიდოდნენ ერთმანეთთან ურთიერთობებში, საზოგადოება არ იყო, თუმცა იყვნენ ადამიანები. ეს, უფრო მეტად ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიას წააგავს, რომელიც ამბობდა, რომ საზო-

გადოება წარმოიშვა ცალკეული ინდივიდებს [შორის] ხელშეკრულებით. მისი ფილოსოფია კი მარქსიზმისგან განსხვავდება როგორც ცა და დედამიწა.

აი, ამხანაგებო, სახელმწიფოს შემეცნებაში როგორი ანტიმარქსისტული დებულებაა. მე უფრო შორს მივდივარ. „სოციოლოგიას – ამბობს სურგულაძე – მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია საკუთარი დამოუკიდებლობის დასაბუთება, თუ ის დაიწყებს არა სოციალური მოვლენების შინაარსის, არა მათი მიზეზების შესწავლას“ (მოვლენების შესწავლა – ამბობს მარქსი – ნიშნავს, შეისწავლო მოვლენები მათი წარმოშობის, განვითარების, შეცვლის და ა.შ. პროცესში), „ხოლო მთავარია ფორმები, რომლებშიც მომდინარეობენ ადამიანთა შორის ის ცვალებადი ურთიერთობები, რომლებიც დაშორებულია მათი შინაარსის საგნისაგან“. მაშასადამე, სოციოლოგიის ამოცანა ისაა, რომ დაადგინოს ადამიანებს შორის ურთიერთობათა ფორმები და არა ეძიოს მათი მიზეზები, როგორც ამას იძიებდა მარქსი საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურაში. სურგულაძის მიხედვით, მეცნიერება აღწერილობითი უნდა იყოს და არა ექსპლიკაციური; როგორც ჩანს, სურგულაძე არ აღიარებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფილოსოფიას, ის საკმარისად მიიჩნევს ფაქტების მარტივ კონსტატაციას. თუმცა ის თავადვე რწმუნდება საკუთარი შეხედულებების სიმცდარეში და შემდეგ გვერდზე ამბობს: იმისათვის, რომ შევიმეცნოთ სახელმწიფო, საჭიროა მისი შესაბამის ელემენტებად დაყოფა. ეს მართებული მეთოდია. თუმცა, როცა მან დაყო საზოგადოება, რა მიიღო, როგორი ელემენტები? მან მიიღო ინდივიდები, მას გაუჩდნენ რობინზონი და პარასკევა. 21-ე გვერდზე წერია: „უმარტივეს სოციალურ მოვლენად წარმოგვიდგება ურთიერთობა ორ პირს შორის“ – აი, თქვენ ანალიზიც! როგორია ეს ურთიერთობები? ამაზე სურგულაძე იძლევა პასუხს: „აღნიშნული ურთიერთობების არსი შესაძლოა, ძალზე მრავალფეროვან ხასიათს ატარებდეს: ის შეიძლება, გამოიხატოს სამეურნეო ან ადამიანებს შორის ურთიერთობებში, მათი ცნობილი რელიგიური კულტისადმი, გარკვეული სოციალური კლასისადმი, ხელოვნურად შექმნილი კავშირისადმი და ა.შ. კუთვნილების მიხედვით“... ნუთუ ეს არის საზოგადოების ანალიზი? ნუთუ ეს წარმოადგენს მთლიანის ცალკეულ ელემენტებად დაშლას? აქ ყოველივე არეულ-დარეულია: „სოციალური“, „ხელოვნური“, „ეკონომიკური“... ეს არის ლექსიკონი, და არა – ანალიზი. გვპირდებოდა ანალიზს და გამოვიდა „ვინეგრეტი“.

რას მივაკუთვნოთ სურგულაძის ფილოსოფია. ის უარყოფს კანტს. თუმცა სურგულაძის ფილოსოფია არის ფილოსოფია – მართალია, ცუდი, არათანმიმდევრული, თუმცა მაინც ნეოკანტიანური. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი მეთოდოლოგია, რომლითაც ის აქ გამოდიოდა, რომ სამართლებრივი ერთია, ხოლო სოციალური სხვა რამ, ვერაფრით იქნება მიჩნეული დიალექტიკურ მატერიალიზმად. ცალკეულ ადგილებში ის უახლოვდება მატერიალიზმს, თუმცა არა

მარქსისას, არამედ XVIII საუკუნის მატერიალისტებისას. ისინიც ამბობდნენ, რომ სახელმწიფო და სამართალი ციდან არ ვარდებიანო. ეს არის ადამიანის თავის ქმნილება, ის კი შედგება ტვინისაგან – მატერიალური მოვლენისაგან. თუმცა, როცა მათ ეუბნებოდნენ: თუ საიდან გამოიგონა ის ადამიანის თავმა, მათ არ შეეძლოთ ამაზე პასუხის გაცემა. ადამიანის თავამდე ისინი თანმიმდევრულები იყვნენ, თუმცა ადამიანის თავის იქით წასვლა ვეღარ შესძლეს. მარქსმა ეს ამოხსნა და თქვა, რომ თვით ადამიანის თავი იძენს საკუთარ იდეოლოგიას ადამიანებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობებიდან და ეს ციტატა ჩემი გამოსვლის დასაწყისში ვახსენე. სურგულაძე ამბობს: ეკონომიკურსა და სხვა რაიმეს, კერძოდ, სამართალს შორის მსგავსი სულაც არაფერია. ამით დავასრულებ ჩემს გამოსვლას.

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა პროფ. ნანეიშვილს.

პროფ. ნანეიშვილი:

მე არ დავიწყებ იმის თქმას, რომ მარქსისტი ვარ და რომ ამხანაგ გეგენავას ზოგიერთი შენიშვნა არ იყო მართებული, თუმცა მე მაინც საკუთარ მოვალეობად მიმაჩნია, ვინაიდან ახლა რეალობად იქცა მარქსიზმის თვალთახედვით ჩემი ნაშრომის განხილვა, დავეხმარო მას ამ საქმეში. მე პირადად მესმის, მიუხედავად იმისა, რომ მომხსენებელმა ჩემი ნაშრომი წაიკითხა და კარგადაც გაიზუთხა, მაინც ზოგიერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც ჩემს ნაშრომში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, მის მიერ არ არის გააზრებული და სათანადოდ შემეცნებული. ჯერ ერთი, მე უნდა ვკითხო ამხანაგ გეგენავას, თუ საკუთრივ რას გულისხმობს ის „ნამდვილისა“ და „არანამდვილის“ ცნებებში. კურიოზულ რამეს ვიღებთ, ვინაიდან, როცა მე ვსაუბრობ სამართლის არანამდვილ არსზე, თითქოს, მხედველობაში მაქვს „არაფერი“, ხოლო, როცა ვსაუბრობ ნამდვილ სამართალზე – მაშინ რაღაც რეალური. ისე გამოდის, რომ თითქოს მთელი 17 წლის განმავლობაში, რაც მე ფილოსოფიის საკითხებით ვარ დაკავებული, „არაფერი“ შემიმეცნებია. თუმცა ეს არ არის საქმის არსი, ამხანაგო გეგენავა, არამედ სხვა რაიმეა. საქმე ისაა, რომ, როცა მე ვიღებ „ნამდვილისა“ და „არანამდვილის“ ცნებებს, უნდა გაირკვეს, თუ რას ვგულისხმობ ამ ტერმინებში. რას ნიშნავს მტკიცება, რომ სამართლის ზოგადი არსი/[რაობა] არის სამართლის არანამდვილი არსი/[რაობა]? ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის ზოგადი არსი/[რაობა] არ არის ნამდვილის გამღვიძებელი. ეს ნიშნავს, რომ ის არ არის აქტიური თავისთავად, და ამიტომაც ის არ შეიძლება, ჩაითვალოს ყოფიერების საწყისად. და აღნიშნული მომენტით იდეა, ჩვენი გაგებით, განსხვავდება იდეისაგან, პლატონისა და ჰეგელის გაგებით.

თუ ამხანაგი გეგენავა გაირჯებოდა და უფრო სიღრმისეულად ჩასწვდებოდა ჩემი თეზისების არსში, მას უნდა შეძლებოდა იმის გაგება, რომ ჩემთან სამართლის არანამდვილი არსი/[რაობა] აღნიშნავს სამართლის ზოგად გაგებას ანუ სამართლის უზოგადეს ცნებას. და, აი, თუ ჩვენ, ერთი მხრივ, ავიღებთ სამართლის ზოგად არსს/[რაობას], ხოლო, მეორე მხრივ – რეალურ პოზიტიურ სამართალს, განსხვავება სამართლის ნამდვილსა და არანამდვილ არსს/[რაობას] შორის იქნება დაახლოებით ისეთივე, როგორიც ზოგადსა და კერძოს შორის არის. ამხანაგი გეგენავა დამემოწმება, რომ, როცა მე ნამდვილ არსზე/[რაობაზე] ვსაუბრობ, მე იმას ვგულისხმობ, რომ „ნამდვილი“ შეიძლება იყოს კონკრეტული, ხოლო მაშინ, როცა ვამბობ, რომ სამართლის ზოგადი არსი/[რაობა] არის სამართლის არანამდვილი არსი/[რაობა], ამით მე ვამტკიცებ, რომ ის არ არის რაღაც კონკრეტული. ამრიგად, როგორც ხედავთ, ნამდვილი და არანამდვილი შეპირისპირებულია, როგორც კერძო ზოგადთან. მე ვფიქრობ, რომ არანამდვილისა და ნამდვილის ასეთი შეპირისპირება შეიძლება თქვენ მიერაც იქნეს მიღებული. ახლა ის არის საკითხავი, აქვს თუ არა მარქსს ზოგადი შეპირისპირებული კერძოსთან? რა თქმა უნდა! ამხანაგი ტალახაძე ამტკიცებს, რომ მარქსიზმი უფრო დედუქციური მეთოდია, ვიდრე ინდუქციური. მაშასადამე, მარქსიზმი უშვებს ზოგადის კერძოსთან შეპირისპირებას. თუ ეს ასეა, და თუ „ნამდვილის“ ცნებას ავიღებთ როგორც კონკრეტულს, ხოლო „არანამდვილისას“ – როგორც ზოგადს, ჩვენ დიდ ცოდვას არ ჩავიდენთ, ვინაიდან, როგორც ჩვენ გავარკვიეთ, მარქსიზმიც უშვებს ზოგადის კერძოსთან შეპირისპირებას. ამრიგად, ჩემს ნაშრომში სამართლის ზოგადი არსის/[რაობის] მხოლოდ ფაქტის არსებობის საფუძველზე არ შეიძლება ჩემი დადანაშაულება იმაში, რომ მე ისეთი ცოდვა ჩავიდინე, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელია გალაშქრება. რისთვს დამჭირდა ეს ზოგადი არსი/[რაობა]? თუ ამხანაგმა ტალახაძემ ხაზი გაუსვა [იმას], რომ მარქსიზმი დედუქციური მეთოდია, მაშინ დასთანხმდით იმას, რომ ჩემი მოსაზრებაც სავსებით მართებულია.

ადგილიდან:

არასწორია!

პროფ. ნანეიშვილი:

სხვათა შორის, მე ვამბობ, რომ სამართლის ამ ზოგადი არსის/[რაობის] გარეშე სრულიად შეუძლებელია სამართლის ვარიაციების გააზრება, ანუ სამართლის ისტორიული განვითარებისა.

ამრიგად, საკითხი არ ეხება სამართლის წარმოშობას. ამ საკითხთან მიმართებით ჩვენ ხომ ვეთანხმებით ერთმანეთს. დგას წმინდა დიალექტიკური საკითხი, ანუ, თუ როგორ საკუთრივ ეს კერძო მიესადაგება ზოგადს, ანუ, ჩემი გაგებით, ეს „ნამდვილი“ მიესადაგება „არანამდვილს“. და, აი, თუ ჩვენ ასე მივუდგებით ამ საკითხს, მაშინ დამეთანხმეთ, რომ ზოგადის კერძოს მიმართ დიალექტიკური შეპირისპირება შეიძლება იყოს აზრობრივი, ლოგიკური შეპირისპირება.

ხოლო, თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კონკრეტულსა და ზოგადს შორის მიმართება არის აზრობრივი მიმართება, მაშინ მე თქვენ გეკითხებით, ამხანაგო გეგენავა, მაქვს თუ არა მე უფლება, კონკრეტული განვიხილო (ლოგიკურად) როგორც ზოგადის კონკრეტულობა?

გეგენავა:

გაქვთ.

პროფ. ნანეიშვილი:

ასე რომ, თუ მე ჩემს ნაშრომში ვამტკიცებდი, რომ პოზიტიური სამართალი უნდა განვიხილოთ როგორც არანამდვილი სამართლის ნამდვილი არსი/[რაობა], ამაში არ არის რაიმე მკრეხელობა.

ადგილიდან:

აბსტრაქციიდან თქვენ კონკრეტული გამოგყავთ.

პროფ. ნანეიშვილი:

ნათელია, რომ მარქსიზმის თვალსაზრისითაც კონკრეტული არის ზოგადის კონკრეტული. მხოლოდ იმის გამო, რომ მარქსი გვაძლევს ზოგადი სამართლის ცნებასა და მის შესახებ წარმოდგენას, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ვისაუბროთ სამართლის ისტორიული განვითარების შესახებ.

განვაგრძოთ. ვერავინ შეძლებს იმის უარყოფას, რომ სამართალი არის ზედნაშენი. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გაგებით „ზედნაშენი“ არის ფიგურული გამოხატულება, რადგან „ბაზისის“ ცნებიდან ჯერ კიდევ არ შეიძლება ზედნაშენის სურათის მიღება. მაგალითად, სახლი შენდება, საძირკველი ჩაყრილია, მაგრამ თქვენ არ იცით, თუ როგორი ნაგებობა გამოგივათ; ამიტომ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ სამართალზე, როგორც ზედნაშენზე, უნდა გავშიფროთ, უნდა გავიგოთ, თუ რა აზრი დევს ამ ზედნაშენში. და, აი, როცა ჩვენ ვსაუბრობთ პოზიტიურ სამართალზე და არ ვეხებით საკითხს თვით სამართლის წარმოშობის შესახებ, ვვარაუდობთ, რომ თვით პოზიტიურ სამართალშია აღნიშნული სამართლის არსი/[რაობა], რადგან, თუ პოზიტიური სამართლის არსიდან/[რაობიდან] გამოვრიცხავთ სამართლის არ-

სს/[რაობას], მაშინ უაზრობას მივიღებთ, რომელიც, არ გვეცოდინება, სად მივაყუდოთ.

ტალახაძე:

თუ არსს გამოვრიცხავთ, რა თქმა უნდა, მივიღებთ უაზრობას!

პროფ. ნანეიშვილი:

და ამხანაგი ტალახაძე მეთანხმება, რომ, თუ სამართლიდან ამოვაგდებთ არსს/[რაობას], მაშინ მივიღებთ უაზრობას.

და, თუ თქვენ, ამხანაგო ტალახაძევ, ამას აღიარებთ, მაშინ არც ის უნდა უარყოთ, რომ პოზიტიური სამართალი წარმოადგენს არსის/[რაობის] კონკრეტულობას, ვინაიდან, თუ პოზიტიურ სამართალში არ არის არსის/[რაობის] კონკრეტულობა, მაშინ ჩვენ მას მუდმივ სამართლად ქცევისათვის გავწირავთ.

ტალახაძე:

აქ თქვენ ღმერთთან მიხვედით.

პროფ. ნანეიშვილი:

ღმერთის ჩვენ არ გვწამდა და მეცნიერებაში ღმერთთან ჩვენ არასოდეს მივსულვართ. მე მეკითხებიან – როგორ წარმოიშობა სამართლის ზოგადი არსი/[რაობა]? მე ვსაუბრობ: მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკურ ურთიერთობებზე. და ვთხოვ ამხანაგ ტალახაძეს, გაითავისოს ეს ერთხელ და სამუდამოდ. საკითხი დიალექტიკური ურთიერთობების (ზოგადისა და კერძოს) შესახებ არ არის საკითხი სამართლის გენეზისის თაობაზე. განვაგრძოთ. მე მიჩნდება შეკითხვა ამხანაგ გეგენავას მისამართით, რომელმაც ჩემ წინააღმდეგ წამოაყენა მძიმე ბრალდება. გახსოვთ, მე ვამბობდი, რომ კონკრეტული სამართალი არის ზოგადის კონკრეტულობა, ანუ, ის, რომ პოზიტიური სამართალი არის სამართლის ნამდვილი არსი/[რაობა]. ამაში კი ამხანაგი გეგენავა ხედავს ნამდვილობის განადგურებას. იმის გამო, რომ მე კონკრეტულს (კერძოს) ვუპირისპირებდი ზოგადს, იმის გამო, რომ მე ვამბობდი, რომ კონკრეტული პოზიტიური სამართალი არის რეალური სინამდვილის ნაირსახეობა, ნუთუ სწორედ ამით მე გავანადგურე ნამდვილობა? საიდან? რატომ? ენგელსი ხომ ამბობდა, რომ, როცა მივირთმევ ვაშლს, მე ვიცი, რომ ეს არის ხილის სახეობა. თუ ამხანაგი გეგენავა მართალია, მაშინ გამოდის ისეთი სურათი, რომ ვაშლის ზოგადისადმი, ანუ ვაშლისა ხილისადმი შეპირისპირების ეს ფაქტი რეალურად სპობს ვაშლის ცნებას. თქვენ წარმოგიდგენიათ, ეს რა საშინელებაა! უნდა გავიგოთ და გავიაზროთ, რომ საუბარია, უშუალოდ, ლოგიკურ ურთიერთობებზე. თქვენ მეკითხებით – ამ ზოგადი აზრის წარმოშო-

ბის რიცხვს, თარიღს, დღეს; მე ვიცი, რომ თქვენ ისწრაფვით აღნიშნული საკითხისაკენ, მაგრამ მთელი არსი ისაა, რომ, თუ თქვენ მე მომმართავთ შეკითხვით, თუ საიდან წარმოიშობა ეს ზოგადი არსი/[რაობა], რატომ არ შეიძლება იმავე შეკითხვით მიმართოთ მარქსს? და, თუ მარქსიზმი უნივერსალური სისტემაა და, თუ იქ არის ზოგადის კერძოსთან შეპირისპირება, შეუძლებელია იქ არ იყოს აღნიშნული [საკითხის] ახსნა.

ადგილიდან:

ჯერ აუცილებელია განისაზღვროს ზოგადი და შეუპირისპირდეს კერძოს.

პროფ. ნანეიშვილი:

მოცემულთან მიმართებით, მე ამ საკითხებს არ ვეხები, რადგან მე ვამტკიცებ, რომ, თუ, მარქსის მიხედვით, დასაშვებია კერძოს ზოგადთან შეპირისპირება, მაშინ ამ უნივერსალურ სისტემაში, ამ უნივერსალურ მაღაზიაში შეუძლებელია, რომ არ იყოს შესაბამისი ახსნაც. მე არ შემიძლია ამ საკითხს შევეხო, რადგან კოლეგები დამიდასტურებენ, რომ პირველ ნაწილში ჩემი ნაშრომი წმინდა ლოგიკური ხასიათისაა, და არა ისტორიული ხასიათისა. გარდა ამისა, მე ვამბობდი, რომ არსებობს ისეთი ფაქტებიც, რომლებსაც სამართლის შექმნამდე მივყავართ, ვამბობდი, რომ არსებობენ ნორმატიული ფაქტები, ანუ ის ფაქტები, რომლებიც საკუთრივ ფლობენ მავალებელ თვისებებს. ვერ გამიგია, სად არის აქ ნამდვილობის განადგურება? თქვენს თეზისებში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ თითქოსდა იმის გამო, რომ მე ნორმატიული ფაქტი მოვწყვიტე სამართლის წყაროს, ამით სწორედ ის ვაღიარე, რომ ნორმატიული ფაქტები არის სამართლის ნამდვილობის არსი/[რაობა] – (კითხულობს) „აცხადებს რა პოზიტიურ სამართალს სამართლის არსის/[რაობის] ნამდვილობად, ავტორი ასაბუთებს ფაქტების ნორმატიულობას არა პოზიტიური სამართლის წყაროდან გამომდინარე, არამედ იმ გარემოებით, რომ ეს ფაქტები, პოზიტიური სამართლის წყაროებისა და ნორმებისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად, მხოლოდ მათი არსებობის ფაქტიდან გამომდინარე, არიან სამართლის არსის/[რაობის] ნამდვილობა“.

აი, ეს აბზაცი მარწმუნებს, რომ თქვენ იყავით რა საკმაოდ ყურადღებიანი ჩემი ნაშრომის მიმართ, რისთვისაც მე დიდად მადლიერი გახლავართ, ვერ შეამჩნიეთ ერთი გარემოება, კერძოდ, სწორედ ჩემი ნაშრომი არის იმისაკენ მიმართული, რათა დავამტკიცო, რომ ნორმატიული ფაქტი არ არის სამართლის არსის/[რაობის] ნამდვილობა. მე მთელი ჩემი გულმოდგინება წარვმართე იმისაკენ, რათა ნორმატიული ფაქტი მომეწყვიტა სამართლის წყაროსაგან, რადგან ნორმატიული ფაქტის სამართლის არსის/[რაობის] ნამდვილობად აღიარება – ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ ნორმატიული ფაქტიც არის

სამართალი. ასეთ შემთხვევაში კი მთელი ჩემი ნაშრომი დაკარგავდა საკუთარ აზრს, ამიტომ თქვენი თეზისი მართებულად ვერ იქნება მიჩნეული.

არსებითად რომ ითქვას, ამხანაგ გეგენავას მიმართ მე სხვა შენიშვნა არ მაქვს. მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა მსურს ერთი პატარა გამოხტომის, ანუ უფრო სწორად, მინიშნება პოლიტიკური გამოხტომის გამო იმის მითითებით, რომ ჩემთან ნორმატიული ფაქტი არსებობს და რომ მე დავცილდი საბჭოთა წყობილებასა და საბჭოთა რეჟიმს.

გეგენავა:

თქვენ პირადად არ გვყავხართ მხედველობაში.

პროფ. ნანეიშვილი:

მაშინ ეს შენიშვნაც მოხსნილია. აი, სულ ეს არის, რისი თქმაც მსურდა და ვიმეორებ, არ მინდა შეცდომაში შევიყვანო ამხანაგი გეგენავა, ჩემი ნაშრომი არ არის მარქსისტული და მე სიამოვნებით მოვედი აქ, რათა მოვისმინო მარქსისტული კრიტიკა. თუმცა მსურს, რომ ყველა შენიშვნა არსებითი [ხასიათის] იყოს, რადგან ამხანაგი გეგენავა ჩვენს დამოძღვრას ისახავს ამოცანად, ხოლო ამისათვის ძირითადი პირობაა იმის არსის გარკვევა, რისი გაკრიტიკებაც ხდება.

თავმჯდომარე:

ვინაიდან საკმაოდ გვიანია, ნება მომეცით, დღეისათვის ამით შევწყვიტოთ ჩვენი დისკუსია. მომდევნო სხდომის დღის შესახებ გაზეთების მეშვეობით გეცნობებათ.

მეორე სხდომა

1930 წლის 27 ოქტომბერი

თავმჯდომარე:

ნება მომეცით, მეორე სხდომა გახსნილად გამოვაცხადო. ჩაწერის რიგითობის მიხედვით, სიტყვა ეძლევა პროფ. ჯაფარიძეს.

ჯაფარიძე:

ვიდრე შევჩერდებოდე მოხსენების იმ ნაწილზე, რომელიც ეხება ჩემს მოკრძალებულ ნაშრომს, ნება მომეცით, წარმოვთქვა ზოგადი ხასიათის რამდენიმე სიტყვა. როცა გუშინწინ მოვდიოდი ამ სხდომაზე, მე მეჩვენებოდა, რომ მხურვალედ უნდა მივსალმებოდით ამხანაგ გეგენავას მოხსენებას, როგორც მარქსისტული სამართლის თეორიული საკითხების განხილვის სფეროში [არსებულ] პირველ წამოწყებას. მე მეჩვენებოდა, რომ ტფილისში იქმნებოდა ან მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების წიაღში, ან ამა თუ იმ სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების კედლებში, ან ყოველივე მათგანის მონაწილეობით, რაღაც ლაბორატორია, რომელშიც სამართლის საკითხების საქმიანი, მშვიდი განხილვის შედეგად თანდათანობით მოხდებოდა ფოლადივით მტკიცე, სამართლებრივი აზრების გამოწრთობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამხანაგმა გეგენავამ გაამართლა ეს მოლოდინი. ორი საათის განმავლობაში აკადემიური სიმშვიდით, თუმცა დებიუტანტისთვის ჩვეულ მორცხვობას მოკლებული, მტკიცე ტონით მან ჩაატარა მათი[1] ნაშრომების განხილვა. თუმცა შემდგომში კამათში ისეთი ვნებიანობა შეიტანეს, რომ სხდომის ხასიათისათვის სრულიად შეუსაბამო ავადმყოფურად ნერვული ატმოსფერო შეიქმნა. და, ნუთუ, ახლა მარქსისტული სამართლებრივი აზრის მდგომარეობა ისეთია, რომ შეიძლება, მკვეთრად გადაიჭრას მეცნიერებისა და სამართლის უსერიოზულესი საკითხები? თქვენ ხომ იცით, რომ სამართლის თეორიის სისტემური განხილვა მხოლოდ ბოლო 4-5 წელია, რაც დაიწყო, ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობების უდიდესი მსხვრევის პერიოდში სწორედ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომელთა გამოხატულება ან შუალობითობა არის სამართალი, იმ მსხვრევის პერიოდში, როცა მარქსისტულმა წრეებმა სამართლის საჭიროების უარყოფაც კი დაიწყეს და დადგა საკითხი იურიდიული დისციპლინების სწავლების გაუქმების შესახებ. და, მართლაც, სამართალი, მათი აზრით, თუ სრულებით არ უქმდება, ყოველ შემთხვევაში,

[1] იგულისხმება დისკუსიაზე გაკრიტიკებული პროფესორების ნაშრომები [რედ.].

მტკიცედ შეიძლება იმის თქმა, რომ მან დაიწყო საკუთარი საქმიანობის ველის შევიწროება. თუ თქვენ აიღებთ სოციალისტურ სექტორსა და საქონელბრუნვას, რომელიც ამ სექტორში მიმდინარეობს, – და ის მთელი საქონელბრუნვის 93-94%-ს მოიცავს, თუ მეტს არა, – მაშინ დაინახავთ, რომ ამ სფეროში სამართალი თითქმის მთლიანად გაქრა. და, მართლაც, რომელ სამართალზე შეიძლება ვისაუბროთ საქონელბრუნვასთან მიმართებით, როცა სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია ფაბრიკიდან სოფლად მიედინება კოოპერაციის გავლით, და პირიქით, ნედლეული სოფლიდან მიედინება სახელმწიფო ფაბრიკებში და როცა, ამ ნიადაგზე აღმოცენებული ყოველგვარი სადავო საქმე სრულებით ამოღებულია სასამართლო განხილვიდან. ამჟამად ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი მკაფიო დებულებები სამართლის თეორიის საკითხებზე, ისეთი აქსიომები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სამართლის სერიოზული საკითხების გადაწყვეტა ცხელ გულზე, და არა ცივი გონებით. თქვენ იცით, რომ უკანასკნელ დრომდე პაშუკანისი ითვლებოდა მარქსისტული სამართლის ყველაზე სერიოზულ, ყველაზე თანმიმდევრულ თეორეტიკოსად და, რას ვხედავთ ჩვენ? აი, მის წინააღმდეგ გამოდის მარქსისტების მთელი რიგი (ლიბერმანი, რეზცოვი), განსაკუთრებით კი სტალგევიჩი[1], რომელიც პაშუკანისს ისეთ სუბიექტივიზმში ადანაშაულებს, რომელსაც არაფერი საერთო აქვს მარქსიზმთან. თავის მხრივ, სტალგევიჩმა გამოააშკარავა დო-

[1] **ალფრედ სტალგევიჩი** (1897-1983) – პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა კურლანდიის გუბერნიის ბაუსის მაზრაში. 1925 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1928 წელს – საბჭოთა სამართლის ინსტიტუტი, შემდეგ – ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა. 1944 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო იურიდიულ აკადემიაში, 1947 წლიდან – სსრკ-ის შსს-ს მილიციის უმაღლეს სკოლაში, სადაც 1957 წლიდან იკავებდა სახელმწიფოსამართლებრივი დისციპლინების კათედრის გამგის თანამდებობას, შემდეგ – ამავე კათედრის პროფესორია. ა. სტალგევიჩის სამეცნიერო ინტერესის სფეროს მიეკუთვნებოდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და მეთოდოლოგიის პრობლემატიკა, სამართლის თეორიის სისტემა, სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული შემეცნება, სახელმწიფოსა და სამართლის ბედი კომუნიზმის ეპოქაში. სტალგევიჩის ძირითადი ნაშრომებია: საბჭოთა სამართლის მეცნიერების განვითარების გზები (1928); სამართლის მარქსისტული თეორია, კურსის (თეზისები) სისტემა და პრინციპები (1930); საბჭოთა სოციალისტური სამართლის არსი (1955) და სხვა. ა. სტალგევიჩი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკითხს იურიდიული მეცნიერებების სისტემის კუთხით; იგი იყო ერთერთი უპირველესი საბჭოთა სამართალმცოდნე, რომელმაც სცადა მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან აღნიშნული სამართლის მეცნიერების ფუნდამენტური დარგის თეორიისა და სისტემის დადგენა, და იმ მცირერიცხოვანი მოღვაწეების რიგს მიეკუთვნება, ვინც, სამართლის მარქსისტული შემეცნების თვალსაზრისით, ა. ვიშინსკისთან პოლემიკაში შესვლა გაბედა [მთარგმნელი].

ცენკოს[1] წმინდა წყლის იდეალიზმი – და ასე, უსასრულოდ. აი, როგორია სამართლის მარქსისტული თეორიის დღევანდელი მდგომარეობა, თუნდაც ყველაზე ძირეული პრობლემების მიმართაც კი. ბუნებრივია, რომ მარქსისტული აზრი სამართლის სფეროში მხოლოდ ახლა იწყებს მუშაობას და, ბუნებრივია, მისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია უფრო საქმიანი, მუშაობის უფრო მშვიდი გარემო.

ამ ზოგადი სიტყვების შემდეგ მე უფლებას მივცემ ჩემს თავს, შევჩერდე მოხსენების იმ ნაწილზე, რომელიც მე მეხება, მაგრამ წინასწარ, გაკვრით, იმის გამო, რომ მომხსენებელმა საკუთარ თეზისებში მე მიწოდა პროფესორი, მე უნდა ვთქვა, რომ პროფესორის წოდება მე არც ადრე მქონია, როცა ის სამეცნიერო ხარისხთან იყო დაკავშირებული, და არც ახლა მაქვს, როცა ის, უბრალოდ, თანამდებობას გამოხატავს; მე უფრო მოკრძალებული მუშაკი ვარ, ვიდრე პროფესორია. მე ამას იმისთვის ვამბობ, რომ არავინ დამადანაშაულოს პროფესორის წოდების მდუმარედ მითვისების პატივმოყვარეობაში, რომელიც მე არ მაქვს; მეორე, იმის გამოც, რომ პროფესორს მაინც უფრო მკაცრი მოთხოვნები წაეყენება, ვიდრე ისეთ მოკრძალებულ მუშაკს, როგორიც მე ვარ.

არსებითად, მომხსენებელმა ჩემს წინააღმდეგ ორ ცოდვაში წამოაყენა ბრალდება. პირველი ცოდვა არის ის, რომ მე გავდღაბნე, როგორც ის გამოხატავს [აზრს], ხარისხობრივი განსხვავება ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ მეურნეობის მმართველობის ორგანიზების თვალსაზრისით, და მეორე ცოდვა არის ის, რომ მე აღმოვაჩინე სოციალიზმის უცნაური გაგება, უფრო ზუსტად – კომუნიზმისა.

ასე რომ, პირველი თეზისის მიმართ მე უნდა გავუსვა ხაზი იმას, რომ ჩემი ნაშრომი – „სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართალი“[2] – არც მეტი, არც ნაკლები, როგორც სახელმძღვანელო, როგორც პრაქტიკული სახელმძღვანელო, ჩემი ძირითადი საქმიანობიდან იშვიათად თავისუფალ საათებში, თანაც სიჩქარის პირობებშია შედგენილი. როცა მიმდინარე წელს, იანვრის თათბირზე, რომელიც კომუნისტური აკადემიის სამართლისა და სახელმწიფოს სექტორთან იყო მოწვეული, სავალდებულოდ აღიარეს უმაღლეს

---

[1] **მიხეილ დოცენკო** (1903-1937) – მარქსისტი იურისტი, კომუნისტური პარტიის წევრი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1937 წლის 01 თებერვალს დააპატიმრეს კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით, ხოლო იმავე წლის 14 აგვისტოს სიკვდილით დასაჯეს. რეაბილიტირებულია 1956 წლის 10 ნოემბრიდან [რედ.].

[2] იგულისხმება ს. ჯაფარიძის შემდეგი წიგნი: ჯაფარიძე ს., სამეურნეო-ადმინისტრატიული სამართალი, ძირითადი დებულებანი, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1930; ავტორს წიგნის მეორე ნაწილი შემდგომში აღარ გამოუქვეყნებია [რედ.].

სასწავლო დაწესებულებებში სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართლის სწავლება, მე ახალ რელსებზე გადავედი, და ვინაიდან არც რუსულ ენაზე და არც ქართულ ენაზე არ არსებობდა და არც ახლა არსებობს რაიმე სახელმძღვანელო, გადავწყვიტე, მიმეცა სტუდენტებისათვის რაიმე მოკლე სახელმძღვანელო, თუნდაც არასრულყოფილი [სახისა]. როცა მე ვამბობ, რომ ეს სახელმძღვანელოა, ამით ბევრი რამ განისაზღვრება: სახელმძღვანელოს არ უნდა მიუდგე იმავე საზომით, რომელიც მიესადაგება სამეცნიერო თეორიულ ნაშრომს, რომელშიც შეიძლება ფართოდ გავშალოთ ყველა დებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ. შემდეგ იმ გარემოებაზე ნათქვამი, რომელშიც ეს ნაშრომი იქმნებოდა, შესაძლოა, შემამსუბუქებელ გარემოებად გამოადგეს ჩემს უმკაცრეს მოსამართლეებს, [იმ შემთხვევაში], თუ აღმოჩნდებოდა, რომ მე ნამდვილად მქონდა დაშვებული რაიმე სახის უზუსტობანი.

ამგვარად, პირველი ბრალდება ისაა, რომ მე გავდღაბნე სამეურნეო მმართველობის ორგანიზების ხარისხობრივი განსხვავება ჩვენთან და საზღვარგარეთ. როცა ეს ბრალდება წავიკითხე თეზისებში, ძალზე დავინტერესდი, მომესმინა, თუ როგორ დაამტკიცებდა ამას ამხანაგი გეგენავა. და მე მოვისმინე მისი მოსაზრებები. თუმცა, სანამ მათზე შევჩერდებოდე, ნება მომეცით, ჯერ მომხსენებლის ზოგად მოსაზრებაზე შევჩერდე, რომელშიც ის ჩემს ნაშრომს აფასებდა როგორც არამარქსისტულს, რომელიც პროლეტარიატის კლასისათვის მტრულ იდეოლოგიას გამოხატავს.

მე გთხოვთ, შენიშნოთ, რომ ჩემი სახელმძღვანელო, წარმატებით თუ წარუმატებლად – ეს სხვა საკითხია, სახალხო მეურნეობის საბჭოთა სექტორის ერთი ნაწილის, კერძოდ, სახელმწიფო მეურნეობის ან უფრო ზუსტად – სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის მთლიან სტრუქტურას იძლევა, თანაც ეს სურათი დაფუძნებულია საბჭოთა კანონმდებლობაზე და მეტწილად – მარქსისტულ ლიტერატურაზე. მე გაოგნებული ვარ, ეს როგორ ხდება: სახელმძღვანელოში, ამა თუ იმ საგნის ირგვლივ, საბჭოთა კანონმდებლობის ასახვა შეიძლება, მიჩნეულ იქნეს არამარქსისტულად, მტრულად განწყობილი კლასის იდეოლოგიის გამომხატველად? შეიძლება სხვა მხრიდანაც მივუდგეთ: თუ ამხანაგი გეგენავა იტყოდა, რომ ავტორი ამახინჯებს საბჭოთა სამართალს, ან თავის წიგნში გამოხატავს აზრს, რომლიდანაც გამოჩნდებოდა, რომ მას მოსწონს არა საბჭოთა, არამედ კაპიტალისტური სტრუქტურა, იმის მსგავსი, რომელზეც წერდნენ პროფესორები – კონდრატიევი[1] და იუ-

[1] **ნიკოლოზ კონდრატიევი** (1892-1938) – რუსი ეკონომისტი, „კონდრატიევის ციკლის“ სახელწოდებით ცნობილი ეკონომიკური ციკლების თეორიის ფუძემდებელი. თეორიულად დაასაბუთა სსრკ-ში განხორციელებული „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ (ე.წ. **нэп**). 1930 წელს დააპატიმრეს ე.წ. „მშრომელი გლეხური პარტიის საქმის“ გამო. 1931 წლის მარტში ჩატარებულ საჩვენებელ პროცესზე „მენშე-

როვსკი, სწორედ ისინი, რომლებიც მავნებლებად ცხადდებიან, მაშინ ეს სულ სხვა საქმე იქნებოდა, მაგრამ ამოცანად დაისახო, რომ ის სახელმძღვანელო შეფასდეს, როგორც არამარქსისტული, რომელიც საბჭოთა კანონმდებლობას ეფუძნება – ეს ისეთი ამოცანაა, რომელიც ყველაზე ბრძენი სოლომონისათვისაც კი გადაუჭრელია. ამ ამოცანას ვერც ამხანაგ გეგენავას მტკიცებანი გადაჭრიან. რომც დავუშვათ, რომ მე გავდღაბნე ხარისხობრივი განსხვავება ჩვენსა და უცხოეთს შორის, ნუთუ აქედან გამომდინარეობს, რომ ჩემი ნაშრომი არამარქსისტულია? სულაც არა. მოკლე სახელმძღვანელოს ვიწრო ჩარჩოებში ყოველთვის დაიშვება შედარებითი [კვლევის] მეთოდის გამოყენება, რომელიც ერთგვარი ფუფუნებაა და, მიუხედავად ამისა, მე მაინც მივეცი თავს ამ ფუფუნების უფლება, როგორც ახლა გაჩვენებთ.

საკუთარი თეზისის დასამტკიცებლად მომხსენებელმა გადაფურცლა ჩემი სახელმძღვანელოს 59-ე გვერდი, სადაც განმარტებულია სააქციო საზოგადოების სტრუქტურა. როგორც თქვენთვის ცნობილია, სააქციო საზოგადოებას აქვს სამი ორგანო: უმაღლესი განმკარგულებელი – ეს არის საერთო კრება, აღმასრულებელი ორგანო – ეს არის გამგეობა და სარევიზიო კომისია, როგორც მაკონტროლებელი ორგანო. მან 59-ე გვერდზე წაიკითხა სწორედ ის ადგილი, რომელიც ეხება გამგეობას და სადაც სათაურით „გამგეობა“ ჩამოყალიბებულია: „გამგეობა არის აღმასრულებელი ორგანო, რომლის მეშვეობითაც მოქმედებს სააქციო საზოგადოება. კაპიტალისტურ ქვეყნებში გამგეობა ფაქტობრივად, უმრავლეს შემთხვევაში, არის [ყველაფრის განმახორციელებელი]. ინგლისსა და აშშ-ში, მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, გამგეობის ხელთ არის მოქცეული საერთო კრების ყველა ფუნქცია, როგორც ასეთი: წესდების შეცვლა, ძირითადი კაპიტალის გაზრდა, დივიდენდე-

---

ვიკების ცკ-ის საკავშირო ბიუროს“ გამო, კონდრატიევი გამოვიდა საქმეზე ერთ-ერთ მთავარ მოწმედ, თუმცა ბრალმდებელი კრილენკო კონდრატიევზე ისე საუბრობდა, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს ბრალდებულზე და აღნიშნავდა მის მონაწილეობას ე.წ. კონდრატიევ-ჩაიანოვის კონტრრევოლუციურ კულაკურ-ესერულ ორგანიზაციაში. 1932 წლის 26 იანვარს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის განაჩენით მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სუზდალის პოლიტიკურ იზოლატორში განაწესეს. 1938 წლის 17 სექტემბერს სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მას დახვრეტა მიუსაჯა და იმავე დღეს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. კონდრატიევი დახვრიტეს ე.წ. „კომუნარკაზე“ (მოსკოვის ოლქი) და იქვე დაასაფლავეს. 1963 წლის მაისში, ლ. ნ. იუროვსკისთან ერთად, ის რეაბილიტირებულ იქნა, თუმცა აღნიშნული რეაბილიტაციის შესახებ ერთი სიტყვაც კი არ იყო ოფიციალურად გამოქვეყნებული და 1987 წლამდე საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლები სსრკ-ში კვლავ განაგრძობდნენ კონდრატიევის ნაშრომების დევნას. ა. ვ. ჩაიანოვთან ერთად, 1987 წლის 16 ივლისს მოხდა კონდრატიევის განმეორებითი რეაბილიტაცია [მთარგმნელი].

ბის გაყოფა და სხვა ორგანოებისათვის უფლებების გადაცემაც კი წარმოების კუთხით“. შემდეგ მოდის ქვესათაური: „გამგეობის შექმნა“, და აქ მან ერთი სტრიქონი წაიკითხა: „ამიტომ გამგეობის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს“. როცა მან ეს წაიკითხა ბრალდების დასაბუთებისათვის, მე გამიკვირდა, თუ რა იყო აქ გასაკიცხი, ის ხომ არა, რომ მე მივუთითე სხვა ქვეყნებში გამგეობის შექმნის პრაქტიკაზე, ან ის ხომ არა, რომ ვთქვი, გამგეობის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს-მეთქი. როცა ამის შესახებ მას ვკითხე, გაირკვა, ჩემი მინუსი ისაა, რომ რეკომენდაციას ვიძლევი, ფრთხილად მივუდგეთ გამგეობის შექმნას ჩვენს, საბჭოთა, სინამდვილეში.

ადგილიდან:

რომ გამგეობის არჩევისადმი მიდგომა მოტივირებულია კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული დებულებით.

ჯაფარიძე:

იმ ადგილიდან, რომელიც იყო გახმოვანებული, ასეთი დებულება არ ჩანს. მე მინდა ვთქვა, ნამდვილად ვუსვამ ხაზს, რომ გამგეობის შექმნას როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში, ასევე, ჩვენთან დიდი მნიშვნელობა აქვს, – კაპიტალისტურ ქვეყნებში იმიტომ, რომ ამ გამგეობაში ძვრებიან უმსხვილესი კაპიტალისტები, რომლებიც მიიტაცებენ საწარმოს ყველა ფუნქციას, ხოლო ჩვენთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ არის სულერთი, თუ ვინ იდგება საწარმოს სათავეში, უმეცარი თუ განსწავლული ადამიანი, უთავბოლო თუ დამკვრელურად მშრომელი, მავნებელი თუ გულშემატკივარი, საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოდ მომუშავე. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, იქიდანაც ჩანს, რომ მასშიც, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში საერთო კრება გამგეობას ირჩევს საბოლოოდ, როგორც უკანასკნელ ინსტანციას, ჩვენთან, საბჭოთა კანონის მიხედვით, სახელმწიფო სააქციო საზოგადოების გამგეობის არჩევა მანამ არ შედის ძალაში, ვიდრე საერთო კრების დადგენილებას არ დაამტკიცებს უმაღლესი დამგეგმავი, მარეგულირებელი ორგანო: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო – მრეწველობის ხაზით, ვაჭრობის სახალხო კომისარიატი – ვაჭრობის ხაზით და ა.შ. როცა მე ვსაუბრობ სააქციო საზოგადოების შესახებ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენთან კანონმდებლობა სააქციო საზოგადოების შესახებ მოიცავს სააქციო საზოგადოების ყველა ფორმას, როგორც კერძოს, ისე სახელმწიფოს, კოოპერირებულსა და ა.შ., თანაც, კანონით საგანგებოდ გამოყოფილია ზოგიერთი მუხლი სახელმწიფო სააქციო საზოგადოების შესახებ. ეს ჩემთანაც გამოყოფილია; [აი], ეს არის ჩემს სახელმძღვანელოში.

შემდეგ, მომხსენებელმა გადაშალა 81-ე გვერდი, სადაც განმარტებულია სინდიკატების შესახებ და მან მოიყვანა ასეთი ადგილი: „საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყენა ის სინდიკატები, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკამ შექმნა, თუმცა გამოიყენა მხოლოდ მათი სახელწოდება და საორგანიზაციო ფორმა სულ სხვა ამოცანების მისაღწევად“. და აქ, თუმცა მან იცოდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში ფორმა არის შინაარსი, თქვა: და ეს როგორ ხდება, თუ სინდიკატების ფორმა, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენთან, ერთნაირია, მაშინ გამოდის, რომ ერთნაირია მათი შინაარსიც; გამოდის, რომ თქვენ რაიმე სახის განსხვავებას ვერ ხედავთ. აი, საიდან მომდინარეობს ყველა ეს ბრალდება.

საქმე ისაა, რომ მსგავსი თვალსაზრისის შემდეგ, რომელზეც ის შეჩერდა, მართალია, მოკლედ, მაგრამ მაინც არის ხაზგასმული ეს განსხვავება, ხოლო ზემოთ ითქვა იმის შესახებ, თუ რა პირობებში წარმოიშვა საზღვარგარეთ სინდიკატები, რა ამოცანებს ისახავენ ისინი და როგორი ფორმები აქვთ. აქ, ამ თვალსაზრისის შემდეგ, ასეთი წინადადება მოდის: „საბჭოთა სინდიკატები – ეს არ არის რაც შეიძლება მეტი მოგების მიღების გზა, არამედ ეს არის სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციის გასაღების, მათთვის ყოველგვარი მასალის მიწოდებისა და გეგმის მიხედვით სხვაგვარი ფუნქციების შესრულების იარაღი, ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ მიმართულებას“. თუმცა, რასაკვირველია, ეს მხოლოდ მოკლედ, ხოლო ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში, საწარმოთა ორგანიზებაში არსებული განსხვავების უფრო ვრცლად მსგავსი ხაზგასმა სხვა ადგილებში მოდის. აი, მე-10, მე-11, 22-ე, 46-ე, 48-ე, 68-ე და ა.შ. გვერდებზე მე ვაყალიბებ, რომ ჩვენი ორგანიზაციის, ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის ზოგიერთი ტიპური ფორმა, როგორებიც არიან: ტრესტები, კომბინატები, სააქციო საზოგადოებები, სინდიკატები, ისინი კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოადგენენ საწარმოთა გაერთიანებებს, ან კერძო პირთა კაპიტალს, და გამოხატავენ კერძო კაპიტალის უკიდურეს კონცენტრაციას, და რომ იქ, მსგავსი გაერთიანებების მეშვეობით, მათ შორის კონკურენციის ან საერთოდ მოსპობის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შესუსტების გზით, ისინი ცდილობენ, საკუთარი მონოპოლიით მოიცვან ბაზრები, რათა გაზარდონ ფასები და ამით მოახდინონ მომხმარებლების ექსპლუატაცია.

შემდეგ სხვაგან, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, მე ვიძლევი სინდიკატების, კარტელების, სააქციო საზოგადოებებისა და ა.შ. ორგანიზების აღწერას და მკაცრად განვსაზღვრავ როგორც თვით ტექნიკურ სტრუქტურას, ისე იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრას ისახავენ მიზნად ეს ორგანიზაციები, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენთან. ამ ფორმებზე, ამ საერთო პირობებზე საუბრისას მე ვუთითებ, რომ ორგანიზების აღნიშნულ ტიპურ ფორმებს

ჩვენთან სულ სხვა შინაარსი, სხვა დანიშნულება, სხვა ამოცანები აქვთ. და, აი, მე ვამბობ, რომ ჩვენთან სამრეწველო ტრესტებიც და სააქციო საზოგადოებებიც, – სულ ერთია, სამრეწველოა, თუ სავაჭრო, – სინდიკატებიც, სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობის ორგანოები, თანაც ეს ორგანოები ან ეს საწარმოები ექვემდებარებიან სახალხო მეურნეობის ერთიან დაგეგმარებას. ნება მომეცით, ის ციტატა მოვიხმო, სადაც ნათქვამია, რომ, მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში დაგეგმარება არ სცდება ცალკეული საწარმოების ფარგლებს, სწორედ იქ არსებული წარმოებისა და გაცვლის ანარქიული პირობების არსებობის გამო, ჩვენთან, პირიქით, ყველაფერი ექვემდებარება სახალხო მეურნეობის ერთიან დაგეგმარებას. „გეგმა კაპიტალისტურ მეურნეობასაც აქვს, თუმცა ეს გეგმა არ სცდება ცალკეული საწარმოს ფარგლებს, ვინაიდან კაპიტალისტურ ქვეყნებში მეურნეობა, ან მეურნეობის წარმართვა დამოკიდებულია ბაზრის სტიქიაზე, მოგების მიღებისათვის ბრძოლაზე, კონკურენციასა და სხვა, რომელთა პირობებშიც კაპიტალისტს არ შეუძლია ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომლებმაც შეიძლება საწარმოზე მოახდინონ გავლენა. სოციალისტური მეურნეობა, საიდანაც უნდა განიდევნოს ბაზარი, გულისხმობს, პირიქით, მეურნეობის ერთიან დაგეგმარებაზე აშენებას. სახალხო მეურნეობა, მთლიანობაშიც და, კერძოდ, სოციალისტური სექტორი, შეყვანილია იმ ერთიან დაგეგმარებაში, რომელიც ითვალისწინებს თითოეული საწარმოსათვის – იქნება ეს სამრეწველო ტრესტი, სააქციო საზოგადოება, თუ სინდიკატი – მის გეგმურ ამოცანებს, მის საწარმოო გეგმას. თითოეული მწარმოებელი საწარმოს ფარგლებში, რომელიც, ვთქვათ, შედის ტრესტში, თითოეული ფაბრიკის ფარგლებში, თითოეულ საწარმოო ერთეულს აქვს საკუთარი გეგმა, თითოეულ განყოფილებას, თითოეულ საამქროს აქვს საკუთარი გეგმა. ამრიგად, თითოეული საწარმო არის ცალკეული რგოლი, რომელიც თანხვედრაშია სახალხო მეურნეობის ყველა იმ რგოლთან, რომლებიც მთლიანობაში ექვემდებარებიან სახალხო მეურნეობის ერთიან დაგეგმარებას“. მე ვეკითხები მომხსენებელს, თუ ის ამ ადგილს აიღებს, ზუსტად ისევე აიღებს იმ ადგილებს, სადაც განმარტებულია კაპიტალისტურ ქვეყნებში ისეთი ორგანოების წარმოშობა, როგორებიცაა: ტრესტი, სინდიკატი, კარტელი და ა.შ., როცა მე ვახასიათებ მათ ფიზიონომიას აქაც და იქაც, მე ვეკითხები მას: მართალია ის თუ არა, როცა ამბობს, რომ მე გავდღაბნე მეურნეობის ორგანიზების ხარისხობრივი განსხვავება აქაც და იქაც. მე ვფიქრობ, რომ ის არ არის მართალი.

მეორე ბრალდება ისაა, რომ მე აღმოვაჩინე კომუნიზმის უცნაური გაგება. რა არის უცნაურობა? ვიდრე გადავიდოდეთ ჩვენთან, ზოგადად, სოციალისტური სექტორის ორგანიზების საკითხზე, მე ვესაუბრები სტუდენტებს, რომ მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითავისონ, თუ რა პრინციპებზეა

აგებული ჩვენთან ეს სახელმწიფო მეურნეობა: ჯერ ერთი, მეურნეობის სოციალისტური მოწყობა; მეორე – წარმოების საშუალებების, მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნების, ტრანსპორტისა და სხვა სამეთაურო სიმაღლეების ნაციონალიზაცია; მესამე, – მათი დაგეგმარება. პირველ პრინციპზე საუბრისას მე ასე გამოვხატავ აზრს: პირველი პრინციპი – მეურნეობის ისეთი მოწყობაა, რათა არ იყოს ის ნიადაგი, რომელზეც აღმოცენდება ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე განსხვავებული კლასები, მჩაგვრელები და ჩაგრულები, ბურჟუაზია და პროლეტარიატი და, იმავდროულად, რათა მეურნეობის საწარმოო ძალებმა ისეთ სიმაღლეს მიაღწიონ, რომ განხორციელება შეძლოს მარქსიზმის ცნობილმა დებულებამ: თითოეულისაგან შრომისუნარიანობის, ხოლო თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით. ამ გამოთქმას: „ხოლო თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით“, მომხსენებლის აზრით, აქვს შეფარული აზრი – თითქოსდა მე ვფიქრობ, რომ დარიგებას დაიწყებენ.

შემდეგ მე ვამბობ, რომ აღნიშნული მიზნების მიღწევის საუკეთესო გზად მიიჩნევა სოციალიზმი, უკეთ რომ ვთქვათ, მისი უზენაესი საფეხური – კომუნიზმი. ეს არის გზამკვლევი ვარსკვლავი, რომელიც, როგორც ზოგადად, ისე თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, გვიჩვენებს მეურნეობის ზოგად ხაზებს. როცა ჩვენ ჩვენს პირობებში ვმუშაობთ, არის ეს სამეურნეო სფერო, ან ვქმნით კოდექსს, ვთქვათ, ოჯახის, ქორწინებისა და მეურვეობის შესახებ, ან ვმუშაობთ კულტურის სფეროში, ყოველთვის მივმართავთ ცნობილ პერსპექტივებს. ჩვენ სოციალიზმისაკენ სახით ვართ მიბრუნებულნი და სწორედ ამით განვსაზღვრავთ, თუ როგორ უნდა ვაშენოთ, რადგან შენებისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ წარმავალი საჭიროებანი, არამედ ის ცნობილი მიზანიც, რომლისკენაც ვისწრაფვით. და, აი, აღნიშნული ფორმულირების მიმართ მომხსენებელი ამბობს, რომ სოციალიზმი არ არის გზა, არ არის გზამკვლევი ვარსკვლავი, არამედ ის მხოლოდ მიზანია. მე ვთვლი, რომ სოციალიზმი კაცობრიობის განვითარების ისტორიის მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არა საბოლოო მიზანი. მეცნიერული მარქსიზმი გვიმტკიცებს, რომ მეურნეობის კაპიტალისტური ფორმის შემდეგ წარმოიშობა სოციალისტური მეურნეობა, მაგრამ იმისათვის, რომ კაცობრიობა გაიყინოს სოციალიზმზე, და რომ მან თავის განვითარებისას იმაზე უკეთესი გზების მოძიება ვერ შეძლოს, ვიდრე ამას სთავაზობს სოციალიზმი, – ამას არც მარქსი და არც სხვები ამბობენ.

ჩემ წინაშე დგას საკითხი – რა ხდება, რაშია გამოცანა? ის ხომ არ არის მიზეზი, რომ, თითქოს, მომხსენებელმა სრულად არ წაიკითხა ჩემი სახელმძღვანელო (მოხსენების დროს მე მომეჩვენა, რომ ჩემი წიგნი, რომელიც მას ხელში ეკავა, სრულებით არ იყო გაჭრილი)? თუ, შესაძლოა, სხვაა განზრახ-

ვა, რომელსაც ჩვენ სხვებთანაც ვაკვირდებით – ნებისმიერი გზით შეურაცხვყოთ იმ ადამიანის ნაშრომი, რომლის შუბლზეც არ იკვეთება კომუნიზმის ბეჭედი.

თავმჯდომარე:

ჩაწერის რიგითობის მიხედვით, სიტყვა ეძლევა პროფ. ვაჩეიშვილს.

პროფ. ვაჩეიშვილი:

მე ვიქნები ლაკონიური: მე მხოლოდ ზოგადად შევეხები იმ არგუმენტაციას, რომელიც ჩემ წინააღმდეგ წამოაყენა პატივცემულმა მომხსენებელმა. პატივცემულმა მომხსენებელმა თავისი მოხსენების დასაწყისში განაცხადა, რომ ის ობიექტურად შეაფასებდა იმათ ნაშრომებს, ვინც საქართველოში სამართლებრივ აზრს წარმოაჩენს. მე ყურადღებით მოვისმინე მისი მოხსენება, და გულწრფელად ვამბობ, რომ მის სიტყვებში ობიექტურობა ვერ დავინახე. მე შევეცდები, დავამტკიცო, თუ რატომ ვფიქრობ, რომ მის მოსაზრებებში არ იყო სათანადო ობიექტურობა. მან დაიწყო ჩემი პირველი ნაშრომიდან; ეს არის ნაშრომი სამართლის ზოგად თეორიაში, რომელიც გაჩნდა 1926 წელს. [ამ პერიოდისათვის] აღნიშნული ნაშრომი არ ისახავდა განსაკუთრებით მაღალ მიზნებს. ეს იყო უბრალო სახელმძღვანელო, რომელიც გაუმარტივებდა სტუდენტებს ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგიის ძირითადი პრინციპების გაგებას. მე არასოდეს მომსვლია აზრად იმის დაფარვა, რომ ჩემი ნაშრომის შინაარსია იმ იდეოლოგთა გადმოცემა, ელემენტარული, მარტივი გადმოცემა, რომლებიც ბურჟუაზიულ ბანაკს მიეკუთვნებიან. მე ამას არ ვმალავდი.

ტალახაძე:

კრიტიკულად თუ ანალიტიკურად?

პროფ. ვაჩეიშვილი:

მომეცით საშუალება, გამოვთქვა ჩემი აზრი, შემდეგ კი გიპასუხებთ. მე აზრადაც არ მომსვლია ამ იდეის შეფარვა, მე, უბრალოდ, ვაყალიბებდი [აზრს] ბურჟუაზიული იდეოლოგიების შესახებ. წინასიტყვაობაში მე ვამბობდი, რომ ჩემი ნაშრომის მეორე ნაწილი შეეხებოდა სოციოლოგიურ თეორიებს და, უპირატესად, ისტორიული მატერიალიზმის თეორიას. მე გულწრფელად ვფიქრობდი, რომ უმოკლეს დროში დავწერდი ასეთ ნაშრომს.

წინა ორატორი, ამხანაგი ჯაფარიძე, მიუთითებდა იმაზე, თუ რას წარმოადგენს ახლა სამართლის მარქსისტული თეორია. ამჟამად სამართლის მარქსისტული თეორია იმყოფება დაღვინების მდგომარეობაში.

გეგენავა:

ბურჟუაზიული?

პროფ. ვაჩეიშვილი:

ბურჟუაზიულიც, თუმცა ბურჟუაზიული უფრო მეტად ჩამოყალიბებულია, ვიდრე მარქსისტული.

გეგენავა:

ეს არასწორია!

პროფ. ვაჩეიშვილი:

მე ვამტკიცებ, რომ სამართლის ბურჟუაზიული თეორია ამჟამად უფრო მეტად არის დამუშავებული, ვიდრე სამართლის საბჭოთა მარქსისტული თეორია და მე დამეთანხმება ნებისმიერი [პირი], ვინც თვალყურს ადევნებს ბურჟუაზიულ სამართლებრივ იდეოლოგიას და მარქსისტულ სამართლებრივ იდეოლოგიასთან შეადარებს მას. ეს გასაგები და მარტივია, რადგან სამართლის მარქსისტული თეორია ამჟამად მუშავდება. უდავოდ, მარქსიზმის ფუძემდებლებმა მიუთითეს ამ სისტემის უმთავრესი პრინციპები, თუმცა, სამართლის დასრულებული სისტემა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს. ამას მხოლოდ მე არ ვამტკიცებ, – ამას ამტკიცებენ თვით სამართლის მარქსისტული თეორიის წარმომადგენლები: პაშუკანისი, სტალგევიჩი. მარქსს ჰქონდა ღრმად დამუშავებული პოლიტიკური ეკონომია, მას შესანიშნავად ჰქონდა შემუშავებული სოციოლოგიური კონცეფცია, თუმცა მარქსს არ ჰქონია სამართლისა და სახელმწიფოს საკითხებზე შეხედულებების მწყობრი სისტემა. მაგრამ, შესაძლოა, მე შემეკამათონ: „მოგვიტევეთ, მარქსმა [თავის ნაშრომებში] – „კაპიტალი“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ – ბევრი რამ მოგვცა“. მართალია, აქ მარქსმა ბევრი რამ მოგვცა, მან მიუთითა, თუ რა გზით უნდა ვაშენოთ სამართლის მარქსისტული თეორია. ამაში სავსებით გეთანხმებით, თუმცა დასრულებული სისტემა მაინც არ არის. თუ დავუკვირდებით იმას, რაც ახლა ხდება რუსულ მარქსისტულ ლიტერატურაში, თქვენ დაეთანხმებით იმ დებულებას, რომ სამართლის მარქსისტული თეორია ამჟამად შემუშავების პერიოდში იმყოფება. ამის საუკეთესო მტკიცებულება პაშუკანისის, სტალგევიჩის, დოცენკოს, რაზუმოვსკის[1] და სხვათა ნაშრომებია.

[1] **ისააკ რაზუმოვსკი** (1893-1937) – ადრეული საბჭოეთის პერიოდის ფილოსოფოსი და სამართლის თეორეტიკოსი, სოციოლოგი; 1921-1925 წწ. იგი იყო – სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 1923 წლიდან – სარატოვის საოლქო კომუნისტური უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული მატერიალიზმის სექციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხოლო 1925 წლის 1 იანვრიდან – მოსკოვის კომუნისტური აკადემიის პროფესორი. ისტორიული მატერიალიზმის

თვალყური უნდა ადევნოთ რუსულ მარქსისტულ ლიტერატურას, უნდა შეისწავლოთ ის. მე მას ვსწავლობ ჩემი ძალებისა და უნარების გათვალისწინებით, და ვფიქრობ, რომ სამართლისა და სახელმწიფოს მარქსისტული თეორია დღემდე არ წარმოადგენს დასრულებულ კონცეფციას. მოცემულია ძირითადი ეტაპები, მოცემულია ძირითადი პრინციპები და ამ ძირითად პრინციპებზე ჩვენ უნდა დავაშენოთ სამართლის დაღვინებული, მწყობრი მარქსისტული თეორია.

მე როცა დავწერე „სამართლის ზოგადი თეორიის“ 1-ლი ნაწილი, ჩემი მიზანი იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. ეს ადვილი ამოცანაა, რადგან სისტემები დასრულებული სახითაა მოცემული. მე როცა ვწერდი ჩემი ნაშრომის 1-ლ ნაწილს, მეჩვენებოდა, რომ მაქსიმუმ ერთი წლის შემდეგ შევძლებდი სამართლის მარქსისტული თეორიის მოცემას, თუმცა, რაც უფრო მეტად ვუღრმავდებოდი აღნიშნულ პრობლემას, მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ეს ამოცანა ჩემს ძალებს აღემატებოდა. ამხანაგებო, მე ამას გულწრფელად ვაღიარებ. თუ პაშუკანისი – მარქსისტული ბანაკის ერთ-ერთი საუკეთესო იურისტი – დღეს ცხადდება იმ მოაზროვნედ, რომელმაც გადაუხვია სამართლის მარქსისტულ გაგებას, რომელიც თითქოსდა ვერ აღიქვამს მარქსისტულ მოძღვრებას, მაშ რაღა უნდა ითქვას ჩემზე – მე ხომ არ ვაცხადებ პრეტენზიას მარქსისტული თეორიის ასეთ ღრმა ცოდნაზე. ამას მე იმიტომ ვამბობ, რომ ამხანაგმა გეგენავამ აქ ხმამაღლა განაცხადა, რომ მე „შეგნებულად“ ავუარე გვერდი სამართლის მარქსისტულ თეორიას. მართალია, მან, ამასთანავე, დასძინა, რომ აქ არ იყო ბოროტი ნება, მაგრამ ჩემი მხრიდან დაუშვა არა პირდაპირი, არამედ ევენტუალური განზრახვის არსებობა.

ამხანაგი მომხსენებლის პირველი დებულება ისე ჟღერს, რომ ჩემს ნაშრომში არ არის იდეალისტური დასკვნები. სავსებით სწორია. ეს არ არის და ვერც თქვენ იპოვით მათ ჩემს ნაშრომში.

ტალახაძე:

მე შევეცდები, მოვძებნო ისინი.

პროფ. ვაჩეიშვილი:

ამისათვის დიდად მადლობელი დაგრჩებით. იდეალისტური დასკვნები იქ არ არის. ამხანაგი გეგენავა, როცა ამბობს იმის შესახებ, რომ მე არ ჩამო-

---

საბჭოთა სახელმძღვანელოს ერთ-ერთი პირველი ავტორი. ფუნდამენტურ ნაშრომში – „სამართლის მარქსისტული თეორიის პრობლემები“ – ი. რაზუმოვსკი, პირველად საბჭოთა თეორეტიკოსებს შორის, შეეცადა, შემოქმედებითად გადაემუშავებინა სამართლის მარქსისტული თეორიის კურსი; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამართლისა და იდეოლოგიის თანაფარდობის პრობლემატიკის შემუშავებაში [მთარგმნელი].

მიყალიბებია სრულიად იდეალისტური დასკვნები, ხაზს უსვამს იმას, რომ მე იურიდიული პოზიტივიზმისა და დოგმატიზმის პოზიციაზე შევჩერდი. იმისათვის, რომ მსგავსი დებულება წამოაყენო, უნდა გაარკვიო, თუ რა არის იურიდიული პოზიტივიზმი. ნუთუ მომხსენებელი ფიქრობს, რომ იურიდიული პოზიტივიზმის ცნება ასეთი მარტივი, ელემენტარული ცნებაა. არა, ის ცდება, ვინაიდან ეს უფრო დიდი და რთული ცნებაა, რომელშიც უნდა გაერკვე. ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ მე დოგმატიზმის ნიადაგზე ვრჩები, მე შემდეგს დავსძენ: მართალია, სადღეისოდ იურისპრუდენციაში ჭარბობს სოციოლოგიური მეთოდი, თუმცა გარდა სოციოლოგიური მეთოდისა, ჩვენ სხვა იურიდიულ მეთოდსაც ვხედავთ, რომელიც მიუხედავად განდევნისა, მაინც რჩება იურისპრუდენციაში. ან იქნებ მომხსენებელმა ეს იმით ახსნას, რომ, როგორც თვითონ გამოთქვა, სამართალი, არსებითად, ბურჟუაზიული წესრიგის კატეგორიაა, ხოლო, თუ სამართალი ბურჟუაზიულია, მაშინ დოგმატური მომენტი ყოველთვის იქნება ამ ცნებისათვის დამახასიათებელი. მე აქ მხოლოდ ვაყენებ პრობლემას და არ ვწყვეტ მას; მე ვუთითებ იმ ფაქტზე, რომ თვით სამართლის საბჭოთა თეორიაში დოგმატიზმი, ანუ დოგმატური მეთოდი დღემდე ინარჩუნებს საკუთარ მნიშვნელობას და თუნდაც სამოქალაქო და სისხლის სამართლის კომენტარებში დიდ როლს ასრულებს. აიღეთ ნებისმიერ ჩვენი კრიმინალისტი. ისინი იყენებენ დოგმატურ, იურიდიულ მეთოდს. შესაძლოა, პაშუკანისი მართალია, რომელიც აცხადებს, რომ იურიდიული მეთოდი სამართლის ძირითადი კუთვნილებაა. მე მხოლოდ გაკვრით გავამახვილე თქვენი ყურადღება ამ პრობლემაზე და ახლა გავაგრძელებ.

მომხსენებელმა მე რატომღაც მიმაწება ტარდს. რა საფუძველი ჰქონდა მას? სავარაუდოდ, საფუძველი ისაა, რომ მე ჩემს ნაშრომში ვუთითებ იმიტაციის, მიბაძვის მნიშვნელობაზე. ყველასათვის ცნობილია, რომ ტარდის სოციოლოგიური კონცეფცია იმიტაციის ცნებას ეფუძნება; თუმცა, ნუთუ ყველა, ვინც ისტორიის მანძილზე იმიტაციის მნიშვნელობის შესახებ საუბრობს, ტარდისტია? ეს ნიშნავს – მითითებული დებულებიდან გააკეთო არაჯეროვანი დასკვნები. მე არ ვარ ტარდისტი, მაგრამ ვსაუბრობ იმის შესახებ, რომ ისტორიაში გარკვეულ როლს ასრულებს მიბაძვა, რომ ადამიანებს ერთმანეთისაგან გადმოაქვთ სამართლებრივი ინსტიტუტები. ნუთუ მარქსისტი ისეთი ფაქტის უარყოფას დაიწყებს, როგორიც არის რომის სამართლის რეცეფცია, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის კოდექსის რეცეფცია. არაფერი მსგავსი! ეს სავსებით ჯდება მარქსიზმის ჩარჩოებში. თუ თქვენ ამტკიცებთ, რომ მიბაძვის კანონს აქვს ყოვლისმომცველი მნიშვნელობა, როგორც ამას ამბობს ტარდი, მაშინ თქვენ არ ხართ მარქსისტი. მაგრამ, თუ თქვენ მოკრძალებულ როლს უთმობთ იმიტაციის, მიბაძვის პრინციპს – ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ ხართ ტარდისტი. მომხსენებელმა იმაზეც მიუთითა, რომ

კოვალევსკის არ შეუძლია მიბაძვის მოვლენის აღიარება. რამდენიც გენებოთ. ნაშრომში, რომელზეც მე ვუთითებ, კოვალევსკი ამტკიცებს, რომ კანონი ხშირად გადადის ჩვეულებაში, ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასვლისას სამართალი იმიტაციის გზით ვრცელდება. მარქსისტი ამას დაუმატებს – ეს გადასვლა ხორციელდება წარმოებითი ურთიერთობების, სხვადასხვა ხალხის საწარმოო ძალთა, სხვადასხვა სახელმწიფოთა განვითარების გარკვეულ ეტაპზე. მხოლოდ [მაშინ], თუ მათ საწარმოო სტრუქტურას შორის, ეკონომიკურ სტრუქტურას შორის არსებობს ანალოგია, მათ შეუძლიათ, დაესესხონ იურიდიულ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს. ნუთუ ეს ეწინააღმდეგება მარქსიზმს? მე არ შემიტანია სრული სიცხადე. აქ არ არსებობს იმის ბრალდების საფუძველი, რომ ეს ეწინააღმდეგება მარქსიზმს. ლოგიკურად, აქ მარქსიზმის რაიმე [სახის] უარყოფაც არ არის.

ახლა სამართლის წყაროების შესახებ. ამხანაგი მომხსენებელი, მე – სამართლის თეორიის უხუცეს/[გამოცდილ] მასწავლებელს, დოქტორალური ტონით მასწავლის იმას, რომ სამართლის წყარო – ეს არც კანონი და არც ჩვეულებითი სამართალია. და, მომიტევეთ, აიღეთ ნებისმიერი იურისტი, მაგალითად, ღამბაროვი (მე არ ვსაუბრობ გერმანულ წყაროებზე), აიღეთ კორკუნოვი[1] – რას თვლიან ისინი სამართლის წყაროდ? – პოზიტიური სამართლის ფორმას, რომელსაც სავალდებულოობის ბეჭედი აქვს დასმული. ამის თაობაზე კორკუნოვი სრულიად გარკვევით ბრძანებს.

უდავოდ, ეს საკითხისადმი იურიდიული მიდგომაა. თუ საკითხს სოციოლოგიური თვალთახედვით მივუდგებით, ჩვენ სამართლის წყაროს შესახებ განსხვავებული კონცეფცია გვექნება. მაშინ ჩვენ სამართლის წყაროს შესა-

---

[1] **ნიკოლოზ კორკუნოვი** (1853-1904) – რუსი მეცნიერ-იურისტი, სამართლის ფილოსოფოსი, პროფესორი, სახელმწიფო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. ასწავლიდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, სამხედრო-იურიდიულ აკადემიაში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში. ამუშავებდა იურისპრუდენციაში სოციოლოგიურ მიმართულებას. 1893 წელს მან იურიევის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო შემდეგ წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში – დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სადაც შემდგომ გახდა სახელმწიფო სამართლის ორდინარული პროფესორი. 1880-იანი-90-იანი წლების დასაწყისი ნ. მ. კორკუნოვის შემოქმედებაში ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია. ა. ფ. კონისა და სხვა ცნობილ იურისტებთან ერთად, თანამშრომლობს ყოველთვიურ ჟურნალ „იურიდიულ მატიანესთან“, რომელიც 1890-1892 წლებში გამოიცემოდა პეტერბურგში. მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა იქცევს მთავრობის ყურადღებას. 1893 წელს ნ. მ. კორკუნოვი დაინიშნა ფინეთის ძირითადი კანონების საკოდიფიკაციო კომისიის წევრად. ძირითადი ნაშრომებია: „სამართლის მეცნიერული შესწავლის შესახებ“ (1882); „რუსული სახელმწიფო სამართალი“ (1909); „სამართლის ფილოსოფიის ისტორია“ (1915) [მთარგმნელი].

ხებ განსხვავებულ მოსაზრებას მივემხრობით; მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ სამართლის წყაროები ის სოციალური ძალებია, ის სოციალური ფაქტორებია, რომლებიც წარმოშობენ სამართალს, თუმცა ეს უკვე სოციოლოგიური მიდგომა იქნება. ჩვეულებისამებრ, იურისპრუდენციაში სამართლის წყაროს პოზიტიური სამართლის იმ ფორმას უწოდებენ, რომელიც ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში მოქმედებს.

გადავდივარ სხვა ნაშრომზე, კელზენის შესახებ ნაშრომზე. ჩემდა საუბედუროდ, 1929 წელს დავწერე ნაშრომი კელზენის შესახებ. ის ქართულად არის დაწერილი. მისი სათაურია „კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“. რატომ ავირჩიე კელზენი. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მე განსაკუთრებით კეთილგანწყობილი ვარ ამ თეორეტიკოსის მიმართ, თუმცა ეს არასწორია. მე არ განვიცდი რაიმე სიმპათიას კელზენის მიმართ. მე ის შევარჩიე როგორც იმ მიმართულების ყველაზე ნათელი ნიმუში, რომელიც იურისპრუდენციაში ნორმატივიზმის სახელწოდებითაა ცნობილი.

რატომ მაინტერესებდა ნორმატივიზმი? ნორმატივიზმი არის იმის საუკეთესო მაჩვენებელი, თუ სადამდე დადის იურიდიული მეთოდი, ნორმატიული მეთოდი. როცა მე ვაყალიბებდი კელზენს, ეს არ იყო მარტივი ჩამოყალიბება, ან, როგორც პატივცემულმა ამხანაგმა მომხსენებელმა განაცხადა, კელზენის უბრალო პოპულარიზაცია. ეს იყო ჩემი ნაშრომის გარკვეული უგულებელყოფა, თუმცა მაინც მადლობელი ვარ, რომ მან საკუთარი აზრი გამოხატა ჩემ მიმართ. თუ ამხანაგი მომხსენებელი ბოლომდე წაიკითხავდა ჩემს წიგნს, თუ ყურადღებით წაიკითხავდა მეხუთე თავს, ის დაინახავდა, რომ იქ არ არის კელზენის პოპულარიზაცია; მე იქ შევეცადე, მომეცა სოციოლოგიური და იურიდიული მეთოდების შედარებითი შეფასება. მე მთელი ჩემი იურიდიული საქმიანობის განმავლობაში, ყველა ჩემს ნაშრომში დაჟინებით ვამტკიცებდი სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებას, „სამართლის ზოგად თეორიაშიც“ კი არის გამოყენებული სოციოლოგიური მეთოდი, ხოლო განსაკუთრებით განვიხილავ სოციოლოგიურ მეთოდს, მის თანაფარდობას იურიდიულ მეთოდთან ჩემს უკანასკნელ ნაშრომში – „კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“. ამხანაგ მომხსენებელს, როცა ის კელზენის შესახებ ნაშრომს კითხულობდა, მოეჩვენა, რომ მე ვიზიარებ კელზენის შეხედულებებს, რომ მე ვარ დოგმატური, იურიდიული მეთოდის მომხრე. ეს ჩემი ნაშრომის მიმართ არასწორი მიდგომაა; პირიქით, მე შევადარე კელზენი სხვა ცნობილ მწერალს – ზომლოს[1], სამართლის მეცნიერებაში სოციოლოგიური მეთოდის გამოჩენილ წარმომადგენელს. ასეთი შედარებისას მე უპირა-

[1] **ფელიქს ზომლო** (Felix Somló) (1873-1920) – ცნობილი უნგრელი მეცნიერ-იურისტი, იყო Kolozsvár-ის უნივერსიტეტის პროფესორი. 1920 წელს სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით [რედ.].

ტესობას ვანიჭებდი ზომლოს. მე ვწერდი, რომ კელზენმა ჩვენ მოგვცა იმ მეთოდის ფილოსოფიური დასაბუთება, რომელიც ცნობილია როგორც იურიდიული მეთოდი. ეს არის ნორმატიული მეთოდის ფილოსოფიური ფორმულირება. თუ ჩვენ ვიხილავთ კელზენის შესახებ არსებულ გერმანულ ლიტერატურას, თქვენ იქ იმავე აზრს იპოვით. იგივე ზომლო ახასიათებს კელზენის მნიშვნელობასა და ღირებულებას და ამბობს, რომ ამ უკანასკნელის ნაშრომში მოცემულია იურიდიული მეთოდოლოგიის საუკეთესო დასაბუთება.

ამხანაგო გეგენავა, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან იურისპრუდენცია და სამართლის თეორია. კელზენის შესახებ მთელი ჩემი ნაშრომი სწორედ ამ იდეას ეძღვნება. მე ხაზს ვუსვამ განსხვავებას სამართლის დოგმას, ვიწრო გაგებით იურისპრუდენციასა და სამართლის თეორიას შორის. სამართლის დოგმაში ნორმატიული, იურიდიული მეთოდი გარდაუვალია, სწორედ ამიტომაც არის ის სამართლის დოგმა: ის ხომ ნორმის ცნებიდან გამომდინარეობს, ხოლო, როცა ჩვენ გადავდივართ სამართლის თეორიის სფეროში, ჩვენ სხვა მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, სოციოლოგიური მეთოდი, რადგან იურიდიული მეთოდით ჩვენ ვერ მივიღებთ სამართლის ძირითად ცნებებს.

მე, ვგონებ, თქვენი ყურადღება შევაჩერე ჩემი შეხედულებების დაცვაზე. ძალზე რთული ამოცანაა, როცა საუბრობ “pro domo sua”[1]-ზე, როცა საკუთარ ინტერესებს იცავ, – უმადური ამოცანაა, თუმცა მე იძულებული ვარ მივმართო ამას. მე მხოლოდ ვუსურვებ ამხანაგ გეგენავას, [რომ] ჩვენ ერთად მოგვიწევს მუშაობა [და], რომ ჩვენი სამუშაო სოლიდარული იყოს, თუმცა კი, რომ სოლიდარობა არ გამორიცხავს პოლემიკასა და კრიტიკას, მე ვისურვებდი, რომ კრიტიკისას უფრო მეტად ჩავწვდეთ იმაში, თუ რაზე საუბრობს გაკრიტიკებული ავტორი.

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლისოვსკის.

ლისოვსკი:

ამხანაგებო, მე იძულებული ვარ, მოკლედ გამოვთქვა ჩემი შენიშვნები, უკვე იმიტომ, რომ ქართული ენის არცოდნის გამო მე ვერ შევძელი იმ ნაშრომების გაცნობა, რომლებზეც გუშინ და დღეს მიდის საუბარი. არ მსურდა რა იმ თარგმანების გამოყენება, რომელთა დისკრედიტაცია აქ ხდება, მე მაინც შევეცადე, შემემოწმებინა იქ, სადაც ვიცი ის ენა, რომელზეც დაწერილია წიგნები. ამხანაგ სურგულაძეს, რომლის მიმართ, სამწუხაროდ, ამხანაგი

[1] საკუთარი ინტერესებისათვის, საკუთარი თავისათვის [მთარგმნელი].

ჯაფარიძის საყვედური გამოიხატება იმით, რომ ჩვენმა კამათმა მიიღო რამდენადმე ვნებიანი ხასიათი, უნდა მივმართოთ, უპირველეს ყოვლისა, ვინაიდან მან პირველმა გაამწვავა კამათი, – საყვედურობდა ამხანაგ გეგენავას იმაში, რომ ის შეეცადა, ცალკეული ყურებითა და თვალებით, ცალკეული რქებითა და ფეხებით ემსჯელა მთლიანის შესახებ. ამხანაგ გეგენავას მიერ წამოყენებული ციტატების საპირისპიროდ ამხანაგმა სურგულაძემ მოიყვანა რიგი ციტატებისა, რომლებსაც უნდა ეჩვენებინათ, რომ მის ნაშრომებში არის მარქსისტული დებულება. კერძოდ, ის უთითებდა მისი ნაშრომის 92-ე გვერდს, რომელიც გერმანულად არის დაწერილი. ჩემდა სამწუხაროდ, აღნიშნული მომენტისათვის მე შემწევს უნარი, გავიგო ის, რაც გერმანულად არის დაწერილი, სამწუხაროდ, იმიტომ [ვამბობ], რომ მე აღმოვაჩინე, სურგულაძემ სრულიად არასწორად თარგმნა ციტატა 92-ე გვერდიდან, რომ აქ არ არის ის, რაზეც მიუთითებდა, როგორც მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ თვისებებზე, რომლებიც დასახელებულ წიგნშია „შეტანილი“. ის ამბობდა, რომ, როცა განიხილავდა საკითხს სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ, ის თითქოსდა უთითებდა იმაზე, რომ აქ ცენტრალურია საკითხი სამართლისა და ფაქტობრივის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და რომ, ამასთან დაკავშირებით, ის მიუთითებს სამართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით განპირობებულობაზე, რომ ეს – იმ ურთიერთობების განსაკუთრებული სახეობაა, რომლებიც წიგნის აღნიშნულ ნაწილშია მოცემული. მე, ამხანაგებო, იმის კონსტატაცია უნდა მოვახდინო, რომ სამართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით რაიმე განპირობებულობა მის გერმანულ ნაშრომში არ არის, რაზეც უთითებდა ამხანაგი სურგულაძე ციტატაში. იმაზე, რომ ეს არის ურთიერთობათა ძირითადი სახე, იქ რაიმე მითითება არ არის. ის იქ შემდეგ რამეს ამბობს: არის ურთიერთობათა სამი ძირითადი ფუნდამენტური ფორმა: 1) სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლის ნორმებს შორის, 2) წმინდა იურიდიულ ელემენტებსა და ობიექტს შორის, 3) იურიდიული რელევანტურობის ურთიერთობა. არის ურთიერთობათა სამი ფორმა, სამი ძირითადი ფორმა, რომლებიც მას აქ აქვს დაყენებული, როგორც სამი თანაბარი ღირებულების, ურთიერთობათა ძირითადი ფორმები, და არც ერთი სიტყვა არ არის აღნიშნულ ციტატაში 92-ე გვერდზე იმის შესახებ, რომ რომელიმე ამ სამი სახის ურთიერთობიდან არის ურთიერთობათა ძირითადი სახე. აქ, ამხანაგებო, უფრო საპირისპიროც კი არის.

იმის ნაცვლად, რომ აღნიშნულ ციტატას ჩვენთვის ავტორის მარქსისტული აზროვნების წესის დემონსტრირება მოეხდინა, ის საპირისპიროზე მოწმობს. ეს მაშინ [ხდება], როცა ის თარგმნის, – ხოლო, როცა უბრალოდ საუბრობს, არათუ უკეთესი, ბევრად უარესი შედეგიც დგება. ის ამბობს,

რომ არსებობენ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ურთიერთობები, რომლებიც სახეზეა და სამართლებრივი ფორმები, რომლებიც მოქმედებენ აღნიშნულ საზოგადოებაში[1]. ამ განპირობებულების შესახებ არაფერია ნათქვამი, არც იმის შესახებ არის რაიმე ნათქვამი, თუ აღნიშნული ურთიერთობებიდან რომელია ძირითადი. ვგონებ, ამხანაგი სურგულაძე მეორედაც ჩაეწერა და მე მას ძალიან ვთხოვ, მეც მამხილოს 92-ე გვერდის აღნიშნული აბზაცის არასწორ თარგმანში და გვიჩვენოს, თუ სად არის აქ განპირობებულება, რომელიც არსებობს ურთიერთობათა ამ სახეებს შორის. მე ვთხოვ, გვაჩვენოს, ურთიერთობათა ამ სამი სახიდან რომელია ძირითადი. მე ვამტკიცებ, რომ ყველა ეს სამი სახე ერთ რიგშია ჩაყენებული, როგორც ძირითადი და არცერთი მათგანი გამოყოფილი არ არის, როგორც ძირითადი და არავითარი განპირობებულება აქ არ არის. სხვა შემთხვევაში, როცა ამხანაგ სურგულაძეს სურს, მოიყვანოს მაგალითი – საკუთარი მარქსისტული მსჯელობების ნიმუში, ის ამბობს, რომ ლენინიც წიგნში – „სახელმწიფო და რევოლუცია“, – ადასტურებს იმ უზარმაზარ მნიშვნელობას, რომელსაც მარქსისტული სოციოლოგიისათვის იძენს სახელმწიფოს პრობლემა, და რომ ის (ამხანაგი სურგულაძე) აკეთებს იმავეს, რასაც ლენინი [აკეთებდა], რის დასტურად კითხულობს კიდეც თავისი წიგნიდან ქართულ ენაზე. ამასთან, ის ამატებს, რომ ზუსტ თარგმანში ეს ნიშნავს: „იმ კანონზომიერების შეცნობა, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოება საკუთარ არსებობასა და განვითარებაში, მანამდეა შეუძლებელი, ვიდრე სახელმწიფოს პრობლემა ან სახელმწიფოს საიდუმლო არ იქნება გამჟღავნებული“. და ეს [ხდება] ლენინზე მითითების მეშვეობით.

მაგრამ, ნუთუ ერთი და იგივეა თქვა, რომ მარქსისტული სოციოლოგიისათვის სახელმწიფოს პრობლემა უდიდეს მნიშვნელობას იძენს და თქვა, რომ იმ კანონზომიერების შეცნობა, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოება საკუთარ არსებობასა და განვითარებაში, მანამდეა შეუძლებელი, ვიდრე სახელმწიფოს პრობლემა ან სახელმწიფოს საიდუმლო არ იქნება გამჟღავნებული. მე ვიტყოდი, რომ ეს არის ენა, – არ მინდა ვინმე შეურაცხვყო, – პითიას ენა, რომელმაც წარმოთქვა და შენ კი როგორც გსურს, ისე გაიგე, გაიგე ისე, როგორც მოგწონს: „სახელმწიფოს პრობლემა ან სახელმწიფოს საიდუმლო უნდა გადაწყდეს, რათა გავიგოთ კანონზომიერება“. და, თუ მე სახელმწიფოს საიდუმლოს ან პრობლემას იმგვარად გადავწყვეტ, რომ სახელმწიფო არის წესრიგის დაცვის ორგანიზაცია, ნუთუ ამგვარი გზით კანონზომიერების პრობლემასაც გადავწყვეტ? ხომ ძალიან ცოტაა „სახელმწიფოს საი-

[1] დედანში მითითებულია: „Он говорит, что имеются отношения социально-экономической структуры, которая дана и правовых форм, которые даны в этом обществе“ [მთარგმნელი].

დუმლოს“ ან „სახელმწიფოს პრობლემის“ თქმა, ეს არაფრისმთქმელი ცნებაა, რომელშიც ნებისმიერი შინაარსის ჩადებაა შესაძლებელი და მე ამ დებულებაში მარქსიზმის ვერცერთ გრამს, ვერცერთ ატომს ვპოვებ. მე იძულებული ვარ, ამით შემოვიფარგლო ამხანაგ სურგულაძესთან მიმართებით, ვინაიდან მის ძირითად ნაშრომებს ქართულ ენაზე მე არ ვიცნობ, ხოლო იმ თარგმანებზე დაყრდნობას, რომლებსაც აქ გმობენ, არ ვაპირებ.

ამხანაგი ვაჩეიშვილი ამხანაგ გეგენავას ობიექტივიზმის არარსებობას საყვედურობს. მე არ დავიწყებ სიტყვაში გამოდევნებას; აქ, სავარაუდოდ, ნაგულისხმევი იყო არა „ობიექტივიზმი“, არამედ „ობიექტურობა“, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მან გამოავლინა სრულიად გამონაკლისი და დაუშვებელი ობიექტივიზმი, როცა ამბობდა, რომ, თავის პირველ წიგნში მხოლოდ ბურჟუაზიული მოაზროვნეების [იდეების] ჩამოყალიბებას ახდენდა. რამდენად წარმოსადგენი და დასაშვებია მხოლოდ ბურჟუაზიული მოაზროვნეების ჩამოყალიბება? მე ვერც კი წარმომიდგენია მარქსისტულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც გამოავლენდა სრულიად საგანგებო ობიქტივიზმს, რომელსაც შეეძლებოდა, მარქსიზმის თვალთახედვით, კრიტიკული შენიშვნების გარეშე, ბურჟუაზიული მოაზროვნეების შეხედულებების ჩამოყალიბება. და რას გულისხმობს იმ მარქსისტული სამართლის „დასრულებული“ კონცეფციის სავალდებულოობის აუცილებლობა, რომელიც „ჩვენ არ გვაქვს“, იმისათვის, რომ გამოვააშკარაოთ ბურჟუაზიული და ამიტომაც არსებული სინამდვილის საწინააღმდეგო აღნიშნული მეცნიერების არსი, ვინაიდან სინამდვილეს შეიძლება შეესაბამებოდეს მხოლოდ ის მეცნიერება, რომელიც ეფუძნება კლასობრივი საზოგადოების შენაჩუნების მიმართ ინტერესის არმქონე კლასის იდეოლოგიას?

თუმცა, რადგან ეს არის იმ კლასის იდეოლოგია, რომელიც დაინტერესებულია კლასობრივი საზოგადოების შენარჩუნებით, ეს იდეოლოგია, ეს თეორია არ შეიძლება იყოს სწორი. და, როგორ ხდება, რომ: აყალიბებთ წინასწარი შეცნობით არასწორ თეორიას, პრეტენზიას აცხადებთ, რომ ხართ მარქსისტი და შემოიფარგლებით ამ თეორიის მარტივი ჩამოყალიბებით, არც მარქსისტულ კრიტიკას ავრცელებთ სხვაგვარ დებულებებზე?! მე ვთვლი, რომ ეს დაუშვებელი რამ არის და აქ სულაც არ არის საჭირო ბოროტი განზრახვა. საქმე ის კი არ არის, იყო თუ არა აქ ბოროტი განზრახვა, არამედ ის, რასაც თქვენ უყვებით ჩვენს სტუდენტებს და ყველას, ვინც დაინტერესებულია სამართლის საკითხებით. თქვენ გადმოსცემთ იმას, რასაც ამბობენ ბურჟუაზიული მოაზროვნეები, თქვენ ამას მეტ-ნაკლებად სრული სახით აყალიბებთ და არ აკრიტიკებთ მათ. მე ვფიქრობ, რომ ეს ადამიანს, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიაზე აცხადებს პრეტენზიას, არავითარ შემთხვევაში არ

შვენის, რომ უკვე ამ ერთში, ამ „ობიექტივიზმში“ დევს ღრმა ხარვეზი, მიუხედავად ავტორის მხრიდან განზრახვის არსებობისა.

შემდეგ, ამხანაგებო, მე მაინც ვთვლი, რომ ამხანაგი ვაჩეიშვილი ტყუილად აგრძელებს მიბაძვის თეორიის დაჟინებულ მოთხოვნას. გვაკლია „მცირედი“, „ბოლო სიტყვა“, „არაფერი“; გვაკლია „მხოლოდ“ ის, რათა ვთქვათ, რომ მიბაძვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ამისთვის არსებობენ შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური წინაპირობანი. მხოლოდ ეს „მცირედი“ გვაკლია. ამხანაგებო, ნუთუ ეს მცირედია, ეს ბოლო სიტყვაა? თუმცა, ამხანაგებო, მომიტევეთ, ერთია თქვა, რომ არსებობს ისეთი რამ, რაც არის მიბაძვა, რომელიც ერთმანეთისაგან ამა თუ იმ სამართლის ნორმის გადმოღებას გულისხმობს, და სრულიად სხვა საქმეა იმის თქმა, თუ რა ხდება შესაბამისი სოციალური პირობების არსებობისას. ამხანაგებო, ეს სულაც არ არის ბოლო სიტყვა.

ამხანაგი ნანეიშვილი არც აცხადებს პრეტენზიას მარქსისტობაზე, – ეს ძალიან კარგია, თუმცა ეს, ჩემი აზრით, არ აძლევს მას ისეთი სახის განცხადებათა გამოთქმის უფლებას, რომ ბაზისის ცნებიდან შეუძლებელია ზედნაშენის სურათის მიღება. მან მოიყვანა ასეთი მაგალითი: – „სახლი შენდება, საძირკველი არის, მაგრამ რა სახის ნაგებობა გამოვა – მე არ ვიცი“. არ ვიცი, რას იტყოდა ამის შესახებ არქიტექტორი, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ არქიტექტორი იტყოდა: ხედავ რა ნაგებობის საძირკველს, მე არ შემიძლია მომავალი შენობის ყველა დეტალის შესახებ საუბარი, მაგრამ შემიძლია იმის თქვა – ეს ფაბრიკა იქნება თუ საცხოვრებელი სახლი, შემიძლია იმის თქვა – ეს შენობა ერთსართულიანი თუ მრავალსართულიანი, აგურის იქნება თუ რკინა-ბეტონის.

ადგილიდან:

იმიტომ, რომ არის გეგმა.

ლისოვსკი:

თუ ის შეხედავს შენობის საძირკველს, მას მხოლოდ ამ საძირკვლით შეუძლია ამოცნობა და არქიტექტორი, სავარაუდოდ, არ დაგთანხმდებათ.

სოციოლოგიის სფეროში კი მარქსისტისთვის დადგენილია ბაზისის მიმართ ზედნაშენის სრული დაქვემდებარება და ამის გამო, ბაზისის მიხედვით, ზედნაშენის განსაზღვრის შესაძლებლობა. მე შეიძლება არ ვიყო მუსიკოსი, თუმცა ვიცოდე იმ საზოგადოებაში არსებული მუსიკის ძირითადი ხასიათი, რომლის ბაზისიც ჩემთვის არის მითითებული. მე შეიძლება, არ ვიყო ფერმწერი, მაგრამ შემეძლოს ფერწერული ხელოვნების ძირითადი სამუშაოს შესახებ საუბარი, რომლის სოციალური საძირკველი ჩემთვის არის მითითე-

ბული. მე შეიძლება, არ ვიყო იურისტი, სამართალმცოდნე, მაგრამ შემეძლოს იმ საზოგადოების ძირითადი სამართლის ნორმების მითითება, რომლის საძირკველი ჩემთვის არის მითითებული.

ადგილიდან:

მართალია!

ლისოვსკი:

და მე მეჩვენება, რომ ეს გაკვრით წამოსროლილი ფრაზა აშუქებს პროფ. ნანეიშვილის არათუ არამარქსისტულ, არამედ ანტიმარქსისტულ, და, მაშასადამე, რეაქციულ მეთოდს.

თავმჯდომარე:

განმეორებით სიტყვა ეძლევა ამხანაგ ტალახაძეს.

ტალახაძე:

ჩემს წინა გამოსვლაში მე შევჩერდი პროფ. სურგულაძის ნაშრომზე. ახლა განზრახული მაქვს, თქვენი ყურადღება მივაპყრო ორი პროფესორის – ნანეიშვილისა და ვაჩეიშვილის ნაწარმოებებზე. პირველმა მათგანმა საკუთარი წიგნი გამოსცა სათაურით: „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“. ეს წიგნი ბურჟუაზიული ნორმატიული სკოლის მოწაფის შემოქმედებას წარმოადგენს. მე გამაჩნია ამ წიგნიდან გადმოწერილი 19 თეზისი, რომლებშიც თავმოყრილია ავტორის ყველა მოსაზრება. ეს ცხრამეტი თეზისი მე ოთხ ჯგუფად დავყავი.

თეზისების პირველი ჯგუფი წარმოადგენს იმის დამტკიცების ცდას, რომ სამართალი არის არა ადამიანთა ურთიერთობების შედეგი, არა ეკონომიკური სინამდვილის ასახვა, როგორც ეს დამტკიცებული აქვს მარქსს და როგორც ეს ჩანდა ჩემ მიერ გუშინწინ წიგნიდან – „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ – მოყვანილი ციტატიდან. ნანეიშვილის აზრით, სამართალი არის იდეა, ან, როგორც ის ამბობს, „სამართლის არსი/[რაობა]“; თვით „სამართლის არსი/[რაობა]“ კი არის ლოგიკური კატეგორია. ნანეიშვილი არ უარყოფს რეალურ სინამდვილეს – მატერიალურ სამყაროს, თუმცა ეს უკანასკნელი მის მიერ წარმოდგენილია არა როგორც სამართლის იდეის წყარო ანუ „სამართლის არსი/[რაობა])“, არამედ როგორც შედეგი, როგორც ამ „არსის/[რაობის])“ განხორციელება, თუმცა ზოგიერთ ადგილზე ის აღიარებს „სამართლის არსისა/[რაობის])“ და ფაქტობრივის, ანუ მატერიალური სამყაროს თანადროულ, თანასწორუფლებიან არსებობას. ყოველ შემთხვევაში, ნანეიშვილის მითითებული წიგნიდან რთულია იმ დასკვნის გაკეთება, თუ რა ურთიერთობებში იმყოფებიან მასთან ნამდვილი, მატერიალური სამყარო

და, ზოგადად – იდეა. ერთი რამ უდავოდ ნათელია, რომ მისთვის პირველადი არის იდეა და არა მატერია.

„ფაქტების ნორმატიულობის პრობლემის საწყისი წერტილი არის სამართლისა და ფაქტების შეპირისპირების შესაძლებლობა. ნამდვილობა არის ყველაფერი ის, რაც არსებობს. აქედან გამომდინარე, ფაქტი და სამართალი არის სინამდვილის ორი სახეობა; თუმცა ფაქტის ნამდვილობას, ანუ მის მოქმედებას ჩვენ მიზეზთა და შედეგთა რიგში აღმოვაჩენთ, მაშინ, როცა სამართლის ნამდვილობა მხოლოდ ლოგიკური აღიარების აქტში აღმოჩნდება. სამართლის ნამდვილობა, რომელიც ლოგიკური აღიარების სფეროში აღმოჩნდება, ისაა, რომ მითითებულ აქტში სამართლის აზრი მოცემულია როგორც პრეტენზია განხორციელებაზე. ჩვენი თვალთახედვით, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სამართალში მოქმედებს სხვა რამ, გარდა სამართლის არსისა/[რაობისა])“.

აქედან ნათელი ხდება, რომ სამართლის წყარო არის „სამართლის არსი/-[რაობა])“ ანუ სამართლის იდეა, რომლის წყარო არის ადამიანის თავი.

ამხანაგი ნანეიშვილის თეზისების მეორე ჯგუფში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცევა სამართალშემოქმედების მეშვეობით სამართლის იდეა „სამართლის მოქმედ არსად/[რაობად]“, ანუ პოზიტიურ სამართლად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ როგორ მოხდება იდეის მატერიალიზება.

„სამართლის არსი/[რაობა] თავის ნამდვილობას[1] პოზიტიურ სამართალში პოვებს, ანუ პოზიტიური სამართალი არის ერთადერთი ფორმა, რომელშიც ვლინდება სამართლის ნამდვილობის არსი/[რაობა]. უდავოდ, ნებისმიერ სამართალშემოქმედებას წინ უსწრებს სამართლის არსი/[რაობა] და ამიტომაც თვით შემოქმედება აღნიშნული არსის/[რაობის] რეალიზაციაში უნდა მდგომარეობდეს. სამართალშემოქმედება არის აქტი, რომლის მეშვეობითაც სამართლის იდეა გარდაისახება სამართლის მოქმედ არსად/[რაობად]“.

აქედან გამომდინარეობს, ჯერ ერთი, ის, რომ პოზიტიური სამართალი არის „სამართლის არსის/[რაობის] რეალიზება, ანუ ზემოხსენებული ლოგიკური კატეგორიის შედეგი და, მეორეც, აღნიშნული რეალიზაცია არ არის „სამართლის არსის/[რაობის]“ ერთადერთი შესაძლო ფორმა – პირიქით, ეს რეალიზაცია არის მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ფორმა.

„იქედან გამომდინარე, რაც აქ იყო თქმული, ნათელია, რომ პოზიტიურ სამართალს აქვს ხელოვნური ხასიათი. ის, ვინც აღიარებს სამართლის ხელოვნურ ხასიათს, მან ისიც უნდა აღიაროს, რომ პოზიტიური სამართალი

[1] რაც აღნიშნული არსის მოქმედებაში გამოიხატება, სამართალშემოქმედების მეშვეობით [მთარგმნელი].

შემთხვევითია და, ამასთანავე, მან რაღაც მეტაიურიდიული აქტიც უნდა აღიაროს, რომელიც სამართლის იდეას გარდასახავს სამართლის მოქმედ არსად/[რაობად]. მაშასადამე, ჩვენ ყოველთვის უნდა განვასხვაოთ სამართალშემოქმედება სამართლის იდეისგან, ხოლო ეს უკანასკნელი – პოზიტიური სამართლისაგან. პოზიტიური სამართალი არის ჯერარსის[1] ერთ-ერთი სპეციფიკური სახეობა, ისევე, როგორც ესთეტიკური შემოქმედება არის ესთეტიკური იდეის რეალიზების ერთ-ერთი შესაძლო სახეობა“.

მაშასადამე, სამართლის იდეა ან „სამართლის არსი/[რაობა]“ შეიძლება განხორციელდეს კანონის სხვადასხვა ფორმასა და ნორმაში – პოზიტიური სამართალი ამ შესაძლო შემთხვევებიდან მხოლოდ ერთ-ერთია. იმისათვის, რათა კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი „სამართლის არსსა/[რაობასა]“ და პოზიტიურ სამართალს შორის არსებულ განსხვავებას, პროფ. ნანეიშვილი შემდეგ ამბობს: „ზემოხსენებულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ სამართლის ფილოსოფიის საგანი არის მხოლოდ სამართლის იდეა, სამართლის ისტორიის საგანი – ის, რაც წარმოადგენს სამართლის განხორციელებას, ხოლო სამართლის სოციოლოგიისა – ის, რაც შეადგენს სამართლის ჩვენეულ განხორციელებას“.

თეზისების მესამე ჯგუფი „განმარტავს“, თუ რა გზით ხდება პოზიტიური სამართლის, ანუ სამართლის ნორმათა აღსრულება. პროფ. ნანეიშვილის აზრით, ის აღსრულდება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თითოეული ინდივიდის თავში ზის სამართლის იდეა, რომელიც მას კარნახობს, რომ უნდა დალპე სამართლებრივ საზოგადოებაში და აღიარო სამართლის ნორმები, ანუ „თითოეული სუბიექტის მიერ სამართლის ლოგიკური აღიარების მეშვეობით“ და, მეორეც, გარდა აღნიშნული ლოგიკისა, არსებობს სხვაც – „აღსრულების შანსი“ – სახელმწიფოს ძალაუფლება ანუ კომბალი (дубинка).

მაშასადამე, ნორმათა შესრულება უზრუნველყოფილია ორი შანსით: ლოგიკური და მატერიალური ხასიათისა. „იმის აღიარებით, რომ პოზიტიური სამართლის ნამდვილობა მდგომარეობს სამართლის არსის/[რაობის] მოქმედებაში, რომელიც აღმოჩნდება სამართლის ლოგიკური აღიარების აქტში და რომელიც განხორციელების მუდმივ პრეტენზიაში მდგომარეობს, თავისთავად ნათელი ხდება, რომ თვით სამართალში მოქმედი არსი/[რაობა] გულისხმობს სუბიექტს, ანუ ისეთ სუბიექტს, რომელსაც ლოგიკური აღიარების შესაძლებლობა ახასიათებს. ამრიგად, ჩვენ ყოველთვის უნდა განვასხვაოთ სუბიექტი, როგორც ნორმის ლოგიკურად მაღიარებელი და სუბიექტი, როგორც შემსრულებელი. თუმცა, ვინაიდან თავისი სამართლებრივი ცხოვრებისათვის, ანუ სამართლის ნორმის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა

[1] შესაძლო სამართლის [მთარგმნელი].

აქვს იმის ცოდნას, არის თუ არა „სხვა“ ნამდვილი შემსრულებელი, მაშინ გასაგებია, რომ სამართლებრივი ცხოვრებისათვის სრულიად არასაკმარისია იმის ცოდნა, რომ შეიძლება არსებობდეს მეორეც, ვინც ლოგიკურად აღიარებს ნორმას. ამიტომ სამართლებრივი ცხოვრებისათვის საჭიროა ის შანსი, რომ „მეორეც“ არსებობს და ის იქნება ნორმის შემსრულებელი. ეს შანსი, როგორც უკვე ითქვა, სხვა გარემოებებთან ერთად, ქმნის იძულებას, ხელისუფლებას და ა.შ., ვინაიდან ყოველივე ეს მიმართულია სუბიექტისაკენ, როგორც შესაძლო შემსრულებლისაკენ“.

აქედან თითქოს და გამომდინარეობს, რომ სამართლის ნორმათა შესრულება უზრუნველყოფილია სუბიექტების ერთი ნაწილის მიმართ, მათ მიერ ნორმების ლოგიკური აღიარებით, ანუ ინტერესით, სხვათა მიმართ კი, სახელმწიფოს ძალით, კომბლით.

ამიტომ სუბიექტები წარმოადგენენ „იმ ცენტრებს, რომელთა მეშვეობით, ფაქტობრივ სფეროში, ხორციელდება სამართლებრივი ფასეულობანი“ ან სამართლის „კონკრეტული ნორმები“.

ამგვარად, მოცემულია: „სამართლის არსი/[რაობა]“, პოზიტიური სამართლის შემოქმედი (სახელმწიფო) და „სუბიექტები, როგორც ის ცენტრები, რომლებიც ახორციელებენ სამართლებრივ ფასეულობებს“ (?!). თუმცა ეს ფაქტორები მართლწესრიგის შესაქმნელად არ არის საკმარისი – ვინაიდან ეს უკანასკნელი [მართლწესრიგი] არის „სამართლის არსის/[რაობის]“ რეალიზება – განსაზღვრულ სოც[იალურ]-ეკონომიკურ პირობებში. ამიტომ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ერთი სახე შესაძლებელს ხდის „სამართლის არსის/[რაობის]“ რეალიზებას ერთ ფორმაში, სხვა სახისა კი – განსხვავებულ ფორმაში. აქ სოციალურ-ეკონომიკური გარემო არ არის სამართლის წყარო, ანუ სამართლის იდეის [წყარო], არამედ მხოლოდ გარემოა, რომელშიც ხდება სამართლის იდეის განხორციელება. სახეზეა, კვლავ და კვლავ, მატერიალური სამყაროს ანუ „ლოგიკურის“ შეპირისპირება „ფაქტობრივთან“, როგორც ამბობს პროფ. ნანეიშვილი.

„თუმცა სამართლებრივი შემოქმედება ისევე, როგორც ესთეტიკური შემოქმედება, არის ის აქტი, რომელიც მთლიანად იმყოფება სოციალურ-ეკონომიკური პირობების გავლენის ქვეშ. ეს პირობები ქმნიან ინტერესს თვით სამართლებრივი შემოქმედების მიმართ. და, ზუსტად ისე, როგორც პეიზაჟს ან ბუნების ხედს შეუძლია ესთეტიკური შემოქმედების გაღვივება, რომლის შედეგად მოქმედებს მხოლოდ ესთეტიკური იდეა, ზუსტად ასევე შეგნებული ეკონომიკური ფაქტები გამოიწვევს იმ სამართლებრივ შემოქმედებას, რომლის შედეგად მხოლოდ სამართლის არსი/[რაობა] მოქმედებს. ამ მნიშვნელობით, ნებისმიერი პოზიტიური სამართლის, როგორც უკვე მომხდარის, საფუძველში დევს რომელიმე ფაქტობრივი გარემოება“.

გამოდის, რომ ეკონომიკური ურთიერთობების რეალური სამყარო არ არის სამართლის წყარო, სამართლის იდეები, „სამართლის არსი/[რაობა]“, არამედ მხოლოდ რაღაც აუცილებელი გარემოა, ანუ საშუალება, რომლის მეშვეობითაც სუბიექტები ახორციელებენ აღნიშნულ „არსს/[რაობას]“.

ამიტომ ყოველგვარ საუბარს ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ, ამ სიტყვების მარქსისტული არსით, არაფერი აქვს საერთო ნანეიშვილის კონცეფციასთან. პროფ. ნანეიშვილს ეს [უსაგნო] ლაყბობა მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ ჩვენ თავგზა აგვიბნიოს, რათა გვიჩვენოს, რომ მისი „სამართლის არსი/[რაობა]“ არ ეწინააღმდეგება მარქსიზმს, ვინაიდან ის (ნანეიშვილი) სულაც არ უარყოფს თვით ნამდვილობას – ზოგადად. თუმცა სამართლის იდეისა და მატერიალური სინამდვილის ნანეიშვილისეული ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება დავახასიათოთ როგორც ურთიერთობა ღობესა და მასზე მიბმულ ცხენს შორის. ორივე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ისინი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ერთმანეთთან მიბმულნი. მეპატრონეს შეეძლო, საკუთარი ცხენის სხვა ღობესთან დაბმა, რომ [უეცრად] არ გადაყროდა ამ ღობეს. ეს ღობე არ არის ერთადერთი, არამედ მხოლოდ ერთ-ერთია იმ ღობეთაგან, რომლებთანაც შესაძლებელია ცხენის დაბმა.

ნანეიშვილი ხომ ნათლად ამბობს: „პოზიტიურ სამართალს შემთხვევითი ხასიათი აქვს იმ გაგებით, რომ პოზიტიური სამართალი არის შესაძლო სამართლის/[ჯერარსის] ერთ-ერთი სპეციფიკური სახეობა ისევე, როგორც ესთეტიკური შემოქმედების შედეგი არის ესთეტიკური იდეის რეალიზების ერთ-ერთი შესაძლო ნაირსახეობა“.

მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, რომ ნანეიშვილი თანმიმდევრული იდეალისტია, ის უფრო მეტად ნეოკანტიანელია, ვინაიდან მისეული იდეის შეპირისპირება ფაქტთან, ანუ მატერიალურ სამყაროსთან, სხვა არაფერია, თუ არა კანტის დუალიზმი, და, რა თქმა უნდა, მას არაფერი აქვს საერთო დიალექტიკურ მატერიალიზმთან. ამიტომ პროფ. ნანეიშვილის გუშინდელი გამოსვლა, როცა ის ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ მისი მოძღვრება არ ეწინააღმდეგება მარქსიზმს, [მისი მხრიდან] ან მარქსიზმის გაუაზრებლობას უნდა მივაწეროთ, ან სურვილს – მარქსიზმით შენიღბოს ნეოკანტიანელობა.

როგორია ამ თეორიის მეცნიერული ღირებულება? მას „სამართლის არსიდან/[რაობიდან]“ – სამართალშემოქმედების გზით – გამოჰყავს მართლწესრიგი, ხოლო მართლწესრიგიდან – შთაგონება სამართალშემოქმედების მიმართ, ანუ როგორც მატერიალისტი იტყოდა, სამართლის იდეისაკენ. სხვაგვარად, უცნობია, თუ საიდან გამომდინარეობს იდეა ან თვით „სამართლის არსი/[რაობა]“. იქნებ, ღმერთიდან, თუმცა ამას ნანეიშვილი უარყოფს; ან თვით არსებული მართლწესრიგიდან, ანუ მოქმედი სამართლიდან, რასაც ის

ვერაფრით უარყოფს (შეადარეთ პეიზაჟი, რომელიც შთააგონებს მხატვარს), მაშინ გამოდის მანკიერი წრე: დედამიწა დგას ვეშაპზე, ვეშაპი – წყალზე, ხოლო წყალი – ხმელეთზე, ანუ თავსატეხი ქათმისა და კვერცხის შესახებ.

ასეთია ამ „სამართლის არსის/[რაობის]“ ფილოსოფიური მრწამსი. თუმცა საკითხავია, თუ როგორია მისი პოლიტიკური აზრი?

ის რეაქციული და კონტრრევოლუციურია.

სამართლის ნორმატივისტული სკოლა, რომლის იდეები საკუთარ წიგნში ჩამოაყალიბა პროფ. ნანეიშვილმა, არის მომაკვდავი ბურჟუაზიის ტიპური ფაშისტური იდეოლოგია, ის არამეცნიერულია, თუმცა დგას რეაქციის სადარაჯოზე.

ხელისუფლებისაკენ აღმავალმა ბურჟუაზიამ წამოაყენა თავისუფალი ხელშეკრულების თეორია, მუდმივი ჭეშმარიტებისა და იძულების დამხობის თეორია. დაღმავალი, ლპობას დაქვემდებარებული ბურჟუაზია კი ადგენს ყველა ადამიანისათვის [მისაღები] ბურჟუაზიული სამართლის ლოგიკური აღიარების აუცილებლობის თეორიას, თანაც სამუდამოდ – როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. თქვენ განუხრელად უნდა შეასრულოთ მოცემული ნორმა, ვინაიდან ასეთია ადამიანის ლოგიკა და „სამართლის არსი/[რაობა]“. მაგრამ ბურჟუაზია აცნობიერებს, რომ მხოლოდ ერთი „სამართლის არსი/[რაობა]“ არ იძლევა საკმარის შანსს ფაშისტური კანონების შესასრულებლად, ამიტომ ნორმატივისტები გვიყენებენ მეორე არგუმენტსაც, კიდევ უფრო მძლავრს, ფაშისტურ კომბალს, ფაშისტურ სახელმწიფოს. ბურჟუაზიული ლოგიკა და კომბალი – აი, თქვენ, ორი შანსი კანონის აღსრულებისათვის.

პროფ. ნანეიშვილი ჩვენ გვმოძღვრავს, რომ კელზენი (თანამედროვე გამოჩენილი ნორმატივისტი) აღიარებს კლასებს და ამით სურს, ჩვენ თავს მოგვახვიოს კელზენიზმის აღიარება მარქსიზმად. თუმცა ეს საქმეს არ უშველის. ფაშისტები, რა თქმა უნდა, აღიარებენ კლასებს, თუმცა ამით ისინი ვერ გახდებიან მარქსისტები. სოციალური კლასების აღიარება ჯერ კიდევ არ არის მარქსიზმი. მარქსი თვითონ ამბობს, რომ მას არ აღმოუჩენია კლასები. მან მხოლოდ ის აღმოაჩინა, რომ კლასობრივი ბრძოლა მიგვიყვანს პროლეტარიატის დიქტატურამდე, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ არც კელზენთან და არც ნანეიშვილთან არაფერია [ნათქვამი]. მარქსიზმი არ არის ფაქტის შიშველი აღიარება. ეს მოქმედების რევოლუციური მოძღვრებაა, და არა – პასიური აღიარებისა.

ახლა გადავდივარ პროფ. ვაჩეიშვილთან. ეს ამხანაგი ბევრად მნიშვნელოვნად აცხადებს პრეტენზიას მისი ნაშრომების მარქსისტულად აღიარების თაობაზე, თუმცა, ვფიქრობ, რომ მას ასეთი პრეტენზიის მიმართ არ აქვს მეტის უფლება, ვიდრე სურგულაძესა და ნანეიშვილს. ზოგიერთ შემთხვევაში ის კურიოზამდეც კი მიდის.

როცა მის წიგნს – „სამართლის ზოგადი თეორია“ – კითხულობ, მაშინვე თვალში გეცემა ის, რომ ავტორი მასში, სახელდებით, ყველა იმ პირს ასახელებს, ვისაც კი რაიმე დაუწერია სამართალსა და სახელმწიფოზე, არისტოტელეთი დაწყებული – ჩვენს დრომდე, თუმცა არსად უთითებს რომელიმე მარქსისტს. მას საერთოდ არ შეუნიშნავს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ისეთი გოლიათები, როგორებიც არიან: მარქსი, ენგელსი, ლენინი. მართალია, მათ არც სურგულაძე და ნანეიშვილი ახსენებენ, – სავარაუდოდ, ასეთია თანამედროვე გერმანული იდეოლოგია (ესენი ვერ გასცდნენ სამართლის გერმანული სკოლის ფარგლებს), თუმცა ამ უკანასკნელთ ორიგინალური ნაშრომები აქვთ, რომლებშიც მათ, სავარაუდოდ, ზედმეტად მიაჩნდათ რაიმეს გადმოღება მარქსი-ლენინისაგან, ვაჩეიშვილისა კი კომპილაციური თხზულებაა, ასობით ფილოსოფოსისა და სოციოლოგის სახელების ჩამოთვლით. და მან მაინც მოახერხა თანამედროვე აზრის ამ გოლიათთა იგნორირება.

ეს, უბრალოდ, გაუგებარია. მისი აქ გამოსვლის შემდეგ ჩვენ ხომ აღარ გვაქვს უფლება, აღნიშნული შემთხვევით გამოტოვებულად მივიჩნიოთ – მან აქ განაცხადა, რომ მარქსისტებს ჯერ არ გააჩნიათ სამართლისა და სახელმწიფოს საკუთარი თეორია. ეს შეიძლება მხოლოდ იმას მივაწეროთ, რომ, სავარაუდოდ, პროფ. ვაჩეიშვილი არ იცნობს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებს.

პროფ. ვაჩეიშვილმა ვირეშმაკულად მოახერხა და არათუ არ ახსენა მარქსი, ენგელსი, ლენინი, არამედ ვირეშმაკულად მოახერხა და საკუთარ წიგნში არც კი მიუთითა საბჭოთა კანონებზე. მასთან თქვენ იპოვით ისეთ კოდექსებზე მითითებას, როგორებიცაა: ნაპოლეონის, გერმანული, შვეიცარიული, დანიური, ინგლისური კანონები, თუმცა მასთან არც ერთი სიტყვაა თქმული საბჭოთა [კანონებზე]. მართალია, არის ერთი ადგილი – მითითება, თუმცა ისიც არასწორია და უმეცარია. ეს მითითება განეკუთვნება იმის განმარტებას, თუ რატომ გააუქმა საბჭოთა ხელისუფლებამ ტერმინები „მოძრავი და უძრავი ქონება“. პროფ. ვაჩეიშვილმა იმის სურვილით, რომ ეს აეხსნა, მკითხველი გადაამისამართა მიწაზე საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ აქტთან. რთულია გაიგო, თუ რისი თქმა სურდა ამით, ვინაიდან მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებით ის [მიწა] უფრო მოძრავი გახდა? მე ვფიქრობ, პირიქით, ამით მიწა კიდევ უფრო ნაკლებად მოძრავი გახდა; ყოველ შემთხვევაში – იურიდიული გაგებით მაინც, რადგან ამოვარდა სამოქალაქო ბრუნვიდან.

ეს ერთადერთი მითითებაა და ისიც წარუმატებელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ავტორი ცუდად იცნობს საბჭოთა კანონმდებლობის ისტორიას.

ამრიგად, 223-გვერდიან წიგნში ყოველივე მარქსისტულისა და საბჭოურის სრული იგნორირებაა! რამდენად დასაშვებია ეს? გვერდზე რომც გადავ-

დოთ პოლიტიკა, ასეთი წიგნი არამეცნიერულია, ვინაიდან მაგალითების მოსაყვანად ის მიუთითებს ბურჟუაზიული ქვეყნების კოდექსებზე, მაშინ, როცა ეს კოდექსები სტუდენტებს არ აქვთ ხელთ. და, რად ვარგა ეს? ახლა გადავიდეთ შინაარსზე.

ვაჩეიშვილის წიგნის მე-13 გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ: „საზოგადოება ცალკეული ინდივიდების მარტივი მექანიკური აგრეგატი არ არის, ის მთლიანია, რომელთა ნაწილები ერთმანეთთან არის შეერთებული. თვით ეს შენაერთი ინდივიდებს შორის ქმნის ერთობას, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებელი მიზნები აქვს, თითოეული ცალკეული ინდივიდი ფსიქიკური ცხოვრების თავისებურ ცენტრს წარმოადგენს. არა ინდივიდთა კავშირი ქმნის ახალ ერთეულს, არამედ ერთობა, რომელიც ხასიათდება თავისებური მიზნებითა და მისწრაფებებით“... „ასეთ წყობას ჩვენ ვხვდებით ყველა საზოგადოებრივ ჯგუფში, თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავებულ ფორმებში. პირველყოფილი ჯგუფებით დაწყებული თვით სახელმწიფო ორგანიზაციების ურთულესი საზოგადოებრივი ტიპებით დასრულებული, – ყველგან არის სოციალური წესრიგი, თუნდაც უმარტივესი შინაარსით“.

გამოდის, რომ სახელმწიფო არსებობდა (თუნდაც, „უმარტივესი ფორმით“) ყველგან, და იარსებებს მუდმივად. და, ავტორს სურს, ეს მარქსიზმად გაასაღოს. აქ იმდენივეა „მარქსისტული“, რამდენიც „მეცნიერული“. დღეს-დღეობით არამარქსისტებიც კი თვლიან, რომ სახელმწიფო ისტორიული ორგანიზაციაა, ხოლო პროფ. ვაჩეიშვილი გვიხატავს მას რაღაც ზეისტორიულ ორგანიზაციად. ეს არის ბურჟუაზიული იურისპრუდენციის კონცეფცია და არა მარქსისტულისა.

შემდეგ ის აკრიტიკებს სამართლის ისტორიულ სკოლას, რომელიც იცავდა [იდეას], რომ სამართლის წყაროა „სახალხო სული“, და აი, 140-ე გვერდზე ის წერს: „აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა (სამართლის წყაროს თაობაზე) ჩვენ უნდა ვეძებოთ არა „სახალხო სულის“ ცნებაში „და არც სახალხო ნების ან ხელისუფლების აქტში, არამედ ჩვენ ის უნდა ვეძებოთ ადამიანის სულიერი ბუნების თვისებაში, რომლის ძალითაც მუდმივი ფაქტი ნორმატიული წესის მნიშვნელობას იძენს“.

სამართლის წყარო – „ადამიანის სულიერი ბუნება“. როგორ მოგწონთ ასეთი „მარქსიზმი“? მარქსი სამართლის წყაროდ თვლიდა სამოქალაქო საზოგადოებაში ადამიანებს შორის არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ხოლო ვაჩეიშვილი – „ადამიანის სულიერ ბუნებას“ თვლის. მარქსი თვლის, რომ ადამიანის სულიერი ბუნება არის ადამიანთა მატერიალური ურთიერთობების ანარეკლი, ამიტომაც ის – ეს ბუნება – ისტორიულია, ცვალებადია, ხოლო ამხანაგი ვაჩეიშვილი ფიქრობს, რომ „ადამიანის სულიერი

ბუნება“ მუდმივი ლოგიკური კატეგორიაა. არაფრით შეიძლება მისი მარქსიზმთან თანხვედრაში მოყვანა!

მაგრამ აქ, გარდა მარქსიზმის გადამჟავებისა, სხვა რაიმეც არის. როცა პროფ. ვაჩეიშვილი აქ გამოდიოდა, ის გვარწმუნებდა, რომ არ იყო ნორმატივისტული სკოლიდან, და რომ მან კელზენი გადათარგმნა არა პოპულარიზაციისთვის, არამედ კრიტიკის მიზნით, თუმცა აღნიშნული ციტატის ავტორს შეუძლია კი, უარყოს ნორმატივიზმი? ნუთუ ის არ არის კელზენის მოწაფე?

თუმცა წიგნში პირდაპირ კურიოზული ადგილებიც არის. აი, მაგალითად, 152-ე გვერდზე ვკითხულობთ: „როგორც ჩვეულებრივ აღიარებულია, ყველა თანაბრად ემორჩილება კანონს; კულტურულ სახელმწიფოებში მოქმედებს პრინციპი, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. აქედან გამონაკლისს შეადგენენ ის პირები, ვინც სარგებლობს ექსტერიტორიულობის უფლებით და ზოგიერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე“. აი, №1 კურიოზი: აღნიშნული ციტატის ავტორი სამართლის თეორიას ასწავლის საბჭოთა ინსტიტუტში. საინტერესოა, თუ რომელ სახელმწიფოებს თვლის ის კულტურულად? სავარაუდოდ, ვაჩეიშვილის სამართლის თეორიის მიხედვით, საბჭოთა სახელმწიფო ველური, ბარბაროსული სახელმწიფოების რიცხვშია, ვინაიდან შეუძლებელია მისთვის უცნობი იყოს, რომ ჩვენთან არ არის კანონის წინაშე თანასწორობა. პირიქით, ყველა ჩვენი კანონი ხაზს უსვამს მხარეთა სოციალურ მდგომარეობასა და უთანასწორობის სხვაგვარ მაჩვენებლებს.

სავარაუდოდ, პროფ. ვაჩეიშვილი სერიოზულად ფიქრობს, რომ კულტურულ, ანუ როგორც ის გულისხმობს, ბურჟუაზიულ ქვეყნებში კანონის წინაშე ყველა თანასწორია. და ამას ის ჩვენს უმაღლეს სასწავლებელ დაწესებულებაში ასწავლის – ნუთუ ეს დასაშვებია?

№1 კურიოზიდან გამომდინარეობს №2 კურიოზი: 52-ე-53-ე გვერდებზე ვაჩეიშვილი იხილავს სამართლის (სახელმწიფოს) ორგანული სკოლის თეორიას, კერძოდ, სამართალში თავისუფალი ნების თეორიას და ამბობს, რომ ეს თეორია – თავისუფლების – მიუღებელია ანტიკური სახელმწიფოებისათვის მონობასთან მიმართებით, შუა საუკუნეებისა – წოდებებთან მიმართებით და აღმოსავლეთისა – კასტებთან მიმართებით. როგორც ჩანს, ვაჩეიშვილის აზრით, თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპი მიესადაგება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. შემდეგ ის ჩერდება კაპიტალისტური სახელმწიფოების შრომით კანონმდებლობაზე და ამბობს: „ეს კანონები საერთოდ არ განასხვავებენ არც მუშების, არც კაპიტალისტების თავისუფლებას: ისინი თანაბრად ზღუდავენ ორივეს თავისუფლებას“ (გვ. 53-ე). ერთი სიტყვით, „კულტურულ“ (იხილე – ბურჟუაზიულ) სახელმწიფოებში სრული თანასწორობა და ჰარმონიაა.

ასეთია პროფ. ვაჩეიშვილის სამართლის ფილოსოფია. როგორც ვხედავთ, ის არამეცნიერულია, რადგან სრულიად განმსჭვალულია ფალსიფიკაციითა და აპოლოგეტიკით. ამგვარი ფიქციებით რეაქციული პროფესორებიც იშვიათად არიან შეფარული. ავიღოთ, მაგალითად, პროფ. ორიუ. ის ბურჟუაზიის აგენტი და დაქირავებულია, თუმცა სულაც არ ამბობს, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კანონის წინაშე ყველა თანასწორია. პირიქით, ორიუ ღიად აღიარებს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კანონით დაცულობა პირდაპირპროპორციულია იმ პირთა ქონებისა, რომლებიც ამგვარ დაცვას მიმართავენ. პროფ. ვაჩეიშვილი კი, უბრალოდ, გვაოცებს საკუთარი უმეცრებით, როცა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კანონის წინაშე თანასწორობაზე საუბრობს. ის პოლიტიკური მავნებლობაც კი რომ გვერდზე გადავდოთ, რომელიც მოძღვრებას ობიექტურად მოაქვს, სურს თუ არა ეს ავტორს, – მეცნიერული თვალსაზრისითაც ეს არის სრული აბდაუბდა/[მონაჩმახი]. ვიღას სჯერა ახლა ასეთი რამის, როცა ევროპას თანასწორობა კი არა, ფაშისტური კომბალი მართავს; თუმცა არც ფაშიზმამდე იცოდა კაპიტალიზმმა თანასწორობა – როგორც ამას პროფ. ვაჩეიშვილი ფიქრობს. ბურჟუაზიამ იცის მხოლოდ ერთი თანასწორობა – ეკვივალენტების, ანუ ფულის ტომრების თანასწორობა, მაგრამ არა ხალხისა ამ ტომრების გარეშე, და პროფ. ორიუ, კაპიტალიზმის დაქირავებული, არ მალავს ამას.

დასკვნისათვის, მე უნდა ვთქვა, რომ ნანეიშვილის, ვაჩეიშვილის და სურგულაძის აქ ჩამოთვლილი თეორიები ჩვენთვის იდეოლოგიურადაც და მეცნიერულადაც მიუღებელია. მით უმეტეს, დაუშვებელია მათი სწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. აღნიშნული წიგნების ავტორები, ვიდრე ისინი არ შეიცვლიან საკუთარ იდეოლოგიურ „მრწამსს“, აგრეთვე, უსარგებლონი იქნებიან ჩვენთვის.

მე ვუშვებ ქიმიის, ფიზიკის, აგრონომიისა და სხვა საბუნებისმეტყველო-ისტორიული მეცნიერებების სწავლების სარგებლიანობას არამარქსისტების, არალენინელების მიერ – აღნიშნულ მეცნიერებებში შედარებით ნაკლებია კლასობრივი და პოლიტიკური [არსი], მაგრამ მე ვერაფრით დავუშვებ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სწავლების სარგებლიანობას არამარქსისტების მხრიდან, თანაც, ნეოკანტიანელებისას – კელზენის ნორმატივისტული სკოლიდან.

ნორმატივიზმი ლპობის მდგომარეობაში მყოფი ფაშისტური ბურჟუაზიის სამართლის თეორიაა. ეს თეორია, საკუთარი არსით, არამეცნიერული და მავნებლურია; მისი ადგილი არ არის საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში.

აქ მე მახსენდება ამხანაგი ლენინის ერთი წერილი, რომელიც მან ამხანაგ მეშჩერიაკოვს[1] მისწერა, სახელგამის მიერ კოოპერაციის შესახებ გამოცემული, ერთი წიგნის თაობაზე, რომელშიც არაფერი იყო ნათქვამი საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის შესახებ. საკუთარ წერილში ამხანაგი ლენინი წერდა: „სრულიად ბურჟუაზიული, ბინძური ნაჯღაბნი წიგნი, რომელიც აბრუებს გლეხუჭას (мужичка) მოჩვენებითი მეცნიერული ცრუპენტელობით... თითქმის 400 გვერდია და არაფერია ნათქვამი საბჭოთა წყობისა და მისი პოლიტიკის შესახებ, ჩვენს კანონებსა და სოციალიზმზე გადასვლის გზების შესახებ და ა.შ. გთხოვთ, გამოიძიოთ და დამისაჯოთ ამ წიგნის რედაქტირებასა და გამოცემაზე ყველა პასუხისმგებელი [პირი]“.[2]

ეს დახასიათება მთლიანად მიესადაგება მითითებული პროფესორების ნაწარმოებებს.

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა პროფ. ნანეიშვილს.

პროფ. ნანეიშვილი:

მე რამდენიმე სიტყვის თქმა მსურდა ამხანაგი ლისოვსკის მიერ ბაზისისა და ზედნაშენის ახსნასთან მიმართებით. გასულ ჯერზე მე მივუთითე, რომ „ზედნაშენის“ გამოთქმა არის ფიგურული გამოთქმა, ამით მე მსურდა იმ აზრის გამოხატვა, რომ „ზედნაშენები“ სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, და მხოლოდ გამოთქმა – „ზედნაშენი“ – სულაც არ განაპირობებს საკითხს აღნიშნული „ზედნაშენის“ შინაარსის შესახებ.

ამიტომ, ამხანაგებო, როცა ზედნაშენზე საუბრობენ, უნდა ჩასწვდნენ თვით ზედნაშენის არსსა და შინაარსში, და არამხოლოდ იმ განცხადებით დაკმაყოფილდნენ, რომ სამართალი ზედნაშენია. მე, ასევე, ვამბობდი, რომ საძირკვლის მიხედვით, ჯერ კიდევ შეუძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ როგორი შენობა იქნება აგებული. მართალია, გეგმა იძლევა მომავალი შენობის სურათს, მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ, ჯერ ერთი, გეგმა ყოველთვის არ განხორციელდება, მეორეც – თვით მშენებლობის პროცესში, არ არის გამორიცხული, მოხდეს გეგმიდან შესაძლო გადახრა. სხვაგვარად რომ ვთქვათ – გეგმა იძლევა მხოლოდ იმ სახლის შესახებ სურათს, რომელიც უნდა აშენდეს, თუმცა, გეგმა ხომ არ გვაძლევს აბსოლუტურ გარანტიას იმისას, რომ

---

[1] **ნიკოლოზ მეშჩერიაკოვი** (1865-1942) – ლიტერატურის, საზოგადოებრივი მოძრაობის რუსი და საბჭოთა ისტორიკოსი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საბჭოთა ბეჭდური მედიის მოღვაწე, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – ლიტერატურისმცოდნეობის განხრით [მთარგმნელი].

[2] „Ленин о кооперации“ – статьи и речи, Москва, Госиздат, 1924, 27.

მშენებარე სახლი სწორედ ის სახლი იქნება, რომელსაც ითვალისწინებდა გეგმა. ყოველივე ეს ამხანაგი ლისოვსკის განცხადებას ეხება იმის შესახებ, რომ თითქოს საძირკვლის მიხედვით შესაძლებელია მომავალი სახლის ხასიათის შესახებ მსჯელობა. და მე მეჩვენება, რომ ამხანაგი ლისოვსკის მიერ მოყვანილი მაგალითი სულაც არ არტყამს მიზანში. გარდა ამისა, სახლი წინასწარ რომც იყოს გეგმით გათვალისწინებული, ანალოგიური დებულება შეუძლებელია წამოყენებულ იქნეს სამართალთან მიმართებით. ჩვენ ხომ არ გვაქვს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ პოზიტიურ სამართალს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალში, მხოლოდ ბაზისის განვითარების პროცესში.

ლისოვსკი:

ბაზისი განაპირობებს.

პროფ. ნანეიშვილი:

გეთანხმებით, თუმცა ბაზისი არამხოლოდ სამართლებრივ ზედნაშენს განაპირობებს. ხოლო, შემდეგ, მხოლოდ ბაზისის საფუძველზე, ზედნაშენის არქონისას, შეგიძლიათ, თქვენ შეიქმნათ ზუსტი წარმოდგენა ამ უკანასკნელის შესახებ?

თუ თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ბაზისი ყოველთვის იძლევა წარმოდგენას მხოლოდ ერთადერთ, შესაძლო სამართალზე/[ჯერარსზე], მაშინ მე გეტყვით, რომ თითოეული პროექტი გამოხატავს ერთადერთ შესაძლო და აუცილებელ სამართალს.

და, ნუთუ ეს ასეა, ნუთუ პოზიტიური სამართლის შექმნამდე ჩვენ არ გვქონდა წარმოდგენა აზრობრივად შესაძლო სამართალთა/[ჯერარსის] უსასრულო სიმრავლის შესახებ? ვინც მუშაობს კანონთა პროექტების შედგენაზე, მან იცის, რომ მის მიერ შედგენილი კანონპროექტი შესაძლოა, ცვლილებას დაექვემდებაროს. საკანონმდებლო საქმიანობაში შეცდომებიც ხომ ხდება. მაშასადამე, სამართლის ის პროექტი, რომელსაც ჩვენ ვქმნით, ყოველთვის ვერ იქნება პროექტი, ერთადერთი – რეალურად შესაძლო – სამართლის/[ჯერარსის] შესახებ. ამიტომ ვამბობ, რომ, თუ ნაგებობის გეგმა გულისხმობს მომავალ შენობას, მაშინ ისეთი გეგმა, რომელიც მომავალში წარმოსაქმნელი პოზიტიური სამართლის ხასიათს გულისხმობს, ჩვენთან არ შეიძლება იყოს. ამის თაობაზე შესაძლოა, ვიკამათოთ, რადგან ეს ძალზე რთული საკითხია.

რამდენიმე სიტყვის თქმაც მსურს ამხანაგი ტალახაძის გამოსვლის შესახებ. წინათ არ მითქვამს, რომ მე მოვედი, რათა თქვენგან [რაიმე] მესწავლა და არც შევმცდარვარ, რადგან დღეს დავრწმუნდი, რომ თქვენგან შეუძლე-

ბელია რაიმეს სწავლა. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ თქვენ არ წაგიკითხავთ წიგნი, რადგან საკმაოდ გცემდით პატივს და სრულიად ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ, თუ წაიკითხავდით წიგნს, გაიგებდით, რაც იქ ეწერა. დღეს მე სრულიად დავრწმუნდი, მიუხედავად იმისა, რომ წაიკითხეთ წიგნი, თქვენ ის ვერ გაიგეთ. ნება მომეცით ვთქვა, თუ რა გაგებით გამოვიყენე სიტყვა „ხდება“. თუ თქვენ წაკითხული გაქვთ ჩემი წიგნი, უნდა დაგენახათ, რომ პოზიტიური სამართალი მე დეტერმინებული მაქვს ეკონომიკური პირობებით. ხოლო, თუ ვამბობ, რომ სამართალი „ხდება“, ამით გამოვხატავ კონკრეტული სამართლის მიმართების არსს/[რაობას] სამართლის ზოგად არსთან/[რაობასთან], ანუ ის სამართალი, რომელიც ჩვენ გვაქვს, არ არის ერთადერთი შესაძლო სამართალი/[ჯერარსი]. ბაზისის თვალთახედვიდან განხილვისას ის არის აუცილებლობა, ხოლო სამართლის ცნების თვალსაზრისით, არის ერთ-ერთი შესაძლო სამართალი/[ჯერარსი]; ამიტომაც ვთქვი, რომ ის შემთხვევითია თვით არსთან/[რაობასთან] მიმართებით, და არა ბაზისთან მიმართებით.

ადგილიდან:

მან სწორედ ასე გაგიგოთ.

პროფ. ნანეიშვილი:

არა, ვერ გაიგო.

ტალახაძე:

და, ეს სიტყვა „ხდება“ – მაინც თქვენი სიტყვაა?

პროფ. ნანეიშვილი:

ნება მომეცით, განგიმარტოთ. თუ კონკრეტულ სამართალს სამართლის არსთან/[რაობასთან] მიმართებით, ან სამართლის ზოგად ცნებასთან მიმართებით არ განვიხილავთ როგორც რაღაც მომხდარს, მაშინ დამეთანხმეთ, რომ, სამართლის ზოგადი ცნების თვალსაზრისით, აღნიშნული პოზიტიური სამართალი მე უნდა განვიხილო როგორც ერთადერთი შესაძლო სამართალი/[ჯერარსი], ანუ მუდმივი სამართალი, – სხვაგვარი ლოგიკური გამოსავალი არ არსებობს.

რაც შეეხება ლოგიკურ აღიარებას, მე უნდა განვაცხადო, რომ, როცა პირველად მოვუსმინე ამხანაგ ტალახაძეს სასამართლოს დარბაზში, მის მიერ განცხადებული იყო, რომ თითქოსდა „ლოგიკური აღიარება“ ჩემს ნაშრომში სხვას კი არაფერს – სამართალს ნიშნავს. დღეს კი მან განაცხადა, რომ „ლოგიკური აღიარება“ არის „ნამდვილობა“. სინამდვილეში კი [მაინტერესებს], თქვენ ტვინი დაატანეთ და ჩასწვდით იმ არსს, რასაც „ლოგიკური აღიარება“ გულისხმობს? ეს ხომ წმინდა აქტია – (სუბიექტის მიმართება). მა-

გალითად, როცა ვხედავ ზოგიერთ ობიექტს, მე მათ აღვიქვამ, შევითვისებ. ზუსტად, ასევე, როცა ჩემს შეგნებაში შეთვისებულია სამართალი, ეს სამართალი იმ სტრუქტურაშია მოცემული, რომელიც, ზოგადად, სამართლისათვის არის დამახასიათებელი. სხვაგვარად მე ვერ წარმომიდგენია სამართალი. სამართალი ყოველთვის მიეწოდება ჩემს ცნობიერებას ერთგვაროვანი მნიშვნელობით. ამრიგად, აღიარების ლოგიკური აქტი ამა თუ იმ აღსაქმელი ობიექტისადმი მიმართებას წარმოადგენს. ამიტომაც პოზიტიური სამართალი ჩვენ აღიარების ლოგიკური აქტის მეშვეობით მოგვეწოდება. სხვაგვარად, არც კი შეიძლება იყოს. ამ აქტის მეშვეობით პოზიტიური სამართალიც ჩვენს ცნობიერებას მიეწოდება, როგორც რაღაც სავალდებულო. სხვაგვარად ჩემი დამოკიდებულება ამ პოზიტიური სამართლის მიმართ წარმოუდგენელია. ჩემი კოლეგები, რომლებმაც უფრო ყურადღებით წაიკითხეს ჩემი ნაშრომი, დამიდასტურებენ, რომ მე ვუპირისპირებ ლოგიკური აღიარების ჩემეულ ცნებას – ფსიქოლოგიური აღიარების ბირლინგისეულ[1] ცნებას. მე ვიცოდი, რომ აღნიშნულ ბირლინგისეულ ფსიქოლოგიურ აღიარებაზე დაყრდნობით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მთელი პოზიტიური სამართლის ობიექტური ვალდებულების აშენება, ვინაიდან, თუ ყველაფერი ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული, მაშინ მე შემიძლია ვაღიარო, ან არ ვაღიარო არსებული სამართალი. იმისათვის, რათა არ იყოს ამგვარი სუბიექტივიზმი, „ფსიქოლოგიური აღიარების“ ნაცვლად, ამხანაგო ტალახაძევ, მე „ლოგიკურ აღიარებაზე“ ვსაუბრობ, რადგან ამით მსურს ვთქვა, რომ პოზიტიური სამართლისაგან გადახვევა შეუძლებელია, რომ პოზიტიური სამართალი ჩემთვის სავალდებულოა მაშინაც კი, როცა ფსიქოლოგიურად არ ვარ განწყობილი ამ სამართლის შესასრულებლად.

სხვათა შორის, აი, რა შინაარსს ვდებ მე აღიარების აღნიშნულ ცნებაში; თუ თქვენ წაკითხული გაქვთ ჩემი ნაშრომი, მაშინ ნამდვილად გაიხსენებთ – მე იმაზეც ვსაუბრობ, რომ ჩვენ მიერ გააზრებული ყოველი აქტი საკუთარ თავში რაღაცას შეიცავს. მე ვამტკიცებდი, რომ სიყვარულისას რაღაც გვიყვარდება, ზიზღისას – რაღაც გვეზიზღება. პოზიტიური სამართალი მე კატეგორიული აუცილებლობით მეძლევა და მე უნდა შევიმეცნო და ვაღიარო ის, თუ ჭკუიდან შეშლილი არ ვარ.

ტალახაძე:

ე.ი. რევოლუცია შეშლილია, რადგან ის აუჯანყდა ასეთ სამართალს?

---

[1] **ერნესტ რუდოლფ ბირლინგი** (1841-1919) – XIX-XX საუკუნეების გერმანელი სამართალმცოდნე, სამართლის ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელი. იკვლევდა „იურიდიული პირის“ არსსა და ბუნებას, რომელიც ცივილისტიკაში ფიქციის ცნებისაგან განუყოფელია [მთარგმნელი].

პროფ. ნანეიშვილი:

მე ეს არ მითქვამს, ამხანაგო ტალახაძევ, მე ვამბობ, რომ საბჭოთა სამართალი ჩემთვის სავალდებულოა, ხოლო, თუ თქვენ გსურთ ეს მომაწეროთ, თქვენი საქმეა, თუმცა მე ეს მაინც ვერ შემაშინებს. გარდა ამისა, ნათქვამი იყო, თითქოს და მე ვამტკიცებდი, რომ არსი/[რაობა] მოქმედებს. გამოდის, რომ მე რაღაც შეშლილი არსი/[რაობა] მაქვს. არაფერი მსგავსი! ვადასტურებ – არაფერი მსგავსი! მე ვამბობ, რომ, თუ მე მეძლევა პოზიტიური სამართლის ნორმა, მაშინ აღნიშნულ ნორმაში მოცემული ობიექტი ჩემთვის სავალდებულოა, ვინაიდან მე მევალება ნორმის ობიექტის შესრულება. მე ვამბობ, რომ აღნიშნული არსით/[რაობით], ობიექტი გვაიძულებს, რომ იყოს შესრულებული. აღნიშნული არსით/[რაობით], მე ვამბობდი, რომ ნორმის შინაარსი, თავისთავად, გვაიძულებს. ამიტომაცაა, რომ ეს ობიექტი მოქმედებს, ხოლო ბაზისი უზრუნველყოფს შესრულების შანსს. მე ვამბობ, რომ ეს სავალდებულო ობიექტი ჩემ მიერ უნდა იქნეს შესრულებული. ის, რაც მოცემულია ნორმაში, და ის, რაც მოგვეთხოვება ნორმით, ჩემ მიერ უნდა იქნეს შესრულებული. სხვა აზრს, ამხანაგო ტალახაძევ, მე ამაში არ ვდებ.

ამხანაგო ტალახაძევ, თქვენ გაგაკვირვათ, როცა მე ვთქვი, რომ სამართალი და ფაქტი არის ერთი და იმავე სინამდვილის ორი ნაირსახეობა. რისი თქმა მსურდა ამით? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე მსურდა, სამართალი მომეწყვიტა რეალობისაგან და ის ზეციურ სფეროში ამეტყორცნა? არაფერიც! მე იმის თქმა მსურდა, რომ ჩვენთან, ნამდვილობის სამყაროში, კონკრეტულობის სამყაროში, ჩვენ სამართალსაც ვპოვებთ და ბუნებრივ მოვლენებსაც, როგორც რაღაც კონკრეტულ-ინდივიდუალურს, ისტორიულს. მე მხოლოდ იმ ერთი რამის თქმა მსურდა, რომ სწორედ ამ სინამდვილეში შეუძლებელია ბუნებრივი მოვლენები და სამართალი (როგორც იდეოლოგია) სრულიად ერთგვაროვნად მოქმედებდნენ. ამიტომ, მე ვამბობ, რომ ისინი ერთი და იმავე ნამდვილობის ორი განსხვავებული სახეობაა. ვამბობდი მე ამას, თუ არა? იმ ადამიანმა, ვინც იცის ფილოსოფია, დამეთანხმება, რომ, როცა ჩვენ ფაქტობრივ რიგზე ვსაუბრობთ, მაშინ ამ ფაქტობრივი რიგის მოქმედება სწორედ იმით განსხვავდება სამართლებრივი მოქმედებისაგან, რომ პირველს ჩვენ გავყავართ „უაზრო უსასრულობაში“; სამართალი კი, როგორც იდეოლოგია, როგორც რაღაც ბაზისით განპირობებული, ჩვენ შიგნით გადის, ისევ ჩვენზე მოქმედებს (განსაზღვრავს ჩვენს ურთიერთობებს) და, ამგვარად, კვლავ ბრუნდება ბაზისთან, ამიტომაც ის (სამართალი) არ გადადის „უაზრო უსასრულობაში“, რომელშიც გადადის ფაქტობრივი სამყარო. აი, რისი თქმა მსურდა, აი, რა განსხვავების აღნიშვნა გვსურდა მათ მოქმედებაში. და ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი და ფაქტი ერთი და იმავე სინამდვილის ორი ნაირსახეობაა. ნუთუ, თქვენ, ამხანაგო ტალახაძევ, დაიწყებთ იმის უარ-

ყოფას, რომ, თუ ჩვენ ერთმანეთისაგან არ განვასხვავეთ სამართალი და ფაქტი, როგორც ერთი და იმავე სინამდვილის ორი ნაირსახეობა, მაშინ თქვენ ან ბაზისი უნდა გარდაგესახოთ სამართალში, ან სამართალი უთუოდ უნდა შეგერწყათ ბაზისთან (აპლოდისმენტები). სხვა გამოსავალი არ არის და ეს დებულება უნდა შეიმეცნოთ. ამხანაგო ტალახაძევ, ჩვენ სულაც არ ვამტკიცებთ, რომ სამართალი, რომელიც მოქმედებს, როგორც სინამდვილის/[არსებულის] ერთ-ერთი ნაირსახეობა, ბაზისისაგან მოწყვეტილად მოქმედებს. ჩვენ შეშლილები არ ვართ, ჩვენ ვამბობთ, რომ სამართალი, ისტორიული მიმართებით, დეტერმინებულია ბაზისის მიერ, ის იქმნება, არც ერთი ჩვენგანი არ უარყოფდა და ვერც შეძლებდა იმის უარყოფას, რომ აღნიშნული სამართალი სავსებით განსაზღვრულად მოქმედებს მანამ, ვიდრე არსებობს სწორედ თვით ის ბაზისი, რომელიც სწორედ ამ მოცემული სამართლებრივი ზედნაშენის განმსაზღვრელია. ვიდრე ეს ბაზისი არსებობს – უშუალოდ მოქმედებს ისევე, როგორც მოქმედებენ ფიზიკური სამყაროს მოვლენები. ავიღოთ თქვენი შემდეგი, მომდევნო მტკიცება. თქვენ მუდმივად საუბრობდით კელზენის შესახებ, თუმცა თქვენ ხომ არ იცნობთ კელზენს, არ იცით, რომ სამართლის წარმოშობასთან მიმართებით, კელზენს აქვს ნაშრომი – „Wesen der Demokratie“, – სადაც ის აღიარებს, რომ სამართალი, უპირობოდ, კლასობრივი ბრძოლის შედეგია.

თუ თქვენ არ გჯერათ, მე ხვალვე გამოგიგზავნით ამ ბროშურას. ამით იმის თქმა მსურს, რომ თქვენ ისეთ რამეში დამადანაშაულეთ, პირდაპირ, არც კი ვიცი, რის თაობაზე უნდა გესაუბროთ, ვინაიდან ყველაფერი ის, რაც თქვენ წაიკითხეთ ჩემი წიგნიდან, იქ არ წერია. მართალია, თქვენ მახვილგონიერი ადამიანი ხართ და აუდიტორიის ღიმილიც გამოიწვიეთ, თუმცა ეს ღიმილი საკმარისი არ არის: წიგნი უნდა გაიგოთ, თქვენ კი ჩემი წიგნი ვერ გაიგეთ.

ტალახაძე:

მე იქიდან ვციტირებდი.

პროფ. ნანეიშვილი:

ციტირება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ციტირებას ნებისმიერი მოახდენს, ვინც განათლებულია, მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რათა გაერკვე მეტ-ნაკლებად რთულ საკითხებში. მე თქვენთვის მხოლოდ ერთი რამის თქმა მსურს: გსურთ ჩვენი ინსტიტუტიდან გაძევება? ნება თქვენია, რა გაეწყობა – წავალთ.

გსურთ, რომ ვითანამშრომლოთ თქვენთან, რათა ჩვენ თქვენთან ვიყოთ და დამყარდეს რაღაც modus vivendi-ს მსგავსი? მაშინ მოგვეცით საშუალება ჩვენი ფრაზების მოსმენისა და მათი კრიტიკისა, და არა იმ ფრაზებისა, რომ-

ლებსაც [თქვენ] ჩვენ მოგვაწერთ, რადგან ამ გზით ადვილი შესაძლებელია არა მხოლოდ ნანეიშვილის, არამედ კანტის, ჰეგელისა და თვით მარქსის მიმართ ანგარიშსწორებაც კი, რადგან, თუ თქვენ მარქსის კრიტიკასაც დაიწყებთ არა იმ საფუძველზე, რაც მას უწერია, არამედ იმ შინაარსით, რომელსაც თქვენ მასში ჩადებთ, დამეთანხმებით, თქვენეულ ფორმულირებებში მარქსის დამსხვრევაც კი ადვილი იქნება.

ტალახაძე:

იქნებ დაგვისახელოთ მარქსიდან ის ციტატები, რომელთა გაკრიტიკებაც ადვილია?

პროფ. ნანეიშვილი:

თქვენ შესანიშნავად იცით, რომ ჩემი გუშინდელი გამოსვლის ტონი მნიშვნელოვნად განსხვავდება დღევანდელი ტონისაგან, რადგან გუშინ მე ყოველმხრივ ძალზე კორექტული მოხსენება მოვისმინე. მე ნამდვილად მწამდა და ვფიქრობდი, რომ თქვენ აქ მოგვიწვიეთ იმისათვის, რათა ჩვენი შეხედულებებისა და თვალთახედვის წმინდა აკადემიური განმარტებების საფუძველზე, რაიმეში გამოგეტეხეთ, ან ჩვენთვის რაიმე გესწავლებინათ. თუმცა, რომ ვთქვათ, ეს არ მომხდარა, თქვენ ვერ შეძელით ამის გაკეთება, ამხანაგო ტალახაძევ. როცა ამხანაგი ლისოვსკი გამოდიოდა, მე კმაყოფილი დავრჩი მისი გამოსვლით. პირადად ჩემს წინააღმდეგ ამხანაგი ტალახაძის გამოსვლა კი სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია იქ, სადაც ხდება საკითხების აკადემიური განხილვა (აპლოდისმენტები).

ტალახაძე:

მეეჭვება, თქვენ რაიმეს შეიმეცნებდეთ, ასეთი მოსაზრებების ქონის პირობებში.

ტატულოვი:

მე ვთვლი, რომ იმ იდეალისტური შეხედულებების მქონე ავტორებმა, რომლებსაც აქ ვაკრიტიკებთ, უნდა შეცვალონ ტონი, ვინაიდან არ შეიძლება ამხანაგ ტალახაძის გამოსვლას, რომლის შინაარსიც სრულიად მართებულია, დაუშვებელი ვუწოდოთ (აპლოდისმენტები).

ბოლოტნიკოვი:

ამხანაგებო, ნება მომეცით ამ სხდომის ისტორიას შევეხო. როგორც გუშინ არაერთხელ გავაფრთხილე ჩვენი ამხანაგები, ის კამათი, რომელიც ჩვენ გარკვეულ სიბრტყეში დავაყენეთ, სცდება აკადემიური დისკუსიის საზღვრებს და სულ უფრო გამძაფრებული ვნების ელემენტები შემოაქვს. ეს ვნე-

ბის ელემენტები დღევანდელ სხდომაზეც არის გადმოტანილი. სრულიად ნათელი ხდება, რომ პროფ. ნანეიშვილის დღევანდელი გამოსვლა ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ სავსებით კორექტულად, რადგან ამხანაგი ტალახაძის გამოსვლაში მე რაიმე [სახის] არაკორექტულობა არ შემინიშნავს, რაც მოგვცემდა იმ ვნებიანობის საბაბს, რომელიც თავის დღევანდელ გამოსვლაში გამოავლინა პროფ. ნანეიშვილმა. ამ მხრივ მე სავსებით ვეთანხმები ამხანაგ ტატულოვს.

ამით, ვფიქრობ, რომ შეიძლება, ინციდენტი ამოწურულად მივიჩნიოთ. განმეორებით სიტყვა ეძლევა პროფ. სურგულაძეს.

პროფ. სურგულაძე:

მე მიწევს განმეორებითი გამოსვლა სწორედ ჩემი ნაშრომების კრიტიკის გამო. განმეორებით იმიტომ გამოვდივარ, რომ ჩემი სიტყვების შემდეგ, გუშინწინ საღამოს, გამოვიდა ამხანაგი ტალახაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ის არ გაიმეორებდა იმ დასკვნებს, რომლებიც ამხანაგ გეგენავას მოხსენებაშია მოყვანილი. მას, სხვათა შორის, ახალი აბსოლუტურად არაფერი უთქვამს იმასთან შედარებით, რასაც ამხანაგი გეგენავა ამბობდა. ეს, ფაქტობრივად, მეორე მოხსენება იყო, ამიტომაც მე პასუხი უნდა გავცე იმ დასკვნებზე, რომლებიც ამ მეორე მოხსენებაში იყო წარმოჩენილი.

სხვა მოტივი, რომელიც დღევანდელ გამოსვლას მაიძულებდა, ისაა, რომ ამხანაგმა ტალახაძემ დღეს, როგორც ბრძანა, ჩემ წინააღმდეგ 93 არგუმენტი წარმოადგინა, არც მეტი, არც ნაკლები. მე ვფიქრობ, აუცილებელია, თუნდაც ძალზე მოკლედ, შევჩერდე ამ არგუმენტებზე და გაჩვენოთ, რომ ზოგიერთი მათგან ეფუძნება ცალკეული ადგილების არასწორ გაგებას, სხვები კი იმას ეფუძნება, რომ ამხანაგმა ტალახაძემ მხედველობაში არ მიიღო ჩემი წიგნის სხვა ადგილები. და, ბოლოს, – ზოგიერთი მითითება კი მართებულია.

ტალახაძე:

მაშასადამე, მართებულიც არის?

პროფ. სურგულაძე:

რასაკვირველია, არის. ჩემი გამოსვლის შინაარსის, მიზნისა და ამოცანის შესახებ მცირე განმარტების გაკეთება მსურს. მე ვთვლი, რომ აქ, ამ დისკუსიაში საკითხი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ჩემი წიგნის შინაარსის განმარტებას. ხოლო, თუ საკითხი დგას იმასთან მიმართებით, თუ რა შეხედულებებს ვიზიარებ მე ამჟამად, მაშინ უნდა განვაცხადო, რომ წიგნი, რომელიც ჩემგან შვიდწლიანი დროის მონაკვეთით არის დაშორებული, ის, რო-

გორც გუშინწინ განვაცხადე, არ არის ჩემი ამჟამინდელი შეხედულებების გამოხატულება. თუ აუდიტორიას ეს საკითხი აინტერესებს, მაშინ ვაცხადებ, რომ, ამჟამად მე არ ვიზიარებ არამარქსისტული შეხედულებების ნაწილს, რომლებიც ამ წიგნშია წარმოჩენილი.

ტალახაძე:

თქვენს სტენოგრამაში წერია: ჩემს შეკითხვაზე – თვლით თუ არა თქვენს მიერ დაწერილს მარქსისტულად, თქვენ მიპასუხეთ – „დიახ, ვთვლი“.

პროფ. სურგულაძე:

მაგ ადგილამდეც მივალთ და თქვენ დაინახავთ, რომ მეხსიერება გღალატობთ. შესაძლოა, სტენოგრამაში ასეც წერია, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ის არ გადამიხედავს და არ ჩამისწორებია, ხოლო შეცდომები შესაძლებელია [იყოს]. მე ვამბობდი, რომ სამართლის კლასობრივი გაგების ელემენტები მოცემულია ჩემს წიგნში და ვიმეორებ, რომ ამოვდიოდი ჩემი წიგნის ციტატებიდან.

ამხანაგმა ტალახაძემ პირდაპირი ბრალდება წამომიყენა, რომ ჩემს წიგნში მართლწესრიგი სრულიად მოწყვეტილია სოციალური ცხოვრებისაგან, რომ მათ შორის აბსოლუტურად არაფერია საერთო, რომ მათ შორის ისეთი უფსკრულია წარმოქმნილი, რომელსაც ვერაფრით გადავლახავთ. მე ვუთითებდი, რომ ჩემს წიგნში არის ადგილები, რომლებიც ამგვარი კატეგორიული გამოთქმებისას არ იქნა მხედველობაში მიღებული ამხანაგი ტალახაძის მიერ და რომლებსაც შეეძლოთ ის სრულიად განსხვავებულ დასკვნამდე მიეყვანათ. მაგალითად, მომხსენებლის მიერ მოყვანილი ერთ-ერთი ციტატა: მე ვამბობ, რომ განსხვავება სოციალურსა და სამართლებრივს შორის არის ლოგიკური, ლოგიკურ აბსტრაქციაში მოცემული, ხოლო რეალურ სინამდვილეში ორივე მხარე, დიდ წილად, ერთად არის მოცემული.

ტალახაძე:

განსხვავება სამართლებრივსა და სოციალურს შორის?

პროფ. სურგულაძე:

დიახ, ეს განსხვავება არის ლოგიკური. სხვა ადგილზე, მე-6 გვერდზე, მე ვამბობ: „სამართალი არის სოციალური ცხოვრების განუყოფელი მომენტი“. იპოვი რა წიგნში მითითებას, რომ სამართალი არის სოციალური ცხოვრების განუყოფელი მომენტი, არ შეიძლება იმის კატეგორიული მტკიცება, რომ, ჩემი კონცეფციით, სამართალი აბსოლუტურად შეპირისპირებულია სოციალურ ცხოვრებასთან, რადგან, ვიმეორებ, წიგნში არის მითითება, რომ სამართალი სოციალური ცხოვრების განუყოფელი მომენტია. არ შეიძ-

ლება იმის წარმოდგენა, რომ მომენტი შესაძლოა იყოს იმ მთლიანის საპირისპირო, რომლის მომენტიც ის არის. აღნიშნულ საკითხზე ჩემი აზრების ინტერპრეტაციისას უნდა გაგეთვალისწინებინათ არა მხოლოდ ის ციტატები, რომლებიც თქვენ მოიყვანეთ, არამედ სხვა ადგილებიც, რომლებსაც მე ახლა ვუთითებ.

ტალახაძე:

მე შეცდომებზე ვუთითებდი.

პროფ. სურგულაძე:

თქვენ 93 ციტატა მოიყვანეთ, მე კი 94-ე მოვიყვანე და ვუთითებ, რომ თქვენ ეს ციტატა არ მოგიყვანიათ და არ გაგითვალისწინებიათ, როცა გარკვეულ დასკვნებს აკეთებდით.

სხვა, რაზეც მსურდა თქვენი ყურადღების მიქცევა – ეს არის ამხანაგ ტალახაძის მიერ ჩემი წიგნის გარკვეული ადგილის არასწორი გაგება. საკითხი ეხება სოციალური ცხოვრების ცნებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემს წიგნში არის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ სოციალური ცხოვრება მაშინ არის მოცემული, როცა ცალკეულ ინდივიდებს შორის გარკვეული ურთიერთზემოქმედება წარმოიშობა. ამ შემთხვევაში ამხანაგმა ტალახაძემ სიტყვა „მაშინ“ გაიგო ისტორიული არსით, ანუ, თითქოს, ჩემი კონცეფციით, ადამიანები თავდაპირველად ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და შემდეგ მათ შორის წარმოიშვა ურთიერთზემოქმედება; თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული გამოთქმა გაგებული უნდა იქნეს არა გენეტიკური, ისტორიული არსით, არამედ ლოგიკურის არსით. ისეთ გამონათქვამებს, როგორებიცაა „მაშინ წარმოიშვა“ და ა.შ., ჩვენ მეცნიერებათა მთელ რიგში ვპოვებთ, სადაც საუბარიც კი არ შეიძლება მიდიოდეს ისტორიული თანმიმდევრობის შესახებ. მაგალითად, მე შემიძლია ვთქვა, რომ სხვადასხვაგვერდა სამკუთხედიდან გამომდინარეობს ტოლკუთხა სამკუთხედები. არავინ მიანიჭებს სიტყვას – „გამომდინარეობს“ – დროითი თანმიმდევრობის ხასიათს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკურს გულისხმობს. არავინ იტყვის, რომ თავდაპირველად დროში მოცემულია ტოლფერდობა, ხოლო შემდეგ – ტოლკუთხობა. ასეთ შინაარსს არავინ მისცემს აღნიშნულ გამონათქვამს. მე ვფიქრობ, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგი ტალახაძის მტკიცება მარტივი გაუგებრობაა, მაგრამ მხოლოდ ამ გაუგებრობის საფუძველზე ამხანაგმა ტალახაძემ მოისურვა ანალოგიის გატარება ჩემსა და რუსოს კონცეფციებს შორის. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ამხანაგმა ტალახაძემ ვერც რუსო გაიგო მართებულად, ვინაიდან თითოეულმა, ვისთვისაც ცნობილია საკითხი, იცის, რომ რუსოს კონცეფციაში საზოგადოებრივი ხელშეკრულება სულაც არ არის ის-

ტორიული ფაქტი. თუმცა ეს არაარსებითი საკითხია; ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, რომ ჩემსა და რუსოს კონცეფციებს შორის რაიმე კავშირზე საუბარიც კი არ შეიძლება.

ზოგადად, ამხანაგ ტალახაძეს ყოველთვის უყვარს გარკვეული ეპითეტების მიწებება. მაგალითად, გუშინწინ მან აზრი გამოთქვა იმის შესახებ, რომ ჩემი წიგნი ნეოკანტიანურ იდეებს ავითარებს, ხოლო შემდეგ თქვა, რომ ეს მთლად ასეც არ არის, რომ ეს ნეოკანტიანელობა კი არა, არამედ XVIII საუკუნის ფილოსოფიური მატერიალიზმის რეპროდუქცია უფრო არის. მე არ ვიცი, რა ლოგიკური კავშირი არსებობს ზოგადად ნეოკანტიანელობასა და XVIII საუკუნის ფილოსოფიურ მატერიალიზმს შორის, რათა ერთსა და იმავე ნაშრომის მიმართ ეს ორივე საზომი გამოიყენო.

ტალახაძე:

თუმცა, რომლებიც თქვენს წიგნში არის.

პროფ. სურგულაძე:

შემდეგ მე მოვიყვანე ჩემი წიგნიდან ერთი ადგილი, სადაც მოცემულია სამართლის კლასობრივი შემეცნება. აი, ამხანაგი ტალახაძე ამის წინააღმდეგ გამოვიდა და თქვა, რომ ეს არის მოკლე ციტატა და ის არაფერს ამტკიცებს.

ტალახაძე:

რომელი გვერდია?

პროფ. სურგულაძე:

65-ე გვერდი. მე ვფიქრობ, რომ სიგრძით თუ სიმოკლით არ იზომება აზრები, არამედ ისინი გამოითქმება და მათ არც სიგრძე აქვთ, არც სიგანე, არც წონა. მოცემულ შემთხვევაში, მე არ ვიზიარებ ამხანაგი ტალახაძის აღნიშნულ მითითებებს.

ახლა კი ამხანაგი ლისოვსკის გამოსვლასთან მიმართებით. ის უთითებს 92-ე გვერდს. იქ კი ნათქვამია, რომ ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმა, რომლებსაც ჩვენ აქ ვხვდებით, სამ ძირითად სახეობად იყოფა.

პირველი, ეს არის ურთიერთობათა ის სახე, რომელიც არსებობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლის მოქმედ სისტემას შორის. გუშინ მე ამაზე მივუთითე. თუმცა ამისგან სულაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომელიც ამხანაგმა ლისოვსკიმ გააკეთა; რაკიღა მე ვამბობ, რომ არსებობს ურთიერთობათა სამი ძირითადი სახე, ჩემი წარმოდგენით ყველა სულაც არ არის თანაბრად ძირითადი. მე მოცემული მაქვს ურთიერთობათა სამივე სახის მარტივი ჩამონათვალი, რომლებსაც

ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ პრობლემათა ანალიზისას, და სულაც არა ის, რომ ესენი თანაბრად ძირითადები არიან; არ ვიცი, მოცემული ციტატიდან რატომ აკეთებს ასეთ დასკვნას ამხანაგი ლისოვსკი.

რაც შეეხება ჩემს შემდგომ სიტყვებს, მე მხედველობაში მქონდა 65-ე გვერდზე მოყვანილი ციტატა, კერძოდ: „ყოველგვარი სამართლებრივი ორგანიზაცია არის გარკვეული კლასის ბატონობის ორგანიზაცია და სამართლის ნორმების დადგენისას გადამწყვეტია გარკვეული გაბატონებული კლასის ინტერესები“. აი, ეს ვიგულისხმე, როცა 95-ე გვერდზე დატანილ აღნიშნულ გამონათქვამს დავუმატე ის, რაც 65-ე გვერდზეა.

სხვათა შორის, უნდა მივუთითო შემდეგზე: ამხანაგი ტალახაძის აზრით, ყველა ეს გამონათქვამი არის ჩემი წიგნის ძირითადი შინაარსი, თუმცა, როცა მე ჩემს წიგნში ფაქტსა და სამართალს შორის ურთიერთობათა განსხვავებულ ფორმებზე ვსაუბრობ, გარკვევით ვუთითებ, რომ აღნიშნულ საკითხს მხოლოდ იმ თვალსაზრისით ვეხები, აქედან მიღებულმა შედეგებმა, თუ რამხელა გავლენა შეიძლება მოახდინონ სპეციალური საკითხის ანალიზისათვის სამართლებრივი ურთიერთობების ბუნების შესახებ. მხოლოდ ამ თვალთახედვიდან, და არა პრობლემის თაობაზე სპეციალური გარკვევის მიზნით, მე გაკვრით დავაყენე საკითხი სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლის ფორმას შორის ურთიერთობათა შესახებ; მე ვთქვი, რომ ასეთი სახის ურთიერთობა მოცემულია.

ახლა ვაცხადებ, ჩემს წიგნში ეს იმ მიზნით არის ნახსენები, რომ განვასხვაოთ ურთიერთობათა ეს სახე სხვა სახის ურთიერთობებისაგან, რომლებიც არსებობენ სამართლებრივ ელემენტებს, სამართლის ფორმებსა და არასამართლებრივ ელემენტებს შორის. მაგალითად, იურიდიული ურთიერთობების ობიექტის დამოკიდებულება სამართლებრივ მოვალეობებთან, რომლებიც იურიდიულ ურთიერთობებშია მოცემული და იმ ფაქტების ურთიერთობა, რომლებსაც ჩვენ აღვნიშნავთ ფაქტის იურიდიული რელევანტურობის ცნებით, სამართლებრივი ურთიერთობების მომენტებთან, ანუ უფლებისა – მოვალეობასთან. მხოლოდ იმისათვის, რათა განვასხვაოთ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის დამოკიდებულება სამართლებრივი ზედნაშენის მიმართ, აქ მითითებული ურთიერთობათა სახეებისაგან, მე გაკვრით გავაკეთე შესაბამისი მითითება ჩემს ნაშრომში.

ახლა ამხანაგ ლისოვსკის სხვა მითითება – ქართულ ენაზე [გამოქვეყნებულ] ჩემს ნაშრომში ერთი ფრაზის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, არ შემიძლია დავეთანხმო ამხანაგ ლისოვსკის შეკამათებას. მე ვამბობდი: „იმ კანონზომიერების გაგება, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოება საკუთარ არსებობასა და განვითარებაში, მანამდეა შეუძლებელი, ვიდრე ჩვენ არ შევიმეცნებთ სახელმწიფოს ბუნებასა ან სახელმწიფოს საიდუმლოს“. ამ გამოთ-

ქმაში მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რომ ეს არის საზოგადოებრივი კანონზომიერების შემეცნების ერთადერთი პირობა. აქ საუბარია იმაზე, რომ ეს არის აუცილებელი პირობა, რომ სახელმწიფოს ბუნების შემეცნება აუცილებელია იმისათვის, რათა შევიმეცნოთ საზოგადოებრივი კანონზომიერება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის ერთადერთი პირობა. სწორედ ამაში დევს საკითხის მთელი არსი: და, მართლაც, ის, ვინც ვერ გაიგო სახელმწიფოს არსი, მას არ შეუძლია, სრულად აღიქვას მთელი ის კანონზომიერება, რომელსაც ექვემდებარება სახელმწიფო საკუთარ განვითარებაში. სწორედ ეს აზრია გამოხატული მოცემულ ადგილზე.

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა ამხანაგ თუმანოვს.

თუმანოვი:

ამხანაგებო, მე დავიწყებ ამხანაგი ნანეიშვილის დღევანდელი გამოსვლით, რომელმაც განაცხადა, რომ გუშინწინ ის გამოდიოდა ისე, დღეს კი „ასე“. ეს სრული სიმართლეა, თუმცა, რატომ გამოდიოდა ის გუშინწინ კამათის აკადემიური ფორმით, და დღეს რატომ – სხვაგვარად? რა მიზეზმა აიძულა ის სხვა ფორმით გამოსულიყო? თავის პირველ გამოსვლაში მან განაცხადა – „მე აქ მოვედი, რათა მომესმინა ჩემი ნაშრომის კრიტიკა, რათა დამენახა ჩემი შეცდომები, გამეგო ისინი და შეძლებისდაგვარად გამომესწორებინა“. ეს მან მაშინ განაცხადა. მაშ, რატომ იცვლის ის თვალსაზრისს? ჩვენი დღევანდელი და გუშინწინდელი გასაუბრების მიზანი ერთი და იგივეა, – გამოვააშკარაოთ ანტიმარქსისტული მიმართულება და ამ გზით დავეხმაროთ იმათ, ვისაც სურს, იყოს ჩვენი თანამშრომელი, რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეიმეცნონ შეცდომები და დადგნენ ჩვენს მარქსისტულ თვალთახედვაზე. ამხანაგებო, პროფესორებმა – ნანეიშვილმა, სურგულაძემ და ვაჩეიშვილმა – უნდა გაიაზრონ და, შესანიშნავადაც გაიაზრეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, საბჭოთა სახელმწიფოში, ჩვენ საკუთარი თანამეგზურებისაგან მოვითხოვთ გარკვეულად ჩვენს მიმართულებას, გარკვეულად ჩვენს მიდგომას. ამაში, ვფიქრობ, ისინი დაგვეთანხმებიან. ამხანაგი ნანეიშვილის დადანაშაულება იმაში, რომ ის არ არის მარქსისტი, ჩვენ არ შეგვიძლია. თუმცა, როგორც ის ამბობს, მას უნდა, რომ გახდეს მარქსისტი და სურს, აკადემიური კრიტიკის ფორმით მოისმინოს იმის შესახებ, მარქსიზმისაგან, თუ რა ძირითადი გადახვევაა მის ნაშრომში. მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მე გეკითხებით: რა განსხვავებაა გუშინწინდელ და დღევანდელ განხილვებს შორის? რატომ გაამახვილა ყურადღება ამხანაგმა ნანეიშვილმა ამხანაგი ტალახაძის დღევანდელ გამოსვლაზე? გარდა ამხანაგი ტალახაძის

გამოსვლისა, სხვების გამოსვლა არ ყოფილა? ამხანაგი ლისოვსკი და სხვებიც ხომ გამოდიოდნენ. მაშ, რატომ სწორედ ამხანაგ ტალახაძეზე შეაჩერა მან თავისი ყურადღება და ჩვენი აკადემიური კრების შეფასების კონცენტრირებაც ამხანაგი ტალახაძის პიროვნებაზე მოახდინა? ამხანაგი ტალახაძე გუშინწინაც ისე გამოვიდა, როგორც დღეს. მართალია, ეს აუდიტორია მცირე მოცულობისაა ამხანაგი ტალახაძის ხმოვანი შესაძლებლობებისათვის – მას მაღალი ხმა აქვს, ის ხმამაღლა საუბრობს, ფიცხი ადამიანია. ამხანაგი ნანეიშვილი არ დასწრებია მთელ რიგს ჩვენი პარტიული სხდომებისას, სადაც ჩვენ ერთმანეთის ძვლებსაც კი არ ვინდობთ და არცთუ ასეთი მშვიდი „აკადემიური“ ფორმით, და მაინც ამხანაგებად ვრჩებით. ამხანაგი ტალახაძე პროლეტარული რევოლუციის ერთგული ჯარისკაცია და სულაც არ არის გასაკვირი, რომ სიფიცხეს იჩენს, როცა ჩვენი ძირითადი ხაზიდან ამა თუ იმ გადაცდომას ხედავს. მართალია, აკადემიური კამათის დროს მიუღებელია, როცა ორატორს სიტყვას გააწყვეტინებ, არასასურველ გამწვავებას შემოიტან, მაგრამ ეს მისი ხასიათის თვისებაა. მას წესრიგისაკენ ამხანაგი ბოლოტნიკოვიც მოუწოდებდა. ამიტომ, მეც ვფიქრობ, რომ ამხანაგი ნანეიშვილის დღევანდელ გამოსვლას არ ჰქონდა რაიმე ნიადაგი და, მომავალში, იმედს ვიტოვებ, როგორც დავიწყეთ, ისევე დავასრულებთ ჩვენს აკადემიურ დისკუსიას. ამხანაგი ნანეიშვილი აღაშფოთა იმან, რომ ამხანაგმა ტალახაძემ ვერ გაუგო მას და კრიტიკით გამოსვლა გაბედა. დავუშვათ, ვერ გაიგო. გამობრძანდით, გეთაყვა, და თქვით, რა შეეშალა მას და თქვენ როგორ უნდა გაგიგოთ, და თუ გსურთ აკადემიური კამათის წარმართვა, ნუ აყენებთ საკითხს სხვა სიბრტყეში. არც დღევანდელ და არც წინა სხდომაზე ხომ არავის გაუკეთებია პოლიტიკური დასკვნები. ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რათა მარქსიზმის წინააღმდეგ არსებული შეცდომები გამოვასწოროთ, გამოვავლინოთ ამ შეცდომების ფესვები და დავეხმაროთ იმ ამხანაგებს, ვისაც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი აქვთ, გამოასწორონ ეს შეცდომები, რათა შემდგომ ერთად ვიმუშაოთ.

ახლა ნება მომეცით, არსებითად გადავიდე დებატებზე. როგორც კურიოზი, უნდა აღვნიშნო, რომ ამხანაგი ნანეიშვილის გამოსვლა ამხანაგი ტალახაძის გამოსვლის მიმართ არ ებმის მის პრინციპულ პოზიციას. რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, ამხანაგი ნანეიშვილი, რომელიც კერძოს მიმართ ზოგადის პრიმატის გულმხურვალე მომხრეა, რატომღაც ღალატობს საკუთარ პრინციპს და მცირე კერძო ფაქტს ანიჭებს უპირატესობას ზოგადის მიმართ, – ეს უპირისპირდება მის ძირითად ლოგიკურ დებულებას. თუმცა, ამხანაგი ნანეიშვილისა და მისი კონცეფციის შესახებ მე მერე ვისაუბრებ. ახლა კი, განზრახული მაქვს [აზრი] გამოვთქვა ამხანაგი სურგულაძის პოზიციის შესახებ. აქ მე უარეს მდგომარეობაში ვარ, ვიდრე ამხანაგი ლისოვსკია,

რომელმაც სირთულე ნახა ქართული ენის არცოდნის გამო: მე არც ქართული ენა ვიცი, არც გერმანული. მე მხოლოდ იმ გამონათქვამებს ვეყრდნობი, რომლებიც აქ იყო [გაჟღერებული]. ზოგი რამ წავიკითხე კიდეც გადათარგმნილი ციტატებიდან, თუმცა, თვითონ მათი შემოწმება ვერ შევძელი. ამიტომ იძულებული ვარ, შემოვიფარგლო იმით, რასაც საკუთარ თავზე ამბობდა ამხანაგი სურგულაძე თავის გამოსვლებში.

შევჩერდები სამ მომენტზე: პირველი მომენტი – საკითხი ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ. როგორ აღიქვამს სამართლის სიბრტყეში ბაზისსა და ზედნაშენს ამხანაგი სურგულაძე? – მან განაცხადა: აღიარებს იმას, რომ სამართალი არის ზედნაშენი, აღიარებს, რომ ბაზისია სოციალური ურთიერთობები. ჩვენ არ ვართ მიჩვეული ბაზისის მსგავს ფორმულირებას. როგორია სოციალური ურთიერთობები? ამის შესახებ ამხანაგი სურგულაძე არ საუბრობს. ბაზისის ცნების ქვეშ ჩვენ აღვიქვამთ საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, როგორც საწარმოო ურთიერთობების ერთობლიობას. ეს მარქსისტული თვალსაზრისია. ამხანაგი სურგულაძე აღიარებს ზედნაშენსა და ბაზისს შორის არსებულ ურთიერთზემოქმედებას. კარგი. მარქსიზმიც აღიარებს ასეთ ურთიერთზემოქმედებას. მაგრამ საკითხი სწორედ ისაა, თუ როგორ წარმოუდგენია ამხანაგ სურგულაძეს ბაზისსა და ზედნაშენს შორის, ეკონომიკასა და სამართალს შორის ურთიერთზემოქმედება? მისი ამ კონცეფციიდან, რომელსაც ის იზიარებს, გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ზედნაშენი წმინდა [სახის] იდეოლოგიაა. ასევე, განიხილავს ამას მარქსიზმი? არა. მოვიყვან ციტატას მარქსიდან: საწარმოო ურთიერთობების ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელსაც დაეშენება სამართლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამება ცნობიერების გარკვეული ფორმები“. ამრიგად, სამართლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენი ერთად, გვერდიგვერდ დგანან, როგორც ბაზისზე უშუალოდ დაშენებული და არ შეერევიან ცნობიერების ფორმებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლებრივი ურთიერთობები არ არის მხოლოდ იდეოლოგია, არამედ რეალურად არსებული ურთიერთობებია. ეს არ არის, როგორც ამას ამხანაგი სურგულაძე ფიქრობს, წმინდა ლოგიკური პროცესი, არამედ ეს არის თვით რეალობა, ისეთივე რეალობა, როგორც სახელმწიფო. ლენინიც არ აღიარებდა სამართალს სახელმწიფოს გარეშე, ერთად კრავდა ამ ორ ზედნაშენს. იმის მტკიცებით, რომ სამართალი იდეოლოგიაა, ლოგიკური პროცესია. ამხანაგი სურგულაძე, იმავდროულად, სამართალს ბაზისისაგან მოწყვეტით [განიხილავს] და სამართლებრივი რიგისათვის აგებს განსაკუთრებულ კანონზომიერებას. ის ამბობს, რომ როცა სამართალი ეკონომიკიდან იბადება, ის სოციალური ცხოვრების კანონებს ექვემდებარება. მას მხედველობაში აქვს კაუზალობა. და, შემდეგ რა ხდება?

როგორ ხდება ურთიერთზემოქმედება? როგორ ვითარდება და იცვლება სამართალი? კაუზალურად ხდება ეს განვითარება თუ არა? ამხანაგი სურგულაძის აზრით, სამართალს აქვს თავისი განსაკუთრებული კანონზომიერება, რომელიც ხარისხობრივად განსხვავდება იმ ბაზისის კანონზომიერებისაგან, რომელსაც ის დაეშენება. და, აი, აქ სრულიად მართალია ამხანაგი გეგენავა, რომელმაც დაიყვანა, რამდენადაც მე მას გავუგე, სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთზემოქმედების საკითხი, ამხანაგი სურგულაძის ინტერპრეტაციით, სულისა და სხეულის ურთიერთზემოქმედების საკითხამდე. და, მართლაც, რა განსხვავებულ კანონზომიერებაზეა [საუბარი]? როგორ უნდა მოხდეს ორი, ხარისხობრივად განსხვავებული რიგის ურთიერთზემოქმედება ხარისხობრივად განსხვავებულ კანონზომიერებებთან, რომლებიც ვერ მივლენ ერთიმეორესთან? როგორ შეიძლება კაუზალური კავშირის მიღმა მდგარი სამართლებრივი რიგის ზემოქმედება იმ ბაზისზე, რომელიც მიზეზობრიობის კანონს ექვემდებარება? აქ ხომ რაიმე გადასვლა, რაიმე კავშირი არ არსებობს. რა საერთო აქვს ამხანაგი სურგულაძის აღნიშნულ დებულებას მარქსიზმთან?

ეს მარქსისტული კი არა, ანტიმარქსისტული თვალსაზრისია. სამართლებრივი ზედნაშენი ხომ სრულად და მთლიანად უკავშირდება იმ ბაზისს, საიდანაც ის აღმოცენდა. სამართალი ხომ არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ფორმა? სამართლის არსი ხომ იცვლება. რით არის გამოწვეული ეს ცვლილება? მარქსიზმი გვასწავლის, რომ ეკონომიკის ყოველგვარი ცვლილება საკუთარ ასახვას პოვებს სამართალში, რომ სამართალი იცვლება იმის შესაბამისად, თუ როგორ ცვლილებას განიცდის მისი ბაზისი – საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა.

შემდეგი მომენტი, რომელზეც მსურს შევჩერდე, ეს არის ამხანაგი სურგულაძისეული სახელმწიფოს განმარტება. როგორ განმარტავს სახელმწიფოს ამხანაგი სურგულაძე? სახელმწიფო არის კლასობრივი ორგანიზაცია, – ამბობს ამხანაგი სურგულაძე. აქ არის კლასობრივი მომენტი, თუმცა დეფინიცია მაინც არ არის მართებული. აი, ამხანაგი ლენინი კი ამბობს: სახელმწიფო არის გაბატონებული კლასის აპარატი, რათა მორჩილებაში მოიყვანოს, ჩაგვრაში ჰყავდეს დამონებული კლასი. ნუთუ ეს ერთი და იგივეა? რა თქმა უნდა, არა. სხვა ადგილზე ამხანაგი სურგულაძე აზუსტებს სახელმწიფოს ცნებას: „სახელმწიფო არის კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია“, თანაც აღნიშნულ ორგანიზაციას აქვს „საგნობრივი დანამატები“ ჯარის, სამოხელეო აპარატის, საპყრობილეების, სასამართლოებისა და ა.შ. სახით. გამოდის, რომ ასეთი ორგანიზაცია შეიძლება დასახელებული დანამატების გარეშეც არსებობდეს. საინტერესოა, ვიცოდეთ, რა გამოვა სახელმწიფოსაგან, თუ ჩვენ მას წავართმევთ ამ საგნობრივ დანამატებს. რადგან აღნიშნული

საგნობრივი დანამატების ერთობლიობის გარეშე აღარ იქნება სახელმწიფო. ტყუილად კი არ ამბობდა ამხანაგი ლენინი, რომ სახელმწიფო არის აპარატი, გაბატონებული კლასის ხელში – კომბალი. აპარატი იგივე ორგანიზაციაა, თუმცა გაბატონებული კლასის ორგანიზაცია, საკუთარი ბატონობის მხარდასაჭერად, ერთი მხრივ, და დათრგუნვისა და ჩაგვრის [უზრუნველყოფისათვის], მეორე მხრივ. სწორედ ეს აპარატი შედგება აღნიშნული საგნობრივი დანამატებისაგან, და, თუ მათ წავართმევთ, ეს აპარატი დაემხობა. შემდეგ, ამხანაგი სურგულაძე მიდის ასეთ დასკვნამდე: იმისათვის, რათა შევიცნოთ საზოგადოების აღნაგობა, სტრუქტურა, სავალდებულოა სახელმწიფოს საიდუმლოს გარკვევა. ნუთუ ასე აყენებენ საკითხს მარქსისტები? არა. მარქსიზმი იღებს ძირითადს, მთავარს: იმისათვის, რომ შეიმეცნო საზოგადოება, უნდა გაიგო არა ის, თუ რა არის სახელმწიფო, არამედ უნდა გაერკვე საზოგადოების ეკონომიკაში. მაშინ თქვენ გაიგებთ, თუ რა არის საზოგადოება და, კვალადვე – სახელმწიფოს საიდუმლოც აიხსნება. არა სახელმწიფოს შემეცნებაა საჭირო, იმისათვის, რათა გაიგო საზოგადოების არსი, არამედ ეკონომიკის შესწავლაა საჭირო, რათა გაიგო სახელმწიფოს არსი. ამრიგად, ამხანაგ სურგულაძესთან გამოდის, რომ საზოგადოებრივი სტრუქტურის ბაზისი არის არა ეკონომიკა, არამედ – სახელმწიფო, ანუ ხდება მარქსიზმის შერყვნა, თავდაყირა დაყენება.

თუმცა არც ეს არის საკმარისი და ამხანაგი სურგულაძე აიგივებს საზოგადოებას სახელმწიფოსთან. „საზოგადოება, რომელშიც მოცემულია კლასობრივი ბატონობა, არის სახელმწიფო“ – წერს ამხანაგი სურგულაძე. ეს მტკიცება არასწორია. სახელმწიფო და საზოგადოება არ არის ერთი და იგივე. არ შეიძლება გაბატონებული კლასის ხელში არსებული ჩაგვრის აპარატის აღრევა თვით საზოგადოებასთან, რომელსაც ანტაგონისტური კლასები შეადგენენ. ახლა კი ხდება ნათელი, თუ რისი თქმა სურდა ამხანაგ სურგულაძეს, როცა გვმოძღვრავდა, რომ საზოგადოების შემეცნებისათვის „სახელმწიფოს საიდუმლოს ამოხსნაა“ აუცილებელი, ანუ სახელმწიფოს შემეცნება. სავარაუდოდ, სურგულაძეს ამით იმის თქმა სურდა, რომ საზოგადოების შემეცნებისათვის საზოგადოებისავე შემეცნებაა საჭირო, ვინაიდან საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცნებები მას გაიგივებული აქვს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის, რათა რაღაც შევიმეცნოთ, ეს რაღაც უნდა შევიმეცნოთ.

ამხანაგი სურგულაძე არც მაშინ არის მართალი, როცა კაუცკისთან პოლემიკით ის სახელმწიფოს წარმოშობის ძირითად წინაპირობებზე მიუთითებს. მე ძალიან გამაკვირვა მისმა სურვილმა, რომ მარქსისტულად წარმოგვიჩინოს ციტატა, რომელიც ამხანაგმა გეგენავამ მოიყვანა მისი ქართულ ენაზე დაწერილი თხზულებიდან. სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში ძირი-

თადია – ამბობს ის – შრომის განაწილება, გაცვლა, კერძო საკუთრება და სხვ. და თქვენ რას იტყოდით, მე რომ დამეწყო შემდეგი რაიმეს მტკიცება: პროლეტარიატის დიქტატურის წარმოშობის საკითხში ძირითადი არის პირველყოფილი კომუნიზმის, მონათმფლობელური საზოგადოების წარმოშობა, ამ უკანასკნელის გადასვლა ფეოდალურ საზოგადოებაში და ა.შ. და ამაზე დამესვა წერტილი? მარქსისტულად გაგცემდით პასუხს იმ საკითხზე, თუ როგორ იბადება პროლეტარიატის დიქტატურა? რა თქმა უნდა, არა. დიქტატურისათვის ძირითადი და მთავარი ხომ თვით პროლეტარული კლასის არსებობაა, რომელიც მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მწიფდება. ამის გარეშე პროლეტარიატის დიქტატურა უაზრობაა. მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარებას მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურის შესაძლებლობამდე, მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებში მწიფდება თვით პროლეტარიატის კლასი. ამხანაგ გეგენავას უარყოფის სურვილით სურგულაძემ თქვა, რომ ის თავისთავად გულისხმობდა კლასობრივ სტრუქტურას. არ შეიძლება ასეთი უარყოფა. სახელმწიფოს წარმოშობის ყველაზე მთავარი და ძირითადი პირობა არის კლასების არსებობა, შეურიგებელი კლასობრივი ინტერესების არსებობა. მხოლოდ ამ პირობებში ჩნდება სახელმწიფოს [არსებობის] ისტორიული აუცილებლობა. შესაძლოა, ამხანაგი სურგულაძე სწორედ ამას გულისხმობდა, თუმცა წიგნში ეს ხომ არ არის. და ისინი, ვინც მას წაიკითხავენ, არასწორად შეიმეცნებენ სახელმწიფოს წარმოშობის დასაბუთებას, მათთვის დაფარული დარჩება კლასობრივი სტრუქტურა, შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობებით.

ინტერესს იწვევს კიდევ ერთი მომენტი – ამხანაგი სურგულაძის შეხედულება სამართლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მასთან [იგულისხმება წიგნი – მთარგმნელი] მთელი თავი, რომელიც სამართლის მიზნებსა და ამოცანებს ეძღვნება. „სამართალი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული სისტემის შექმნას“ – წერს ამხანაგი სურგულაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობების რა სახის სისტემისა? სამართალი იგივე საზოგადოებრივი ურთიერთობებია, თუმცა ის [იგულისხმება სამართალი – მთარგმნელი] დამოკიდებულია სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და აღმოცენდება როგორც ზედნაშენი სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

ამხანაგ სურგულაძეს იმის თქმა ხომ არ სურს, რომ სამართალი საკუთარ თავს ქმნის? ეს აბსურდია, [რადგან] სამართალს საკუთარი თავის შექმნა არ შეუძლია. და, თუ ამხანაგ სურგულაძეს ჰგონია, რომ სამართალი, და ისიც მისეული გაგებით, როგორც წმინდა იდეოლოგია, მიზნად ისახავს სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნას, მაშინ დაისმის შეკითხვა: რა გზით შეუძლია სამართალს, შექმნას, ვთქვათ, ეკონომიკა, მაშინ, როცა თვითონ არის ნაწარმოები ეკონომიკიდან? სამართალს შეუძლია ზემოქმედება

ეკონომიკაზე, დააჩქაროს ან შეაფერხოს ეკონომიკის განვითარება, თუმცა მას ჯერ კიდევ არ შესწევს ძალა, შექმნას ეკონომიკა, იყოს მისი შემოქმედი, ვინაიდან ეკონომიკა თავად არის დამოკიდებული საწარმოო ძალთა ზრდაზე. სამართალი ასახავს ეკონომიკურ ურთიერთობებს, სამართალი განამტკიცებს მათ, მაგრამ თავისთავად სამართალს, წმინდა სამართალს, არ ძალუძს თავისი საკუთარი ბაზისის შექმნა.

ამჯერად კი გადავდივარ ამხანაგ ნანეიშვილზე. რა არის მისი ძირითადი შეცდომა? ამხანაგმა ნანეიშვილმა ასეთი შეკითხვა დაუსვა ამხანაგ გეგენავას: შესაძლებელია თუ არა კერძოს შეპირისპირება ზოგადთან? შესაძლებელია, ამხანაგო ნანეიშვილო. მარქსიზმი არ უარყოფს არც ინდუქციას, არც დედუქციას. აქ არ არის შეცდომა. საკითხავია, თუ როგორ იღებს ის ამ ზოგადს, როგორ მიემართება ზოგადი კერძოს? როგორ აგებს ის პოზიტიურ სამართალს? საიდან ჩნდება მასთან ეს პოზიტიური სამართალი? ამხანაგი ნანეიშვილი ამოდის სამართლის არსის/[რაობის] ობიექტური არსებობიდან. არსებობს სამართლის არსი/[რაობა], სად არსებობს ის, საიდან მომდინარეობს და რა არის ეს სამართლის არსი/[რაობა]? ეს არ აინტერესებს ამხანაგ ნანეიშვილს: არსებობს და მორჩა. აღნიშნული სამართლის არსის/[რაობის] გარეშე, ნანეიშვილის მტკიცებით, არც პოზიტიური სამართლი შეიძლება არსებობდეს. იმის მტკიცება, რომ ამ დებულებას მარქსიზმთან არაფერი აქვს საერთო – ზედმეტია, მით უმეტეს, ამხანაგმა ნანეიშვილმა საჯაროდ აღიარა, რომ ის არ არის მარქსისტი, არ შეუქმნია და არც შეეძლო შეექმნა მარქსისტული ნაშრომი. მაგრამ, ვინაიდან ის გვთხოვს, დავეხმაროთ საკუთარი შეცდომების გარკვევაში, შევეცდები მის დაკმაყოფილებას. მას ვერ წარმოუდგენია პოზიტიური სამართლის არსებობა სამართლის არსის/[რაობის] გარეშე. ის იღებს სამართლის არსს/[რაობას], რომელშიც ის არავითარ შინაარსს არ დებს, – ვინაიდან მან თვითონ განაცხადა, რომ არაფერი იცის ამ სამართლის არსის/[რაობის] შესახებ, – თუმცა, აღნიშნული სამართლის არსის/[რაობის] გარეშე, ნანეიშვილის მტკიცებით, შეუძლებელია პოზიტიური სამართლის შექმნა. და, ეს როგორ ხდება? აი, როგორ: შემოქმედების გზით, სადღაც მფრინავი სამართლის არსი/[რაობა] პოზიტიურ სამართლად გარდაისახება, თანაც, აღნიშნული პოზიტიური სამართლის შინაარსს განაპირობებენ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები. აქ მას საინტერესო ანალოგია მოჰყავს სამართალშემოქმედსა და მხატვარს შორის, რომელიც ამა თუ იმ მხატვრულ იდეას, რომელიც, ასევე, უცნობია, თუ საიდან ჩნდება, ფუნჯის მეშვეობით ტილოზე განასახიერებს ან საჭრეთლის მეშვეობით – მარმარილოზე. ეს ანალოგია სწორედაც რომ მაძლევს უფლებას, ვამტკიცო, რომ, როცა ამხანაგი ნანეიშვილი ამბობს, ნამდვილობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები თავად განაპირობებენ სამართალშემოქმედების შინაარსსო, მაშინ

ამხანაგი ნანეიშვილი ამ სოციალურ პირობებს ისეთსავე ნედლ მასალად თვლის, როგორიც არის მარმარილო, საღებავები, ტილო, რომელთა მეშვეობით მხატვარი შემოქმედებით პროცესში საქმიანობს. ხოლო, თუ ამას სამართალშემოქმედების პროცესზე გადავიტანთ, მაშინ ასე ხდება: მე სამართალშემოქმედი ვარ, ჩემ გარშემო დაფრინავს უხილავი სამართლის არსი/[რაობა]; მე, შემოქმედი, საზოგადოებას შევყურებ, შთაგონებას ვიღებ და ვქმნი. სამართლის არსი/[რაობა] გადამყავს პოზიტიურ სამართალში. ეს პოზიტიური სამართალი ისტორიულია და, როგორც შემოქმედების შემთხვევითი აქტი, ისიც შემთხვევითია. მართალია, დღევანდელი გამოსვლით მან განსხვავებული ახსნა მოგვცა: ის უკვე უარყოფს შემთხვევითობას და აცხადებს, რომ პოზიტიური სამართლის შინაარსი მკაცრად არის დეტერმინებული სოციალური პირობებით. მაგრამ, თუ თქვენ ამას აღიარებთ, მაშინ რაღაში გჭირდებათ სამართლის არსი/[რაობა]? მაშინ სამართლის არსი/[რაობა] ხომ სრულებით არ ესადაგება პოზიტიურ სამართალს. რა გზით ხდება ამ სამართლის არსის-/[რაობის] პოზიტიურ სამართალში განივთება, რომელიც სრულად განპირობებულია იმ ნიადაგით, რომელზეც აღმოცენება, მთლიანად დამოკიდებულია ეკონომიკაზე. ნათელია, რომ სამართლის ამ მისტიკურ არსს/[რაობას], უბრალოდ, არ აქვს ადგილი. აღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარეობს მეორე შეცდომა: ამხანაგ ნანეიშვილთან სამართალი თავის ნამდვილობას იძენს ჩვენი ცნობიერების სფეროში, როგორც ლოგიკური აღიარების აქტი, თანაც, ამ აღიარების აუცილებელი შედეგია სამართლის შემსრულებლის ლოგიკური აღიარება, და, მაშასადამე, ამ სამართალთან დაკავშირებული იძულებისა და ძალადობისა. ჩვენ, მარქსისტები, ასე არ ვამბობთ. ჩვენ ვამბობთ, რომ სამართლის აღსრულება იძულებისა და ძალადობის მეშვეობით იმიტომ ხდება, რომ ყოველი სამართალი არის კლასობრივი სამართალი, გაბატონებული კლასის სამართალი და იძულების გარეშე, ჯოხის გარეშე, სამართალი არ არის სამართალი. სამართლის იძულებითი ხასიათი არის კლასობრივი ბრძოლის შედეგი: კლასები რომ არ ყოფილიყო, მათი შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლით არ იქნებოდა იძულებაც, რადგან შეფარდების ობიექტიც არ იქნებოდა: არ იქნებოდა დამონებული კლასი. სამართალი იძულებით ხასიათს იძენს, ვინაიდან მის უკან დგას სახელმწიფო, ჩაგვრის აპარატი, და არა იმიტომ, რომ ის არის მისი აღიარების წმინდა ლოგიკური პროცესი.

კიდევ ორი სიტყვა პროფ. ვაჩეიშვილთან მიმართებით. ის, თითქოსდა, უფრო მოგებიან მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ობიექტურად ჩამოაყალიბა ჩვენთვის მიუღებელი შეხედულებები. მაგრამ მე დიდი სურვილი მაქვს, რათა პროფ. ვაჩეიშვილმა გაიგოს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ეპოქაში, ისეთი ბრძოლის, როდესაც მტერი ცდილობს, ყელში გვწვდეს, ამ დროს ჩვენთვის მშვიდად, აკა-

დემიურად გვესწავლებოდეს ჩვენი კლასობრივი მტრის მოძღვრება, სრულიად მიუღებელია. და, სწორედ ასეთ მომენტში, ამხანაგი ვაჩეიშვილი ჩვენ გვაწვდის კელზენის მოძღვრებას. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ჩვენი მტრების შეხედულებებს. ასეთი გაცნობისათვის დიდ მადლობას გიხდით. მაგრამ თქვენ, ცოცხალი ადამიანი, ამ ბრძოლის მონაწილე, როცა ჩვენ გვაწვდით კელზენის მოძღვრებას, გვითხარით, ვის მხარეს ხართ: კელზენისა თუ ჩვენი? ნუთუ, ნათელი არ არის, რომ [მოძღვრების] ასეთი ჩამოყალიბება ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ეს მომენტი სავსებით ახასიათებს პროფ. ვაჩეიშვილს. და, აი, ჩვენ გვსურს: ამხანაგებმა: ნანეიშვილმა, ვაჩეიშვილმა და სურგულაძემ გაიგონ, რომ მათი დებულებები სრულიად შეუსაბამოა ჩვენს ხაზთან; მოიწონონ ეს [ხაზი], დაავადდნენ საბრძოლო ტემპებით, საბრძოლო განწყობით; გაიგონ, რომ აღნიშნულ ნიადაგზე არ შეიძლება ნეიტრალური კამათი.

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ტატულოვს.

ტატულოვი:

მე, როგორც არასპეციალისტს იურიდიულ საკითხებში, მაინტერესებს საქმის იდეოლოგიური მხარე, ვინაიდან ეს გადამწყვეტია. იურისპრუდენციის სფეროში, ისევე, როგორც სხვა დარგებში, მეთოდოლოგია განსაზღვრავს ავტორის შეხედულებათა ამა თუ იმ კონკრეტულ სისტემას. მე შევჩერდები ორი იურისტის – ნანეიშვილისა და ვაჩეიშვილის – ნაშრომებზე. ისმის შეკითხვა: როგორია აღნიშნული ავტორების მსოფლმხედველობის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ჩვენ როგორ უნდა მივუდგეთ მათ? ამასთან დაკავშირებით მე მსურს, შევეხო საკითხის დაყენებას მოცემულ დისკუსიაზე. ჩვენგან, ოპონენტი მარქსისტებისაგან, ბოლშევიკებისაგან, მოწინააღმდეგენი აკადემიურ კამათს მოითხოვდნენ, კორექტულ ტონს მოითხოვდნენ... მე ვთვლი, რომ ამ მოთხოვნებს სხვა ხასიათი აქვს. მოწინააღმდეგეებს სურთ, რომ ჩვენ მათ ისე მივუდგეთ, თითქოს მათდამი საერთო მეთოდოლოგიური პოზიციის ნიადაგზე ვდგავართ. მათ სურდათ, რათა ჩვენ რაღაც მსგავსი პოზიციების სფეროში გვეტრიალა, მაშინ, როცა მათსა და ჩვენ შორის არ შეიძლება იყოს საერთო ენა, ვინაიდან ჩვენ გვაქვს განსხვავებული და საკუთარი კლასობრივი ხასიათით ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები. თუ მოცემული თეორია მსოფლიო პროლეტარიატისათვის მტრულია, მაშინ, ნათელია, რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა, მკვეთრად უნდა გავაკრიტიკოთ ეს თეორია. ჩვენ სრულიად დაუნდობლად უნდა გამოვააშკარაოთ მისი, პროლეტარიატისათვის მტრული, კლასობრივი არსი. მე ვთვლი, რომ დისკუსიის პირველი ამოცანა

სწორედ ისაა, რომ თეორიული კამათი არ უნდა მოსწყდეს პოლიტიკურ პრობლემებს, არამედ, პირიქით, კამათი ამა თუ იმ იურიდიული თეორიების შესახებ მაქსიმალურად მიებას კონკრეტულ პოლიტიკურ პრობლემებს.

რომელ კლასს ემსახურება თქვენი იურიდიული თეორია? აი, რა შეკითხვაზე უნდა გაეცეს პასუხი და, თუ ჩვენ გავარკვევთ, რომ თქვენი იურიდიული თეორიის შინაარსი, თქვენი იურიდიული თეორიის მეთოდოლოგიური ბუნება ემსახურება ბურჟუაზიას, ჩვენ შეუპოვრად ვიბრძოლებთ თქვენ წინააღმდეგ (*მქუხარე აპლოდისმენტები).* სრულიად უდავოა, ამ დისკუსიის პირველი და ძირითადი ამოცანა ისაა, რომ გამოვამჟღავნოთ კლასობრივი ეკვივალენტი, თითოეული იურიდიული თეორიის კლასობრივი საფუძველი, რომელსაც ჩვენ გარკვევით ვაანალიზებთ, ვსწავლობთ. ჩვენ არ ვკამათობთ კამათის გამო. ჩვენ არ ვეკამათებით პროფ. ნანეიშვილს – აქვს თუ არა აზრი სამართლის არსს/[რაობას]. ჩვენ ასეთი სიტყვითი პაექრობით არც უნდა დავკავდეთ. ჩვენ თავს უნდა დავუსახოთ გარკვეული კონკრეტულ-პრაქტიკული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანა, ვინაიდან, ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, მარქსისტული თეორია ემსახურება პრაქტიკას. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მივადგეთ ყველა აქ წარმოდგენილ არამარქსისტულ თეორიას. როგორი მიზნობრივი მითითება უნდა იქონიოს ჩვენმა დისკუსიამ თეორიული კრიტიკისა და პოლიტიკური პრაქტიკის მიმართ? დისკუსიამ უნდა გაარკვიოს, იურიდიული აზრის რომელი მუშაკი შეიძლება გახდეს მარქსისტი, რომელი ადამიანები შეიძლება მივიჩნიოთ მარქსიზმთან მიახლოებულად, რომელი მათგანი შეიძლება გახდეს ჩვენი თანამგზავრი და რომელი მუშაკის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ ჩვენ ბრძოლა, როგორც ჩვენთვის მტრული იდეოლოგიის წარმომადგენელთან. მე ვფიქრობ, რომ დისკუსიამ უნდა გამიჯნოს შესაძლო და ნამდვილი თანამგზავრი იმ კლასობრივი მტრებისაგან, რომელთა თეორიების გამოსწორება შეუძლებელი იქნება, რომელთა წინააღმდეგ მხოლოდ დაუნდობელი ბრძოლა შეიძლება გამოცხადდეს. ეს სრულიად უდავოა. და, თუ ჩვენ ავიღებთ ამა თუ იმ თეორიის ობიექტურ შინაარსს, ჩვენ უნდა დავადგინოთ, თუ რამდენად მისაღები ან დასაშვებია ეს თეორია, ან ხომ არ უნდა გამოეცხადოს მას დაუნდობელი ბრძოლა. სამწუხაროდ, მე არ შემეძლო, დაწვრილებით დამემუშავებინა ნანეიშვილის ნაშრომი, თუმცა კონსპექტში საკმარისად ნათლად არის ჩამოყალიბებული მისი ნაშრომის შინაარსი თემაზე: „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“. დასახელებული თეზისების წაკითხვისას მე გამახსენდა, თუ რას ამბობდა პლეხანოვი[1] ეკლექტიკოსების შესახებ, რომლე-

[1] **გიორგი პლეხანოვი** (1856-1918) (ფსევდონიმები: Н. Бельтов, А. С. Максимов-Дружбинин და სხვ.) – მარქსიზმის თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი, რუსული და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. შედიოდა

ბიც მარქსიზმს ნებისმიერ რამეს აწებებდნენ, თუმცა მაინც ვერ შეძლეს მისი თომა აკვინელთან/[აკვინატთან][1] შეჯერება. ამხანაგი რიაზანოვი კი ამტკიცებს, რომ პლეხანოვი ამ საკითხში ცდებოდა. გერმანელი მწერალი ვილჰელმ

რსდმპ-ისა და გაზეთ „ისკრას“ ფუძემდებელთა რიცხვში. პლეხანოვი ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეთიკისა და ესთეტიკის, აგრეთვე, რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის სფეროში შექმნილი ნაშრომების ავტორია. ნაშრომები, რომლებმაც პლეხანოვს საერთაშორისო აღიარება მოუტანეს: „Социализм и политическая борьба“, „К вопросу о развитии монистического взгляда на историю“, „О материалистическом понимании истории“, „К вопросу о роли личности в истории“, „Основные вопросы марксизма“ და სხვ. [მთარგმნელი].

[1] **თომა აკვინელი** (აკვინატი) (1225-1274) – იტალიელი ფილოსოფოსი და თეოლოგი, რომელიც კათოლიკური ეკლესიის მიერ კანონიზებულია, როგორც წმინდანი, ორთოდოქსული სქოლასტიკის სისტემატიზატორი, ეკლესიის მოძღვარი, Doctor Angelicus, Doctor Universalis, “princeps philosophorum” („ფილოსოფოსთა მთავარი“), თომიზმის ფუძემდებელი, დომინიკელთა ორდენის წევრი; 1879 წლიდან აღიარებულია ყველაზე ავტორიტეტულ კათოლიკე ფილოსოფოსად, რომელმაც ქრისტიანული მოძღვრება (კერძოდ, ნეტარი ავგუსტინეს იდეები) არისტოტელეს ფილოსოფიას დაუკავშირა. ჩამოაყალიბა ღვთის არსებობის ხუთი მტკიცებულება. აკვინატი აღიარებდა ბუნებითი არსისა და ადამიანის გონის შედარებით დამოუკიდებლობას და ამტკიცებდა, რომ ბუნება სრულდება მადლში, გონი – რწმენაში, ფილოსოფიური შემეცნება და ბუნებითი თეოლოგია, რომელიც არსებულის ანალოგიაზეა დაფუძნებული – ზებუნებრივ გამოცხადებაში. 5 წლის ასაკში თომა განაწესეს ბენედიქტელთა სავანეში, სადაც მან 9 წელი გაატარა. 1239-1243 წლებში ის ნეაპოლის უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც დაუახლოვდა დომინიკელებს და გადაწყვიტა, დომინიკელთა ორდენში გაწევრიანებულიყო. თუმცა მის გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა ოჯახი და მისმა ძმებმა თომა 2 წლით სან-ჯოვანის ციხესიმაგრეში გამოკეტეს. თავისუფლების მოპოვების შემდეგ, 1245 წელს, თომა დომინიკელთა ორდენის ბერად აღიკვეცა და გაემგზავრა პარიზის უნივერსიტეტში, სადაც ალბერტ დიდის მოწაფე გახდა. 1248-1250 წლებში თომა კიოლნის უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც ის თავის მასწავლებელთან ერთად გადავიდა. 1252 წელს ის დაბრუნდა პარიზის წმ. იაკობის დომინიკელთა მონასტერში, ხოლო 4 წლის შემდეგ აკვინატი დაინიშნა დომინიკელთათვის განკუთვნილ, პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგიის მასწავლებლის თანამდებობაზე. აქ ის წერს თავის პირველ ნაშრომებს: „არსისა და არსებობის შესახებ“, „ბუნების საწყისების შესახებ“, „სენტენციებისათვის“. 1259 წელს პაპი ურბან IV აკვინატს რომში იძახებს და მომდევნო 10 წლის განმავლობაში ის ღვთისმეტყველებას ასწავლის იტალიაში – ანანიასა და რომში და, იმავდროულად, წერს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ თხზულებებს. დროის დიდი ნაწილი მან პაპის კურიასთან არსებული, საღვთისმეტყველო საკითხებსა და „მკითხველთა“ საქმეებში, მრჩევლის თანამდებობაზე გაატარა. 1269 წელს ის პარიზში დაბრუნდა, სადაც არაბი განმმარტებლებისაგან არისტოტელეს „განწმენდისათვის“ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. 1274 წელს აკვინატი გარდაიცვალა ფოსანოვას მონასტერში, გზად მიმავალი, როცა ლიონის საეკლესიო კრებაზე დასწრებას ცდილობდა. თომა აკვინატი მართავდა დისკუსიას თეოლოგიურ და ფილოსოფიურ პრობლემებზე. ის წერდა კომენტარებს ბიბლიის რამდენიმე წიგნზე, არისტოტელეს 12 ტრაქტატზე და ა.შ.. მისი უმთავრესი ნაშრომია „თეოლოგიის სუმა“ [მთარგმნელი].

გოხი ცდილობდა მარქსის შეჯერებას თომა აკვინელთან/[აკვინატთან]. ის ამბობდა, რომ მეცნიერული მარქსიზმი თომა აკვინელის/[აკვინატის] მიერ იყო აღმოჩენილი. მარქსიზმისა და იდეალიზმის შეჯერების მსგავსი სახის მცდელობა აქვს ნანეიშვილსაც, რომელიც საუბრობს პოლიტიკაზე და რევერანსს აკეთებს მარქსიზმის მიმართ, მაშინ, როცა მისი მეთოდოლოგიის საფუძველში არავითარი მარქსიზმი არ დევს. მის ნაშრომში არის იურიდიული მოვლენების ახსნის მცდელობა, ერთი მხრივ, რიკერტის[1] მოძღვრების საფუძველზე, და ჰუსერლისა, მეორე მხრივ. აქ სამართლის არსის/[რაობის] თეორიაში, ნაცვლად სამართლის ფსიქოლოგიური შემეცნებისა, მოცემულია მისი ლოგიკური შემეცნება, თანაც ის ბრუნავს ლოგიკური და ფსიქოლოგიური მოვლენების წმინდა ჰუსერლიანურ განსხვავებათა სიბრტყეში. ნანეიშვილი, სხვა მხრივ, ოპერირებს ფასეულობათა ცნებებით და, კერძოდ, სამართლებრივი ფასეულობებით. ამხანაგი ნანეიშვილის მეთოდოლოგიის მიმართ ამხანაგი ტალახაძე მართალი იყო, როცა თქვა, რომ, ძირითადად, ეს მეთოდოლოგია იდეალისტურია. მე უფრო მკვეთრადაც ვიტყვი: აქ გვაქვს იდეალიზმის ყველაზე უსიამოვნო სახე, ეს არის ლპობადი, დაცემისკენ მიმართული ბურჟუაზიის იდეალიზმი. ლენინი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა იდეალიზმის უმართებულო განადგურებასა და უკუგდებას. ის ამბობდა, რომ იდეალიზმი ცრუყვავილობაა მხოლოდ ვულგარული მატერიალიზმის თვალთახედვით. ეს არის სიცოცხლის უმტკიცესი ხის მხოლოდ ერთი მხარე, – ამბობდა ლენინი, – თუმცა ის მხარე, რომელიც უმართებულოდ გაიფურჩქნა, გაიბერა. ფილოსოფიის ისტორიაში იდეალიზმი პროგრესული მოვლენა იყო, თუმცა თანამედროვე, გახრწნისაკენ მიდრეკილი, ბურჟუაზიის იდეალიზმი დაცლილი და მავნებელია. მას უნდა ებრძოლო, რადგან ის არავითარი სიკეთის მომტანია. ნანეიშვილის შემოქმედებაში მოცემული იდეალისტური მეთოდი სწორედაც რომ ასეთი იდეალიზმია. როგორ განსაზღვრავს ნანეიშვი-

[1] **ჰაინრიხ რიკერტი** (1863-1936) – გერმანელი ფილოსოფოსი, ნეოკანტიანელთა ბადენური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში, ფილოსოფიას ეუფლებოდა სტრასბურგის უნივერსიტეტში, სადაც მისი ხელმძღვანელი იყო ვინდელბანდი, ხოლო 1886 წელს ჩავიდა ციურიხში, რათა მოესმინა ავენარიუსის ლექციათა კურსი. 1894 წლიდან რიკერტი გახდა ფრაიბურგის უნივერსიტეტის ექსტრაორდინარული, ხოლო 1896 წლიდან – ორდინარული პროფესორი. ფრაიბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელის პოსტზე მისი შემცვლელი იყო ჰუსერლი. რიკერტის ფილოსოფიურმა პოზიციამ რთული ევოლუცია განიცადა: ის ჯერ გნოსეოლოგიურ პრობლემებს იკვლევდა (შემეცნების საგანი, მეცნიერებათა კლასიფიკაცია), შემდეგ ქმნის ფილოსოფიის სისტემას, როგორც ფასეულობათა თეორიისას, ხოლო სიცოცხლის ბოლოს შეეცადა ონტოლოგიისა და მეტაფიზიკის დასაბუთებას. რიკერტმა მოახდინა ნეოკანტიანელთა, ვინდელბანდის მოძღვრებათა სისტემატიზება და საკუთარ დასკვნებში ეფუძნებოდა ავენარიუსსა (პოზიტივისტს) და მარქსს [მთარგმნელი].

ლი ნამდვილობას? „ნამდვილობა არის ყოველივე ის, რაც მოქმედებს“. ეს ნამდვილობის წმინდა პრაგმატული შეცნობაა. ამ [ცნების] ქვეშ სიამოვნებით მოაწერდა ხელს ჯეიმსიც.[1] სინამდვილის ასეთი შეცნობიდან მიიღწევა სუბიექტური მიდგომა ნამდვილობის მომხმარებლურ შეცნობაზე. ფაქტი და სამართალი – ეს, ნანეიშვილის აზრით, ნამდვილობის ორი სახეობაა. ნამდვილობა აღმოჩნდება ბევრ მიზეზსა და შედეგში, ანუ ფაქტობრივი ნამდვილობის სფეროში არსებობს მიზეზობრივი კანონზომიერება. სამართლის ნამდვილობა კი აღმოჩნდება მხოლოდ ლოგიკური აღიარების აქტში – ამტკიცებს ნანეიშვილი. მაშასადამე, სამართალი არ არის რეალური საგანი, სამართალი არ მიეკუთვნება ობიექტურ სამყაროს, არ განეკუთვნება რეალურ საზოგადოებრივ კატეგორიებს. სამართალი მიეკუთვნება ლოგიკური აღიარების სფეროს, ეს არის „წარმოსახვითი ფასეულობების“ სამყარო, ეს არის სამყარო, რომელსაც ჩვენ ჩვენივე წარმოსახვით ვქმნით. ნანეიშვილის აზრით, სამართალი არის აზრობრივი კატეგორია. სამართლის შინაარსი – ეს ის არის, რისი წარმოსახვაც ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი აზრების შინაარსი. სამართლის შინაარსი და თვით სამართალი არის ჩვენი აზრის შინაარსი, თუმცა არა ობიექტური რეალობის შინაარსი.

აი, რას ამბობს პროფ. ნანეიშვილი. ნათელია, რომ ეს არის სამართლის წმინდა იდეალისტური განმარტება და, ასევე, ნათელია, რომ ეს არის სამართლის ჰუსერლიანური განმარტება. ეს რომ სინამდვილეში ასეა, კიდევ უფრო ნათელი ხდება შემდეგი [დეფინიციიდან]: „სამართალი, რომელიც ლოგიკური აღიარების სფეროში აღმოჩნდება, ისაა, რომ მოცემულ აქტში სამართლის არსი/[რაობა] მოცემულია როგორც განხორციელების პრეტენზია“. ამხანაგი ტალახაძე აბსოლუტურად სწორად აცხადებს, როცა ამბობს, რომ ეს ნივთი დაწერილია ეზოპეს ენით.

ის, ვინც არ იცნობს ჰუსერლის, სრულებით ვერ შეძლებს ასეთ დამაბნეველ რამეში გარკვევას. ამრიგად, სამართალი აღმოჩნდება ლოგიკური აღიარების სფეროში, მაშასადამე, ლოგიკურად უნდა ვაღიაროთ სამართალი, რათა ის გახდეს „ნამდვილობა“. ამხანაგებო, საჭიროა თუ არა ამის უარყოფა? თუ თქვენ სტუდენტებს, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მსმენელებს, მცირედად მაინც განსწავლულ მარქსისტებს მისცემთ ამ სისულელეს, მაშინ ისინი ვერ შეძლებენ მასში გარკვევას, ვინაიდან ყოველი ეს მოწყვეტილია

[1] **უილიამ ჯეიმსი** (1842-1910) – ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, პრაგმატიზმისა და ფუნქციონალიზმის ფუძემდებელი და ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი. სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორები მას თანამედროვე ფსიქოლოგიის მამადაც მოიხსენიებენ. ფართოდ გავრცელდა მის მიერ 1884 წელს წამოყენებული ჯეიმსის ემოციათა თეორია. პიროვნების თეორიამ, რომელსაც ის ავითარებდა „ფსიქოლოგიის“ ერთ-ერთ თავში, დიდი გავლენა მოახდინა აშშ-ში პერსონოლოგიის ფორმირებაზე [მთარგმნელი].

რეალობისაგან, ყველაფერი ეს გამოგონილია, ყოველივე ეს იმ ადამიანის საქმიანობის შედეგია, რომელიც არ მუშაობს ნამდვილ სამართალზე, არ აკავშირებს სამართალს ამა თუ იმ კლასების რეალურ ინტერესებთან საზოგადოების რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ ზის კაბინეტში, იგონებს ყოველგვარ ფანტასტიკურ სქემებს, ათასგვარ ლოგიკურ კონსტრუქციებს, რომლებიც იმსხვრევა როგორც ქვიშა, როგორც ბანქოს სახლები, მატერიალისტური კრიტიკის უმცირესი შეხების შედეგად. ნანეიშვილმა შეიძლება არც მიიღოს ჩვენი კრიტიკა, ის იტყვის: „თქვენ ვერ შეძელით ჩემი დარწმუნება“. მართლაც, ჩვენ არ შეგვიძლია მისი დარწმუნება, ვინაიდან ის საკითხს სხვა თვალთახედვით უდგება. იმისათვის, რომ მან შეძლოს ჩვენი კრიტიკის მართებულობაში დარწმუნება, მან უნდა აღიაროს მარქსიზმის ძირითადი ჭეშმარიტება, კერძოდ, ის, რომ ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ნამდვილობას, არამედ რეალური საზოგადოებრივი სინამდვილე განსაზღვრავს ცნობიერებას. ვიდრე ის ამას არ აღიარებს, ის ჩვენ არასოდეს დაგვეთანხმება. ამიტომ ნანეიშვილის აღნიშნულ საკითხში დარწმუნება ნაკლებადშინაარსიანი საქმეა. ხოლო, თუ ჩვენ ამის შესახებ უნდა ვისაუბროთ და მისი თეორია ვაკრიტიკოთ, უპირველესად, მხოლოდ იმისათვის, რათა ავხსნათ ამ თეორიების, ამ ლოგიკური დებულებების კლასობრივი ხასიათი, რომლებშიც არც ნამდვილი სამართალია, არც ჩვენი რეალური მიწიერი სინამდვილე.

ახლა კი მსურს, თქვენი ყურადღება ერთ მომენტზე გავამახვილო. აქ ძალზე ბევრი საინტერესო აზრია, რომლებიც ფილოსოფიური კრიტიკის დიდ ინტერესს იწვევენ, თუმცა მე აქ ვეცდები ავხსნა ამ ლოგიკური დებულებების რეაქციული ხასიათი, სამართლის ჰუსერლიანური მეთოდოლოგიის რეაქციული შინაარსი. და, მართლაც, ამხანაგებო, რას ნიშნავს სამართალშემოქმედება, რას ნიშნავს პოზიტიური სამართალი ნანეიშვილის რწმენით? სამართალშემოქმედება შემოქმედებაა, რომლის მეშვეობითაც „სამართლის იდეა გადაიქცევა სამართლის მოქმედ არსად/[რაობად].

მაშასადამე, სამართალშემოქმედება არ არის სამართლის მარტივი განსახიერება რაიმე სახის საზოგადოებრივ მოქმედებასა ან რაიმე სახის საზოგადოებრივ-სამართლებრივ, რეალურ ურთიერთობებში. ეს არის სამართლის იდეის მარტივი გარდასახვა „სამართლის მოქმედ არსში/[რაობაში], სამართლის არსი/[რაობა] კი რაღაც კონკრეტული შინაარსით შეივსება, მაგრამ სწორედ როგორით – არ არის თქმული. სამართლის არსი/[რაობა] იწყებს მოქმედებას, როგორც არსის/[რაობის] კონკრეტული განსახიერება. ჩვენ რას ვიღებთ? ჩვენ ვიღებთ „პოზიტიურ სამართალს“. ავტორის პოზიტიური სამართლის არსს/[რაობის] შეიმეცნებს როგორც სამართლის პრეტენზიას მის განხორციელებაზე. სამართლის არსი/[რაობა] ისაა, რომ მას აქვს „პრეტენზია, განხორციელდეს“. სამართლის არსი/[რაობა], – ნანეიშვილის აზრით, –

არის სამართლის პრეტენზია თავისი განხორციელებისათვის, თავისი რეალიზებისათვის.

ჩვენ სრულიად განსხვავებულად განვმარტავთ სამართლის არსს/[რაობას]. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ეკონომიკურ შინაარსზე, რომელიც სამართალშია მოცემული, ვაკონკრეტებთ მის წყაროს და ვუქვემდებარებთ მას კლასობრივი ბრძოლის ისტორიულ კანონებს. ნანეიშვილისავე აზრით, ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ფორმაში, სამართალს განსხვავებული ეკონომიკური შინაარსი აქვს. ის ამბობს, რომ სამართლის არსში/[რაობაში], სამართლის ლოგიკურ შინაარსში იმალება სამართლის პრეტენზია თავის განხორციელებაზე. პროფ. ნანეიშვილი თვლის, რომ სამართლის არსი/[რაობა], ზოგადად, არ იმოსება პოზიტიური სამართლით განხორციელებული „სამართლებრივი“ ფასეულობების სისტემით. ის „პოზიტიური სამართალი“, რომელიც ჩვენთან არის განხორციელებული, ნანეიშვილის აზრით, არ ამოწურავს „სამართლის არსს/[რაობას]“. მაშასადამე, ჩვენი რეალური მართლწესრიგი სამართლის არსის/[რაობის] განხორციელების ერთერთი შესაძლო ფორმაა, რომლის გარდა, მისი განხორციელების სხვა ფორმებიც შეიძლება ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით, იმაზეა საუბარი, „რომ პოზიტიური სამართალი ხდება“, ანუ არ არის დეტერმინებული ისტორიული აუცილებლობით. ნათელია, რომ ამ მტკიცებებს აქვთ ობიექტურად ყველაზე რეაქციული არსი. ნანეიშვილი ყველგან ამტკიცებს, რომ ყოველგვარი პოზიტიური სამართალი არის რაღაც „მომხდარი“. ყველგან, სადაც ავტორი პოზიტიურ სამართალთან მიმართებით საუბრობს, ის მასზე საუბრობს როგორც უკვე „მომხდარზე“, და ხაზს უსვამს იმას, რომ პოზიტიური მართლწესრიგი შეიძლება შესრულდეს და შეიძლება არც შესრულდეს. თუ დავიწყებთ მტკიცებას, რომ ნებისმიერი პოზიტიური სამართალი არის რაღაც მომხდარი, მაშინ ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული სამართალი ყოველთვის წარმოადგენს სამართლის ლოგიკური არსის/[რაობის] განხორციელების ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევას. ჩვენთან, ოქტომბრის რევოლუციისას, პროლეტარიატმა ახალი სამართლებრივი ცხოვრება, პროლეტარიატის დიქტატურის მართლწესრიგი შექმნა. თუ ნანეიშვილის მსგავსად ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ ეს მართლწესრიგი შეიძლება მომხდარიყო, ან შეიძლება არც მომხდარიყო. რა არის ეს, თუ არა სურვილი იმისა, რომ თავი დააღწიოს იმ გარკვეული სამართლებრივი რეალობიდან, რომელიც შექმნა რევოლუციურმა პროლეტარიატმა საკუთარი რევოლუციის სიძლიერით? რა არის ეს, თუ არა სურვილი იმისა, რომ ეჭვქვეშ დადგეს ჩვენი მართლწესრიგის მართლზომიერება. მე ვამტკიცებ, რომ მხოლოდ ასეთი რევოლუციურ არსი/[რაობა] აქვს ამ „უზუსტეს“ ფილოსოფიას, ამ ფილოსოფიურ კავშირს. თუ თქვენ ამტკიცებთ, რომ პოზიტიური სამართალი არის რაღაც „მომხდარი“ და წარმოადგენს სამარ-

თლის არსის/[რაობის] რეალიზების ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევას, მაშინ ნებისმიერ დროს თქვენ ამ მტკიცებაში შეგიძლიათ ჩადოთ, როგორიც გნებავთ, ისეთი არსი/[რაობა]. სამართლის არსის/[რაობის] რეალიზების რომელი სპეციფიკური შემთხვევა, ამ ზოგადი არსის/[რაობის] რომელი შესაძლო შემთხვევა წარმოადგენს ჩვენს საბჭოთა მართლწესრიგს?

ადგილიდან:

აუცილებელი არსი/[რაობა].

ტატულოვი:

ნანეიშვილის თეორიული მრწამსის მიხედვით, ის ერთ-ერთია შესაძლოთაგან. ის ამბობს, რომ სამართალს აქვს რაღაც ლოგიკური არსი/[რაობა]; ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს რაღაც ზოგადსაკაცობრიო მუდმივი არსია/[რაობაა], ეს ალგებრული ფორმულაა, რომელსაც მრავალი ამოხსნა აქვს, და, აი, ამ ლოგიკური არსის/[რაობის] რეალიზების ერთ-ერთი შესაძლო შემთხვევა მოქმედი მართლწესრიგია. აღნიშნული თეორიის კონკრეტული საზოგადოებრივი შინაარსი უპირობოდ ღრმად არის დაშორებული ცხოვრებისაგან; ეს ფორმულა, უპირობოდ, რეაქციულია – ამაში ეჭვიც არ შეიძლება იყოს. მსგავსი თეორიების მიმართ ერთადერთი დამოკიდებულება შეიძლება იყოს ყველაზე სასტიკი თეორიული და პრაქტიკული ბრძოლის გამოცხადება. ნათელია, რომ სამართლის თეორიები, რომლებიც მსგავსი სახის მეთოდოლოგიის საფუძველზე იქმნებიან, არ შეიძლება, არ იყვნენ ყველაზე მკვეთრ დაპირისპირებაში ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სინამდვილესთან. არ არის საკმარისი იმის მტკიცება, რომ სოციალურ-ეკონომიკური ან, ზოგადად, „ფაქტობრივი პირობები“ განსაზღვრავენ პოზიტიურ სამართალს. რას ნიშნავს ფაქტობრივი პირობები? ჩვენ ვამბობთ, რომ სწორედ სოციალურ-ეკონომიკური პირობები არის ბაზისი, და არა, ზოგადად, ფაქტობრივი პირობები, რომ ისინი არიან პირველსაწყისი, ისინი არ ამოწურავენ მთელ საზოგადოებრივ სინამდვილეს, თუმცა, არიან ძირითადი მიზეზები – ამას უნდა გაესვას ხაზი. სოციალურ-ეკონომიკური პირობები „სამართალშემოქმედების“ გზით განაპირობებენ სამართლის არსის/[რაობის] გარდაქმნას სამართლის მოქმედ არსად/[რაობად]. თუ თქვენ ამას აღიარებთ, მაშინ, მოდით, ზუსტად გავავლოთ დეტერმინიზმის ხაზი. დეტერმინიზმი კი ამბობს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ისტორიულად დეტერმინებულნი არიან, რომ ერთი საზოგადოებრივი წესრიგის მეორით ჩანაცვლება იწვევს ერთი სამართლებრივი იდეოლოგიის მეორით შეცვლას. თქვენ ეს არ გაქვთ. თქვენთან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი არ არის პირველმიზანი, რადგან თქვენ მრავალგვარი გარდაქმნის შესაძლებლობას უშვებთ, სამართლის ზო-

გადი მუდმივი არსის/[რაობის] რეალიზაციის სხვადასხვა ფორმას. თქვენ ამოდიხართ სამართლის შესახებ იმ მოსაზრებიდან, რომელიც რომელიღაც სუბიექტს აქვს. აქ საუბრობდნენ ადამიანის თავის შესახებ, თუმცა აქ არ არის კონკრეტული თავი, ეს ის ცარიელი „არსია/[რაობაა]“, რომელიც უჰაერო სივრცეში დაფრინავს, ეს არის ჰუსერლიანური და მაინონგისეული[1] ლოგიკური სუბიექტი, – ზოგადად, ეს ის სუბიექტია, რომელიც აზროვნებს. ეს ის აზრია, რომელიც თავისთავად აზროვნებს. მაშასადამე, „იდეა“ გარდაიქმნება „რეალობად“, – ეს არის იდეალიზმის ყველაზე უარესი სახეობა, რომელიც დღეს ჩვენი კლასობრივი მტრების სასარგებლოდ მოქმედებს, და ჩვენ მას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

მე მსურს, მოკლედ შევჩერდე პროფ. ვაჩეიშვილის მსოფლმხედველობაზე, რომელიც გვმოძღვრავს, თუ რას ნიშნავს სახელმწიფო. გამოდის, რომ თითოეული ინდივიდი წარმოადგენს თავისებურ „მიზნებსა და მისწრაფებებს“. აქ მოცემულია საზოგადოების ფსიქოლოგიური გაგება. რა მიმართებაში იმყოფება ის საზოგადოების მარქსისტულ გაგებასთან? როგორ განმარტავს მარქსიზმი საზოგადოებას? გაიხსენეთ, რას ამბობს მარქსი „პოლიტეკონომიის კრიტიკის შესავალში“. ის ამბობდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განხორციელებისას ადამიანები შედიან გარკვეულ, ერთმანეთის ნებისაგან დამოუკიდებელ საწარმოო ურთიერთობებში. ისტორიული მატერიალიზმის საფუძველში ლენინიზმი სწორედ ასეთ, ცალკეული ადამიანების ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობებს დებს. სრულიად საპირისპირო მიმართულებით გვთავაზობს საზოგადოების დეფინიციას ვაჩეიშვილი. ის ამბობს, რომ „ინდივიდების კავშირი ქმნის ინდივიდების ერთობას, რომელსაც თავისებური მიზნები და მისწრაფებები ახასიათებს“, – ამრიგად, ნაცვლად საზოგადოების მატერიალისტური შეცნობისა, ჩვენ გვაქვს საზოგადოების იდეალისტური შეცნობა. საზოგადოების მარქსისტული შეცნობა საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს სწორედაც რომ ცალკეული ინდივიდის ცნობიერებისგან დამოუკიდებლად იღებს, და ვინაიდან აქ ვაჩეიშვილისაგან აღებული ნიშნები მთლიანად დამოკიდებულია ინდივიდის ფსიქოლოგიაზე, მაშინ აქ, რა თქმა უნდა, საზოგადოების წმინდა იდეალისტური შეცნობაა. მე

[1] **ალექსიუს მაინონგი** (1853-1920) – ავსტრიელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, რომელიც საკუთარ ონტოლოგიას ამუშავებდა – „საგნების თეორიას“ (გერმნ. Gegenstandstheorie), აგრეთვე „ფასეულობათა“ საკუთარ თეორიას, აგრეთვე, გონის თეორიის საკითხებით იყო დაკავებული. გამოყოფდა ობიექტთა სამ კატეგორიას: მატერიალურად არსებული (მთები), არამატერიალურ სამყაროში არსებული (რიცხვები), ისეთები, რომლებიც, არსებითად, არ შეიძლება არსებობდნენ (კვადრატული წრე). შექმნა საგნების კლასიფიკაცია, მის მიერ გამოყოფილი ფსიქოლოგიური აქტების ოთხი კლასის საფუძველზე (წარმოსახვა, აზროვნება, შეგრძნება, სურვილი) [მთარგმნელი].

არ შევჩერდები ვაჩეიშვილის სახელმწიფოს თეორიაზე, რომელიც სახელმწიფოს განმარტავს როგორც „საზოგადოების ორგანიზაციას საკუთარი ძალაუფლების მოსაწყობად“. სად არის აქ კლასობრივი მომენტი? ამხანაგი ტალახაძე მართალია, როცა ამბობს, რომ აღნიშნულ თეორიას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. აქ არ თქმულა სახელმწიფოს, როგორც გაბატონებული კლასის იარაღის, როგორც იძულების აპარატის შესახებ. სახელმწიფოს ეს ზოგადსაკაცობრიო შეცნობა, ჩვენი მხრიდან, მხოლოდ მკვეთრ კრიტიკას შეხვდება. ვაჩეიშვილი ზოგადად იბრძვის იმ იძულების ნიშნების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენ სახელმწიფოს შეცნობის საფუძველში ვდებთ. ის ამბობს, რომ იძულების თეორია არ იძლევა სამართლის შესახებ სრულ წარმოდგენას. ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს განმარტებისას მსგავს ნიშნებს არ შეუძლიათ როლის შესრულება. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ვაჩეიშვილი ებრძვის მარქსიზმს და, იმავდროულად, ჩვენგან აკადემიურ კრიტიკასა და მეგობრულ ტონს ითხოვს. ჩვენი ამოცანა კი ისაა, რომ გამოვააშკარაოთ, პროლეტარიატისათვის მტრული, სამართლისა და სახელმწიფოს იდეალისტური შემეცნება და გავაკრიტიკოთ ის.

თავმჯდომარე:

ამხანაგებო, სხდომის დახურვამდე, ფაქტობრივი ცნობისათვის, ნება მომეცით, სიტყვა მივცე ამხანაგ ლისოვსკის.

ლისოვსკი:

ამხანაგებო, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, გარკვეული სენსაცია იყო ჩემთვის ჩემივე მითითება იმაზე, რომ პროფ. სურგულაძემ ტენდენციურად დაამახინჯა ციტატა საკუთარი წიგნიდან. სამწუხაროდ, მე იძულებული ვარ, მოვიყვანო კიდევ ერთი სენსაციური ციტატა პროფ. სურგულაძის იმავე გერმანული წიგნიდან.

ამისაკენ მე მიბიძგებს მისი განმეორებითი გამოსვლა. შემთხვევითი როდია, რომ საუბარი ეხებოდა 92-ე გვერდს. წინა სხდომაზე, მომხსენებლის მიმართ შესიტყვებისას, რომელიც ამტკიცებდა, რომ პროფ. სურგულაძის წიგნში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლებრივ ზედნაშენს შორის ურთიერთობის საკითხი ანტიმარქსისტულად არის გაშუქებული, პროფ. სურგულაძემ განაცხადა: „მე მიგითითებთ განსაზღვრულ გვერდს, სადაც ეს საკითხი გარკვევით არის წარმოჩინებული: 92-ე გვერდზე“, ანუ იმ [გვერდზე], სადაც ჩამოყალიბებულია, რომ არსებობს სამართალსა და იმას შორის, რაც შეიძლება მოინიშნოს, როგორც ფაქტი, სამი განსხვავებული სახის ურთიერთობა. პროფ. სურგულაძე ამტკიცებდა, რომ სწორედ ამ ადგილზე ის სამართლის განმაპირობებლად სოციალურ-ეკონო-

მიკურ სტრუქტურას [თვლიდა]. მე კი ვაჩვენე, რომ ეს არ არის პროფ. სურგულაძის მიერ მითითებულ ადგილზე, რომ მან დაამახინჯა ციტატა. ამაზე პროფ. სურგულაძემ მიპასუხა: „მე სხვა ადგილიც შემიძლია მიგითითოთ"; მაშინ რა საჭირო იყო 92-ე გვერდის ციტირება? თუმცა გვიწევს იმის კონსტატაცია, რომ, თუ სხვა გვერდებზე გადავალთ, იქაც, საკუთარი მტკიცების საპირისპიროდ, პროფ. სურგულაძე სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს.

აი, მოკლედ, თუმცა სრულიად ზუსტად მე შევადგინე პროფ. სურგულაძის იმავე გერმანული წიგნის 93-ე გვერდიდან ერთი ციტატის თარგმანი. გთხოვთ, გამომიაშკარაოთ აღნიშნული თარგმანის უმართებულობა. ამ, 93-ე გვერდზე, სამი ზემოხსენებული ძირითადი ურთიერთობების შესახებ საუბრისას, კერძოდ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლებრივ ზედნაშენს შორის ურთიერთობის შესახებ ის სრულიად გარკვევით აცხადებს შემდეგს: „ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვსურს, შევნიშნოთ, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლებრივ ზედნაშენს შორის ურთიერთობის ნამდვილობის შესახებ წარმოდგენა იმისკენ სწრაფვის შედეგად, რომ მიზეზსა და შედეგს შორის ურთიერთობების ფორმის სახით წარმოგვედგინა, მიუხედავად აღნიშნული შეხედულების პოპულარობისა, უნდა ვაღიაროთ, როგორც უპირობოდ მცდარი", ანუ იმის შეცნობა, რომ სამართლის ნორმები მიზეზობრივ კავშირში არიან სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან, ზოგადად, აღნიშნული ურთიერთობების ისე წარმოჩინება, როგორც მიზეზსა და შედეგს შორის ურთიერთობა, აბსოლუტურად მცდარად უნდა ვაღიაროთ. ეს სიტყვასიტყვით წერია 93-ე გვერდზე. მაშ, როგორღა შეგიძლიათ, რომელიმე სხვა გვერდზე, იმის თქმა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები თქვენ საფუძვლად გიდევთ, როცა 93-ე გვერდზე ამბობთ, რომ ასეთი ურთიერთობა აბსოლუტურად მცდარია. რაღაც „ვინეგრეტი" გამოგდით, თუ თქვენ ერთ ადგილზე ამბობთ, რომ აბსოლუტურად მცდარია მტკიცება სოციალურ-ეკონომიკურ პირობებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს შორის კაუზალური კავშირის არსებობის თაობაზე, ხოლო მეორე ადგილზე, თითქოსდა, ამტკიცებთ, რომ პირველნი [მეორეთა] საფუძველში დევს.

ადგილიდან:

მოიყვანეთ ეს მეორე ადგილი.

ლისოვსკი:

უკვე მოვიყვანე ორი ადგილი: ერთი – ჩვენ მიერ, 92-ე გვერდზე მითითებული და ნაჩვენები, რომ თქვენ ეს ადგილი ტენდენციურად დაამახინჯეთ და, მეორე ადგილი – 93-ე გვერდზე, რომლის თაობაზე თქვენ გაჩუმება არ-

ჩიეთ. არ ვიცი, რისი იმედი ჰქონდა პროფ. სურგულაძეს: ან იმის, რომ ჩვენ სრულიად უვიცები ვართ, ან რომ ჩვენ ვერ შევძლებდით მისი თარგმანის შედარებას, ციტატის შინაარსის მისეულ ჩამოყალიბებას ციტატის ნამდვილ არსთან? როგორ შეიძლება პოლემიკის კორექტულ ფორმაზე საუბარი, როცა დაიშვება საკუთარი დაწერილის თარგმანის დამახინჯების მეთოდი. არ შეიძლება მსგავსი სახის პოლემიკა, რა სახის საბრძოლო ვნებიანობაც ჩვენ არ უნდა შემოგვქონდეს. თუმცა, როცა ეს ვნებიანობა და ასეთი მეთოდები შემოდის პროლეტარიატის იდეოლოგიის საწინააღმდეგო, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგიის დასაცავად, ისინი, უბრალოდ, მოუთმენელია.

თავმჯდომარე:

სხდომა დახურულია.

მესამე სხდომა

1930 წლის 28 ოქტომბერი

თავმჯდომარე:

ამხანაგებო, ნება მომეცით, გახსნილად გამოვაცხადო ჩვენი დისკუსიის მესამე და, იმედი მაქვს, ბოლო, დასკვნითი სხდომა. სიტყვა ეძლევა ამხანაგ ბარიგიანს. ამხანაგი ბარიგიანი დამწყები მეცნიერ-მუშაკია, [იგი] ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის (ЗКУ) ასპირანტია.

ბარიგიანი:

ამხანაგებო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს უფლებას მივცემ, აღვნიშნო, რომ პატივცემული პროფესორები – ჯაფარიძე, ნანეიშვილი, სურგულაძე და ვაჩეიშვილი საკუთარ გამოსვლებში, სხვათა შორის, დაახლოებით, შემდეგ რამეს ამბობდნენ: „თქვენ ჩვენი ნაშრომები არ წაგიკითხავთ. თქვენ საერთოდაც ვერ ერკვევით აღნიშნულ საკითხებში. ჩვენ აქამომდე თქვენ პატივს გცემდით, ვფიქრობდით, რომ თქვენ ერკვეოდით [ამ] საკითხებში, თუმცა გაირკვა, რომ საერთოდ ვერ ერკვევით მათში და თქვენთან არ არის საჭირო სამეცნიერო დავის წარმართვა“.

იმავდროულად, ჩვენ გვსაყვედურობენ დავის არასაკმარისად აკადემიური ტონისა და მისი გადამეტებული სიმძაფრის გამო, თუმცა, თუ პატივცემულ პროფესორებს დავეთანხმებით, რომ თეორიულ ნაშრომებზე გამოსვლები უფრო აკადემიურად უნდა ვაწარმოოთ, მაშინ, მითუმეტეს, უნდა ვაღიაროთ სრულიად არანორმალურად და, უბრალოდ, მიუღებლად ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: „თქვენ ხომ არაფერი გაგეგებათ, არაფერი იცით და ა.შ.“. მე მესახება, რომ პროფესორების ასეთი გამოსვლები, მართლაც და, არააკადემიური და დაუშვებელია.

შესაძლოა თუ არა, მივუთითოთ ცალკეულ ციტატებზე, სადაც კონდენსირებულია პროფესორების აზრი, შევისწავლოთ ეს ციტატები და გამოვავლინოთ აღნიშნული პროფესორების შემდგომი აზრების სვლა? შესაძლებელია თუ არა მსგავსი რამ? შესაძლებელია. ასეთი რამეც ხდება. რას არის სამეცნიერო ნაშრომი? სამეცნიერო ნაშრომი არის თხზულება, რომელიც გარკვეულ მიზნებს ისახავს და ეს მიზნები გამოთქმულია კონკრეტულ შეკვეცილ წინადადებებში, საკვანძო საკითხების სახით, ხოლო შემდეგ მიდის ამავე საკითხების დეტალიზაცია. ამრიგად იწერება და აიგება მთელი [რიგი] წიგნებისა და მიეწოდება მკითხველს და, თუ მე, მკითხველმა, შევძელი წიგნის წაკითხვისას ამ საკვანძო საკითხების დაუფლება დეტალების წაუკითხავად, მე უკვე დავეუფლე ამ წიგნის არსს და მიზანს, შესაძლოა, ეს სწორიც

არის, თუმცა ზემოხსენებული პროფესორები ამტკიცებენ, რომ ვერაფერს გაიგებ წიგნიდან, თუ მას თავიდან ბოლომდე არ წაიკითხავ. ამის განცხადებით მათ სურთ, გარკვეულ ხარისხამდე შეინიღბონ და, ამასთანავე, მსგავსი აპელაციით გაიმყარონ საკუთარი პოზიციები, რომლებიც, კიდევ ვიმეორებ, დაუშვებელია.

ვაგრძელებ. პროფ. ჯაფარიძე, აგრეთვე, ვაჩეიშვილი გუშინდელი გამოსვლისას შემდეგს ამბობდნენ: „ჩვენი ნაშრომი არ წარმოადგენს თეორიულ, სამეცნიერო ნაშრომს, არამედ, უბრალო მითითებაა, სახელმძღვანელოა სტუდენტებისათვის“. ამით მითითებულ პროფესორებს სურდათ იმის თქმა, რომ მათი ნაშრომების გაკრიტიკება, როგორც სამეცნიერო ნაშრომებისა, არ შეიძლება. მაგრამ, რამდენად სწორია ასეთი საუბარი? ვთვლი, რომ არა[სწორია], რადგან ნაშრომი, რომელიც სტუდენტებს სახელმძღვანელოს სახით ემსახურება, გარდაუვლად აიგება ამა თუ იმ თეორიულ დებულებებზე და ავითარებს მოცემულ დებულებებს. სრულიად ცხადია, რომ ეს თეორიული დებულებები შეიძლება ვაკრიტიკოთ, მიუხედავად იმისა, ეს წიგნი დისერტაციას წარმოადგენს თუ სახელმძღვანელოს. თორემ ისე გამოდის, რომ თითქოს ჩვენი პროფესორები ამბობენ: რადგან ეს ჩვენი ნაშრომი არის სახელმძღვანელო, მაშინ არცთუ ისეთი ცოდვაა, თუ ცალკეული დებულებები არასწორიაო.

როდის მერე ხდება, რომ სასწავლო სახელმძღვანელოებში არ არის მოცემული ძირითადი თეორიული დებულებები? ან რა განსხვავებაა ჩვენთვის მიუღებელ თეორიულ დებულებებს შორის – იქნება ის გამოთქმული დიდ სამეცნიერო ნაშრომში თუ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისათვის გათვალისწინებულ, მოკრძალებულ (როგორც ს. ჯაფარიძე ამბობდა), მცირე სახელმძღვანელოში? ამის თაობაზე მახსენდება ფრანგული ანეკდოტი: ერთმა ახალგაზრდა ფრანგმა ქალმა ქორწინების გარეშე გააჩინა ბავშვი. ის გაასამართლეს. სასამართლოზე თავს იმით იმართლებდა, რომ ამაში ის ვერავითარ დანაშაულს ხედავდა, რადგან სულ პატარა, პაწაწინა ბავშვი გააჩინა. და პროფესორების – ჯაფარიძისა და ვაჩეიშვილის მტკიცებაც ხომ ასეთივეა, როცა ამბობენ, რომ მათი ნაშრომები მცირე, მოკრძალებული სახელმძღვანელოებია, ამიტომაც არ არის ცოდვა, თუ მათთან იქნება ეს თუ ის მიუღებელი თეორიული დებულება.

გადავდივარ ჩემი გამოსვლის ძირითად თემაზე: მხედველობაში მაქვს ქართულ ენაზე დაწერილი პროფ. ვაჩეიშვილის წიგნი სათაურით – „სამართლის ზოგადი თეორია“. ეს წიგნი მოიცავს სამართლის შესახებ სხვადასხვა თეორიისა და სკოლის [დებულებების] ჩამოყალიბებას. ავიღოთ მე-13 და მე-14 გვერდები, სადაც პროფ. ვაჩეიშვილთან საუბარია სოციალური წესების სისტემის წარმოშობაზე, რომელსაც ის სამართალს უწოდებს (სხვათა შორის, გუშინ ვაჩეიშვილი ამტკიცებდა, რომ მისი წიგნი სულაც არ ეხება გენე-

ტიკურ საკითხებს, რომ ეს წიგნი სრულებით არ ეხება სამართლის წარმოშობის საკითხებს, თუმცა, როგორც ვხედავთ, ირკვევა, რომ ეხება სამართლის წარმოშობის საკითხებს). როგორ განმარტავს ის სამართლის წარმოშობას? „პირველყოფილი სოციალური კავშირები სუსტი დიფერენცირებით ხასიათდება. ეს უკანასკნელი ეფუძნება ჯგუფის წევრთა ბუნებრივ განსხვავებებს და მათთან დაკავშირებულ საქმიან ურთიერთობებს. ასეთ ჯგუფებში სოციალურ წესებს უკიდურესად ელემენტარული ხასიათი აქვთ; შემდგომ ეტაპებზე, როცა საზოგადოების წყობა გართულდა, წარმოიშობა განსხვავება ეკონომიკური და სოციალური დებულებების მიხედვით, წარმოიშობა განსხვავებული წარჩინებული წოდებები. გართულდა საზოგადოების წყობაც და, ისტორიულ აუცილებლობასთან ერთად, ერთსა და იმავე დროს, გართულდა სოციალური წესების სისტემაც“.

გუშინდელი გამოსვლის დროს ვაჩეიშვილი ამტკიცებდა, რომ ის მარქსისტია, რომ ის სწავლობდა მარქსიზმს, და რომ თითქმის დეტალურად იცის [მარქსის] კაპიტალი. მეც უნდა დავესესხო მარქსსა და ენგელსს, თუმცა იმის გამო, რომ უარვყო ვაჩეიშვილის იდეალისტური შეხედულებები.

[წიგნში] – „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ – მარქსი გვეუბნება შემდეგს: „საკუთარი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმართვისას ადამიანები შედიან გარკვეული, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ, საწარმოო ურთიერთობებში, რომლებიც შეესაბამება მათი მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების გარკვეულ საფეხურს. აღნიშნული საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზეც შემუშავდება სამართლებრივი, პოლიტიკური და ა.შ. ზედნაშენები“. ვაჩეიშვილთან კი სოციალური ურთიერთობები მას შემდეგ წარმოიშობა, როცა გართულდება საზოგადოებრივი სტრუქტურა. მოვიტანოთ ენგელსის ციტატა წიგნიდან – „სოციალიზმის განვითარება“. ენგელსი ამბობს: „ისტორიის მატერიალისტური შეცნობა ეფუძნება იმის გაგებას, რომ წარმოება, ხოლო წარმოების შემდეგ პროდუქტების გაცვლა არის ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობის საფუძველი“. და, სად აქვს ვაჩეიშვილს ეს წინადადება? ის არ არსებობს. შემდეგ ენგელსი ამბობს: „თითოეულ ისტორიულ საზოგადოებაში პროდუქტების განაწილება, და მასთან ერთად საზოგადოების დანაწევრება კლასებად ან წოდებებად იმაზეა დამოკიდებული, თუ რას და როგორ აწარმოებს ეს საზოგადოება და რა ხერხით ხდება წარმოებული პროდუქტის გაცვლა. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალური გადატრიალების ფესვები უნდა ვეძიოთ არა ადამიანების თავებსა და მათ მიერ მუდმივი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მზარდ შეცნობაში, არამედ წარმოებისა და გაცვლის წესის ცვალებადობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა ფილოსოფიაში, არამედ მოცემული ეპოქის ეკონომიკაში“.

თუმცა შესაძლოა, მითხრან, რომ მე ვაჩეიშვილის წიგნიდან მხოლოდ ერთ ადგილს ვიღებ. გარწმუნებთ, რომ ვაჩეიშვილის წიგნი თავიდან ბოლომდე მაქვს წაკითხული, რადგან სწორედ ასეთი მოთხოვნა იყო წამოყენებული. აი, რას წერს პროფ. ვაჩეიშვილი მისი წიგნის 28-ე-29-ე გვერდებზე სახელმწიფოს არსის შესახებ ისეთ ავტორზე დაყრდნობით, როგორიც იყო, მაგალითად, ელინეკი. ის წერს: „აქ საზოგადოება გამოყოფს სპეციალურ ორგანოებს, რომელთა ხელში რჩება ამ ნორმების ცხოვრებაში გატარების საქმე“, და შემდეგ: „პირველ საფეხურებზე თვით სოციალური ჯგუფი აღასრულებს ამ ფუნქციას (ცნობილი ნორმების ცხოვრებაში გატარებას – კ.ბ.), თუმცა შემდეგ, როცა სოციალური კავშირები ფართოვდება და მათში დიფერენცირება ხდება, ამ ფუნქციებს განსაკუთრებული ორგანოები ასრულებენ“. გავაგრძელოთ... ამავე 29-ე გვერდზე ვაჩეიშვილი, კვლავ ელინეკთან ერთად, მისი წიგნიდან – „ზოგადი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“, – ციტატის მოყვანით, და მასთან სრული თანხმობით, წერს: „სახელმწიფო არის სოციალური წესების ორგანიზების უზენაესი და რთული სახე. თანამედროვე მნიშვნელობით, სახელმწიფო არის მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგი; თანამედროვე მნიშვნელობით აღებული, ანუ იმ თვისებებით, რომელთაც მას სამართლის შესახებ [არსებული] თანამედროვე მეცნიერებები ანიჭებენ, ის არსებობს მხოლოდ განვითარების უმაღლეს საფეხურზე. იმ სოციალური კავშირების ფორმები, რომლებსაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ, მაშინ იწყებენ არსებობას, როცა საზოგადოება ბინადარი ცხოვრების მდგომარეობაში გადადის, რაც მის ეკონომიკურ განვითარებასთან არის დაკავშირებული“. სახელმწიფოს აღნიშნული განმარტების შეჯერებისას მარქსის, ენგელსისა და ლენინის შეხედულებებთან ჩვენ მაშინვე შევიცნობთ პროფ. ვაჩეიშვილის დებულებათა სრულ იდეალისტურობას. მაშინ, როცა ენგელსი, მარქსი და ლენინი, ყოველთვის და ყველგან, ხაზს უსვამენ იმას, რომ „სახელმწიფო არის კლასობრივი ანტაგონიზმის შეურიგებლობის პროდუქტი, რომელიც ეკონომიკური უთანასწორობის გამო აღმოცენდა, რომ სახელმწიფო მოწოდებულია ექსპლუატატორული მდიდრული კლასების ბატონობის შესანარჩუნებლად იარაღის, პოლიციის, რელიგიისა და სხვა ძალებით, რომ სახელმწიფო არის კლასობრივი ძალადობის იარაღი, რომ სახელმწიფო ემსახურება „კერძო საკუთრების შენარჩუნების წმინდა პრინციპს“ და ა.შ., – პროფ. ვაჩეიშვილი თავის, ე.წ. თეორიულ, წინაპირობებს იღებს სრულიად სხვა არსენალიდან.

პროფ. ვაჩეიშვილი თავის წიგნში – „სამართლის ზოგადი თეორია“ – თითქმის არსად ავლენს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სხვა მარქსისტების შეხედულებებს სახელმწიფოსა და მისი არსის შესახებ, იმავდროულად, დიდი სურვილით და ყოველგვარი კომენტარებისა და კრიტიკული დამოკი-

დებულების გარეშე ციტირებს ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან ელინეკი, კორკუნოვი, შტამლერი და სხვები. ხომ არ შეიძლება სამართლის სკოლების სხვადასხვა მიმართულების განხილვა მათი ისტორიული გენეზისით, და გვერდი აუარო მარქსისტულ მიმართულებას. მარქსისტული მსოფლმხედველობა ხომ ისეთ მიმდინარეობას წარმოადგენს, რომელიც ყველა სხვა სკოლასა თუ მიმართულებაზე უფრო მდიდარია ყველა თვალსაზრისით.

ჩვენი პროფესორი წიგნში ავითარებს სამართლებრივი აზრის მრავალ მიმართულებას, თუმცა, რატომღაც, სრულებით არ ეხება მარქსისტულ მიმართულებას. იმის თქმა ხომ მაინც იყო საჭირო, რომ ბუნებაში მარქსისტული სკოლაც არსებობს.

ადგილიდან:

ეს არ არის სამეცნიერო ნაშრომი, არამედ ქრესტომათიაა.

ბარიგიანი:

გეთანხმებით, რომ პროფ. [ვაჩეიშვილის][1] ეს ნაშრომი არ არის განსაკუთრებული სამეცნიერო ნაშრომი, თუმცა ის არც ქრესტომათიაა, არამედ სამართლის ზოგადი თეორიის კურსია. მაგრამ ის ქრესტომათია რომც ყოფილიყო, მაშინაც კი სავალდებულო იყო რაიმეს თქმა მარქსიზმისა და ლენინიზმის შესახებ.

36-ე-37-ე გვერდებზე პროფ. ვაჩეიშვილი შემდეგ აზრს ავითარებს: „ისტორიული დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სხვადასხვა ხალხის სამართალი ხშირად ზოგადი ნიშნების ერთგვაროვნებაა. რით აიხსნება ასეთი ერთგვაროვნება? თუ ჩვენ მივიღებთ ბუნებითი სამართლის ჰიპოთეზას, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ არსებობს სამართლის ნორმების ერთიანი კომპლექსი, რომელთაც აქვთ გარკვეული დამოუკიდებლობა ისტორიული ცვლილებებისაგან... დადებითი მეცნიერება კი სხვა ახსნას იძლევა: კანონზომიერია, რომ ერთგვაროვანი მიზეზები ყოველთვის იწვევს ერთგვაროვან შედეგებს. ადამიანთა საზოგადოებების არსებობისა და განვითარების პირობები, მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, მაინც დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ. კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში არის ორი ფაქტორი: ადამიანი და ის სოციალური ან ფიზიკური გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და მოქმედებს“. ნუთუ, ეს მარქსიზმია? რა თქმა უნდა, არა. ჯერ ერთი, პროფ. ვაჩეიშვილი არ იძლევა იმ საერთო ნიშნის განმარტებას, რომელიც სხვადასხვა საზოგადოების თვისებაა, მათი ისტორიული განვითარების კუთხით, მეორეც,

[1] დედანში მითითებულია: „პროფ. ნანეიშვილის“, რაც, კონტექსტიდან გამომდინარე, არ არის სწორი, ვინაიდან ბარიგიანი პროფესორ ვაჩეიშვილის ნაშრომზე საუბრობს, შესაბამისად, უნდა მიეთითოს შემდეგნაირად – „პროფ. [ვაჩეიშვილის]“ [რედ.].

– პროფ. ვაჩეიშვილი აიგივებს ერთმანეთთან ფიზიკურ და სოციალურ გარემოს, რაც, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად არასწორია, ხოლო მესამეც, და მთავარი – საზოგადოების განვითარებაში პროფ. ვაჩეიშვილი ხედავს ორ ფაქტორს, რომლებიც ნამდვილად ვერაფრით შეძლებენ საზოგადოების განვითარების ახსნას. ის სოციალური ან ფიზიკური გარემო, რომელიც პროფ. ვაჩეიშვილთან გამოყვანილია ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფუძვლად, თვითონ განიცდის სხვა რაღაცის ზემოქმედებას, და ეს რაღა არის? უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების საწარმოო ძალები, წარმოების საშუალებები და სამუშაო ძალა. აი, რა არის ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ძირითადი ფაქტორები; აი, რა არის საფუძველი, რომლის წინაშეც ვალდებულია ის სოციალური გარემო, რომელიც პროფ. ვაჩეიშვილს გამოჰყავს, როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების ფაქტორი. ეძიო ადამიანთა საზოგადოების განვითარების ფაქტორი სოციალურ და ფიზიკურ გარემოში – ნიშნავს, გაიმეორო ფრანგი მატერიალისტების – ჰოლბახის[1], ჰელვეციუსის[2] და სხვათა [ნააზრევი], რომლებიც, როგორც ვიცით, ასევე, ამბობდნენ: „გარემო გავლენას ახდენს ადამიანზე, ადამიანი კი – გარემოზე“. აღნიშნული დებულებით, ისინი, რასაკვირველია, არ ხსნიან ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების არსს. პროფ. ვაჩეიშვილიც, რომელიც ფრანგ მატერიალისტებს ბაძავს, ასევე, ექცევა იმავე მანკიერ წრეში.

იმავე სახის შეცდომები მეორდება მისი წიგნის 131-ე გვერდზე (მე შეგნებულად ვიღებ ამ გვერდს, ანუ წიგნის სიღრმიდან, რათა თქვენ არ თქვათ, რომ არ წამიკითხავს ეს წიგნი). აი, რას ამბობს აქ პროფ. ვაჩეიშვილი: „როცა ვიკვლევთ საკითხს სამართლის წარმოშობის შესახებ, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ იურიდიული ნორმები მუშავდება ადამიანის ცნობიერების მეშვეობით, თუმცა ცნობიერება სამართალს არ ქმნის სოციალური პირობების ზემოქმედებისაგან დამოუკიდებლად. ამავე პირობების ძალით იურიდიული ნორმები არის სხვადასხვა ფორმის, ჩვეულების, კანონისა და სამართლებრივი პრაქტიკის გარეგნულად ობიექტური გამოსახულება. ეს გარეგანი ფორმები ობიექტურად არსებობენ, ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ისინი ობიექტურად არიან მოცემული, და მათი შეცვლა და განვითარება ხდება საზოგადოებრივი კანონების შესაბამისად“. თუმცა იმის თქმა, რომ

---

[1] **ბარონ ჰოლბახი** (1723-1789) – ცნობილი ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი, ფრანგული მატერიალიზმის წარმომადგენელი. მისი ინტერესის სფერო იყო ათეიზმი, დეტერმინიზმი და მატერიალიზმი [რედ.].

[2] **კლოდ ადრიან ჰელვეციუსი** (1715-1771) – ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და ლიტერატორი, ფრანგული მატერიალიზმის წარმომადგენელი. მისი ინტერესის სფერო იყო ეთიკა, პოლიტიკური ფილოსოფია [რედ.].

„იურიდიული ნორმები იქმნება სოციალური პირობების მიერ“ – ეს კიდევ ძალიან ცოტაა. აქ უფრო ღრმად უნდა წავიდეთ და ავხსნათ საზოგადოების კლასობრივი ურთიერთობების სისტემა, მაგრამ არც ეს არის საკმარისი. დიდი ხანია, დამტკიცებულია, რომ საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა ფორმა: იდეოლოგია, კულტურა, ზნე-ჩვეულებები და სხვ. მოცემული საზოგადოების მატერიალური ბაზისის პროდუქტია, ხოლო ჩვენს პროფესორს იურიდიული ნორმები გამოჰყავს საზოგადოებრივი ზნეობისაგან, ჩვეულებისაგან და ა.შ. ასეთნაირად ხდება იდეალიზმის გათრევა, პროფ. ვაჩეიშვილო!

პროფ. ვაჩეიშვილმა თავის გუშინდელ გამოსვლაში განაცხადა: „მე მხოლოდ სამართლის ცალკეული სკოლები და მიმდინარეობები ჩამოვაყალიბე და უფრო მეტის მოცემა არ შემეძლო“. შესაძლებელია თუ არა, რომ პროფესორი შემოფარგლულიყო ცალკეული ავტორების მშრალი ჩამოყალიბებით და არ გამოეთქვა საკუთარი კომენტარები? ვთვლი, რომ არა. მართალია, პროფ. ვაჩეიშვილი იმდენად გაერთო „ციტატოლოგიით“, რომ მას წიგნში თითქმის არსად რჩება ადგილი, რათა საკუთარი აზრებიც ჩამოაყალიბოს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ვაჩეიშვილი გაითქვიფა ციტატებში, ის მაინც ავლენს საკუთარ დამოკიდებულებას მის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრებებისადმი.

და იქ, სადაც პროფ. ვაჩეიშვილი გამოთქვამს საკუთარ შეხედულებებს, ის, უპირობოდ, თავს წარმოგვიჩენს როგორც იდეალისტი. პროფ. ვაჩეიშვილის ანტიმარქსისტული პოზიცია ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგიის სხვადასხვა სკოლის მიმართ მისეული მიდგომიდანაც ჩანს.

მაგალითად, თუ შედარებისათვის ავიღებთ ამხანაგი სტალგევიჩის წიგნს – „საბჭოთა სამართლებრივი აზრის განვითარების გზები“ – მაშინვე ნათელი გახდა, რომ პროფ. ვაჩეიშვილთან სწორედ ასე გვაქვს საქმე. ამხანაგი სტალგევიჩი საკუთარ წიგნში თითქმის იმავე საკითხებს იხილავს, რასაც ვაჩეიშვილი, მაგალითად: „ნორმატივიზმი“, „სოციალურ ფუნქციათა თეორია“ და ა.შ.; როგორ აყალიბებს ის ამ საკითხებს? ის მათ კომენტარების თანხლებით აყალიბებს, იძლევა შესაბამის მარქსისტულ კრიტიკას, რომელიც სავსებით გასაგებად აქცევს მის მიერ განხილულ მიმართულებას, ხოლო პროფ. ვაჩეიშვილთან ვერაფერს გაიგებ, თუ სად არის ამა თუ იმ საკითხზე მისი შეხედულება და სად მის მიერ ჩამოყალიბებული ავტორების შეხედულებები. მაშასადამე, პროფ. ვაჩეიშვილი, სხვა სიკეთესთან ერთად, ცუდი იდეალისტიც არის, ის, უბრალოდ, ეკლექტიკოსია ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგიის შიგნით.

დასკვნისათვის მსურს, იმაზე მიგითითოთ, თუ რას ამტკიცებდა თავის დროზე ლენინი, კერძოდ, რომ იდეოლოგია, ზოგადად, და, განსაკუთრებით, ფილოსოფია და მეცნიერება მკაცრად კლასობრივია. ლენინისეულ „ემპი-

რიოკრიტიციზმში“ ის აზრი ვითარდება, რომ ფილოსოფია მკაცრად პარტიულია. თუ პროლეტარიატი არ დაასაბუთებს პარტიულ საწყისებზე თავის იდეოლოგიას, მაშინ ეს არ იქნება პროლეტარული იდეოლოგია. ლენინის მიერ მრავალი ფილოსოფიური მიმართულებისა და სკოლის გაკრიტიკება იმის მტკიცებას ემსახურება, რომ ყოველგვარი იდეოლოგია მკაცრად კლასობრივია.

ჩვენ კი ჩვენი მხრიდან უნდა ვთქვათ, რომ პროფ. ვაჩეიშვილის წიგნში არ არის მოცემული პროლეტარული იდეოლოგია და, შესაბამისად, მას არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო პროლეტარულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან. აქ ერთი ანდაზა მახსენდება: „ღმერთო, დაგვიცავი ჩვენი მეგობრებისაგან, მტრებს კი თვითონაც მოვუვლით“.

ამით მე დავასრულე ჩემი სიტყვა.

თავმჯდომარე:

სიტყვა ეძლევა ამხანაგ შარიას.

შარია:

ამხანაგებო, უნდა დათქმა გავაკეთო, რომ მე არ ვარ სამართლის თეორიის სფეროს სპეციალისტი და ამ დისკუსიაში მხოლოდ იმიტომ ვიღებ მონაწილეობას, რომ აქ სამართლის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება ხდება. თუ საუბარი წავიდოდა სამართლის რომელიმე სპეციალურ სფეროზე, მე, რა თქმა უნდა, არ ჩავერეოდი ამ საქმეში, ვინაიდან აქ სპეციალური ცოდნაა აუცილებელი. მაგრამ, ვიმედოვნებ, არ შევცოდავ აღნიშნულ სფეროში, ვინაიდან არ გავმართავ ექსკურსებს – ეს პირველი დათქმა.

მეორე დათქმა – მე არცთუ დიდი ხნის წინ ჩამოვედი ტფილისში; მართალია, დრო საკმარისი იყო იმისათვის, რომ გაკრიტიკებული ავტორების ყველა ნაწარმოები წამეკითხა, მაგრამ მაინც, როგორც ამ სფეროს არასპეციალისტი, მე მაინც იდეოლოგიის სხვა სფეროებით ვინტერესდებოდი და ამიტომაც ვერ გავეცანი ყველა ნაწარმოებს. მე არ შევეხები მათ, მხოლოდ პროფ. ნანეიშვილის კონცეფციაზე შევჩერდები, ვინაიდან შესაძლებლობა მქონდა, გავცნობოდი მის ნაწარმოებს.

ვიდრე დავის არსზე გადავიდოდე, მსურს, ერთ გარემოებას შევეხო – ეს არის ჩვენი დისკუსიის ხასიათი. ჩვენთვის, პარტიელებისათვის, რომლებიც ბოლშევიკურ პრინციპებს ვაღიარებთ, აღნიშნული დიკუსიის ვითარება არათუ ჩვეულებრივია, არამედ, თუ გნებავთ, არც თუ ისე მკვეთრია, როგორც სხვა დისკუსიების დროს ხდება. ის ამხანაგები კი, ვინც პირველად შეხვდა ასეთ გარემოს, რა თქმა უნდა, გაკვირვებულები არიან ამით, და ამაში, გარკვეულწილად, ჩვენ ვართ დამნაშავენი. ამ ამხანაგებმა არ იციან, თუ რა არის

კრიტიკა და ნებისმიერ კრიტიკას აღიქვამენ როგორც საქმისადმი რაღაც ორგანიზაციულ მიდგომას და თითქოს მათი ორგანიზაციული დისკრედიტაციის მცდელობას. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ კრიტიკის ტრადიცია ქართულ სინამდვილეში არცთუ [ისე] მდიდარია. მე არ ვამბობ ამ მოცემულ კერძო შემთხვევაზე, თუმცა იყო ფაქტები, როცა კრიტიკა ინტრიგადაც კი განიხილებოდა. ამხანაგებო, უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ შეგვწევს უნარი, სხვაგვარად ვაკრიტიკოთ, გარდა ბოლშევიკურისა, და ჩვენი მოწინააღმდეგენი ნუ განაწყენდებიან – ეს, უბრალოდ, ჩვენი თვისებაა, ჩვენი სპეციფიკაა, ჩვენ სხვაგვარად, თუ არაბოლშევიკურად, არ ძალგვიძს კრიტიკა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაკრიტიკებული ამხანაგები უნდა დაგვემდურონ. ჩვენი ტონი საბრძოლოა, თუმცა, ამასთანავე, აკადემიურიც. არ შეიძლება იმის თქმა, რომ აკადემიური ტონი შეუძლებელია იყოს საბრძოლო, სწორედაც რომ პირიქით, ვინაიდან პრინციპების დაცვა ხდება მგზნებარედ, ბოლშევიკურად, და არ შეიძლება სხვაგვარი ტონი იყოს, გარდა საბრძოლოსი. ამასთანავე, ვინაიდან, ამჟამად, ჩვენ წინაშე წარმოიქმნა პრობლემები, რომლებიც ქართულ სინამდვილეში არასაკმარისადაა დამუშავებული, ჩვენ გარკვეული სიმშვიდით გვიწევს ამხანაგების ყველა გამოთქმის მოსმენა. ამხანაგებო, თუ ჩვენი დისკუსია, გარკვეული დროის განმავლობაში, კიდევ გაიწელება, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგი ბოლოტნიკოვი ამის კატეგორიული წინააღმდეგია, მე მოვისურვებდი, რომ ის ნორმალურ ვითარებაში წარიმართოს, რათა ამ დისკუსიას არ ახლდეს თან რაიმე ყურით მოთრეული მომენტები.

მე განვაცხადე, რომ საკუთარ გამოსვლაში შევეხებოდი პროფ. ნანეიშვილის კონცეფციას, ვინაიდან მხოლოდ მისი ნაწარმოების გაცნობა მოვასწარი. თუმცა მას შემდეგ, რაც მე პროფ. ვაჩეიშვილის გუშინდელი გამოსვლა მოვისმინე, უნდა განვაცხადო, რომ პროფ. ვაჩეიშვილი არასწორად წარმოაჩენს მარქსიზმს და, თუ ის ამ წარმოდგენებს დაეფუძნება, ვერასოდეს შესძლებს მარქსიზმის სწორად შემეცნებას.

მან გუშინ განგვიცხადა, რომ მხოლოდ ბურჟუაზიელ მეცნიერთა თხზულებანი წარმოგვიჩინა. ამხანაგებმა უკვე საკმარისად ისაუბრეს იმაზე, რომ ნებისმიერი განცხადება იმ ავტორისადმი დამოკიდებულებას გულისხმობს, ვისი ნააზრევიც გადმოიცემა: თუ ის არ კომენტირებს, მაშასადამე, ის ეთანხმება, თუ კომენტირებს, მაშინ კომენტარებს აკეთებს საკუთარი თვალთახედვით – სწორი ან არასწორი; ეს უკვე სხვა საკითხია.

მე შესაძლებლობა მქონდა, ზედაპირულად გავცნობოდი პროფ. ვაჩეიშვილის ერთ ნაშრომს კელზენთან მიმართებით და გარკვეულ მოსაზრებამდე მივედი, კერძოდ, პროფ. ვაჩეიშვილი ეთანხმება კელზენს, სოლიდარულია მასთან. სხვაგვარად მე ვუშვებ აზრს, რომ, აი, თურმე რატომ აყალიბებდა

თითქმის 400 გვერდზე[1] პროფ. ვაჩეიშვილი და, თანაც ასეთი სიყვარულით, კელზენის აზრებს. როცა მის მიმართ იქნა ნასროლი რეპლიკა, თუ რატომ არ აყალიბებდა ის მარქსიზმს, მან უპასუხა: რომ მე არ ვაყალიბებ მარქსიზმს, რადგან მარქსისტული თვალსაზრისი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. აი, როცა პაშუკანისი, რაზუმოვსკი ან სხვები ბოლო სიტყვას წარმოთქვამენ, მაშინ მე თქვენ წარმოგიდგენთ სამართლის მარქსისტული თეორიის სახელმძღვანელოსო. ამხანაგებო, ჯერ ერთი, მარქსიზმი არ უშვებს საკუთარი თეორიის აბსოლუტურად დასრულებულ ფორმას, გარდა ძირითადი ურყევი პრინციპებისა, რომელთა საფუძველზე ცალკეული პრობლემები შემუშავდება. მარქსიზმის შიგნით ბრძოლა არის ბრძოლა მარქსიზმის განვითარებისა და გაღრმავებისათვის, რომელიც ეფუძნება მარქსიზმის ძირითადი პრინციპების აღიარებას. ამიტომ მარქსიზმის შიგნით დავა არ უნდა ავურიოთ მარქსიზმის წინააღმდეგ დავაში. მარქსიზმი არ უნდა შევიმეცნოთ პაშუკანისის (მე, პირადად, დიდ პატივს ვცემ მას და ვთვლი, რომ საკმაოდ სოლიდური მოაზროვნეა), რაზუმოვსკის, სტუჩკასა და სხვათა მეშვეობით, არამედ მარქსის, ლენინისა და ენგელსის მიხედვით. აი, როგორ უნდა შევიმეცნოთ მარქსიზმი. ეს არის ერთადერთი მიდგომა. მსგავსი მცდელობა წარმოდგენილიც კი არ ყოფილა პროფ. ვაჩეიშვილთან. რითი აიხსნება ეს? ეს იმით აიხსნება, რომ ის სკოლა, რომელსაც ეთაყვანება პროფ. ვაჩეიშვილი, არ აღიარებს მარქსს, ენგელსსა და ლენინს მეცნიერების წარმომადგენლებად. მათი აღიარება თუ ხდება, ისიც მხოლოდ სპეციალურ სფეროში – პოლიტიკის სფეროში და ა.შ. მარქსიზმი, როგორც მსოფლმხედველობა, როგორც, ზოგადად, მეთოდოლოგიური მეცნიერება, არ არის აღიარებული, ამიტომ პროფ. ვაჩეიშვილი არც იწუხებს თავს, რათა შეისწავლოს მარქსიზმის ფუძემდებლები. ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, ამაში დავინახოთ მარქსიზმისადმი გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება. მართალი იყო ამხანაგი ბარიგიანი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ეს მეცნიერები, რაღაცნაირად, არ თვლიან საჭიროდ მარქსიზმის შემეცნებას, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ მათი სამეცნიერო დისერტაცია შესაძლოა, დისკრედიტებულ იქნეს მარქსზე, ენგელსსა და ლენინზე მითითებით.

ამის შემდეგ ნება მომეცით, პროფ. ნანეიშვილზე გადავიდე. მე უნდა განვაცხადო, რომ პროფ. ნანეიშვილის წიგნაკი (მე წიგნაკს ვუწოდებ მას – მოცულობის და არა შინაარსის გამო) საკმაოდ საინტერესოა. ის ორთოდოქსული ჰუსერლიანობის სულისკვეთებითაა დაწერილი, ფენომენოლოგიური სულისკვეთებით. პროფ. ნანეიშვილი ამას არ უარყოფს და ეს ღირსებას მა-

[1] გამომსვლელ პეტრე შარიას შეცდომით აქვს მითითებული 400 გვერდი, ვინაიდან პროფ. ვაჩეიშვილის წიგნი კელზენის მოძღვრების შესახებ 184 გვერდიანია [რედ.].

ტებს მას, რომელიც თავიდან ბოლომდე თანმიმდევრულია. მე მთელი წიგნი წავიკითხე და ისეთ დასკვნამდე მივედი, რომ მასში გატარებულია ერთიანი თვალსაზრისი. პროფ. ნანეიშვილის ღირსებას ისიც უნდა მიეწეროს, რომ თავის გამოსვლაში ის სრულიადაც არ განდგომია საკუთარ პრინციპებს, არამედ საკუთარ თვალსაზრისს იცავდა. მაშ, რაშია საქმე, ამხანაგებო? საქმე ისაა, რომ პროფ. ნანეიშვილს გარკვეული სკოლა აქვს გავლილი და არა მხოლოდ სკოლა აქვს გავლილი, არამედ იმდენად გაითავისა საკუთარი პრინციპები, რომ აქ, თვითონ, საქართველოს პირობებში, ქმნის სკოლას. მან არა მარქსისტული, არამედ ბურჟუაზიული სკოლა გაიარა. ამის შემდეგ მან თავი არც კი დაივალდებულა მარქსიზმის შესამეცნებლად. ამისათვის მას ხელმძღვანელი არ სჭირდება, არამედ მხოლოდ წყაროებისათვის უნდა მიემართა. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის რთული იქნებოდა, თავისი იდეალისტური სათვალეების, საკუთარი სკოლის გავლით, მაშინვე მოეხდინა მარქსიზმში ორიენტირება და მასში გარკვევა, – მარქსიზმი ხომ, ფორმალურად, შეუძლებელია შეიმეცნო, – თუმცა მისი ნაშრომი აღნიშნული მიმართულებით მაინც გარკვეული შედეგების მოტანას შეძლებდა. თუმცა ამ მიმართულებით ჩვენი მოწინააღმდეგენი ჯერჯერობით არაფერს აკეთებენ. სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ პროფ. სურგულაძის ნაშრომებს, თუმცა პროფ. სურგულაძესთან პირადი საუბრებით, ყოველ შემთხვევაში, მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ის არ იზიარებს შვიდი წლის წინ დაწერილი საკუთარი წიგნის ძირითად პრინციპებს და, რომ მან, ამ მომენტიდან მოყოლებული, მარქსიზმის მიმართულებით ევოლუცია განიცადა. ჩვენ არა მხოლოდ სურვილი გვაქვს, მოვითხოვთ და უნდა ვითხოვდეთ კიდეც, რომ ეს ევოლუცია რაიმე გარკვეულ ფორმაში გამოიხატოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი დაჯერება. მე არ მომისმენია პროფ. სურგულაძის პირველი გამოსვლა, მისი მეორე გამოსვლა კი უფრო მეტად [იყო] ფაქტობრივი ცნობა, თავის არიდება და არა აზრის გამოხატვა დავის არსის მიმართ.

გადავალ პროფ. ნანეიშვილისეული სამართლის მეთოდოლოგიის ძირითად პრობლემებზე. პროფ. ნანეიშვილის თვალსაზრისის ძირითადი თავისებურება არის ჰუსერლიანობის თავისებურება. ეს არის აბსოლუტური განხეთქილება ფაქტობრივსა და ლოგიკურს შორის, ფაქტსა და ლოგიკას შორის. ფაქტი ალოგიკური კატეგორიაა – აი, ის თვალსაზრისი, რომელსაც იცავს ქართულ სინამდვილეში, ფილოსოფიის სფეროში, პროფ. ნუცუბიძე, რამაც, სხვათა შორის, მას საბაბი მისცა, ჩაეთვალა, თუმცა არც მთლად მოკრძალებულად, პროფ. ნანეიშვილი საკუთარ მოწაფედ. მე ვამბობ: „არც მთლად მოკრძალებულად“, რადგან ვთვლი, რომ საკუთარ თვალთახედვაში პროფ. ნანეიშვილი გაცილებით უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე პროფ. ნუცუბიძე. უფრო მეტიც, მე ვთვლი, რომ პროფ. ნანეიშვილი, ამ შემთხვევაში

ორთოდოქსია, ჰუსერლიანობის არსით, ხოლო პროფ. ნუცუბიძე ეკლექტიკოსია (ხმაური). ვინაიდან ფაქტი ანალოგიურ კატეგორიად მიიჩნევა, პროფ. ნანეიშვილის აზრით, არ შეიძლება, სამართალი შევიმეცნოთ, როგორც ფაქტი. აქედან გამომდინარე, პროფ. ნანეიშვილის საწყისი პოზიცია ფაქტისა და სამართლის ურთიერთშეპირისპირებაშია. პროფ. ნანეიშვილი არ უარყოფს იმას, რომ თვით სამართალი შეიძლება იყოს ფაქტი, მაგრამ როგორი სამართალია ეს? ეს სამართალი პოზიტიურია, მაგრამ პოზიტიური სამართალი, ან სხვაგვარად – ნამდვილი, არ ამოწურავს მთელ სამართალს – მთლიანობაში. არის სამართლის არსი/[რაობა] და ნანეიშვილი იყენებს ჰუსერლიანურ სიტყვას Sinn – ეს, თუ გნებავთ, სამართლის ეიდოსია[1]. ამრიგად, სამართალი, როგორც სამართლის არსი/[რაობა] – ზეისტორიული, მუდმივი, ლოგიკური კატეგორიაა. სამართალი, როგორც ნამდვილობა, ნამდვილობის კატეგორია, ეს არის ისტორიულობის ფაქტი. გამოდის, რომ ლოგიკა ზეისტორიულია. პრობლემა დგას მთელი თავისი სიმკვეთრით, ის სწორედაც რომ ისე დგას, როგორც ეს პრობლემა ჰუსერლმა წამოჭრა მისეულ ფენომენოლოგიაში.

მე განვაცხადე, რომ პროფ. ნანეიშვილი სამართლის სფეროში კიდევ უფრო ორთოდოქსია, ვიდრე პროფ. ნუცუბიძე, და, თუ გნებავთ, ის ჰუსერლზე უფრო მეტად ორთოდოქსია, რადგან ჰუსერლი თავის უკანასკნელ ნაშრომებში აპრიორიზმის კანტისეული ფორმისაკენ გადაიხარა. პროფ. ნანეიშვილი საკუთარ თვალსაზრისს ავითარებს თავიდან ბოლომდე. კერძოდ, პროფ. ნანეიშვილის გუშინდელი გამოსვლის არსი ასეთია: მე ვიღებ, ამბობდა ის, მხოლოდ ლოგიკური ხასიათის აუცილებლობას; აუცილებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ ლოგიკური, ფაქტობრივი აუცილებლობა არ არსებობს, ფაქტობრივი მხოლოდ ხდება, ლოგიკური კი აუცილებელია; ის რაც ხდება – ეს ერთია, ხოლო რაც არის, ეს – სხვაა. თანაც აქ ყოფიერება, ნამდვილობა ორგვარი არსით აიღება: ნამდვილობა – ემპირიული და ნამდვილობა – ლოგიკური. პირველი შემთხვევითია, მეორე – აუცილებელი, თუმცა რა გზით არის დაკავშირებული პირველი ნამდვილობა მეორე ნამდვილობასთან? ამაზე ჰუსერლიანელებს არა აქვთ პასუხი, ვინაიდან ის არ არსებობს. ემპირიული ნამდვილობა ხელმისაწვდომია გრძნობებისათვის, ხოლო მეტაფიზიკური (ლოგიკური) მხოლოდ გრძნობისა და გონისათვის – აი, სულ ეს არის, რასაც

[1] **ეიდოსი** (ძვ. ბერძნული εἶδος) – სახე, გარეგნობა, გამოსახულება, ანტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურის ტერმინი, რომელიც თავდაპირველად „ხილულს“, „იმას, რაც ჩანს“ – აღნიშნავდა, თუმცა, თანდათანობით, უფრო ღრმა არსი შეიძინა – „აბსტრაქტულის კონკრეტული ხილულობა“, „ნივთიერი მოცემულობა აზროვნებაში“; ზოგადი არსით – ორგანიზების ხერხი და/ან ყოფიერების ობიექტი. შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ფილოსოფიაში – კატეგორიის სტრუქტურა, რომელიც რაიმე ცნების საწყისს სემანტიკას განმარტავს [მთარგმნელი].

ესენი გვეუბნებიან. თუმცა ეს სრულიად არასწორი აზრია, რომელიც ჯერ კიდევ პლატონის მიერ არის დადგენილი. ჰუსერლმა რაიმე სიახლის დამატება ვერ შეძლო – მან მხოლოდ პლატონი დაიყვანა კარიკატურულ ფორმამდე.

აქ თავს იჩენს რაციონალიზმისა და ემპირიზმის პრობლემა. და, მართლაც, რა პრობლემას ისახავდა ჰიუმი[1]? უპირველეს ყოვლისა, მიზეზობრიობის მიზეზის პრობლემას. ემპირიზმის თვალსაზრისით, ის აკრიტიკებს მიზეზობრიობის კატეგორიას და ამტკიცებს, რომ აუცილებლობას არ უნდა მიეცეს ცდა, საკუთარი დაუსრულებლობისა და პრობლემურობის გამო. ამით ჰიუმმა შეარყია მეცნიერების ნაგებობა ზოგადად – ესაა ჰიუმის სკეპტიციზმის საფუძვლები.

კანტმა გადაწყვიტა მეცნიერების გადარჩენა მიზეზობრიობის დასაბუთების გზით. ის მიხვდა, რომ ემპირიზმის ნიადაგზე მისი დასაბუთება არ შეიძლება. მეორე მხრივ, რაციონალიზმი (უმთავრესად, ლაიბნიცის[2] სახით), ასევე, მიუღებელი იყო კანტისათვის, ვინაიდან მან (რაციონალიზმი) მხო-

---

[1] **დევიდ ჰიუმი** (1711-1776) – შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ემპირიზმის, ფსიქოლოგიური ატომიზმის, ნომინალიზმისა და სკეპტიციზმის წარმომადგენელი; ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ჰიუმი არის აგნოსტიკოსი, მეორე პოზიტივიზმის (ემპირიოკრიტიციზმისა და მაქიზმის) წარმომადგენელი, ეკონომისტი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, შოტლანდიური განმანათლებლობის უდიდესი წარმომადგენელი. მისი ძირითადი ნაშრომებია: „მორალური და პოლიტიკური ნარკვევები (ესე)“; „ტრაქტატი ადამიანური ბუნების შესახებ“; „კვლევა ადამიანური შემეცნების შესახებ“; „კვლევა მორალური პრინციპების შესახებ“; „ინგლისის ისტორია“; „რელიგიის ბუნებითი ისტორია“ [მთარგმნელი].

[2] **გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი** (1646-1716) – გერმანელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი, მათემატიკოსი, მექანიკოსი, ფიზიკოსი, იურისტი, ისტორიკოსი, დიპლომატი, გამომგონებელი და ენათმცოდნე. ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მეცნიერული მიღწევანი: 1. ნიუტონისაგან დამოუკიდებლად შექმნა მათემატიკური ანალიზი – დიფერენცირებული და ინტეგრალური აღრიცხვიანობა, რომელიც ეფუძნება უსასრულოდ მცირეს; 2. შექმნა კომბინატორიკა, როგორც მეცნიერება; 3. საფუძველი ჩაუყარა მათემატიკურ ლოგიკას; 4. აღწერა აღრიცხვის ორნიშნა სისტემა, ციფრებით 0 და 1; 5. მექანიკაში შემოიტანა „ცოცხალი ძალის“ ცნება (კინეტიკური ენერგიის თანამედროვე ცნების წინამორბედი და ჩამოაყალიბა ენერგიის შენარჩუნების კანონი); 6. ფსიქოლოგიაში წამოაყენა გაუაზრებლად „მცირე პერცეფციების“ ცნება და განავითარა მოძღვრება გაუაზრებელი ფსიქიკური ცხოვრების შესახებ. ლაიბნიცი იყო XVII საუკუნის ფილოსოფიის დამაგვირგვინებელი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წინამორბედი მონადოლოგიის სახელწოდებით ცნობილი ფილოსოფიური სისტემის ფუძემდებელი. მან განავითარა მოძღვრება ანალიზისა და სინთეზის შესახებ და სხვ. ძირითადი ნაშრომებია: „მსჯელობა მეტაფიზიკის შესახებ“ (Discours de métaphysique), 1685 ან 1686, გამოიცა 1846; „ახალი ცდები ადამიანის გონის შესახებ“ (Nouveaux essais sur l’entendement humain par l’auteur du système de l’harmonie préetablie), 1704, გამოიცა 1765; „მონადოლოგია“ (La Monadologie), 1714, გამოიცა 1720 და სხვ. [მთარგმნელი].

ლოდ ლოგიკურობის მიზეზობრიობა დაასაბუთა, და არა რეალური ხასიათისა. კანტმა ამოცანად დაისახა, დაეძლია როგორც რაციონალიზმის, ისე ემპირიზმის ცალმხრივობა. გამოსავალი მხოლოდ მათ დიალექტიკურ სინთეზშია, თუმცა კანტმა შემეცნების ემპირიული და რაციონალური მომენტები იმდენად მეტაფიზიკურად დაუპირისპირა ერთმანეთს, რომ საერთოდ მოიჭრა გზა სინთეზისათვის და დაადგა ყველაზე დაუოკებელი რაციონალიზმის თვალსაზრისს, მისეული აპრიორიზმის ფორმით. აპრიორიზმის თვალსაზრისით, მიზეზობრიობის კატეგორია, ისევე, როგორც ყველა სხვა კატეგორია, იძენს აუცილებლობის ხასიათს, თუმცა ეს აუცილებლობა ცარიელი, უშინაარსოა. ის წმინდა ლოგიკურ ხასიათს ატარებს. მაგრამ ლოგიკური აუცილებლობა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან ნამდვილობა არ ექვემდებარება ლოგიკას – პირიქით, ლოგიკა უნდა დაექვემდებაროს ნამდვილობას და ასახავდეს მის კანონზომიერებას. ფაქტების ალოგიკურობა მათ უფორმობას, მათ გაურკვევლობასაც ნიშნავს. ფაქტებს აფორმებს და გარკვეულს ხდის ლოგიკა. ასეთივეა კანტისეული აპრიორიზმის არსი/[რაობა].

ჰუსერლი ვერ წავიდა და ვერც შეძლებდა შორს წასვლას, ვინაიდან ეს არის გზა არსაიდან არსაითკენ – მაშინვე ჩიხში შედიხარ. სინამდვილეში ფაქტებს ფორმაც აქვთ და გარკვეულობაც. ლოგიკა მხოლოდ ასახავს ნამდვილი ფაქტების ფორმას, გარკვეულობასა და კანონზომიერებას. ფორმალური, მეტაფიზიკური ლოგიკა იღებს ფაქტებს მათი კავშირის მიღმა, მათი გადასასვლელების მიღმა, ამიტომ ის ეძებს ფაქტებს შორის კავშირებს ლოგიკური ფორმების მეშვეობით. ამასთანავე, კავშირი მოცემულია არა მხოლოდ ფაქტებს შორის, არამედ ფაქტების შიგნითაც. გარეგანი იჭრება შინაგანში და შინაგანიც იჭრება გარეგანში. ასეთია სინამდვილის დიალექტიკა ფაქტობრივი ყოფიერებისა. აქედან [გამომდინარე], ფაქტისა და ლოგიკის შეპირისპირება მოკლებულია ყოველგვარ არსს. ფაქტები არათუ რიგითია, არამედ ისინი ერთმანეთშიც იჭრებიან. სულ ტყუილად ეყრდნობოდა პროფ. ნანეიშვილი ჰეგელს, რათა დაემტკიცებინა ფაქტების სულელური უსასრულობა. ჰეგელი ამის წინააღმდეგია და ებრძვის კიდეც [ამას]. ლოგიკური რეფლექსია რეალური კანონზომიერების მხოლოდ ანარეკლია.

ფაქტისა და ლოგიკურობის შეპირისპირებას პრინციპული დუალიზმისაკენ მივყავართ, როგორც ჩვენ ამას ჰუსერლთან ვხედავთ. სულ ტყუილად ჰგონიათ მავანთ, მათ შორის პროფ. ნანეიშვილს, რომ ჰუსერლმა დაძლია დუალიზმი, სწორედაც რომ ჰუსერლმა შექმნა დუალიზმის განსაკუთრებული ფორმა, რომლის მსგავსი არ იცის ფილოსოფიის ისტორიამ.

ჰუსერლისათვის ლოგიკური კატეგორიები მუდმივია, ზეისტორიულია, ხოლო ფაქტობრივი შინაარსი – გარდამავალი, ისტორიული. რა გზით უკავშირდება ერთმანეთს ეს გარდამავალი, ისტორიული შინაარსი ზეისტორიულ

ფორმებს? აი, პრობლემა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა ჰუსერლს, თუმცა მან ეს ვერ გადაწყვიტა, მას არც შეეძლო მისი გადაწყვეტა. ჰუსერლი წავიდა უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით. მან „გადაწყვიტა“ წინააღმდეგობა წინააღმდეგობის ერთ-ერთი ელემენტის აღმოფხვრის მეშვეობით. ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით ის უნდა მივიდეს ფაქტობრივის, ანუ რეალური ყოფიერების ელიმინაციამდე.[1] ამრიგად, ჰუსერლის სისტემა არის ფორმალური, ლოგიკური იდეალიზმის, ანუ პანლოგიზმის[2] სისტემა.

ზუსტად ამავე სულისკვეთებით ნანეიშვილი თვლის, რომ სამართლის ლოგიკური აღიარება გარდაქმნის მას ნამდვილობად. რეალური ან ფაქტობრივი არის შემთხვევითი, ვინაიდან ფაქტი შეიძლება მოხდეს, თუმცა შეიძლება არც მოხდეს და ჩვენ მხოლოდ ლოგიკაში უნდა ვეძიოთ იმის აბსოლუტური საწყისი, რომ ეს ასე მოხდა და არა სხვაგვარად. სამართლის არსი/[რაობა] აუცილებელია, ის ლოგიკური ხასიათისაა, ფაქტობრივი ან პოზიტიური (ნამდვილი) სამართალი – შემთხვევითი, ის სხვაგვარიც შეიძლება ყოფილიყო. აი, პროფ. ნანეიშვილის კონცეფციის ძირითადი არსი. ამასთანავე, ამხანაგებო, დიალექტიკური თვალთახედვა არსად ეძებს აბსოლუტურ დასაბუთებას, თუ რატომ სწორედ ასე და არა – სხვაგვარად. თუმცა ისმის შეკითხვა: ნუთუ ლოგიკურ თვალთახედვას შეუძლია აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა? არავითარ შემთხვევაში, ლოგიკური აუცილებლობის არსი ხომ ჰაერში ჰკიდია, ვინაიდან ლოგიკური ნამდვილობა და ლოგიკური აუცილებლობა, ზოგადად, თავისთავად, სრულიად ცარიელი კატეგორიებია. ლოგიკური აუცილებლობა არის მხოლოდ ლოგიკური ფორმით გამოხატული, ანუ ჩვენი შეცნობის ფორმაში ბუნების ობიექტური აუცილებლობა. არც ერთ ლოგიკურ აუცილებლობას არ შეუძლია, აბსოლუტური ხასიათი ჰქონდეს, ვინაიდან ის მხოლოდ ბუნების ჩვენეული შეცნობის გარკვეული საფეხურის გამოხატულებაა. ესაა თვით ლოგიკის ისტორიულობის არსი.

ამრიგად, ლოგიკური კატეგორია სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი აზროვნების შედარებით მდგრადი (თუმცა არა აბსოლუტური) ფორმა, რომელიც ასახავს შემეცნებას, მუდმივად მოძრაობასა და დიალექტიკურ პროცესში მყოფი ყოფიერების შედარებით მდგრადი ფორმების მიმართ. ლოგიზმის თვალსაზრისით, ლოგიკური კატეგორიები ზეისტორიულია, რადგან ისინი დგანან თვით სინამდვილის მიღმა: ან ნამდვილობა, ან ლოგიკა. მაშინ კეთილი ინებეთ, დააყენოთ შემეცნების პრობლემა: რა არის შემეცნება: არის თუ არა შემეცნება ნამდვილობის შემეცნება, ან შემეცნება ლოგიკის შემეცნება-

---

1 **ელიმინაცია** (ლათ. eliminare) – განდევნა [მთარგმნელი].

2 **პანლოგიზმი** (ბერძ. πᾶν – ყველაფერი და λόγος – აზრი, სიტყვა, გონი) – მეტაფიზიკური თეორია, რომლის თანახმად ყოველივე არსებული არის გონის ანუ ლოგოსის განსახიერება [მთარგმნელი].

ა? ლოგიკა ხომ არ არის ცოდნის ობიექტი, არამედ ის ცოდნის საშუალებაა, ლოგიკური ფორმის მეშვეობით ჩვენ შევიმეცნებთ ობიექტურ სინამდვილეს, ვინაიდან ჩვენი სპეციფიკაა, რომ ობიექტური კანონზომიერება ჩვენ ლოგიკური ფორმით წარმოგვიდგება (ეს, სხვათა შორის, იმ ილუზიის საფუძველია, [როცა თვლიან], რომ ობიექტი წარმოუდგენელია სუბიექტის გარეშე). წარმოსახვისას, აზროვნებისას შეუძლებელია, ობიექტი იყოს სუბიექტის გარეშე, ვინაიდან ობიექტი გაიაზრება სუბიექტის მიერ, სუბიექტი ფიქრობს ობიექტის შესახებ. თუმცა ამ თვალსაზრისის შეზღუდულობა ისაა, რომ აზროვნებას არ შეუძლია, გასცდეს საკუთარ ფარგლებს და დადგეს ისტორიულ თვალსაზრისზე. საკითხის ლოგიკურად დაყენებისას აზროვნება ჩაიკეტება საკუთარ სფეროში, რის გამოც მასა და ყოფიერებას შორის ეძიებს ლოგიკურ მიმართებას, თუმცა არა ისტორიული მიმართებას. როგორც კი ჩვენ გავცდებით აზრისა და ყოფიერების ლოგიკური მიმართების ფარგლებს, როგორც კი დავდგებით ისტორიულ თვალსაზრისზე, – ყველაფერი შესანიშნავად არის, პრობლემა გადაწყვეტილია. მაშინ აზროვნება ჩვენ გამოგვეცხადება ყოფიერების მოძრაობისა და განვითარების ისტორიული პროდუქტის ფორმით. სამწუხაროდ, მოაზროვნეებს ერთი, არცთუ მთლად სასიამოვნო თვისება, რაღაც ფსიქოლოგიური ნიშანი აქვთ: ყველაზე ნაკლებად საუბრობენ იმათზე, ვისგანაც ყველაზე მეტს იღებენ. მე ვთვლი, რომ ჰუსერლმა განავითარა კანტის აპრიორიზმი, თუმცა გამოსახა ეს [უკანასკნელი] სხვა რედაქციით, უარესი რედაქციით. კანტი იბრძოდა იმ თანდაყოლილი დეკარტისეული[1] იდეების წინააღმდეგ, რომლებიც უკიდურესობამდეა მიყვანილი ლა-

[1] **რენე დეკარტი** (1596-1650) – ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, მექანიკოსი, ფიზიკოსი და ფიზიოლოგი, ანალიტიკური გეომეტრიისა და თანამედროვე ალგებრული სიმბოლოების შემქმნელი, ფილოსოფიაში რადიკალური ყოყმანის მეთოდის, ფიზიკაში მექანიციზმის ავტორი. 1612 წელს დეკარტმა დაამთავრა კოლეჯი, გარკვეულ დროს ქ. პუატიეში სწავლობდა სამართალს, შემდეგ – პარიზში. შემდეგ ის სამხედრო სამსახურში შევიდა (1617) – ჯერ რევოლუციურ ჰოლანდიაში (იმ წლებში საფრანგეთის მოკავშირეა), შემდეგ – გერმანიაში, სადაც მონაწილეობდა პრაღის გამო წარმართულ საბრძოლო მოქმედებებში (ოცდაათწლიანი ომის დროს). 1618 წელს დეკარტი ჰოლანდიაში დაუახლოვდა გამოჩენილ ფიზიკოსსა და ნატურალისტს – ისააკ ბეკმანს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მის მეცნიერად ჩამოყალიბებაზე. რამდენიმე წელი დეკარტმა პარიზში გაატარა, სადაც სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა და, სხვა აღმოჩენებთან ერთად, შექმნა ვირტუალური სიჩქარის პრინციპი, რომელიც იმ დროს ვერავინ შეაფასა სათანადოდ. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დეკარტის თავისუფლებისადმი ლტოლვა ცნობილი გახდა იეზუიტებისათვის, რომლებმაც მას ერეტიკოსობაში დასდეს ბრალი. ამიტომ დეკარტი საცხოვრებლად გადავიდა ჰოლანდიაში (1628), სადაც მან განმარტოებით აწარმოა სამეცნიერო კვლევები. მას გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა იმდროინდელი ევროპის საუკეთესო მეცნიერებთან (მისი ერთგული მერსენის მეშვეობით); იკვლევდა სრულიად განსხვა-

იბნიცის რაციონალიზმში, თუმცა თვითონვე დაადგა იმავე თვალსაზრისს: აპრიორული ფორმები იგივე თანდაყოლილი იდეებია.

ამრიგად, პროფ. ნანეიშვილი, – ჰუსერლთან ერთად [კავშირში] და კიდევ უფრო თანმიმდევრულად, ვიდრე ჰუსერლი, – ატარებს იმ მოსაზრებას, რომ ლოგიკა არა მხოლოდ აპრიორულია, არამედ ის არის ერთადერთი ნამდვილობა ან ნამდვილობის არსი. კანტი იმით განსხვავდება ჰუსერლისაგან, რომ, მისი აზრით, აპრიორული ურთიერთობანი დამოუკიდებელნი არიან. კანტი საკითხს აყენებს ფორმისა და შინაარსის ლოგიკური ურთიერთობის შესახებ, და არა მათი ისტორიული ურთიერთობის, და თვლის, რომ ფორმა შინაარსის გარეშე ცარიელია, ხოლო შინაარსი ფორმის გარეშე – ბრმა. თქვენ ხედავთ, კანტი, საკუთარი თავის წინაშე აყენებს დიალექტიკურ ამოცანას, თუმცა ვერ წყვეტს მას; ჰუსერლი, და მასთან ერთად ნანეიშვილი, საკუთარ კონცეფციაში დგება თვით ნამდვილობის უარყოფის თვალსაზრისზე. არსებითად, სწორედ ეს არის ნამდვილობის უარყოფა, ვინაიდან, როგორც კი თქვენ ლოგიკური მოსწყვიტეთ ნამდვილობას, როგორც კი ლოგიკური გამოაცხადეთ რაღაც განსხვავებულ ნამდვილობად, მაშინ – ან ერთი, ან მეორე – ან მონიზმი, ან დუალიზმი. პროფ. ნანეიშვილს თუ აქვს დუალიზმი? რა თქმა უნდა, აქვს. არ არსებობს იდეალიზმი, რომელიც არ გადავა დუალიზმის ფორმაში: რაიმე სახით ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში ჩვენს ბიწიერ, გრძნობით ნამდვილობას. პლატონმაც[1] კი ვერ შეძლო გრძნობითი ნამდვილობი-

---

ვებულ სფეროებს – მედიცინიდან დაწყებული, მეტროლოგიით დამთავრებული. დაბოლოს, 1634 წელს ის ამთავრებს თავის პირველ, საპროგრამო, წიგნს – „მსოფლიო“ (Le Monde), რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: „ტრაქტატი სინათლის შესახებ“ და „ტრაქტატი ადამიანის შესახებ“. თუმცა წიგნის გამოცემის პერიოდი მთლად წარმატებული ვერ აღმოჩნდა – ერთი წლით ადრე ინკვიზიციამ ლამის შეიწირა გალილეო გალილეი. ამიტომ დეკარტმა თავის სიცოცხლეში ვერ გაბედა ამ წიგნის გამოცემა. თუმცა მალევე, ერთმანეთის მიყოლებით, გამოიცა დეკარტის სხვა წიგნები: „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ (1637); „ფიქრები პირველი ფილოსოფიის შესახებ“ (1641); „თავდაპირველი ფილოსოფია“ (1644) [მთარგმნელი].

[1] **პლატონი** (ნამდვილი სახელი არისტოკლე, ქრ. შობამდე 427-347 წწ.) – პლატონი იყო ძველათენური არისტოკრატიული საგვარეულოების წარმომადგენელი: მისი დედა იყო უდიდესი ათენელი რეფორმატორისა და „შვიდ ბრძენთაგან“ ერთ-ერთის – სოლონის გვარის ქალი, მამა – ლეგენდარული ათენელი ბაზილევსის – კოდროსის შთამომავალი. ახალგაზრდობაში პლატონი იყო სოკრატეს იდეების მსმენელი, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა მოაზროვნის პიროვნებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. ქრ. შობამდე 399 წელს, სოკრატეს სიკვდილით დასჯის შემდეგ, პლატონმა პროტესტის ნიშნად დატოვა ათენი და თითქმის 30 წლის განმავლობაში იმოგზაურა მაშინდელი სამყაროს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში: ეგვიპტეში – იქაური ქურუმებისაგან ფილოსოფიას სწავლობდა, იმყოფებოდა სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში, სადაც დაუახლოვდა სიცილიელ ტირანებს, მამა-შვილს – დიონისე I-სა და დიონისე II-ს. ქრ. შობამდე 387 წელს

სათვის გვერდის ავლა, არც ჰუსერლს და პროფ. ნანეიშვილს შეუძლიათ გვერდის ავლა. ხომ უნდათ, რაღაცნაირად ახსნან პოზიტიური სამართლისა და სამართლის, როგორც არსის/[რაობის], დამოკიდებულება, მათი ურთიერთდამოკიდებულება.

და, აქ, ჩვენ წინაშე, ყველაზე აბსტრაქტულად დაყენებულია შესაძლებლისა და აუცილებლის პრობლემა. პროფ. ნანეიშვილის განმარტებით, შესაძლებელი ნამდვილზე ბევრად ფართოდაა წარმოდგენილი, სხვაგვარად არც კი შეიძლება იყოს. აბსტრაქტული შესაძლებლობა უფრო ფართოა, ვიდრე აუცილებლობა, უფრო ფართოა, ვიდრე ნამდვილობა. თუმცა კონკრეტულ ვითარებაში ნამდვილობა არის შესაძლებლისა და აუცილებლის სინთეზი. გამოდის დუალიზმი – ერთი მხრივ, სამართალი, როგორც არსი/[რაობა], საკუთარ თავში მალავს უსაზღვრო შესაძლებლობებს, საკუთარი არსებობის ფორმის თვალსაზრისით, მეორე მხრივ – სამართალი, როგორც ფაქტი (პოზიტიური სამართალი), რომელიც არის შესაძლებლისა და აუცილებლის ერთობლიობა. სამართალი ხდება შესაძლებელი სამართლის არსის/[რაობის] წყალობით. თვით არსის/[რაობის] აუცილებლობა დეკლარირებული, თუმცა დაუსაბუთებელია, ისევე როგორც იდეალიზმის ყველა წინაპირობა დეკლარირებულია. აქ როგორღა მოვიქცეთ? აქ არის საფეხურებიანი ურთიერთობა. თითქოსდა, ნამდვილმა სამართალმა მოხსნა შესაძლებლისა და აუცილებლის პრობლემა, ვინაიდან ის ნამდვილია. თითქოსდა, ნამდვილი სამართალი საკუთარ თავშივე შეიცავს თავის არსს/[რაობას], თუმცა, ნურას უკაცრავად. სამართლის არსი/[რაობა] აბსოლუტურად აუცილებელი და დამოუკიდებელია, ხოლო ნამდვილი ან პოზიტიური სამართალი მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო სამართალია. რატომ იქცა შესაძლო სამართალი ნამდვილად? აი, ზუსტად აქ, არსაიდან და უდროოდ, ხდება სხვადასხვა რეალური პირობების, მათ შორის, სოციალური პირობების მიწებებაც (სხვათა შორის,

---

პლატონი დაბრუნდა ათენში, სადაც, ქალაქის განაპირა მწვანე ზოლში, შეიძინა ბაღი, რომელსაც გმირი აკადემოსის პატივსაცემად უწოდა აკადემია. პლატონის აკადემიაში, დანარჩენ ელინ ახალგაზრდებთან ერთად, ფილოსოფიას პლატონის გენიალური მოწაფე და შეურიგებელი კრიტიკოსი – არისტოტელეც სწავლობდა. პლატონის სახელგანთქმულმა აკადემიამ თითქმის ათასწლეულის განმავლობაში იარსება და ის დახურეს მხოლოდ 529 წელს იმპერატორ იუსტინიანე დიდის ბრძანებით, როგორც წარმართობის ბოლო გადმონაშთი. პლატონის მოძღვრება ასახულია მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში, რომლებიდანაც ნაწილი შექმნილია ადრეულ ხანაში და სოკრატესადმი მიძღვნილი დიალოგების სახით არის გადმოცემული: „სოკრატეს აპოლოგია“, „პროტაგორა“, „კრიტონი“. წმინდა პლატონისეული მოძღვრება კი გადმოცემულია უფრო გვიანდელ დიალოგებში – „სახელმწიფო“, „პოლიტიკოსი“, „სოფისტე“, „პარმენიდე“. პითაგორასეული რიცხვითი მისტიკისა და რელიგიურ-მითოლოგიური მოძღვრების არსებითი გავლენით, შექმნილია პლატონის უკანასკნელი ნაშრომი – „კანონები“ [მთარგმნელი].

ძალზე გასაკვირია, რომ პროფ. ნანეიშვილი სოციალურს აიგივებს ფსიქოლოგიურთან). მე ვამბობ: „არსაიდან და უდროოდ“, რადგან, ავტორის მტკიცებით, სამართლის არსი/[რაობა] საკუთარ თავში, სავალდებულოს ფორმით, შესაძლებლობასაც შეიცავს და მისი განხორციელების ფორმებსაც.

თუ პოზიტიური სამართალი განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, მაშინ ეს უკანასკნელი, სწორედაც რომ, პოზიტიური სამართლის მიზეზობრიობის როლში გვევლინება. მაშინ სამართალი, როგორც არსი/[რაობა], არასაჭირო ხდება. ხოლო, თუ სამართლის არსი/[რაობა] თვითონ არის პოზიტიური სამართლის მიზეზი, მაშინ სოციალურ-ეკონომიკური ან სხვა პირობები ზედმეტია და პრობლემის სხვაგვარი გადაწყვეტაც აღარ გვაქვს, საკითხის სხვაგვარი დაყენებაც აღარ გვაქვს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამას არათუ მარქსიზმთან, არამედ გონიერ იდეალიზმთანაც კი არაფერი საერთო გააჩნია, რომლის მიმართ ამხანაგი ლენინი მაინც დადებითად იყო განწყობილი. და ტყუილად ხომ არ ესხმოდა თავს პროფ. ნანეიშვილი, ჰუსერლის ორთოდოქსი მოწაფე, ამის გამო ჰეგელს, რომ ის არ წარმოქმნის უფსკრულს ლოგიკურსა და ფაქტობრივს შორის.

ჰეგელმა[1] პირველმა ცადა შინაარსობრივი ლოგიკის აგება ფორმალურ-მეტაფიზიკური ლოგიკის საპირისპიროდ, მაგრამ, ვინაიდან ის ამოდიოდა იდეალისტური, მაშასადამე – მეტაფიზიკური პრინციპებიდან, მან ვეღარ

---

[1] **გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ ჰეგელი** (1770-1831) – გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი მამამთავარი. იგი 1816-1818 წლებში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, ხოლო 1818-1831 წლებში ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი იყო. მთავარი ნაშრომი სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში არის „სამართლის ფილოსოფია“ (1821). მისი მეთოდოლოგიური პრინციპია: აბსოლუტური ცოდნა მიიღწევა მხოლოდ ერთიან ფილოსოფიურ სივრცეში, რომელმაც შეიძლება ახსნას ყველა საკუთარი კატეგორიისა და ცნების შინაარსი, მათ ლოგიკურ ურთიერთკავშირში. ასეთი სისტემის მთლიანობის უზრუნველყოფა შეიძლება დიალექტიკის მეშვეობით, რომელიც არის თეორიული ცნებებისა და, მათ შორის, გარდამავალი დებულებების სტრუქტურის გამოკვლევის მეთოდი. დიალექტიკა არის შემეცნების ერთადერთი ჭეშმარიტი ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა, ჩამოვაყალიბოთ თეორია, ერთი ცნებიდან მეორეზე აზრის თანმიმდევრული განვითარების მეშვეობით. ამ მეთოდის გამოყენებით, ჰეგელმა ჩამოაყალიბა ფილოსოფიური სისტემა, რომლის შემადგენელი ელემენტებია: ლოგიკა, ბუნების ფილოსოფია და სულის ფილოსოფია. თითოეული ნაწილი იყოფა რამდენიმე მოძღვრებად. სახელმწიფოსა და სამართალს ის მიაკუთვნებდა სულის ფილოსოფიას და მისი შემეცნების საგნად მიიჩნევდა. სულის ფილოსოფიაში განხილულია ადამიანის შეგნების განვითარების პროცესი, რომელშიც მან გამოყო რამდენიმე საფეხური: ა) სუბიექტური სული (ანთროპოლოგია, ფენომენოლოგია, ფსიქოლოგია); ბ) ობიექტური სული (აბსტრაქტული სამართალი, მორალი); გ) აბსოლუტური სული (ხელოვნება, რელიგია, ფილოსოფია). სახელმწიფო და სამართალი მიეკუთვნება ობიექტურ სულს [მთარგმნელი].

შეძლო თანმიმდევრული დიალექტიკის მოცემა. ჩვენ ვიცით, რომ ჰეგელის შინაგანი წინააღმდეგობა სწორედ ისაა, რომ მან ლოგიკური ფორმებისა და რეალური შინაარსის ერთობლიობა მეტაფიზიკურ საფუძველზე განავითარა და, საბოლოო ჯამში, ლოგიკურ საფუძველზევე მათი გაიგივების თვალსაზრისს დაადგა.

რაც შეეხება ლოგიკას – ეს არის ჩვენი აზროვნების სპეციფიკა, ეს არის ჩვენი აზროვნების ფორმა. ჩვენი აზროვნების ობიექტურობა ისაა, რომ ის ასახავს ობიექტურ სინამდვილეს. ლოგიკური ფორმის ობიექტურობა ისაა, რომ ეს ლოგიკური ფორმები, ფსიქოლოგიურის საპირისპიროდ, ობიექტურ კანონზომიერებას ასახავენ. პროფ. ნანეიშვილი სამართლის სფეროში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ იბრძვის, თუმცა ცუდი ხერხებით იბრძვის.

ორი სიტყვით შევეხები საკითხის ისტორიას. ერთი მხრივ, ჰუსერლი თითქოსდა აზრის რევოლუციონერად გვევლინება, ვინაიდან ჰუსერლი ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს. ეს და მხოლოდ ესაა ჰუსერლის ფილოსოფიის ჯანსაღი ბირთვი, როცა ის საკუთარი „ლოგიკური გამოკვლევების“ პირველ ტომში გამოდიოდა ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ. მაგრამ, როცა ჰუსერლის ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ იბრძვის ლოგიზმის ნიადაგზე, ის მეორე უკიდურესობაში ვარდება. ფსიქოლოგიზმსა და ლოგიზმში იდეალიზმის ორი ფორმაა გამოხატული – იდეალიზმი ემპირიული და იდეალიზმი რაციონალისტური. ლოგიზმის ნიადაგზე ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სრულიად შეუძლებელია; შეუძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ლოგიკა ყოველთვის განპირობებულია ფსიქოლოგიით და, ასე თუ ისე, მასთან არის დაკავშირებული. ფსიქოლოგიზმთან ბრძოლა მხოლოდ მატერიალისტური ობიექტივიზმის ნიადაგზეა შესაძლებელი.

მატერიალისტურ ობიექტივიზმს კი საერთო არაფერი აქვს ლოგიკურთან, ანუ რაციონალისტურ იდეალიზმთან, რადგან მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ლოგიკური ფორმები ობიექტური სინამდვილის შემეცნების მიახლოებული საფეხურია, მაშინ, როცა, იდეალიზმის თვალთახედვით, სწორედ ლოგიკური ფორმებია ჭეშმარიტი ნამდვილობა. ლენინი მუდმივად იმეორებდა თავის IX კრებულში აზრს (ახლა არ მაქვს ხელთ ციტატა), რომ ლოგიკური კატეგორია სხვა არაფერია, თუ არა შემეცნების საფეხური, თუ არა ლოგიკურ ფორმაში გამოხატული ადამიანის მიერ მილიონჯერ განმეორებული ცდა. აი, ფაქტისა და ლოგიკის ერთობა.

ფაქტი კი არ არის ალოგიკური კატეგორია, არამედ თვითონ ლოგიკა არის ფაქტების ლოგიკა. აზროვნება არის არა მხოლოდ ფაქტის თაობაზე მსჯელობა, არამედ თვით ფაქტიც. აზროვნება თვით არის ნამდვილობა, ან, უფრო სწორად, ნამდვილობის ნაწილი (არამექანიკურად გაგებული).

აზროვნებისა და ყოფიერების გახლეჩა, ამასთანავე, ყოფიერების დაყვანა ფაქტის საფეხურამდე, ფაქტისათვის ნამდვილობის ჩამორთმევა, ერთადერთ ნამდვილობაში მხოლოდ ლოგიკური კატეგორიების აყვანა – აი, ჰუსერლის ფილოსოფიის ძირითადი დახასიათება, აგრეთვე, პროფ. ნანეიშვილის სამართლებრივი კონცეფციის დახასიათება. პროფ. ნანეიშვილი თვლის, რომ ფაქტები ისტორიული კატეგორიაა; ლოგიკა ან ლოგიკური ნორმები – ზეისტორიული კატეგორია. ახლა, კეთილი ინებეთ და გადაწყვიტეთ პრობლემა, თუ რა გზით ხდება ისტორიულის ზეისტორიულთან დაკავშირება; პრობლემა, რომელიც იდგა ჰეგელის ფილოსოფიის წინა პერიოდში; პრობლემა, რომელიც წითელ ხაზად გასდევდა ყველა ფილოსოფიურ სისტემას; პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ჰეგელი ცდილობდა იდეალისტურ საფუძველზე, თუმცა იმავდროულად, შინაგან ბრძოლაში – იდეალიზმის წინააღმდეგ; პრობლემა, რომლის რესტავრირებას ჰუსერლიც ცდილობდა, თუმცა, რომლის გადაჭრის ნაცვლად მან პრობლემის შერყვნა მოგვცა; ისტორიულობის მიზეზი – ზეისტორიულობა, ზეისტორიული ნამდვილობა – ერთადერთი რეალური ნამდვილობაა.

მარქსიზმის თვალსაზრისით, ყველაფერი ისტორიულია, ისტორიული – არამხოლოდ შინაარსი, არამედ – ფორმაც არის. ხშირად გვიწევს იმის მოსმენა, რომ ლამის ყველა სახის თვალსაზრისი თანასწორია. აი, ეს კი ნამდვილი ფსიქოლოგიზმია. ჩვენ არამხოლოდ ვიცავთ მარქსიზმს, ჩვენ მას ერთადერთ სწორ და მეცნიერულ მსოფლმხედველობად მივიჩნევთ. ჩვენ მოვითხოვთ ლოგიკურ თანმიმდევრულობას, რომელიც ასე აუცილებელია მოაზროვნისათვის. ჩვენ მათ ვეკითხებით: რამდენად შესაძლებელია პრობლემის სხვაგვარი გადაწყვეტა, გარდა მარქსიზმისა, რამდენად შესაძლებელია საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა, გარდა ზოგადის არსებობისა ერთეულის გავლით, ზოგადის არსებობისა – განსაკუთრებულის გავლით; რამდენად შესაძლებელია სხვაგვარი თვალსაზრისი, რომელიც თვლის, რომ ზოგადი განსაკუთრებულისაგან დამოუკიდებელია, ერთეულისაგან დამოუკიდებელი? ყოველგვარი იდეალიზმის ცოდვა ხომ ისაა, რომ ზოგადი – აზრის ფორმით – მოსწყდება განსაკუთრებულსა და ერთეულს იმის ვერგაგებაში, რომ ზოგად აზრში არის ზოგადის ობიექტურ სინამდვილეში გამოსახვა.

აგრეთვე, იდეალიზმი თვლის, რომ ლოგიკა ფაქტებს შორის მოქმედებს, რომ ის მათ შორის კავშირს იძლევა, და აქ თქვენ გაქვთ მექანისტური თვალსაზრისი. ფაქტი მკაცრად ინდივიდუალურია; ერთი ფაქტიდან მეორეში გადასვლა არ ხდება: მხოლოდ ლოგიკა, რომელსაც თავად საერთო არაფერი აქვს ფაქტთან, რაღაც გასაიდუმლოებულ შუამავლად გამოდის ფაქტებს შორის. რით აკავშირებენ ცალკეულ ფაქტებს? ფაქტებს შორის არ არის შინაგანი გადასვლა, არ არის სინთეზური ერთობა, ხოლო ლოგიკური ყველაფრის

გადამრჩენ საშუალებად გვევლინება. არის რა ფაქტების მიმართ უცხო, ის რაღაცნაირად ეწებება ფაქტებს და კრავს მათ ერთიანობაში. ესაა კანტის ძირითადი ცოდვა: ის თვლიდა, რომ სინთეზი არის ცნობიერების საქმე, რომ ობიექტური სინთეზი არ არსებობს. აი, რატომაც აკრიტიკებდა ჰეგელი კანტს – უპირველეს ყოვლისა, მისი სუბიექტივიზმისათვის. ჰეგელმა სწორად მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, კანტი ეყრდნობოდა ტრანსცენდენტულ[1] სუბიექტს, ტრანსცენდენტული სუბიექტიც, საბოლოო ჯამში, სუბიექტია. კანტი (და ყველა იდეალისტი) თვლიდა, რომ ლოგიკა დამოუკიდებელია, – პირიქით, რეალური შინაარსი, რომელიც ქაოსურია, გაფორმდება და განისაზღვრება ლოგიკით. აქედან ერთადერთი დასკვნა – სუბიექტურ-იდეალისტური ობიექტი არ შეიძლება არსებობდეს სუბიექტის გარეშე, რადგან მისი გაფორმება ლოგიკური ფორმებით ხდება. უფორმო შინაარსის არსებობა წარმოუდგენელია. მაშასადამე, ობიექტი არსებობს სუბიექტში; ხოლო, თუ ობიექტიც იძენს საკუთარ ფორმებს, მაშინ გამოდის პარალელიზმი ლოგიკურსა და ობიექტურ ფორმებს შორის. აქ ჩვენ ვიღებთ დუალიზმს. მაგალითად, პროფ. ნანეიშვილის აზრით, სამართლის ობიექტური არსი/[რაობა] ნამდვილ ან პოზიტიურ სამართალზეა დამოკიდებული. ლოგიკურსა და ნამდვილ არსსა/[რაობას] შორის განხეთქილებას ვიღებთ. პირველი – ზეისტორიულია, მეორე – ისტორიული. როგორ დავაღწიოთ თავი შინაგან წინააღმდეგობას? უნდა დავუშვათ, რომ პოზიტიურ სამართალს არ აქვს საკუთარი შინაგანი არსი/[რაობა], იგი მას გარედან იღებს. ვიღებთ ალტერნატივას: ან პოზიტიური სამართალი სინთეზია, ან ის ლოგიკური, არსობრივი სამართლის პარალელურია. ვიღებთ ორი რიგის კანონზომიერებას – მომხდარი კანონზომიერების რიგს და ლოგიკური, აუცილებელი კანონზომიერების რიგს, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად მოძრაობენ, ერთმანეთს არასდროს კვეთენ და ერთობისაკენ არ მიდიან.

ახლა, ამხანაგებო, კეთილი ინებეთ, აღნიშნული თვალთახედვიდან ახსნათ ფაქტობრივისა და აუცილებლის კავშირი. თუ თქვენ ახსნით ლოგიკურს, – გვერდზე რჩება ფაქტობრივი ან – პირიქით. არ შეიძლება ფაქტების ლოგიკური ახსნა, ვინაიდან თქვენ უღალატებდით ფაქტებისა და ლოგიკის შეპირისპირების თქვენსავე პრინციპს. ერთმანეთისათვის უცხო ფაქტი და ლოგიკა, ანუ პოზიტიური სამართალი და სამართლის არსი/[რაობა] [ერთმა-

[1] ფილოსოფიურ-ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც XIX საუკუნეში აშშ-ში შეიქმნა. ფილოსოფიაში ტრანსცენდენტალებზე არსებითი გავლენა მოახდინეს კანტმა და გერმანული იდეალიზმის სხვა წარმომადგენლებმა – ფიხტეს ინდივიდუალიზმმა და შელინგის პანთეიზმმა. ტრანსცენდენტალიზმის ძირითადი იდეებია: „ღვთის წინაშე თანასწორი“ ადამიანების სოციალური თანასწორობა, სულიერი ჰარმონიზაცია, ბუნებასთან სიახლოვე, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების განწმენდას „ვულგარულ-მატერიალური“ ინტერესებისგან და ა.შ. [მთარგმნელი].

ნეთთან] შეკავშირებისათვის საჭიროებენ მესამე ელემენტს ზუსტად ისევე, როგორც გონებისა და გრძნობის კავშირი კანტისაგან მოითხოვდა მესამე, განმაზოგადებელ ელემენტს. კანტი განმაზოგადებელ ელემენტს პოვებს იმ ე.წ. ტრანსცენდენტულ სქემაში, პროფ. ნანეიშვილი, თუ არ ვცდები, – სამართალშემოქმედებით აქტში. მაგრამ, როგორც კანტი ვერ გადაარჩინა ტრანსცენდენტულმა სქემამ (სხვათა შორის, კანტი ამას თვითონ აღიარებს ბეკისათვის[1] გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში), ზუსტად, ასევე, ვერ გადაარჩენს ნანეიშვილს მისი სამართალშემოქმედებითი აქტი. ნამდვილობისა და ნამდვილობის არსს/[რაობას] შორის განხეთქილება – ეს არის ნებისმიერი, განსაკუთრებით ჰუსერლიანული იდეალიზმისათვის დამახასიათებელი თავისებურება. გადარჩენას შეძლებს მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი. აი, რატომ ვთვლით, რომ მარქსიზმი არის ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობა. დაამტკიცეთ, გეთაყვა, რომ ეს ასე არ არის, რომ სხვა, რომელიმე თვალსაზრისს შეუძლია, პრეტენზია განაცხადოს მეცნიერულობაზე. მე ვამტკიცებ, რომ არ შეგიძლიათ ასეთი პრეტენზიის განცხადება, რადგან სხვა თვალთახედვა ნამდვილობასა და მის არსს შორის განხეთქილებაა, რაც, არსებითად, თვით ნამდვილობის უარყოფა არის. სხვა მოსაზრება ეძიებს არსს/[რაობას] თვით ნამდვილობის მიღმა, ნამდვილობის კანონზომიერებას ეძიებს თვით ნამდვილობის მიღმა, ხოლო მარქსიზმი ნამდვილობის არსს/[რაობას] პოვებს თვით ნამდვილობაში. ნამდვილობა არც ისეთი ღარიბი და უძლურია, რომ ვერ დაიტიოს საკუთარ თავში თავისივე არსი. იდეალიზმი ჯიუტად თავს გვახვევს ამას. იდეალიზმი არ არის მეცნიერული თვალსაზრისი. რატომ არის, რომ აქამომდე შენარჩუნებულია იდეალიზმი? იმიტომ, რომ ის იკვებება სოციალური ფესვებით, ეს კი იმას ნიშნავს, ამხანაგებო, რომ თითოეული, ვინც იცავს იდეალიზმს, შეგნებულად თუ შეუცნობლად ასახავს რეაქციული კლასის იდეოლოგიას, ამ შემთხვევაში – ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. ამიტომაც ჩვენ მიერ იდეალიზმი კლასიფიცირდება როგორც რეაქციული თვალთახედვა. რატომ რეაქციული? იმიტომ, რომ ის რყვნის ნამდვილობის არსს/[რაობას] და განაიარაღებს სოციალურ ადამიანს და მის დამოკიდებულებას ობიექტური ნამდვილობის მიმართ.

იმისათვის, რათა სოციალურ ადამიანს აქტიური დამოკიდებულება ჰქონდეს ობიექტურ ნამდვილობასთან, მან უნდა შეიმეცნოს მისი არსი/[რაო-

[1] **კრისტიან დანიელ ბეკი** (1757-1832) – გერმანელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი. მეცნიერს ორასამდე თხზულება აქვს დაწერილი, მათ შორის: "Anleitung zur Kenntnis der allgemeinen Welt- und Völkergeschichte" (ლაიფციგი, 1787-1807); "Ueber die Würdigung des Mittelaltes" (1812); "Commentarii historici decretorum relig. christ. et formulae Lutheranae" (1801) და სხვ. მისი ლექციების მოსასმენად ადამიანები მთელი გერმანიიდან ჩადიოდნენ [მთარგმნელი].

ბა], უნდა გამოააშკარაოს ნამდვილობის მოძრაობის შინაგანი კანონზომიერება და არა ეძიოს ეს კანონზომიერება ნამდვილობის ფარგლებს მიღმა. პოზიტიური სამართლის ნამდვილობის მიზეზების მოძიება პროფ. ნანეიშვილს თვით ნამდვილობაში შეეძლო, მას მათი მოძიება სოციალურ-ისტორიულ სინამდვილეშიც შეეძლო. ის რომ მისდგომოდა სამართლის შესწავლას არა მხოლოდ ლოგიკური, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც, ძალზე მარტივად მიხვდებოდა იმას, რომ თვით სამართალია ისტორიული კატეგორია, რომ მისი საფუძველი სოციალურ-ეკონომიკურ პირობებშია.

ნამდვილობის არსისა/[რაობისა] და კანონზომიერების მოძიება თვით ნამდვილობის მიღმა ნამდვილობისაგან მოწყვეტას ნიშნავს. თუმცა მისგან მოწყვეტა მხოლოდ ცნობიერებაშია შესაძლებელი. და ასეთი მოწყვეტა უშედეგოდ არ ჩაივლის.

ნამდვილობა შურს იძიებს საკუთარი თავის გამო. მაშ, რით შეიძლება იმ გარემოების ახსნა, რომ გავლენიანი პროფესორები, რომელთაც ჩვენ ვერც ერთ შემთხვევაში დავდებთ ბრალს უმეცრებაში და არც გვაქვს ამაში მათი დადანაშაულების უფლება, წარმატებით არიან გაკრიტიკებული ახალგაზრდა ამხანაგების მიერ, რომლებსაც, თითქოსდა, მათგან უნდა შეეძინათ ცოდნა? მარქსიზმის თვალთახედვით, ის, რასაც პროფ. ნანეიშვილი პოზიტიურ სამართალს უწოდებს, არის ერთადერთი რეალური სამართალი, და, თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, ეს არის ერთადერთი შესაძლო სამართალი/-[ჯერარსი] მოცემულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. მაგრამ, პროფ. ნანეიშვილთან პოზიტიური სამართალი შემთხვევითობაა; ის მხოლოდ ერთ-ერთია შესაძლო სამართალს/[ჯერარსს] შორის. აქ კი ჩვენ შესაძლოსა და ნამდვილობის პრობლემის ყველაზე აბსტრაქტულ დაყენებასთან გვაქვს საქმე. შესაძლოსა და ნამდვილობის ასეთი დაყენება გადადის სულელურ უსასრულობაში.

საკითხის ლოგიკური, აბსტრაქტული დაყენებისას თქვენ გადადიხართ სულელურ უსასრულობაში, რადგან, ამ შემთხვევაში, შესაძლებელი ნამდვილობაზე უფრო ფართო ხდება. საკითხის ლოგიკური, აბსტრაქტული დაყენებისას ეს ქაღალდი შესაძლოა იქცეს ნიანგად, ორანგუტანგად და ა.შ., მაგრამ, როგორც კი კონკრეტულად დააყენებთ საკითხს, თვით ნამდვილობის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, მაშინ შესაძლებლობას თვით ნამდვილობა განაპირობებს. იმისათვის, რათა შესაძლებლობა აუცილებლობად იქცეს, მან თავისი მრავალფეროვნება უნდა დაკარგოს, ანუ სხვა შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს, რათა ერთ-ერთი შესაძლებლობა იქცეს აუცილებლობად. მოვიყვან მაგალითს: ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (нэп) გადასვლისას ლენინი საუბრობდა ორი შესაძლებლობის შესახებ: კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობისა და სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ.

ამ შესაძლებლობებიდან რომელი გარდაიქმნება ნამდვილობაში? აი, სად არის პრობლემა: „ვინ – ვის?“ შეუძლებელია, აბსტრაქტულად დაისვას საკითხი, რადგან პრობლემას წყვეტენ კონკრეტული პირობები: პროლეტარული სახელმწიფოს ხელში სახალხო მეურნეობის სამეთაურო სიმაღლეების არსებობა, პროლეტარიატის ხელთ სახელმწიფო ხელისუფლების არსებობა სოციალისტურ განვითარებას აუცილებელს ხდის და გამორიცხავენ სხვაგვარ განვითარებას, ანუ შესაძლებლობათაგან ერთ-ერთი აღმოფხვრის სხვებს და თანდათანობით გარდაიქმნება აუცილებლობაში. აი, რატომ არის აუცილებლობა შესაძლებლობაზე უფრო ფართო. საკითხის აბსტრაქტული დაყენებისას შესაძლებლობა ყოველთვის უფრო ფართოა, ვიდრე ნამდვილობა. საკითხის თქვენეულ დაყენებაში გამოდის ასე: ყოველგვარი სამართალი შესაძლებელია, მაგალითად, პროლეტარიატის დიქტატურისას – ბურჟუაზიული სამართალი. თუმცა, რატომ მოხდა ეს სამართალი, და არა სხვა, თქვენ არ შეგიძლიათ ახსნათ. ერთი მხრივ, გამოდის, რომ თვით სამართლის არსი/-[რაობა] საკუთარ თავში შეიცავს პოზიტიური სამართლის განხორციელების შესაძლებლობას, სავალდებულოობის ფორმით, ხოლო, მეორე მხრივ, რაღაც უცნაური სახით, ლოგიკურად სრულიად არათანმიმდევრულად, მიეწებება კიდევ რაღაც სხვა პირობები. პროფ. ნანეიშვილი იბრძვის სამართალში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ, ლოგიკის ნიადაგზე. სამართლის სავალდებულოობას ის ეძიებს არა ფსიქოლოგიზმის აღიარებაში, – ამაში ის მართალია, არამედ ლოგიკურობაში, – ამაში კი ის სრულიად არ არის მართალი. ლოგიკური აღიარება, აუცილებლობის პირობის სახით, გულისხმობს ფსიქოლოგიურ აღიარებას. სამართლის სავალდებულოობა არა ლოგიკურ აუცილებლობაში, არამედ მისი აღიარების სოციალურ-ეკონომიკურ აუცილებლობაშია.

მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ერთნაირად ვებრძვით როგორც ფსიქოლოგიზმს, ისევე ვებრძვით ლოგიზმს, ერთნაირად ვებრძვით სენსუალიზმის[1] ცალმხრივობასა და რაციონალიზმის ცალმხრივობას, თუმცა, პრობლემის გადაწყვეტას ჩვენ ერთ-ერთი მხარის აღიარებაში კი არ ვპოვებთ, არამედ მათ ერთიანობაში, მათ სინთეზში. თანაც, სამართლის ისტ ორიულობას ჩვენ სოციალურ-ეკონომიკური პირობებთან ერთობლიობაში განვიხილავთ, სამართლის ისტორიულობა თვით სოციალურ-ეკონომიკურ პირობების ისტორიულობაზეა დამოკიდებული. სამართლის ერთი ფორმიდან მეორეში გადას-

[1] **სენსუალიზმი** – მიმართულება შემეცნების თეორიაში, რომლის თანახმად შეგრძნება და აღქმა ზუსტი შემეცნების ძირითადი და მთავარი ფორმაა. იგი უპირისპირდება რაციონალიზმს. სენსუალიზმის ძირითადი პრინციპია: „გულში არაფერია ისეთი, რაც არ არის გრძნობებში“. სენსუალიზმის პრინციპი შემეცნების გრძნობით ფორმას მიეკუთვნება, რომელშიც, გარდა შეგრძნებისა და აღქმისა, წარმოდგენაც შედის. უმსხვილესი ფილოსოფოსი სენსუალისტები არიან: პროტაგორა, ეპიკურე, ჯონ ლოკი [მთარგმნელი].

ვლა, ერთი სოციალური სტრუქტურიდან მეორე სოციალურ სტრუქტურაში გადასვლაზეა დამოკიდებული.

ახლა [ვნახოთ], აუცილებელია თუ არა პოზიტიურ ანუ ნამდვილ სამართალსა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს შორის კავშირის არსებობა? ის იმდენად აუცილებელია, რომ სხვა რაიმეზე საუბარიც კი არ გვიწევს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამართალი ეკონომიკის პასიურ რეფლექსიაა (ასეთმა მოსაზრებამ გუშინ ზოგიერთ ამხანაგთან გაიჟღერა). ჩვენ არ ვთვლით სამართალს პასიურ ფორმად. ზოგადად, სამართალი აქტიური ფორმაა, ვინაიდან ყოველგვარი ფორმა აქტიურია. სამართალი ზემოქმედებს დადებითი ან უარყოფითი არსით. ჩვენი მართლწესრიგი, ჩვენი რევოლუციური მიზანშეწონილობის შესაბამისად, ასახავს ჩვენს მიერ სოციალიზმისაკენ მოძრაობის პერსპექტივას. ბურჟუაზიული მართლწესრიგი რეაქციულია, თუმცა არა პასური. ის რეაქციულია უარყოფითი არსით, ვინაიდან აფერხებს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას.

რაც შეეხება სამართლის განვითარებას, არსებობს დუალიზმი სამართალსა და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის? არა, და საკითხის ასე დაყენება სასაცილოა. სამართალი სხვა არაფერია, თუ არა თვით საწარმოო ურთიერთობათა ფორმა. ფორმა და შინაარსი განუყოფელი ერთობაა. აქედან [გამომდინარე], საკითხის დაყენება იმის შესახებ, რომ ასეთი სამართალი საწარმოო ურთიერთობებისაგან დამოუკიდებელია, იმის ტოლფასია, რომ დამდგარიყო საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ფორმა შინაარსის გარეშე. თუმცა ჰუსერლიანობის ძირითადი ცოდვაც ისაა, რომ ზოგადგვარობითი, ლოგიკური კატეგორიების სახით აიღება კონკრეტული შინაარსის მიღმა. აი, რატომაც მიიღეთ თქვენ ზეისტორიული სამართალი. ის იმის გამო მიიღეთ, რომ თქვენ ცარიელ ფორმას იღებდით, შინაარსის გარეშე. ამ ცარიელი ფორმის გარკვევაც კი შეუძლებელია, ვინაიდან ყოველგვარი დადებითი განმარტება გულისხმობს გარკვეულ შინაარსს. სამართლის არსის/[რაობის] კატეგორია თქვენთან შეიძლება იქნეს განსაზღვრული მხოლოდ უარყოფითად, როგორც კანტისეული „ნივთი – საკუთარ თავში“. თქვენ არ შეგიძლიათ ამ სამართლის არსისათვის/[რაობისათვის] დადებითი დეფინიციის მიცემა, ვინაიდან მაშინ ის მაშინვე გადაიქცეოდა პოზიტიურ ან დადებით სამართლად. თუ მე არ ვარ მართალი, მაშინ მე ვთხოვდი პროფ. ნანეიშვილს, დღესვე მიეთითებინა ჩემს უმართებულობაზე. თუ მე ის მომცემს სამართლის არსის/[რაობის] დადებით განმარტებას, ის დაამტკიცებს ჩემს უმართებულობას, მაგრამ ის ამის გაკეთებას ვერ შეძლებს, რადგან სამართლის არსი/[რაობა] ნამდვილი სამართლის მიღმა ცარიელი ლოგიკური კატეგორიაა.

როგორ მიუთითებთ სამართლის არსის/[რაობის] შინაარსს? სამართლის არსი/[რაობა], შინაარსის გარეშე, არის რაღაც საიდუმლო ფორმა, რომელიც

თქვენს წარმოსახვაშია შესაძლებელი და რომელიც, რაღაც გარეგანი გზით, თანაფარდობაში მოდის გარდამავალ ისტორიულ შინაარსთან. მეტაფიზიკური თვალსაზრისის საფუძველი ისაა, რომ ფორმები აიღება როგორც [რაღაც] უცვლელი, არაისტორიული. თქვენი თვალთახედვა არის იდეალისტური მეტაფიზიკა, რადგან თქვენ ფორმას იღებთ, როგორც ასეთს, არსს/[რაობას], როგორც ასეთს, – ისტორიული შინაარსის მიღმა. სხვათა შორის, ერთ ადგილზე თქვენთან არის აზრი, რომ შემთხვევითი არანამდვილია, ვინაიდან ის შეიძლება არც კი მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში პოზიტიური სამართალიც არ არის ნამდვილი, ვინაიდან ის, თქვენი აზრით, შეიძლება არც კი მომხდარიყო. სამართლის არსი/[რაობა] ნამდვილია იმიტომ, რომ ის არსებობს. თუმცა ყოფიერება უნდა არსებობდეს – არსი ან ყოფიერება (ვფიქრობ, ჩვენი აზრითაც, ეს ერთი და იგივეა) უნდა განხორციელდეს პოზიტიური სამართლის სახით. გამოდის აშკარა განხეთქილება ყოფიერებასა და მოვლენას შორის: ის, რაც არის, ნამდვილობაა, თუმცა იმის მოვლენა, რაც ნამდვილობაა – არ არის თვით ნამდვილობა. ამასთანავე, ყოფიერება და მოვლენა განუყოფელი ერთიანობა, ყოფიერება – მოვლენის გარეშე, მოჩვენებაა, ფანტომია. აი, რატომაცაა თქვენეული სამართლის არსი/[რაობა] მოკლებული ნამდვილობის ხასიათს. შემთხვევითობა მხოლოდ მოვლენას არ მიეკუთვნება, არამედ – ყოფიერებასაც. შეუძლებელია შეიცნო შეუცვლელი ყოფიერება ცვალებადი მოვლენების [დროს].

დაიმახსოვრეთ, ამხანაგო ნანეიშვილო, რომ შემთხვევითიც ასეთივე ნამდვილია. უფრო მეტიც, შემთხვევითობა და აუცილებლობა დიალექტიკურ ერთობას ქმნიან. როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ შემთხვევითი არანამდვილია. მომეცით ყოფიერების რაციონალური დასაბუთება. იდეალიზმი მოითხოვს რაციონალურს, ანუ ყოფიერების ლოგიკურ დასაბუთებას, მაშინ, როცა თვით ყოფიერება უნდა იყოს რაციონალურად ახსნილი. თუ დავაყენებთ საკითხს ყოველივე არსებულის აბსოლუტური, ლოგიკური აუცილებლობის შესახებ, მაშინ თქვენ ნამდვილად ჩავარდებით სულელურ უსასრულობაში. იდეალიზმი ეძიებს ყოფიერების მიზეზს და პოვებს მას სულში, იდეაში, ღმერთში etc. მაგრამ, ნუთუ ამით მოიხსნება პრობლემა? სრულებითაც არა; მე შემიძლია დავაყენო საკითხი ამ მიზეზის მიზეზის შესახებ და ასე – უსასრულოდ. იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ფაქტების სულელურ უსასრულობას, ამხანაგი ნანეიშვილი აპელირებს ლოგიკაზე. თუმცა ის, რაც ლოგიკურად აბსოლუტურად შეუძლებლად გვეჩვენება, ნამდვილობის თვალსაზრისით, არც კი შეიძლება იყოს ასეთად.

არ არსებობს ჭეშმარიტების ლოგიკური კრიტერიუმი, მაშასადამე, ლოგიკური აუცილებლობა არ შეიძლება იყოს რეალური აუცილებლობის საზომი. ლოგიკის თვალსაზრისით ვერაფრით დასაბუთდება ყოფიერების აუცი-

ლებლობა; sub specie aeternitatis[1] – ყოფიერება რამდენადაც შემთხვევითია, იმდენად ის აუცილებელია. ლოგიკას არ შეუძლია, ყოფიერებისაგან მოითხოვოს მიხტომა ნამდვილობასა და აუცილებლობაზე, ვინაიდან ის თვითონ არის ყოფიერებაზე დამოკიდებული. ლოგიკური აუცილებლობის პრიმატიდან გამომდინარე, იდეალიზმი ყოფიერებას უმორჩილებს ლოგიკას, ანუ ცნობიერებას. სამწუხაროდ, ამხანაგი ნანეიშვილი სწორედ აღნიშნულ თვალსაზრისზე დგას.

მე, ამხანაგებო, ვასრულებ [გამოსვლას]. პროფ. ნანეიშვილის მეთოდოლოგიური წყობის საფუძველი არის ჰუსერლის ფენომენოლოგიური მრწამსი. არ გვიწევს იმის მტკიცება, რომ ჰუსერლიანობის თვალთახედვა არის რეაქციული მრწამსი. მოდით, ნუ შემოვიტანთ სხვა ელემენტებს, დავაყენოთ საკითხი მარტივად და გულწრფელად: თუ საუბარია თანამშრომლობაზე, მაშინ თანამშრომლობისათვის საჭიროა თვალთახედვების ერთობა; თანამშრომლობის სხვაგვარი ფორმა, სხვა ეკლექტური ფორმა არ არსებობს. ჩვენ არ დავიწყებთ წარსულის გამო ლანძღვას მხოლოდ მაშინ, როცა აწმყოში ჩვენ დაგვიმტკიცებენ, რომ წარსულზე უარს ამბობენ. ჩვენ არ ვართ თანამშრომლობის წინააღმდეგი, პირიქით – ჩვენ გვსურს თანამშრომლობა, მაგრამ ჩვენ არ ვართ ნებისმიერი თანამშრომლობის [მომხრე], ჩვენ გვჭირდება განსაზღვრული თანამშრომლობა.

ხმები:

სწორია!

შარია:

ამიტომ ჩვენ ვაყენებთ საკითხს ამხანაგური წესით: თუ თქვენ გსურთ დაძლიოთ იდეალიზმი, [მაშინ] შეიმეცნეთ მარქსიზმი, თუმცა შეიმეცნეთ არა ისე, როგორც ის წარმოუდგენია პროფ. ვაჩეიშვილს: ვინც ოდესმე დაწერს სახელმძღვანელოს, ვაჩეიშვილი მას გადათარგმნის და გადასცემს ჩვენს სტუდენტებს. მარქსიზმი შეიმეცნეთ წყაროების საფუძველზე [და] ნუ გაშინებთ კრიტიკა. ჩვენ ერთმანეთს ვაკრიტიკებთ, თუმცა სხვაგვარად, რა თქმა უნდა, ვიდრე ჩვენს მოწინააღმდეგეებს. ჩვენ ერთმანეთს ვაკრიტიკებთ არათანმიმდევრულობისათვის, ზოგჯერ, შესაძლოა, მარქსიზმის არასათანადო ცოდნისათვის. აქ ძირითადი არა მარქსიზმის ცოდნაა, არამედ მარქსიზმის მიუღებლობა. თუ უცოდინრობაა, მაშინ აქედან გამოსავალი ასეთია: მარ-

[1] ლათინური ფრთიანი გამოთქმა, რომელიც ნიშნავს: „მარადისობის თვალსაზრისით“. ბენედიქტე სპინოზას აზრით, მოცემული გამონათქვამი აღწერს უნიერსალურ და მუდმივ ჭეშმარიტებას, მიმდინარე ნამდვილობისაგან დამოუკიდებლად [მთარგმნელი].

ქსიზმის შემეცნება; თუ მარქსიზმის მიუღებლობა, მაშინ, რა თქმა უნდა, თანამშრომლობის შესახებ საუბარიც კი არ შეიძლება. ეს არის საკითხის პირდაპირი დაყენება. დისკუსიამ უნდა გვიჩვენოს არა მოწინააღმდეგეთა ორატორული შესაძლებლობანი, არამედ ის უნდა შეეხოს საკითხის არსს. სამწუხაროდ, დისკუსიაში მე, მართალია, მხოლოდ ვაჩეიშვილის, ნანეიშვილის, სურგულაძის თითო გამოსვლა მოვისმინე, [მაგრამ] ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრიდან [ეს] მხოლოდ იმის, რაც არის, ფორმალური გამართლების მცდელობა იყო, თუმცა არ ყოფილა დაგმობა. ეს გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ თქვენ საკუთარი მრწამსის გადასახედად ჯერ კიდევ არ ხართ მზად. რას ვითხოვთ ჩვენ, ამხანაგებო? ჩვენ მცირედს ვითხოვთ: ჩვენ ვითხოვთ პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვითხრათ: თვლით თუ არა საჭიროდ, გადახედოთ საკუთარ თვალსაზრისს, თვლით თუ არა, რომ თქვენი თვალსაზრისი არათუ არ არის მარქსისტული თვალთახედვა, – ამაში კი ჩვენ დარწმუნებული ვართ, – ამასთანავე, ის აბსოლუტურად მიუღებელი თვალსაზრისია. აი, რას მოითხოვს დისკუსია, ყოველგვარი მიკერძოების, სხვა მომენტების ყურით მოთრევის გარეშე. მე გამოვთქვამ რწმენას, რომ ამ შემთხვევაში ისინი, ვისაც სურთ თანამშრომლობა და საუბრობენ თანამშრომლობაზე, თუ მათ გულწრფელად სურთ ეს, გულწრფელად გადახედავენ საკუთარ თვალსაზრისს, და, მაშინ, მათი ერუდიციით, მათი ცოდნით ისინი სარგებელს მოუტანენ ჩვენს აღმშენებლობას. თუ არ გადახედავენ, მაშინ, რა თქმა უნდა, მათ სარგებლიანობაზე საუბარიც არ გვიწევს, ვინაიდან პროფ. ვაჩეიშვილის ბურჟუაზიული სამართლის ზოგადი თეორიის სახელმძღვანელო ჩვენთვის არ არის სასარგებლო.

ნება მომეცით, ჩემი გამოსვლა დავასრულო რწმენით, რომ, ყოველ შემთხვევაში ისინი, ვისაც გულწრფელად სურთ ჩვენთან თანამშრომლობა და საკუთარი თვალსაზრისის გადახედვა, ამას საქმით გააკეთებენ და არა – სიტყვით (მქუხარე *აპლოდისმენტები).*

ლისოვსკი:

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ბოლოტნიკოვს.

ბოლოტნიკოვი:

ამხანაგებო, მას შემდეგ, რაც აზრი გამოთქვა ყველა ორატორმა, ჩემი გამოსვლა, აუცილებლობიდან გამომდინარე, შეიკვეცა. მრავალმა ორატორმა ხომ, როგორც იტყვიან, „ჩემი პური შეჭამა“ და იძულებული ვარ, მხოლოდ მცირე ულუფით დავკმაყოფილდე. თუმცა ამ ულუფითაც ჯერ კიდევ შეიძლება ცხოვრება.

იმისთვის, რომ ჩემი გამოსვლა მოსახერხებელი იყოს, მე მას ორ ნაწილად გავყოფ: პირველი ნაწილი – პოლიტიკური, მეორე – თეორიული. ამასთანავე, შესაძლოა, ზოგიერთ ამხანაგს შეეშინდეს, რომ მე შესავალში დავპირდი რა საკითხების აკადემიურად დაყენებას, თვითონ დავიწყებ პოლიტიკით. ამ ამხანაგებს დავამშვიდებ იმით, რომ მე ის პოლიტიკა არ მაქვს მხედველობაში, რომელიც ეხება პოლიტიკურ საორგანიზაციო დასკვნებს, ამა თუ იმ პირთა ცვლას და ა.შ. ჩემს პოლიტიკურ ნაწილში მე მსურს, შევეხო იმ ორივე მოდავე მხარის ქცევას, რომელიც აქ გამოდიოდა. მე მხედველობაში მაქვს ამ მხარეების პოლიტიკა.

საქმე ისაა, რომ მოწინააღმდეგე მხარე აქ იცავდა სრულიად განსაზღვრულ კლასობრივ იდეოლოგიას და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აკადემიურ სარბიელზე შევეჯახეთ, ძალზე მაღალი ზედნაშენების სფეროში, ჩვენი მოწინააღმდეგეების აღნიშნული კლასობრივი მიდგომა აქ მაინც არაორაზროვნად და მკაფიოდ გამოვლინდა.

თუ ზოგიერთ ოპონენტში, ვინც აქ კამათში გამოდიოდა იმ ავტორების წინააღმდეგ, რომელთა ნაშრომებს ჩვენ აქ ვაკრიტიკებდით, იყო ვნებიანობა, შესაძლოა ნაწილობრივი გაუცხოება ან საკითხების არასათანადო მეცნიერული განმარტება, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ამას სრულიად შეუძლებელი მნიშვნელობა მიანიჭეს. ისინი ცდილობდნენ, მოეგოთ იმით, რომ ცალკეულმა ამხანაგებმა არ იციან უცხო ენები, ამახინჯებდნენ თარგმანებს; ისინი მაღლიდან დასცქეროდნენ და არცთუ იშვიათად ირონიულად ქილიკობდნენ როგორც მომხსენებელზე, ისე ზოგიერთ ოპონენტზე. უფრო მეტიც, ის ავტორები, რომელთა ნაშრომებს ჩვენ აქ ვაკრიტიკებთ, ჩვენგან მოითხოვდნენ, რათა მათთან მშვიდად გვესაუბრა და არგუმენტირება წმინდა ლოგიკით მოგვეხდინა. ისინი ჩვენგან მოითხოვდნენ, ჩვენც მათთან ერთად იმ მთის მწვერვალებზე ავსულიყავით, სადაც მკვდარივით მშვიდი ლოგიკური კატეგორიები ბატონობენ. თუმცა, ამხანაგებო, ჩვენ სხვაგვარად მოვიქეცით, ვინაიდან ჩვენი კლასობრივი მიმართება სრულიად სხვაა, ვინაიდან ჩვენი ლოგიკა იყო სინამდვილის, რეალური ურთიერთობების ლოგიკა, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ჭრილშია გააზრებული.

აღნიშნული მიმართებით განსაკუთრებით დამახასიათებელია ამხანაგი ტალახაძის გამოსვლები, რომლებიც საკმაოდ ექსპრესიულად და სრულებით საფუძვლიანად ასაბუთებდა არა ლოგიკური, სინამდვილისაგან მოწყვეტილი, არამედ, ფიგურულად რომ გამოვთქვა, იმ კლასობრივი ბრძოლის ქვემეხების ჯერით, რომლის მონაწილეც თვითონ არის. ამხანაგმა შარიამ მართებულად შეგვახსენა და შესანიშნავად დაასაბუთა ის დებულება, რომ ლოგიკური, უპირობოდ, ექვემდებარება ფაქტობრივს. ამიტომაც ამხანაგი ტალახაძის მიმართ მოწინააღმდეგის ხელოვნური თავდასხმები მაიძულებს გავიხ-

სენო ცნობილი ინდუსური ანეკდოტი: ერთი მეცნიერი – სახელიც კი მახსოვს, ეს იყო სახელგანთქმული მათემატიკოსი ბჰასკარა აკარია [აჩარია][1] – გადადიოდა განგზე. გზად მან ჰკითხა ნავის მეპატრონეს: „შენ არითმეტიკა იცი?“ – „არა, არ ვიცი“ – უპასუხა ნავის მეპატრონემ. „ბრიყვო, შენ ხომ ნახევარი სიცოცხლე დაგიკარგავს!“ – წამოიყვირა მეცნიერმა. „გეომეტრია თუ მაინც იცი?“ – „არა, არ ვიცი“. „მაშინ შენ სიცოცხლის სამი მეოთხედი დაგიკარგავს“ – დანანებით აღნიშნა მათემატიკოსმა. ამ დროს ამოვარდა ქარიშხალი და გადააბრუნა ნავი. „შენ ცურვა თუ იცი?“ – ახლა, თავის მხრივ, ჰკითხა ნავის მეპატრონემ. – „არა, არ ვიცი“. „მაშინ შენ მთელი სიცოცხლე დაგიკარგავს“. ასეთივეა ფაქტობრივის ლოგიკა და უნდა აღვნიშნო, რომ მას ადგილი არამხოლოდ ანეკდოტებში აქვს.

ახლა კი წარმოგიდგენთ არა ანეკდოტს, არამედ რეალურ შემთხვევას, რომელიც მოხუცებულ ჰეგელს გადახდა 1807 წელს. ამ დროს ნაპოლეონი მთელ ევროპას ანადგურებდა, მათ შორის გერმანიასაც, ხოლო უდიდესი ფილოსოფოსი მოკრძალებული მასწავლებელი იყო ქალაქ იენაში. და, მაშინ, როცა იენა უკვე აღებული იყო, როცა ნაპოლეონის ჯარები წინ მიიწევდნენ და იენის მახლობლად პატარა ქალაქს იღებდნენ, ჰეგელი ქალაქგარეთ იყო და ქვემეხების გრიალის მოსმენისას მსჯელობდა: „მსოფლიო სული ყოველთვის როდის არგუმენტირებს ლოგიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ ის ქვემეხების გასროლითაც ასაბუთებს. და, უნდა ვაღიაროთ, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ეს არგუმენტები ლოგიკურზე უფრო ქმედითია“. როგორც ხედავთ, სწორედ ის ჰეგელი, რომელიც მეცნიერს მოუწოდებდა, ცნობიერების აბსოლუტურ სტიქიას ჩასწვდომოდა, სწორედ ეს ჰეგელი კონკრეტული ფაქტების პირისპირ ვალდებული იყო, ეღიარებინა, რომ ზოგჯერ ქვემეხების გრიალი გაცილებით უფრო ქმედითი არგუმენტია, ვიდრე ლოგიკური კატეგორიების თანმიმდევრული გავრცობა.

ყოველივე ამას იმისთვის კი არ ვამბობ, რომ ამხანაგი ტალახაძის და სხვათა გამოსვლები რაღაც პოლიტიკური ტარანის სახით წარმოვაჩინო, რომლითაც ჩვენ საკუთარი მოწინააღმდეგეების დაშინება გვსურს. არა, ამით მხოლოდ იმის ხაზგასმა მსურს, რომ იდეოლოგიური დებულება და ამხანაგი ტალახაძის მიდგომა პრინციპულად განსხვავებულია, ვიდრე ის, რაზეც დაჟინებით მიუთითებენ მოწინააღმდეგენი. აქ ორი განსხვავებული

---

[1] დედანში გვარი არასწორადაა მითითებული – „უჩაია“, უნდა ეწეროს – „აჩარია“ [მთარგმნელი].

ბჰასკარა აკარია აჩარია (1114-1185) – ინდოელი მათემატიკოსი და ასტრონომი. ავტორი ნაშრომისა – „სისტემათა გვირგვინი“ („სიდჰანტა შირომანი“); წიგნი ალგებრული და თეორიულ-რიცხობრივი ამოცანების გადაწყვეტის მრავალ მეთოდსა და ასტრონომიულ ცნობას შეიცავდა [მთარგმნელი].

კლასის იდეოლოგია ებრძვის ერთმანეთს და ამიტომაც ბრძოლის ცალმხრივი პირობების თავს მოხვევა უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. ამხანაგი ტალახაძე საუბრობდა როგორც რევოლუციის ჯარისკაცი, როგორც ის ადამიანი, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებდა კლასობრივ ბრძოლაში და მისი არგუმენტებისათვის ყურისგდება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ისინი [გამოხატული], საჭიროა სწორედ იმის გამო, რომ საკუთარი შინაარსით ისინი იმ „ქვემეხების კაკანის“ გამოძახილია, რომელთა იგნორირება იმ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების იგნორირებასაც ნიშნავს, რომლის მოწმეებიც ჩვენ ვართ და ვერც ერთ ჩვენგანს გულგრილს ვერ დატოვებს.

შემდეგ! გაკრიტიკებული ავტორები ბრალდებას გვიყენებენ იმაში, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდები ვართ, რათა ჭკუა ვასწავლოთ „სამართლის უხუცეს/[გამოცდილ] მასწავლებლებს“, რომ ჩვენ გერმანულ ენასაც არ ვფლობთ და, ზოგადად, არ გვარგებს გამოსვლა: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“, ანუ მცდელობა, დაუმსახურებლად დაეკავებინათ მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში. თუმცა, მეგობრებო, ჩვენ საკუთარ კრიტიკაში ამოვდიოდით იმ ძველი დებულებიდან, რომ შეიძლება, არც იყო კეისარი, რომ აკრიტიკო კეისარი. კერძოდ, მე თვითონ, ჩემდა სამარცხვინოდ, დიდი ხანია, ვცხოვრობ ტფილისში, აქამომდე არ შემისწავლია ქართული ენა და ამიტომაც ვერ შევძელი, დამოუკიდებლად წამეკითხა ის ქართული ნაშრომები, რომლებსაც აქ ვაკრიტიკებთ. მე წავიკითხე მხოლოდ პროფ. სურგულაძის გერმანულენოვანი ნაშრომი და შემდეგ, ზოგად მონახაზში, გავეცანი პროფ. ნანეიშვილის კონცეფციას, ჩემი მეგობრის, ამხანაგ გეგენავას დახმარებით, რომელიც მომიყვა ამ კონცეფციის შესახებ, რუსულ ენაზე ვრცელ ადგილებს ციტირებდა და წიგნის რეზიუმეს თარგმნიდა.

თუმცა, ამხანაგებო, მე, ისევე როგორც სხვა აქ მყოფები, ვისმენდი აქ პროფესორების გამოსვლას, რომლებიც, ძირითადად ასახავდნენ, ცხადია, იმას, რასაც ისინი საკუთარ წიგნებში წერდნენ. არცერთი მათგანიდან ჩვენ ხომ არ მოგვისმენია, რომ ის მითითებები და დებულებები, რომლებიც მათ წიგნებშია გამოხატული, რადიკალურად შეცვლილი იყო. გაკრიტიკებული ავტორებიდან ხომ არც ერთს უარუყვია საკუთარი წიგნები, – პირიქით, ის, რაც ჩვენ აქ მოვისმინეთ, გარკვევით მოწმობს, რომ ავტორები აგრძელებენ თავისი ძველი პოზიციების დაცვას. აი, რატომ უნდა გავაიგივოთ ასეთ ანალოგთან თავდამსხმელი მხარის ყველა გამოსვლა. ჩესტერტონს[1] აქვს მოთხრობა ორიგინალური სათაურით: „კაცი, რომელიც იყო ხუთშაბათი“. ამ მოთხრობის გმირი, პროფ. ვორმსი, იდევნება გამომძიებლის მიერ. სურს, რა ამ გამომძიებლის გამოააშკარავება, პროფესორს ის კაფეში შეჰყავს. აქ კი ამ შე-

[1] **ჯილბერტ ქეის ჩესტერტონი** (1874-1936) – ინგლისელი მწერალი [მთარგმნელი].

კითხვით მიმართავს მას: „მომისმინეთ, პატივცემულო, თქვენ დიდი ხანია, მსახურობთ საგამოძიებო განყოფილებაში“. გამოაშკარავებულ გამომძიებელს ძალიან გაუკვირდა და აღშფოთების გათამაშებით უარყო: ვინ გითხრათ, რომ მე გამომძიებელი ვარ?“ – „მე ეს 100 წლის წინ გარდაცვლილმა ადამიანმა მითხრა“. – ?! – „დიახ, დიახ, ეს იყო კანტი, უდიდესი კენინგსბერგელი მოაზროვნე, რომელმაც თქვა: შენ ვალდებული ხარ – მაშასადამე, შენ შეგიძლია!“.

გამომდინარე სრულიად მართებული დებულებიდან, რომ, როგორც თეორიული მრწამსი, ისე ადამიანთა სოციალური დეტერმინება, თავდამსხმელი მხარე ჯიუტად ურტყამდა ერთ წერტილში: რადგანაც გამოხატულია სრულიად ანტიმარქსისტული იდეალისტური დებულებანი მე-15გმე-20გ30-ე გვერდებზე და რადგანაც ავტორები მათზე უარს არ ამბობენ, – მაშასადამე... შენ, ზოგადად, უნდა იყო ანტიმარქსისტი, იდეალისტი და ა.შ.

თუმცა, როგორ იქცეოდა სხვა, გაკრიტიკებული მხარე? მასაც, რასაკვირველია, ასევე, აქვს საკუთარი პოლიტიკა. რა არის ეს პოლიტიკა? (სწორედ ეს საკითხი არის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო). ის ისაა, რომ ნებისმიერი საშუალებით (მტყუან-მართლის გაურკვევლად) გაამართლოს საკუთარი, წინასწარი შეცნობით, იდეალისტური მრწამსი. ამასთანავე, წიგნების გამოქვეყნების ხანდაზმულობაზე მითითებით (ჩვენი ავტორები ხომ შესანიშნავი იურისტები არიან), რომელიც არ მიდის თუმცა [19]25 წლის მერე; მათ სცადეს, მიეთითებინათ სამართლის მარქსისტული თეორიის არასაკმარის შემუშავებაზე; ხოლო პროფ. ნანეიშვილმა პატიოსნად აირჩია, რომ არაფერზე მიეთითებინა და გულწრფელად განაცხადა, რომ ის არ არის მარქსისტი. თუმცა ყოველივე ამასთან ყველა ავტორი, ჯიუტად, ღირსად საუკეთესო გამოყენებისა, ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ ჩვენ მიერ გაკრიტიკებული დებულებანი სრულებით არ სცდება მარქსიზმს, რაც, უფრო მეტად, პირიქით, მათი გაკრიტიკებით, ჩვენ თვითონ ვშორდებით მარქსიზმს ან ვერ ვიგებთ მას. მე ეს ასეთ ანეკდოტს მაგონებს.

იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტორია უკვე დაღლილია, მე უფლებას მივცემ საკუთარ თავს, ვისარგებლო ერთი-ორი ანეკდოტით, რათა გავაცოცხლო მსმენელთა ყურადღება. ერთი მოხუცი რაბინი მევახშეობას ეწეოდა და უღმერთო პროცენტს იღებდა: დღე-ღამის განმავლობაში – 9 პროცენტს. იაჰვემ, როგორც იქნა, ვეღარ მოითმინა და რაბინი ავადმყოფობით დასაჯა. და, აი, სასიკვდილო სარეცელზე მყოფი რაბინი შეევედრა საკუთარ პატრონს პატიებას, დაჰპირდა, რომ, თუ გამოჯანმრთელდებოდა, ის მხოლოდ 6 პროცენტს აიღებდა. იაჰვემ შეისმინა ლოცვა და რაბინი გამოჯანმრთელდა. მაგრამ ის კვლავინდებურად განაგრძობდა პროცენტების აღებას, არანაკლებ 9 პროცენტის ოდენობით. მაშინ იაჰვე გამოეცხადა მას სიზმარში

და მრისხანედ უთხრა: მე შენ სიკვდილისაგან გიხსენი, შენ კი რას აკეთებ – კვლავ იღებ 9 პროცენტს? თუმცა გაიძვერა ქურუმმა, მდაბიურად გაკვირვებულმა, შეჰყვირა: შენ არ ხარ მართალი, იაჰვე, ეს შენ ციდან გეჩვენება 9, ხოლო აქ, ჩვენთან ეს 6 პროცენტია.

ჩვენი პროფესორებიც ზუსტად ასე იქცეოდნენ და ცდილობდნენ ჩვენთვის დაემტკიცებინათ, რომ ზევიდან, სადაც ჯიუტად სურდათ ჩვენი ატყორცნა, ექვსიანი ცხრიანად გვესახება, „ნამდვილი მარქსიზმი“ იდეალიზმად გვეჩვენება. თუმცა მათ ის ვერ გაითვალისწინეს, რომ უმეცარი იაჰვე დაჰყვა პროვოკაციას, ჩვენ კი ამ მხეცური რიცხვის პოლიტიკას არ წამოვეგებით. მე ვთვლი, რომ იმ ავტორთა უმრავლესობის პოლიტიკა, ვინც საკუთარ ნაშრომებს იცავს, სწორედ ამ მხეცური რიცხვის პოლიტიკაა. ღრმა თეორიული გამოსვლა, მკაცრი მეცნიერული არგუმენტაცია ჩვენ აქ მათგან არ მოგვისმენია. მე, ვაღიარებ, ამ დისკუსიაზე გარკვეული ძრწოლით მოვდიოდი. მე არ ვარ სამართლის სპეციალისტი, – მე მხოლოდ სოციოლოგი ვარ, – მაგრამ, ვფიქრობდი, რომ პატივცემული პროფესორები დაიწყებდნენ უზუსტესი თეორიული მაქმანების გამომზეურებას, ხოლო მე ვიჯდებოდი ყურებდაცქვეტილი და არ მეცოდინებოდა, რა მეთქვა, რას შევწინააღმდეგებოდი. არ ვიცი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ არავითარი ღრმად თეორიული ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრიდან ჩვენ არ მოგვისმენია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი უკვე ორჯერ გამოვიდა.

სრულიად ნათელია, რომ დავისადმი მსგავსი მიდგომით, როცა ეს დავა არ ამაღლდება თეორიულ სიმაღლეზე, უპირველეს ყოვლისა, თვით გაკრიტიკებული ავტორების მიერ, რომლებმაც პოლიტიკანობა ამჯობინეს აკადემიზს, და ჩვენ, მათი მოწინააღმდეგენი, იძულებული ვიყავით, გამოაშკარავებით დავკავებულიყავით, – მსგავსი ურთიერთდამოკიდებულებით საეჭვოა, საუბარიც კი შეიძლება იყოს შეთანხმებაზე თანამშრომლობის შესახებ. დაბოლოს, უნდა გავიგოთ, რომ, როცა ამხანაგი ბარიგიანი, დამწყები მეცნიერ-მუშაკი, გამოდიოდა, როგორც უკვე გავაფრთხილე აუდიტორია, და დარწმუნებით აცხადებდა, რომ გაკრიტიკებული ავტორების ის წიგნები, რომლებიც მან უშუალოდ ამ სხდომის დაწყებამდე წაიკითხა და აქამომდე არავითარი შეხება არ ჰქონია ან ამ დისპუტთან, ან ამ პროფესორებთან, რომ ეს წიგნები საბჭოთა მოქალაქეების – იმ მოქალაქეებისა, ვინც სოციალიზმის აქტიური მშენებლები არიან, – უდიდესი უმრავლესობის მსოფლმხედველობისათვის ღიად მიუღებელ იდეოლოგიას შეიცავენ, მაშინ ეს გამოსვლა სრულებითაც არ არის ახალგაზრდა ორატორის მხოლოდ წარმატებული ან წარუმატებელი სიტყვა. ბარიგიანის გამოსვლამ, რომელიც მეცნიერთა ახალ თაობას წარმოადგენს, უნდა აიძულოს გაკრიტიკებული ამხანაგები, განსაკუთრებით დაფიქრდნენ საკუთარი იდეოლოგიური დებულებების თაობაზე. მან უნდა აი-

ძულოს ჩვენი პროფესორები, რათა შეიგნონ, რომ მათ მეცნიერულ მსოფლმხედველობაში ყველაფერი არ არის რიგზე, და მთელი გულწრფელობით, მთელი ლოგიკური თანმიმდევრულობით, აქედან შესაბამისი დასკვნები გააკეთონ. აი, რისი თქმა მინდოდა ჩემი გამოსვლის პირველ ნაწილში.

გადავდივარ მეორე ნაწილზე, კერძოდ, ამხანაგი სურგულაძისა და ამხანაგი ნანეიშვილის ცალკეული თეორიული დებულებების კრიტიკაზე (დროის არქონის გამო, მე მხოლოდ მათზე შევჩერდები). სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ, მიუხედავად გერმანული ენის ფლობისა, პროფ. სურგულაძის ნაშრომი მე მთლიანად არ შემისწავლია. ზოგადად, ვთვლი, რომ ყოველთვის არ არის საჭირო მთელი წიგნის შესწავლა, განსაკუთრებით ისეთისა, რომელიც მეორე თუ მესამე საფეხურებზე აყვანილ, შუასაუკუნოვან სქოლასტიკას ნიშნავს, რასაც ჩემთვის, მაგალითად, ჰუსერლის თხზულებები წარმოადგენენ. ჩვენთან ისედაც ძალზე ბევრი სამეცნიერო მასალაა, რომლის გაცნობასაც ვერ ასწრებ. უბრალოდ, ასე ვთქვათ, კაცობრიობის ცხოვრების სწრაფი განვითარების პირობებში, ჩვენ გვიწევს საკითხის დასმა – რისი არჩევაა უკეთესი: ჰუსერლის, თუ, ვთქვათ, უკანასკნელი დროის ფიზიკური ან ქიმიური თეორიის შესწავლის? მე ვთვლი, ნაცვლად იმისა, რომ გავიზუთხოთ – Logische Untersuchungen[1], – ეს კაბალისტიკა[2], რომელსაც არაფერი მეცნიერული არ გააჩნია, უკეთესია, კონკრეტული ბუნებისმეტყველებით დავკავდეთ ან მეცნიერების კონკრეტული ფაქტებით, რომლებზე დაყრდნობითაც

---

[1] **„ლოგიკური გამოკვლევები“** (1900 წელი, პირველი გამოცემა) – ჰუსერლის ფილოსოფიური თხზულება; მიუხედავად იმისა, რომ მასში ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე განვითარებული ფენომენოლოგიური თემები, ეს იყო ფენომენოლოგიური მოძრაობისათვის საწყისი ნაშრომი, რომელზეც, მოგვიანებით, ავტორი ამბობდა, რომ ეს გახლდათ „გარღვევის ნაწარმოები“ [მთარგმნელი].

[2] **კაბალა** – რელიგიურ-მისტიკური, ოკულტური და ეზოთერული მიმდინარეობა იუდაიზმის მოძღვრებაში, რომელიც XII საუკუნეში გაჩნდა და XVI საუკუნეში პოვა გავრცელება. სიტყვა კაბალას წარმოშობა დაუდგენელია, თუმცა მის შემოტანას ფილოსოფოს სოლომონ იბნ გებიროლს (1021-1058 წწ.) და XIII საუკუნის ესპანელ კაბალისტს – ბაჰია ბენ აშერს მიაწერენ. ეს ტერმინი ებრაული ეზოთერული ცოდნისა და პრაქტიკის აღსანიშნავად გამოიყენება. მისი მიმდევრების თანახმად, კაბალის საშუალებით ადამიანი სულიერად უფრო უახლოვდება ღმერთს, ამიტომაც თვლიან, რომ კაბალა კაცობრიობას ღვთის ქმნილებების ჭვრეტის საშუალებას აძლევს. ეზოთერული კაბალა არის ტრადიცია და პრეტენზიას აცხადებს თორაში შემავალი ღვთაებრივი გამოცხადების საიდუმლო ცოდნაზე. კაბალა უკავშირდება შემოქმედისა და ღვთიური ქმნილებების, შემოქმედის როლისა და მიზნების, ადამიანის ბუნების, ცხოვრების არსის გაცნობიერებასა და შემეცნებას. მოძღვრება დასრულებული სახით შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. კაბალის საფუძვლებია ძველი თხზულებები, მისი მთავარი წყაროებია: სეფერ იეცირა, ზოჰარი და ჰარის (არიზალისა და ჰარის სახელით ცნობილი რაბინ იცხაკ ლურია აშკენაზის ნაშრომები) ტექსტები. კაბალა ორთოდოქსი ებრაელების დიდი ნაწილისათვის ავტორიტეტული სწავლებაა [მთარგმნელი].

ბევრად დიდი წარმატებით შეგვეძლებოდა ფილოსოფიური კატეგორიების შემუშავება.

პატივცემული პროფესორები ჩვენგან მოითხოვდნენ, ჩვენც მათ პოზიციაზე დავმდგარიყავით, რათა ისინი მათივე პოზიციებიდან გაგვეკრიტიკებინა. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ მსგავს მოთხოვნებს, რომლებიც მიზანშეწონილი იქნებოდა ძველი ბურჟუაზიული უნივერსიტეტებისათვის სადოქტორო დისერტაციების დაცვის დროს. ჩვენ მთელ ამ დისკუსიას სრულიად სხვაგვარად ვუდგებით. ჩვენ მას ვუდგებით ისე, როგორც ამას გვასწავლიდა ლენინი: ჯერ გავემიჯნოთ – შემდეგ გავერთიანდეთ. ჯერ ჩვენ კიდევ გამიჯვნის სტადიაზე ვიმყოფებით, ხოლო ამისათვის სრულებითაც არ არის სავალდებულო მთელი წიგნის ცოდნა. იმ წიგნიდან, რომელიც 150-200 გვერდს ითვლის, სრულიად საკმარისია 30-50 გვერდის წაკითხვა, აქა-იქ გადახედო დანარჩენ პარაგრაფებს და გამიჯვნისათვის კრიტერიუმიც მზადაა.

მე არ წამიკითხავს ბოლომდე ამხანაგი სურგულაძის წიგნი, ამისთვის არც დრო მქონდა, არც სურვილი. თუმცა იმანაც, რაც წავიკითხე, საკმაოდ დამარწმუნა, რომ პროფ. სურგულაძის კონცეფცია, უპირობოდ, ანტიმარქსისტულია. უფრო მეტიც, როცა სურგულაძე თავის პირველ გამოსვლაში მომხსენებლის მართებული თავდასხმების მოგერიებისას საკუთარი წიგნის ზოგიერთი გვერდის ციტირებით ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ მისი წიგნი, ზოგადად და მთლიანობაში, მარქსისტულია, მე გადავწყვიტე კატეგორიული იმპერატივის პრინციპის გამოყენება და სურგულაძის კვალდაკვალ წავედი, ციტირებული ადგილების ზედმიწევნითი გადამოწმების გზით. და, რა [მივიღე]? შენ ვალდებული ხარ – მაშასადამე, შენ შეგიძლია... იყო ანტიმარქსისტი და იმ გვერდებზეც კი, რომლების იმედადაც იყავი. იმის დამტკიცების სურვილით, რომ სრულებითაც არ უარყოფს საზოგადოების კლასობრივ მოწყობას, პროფ. სურგულაძე უთითებს 65-ე გვერდს და ასეთ ადგილს ციტირებს: „ნებისმიერი სამართლებრივი ორგანიზაცია სოციალურ სტრუქტურასთან მიმართებით არის კლასობრივი ორგანიზაცია, კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია, რომელშიც, „სამართალშემოქმედების“ დროს სოციალური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების [პირობებში] გარკვეული კლასის ინტერესებს უპირატესი მნიშვნელობა აქვთ“. ეს რაზე მეტყველებს? ეს, ჯერ კიდევ აბსოლუტურად არაფერს გვეუბნება! ახლა ხომ რთულია სამართლის საკითხების შესახებ ისეთი წიგნის მოძიება, მათ შორის, ბურჟუაზიული ავტორების კალამს მიკუთვნებულის, სადაც საუბარი არ ეხება კლასებს. ახლა, თუ პროფ. სურგულაძე იტყვის, რომ ადამიანები დედამიწაზე ცხოვრობენ, რა თქმა უნდა, მასთან კამათს არავინ დაიწყებს. თუმცა, ვის და რას ეუბნება ასეთი დებულება? საზოგადოების კლასობრივ ორგანიზაციაზე ჯერ კიდევ ხომ პლატონიც საუბრობდა. ხოლო ამ წუთას პროფ.

სურგულაძისეული დებულების ციტირება უცხო არ არის XIV საუკუნის არაბი ისტორიკოსის იბნ-ქლდუნისათვის[1], თუმცა არც პლატონი, არც იბნ-ქალდუნი მარქსიზმში ჯერ არავის დაუდანაშაულებია.

თუმცა ყველაზე პიკანტური ამხანაგი სურგულაძის მიერ 92-ე გვერდის ციტირებაა. მართალია, მასზე უკვე თქვა ამხანაგმა ლისოვსკიმ, მაგრამ, მე არ შემეძლო, კიდევ ერთხელ არ შემეხსენებინა ეს „შესანიშნავი“ ადგილი. საკუთარი „მარქსიზმის“ დასამტკიცებლად პროფ. სურგულაძემ ჩვენ ასეთი ადგილი წაგვიკითხა (92-ე გვერდზე): „ურთიერთობათა ფორმების მრავალფეროვნება, რომელთაც ჩვენ აქ ვხვდებით, შეიძლება სამ ძირითად სახეებამდე დავიყვანოთ: 1. ურთიერთობა, რომელიც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართალრეგულირების მოქმედ სისტემას შორის არსებობს“ (მე არ მოვიყვან ურთიერთობათა დარჩენილ ორ სახეობას). ამ ადგილის გაჟღერებით პროფ. სურგულაძემ გამარჯვებულის მზერით გადაავლო თვალი დამსწრეებს, თითქოსდა საყვედურით გვეუბნებოდა: თქვენ კი ამბობთ, რომ მე აქლემი ვარ.

სამწუხაროდ, ამხანაგო სურგულაძევ, თქვენი ეს ბანქოც გაჭრილია. თქვენ დაგავიწყდათ, რომ თქვენი წიგნის 92-ე გვერდს მოსდევს 93-ე გვერდი, რომელზეც შავით თეთრზე წერია: „სამართალსა და გარესამართლებრივ მოვლენებს შორის ზემოთ მითითებული სამი ძირითადი ფორმიდან ჩვენ, უპირველესად, განვიხილავთ იმას, რომელიც საკუთარ გამოხატულებას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართალრეგულირების მოქმედ სისტემაზე გავლენის ფაქტში პოვებს. აღნიშნული ურთიერთობის ჭეშმარიტი არსი სრულიად დაიბურება ძალისხმევით, რომ ავაშენოთ (aufzubauen) ის მიზეზსა და შედეგს შორის ურთიერთობის ფორმით. მიუხედავად თავისი დიდი პოპულარობისა, აღნიშნული მოსაზრება უპირობოდ ცრუდ უნდა იქნეს აღიარებული“. გესმით: მოსაზრება (თეორიაც კი – არა!), რომლის მიხედვით, სამართლის სისტემა არის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შედეგი და რომელიც ნამდვილად არის მარქსისტული დებულება, ჩვენი პროფესორების მიერ აღიარებულია უპირობოდ ცრუდ. მეტი რაღა გვინდა. პატივცემულმა პროფესორმა თავი მოიკლა.

---

[1] **აბუ ზეიდ აბდურაჰმან იბნ მუხამადი ალ-ჰადრამი**, ცნობილია **იბნ-ქალდუნის** სახელით (1332-1406) – არაბი მუსლიმი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, სოციალური მოაზროვნე. იბნ-ქალდუნის ნაშრომებს ეკონომიკის სფეროში დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. საკუთარ ისტორიულ ნაშრომში – „მუქადიმა“ (შესავალი ისტორიაში), – იბნ-ქალდუნმა გააანალიზა სახელმწიფოთა და სხვადასხვა ხალხის აღზევებისა და დაცემის მიზეზები. „მუქადიმა“ ქმნის დამოუკიდებელ ტრაქტატს, რომელშიც გამოხატული იდეები შეადგენენ თანამედროვე კლიოდინამიკის (კვლევის ინტერდისციპლინური სფერო, რომელიც სოციალურ-ისტორიულ პროცესებს მათემატიკური მოდელირებით ახდენს) საფუძვლებს [მთარგმნელი].

ხომ მართალია, რომ მახვილგონიერი ადამიანი იყო ის ჩესტერტონელი პროფესორი ვორმსი!..

ვინაიდან დრო შეზღუდული მაქვს, აღარ შემიძლია შევჩერდე იმ საკითხების მთელ რიგზე, რომლებსაც მსურდა, შევხებოდი. რამდენიმე ლექციის წაკითხვა იყო საჭირო, რომ გაგვეშუქებინა სურგულაძის ნაშრომის ის საკითხები, რომლებიც ეწინააღმდეგება მარქსიზმს და არაფერი საერთო აქვთ მარქსიზმთან. თუმცა მაინც აუცილებელია, თუნდაც მოკლედ, შევეხოთ ზოგიერთ პრინციპულ საკითხს, რომლებიც განსაკუთრებით ნათლად გამოააშკარავებენ პროფ. სურგულაძის კონცეფციის მთელ სიყალბეს, მთელ სიცრუეს.

მე-20 გვერდზე სურგულაძე განსაზღვრავს სოციოლოგიის საგანს – მეცნიერებისა, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ჩემს გულთან. აქ წერია *(გერმანულად კითხულობს)*. ეს ნიშნავს: „სოციოლოგიას... მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დაასაბუთოს საკუთარი დამოუკიდებლობა, თუ ის დაკავდება არა სოციალური მოვლენების შინაარსის შესწავლით, არამედ იმ მთავარი ფორმებით, რომლებითაც ადამიანები ერთმანეთზე ზემოქმედებენ და აბსტრაჰირებული იქნება მატერიალური შინაარსისაგან“. ნებისმიერისათვის გასაგებია, რომ მსგავს განმარტებაში მარქსიზმის ნატამალიც[1] კი არ არის, – ეს სრულებით ანტიდიალექტიკური განმარტებაა, რომელიც სოციალური მოვლენების ფორმასა და შინაარსს აგლეჯს ერთმანეთს. თუმცა ესეც კი ცოტაა. 21-ე გვერდზე ნათქვამია: „ძირითადი კანონზომიერება, რომელშიც სხვადასხვა ფორმის კავშირები საკუთარ განხორციელებას პოვებენ, არის კაუზალობის კანონი. ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ კაუზალური ახსნის პრინციპი ქმნის უზენაეს წინაპირობას, რომელზეც შეიძლება დაშენდეს სოციალური მეცნიერება“. რაზე მეტყველებს ეს? პროფ. სურგულაძის კონცეფციაში ეს იმაზე მეტყველებს, რომ სოციოლოგია, არსებითად, არის სხვა არაფერი, თუ არა საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომ ის უნდა დავაყენოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რიგში. სწორედ ამიტომაც სურგულაძესთან მოვლენების სამართლებრივი რიგი საერთოდ არ მიესადაგება სოციალურ მოვლენებს. მხოლოდ შეიძლება ვიკითხოთ, აქ მარქსიზმთან რა არის საერთო? და, თვით ექოც კი გვიპასუხებს: არაფერი! მე უკვე მოვწყდი პროფ. სურგულაძის იმ მტკიცებას, რომ „უმარტივესი სოციალური მოვლენის სახით გვევლინება ორ პირს შორის ურთიერთობა“. სხვა ყველაფერთან ერთად, აღნიშნული სოციალური ატომის დადგენა უკვე იმით სცოდავს, რომ ორ პირს შორის ურთიერთობა ხშირად უფრო რთულია, ვიდრე მთელ სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობები.

[1] დედანში წერია – „грана“, უნდა იწეროს – „грани“ [მთარგმნელი].

თუმცა ამასთან დაკავშირებით სავალდებულოა, შევეხო საკითხს სპეციფიკური კანონზომიერებების შესახებ, რომელიც გუშინ, კამათის დროს, დააყენა პროფ. სურგულაძემ. თქვენ გახსოვთ, რომ პროფ. სურგულაძე, მარქსზე, ენგელსსა და ბობროვნიკოვზე (მართალია, ეს უკანასკნელი, არცთუ ისე ცნობილი ავტორიტეტია, თუმცა, მაინც მარქსისტია, რომელმაც წითელი პროფესურის ინსტიტუტი დაამთავრა) მითითებით, განაცხადა: ნუთუ, თქვენ შეგიძლიათ სპეციფიკური კანონზომიერებების უარყოფა? ენგელსი ხომ პირდაპირ საუბრობს ისტორიულის სპეციფიკურობაზე, ბუნებრივ-ისტორიულთან შედარებით. მაშასადამე, არსებობს სპეციფიკურად განსხვავებული კანონზომიერებანი, რომლებიც ერთიმეორეს მიესადაგაო. და, თუ ეს ასეა, მაშინ, აი, ჩვენ წინაშეა სამართალი – საკუთარ თავში ჩაკეტილი, მოვლენათა განსაზღვრული რიგი, და, აი, ჩვენ წინაშეა ეკონომიკური ბაზისი. ნუთუ, შესაძლებელია იმის თქმა, რომ მათ ერთი კანონზომიერება აქვთ? არა, ამბობს ჩვენი პროფესორი; სწორედ მარქსიზმის თვალთახედვით, აქ ჩვენ უნდა ვისაუბროთ სხვადასხვა კანონზომიერებაზე იმის მიხედვით, თუ რომელ რიგში ვიმყოფებით ჩვენ. სხვაგვარად, სამართალს არაფერი განასხვავებდა ეკონომიკისაგან.

აქ პროფ. სურგულაძე ძალზე ფრთხილად მიუდგა საკითხს. იმის სურვილით, რომ ნებისმიერი საშუალებით დაემტკიცებინა ჩვენთვის, რომ მისი წიგნი მარქსისტულია, ის ყოჩაღად იყენებს მარქსიზმში არსებულ სპეციფიკურობის პრობლემას, რათა მისი მეშვეობით დაფაროს/[საბურველში გაახვიოს] ჰუსერლიანური სირცხვილი. მომხსენებელმა, ამხანაგმა გეგენავამ, ამის შესახებ საკმაოდ ისაუბრა და, ვიმედოვნებ, რომ თავის დასკვნით სიტყვაში ის კიდევ შეეხება ამ საკითხს. სურგულაძესთან არსებობს ორი ონტოლოგიურად განსხვავებული სამყარო – სამართლის ნორმების სამყარო და სოციალურ მოვლენათა სამყარო. და, იმისათვის, რომ გადაარჩინოს ეს ორივე სამყარო (ერთი – სოციალური – ჩვენი აუდიტორიისათვის, მეორე – სამართლებრივი – სავარაუდოდ, ვიღაც სხვისთვის), სურგულაძე პრობლემის სპეციფიკურობით აპელირებს.

თუმცა ვნახოთ, თუ როგორ აყენებს მარქსიზმი საკითხს სპეციფიკური კანონზომიერებების შესახებ. სპეციფიკური კანონზომიერება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა ჩვენ სხვა ხარისხი გვაქვს. სოციალური კანონზომიერება განსხვავდება ფიზიკური კანონზომიერებისაგან, რომ სოციალური წარმოადგენს ახალ ხარისხს, რომელიც არ დაიყვანება ბიოლოგიურამდე და ა.შ.

ხარისხობრივად ახალი მოვლენების სფეროში წარმოშობილი, განსხვავებული კანონზომიერებების შესახებ საკითხი სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ფიზიკური კანონზომიერება ან არაორგანული ბუ-

ნების კანონზომიერება არის საყოველთაო კაუზალური ბადე, რომელზეც თამაშდება სინამდვილის ყველა მოვლენა. თუმცა მოვლენათა კაუზალური ურთიერთობანი არ არის რაღაც ფატალური. არაორგანული ბუნების კაუზალური ბადის გარკვეულ ადგილებში, განსაზღვრული მოვლენების დროს, ახალი ხარისხი წარმოიშობა – ორგანული მოვლენები, რომელთა კანონზომიერება, ზოგადი კაუზალური კანონზომიერებიდან გამომდინარე, არ წყვეტს კაუზალობას, თუმცა, ამავე დროს, აქვს თავისი სპეციფიკურობა. სწორედ ეს სპეციფიკურობაა ორგანული სამყაროს კანონზომიერება, რომელიც ბუნების სპეციფიკური ნაწილია. ორგანული სამყაროს მოვლენათა წრის შიგნით, ორგანულის ახალ სპეციფიკურ ბადეზე, განსაზღვრული მოვლენების დროს კვლავ იქმნება ახალი ხარისხი – სოციალური სამყარო, ადამიანთა საზოგადოების ურთიერთობათა სამყარო. სოციალურ ურთიერთობათა სისტემა ქმნის, ასევე, სპეციფიკურ კანონზომიერებას, რომელიც ორივე წინამორბედ კანონზომიერებას ხსნის, თუმცა მათ სულაც არ გამორიცხავს.

თუ ჩვენ სოციალურ კანონზომიერებათა რიგში ვიმყოფებით, სინამდვილის ყველაზე მაღალ რიგში, მაშინ სრულიად ნათელია, რომ ამ სოციალურისათვის ბიოლოგიურისა და ბუნებით-ისტორიული კანონზომიერების ბადე სავალდებულოა. რა ტექნიკასაც არ უნდა ფლობდეს საზოგადოება, ის ყოველთვის იქნება ფიზიკურ კანონზომიერებას დაქვემდებარებული. ასევე, სრულიად ნათელია, რომ აქ, სოციალურში, ბიოლოგიური კანონზომიერებაც არსებობს, თუმცა არ შეიძლება, ყველაფერი ერთ გროვაში აიზილოს, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ, მაგალითად, პოზიტივისტებთან ან ჩვენს მექანისტებთან. დიალექტიკური აბსტრაჰირება ისაა, რომ, როცა ჩვენ ვიმყოფებით, მაგალითად, სოციალურის სფეროში, მაშინ ბიოლოგიური და ბუნებით-ისტორიული ან ფიზიკური კანონზომიერება ჩვენ გვერდით დარჩება. ჩვენ მაშინ მხოლოდ სოციალურ კანონზომიერებაზე შევჩერდებით; ბიოლოგიური კანონზომიერება (rsp. ფიზიკური) ამ შემთხვევაში არის მხოლოდ პირობა, ფონი სოციალურისათვის. ბუნების სტიქიები, მიწისძვრები, ავადმყოფობა, მემკვიდრეობითობა და ა.შ., რა თქმა უნდა, გავლენას ახდენენ სოციალურზე, თუმცა ისინი მას არ განსაზღვრავენ. სოციალური არის სრულებით განსხვავებული ხარისხი, რომელსაც საკუთარი სპეციფიკური კანონები აქვს, რომლებიც არ დაიყვანება არც ბიოლოგიურამდე, არც ფიზიკურ-ქიმიურამდე.

თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ არ ვიცნობთ სხვა, ნამდვილობის მოვლენათა მეოთხე იარუსს, გარდა სამი მითითებულისა: ფიზიკურის, ბიოლოგიურისა და სოციალურისა. თუ ჩვენ უკვე ვიმყოფებით სოციალური კანონზომიერების რიგში, მაშინ, მოდით, ბოლომდე დავრჩეთ მასზე, მოდით, ეს სპეციფიკური კანონზომიერება შეძლებისდაგვარად შევიმეცნოთ, ყველა მისი გამოვლინებით და ნუ გამოვიგონებთ მეოთხე კანონზომიერებას, თანაც ისეთს, რომე-

ლიც პრინციპულად განსხვავდება კაუზალურისაგან. მსგავსი შეხტომა იქნება საპირისპირო პოზიტივიზმთან, უკიდურესობასთან შედარებით.

სრულიად ნათელია, რომ სამართლებრივი ურთიერთობების სისტემას, როგორც განსაკუთრებული სოციალური მოვლენებისას, საკუთარი კანონები აქვს, თუმცა აქედან რა გამომდინარეობს? ფიზიკასა და ქიმიას თავისი განსაკუთრებული კანონები აქვს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აღნიშნული მეცნიერებების ობიექტი ხარისხობრივად ერთია, და შემთხვევითი როდია, რომ ფიზიკისა და ქიმიის განსხვავებული „კანონზომიერებანი“, ანუ ფიზიკისა და ქიმიის კანონების ცნობილი ერთობლიობანი აწმყოში ერწყმის ერთმანეთს. ამჟამად არა მხოლოდ ქიმია, არამედ თვით ასტრონომიაც და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მთელი რიგი, რომლებიც არაცოცხალ ბუნებას იკვლევენ, არსებითად, ფიზიკად გარდაიქმნებიან. ახლა ხდება ასტრონომიისა და ქიმიის ფიზიცირება. და ეს, როგორც ვხედავთ, რადგან მათი საგანი არსებითად ერთია და არ არსებობს რაიმე სუბიექტური მიდგომა, თუ ერთი მეცნიერება იკვლევს თვისებათა განსაზღვრულ ერთობას, მეორე მეცნიერება – სხვაგვარს და ა.შ. რა შუაშია აქ სუბიექტური მიდგომა? მე შემიძლია, რაიმე საგანს დავაკვირდე ერთი ან სხვა მხრივ, თუმცა არაერთდროულად – ყველა მხრიდან, – ეს ფიზიკურადაც კი შეუძლებელია.

ამიტომ ვთვლი, რომ პროფ. სურგულაძესთან გვაქვს კანონისა და კანონზომიერების აშკარა აღრევა. როცა ჩვენ კანონზომიერების შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ერთიანი კაუზალური კანონზომიერება, რომელიც ბიოლოგიურ მოვლენათა რიგში განსაზღვრული წესით მოდიფიცირდება, ქმნის ბიოლოგიის იმ გარკვეულ კანონებს, რომლებსაც ვერ გამოვიყვანთ ფიზიკისა და ქიმიის კანონებიდან. იგივე ხდება სოციალური მოვლენების მიმართ.

ახლა კი კანონის შესახებ. რა არის კანონი? კანონი, როგორც ამაზე შესანიშნავად ამბობდა ჰეგელი, არ ამოწურავს კანონზომიერების ცნებას, თუმცა, არსებითად, ჩვენ, მთლიანობაში, კანონზომიერების შესახებ უფრო მდიდარ წარმოდგენას გვაძლევს. აი, რას წერს, ჰეგელის კომენტირებისას ამის შესახებ ლენინი: „კანონის ცნება **არის** ადამიანის მიერ მსოფლიო პროცესის **ერთიანობისა და კავშირის,** ურთიერთდამოკიდებულებისა და მთლიანობის შემეცნების ერთ-ერთი საფეხური“ (დედნის ხაზგასმა). შემდეგ ლენინი ციტირებს ჰეგელს *(გერმანულად კითხულობს).* ეს ნიშნავს: „კანონთა სამეფო არის **განხორციელებული** ან არსებული სამყაროს დამშვიდებული (ჰეგელის ხაზგასმა) განსახიერება“. და ლენინი განმარტავს ამ ადგილს: „ეს შესანიშნავად მატერიალისტური და შესანიშნავად მახვილგონივრული (ერთი სიტყვით, „მშვიდი“) განმარტებაა. კანონი იღებს მშვიდს – ამიტომაც კანონი,

ნებისმიერი კანონი, ვიწროა, არასრულია, მიახლოებულია“.[1] კანონი უმჭიდროესად დაკავშირებულია კანონზომიერებასთან, ის არ არის მისგან მოწყვეტილი, თუმცა გვაძლევს კი კანონზომიერებას? არავითარ შემთხვევაში. კანონი არის სინამდვილის დამშვიდებული განსახიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენ გვაქვს კანონი ფიზიკურ მოვლენათა სფეროში, მაშინ ამ კანონში ჩვენ ფიზიკურ მოვლენათა ჯგუფს შორის განსაზღვრულ ურთიერთობებს ვადგენთ. ამ კანონის მეშვეობით ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ აღნიშნული ურთიერთობების დამყარებისაკენ ვისწრაფვით, ჩვენ თითქოსდა ვყინავთ კანონში აღნიშნულ ურთიერთობებს. თუმცა, სინამდვილეში, აღნიშნული ურთიერთობები განუწყვეტლივ იცვლება, ისე, რომ ნამდვილობის კანონში მშვიდი არეკვლა არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ცოცხალ, დიალექტიკურ კანონზომიერებას.

კანონზომიერების შესახებ საუბრისას ნამდვილობა მთლიანობაში უნდა იქნეს აღქმული, როგორც მოვლენათა მთელი მრავალფეროვნების რეალური ერთობა.

სოციალურ კანონებში ჩვენ ადამიანთა განსაზღვრულ, შეგნებულ საქმიანობას ვხედავთ, რომლებიც თვითონ ქმნიან საკუთარ ისტორიას, თვითონ ქმნიან ამ კანონებს და ცვლიან ამ კანონებს. შრომითი ღირებულების კანონი, მაგალითად, მხოლოდ კაპიტალიზმის დროს ჩნდება, მაშინ, როცა, ვთქვათ, ნიუტონის მიზიდულობის კანონი ან საკვების გადამუშავების კანონი კაპიტალისტური ფორმაციისაგან დამოუკიდებელია.

ეს გარემოება მკვეთრად განასხვავებს სოციალურ კანონებს ბუნებრივისტორიული კანონებისაგან და, მსგავსივე სახით, ბიოლოგიურისაგან. თუმცა ნათელია, რომ სოციალური კანონები, რომლებიც გამოხატავენ, ერთი მხრივ, სამართლებრივ მოვლენებსა და, მეორე მხრივ, რელიგიურ ან ზნეობრივ მოვლენებს შორის ურთიერთობებს, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაძლევს უფლებას, ვისაუბროთ სამართლის, რელიგიის, მორალისა და ა.შ. შიგნით სპეციფიკური კანონზომიერებების შესახებ, ვინაიდან, ამასთანავე, ჩვენ სოციალური მოვლენების რიგის შიგნით ვრჩებით. შექმნა ახალი კანონზომიერება, თანაც სოციალური კანონზომიერებისაგან ხარისხობრივად განსხვავებული – ნიშნავს, შექმნა სოციალურთან შედარებით ახალი ხარისხი, რომელიც სოციალურთან მიმართებით სპეციფიკური და მასზე მაღლა [მდგომი] იქნება. მაგრამ ეს მიგვიყვანს ან ღმერთთან, ან ჰუსერლის გამოშიგნული ლოგიკური ფორმების სამეფოსთან, სხვათა შორის, ძალზე ახლოს მდგომის, ღმერთის სამეფოსთან. როგორც ცნობილია, ჰუსერლმა მიზნად დაისახა წმინდა ლოგიკის შექმნა, ანუ ისეთისა, რო-

[1] Ленинский сборник, IX, 145, 147.

მელიც ცნობიერების/[შემეცნების] არა ფსიქიკური აქტებით ოპერირებს, არამედ წინადადებებით (Sätze), ლოგიკურობით – როგორც ასეთით. ეს არის იდეალურის სფერო, რომლის შინაარსი არა იმდენად არის, რამდენადაც ნიშნავს (gilt). ეს ლოგიკური სამეფო არის ზესოციალური სფერო, ონტოლოგიურად ახალი სამყარო, რომელიც არ ექვემდებარება მიზეზობრივ კანონზომიერებას. სწორედ ამასთან აქვს საქმე პროფ. სურგულაძეს; მარქსიზმი კი აქ სრულებით არაფერ შუაშია.

გადავდივარ პროფ. ნანეიშვილთან. მე შეგნებულად დავიტოვე ნაკლები დრო ნანეიშვილისათვის, რადგან ამხანაგ შარიას გამოსვლამ, რომელზეც მან დროებითი სარგებლობის უფლება გაავრცელა, მშვენივრად და მკაფიოდ გვიჩვენა პროფ. ნანეიშვილის იდეოლოგიური დებულება, ასე რომ, მე აქ ძალზე ცოტა რაიმის დამატება მომიწევს.

დავიწყებ მისი მტკიცებით, რომ პოზიტიურ სამართალს აქვს ხელოვნური, შემთხვევითი ხასიათი. რას ნიშნავს ეს? ეს სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ყოველივე კონკრეტულის, რეალურის შეტენვას, შეჩურთვას შემთხვევითობის სამყაროში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ინგლისელი ფილოსოფოსის – პირსის[1] მიერ შექმნილი ტიქიზმი, რომელმაც სამყაროში შემთხვევის (τύχη) ბატონობის სპეციალური თეორია შექმნა. თუმცა, გარდა პირსისა, ფრანგი იდეალისტის – ბუტრუს[2] მითითებაც არის შესაძლებელი, რომელსაც აქვს პრეტენზიული სათაურის მქონე წიგნი (რუსულ ენაზეც თარგმნილია): „ბუნების კანონთა შემთხვევითობის შესახებ“. აქ ბუტრუ „დაჟინებით“ ამტკიცებს, რომ კონკრეტულის სფეროში, ბუნებისა და საზოგადოების მოცემული პროცესების გამოცდილებაში, ბატონობს შემთხვევა; სხვათა შორის, [ბუტრუ]

---

[1] **ჩარლზ სანდერს პირსი** (1839-1914) – ფილოსოფოსი, ლოგიკოსი, მათემატიკოსი, პრაგმატიზმისა და სემიოტიკის ფუძემდებელი. ფილოსოფიაში შემოიტანა ტერმინი ფანერონი (ან ფენომენი) (ფანეროსკოპიის, ფანერონების დაკვირვებისა და ამ დაკვირვების შედეგების განზოგადების მკვლევარი მეცნიერების აღმნიშვნელი საკვანძო ცნება). ფანერონის ცნება არსობრივად მიახლოებულია ლოკისეული გაგებით „იდეის“ ცნებასთან. პირსმა შემოგვთავაზა ტიქიზმის (ბერძ. τύχη, შემთხვევა) – მოძღვრება სამყაროში შემთხვევის ბატონობის შესახებ. ტიქიზმი უარყოფს ბუნების კანონთა „მექანიკურ“ კონცეფციას. ტიქიზმის დოქტრინა ვარაუდობს შემთხვევითობის ელემენტის არსებობას სამყაროს მოწყობის პროცესში. ტიქიზმი, პირსის აზრით, მთავარ როლს ასრულებს ევოლუციის პროცესში, ხოლო სამყარო ფლობს კანონის შერჩევის აბსოლუტურ თავისუფლებას. შემთხვევა განსაზღვრავს საგნების მრავალსახეობასა და მრავალხარისხოვნებას, თვითგანვითარებას მივყავართ სიმტკიცისაკენ. პირსი არ ამტკიცებდა, რომ სამყაროს არ გააჩნია კანონები. ის ამბობდა, რომ ისინი არიან, თუმცა – არასაკმარისად ზუსტი, რადგან ჯერ კიდევ ევოლუციის პროცესში იმყოფებიან [მთარგმნელი].

[2] **ეტიენ ემილ მარი ბუტრუ** (1845-1921) – ფრანგი ფილოსოფოსი, ფილოსოფიის ისტორიკოსი, სპირიტუალისტი [მთარგმნელი].

ღმერთთან მიდის, რომელსაც, ასე შეშინებული, გვერდს უვლიდა ამხანაგი ნანეიშვილი.[1]

გადავიდეთ შემდეგ საკითხზე. ამხანაგი გეგენავას თეზისებში ნათქვამია, რომ პროფ. ნანეიშვილმა გაანადგურა ნამდვილობა. პროფ. ნანეიშვილი მტკიცედ აპროტესტებდა ძარცვაში მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას და უთითებდა იმაზე, რომ მომხსენებელმა არასწორად გაუგო მას. მე ყურადღებით მოვისმინე პროფ. ნანეიშვილის გამოსვლა და კიდევ ერთხელ ზედმეტადაც დავრწმუნდი, რომ მან მართლაც გაანადგურა ნამდვილობა. თუ ჰეგელმა ბუნება გადაასახლა შენიშვნებში, მან ამით მაინც წაართვა მას [იგულისხმება ბუნება – რედ.] შინაარსის სიმდიდრე, ხოლო პროფ. ნანეიშვილმა შემთხვევითობის სამეფოში ნამდვილობის გადაგდებით გადააქცია ის ლოგიკური იდეის, არსის/[რაობის] მარკიტანელად, და ამით ნამდვილობას წაართვა მისი მოძრავი, იმანენტური შინაარსი, სიცოცხლისუნარიანობა, გამოვლინებათა და დამოუკიდებლობის სისრულე. ნუთუ ეს არ არის ნამდვილობის განადგურება?!

სხვათა შორის, ნანეიშვილი იმით ცდილობდა თავის გამართლებას, რომ სამართლის არსისა/[რაობისა]) და კონკრეტული, პოზიტიური სამართლის მისეულ კონცეფციაში მან ზოგადი დაუპირისპირა კერძოს. თანაც, აქ მარქსსა და ენგელსზე აკეთებდა მითითებას, რომლებიც თითქოსდა, ასევე, უპირისპირებდნენ ერთმანეთს ზოგადსა და კერძოს. თუმცა ჰუსერლიანური დებულებების მარქსიზმად გადაღებვა ნანეიშვილს კიდევ უფრო ნაკლებად გამოსდის, ვიდრე სურგულაძეს. საქმე ისაა, რომ მარქსიზმი არა მხოლოდ უპირისპირებს ერთმანეთს ზოგადსა და კერძოს, არამედ – ეს უმთავრესია – მათ ერთობაში იღებს. ჩვენთან არ არის ზოგადი კერძოს გარეშე და კერძო არ არის ზოგადის გარეშე. აი, რატომაც ხდება, რომ ნანეიშვილის მითითება ენგელსისეულ ნაყოფზე მიზანს აცილებულია. ნაყოფის ზოგადი ცნება, ენგელსის მი-

[1] აი, ის დასკვნები, რომლებიც გააკეთა ბუტრუმ თავის წიგნში: ასეთია მეტაფიზიკური პრინციპები, რომლებიც შესაძლებელს ქმნიან მოძღვრებას შემთხვევითობის შესახებ. ამ პრინციპების გაცხადებით, ის ხელს უწყობს ადამიანის ცნობიერების რწმენას... ის არყევს პოსტულატს, რომელიც წარმოუდგენელს ხდის თავისუფლების ჩარევას ნივთების მოქმედებაში... ის აღებს, თვით სამყაროს წვრილმანშიც კი, შემოქმედებისა და ცვლილების კვალს. ამრიგად, ის მთლიანად ხელს უწყობს ცნობიერებას თავისუფლების – როგორც უზენაესი საწყისის, შესახებ, რომელიც წარმოიქმნება ზეგრძნობიერი სფეროებიდან, რათა ჩაერიოს მოვლენათა სვლაში და წარმართოს ისინი გაუთვალისწინებელი გზების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, თავისუფლება არ არის პოეტი, რომელსაც პლატონი ყვავილებით ამკობდა, თუმცა აძევებდა საკუთარი რესპუბლიკიდან. ღმერთი – არამხოლოდ სამყაროს შემოქმედია: ის, ასევე, მისი წინასწარ შემცნობია და ზრუნავს განკერძოებულზე ისევე, როგორც მთლიანზე“ (Э. Бутру, О случайности законов природы, М., 1900, 211, 209).

ხედვით, არ არსებობს ვაშლებისაგან, მსხლებისაგან და ა.შ. მოწყვეტით; და, პირიქით, ვანადგურებ რა, მაგალითად, მივირთმევ რა ამ ვაშლს, იმ მსხალს და ა.შ., მე ამით ნაყოფსაც ვანადგურებ. სხვა სიტყვებით, არ არსებობს ნაყოფი ვაშლების, მსხლებისა და ა.შ. გარეშე, ისევე, როგორც არც ვაშლები, მსხლები და ა.შ. არ არსებობენ ნაყოფის გარეშე. ზოგადი და კერძო რეალურად არსებობენ მხოლოდ ერთობით.

ეს რომ უკეთ გავიგოთ, ავიღოთ მატერიის ფილოსოფიური ცნება. რით განსხვავდება მატერიის ფილოსოფიური ცნება ფიზიკურისაგან? იმით, რომ ფიზიკას ან ქიმიას ყოველთვის აქვთ საქმე მატერიის კონკრეტულ სახეობასთან – წყალბადთან, ჟანგბადთან, თხევად სხეულებთან და სხვ. მათ ყოველთვის აქვთ საქმე ჩვენი საერთო საწყისი რეალობის კონკრეტულ გამოვლინებასთან – მატერიასთან. ფილოსოფოსს არ აქვს საქმე მატერიის კონკრეტულ გამოვლინებასთან, ის მატერიას იღებს როგორც საყოველთაო რეალობას, როგორც ამ კონკრეტული ინდივიდუალური გამოვლინებების ერთობას, ერთობას, რომელიც წამითაც კი არ სწყდება კერძოს. როგორც კი თქვენ მოსწყვეტთ მატერიის ცნებას მის კერძო, რეალურ გამოვლინებას, ანუ, როგორც კი მოსწყვიტეთ, წერტილი დასვით მატერიის ცნებასა და მის რეალურ გამოვლინებას შორის, მაშინვე მატერია გადაგექცევათ ლოგიკურ აბსტრაქციად, რომელიც მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ზოგადი ცნება, აბსტრაქტული, რაღაც არარეალურს არ წარმოადგენს, რაღაც არსებულს, უშუალო, კონკრეტული ნამდვილობისაგან მოწყვეტით.

ნანეიშვილი-ჰუსერლის მიხედვით კი ზოგადი [ცნებები] ის სქოლასტიკური უნივერსალობებია, რომლებიც რეალურად არსებობენ სადღაც კერძოზე, ერთეულზე ზევით და თვითონ განსაზღვრავენ მას. მაგრამ, როგორც შუასაუკუნოვანმა რეალისტებმა, რომლებმაც წარმოადგინეს თეზისი, რომ universalia sunt realia[1], ჰუსერლმაც თავისივე ლოგიკურით, თავისივე არსით განიცადა ფიასკო. ჰუსერლმა ვერ შეძლო ფილოსოფიის გადაქცევა აპოდიქტიკურ[2], მათემატიკის მსგავს, მეცნიერებად, ვინაიდან მან ვერ შეძლო შემეცნებაში აპოსტერიორული[3], ინდუქციური წინაპირობებისათვის გვერდის ავლა. ლოგიკურმა მასთანაც ვერ შეძლო, გამკლავებოდა რეალურს, კონკრეტულს, არამედ დაიმსხვრა ამ რეალურის, კონკრეტულის, ნამდვილის ცოცხალი მრავალფეროვნებისაგან.

პროფ. ნანეიშვილის ფილოსოფიურ-სამართლებრივი სისტემა, რამდენადაც მე ის გავიგე, სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ლოგიკური

---

1 უნივერსალური – რეალურია [მთარგმნელი].
2 სარწმუნო, უეჭველი, ლოგიკურად აუცილებელი [მთარგმნელი].
3 ცდებით მიღებული ცოდნა [მთარგმნელი].

იდეა, სამართლის არანამდვილი არსი/[რაობა], სამართალშემოქმედების არსის მეშვეობით დაეშვება ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე და იწყებს მოქმედებას. გამოდის სამართლის ნამდვილი არსი/[რაობა], რომელიც პოზიტიური სამართლის სხვადასხვა სისტემაში ხორციელდება. ეს უკანასკნელი სრულიად შემთხვევითია და თავისი განხორციელებისათვის, გარდა ზოგადი სამართლებრივი იდეისა, შესრულების/[აღსრულების] შანსსაც საჭიროებს, რომელსაც იძლევა კიდეც, ვთქვათ, სახელმწიფო იძულების აპარატი. ამგვარად, სამართალი, ბიბლიური ადამის მსგავსად, შედგება: სულისაგან, რომელიც ძირს ეშვება არსის/[რაობის] მთის ფერდობებიდან, და სხეულისაგან – იძულების აპარატის სახით.

თუმცა „სამართლებრივი ცხოვრება, ზოგადად, არ დაიფარება იმ ცხოვრებით, რომელიც განხორციელებული სამართლებრივი ფასეულობების სისტემას წარმოადგენს“. გარდა სამართლისა, ნორმატიული ფაქტებიც (მაგალითად, ხელშეკრულება) არსებობენ, რომლებიც, თავისთავად, იძულებითი არიან. ნორმატიული ფაქტები არ გამომდინარეობს სამართლის არსიდან/[რაობიდან], „ნორმატიული ფაქტების ბუნება არ შეიძლება ეფუძნებოდეს არც წყაროს, არც პოზიტიური სამართლის ნორმას. ნორმატიული ფაქტების ამგვარი ორიენტაცია შეუძლებელს გახდიდა ასეთი ფაქტების პრობლემას და მთელი სამართლებრივი ცხოვრება წარმოგვიდგებოდა როგორც უკვე განხორციელებული პოზიტიურ-სამართლებრივი ფასეულობების სისტემა“. ამრიგად, ნორმატიულ ფაქტებს რაღაც სხვა წყარო აქვთ. მათი „არსი/[რაობა]“ არის განსაკუთრებული არსი/[რაობა], და ნორმატიულობის ეს არსი/[რაობა] კიდევ უფრო მაღალია, უზოგადესია, ვიდრე „სამართლის არსი/[რაობა]“. უკანასკნელი არის „ნორმატიულობის არსის/[რაობის]“ გვარის სახეობა. პროფ. ნანეიშვილი არ მიდის „ნორმატიულობის არსის ([რაობის])“ იქით. თუმცა მისი გაგრძელება ნებისმიერს მოუხდებოდა, ვინც მის პოზიციაზე დარჩენისას მორალისა და რელიგიის მოვლენათა ახსნას მოისურვებდა, და ამ დროს გარდაუვლად აღზევდებოდა ღმერთის არსამდე.

ამხანაგებო, მე იმით ვასრულებ, რომ მსურს, პროფ. ნანეიშვილს ერთი კასტილიელი მეფის (ალფონსო XIII) ისტორია შევახსენო, რომელმაც, პტოლომეუსის[1] სისტემის გაცნობის შემდეგ წამოიყვირა: „მე რომ ყოვლისშემ-

[1] **კლავდიუს პტოლომეუსი** (ძვ. ბერძ. Κλαύδιος Πτολεμαῖος, ლათ. Claudius Ptolemaeus, დაახლ. 100-170) – გვიანელინისტური ეპოქის ასტრონომი, ასტროლოგი, მათემატიკოსი, მექანიკოსი, ოპტიკოსი, მუსიკის თეორეტიკოსი და გეოგრაფი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეგვიპტის ალექსანდრიაში (დადასტურებულად – 127-151 წწ.), სადაც აწარმოებდა ასტრონომიულ დაკვირვებებსა და კვლევებს. კლასიკური ანტიკური პერიოდის ასტრონომიული მონოგრაფიის ავტორი (იხ. „ალმაგესტი“), რომელიც შეიქმნა ანტიკური ციური მექანიკის განვითარების შედეგად და იმდროინდელი საბერძნეთისა და ახლო აღმოსავლეთის ასტრო-

ძლე შემოქმედი ვყოფილიყავი, გაცილებით უფრო მარტივს ავაგებდიო“. და, თქვენ იცით, რომ ის მართალი აღმოჩნდა: მზის სისტემის რეალური სინამდვილე კოპერნიკი[1]-კეპლერის[1] მიერ უფრო მარტივ, დახვეწილ და უფრო

ნომიული ცოდნის სფეროში პრაქტიკულად სრულყოფილი კრებული იყო. ღრმა კვალი დატოვა მეცნიერების სხვა სფეროებშიც – ოპტიკაში, გეოგრაფიასა და მათემატიკაში. მთელი ათასწლეულის განმავლობაში ჰიპარქედან (ქრ. შობამდე II ს.) მოყოლებული, ვიდრე ალ ბირუნიმდე (X-XI სს.) პტოლომეუსი ასტრონომიის სრულიად შეუდარებელი მკვლევარია. პტოლომეუსის ფართო ერუდიციას, მის მიერ წინამორბედი მეცნიერების ნაშრომების გამოყენებას, სავარაუდოდ, დიდად უწყობდა ხელს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენება. პტოლომეუსის მთავარი ნაშრომია „მეგალის სინტაკსის“ (დიდი მათემატიკური წყობა ასტრონომიაში ცამეტ წიგნად, რომელიც წარმოადგენს ძველი სამყაროს ენციკლოპედიას ასტრონომიისა და მათემატიკური ცოდნის სფეროებში. ბერძნული ცივილიზაციიდან, არაბულის გავლით, ეს თხზულება მოხვდა შუა საუკუნეების ევროპაში და სახელწოდება „Megale syntaxis“, ანუ „დიდი წყობა“ – გარდაიქმნა „ალმაგესტში“, რომლითაც დღემდეა ცნობილი. ალმაგესტში პტოლომეუსმა გააერთიანა ძველი საბერძნეთისა და ბაბილონის ასტრონომიული ცოდნის კრებული და ჩამოაყალიბა სამყაროს ძალზე რთული გეოცენტრისტული სისტემა (ან, თუ არა, გადმოგვცა ჰიპარქეს მიერ შემუშავებული). პტოლომეუსის გეოცენტრისტულმა სისტემამ, პრაქტიკულად, საყოველთაო აღიარება პოვა დასავლურ და არაბულ მეცნიერებაში, ვიდრე არ შეიქმნა ნ. კოპერნიკის ჰელიოცენტრისტული სისტემა [მთარგმნელი].

[1] **ნიკოლოზ კოპერნიკი** (1473-1543) – აღორძინების ეპოქის პოლონელი ასტრონომი, მათემატიკოსი, მექანიკოსი, ეკონომისტი და კანონისტი. განსაკუთრებით ცნობილია როგორც სამყაროს ჰელიოცენტრისტული სისტემის ავტორი, რომელმაც სათავე დაუდო პირველ სამეცნიერო რევოლუციას. 1491 წელს კოპერნიკი ჩაირიცხა კრაკოვის უნივერსიტეტში, სადაც ერთნაირი წარმატებით სწავლობდა მათემატიკას, მედიცინას და ღვთისმეტყველებას, თუმცა განსაკუთრებული ინტერესი სწორედ ასტრონომიის მიმართ გამოიჩინა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1494) კოპერნიკს არ მიუღია რაიმე სამეცნიერო წოდება, რის გამოც საოჯახო საბჭომ გადაწყვიტა, რომ მას სასულიერო კარიერა უნდა აერჩია. ასეთი არჩევანი დიდად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კოპერნიკის ბიძა-მეურვე ეპისკოპოსად აკურთხეს. სწავლის გასაგრძელებლად ის იტალიაში გაემგზავრა (1497) და ბოლონიის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. გარდა ღვთისმეტყველების, სამართლისა და ანტიკური ენების შესწავლისა, მან, ცნობილი ასტრონომის, დომენიკო ნოვარას, ხელმძღვანელობით კვლავ განაგრძო ასტრონომიის შესწავლა. ბოლონიის უნივერსიტეტის სხვა პროფესორებთან ერთად, ამ პერიოდში მოღვაწეობდა სახელგანთქმული მათემატიკოსი სციპიონ დელ ფერო, რომლის აღმოჩენებმა სათავე დაუდო ევროპული მათემატიკის აღორძინებას. იმავდროულად, ბიძის – ეპისკოპოსის მეცადინეობით, კოპერნიკი დაუსწრებლად აირჩიეს ვარმიის ეპარქიის კანონიკოსად და, როცა 1512 წელს გარდაიცვალა მისი ბიძა, ის გადასახლდა პატარა ქალაქ ფრომბორკში, რომელიც ვისლის ყურის ნაპირზეა გაშენებული და სადაც ის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ირიცხებოდა კანონისტად და საკუთარი სამღვდელო მოვალეობების შესრულებას შეუდგა. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ვარმიის ეპარქიაში, სადაც, ასევე, სამეცნიერო კვლევებს აგრძელებდა. მან ფრომბორკის ციხესიმაგრის ჩრდილო-დასავ-

ზუსტ სისტემაშია წარმოდგენილი, რომელმაც ჩვენს დრომდე შეინარჩუნა საკუთარი მნიშვნელობა. თანაც, კოპერნიკმა შეცვალა „მხოლოდ“ თვალსაზრისი. პროფ. ნანეიშვილიც უფრო მარტივად გადაწყვეტდა სამართლისა და ნორმატიული ფაქტების პრობლემას და, რაც მთავარია, შეუდარებლად ზუსტად, ჭეშმარიტებასთან ახლოს, თუ ის შეცვლიდა საკუთარ ჰუსერლიანურ-პტოლომეუსისეულ დებულებას ფილოსოფიაში და დაადგებოდა კოპერნიკულ-მარქსისტულ პოზიციას.

ჰუსერლი-ნანეიშვილის ფილოსოფიას არ შეუძლია, გადაგვდოს ჩვენ ენერგია გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის აღნიშნულ, ძალზე დაძაბულ მომენტში. ამ ფილოსოფიას ჩვენ მივყავართ არაფრისმთქმელი ლოგიკური იდეების, ლოგიკური წინადადებების მუდმივი/[საუკუნო] სამეფოსაკენ და

ლეთი კოშკურა ობსერვატორიად გადააქცია. უკვე 1500-იან წლებში მან სრულიად ნათლად ჩამოაყალიბა საკუთარი წარმოდგენა ახალი ასტრონომიული სისტემის შესახებ. ის იწყებს წიგნის წერას, რომელშიც აღწერს სამყაროს ახალ მოდელს და მეგობრებს უზიარებს საკუთარ იდეებს, რომელთა შორის მრავლად იყვნენ მისი თანამოაზრეებიც. ამავე წლებში (დაახლოებით, 1503-1512) კოპერნიკმა საკუთარ მეგობრებს გაუზიარა თავისი თეორიის ხელნაწერი კონსპექტი: Commentariolus, ანუ „ციურ მოძრაობათა შესახებ ჰიპოთეზების მცირე კომენტარისათვის“, ხოლო მისმა მოწაფემ – რეტიკმა 1539 წელს გამოსცა ჰელიოცენტრისტული სისტემის სრულიად ნათელი დასაბუთება. როგორც ჩანს, უკვე 1520-იანი წლებისათვის, ხმები ახალი თეორიის შექმნის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული. ძირითად ნაშრომზე – „ციური სხეულების ბრუნვის შესახებ“ – მუშაობა თითქმის 40 წლის განმავლობაში გრძელდებოდა; კოპერნიკს მუდმივად შეჰქონდა მასში ცვლილებები, შესწორებები, ის ახალ-ახალი ასტრონომიული გათვლების ტაბულებს ქმნიდა [მთარგმნელი].

[1] **იოჰან კეპლერი** (1571-1630) – გერმანელი მათემატიკოსი, ასტრონომი, მექანიკოსი, ოპტიკოსი, მზის სისტემის პლანეტათა მოძრაობის კანონთა შემქმნელი. ასტრონომიისადმი ინტერესი კეპლერს ჯერ კიდევ ბავშვობაში გაუჩნდა, როცა პატარა ბიჭს დედამ კაშკაშა კომეტა აჩვენა (1577), მოგვიანებით კი – მთვარის დაბნელება (1580). 1589 წელს კეპლერმა წარმატებით დაამთავრა მაულბრონის მონასტერთან არსებული სკოლა. 1591 წელს იგი ჩაირიცხა თუბინგენის უნივერსიტეტში ჯერ ხელოვნების ფაკულტეტზე, რომელსაც მაშინ მათემატიკა და ასტრონომიაც მიეკუთვნებოდა, ხოლო შემდეგ გადავიდა თეოლოგიის ფაკულტეტზე. აქ მან პირველად გაიგონა ნიკოლოზ კოპერნიკის მიერ შემუშავებული სამყაროს ჰელიოცენტრისტული სისტემის შესახებ და მაშინვე გახდა მისი მტკიცე მხარდამჭერი. 1594 წელს კეპლერი მიიწვიეს ქ. გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტში – მათემატიკაში, ლექციების წასაკითხად, სადაც მან 6 წელი გაატარა და 1596 წელს გამოცა თავისი პირველი წიგნი – „სამყაროს შექმნის საიდუმლო“ (Mysterium Cosmographicum). 1609 წელს წიგნში – „ახალი ასტრონომია“ – კეპლერმა ჩამოაყალიბა კეპლერის კანონები, რომლებიც განსაზღვრავდნენ მზის ირგვლივ მზის სისტემის პლანეტათა მოძრაობის წესებს. პლანეტათა მოძრაობის ახალმა მოდელმა ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია თვით მეცნიერ-კოპერნიკელთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი ყველა მათგანმა არ მიიღო და არ აღიარა [მთარგმნელი].

ქმნის ისეთ გუნება-განწყობას, რომლის დროსაც, რა თქმა უნდა, მიმდინარე ბრძოლაში საკუთარ ენერგიას ჩვენ მხოლოდ თუ შევასუსტებთ (მქუხარე *აპლოდისმენტები).*

თავმჯდომარე:

დასკვნითი სიტყვა ეძლევა ამხანაგ გეგენავას.

გეგენავა:

ამხანაგებო, ჩემი მოხსენების ირგვლივ გამართული დისკუსია მესამე დღეა გრძელდება. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ რიგი გამომსვლელი ამხანაგებისა, რომლებიც პასუხობენ იმ ნაშრომთა ავტორების გამოსვლებს, რომელთა მიმართ ჩემს გამოსვლაში კრიტიკული ანალიზი გავაკეთე, უკვე თქვეს ბევრი რამ იქიდან, რის თქმასაც მე ვაპირებდი ჩემს დასკვნით სიტყვაში. ამ ამხანაგებმა აჩვენეს, რომ საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი, სინამდვილეში, მკვეთრად გამოხატულ ანტიმარქსისტულ, იდეალისტურ ხასიათს ატარებს. ზოგიერთი ორატორი ამ თვალსაზრისს ისეთი ოსტატობითა და საქმის ისეთი ცოდნით ასაბუთებდა, რომ მათი გამოსვლების შემდეგ მე მხოლოდ ძალზე ცოტა რამის თქმა დამრჩენია. თუმცა მეჩვენება, რომ მაინც არის ერთი საიდუმლო, რომელიც მთელი ჩვენი დისკუსიის განმავლობაში არ არის სრულებით გამჟღავნებული. ეს არის პროფ. სურგულაძის საიდუმლო. და, მართლაც, როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ პროფ. სურგულაძე თავისი წიგნის გარკვეულ გვერდებზე უთითებს, თავისი თითქოსდა მარქსისტული პოზიციის დასამტკიცებლად (მართალია, ამ დროს თარგმანის გაყალბებას იყენებს) და როგორ ხდებოდა, რომ ჩვენს ამხანაგებსაც, ასევე, შეეძლოთ მიეთითებინათ იმავე წიგნის სხვა გვერდები, სადაც ეჭვგარეშე გარკვეულობით იმის სრულიად საპირისპიროა ნათქვამი, რასაც ჩვენ თვით პროფ. სურგულაძე გვიკითხავდა. ეს დღემდე გაურკვეველი რჩება. ასეთი გასაკვირი მოვლენის მიზეზის მოძიება გართულებულია ამავე დროს აღნიშნულ დისკუსიაში პროფ. სურგულაძის „აკადემიური“ პოზიციით – უარი ეთქვა საკუთარი წიგნის ნებისმიერ გვერდზე და, თუ საჭიროა, ნებისმიერ წუთს უარი ეთქვა იმაზე, რასაც წინა წუთებში თვითონვე ამტკიცებდა. ამიტომ ჩვენს დასკვნით სიტყვაში შევეცდები, გავამჟღავნო ეს საიდუმლო და ვაჩვენო, რატომ და როგორ არის პროფ. სურგულაძის წიგნში „ასეთი“ და „ისეთი“ ადგილები. თუმცა, პროფ. სურგულაძეზე ვისაუბრებ დასკვნითი სიტყვის ბოლოს, [ახლა] ვაპირებ დავიწყო პროფ. ვაჩეიშვილის გამოსვლაზე პასუხით. მაგრამ, წინმსწრებად, ერთი გარემოების აღნიშვნა მსურს.

საკუთარ მოხსენებაში იმ მიზნებზე საუბრისას, რომლებსაც ჩვენი დისკუსია მისდევს, მე ვთქვი: „ჩვენ გვსურს, შეფასება მივცეთ საბჭოთა საქარ-

თველოს სამართლებრივი აზრის თანამედროვე მდგომარეობას, რათა ვიცოდეთ, თუ რა მოთხოვნების წამოყენება შეგვიძლია ჩვენ უახლოეს დროში, თუ როგორ წარვმართოთ ის მარქსისტულ-ლენინური კალაპოტით“, და არა „აღნიშნული ნაწარმოებების ავტორთა პირადი გასამართლება“. ჩვენ ამოცანად არ დაგვისახავს ვნებების გაღვივება და ერთმანეთის წინააღმდეგ ბრალდებების წამოყენება, არამედ სამეცნიერო დისკუსიის გზით გვსურს განვსაზღვროთ, ვის რა თეორიული პოზიცია უკავია სამართლისა და სახელმწიფოს მეცნიერებაში. ასეთი პოზიციების გამოვლენა აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენ განვსაზღვროთ ჩვენს თანამგზავრებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა და ფორმები. ამიტომ მე ჩემს მოხსენებაში სრულებით კორექტული და საკმაო ხარისხით აკადემიური ვიყავი.

მაშასადამე, აქ გამომსვლელი პროფესორებისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა დისკუსიაში, თემაზე – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“. თუმცა, მათ ამ დისკუსიას, ფაქტობრივად, თავი აარიდეს, ვინაიდან, თითოეული გამომსვლელი პროფესორი მხოლოდ საკუთარი ნაშრომის თაობაზე საუბრობდა, ან, უფრო სწორად, ჩემი მოხსენების იმ ნაწილზე, სადაც საუბარი იყო ამ პროფესორის ნაშრომზე. რით აიხსნება ეს. და, მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა, ვთქვათ, პროფ. სურგულაძეს აღენიშნა – რაშია მართალი ან არასწორი, ვთქვათ, პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომების შეფასებაში, ან – რატომ პროფ. ვაჩეიშვილს არ შეეძლო აღენიშნა – რაშია მართალი ან არასწორი პროფ. ნანეიშვილის ან პროფ. სურგულაძის ნაშრომების შეფასებაში და ა.შ.? მოხსენების თემა ხომ იყო: „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“, და, უპირობოდ, საინტერესო იქნებოდა აქ ამ პროფესორების აზრის მოსმენა იმის შესახებ, რამდენად სწორად იყო მოხსენებაში არა მხოლოდ კონკრეტული პროფესორის ნაშრომის შეფასება გაკეთებული, არამედ საბჭოთა საქართველოს მთელი სამართლებრივი აზრის მდგომარეობა.

მაშ რა ხდება? ცხადია, საქმე ისაა, რომ, ასე ვთქვათ, მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკასთან პირისპირ შეხვედრისას ჩემი ოპონენტები ქართული პროფესურიდან შეეცადნენ, თავი აერიდებინათ თეორიული ბრძოლისათვის, შეეცადნენ, გარკვეულწილად, უფრო მოგებიანი პოზიციის დაკავებას, განსასჯელის პოზიციისას, [რათა] შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა აქ საკითხები წყდება არათეორიული იარაღის ძალით. ეს მცდელობა მათ არ გამოუვიდათ და დისკუსიის დასასრულს ყველასათვის სრულიად ცხადი გახდა, რომ ჩვენ მოვუგეთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, სწორედ მარქსისტულ-ლენინური თეორიით.

გადავდივარ პროფ. ვაჩეიშვილის გამოსვლაზე. თავის გამოსვლაში მან განაცხადა, სხვათა შორის, შემდეგი: „ამხანაგი მომხსენებლის პირველი დე-

ბულება, რომ ჩემს ნაშრომში არ არის იდეალისტური დასკვნები, რაც სავსებით სწორია“. მე მსგავსი არაფერი მითქვამს. მე რომ იმის მტკიცება დამეწყო, რომ პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომში არ არის იდეალისტური დასკვნები, ეს იქნებოდა არა „სავსებით სწორი“, არამედ, პირიქით, აბსოლუტურად არასწორი. მე არ ვიცი, საიდან მოიტანა პროფ. ვაჩეიშვილმა – თითქოს მე ვთქვი, რომ მის ნაშრომში არ არის იდეალისტური დასკვნები? თეზისებში პროფ. ვაჩეიშვილთან მიმართებით ნათქვამია: „სამართლის იდეალისტური ფილოსოფიის უკანასკნელ დასკვნებთან კავშირის გარეშე, გულუბრყვილოდ, სასურველად მიაჩნია იურიდიული პოზიტივიზმისა და დოგმატიზმის ნიადაგზე დარჩენა“. სწორედ ამ თეზისს ვავითარებდი მე ჩემს მოხსენებაში.

თუმცაღა თვითონ პროფ. ვაჩეიშვილმა ამხანაგი ტალახაძის რეპლიკაზე, რომ ის მის წიგნში მოიძიებდა იდეალისტურ დასკვნებს, მნიშვნელოვნად გადაასხვაფერა თავისი ფორმულირება და თქვა: „ამხანაგმა გეგენავამ იმაზე საუბრისას, რომ მე ვაკეთებდი **სრულ** (ხაზგასმა ჩემია – ა.გ.) იდეალისტურ დასკვნებს, ხაზს უსვამს იმაზე, რომ მე შევჩერდი იურიდიული პოზიტივიზმისა და დოგმატიზმის ნიადაგზე“. საკუთარი ნაშრომის მსგავსი დახასიათების საწინააღმდეგოდ ის, ცხადია, პროტესტს არ გამოთქვამს, მხოლოდ მიუთითებს, რომ „იმისათვის, რათა წამოაყენო მსგავსი წინადადება, უნდა გაარკვიო, თუ რა არის იურიდიული პოზიტივიზმი. ნუთუ მომხსენებელი ფიქრობს, რომ იურიდიული პოზიტივიზმის ცნება მარტივი, ელემენტარული ცნებაა? არა, ის ცდება, რადგან ეს დიდი და რთული ცნებაა“. აი, არსებითად, სულ ეს არის პროფ. ვაჩეიშვილის „წინააღმდეგობა“ მისი წიგნის მიმართ ჩემი ძირითადი თეზისის საპირისპიროდ. მე ვამბობდი არა „სრული“ ან „არასრული“ იდეალისტური დასკვნების შესახებ, არამედ იმის თაობაზე, რომ პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომი არ მიემხრო სამართლის აღორძინებად იდეალისტურ ფილოსოფიას იმ სახით, რომელი სახითაც ეს ფილოსოფიაა წარმოდგენილი უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, რომ პროფ. ვაჩეიშვილი რჩება იურიდიული პოზიტივიზმის ჩარჩოებში, ანუ ბურჟუაზიული იდეალისტური სამართლებრივი იდეოლოგიის სხვა ნაირსახეობის ჩარჩოებში. როგორღა შეუძლია პროფ. ვაჩეიშვილს აღნიშნული თეზისის საპირისპიროს თქმა, თუ თვითონვე აღიარებს, რომ ის იურიდიული პოზიტივიზმის ჩარჩოებში რჩება? სავარაუდოდ, ის ფიქრობს, რომ იურიდიული პოზიტივიზმი არ არის იდეალიზმი, ან – ის არასრული იდეალიზმია. შესაძლოა, ის იურიდიულ პოზიტივიზმს მატერიალიზმად, მარქსიზმადაც კი მიიჩნევს.

თუმცა მე ჩემს მოხსენებაში მარქსიზმთან აღნიშნული მიმდინარეობის შეურიგებლობის შესახებ საუბრისას იმაზეც მივუთითებდი, თუ რატომ იყო იურიდიული პოზიტივიზმი და დოგმატიზმი პროლეტარიატის იდეოლოგიისათვის მტრულად განწყობილი. პროფ. ვაჩეიშვილის მხრიდან ამის თაობაზე

შეწინააღმდეგება ჩვენ არ მოგვისმენია, ამიტომ თავს უფლებას მივცემთ, მოვახდინოთ იმის კონსტატაცია, რომ პროფ. ვაჩეიშვილს არც რაიმე ჰქონდა სადავო ჩემი ამ ძირითადი თეზისის მიმართ. მაშინ, ამ შემთხვევაში, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, თუ ის უბრალოდ, გულწრფელად აღიარებდა ამას, და არ შეეცდებოდა იმის წარმოჩენას, რომ თითქოსდა ის მე „ძლიერ“ მეწინააღმდეგება.

შემდეგ პროფ. ვაჩეიშვილი იმას ამბობდა, რომ მისი წიგნი „სამართლის ზოგადი თეორია“ „მარტივ სახელმძღვანელოს“ წარმოადგენს, ეს არის „ელემენტარული, მარტივი გადმოცემა იმ იდეოლოგებისა, რომლებიც ბურჟუაზიულ ბანაკს მიეკუთვნებიანო“. და, ნუთუ მე ვამბობ, რომ ვაჩეიშვილის ნაშრომი არ წარმოადგენს ელემენტარულ, არამედ რაღაც განსაკუთრებულ, რთულად გადმოცემულ ბურჟუაზიულ მიმართულებებს? „სიმარტივისა“ თუ „სირთულის“ შესახებ ჩემთან საერთოდ არ არის საუბარი. მე მხოლოდ ვამტკიცებდი, რომ პროფ. ვაჩეიშვილს ჩამოყალიბებული ჰყავს ყველა და აქვს ყველაფერი, გარდა მარქსიზმისა. შემდეგ მე ვამტკიცებდი, რომ პროფ. ვაჩეიშვილი ამავეს ჩამოყალიბებისას საკუთარ თავს ავლენს, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგი, რომ მისი თეორიული პოზიცია არის პროლეტარიატის იდეოლოგიის ინტერესებისათვის მტრული. თუ პროფ. ვაჩეიშვილი თვლის, რომ მე ამაში არ ვარ მართალი, მაშინ ეს უნდა ეთქვა და ამ მტკიცებაში ჩემი უარყოფის მცდელობაც უნდა ჰქონოდა.

ხოლო მის მიერ დაშვებული საკუთარი ნაშრომის მნიშვნელობის თითქოსდა დამცრობა, რომ ეს „უბრალო“ სახელმძღვანელოა, „უბრალო ელემენტარული გადმოცემა“ და ა.შ., არაფრით უარყოფს ჩემს თეზისს. იქნებ, პროფ. ვაჩეიშვილს ამით იმის თქმა სურს, რომ მან აღნიშნულ ნაშრომში ვერ გამოავლინა საკუთარი თეორიული პოზიცია, რომ ის, უბრალოდ, აყალიბებდა სხვათა მოძღვრებას? ეს არასწორი იქნებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, ჩემს მოხსენებაში ვუთითებდი იმ ადგილებს, სადაც პროფ. ვაჩეიშვილი ავითარებს საკუთარ ანტიმარქსისტულ შეხედულებებს, ხოლო, მეორეც, უბრალოდ, იმის გამოც, რომ სამართლის თეორიის კურსის შექმნისას სხვისი მოსაზრებები ჩამოაყალიბო და საკუთარი არაფერი შემატო, ზოგადად, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ადამიანს საკუთარი თავი არ აბია, თუმცა, მაშინ არც სხვისი აზრების ჩამოყალიბებაა შესაძლებელი.

შემდეგ პროფ. ვაჩეიშვილი ამტკიცებს, რომ მას არ მოუცია სამართლის მარქსისტული თეორიის ჩამოყალიბება იმის გამო, რომ ასეთი თეორია არ არსებობს, რომ ის ჯერ კიდევ დაღვინების პერიოდშია და როგორ შემეძლოო მისი ჩამოყალიბება, თუ მე მხოლოდ სხვისი თეორიის გადმოცემა შემიძლიაო და, თანაც, მხოლოდ ისეთების, რომლებიც უკვე დადგენილიაო. აქ, ზოგადად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროფ. ვაჩეიშვილმაც, ს. ჯაფარიძემაც,

პროფ. სურგულაძემაც გამოხატეს სურვილი, ეთამაშათ იმ დავაზე, რომელიც ახლა მარქსისტებს შორის მიმდინარეობს სამართლის თეორიის ირგვლივ, კერძოდ, სტალგევიჩს, დოცენკოსა და სხვებს შორის. თანაც, აქ გამომსვლელმა პროფესორებმა გააბუქეს მარქსისტებს შორის არსებული განსხვავებების მნიშვნელობა და მოცულობა, და, იმავდროულად, გამოხატეს დავის საგნის შეუცნობლობა. ისინი საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ, თითქოსდა, თქვენ ჩვენთან კამათობთ და ამტკიცებთ, რომ ჩვენი ნაშრომები ანტიმარქსისტულიაო, მაშინ, როცა თავად არ შეგწევთ უნარი, შეთანხმდეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს სამართალი მარქსისტული თვალსაზრისით. მაშ, როგორღა დავობთ ჩვენთან სამართლის მარქსისტული თეორიის თვალსაზრისიდან გამომდინარე, როცა ასეთი თეორია საერთოდაც არ არსებობს და ა.შ. მათ არ სურთ იმის გაგება, რომ სამართლის მარქსისტული თეორია, რა თქმა უნდა, არსებობს და ამ თეორიის შიგნით მიმდინარე დავა სამართლის მარქსისტული თეორიის სფეროში მეცნიერული აზრის ნაყოფიერების მაჩვენებელია. თუმცა, რომც დავუშვათ, სამართლის მარქსისტული თეორია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, მაშინ, იმავე პროფ. ვაჩეიშვილს მე ვუსვამ შეკითხვას: არსებობენ თუ არ არსებობენ პლეხანოვის შესანიშნავი გვერდები სამართლის ისტორიული სკოლის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ მარქსისა და ენგელსის უფრო მნიშვნელოვან შენიშვნებზე აღნიშნული სკოლის მიმართ? ხომ შეეძლო პროფ. ვაჩეიშვილს სამართლის ისტორიული სკოლის ჩამოყალიბება მარქსისა და პლეხანოვის მიხედვით. მე მას ვეკითხები, რატომ არ გააკეთა მან თუნდაც ეს? ვარწმუნებ პროფ. ვაჩეიშვილს, რომ სამართლის ისტორიული სკოლის ასეთი ჩამოყალიბება გაცილებით უფრო სასარგებლო და გასაგები იქნებოდა იმასთან შედარებით, რასაც ის საკუთარ დებულებებში იძლევა. როცა მე მარქსსა და პლეხანოვს ვკითხულობ სამართლის ისტორიული სკოლის თაობაზე, მე ვიგებ ამ სკოლის [არსს]. როცა მე ვკითხულობ პროფ. ვაჩეიშვილის დებულებებს სამართლის ისტორიული სკოლის შესახებ, მე მის არსს ვერ გიგებ. თავიდან მეჩვენებოდა, რომ ამაში დამნაშავეა ქართული ენის არასრულყოფილება, თუმცა დამარწმუნეს იმაში, რომ ქართული ენა აქ არაფერ შუაშია.

შემდეგ, პროფ. ვაჩეიშვილი იმის წინააღმდეგ გამოდის, რომ მე ის ტარდს მივაწებე, თითქოსდა მე ვამტკიცებდი, რომ ის ტარდისტია. არც მე, არც სხვა ვინმეს ეს არ უთქვამს. პირიქით, ჩვენ ვამტკიცებდით, რომ პროფ. ვაჩეიშვილს განსაზღვრული, სრულყოფილი კონცეფცია არ აქვს, რომ, მაშასადამე, ის არის ეკლექტიკოსი, ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგიის ფარგლებში. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ მას გარკვეული გადახრა აქვს ტარდიზმისაკენ, თუმცა, როგორც ყველა ეკლექტიკოსს, მასაც, ზოგადად, ასეთი გადახრები ბევრი აქვს – სხვაგვარად, ის ვერ იქნებოდა ეკლექტიკოსი.

პროფ. ვაჩეიშვილმა მე ვერ გამიგო, როცა ვთქვი, რომ, სამართლის წყაროებზე საუბრისას ის მხოლოდ აღნიშნული საკითხის დოგმატური გადაწყვეტით დაკმაყოფილდა. მე ამით მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ ჩვენი ავტორი ამ საკითხთან მიმართებით დოგმატურადაა განწყობილი. მე ვთქვი, რომ სამართლის ფილოსოფოსს სამართლის წყაროების შესახებ მსგავსი პოზიცია არ დააკმაყოფილებდა და ამასთან დაკავშირებით მოვიყვანე პროფ. პეტრაჟიცკის მახვილგონიერი მსჯელობა. ჩემს ძირითად თეზისს, პროფ. ვაჩეიშვილის დოგმატურობასთან დაკავშირებით, მე, სხვათა შორის, ამ შეპირისპირებითაც ვავითარებდი. პროფ. ვაჩეიშვილს კი მოეჩვენა, რომ მე მისთვის რაღაცის სწავლებას ვაპირებდი. „ამხანაგი მომხსენებელი მე, სამართლის თეორიის უხუცეს/[გამოცდილ] მასწავლებელს, დოქტორალური ტონით მასწავლის იმას, რომ სამართლის წყარო – ეს არც კანონი და არც ჩვეულებითი სამართალია“ – ამბობს ის. მე, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ვაპირებდი მისთვის მესწავლებინა (ჩემი აზრით, პროფ. ვაჩეიშვილისათვის რაიმეს სწავლება – ეს საერთოდაც უიმედო საქმეა), თუმცა მან, ძველი მასწავლებლის ჩვევიდან გამომდინარე, გადაწყვიტა ჩემი დამოძღვრა, როგორც მოსალოდნელი იყო, ღამბაროვისა და კორკუნოვის „მაღალ“ ავტორიტეტზე დაყრდნობით, იმაში, რომ კანონი და ჩვეულებითი სამართალი სამართლის წყაროებია. თუ პროფ. ვაჩეიშვილს აქვს ძველი პროფესორისათვის ჩვეული მოთხოვნილება, გარდაუვალად ასწავლოს ვინმეს ის, რასაც „აცხადებდა კორკუნოვი სრულიად განსაზღვრულად“, ან სრულებით გაურკვევლად, ეს მისი საქმეა, თუმცა ჩვენ ეს არ გვაინტერესებს და ეს სრულებითაც არ შეეხება ამ საქმეს.

ჯაფარიძის ნაშრომთან მიმართებით მე წამოვაყენე ის თეზისი, რომ ის ავლენს კომუნიზმის უცნაურ შეცნობას, რომ ის კომუნიზმისა და სოციალიზმის, აგრეთვე, კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ გარდამავალი პერიოდის აღრევას ახდენს. მე იმაზე ვუთითებდი, რომ, მისი გაგებით, კომუნიზმი არის გზა იმ მიზნის მისაღწევად, რომ არ ყოფილიყო კლასები, რომ „დამზადებული სიმდიდრე ყველას ყოფნოდა, რამდენიც არ უნდა მოთხოვნილიყო“. უფრო მეტიც, ის თვლის, რომ კომუნიზმი ერთადერთიც კი არა, არამედ, უბრალოდ, საუკეთესო გზაა აღნიშნული მიზნის მისაღწევად. მე ამის შესახებ ვსაუბრობდი ჩემს მოხსენებაში და განვაცხადე, რომ კომუნიზმის მსგავსი შეცნობა არის, სულ მცირე, უცნაური შეცნობა და, ვინაიდან ს. ჯაფარიძესთან კომუნიზმის ეს შეცნობა ფიგურირებს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთი პრინციპის სახით, მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ასეთი „ძირითადი პრინციპები“ ცუდი გარანტიაა იმისა, რომ ავტორს ოდესმე შეეძლება ჩვენი სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართლის სწორი სისტემის ჩამოყალიბება.

და, რა თქვა ამის საპასუხოდ ს. ჯაფარიძემ? ის ამბობს, რომ თითქოს მე არ მომეწონა გამოთქმა: „თითოეულს – მოთხოვნილებისამებრ“. საიდან შე-

უძლია მას დასკვნების გაკეთება იმის შესახებ, მომეწონა მე თუ არ მომეწონა გამონათქვამი „თითოეულს – მოთხოვნილებისამებრ“? ამის შესახებ რომ ვისაუბროთ კიდეც, უნდა ითქვას, რომ ს. ჯაფარიძის წიგნში ეს გამონათქვამი არც არის. მარქსისეული მკაფიო ფორმულირება – „თითოეულისაგან შესაძლებლობების მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილებისამებრ“ – ს. ჯაფარიძის წიგნში სრულიად სხვა, სულ მცირე, არასწორი ფორმულირებით არის შეცვლილი ასე: „დამზადებული სიმდიდრე ყველას ყოფნოდა, რამდენიც არ უნდა მოთხოვნილიყო“. მაშ, რა უფლება აქვს ს. ჯაფარიძეს, ისაუბროს იმაზე, რომ მე არ მომეწონა მარქსისეული გამოთქმა, თანაც, უნდა ითქვას, კომუნიზმისადმი და არა სოციალიზმისადმი მიმართული, როგორც ამას ფიქრობს ს. ჯაფარიძე?

შემდეგ ის ამბობს, რომ კომუნიზმი არის კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც გზას გვიჩვენებს და ა.შ., თუმცა ეს არ არის პასუხი, არამედ ცუდი პოეზიაა. შემდეგ ს. ჯაფარიძე „უკუმაგდებს“ მე კიდევ უფრო „საფუძვლიანად“: „და, აი, ამ ფორმულირების თაობაზე მომხსენებელი ამბობს, რომ სოციალიზმი – ეს არა გზამკვლევი ვარსკვლავი, არამედ მხოლოდ მიზანია. მე ვთვლი, რომ სოციალიზმი არის კაცობრიობის ისტორიის განვითარების ერთ-ერთი ეტაპი, თუმცა ყოველ შემთხვევაში – არა საბოლოო მიზანი. მეცნიერული კომუნიზმი ამტკიცებს, რომ მეურნეობის კაპიტალისტური ფორმის შემდეგ დგება სოციალისტური მეურნეობა, თუმცა კაცობრიობა რომ გაიყინოს სოციალიზმზე და რომ მან თავის განვითარებაში ვერ შეძლოს უკეთესი გზების მოძიება, ვიდრე წარმოადგენს სოციალიზმი – ამას არც მარქსი, არც სხვები ამბობენ“. მაშასადამე, ს. ჯაფარიძის მსჯელობა სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ (ის მათ არ ასხვავებს ერთმანეთისაგან) იმ არსით უნდა გავიგოთ, რომ, მარქსისა და ენგელსის მოძღვრების მიხედვით, სოციალიზმი და კომუნიზმი არის გზა „უკეთესი გზებისათვის“. თქვენ გესმით, რა არეული აზრები აქვს ს. ჯაფარიძეს [?!]. რა თქმა უნდა, ამ არეული აზრების გამო პასუხისმგებელია არა მეცნიერული სოციალიზმი, არამედ – თავად ს. ჯაფარიძე. მაგრამ, რომც დავუშვათ კიდეც, რომ კომუნიზმი გზაა „უკეთესი გზებისათვის“, ეს როგორ გამოსდის ს. ჯაფარიძეს; ეს აღრევა მას პრინციპადაც კი შეუძლია აქციოს, მაგრამ ჩვენ ვამტკიცებდით და ახლაც ვამტკიცებთ, რომ საბჭოთა სამეურნეო სამართლის აღნიშნულ „პრინციპებზე“ აგება უბრალოდ შეუძლებელია. ამის თაობაზე უნდა შევთანხმებულიყავით, ვინაიდან, სხვაგვარად, ამ უაზრობის დაცვით ს. ჯაფარიძე, უეჭველად, ორმაგ უგუნურობაში გადავარდება.

შემდეგ ჩემს მოხსენებაში მე ვამტკიცებდი, იმ თეზისის წამოყენებით, რომ ჩვენი სინდიკატები და კაპიტალისტური ქვეყნების სინდიკატები ერთგვაროვნები არიან სახელწოდებითაც და ორგანიზაციული ფორმებითაც, და, იმის აღიარებით, რომ მათი არსი, მიზნები და ამოცანები განსხვავებუ-

ლია, ს. ჯაფარიძე შეცდომას უშვებს, რადგან არ არის და არც შეიძლება იყოს ერთი და იგივე ორგანიზაციული ფორმა ჩვენს სინდიკატებსა და კაპიტალისტური ქვეყნების სინდიკატებში, რადგან ეს ხარისხობრივად განსხვავებული რამ არის**.** ამაზე საპასუხოდ ს. ჯაფარიძე იწყებს საკუთარი წიგნის იმ ადგილების ჩამოყალიბებას, სადაც მიუთითებს ჩვენსა და კაპიტალისტურ მეურნეობას შორის პრინციპულ განსხვავებაზე. ასეთი ადგილები მის წიგნში, რა თქმა უნდა, არის. იმაში მას არც არავინ ადანაშაულებს, რომ მასთან ასეთი ადგილები არ არის – რამდენიც გნებავთ, აქ იმდენის მოძიება შეგიძლიათ. საუბარი იყო მხოლოდ მოცემულ ფორმულირებაზე, ხოლო ს. ჯაფარიძეს აღნიშნული ფორმულირების გამართლების მცდელობაც კი არ ჰქონია. უფრო მეტიც, მე თვითონ ვარ განწყობილი, ეს არასწორი ფორმულირებანი საერთოდაც განვიხილო როგორც ავტორის სამწუხარო დაუდევრობის შედეგი და ა.შ., ს. ჯაფარიძეს ჩემთვის რომ არ ესროლა რეპლიკა, რომ ის მათ [ფორმულირებებს] სწორად მიიჩნევს და მზად არის მათ დასაცავად.

შემდეგ მე სხვა, უფრო საფუძვლიანი, თეზისი წამოვაყენე, კერძოდ ის, რომ ჩვენი მეურნეობის მშენებლობის პრინციპების რიცხვში ს. ჯაფარიძესთან არ გვაქვს ყველაზე ძირეული – პროლეტარიატის დიქტატურის – პრინციპი, თავისი შინაარსის სრული სისავსით აღებული. მე ვამტკიცებდი, რომ, თუ ამ პრინციპიდან არ ამოვალთ, ვერ ვპოვებთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის ხარისხობრივ დახასიათებას, ვერ ავაშენებთ საბჭოთა სამეურნეო-ადმინისტრაციულ სამართალს. აი, ძირითადი თეზისი. აღნიშნულ პუნქტში მე საკუთარ მტკიცებას, ასევე, ვამყარებდი მაგალითებით ს. ჯაფარიძის წიგნიდან. არც კი ვიცი, გაიგო თუ არა ს. ჯაფარიძემ, რაზეც ვსაუბრობდი? ყოველ შემთხვევაში, მან თავის გამოსვლაში გვერდი აუარა ამ ძირითად თეზისს. მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

ს. ჯაფარიძე გაოგნებულია: „როგორ ვწერ ანტიმარქსისტულ წიგნს, თუ მე ვაყალიბებ საბჭოთა კანონმდებლობას“. ის თვლის, რომ ამის ახსნა არც ერთ ბრძენ სოლომონს არ შეუძლია. მე არ მშურს ს. ჯაფარიძის სიბრძნისა, თუ ის თვლის, რომ საბჭოთა კანონების ჩამოყალიბება მას თავისი (ს. ჯაფარიძის) საკუთარი შეცნობის ჩარჩოებს მიღმა შეუძლია. ჯაფარიძეს ხომ თვით კანონთა ტექსტი არ გადაუბეჭდავს, არამედ დაწერა სახელმძღვანელო სამეურნეო-ადმინისტრაციულ სამართალში. საბჭოთა კანონები მისთვის იყო მასალა, რომელთა სისტემატიზება და ჩამოყალიბება, განმარტება მას უნდა მოეხდინა გარკვეული სამეცნიერო, პრინციპული დებულების თვალსაზრისით.

უბრალოდაც რომ მომხდარიყო თვით საბჭოთა კანონთა ტექსტის გადაბეჭდვა კანონთა კრებულის სახით სამეურნეო-ადმინისტრაციულ სამართალში, ამ შემთხვევაშიც უნდა იქონიო პრინციპული პოზიცია, რათა იცოდე, თუ რომელი კანონებია ისეთები, რომლებიც სამეურნეო-ადმინისტრაციული

სამართლის სისტემაში უნდა შეიტანო. მე ვამტკიცებ, რომ, თუ თქვენ ამოდიხართ პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპიდან, მაშინ სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართლის სისტემაში შევა ისეთი კანონები, რომლებიც განმარტავენ: [კადრების] წარდგენას, დამკვრელურ [შრომას], სოციალისტურ შეჯიბრს და ა.შ.; თუ თქვენ ამოდიხართ, ვთქვათ, ზოგადად, სოციალიზაციის პრინციპიდან, მაშინ სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართლის სისტემაში ეს და სხვა კანონების რიგი შეიძლება არც შევიდნენ, და, ამიტომ, თქვენ შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ხარისხობრივი განსხვავება, ერთი მხრივ, ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის მოწყობასა და, მეორე – კაპიტალისტურ მეურნეობასა და მის პრინციპულ ფორმებს შორის, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს სინამდვილეშია. არ ვიცი, გამიგო თუ არა ს. ჯაფარიძემ აღნიშნულ პუნქტში, თუმცა, როგორც ხედავთ, სულაც არ არის საჭირო, იყო ბრძენი სოლომონი, რათა ეს შეიცნო.

გადავდივარ პროფ. ნანეიშვილთან. მისი გამოსვლების შესახებ სულ რამდენიმე სიტყვას ვიტყვი, რადგან მათზე საფუძვლიანად ისაუბრა ბოლო ორმა ორატორმა. მე წამოვაყენე თეზისი, რომ სამართლის ფილოსოფია – ხოლო პროფ. ნანეიშვილი არ უარყოფს იმას, რომ მან სპეციალური ნაშრომი დაწერა სწორედ სამართლის ფილოსოფიაში – არის თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგია, რომელიც ახლა თავს არიდებს ფაქტობრივს, სოციალური სინამდვილის სამყაროს, ამიტომ ეს სინამდვილე არის მზარდი პროლეტარული რევოლუციისა და კაპიტალიზმის დამხობის სინამდვილე. სამართლის ფილოსოფია არის ისეთი ფილოსოფია, რომელიც ცდილობს, დაასაბუთოს ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობის მართლზომიერება არა ნამდვილობის ფაქტებით, არამედ რაღაც სხვა, კერძოდ, ფილოსოფიური საფუძვლებით.

აქ გამოსვლის დროს პროფ. ნანეიშვილმა განაცხადა: „მე არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ მარქსისტი ვარ და რომ ამხანაგი გეგენავას შენიშვნები არასწორი იყო“. მე ვფიქრობდი, რომ ის იტყოდა, თუ უშუალოდ რა შენიშვნები იყო სწორი და რა არასწორი. თუმცა მას ეს არ გაუკეთებია. ის ამბობს, რომ: „თუ ამხანაგი გეგენავა თავს დაატანდა ძალას, ჩასწვდომოდა ჩემი თეზისების არსს, მას უნდა გაეგო, რომ ჩემთან სამართლის არანამდვილი არსი/[რაობა] აღნიშნავს სამართლის ზოგად არსს/[რაობას] ან სამართლის ზოგად ცნებას“. ის თვლის, რომ ზოგადის კერძოსადმი შეპირისპირება, ჩვენ მიერაც შეიძლება იყოს მიღებული, რომ ასეთი შეპირისპირება მარქსსაც აქვს. და პროფ. ნანეიშვილი მეკითხება: „იმის გამო, რომ მე კონკრეტულს ვუპირისპირებ ზოგადს... ნუთუ, სწორედ ამით დავაცარიელე ნამდვილობა? საიდან? რატომ? ენგელსი ხომ ამბობდა, რომ ვაშლის ჭამისას მე ვიცი, რომ ვჭამ ხილის სახეობას. თუ ამხანაგი გეგენავა მართალია, გამოდის, რომ ვაშლის ზოგადისათვის შეპირისპირების ეს ფაქტი, ანუ ვაშლი – ხილის, რეალუ-

რად ანადგურებს ვაშლის ცნებას. წარმოგიდგენიათ, ეს რა საშინელებაა?“. და, მართლაც, „რა საშინელებაა“, ვინაიდან გამოდის, თითქოსდა მე ვამბობ, რომ ზოგადის ცნების არსებობის თვით ფაქტი აცარიელებს ან ანადგურებს კონკრეტულ ნამდვილობას.

პროფ. ნანეიშვილის მიხედვით, გამოდის, რომ, საერთოდაც, ის არც სხვა რაიმეშია დამნაშავე, გარდა ზოგადის კერძოსთან შეპირისპირებისა. ის ამბობს, რომ მასთან სამართლის არსი/[რაობა] არის სამართლის ზოგადი ცნება, სამართლის სახეობა, განსხვავებით კონკრეტული სამართლისაგან, სამართლის მოცემული სახეობისაგან. ეს მართლაც ასეა? თუ გნებავთ – დიახ, არსი/[რაობა] არის კიდეც სახეობა. თუმცა მაშინ რატომ ამბობს პროფ. ნანეიშვილი არა სახეობას, არამედ არსს/[რაობას]. სწორედ იმიტომ, რომ არსი/-[რაობა] განსაზღვრული ფილოსოფიური ტერმინია. ჰუსერლიანური გაგებით, სწორედ ამ არსს/[რაობას], ანუ ზოგადს, გვარს აქვს, გარდა კერძოსი, მართალია, თუნდაც – იდეალური, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ყოფიერება. ჰუსერლის მიხედვით, სიწითლე ზოგადად არსებობს ისევე რეალურად, როგორც ნებისმიერი კონკრეტული, განკერძოებული წითელი ზედაპირი. პროფ. ნანეიშვილთან სამართლის არსიც/[რაობაც], აგრეთვე, დამოუკიდებლად არსებობს. მისი თეორიის მიხედვით, პოზიტიური სამართალი იბადება და წყვეტს არსებობას [გარკვეულ] დროში. ის მთლიანად ექვემდებარება სოციალურ ცხოვრებას. პოზიტიური სამართალი, თავის წყაროში, სამართალშემოქმედების აქტში, სოციალურად დეტერმინებულია. არაფერი მსგავსის თქმა არ არის შესაძლებელი „სამართლის არსის/[რაობის] შესახებ“. ეს სამართლის არსი/[რაობა] დროებლივი კატეგორიაა, ის ხელმიუწვდომელია ისტორიული განვითარებისათვის. „სამართლის არსი/[რაობა]“ არაამქვეყნიურია. „ზოგადის“ „კერძოსათვის“ მსგავსი შეპირისპირების თაობაზე, პროფ. ნანეიშვილი ამბობს: „დამეთანხმებით, რომ ზოგადის კერძოსათვის დიალექტიკური შეპირისპირება შეიძლება იყოს არსობრივი, ლოგიკური შეპირისპირება“. გამოდის, რომ ზოგადის კერძოსათვის დიალექტიკური შეპირისპირება ყოფილა ფორმალურ-ლოგიკური შეპირისპირება, როცა ზოგადი უპირისპირდება კერძოს, რომელსაც აქვს, კერძოს მსგავსად, დამოუკიდებელი ყოფიერება. როგორც ცნობილია, ჰეგელი, რომელიც პროფ. ნანეიშვილზე არანაკლები დიალექტიკოსი იყო, რაღაც სხვას ამბობს ამის გამო და იგივე მაგალითი მოჰყავს ხილთან დაკავშირებით: „ფორმალურად აღებული და განსაკუთრებულის მსგავსად დადგენილისა, საყოველთაო თვითონ გადაიქცევა რაღაც განსაკუთრებულად: ასეთი ურთიერთობების შეუსაბამობა და უაზრობა ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართებით თავისთავად თვალში საცემი იქნებოდა, ისე, როგორც, მაგალითად, ვინმე მოითხოვდა თავისთვის ხილს და უარს იტყოდა შემდეგ ბალზე, მსხალზე, ყურძენზე, რადგან ესენი არიან

ბალი, მსხალი, ყურძენი და არა – ხილი“.[1] აი, რის თაობაზე მიდის საუბარი, და არა იმის შესახებ, რომ, თუ მე მივირთმევ ვაშლს და ვიცი, რომ ეს არის ხილის სახეობა, მაშინ ეს სულაც არ ნიშნავს ვაშლის უარყოფას. ეს სწორია, თუმცა, იმის გამო კი არ არის სწორი, რომ, როცა მე მივირთმევ ვაშლს, მე ვიცი, რომ ყველაფერი, რაც საერთოა ყველა ვაშლისათვის, მხოლოდ ვაშლებში არსებობს და, მაშასადამე, თუ „ვაშლები“ განიცდიან ფაქტობრივი გარემოებების გავლენას, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გავლენას განიცდის ის საერთოც, რომ არის საერთო ყველა ვაშლისათვის ზოგადად. პროფ. ნანეიშვილის მიხედვით კი, ეს ზოგადი (არსი/[რაობა]) ამოღებულია ფაქტობრივი გარემოებების გავლენიდან, ეს „ზოგადი“ არ ექვემდებარება დროებლივ გავლენას, ის არ არის ისტორიული, ზოგადი კერძოსაგან დამოუკიდებელია, ის ამოღებულია ნამდვილობის სამყაროდან. ამ სამყაროს კანონმდებლობას ექვემდებარება მხოლოდ კერძო და ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ პროფ. ნანეიშვილმა გამოშიგნა ნამდვილობა.

ზოგადი, კერძოს მსგავსად, არ არსებობს. თუ ასეთ არსებობას დავუშვებთ, მაშინ, ჰეგელის მართებული შენიშვნით, ის პრინციპულად გადაიქცევა კერძოში, ანუ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთ ეგზემპლარად, ხოლო, პროფ. ნანეიშვილი თვლის, რომ სამართლის ფილოსოფია შეიმეცნებს სწორედ ამ ზოგადს (სამართლის არსს/[რაობას]). ამიტომ მე მას ვეკითხები: მაშ, რაღას შეიმეცნებს სამართლის ფილოსოფია? ამაზე კი პროფ. ნანეიშვილი პასუხობს: გამოდის ის, რომ მთელი 17 წელი, რომელთა განმავლობაში მე დაკავებული ვიყავი სამართლის ფილოსოფიის საკითხებით, მე შემიმეცნებია „არაფერი“. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ, თუ ჩავთვლით, რომ სამართლის ფილოსოფია შეიმეცნებს „სამართლის არსს/[რაობას]“, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ, პროფ. ნანეიშვილიც, რომელიც 17 წლის განმავლობაში დაკავებული იყო სამართლის ფილოსოფიით, დაკავებული იყო სწორედ ამ „არაფრით“.

ბოლოტნიკოვი:

შოპენჰაუერი[2] მთელი ცხოვრება დაკავებული იყო „არაფრის“ შემეცნებით, და ამ „არაფრიდან“ მთელს სისტემებს გამოსწოვდა.

---

[1] Гегель, Энциклопедия философских наук, §13.

[2] **არტურ შოპენჰაუერი** (1788-1860) – გერმანელი ფილოსოფოსი-მიზანთროპი, ირაციონალიზმისა და მიზანთროპიის (ადამიანებისგან განდგომა, მათ მიმართ ზიზღი, კაცთმოძულეობა) მიმდინარეობის წარმომადგენელი; მიილტვოდა გერმანული რომანტიზმისაკენ, გატაცებული იყო მისტიკით. ძალზე დიდ შეფასებას აძლევდა კანტის ნაშრომებს და მიიჩნევდა მათ „ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, რომელიც კი იცის ფილოსოფიამ ორი ათასწლეულის განმავლობაში“, აგრეთვე, აფასებდა ბუდიზმის იდეებს (მის კაბინეტში იდგა კანტის ბიუსტი და ბუდას ქანდაკება), უპანიშადებს, ასევე, ეპიქტეტესა და ციცერონს. მკვეთრად

გეგენავა:

თუმცა საქმე ეს სულაც არ არის, არამედ ისაა, რომ, თუ პროფ. ნანეიშვილი დადგება ჭეშმარიტად მეცნიერულ, მარქსისტულ თვალსაზრისზე, მაშინ ის გაიგებს, თუ რით არის დაკავებული სამართლის ფილოსოფია. მაშინ ის გაიგებს, რომ სამართლის ფილოსოფია დაკავებულია არა არარსებული „სამართლის არსით/[რაობით]“, არამედ სამართლის მუდმივობის, როგორც ბურჟუაზიული ურთიერთობების გამოხატულების, დასაბუთებით. ყველა ის ფორმალურ-ლოგიკური ხრიკები, რომლებითაც დაკავებულია სამართლის ფილოსოფია, გამოიყენება მზარდი რევოლუციისაგან სამართლის გადარჩენის საშუალებად.

გადავდივარ პროფ. სურგულაძის გამოსვლაზე. სამწუხაროდ, ის უკვე წავიდა. თუმცა აქაც რომ ყოფილიყო, საჭირო იქნებოდა ადმინისტრაციულ პირთა მთელი რიგის მოწვევა, რომლებიც პროტოკოლურად და „ხელმოწერების დართვით და ბეჭდის დასმით“ დაადასტურებდნენ იმას, რომ პროფ. სურგულაძემ სწორედ ის თქვა, რაც მან თქვა. აქ სტენოგრამა არ გვიშველის, ვინაიდან პროფ. სურგულაძე საჭირო დროს მაშინვე განაცხადებს, რომ მისი სიტყვა არასწორად არის დასტენოგრაფებული. ამის მაგალითები ჩვენ უკვე გვაქვს. პროფ. სურგულაძე უარყოფს თავისსავე რეალურად არსებულ ანტიმარქსისტულ ნაშრომს და იცავს საკუთარ მარქსისტულ ნაშრომს, რომელიც, თუმცაღა, ბუნებაში ჯერაც არ არსებულია. როცა ჩვენ ვკითხულობთ გვერ-

---

აკრიტიკებდა მის თანამედროვე ჰეგელსა და ფიხტეს. არსებულ სამყაროს კი, ლაიბნიცის მოსაზრებების გათვალისწინებითა და სოფისტების საპირისპიროდ, უწოდებდა „ყველაზე უარესს შესაძლო სამყაროთა შორის“, რის გამოც „პესიმიზმის ფილოსოფოსის“ სახელი დაიმკვიდრა. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ (გერმ.: Die Welt als Wille und Vorstellung), რომელშიც ის განმარტავს, რომ სამყაროს ამოძრავებს მუდმივი დაუკმაყოფილებლობა სურვილისა და მუდმივი ძიება დაკმაყოფილებისა. განიცდიდა აღმოსავლური აზროვნების გავლენას – ამბობდა, რომ სიმართლე გაიაზრება ინდური საგების მეშვეობით; სწორედ ამიტომაც მისი ღვაწლი გამოსავლის ძიებისას ორი მათგანის – ვედანტიზმის და ბუდიზმის – ნააზრევთა გააზრებაში აისახა; მისი რწმენა ტრანსცენდენტულ იდეალიზმში გახდა წყარო და მიზეზი მისი ათეიზმისა ისევე, როგორც ქრისტიანული ფილოსოფიის შესწავლისა. როდესაც იგი 25 წლის იყო, გამოაქვეყნა სადოქტორო დისერტაცია – „On the Fourfold Root of the Principle of Sufficient Reason“. მასში განიხილავდა ოთხ გამოკვეთილ ასპექტს, კვლევას, სამყაროს ფენომენალურობაზე; სწორედ ამ მიზეზით შეიძლება ითქვას, რომ განიცდიდა ფენომენოლოგიის გავლენას. მან გავლენა მოახდინა ისეთ მოაზროვნეებზე, როგორებიც იყვნენ: ფრიდრიხ ნიცშე, რიჩარდ ვაგნერი, ლუდვიგ ვიტგენშტაინი, ერვინ შრედინგერი, ალბერტ აინშტაინი, კარლ იუნგი, ლევ ტოლსტოი, ზიგმუნდ ფროიდი, სემუელ ბეკეტი, თომას მანი და სხვ. თავისი მთავარი შრომა – „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“, – შოპენჰაუერმა 30 წლის ასაკში დაწერა. 1844 წელს ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოქვეყნდა, განმარტებათა და შენიშვნების ახალი დანართით [მთარგმნელი].

დებს მისი იდეალისტური ნაშრომიდან, პროფ. სურგულაძე ამტკიცებს, რომ ეს გვერდები არ არის მისი წიგნიდან [ამოღებული], და ჩვენ ისინი, ღმერთმა უწყის, საიდან ამოვიღეთ.

თვითონ პროფ. სურგულაძე იმავე წიგნიდან ეშმაკურად გვიკითხავს იმას, რაც, სინამდვილეში, მის წიგნში არ არის. სწორედ ისე, როგორც ამხანაგი ბოლოტნიკოვის მიერ მოყოლილ ანეკდოტშია ექვსიანისა და ცხრიანის შესახებ. თანაც, ამ შემთხვევაში, პროფ. სურგულაძე რაბინის როლში გვევლინება. თუ ღმერთს მაღლიდან ექვსიანი შეეძლო ცხრიანად მოჩვენებოდა, რაბინმა ხომ მშვენივრად იცოდა, რომ სინამდვილეში ეს ცხრიანია და არა ექვსიანი. რა თქმა უნდა, „რაბინმა“ სურგულაძემ შესანიშნავად უწყის, რომ ნაშრომი – „Gewalt und Recht“ – სრულიად ანტიმარქსისტულია, თუმცა მას მაინც სურდა, დავერწმუნებინეთ იმაში, რომ ეს ნაშრომი მარქსისტულია. ძალზე სამწუხაროა, თუმცა გვიწევს პროფ. სურგულაძის ასეთი ქცევის კონსტატაცია, მისი არაერთგზის გამოსვლის შემდეგ.

საკუთარ მოხსენებაში მე ძალზე ფრთხილად მივუდექი პროფ. სურგულაძეს. მე წამოვაყენე მოსაზრება, რომ მისი პირველი ნაშრომი – “Gewalt und Recht” – არის იდეალისტური ნაშრომი და რომ კაუცკის საწინააღმდეგო სტატიაში ის ძალზე მიუახლოვდა მარქსიზმს. თუმცა მე ვამტკიცებდი, რომ ეს სტატია პროფ. სურგულაძეს შესაძლოა იმ შემთხვევაშიც კი დაეწერა, თუ ის სამართლის საკითხებში არ უარყოფდა იმ თეორიულ დებულებებს, რომლებზეც დაშენებულია მისი ნაშრომი. სწორედ ამიტომაც ვამბობდი, რომ მე არ ვიცი, ახლაც იზიარებს თუ არა ის მისი წინა ნაშრომის პოზიციას. ხოლო პროფ. სურგულაძის პირველი ნაშრომის (“Gewalt und Recht”) მიმართ მე აზრად არ მომსვლია, რომ ის შეიძლებოდა მიგვეჩნია მარქსისტულად რაიმე თვალსაზრისით; ამიტომ, როცა ამხანაგმა ტალახაძემ დაუსვა შეკითხვა პროფ. სურგულაძეს: თვლის თუ არა ის თავის ნაშრომს მარქსისტულად, მაშინ მე მომეჩვენა, რომ ასეთი შეკითხვის დასმა უხერხულიც კი იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ამხანაგი ტალახაძე უკეთ იცნობს პროფ. სურგულაძეს, ვინაიდან, ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, არც კი გრძნობდა რაიმე უხერხულობას და გადაწყვიტა, ემტკიცებინა, რომ მისი ეს ნაშრომი, ზოგადად და მთლიანობაში, მარქსისტული ნაშრომია. ჩემს მოხსენებაში, უპირველეს ყოვლისა, მე ის გვერდები დავიმოწმე ციტატებით, რომლებმაც ჩემი გაოგნება გამოიწვია. უწინარეს ყოვლისა, მე ვითხოვე მისი მტკიცების განმარტება: „სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, და სახელმწიფო, როგორც სოციალური ცხოვრების კომპლექსი, არის წმინდა ლოგიკური გამიჯვნა, რეალურ ცხოვრებაში დამოუკიდებელ არსებობას ისინი მეტწილად არ ახდენენ“. მე ვთხოვე მას, განემარტა, როგორ ხდება, ერთი მხრივ – „წმინდა ლოგიკური გამიჯვნა“, ხოლო მეორე მხრივ – „მეტწილად, რეალურ ცხოვრებაში ისინი

დამოუკიდებლად არ არსებობენ“? ნიშნავს თუ არა ეს, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი და როგორც სოციალური ორგანიზაცია, თუნდაც ნაწილობრივ, დამოუკიდებლად არსებობენ? და, თუ ასეა, მაშინ რა ხასიათისაა ეს არსებობა? და ა.შ. მართალია, ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ მას ეს ყოველივე არც მთლად წიგნიერად უწერია, თუმცა ჩემს მოხსენებაში ეს არ წამომიყენებია. მე ჯერ მსურდა იმის მოსმენა, თუ როგორ განმარტავდა ყოველივე ამას პროფ. სურგულაძე! პროფ. სურგულაძემ კი გვერდი აუარა ყველა იმ ციტატას, რომელიც მე მისი წიგნიდან მომყავდა.

პროფ. სურგულაძეს მოჰყავს ადგილი 1890 წლის 27 ოქტომბრით დათარიღებული წერილიდან, რომელიც მარქსს გაუგზავნა შმიდტმა, სადაც ნათქვამია: „წარმოება არის საზოგადოებრივი მთლიანი, ყოველი მხარის განვითარების გადამწყვეტი მიზეზი: საქონლის, ფულის ბრუნვის, სახელმწიფო წყობილების, სამართლის, ფილოსოფიის, რელიგიისა და ა.შ. თუმცა თითოეული აქ მითითებული სფეროებიდან ერთხელ წარმოქმნის შემდეგ თავის საკუთარ მოძრაობას მიჰყვება, რომელზეც, ზოგადად და მთლიანობაში, ბატონობს წარმოება, თუმცა ცალკეულ ნაწილებსა და ამ ზოგადი დამოკიდებულების შიგნით ისინი საკუთარ კანონებს მისდევენ“. და პროფ. სურგულაძე ამბობს: „ამ ციტატით იმის ხაზგასმა მსურს, რომ ბაზისსა და ზედნაშენს შორის ურთიერთობის შეცნობა შეუძლებელია იმ გამარტივებული სახით, რომლითაც მას მომხსენებელი წყვეტს და აქ საჭიროა პრობლემისადმი უფრო მეტად გააზრებული და ფრთხილი მიდგომა“.

ისე გამოდის, რომ თითქოს პროფ. სურგულაძე თავის ნაშრომში იმასვე ამბობს, რასაც – ენგელსი. ის აღიარებს მხოლოდ, რომ: „მართალია, ნაშრომში ზედმეტადაა ხაზგასმული იმ კანონზომიერების სპეციფიკურობა, რომელიც სამართლის სფეროშია მოცემული, მაგრამ, ჩემი აზრით, სამართლის სფეროში მოცემული კანონზომიერების გარკვეულ თავისებურებაზე მითითება არ შეიძლება ჩაითვალოს უპატიებელ ერესად“. გამოდის, რომ ნაშრომი – „Gewalt und Recht“ – მარქსისტული ნაშრომია, და, თუ მომხსენებელი მას იდეალისტურ ნაშრომად თვლის, ეს „სრულებით გაუგებრობაა“, იმის შედეგია, რომ მომხსენებელს ნაშრომი არ წაუკითხავს და, ზოგადად, არც იცის, თუ როგორ უნდა მივუდგეთ სამეცნიერო ნაშრომს.

თუმცა ამ ეშმაკური ხერხით პროფ. სურგულაძე მხოლოდ უფრო ბუნდოვანს ხდის დავის არსს. მან ხომ მშვენივრად უწყის, რომ საქმე სულაც არაა სამართლებრივი species რამდენადმე ზედმეტად ხაზგასმა, არამედ ისაა, რომ, პროფ. სურგულაძის აზრით, სამართალი და სოციალური ცხოვრება ორი, ონტოლოგიურად დამოუკიდებელი, რიგია, თოთოეული – თავისი საკუთარი კანონზომიერებით. პროფ. სურგულაძის მიხედვით, სამართალზე არათუ არ ბატონობს წარმოება, როგორც ეს ენგელსთან გამოდის, არამედ თვით

კაუზალური კანონზომიერება მთლიანად გამოირიცხება „სამართლებრივი რიგიდან“. საქმე ისაა, რომ, პროფ. სურგულაძის აზრით, საერთოდ არ არსებობს რაიმე ზოგადი კანონზომიერება, რომელსაც დაექვემდებარებოდა სამართალიც და სოციალური ცხოვრებაც. საქმე ისაა, რომ, პროფ. სურგულაძის მიხედვით, სამართალი არის რაღაც პლუსი სოციალურზე, სამართალი, ზოგადად, სოციალური ცხოვრების ერთობლიობის მიღმა დგას. ჩვენ ამის შესახებ საკუთარ მოხსენებაშიც ვსაუბრობდით და სურგულაძის თხზულებიდან შესაბამისი ადგილებიც მოგვყავდა. გვითხარით, გეთაყვა, რა შუაშია აქ ენგელსი? ჩვენ ვამტკიცებდით, რომ პროფ. სურგულაძე, სულ მცირე, დუალისტია, რომ ის ამოდის ჰუსერლის ძალზე რეაქციული ფილოსოფიის მრავლობითი ონტოლოგიისაგან და მას არაფერი აქვს საერთო მარქსსა და ენგელსთან. პროფ. სურგულაძემ კი თითქოსდა დაივიწყა ის, რაც უწერია თავის წიგნში, [და] განაცხადა, რომ მე მისი წიგნი, უბრალოდ, არ წამიკითხავს, მომაწერა სრული უაზრობა, რომელიც არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა, და შემდეგ გამარჯვებულის სახით უარყოფს მის მიერვე გამოგონილ უაზრო ციტატას ენგელსიდან.

თუმცა პროფ. სურგულაძეს მოჰყავდა ჩვენთვის თავისი წიგნიდან შემდეგი ადგილები: „საჭიროა, უდავოდ ვაღიაროთ ის დებულებანი, რომ ნებისმიერი სამართლებრივი ორგანიზაცია, საკუთარი სოციალური სტრუქტურით, არის კლასობრივი ორგანიზაცია, კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია და რომ სამართლებრივი, სოციალური ურთიერთობების მოწესრიგებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ გაბატონებული კლასის ინტერესები“ (გვ. 65); და სხვა ადგილები: „ის ურთიერთობები, რომლებსაც ჩვენ აქ შევხვდებით, შეგვიძლია დავყოთ სამ ძირითად სახეობად: პირველი სახეობა – მოცემულ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლებრივ ფორმას შორის ურთიერთობა“. ეს უკანასკნელი ციტატა პროფ. სურგულაძემ იმგვარად გადათარგმნა, თითქოს მასთან აქ საუბარია სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასთან სამართლის ურთიერთობების შესახებ, როგორც ზედნაშენისა – ბაზისთან. არასწორ თარგმანში ის ამხანაგმა ლისოვსკიმ ამხილა. თქვენ გესმით, რამდენად უმსგავსოა ეს საქციელი?! მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ აქ პროფ. სურგულაძე მხილებულია უმსგავსო საქციელში, რომელიც უღირსია, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ პროფესორის წოდებისთვის, არამედ სამეცნიერო მუშაკის მდგომარეობისთვისაც, ზოგადად.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, პროფ. სურგულაძესთან არის ადგილი, სადაც საუბარია, რომ სამართლებრივი ორგანიზაცია არის კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია, რომ სამართლებრივი ფორმა შეესაბამება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას და ა.შ.; მაშ, რა ხდება, რაშია საიდუმლო? საქმე ისაა, რომ, პროფ. ნანეიშვილიც ხომ ღიად „აღიარებს“

მარქსისტული თეზისის ნამდვილობას ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ. ის, ასევე, თვლის, რომ პოზიტიური სამართლის წყარო, თვით სამართალშემოქმედების აქტი, სოციალურად დეტერმინებულია. ზუსტად იგივე რამ არის პროფ. სურგულაძესთან. საკანონმდებლო ფუნქცია არის სოციალური ფუნქცია (სხვათა შორის, ამ მტკიცებაში „მარქსისტი“ სურგულაძე ეფუძნება კელზენის „ავტორიტეტს“), ამიტომ ურთიერთობა სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და საკანონმდებლო ფუნქციას შორის შეიძლება ავაგოთ როგორც მიზეზისა და შედეგის ურთიერთობა. თუმცა, პროფ. სურგულაძის აზრით, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართალს შორის ასეთი ურთიერთობები არ არის (შეადარე მისი ნაშრომის გვ. 93).

ჩემს მოხსენებაში მე იმ გარემოებაზეც ვუთითებდი, რომ პროფ. სურგულაძესთან, ისევე როგორც პროფ. ნანეიშვილთან, იმავე „სამართლის არსია/-[რაობაა]“, რომელიც სოციალური ცხოვრებით არის დეტერმინებული. აქ პროფ. ნანეიშვილის ნაშრომსა და პროფ. სურგულაძის [ნაშრომს] შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი ნაშრომი ოსტატის მიერაა გაკეთებული, საკუთარი საქმის ცოდნით, თანმიმდევრულად არის განვითარებული და ამიტომ ის იდეალიზმის დაძლევასთან ახლოს არის. პროფ. ნანეიშვილი საკუთარი თანმიმდევრულობით, უშიშრად მივიდა იმ ზღვართან, სადაც გაშიშვლდება პრობლემის იდეალისტური გადაწყვეტის აბსურდულობა. ხოლო პროფ. სურგულაძის ნაშრომი უხეშად არის შესრულებული – ის მოსწავლის [დონის] ნაშრომია. მაგრამ, როგორც ამასთან [იგულისხმება პროფ. სურგულაძე – რედ.], ისევე იმასთან [იგულისხმება პროფ. ნანეიშვილი – რედ.] სოციალური გარემოებებით დეტერმინებულია კონკრეტული სამართალი. აი, რაშია საიდუმლო, აი, რატომაც გვიკითხავდა პროფ. სურგულაძე იმ გვერდებს, სადაც მასთან საუბარია კონკრეტულ სამართალზე იმის დასამტკიცებლად, რომ მას არ აქვს განხეთქილება სოციალურ ცხოვრებასა და სამართალს შორის, და ჯიუტად მალავდა იმ გვერდებს, სადაც მასთან საუბარია სამართლის წმინდა ფორმაზე, საიდანაც ამოგლეჯილია ყოველგვარი კონკრეტულობა და რომელიც არ იმყოფება სოციალურის მიმართ მიზეზობრივ დაქვემდებარებაში.

რამდენიმე სიტყვა პროფ. სურგულაძის სტატიის შესახებ, რომელიც ქართულ ენაზეა დაწერილი. მე ვთქვი, რომ მასში იგივე დებულებებია, რაც მის გერმანულ წიგნში და ვიკითხე, თუ რა ხდება აქ? არის თუ არა ეს იდეალისტური წარსულის მემკვიდრეობა, რომლისგანაც პროფ. სურგულაძეს გათავისუფლება სურს, თუმცა ჯერ კიდევ მთლიანად არ გათავისუფლებულა, ან ეს მხოლოდ იდეალისტური დებულებების მარქსიზმად მარტივი შენიღბვაა? ამ სტატიაში ის ამბობს: „სწორედ სახელმწიფოა კლასობრივი საზოგადოება“. მე მასში სახელმწიფოს საზოგადოებასთან იდენტიფიცირება დავინახე, რომელიც წითელ ხაზად გასდევს მთელ მის ძირითად ნაშრომს; უფრო მე-

ტიც, მისი ძირითადი ნაშრომის მიხედვით, სახელმწიფო უფრო ვრცელია, ვიდრე საზოგადოება.

აღნიშნულ სტატიაში პროფ. სურგულაძე ამტკიცებს, რომ „შეუძლებელია შეიმეცნო ის კანონზომიერება, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოება თავის არსებობასა და განვითარებაში, ვიდრე არ იქნება ამოხსნილი სახელმწიფოს საიდუმლო“. მე ვამტკიცებდი, რომ ეს არ არის მარქსისტული დებულება, რომ ასე მხოლოდ მას შეუძლია, ისაუბროს, ვინც სახელმწიფოსა და საზოგადოებას აიგივებს ერთმანეთთან. ამის პასუხად ჩემთვის მოჰყავთ მარქსის თეზისი, რომ ადამიანის ანატომია არის გასაღები მაიმუნის/[პრიმატის] ანატომიისათვის. ეს მე, რა თქმა უნდა, მარწმუნებს, თუმცა მხოლოდ იმაში, რომ პროფ. სურგულაძემ ვერ გაუგო მარქსს და არც საკუთარი შეცდომის აღიარება სურს. საქმე ისაა, რომ, თუ მარქსი საუბრობს ადამიანის ანატომიის შესახებ, როგორც გასაღებზე მაიმუნის/[პრიმატის] ანატომიისათვის, მაშინ, სოციალურ ცხოვრებასთან მიმართებით, ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური საზოგადოება, როგორც უფრო განვითარებული საზოგადოებრივი ფორმაცია, საკუთარ თავში იმ უფრო განვითარებული სახის კატეგორიებს შეიცავს, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების უფრო დაბალ დონეზე არსებობდნენ ნაკლებად განვითარებული სახით და რომ ამიტომაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში აღნიშნული კატეგორიები შეიძლება უკეთ შევიმეცნოთ. პროფ. სურგულაძეს სწორედ იმის გაგება არ სურს, რომ ერთი საქმეა ადამიანისა და მაიმუნის/[პრიმატის] შედარება, ბურჟუაზიული საზოგადოებისა, როგორც სოციალური მთლიანობის და, ასევე, მთლიანობაში აღებული, წინამორბედი სოციალური ფორმაციებისა, ხოლო მეორე საქმეა ამ შეპირისპირების პირობებში ბურჟუაზიული საზოგადოების – მთლიანობაში – ჩანაცვლება სახელმწიფოთი, როგორც ამას პროფ. სურგულაძე აკეთებს.

შემდეგ, პროფ. სურგულაძე, საკუთარ სტატიაში ამტკიცებდა, თითქოსდა, ენგელსი სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად თვლიდა შრომის საზოგადოებრივ განაწილებას, კერძო საკუთრების წარმოშობასა და ა.შ. ამაზე მე მივუთითებდი, რომ მარქსისა და ენგელსის მიხედვით, სახელმწიფო არის შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობების შედეგი: კლასობრივი წინააღმდეგობების გარეშე და ამ წინააღმდეგობების შეურიგებლობის არსებობის გარეშე, სახელმწიფო არ არის და სწორი არ არის, ენგელსს მიაწერო ისეთი სისულელე, რომელიც მას არასოდეს და არსად უთქვამს. საპასუხოდ, პროფ. სურგულაძე იწყებს სტატიიდან სულ სხვა ადგილის კითხვას, სადაც საუბარია მონობაზე, თითქოსდა მე არ მესმოდეს, თუ სად არის საუბარი მონობის წარმოშობის და სად სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. მაშინ მე ზუსტად იმ ადგილზე მივუთითე, სადაც საუბარია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

და ვითხოვე მისი წაკითხვა. მან ქართულად წაკითხვისას გადაყლაპა სიტყვა „მიზეზი“, ხოლო შემდეგ გადათარგმნა ეს სიტყვა როგორც „ფაქტორი“. როცა მე მას რეპლიკა ვესროლე, რომ მიზეზი არ აღნიშნავს ფაქტორს, არამედ მიზეზს, მან განაცხადა: „მე ვეძიებ მიზეზთა მიზეზს“. მაშასადამე, პროფ. სურგულაძე იძიებს სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზთა მიზეზს, თუმცა მაშინ, ჯერ ერთი, რა შუაშია აქ ენგელსი, ხოლო, მეორეც, თუ პროფ. სურგულაძე ასე დაიწყებს მიზეზთა მიზეზის მოძიებას, მაშინ ის იმ მტკიცებამდე მივა, რომ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზთა მიზეზი არის, ვთქვათ, პირველყოფილი ნისლეული [გალაქტიკა] და ამ აზრს, დიდი ალბათობით, მიაწერს ენგელსს. როცა ჩვენ მას მივუთითეთ, რომ სტატიაში, თუმცაღა, საუბარი ეხება არა მიზეზთა მიზეზს, არამედ სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზს, მაშინ მან განაცხადა, რომ მის ამ მსჯელობაში ის მხოლოდ კაუცკისათვის ენგელსის შეპირისპირებას შეეცადა. ამასთანავე, ის ასე აყენებდა საკითხს: ძირითადი ფაქტორები, რომლებზეც მიუთითებს ენგელსი, როგორც სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზზე, – შრომის განაწილება, კერძო საკუთრება, ქონებრივი უთანასწორობა და ა.შ., – კაუცკის აზრით, არასაკმარისია სახელმწიფოს წარმოშობის ასახსნელად. კლასობრივ ბრძოლასთან მიმართებით კი ჩვენმა პროფესორმა განმარტა, რომ მას დეტალები არ ჩამოუთვლია. მაშასადამე, კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი წინააღმდეგობების შეურიგებლობა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში პროფ. სურგულაძისათვის ისეთი დეტალებია, რომელთა ჩამოთვლაც არ ღირს. აი, ამგვარად უპირისპირებს პროფ. სურგულაძე ენგელსს კაუცკის. თუმცა ენგელსსა და კაუცკის შორის განსხვავებათა არსი მხოლოდ ის თუ არის, რომ სახელმწიფოს წარმოშობის ახსნისათვის ენგელსი საკმარისად მიიჩნევდა შრომის საზოგადოებრივ განაწილებას, კერძო საკუთრების წარმოშობასა და ა.შ., ხოლო კაუცკის ეს არასაკმარისად მიაჩნდა, მაშინ ენგელსის წინააღმდეგ კაუცკი მართალი იქნებოდა. ვადასტურებ, რომ ასეთი შეპირისპირება არის კაუცკის თვალსაზრისის გამართლება და დაცვა მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, და, აქედან გამომდინარე, ენგელსის წინააღმდეგ.

პროფ. სურგულაძემ ვერც კაუცკის გაუგო, ვერც ენგელსს და მფარველობითად რეკომენდაცია გამიწია, ენგელსი წამეკითხა. მე ენგელსს სიამოვნებით ვკითხულობ, არ ვიცი, კითხულობს თუ არა მას პროფ. სურგულაძე, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, სურგულაძე ვერ უგებს ენგელსს.

დასკვნისათვის, ამხანაგებო, მე უნდა ვთქვა, რომ ჩვენი დისკუსიის შედეგად არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი უსასტიკესი კლასობრივი ბრძოლის პერიოდში, ერთი მხრივ, პროლეტარიატსა და მშრომელ მასებსა, და კაპიტალისტურ კლასებს შორის, მეორე მხრივ, ბარიკადების საპირისპირო მხარეს იკავებს პოზიციას. ჩვენი

პროფესორებით წარმოდგენილი სამართლისა და სახელმწიფოს თეორია არათუ არ აშუქებს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის გიგანტურ გზებს, არამედ, პირიქით, არის ბურჟუაზიის იდეალისტური, რეაქციული იდეოლოგია, განადიდებს კაპიტალისტური ელემენტების სიძლიერეს, არის ჩვენი კლასობრივი მტრის სამუშაოს სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენი, მარქსისტი-ლენინელების, ვალია, რომლებიც საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში საქმიანობენ, უფრო მჭიდროდ შევკრათ ჩვენი რიგები, საბჭოთა საქართველოში იდეალისტური, ანტიმარქსისტული, რეაქციული აზრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის ზეიმისა და გამარჯვებისათვის ბრძოლაში, საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში! (აპლოდისმენტები).

თავმჯდომარე:

ამხანაგებო, ვიდრე დავხურავდეთ სხდომას, ნება მომეცით, რამდენიმე დასკვნითი სიტყვა წარმოვთქვა. ჩვენი დისპუტის შედეგების შესახებ დაწვრილებითი მსჯელობა, რომელიც მთელ სამ საღამოს გაიჭიმა, რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია, სპეციალურ დასკვნით სხდომაზე შევაჯამოთ. აქ კი მხოლოდ ის ზოგადი ეტაპები შევაჯამოთ, რომელთა მიხედვით, ჩვენს შემდგომ სამუშაოს წარვმართავთ.

და, რა ზოგადი ეტაპებია ეს? უპირველეს ყოვლისა, ჩვენ დავსახეთ აშკარა გამიჯვნა. ჩვენ, მარქსისტ სახელმწიფომცოდნეებს ეს გამიჯვნა გვავალდებულებს, რამდენადაც შესაძლებელია, უფრო მჭიდროდ შევიკრათ, რათა ჩვენი შეტევა სამართლებრივ ფრონტზე ბოლომდე მივიყვანოთ. ამასთანავე, ჩვენ მეგობრულად ვურჩევთ ჩვენ მოწინააღმდეგეებს, განიარაღდნენ. გიგანტური აღმშენებლობის პირობებში ყოფნისას, ერთი მხრივ, პროლეტარიატისა და მშრომელი მასების უდიდესი შემოქმედებითი ენერგიის აღმავლობის და, მეორე მხრივ, უსასტიკესი კლასობრივი ბრძოლისას, ჩვენ მეგობრულად, თუმცა მტკიცედ ვუცხადებთ პატივცემულ პროფესორებს, რომ უკვე დროა, დავანებოთ თავი ექვსიანებისა და ცხრიანების თამაშს, დროა დავაგდოთ ლეღვის ფოთლები, როცა ვცდილობთ, ჰუსერლიანობა და სხვა იდეალისტური და ეკლექტური სისულელე მარქსიზმად გავასაღოთ. ხოლო ამხანაგ ნანეიშვილს ჩვენ ვურჩევთ, დააგდოს სქოლასტიკის თამაში, როგორც სრულიად უიმედო, და გაიხსენოს კოპერნიკი.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მეგობრულ რჩევას პატივცემული პროფესორები ყურადღებით მოეპყრობიან. ჩვენ არაფრის იძულება გვსურს, თუმცა ვთვლით, რომ ჩვენმა კრიტიკამ უფრო მკვეთრად უნდა იმოქმედოს მათზე და მოვუწოდებთ მათ, არაორაზროვნად განუცხადონ ჩვენს საზოგადოებრივ

აზრს, თუ რა შეცდომებს აღიარებენ ისინი თავიანთ ნაშრომებში, თუ რამდენად იზიარებენ ისინი იმ ნაშრომების დებულებებს, რომლებსაც ჩვენ აქ ვაკრიტიკებდით. ხოლო, თუ გაკრიტიკებული ავტორები, დეკანოზი აბაკუმის[1] მსგავსად, მზად იქნებიან, „აზრისათვის დაიხოცონ“, ანუ მათი შეთხზულის ბოლო ასოსათვის, მაშინ ისინი ჩვენს მტრებად დარჩებიან და შემდგომში, და შემდგომში ჩვენ მათ წინააღმდეგ, ყოველ ნაბიჯზე, დაუნდობლად, უდრეკად ვიბრძოლებთ; ხოლო, თუ ისინი აღიარებენ საკუთარ შეცდომებს, თუ ასე ჯიუტად, დოგმატურად არ იდგებიან თავიანთ ანტიმარქსისტულ პოზიციებზე, ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ მათ და არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ პროფესორების დამოძღვრას, – ჩვენ მოკრძალებული ადამიანები ვართ, – თუმცა, შეძლებისდაგვარად, ვფიქრობ, ზოგიერთებს დავეხმარებით, რათა ჩამოიბერტყონ ძველი აღთქმის დროინდელი ადამი.

ნება მომეცით, ამით სხდომა დახურულად გამოვაცხადო.

---

[1] **აბაკუმი** (1620/1621-1682) – დეკანოზი, რუსული სტაროობრიადული მოძრაობის მამამთავარი, მწერალი. გაილაშქრა პატრიარქ ნიკონის საეკლესიო რეფორმების წინააღმდეგ, რისთვისაც ციმბირში გადაასახლეს (1653). ოფიციალურ ეკლესიასთან შესარიგებლად, იგი 1663 წელს მოსკოვში დააბრუნეს, მაგრამ თავისი შეხედულებები არ უარყო და 1664 წელს კვლავ გადაასახლეს. 1666 წელს საეკლესიო კრებამ აბაკუმი შეაჩვენა და ღირსება აყარა; 1667 წელს იგი მესამედ გადაასახლეს. 1682 წელს, მეფის ბრძანებით, აბაკუმი უახლოეს თანამოაზრეებთან ერთად დაწვეს. დეკანოზი აბაკუმი თავისი დროის გამოჩენილი მწერალი იყო; მთლიანობაში დაწერა 43 თხზულება. მისი ცნობილი თხზულებებია: „საუბრების წიგნი“, „განმარტებათა წიგნი“, „ცხოვრება დეკანოზ აბაკუმისა“ (1672-1675 შორის) და სხვა. აბაკუმის „ცხოვრება...“ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი და ძველი რუსული პროზის შესანიშნავი ნიმუშია, დაწერილია ცოცხალი, ხატოვანი ენით. აბაკუმს ეკუთვნის ბაიკალის ტბის ერთ-ერთი პირველი აღწერა [მთარგმნელი].

[1930 წლის დისკუსიის სტენოგრამის დანართები]

რეზოლუცია

26 [კომისრის] სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის, ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ-ის მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოების გამგეობის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა ა/წ 25, 27 და 28 ოქტომბერს შემდგარი დისკუსიის შედეგები, პროფ. ვაჩეიშვილის, ნანეიშვილის, სურგულაძის და ჯაფარიძის გამოსვლებით, ამხანაგი გეგენავას მოხსენების მიხედვით, თემაზე – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“, ადგენს:

1. ვახდენთ [რა იმის] კონსტატაციას, რომ საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი, როგორც ეს წარმოდგენილია პროფესორების: ვაჩეიშვილის („სამართლის ზოგადი თეორია“, „კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“), ნანეიშვილის („სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“), სურგულაძის („ხელისუფლება და სამართალი“) ძირითად ნაშრომებში, სხვა არაფერია, თუ არა სრულიად რეაქციული, იდეალისტური სამართლის ფილოსოფიისა და სახელმწიფოს ბურჟუაზიული თეორიის გამოვლინება, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგიას მისი ლპობის პერიოდში და, ამიტომაც, რეაქციული კლასების იარაღად გამოიყენება.

2. საბჭოთა ქვეყნის პირობებში, როცა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებული პროლეტარიატი მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობით ძირკვავს კაპიტალიზმის თვით ფესვებს, რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიით გვინათებს რა სოციალისტური აღმშენებლობის გზას, როცა, მეორე მხრივ, პროლეტარიატის კლასობრივი მტერი გაშმაგებულ წინააღმდეგობას უწევს სოციალიზმის აღმშენებლობას, – ამ პირობებში ბურჟუაზიული დასავლეთიდან რეაქციული იდეოლოგიის გადმოტანა და მისი დაცვა არის ჩვენი კლასობრივი მტრის სამუშაო, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ.

3. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ვითარება, რომელიც გაფართოებულ სოციალისტურ აღმშენებლობასთან საყოველთაო კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შეიქმნა, [აქვს] უდიდესი მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, ყოფიერებაში, სოციალურ-კულტურულ აღმშენებლობასა და,

ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა სახელმწიფოს საგეგმო-მომწესრიგებელი როლის განმტკიცებაში, საბჭოეთის ქვეყნის მთელი სისტემის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოთა წინაშე, ახალი ურთულესი ამოცანების მთელ რიგს სახავს. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აქტუალურად დგას საბჭოთა მოსამსახურეთა კადრების პრობლემა, რომლებიც შეიარაღებული იქნებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიით და შესწევთ უნარი, კლასობრივი სიცხადით განახორციელონ ის პრაქტიკაში.

4. ვინაიდან საქართველოს სსრ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის პირდაპირი ამოცანა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და მეთოდის საფუძველზე, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის აპარატის ყველა რგოლის მუშაკების მომზადება არის, გაერთიანებული სხდომა თვლის, რომ ის თეორიული პოზიციები, რომლებზეც დგანან:

- პროფ. ვაჩეიშვილი – [რომელიც] 1926 წლიდან 1930 წლამდე დაკავებული [იყო], ბურჟუაზიულ სამართლებრივ იდეოლოგიაში სხვადასხვა მიმართულების არაკრიტიკული ჩამოყალიბებითა და პოპულარიზაციით და, რომელმაც დისკუსიაზე განაცხადა, რომ მარქსისტული თეორიის ჩამოყალიბებას ის ვერც შეძლებდა იმ მიზეზით, რომ ეს თეორია ჯერ დადგენილიც კი არ არის;

- პროფ. ნანეიშვილი, რომლისთვისაც ნებისმიერი პოზიტიური სამართალი არის სამართლის მუდმივი არსის/[რაობის] რეალიზაციისა და განხორციელების მხოლოდ მარტივი ფორმა და, რომელმაც დისკუსიაზე თვითონვე აღიარა, რომ მისი ნაშრომი არ არის მარქსისტული;

- პროფ. სურგულაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ სამართალს სოციალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი ონტოლოგიური ყოფიერება აქვს და, რომ „საკმაოდ გავრცელებული თეორია, რომელსაც სამართალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურიდან გამოჰყავს, აბსოლუტურად ცრუდ უნდა მივიჩნიოთ“, თანაც, დისკუსიის დროს პროფ. სურგულაძე ამ სრულიად იდეალისტური და რეაქციული თეორიის მარქსიზმად გასაღებას ცდილობდა;

- მასწავლებელი ჯაფარიძე, რომელიც, კომუნიზმისა და სოციალიზმის გაგებით, ანტიმარქსისტულ შეხედულებებს გამოხატავდა და ფორმულირებათა მთელ რიგში ხარისხობრივ განსხვავებას ამჟღავნებდა სოციალისტური მეურნეობის მოწყობასა და კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობას შორის;

მსგავსივე სახით საქართველოს სსრ-ის საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სხვა სამეცნიერო მუშაკების თეორიული პოზიციები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრული დებულებებიდან გამომდინარეობენ, შეუთავსებელია აღნიშნული მეცნიერების პედაგოგიურ საქმია-

ნობასთან საბჭოთა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. სხდომა განსაკუთრებით დაუშვებლად მიიჩნევს მითითებული პროფესორების პედაგოგიურ საქმიანობას სამართლის მარქსისტული თეორიის, სახელმწიფოს მარქსისტული თეორიისა და საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კურსის მიმართ, რომლებიც, არსებითად, ლენინიზმის ძირითადი საკითხებია, და კატეგორიულად მოითხოვენ მათ დაუყოვნებლივ ჩანაცვლებას ჭეშმარიტად მარქსისტი--ლენინელი მასწავლებლებით.

პედაგოგიურ საქმიანობაში მეცნიერ-მუშაკთა აღნიშნული ჯგუფის დაბრუნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სავალდებულო პირობის [არსებობისას]: მათ მიერ საქმით დამტკიცება – პრესაში, სამეცნიერო ნაშრომებში, საჯარო გამოსვლებში – მათი მხრიდან საკუთარი რეაქციული თეორიული დებულებების სრული, მკვეთრი და უპირობო უარყოფა და საკუთარი შეხედულებების მთელი ჯამის ჩანაცვლება მარქსისტულ-ლენინური ერთიანი სრულყოფილი მსოფლმხედველობით.

1. გაერთიანებული სხდომა, აგრეთვე, აუცილებლად მიიჩნევს იმის აღნიშვნას, რომ ზოგიერთი კომუნისტი მეცნიერ-მუშაკის მხრიდან შეიმჩნეოდა მითითებული პროფესორების ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან მიმართებით შემრიგებლური დამოკიდებულება, რომელიც გამოიხატება მათი მხრიდან დისკუსიაში მონაწილეობისაგან თავის არიდებაში. გარდა ამისა, პარტიის სხვა წევრების მთელი რიგის მხრიდან შეიმჩნეოდა მემარცხენეობის გამოვლინება, რაც რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეალური განადგურებიდან, უპარტიო სპეციალისტებთან მიმართებით, არასწორი, პარტიის ხაზისაგან განსხვავებულ რელსებზე დისკუსიის წარმართვის გადატანის მცდელობით გამოიხატა. იდეოლოგიური ფრონტი კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი უმწვავესი ფრონტია, ამიტომ იდეოლოგიის სფეროში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, აუცილებელია შეურიგებელი ბრძოლა ორივე ფრონტზე: მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, როგორც, მოცემულ ეტაპზე, უმთავრესი საფრთხე და უკანასკნელ დროს კვლავ გამოცოცხლებული მემარცხენეობის წინააღმდეგ, აგრეთვე, ორივე [მიმართულებასთან] შემრიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ.

2. მე-5 პუნქტში აღნიშნული ფაქტები მნიშვნელოვნად გამომდინარეობენ იმ გარემოებიდან, რომ სამართალმცოდნეთა მარქსისტულ-ლენინური ძალები ტფილისში საჭიროებენ განმტკიცებასა და უფრო მეტ ორგანიზებას, რის გამოც სხდომა აუცილებლად მიიჩნევს ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ-ის მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოების, აგრეთვე, საქართველოს სსრ-ის საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუ-

ტის ყველა ჭეშმარიტი მარქსისტულ-ლენინური ძალების მობილიზებას [შემდეგი] მიმართულებით:

ა) ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგიის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, მასთან ყოველგვარი შემრიგებლობის, ყოველგვარი გადახრებისა და სამართლისა და სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შერყვნის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის შემდგომი გაგრძელებისათვის;

ბ) იდეოლოგიური სისუფთავისა და სამართლისა და სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საბოლოო გამარჯვებისათვის;

გ) სამართლის სფეროში ყოველივე ჭეშმარიტი მარქსისტულ-ლენინური ძალის მჭიდრო შეკავშირებისათვის;

დ) კადრების მარქსისტულ-ლენინური მომზადებისა და სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ე) საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში მარქსისტულ-ლენინური ცოდნის მასობრივი გავრცელებისათვის.

ამონაწერი

1930 წლის 10 ნოემბერს ჩატარებული 26 [კომისრის] სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის, ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ-ის მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოების სხდომისა

მოისმინეს:

მე-4 პუნქტში შეტანილი შესწორება (რეზოლუციისა ამხანაგ გეგენავას დისკუსიაზე გაკეთებული მოხსენების მიმართ – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“):

პედაგოგიურ საქმიანობაში მეცნიერ-მუშაკთა აღნიშნული ჯგუფის დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სავალდებულო პირობის [არსებობისას]: მათ მიერ საქმით დამტკიცება – პრესაში, სამეცნიერო ნაშრომებში, საჯარო გამოსვლებში – მათი მხრიდან, საკუთარი რეაქციული თეორიული დებულებების სრული, მკვეთრი და უპირობო უარყოფა და საკუთარი შეხედულებების მთელი ჯამის ჩანაცვლება მარქსისტულ-ლენინური ერთიანი სრულყოფილი მსოფლმხედველობით.

აზრთა გაცვლის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ტალახაძემ, თუმანოვმა, ძაძამიძემ[1], ბოლოტნიკოვმა, ლისოვსკიმ, გეგენავამ.

---

[1] **ივანე კონსტანტინეს ძე ძაძამიძე** დაიბადა 1907 წელს ქალაქ ზუგდიდში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. 1930 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შემდეგ, პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იკავებდა დოცენტის სამეცნიერო თანამდებობას. 1930 წლიდან იყო კომუნისტური პარტიის წევრი. შეთავსებით მუშაობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში ივანე ძაძამიძე ორი კათედრის წევრი იყო: 1. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრა (გამგე – პროფ. ირ. სურგულაძე), 2. საბჭოთა აღმშენებლობის კათედრა (გამგე – ბესარიონ კვირკველია). ემსხვერპლა სტალინურ რეპრესიებს. დაპატიმრებამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლად. ბრალად ედებოდა, რომ იყო ა/ს მემარჯვენე ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა აქტიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას და იყო სკპ(ბ)-ის ხელმძღვანელებისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ტერაქტის მომზადების საქმის კურსში. 1938 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე ე.წ. ტროიკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სასჯელის ზომად განესაზღვრა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით. იხ.: საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,

დაადგინეს:

შესწორება მიღებულ იქნეს.

ამხანაგი ბოლოტნიკოვი შესწორების წინააღმდეგია და ითხოვს ოქმში განსაკუთრებული აზრის შეტანას აღნიშნული საკითხის მიმართ, შემდეგი რედაქციით:

მთლიანად ვეთანხმები რა მე-4 პუნქტის პირველ ნაწილს, მითითებული შესწორების წინააღმდეგი ვარ და საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას ვასაბუთებ იმით, რომ ეს შესწორება პრაქტიკულად უტოპიურია, არ არის პოლიტიკურად მკაფიო და ლოგიკურად არ გამომდინარეობს რეზოლუციის წინამდებარე პუნქტებიდან.

ბოლოტნიკოვის აზრს უერთდებიან ამხანაგები – გეგენავა და შარია.

მდივანი ე. მახვილაძე

ფონდი 336, ანაწერი 2, საქმე 3, ფურცელი 1; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 3, საქმე 296, ფურცელი 11; სტალინური სიები საქართველოდან, ძაძამიძე ივანე კონსტანტინეს ძე, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=1946> [04.01.2019] [რედ.].

რეზოლუცია

საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროს მარქსისტი მუშაკების საზოგადოების ამიერკავკასიის პირველი ყრილობა

ამხანაგ იაკობ ბერმანის[1] 1930 წლის 4 დეკემბრის მოხსენების მიხედვით ქალაქ ტფილისში

სოციალისტური აღმშენებლობის გიგანტური გაშლა, მუშებსა და მშრომელ მასებში საწარმოო ენთუზიაზმის უდიდესი ამაღლება, სოციალისტური რეკონსტრუქციის ბრწყინვალე მიღწევანი, სოფლის მოიჯარე-ღატაკი მასების გაზრდილი აქტიურობა, საკოლმეურნეო მოძრაობის ფართოდ გაშლა, რომელმაც მილიონობით საგლეხო მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად საშუალო ფენის მოზიდვა, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, საყოველთაო კოლექტივიზაციის საფუძველზე საბჭოთა სახელმწიფოს საგეგმო-მომწესრიგებელი როლის განმტკიცება და, ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის განმტკიცება – განსაკუთრებული ძალით ხაზს უსვამს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მნიშვნელობასა და საბჭოთა სამართლის რევოლუციურ როლს, სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან განუყოფელი კავშირით, სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა ახალი ფართო მასების მოზიდვით.

სოციალისტური აღმშენებლობის ზრდამ, კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გაძლიერებამ, გარდაუვლად გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების მხრიდან თავგანწირული წინააღმდეგობის მცდელობა. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის თეორიისა და პრაქტიკის ფრონტზე მარქსიზმ-ლენინიზმის შეტევას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ბურჟუაზიული იურიდიული მსოფლმხედველობა, რომელიც, არცთუ იშვიათად, შეფარულია ფსევდომარქსისტული

---

[1] **იაკობ ბერმანი** (1868-1933) – საბჭოთა იურისტი, ფილოსოფოსი, სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე. ბერმანის ფილოსოფიური თხზულებები ეხებოდა ისტორიულ-ფილოსოფიურ თემატიკას, მაგალითად, აკრიტიკებდა ჰეგელისა და დასავლეთევროპული იდეალისტური მიმართულებების სხვა წარმომადგენლებს, ებრძოდა პლეხანოვის სუბსტანციალიზმს. მისი ნაშრომებია: „მარქსიზმი თუ მაქიზმი“ (1906), „დიალექტიკა შემეცნების თანამედროვე თეორიის თვალთახედვით“ (1908), „პრაგმატიზმის არსი, ცნობიერების შესახებ მეცნიერების ახალი მიმდინარეობანი“ (1911) [მთარგმნელი].

ფრაზეოლოგიით. უმაღლესი სასწავლო დაწესებულების კედლებში, მრავალი ჟურნალის გვერდებზე ბურჟუაზიული იურიდიული აზრი აქტიურად გამოდის მარქსიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატის კლასობრივი მტრის იდეოლოგიის წნეხი მარქსისტების რიგებშიც კი აღწევს. საბჭოთა აღმშენებლობის [დარგის] მუშაკთა – უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაში კადრების მომზადების საქმე არცთუ იშვიათად ბურჟუაზიული იურიდიული მსოფლმხედველობის მომხრეთა ხელშია მოქცეული.

„მარქსისტულ-ლენინური“ ფრაზეოლოგიით საკუთარი ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემბურველი თეორეტიკოსების გამოაშკარავება, ანტიმარქსისტული, ანტილენინური მსოფლმხედველობის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა, გაშლილი სოციალისტური აღმშენებლობისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ჰეგემონიისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებელთა ახალი კადრების მომზადებისათვის – მებრძოლი დიალექტიკური მატერიალიზმის სულისკვეთებით, კლასობრივი ბრძოლის ფრონტის წინა ხაზი არის.

ამასთანავე, მემარჯვენე „უკლონისტების“, როგორც მოცემული მომენტის უმთავრესი საფრთხის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, მასობრივ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით, პროლეტარიატის დიქტატურის ქვემდგომი ორგანოების ლიკვიდაციისა და მათი სხვა ორგანოებით რწმუნებულების სახით ჩანაცვლების მათეულ თეორიას – ყველაზე მკვეთრი განსჯა და მტკიცე მოგერიება უნდა შეხვდეს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ვითარებაში საბჭოთა სახელმწიფოს კლასობრივი როლის დავიწყება, საბჭოების გაცოცხლების კლასობრივი არსის/[რაობის] გადღაბნა, მცდელობა იმისა, რომ ეს გადღაბნა „სამოქალაქო მშვიდობად“, „წმინდა დემოკრატიის“ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად შემოგვასაღონ, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის აქტიური რევოლუციური როლის უარყოფა – სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესში, ახასიათებს საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის მემარჯვენე-ოპორტუნისტულ ფილოსოფიას. მარქსისა და ლენინის მოძღვრების მიმართ აღნიშნული ფილოსოფიის ღრმად მტრული [დამოკიდებულება] და მისი ოპორტუნისტული არსი ბოლომდე უნდა იქნეს გამჟღავნებული და მხილებული.

თეორიასა და პრაქტიკაში მემარცხენე გადახრები, რევოლუციური კანონიერების შერყვნა, კოლექტივიზაციის პროცესში „ადმინისტრაციული აღფრთოვანება“, „სამართლის გაუქმების“ თეორია, რომლებსაც ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (нэп) დაუყოვნებლივი გაუქმებისაკენ მივყავართ, აძლიერებენ მემარჯვენეთა ანტიპარტიულ პოზიციებს და საფრთხის ქვეშ აყენებენ პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს. პრაქტიკაში – რევოლუციური კანონიერების ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძო-

ლა, პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯების პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა – ლოზუნგით „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დასრულება“ – არის მორიგი ამოცანა. გადახრები, რომლებითაც, სინამდვილეში, მემარცხენე ფრაზეოლოგია ოპორტუნიზმთან არის შეჯერებული, რევოლუციური კანონიერების რევოლუციური მიზანშეწონილობით შეცვლის შესახებ, რევოლუციური კანონიერების ლოზუნგის მოხსნის აუცილებლობის შესახებ მოთხოვნა და ა.შ. – ლენინიზმისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეოლოგიისათვის მტრული [დამოკიდებულების] ასახვა არის.

კლასობრივი ბრძოლის განვითარების მოცემულ სტადიაზე, მემარჯვენე ოპორტუნისტულმა თეორიამ და პრაქტიკამ და „მემარცხენე“ გადახრებმა გამოხატულება პოვეს სირცოვ[1]-ლომინაძის[2] უპრინციპო, ორპირი მემარჯვე-

---

[1] **სერგეი სირცოვი** (1893-1937) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რსფრ-ის სახკომსაბჭოს მესამე თავმჯდომარე (1929-1930). 1930 წლის აპრილში სათავეში ჩაუდგა პარტიის სხვაგვარად მოაზროვნე წევრებს, რომლებსაც მოგვიანებით სტალინმა „სირცოვი-ლომინაძის მემარჯვენე-მემარცხენე ბლოკი“ უწოდა. 1930 წლის აგვისტოში, მომარაგების სფეროში წარმოქმნილი სირთულეების გამო, შემდეგი სათაურის წერილით – „რაღაც უნდა ვქნათ?“ – მიმართა ყველა პარტიულ ორგანიზაციას. მისი აზრით, ეს ვითარება წარმოიშვა კოლექტივიზაციისა და გაკულაკების პროცესში დაშვებული უკიდურესად სასტიკი ღონისძიებების გამო, რამაც გამოიწვია ბაზარზე ნედლეულისა და სურსათის მიწოდების შემცირება. ის რეკომენდაციას უწევდა კოლექტივიზაციისა და გაკულაკების ტემპების შესუსტებას, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ბაზრებზე თავისუფალი გასვლის შესაძლებლობას, საგეგმო რეგულირების შემსუბუქებას. სტალინი აღაშფოთა ამ წერილმა: მას ცილისწამება და ახალი ოპორტუნისტული დაჯგუფების შექმნის მცდელობა უწოდა. 1937 წლის 10 სექტემბერს უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მხოლოდ 15 წუთის განმავლობაში სისხლის სამართლის კოდექსის 58.7-ე, 58,8-ე და 68.11-ე მუხლებით ს. სირცოვს სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა შეუფარდა. იმავე დღეს დახვრიტეს [მთარგმნელი].

[2] **ბესარიონ (ბესო) ლომინაძე** (1897-1935) – საბჭოთა პარტიული მოღვაწე. სტალინის პოლიტიკით იმედგაცრუებულმა ბ. ლომინაძემ 1930 წელს თანამოაზრეებთან ერთად შექმნა ოპოზიციური ჯგუფი, რომელმაც მოგვიანებით კონტაქტები დაამყარა რსფრ-ის სახკომსაბჭოს მესამე თავმჯდომარე ს. ი. სირცოვთან, რასაც სტალინმა „სირცოვი-ლომინაძის მემარჯვენე-მემარცხენე ბლოკის“ კვალიფიკაცია მიანიჭა. 1930 წლის 1 დეკემბერს გაჩნდა ცკ-ისა და ცსკ-ის ერთობლივი დადგენილება „სირცოვის, ლომინაძისა და სხვათა ფრაქციული სამუშაოს შესახებ“. ლომინაძე და სირცოვი გარიცხეს ცკ-იდან და მოხსნეს დაკავებული თანამდებობებიდან. 1931-1932 წწ.-ში ბესარიონ ლომინაძე იყო სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის უფროსი, 1932-1933 წწ.-ში – მოსკოვის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტორგი, 1933 წლიდან – მაგნიტოგორსკის სკპ(ბ)-ის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე (ეს თანამდებობა დაიკავა ს. ორჯონიკიძის რეკომენდაციით). 1935 წელს დაპატიმრების შიშით სუიციდის მცდელობისას გულში სასიკვდილო გასროლით საავადმყოფოში გარდაიცვალა, საოპერაციო ბლოკში ტყვიის ამოღების დროს [მთარგმნელი].

ნე-„მემარცხენე“ ბლოკის გაფორმებაში, რომელიც კლასობრივი მტრების აგენტურასა და სოციალიზმის აღმშენებელი ავანგარდის, მუშათა კლასის შიგნით, ლენინური კომუნისტური პარტიის შიგნით ძირგამომთხრელ ძალას წარმოადგენდა. მუშათა კლასის მიმართ ამ ღრმად მტრული ბლოკის საბჭოთა სახელმწიფო აპარატისადმი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა, საბჭოთა აპარატის მუშების მოთხოვნებისა და ინტერესებისადმი „საბატონო-ფეოდალური“ დამოკიდებულების შესახებ „თეორიის“ წინააღმდეგ ბრძოლა არის აქტუალური ამოცანა.

გარდა ამისა, კვლავინდებურად ამოცანად რჩება საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში კონტრრევოლუციური ტროცკისტული იდეოლოგიის ნარჩენების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ – პროლეტარიატის დიქტატურის თერმიდორიანული გადაგვარების შესახებ „თეორიებს“, მსჯელობებს მთელი გლეხობის მუშათა კლასის ინტერესებისადმი პრინციპული მტრობის შესახებ (პერმანენტული რევოლუციის თეორია, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით) და მათი გადატანა საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებზე – ყველაზე მკვეთრი მოგერიება უნდა შეხვდეს. მენშევიზმის ამ ნაირსახეობის ნარჩენების საბოლოო ლიკვიდაციისათვის ბრძოლა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად უნდა იქცეს.

დღის წესრიგშია, აგრეთვე, ყველა სახის „უკლონიზმისა“ და სახელმწიფოსა და სამართლის რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიის შერყვნის მიმართ შემრიგებლურ [დამოკიდებულებასთან] შეურიგებელი ბრძოლა.

სოციალისტური აღმშენებლობის შემდგომი წარმატებული გაფართოება, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოთა მთელი სისტემის წინაშე, განსაკუთრებული ძალით ითხოვს სახელმწიფო აპარატის საუკეთესო მისადაგებას მასების მომსახურებისათვის მუშათა კლასის მშრომელ გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლად, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, საბჭოთა აპარატის გამარტივებისა და გაიაფების საფუძველზე, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერებას თვითკრიტიკის შემდგომი გატარების საფუძველზე, [ახალი კადრების] წინ წამოწევის ფართო გავრცელებისა და ორგანიზაციის, კლასობრივად უცხო და მტრული ელემენტებისაგან პროლეტარიატის დიქტატურის აპარატის წმენდის, მავნებლობისა და კლასობრივი მტრის გავლენის სხვაგვარი გამოვლინების შესაძლებლობის გამომრიცხავი პირობების შექმნის, საბჭოების საქმიანობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების რეორგანიზაციის საფუძველზე, რეკონსტრუქციის პერიოდის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნების შესაბამისად.

ყველა აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი პრინციპის განუხრელი შესრულების გზით არის შესაძლებელი – სახელმწიფო მართვაში მუშებისა და მშრომელი მასების ძალზე ფართოდ ჩართვის გზით. აღნიშნული ამოცანების შესრულება მხოლოდ საბჭოთა აღმშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის განუწყვეტელი კავშირის საფუძველზეა შესაძლებელი. ჩვენი სახელმწიფო აპარატის საქმიანობა მარქსისტულ-ლენინური თეორიით უნდა გაშუქდეს. აღნიშნულმა თეორიამ ჩვენი სახელმწიფო აპარატის სარეკონსტრუქციო სამუშაოს სწორი გზა უნდა გვიჩვენოს: მან ჩვენი პრაქტიკოსები უნდა შეაიარაღოს მათი ყოველდღიური სამუშაოსათვის საბჭოთა აღმშენებლობის [კუთხით]. საზოგადოების ამოცანა არის ყველა ძალის წარმართვა, რათა დაიძლიოს ჩამორჩენა თეორიულ დებულებებში საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ყველაზე აქტუალური პრობლემების შესახებ; მეორე მხრივ, იმისათვის, რათა იყოს ქმედების სახელმძღვანელო [პრინციპი], თეორია განუწყვეტლივ უნდა მდიდრდებოდეს სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკული გამოცდილებით.

სავალდებულოა ყველაზე დაუნდობელი ბრძოლის წარმოება „წმინდა აკადემიზმის“, წმინდა, „თეორიისაგან“ მოწყვეტილი პრაქტიკის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ წარმოქმნის ყველაზე საზიზღარ, როგორც ლენინი ამბობდა, ბურჟუაზიული საზოგადოების სახეს – თეორიის პრაქტიკისაგან მოწყვეტას.

ჩვენი საზოგადოება საბჭოთა აღმშენებლობის პრაქტიკის მარქსი-ლენინის თეორიით შეიარაღების უმძლავრეს ორგანიზაციად უნდა მოგვევლინოს. მან თავის რიგებში უნდა შეიყვანოს და მეგობრულ კოლექტიურ სამუშაოში გააერთიანოს როგორც თეორეტიკოსები, ისე საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის პრაქტიკოსი მუშაკები. საზოგადოებამ უნდა დაძლიოს თეორიის ჩამორჩენა საბჭოთა სახელმწიფოს პარაქტიკისაგან. გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემათა შემუშავება, ზოგადად, და, განსაკუთრებით, რეკონსტრუქციული პერიოდისა; სოციალისტური აღმშენებლობისა და მასობრივი მუშაობის ახალი მეთოდებისა და ფორმების საქმეში, კერძოდ, სრული კოლექტივიზაციის რაიონებში, საქალაქო და სასოფლო საბჭოების სულ უფრო მზარდი როლის შესწავლა; საბჭოთა აპარატის გამარტივებისა და გაიაფების პრობლემათა თეორიული შემუშავება და, რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებით მისი რეორგანიზაცია – ყოველივე აღნიშნული უნდა ქმნიდეს საზოგადოების მორიგ ამოცანებს.

პარტიის გენერალური ხაზის განუხრელი განხორციელების შედეგად ბრწყინვალე წარმატებებია ეროვნული პოლიტიკის სფეროშიც, ეროვნული უთანასწორობის ელემენტების აღმოფხვრის საქმეშიც, მთელი საბჭოთა კავშირისა და, კერძოდ, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტუ-

რი რესპუბლიკის სხვადასხვა ხალხის ეროვნული კულტურის ფართო გავრცელების საქმეშიც.

არსებულ მომენტში, როცა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ერთად, შეიმჩნევა როგორც ველიკოდერჟავული ძალების, ასევე, ადგილობრივი შოვინიზმის ძალების აქტივიზაცია, – ველიკოდერჟავული შოვინიზმის, როგორც უმთავრესი საშიშროების გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა, ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის თანადროულად, აგრეთვე, ჩვენი საზოგადოების ძირითადი ამოცანაა.

საზოგადოებამ ყველაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოთა აღმშენებელთა კადრების მომზადების, მეცნიერ-მუშაკებისა და მასწავლებელთა მომზადების საქმეში, პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შემუშავებაში, ჭეშმარიტად მარქსისტული ლიტერატურის შექმნაში, ასფსრ-ის (ЗСФСР) ეროვნებათა ენებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კვალიფიციური კადრების მომზადებას ასფსრ-ის ეროვნული რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობიდან.

აღნიშნულ საქმეში ამიერკავკასიის საზოგადოებამ განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა კიდევ იმის გამოც უნდა მიიღოს, რომ ასფსრ-ის რესპუბლიკებში, გარდა მარქსისტი სახელმწიფომცოდნე მეცნიერ-მუშაკთა კადრების არასათანადო ორგანიზებულობისა, შეინიშნება სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში იდეალისტური კონცეფციების დაუფარავი განვითარება და გავრცელება (ტფილისი). [უნდა] აღინიშნოს, რომ, ამ მიმართებით, დისკუსია, რომელიც მიმდინარეობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, ამხანაგი გეგენავას მოხსენების – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“ – მიხედვით, დადებითი წამოწყებაა, რომლის გაგრძელებაც სამომავლოდ აუცილებელია, რათა ბოლომდე იქნეს მიყვანილი სამართლებრივ აზრში იდეალიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისათვის, საბჭოთა აღმშენებლობაში მშრომელი მასების ჩაბმის მიზნით, ფართო პრაქტიკული სამუშაოს გასაშლელად, საზოგადოებამ, იმავდროულად, წუთითაც კი არ უნდა დაივიწყოს საკუთარი საერთაშორისო ამოცანები და მოვალეობები. თეორიულ სამუშაოში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს თანამედროვე კაპიტალიზმის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფაშიზაციის საკითხებმა, სოციალ-ფაშიზმის პრობლემების შემეცნებამ, იმ პრობლემებისა, რომლებიც ეხება აღმოსავლეთის (განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის) სახელმწიფო წყობილებასა და სამართალს და ა.შ..

თავის პროპაგანდისტულ საქმიანობაში საზოგადოება ყველა შესაძლებლობას იყენებს, რათა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მშრომელთა მრა-

ვალმილიონიანი მასების წინაშე ამხილოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჭეშმარიტი არსი/[რაობა] და მათი რეაქციული პოლიტიკა.

მარქსისტ სახელმწიფომცოდნეთა საზოგადოების ამიერკავკასიის პირველი ყრილობა მოწოდებით მიმართავს საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლისა და სახელმწიფოს თეორიისა და პრაქტიკის სფეროში [მოღვაწე] ყველა მუშაკს – მეცნიერ-მუშაკს, უმაღლესი სასწავლებლების მოწაფეებს, მუშათა და გლეხთა აქტივს, საბჭოებს, საბჭოების სექციათა ფართო მასებს, სოცაპარატის თანამშრომლებს, რომლებიც იზიარებენ ჩვენი საზოგადოების თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკას და იბრძვიან მათთვის, გაწევრდნენ მათ რიგებში, შეკრან მარქსისტ-ლენინელთა რიგები, რათა იბრძოლონ სოციალისტური აღმშენებლობის გენერალური ხაზის განსახორციელებლად.

ვინ ვის აკრიტიკებდა ანუ დისკუსიის მონაწილეთა პერსონალური ანატომია[1]

ა) დისკუსიაზე გაკრიტიკებული იურისტი პროფესორები

პროფესორი იროდიონ აპოლონის ძე სურგულაძე (1892-1945)

პროფ. იროდიონ სურგულაძე გახლდათ ცნობილი ქართველი იურისტი, სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამართლის სოციოლოგიის, სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და სამართლის ისტორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ, 1927), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის ისტორიკოსი, სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კათედრების გამგე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრის გამგე, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

პროფესორი გიორგი ალექსანდრეს ძე ნანეიშვილი (1894-1937)

პროფ. გიორგი ნანეიშვილი გახლდათ ცნობილი ქართველი იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ, 1930), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამოქალაქო/სამეურნეო სამართლის კათედრის გამგე (1930-1933, 1935-1937), საქართველოში სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ემსხვერპლა 1937 წელს განხორციელებულ სტალინურ რეპრესიებს.

პროფესორი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ვაჩეიშვილი (1886-1964)

პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილი გახლდათ ცნობილი ქართველი იურისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე (1931-1933, 1933-1964), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამართლის ისტორიკოსი, საქართველოში სამართლის თეორიისა და სამართლის სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

---

[1] დისკუსიაში მონაწილეთა შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მოამზადეს **ასოც. პროფ. მარინა გარიშვილმა** და **თორნიკე ნემსწვერიძემ** [რედ.].

დოცენტი სერგი დავითის ძე ჯაფარიძე (1871-1937)

დოც. სერგი ჯაფარიძე გახლდათ ცნობილი ქართველი იურისტი, პირველი ქართული კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, პოლიტიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. პირველი ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ავტორი სავაჭრო სამართალსა და სამოქალაქო პროცესში. ემსხვერპლა 1937 წელს განხორციელებულ სტალინურ რეპრესიებს.

ბ) დისკუსიაში მონაწილე მარქსისტები

ამხანაგი გეგენავა – „დოცენტი“ ალექსანდრე ივანეს ძე გეგენავა (1900-1937)

ცნობილია, რომ „დოცენტი“ გეგენავა იყო საბჭოთა კავშირის პარტიული მოღვაწე, კომუნისტური პარტიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას იწყებს. 1933 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „დოცენტი“ და საბჭოთა აღმშენებლობის კათედრის გამგე, კითხულობდა სალექციო კურსს საგანში – „მოძღვრება საბჭოთა სახელმწიფოზე“.

მეტად სიმბოლური და საინტერესოა ერთი დეტალი: ალექსანდრე გეგენავა იყო პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილის სტუდენტი საგანში – „სამართლის ზოგადი თეორია“. 1927 წლის 10 ივნისს ამ საგანში გამოცდა ჩააბარა გეგენავამ შეფასებით – ფრიადი.[1]

გასული საუკუნის 30-იან წლებში მუშაობდა საქართველოს კპ(ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის კულტპროპაგანდისტად. ემსხვერპლა იმ რეჟიმს, რომელსაც თვალდახუჭული ემსახურებოდა. დააპატიმრეს 1937 წლის 18 ივნისს საქართველოს შინსახკომის სატელეგრაფო განკარგულების საფუძველზე. იმყოფებოდა აჭარის შინსახკომის ციხეში. იმავე წლის 21 ივნისს სპეციალური ბადრაგის თანხლებით გაგზავნეს ქ. თბილისში, საქართველოს შინსახკომში.[2] მისი გვარი მოხვდა 1937 წლის 10 აგვისტოს სიაში, რის საფუძველზეც დახვრიტეს.

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 3, საქმე 104, ფურცელი 4.

[2] სტალინური სიები საქართველოდან, გეგენავა ალექსანდრე ივანეს ძე, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=3522> [29.12.2018].

ამხანაგი ტალახაძე – „წითელი“ პროფესორი ილარიონ ილარიონის ძე ტალახაძე (1894-1974)

სისასტიკით ცნობილი საბჭოთა საქართველოს „წითელი“ პროფესორი ილარიონ ტალახაძე[1] საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო „მოღვაწე“ იყო; საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი მუშაობდა ქუთაისის გუბერნიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, შემდეგ საქართველოს გაერთიანებული სამხედრო სკოლის უფროსად.[2] ილარიონ ტალახაძე 1927-1928 წლებში მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრად, შემდეგ – საქართველოს სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ, ხოლო 1928-1931 წლებში – საქართველოს სსრ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ[3]. იგი არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.[4] იყო III კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი[5]. ტალახაძის, იმხანად შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილის, სახელი დაკავშირებულია 1924 წლის აჯანყების სასტიკად ჩახშობასთან – ამ დროს ადამიანები სატვირთო ვაგონებში შეყარეს, შორაპანთან მიაყენეს და დახვრიტეს (ერთ-ერთი ვაგონი ინახება საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში).[6]

1933 წელს ტალახაძემ დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტი, რის შემდეგაც დაბრუნდა საქართველოში და „აქტიურად“ ჩაერთო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ცხოვრებაში. 1934-1956 წლებში იყო თსუ-ის იურიდიული

---

1 ინფორმაციისათვის: „ილარიონ ტალახაძეს „წითელ პროფესორს“ ეძახდნენ და მისი სახელის ხსენება იმერეთში წყევლის ტოლფასი იყო. ერთხელ ცნობილ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი აბაშიძეს ნაოპერაციევი პაციენტის გასინჯვა სთხოვეს. როდესაც გაიგო, რომ „წითელ“ პროფესორ ილარიონ ტალახაძეზე იყო საუბარი, უარი თქვა, თუმცაღა იცოდა, ექიმის ეთიკას არღვევდა – პაციენტის სანახავად კოლეგა გაგზავნა“. იხ. აშუღაშვილი მ., გიორგი აბაშიძე – კაცი, რომელმაც მთავარ ექიმობას ქირურგობა არჩია, ჟურნალი „ავერსი“, №4 (165), 2019.

2 ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1974, 96.

3 ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1974, 96; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, <http://www.supremecourt.ge/palace-of-justice/chairperson-of-the-supreme-court/> [30.12.2018].

4 ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1974, 96.

5 Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898-1991, <http://www.knowbysight.info/TTT/12072.asp> [02.01.2019].

6 დაწვრილებით იხ. ჯიქია ლ., 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.

ფაკულტეტის პროფესორი, გარკვეული პერიოდი ხელმძღვანელობდა სამეურნეო სამართლის კათედრას, 1935-1936 წლებში იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, 1938 წლიდან კი განაგებდა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრას.[1] 1946 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.[2] პედაგოგიურ საქმიანობას, ასევე, ეწეოდა უმაღლეს პარტიულ სკოლაში[3].

1936-1946 წლებში იყო რესპუბლიკის პროკურორი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1937 წლის №00447 ბრძანებით 1937-1938 წლებში, როგორც საქართველოს სსრ-ის პროკურორი, გახლდათ შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სამეულის (ე.წ. ტროიკა) წევრი. ტალახაძე გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი წმენდის, იგივე სტალინური რეპრესიების (Большая чистка, Сталинские èvŴèvëëŮŴ) ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო საქართველოში.[4]

ამხანაგი შარია – „წითელი“ პროფესორი პეტრე ათანასეს ძე შარია (1904[5]-1979)

ცნობილი პარტიული მუშაკი პეტრე შარია – ფილოსოფოსი, მარქსისტული ფილოსოფიის მკვლევარი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე გახლდათ; იგი 1919-1920 წლებში სწავლობდა სოხუმის საოსტატო სემინარიაში, ხოლო 1922-1924 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მოსკოვში ჩააბარა ასპირანტურაში, რის შემდეგაც დატოვეს კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც ასრულებდა ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის სექციის მდივნის ფუნქციებს. იმავდროულად, პ. შარია მენდელეევის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინ-

---

1 ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1974, 96.

2 Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898-1991, <http://www.knowbysight.info/TTT/12072.asp> [02.01.2019].

3 ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1974, 96.

4 Список лиц, входивших в состав троек, созданных по приказу НКВД СССР от 30.07.1937 №00447, იხ. <http://nkvd.memo.ru/index.php/%D0%94%D0%BE%D0%BA%D1%83%D0%BC%D0%B5%D0%BD%D1%82:%D0%A1%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0%D0%B2%D1%8B_%D1%82%D1%80%D0%BE%D0%B5%D0%BA_%D0%B2_1937%E2%88%921938_%D0%B3%D0%BE%D0%B4%D0%B0%D1%85> [30.12.2018]; ***ხვადაგიანი ი.***, წითელი ტერორის ტოპოგრაფიის მარშრუტი, წიგნში: ტერორის ტოპოგრაფია, საბჭოთა თბილისი, ***ნ. ლექავასა*** და ***ლ. ბაქრაძის*** რედაქტორობით, მეორე გამოცემა, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბილისი, 2017, 56.

5 ადრე ცნობილი იყო, რომ პეტრე შარია დაიბადა 1902 წელს, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მკვლევრებმა დაადგინეს, რომ იგი 1904 წელს დაბადებულა. იხ. ***შარია პ.***, რჩეული ნაწერები, ***გ. ყორანაშვილისა*** და ***ბ. ხორავას*** რედაქტორობით, თბილისი, 2019, 3.

სტიტუტში განაგებდა ფილოსოფიის კათედრას[1] და მოსკოვის პირველი უნივერსიტეტის (ასე იწოდებოდა ერთხანს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი) დოცენტი (1929) იყო. 1930 წლის იანვარში პეტრე შარია სამშობლოში დაბრუნდა და გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (1930 წ.).[2]

პეტრე შარია 1931-1932 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრად და მეცნიერების სექტორის უფროსად, ამავე პერიოდში იყო საქართველოს ცაკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.[3] 1932 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1934 წელს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1932-1934 წლებში პ. შარია ხელმძღვანელობდა თსუ-ის ფილოსოფიის ისტორიის კათედრას, 1934-1936 წლებში მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტში სამდივნოს წევრად და კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ, 1938-1943 წლებში ასრულებდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატის სამმართველოს უფროსის მოვალეობას, ხოლო 1943-1948 წლებში გახლდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, იდეოლოგიურ დარგში.[4]

1932-1952 წლებში ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკავებდა პროფესორის სამეცნიერო თანამდებობას. კითხულობდა სალექციო კურსს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ისტორიაში. შარია 1944-1952 წლებში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.[5] ამასთანავე, იგი იყო ლავრენტი ბერიას უახლოესი გარემოცვის წევრი და მისი თანამებრძოლი. მისი ასეთი „ბრწყინვალე“ პოლიტიკური კარიერა შეეწირა ე.წ. „მეგრელების საქმეს“, რის გამოც დაითხოვეს თბილისის სახელ-

---

1 ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი, პერსონალია, თბილისი, 2000, 196.

2 ***შარია პ***., რჩეული ნაწერები, ***გ. ყორანაშვილისა*** და ***ბ. ხორავას*** რედაქტორობით, თბილისი, 2019, 3.

3 ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ფილიპე მახარაძე, ხოლო მოადგილეებად – კარლო ორაგველიძე და პეტრე შარია. იხ. ცაკის დადგენილება მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დაარსების შესახებ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, №2, ნაწილი პირველი, 1931 წლის 31 იანვარი, 35.

4 ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი, პერსონალია, თბილისი, 2000, 196.

5 ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი, პერსონალია, თბილისი, 2000, 196. 1944 წელს, როდესაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს პროფესორი შალვა ნუცუბიძე და მასთან ერთად აკადემიკოსად, ასევე, აირჩიეს პეტრე შარია. როგორც მიუთითებენ, იმ პერიოდისათვის პეტრე შარიას სამეცნიერო ნაშრომები არ ჰქონდა. იხ. ***ავალიანი ს***., XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა ბატალური ისტორიიდან, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, №15, 2014, 31.

მწიფო უნივერსიტეტიდან, გამოაძევეს მეცნიერებათა აკადემიიდან და შემდეგ დააპატიმრეს[1]. 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, კვლავ დაწინაურდა და ბერიას, მაშინ უკვე სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თანაშემწე გახდა. ბერიას დახვრეტის შემდეგ კვლავ დააპატიმრეს, ჩამოართვეს ყველა პრივილეგია და 10 წელი პატიმრობა მიუსაჯეს.

პეტრე შარია 1966 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად[2] და ასპირანტებისათვის ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.[3]

„პეტრე შარია დიდი ინტერესით ეკიდებოდა შოთა რუსთაველის შემოქმედების, კერძოდ, მისი ფილოსოფიური იდეების კვლევას. კვლევის შედეგებს თავი მოუყარა ნაშრომში – „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი“, რომელიც 1976 წელს გამოვიდა აკაკი გაწერელიას რედაქტორობით. ეს არის ფუნდამენტური ნაშრომი შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და მხატვრული შემოქმედების შესახებ; რუსთაველის ეპოქის დიდი პოეტების (ნიზამი, კრეტიენ დე ტრუა, ეშენბახი) შემოქმედების განხილვის ფონზე მან გამოკვეთა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის მხატვრული სამყაროს უნივერსალური ღირებულება და აჩვენა მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში“.[4]

პეტრე შარია სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის რაიონული, საქალაქო და ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო, აგრეთვე, ცაკ-ის წევრი, საქართველოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი.[5]

---

[1] ამასთან დაკავშირებით იხ. ***შონია ვ. ნ.***, ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“, <http://www.opentext.org.ge/index.php?m=69&y=2002&art=13159> [30.12.2018].

[2] რეპრესირების შემდეგ პეტრე შარიას უარი უთხრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ფილოსოფიის ინსტიტუტში დასაქმებაზე. ასევე, არ აღადგინეს მეცნიერებათა აკადემიაში. ერთადერთი დაწესებულება, სადაც მას სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა, იყო ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ***ბარამიძე ალ.***, ახლო წარსულიდან (მოგონებანი), მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 1987, 331-335.

[3] ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი, პერსონალია, თბილისი, 2000, 196.

[4] ***შარია პ.***, რჩეული ნაწერები, ***გ. ყორანაშვილისა*** და ***ბ. ხორავას*** რედაქტორობით, თბილისი, 2019, 6-7.

[5] ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი, პერსონალია, თბილისი, 2000, 196.

ამხანაგი ბოლოტნიკოვი – „წითელი პროფესორი“ ალექსეი ალექსანდრეს ძე ბოლოტნიკოვი (1894-1937)

ალექსეი ბოლოტნიკოვი დაიბადა 1894 წელს რუსეთის ქალაქ კოსტრომაში. გასული საუკუნის 20-იან წლებში შევიდა კომუნისტურ პარტიაში. მიიღო უმაღლესი განათლება და აქტიურად საქმიანობდა სამეცნიერო-პედაგოგიური ხაზით.[1] ბოლოტნიკოვი იყო 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის „წითელი“ პროფესორი და სოციოლოგიის კათედრის გამგე. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით ამ ორგანიზაციასთან დაარსდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და განისაზღვრა ინსტიტუტის წევრები, ჩამოთვლილთა შორის გახლდათ ბოლოტნიკოვი.[2]

30-იან წლებში ბოლოტნიკოვი საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში და საქმიანობდა სსრ კავშირის ცეკასთან არსებული პარტიულ სკოლაში, იყო კათედრის ხელმძღვანელი, „წითელი“ პროფესორი, ფილოსოფოსი. ემსხვერპლა სტალინურ რეპრესიებს. მაშინ, როდესაც ჩეკას აგენტურა დაუცხრომლად მუშაობდა, დღეს რომ კაცი საიმედო აგენტი იყო, ხვალ ხალხის მტრად ცხადდებოდა, დღეს ვინც ხელს აწერდა სასიკვდილო განაჩენს, ხვალ ისიც იხვრიტებოდა[3] – ეს გზა ბოლოტნიკოვსაც არ ასცდა. ის დააკავეს 1937 წლის 28 ივნისს, ანტისაბჭოთა ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, ეს იყო როგორც პრევენციული ღონისძიება, ე.წ. „იზოლირება“ „ხალხის მტრისა“ ხალხისგან, ხოლო 1937 წლის 1 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის (Военная коллегия Верховного суда СССР – ВКВС СССР) გადაწყვეტილებით დახვრიტეს. დაკრძალულია დონსკის სასაფლაოზე (Донское кладбище). 1956 წლის 4 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, „წითელი“ პროფესორი ბოლოტნიკოვი რეაბილიტირებულია, როგორც პოლიტიკური ტერორის მსხვერპლი საბჭოთა კავშირში.[4]

---

1 Открытый список, Болотников Алексей Александрович (1894) <https://ru.openlist.wiki/%D0%91%D0%BE%D0%BB%D0%BE%D1%82%D0%BD%D0%B8%D0%BA%D0%BE%D0%B2_%D0%90%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%81%D0%B5%D0%B9_%D0%90%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%81%D0%B0%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87_(1894)> [02.01.2019] <http://old.ihst.ru/projects/sohist/repress/don/1937/bolotnikov.htm> [02.01.2019]. <https://www.sakharov-center.ru/asfcd/martirolog/?t=page&id=4096> [02.01.2019].

2 ცაკის დადგენილება მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დაარსების შესახებ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, №2, ნაწილი პირველი, 1931 წლის 31 იანვარი, 35.

3 ***სიგუა ს***., მარტვილი და ალამდარი, ტომი I, თბილისი, 2003, 215.

4 Открытый список, Болотников Алексей Александрович (1894) <https://ru.openlist.wiki/%D0%91%D0%BE%D0%BB%D0%BE%D1%82%D0%BD%D0%B8%D0%BA%

ამხანაგი ლისოვსკი – მოსე იოანეს ძე ლისოვსკი (1887-1938) /სავარაუდოდ/

მოსე ლისოვსკი იყო კომუნისტური პარტიის წევრი და საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა 1887 წელს ეკატერინოსლავში. 1906 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს ადმინისტრაციული პატიმრობა. 1910 წელს რუსეთის იმპერიიდან გაიქცა აშშ-ში; გარკვეული პერიოდის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში და გააგრძელა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა. 1917 წელს იყო РСДРП(б)-ს პეტროგრადის სამხედრო ორგანიზაციის წევრი. 1918-1919 წლებში – გაზეთ „Красной газеты"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი. 1919 წლის აპრილიდან იკავებდა კრონშტადტის პოლიტიკური კომისრის თანამდებობას და, ამასთანავე, იყო გაზეთ – „Кронштадтские известия"-ს რედაქტორი. 1920 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის მაისის ჩათვლით იყო მე-9 ქვეითი დივიზიის მეთაური და კავკასიის არმიის წევრი. 1922-1923 წლებში იყო ჩელიაბინსკის რეგიონული კომიტეტის РКП(б)-ს აღმასრულებელი მდივანი. 1923 წელს იკავებდა ჯერ თურქეთის ფრონტის პოლიტიკური ხელმძღვანელის, შემდეგ კი – თურქეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის თანამდებობას. 1924-1925 წლებში იყო გაზეთ – „Красной газеты"-ს (ლენინგრადი) რედაქტორი.[1] სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით ამ ორგანიზაციასთან დაარსდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და განისაზღვრა ინსტიტუტის წევრები, ჩამოთვლილთა შორის გახლდათ ლისოვსკიც.[2] ბოლო პერიოდში, 1935-1937 წლებში, იყო სტალინის სახელობის ინდუსტრიული აკადემიის დირექტორი. 1937 წლის 23 ნოემბერს დააპატიმრეს. დახვრიტეს 1938 წლის 27 სექტემბერს ვლადივოსტოკში.[3]

D0%BE%D0%B2_%D0%90%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%81%D0%B5%D0%B9_%D0%90%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%81%D0%B0%D0%BD%D0%B4%D1%80%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87_(1894)> [02.01.2019].

<http://old.ihst.ru/projects/sohist/repress/don/1937/bolotnikov.htm> [02.01.2019].

[1] Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898 – 1991 <http://www.knowbysight.info/LLL/11882.asp> [23.03.2019].

[2] ცაკის დადგენილება მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დაარსების შესახებ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, №2, ნაწილი პირველი, 1931 წლის 31 იანვარი, 35.

[3] Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898 – 1991 <http://www.knowbysight.info/LLL/11882.asp> [23.03.2019].

ამხანაგი ტატულოვი – გიორგი ალექსანდრეს ძე ტატულოვი (1902-1937)

ეროვნებით სომეხი გიორგი ტატულოვი დაიბადა 1902 წელს ქ. თბილისში[1]. კომუნისტურ პარტიაში გაწევრდა 1927 წელს.[2] იგი, როგორც მწერალი, საქმიანობდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რუსულ სექციაში. 1930 წლისათვის ეკავა წამყვანი თანამდებობა ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში. იმავე წელს ამხილეს როგორც „სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-მემარცხენე გამყიდველური ბლოკის ჯგაშუში“ მწერალთა ორგანიზაციაში.[3] ამის შემდეგ გარიცხეს პროლეტმწერალთა ასოციაციიდან[4] და პარტიიდან და, ამ უკანასკნელის წევრად მხოლოდ 1936 წელს აღადგინეს. დაპატიმრებამდე მუშაობდა ქალაქ ტაგანროგის ლიტერატურული მუზეუმის გამგედ.[5] როგორც მკვლევრები მიუთითებენ, სტალინური რეპრესიების დროს ტატულოვი დააპატიმრეს 1937 წლის იანვარში და, სავარაუდოდ, იმავე წელსვე დახვრიტეს.[6] მაგრამ ეს უკანასკნელი ცნობა ერთგვარ ხარვეზს შეიცავს, კერძოდ, გიორგი ტატულოვი დააკავეს არა 1937 წელს, არამედ

---

1 Архив П-50506. ასევე, იხ. 1921-1938 წლებში რეპრესირებული მწერლების არასრული სია, მოამზადა ***ი. ხვადაგიანმა***, წიგნში: ტერორის ტოპოგრაფია, საბჭოთა თბილისი, ***ნ. ლექავასა*** და ***ლ. ბაქრაძის*** რედაქტორობით, მეორე გამოცემა, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბილისი, 2017, 163.

2 Архив П-50506.

3 ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ლომინაძის აგენტურა ლიტერატურაში (ტატულოვის, ვოლსკისა და სხვათა დაჯგუფება), გაზეთი „კომუნისტი“, №283, 3 დეკემბერი, 1930 [პუბლიკაციაში საუბარია ამიერკავკასიის კომუნისტური პარტიის ყოფილი მდივნის, ლომინაძისა და მისი დაჯგუფების მიერ პროლეტმწერალთა ასოციაციის პოლიტიკური კურსიდან გადახვევის შესახებ – თ.ნ.]; საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის შესახებ (დადგენილება), გაზეთი „კომუნისტი“, 2 დეკემბერი, 1930 [დადგენილებაში ხაზგასმულია ქართული პროლეტარული ლიტერატურისადმი მტრულად განწყობილ ფენებთან – „ლიტერატურულ ფრონტთან“, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივან ლ. ღოღობერიძესთან, ლომინაძესა და მის დაჯგუფებასთან ბრძოლის გაშლის შესახებ – თ.ნ.].

4 პროლეტარულ მწერალთა საქართველოსა და ამიერკავკასიის ასოციაციებში შექმნილი მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ, გაზეთი „კომუნისტი“, 6 დეკემბერი, 1930 [პუბლიკაცია ეხება გ. ტატულოვის ასოციაციიდან გარიცხვას – თ.ნ.].

5 1921-1938 წლებში რეპრესირებული მწერლების არასრული სია, მოამზადა ***ი. ხვადაგიანმა***, წიგნში: ტერორის ტოპოგრაფია, საბჭოთა თბილისი, ***ნ. ლექავასა*** და ***ლ. ბაქრაძის*** რედაქტორობით, მეორე გამოცემა, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბილისი, 2017, 163-164; Архив П-50506.

6 1921-1938 წლებში რეპრესირებული მწერლების არასრული სია, მოამზადა ***ი. ხვადაგიანმა***, წიგნში: ტერორის ტოპოგრაფია, საბჭოთა თბილისი, ***ნ. ლექავასა*** და ***ლ. ბაქრაძის*** რედაქტორობით, მეორე გამოცემა, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბილისი, 2017, 164. ინფორმაციისათვის იხ. Сталинские расстрельные списки, <http://stalin.memo.ru/names/p365.htm> [31.12.2018].

1936 წლის 11 ნოემბერს და 1937 წლის 27 თებერვლის[1] სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილებით მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.[2] ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობა. სასჯელი სისრულეში 1937 წლის 14 მარტს მოიყვანეს. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის 1992 წლის 24 ივნისის დასკვნით გიორგი ტატულოვი რეაბილიტირებულია.[3]

ამხანაგი ბარიგიანი – კარლო ისაკის ძე ბარიგიანი (1905-?)

კარლო ბარიგიანი დაიბადა 1905 წელს ქალაქ არზრუმში, დურგლის ოჯახში. 1908 წელს ბარიგიანების ოჯახი გადმოვიდა საქართველოში. 1918 წელს, მან დაამთავრა სურამის სკოლა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი მოეწყო მოწაფედ ხაშურის დეპოში და, იმავდროულად, შევიდა კომკავშირში.[4]

1923 წელს მომავალი დეპოს კომიტეტის კომკავშირის მდივანი და ხაშურის რაიკომის კომკავშირის პრეზიდიუმის წევრი კარლო ბარიგიანი მივლინებულია თბილისში დიზელ-მემანქანის კურსებზე. კურსების დამთავრების შემდეგ გაგზავნილი იყო ბორჯომში სამუშაოდ, როგორც კომკავშირის რაიკომის მდივანი, ხოლო 1924 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში სასწავლებლად.[5] 1927 წელს ბარიგიანი მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად, ხოლო 1928 წელს პარტიის წევრად.[6]

1930 წელს მან დაამთავრა 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და 1932 წლამდე მუშაობდა იქვე ასპირანტად (დახურა ასპირანტურის ორი კურსი). 1932 წლის სექტემბრიდან გადავიდა კპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, როგორც კულტურის პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორი, შემდეგ 1936 წლამდე – სკოლისა და მეცნიერების განყოფილების ინსტრუქტორად. 1936 წელს ის აირჩიეს საქართველოს კპ(ბ)-ის ცენტრალურ კომიტეტში – განყოფილების გამგის მოადგილედ, შემდეგ – ცენტრალური კომიტეტის მდივნად, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგში. 1947 წლიდან 1950 წლამდე კ. ბარიგიანი მუშაობდა სომხეთის კპ.(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ხოლო 1950 წლიდან 1952 წლამდე – სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად.[7]

---

1 არსებობს მეორე ვერსიაც, რომ ეს იყო 1937 წლის 13 მარტი. იხ. Архив П-50506.
2 Список лиц, подлежащих Суду Военной коллегии Верховного суда Союза ССР 27 февраля 1937 года, 1-я категория, 13.
3 Архив П-50506.
4 <http://www.parliament.ge/files/sxdomebi/1937dep/barigiani.doc> [01.01.2019].
5 <http://www.parliament.ge/files/sxdomebi/1951dep/barigiani.doc> [01.01.2019].
6 <http://www.parliament.ge/files/sxdomebi/1937dep/barigiani.doc> [01.01.2019].
7 <http://www.parliament.ge/files/sxdomebi/1951dep/barigiani.doc> [01.01.2019].

საქართველოს კპ(ბ)-ის XIII ყრილობაზე კარლო ბარიგიანი აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ-ის პირველი, მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1953 წლიდან 1955 წლამდე კ. ბარიგიანი მუშაობდა საქართველოს კპ(ბ)-ის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად. 1955 წლიდან 1957 წლამდე – საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად. 1957 წლიდან საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრის რანგში ახორციელებდა საქმიანობას. კ. ბარიგიანი დაჯილდოებულია ლენინის შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და სამი მედლით.[1]

ამხანაგი თუმანოვი – ლეონ გიორგის ძე თუმანოვი (1890-1938)

წარმოშობით სომეხი ლეონ თუმანოვი დაიბადა 1890 წელს. საქართველოს ეროვნულ არქივში არსებული დოკუმენტების თანახმად, იგი მცირე დროის განმავლობაში (1930 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში) ასრულებდა საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას.[2] 1931 წელს გაასამართლეს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის. მეორედ დააკავეს 1938 წელს; შინსახკომის „ტროიკამ“[3] ბრალად დასდო, რომ თუმანოვი იყო არალეგალური „ამიერკავკასიის ესერთა ბიუროს“ ხელმძღვანელი, უშუალო კავშირი ჰქონდა საკავშირო კ/რ ცენტრთან, ეწეოდა ინტენსიურ საქმიანობას და იყო საკავშირო კპ(ბ)-სა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერაქტების მომზადების საქმის კურსში. 1938 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე თუმანოვს სასჯელის ზომად განესაზღვრა დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია. სხდომის მეორე დღეს, 11 ოქტომბერს თუმანოვი დახვრიტეს. რეპრესიებამდე ლეონ თუმანოვი „სტანკინპრომის“ (ჩარხმშენებელი ქარხნის) იურისკონსულტი იყო.[4]

---

1 <http://www.parliament.ge/files/sxdomebi/1959dep/barigiani.doc> [01.01.2019].

2 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 3, საქმე 3294, ფურცელი 91.

3 გადაწყვეტილებას ხელს აწერენ „ტროიკის“ წევრები: გოგლიძე, ჩარკვიანი, ტალახაძე.

4 სტალინური სიები საქართველოდან, თუმანოვი ლეონ გიორგის ძე, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=4123> [03.01.2019].

დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტის მუშაკთა თათბირი*

1931 წლის 24 ნოემბერი
სხდომას თავმჯდომარეობდა ამხანაგი ფირცხალავა

თავმჯდომარე:

დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იქნება წამოყენებული:

1. ინფორმაცია ჩვენი კაბინეტის [მიერ განხორციელებული] კვლევის შესახებ;

2. ამხანაგ შენგელაიას[1] მოხსენება შინსახკომის ანკეტისა და კრიმინოლოგიის კაბინეტის ირგვლივ;

3. კაბინეტის საბჭოს შევსება.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხანაგ შენგელაიას.

---

* რუსული დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 336, ანაწერი 1, საქმე 130, ფურცლები 7-26. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

1 **გიორგი შენგელაია** (1897-1950) – დაიბადა 1897 წელს ქ. თბილისში. 1924 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. იგი გახლდათ ცნობილ ფსიქიატრ, პროფ. მ. ასათიანის მოწაფე. 1937 წელს სადისერტაციო ნაშრომის – „შიზოფრენიის დროს მემკვიდრეობის ხასიათის საკითხისათვის“ – დაცვის შედეგად მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი; ასევე, მინიჭებული ჰქონდა დოცენტის სამეცნიერო წოდება. მუშაობდა როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, ხოლო შემდეგ თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე. გიორგი შენგელაია მიიჩნევა სასამართლო ფსიქიატრიის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში. მედიცინის დარგში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებული იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდებით. გიორგი შენგელაიამ ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტში მუშაობის დროს დაამუშავა ნევროზების პრობლემა. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში სამოსამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის საქმის მეცნიერულ დონეზე დაყენებაში. იგი იყო საკავშირო კპ(ბ)-ის წევრი. იხ. მიხეილ გიორგის ძე შენგელაია, <http://www.nplg.gov.ge/medics/ka/00000468/> [27.08.2019]; გ. მ. შენგელაია (ნეკროლოგი), გაზეთი „კომუნისტი“, №60, 19 მარტი, 1950. ასევე, იხ. ***წულაია დ.***, ქართული კრიმინოლოგიის სათავეებთან, მოკლედ გიორგი მიხეილის ძე შენგელაიას შესახებ, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2019, 143-147 [რედ.].

შენგელაია:

1927 წელს, ფსიქიატრებისა და ნევროპათოლოგების პირველი საკავშირო თათბირის შემდეგ, მოსკოვის მაგალითით, ჩვენთან – თბილისში მოეწყო დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი [სახელმწიფო] კაბინეტი.

როცა ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ გადაწყვიტა აღნიშნული კაბინეტის მოწყობა, კარგად იცოდნენ, რომ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს საკუთარი ძალებით არ შეეძლო ამ საქმის განხორციელება, რადგან კაბინეტის მიერ წამოყენებული საკითხები არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ, უმთავრესად, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა. ამიტომაც ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ მოიწვია ყველა ის უწყება, რომელთაც აღნიშნულთან შესაძლოა რაიმე შეხება ჰქონოდა – განათლების სახალხო კომისარიატი, ყოფილი იუსტიციის სახალხო კომისარიატი, შინსახკომი, საოლქო სასამართლოს პროკურატურა, სისხლის სამართლის გამოძიების სამძებრო განყოფილება და ფსიქიატრები. აღნიშნულ დაწესებულებებთან ერთად, ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა და გადავწყვიტეთ, რომ ასეთი კაბინეტი აუცილებლად უნდა მოწყობილიყო.

გადაწყდა, რომ კაბინეტის შენახვა იმ თანხებით მოხდებოდა, რომლებიც დაინტერესებულ კომისარიატებს უნდა გაეცა. ასეთებად აღმოჩნდნენ განათლების სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ჯანდაცვის სახალხო კომისარიატი და შინსახკომი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ორი კომისარიატის ბრძანება მხოლოდ ბრძანებადვე დარჩა, განათლების სახალხო კომისარიატმა პირველ თვეს ჩვენ მხოლოდ 100 მანეთი გამოგვიყო; რაც შეეხება შინსახკომს, სამი თვის განმავლობაში, ამხანაგი ყამარაული გვაძლევდა ფულს, მაგრამ შემდგომ ამაზე საერთოდაც უარი თქვეს და, ჩვენ, ამგვარად, მხოლოდ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის ბიუჯეტის ამარაღა დავრჩით.

პროექტის მიხედვით, ის შტატი, რომელსაც ამ კაბინეტში უნდა ემუშავა, სოციოლოგებისაგან, ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგებისაგან უნდა შემდგარიყო. უდავოა, რომ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს თვითონ არ შეეძლო ასეთი დიდი შტატის შენახვა და, უნებლიეთ, მხოლოდ ორი ფსიქიატრისაგან შემდგარი შტატით დაკმაყოფილება მოგვიხდა. ერთი მე ვიყავი, მეორე – ამხანაგი ი. გობრონიძე. ჩვენი სამუშაო ასე ნაწილდებოდა: ერთი კაბინეტი ჩვენ თვით სისხლის სამართლის სამძებროში მოვაწყვეთ, სადაც ამხანაგი მელაძე ჩვენ მიმართ ძალზე კეთილგანწყობილი იყო და, მართლაც, რეალურად დაკავდა ამ საქმით. უნდა ვთქვა, რომ მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ ამ საქმის [მიმართ] დიდი როლი შეასრულა.

მეორე კაბინეტი ჩვენ გავხსენით ცენტრალური გასწორების სახლში. და, იქ ჩვენი დახმარება გადაწყვიტეს, [რაზეც] ვერ დავიწუწუნებ. მუშაობის მე-

თოდი ჩვენთვის სრულიად ნათელია და, გარკვეულწილად, ჩვენი აქცენტი სოციალურ მომენტებზე უნდა იქნეს მიმართული და, ეს მოსაზრება მე 1927 წელს გამოვთქვი საკუთარ გამოქვეყნებულ ნაშრომში. ჩვენი აქცენტი იყო სამართალდამრღვევის კონიუნქტურული ვითარების გამოკვლევაზე, მისი ფსიქიკური და სოციალური კავშირებისა; თუ რამდენად არიან ისინი მდგრადი, ან ხომ არ არის ეს პიროვნება განსაკუთრებული ---[1] და ფსიქოპატი. უდავოა, რომ თეორიული კაბინეტით ყოველივე ამის განხორციელება რთული იყო. [რადგან] სრულებითაც არ ვიყავი სოციოლოგი, მიუხედავად კვლევის მეთოდების ცოდნისა, და კვლევისათვის არც შესაბამისი შტატის არსებობისას, სამუშაოს, უდავოდ, უნდა მოეკოჭლა. ობიექტურ მომენტებს ვიღებდით იმ საქმეებიდან, რომლებიც სისხლის სამართლის სამძებროს ჰქონდა, ხოლო გამოსასწორებელ სახლში – პირადი საქმეებიდან (სხვათა შორის, ისინი ყოველთვის როდი იყო მართებული). ჩვენ არ გვქონდა მასალა იმასთან მიმართებით, თუ როგორ იქცეოდა სამართალდამრღვევი დაკავების ადგილების მიღმა, მისი ცხოვრებისეული მდგომარეობა და სამსახური და ა.შ.

1929 წლამდე ჩვენ მიერ გამოკვლეული იყო 500 სამართალდამრღვევი და, როცა ეს მასალა დავასრულეთ, ჩვენ მოცემული მასალის დამუშავებაზე გადავედით. მასალის დამუშავებისას, ობიექტურობისათვის, მხოლოდ იმ ნიშნებით ვსარგებლობდით, რომლებშიც არ შეიძლებოდა დაეჭვება და, მიუხედავად მათი სიმცირისა, ჩვენ შევძელით 15-16 ნიშნის გამოყოფა, რომლებიც დროის მოცემული მომენტისათვისაა, და ეს ობიექტური მასალა, შესაძლებელია, საქართველოს მორალური სტატისტიკის პირველ გამოცდილებადაც გამოდგეს. 1930 წელს სისხლის სამართლის სამძებროსთან არსებული კაბინეტი დაიკეტა და ამიტომ ჩვენ საკუთარი საქმიანობა გადავიტანეთ ცენტრალური გასწორების სახლში. ცენტრალურ გასწორების სახლშიც იყო, ასევე, რაღაც სახის ცვლილებები. [კერძოდ], საავადმყოფოს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ჩვენ სამუშაოდ საავადმყოფოში გადავედით, სადაც ოთახი გადმოგვცეს. თუმცა კი მუშაობის მეთოდში რაიმე სახის არსებითი ცვლილებები მაინც არ მომხდარა. ამრიგად, თუ არ ვცდები, ექიმ გობრონიძესა და მე, 1929 წლიდან 1930 წლამდე, დაახლოებით 2000-ამდე ანკეტა დაგვიგროვდა. შეძლებისდაგვარად, ჩვენ მხოლოდ ობიექტური მასალის შეგროვებას ვცდილობდით. 1931 წლიდან უკანასკნელ დრომდე, ზოგიერთი სამსახურებრივი მიზეზიდან [გამომდინარე] (სხვა სამსახურში გადამიყვანეს), მე არ შემეძლო, უშუალოდ მემუშავა კაბინეტში და იქ ერთდროულად მუშაობდნენ ექიმი გობრონიძე და იმერლიშვილი.

როგორ [უნდა] შეფასდეს მოცემული კაბინეტის მუშაობა?

[1] სტენოგრამაში არ იკითხება სიტყვა [რედ.].

ჩემი მოხსენების შესავალ ნაწილში [მივუთითე], რომ არ ვთვლი საკმარისად ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კაბინეტის მუშაობას. იქ არ არის საკმარისი სრულფასოვანი სოციოლოგიური კვლევა, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა კაბინეტის ასეთი საშტატო [ნუსხის] არსებობის პირობებში. ეს არ არის ჩვენი ბრალი, [მაგრამ] არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სამუშაოში სხვა სპეციალისტების ჩართვა არ გვიბრძანებია. მე ყოველმხრივ ვცდილობდი, ჩვენთან სამუშაოდ ყველა სოციოლოგის, იურისტის გადმობირებას. როცა იუსტიციის სახალხო კომისარი ამხანაგი მათიკაშვილი იყო, რამდენიმე აუდიენციაზე მე მას ვუმტკიცებდი, რომ, საბოლოო ჯამში, ეს სამუშაო დეფექტური გახდებოდა და რაიმე ზომის მიღებას ვთხოვდი. მე მოხსენება გავაკეთე, იმდროინდელ იურიდიულ ფაკულტეტზე[1] მოხსენებითი ბარათიც წარვადგინე. ეს [მე] 1929 წელს, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, გავაკეთე. ვამტკიცებდი, რომ კაბინეტის მუშაობა აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს იურიდიული ფაკულტეტის მუშაობას, რადგან, სხვაგვარად, ეს სამუშაო არ იქნება სრულყოფილი. მე ვამტკიცებდი იმის უმართებულობას, რომ ამხანაგები ისე ამთავრებენ იურიდიულ ფაკულტეტს, რომ ვერცერთ სამართალდამრღვევს ხედავენ. მიუხედავად ჩემი პირადი მოთხოვნებისა, 1929 წელს ეს კვლავ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. არავინ გამიწია ანგარიში და მხოლოდ 1930 წლიდან, როცა, ამხანაგი ფირცხალავას მიწვევით, მე მუშაობა დავიწყე საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი დანაშაულისა და დამნაშავის შემსწავლელ ჩვენთვის საინტერესო საკითხს, [ის] ფართო ყურადღების საგნად იქცა [და] მრავალი ორგანიზაციაც ჩაერთო ამ საქმეში. მე მას, ამხანაგ ფირცხალავას, არ ვაქებ, თუმცა მისი ენერგია რომ არა, ჩვენ ვერ შევძლებდით ამ სამუშაოს გაგრძელებას.

ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კაბინეტი უპირობოდ უნდა შეუერთდეს ჩვენს კაბინეტს და კაბინეტის წევრები სულაც არ აპროტესტებენ ამას და ამბობენ, რომ განკერძოებული მუშაობა მათ არ ძალუძთ. ისინი მოითხოვენ ხელმძღვანელობას. ამრიგად, კაბინეტის შემოერთების თაობაზე უკანასკნელი საკითხი დადებითი აზრით უნდა გადაწყდეს და ორი მუშაკი, ვინც იქ მუშაობს, შესაბამის ორგანოს უნდა შეუერთდეს. მაშასადამე, ბირთვი უნდა გაძლიერდეს. ის გამოცდილება, რომელიც ექიმმა გობრონიძემ ოთხი წლის

[1] დროის იმ მონაკვეთში, რომელიც მხედველობაში აქვს გ. შენგელაიას, იურიდიული ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით არ არსებობდა, ის ფუნქციონირებდა როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება (1922-1930 წლებში) [რედ.].

განმავლობაში დააგროვა, ძალზე დიდია და საკმარისად სერიოზულია იმისათვის, რომ ის გამოვიყენოთ.

აი, ყოველივე ის, რისი მოხსენებაც შემეძლო ჩვენ მიერ განვლილი გზის შესახებ.

ადგილიდან:

თქვენ მიერ რაიმე ნაშრომი ხომ არ ყოფილა გამოქვეყნებული?

შენგელაია:

ნაშრომის გამოცემა მიზანმიმართულად არ მომხდარა. მე სტატისტიკურად დავამუშავე მასალა, ხოლო ბეჭდვითი სახით არ გამომიცია, მანამ, ვიდრე მას არ ნახავენ, ვინაიდან ის კომპეტენტური პირებისაგან გადახედვას მოითხოვს.

ჩვენ ვსარგებლობდით „პირადი საქმის“ მასალით... თუ ასეთები იყო და, თუ ჩვენი თვალთახედვით, განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევები იყო, ჩვენ სასამართლოშიც დავდიოდით და არქივიდან ვიღებდით მასალებს. ეს მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა. სისხლის სამართლის სამძებრო, ასევე, გვაწვდიდა იმ საგამოძიებო მასალას, რომელიც მას ჰქონდა, ხოლო, შემდეგ, თვით დაკავებულის გამონათქვამები მიიღებოდა მხედველობაში. ვიღებდით საპასპორტო მონაცემებს, ვითვალისწინებდით დანაშაულის ჩადენის დროს. გათვალისწინებული გახლდათ საბინაო საკითხი – თუ იყო დაოჯახებული დაკავებული, განქორწინებული ხომ არ იყო ის. ასეთ მონაცემებს ვიღებდით ჩვენ.

ზედგინიძე:

ამრიგად, თქვენი მასალების [საფუძველზე] შესაძლებელია სრული სურათის მიღება?

შენგელაია:

შეიძლება შევადგინოთ დინამიკის მრუდეები და ისინი შედგენილია [კიდეც]. მე მეორე სამუშაოც გავწიე: იმისათვის, რათა დავრწმუნებულიყავი იმაში, თუ რამდენად ობიექტური მასალა მქონდა, მე თავს უფლება მივეცი, შემედარებინა მრუდე მრუდეს იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც აქვს სისხლის სამართლის სამძებროს და მრუდეები, დაახლოებით, ემთხვევა [ერთმანეთს]. მე [საგანგებოდ] არ შემირჩევია სამართალდამრღვევი, დიდი რიცხვების მეთოდს მივყვებოდი. შევადგინე 28 ტაბულა, რომ მცოდნოდა, დღეს მომიხდებოდა მოხსენების [წაკითხვა], მათ თან წამოვიღებდი.

თავმჯდომარე:

მე ერთი საკითხი მაინტერესებს – არის თუ არა ანკეტაში ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საყოფაცხოვრებო პირობები – საბინაო [პირობები], ურთიერთობა მეზობლებთან, საოჯახო მდგომარეობა და სასქესო ორგანოების [ჯანმრთელობა]. რა მნიშვნელობა აქვს ამას დამნაშავეობასთან მიმართებით?

შენგელაია:

ადამიანის შესწავლა ხდება მისი რეაქციების მიხედვით. ადამიანი ცხოვრობს ოჯახში ან ოჯახის გარეთ, მეზობლებთან, ადამიანებთან და განისაზღვრება იმ ყოფაქცევის მიხედვით, რომელსაც ის იჩენს. მისი ცხოვრება სახლში, ან სახლის გარეთ, სამსახურში – ყოველივე ეს მეტ-ნაკლებად განაპირობებს მის პიროვნებას. ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი – საბინაო პირობები, მეზობლებთან დამოკიდებულება ან სამსახურებრივი ურთიერთობები, სამსახურებრივი ცხოვრება – ყოველი აღნიშნული, საბოლოო ჯამში, ობიექტური პირობებია, [რომლებიც] დამაფუძნებელია მოცემული პიროვნების ქცევისა.

ადგილიდან:

თქვენ გაქვთ პუნქტი – მოცემული პირის ბინა. საინტერესოა, თუ რამდენად აისახება ესა თუ ის მდგომარეობა პიროვნებაზე?

შენგელაია:

ამის შესახებ ვიტყვი მოხსენების მეორე ნაწილში. ანკეტაში გვაქვს პუნქტები, რომლებიც სრულებით უნდა ამოვიღოთ. ნება მომეცით, განვიხილო ანკეტა. აღნიშნული ანკეტის 1-ლი გვერდი – საპასპორტო საკითხები, ანუ ფორმალური კუთხით აუცილებელი საკითხები. ასეთებია: ვინ განიხილა საქმე, კოდექსის [რომელი] მუხლის მიხედვით, სოციალური ცნობები, თვით გამოძიება, სამართალდამრღვევის ხასიათი, სამართალდამრღვევის როლი აღნიშნულ საქმეში, სამართალდამრღვევის მოტივები და [ის, თუ] როგორ მიმდინარეობდა შემდგომში ეს საქმე. შემდეგ, თანამონაწილეების ხასიათი, დაზარალებულის სოციალური მდგომარეობა, დაკავებულის დამოკიდებულება ბრალდების მიმართ, მსჯავრდებულება, ნასამართლეობა – აი, ის საკითხები, რომლებიც ახასიათებს თვით საქმეს და ეს ფურცელი უნდა იყოს დატოვებული თითოეულ საქმეში. ეს აუცილებელია. შემდეგ მოდის სოციალური გამოკვლევა აღნიშნულ ანკეტაში გვაქვს ორგვარი მიდგომა: ერთი – ის არის, რასაც თვით დაკავებული საკუთარი თავის შესახებ ამბობს, შემდეგ ზოგიერთი საკითხის მიზანმიმართული დუბლირება ხდება;

ინტერესთა ასეთი მიდგომა, თვით დაკავებულის სამართლებრივი დებულებების მხრიდან, როგორია რეალური ვითარების მისეული ინტერპრეტაცია – ეს რაღაც წინაპირობის მსგავსია.

მეორე განყოფილება – საყოფაცხოვრებო პირობები (*ქართულად საუბრობს).* შემდეგ – ცხოვრების პირობები, კვება დაპატიმრებამდე, ყოველივე აღნიშნული ასახავს დაკავებულის ცხოვრებისეულ პირობებს. შემდეგ – დაპატიმრებამდე არსებული საოჯახო მდგომარეობა, ცხოვრების ჰიგიენურ-სანიტარიული პირობები, სოციალური ურთიერთდამოკიდებულება, საზოგადოებრივი, მეგობრული [ურთიერთობები] და სხვ. ამით სრულდება მისი სუბიექტური ინტერპრეტაცია.

შემდეგ მოდის ობიექტური გამოკვლევა – დაკავებულის საოჯახო ცხოვრების პირობები, კვება, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. ეს უკვე იმ [გარემოს] ობიექტური ასახვაა, რომელიც დაკავებულის ირგვლივ რეალურად არსებობს.

ახლა მოდის, საკუთრივ, სამედიცინო ნაწილი, ე.წ. ანამნეზი, პიროვნების გამოკვლევა. აქ მოდის: მემკვიდრეობითობის საკითხები, ოჯახის შემადგენლობა, გადატანილი დაავადებანი, დაკავებულის ბავშვობის [წლები], წმინდა ფიზიკური გამოკვლევა, ანთროპოლოგიური გამოკვლევა და სხვ. მე სოციოლოგიურ ნაწილზე შევჩერდები. ანკეტის აღნიშნულ ნაწილში არსებობს ერთი ნაკლოვანება. მიუხედავად ანკეტის გაბერილობისა, მე ამ პუნქტებს დავტოვებდი, თუმცა დავამატებდი, რომ აქ აკლია სოციალური ურთიერთობების ობიექტური პირობები; ყველაფერი მოწმდება, ხოლო სოციალური ურთიერთობები გვერდზე რჩება. აქ არის რამდენიმე ზედმეტი შეკითხვა, რომლებიც შეიძლება ამოვიღოთ ანკეტის რედაქტირების დროს.

რაც შეეხება სამედიცინო გამოკვლევას, უნდა ითქვას, რომ ამ ანკეტების შედგენა ხდებოდა დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი მოსკოვის ინსტიტუტის მაგალითზე. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კვლევა ძალზე ფართოდ და არაგონივრულად არის წარმოდგენილი. ეს ანკეტა მოსკოვურის წაბაძვითაა შედგენილი. ძალზე ბევრი რამ არის მისგან გადმოღებული, და, თუ გნებავთ, შესაძლოა, მე დამნაშავეც ვარ, რადგან მე ის სათანადოდ არ გადამითვალიერებია. აქ მრავალი საკითხია, რომლებიც არ არის აუცილებელი მოცემული პიროვნების სომატური კონსტიტუციის განსაზღვრისათვის. რაც არ უნდა ითქვას, ამისათვის საჭიროა ზოგიერთი შემოწმების წარმოება. ასე უმართებულოდ აზომვის შემოწმების გამორიცხვა არასწორი იქნებოდა, თუმცა იმ დოზით, როგორითაც ის ანკეტაშია მოწოდებული, მე მას უარვყოფ. ეს ანკეტა იმ მიმართებით უნდა იქნეს შემუშავებული, რომ აქ უნდა იყოს ისეთი შემოწმება, რომელიც ერთი პიროვნების კონსტიტუციის განსაზღვრისთვისაა აუცილებელი.

თავმჯდომარე:

რა მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის კვლევას დამნაშავეობის შესასწავლად?

შენგელაია:

პიროვნების ფსიქიკის შესწავლისას თქვენ სწავლობთ თუ არა დამნაშავეს, თქვენ რეალურად ვის [ან რას] მოარგებთ – დამნაშავეს თუ ფაქტორს?

გეგენავა:

დამნაშავესაც და ფაქტორსაც.

შენგელაია:

პედაგოგიური ფაქტორი თქვენთან ინდივიდუალიზებული უნდა იყოს?

გეგენავა:

არ უნდა იყოს.

შენგელაია:

ნუთუ, თქვენ ყოველ ადამიანს ერთგვაროვანი საზომით უდგებით?

თავმჯდომარე:

მაგრამ, თუ ჩვენთან ზის 5000 ადამიანი, ხომ არ შეიძლება იყოს 5000 მეთოდი.

შენგელაია:

ეს არასწორია! როცა თქვენ სწავლობთ ერთ ადამიანს, თქვენ მხოლოდ მას სწავლობთ, როცა ჩვენ ვიწყებთ მოცემული პიროვნების შესწავლას და გვსურს მისი ფსიქიკის შესწავლა, შეუძლებელია ფსიქიკა მოვწყვიტოთ სხეულს. ახლა [შევჩერდეთ იმაზე, რომ] ფსიქიკურ თავისებურებებსა და პიროვნების სომატურ გამოვლინებას შორის არსებობს კორელაცია, ეს არის ხელშეუვალი ფაქტი, არავის მიერ უარყოფილი. თუ ჩვენ შევიმეცნებთ ფსიქიკურ თავისებურებებს, ჩვენ ფიზიკურსაც ვაღიარებთ. მაშასადამე, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ პიროვნება სრულად. ჩვენ ორმხრივად ვუდგებით – ფსიქოლოგიურად და ფიზიოლოგიურად. საჭიროა, მოცემული პიროვნების განსაზღვრისა და კონსტიტუციის რამდენადმე შემოწმება და მაშინ პიროვნების სრული შესწავლა აღარ იქნება აუცილებელი.

თავმჯდომარე:

თქვენ საუბრობდით პიროვნების შესწავლის შესახებ – ვისი შექმნა გსურთ ასეთი პიროვნებისაგან? მაგალითად, ჩვენ ვსწავლობთ 100 მუშას, რომელთა შორის არიან პასუხისმგებელი ხელმძღვანელებიც, კომკავშირლე-

ბიც, გვყავს დამნაშავე – კულაკებიც. თითოეულის მიმართ ცალ-ცალკე რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ? ერთმა მოკლა მუშა, მეორემ მოკლა კოლმეურნე, რომელიც მას სძაგდა და რაღაცაში გამოააშკარავა და ა.შ.

შენგელაია:

არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ორი რამ: პიროვნების შესწავლა ერთი საკითხია, რეპრესიის მეთოდი კი – სხვა [რამ]. მე იმიტომ ვიკვლევ პიროვნებას, რომ დაახლოებით 100 სამართალდამრღვევი მყავს, 100 მკვლელი – სხვადასხვა სოციალური ფენიდან ან ერთგვაროვანი სოციალური მდგომარეობით. თუ მე ვიკვლევ 100 ადამიანს, მაშინ ვამბობ, რომ ერთი პიროვნება მიეკუთვნება ციკლოიდურ კონსტიტუციურ ჯგუფს, მეორე კი – ეპილეპტოიდურს და, კონსტიტუციური დიაგნოსტიკის მეთოდის გამოყენებისას ჩვენ მიახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ხელახალი აღზრდის თუ რა ხერხია უპრიანი მოცემულ შემთხვევაში.

თავმჯდომარე:

თქვენ რა მეთოდის [გამოყენებით] შეისწავლით დამნაშავეს?

შენგელაია:

ამის შესახებ მოკლედ ვისაუბრებ.

მე ისეთ თვალსაზრისს ვიცავ და ვამბობ, რომ არანაირად მოხდება ჩვენი კვლევის კომპრომეტირება, თუ მასში მოცემული იქნება ტაბულა პიროვნების შემოწმებით.

ზედგინიძე:

მე ვფიქრობ, რომ, ჩვენ, ყველა, აქ ვსაუბრობთ და ვფიქრობთ ერთსა და იმავეზე. ის, რომ პიროვნება უნდა ვიკვლიოთ – ეს აქსიომაა, რომელსაც არავინ უარყოფს. კანონი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ექიმის კვლევით, ის მსჯავრდებულის პრიზმიდან გავატაროთ კარანტინში. პიროვნების კვლევა იმისათვის ხდება, რომ გაირკვეს, თუ რა სამუშაოსათვის არის ვარგისი ეს პატიმარი. კვლევას ექვემდებარება მისი კონსტიტუცია; ყოველივე ეს იმისათვის ხდება, რომ ვიცოდეთ, თუ ვისთან შეიძლება მისი მოთავსება [საკანში] – რეციდივისტებთან, თუ ნაკლებად დეფექტურებთან. ერთი სიტყვით, მსჯავრდებულის ინდივიდუალიზაცია სრულიად აშკარაა. აქ არ შეიძლება ვიდავოთ. მე მხოლოდ რამდენიმე არასაკმარისად ნათელი დებულება მაინტერესებს. თქვენ ცვლილებებზე საუბრობთ, ეს მე ლომბროზოს[1] მოძღვრებას მა-

[1] **ჩეზარე ლომბროზო** (1835-1909) – იტალიელი ექიმი-ფსიქიატრი და პედაგოგი, კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში ანთროპოლოგიური მიმართულების ფუძემდებელი, რომლის ძირითადი აზრი დამნაშავის ხელახალი აღზრდის იდეაშია.

გონებს, რომელიც დიდი ხანია, უარყოფილია! რა შემოწმება გაქვთ მხედველობაში? როცა თქვენ ამაზე საუბრობდით, მე მხედველობაში მქონდა დეგენერაციული მომენტი. ადამიანის კონსტიტუციის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა მის სიმაღლეს აქვს, როგორც დეგენერაციულ ნიშანს. მე მაინტერესებს, რა განზრახვაზეა საუბარი.

შენგელაია:

კონსტიტუციის განსაზღვრისათვის, ფსიქიკური თავისებურებებით კორელაციაში, ინდექსების განსაზღვრისათვის შემოწმებაა სავალდებულო. ტემპერამეტი ბიოლოგიურია. პიროვნებაში ხასიათი სოციოლოგიურია. ის მოქმედებას უკავშირდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მეშვეობით. როცა თქვენ გამოსწორებას [ცდილობთ], თქვენ გამოასწორებთ ხასიათს და არა ტემპერამენტს.

ნუცუბიძე:

(საუბრობს *ქართულად)*

შენგელაია:

ყოველთვის როდი ხდება კორელირებული გამოკვლევა. ითვლება, რომ საქმის მართებული დაყენებით სოციოლოგები ერთ ნაწილს იკვლევენ, ფსიქიატრები კი – მეორეს. ფსიქიატრებსაც აქვთ დაკვირვების გარკვეული უნარები. აქ უდიდესი კორელაცია ხდება, ერთობლივი სამუშაო მიმდინარეობს, აქ არ შეიძლება არსებობდნენ მტრული ბანაკები.

ნება მომეცით, ზოგადად, დავაყენო საკითხი ანკეტის შესახებ. მე ვთვლი, რომ ასეთი უსაშველოდ გაბერილი ანკეტით სარგებლობა შესაძლებელია სისტემური მუშაობის დროს, მისით სარგებლობა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ჩვენ მშვიდად ვიმუშავებთ და გამოვიკვლევთ ორ-სამ სამართალდამრღვევს, თუ ჩვენ არ გადავალთ ბრიგადულ სამუშაოზე და ავიღებთ სხვადასხვა საკითხს, ჩვენ უნდა შევადგინოთ ანკეტა მოცემული საკითხის შესაბამისად, მასთან [ე.ი. საკითხთან – მთარგმნელი] მისადაგებით. ანკეტაში უნდა დაიბეჭდოს ყველაფერი, რაც მოცემულ საკითხს ეხება, ყოველივე, რაც ახასიათებს სამართალდამრღვევის მონაცემებს.

თავმჯდომარე:

თქვენ როგორ იყენებდით სტატისტიკის მეთოდებს?

ლომბროზოს უმთავრესი დამსახურება კრიმინოლოგიაში ისაა, რომ მან შესწავლის აქცენტი დანაშაულიდან, როგორც ქმედებიდან ადამიანისაკენ, – დამნაშავისაკენ გადაიტანა. ლობროზომ ოთხი ტიპის დამნაშავე გამოყო: მკვლელი, ქურდი, მოძალადე და თაღლითი. თანაც, მოცემული ტიპოლოგია დღემდეა შენარჩუნებული [მთარგმნელი].

შენგელაია:

არ ვაპირებ იმის კეთებას, რაც ჩემთვის მიუღებელია, მე არ ვარ ამ საკითხის სპეციალისტი, მასალის დამუშავებისას მე მხოლოდ ციფრებით ვსარგებლობდი. ვიმეორებ, რომ ამ მასალას მხოლოდ მაშინ გამოვაქვეყნებ, როცა ის სანქცირებული იქნება შესაბამისი დაწესებულებების მხრიდან.

ნუცუბიძე:

რა მნიშვნელობა აქვს... ([საუბრობს] *ქართულად)*

შენგელაია:

მე ამის შესახებ ძალზე დაწვრილებით ვისაუბრე. როცა მოსკოვი ადგენდა ანკეტას, მაშინ ასეთი მიდგომა იყო, ხომ არსებობს განსხვავება იმისა, თუ როგორი ინტერპრეტირება და ვითარებაა მოცემული პატიმრის [მიმართ] და როგორია მისი მდგომარეობა. აღნიშნულ ანკეტაში ორი საკითხია: ერთი საკითხი – ინტერპრეტირება და მისი სოციალური მხარე. თუმცა მე ვამბობ, რომ ამ ინტერპრეტაციას ერთი დეფექტი აქვს: აქ ოჯახზეა საუბარი, ობიექტური გარემოებების შესახებ და, თუ თქვენ მეთოდი არასწორად მიგაჩნიათ, ჩვენ შეგვიძლია, არც კი მივიღოთ ის.

ნუცუბიძე:

(საუბრობს *ქართულად)*

შენგელაია:

(საუბრობს *ქართულად)*. ამ ანკეტაში ძალზე ბევრი შეცდომაა, ის ამჟამად ჩვენთვის მიუღებელია და შესაძლებელია მისი შეცვლა.

ნუცუბიძე:

(საუბრობს *ქართულად)*

შენგელაია:

არის შემეცნების კოლექტიური მეთოდი და არის ინდივიდუალური. მაგალითად, ბავშვის განსაკუთრებული ნიჭიერების განსაზღვრისას არის კოლექტიური და ინდივიდუალური მეთოდი. კოლექტიური მეთოდი განსაზღვრავს მოცემული კოლექტივის დონეს მთლიანობაში, მაგრამ, თუ თქვენ შეისწავლით ცალკეულ პიროვნებას, – მიდგომის მეთოდოლოგია არ იცვლება.

ნუცუბიძე:

(საუბრობს *ქართულად)*

თავმჯდომარე:

გვაქვს კითხვები?

ადგილიდან:

მე მაინტერესებს და თქვენ როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ადამიანს, გამოავლინოს საკუთარი შინაგანი მდგომარეობა, არსებობს თუ არა აღნიშნული გამოვლინების, გამჟღავნების მეთოდი?

შენგელაია:

ანუ, თქვენ გსურთ თქვათ, – არსებობს კი მდგომარეობა, რომელსაც არ გამოხატავს დამნაშავე და არ გამოხატავს საკუთარი ქცევით? არსებობს თუ არა მეთოდი გახსნისათვის? რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს. თუ თქვენ გულში [უჩუმრად] მლანძღავთ – ეს სრულიად შესაძლებელია. თქვენ შეგიძლიათ გულში [უჩუმრად] მლანძღოთ, თუმცა მე არ შემეძლება ვიცოდე.

თავმჯდომარე:

ვის სურს აზრის გამოთქმა?

ჩემი წინადადება ასეთია: ცნობად იქნეს მიღებული ამხანაგი შენგელაიას ინფორმაცია და მიზანშეწონილად ჩაითვალოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კრიმინოლოგიური კაბინეტისა და ჩვენი სახელმწიფო კაბინეტის გაერთიანება.

ადგილიდან:

ეს საკითხი სერიოზულ განსჯას საჭიროებს.

თავმჯდომარე:

ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კრიმინოლოგიური კაბინეტისათვის უნდა ავირჩიოთ ბრიგადა, მოვუსმინოთ ბრიგადას და შემდეგ განვახორციელოთ შერწყმა. წინადადება მიიღება. აირჩევა ბრიგადა – ხაინდრავა, გეგენავა, იაშვილი.

ფირცხალავა:

მე და ამხანაგმა შენგელაიამ არაერთხელ მივმართეთ წინადადებით ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტს, რათა მან აიღოს ხელმძღვანელობა და ჩვენ სექციური [დაქვემდებარების] უფლებით მიგვიღოს. იმავდროულად, როცა ჩვენ აღნიშნულ საკითხს ვაყენებდით საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის წინაშე, სამართლისა და აღმშენებლობის სექცია [ჯერ] არ არსებობდა. ამიტომაც ჩვენ გადავაბიჯეთ ყველა ქართულ ორგანიზაციას და მივედით ამიერკავკასიულამდე. საკუთარი მიმართვა ჩვენ იმით დავასაბუთეთ, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელობას ჩვენ არსაიდან ვიღებდით და არც მოველოდით მას, რადგან ჩვენ უშედეგოდ მივმართავდით რსფსრ-ში არსებულ სხვადასხვა კაბი-

ნეტს. ისინი თავად განიცდიდნენ თავდასხმას მათი გადახრების[1] გამო (ლომბროზიანიზმი, ე.წ. უკლონების მარჯვნივ და მარცხნივ), ისინი, ასევე, ვერ ბედავდნენ ჩვენთვის ხელმძღვანელობის გაწევას. ჩვენი მიმართვის შემდეგ ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებულმა საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტმა ჩვენი სამუშაოს გამოსაკვლევად გამოყო ბრიგადა, იმიტომ, რომ, ვიდრე აიღებდნენ ხელმძღვანელობას, უნდოდათ, სცოდნოდათ, თუ როგორ მიმდინარეობდა ჩვენთან სამუშაოები და, თუ როგორ ვფიქრობდით მომავალში მათ წარმოებას.

როგორც იცით, ჩვენ წარსულ სამუშაოს ბრიგადული და სექციური სისტემით ვაწარმოებდით. ჩვენ გვქონდა პენიტენციური, სოციალურ-კონიუნქტურული და ბიოფსიქიკური სექციები. სოციალურ-კონიუნქტურულ სექციას განაგებდა ამხანაგი ნუცუბიძე, ბიოფსიქოლოგიურს – ამხანაგი შენგელაია და პენიტენციურს – ამხანაგი იაშვილი.

მე, როგორც კაბინეტის წარმომადგენელი (ამხანაგები შენგელაია და იაშვილი არ ესწრებოდნენ), ვესწრებოდი თათბირს, რომელიც სპეციალურად ეძღვნებოდა ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის [შემადგენლობაში] ჩვენი კაბინეტის [შესვლას]. ჩვენი კაბინეტი უმკაცრეს კრიტიკას დაექვემდებარა. ჩვენ მას მივმართეთ კონსულტაციისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის მისაღებად და, აი, აქედან გამომდინარე, ყველა იმ მასალის გარჩევისას, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობდით, ჩვენი ანკეტის გარჩევისას და ა.შ., გვირჩიეს მისი არქივისათვის ჩაბარება. ასევე, გვირჩიეს ყველა სექციის გაუქმება და ბრიგადულ სამუშაოზე გადასვლა იმის გამო, რომ ახლა დამნაშავეობის შესწავლის სწორედ ასეთი სისტემით მუშაობენ. გადახედეს ჩვენს სამუშაო გეგმას, რომელიც მე ამხანაგ შენგელაიასთან ერთად შევადგინე, იმ გეგმის მსგავსად, რომელიც ადრე გვქონდა. მათ მოიწონეს ჩვენი სამუშაო გეგმა; ამის გამო ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტსა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს შორის წარმოიშვა დავა და მიიღეს გადაწყვეტილება, რათა ჩვენი კაბინეტი შევიდეს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სისტემაში. ერთ-ერთ სხდომაზე ჩვენ მოვახსენეთ საკუთარი სამუშაო გეგმა და ახლა უკვე გვაქვს 1932 წლის მე-4 კვარტლისათვის და ამა წლის 1-ლი კვარტლისათვის დამტკიცებული გეგმა, თუმცა ეს წესი, ასევე, მთავრდება – არ ვაწარმოებდით სამუშაოს ამ გეგმით, ვინაიდან ჩვენი გეგმა ერთი ინსტიტუტიდან მეორე ინსტიტუტში დასეირნობდა. გადავიდეთ ანკეტის განხილვაზე. ჩვენთან არსებული ანკეტა კვლევისათვის არადამაკმაყოფილებელია, გამოუსადეგარიც კი და გადატვირთულია არასაჭირო სა-

[1] ე.წ. „უკლონების“ [მთარგმნელი].

კითხებით – [ზოგჯერ] სამასხარაოდაც კი. მაგალითად: რა დროიდან და რომელ სახლში ცხოვრობდა, ბავშვების ასაკი, იმყოფება თუ არა მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ან ხომ არ ცხოვრობს არარეგისტრირებული ქორწინებით. აღნიშნულ საკითხებს საერთო არაფერი აქვს დამნაშავეობასთან. შემდეგ მოდის „ცოცხალი [ჰყავს თუ არა] დედა ან ჰყავს თუ არა მამა, დედინაცვალი და ა.შ., თუ გარდაიცვალნენ, მაშინ – როდის და რატომ. შემდეგ – შემოსავლების წყაროები დანაშაულის ჩადენის დროს, აქვს თუ რა სამეურნეო სამუშაოსადმი მიდრეკილება – მებოსტნეობისადმი, მებაღეობისადმი და ა.შ.; შემდეგ – დეგენერაციის ელემენტები და ა.შ. არის 41-ე საკითხი – იყვნენ თუ არა მშობლები გასამართლებული, მშობლებიდან რომელიმე და რა მიზეზით. შემდეგ – ფანტაზიორი ხომ არ არის ის, სექსუალური საკითხებისადმი მიდრეკილება, ჭექა-ქუხილის, ხანძრის ან ბნელი ღამის დროს, ან, როცა ადამიანები თეატრში იკრიბებიან და ა.შ. მშიშარა ხომ არ არის. შემდეგ – მამის ასაკი, სიმაღლე, თავის, კუნთების დიამეტრი და ა.შ. არსებობს პირველი თავი, რომელიც ივსება საქმიდან ამონაწერით, ანუ სასამართლო გამოძიების მასალებიდან.

ჩვენი კაბინეტი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სასამართლო ორგანოებისათვის დახმარების გაწევას ისახავს მიზნად და, თუ ჩვენ მხოლოდ სასამართლო მასალებიდან ამოვიღებთ [ინფორმაციას] და არ გადავცემთ სასამართლოებს დამნაშავეობის შემსწავლელ სამეცნიერო საფუძვლებს, მაშინ მე ვთვლი, რომ სასამართლოებისათვის არავითარ დახმარებას არ გავწევთ.

შემდეგ მოდის ყოფა-ცხოვრების საკითხები, საბინაო პირობები დაპატიმრებამდე და დაპატიმრების შემდეგ და ა.შ. აგრეთვე, წმინდა სექსუალური ხასიათის საკითხები. საკითხების ნაწილი, მაგალითად: რამდენი წლისაა ბავშვი, ნასამართლევი ხომ არ არის მამა, დედა, ცხოვრობს თუ არა ცოლთან და ა.შ., ჩვენ დროულად ამოვიღეთ ანკეტიდან. მე ვერ ვიტყვი, რომ ეს განგებ ხდებოდა, თუმცა აქ ჟონავდა ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელი, ძველი, დრომოჭმული ბურჟუაზიული თეორია. მასალების საფუძველზე ჩვენ ფართო დისკუსიის გამართვას ვფიქრობთ და ყველა ეს საკითხი განსჯას დაექვემდებარება. უკეთესი იქნებოდა, აღნიშნული ანკეტა მეორე მხარეს გადაგვებრუნებინა და ის ქაღალდივით გამოგვეყენებინა, რათა საერთოდ არ დაგვეკარგა, ხოლო დანარჩენისთვის ის უსარგებლოა.

ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის კრიმინოლოგიური კაბინეტი უნდა შემოუერთდეს ჩვენს კაბინეტს და ამ სამუშაოს გამოსაკვლევად მოგვიწევს ბრიგადის გამოყოფა. მხოლოდ გამოკვლევის შემდეგ [შეიძლება] ვიქონიოთ მოსაზრება, თუ როგორი აზრით უნდა ვუხელმძღვანელოთ და გამოვიყენოთ ჩვენ მიერ გადამუშავებული მასალები. კრიმინოლოგიურ კაბინეტში თავმოყ-

რილი დამნაშავეობის სფეროს თაობაზე [შექმნილი] წიგნებისა და მასალების კვლევა, შარაშიძის წიგნიდან – „დამნაშავეთა ტიპები“[1] – მოყოლებული და ჩვენი კრებულით – „შრომა-გასწორების დაწესებულებათა 10 წელი“[2] – დამთავრებული, შეცდომებითაა სავსე. რა თქმა უნდა, შარაშიძის წიგნზე საუბარიც არ გვიწევს, ეს, უბრალოდ, ბულვარული ლიტერატურაა. სხვა ნაშრომებიც არის, სტატიები დამნაშავეობის შესახებ, მათ რიცხვში – კრებულებიც, რომლის რედაქტირება განახორციელა ჩვენმა პატივცემულმა შალვა გვათუამ. იქ გაიპარა, რბილად რომ ვთქვათ, ანთროპოლოგიური ხასიათის რიგი გადახრებისა. იმისათვის, რომ თავიდან მოვიშოროთ ყველა ეს თეორია და დავაყენოთ საქმე მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინაშე, ჩვენ უნდა გავშიფროთ ეს თეორეტიკოსები, დაუნდობლად ვაკრიტიკოთ [ისინი] და, შემდგომში, მარქსიზ-ლენინიზმის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით, ჩვენი კაბინეტის სამუშაო მართებულ გზაზე დავაყენოთ. ჩვენ არ ვსაუბრობთ საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის მხრიდან ხელმძღვანელობაზე, რადგან ამ ინსტიტუტში ის ადამიანები მუშაობენ, რომლებსაც იდეალისტური გადახრები, ე.წ. „უკლონები“ აქვთ; ვიდრე ისინი არ გამოვლენ საკუთარი დებულებების წინააღმდეგ, ჩვენთვის წარმოუდგენელია აღნიშნული ინსტიტუტის ხელმძღვანელობაზე კურსის აღება. დამნაშავეობის შესწავლის თაობაზე ჩვენი კაბინეტის ამოცანა ყველა აღნიშნული „უკლონის“ წინააღმდეგ ბრძოლაა [წარმოადგენს], რათა გამოავლინოს და დაუნდობლად აკრიტიკოს ისინი და, შემდეგ, გაჭრას გზა მარქსის მეთოდის საფუძველზე დამნაშავეობის შესწავლის სფეროში.

ახლა პიროვნების შესწავლასთან მიმართებით. გვჭირდება კი დამნაშავის პიროვნების შესწავლა? აქ ამხანაგები ამბობდნენ, შრომა-გასწორების კოდექსში გვაქვს კარანტინის მთელი რიგი საფეხურებისა, ფსიქოლოგიური გამოკვლევა, კლასიფიკაცია და ა.შ. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ეს მომენტები, მაგრამ კარანტინი იმისათვის არ არის, რომ შევისწავლოთ დამნაშავეობა, ზოგადად. ამ საკითხთან მიმართებით, კომ[უნისტური] აკადემიის მართებული დებულება და რეზოლუცია არსებობს. მე არ ვაკნინებ პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებს, თუმცა ის თავისებურებანი, რომლებიც ჩვენს

---

[1] შარაშიძე მ., სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახეები (ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის მასალებიდან), ტფილისი, 1928. წიგნის წინასიტყვაობა და რედაქცია ეკუთვნის თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე შალვა მელაძეს. ობიექტური მკითხველი შეამჩნევს, რომ წიგნი ძალიან სუსტია, არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ მეთოდოლოგიურად, შესაბამისად, ობიექტურად იმსახურებდა ეს წიგნი კრიტიკას [რედ.].

[2] სსსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა 10 წელი, 1921-1931, ამხ. მ. ფირცხალავას წინასიტყვაობით, ტფილისი, 1931 [რედ.].

ანკეტაშია, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ. ამ ნაწილის დამარხვა მოგვიწევს, რადგან მას საკმაოდ უხეში გადახრები – „უკლონები“ აქვს.

მოცემული პერიოდის შრომა-გასწორების პოლიტიკიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენ არ მოგვიხდება პიროვნების შესწავლა, არ მოგვიხდება, ზოგადად – დამნაშავეობის შესწავლა. ყველა არსებული მასალა, სტატისტიკური მონაცემები ჯამურად იქნება გამოყენებული.

თუ ჩვენ შევისწავლით პიროვნებას, როგორც ინდივიდს, და, პიროვნების თავისებურებებიდან გამომდინარე, ავაგებთ დამნაშავეობის თეორიას, ვფიქრობ, შეცდომას დავუშვებთ. დამნაშავეობის შესწავლა ამა თუ იმ ფენის შესწავლით შეიძლება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩვენი სამუშაო ძირეულად უნდა გარდაიქმნას.

ზედგინიძე:

ვიდრე დავსვამდი შეკითხვას, ნება მომეცით, დავთქვა. მე, საკუთარი შეხედულებებით, ყოველგვარი „უკლონებისაგან“ თავისუფალი ადამიანი ვარ. თუ მე დამაინტერესებს ის საკითხები, რომლებმაც შეიძლება დაპატიმრებამდე მიგვიყვანოს, რომ მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც მხარს უჭერს „უკლონებს“, მე ვითხოვ, ობიექტურად მოვექცეთ ამას. მე მაინტერესებს საკითხის ობიექტური მხარე და ამას ყოველგვარი ქვენაგრძნობის გარეშე ვუდგები. მე ერთი რამ ვერ გამიგია – თუ როგორია პიროვნების შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტის ამოცანები? იმისათვის, რომ კიდევ უფრო დავაკონკრეტო ჩემი შეკითხვა, მსურს, ნათლად გამოვხატო ჩემი აზრი. თქვენი ინფორმაციული მოხსენებიდან გავიგე, რომ, თითქოსდა სახელმწიფო კაბინეტი, იმავდროულად, შრომა-გასწორების დაწესებულებასთან არსებული ერთ-ერთი დამხმარე ფილიალია. ხოლო, თუ ეს ასეა, მაშინ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო კაბინეტის პრაქტიკული შედეგები და საქმიანობა უნდა წარმოადგენდნენ ერთს, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეობის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტი ძალზე შეავიწროებს სამეცნიერო საქმიანობის წრეს, მაშინ, მე ეს უკვე სულ სხვა რაიმედ მესახება.

თავმჯდომარე:

დამნაშავის პიროვნების შესწავლა ძალზე ვიწრო ჩარჩოებში აქცევს კაბინეტის ამოცანას. პრაქტიკულად, ეს სამუშაო ვერავითარ სარგებელს მოუტანს შრომა-გასწორების დაწესებულებას.

დამნაშავის პიროვნების შესწავლისას პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჩვენ თეორიული სამუშაოს სფეროში ჩვენი სასამართლოებისათვის დახმარების გაწევის კუთხით ვერაფერი შევძელით. ([საუბრობს] *ქართულად).*

ზედგინიძე:

დამნაშავის პიროვნების შესწავლა სრულიად გამოირიცხება სახელმწიფო კაბინეტის მეთოდებიდან?

თავმჯდომარე:

ჩაიყლაპება.

ზედგინიძე:

თუ ჩაიყლაპება, მაშინ ნიშნავს, რომ არსებობს, თუმცა – რა ფორმით?

თავმჯდომარე:

მუშაკებს, პრაქტიკულად, პენიტენციური დამნაშავის, როგორც პიროვნების შესწავლა, ყოველწუთიერად უხდებათ, მაგალითად, კარანტინში გატარებით, სამუშაოზე განწესებით, მისი გათავისუფლებით, კულტურულ სამუშაოზე მისი ყოფნით და ა.შ., თუმცა ეს უკვე შრომა-გასწორების დაწესებულების წმინდა პრაქტიკული სამუშაოა, თუ აღნიშნულ სფეროს გადავიტანთ კაბინეტში, მაშინ მოგვიწევს მისი გარდაქმნა, რაღაც შრომა-გასწორების სახლის მსგავსში.

იაშვილი:

ის საკითხები, რომლებსაც ახლა შევეხეთ – თუ როგორ განვაწესოთ სამუშაოზე, სად გავაგზავნოთ – საზედამხედველო კომისიის საქმეა. არ შეიძლება ამის აღრევა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ შეისწავლეთ დამნაშავე, როგორც ამას გკარნახობდათ პიროვნების შემსწავლელი კაბინეტი.

ზედგინიძე:

ჩაყლაპვასთან მიმართებით შემიძლია, დაგეთანხმოთ. მე ვასკვნი: თქვენ საზედამხედველო კომისიებსა და, ზოგადადაც, შრომა-გასწორების დაწესებულებებში აგროვებთ საანკეტო მასალას თუ მასალას – ინდივიდუალური გამოკითხვის, ჩაწერისა და ა.შ. გზით, სახელმწიფო კაბინეტი კი ამით სარგებლობს, ამუშავებს ამას, როგორც ნედლ მასალას.

თავმჯდომარე:

დიახ, შეიძლება აღნიშნული მასალის გამოყენება. თუმცა, ანკეტის ლიკვიდაციასთან ერთად, პიროვნების შესწავლის შესახებ საკითხი კაბინეტის ხაზით მოიხსნება; კაბინეტი სრულ სტატისტიკას გამოიყენებს.

ზედგინიძე:

მე ახლა ვარკვევ საკითხს, არავის ვეკამათები. მსურს გავარკვიო – კაბინეტს უშუალო დამოკიდებულება არ აქვს ცალკეულ დამნაშავეებთან?

თავმჯდომარე:

როცა ის ამა თუ იმ დამნაშავის შესწავლას დაიწყებს, მას საქმე პიროვნებასთან ექნება.

ზედგინიძე:

არსებობს დამნაშავეობისა და დამნაშავის შემსწავლელი კაბინეტის რიგი ცალკეული გამოცემებისა.

თავმჯდომარე:

მაგალითად, ჩვენ აღარ შევისწავლით დამნაშავის, რეციდივისტის საყოფაცხოვრებო პირობებს.

ადგილიდან:

თუ ჩვენ გვსურს განსაზღვრული მეთოდის გამოყენება... ნიშნავს, რომ თქვენ მიდიხართ კერძოდან ზოგადისაკენ?

ნუცუბიძე:

([საუბრობს] *ქართულად)*

ადგილიდან:

დისკუსიასთან მიმართებით რაიმე სახის მითითებანი არსებობს[?]

თავმჯდომარე:

ინსტიტუტმა სექციების ლიკვიდაციისა და ბრიგადების მოწყობის წინადადება გასცა. ინსტიტუტმა შესთავაზა, მომზადდეს მომავალი დისკუსიის თეზისები და გამოყოფის ბრიგადაში შედის ორი თანამშრომელი – მე და ჩვენი მეცნიერ-მუშაკი ბოჭორიშვილი, რომლებიც ამ თეზისების დამუშავებას მოახდენენ.

კაბინეტი უნდა გამოვიდეს განსაზღვრული თეზისებით და ის წამყვანი უნდა იყოს მოცემული დისკუსიის დროს.

(წარადგენენ *1932 წლის სამუშაო გეგმას)*

თავმჯდომარე:

ვფიქრობ, უნდა დავამტკიცოთ სამუშაო გეგმა და ოპერატიული გეგმის შესადგენად ავირჩიოთ ბრიგადები. გთავაზობთ ბრიგადას შემდეგი შემადგენლობით: ხაინდრავა, იაშვილი, შენგელაია.

შენგელაია:

მე შემიძლია მონაწილეობის მიღება ზოგიერთი საკითხის [განხილვაში], თუმცა ნაწილი საკითხებისა არ შედის ჩემს კომპეტენციაში. მაგალითად, სა-

წარმოო გეგმის შედგენის საკითხში მე არ შემიძლია მონაწილეობის მიღება, რადგან იქ არაფერი მესაქმება, სრულიად სოციალურ-ბიოლოგიური კატეგორიის კვლევაა; ხოლო თუ ავიღებთ სამართალდამრღვევთა საყოფაცხოვრებო პირობებს, აქ მე, რა თქმა უნდა, მივიღებ მონაწილეობას.

თავმჯდომარე:

თანახმა ვარ, რომ ყველა ბრიგადაში ვერ მიიღებთ მონაწილეობას.

შენგელაია:

რეციდივისტების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლაში ჩვენი სექცია მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება სამოხელეო-სამეურნეო დანაშაულს, აქ ჩვენ ვერ მივიღებთ მონაწილეობას. მე ვიცნობ დისპანსერულ მუშაობას, ამ სამუშაოს ორგანიზების მეთოდს, აქ მე შემიძლია და კიდეც გავწევ კონსულტაციას.

თავმჯდომარე:

პირველი წინადადება – შენგელაია, იაშვილი, ხაინდრავა.

მეორე – ფირცხალავა, ზედგინიძე და ხაინდრავა.

ვინ უჭერს მხარს პირველ წინადადებას? (ხმების *მცირე რაოდენობა)*

მიიღება მეორე წინადადება.

გეგმის შესამუშავებლად აირჩეს ბრიგადა ამხანაგების – ფირცხალავას, ზედგინიძისა და ხაინდრავას შემადგენლობით.

წინადადება – შეიქმნას კაბინეტის საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ფირცხალავა, იაშვილი, შენგელაია, ბოჭორიშვილი, ზედგინიძე, ფანცხავა, გელოვანი, გეგენავა, შარია და ძაძამიძე.

სხდომის თავმჯდომარე – *[ხელმოწერა]* /ფირცხალავა/
მდივანი – *[ხელმოწერა]* /იაშვილი/

იდეალისტური სამართლებრივი აზრის გავლენა საბჭოთა საქართველოში დამნაშავეობისა და დამნაშავის შესწავლაზე*

ანდრო გელოვანი

იმათთვის, ვინც ინტერესდებოდა საბჭოთა საქართველოში თეორიული სამართლებრივი აზრის განვითარების საკითხებით, სავსებით ნათელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლამდე სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში ჩვენთან თითქმის შეუზღუდავად ბატონობდნენ ბურჟუაზიულ-იურიდიული მსოფლმხედველობის წარმომადგენლები. მიუხედავად აღნიშნულ სფეროში მარქსისტულ-ლენინური ძალების მცირერიცხოვნებისა, ამიერკავკასიის ცაკთან არსებულმა [საბჭოთა] აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტმა შეძლო, საფუძვლიანად შეერყია ჩვენთვის ამ მტრული თეორიული აზრის ბატონობა და თავის დისკუსიაზე ამხანაგი ა. გეგენავას მოხსენების ირგვლივ, რომლის თემა იყო: „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“ (დისკუსიის სტენოგრამა ცალკე წიგნად გამოიცა ა. ბოლოტნიკოვის რედაქტორობით, ტფილისი, 1931 წ.), ნათლად გააშიშვლა „იმ იდეალისტური და ნორმატივისტული თეორიების „ბურჟუაზიულ-კლასობრივი არსი, რომლებსაც თბილისის უნივერსიტეტში იცავს ბურჟუაზიული პროფესორების – იურისტების მთელი ჯგუფი: სურგულაძე, ნანეიშვილი და ა.შ.“ (მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების ყრილობის რეზოლუციიდან, იხ. ჟურნალი „ს[აბჭოთა] ს[ახელმწიფო] და რ[ევოლუციური] ს[ამართალი]“, 1931, გვ. 146).

თუმცაღა, მსგავს ანტიმარქსისტულ-ლენინურ მიმდინარეობებთან ბრძოლა, როგორც ეს დისკუსიის სტენოგრამაშია ნათქვამი, მხოლოდ ამით ვერ ამოიწურებოდა.

ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების მხრიდან თავზეხელაღებულ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, რომელიც იმით არის გამოწვეული, რომ: ჩვენი მუშაობა სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან მიმართებით არღვევს კაპიტალიზმის ეკონომიკურ კავშირებს და თავდაყირა აყენებს ძველი სამყაროს ყოველივე ძალას“ (სტალინი), აუცილებელია უფრო ფართო შეტევა მოწინააღმდეგის სიღრმეში, შეტევა, რომლის წარმატებაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს თვით მარქსისტი ლენინელების წრეში პარტიის მართებული ხაზიდან ყოველგვარი გადახრების ამოძირკვას.

---

* რუსული დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 336, ანაწერი 1, საქმე 130, ფურცლები 27-62. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

ამასთან მიმართებით ჩვენთვის არავითარი სარწმუნო მნიშვნელობა არ შეიძლება იქონიოს დასახელებული ბურჟუაზიული პროფესურის დეკლარაციულმა განცხადებებმა იმის შესახებ, რომ მათ, თითქოსდა, მიიღეს რევოლუციური მარქსიზმი. ის ანტიმარქსისტული იდეები, რომლებსაც ისინი მრავალი წლის განმავლობაში გულმოდგინედ ავრცელებდნენ, უკვე საკუთარი ნაყოფის გამოღებას იწყებენ და, გავრცელდნენ რა სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიიდან სპეციალურ სამართლებრივ დისციპლინებზე, [და] მალავენ რა საკუთარ ჭეშმარიტ კლასობრივ არსს, შეფარულად გვესახებიან მარქსიზმად. სწორედ აღნიშნული მდგომარეობა ავალდებულებს ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ სამეცნიერო ძალებს, მაქსიმალური სიფხიზლითა და აქტიურობით მოვეპყროთ მარქსიტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდის დაცვის საქმეს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ერთ-ერთ ისეთ სპეციალურ სამართლებრივ სფეროზე, როგორიც არის კრიმინოლოგია, ჩვენთვის კლასობრივად მტრული იდეოლოგიის გავლენის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება საბჭოთა საქართველოში „დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტის“ მუშაობა, რომელიც 1930 წელს შეიქმნა ტფილისში.

ნახსენები კაბინეტი, როგორც ჩანს, იმ მასალებისაგან იქმნება, რომლებიც შეგროვილი და შემუშავებულია საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექციის მიერ [და] ექიმ შენგელაიას [ხელმძღვანელობით] დაადგა სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის გზას და ამით დაუშვა სისხლისსამართლებრივი ფორმის ისტორიული შეზღუდულობის სრული მიუღებლობა. სრულიად მართებულია ის დებულება, რომ ამ კაბინეტის ცრუ პრინციპული მოთხოვნების შემუშავების საქმეში დიდი როლი შეასრულა ანთროპოლოგიური სკოლის მეთაურის – ლომბროზოს თეორიული მემკვიდრეობის აღორძინებამ, როგორც „დამნაშავის პიროვნებისა და დანაშაულებრიობის შემსწავლელი მოსკოვური კაბინეტის“ მიერ, ისე მრავალ მოსახელე პროვინციულ ორგანიზაციაში.

თუმცაღა, ქართული ნეოლომბროზიანელობის მკვეთრი, ხოლო ზოგჯერ კურიოზული ხასიათიც ჩვენი სინამდვილის სპეციფიკურობით აიხსნება და, პირველ რიგში, იმ მოსამზადებელი სამუშაოთი, რომელიც ადგილობრივმა ბურჟუაზიულმა პროფესორებმა საკუთარი თეორიების მეშვეობით აწარმოეს. ეს მოსამზადებელი სამუშაო აგებულ იქნა დიდი ხნით ადრე ცნობილი შოვინისტური ქართული ინტელიგენციის ტრადიციების საფუძველზე, რომელიც იმ დასავლეთევროპული ბურჟუაზიული მეცნიერებისადმი ძლიერი ლტოლვით ხასიათდება, რომლის მიზანიცაა მთლიანად ჩამპალი კაპიტალისტური სისტემის დაცვა, განსაკუთრებით ახლა, როცა: „იმსხვრევა ილუზიები კაპიტალიზმის ძლევამოსილებასთან მიმართებით – ზოგადად“ (სტალინი).

იდეალისტური მეტაფიზიკის ასეთ კლასიკურ ფესვებზე დაყრდნობით საკუთარ ბურჟუაზიულ-იურიდიულ მსოფლმხედველობამდე მიღწევისას ისინი, ისევე როგორც მათი გავლენით განვითარებული მიმდინარეობები ცალკეული სამართლებრივი დისციპლინების სფეროში, ვერ უძლებენ მარქსიზმად შენიღბვას და თავიანთი სიმკვეთრით გასცემენ საკუთარ თავს.

გავიხსენოთ ჩვენი თვალთახედვით საინტერესო საკითხიდან [გამომდინარე], ჩვენი ბურჟუაზიული თეორეტიკოსების ძირითადი მტკიცებანი, რომლებიც სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური შეხედულებების გაფურჩქვნის საქმეში, ზედაპირული შეხედულებით, შესაძლოა, მნიშვნელობამოკლებულადაც კი მოგვეჩვენოს.

როგორც ცნობილია, მიუხედავად ცალკეული იდეალისტური სკოლებისა და მიმართულებების განსხვავებისა, ყველა მათგანი ერთიანდება იმ თავისი ძირითადი სოციალური დავალების ირგვლივ, რომელიც წარმოების კაპიტალისტური ხერხის ჭეშმარიტი სოციალურ-კლასობრივი ფესვების გადღაბნასა და დაფარვას გულისხმობს. სამართლებრივი პრობლემატიკის სფეროში მათზე დაკისრებული ამოცანების გადასაჭრელად, მეთოდოლოგიურ საფუძვლად, შესაძლოა, მხოლოდ სოციალური მოვლენების არასოციალური რიგის მოვლენებით შეცვლა იქნეს გამოყენებული, კერძოდ, სამართლის სფეროს სოციალური რიგიდან მოწყვეტით, ვინაიდან ამის შემდეგ იდეალისტური მანიპულაციებისათვის ფართო სივრცე გადაიშლება, სამართლებრივი ფენომენების – იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და სხვა მოვლენების ანალიზით – შემეცნების სახით. ქართულ სინამდვილეში აღნიშნული ძირითადი იდეალისტური თეზის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა პროფ. სურგულაძის ნაშრომმა სათაურით: ["Gewalt und Recht"] (ზემოაღნიშნული ტრადიციიდან გამომდინარე, წიგნი 1924 წელს გერმანულ ენაზეა დაწერილი[1]). არ ვისახავთ რა მიზნად, დეტალურად შევჩერდეთ პროფ. სურგულაძისათვის წმინდად მნიშვნელოვან ყველა მტკიცებაზე, ჩვენ მოკლედ მივუთითებთ ავტორის თეორიის საწყის წერტილს, რომელიც სამართლებრივი და სოციალური მოვლენების დიამეტრულად შეწინააღმდეგებას გულისხმობს, როგორც ორი – ონტოლოგიურად განსხვავებული – რიგისადმი მიკუთვნებულისა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ავტორი, სხვა მრავალი ანალოგიური ხასიათის მტკიცებებს შორის, ამბობს: „სოციალური ყოფიერება ხასიათდება, ზოგადად, ონტოლოგიურად, როგორც რეალური ყოფიერება და თავისი არსებობა განისაზღვრება მისთვის ძირითადი კაუზალური კანონზომიერების მეშვეობით, მაშინ, როცა მართლწესრიგი პირიქით (ხაზგასმა

[1] ნაშრომი პროფ. იროდიონ სურგულაძემ 1923-1924 წლებში მოამზადა და 1925 წელს გამოსცა [რედ.].

ჩვენია – ა.გ.), ხასიათდება ონტოლოგიურად, როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა“ (იხ. გვ. 86). გამომდინარე ყოფიერების ამ ორი განსხვავებული ფორმის ასეთი მკვეთრი დაპირისპირებიდან ავტორი არ უშვებს მათ შორის კაუზალურ ურთიერთობას, რადგან, მისი აზრით, ეს ფაქტობრივი კაუზალური კანონზომიერების დაღუპვა იქნებოდა. ამგვარად, ავტორს სურს, საბოლოოდ გამიჯნოს ერთმანეთისაგან სამართლებრივი იმ სფეროსაგან, სადაც საკმაოდ რთული ამოცანა იქნებოდა კლასობრივი წინააღმდეგობებისათვის და, მიმდინარე სოციალური მოვლენების, კლასობრივი ხასიათისათვის გვერდის ავლა. ის აგრძელებს: „მართლწესრიგი არა მხოლოდ თავის ძირითად ელემენტებთან მიმართებით, არამედ შინაგან კანონზომიერებასთან მიმართებითაც არ შეიძლება განისაზღვროს საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართ, როგორც რაღაც შემთხვევითობა“ (იქვე, გვ. 87), და, მაშასადამე, უხსნის გზას იდეალისტურ მიკიბ-მოკიბვას ამგვარ მართლწესრიგთან მიმართებით. სოციალური კანონზომიერებისაგან გათავისუფლების შემდეგ პროფ. სურგულაძე სავსებით თანმიმდევრული რჩება საკუთარი იდეალისტური თეორიის მშენებლობისას, რომლის ნათელი გამოხატულებაა მისი შემდეგი განცხადება: „უშუალო ურთიერთობა არსებობს არა სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის, არამედ სამართალსა და იმ ცალკეული პირების ინდივიდუალურ ცნობიერებას შორის, რომლებიც თვითონ ქმნიან სოციალურ საზოგადოებას“ (იქვე, გვ. 87).

პროფ. სურგულაძესთან შედარებით, მიუხედავად რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებისა, იმავე მიზანს ისახავს პროფ. ნანეიშვილიც. თავის წიგნში – „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ (ქ. ტფილისი, 1929 წ.) – იდეალისტური აზროვნებისათვის გზის გაწმენდის საქმეში [იგი] არანაკლებ კეთილსინდისიერი გახლავთ. დიდი ერუდიციით და არანაკლებად დიდი ოსტატობით ზემოაღნიშნული ძირითადი იდეალისტური აზრის განმტკიცების საკითხში პროფ. ნანეიშვილი – წმინდა ჰეგელიანელი, სამართლის იდეის ლოგიკური ანალიზისადმი იჩენს მიდრეკილებას და ამით თავს იცავს სიმძიმის ცენტრის მდიდარი სოციალური ნამდვილობის სფეროში გადატანის აუცილებლობისაგან. „ფაქტების ნორმატიულობის პრობლემატიკის საწყის წერტილს წარმოადგენს სამართლისა და ფაქტის შეპირისპირების შესაძლებლობა. ფაქტების ნამდვილობას – ამტკიცებს პროფ. ნანეიშვილი – ჩვენ აღმოვაჩენთ მთელ რიგ მიზეზებსა და შედეგებში მაშინ, როცა სამართლის ნამდვილობა აღმოჩნდება ხოლმე მხოლოდ ლოგიკური შემეცნების აქტში“ (იხ. გვ. 46). ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ავტორსაც სამართლებრივი წარმოუდგენია მიზეზისა და შედეგის პრინციპის არსებობის მიღმა და მისი რეალურობა ეფუძნება მხოლოდ ლოგიკური შემეცნების აქტს. გვესახება, რომ სამართლებრივი მოვლენების სოციალურისაგან მოწყვეტის

საქმეში პროფ. ნანეიშვილიც ზემოხსენებულ ციტატაში სრულად იდეალისტურ პოზიციას ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ მის წიგნში მრავლად არის მსგავსი ადგილები, მხოლოდ ესეც კმარა – ციტატა, იმის დასამტკიცებლად, თუ რა სივრცეს უღებს ის ყოველგვარ იდეალისტურ მიმართულებას, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ის. ანალოგიური ტენდენციით ხელმძღვანელობს პროფ. ვაჩეიშვილიც, რომელიც თავის კომპილაციურ ნაშრომებში მხოლოდ იშვიათად აძლევს შანსს მკითხველს, მიუახლოვდეს მისეულ [იგულისხმება ავტორისეულ – მთარგმნელი] შეხედულებებს. სხვა რით შეიძლება მისი მტკიცების ახსნა, რომ „აღნიშნული საკითხის (სამართლის წყაროს შესახებ) გადაწყვეტა ჩვენ უნდა ვეძიოთ ადამიანის სულიერ ბუნებაში, რომლის ძალით მუდმივი ფაქტი იძენს ნორმატიული წესის მნიშვნელობას“ („სამართლის ზოგადი თეორია“, გვ. 56).

სრულიად უდავოდ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მსგავსი ხასიათის დებულებები, რომლებსაც ჩვენ ზემოაღნიშნულ ავტორებთან სამართლისა და სახელმწიფოს თეორიის სფეროში ვხვდებით, არ შეიძლებოდა არ ასახულიყო სპეციალური სამართლებრივი დისციპლინების სფეროზეც.

ექიმ შენგელაიას სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური შეხედულებები, რომლებსაც ის, შეძლებისდაგვარად, ნერგავდა „დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტის“ საქმიანობაში, სისხლის სამართლის სფეროში ამგვარი იდეალისტური თეორიების თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენენ.

თუმცა, ვიდრე ექიმ შენგელაიას თეორიული პლატფორმის განხილვაზე გადავიდოდეთ, ისევე, როგორც იმ საქმიანობისა, რომელსაც კაბინეტი ეწეოდა თავისი თანამშრომლის – ნეოლომბროზოელის გავლენით, საჭიროდ მიგვაჩნია, თვით სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის არსზე შევჩერდეთ. და მართლაც, რას წარმოადგენს ეს სკოლა, რომელიც, მიუხედავად თავისი „ბუნებით-სამართლებრივი მეთოდისა“, მაინც იდეალისტური აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია, ამ მიმართულებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასაბამი მისცა სასამართლო მედიცინის იტალიელმა პროფესორმა ჩეზარე ლომბროზომ, რომელმაც მიზნად დაისახა, ადამიანის ბიოლოგიური შესწავლის სფეროში ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენების გზით ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის, როგორიც არის დანაშაული, სამეცნიერო ახსნა მოეძებნა.

იმ ზოგადი დებულებიდან გამომდინარე, რომ: „დანაშაული ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორიც დაბადება, სიკვდილი, ჩასახვა, ფსიქიკური დაავადებანი, რომელთა სამწუხარო ნაირსახეობასაც ის ხშირად წარმოადგენს“ (ლომბროზო – „დამნაშავე ადამიანის შესახებ“, გვ. 150), ლომბროზო, ისევე

როგორც მისი თანამოაზრეები: ენრიკო ფერი[1] და ბარონი გაროფალო[2] ურიცხვ კვლევას ატარებდნენ ურიცხვი რაოდენობის დამნაშავეებზე, პირდაპირ თავიდან ფეხებამდე. ისინი მიისწრაფოდნენ დამნაშავეთა განსაკუთრებული ანთროპოლოგიური ტიპების გამოვლენისაკენ, რომლებიც, საკუთარი სპეციფიკური ფიზიკური და ფსიქიკური ანომალიების ძალით უნდა ყოფილიყვნენ აღნიშნული ბუნებრივი დაავადების – დამნაშავეობის მატარებლები. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის ძირეული თავისებურება მათ მიერ დამნაშავე პიროვნების შესახებ დამკვიდრებულ შეხედულებაშია.

დამნაშავე, აღნიშნული სკოლის შეხედულების შესაბამისად, არ არის ნორმალური ადამიანი, რომელსაც იგივე ფიზიკურ-ფსიქიკური კონსტრუქცია აქვს, როგორც სხვა ჩვეულებრივ ადამიანს. ის არის ადამიანთა მოდგმის განსაკუთრებული ნაირსახეობა, და როგორც თავისებური ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტიპი, ხასიათდება სხვადასხვა დეფექტური ნიშნით, რომელთა განსხვავებული კომბინაცია შესაძლებელს ხდის, ერთმანეთისაგან განვას-

---

[1] **ენრიკო ფერი** (1856-1929) – იტალიელი კრიმინოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე. 1884 წლიდან ფერი გახლდათ იტალიის უდიდესი უნივერსიტეტების სისხლის სამართლის პროფესორი, 1886 წლიდან – იტალიის პარლამენტის დეპუტატი, 1919 წელს სათავეში ჩაუდგა სისხლის სამართლის კოდექსის შემდგენელ კომისიას, რომლის მრავალი დებულება შევიდა ფაშისტური პერიოდის, 1930 წლის იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში. როგორც კრიმინალური ანთროპოლოგიის ფუძემდებელ ჩეზარე ლომბროზოს თანმიმდევრულმა თანამოაზრემ, უდიდესი ღვაწლი გაიღო კრიმონოლოგიის პოზიტიური სკოლის იდეათა განვითარების საქმეში. ძირითადი ნაშრომებია: სისხლის სამართლის სოციოლოგია, სოციალიზმი და პოზიტიური მეცნიერება: დარვინი, სპენსერი, მარქსი (1894); კრიმონოლოგიის პოზიტივისტური სკოლა (1901); კვლევა დამნაშავეობის შესახებ (1901) [მთარგმნელი].

[2] **რაფაელე ბარონ გაროფალო** (1851-1934) – იტალიელი კრიმინოლოგი და იურისტი. იგი ჩეზარე ლომბროზოს სტუდენტი იყო და ხშირად მას კრიმინოლოგიის მამადაც მიიჩნევდნენ. მან უარყო მოძღვრება თავისუფალი ნების შესახებ (რომელიც იყო კლასიკური სკოლის მთავარი დინამიკა) და მხარი დაუჭირა იმ პოზიციას, რომ დანაშაულის გაგება მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ის მეცნიერული მეთოდებით არის შესწავლილი. იგი შეეცადა, ჩამოეყალიბებინა დანაშაულის სოციოლოგიური ცნება, რომელიც განსაზღვრავს ისეთ მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც შესაძლებელი იქნება დასჯით. ეს შეადგენდა „ბუნებრივ დანაშაულს“ და განიხილებოდა დანაშაულად, რომელიც არღვევს ორ ძირითად ალტრუისტულ სენტიმენტს, რომლებიც საერთოა ყველა ადამიანისთვის, კერძოდ, კეთილდღეობასა და ღვთისმოსაობას. დანაშაული არის ამორალური მოქმედება, რომელიც საზოგადოებისათვის საზიანოა. ეს უფრო ფსიქოლოგიური ორიენტაცია იყო, ვიდრე ლომბროზოს ფიზიკური ტიპის ანთროპოლოგია. გაროფალოს ადაპტაციის კანონი მიჰყვება ჩარლზ დარვინის ბიოლოგიურ პრინციპს ადაპტაციის თვალსაზრისით და აღმოფხვრის მათ, ვინც ვერ ადაპტირდება ერთგვარი სოციალური ბუნებრივი გადარჩევის გზით [მთარგმნელი].

ხვაოთ დამნაშავეთა ცალკეული ანთროპოლოგიური ტიპები. სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის საქმიანობის ერთ-ერთი შედეგია მოძღვრება „თანდაყოლილი/ [დაბადებით] დამნაშავის შესახებ“. ეს უკანასკნელი, გარდა მისთვის დამახასიათებელი მრავალი ანომალიისა, ისეთი თავისებურებებითაც გამოირჩევა, როგორიც არის: თავის ქალის ხშირი ასიმეტრიულობა, სახის ძალზე წინ გამოწევა, თავის ქალის წინა ნაწილის შედარებითი შემცირება, შუბლის ძვლის შედარებით მცირე ზომა, წარბის რკალების, ქვედა ყბის ძლიერი განვითარება, აგრეთვე, ყურების ანომალია. მსგავსი სახის ანთროპოლოგიური მეცადინეობების გზით ლომბროზო იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ თანდაყოლილ/[დაბადებით] დამნაშავეს ორგანული გამონადენითაც კი განასხვავებდა და აცხადებდა: „თანდაყოლილი/[დაბადებით] დამნაშავე უფრო ნაკლებ შარდს და უფრო მეტ ფოსფატს გამოყოფს, ვიდრე შემთხვევითი დამნაშავე ან არადამნაშავე ადამიანი“ (ლომბროზო, „დამნაშავეობის შესახებ მეცნიერების ახალი წარმატებები“, გვ. 66). სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის მეორე ბელადიც – ე. ფერი თანდაყოლილი/[დაბადებით] დანაშაულებრივი ტიპის დასადგენად ხაზს უსვამდა განსაკუთრებულ ანატომიურსა და ფიზიონომიურ თვისებებს, რომლებიც განაპირობებდნენ მის აღნიშნული პროფესიისადმი [მიდრეკილებას]. მისი აზრით, მსგავსი თანდაყოლილი/[დაბადებით] დამნაშავისაგან ჩვენ უნდა განვასხვაოთ ის ადამიანი, რომელიც დამნაშავეობას დაადგა გარემოს გავლენით და არ შეუძენია ეს ბიოლოგიური თავისებურებანი; ზუსტად ისევე, როგორც: „შეზღუდულ ადამიანს, რომელიც მთელ ცხოვრებას წიგნებთან ატარებს, შეუძლია შეიძინოს ნამდვილი მეცნიერის ზოგიერთი სავსებით ზედაპირული პროფესიული თვისებები – მოხრილი ზურგი, ახლო მხედველობა, სიფერმკრთალე და ა.შ., თუმცა, რაც არ უნდა გააკეთოს მან, მას არასოდეს ექნება ფართო შუბლი, ღრმა მზერა, ინტელიგენტური სახე, თუ მან ეს საჩუქრები დედა ბუნებისაგან არ მიიღო (ე. ფერი, „სისხლის სამართლის სოციოლოგია“, გვ. 91-92). არ ეხება რა საკითხს თვით თანდაყოლილი/[დაბადებით] დამნაშავეობის წარმოშობის შესახებ, ისინი ისწრაფოდნენ ისეთი მყიფე დებულებებისაკენ, როგორებიცაა: ატავიზმი, ანუ დამნაშავეში ჩვენი წინაპრების – უძველესი ველურების თვისებების აღორძინება, ზნეობრივი აღრევა/[სიგიჟე] და ეპილეფსია.

მიუხედავად სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიურ სკოლაში თანდაყოლილი/[დაბადებით] დამნაშავეობის შესახებ მოძღვრების დიდი მნიშვნელობისა, ჩვენ უნდა მოვახდინოთ იმ გავრცელებული მოსაზრების უსწორობის კონსტატაცია, რომელიც მას ლობროზოსეული თეორიის ძირითად არსად თვლის. ამ მიმართულების დამახასიათებელი თავისებურება არა თანდაყოლილ/[დაბადებით] დამნაშავეშია, ისევე, როგორც არა იმგვარ კრიმინოგე-

ნურ ფაქტორებში, როგორებიცაა: ატავიზმი, ზნეობრივი აღრევა და ეპილეფსია, არამედ დამნაშავეობის – როგორც ბუნებითი მოვლენის შესახებ წარმოდგენაში, რომლის ჩამდენებსაც უნდა განასხვავებდეს განსაკუთრებული ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებები. ამ სკოლის ძირითადი ხაზი არის სოციალური რიგის ბიოლოგიზაცია, ხოლო არააბსოლუტურად სავალდებულო მომენტების თაობაზე აზრთა სხვაობას, რომლის მიზეზიცაა არასაკმარისი მასალა ან საკვლევი ობიექტის მიმართ თავისებური მიდგომა, არსებითი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს.

დამნაშავეობისა და დამნაშავის შესახებ მსგავსი წარმოდგენებიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლა დამნაშავეობის ნამდვილი სოციალური მიზეზებიდან ყურადღების გადატანისაკენ ისწრაფვის და აცხადებს რა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სისტემას ერთადერთ ნორმალურ ორგანიზაციად, ყველა ქმედებას, რომელიც ამ უკანასკნელის წინააღმდეგ არის მიმართული, დეფექტურობის გამოვლენად მიიჩნევს. ასეთი მიდგომით ხდება იმ ზემოხსენებული სოციალური დაკვეთის შესრულება, რომელიც ამჟამად განსაკუთრებით ესაჭიროება კაპიტალიზმს, და სწორედაც რომ „სამეცნიერო-დეტერმინისტული“ კონცეფციის დროშის ქვეშ.

განხილული სკოლის ძირითადი მომენტების თვალსაზრისით, ექიმ შენგელაიას შეხედულებათა ლომბროზოსეული არსი არ შეიძლება იწვევდეს ეჭვს, თუმცა საბჭოთა ნეოლომბროზოელთა მცდელობა, მარქსიზმად შეფუთონ საკუთარი იდეები, გვაიძულებს, უფრო შორიდან დავიწყოთ [განხილვა].

ფსიქიატრი-ნევროლოგი, ექიმი შენგელაია თავის ანთროპოლოგიურ მოსაზრებებს გამოხატავს ორ შემდეგი [ხასიათის] თეორიულ სტატიაში: „შერაცხაობის შესახებ საკითხისათვის სისხლის სამართალში“ (ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა“, №9, 1927) და „დანაშაული და დამნაშავე“ (სტატიათა კრებული, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოში პენიტენციური დაწესებულებების შექმნის 10 წლისთავისადმი, ტფილისი, 1931). ის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში კრიმინოლოგიური კაბინეტის მოწყობის აუცილებლობაზე შეჩერდა და, თავისი დაფარული ზრახვით, ამიერკავკასიელი დამნაშავის ფსიქოფიზიკური თავისებურებების შეცნობა დაისახა რა მიზნად (ამის შესახებ მას შემთხვევით წამოსცდა კაბინეტის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე – ა.გ.), მომავალი კაბინეტის საორგანიზაციო სტრუქტურის სახით, ისეთი ბურჟუაზიულ-კრიმინოლოგიური ინსტიტუტის სისტემა შემოგვთავაზა, როგორიც ბუენოს-აირესის ინსტიტუტია, რომელიც საკუთარი სამი სექციის მეშვეობით ფუნქციონირებს: დამნაშავეობის ეთნოლოგიის, კრიმინოლოგიური კლინიკისა და კლინიკურ-თერაპიული კლინიკის. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიელი „ყაჩაღების“ ანთროპოლოგიური თავისებურებების შემეც-

ნება ძველი მეფის რუსეთის იმპერიალისტთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო. საკუთარი კოლონიზატორული ამოცანების გატარებისას კაპიტალისტური აგრესიით გამოწვეული კლასობრივი წინააღმდეგობის ახსნას ისინი სამხრეთული ტემპერამენტის ბიოლოგიური თავისებურებებით ცდილობდნენ. მიზნად დაისახა რა აღნიშნული ძველი რეაქციული ჩანაფიქრის განხორციელება, ექიმი შენგელაია შეუდგა ნიადაგის მომზადებას სახელმწიფო კაბინეტში საკუთარი მომავალი საქმიანობისათვის, სადაც მან ხსენებული კრიმინოლოგიური კაბინეტის საორგანიზაციო საწყისების გატარება შეძლო, რომელიც, მისივე სიტყვებით, იკვლევს კიდეც: „ურთიერთდამოკიდებულებას დანაშაულსა და მეტეოროლოგიურ პირობებს შორის“ (ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა“, გვ. 454).

მან მთლიანად წაშალა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩართული, ცალკეულ ხალხს შორის ერთობა და გეოგრაფიული თავისებურებებით, კლიმატური პირობებითა და სხვა თავისებურებებით შებორკილმა, აუცილებლობად მიიჩნია, კრიმინოლოგიური პრობლემატიკა მანკიერად განემარტა იმ განსაკუთრებული გეოგრაფიული სტრუქტურით, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობებით, რომლებიც იმ დიდ თავისებურებას წარმოადგენენ, რომელიც კრიმინოლოგიური თვალთახედვით სრულიად შეუსწავლელი რჩება“ (იქვე, გვ. 459). როგორც ვხედავთ, აქ სრულიად გარკვევით მიეთითება იმ „დიდ თავისებურებაზე“, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ამიერკავკასიელი დამნაშავის ბიოლოგიური განმარტების საფუძველს და, გარდა ცრუ მეცნიერულობისა, დიდ დაბრკოლებას უქმნის სოციალისტურ აღმშენებლობას და მდგომარეობას: „ადგილობრივი თავისებურებების გადამეტებაში, იმ საერთო და მთავარის დავიწყებაში, რომელიც აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებთან აკავშირებს; სოციალისტური ამოცანების მიჩუმათებაში, ვიწრო და შეზღუდული ნაციონალიზმის ამოცანებთან შემგუებლობაში“ (სტალინი).

ნათელია, რომ ექიმი შენგელაია, რომელიც ამგვარი ანტიმარქსისტულ-ლენინური ზრახვებით მოქმედებდა, ტაქტიკურ სვლას ცდილობდა: საკუთარი შეხედულებების მარქსიზმად წარმოჩენას, თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენი ავტორის ინტელექტუალურმა სიმწირემ, ყოველ ნაბიჯზე თავით გასცა ის.

როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, მან საკუთარი წმინდა მარქსისტულ-ლენინური პოზიციიდან მიმართა ვულგარულ-პოზიტივისტურ მიმართულებას – სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური სკოლის სახით, და, დამნაშავეობის შემეცნების საქმეში, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის ხაზგასმით საკუთარი სვლა სავსებით გარანტირებულად მიიჩნია. თუმცა საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ეს საკუთარი უმეცრებით დაკმაყოფილებულ ავტორს ეჩვენება, რომელიც უზნეო ეკლექტურ ტრაფარე-

ტებს გაეკიდა და შეეცადა, საკუთარი თავი ისტორიული მატერიალიზმის მიმდევრად წარმოეჩინა. შევეცდებით აღნიშნული დებულების განმარტებას.

მიუხედავად სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიურ სკოლებს შორის არსებული გარკვეული განსხვავებებისა, ორივე მათგანი ბიოლოგიური გადახრისაკენ სცოდავს, რადგან უარყოფენ სოციალური მოვლენების კლასობრივ ანალიზს და ინდივიდუალურ მოსაზრებაზე დგომით სამართლებრივი ფენომენების შეცნობის ამოცანის გადაჭრა ცალკეული პიროვნების თვისებათა ანატომიური და ფსიქოლოგიური ანალიზის გზით სურთ. შეცდომების მიმართ ამ ორივე სკოლის მონათესაობა იმ ერთი და იმავე მანკიერი მეთოდოლოგიით აიხსნება, რომელიც სოციოლოგიურად არარეალური სიდიდეებისადმი მიმართვიდან გამომდინარეობს – პიროვნებისა და საზოგადოების, და ამით ერთსა და იმავე შედეგამდე მივყავართ, სოციალური რიგის ბიოლოგიზაციის თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური სკოლა (რომელიც აღიარებს დიდ მნიშვნელობას, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენების უმნიშვნელოთაგან გამიჯვნისათვის ობიექტური კრიტერიუმების არარსებობის საქმეში) ყველა კრიმინოგენურ ფაქტორს დამნაშავის შიგნით აგდებს და კვლავ მიდის ანთროპოლოგიური სკოლის ძირითად წინაპირობებთან. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური სკოლის ისეთი ცნობილი წარმომადგენელი, როგორიც ფ. ლისტია, ანთროპოლოგიური მიმართულების მისამართით შემდეგს გამოთქვამდა: „სისხლისსამართლებრივი ანთროპოლოგიის სკოლა არ მომკვდარა და არც მოკვდება. სისხლისსამართლებრივი ანთროპოლოგია ლომბროზომდეც არსებობდა, ის მის შემდეგაც იარსებებს“. აქედან სრულებით ნათელი ხდება სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური მიმდინარეობის ბურჟუაზიულ-იდეალისტური ხასიათი, ვინაიდან ის არაფრისმთქმელი სოციალური გარემოს ზედაპირული მიმოხილვით დაკმაყოფილებისას თავიდანვე უჭრის გზას, რათა დამნაშავეობის ფაქტი არ იქნეს გამოყვანილი კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი ანალიზის შედეგად. ასე არ ფიქრობს ექიმი შენგელაია, რომელსაც ყველა მარქსიზმის ისეთივე მცოდნედ წარმოუდგენია, როგორიც თვითონ არის, [და] სურს თავისი მარქსისტული თვალთახედვა დაასაბუთოს „აღნიშნული გასხივოსნებული სოციოლოგიური სკოლის“ მეშვეობით (იქვე, გვ. 453). ამ სკოლის მეთოდოლოგიური უზუსტობის მკითხველისაგან სრულებით დამალვის გზით, რომელიც, როგორც ვამბობდით, კლასობრივი ბრძოლის თეორიის უარყოფაშია – სოციალური მოვლენების ინდივიდუალიზაციის სასარგებლოდ ექიმი შენგელაია სოციოლოგიური სკოლის მისამართით ამბობს: „სოციოლოგებმა სავსებით მართებულად დაამტკიცეს, რომ დანაშაულში გადამწყვეტი როლი აქვს ეკონომიკურ ფაქტორს... სოციოლოგიუ-

რი სკოლის ამ მართებულ დებულებას არ შეეძლო განვითარება სისხლის სამართალში, რადგან, ბურჟუაზიული იდეოლოგიით გაჟღენთილმა მოაზროვნეებმა ვერ გაბედეს, აშკარად ეღიარებინათ დანაშაულის ფესვების თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებისადმი მორჩილება, თუმცაღა ამ მოაზროვნეთა სამეცნიერო მოღვაწეობას **აღნიშნულ მართებულ დებულებამდე მივყავდით“** (სტატიათა კრებული, გვ. 24, ხაზგასმა ჩვენია – ა. გ.).

ამრიგად, ჩვენი ავტორი სოციოლოგიური სკოლის შეცდომას მხოლოდ ბურჟუაზიული მოაზროვნეების გაუბედაობაში ხედავს და მხედველობიდან სრულიად ეკარგება ის მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებსაც გარდაუვალად მივყავართ არა მხოლოდ აშკარა მიუღებლობამდე (გამოდის, რომ ისინი არააშკარად აღიარებენ – ა. გ.), არამედ დანაშაულის კაპიტალისტური წარმოების წესის სამეურნეო სტრუქტურიდან გამოყვანის სრულებით უარყოფამდე. აქ ის ცდილობს, დაფაროს განსხვავება ვულგარულ ობიექტივისტებსა და მარქსისტებს შორის, თუმცა სურს რა, თავი ჭეშმარიტ მატერიალისტად წარმოაჩინოს, ივიწყებს ლენინის შემდეგ ნიშანდობლივ სიტყვას: „ობიექტივისტი ამბობს მოცემული ისტორიული პროცესის აუცილებლობის შესახებ; მატერიალისტი კონსტატირებს სრული სიზუსტით მოცემულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას და მის მიერ წარმოშობილ ანტაგონისტურ ურთიერთობებს. ობიექტივისტი, რომელიც ცდილობს, დაამტკიცოს მოცემული რიგის ფაქტების აუცილებლობა, ყოველთვის **რისკავს, დაეშვას აღნიშნული ფაქტების აპოლოგეტის თვალთახედვამდე** (ხაზგასმა ჩვენია – ა. გ.), მატერიალისტი ააშკარავებს კლასობრივ წინააღმდეგობებს და ამით განსაზღვრავს საკუთარ თვალთახედვას (თხზულებათა კრებული, ტომი II, გვ. 74-75). ცხადია, რომ აღნიშნული ობიექტივისტური სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური სკოლის მარტივი გაგრძელება ვერასდროს მიგვიყვანს მართებულ სოციოლოგიურ დებულებამდე და ამიტომაც ექიმ შენგელაიას ყველა დანარჩენი ლტოლვა, ამ გზით მიაღწიოს მართებულ მარქსისტულ შეხედულებებს, უშედეგოა, თუმცა სულაც არ არის სასაცილო.

ის სრულიად მოურიდებლად აგრძელებს: „აღნიშნულ დებულებას სათანადო ყურადღება მიაპყრო სოციალისტურმა სკოლამ. სოციალისტები სავსებით ეთანხმებიან სოციოლოგების იმ დებულებას, რომ დანაშაული არის ეკონომიკური ფაქტორის შედეგი; სოციალისტები ანთროპოლოგებსაც ეთანხმებიან იმაში, რომ მნიშვნელობა აქვს პიროვნების თავისებურებასაც (და აქ ჩვენი ავტორი იხსენებს თავის ძირითად თვალსაზრისს, სავარაუდოდ იმისათვის, რომ არ დაკარგოს საკუთარი მოსაზრებების სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური ძაფი – ა.გ.), თუმცა, სოციალისტების აზრით, მანამ, სანამ იარსებებენ გაბატონებული და ჩაგრული – ბატონი და მონა, მდიდარი

და ღატაკი, ანუ კლასებს შორის კონფლიქტი, დამნაშავეობასთან ბრძოლა არის უშედეგო (ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა“, გვ. 453). აღნიშნულით ექიმი შენგელაია სრულებით უმტკივნეულოდ დაეშვა სოციალისტური სკოლის დონემდე და მისი წარმომადგენლების, როგორც სოციოლოგების, ისე ანთროპოლოგების, მიმართ კვერის დამკვრელად გამოცხადებით ისეთ უმეცრებამდეც კი მივიდა, რომ მათ წარმომადგენელთა შორის განათავსა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები – კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ასე, მაგალითად, ამ სოციალისტური სკოლის მეთოდოლოგიური შეხედულებების განხილვისას ყველას გასაოცრად მან გაბედა, განეცხადებინა: „სოციალისტი-კრიმინოლოგები დანაშაულს განიხილავენ დიალექტიკურად, ისტორიის მატერიალისტური შეცნობის თვალსაზრისით“ – და მყიფე ჩამონათვალი – „მარქსი, ენგელსი, კაუცკი, ფერი, სურსკი, გერიეთი და სხვები“ (იქვე, გვ. 454). გარდა მთელი რიგი არასწორი მტკიცებებისა ფსიქიატრ შენგელაიას მხრიდან, რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო ლიდერების გვერდით ფაშისტი ე. ფერის ხსენებაც გვაოცებს, რომელმაც მთელი თავისი თეორიული სიმდიდრე ბ. მუსოლინის დიქტატურის აპოლოგიის სასარგებლოდ წარმართა. აქ ნათლად ჩანს ავტორისეული ჰორიზონტი, რომელიც გათვლილია ცუდად ორიენტირებულ მკითხველზე, ან კიდევ საქმე გვაქვს ისეთ მდგომარეობასთან, როცა მისი სპეციალობისათვის დამახასიათებელი ნიშნები მის თვისებაში გადაიზარდნენ.

ჩვენი ავტორი, რომელიც არ ჩერდება მარქსის, ენგელსისა და ლენინის მნიშვნელობის განსაზღვრაზე, კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის კლასობრივი არსის გამოაშკარავების საქმეში, თავის მეორე სტატიაშიც სპეციალურად ჩერდება ყველა ზემოდასახელებულ ავტორზე – დანაშაულის კაპიტალისტურ წარმოებაზე დამოკიდებულების საკითხში. მათ შორის, მასთან კ. კაუცკიც ფიგურირებს, რომელმაც, მისი აზრით, თავისი ნაწარმოებების მეშვეობით გააშუქა ის კაპიტალისტური ეკონომიკური პირობები, რომლებიც დანაშაულს კვებავენ. აქ ის სრულებით აიბნა, სოციალისტი-ფაშისტის, რენეგატი კ. კაუცკის მისამართით გამოთქმულ საკუთარ ქება-დიდებაში და მკითხველს დაუმალა მისი ჭეშმარიტი შეხედულებანი, რომლებიც მიმართულია კლასობრივი ბრძოლის უარყოფასა და კაპიტალიზმის ეკონომიკურ უმწიკვლობაზე: „ამჟამად კაპიტალიზმი წარმომიდგენია, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, გაცილებით უფრო სიცოცხლისუნარიანად, ვიდრე ნახევარი საუკუნის წინ იყო“ – ამბობს კაუცკი (ისტორიის მატერიალისტური გაგება“, ტ. II, გვ. 623), ხოლო ექიმი შენგელაია ბედავს ჩვენს დარწმუნებას იმაში, რომ ის კაპიტალიზმს დამნაშავეობის მიმწოდებლად მიიჩნევს. რაში დასჭირდა ჩვენს ავტორს პროლეტარიატის დიქტატურის დაუდგრომელი მტრისადმი გამოსარჩლება, თუ გულწრფელად ისწრაფვის მარქსისტული მსოფლმხედველობისაკენ?!

რაც შეეხება ეკონომიკური ფაქტორისათვის გაბატონებული მნიშვნელობის მიწერას, ის ჯერ კიდევ ძალზე შორს არის ისტორიული მატერიალიზმისაგან, რომელიც ეკონომიკას განიხილავს როგორც საწარმოო ურთიერთობების ისეთ ერთობლიობად, რომელშიც ადამიანები საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებლად ებმიან, საწარმოო ძალთა გარკვეული განვითარების შედეგად. როგორც ამას მართებულად აღნიშნავდა პლეხანოვი, ეკონომიკური მატერიალიზმი, თუ მას ყურადღებით დავაკვირდებით, არა მხოლოდ არ გამორიცხავს ისტორიულ იდეალიზმს, არამედ უფრო ხშირად მისი მარტივი ნაირსახეობაც კი არის. მაშინ, როცა მატერიალისტი-დიალექტიკოსები ეკონომიკურ ურთიერთობებს საზოგადოებრივი საწარმოო ძალების ფუნქციად მიიჩნევენ, ე.წ. ეკონომიკურ მატერიალისტებს ავიწყდებათ საკუთარი „გაბატონებული“ ფაქტორის ცვალებადობა და მიდრეკილნი არიან, მის ქვეშ ცალკეულ პირთა ინტერესების ერთობლიობა შეიცნონ. თავისთავად ცხადია, რომ დამნაშავეობის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში ამ ეკონომიკურ ფაქტორს, რომელშიც მხოლოდ სიღარიბე, სიღატაკე და არსებობის სხვა ეკონომიკური პირობები იგულისხმება, არავითარი დადებითის მოტანა არ შეუძლია მეცნიერულ-მარქსისტული თვალსაზრისისათვის. აღნიშნული დებულების განსამტკიცებლად ზედმეტი არ იქნება თვით ე. ფერის მაგალითის მოყვანა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თავს ეკონომიკური მატერიალიზმის მიმდევრად თვლიდა, არ ქცეულა დაბრკოლებად, რათა დარჩენილიყო და განემტკიცებინა სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის პოზიციები. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების დიდ მნიშვნელობაზე მრავალი მსჯელობის შედეგად ის არ კარგავდა რა სოლიდარობას თავისი სკოლის მიმართ, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „დანაშაულის ფორმა დამოკიდებულია სოციალურ გარემოზე, ხოლო მის საფუძველს ბიოლოგიური ფაქტორი წარმოადგენს“ („სისხლის სამართლის სოციოლოგია“, გვ. 73). ამასთანავე, ე. ფერი ამაყად ციტირებდა სხვა ავტორებსაც, რომლებიც სავსებით ეთანხმებოდნენ მას აღნიშნულ საკითხში: „სოციალური ფაქტორები წარმმართველი მიზეზებია, ხოლო ანთროპოლოგიური და ფიზიკური ფაქტორები – მოტივაციური მიზეზები“ (იქვე, გვ. 73). ექიმ შენგელაიას, რომელიც ეფუძნებოდა მისი წინამორბედის გამოცდილებას, უფრო უადვილდებოდა იმ უმოკლესი გზის მოძიება, რომელიც მიიყვანდა სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიურ დიაგნოსტიკამდე, თუმცა, ვინაიდან ის თავს მარქსისტად წარმოაჩენს, შეუძლებელია, გზად თავი აარიდოს თავგადასავლებს. ასე, მაგალითად, ნაცვლად მარქსისტული მსოფლმხედველობის ცნობილი დებულებისა იმის შესახებ, რომ „საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, იმ რეალურ ბაზისს, რომელზეც აღიმართება სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი ზედნაშენები და რომელსაც შეესაბამება

საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეული ფორმა“, ის, როგორც ჭეშმარიტი, მაგრამ შებორკილი იდეალისტი, ყოველივე ამას სრულიად განსხვავებულად განმარტავს. სოციალურ-სამართლებრივი ნორმების წარმოშობის ახსნისას მას გაეპარა შემდეგი სენტენცია: „არსებობისათვის ბრძოლის პროცესში, როცა კაცობრიობის ევოლუციის დროს **განმტკიცდებოდა შრომის დიფერენცირების აუცილებლობის შესახებ ცნობიერება** (ხაზგასმა ჩვენია – ა.გ.), თანდათანობით იქმნება გაბატონებული ფენების წარმოშობისათვის ხელშემწყობი პირობები, რომლებიც პირადი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის მიზნით, ამა თუ იმ იდეოლოგიის სახით, უმრავლესობას შესთავაზებენ (? საიდან მოგაქვთ მსგავსი ისტორიული პასაჟები? – ა.გ.) მათთვის სასარგებლო სოციალურ-სამართლებრივ დაწესებულებებსა და ეთიკურ ნორმებს, რომელთა დარღვევა ითვლებოდა და ითვლება დანაშაულად (სტატიათა კრებული, გვ. 22). როგორც ხედავს მკითხველი, „მარქსისტმა“ შენგელაიამ მთელი ჩამოთვლილი სოციალური მაქინის გამოყვანა ინება „შრომის დიფერენცირების აუცილებლობაზე ცნობიერების განმტკიცებიდან“ და, იმავდროულად, მას თავხედობა ყოფნის, ისაუბროს საკუთარ მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისზე. სამწუხარო კი მხოლოდ ის არის, რომ მან თავისი იაფფასიანი ეკონომიზმით შეძლო და საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია კაბინეტის სხვა მეცნიერ-თანამშრომელი – „სოციოლოგი“. ისინი თავიანთი ინტელექტუალური დონით სავსებით შეეფერებიან ერთმანეთს; მათ ერთობლივ მიღწევებზე ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიწევს საუბარი.

ჩვენი ავტორი, რომელმაც მიაღწია ისტორიული მატერიალიზმის ასეთ „მომხიბლავ სიმაღლეებს“, მიისწრაფვის საკუთარი ბიოპათოლოგიური კონცეფციისაკენ. ამისათვის საუკეთესო საშუალებად ის, როგორც ჭეშმარიტი ემპირიკოსი, ირჩევს ეკლექტიზმს, ანუ „იდეალიზმის მატერიალიზმთან უგუნურ არევ-დარევას“ (ლენინი, თხზულებათა კრებული, ტომი X, გვ. 69). დასახმარებლად მან მოუხმო ისევ იმავე ენრიკო ფერის, ციტირებს რა მისი ნაწარმოების შემდეგ ადგილს: „დანაშაულს აქვს საყოველთაო წარმოშობა, მასში ერთდროულად, განსხვავებული ძალებით, მოქმედებენ ბიოლოგიური, ფიზიკური და სოციალური ფაქტორები, და არ არსებობს დანაშაული, სადაც დასახელებული ფაქტორები არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სახით“ (ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა“, გვ. 454). ამ ციტატის საფუძველზე ექიმი შენგელაია მოითხოვს ყველა ამ კომპონენტის თანასწორ შემეცნებას იმ მიზნით, რათა ცენტრალიზდეს მარქსისტული კლასობრივი თეორია და, დანაშაულის ბიოლოგიზაციის გზით, მარქსიზმთან შედარებით უკუსვლა მოახდინოს, სოციალურის ინდივიდუალურამდე დაყვანის სახით. აქვე ჩვენს ავტორს, ერთი ხელის დარტყმით, სურს, დაამსხვრიოს ის, რასაც ლენინი დიდ მიღწევად მიიჩნევდა, როცა ამბობდა: „კლასობრივი ბრძოლის თეორია სოცი-

ოლოგიის ზოგად სწრაფვას ანდობს, ინდივიდუალიზმის ელემენტები სოციალურ წყაროებამდე დაიყვანოს... კლასობრივი ბრძოლის თეორია იმიტომაც იძენს სოციოლოგიისათვის დიდ მნიშვნელობას, რომ, უსრულყოფილეს სიზუსტემდე და განსაზღვრულობამდე ადგენს ინდივიდუალურის სოციალურამდე დაყვანის მიზეზებს“ (თხზულებათა კრებული, ტომი II, გვ. 74-75). იმაში, რომ ექიმი შენგელაია ასეთი უმადური სამუშაოს შესრულებას აპირებს, მკითხველს ადვილად შეუძლია, დარწმუნდეს მისი სტატიის შემდეგი ადგილის მეშვეობით: „თუმცა გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, თითქოს და დანაშაულის ჩადენისას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თვით დამნაშავეს. სრულიად მართებულია, რომ ადამიანი, თავის [მხრივ], წარმოადგენს იმ გარემოს ნაყოფს, სადაც ის ცხოვრობს, თუმცა ის, ამასთანავე, არის ხანგრძლივი ბიოლოგიური განვითარების პროდუქტიც, მასში ჩადებულია ძალზე რთული მექანიზმები და აღნიშნული მექანიზმების შესწავლაც, მათი ნორმალური თუ არანორმალური საქმიანობის არსით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, დამნაშავეობის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების შემეცნებასთან შედარებით“ (იქვე, გვ. 23, ხაზგასმა ჩვენია – ა. გ.). ამრიგად, ფაქტორების თეორიის მეშვეობით, ექიმი შენგელაია უარყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სისტემურ ხედვას და კონსტატირებს რა ბიოლოგიურ ფაქტორებს სოციალური მოვლენის – დანაშაულის ასახსნელად, საბოლოოდ ჩერდება „ნერვული სისტემის მოქმედების მექანიზმის“ გამოაშკარავებაზე. თვალი მივადევნოთ ჩვენი ექიმის მიღწევებს აღნიშნულ სფეროშიც.

ის, როგორც მოსალოდნელი იყო, ანთროპოლოგიური სკოლის შეხედულებათა აღორძინების დროს, რათა გაქარწყლებულიყო [მისი] ნეოლომბროზოელობისადმი [სიმპათიის] ეჭვი, შეეცადა, განდგომოდა აღნიშნული მიმართულების არასავალდებულო მომენტებს. „რა თქმა უნდა, – ამბობს ის, – ლომბროზოს მხრიდან იურისპრუდენციის მიმართ მკვეთრმა რეფორმატორულმა შეტევამ (კარგია, რომ არ ამბობს – რევოლუციურმაო – ა.გ.), შესაბამის წრეებში მოცემული დისკუსია გამოიწვია და, სხვათა შორის, ლომბროზოს მრავალი ძირითადი დებულება, მაგალითად, განსაკუთრებული დამნაშავე ტიპის არსებობის შესახებ მოძღვრება (...)[1] უარყოფილ იქნა“ (ჟურნალი „თანამედროვე მედიცინა“, გვ. 453). ამრიგად, მსგავსი იდეალისტური, და, მაშასადამე, ბურჟუაზიული მიმართულების წინააღმდეგ წარმართული კრიტიკის შედეგად ექიმი შენგელაია მიდის მხოლოდ ისეთი ძირითადი დებულებების უარყოფამდე, როგორებიც არის განსაკუთრებული დამნაშავე ტიპის არსებობა, და ხელუხლებლად ტოვებს მის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს –

[1] დედანში ტექსტი არ არის მითითებული და ცარიელი ადგილია დატოვებული [რედ.]. უნდა იყოს მითითებული – Homo deliquente – homo deliquens [რედ.].

ლომბროზოელთა სკოლისას. შემდეგ კი, თვით ლომბროზოს მეცნიერული ღირებულების აღორძინების მიზნით, ის მისი მისამართით შემდეგი ხასიათის პანეგირიკს აფრქვევს: „ლომბროზოს [უდიდესი დამსახურება] კაცობრიობის წინაშე ისაა, რომ მან შეიტანა დეტერმინიზმის ცნება სისხლის სამართლის უფლებაში (აქ ავტორი, ისევე, როგორც სტატიის სხვა ადგილებში, აშკარად უმეცრად იყენებს ტერმინებს; სისხლის სამართლის სახელწოდებისათვის იყენებს ისეთ ქართულ სიტყვას, რომლითაც, ჩვეულებრივ, აღინიშნება სამართალი სუბიექტური არსით, ამიტომ აღნიშნული ადგილის მართებული თარგმანი სრულიად შეუძლებელია – ა.გ.) და დააყენა დამნაშავე ტიპის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობისათვის საკითხი“ (იქვე, გვ. 453). აქ სრულიად აშკარად ჩანს ჩვენი ავტორის ტენდენციურობა იტალიელი პროფესორის მიმართ, რომლის მექანიკური დეტერმინიზმი არაფრით შეიძლება ჩაითვალოს „კაცობრიობის წინაშე უდიდეს დამსახურებად“. ის, ჩვეულებისამებრ, სრულიად ივიწყებს დიალექტიკური მატერიალიზმის უდიდესი წარმომადგენლების მნიშვნელობას – სოციალური მეცნიერებების მართებულ სამეცნიერო საწყისებზე დაყენების საქმეში, რომელ საკითხთან დაკავშირებითაც ენგელსი, კაცობრიობის წინაშე საკუთარი დამსახურების გადამეტების გარეშე, ამბობდა: „მარქსი და მე ერთადერთი ვიყავით, რომლებმაც გერმანული იდეალისტური ფილოსოფიიდან გადავარჩინეთ შეგნებული დიალექტიკა, გადავიყვანეთ ის ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტურ შემეცნებაზე“ (ენგელსი, ანტიდიურინგი, წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის, გვ. 6). შესაძლოა, ეს ექიმ შენგელაიასათვის სრულებით გაუგებარი სიახლეა, მაგრამ მაშინ ვის რაში სჭირდება მისი ძველმანები, რომლებსაც მხოლოდ მისი საკუთარი პერსონისათვის შეუძლიათ კმაყოფილების მოტანა.

ხოლო, რაც შეეხება სამართალდამრღვევის მეცნიერულ შემეცნებას, ამ სფეროში ლომბროზოს მიმართ, დამსახურების ნაცვლად, მხოლოდ და მხოლოდ საყვედურის თქმა შეიძლება სისხლის სამართალში დიდი სირთულეების შექმნის გამო, ვინაიდან მან დანაშაულის სოციალური არსის შეცნობა საზოგადოებისაგან იზოლირებული ინდივიდების მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტებამდეღა დაიყვანა. მსგავსი თვალთახედვის მიდგომით სოციალური რიგი სრულიად აუხსნელი რჩება და მოუხელთებელი შინაგანი განწყობის შემეცნებაზე გამოკიდებით კვლავ და კვლავ სრულდება ბურჟუაზიული დაკვეთა, რომელიც სოციალური მოვლენების კლასობრივი ანალიზის დავიწყებაშია. ამ საკითხზე მარქსი ამბობდა: „ადამიანის არსი საზოგადოებრივი ურთიერთობებია... საზოგადოებრივი მეცნიერებანი სწავლობენ არა ცალკეულ ადამიანს, არამედ საზოგადოებრივ-კლასობრივი ურთიერთობების სისტემას“. თუმცაღა ექიმ შენგელაიასათვის ამ დებულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და დამნაშავეობის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში

ის ბიოლოგიურ-პათოლოგიური კონცეფციის მითითებებს ფეხდაფეხ მისდევს. ის მთლიანად ჩაფლულია იმის გარკვევაში, თუ რა არის ჩადებული „ადამიანის პიროვნებაში“, თუმცა თავის საქმიანობაში იმდენად ცუდად ოპერირებს ბუნებით-სამეცნიერო მეთოდით, რომ მისი შედეგები კარგს არაფერს მოასწავებენ არა მხოლოდ სოციალური ანალიზის, არამედ ანთროპოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევისათვისაც კი. სრულიად ტყუილად განიზრახა [შენგელაიამ] საბჭოთა საქართველოში [საკუთარი] კრიმინოლოგიური მრწამსის გათრევა.

ექიმმა შენგელაიამ საკუთარი ანთროპოლოგიურ-ბიოლოგიური კვლევის „დადებითი შედეგების“ დემონსტრირებისათვის მოიყვანა დასკვნები, რომლებიც მან მიიღო 38 დამნაშავეზე დაკვირვების საფუძველზე. 1925-იდან 1927 წლამდე ეს დაკვირვებები მიმდინარეობდა მხოლოდ დამნაშავე ადამიანის ტიპის შემეცნების მიზნით, სხვადასხვა ავადმყოფურ და ანატომიურ კონსტრუქციაზე დამოკიდებულებით.

აღნიშნული სამეცნიერო ექსპერიმენტის არც რაოდენობრივი და არც ხარისხობრივი მხარეები არ გვაძლევენ უფლებას თუნდაც იმ ნაჩქარევ, ჭეშმარიტებასთან შეუსაბამო დასკვნებზე, რომლებიც ექიმმა შენგელაიამ გააკეთა. ეს დამნაშავეები სრულიად ზედაპირულად არიან შესწავლილი მათი ასაკის, ეროვნების, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, პროფესიის, საცხოვრებელი ადგილის, ავადმყოფობისა და კონსტიტუციის ფორმის თვალსაზრისით. ავტორი, რომელიც სრულებით არ აანალიზებს იმას, თუ რა ხარისხით განსაზღვრავენ ეს მომენტები დანაშაულის ხასიათს, ჩქარობს, აგოს თვითნებური ტაბულები, რომლებიც მიუთითებენ ცალკე აღებული დამნაშავის მიერ [ჩადენილი] დანაშაულის ცალკეულ სახეს, ავადმყოფობის ფორმასა და ანატომიურ კონსტრუქციას შორის რაოდენობრივ დამოკიდებულებაზე. მას ასეთი ორი ტაბულა აქვს, რომელთაგან პირველი შემდეგი სახელწოდებითაა შემუშავებული: „ავადმყოფობის ფორმა და დანაშაულის ხასიათი“. აქ ექიმ შენგელაიას ჩამოთვლილი აქვს ავადმყოფობის თორმეტი ნაირსახეობა, აგრეთვე, შემდეგი სახის დანაშაული: მკვლელობა, პოლიტიკური ხასიათის დანაშაული, ბანდიტიზმი, სქესობრივი დანაშაული, მკვლელობისთვის წაქეზება, ყაჩაღობა, ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ქურდობა, გაყალბება, კონტრაბანდა, დეზერტირობა და გაფლანგვა. მეორე ტაბულა ეხება დამნაშავის ანატომიური კონსტრუქციისა და სისხლის სამართლის ზემოჩამოთვლილი დანაშაულის სახეების ურთიერთდამოკიდებულებას და შეიცავს ისეთი კონსტიტუციური ფორმების ჩამონათვალს, როგორებიცაა: ასთენიკური, ათლეტური, პიკნიკური და სხვ. 38-ვე შესწავლილი დამნაშავის ტაბულის გარკვეულ გრაფიკებში განთავსებით ავტორი არც შეეცადა, თუნდაც ერთი სიტყვით განემარტა, დანაშაულის ხასია-

თის განსაზღვრისათვის თუ რა მეცნიერული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმ დებულებას, რომ დამნაშავეთაგან, რომელთაც აქვთ (...)[1] მკვლელობა ჩაიდინა მხოლოდ ერთმა, ხოლო დეზერტირობა – რვამ. იგივე უნდა ითქვას იმ მოვლენასთან მიმართებით, რომ ასთენიკური კონსტიტუციის დამნაშავეთა შორის მკვლელობა ჩაიდინა 6-მა დამნაშავემ, ხოლო დეზერტირობა – მხოლოდ ერთმა. მიუხედავად ასეთი სამეცნიერო ანალიზის არარსებობისა, ექიმი შენგელაია, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ასკვნის შემდეგს: „ამ ტაბულებში უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, საიდანაც ჩანს, რომ დამნაშავეთა ოდენობა, როგორც ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ისე რაოდენობის კუთხით, ჭარბობს პირველ სამ კონსტიტუციურ ტიპთან მიმართებით, ანუ შიზოიდურ ჯგუფში და რომ პიკნიკური ტიპები, ციკლოიდური ჯგუფი წარმოდგენილი იყო მხოლოდ 7 შემთხვევით. დაკვირვებათა არასაკმარისი რაოდენობა (თითქოსდა აქ არც ხარისხობრივი ნაკლოვანებები ყოფილიყოს – ა.გ.), არ გვაძლევს კატეგორიული მსჯელობის უფლებას, თუმცა ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მასალებით სავსებით მართლდება კრე[ჩ]მერის[2] თვალსაზრისი და შემეცნება ორივე ჯგუფის თითქმის საპირისპირო, თავისებური სოციალური დებულების შესახებ“ (იქვე, გვ. 458). მიუხედავად სტილისტური უმეცრებისა, რაც სრულებით გვართმევს შინაარსის გაგების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ციტატის ბოლო ნაწილისა, ადვილი მისახვედრია, რომ ავტორმა აქ საკუთარი კრიმონოლოგიური დებულებების, არალომბროზოსეული ხასიათი გამოავლინა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას მისი ბრმა რწმენა კრე[ჩ]მერის თვალსაზრისისადმი, რომელიც დანაშაულებრიობის ფსიქიატრიული დახასიათებულობის მიზნით სპეციფიკურ კავშირს ადგენდა ფსიქონევროზსა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათს შორის.

---

[1] დედანში აკლია არსებითი სიტყვა [მთარგმნელი].

[2] **ერნსტ კრეჩმერი** (1888-1964) – გერმანელი ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, სხვადასხვა ფსიქიატრიული დაავადების, აგრეთვე, ტემპერამენტის ტიპის მქონე ადამიანთა სხეულის აგებულების ტიპის ტიპოლოგიის ფუძემდებელი. კრეჩმერის ნაშრომთა შორის (ასეთი კი 150-ზე მეტია) განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის სხეულის აგებულებისა და ხასიათის თანაფარდობის საკითხს. 20-იანი წლების დასაწყისში ის განსაკუთრებულ შემოქმედებით აღმავლობას განიცდის; ამ პერიოდში გამოიცა მისი საქვეყნოდ ცნობილი ნაშრომი „სხეულის აგებულება და ხასიათი“, რომელშიც 200-ამდე ავადმყოფის მიმართ ჩატარებული გამოკვლევაა აღწერილი. სხეულის ნაწილების თანაფარდობის მრავალრიცხოვანი გამოთვლების საფუძველზე კრეჩმერმა გამოყო ადამიანის სხეულის აგებულების სამი ძირითადი ტიპი: ა) ასთენიკური (გერმ. Astenischer Habitus, ძვ. ელინ. ἀσθενής „სუსტი“); ბ) პიკნიკური (გერმ. Pyknischer Habitus, ძვ. ელინ. πυκνός „ბრგე, მსხვილი“); გ) ათლეტური (გერმ. Athletischer Habitus, ძვ. ელინ. ἀθλητικός „მებრძოლებისათვის, ათლეტებისთვის დამახასიათებელი“ [მთარგმნელი].

თუმცაღა, ექიმი შენგელაია, რომელმაც მსგავსი წარუმატებლობა განიცადა დანაშაულებრიობის ახსნის ფსიქონევროლოგიური მიზეზების საქმეში, მაინც, ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენს ძველ ლომბროზიანურ დებულებებს და საკუთარი მომავალი დაკვირვებებისათვის ფიქრობს, დამნაშავის მიმართ ისეთი შეხედულებიდანაც კი ამოვიდეს, რომელიც მას „კაცობრიობის განსაკუთრებულ ჯიშად“ წარმოადგენს. ის ამბობს: „ძირითადი საკითხის გასარკვევად ეს არ კმარა (იგულისხმება ზემოაღნიშნული დაკვირვებანი – ა.გ.), რადგან იმ სუბიექტთა დიდ პროცენტი, რომლებიც კონფლიქტში მოდიან კანონთან, შესუსტებული სოციალური აკომოდაციით, ემოციური და მორალური დეფექტებით, თუმცა შედარებით უკეთესი ინტელექტის მქონე, არასრულფასოვან პიროვნებებს წარმოადგენენ“ (იქვე, გვ. 459. ხაზგასმა ჩვენია – ა.გ.). ამით, ცალსახად, ლომბროზიანური სიტყვაა ნათქვამი, რომელიც ყველა დამნაშავეს სოციალურად, ემოციურად და მორალურად დეფექტურ [პიროვნებად] აცხადებს, [რითაც] უარყოფს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებისადმი კლასობრივ მიდგომას. აღნიშნული ფაქტიდან, აგრეთვე, გამომდინარეობს თვით დანაშაულებრიობის ისტორიულად ცვალებადი ცნების უარყოფაც, მაშინ, როცა ის, რაც სოციალურად არასრულყოფილების შედეგია კაპიტალისტური საზოგადოებისა და ბურჟუაზიის თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს თავდადებისა და გმირობის მაგალითად, სოციალისტური საზოგადოების აღმშენებელი პროლეტარიატის თვალსაზრისით. გამომდინარე იმავე შეხედულებიდან, რასაც ექიმი შენგელაია გამოხატავს, სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლებიც მათ თანამედროვე რევოლუციონერებს ამორალურ და დეფექტურ [პიროვნებებად] აცხადებდნენ. ასე, მაგალითად: ლომბროზომ თავის ბროშურაში – „ანარქისტები“ – იმის ნაცვლად, რომ გადმოეცა წვრილბურჟუაზიული ანარქისტული მოძრაობის სოციალურ-კლასობრივი ახსნა, მთელი თავისი კვლევა, ბაკუნინისა და ანარქიზმის სხვა მსგავსი, ცალკეული ლიდერების მემკვიდრეობითი და შეძენილი დეფექტურობის გამოვლენამდე დაიყვანა და ამაში პოვა აღნიშნული მოძრაობის მიზეზები. თავის მხრივ, ე. ფერიმ ყველა ტერორისტული აქტი, რომელიც ფაშისტი დიქტატორის – მუსოლინის წინააღმდეგ იყო წარმოებული, ჩამდენთა ბიოლოგიური არასრულყოფილებით ახსნა, რითაც დაიფარა მისი ბატონის მიერ დაცული სოციალური სტრუქტურა. ავტორი ცდილობს, ამგვარადვე ახსნას ჩვენს ქვეყანაში არსებული, კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების კლასობრივი წინააღმდეგობა და ამით შეგნებულად დაფაროს სოციალისტური მიღწევებით გაცოფებული, ჩვენი მტრების კლასობრივი მიზანი. ასეთ შემთხვევაში სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ მას აღნიშნულ მოძღვრებაში გარკვეული სიახლის შემოტანა დასჭირდა თავისი რეაქციული ლოზუნგის სახით: „საზოგადოებამ არ უნდა დაკარგოს არც ერთი

თავისი წევრი“ (იქვე, გვ. 459). მაშინ, როცა მისი წინამორბედნი, გამომდინარე საკუთარი კლასის ინტერესებიდან, არ უარყოფდნენ გადამჭრელი ზომების მიღებას ამგვარი „დეფექტური“ დამნაშავეების წინააღმდეგ; ექიმი შენგელაია [კი], იმავე კლასის ინტერესების [გათვალისწინებით], თუმცა, საბჭოთა სინამდვილის პირობებში, უფრო ჰუმანურად არის განწყობილი. ვფიქრობთ, ჩვენი ავტორი რაღაც ძალზე შემწყნარებელია მისი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ.

აქედან სრულიად ნათელი ხდება, თუ რატომ უნდა მოვეპყროთ უდიდესი უნდობლობით იმ ექსპერტიზას, რომელიც, თვით შენგელაიას სიტყვებით, წარმოებულ იქნა ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის პროფესორების მიერ, პროფესორ ასათიანის[1] ხელმძღვანელობით, რომლის შედეგად, 26 შემთხვევაში ბრალდებისგან გათავისუფლდა ავადმყოფად მიჩნეული 17 დამნაშავე (იქვე, გვ. 458).

როგორც ამის შესახებ ვუთითებდით, სოციალური მოვლენების ლომბროზიანური განმარტება და, კერძოდ, დანაშაული თავისი ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლებით, მათ მიერ კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის მნიშვნელობის დამტკიცებას ემსახურება. ამ მიზნით ბურჟუაზიული მოაზროვნეები შემდეგი სახის ცრუმეცნიერულ, ბურჟუაზიული თვალთმაქცობით აღსავსე, ეკვილიბრისტიკას ახორციელებენ: ისინი, ერთ მხრივ, სოციალური მოვლენების ბიოლოგიზაციას ახდენენ, ფორმალურად მიჯნავენ მათ კლასობრივი საზოგადოებისაგან და ამ გზით – კაპიტალიზმისგანაც, [მიჯნავენ] მისთვის დამახასიათებელ სოციალურ გაუგებრობებს; მეორე მხრივ კი ამ-

---

[1] **მიხეილ მიხეილის ძე ასათიანი** (1882-1938) – ქართველი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი, მეცნიერული ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1907 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო იმავე უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრაზე. 1911 წელს თავის მასწავლებელ პროფ. ვ. სერბსკისთან ერთად დატოვა უნივერსიტეტი განათლების მინისტრ კასოს რეაქციულ მოქმედებათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მუშაობდა მოსკოვის ნევროფსიქიატრიულ სანატორიუმში. 1917 წელს მ. ასათიანი აირჩიეს მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტად. 1920-1938 წლებში მუშაობდა თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტის (1930-იდან საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის) ფსიქიატრიის კათედრის გამგედ. ერთდროულად, 1925 წლიდან გარდაცვალებამდე, ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით დაარსებულ ფსიქიატრიის ინსტიტუტს, რომელსაც 1948 წელს მისი სახელი მიენიჭა. აღსანიშნავია ასათიანის გამოკვლევები ფსიქიატრიის აშლილობათა ფიზიოლოგიის მექანიზმების დასადგენად. ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ფსიქიატრიაში მოძღვრება პირობითი რეფლექსების შესახებ. მასვე ეკუთვნის ფსიქოთერაპიის ორიგინალური ე.წ. „რეპროდუქციულ განცდათა“ მეთოდი. დაწვრილებით იხ. გობრონიძე ე., პროფესორ მ. ასათიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 11-12, 1963, 525-540 [რედ.].

ტკიცებენ ამ გაუგებრობების აუცილებლობას ყველა სახის საზოგადოებრივ-სამეურნეო ფორმაციებისათვის, რითაც ისინი, ფაქტობრივად, აღნიშნული მოვლენების მატარებელთა საუკუნოდ დამკვიდრებისაკენ ილტვიან. საზოგადოებრივ მეცნიერებებში საკითხის ასეთი ბიოლოგიური დაყენების წინააღმდეგ გამოთქვამდა აზრს ლენინი და უწოდებდა მათ „სრულებით ყალბს“. ბოგდანოვის წინააღმდეგ პოლემიკის დროს ის ამბობდა: „ნუთუ შეიძლება წარმოიდგინო რაიმე უფრო უნაყოფო, მკვდარი, სქოლასტიკური, ვიდრე არის ამგვარი ბიოლოგიური და ეკონომიკური სიტყვების აკინძვა, რომლებიც სრულებით არაფრის მომცემია საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში... ზოგადად, ბიოლოგიური ცნებების გადმოტანა საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში არის ფრაზა, თუმცა, როგორც უკვე იცის ჩვენმა მკითხველმა, ასეთი შენიშვნებით შეუძლებელია ექიმ შენგელაიას შეცბუნება, მის ლტოლვაში, დაამტკიცოს კლასობრივი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით – კაპიტალისტურისათვის დამახასიათებელი, ერთ-ერთი მოვლენის – დანაშაულის არსებობის ურყევობა. ანკეტისათვის გაკეთებულ თავის განმარტებით ბარათში, რომლის შესახებაც ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, ყოველგვარი უკუთქმის გარეშე, ის შემდეგნაირად კიდევ იმეორებს ზემოჩამოთვლილი ლომბროზიანური შეხედულებების გავრცობას: „სამართალდამრღვევთა კონტინგენტი, როგორც ეს ემპირიულად არის დადასტურებული, შედგება კონსტიტუციურად არასრულყოფილი პირებისაგან“. აქ ჩვენი ავტორი, ჯერ ერთი, გამოდის ცრუ, არავის მიერ დადგენილი ფაქტურის ემპირიული წინაპირობიდან, და, მეორეც, შეცდომით ამტკიცებს, რომ დამნაშავეთა შორის დიდი ოდენობის კონსტიტუციურად არასრულყოფილი პირების არსებობის მიზეზი არის თვით მათი ბიოლოგიური მსჯელობა. ამ მოვლენის ჭეშმარიტი მიზეზი კი უნდა ვეძიოთ ბურჟუაზიის მიერ ექსპლუატირებული მშრომელთა [მასების]სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

ყოველივე ზემომოყვანილით ექიმი შენგელაია გულმოდგინედ და ურყევად ემსახურება სწორედ იმ მიზანს, რომელიც დამნაშავეობის გაქრობის შეუძლებლობის დამტკიცებას გულისხმობს. ამ საკითხში ის ყველა ბურჟუაზიული მიმდინარეობის წარმომადგენლებთან უნისონში გამოდის. ასე, მაგალითად: პროფ. პოზნიშევი[1], ანალოგიური არგუმენტაციის მეშვეობით, იმ შედე-

[1] **სერგეი ვიქტორის ძე პოზნიშევი** (1870-1943) – ცნობილი რუსი იურისტი და ფსიქოლოგი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი. სერგეი პოზნიშევი 1890-1894 წლებში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით, 1898-1901 წლებში საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრაზე, 1900 წელს ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები სისხლის სამართალში, 1901 წლის მარტში – სისხლის სამართლის პროცესსა და საპოლიციო სამართალში. 1902 წლის

გამდე მიდის, რომ დანაშაული მუდმივი მოვლენაა, და ამიტომაც დიდად აქებს „სოციალისტური“ მიმართულების იმ მოაზროვნე მწერლებს, რომლებიც, ანტონ მენგერის[1] მსგავსად, თავის სამომავლო იდეალებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასაც უთმობენ ადგილს. პროფ. პოზნიშევი ამბობს: „შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ საზოგადოებაში, თუნდაც შორეული მომავლისა... ჩაიხშობა ვნებები და გაქრება მორალური და გონებრივი დეფექტიანობა, მის ყველა მრავალფეროვნებაში. ხოლო, თუ ყოველივე ეს არ გაქრება, დარჩება დანაშაულიც“ (სისხლის სამართლის საფუძვლები, გვ. 163). გამომდინარე თვით კაპიტალისტური სისტემის მუდმივობის პრინციპიდან, მსგავსი დასკვნა არის სავსებით ბუნებრივი და ამიტომაც სრულებით არ გვიკვირს, რომ მას ერთგვაროვნად აღწევენ სისხლის სამართლის განსხვავებული სკოლები. აი, რას ამბობს ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობი-

---

იანვრიდან სერგეი პოზნიშევი მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის პოზიციას იკავებდა, 1905 წლის მაისში კი წმ. ვლადიმირის სახელობის კიევის უნივერსიტეტში მან დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე – „Основные вопросы учения о наказаниях“, ხოლო 1906 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „Религиозные преступления с точки зрения религиозной свободы“, რის საფუძველზეც მიანიჭეს სამართლის დოქტორის ხარისხი სისხლის სამართალში. ამ დროიდან სერგეი პოზნიშევი ექსტრაორდინარული პროფესორია, ხოლო 1910 წლიდან – ორდინარული პროფესორი, 1915-1917 წლებში – მოსკოვის უნივერსიტეტის პრორექტორი. ამ პერიოდის განმავლობაში პოზნიშევი აწარმოებს აქტიურ სამეცნიერო მუშაობას, რეგულარულად აქვეყნებს ნაშრომებს იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. გაეცნო ბელგიის, საფრანგეთის, ავსტრიის, უნგრეთისა და შვეიცარიის გამოცდილებას, აქვეყნებს ნაშრომებს ბელგიის, უნგრეთისა და შვეიცარიის ციხეებზე. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მან განაგრძო პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა მოსკოვის უნივერსიტეტში. საბჭოთა რეჟიმისადმი პროფესორ პოზნიშევის ერთგულების მიუხედავად, მან არ მიიღო მარქსიზმის იდეა, არ გახდა მარქსისტი და ამასთან დაკავშირებით ცნობილია მისი განცხადება: „Я не марксист. Я никогда им не буду“. პროფესორ პოზნიშევს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუცვლია შეხედულება. მან განსაზღვრა თავისი იდეები, როგორც სისხლის სამართლის კლასიკური, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური მიმართულებების სინთეზი და უწოდა მათ ეთიკურ-სოციოლოგიური მიმართულება [რედ.].

[1] **ანტონ მენგერი** (1841-1906) – ავსტრიელი იურისტი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი. მენგერის ძირითადი ნაშრომია „სახელმწიფოს შესახებ ახალი მოძღვრება“ (1902), რომელიც მიეძღვნა ახალი ტიპის სახელმწიფოს – სოციალისტურს (ნაშრომში ის „სახალხო შრომით სახელმწიფოდ“ არის მოხსენიებული). მენგერის მიზანი იყო სოციალისტური სახელმწიფოს განმარტება იურიდიული ცნებების გამოყენებით. მეცნიერის აზრით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოციალისტური იდეები აღარ იქნება ურიცხვი ეკონომიკური და ფილანტროპული მსჯელობის საგანი და გარდაიქმნება საღი აზრის მქონე იურიდიულ ცნებებში, სახელმწიფო მოღვაწეები შესძლებენ იმის განსჯას, თუ რა მოცულობით „არსებული იურიდიული წესწყობილება შეიძლება გარდაიქმნას ჩაგრული კლასების ინტერესების სასარგებლოდ“ [მთარგმნელი].

ლი კრიმინალისტი-კლასიკოსი – ტაგანცევი[1]: „მთავრდება სისხლიანი ომები, ჩუმდება ხალხი, თუმცა არ უჩანს ბოლო კაცობრიობის ბრძოლას ამ წვრილმან, მაგრამ დაუმარცხებელ მტერთან (დანაშაულთან – ა.გ.), და ვერც წარმოვიდგენთ იმ დროს, როცა სახელმწიფოს დამსჯელი ხელისუფლება თავის მახვილს გუთნად გადაადნობს და დამშვიდდება სამყაროში“. აღნიშნული უსწორო ნააზრევის მიზეზი ისაა, რომ დანაშაული, როგორც სოციალური მოვლენა, ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებს არ გამოჰყავთ თვით კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ურთიერთობებისაგან. სრულებით განსხვავებულ შედეგს ვიღებთ, როცა აღნიშნულ პრობლემას ვუდგებით ერთადერთი მართებული – მარქსისტული სოციოლოგიის დახმარებით. ეს საკითხი ლენინმა შემდეგნაირად გადაჭრა: „იმ ექსცესების ძირეული სოციალური მიზეზი, რომლებიც თანაცხოვრების წესების დარღვევით გამოიხატება, არის მასების ექსპლუატაცია, მათი გაჭირვება და სიღატაკე. ამ მთავარი მიზეზის აღმოფხვრით ექსცესები უცილობლად დაიწყებენ „გადაშენებას“ (თხზულებათა კრებული, ტომი XXI, გვ. 432).

აღნიშნული შეხედულების მართებულობა გამომდინარეობს გარდამავალ პერიოდში სოციალისტური აღმშენებლობის მთელი მიმდინარეობიდან და, განსაკუთრებით, მისი განვითარების იმ ეპოქაში, როცა „ვინ-ვის“ პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა სოციალიზმის სასარგებლოდ. ხოლო ექიმ შენგელაიას მტკიცება დანაშაულის მუდმივობის თაობაზე არის მოყვანილი ბურჟუაზიული მოაზროვნეების პერიფრაზი და სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე ჩვენი მიღწევების არასათანადო შეფასებაა. აშკარაა, რომ ბურჟუაზიამ არათუ ვერ შეძლო, არამედ არც კი ისურვა იმ დროის წარმოდგენა, როცა მშრომელთა მრავალი დამმონებელი ხერხი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სასარგებლოდ უტილიზებულ ნედლეულად წავიდა.

---

[1] **ნიკოლოზ ტაგანცევი** (1843-1923) – რუსი იურისტი, კრიმონოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე. 1862 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დარჩა სისხლის სამართლის კათედრაზე. 1867-1882 წლებში ასწავლიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის სასწავლებელსა და ალექსანდრეს ლიცეუმში. ტაგანცევმა 1867 წელს დაიცვა მაგისტრის დისერტაცია თემაზე: „დანაშაულის გამეორების (რეციდივის) შესახებ“. 1870 წელს, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, თემაზე – „სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რუსული სამართლის მიხედვით“ – მიენიჭა სისხლის სამართლის დოქტორის ხარისხი. ტაგანცევი იზიარებდა ლიბერალურ შეხედულებებს: 1877-1878 წწ.-ში გამოდიოდა ადვოკატად პოლიტიკურ „193-ის პროცესზე“, რომელშიც საქმის ფიგურანტი იყო 40-ზე მეტი პენზელი ხალხოსანი. თანმიმდევრულად იცავდა სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნის იდეას. ტაგანცევის ძირითადი ნაშრომებია: Курс русского уголовного права (3 т., Санкт-Петербург, 1874-1880); Лекции по русскому уголовному праву. Часть общая (вып. I-IV, Санкт-Петербург, 1887-1892; то же, Санкт-Петербург, 1895); Великое княжество Финляндия (СПб., 1910) [მთარგმნელი].

თუმცა ნეოლომბროზიანელი არ კმაყოფილდება მხოლოდ თეორიული განსჯებით და, ზემომოყვანილი დებულებების თვალსაზრისითა და საკუთარი ამოცანების რეალიზების მიზნით ამუშავებს ანკეტას – „სახელმწიფო კრიმინოლოგიური კაბინეტისათვის“. ეს ანკეტა სრულიად მოკლებულია რაიმე მეცნიერულ მნიშვნელობას – ადამიანის ანთროპოლოგიურ-ბიულოგიური შემეცნების აზრით და, საკუთარი ანეკდოტურობის ხასიათით, ემსახურება მხოლოდ ბულვარული ლიტერატურისათვის მასალის შეგროვებას. აქვე, ისევე, როგორც ზემომოყვანილ კლინიკურ დაკვირვებებში, ილუზორულ ბუნებით-მეცნიერული მეთოდის საფარქვეშ ექიმმა შენგელაიამ სიმძიმის ცენტრი გადაიტანა თვით დამნაშავის გულუბრყვილო დაკითხვებზე და დაკავდა უპატიებელი ხელოვნური გამარტივებით. ეს, უდავოდ, არ შეიძლება იყოს ის ფასეული ღვაწლი, რომელსაც შეეძლება ემსახუროს საპატიმრო ადგილების მიზანშეწონილი მოწყობის საქმეს და არ ამართლებს მათ მიმართ გაწეულ ხარჯებს. ის არის სოლიდური მოცულობის 36-გვერდიანი რვეული და შემუშავებულია, როგორც ამის შესახებ ითქვა, ექიმი შენგელაიას ლომბროზიანური შეხედულებებისადმი მისადაგებით. ამიტომ ავტორმა შესაძლოა, შეგვიპირისპიროს, რომ ამ შემთხვევაში, [მან] მხედველობაში მიიღო მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებების მომსახურება, [მაგრამ აღნიშნული] თავიდანვე პარალიზებული იქნება და არ ექნება რაიმე სარწმუნო მტკიცების მნიშვნელობა. ამ ანკეტის ყველა განყოფილება: სოციალური შემეცნება, ანალიტიკური მონაცემები, სომატიკური სფერო, ანთროპოლოგიური კვლევა, ფსიქიატრიული დებულებანი და ფსიქიატრიული გამოკვლევები ხელოვნურად არის მისადაგებული სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიური სკოლის შეხედულებებთან. სხვაგვარად, ანთროპოლოგიურ კვლევაში ჩვენთვის სრულებით გაუგებარი დარჩება შემდეგი საკითხების დაყენება: თმების ფორმა, ხშირი, საშუალო, თხელი; წარბების სიგრძე, შუბლსა და საფეთქლებთან შეერთებული; ცხვირის ძირის მდებარეობა, ცხვირის სიგრძე; სახის ფორმა, სახის პროფილი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური; ზედა ტუჩი, სიმაღლე, პროფილი, ტუჩების სისქე; ყურების ფორმა და ა.შ., აშკარაა, რომ ამ საკითხების დაყენებით, რომლებიც საინტერესოა მხოლოდ კრასინის ინსტიტუტების საქმიანობისათვის, ექიმ შენგელაიას სერიოზულად [უნდა] ეფიქრა საპატიმრო ადგილების რაციონალიზაციის თაობაზე. ანკეტის ავტორის ძირითადი მიზანი დამნაშავის ფიზიონომიის შესწავლაა, იმ მიზნით, რომ მოხდეს დამნაშავე ტიპის დიაგნოსტირება. ამ მომენტს, როგორც ცნობილია, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ე. ფერიც; სწორედ ამ გარემოებით აიხსნება მითითებული ფიზიონომიური დეტალების გამოვლენისადმი ექიმ შენგელაიას ძალზე ფრთხილი მიდგომა. ისევ იმავე ბიოლოგიურ-ანთროპოლოგიური კონცეფციის თვალსაზრისით, ანკეტის მოცემულ განყოფილებაში წამოყენე-

ბულია კრანოსკონიური საკითხები, რომლებიც მას ძალზე არქაულ ხასიათს სძენენ. ისინი შემდეგ [საკითხებამდეა] დაყვანილი: თავის ქალის ფორმა: ხუთკუთხა, კვერცხისებრი, ელიფსისებური, სოლისებრი, მომრგვალო, თავის ფორმულა აბსოლუტური ზომების მხრიდან; თავის შეფარდებითი სიგრძე და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა მიმართ დიფერენცირებული მიდგომის თვალთახედვით, ისინი მთლიანად წარმოაჩენენ ლომბროზიანულ ინტერესს დამნაშავის თავის ქალის გამოკვლევის მიმართ, რომლის საფუძველზეც დგინდება დამნაშავე ტიპის ანატომიური თავისებურებების სიმრავლე. ასე, მაგალითად, ლომბროზო ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნულ მომენტს, რომელმაც მას საშუალება მისცა, შუა საუკუნეების პერიოდის დამნაშავეთა თორმეტი თავის ქალაში იმავე სახის ანომალიები აღმოეჩინა, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ თანამედროვე სამართალდამრღვევთა თავის ქალაში. როგორც ჩანს, თავის ქალა მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ავტორს.

დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობის შემეცნების განყოფილებაში ანკეტა განავრცობს იმ მასალას, რომელიც კრამერის[1] თვალსაზრისის დასაბუთებას ემსახურება, რომლის შესახებაც, ვფიქრობთ, ახსოვს მკითხველს, რომ ექიმ შენგელაიას თვალში მართებულად მიიჩნეოდა, მიუხედავად მისი დასაბუთებულობისათვის აუცილებელი მასალის სიმწირისა. ზუსტად ისევე, როგორც ექიმ შენგელაიას სტატიაში, აქაც წამოყენებულია საკითხი დაპატიმრებულის „სოციალური მოთხოვნის“ შესახებ, რაღაც უხილავი შინაგანი განწყობილების თვალთახედვის გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი შემდეგ პუნქტებად იყოფა: ა) თავისუფლების აღკვეთამდე პერიოდი: გართობა, ასოციალურობა, ხარისხი და სახეობები; ბ) როგორია მისი დამოკიდებულება სხვა დაპატიმრებული მეგობრების, ზედამხედველების მიმართ. ანკეტაში შემავალი ამ პუნქტების გაცნობის შემდეგ არავითარ ეჭვს არ იწვევს მისი შემდგენლების „ღრმა სერიოზულობა“, ისევე, როგორც მათით მოსარგებლეებისა. მაგალითისათვის მოვიყვანთ ანკეტა №3860-ს, სადაც ვკითხულობთ: „ურთიერთობა სხვა პატიმრებთან კარგია. მათთან არასდროს კამათობს, პი-

[1] **ვასილი ვასილის ძე კრამერი** (1876-1935) – რუსი მეცნიერ-მედიკოსი, ნევროპათოლოგი, პროფესორი (1920), რსფსრ-ის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1933), საბჭოთა ნეიროქირურგიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1922 წელს, ა.ნ. ბერნშტაინთან ერთად, კრამერმა დააფუძნა „ფსიქოლოგიის, ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის ჟურნალი“ (1923 წლიდან მისი პასუხისმგებელი რედაქტორია) და შექმნა ფსიქოლოგიის, ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც დირექტორის მოადგილედ მუშაობდა 1925 წლამდე, როცა ინსტიტუტი გარდაიქმნა ფსიქონევროლოგიურ დისპანსერად [მთარგმნელი].

რიქით – მუდამ ხუმრობს და ხალისობს“. მაშ, რასთან გვაქვს საქმე, თუ არა ბოროტ ხუმრობასთან, რომელიც დამნაშავის სოციალურ მოთხოვნას ამოწურავს ისეთი დებულებით, რომ მხიარულად ატარებს დროს თავის მეგობრებთან და კარგად ეპყრობა ზედამხედველებს.

რაც შეეხება ანკეტის იმ განყოფილებას, რომელიც მხედველობაში იღებს დამნაშავის სოციალურ შემეცნებას, აქ ჩვენ იმავე ცრუმარქსისტულ მიდგომასთან გვაქვს საქმე, რომლის შესახებაც უკვე მივუთითებდით ექიმ შენგელაიას სტატიის შესაბამისი ადგილების განხილვის დროს. ნაცვლად დამნაშავის სოციალურ-კლასობრივი კვალიფიკაციისა, რომელიც განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებრივი წარმოების პროცესში და გამოააშკარავებს მის საზოგადოებრივ არსს, ჩვენ თვალწინ გადაიშლება გაურკვეველი „სოციალური გარემოს“ კვლევა. როგორც ცნობილია, გარემოს გავლენის შესახებ საკითხის ამგვარი დაყენება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ანთროპოლოგიური სკოლის დებულებებს, არამედ, პირიქით, განავრცობს და ამართლებს ლომბროზოს მოძღვრებას. ხომ საუბრობდა კიდეც ფერი, გარდა კოსმოსური პირობებისა, სოციალური გარემოს პირობების მნიშვნელობის შესახებ, და ტოვებდა „ანთროპოლოგიურ ფაქტორებს მოტივატორებად“. მხოლოდ აღნიშნული თვალსაზრისით თუ მოხდება შემდეგი საკითხების გამართლება, რომლებიც წამოყენებულია მოცემულ განყოფილებაში: „ცხოვრობდა ქვითკირის ან ხის სახლში და რომელ სართულზე; იყო თუ არა ბინა მშრალი, ნესტიანი, ნათელი, ბინაში კი – წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, განათება და გათბობა; ბინის სისუფთავე; იყო თუ არა [ბინაში] ფრინველები და ცხოველები; სუფთად თუ ირეცხებოდა თეთრეული; როგორ იკვებებოდა: საკვების ხასიათი, [მისი] ღირებულება დღე-ღამეში; ხშირად დადიოდა თუ არა აბანოში“ და სხვა მრავალი – იმავე რიგის [სისულელიდან]. ანკეტის შემდგენლები, რომლებიც გაერთნენ საკუთარი „მიღწევებით“ – დამნაშავის სოციალური შემეცნების საქმეში კიდევ უფრო შორს წავიდნენ და გაითვალისწინეს დამნაშავის ნათესავთა ოჯახური პირობების შეცვლა, კვლევაში ჩართული პატიმრის, დაპატიმრების შემდეგაც კი. აქ ასეთი საკითხებია წამოყენებული: რა ცვლილება განიცადა ბინის ინტერიერმა: დეტალურად აღიწეროს საწოლი, სკამები და სხვა ქონება; ბინის გარეგნული იერსახე; ესთეტიკური მიდრეკილებანი, კედლების მოკაზმვა, ფოტოსურათები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვ. მხოლოდ ფანჯრის რაფაზე დადგმული, ქოთანში აყვავებული გერანიუმი და გალიაში ჩასმული კანარიღა გვაკლია.

ნუ გადავღლით მკითხველის ყურადღებას ანკეტის დანარჩენი საკითხებით, განსაკუთრებით, ფსიქოლოგიური და ნევროლოგიური კვლევის განყოფილებებიდან, სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა ნეოლომბროზიანელთა თვალთახედვა, რომელიც ყველა დამნაშავის გონებრივი თუ სხვაგვარი დე-

ფექტურობის გამოაშკარავებისკენ არის მიმართული. უნებლიეთ გვახსენდება ერთი ადგილი ჰ. ჰაინესთან, რომელიც ერთ ინგლისელ ჯარისკაცს ეხება. მაშინ, როცა მას საწოლში ეძინა, ამხანაგმა მას ცხვირზე მყრალი სიბინძურე წაუსვა; გამოღვიძების შემდეგ მან შეამჩნია, რომ ოთახში უსიამოვნო სუნი იდგა და ეზოში გამოვიდა, თუმცა მალევე დაბრუნდა და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ეზოშიც ცუდი სუნია, რომ მთელი სამყარო ყარს. იგივე ხდება აღნიშნული ანკეტის შემდგენლებთანაც, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ყველა დამნაშავე გარკვეული დეფექტურობის მატარებელია.

არც ცალკეული, შევსებული ანკეტების შინაარსს შევეხებით, რომლებიც სავსეა კურიოზებით და იმ პატიმართა „მხიარული განწყობებით“ აიხსნება, რომლებმაც შეიგრძნეს კვლევის ღრმად „მეცნიერული“ ხასიათი. ასე, მაგალითად, კითხვაზე: „აქვთ, თუ არა სასქესო ორგანო“, ერთი პატიმარი უარყოფით პასუხს იძლევა; მეორე შემთხვევაში ცოცხალთა ავადმყოფობისა და მკვდრების გარდაცვალების „მიზეზად“ პატიმრებს „ესპანკა“[1] შეერაცხებათ, რომელიც ყველა მისი სახით განსაზღვრავს სიცოცხლესა და სიკვდილს. აქვე უნდა აღინიშნოს დაუშვებლამდე დაუდევარი დამოკიდებულება ანკეტის შევსების მიმართ: შეუიარაღებელი თვალისათვის ხელმიუწვდომელი გაფხაჭნები, ფანქრით ცუდად არის გაწმენდილი და ქართული ენის ტოტალური დამახინჯება – აი, აღნიშნული დაუდევარი დამოკიდებულებისათვის, დამახასიათებელი გარეგანი თავისებურებანი.

ასეთია ის მოსამზადებელი ღონისძიებანი, რომლებიც ექიმმა შენგელაიამ, საკუთარი ნეოლომბროზიანული საქმიანობისათვის გაატარა. დადგა დრო, ვუთხრათ ავტორს: (...)[2] ახლა გვაჩვენე, რისი მაქნისი ხართ. ანკეტების დასკვნითი ნაწილი კარგს არაფერს გვპირდება.

მოვიყვანთ ერთ-ერთ ასეთ დასკვნას:

ექიმის დასკვნა: საკვლევი პირის ფსიქიკური და ნერვული მდგომარეობა არანორმალურია. მას ახასიათებს ზედაპირულობა და ადვილად დათანხმების [უნარი]. ის მარტივად ითვისებს თავისი იმ მეგობრების ყოველივე ცუდს, რომლებიც უზნეო საზოგადოებაში აღიზარდნენ (? – ა. გ.). მაგალითად, მათი გავლენით, მან ადვილად შეითვისა ისეთი ნარკოტიკული საშუალებები, როგორებიც არის კოკაინი, ჰაშიში და სხვ. მას სხეულზე აქვს მრავალი ტატუირება. გარდა ამისა, ის ჯგუფის (...)[3] ფსიქოპათიც არის. ვერ შეძლო რაი-

---

1 ვირუსი [მთარგმნელი].

2 დედანში ტექსტი არ არის მითითებული და ცარიელი ადგილია დატოვებული [რედ.].

3 დედანში ტექსტი არ არის მითითებული და ცარიელი ადგილია დატოვებული [რედ.].

მე ხელობის შესწავლა, რადგან არ შეუძლია ხანგრძლივად ერთ ადგილზე გაჩერება და ხშირად იცვლის საკუთარი საქმიანობის საგანს.

„სოციოლოგის“ დასკვნა: პატიმარ ვახტანგ ივანეს ძე დუდუმაურის სოციალურ საფრთხეს ადასტურებს მის მიერ ჩადენილი სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტი და განსასჯელის სკამზე ყოფნა იმის გამო, რომ გატეხა ბინა და გაიტაცა მრავალი ნივთი. მან წარმატებით გადამალა წაღებული ნივთები, თუმცა, მოწმეთა ჩვენებით, ყველაფერი გაირკვა. რაც შეეხება სოციალური ხასიათის მონაცემებს, მტკიცდება, რომ პატიმარი რთულად გამოსასწორებელი პიროვნებაა. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვანიჭებს ექიმის დასკვნა (აქ აშკარად გამოსჭვივის ფსიქიატრის პრიორიტეტი „სოციოლოგის“ მიმართ, ხაზგასმა ჩვენია – ა. გ.) იმის შესახებ, რომ მან ადვილად გადმოიღო ცუდი თვისებები (კოკაინის, ანაშასა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება). მას ახასიათებს ზედაპირულობა და არ შეუძლია, იცხოვროს პატიოსანი შრომით; ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას გულითადად უნდა მოვეპყროთ. ამიტომ მისი გამოსწორებისათვის მიზანშეწონილია დახურული ტიპის კოლონიაში გადაყვანა.

ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია აღნიშნული კვაზიმეცნიერული კვლევების კომენტარი. საჭირო იქნებოდა მხოლოდ იმაზე დაფიქრება, თუ სად გადაგვეყვანა ისინი, მიზანშეწონილი გამოსწორების თვალთახედვით. დამნაშავეობისა და დამნაშავის შემსწავლელ კაბინეტში მათთვის ადგილი არ უნდა მოიძებნოს.

ტფილისურმა ნეოლომბროზიანელობამ, რომელიც სრულებით უნაყოფო გამოდგა კრიმინოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის არსით, იმავე სფეროში უდიდესი როლი შეასრულა ადგილობრივი ბულვარული ლიტერატურის კულტივირების კუთხით. ამ მიმართულებით საყურადღებოა მელიტონ შარაშიძის[1] წიგნი: „სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახეები“ (ტფილისი, 1929). ამ წიგნში ავტორი ცდილობს, დაადგინოს ტფილისურ დამნაშავეთა ტიპების თავისებურებანი. მან განათავსა ცალკეულ სამართალდამრღვევთა ფოტოსურათები და შესაბამისი ბარათების ქვეშ შემდეგი მინაწერების გაკეთებით დიდად დახვეწა კიდეც დამნაშავე ტიპაჟების დადგენის საქმე: „ბინის ქურდები, რომლებიც ბინაში ღია ფანჯრიდან ძვრებიან (თითქოსდა, მათ ღია კარებიდან შეღწევა მოერიდებოდათ – ა.გ.), „ბინის ქურდები, რომლებიც ჯერ შინამოსამსახურეებად განწესდებიან, ხოლო შემდეგ მოიხელთებენ დროს და იპარავენ ნივთებს“ (თითქოსდა, მათ მოერიდებოდათ სახლის ნივთების მოპარვა, მითითებულ სამუშაოზე მოწყობის გარეშე – ა.გ.), „ბაზრის ქურდები“,

[1] **მელიტონ შარაშიძე** – თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი [რედ.].

„თეატრის ქურდები“ (თითქოსდა, ბაზრის ქურდებს მოერიდებოდათ თეატრიდან რაიმის მოპარვა, პროფესიული ეთიკის დარღვევის შიშით – ა.გ.) და ა.შ. ამგვარი უმადური ამოცანის გადაწყვეტისას შარაშიძე შეეცადა, თავისი წიგნისათვის ნოველის ხასიათი მიეცა და ექიმ შენგელაიას ღირსეული მიმდევრისათვის დამახასიათებელი უნიჭობით გადაწყვიტა მკითხველის გაკვირვება თავისი უადგილო მოთხრობებით მცირეწლოვანთა გამრყვნელების, მკვლელების, იმ სექსუალური დამნაშავეების შესახებ, ვინც სქესობრივი კავშირის დამყარება თავის ახლო ნათესავებთანაც კი გაბედეს და ა.შ. აღნიშნულ მოთხრობებში ის მაქსიმალურად ცდილობს მხატვრულობისა და რომანისტისათვის საკადრისი მრავალფეროვნების გამოვლენას; ასე, მაგალითად: რომანტიკულ ნიადაგზე წარმართული ერთი ტრაგედიის შინაარსის გადმოცემისას ის ამბობს: „თვით სიყვარულის ცნება ჯერ კიდევ გორდიას კვანძია – ერთნი საერთოდ არ იჯერებენ მის არსებობას, ხოლო მეორენი მის ციურ წარმომავლობას უშვებენ, რადგან თვლიან მას ბუნების უდიდეს ძალად“ (გვ. 84). მას სხვა ბევრი, მსგავსი [ხასიათის] ფრთიანი გამონათქვამი აქვს – შესაბამისი მხატვრული გაფორმებით, თუმცა ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სისხლისსამართლებრივ-ანთროპოლოგიურ „პრინციპებს“, რომლებიდანაც ამოდიოდა შარაშიძე თავის „ლიტერატურულ შემოქმედებაში“.

მოვიყვანთ მხოლოდ ყველაზე მკვეთრ მაგალითებს.

თავისი წიგნის შესავალში ქურდობის მიზეზების გაანალიზების დროს ის იმ აშკარა აბდაუბდას ეყრდნობა, რომელიც ძლიერი ხარისხით ექიმ შენგელაიას ეკლექტურ უაზრობას გადმოსცემს. აი, რას ვკითხულობთ მასთან: „თუ ყველა დანაშაულის მიზეზს ეძიებენ ეკონომიკურ მდგომარეობაში, მაშინ ეს, განსაკუთრებით, ქურდობის მიმართ უნდა ითქვას“.

მატერიალური სიდუხჭირე, ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, მართალია, ქურდობის ძირითადი მიზეზებია, მაგრამ შეუძლებელია, არაფერი ითქვას სხვა ფაქტორებზეც, ისეთებზე, როგორებიცაა: ამა თუ იმ პირის ინდივიდუალური განწყობა, მემკვიდრეობითობა, ოჯახი, აღზრდა და სხვა მიზეზები, რომლებიც **ხილული ან უხილავი პირობებიდან** გამომდინარეობენ“ (გვ. 8, ხაზგასმა ჩვენია – ა.გ.). ფიქრობდა რა, რომ „უხილავი“ დარჩებოდა მარქსისტული კრიტიკის მხრიდანაც, ავტორმა არ მოისურვა, ჩამორჩენოდა თავის წინამორბედს – ქართველ ნეოლომბროზიანელს. მან განიზრახა წამოწყებული საქმის გათრევა შემდეგი ვულგარულ-ბიოლოგიური ეპითეტების მეშვეობით: „ჯიბგირი ქურდი განსაკუთრებულ ზიზღს იწვევს. ის შეიძლება მომენტალურადაც კი ამოიცნო. მას ახასიათებს **ერთი ცხოველის წინ გამოწეული დინგი** და ის ვერ ბედავს, პირდაპირ შემოგხედოს თვალებში. მისი თვალები ბოსტანში შემძვრალი თხის თვალების მსგავსია“ (იხ. [იქვე], 14, ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ა.გ.).

ექიმ შენგელაიას შეუძლია, გაიხაროს თქვენი შემოქმედების ნაყოფით.

თუმცა, დროა, დავასრულოთ. რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია, უარყოფილ იქნეს დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიურ-ბიოლოგიური შემეცნების მნიშვნელობა ჩვენეული სასამართლოსა და შრომა-გასწორების პოლიტიკის განხორციელების საქმეში, ჩვენ მკვეთრად უნდა გავილაშქროთ, მხოლოდ დამნაშავის ორგანული მდგომარეობის ანალიზის გზით, დამნაშავეობის სოციალური პრობლემის გადაჭრის ნებისმიერი მცდელობის წინააღმდეგ. სოციალური და ბიოლოგიური, საკუთარი შინაგანი კანონზომიერებებით, სრულებით განსხვავებული რიგებია. დამნაშავეობა აუცილებლობაა მხოლოდ შიდასოციალურ კავშირში, ხოლო დამნაშავე თავისი განსაზღვრული ფსიქოლოგიურ-ბიოლოგიური კონსტიტუციით არის აღნიშნული აუცილებლობის გამოვლენის მხოლოდ შემთხვევითი ფორმა. აქ ჩვენ წინაშე წარმოიშობა დიდი პრობლემა, რომელიც გადაჭრისათვის, მექანიკური მიზეზობრიობის ნაცვლად, პრინციპით: (...)[1] მოითხოვს საკითხის დიალექტიკურ დაყენებას, როგორც ეს აქვთ მარქსს, ენგელსსა და ლენინს.

აღნიშნულ პრობლემას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ჩვენს სამომავლო საქმიანობაში.

8/I-1932 წ.

ქ. ტფილისი

[1] დედანში ტექსტი არ არის მითითებული და ცარიელი ადგილია დატოვებული [რედ.].

მდგომარეობა სისხლის სამართლის ფრონტზე საქართველოში*[1]

დოცენტი იონა ბოჭორიშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა სისხლის სამართლის საკითხების მარქსისტულ გაშუქებას. ამ მხრივ, მეტად საგრძნობლად ვართ ჩამორჩენილი მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. სისხლის სამართლის მარქსისტულ-ლენინური გაშუქება სრულიადაც არ სდგას თავის სიმაღლეზე მთელ რიგ პერიოდულ და ცალკე გამოცემულ შრომებში და ამ მიმართულებით დღემდე არავითარი ნაბიჯი არ არის გადადგმული.

სამართლისა და სახელმწიფომეტყველების მარქსისტთა სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე ხაზგასმით იქნა მითითებული „მარქსიზმით შეფარდებული ბურჟუაზიული სოციოლოგიური სკოლის გაფურჩქ[ვ]ნაზე სისხლის სამართალში“. ამავე რეზოლუციაშია აღნიშნული, რომ „ამასთან ერთად, დანაშაულობათა და დამნაშავეთა ობიექტურ[ი] კრიმინ[ო]ლოგიურ[ი] გამოკვლევის ნიღაბქვეშ ხდებოდა ლომბროზოს იდეების რესტავრაცია საბჭოთა ნიადაგზე და სისხლის სამართლის ბიოლოგი[ზ]აციის ცდები“.[2] აქვეა მითითებული აშკარად დოგმატი[კ]ურ იურიდიულ შეხედულებათა გავრცელებაზე ჩვენს ლიტერატურაში.

სავსებით ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს საქართველოს სინამდვილეში. ბურჟუაზიული სოციოლოგების გავლენასთან ერთად საკმაოდ პატივდებაშია ფსიქიატრ ლომბროზოს წმინდა მექანისტური ბიოლოგიური შეხედულებები. ცხადია ამ იდეების გავრცელებას საქართველოში ხელს უწყობდა რუსეთის მთელი რიგი ბურჟუაზიული პროფესორების იდეალისტური შეხედულების მეტად ფართოდ გავრცელება. უკანასკნელ ხანამდის მთელი ჩვენი ახალგაზრდობა იზრდებოდა თითქმის მხოლოდ ამ „სწავლულთა“ წიგნებზე, რომლებმაც შესძლეს მარქსიზმის ნიღაბის ქვეშ ლეგალურად ექადაგათ პროლეტარიატისათვის უცხო შეხედულებანი სისხლის სამართალში. ამ მავნე ბურჟუაზიულ[ი] იდეოლოგების (ერთის მხრივ, ისაევი, პი[ო]ნტკოვსკი), ტრაინინი და სხვ., ხოლო, მეორეს მხრივ, ლიუბლინსკი, ჟიჟილენკო და სხვ.) გავლენის ქვეშ მოექცნენ ზოგიერთი კომუნისტებიც (მაგ., შირვინდტი, კანარსკი და სხვ.).

---

* პირველად გამოქვეყნდა წიგნში – ბოჭორიშვილი ი., მარქსიზმი და სისხლის სამართალი („დანაშაული“ და „სასჯელი“), ტფილისი, 1932, 104-141 [რედ.].

1 ცხადია, ამ საკითხის სრული გაშუქება აქ არ არის მოცემული.

2 Резолюция I всесоюзного с’езда марксистов-государственников и правовиков по докладам Е. Пашуканиса и Я. Бермана, იხ. „Сов. гос-во и рев. Права“, № 3, 1931.

ასეთ პირობებში, როდესაც ორი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობის წარმომადგენელნი, თუ გინდ ნაწილობრივ გამონახავენ საერთო ენას, განსაკუთრებით ფეხს იკიდებს [ე]კლექტიზმი, რომელსაც სავსებით სამართლიანად უწოდებდა მარქსი წვრილბურჟუაზიულ[ი] იდეოლოგიის გამოტანას მეცნიერებაში. „მეცნიერული თაღლითობა და პოლიტიკური შეგუება განუშორებელია ამ თვალსაზრისისაგან“ (მარქსი)[1]. ამიტომ სარგებლობდა საკმაოდ დიდი გავლენით ეკლექტიზმის უდიდესი წარმომადგენელი, კრიმინალურ სოციოლოგიაში – ენრიკო ფერი.[2]

საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე შ/გ პოლიტიკა, დანაშაულობის კლასიურ[ი][3] მოტივების ყოველგვარ[ი] ნიღაბის გარეშე, საფუძვლად ედება პრაქტიკულ საქმიანობას ამ სფეროში და ამიტომ ყოველგვარი ცდა ამ მომენტის მიჩქმალვისა, როგორიც არის ჩვენს შემთხვევაში სოციალური მოვლენათა ბიოლოგიზაცია, ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

აღნიშნულ დამახინჯებას ვერ გაექცა, როგორც რუსეთის, ისე სხვა რესპუბლიკების დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი კაბინეტები[4] და სავსებით [ვ]ულგარულ ფორმებში ამ ზეგავლენის ქვეშ იმყოფება საქ[ართველოს] დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტი. კაბინეტის მთელი მუშაობა ამოიწურება მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიატრის მუშაობით. მის მიერ არ ყოფილა დღემდის დამუშავებული არც ერთი აქტუალური საკითხი, რომელთა შესწავლას ასე გადაუდებლად მოითხოვს საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნების წარმატებით განხორციელება. იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნის მთელს ეკონომიკაში, კლასთა ურთი-

---

1 კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, ქართული გამოცემა მალაქია ტოროშელიძის რედაქციით, 1931 წ., გვ. 59 და სხვა.

2 ზოგჯერ პრაქტიკული ხასიათის დაწესებულებანიც კი ვარდებოდნენ მისი ავტორიტეტის გავლენის ქვეშ, რომლის ერთ-ერთ მაგალითსაც წარმოადგენს დამნაშავე პიროვნების შემსწავლელი როსტოვის კაბინეტი, რომელმაც თავის ერთ-ერთ გამოცემაში მოათავსა ფერის წერილი – „ვილეტი დჟიბსონის პიროვნების“ შესახებ. როგორც ვიცით, ვილეტი დჟიბსონი მოკვლის მიზნით თავს დაესხა მუსოლინის 7/IV-21 წ., ამ პიროვნების დამცველად გამოვიდა ფერი, რომელმაც „უპარტიო ფაშისტის“ მოვალეობა პირნათლად შეასრულა. თავდასხმის პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა მოხერხებულად მიჩქმალა ლომბროზოს თეორიულ საფუძველზე. ვილეტი დჟიბსონის პიროვნება გამოიკვლია მის მემკვიდრეობით თანდაყოლილობაში და ფსიქი[კ]ურ ავადმყოფად გამოაცხადა... და ამით მან მთელ მსოფლიოს უპასუხა: ვინ, თუ არა სულით ავადმყოფი წინ აღუდგება ფაშიზმის ბელადს, რომელმაც, ფერის სიტყვით, იტალია დაიხსნა რუსულ[ი] ბოლშევიზმისაგან. ეს არ არის პირველი შემთხვევა ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის პრაქტიკაში. ლომბროზოს სკოლას მრავალი დანაშაულობა გამოუცხადებია ფსიქოპათოლოგიურ მოვლენად, რათა დაეფარა ამით ნამდვილი კლასიკური მოტივები.

3 იგულისხმება კლასობრივი [რედ.].

4 იხ. Диспут к вопросу об изучении преступности в СССР в секц. Пр. и гос-тва.

ერთობაში, ხდება კარდინალური ცვლილებები, რომლებიც სულ ახალ ამოცანებს აყენებენ ჩვენს წინაშე, საქ[ართველოს] დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტი ლომბროზოს ხსოვნის უკვდავსაყოფად, სანტიმეტრით ხელში ენერგიულად ზომავს პატიმრის „სახის სიგანეს“, „სიმაღლეს“, „ყურის სიგრძეს“, „ტერფის სიგრძეს“ და ასე დაუსრულებლივ, ვიდრე არ იქნება დადგენილი პიროვნების ფიზიკური კონსტიტუცია, რომელიც თითქოს მოგვცემს პასუხს ჩადენილ[ი] დანაშაულობის მიზეზის შესახებ. ამ მიზნისათვის კაბინეტს შემუშავებული ჰქონია ანკეტა შემდეგი ხასიათის „ან[თ]როპოლოგიური გამოკვლევებით“: მაგ., „თავის ქალის ფორმა: ა) ხუთკუთხედი, ბ) კვერცხისებური, გ) ელიფსისებური, დ) სოლისებური, ე) მო[მ]რგვალო“, შემდეგ: „კანის ფერი, წვერების სიგრძე, წამწამები, ცხვირის წვერის მდგომარეობა, კბილების სიდიდე და დახრილობა“, და ასე ბოლომდის, ვიდრე არ იქნება პიროვნებაში ყველა ატავისტური ნიშნები აღმოჩენილი, რომლებმაც განსაზღვრეს დამნაშავე პიროვნების მოქმედება.

ამ მეთოდით იკვლევდა ლომბროზო და მისი სკოლა დანაშაულობის საკითხს. დამნაშავე არ იქმნება სოციალ[ურ]-ეკონომი[კ]ური პირობებით, არამედ იგი ასეთად იბადება.[1] თვითეულ[ი] სახის დამნაშავეს სხვადასხვა ანატომიური, ფიზიოლოგიური თავისებურება ახასიათებს. მაგალითად, მკვლელობის ჩამდენთ თავის ქალა დიდი აქვს, ქურდებს კი პატარა, პირველთ ცხვირის წვერი ქორისებური აქვთ – ძირს დაწეული, მეორეთ კი პირიქით ან ბრუდე და ა.შ.

ლომბროზოსა და მისი სკოლის ასეთი მუშაობა სავსებით გაყალბდა და მან საბოლოოდ კომიკური ხასიათიც მიიღო. მრავალი მისი წარმომადგენელი თავის დროზე იმდენად გათამამებული იყო, რომ დაბეჯითებით ამბობდა: „საკმარისია მიჩვენოთ დამნაშავე და, ერთი შეხედვით, მისი სახის კონსტრუქციის საფუძველზე, მოგცემთ სწორ დიაგნოზს იმის შესახებ, თუ მოცემული პიროვნება დამნაშავეთა, რომელ ტიპს ეკუთვნის“-ო. თვით ენრიკო ფერიც, „სოციოლოგიური სკოლის მეზობელი“, ბევრ „ბრწყინვალე“ შემთხვევებს ა[ღ]გვიწერს საკუთარ[ი] პრაქტიკიდან, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში მათი მუშაობა იმ მკითხავის, მარჩიელის მდგომარეობას ჰგავს, რომელსაც თავის[ი] აზრის გამოთქმამდი[ს] ესაჭიროება ყველა ცნობები პიროვნების ვინაობის შესახებ. ერთი მაგალითი: ერთ-ერთი ციხის უფროსი ღებულობს ცნობას ან[თ]როპოლოგიური სკოლის იდეებით შეიარაღებულ ფსიქი-

[1] ანთროპოლოგიურ[ი] სკოლის შეხედულებებზე უარის თქმა, რომ მხოლოდ თანდაყოლილ[ი] დამნაშავის არსებობის უარყოფით არ შეიძლება, ამაზე საუცხოოდ აქვს მითითებული ამხ. ბულატოვს თავის წერილში: Возрождение Ломброзо в советской криминологии, ჟურნ. „Рев. пр.“, №1, 1929. აგრეთვე, Кузьмин, Новейший ревизионизм в уголовном праве, „Сов. гос-во и р. пр.“, №8-9, 1930.

ატრ-მკვლევარისაგან, რომ მას სურს ტუსაღების დათვალიერება სათანადო მიზნით. ციხის უფროსმა თანხმობა მისცა. ლომბროზოს მოწაფე დიდის ზეიმით იქნა მიღებული. ლხინის დროს მასპინძელმა სთხოვა სტუმარს, რომ შეეწონა მისი მრავალრიცხოვანი მსახურები. როდესაც ლომბროზიანელმა სტუმარმა დაათვალიერა ყველა, ციხის უფროსს მიულოცა: ბედნიერი ყოფილხართ, თქვენ მსახურთა შორის არც ერთი დამნაშავეთა კატეგორიას არ ეკუთვნისო. შემდეგ კი, როდესაც სტუმარმა ტუსაღების დათვალიერება მოითხოვა, პასუხად მიიღო: ჩვენი ტუსაღები თქვენს მიერ უკვე „შესწავლილია“. ციხის უფროსს მოსამსახურეები იმ დღისათვის ყველა მძიმე დამნაშავეებისაგან შეუდგენია, რომლებიც გადაცმული იყვნენ თეთრ სუფთა ხალათებში.

საქ[ართველოს] დანაშაულობისა და დამნაშავის შემსწავლელი სახელმწიფო კაბინეტში ზემოდ აღნიშნულ[ი] ლომბროზიანულ[ი] მეთოდებით მუშაობას ხელმძღვანელობდა დოც. **ექიმი გ. შენგელაია.** ისტორიულად საკმაოდ ცნობილი ფაქტორია სოციალურ[ი] მოვლენების მექანისტური ახსნა, როდესაც ასეთი საკითხები ექიმების ხელში იყო. ფრანგულ[ი] მექანიკურ[ი] მატერიალიზმის წარმომადგენლების შესახებ საინტერესოდ ამბობს მარქსი: „ეს სკოლა **ექიმ** ლერაუდან იწყება და თავის უმაღლეს განვითარებას **ექიმ** კაბანისში აღწევს. **ექიმი** ლამეტრი მისი შუაგულია“[1].

რასაკვირველია **ექიმ შენგელაიას** ხსენება ლამეტრის და სხვათა გვერდით მხოლოდ პროფესიათა მსგავსების აღსანიშნავად მოვახდინეთ. შენგელაიას მუშაობის მასშტაბი და ნამუშევარის ეფექტიც მეტად ღარიბია. მითითებული ანკეტა არ არის უბრალო მექანიკური გადმოტანა რუსეთის ანალოგიურ[ი] კაბინეტებიდან. მის შემდგენელს, დოც. **შენგელაიას,** გარკვეული შეხედულება აქვს ლომბროზოს თეორიულ[ი] პოზიციების მიმართ და შემდეგ კი შესაფერისი სიმპატიით არის განწყობილი მათდამი, ვინც ლომბროზოს იდეებს ანვითარებდა მეტად ეკლექტიკურ ფორმებში. საქ[ართველოს] შრომა-გასწორების დაწესებულებათა არსებობის ათი წლის (1921/1931) აღსანიშნავად გამოცემულ კრებულში[2] **გ. შენგელაია** ეხება რა კაბინეტის მეცნიერულ მუშაობას თავის წერილში – „დანაშაულობა და დამნაშავე“, – ამბობს: „დამნაშავის პიროვნების მეცნიერულად შესწავლის საკითხი პირველად დააყენა მკვიდრ ნიადაგზე იტალიელმა ფსიქიატრ-კრიმინოლოგმა [ჩ]ეზარე ლომბროზომ“ (გვ. 23). ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ ჩვენი ავტორიც ლომბროზოს მეთოდებით შეუდგა დანაშაულობის მიზეზების ძებნას ადამიანის ფიზიოლოგიურ სფეროში. **გ. შენგელაიასთვის** სოციალურ-ეკონომი[კ]ურ

---

[1] იხ. ენგელსის „ლუდვიგ ფეიერბახი“-ს პირველი დამატება, „კარლ მარქსი XVIII საუკუნის ფრანგულ[ი] მატერიალიზმის შესახებ“ (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

[2] იგულისხმება: სსსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა 10 წელი, 1921-1931, ამხ. მ. ფირცხალავას წინასიტყვაობით, ტფილისი, 1931 [რედ.].

პირობებთან თანასწორი მნიშვნელობისაა „ორგანიზმის სრული მექანიზმები“. „ამ მექანიზმებისა და მათი ნორმალური თუ არანორმალური მოქმედების პირობათა შეცნობა, ამბობს ავტორი, **არანაკლებ** (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.) მნიშვნელოვანია, ვიდრე დანაშაულობის სოციალურ-ეკონომი[კ]ური ფაქტორების შესწავლა“[1]. ცხადია აქედან, რომ დანაშაულობის მასაზრდოებელ[ი] სოციალ[ურ]-ეკონომი[კ]ური პირობების მოსპობა სრულიადაც არ ნიშნავს დანაშაულობის მოსპობას, ვინაიდან რჩება ამ მოვლენის მეორე – ბიოლოგიური ფაქტორი, რომელიც „არანაკლებ მნიშვნელოვანია“ პირველზე. პოზიტიური სკოლა სისხლის სამართალში არასოდეს არ მისულა დანაშაულობის მოსპობის შესაძლებლობის აღიარებამდე. ამ გზას არ ღალატობს ჩვენი ავტორიც. **გ. შენგელაიას** ამ აზრს ჩვენ მივაწერთ არა მხოლოდ მის[ი] პოზიციათა ლოღიკური განვითარების საფუძველზე, არამედ იმ საბუთითაც, რომ დანაშაულობის მარადიულობის აზრი მის მიერ პირდაპირ არის გამოთქმული. წერილის დასაწყისშივე ვკითხულობთ: „ყველა, ვინც კი შეუდგება დანაშაულობის ისტორიის შესწავლას, აუცილებლივ იმ დასკვნამდე მივა, რომ დანაშაულს შესაძლო იყო ადგილი ჰქონდა და შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანთა ისეთი ასოციაციების არსებობისას, რომელიც თავისი შინაგანი ურთიერთობის განვითარებაში **რაიმე სოციალურ-ეთი[კ]ური ნორმების დაწესებამდე მისულან კაცობრიობის განვითარების იმ სტადიაში, როდესაც შრომის განაწილება ჯერ კიდევ არ მომხდარა, სოციალურ-ეთი[კ]ურ ნორმებს უკარნახებს საზოგადოებას გარემო ბუნების პირობები“**[2] (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.). ამრიგად, სოციალურ-ეთი[კ]ური ნორმების დაწესება აუცილებელი პირობაა დანაშაულობის არსებობისათვის, ხოლო დანაშაულობის ამკრძალავი ნორმები არსებობდა, როგორც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდეგ, ისე მანამდინაც.

უაღრესად ანტიმარქსისტული აზრი მეტად გულუბრყვ[ი]ლ[ო]დ არის ნათქვამი. ცხადია ასეთი მეთოდით ვერ იქნება მეცნიერულ საფუძველზე დაყენებული „დანაშაულობისა და დამნაშავის“ შესწავლის საკითხი და ისეთ პრინციპებზე აგებული დაწესებულება არ შეიძლება წარმოადგენდეს კლინიკას საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლის „სისტემატიური კურსის დარგში“, როგორც ამას აცხადებს ავტორი[3].

მაინც რა მეთოდები მოეპო[ვ]ება და რომელი მეცნიერების საშუალებით შეისწავლის ავტორი დანაშაულის საკითხს? (დანაშაულობის გარეშე დამნაშავის პიროვნების შესწავლა აბსურდია). ავტორი დაბეჯითებით ამბობს: „ო-

---

1 იგივე, გვ. 23.
2 იგივე, გვ. 22.
3 იგივე, გვ. 26.

ბიექტურად გაგებული და დასაბუთებული კონიუნქტურა, ქმედობა და სუბიექტი მოქმედებისა, **თანამედროვე ფსიქონევროლოგია** საკმაოდ გაიზარდა იმისათვის, რომ გამოიცნოს პიროვნების უღრმესი მექანიზმები (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.) გვაძლევს საიმედო კრიტერიუმს უფლების დამრღვევის სოციალურ[ი] საშიშროების გამოსარკვევად[1]". ამრიგად, უფლების დამრღვევის სოციალურ[ი] საშიშროების გამოსაცნობად ავტორი მოუხმობს „თანამედროვე ფსიქონევროლოგიას".

არაჩვეულებრივი სიმკაცრით იბრძოდა **ლენინი** სოციალურ მოვლენათა ბიოლოგიზაციის ცდების წინააღმდეგ. თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში", როდესაც **ბოგდანოვის** „ემპირიომონიზმის" იმ ადგილს ეხება, სადაც ლაპარაკია „ლანგეს, ფერის, ვოლტმანის და სხვ. ეკლექტიკურ სოციალურ-ბიოლოგიურ ცდებზე", **ლენინი** ამბობს **ბოგდანოვის** წინააღმდეგ: „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე უფრო უნაყოფო, მკვდარი, სქოლასტიკური, ვიდრე ეს ბიოლოგიური და ენერგეტიკული სიტყვების მძივია, რომელიც არაფერს იძლევა და ვერაფერს მოგვცემს საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში"[2].

აუცილებლად „უნაყოფო, მკვდარი და სქოლასტი[კ]ურია" ყოველგვარი ის ცდა, რომელიც ან[თ]როპომეტრიის საშუალებით წარმოგვიდგენს „უფლების დარღვევის სოციალურ და ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკას" (შენგელაია[3]).

გ. შენგელაია ადრევე დაინტერესებულა სისხლის სამართლის საკითხებით. 1927 წ. ის ათავსებს გამოკვლევას „თანამედროვე მედიცინა"-ში შემდეგ საკითხზე: „სისხლის სამართლის უფლება (?), ბოროტქმედობა (?) და ბოროტქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი". მთელი საშინელებაა წერილის ამ სათაურთან დაკავშირებული, მაგრამ, ვინაიდან, ჩვენის აზრით, აქ საქმე გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ელემენტარულ[ი] ცოდნის უქონლობასთან ამ საკითხებში, ამიტომ მასზე არ შევჩერდებით. და, საერთოდ, ამ წერილზე, რომელიც 1927 წ. დაწერილი, არ შევჩერდებოდით იმდენად, რომ ავტორი, ამჟამად, არ მიუთითებდეს ამ წერილზე, სადაც, მისი აზრით, მარქსისტული შეხედულებები აქვს გამოთქმული.[4]

მართალი არის თუ არა ეს? სრულებითაც არა. პირიქით, ამ წერილში ავტორი მეტად აღმაშფოთებელ შეხედულებებს გვაწვდის. იხილავს რა ჩვენი ავტორი, სხვადასხვა სკოლებს სისხლის სამართალში, დაბოლოს ჩერდება „სოციალისტურ სკოლაზე" და ასეთნაირად გვიხატავს სურათს: „სოციალის-

---

1 იგივე, გვ. 25.
2 ლენინის თხზ., ტომი XIII, გვ. 333.
3 იგივე, გვ. 26.
4 იხ. კაბინეტის საბჭოს სხდომის (24/XI-31) სტენოგრაფიული ანგარიში გ. შენგელაიას მოხსენების გარშემო.

ტ-კრიმინ[ო]ლოგები ბოროტქმედობას განიხილავდნენ დიალექტი[კ]ურად, ისტორიის მატერიალურ[ი] (ალბათ, ავტორს სურს სთქვას მატერიალისტური – ი.ბ.) გაგების თვალსაზრისით (მარქსი, ენგელსი, კაუტსკი, ფერი, სურსკი, გერნეტი და სხვა)[1]. ასე და, ამრიგად, ფაშისტი ფერი (ჩვენ, ამჟამად, მხოლოდ ეს გვაინტერესებს) მოთავსებულია მარქს-ენგელსის გვერდით, როგორც დიალექტი[კ]ური მატერიალიზმის წარმომადგენელი. უპირველეს ყოვლისა, ავტორი აქ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ის მის მიერ დასახელებულ ავტორებს ვერც ერთს ვერ იცნობს. კერძოდ, მარქსს იგი გასცნობია, როგორც სჩანს, ფერის საშუალებით, რომელიც საკმაოდ მოხერხებულ[ი] ნიღბით ასაღებს თავს მარქსისტად. **გ. შენგელაიას** მიმართ აუცილებლად ბუნებრივია გავიხსენოთ **პლეხანოვის** ირონია იმათ მიმართ, ვინც ჰეგელის შესწავლას ცდილობდა **სპასოვიჩის** (გამოჩენილი რუსი კრიმინალისტია) წიგნებით. ჩვენი ავტორი ანალოგიურ ბეჩავ მდგომარეობაში იმყოფება და ამიტომ მარქს-ენგელსის აზრს იქვე გადმოგვცემს არა მარქსის, ენგელსის არამედ ფერის შემდეგი სიტყვებით (ეს ბუნებრივიცაა ავტორის ნიადა[გ]ზე, ვინაიდან მან ისინი ხომ გააიგივევა). „ბოროტქმედობას – ამბობს **ენრიკო ფერი** – აქვს რთული წარმოშობა, მასში ერთდროულად მოქმედებენ სხვადასხვა სიმძლავრით ბიოლოგიური, ფიზიკური და სოციალური ფაქტორები და არ არის ბოროტმოქმედებანი, სადაც ხსენებული მომენტები სათანადოთ წარმოდგენილი არ იყვნენ“[2].

ენრიკო ფერის სანიმუშო ეკლექტიზმი ავტორს დიალექტური მატერიალიზმი ჰგონია. დროა საბჭოთა სამეცნიერო მუშაკმა იცოდეს, რომ არ შეიძლება მარქსის რომელიმე დებულების ხელოვნურად გადატანა მის საწინააღმდეგო იდეოლოგებთან შესაერთებლად. ბევრი ამას მარქსის „შევსების საჭიროებით“[3] ჩადიოდა, მაგრამ ყველამ კარგად უნდა იცოდეს და დროა იცოდეს,

---

1 იხ. „თანამედროვე მედიცინა“, №3, 1927, გვ. 454.

2 ფერი ფიონიცკისაც კი არ ეთანხმება, როდესაც ეს უკანასკნელი ყოველივე დანაშაულ[ებრივი] მოქმედების მიზეზად არ გულისხმობს ერთდროულად მომქმედ სხვადასხვა ფაქტორებს: ბიოლოგიურს, ფიზიკურს და სოციალურს. იხ. ფერის „კრიმინალური სოციოლოგია“, გვ. 269-270.

3 ენრიკო ფერიც კი შეეცადა ასეთ შევსებას. აღნიშნავდა რა მარქსიზმის „ცალმხრი[ვ]ობას“, ამბობდა: „... მარქსის თეორია ისტორიულ[ი] მატერიალიზმისა ანუ ეკონომი[კ]ური დეტერმინიზმისა, უნდა შევსებულ იქნას შემდეგით...“ და მიუთითებს გეოგრაფიულ პირობებზე და „რასიულ ენერგიაზე“. იხ. როზანოვის რედაქციით და წინასიტყვაობით გამოცემული მეორე კრებული: Проблема преступности, 1923, გვ. 22. ფერი: „დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა“. სხვათა შორის, არამარქსისტ[ი] მკვლევარებისათვისაც ნათელი იყო, რომ ფერის, „დანაშაულობაზე სოციალისტური შეხედულება მთლიანად არასოდეს არ მიუღია“. ვან-კანი, იხ. მისი: Экономические факторы преступности, Москва, 1915, თავი „Социалист-криминология“, 149.

რომ **„მარქსისტული ფილოსოფიიდან, რომელიც ფოლადის ზოდიდან არის ჩამოსხმული, არც ერთი არსებითი ნაწილის ამოღება არ შეიძლება, ისე რომ ადამიანი ობიექტურ ჭეშმარიტებას არ დაშორდეს და ბურჟუაზიულ-რეაქციონურ სიყალბეში არ გადავარდეს“**[1].

დაბოლოს, აღნიშნულ წერილში **გ. შენგელაიას** მოჰყავს თავის[ი] გამოკვლევის შედეგები და და[ა]სკვნის, რომ მის მიერ მიღებული შედეგებით სავსებით მართლდება **კრეჩმერის** თვალსაზრისი პიროვნების ანტისოციალურ მოქმედებათა მიზეზების ახსნის შესახებ. როგორც ვიცით, ეს ანტისოციალური მოქმედებანი **კრეჩმერმა** დაუკავშირა ადამიანის კონსტიტუციას. ამისდა მიხედვით დაჰყო მან ადამიანები შიზოიდურ და ციკლოიდურ ჯგუფებად, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ფიზიკური აგებულებით და გამომეტყველებით.

კრეჩმერი ასეთი ხასიათის ნიშნებით ხსნის პიროვნების განწყობას სოციალურ[ი] წრისადმი. მაგ., **შიზოიდურ[ი]** ჯგუფის შესახებ ამბობს ავტორი, რომ „...აქ შეიძლება ჰქონდეს ადგილი უმკაცრეს დანაშაულობრივ ნატურას“[2], ხოლო, როდესაც იხილავს ციკლოიდური ჯგუფის სოციალურ განწყობას ამბობს, რომ მათში „...ასოციალური თვისებები საკმაოდ იშვიათია“[3].

თეორიის ნიადაგზე სოციალური მომენტი სრულიად გარიცხულია და პიროვნებათა **კრეჩმერის** უარყოფითი თუ დადებითი დამოკიდებულება სოციალურ წრესთან განსაზღვრულია იმით, თუ პიროვნება თავისი კონსტიტუციით, რომელ ჯგუფს ეკუთვნის. სიტყვასიტყვით იმეორებს ამას **გ. შენგელაია.** X ცხრილის ბოლოში, რომლის სახელწოდებაც არის: „კონსტიტუცია და ბოროტქმედობის ხასიათი“, – **შენგელაია** დაასკვნის: „ამ ცხრილებში აღსანიშნავია ერთი საგულისხმო მომენტი, საიდანაც სჩანს, რომ ბოროტმომქმედნი როგორც ჩადენილ[ი] საქციელის სიმძიმის მხრივ, აგრეთვე, რიცხობრივად სჭარბობენ პირველ სამ კონსტიტუციონალურ ტიპთა შორის, ე.ი. შიზოდიურ ჯგუფში და რომ პიკნიური ტიპები – ციკლოიდური ჯგუფი წარმოდგენილია მხოლოდ 7 შემთხვევით. დაკვირვებათა არასაკმარისი რაოდენობა არ გვაძლევს კატეგორიული მსჯელობის შესაძლებლობას, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მასალების მიხედვით მართლდება **კრეჩმერის** თვალსაზრისი და გაგება ორივე ჯგუფის თითქმის მოპირდაპირე თავისებურ[ი] სოციალურ[ი] დაყენების (установка – ი.ბ.) შესახებ“[4]. ყველაფერი გასაგებია, გაუგებარია მხოლოდ ის, თუ რად დასჭირდა ავტორს გახსენება ასეთი „მარ-

---

1 ლენინი, დასახ. თხზ., გვ. 332 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

2 Э. Кречмер, Строение тела и характер, თარგმანი მე-7-მე-8 გერმანულ[ი] გამოცემიდან, 1930 წ., გვ. 194.

3 იგივე, გვ. 158.

4 იგივე, გვ. 458.

ქსისტული“ წარსულის? ალბათ მისთვის ასეთივე ძვირფასია იქვე გამოთქმული სიტყვები: „ცხადია, რომ ყოველი ბოროტმომქმედი უნდა იყოს სათანადოდ შესწავლილი, უნდა მოხდეს მისი **ფსიქიკის დინამიკის გაგება** და **მხოლოდ** ამის შემდგომ შესაძლებელია მისი რეაქციის საწინააღმდეგო სწორი ზომების მიღება. **საზოგადოებას არ უნდა დაეკარგოს არც ერთი მისი წევრი“**[1]. არც აქ არის რაიმე გაუგებარი. ჩვენს პირობებში იმის თქმა, რომ „საზოგადოებას არ უნდა დაეკარგოს არც ერთი მისი წევრი“ ნიშნავს პროლეტარული სასამართლოს განიარაღებას კლასიური მტრის წინაშე. უაღრესად მეცნიერულ უსუსურობას წარმოადგენს ასეთი აზრის დასაბუთების ცდა, როდესაც ეს ხდება პიროვნების „ფსიქიკის დინამიკის“ შესწავლის საფუძველზე.

რომ ჩვენი ავტორი, თავის პოზიციებზე დგომით, საერთოდ ვერავითარ მეცნიერულ შედეგებს ვერ მოგვცემს, ეს კარგად სჩანს ზემოდ დასახელებულ[ი] ცხრილიდან. ავტორს ჩამოთვლილი აქვს სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობანი და დამნაშავეთა განსხვავებულ კონსტიტუციათა საფუძველზე ამყარებს დანაშაულობათა სხვადასხვა რიცხვს. რომ აიღოთ დანაშაულობანი ატლეტიურასტენ[2] კონსტიტუციის მქონე პირთა და შეადაროთ მათ მიერ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულობანი აღნიშნულ[ი] ცხრილის მიხედვით, დაინახავთ, რომ პოლიტიკური და სქესობრივი დამნაშავენი არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეორე და მესამე სვეტში მითითებულია, რომ როგორც ერთი ისე მეორე ხასიათის დამნაშავენი უჩვენებენ ერთი და იგივე რიცხვს – 2-ს. ავტორის ეს დასკვნა, თუ სწორია, მაშინ რა მეცნიერული ღირებულება აქვს კონსტიტუციათა განსხვავებულობის ძიებას, რომელიც თითქოს განსაზღვრავს სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობას?

აი, ასეთ „მეცნიერულ“ ტრადიციებზე აწარმოებდა საქ[ართველოს] დამნაშავის და დანაშაულობის შემსწავლელი კაბინეტი მუშაობას. ამ ტრადიციებს სავსებით იმეორებს **გ. შენგელაია** ზემოთ აღნიშნულ კრებულში, სადაც სხვა ავტორებისაგანაც გვესმის ქებათა ქება კაბინეტის მუშაობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ კრებული სავსეა სხვადასხვა ავტორების მიერ გამოთქმულ[ი] პრინციპიალურ[ი] ხასიათის შეცდომებით. უპირველეს ყოვლისა, რაც თვალში ეცემა მკითხველს, ეს ის, რომ თითქოს ყველა ავტორები აღიარებენ ყველა „ბოროტმომქმედი“-ს (ამ ტერმინს ხმარობენ დიდის პატივით) გამოსწორების შესაძლებლობას. ეს იგივეა რაც სთქვა: „საზოგადოებას არ უნდა დაეკარგოს არც ერთი მისი წევრი“.

---

[1] იგივე, გვ. 459 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

[2] იგულისხმება ათლეტური [რედ.].

ნიმუშისათვის მი[ვ]უთითებთ ზოგიერთს: კრებულის 30-ე გვერდზე, ერთი ავტორი სწერს, რომ „გამოსწორებას ჰპო[ვ]ებს დამნაშავის ყველა ბოროტი თვისებანი“. მეორე ადგილას ორ[ი] ავტორის მიერ კოლექტიურად გამოთქმულია შემდეგი აზრი: „საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის მიზანსა და ამოცანებს შეადგენს არა შურისძიება და დასჯა დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ შრომითი ცხოვრების პირობებთან შეგუება **ისეთი საზოგადოებრივი საშიში ელემენტებისა, რომელთა მოქმედება მიმართულია სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ,** რათა ამით შეაგნებინონ მათ **თავიანთი უფლებები** და რესპუბლიკის მოქალაქის მოვალეობანი და ა[ღ]ზარდონ მათში მშენებლები სოციალისტური საზოგადოებისა, რომლისაგანაც ისინი დროებით მოწყვეტილი არიან“.[1]

ამრიგად, ჩვენი პოლიტიკა სისხლის სამართლის დარგში არ ისახავს რა მიზნად დასჯას და შურისძიებას, ისეთ საშიშ პიროვნებას, რომელიც მოქმედობს „სოციალისტურ[ი] მშენებლობის წინააღმდეგ“, ტკბილად აკოცებს შუბლზე, რომ შეაგნებინოს „რესპუბლიკის მოქალაქის მოვალეობანი“. რომ აქ სავსებით დაუკარგავთ ავტორებს კლასიური ალღო, ეს აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებას. მაგრამ საინტერესოა მაინც ვიცოდეთ, რას გულისხმობენ ავტორები სიტყვებში: „...რათა ამით შეაგნებინონ მათ თავიანთი უფლებები..“, ე.ი. თუ კულაკი, ან ვინმე სხვა, მოქმედებს „სოციალისტურ[ი] მშენებლობის წინააღმდეგ“, მას ეს თავისუფლების უცოდინარობის წყალობით ჩაუდენია, მაგრამ გაიგებს რა იმას, რომ მას ასეთი უფლება არ აქვს, ის დაუბრუნდება „სოციალისტურ საზოგადოებას, რომელსაც ის დროებით მოსწყდა“. „შესანიშნავი ფილოსოფიაა“. სამწუხაროა, რომ ასეთი ფილოსოფიით სავსეა მთელი კრებული. იქ ნახავთ ასეთ გამოთქმებს: „ბოროტმოქმედება, როგორც პიროვნების სულიერი თვისება“,[2] ან კიდევ: „ის, რაც ჩვენ უნდა გვეთქვა, დაგვასწრო და სთქვა ბურჟუაზიამ, თითქოს ჩვენში ხდებოდეს პატიმართა იძულებით[ი] შრომის გამოყენება“.[3] ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოს რაობის განსაზღვრასაც სცდილობს და, აი, როგორ: „სახელმწიფო არის, – ამბობს ავტორი, – რამოდენიმე ნაწილისაგან შემდგარი ისეთი ორგანიზაცია, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ყოველმა ნაწილმა თავისი დანიშნულება შეასრულოს“.[4] ..და ყოველივე ამის შემდეგ „რედაქცია თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის უდიდესი მადლობა გამოუცხადოს ყველას, ვინც შეძლებისდაგვარი დახმარება აღმოუჩინა მას ამ კრებულის შედგენა-

[1] იგივე, გვ. 70 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).
[2] იგივე, გვ.29.
[3] იგივე, გვ. 21.
[4] იგივე, გვ. 47.

ში... საჭირო მასალის მიწოდებით...“.[1] ყველა დაგვეთანხმება, რომ „საჭირო მასალის“ ავტორებმა სრულიად უკანონოდ დაიმსახურეს „ზნეობრივად ვალდებულ[ი]“ რედაქციის ასეთი „უდიდესი მადლობა“.

ნათელია ის გარემოება, რომ არაჩვეულებრივად დაბალ დონეზე სდგას სისხლის სამართლის მარქსისტულად გაშუქების საკითხი ჩვენში. საქმის სწორად წარმართვის მხრივ დიდი დადებითი როლი უნდა ეთამაშნა სსსრ იუსტსახკომის ორკვირეულ ორგანოს – „საბჭოთა სამართალს“,[2] რომელიც სისტემატიურად გამოდიოდა 1928-29 წლებში. ჩვენც მი[ვ]უთითებთ იმაზე, თუ რამდენად იქნა შესრულებული ეს ამოცანა სისხლის სამართლის დარგში.

სამწუხაროდ კვლავ არასასიამოვნო ნაცნობი სურათი გვეშლება თვალწინ. იგივე ან[თ]როპოლოგიური სკოლის მიმდევართა აბდაუბდა, პოზიტივისტ-სოციოლოგებისადმი თაყვანისცემა, მათი პოზიციების ვერ გარჩევა მარქსიზმთან და სხვა მრავალი კურიოზები. ჟურნალის მე-4 ნომერში ერთ-ერთი ავტორი ასე ამთავრებს თავის წერილს: „ჩვენთვის ყოველი ბრალდებული **უბედური ადამიანია, შემთხვევით გასული** საზოგადოებრივი ცხოვრების **პატიოსანი წრიდან...“.**[3] ამ სიტყვების ავტორის ღირსებას შეადგენს ის, რომ მან შეძლო უამრავ[ი] უაზრობის მოთავსება ამ პატარა წინადადებაში... „პატიოსანი წრე“, „უბედური ადამიანი“, „ყოველი“... „შემთხვევით გასული“. **მიხ. ღვამიჩავას** ეს წერილი სხვა მხრივ გვაინტერესებს და ამ მხარეზედაც, დროისა და ადგილის ეკონომიისათვის, მი[ვ]უთითებ უკომენტაროდ. იწყება ასე: „ყოველი ბოროტმოქმედება, როგორც მსუბუქი, ისე მძიმე, არის შედეგი **ორი ფაქტორისა:** ბიოლოგიურის და სოციალურის“, სწერდა ენრიკო ფერი, სოცი[ო]ლოგიური სკოლის მამათავარი. (?) ენრიკო ფერის დებულება გაზიარებული არის ლისტის მიერ, რომელიც ამბობს: „დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყოველ ბოროტმოქმედებას იწვევს **ორი ჯგუფი მიზეზებისა** – ინდივიდუალური თვისებები დამნაშავისა და სოციალ[ური] პირობები“. და განაგრძობს ქვევით: „და, თუ სოცი[ო]ლოგიური სკოლა უმთავრეს ფაქტორად სთვლიდა ბიოლოგიურ(?!) მოვლენებს, სოციალისტურმა სკოლამ მთავარი ფაქტორი დანაშაულისა აღმოაჩინა სოციალ[ური] წყობის უვარგისობაში...

---

1 იგივე, გვ. 8.

2 „საბჭოთა სამართალი“ საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ეგიდით გამოცემული იურიდიული პროფილის ჟურნალი გახლდათ, რომელიც პირველად 1926 წელს გამოქვეყნდა ერთი ნომერი, 1927 წელს – არცერთი, 1928 წელს – ოცდაოთხი ნომერი, ხოლო 1929 წელს – თორმეტი. ამის შემდეგ 1930 წლიდან, ვიდრე 1957 წლამდე, ეს ჟურნალი აღარ გამოიცემოდა. ჟურნალის გამოცემა აღდგა 1957 წლიდან [რედ.].

3 „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ., გვ. 86 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

მაშასადამე, დანაშაულის ფაქტორების გამორკვევა ჩვენ პირდაპირ მას გვიკარნახებს, რომ ორი ფაქტორის მსხვერპლს..“ გამოტოვებულია სიტყვა, „რომლის შემდეგ: „დამნაშავე წარმოადგენს“.[1]

არეულია ყველაფერი ერთმანეთში. გარდა ამისა მკითხველი ადვილად შეატყობს „მაშასადამესა“ და სოცი[ო]ლოგ-ან[თ]როპოლოგების შეხედულებების მითითების შუაში, როგორ ხელოვნურად შეუჩრია ავტორს „სოციალისტური სკოლა“. ასეთი ტრიუკებით ავტორი არ უნდა ცდილიყო შემდეგი დებულების დამტკიცებას საბჭოთა სინამდვილეში: **კონი** ამბობს, სწერს ავტორი, „არ არის ისე დაცემული და ისეთი ბოროტმომქმედი ადამიანი, ...რომლის შესახებ შეუძლებელი იყოს შეღავათზე სიტყვის თქმა“.[2] არ იყო საჭირო ვექილის, დამცველის საჭიროების დამტკიცებისათვის ასეთი აზრების აგიტაცია.

კონის დებულების გადმოტანა ჩვენს სინამდვილეში ლოღიკურად ნიშნავს სოციალურ[ი] დაცვის უმაღლეს ღონისძიებაზე უარის თქმას. თუ „ყოველი ბრალდებული არის უბედური ადამიანი“ და ყოველი დამნაშავის მიმართ შეიძლება შეღავათი, მაშინ როგორი უნდა იყოს ეს შეღავათი იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც უნდა მიესაჯოს „სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება, დახვრეტა“? მხოლოდ და მხოლოდ ისეთი, რომელიც ამ „ღონისძიებას“ მოუხსნის. სხვაგვარი „შეღავათი“ ლოღიკურად წარმოუდგენელია ჩვენი კანონმდებლობისათვის.

ნურავინ ნუ შეეცდება „უბედური ადამიანის“ და ამგვარ ზეკლასიურ „წმინდა“ იდეალებზე მითითებით ჩვენი სასამართლოს განიარაღებას კლასობრივი მტრის წინაშე.

კიდევ ერთი ე[გ]ზემპლიარი სოცი[ო]ლოგიური სკოლის „მარქსისტული“ დახასიათებისა. ერთ-ერთი ავტორი ასე ახასიათებს ამ სკოლას: „სისხლის სამართლის ახალ **სოცი[ო]ლოგიურ სკოლას** დანაშაულობის წარმომშობ ფაქტორად, **კაპიტალისტურ[ი] საზოგადოების** სოციალურ-ეკონომი[კ]ური პირობები მიაჩნია... **აქედან კი ცხადია,** რომ სსრ კავშირის სისხლის სამართლის საფუძვლები..“ და სხვა.[3] კიდევ კარგია, რომ რედაქცია შენიშნავს წერილზე საერთოდ: „ავტორის ზოგიერთ მოსაზრებებს, რედაქცია არ იზიარებს“. მართლაც შეუძლებელი იყო რედაქციას გაეზიარები[ნ]ა ის აზრი, რომ სოცი[ო]ლოგიური სკოლა დანაშაულის მიზეზს კაპიტალისტურ სისტემაში ეძებს და ამ სკოლის მონაცემი საფუძვლად ედება ჩვენს პოლიტიკას სისხლის სამართალში.

---

1 იქვე (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ი.ბ.).

2 იქვე.

3 „საბჭოთა სამართალი“, 1929 წ., №6, გვ. 19 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

ნეოლომბროზიანიზმიც არ ყოფილა ძვირი სტუმარი ჟურნალ „საბჭოთა სამართლი“-სათვის. მის ფურცლებზე ვკითხულობთ: „ბოროტმოქმედების ჩადენის მიზეზები ფრიად მრავალფეროვანია, მაგრამ ისინი თითქმის იკვანძებიან **ორ[ი] მთავარ[ი] ფესვისაგან** (ხაზგასმა ავტორს ეკუთვნის – ი.ბ.) ერთი მოთავსებულია ბოროტმოქმედების პიროვნებაში და **ბოროტმომქმედი კონსტიტუციის განსხვავებულ[ი] თვისებისაგან შესდგება,** მეორე კი გარეგანი ფაქტორებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ (მხოლოდ – ი.ბ.) პიროვნებას, დანაშაული ჩაიდინოს. დანაშაულის ჩამდენი, – ამდიდრებს ავტორი ქართულ ლიტერატურას სისხლის სამართალში, – **უფრო ხშირად** ისეთ პირთა კატეგორიას ეკუთვნიან, რომლების **კონსტიტუციაში** (ხაზგასმა ავტორისაა – ი.ბ.) მრავლად მოიპო[ვ]ებიან ენდოგენური (შინაგანი – ი.ბ.) ფაქტორები. დანაშაულის ჩადენას გარეგანი მოვლენები რომ ხელს უწყობდეს, დანაშაული მაინც არ მოხდებოდა, თუ ამას **უმთავრესად** ხელი არ შეუწყო ბოროტმომქმედის პიროვნებამ.[1] ამრიგად, ჩვენს ნეოლომბროზიანელს პიროვნების კონსტიტუცია წარმოუდგენია ცენტრად, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი მსოფლიო.

ჟურნალის ამავე ნორმებში მოთავსებულია დოც. ლ. შურღაიას წერილი: „პირველი საკავშირო საპენიტენციარო ყრილობა“. ავტორი, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს საპენიტენციარო სამართლის კურსს უმაღლეს სასწავლებელში, ასე ასაბუთებს ამ საგნის მეცნიერულ ხასიათს: „ყოველ სამეცნიერო დარგს ახასიათებს ობიექტი და მეთოდი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საპენიტენციარო სამართალს აქვს თავისი საგანი“.[2] როგორ დაამტკიცა ავტორმა, რომ საპენიტ. სამართალს აქვს თავის[ი] საგანი? ის ასე მსჯელობს: „საპენიტენციარო დარგი არსებობს საბჭოთა რესპუბლიკაში ცალკე და თანაბარ[ი] მნიშვნელობით სასამართლო მოღვაწეობასთან, ამიტომ იგი უნდა იყოს საგანი (ობიექტი) ცალკე არსებულ[ი] სამეცნიერო დარგისა“. ამრიგად, ესა თუ ის მოვლენა, თუ არსებობს ფაქტის სახით, აქედან თითქოს თავისუფლად მტკიცდება, რომ ასეთი მოვლენა „ცალკე არსებულ[ი] სამეცნიერო დარგის“ ობიექტს შეადგენს. „დაამტკიცა“ რა ამრიგად, ობიექტის განსხვავებულებით, შესაფერი „ცალკე მეცნიერების“ არსებობა, ავტორი შემდეგ სვამს საკითხს: „აქვს თუ არა მას სამეცნიერო მეთოდი?“ და უპასუხებს: „თუ საკრიმინალო სამართალი მიმართავს უმთავრესად დაკვირვებას და სტატისტიკას, საპენიტენციარო სამართალი **ერთადერთი დარგია** სოციალურ მეცნიერებათა შორის, რომელიც ხმარობს **ცდას**, და, ამ მხრივ, იგი უახლოვდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგს, რაც მისი უპირა-

[1] „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ., №17, გვ. 415 (სადაც ავტორზე არ არის მითითებული, ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

[2] იგივე, გვ. 414.

ტესობაა. ამრიგად, საპენიტენციარო სამართალს აქვს **თავისი საგანი და მეთოდი** (ხაზგასმა ავტორს ეკუთვნის – ი.ბ.), **ამიტომ იგი უნდა არსებობდეს ცალკე საგნად უნივერსიტეტში“** (სადაც ავტორზე მითითებული არ არის, ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ი.ბ.).

როგორც ვხედავთ ავტორმა, რომელიმე ცალკე მეცნიერების საარსებო უფლების დასაბუთებისათვის, [ვ]ულგარიზაციის შესანიშნავი ნიმუშები წარმოგვიდგინა და ყველაფერი ეს იმისათვის, რომ დაემტკიცები[ნ]ა: საპენიტენციარო სამართალი „უნდა არსებობდეს ცალკე საგნად უნივერსიტეტში“. ავტორის ლოღიკით, ყველაფერი რაც უნივერსიტეტში ცალკე იკითხება „ცალკე მეცნიერებაა“, ყოველგვარი მოვლენა „ცალკე მეცნიერების“ ობიექტს წარმოადგენს. ამის გარდა, საპენიტენციარო სამართალს რა გზით გამოუძებნა ავტორმა თავისი მეთოდი, რომელიც სპეციალურად მისთვისაა დამახასიათებელი? იმით, რომ ის „ხმარობს ცდას“. აი, სპეციფი[კ]ური მეთოდი. ასეთი „მეცნიერული“ არგუმენტაციის შედეგად ავტორმა საპენიტენციარო სამართალი, ჩვენი შრომა-გასწორების პოლიტიკა, ამოიღო სოციალურ[ი] მეცნიერების რიგიდან.

აქედანაც კარგად სჩანს რა სიმაღლეზე ყოფილა ამ საკითხების სწავლების საკითხი „ცალკე საგნად უნივერსიტეტში“. **ლ. შურღაია** არ ღალატობს თავის უშუალო და იდეურ მასწავლებელს პროფ. **პოზნიშევს.** ამ უკანასკნელს თავის „საპენიტენციარო მეცნიერების საფუძვლებში“ დიდი აღფრთოვანებით მოჰყავს ფერის შემდეგი სიტყვები: „ექსპერიმენტალურ[ი] მეთოდის გრანდიოზულ[მა] და ნაყოფიერ[მა] განვითარებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, **უმთავრესად, პიროვნების ბიოლოგიურ[ი] და ფსიქოლოგიური შესწავლით,** რომელიც არის ერთ-ერთი რგოლი დაუსრულებელ[ი] **ზოოლოგიურ[ი]** ჯაჭვიდან ადამიანთა საზოგადოების პოზიტიურ შესწავლაში – სამართლიანად **აღნიშნავს ფერი** – შექმნა ის გონებრივი ატმოსფერო და საერთო მიმართულება, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებასაც წარმოადგენს დანაშაულობის თანამედროვე გამოკვლევა“[1].

ლ. შურღაიას სწორედ ასეთი უვარგისი ვიწრო პოზიტივისტური მეთოდი აქვს ნაგულისხმევი და იმდენად მისი პოზიცია შორს სდგას მარქსისტულ შრომა-გასწორების პოლიტიკის პრინციპებიდან.

დაბოლოს, ყურადღებას იპყრობს იმ ჟურნალის ერთ-ერთი, თითქმის მუდმივი თანამშრომლის (ივ. სურგულაძის) სრულიად ანტისაბჭოთა შეხედულება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის პრინციპიალურ[ი] მხარეების შესახებ. ავტორი თავის წერილში: „სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზო-

[1] Познишев, Основы пенитенциарной науки, 1924 წ., გვ. 84 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ი.ბ.).

გადი ნაწილის შესახებ“, – მიუთითებს რა ჩვენი კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ, მიუთითებს რა ჩვენი კოდექსის ისტორიულ[ი] მნიშვნელობის მე-8 მუხლზე, სადაც ნათლად სჩანს ჩვენი კოდექსის დიამეტრალური განსხვავება ბურჟუაზიულ[ი] სისხლის სამართლის კოდექსებისაგან, ამბობს: **„ამ მუხლის მნიშვნელობა ტეხნიკური ხასიათისაა** და რამდენადაც ამომწურავი კოდექსი იქნება შედგენილი, იმდენად ანალოგიაც შეიზღუდება: წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. **ანალოგია, რომ პრინციპის საკითხად აღვიაროთ და მის შეზღუდვას ვებრძოლოთ,** მაშინ საბოლოოდ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ზედმეტად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც უკანასკნელის აზრი სწორედ იმაშია, რომ კანონმდებლობის გზით ფიქსაცია უქნას **ყველა ისეთ მოქმედებას,** რომელიც სახელმწიფოს დანაშაულობად მიაჩნია და **მისცეს გარანტია მოქალაქეს,** რომ არის საზღვარი, რომელსაც სახელმწიფო არ გადალახავს“[1]. ამრიგად, საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის პრინციპიალურად რევოლიუციონური ბუნება, რომლითაც უარყოფილია ბურჟუაზიული სისხლის სამართლის საჭირო ფორმალური პრინციპი – nullum crimen sine lege (არ არსებობს დანაშაული საამისოდ კანონში მითითების გარეშე), გამოცხადებულია ტეხნიკური ხასიათის მოვლენად. მაგრამ ავტორი აქვე ეწინააღმდეგება თავის თავს, როდესაც მოგვიწოდებს ანალოგიის შეზღუდვისაკენ. ბურჟუაზიული ტიპის კოდექსის მომხრე ჩვენი ავტორი მწვავედ გრძნობს, რომ მომქმედ[ი] სისხლის სამართლის კოდექსით საფუძველი ეცლება კოდექსის ისეთ განსაკუთრებულ ნაწილს, რომელშიდაც ყველა დანაშაულ[ებრივ]ი მოქმედება იქნება ჩამოთვლილი და დაცული იქნება „ყველა მოქალაქის“ უფლებრივი გარანტია. თუ რომელ[ი] მოქალაქის გარანტიაზე ზრუნავს ავტორი ამაზე ეხლავე მი[ვ]უთითებთ, მანამდის კი საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ავტორი სდგას წმინდა იდეალისტურ[ი] ბურჟუაზიულ-იურიდიულ[ი] დოგმატიკის პოზიციებზე, რომელიც დამახასიათებელი იყო კლასიკურ[ი] სკოლის წარმომადგენლებისათვის სისხლის სამართალში.

ვისი უფლებების დაცვა აინტერესებს ავტორს? ჩვენი კლასიური მტრების. ავტორი აღშფოთებულია ჩვენს კოდექსში გათვალისწინებულ[ი] ისეთი ღონისძიებით, რომელიც ეყრდნობა არა იმჟამად ჩადენილ დანაშაულობას, არამედ პიროვნების წარსულ მოქმედებას. ამ შემთხვევისათვის ავტორი ამბობს: „გამოდის რომ წარსულის დავიწყება ჩვენმა კოდექსმა არ იცის. რით შეიძლება ამის ახსნა? კანონმდებელი ხომ უარყოფს შურისძიებას და დასჯას“ (მუხ. 7). მაშასადამე, თუ ჩვენ გარკვეულ სოციალურ ღონისძიებას მივმართავთ ყოფილ[ი] მეფის მსახურების, მაშინდელ[ი] ჯაშუშებისა და სხვათა წინააღმდეგ, ეს თითქმის წინააღმდეგობაში იმყოფება მე-7 მუხლის აზრთან.

[1] „საბჭ. სამართალი“, №11, 1928 წ., გვ. 11 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

ამიტომ ავტორი მოგვიწოდებს დავიცვათ თანამიმდევრობა ბოლომდე და ხელი ავიღოთ **ისეთ რეპრესიაზე** კლასიური მტრის თუ დეკლასიური პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, პიროვნების იმჟამად ჩადენილ[ი] საქციელის გარეშე, განსაზღვრული იქნება პიროვნების წარსულით.

ასეთი შეხედულებები არ ყოფილა ერთი და ორი გამოთქმული ჩვენს წინააღმდეგ კლასიური მტრების ჭირისუფლებისაგან. აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენი კოდექსი მისდევს სამაგიეროს გადახდას? არავითარ შემთხვევაში. ჩვენი საკითხი სხვაგვარად იქნება: არის თუ არა რაიმე ისეთი გამონაკლისი სასამართლოს მოქმედებაში, როდესაც სახელმძღვანელო პრინციპი არ იქნება სოციალური დაცვის პრინციპი და რეპრესია არ იქნება განსაზღვრული მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულობის განმეორების მოსალოდნელობით მომავალში? მონისტურ პრინციპზე აგებული საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკა პრინციპიალურად უარყოფს ასეთ გამონაკლისებს. ჩვენი კოდექსის პრინციპების მიხედვით ყოველგვარი სასამართლო ღონისძიება განსაზღვრულია მომავალ[ი] მდგომარეობით, რომლის კრიტერია არ შეიძლება არ იყოს პიროვნების წარსულიც. კლასიური მტერი, რომელიც აქტიურად მოქმედებდა ჩვენი კანონების და წყობილების არსებობამდე პროლეტარიატის წინააღმდეგ, ცხადია ის არ შეიძლება საშიშ პიროვნებას არ წარმოადგენდეს იმ დროს, როდესაც ჩვენი კანონები დაწერილია სწორედ მის წინააღმდეგ. მისი იზოლაცია აუცილებელი ხდება, ვინაიდან არაფრით არ არის უზრუნველყოფილი მისი დანაშაულობრივი მოქმედების აცილება მომავალში. მისი წარსული საფუძველია სასამართლო ღონისძიებისადმი ისე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში. ყოველგვარი დანაშაულობა, როგორც ფაქტი, უკვე წარსულს ეკუთვნის და აქედან ყველგან მხედველობაში მიღებულია ეს წარსული, როგორც კრიტერია პიროვნების საშიშროებისა **მომავალში.** ამრიგად, სისხლის სამართლის ყველა მოქმედება პრევენციული მნიშვნელობისაა.

ჩვენს ავტორს შეეძლო აქვე წამოეყენები[ნ]ა კანონის უკუქცევის საკითხის ფორმალური გადაჭრა და ამით კიდევ უფრო ხაზი გაესვა მისი მტრულ[ი] პოზიციების დაპირისპირებას ჩვენი კოდექსისადმი.

საყურადღებოა, რომ ამავე ჟურნალის ფურცლებზე კოდექსის რევოლიუციონურ[ი] ბუნების წინააღმდეგ მოცემულია ფილოსოფიური ხასიათის „არგუმენტაცია“. იგი ეკუთვნის პროფ. **შ. ნუცუბიძეს.** მის წერილში: „შინაგანი რწმენა, როგორც განაჩენის უზენაესი საფუძველი“, – ავტორი მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319-ე მუხლზე, რომელიც ამბობს: „სასამართლომ თავისი განაჩენი უნდა დაამყაროს მარტოოდენ იმ ცნობებს, რაც საქმეშია და განხილული იქნა სამსჯავრო სხდომაზე.

დამამტკიცებელ საბუთებს მოსამართლე შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც უნდა ემყარებოდეს საქმის ყოველ გარემოებას, ერთობრივ აღებულს“.

პროფ. **ნუცუბიძისათვის** განსაკუთრებით აუტანელია ამ მუხლის მეორე ნაწილი, სადაც ლაპარაკია მოსამართლის „შინაგან რწმენაზე“, მასში ნაგულისხმევია მოსამართლის კლასიური ალღო და მითითებულია იმაზე, რომ სასამართლო არ შემოიფარგლოს საქმის განხილვის დროს ფორმალური პრინციპით. პროფ. **ნუცუბიძე** კი აქ ხედავს სუბიექტურ[ი] ხასიათის თვითნებობას და, ამიტომ, მისი აზრით, პროლეტარული სასამართლო, მითითებულ[ი] მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოსახავს ობიექტურ მდგომარეობას. მისი სიტყვით „319-ე მუხლის მეორე ნაწილი დეკლარაციას იქით ვერ მიდის“. „...ნაცვლად ობიექტურ[ი] ნიშნებისა, საკითხი გადატანილია სუბიექტურ სფეროში, სადაც არა გარეგანი, არამედ „შინაგანი“ გარემოებაა გადამწყვეტი...“[1]. გარეგანი გარემოება კი „მხოლოდ 319-ე მუხლის პირველ ნაწილშია, სადაც მთელი აგებულობა კანონის შინაარსისა რაციონალურ[ი] აგებულობისაა, ე.ი. მის ნაწილებს შორის არსებული დამოკიდებულება ლოღიკური ბუნებისაა“[2].

როგორც ვხედავთ აქ ნათლად არის გამოთქმული ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ მოსამართლის კლასიური რწმენის პრინციპი უნდა უარყოფილი და შეცვლილი იქნას ფორმალური იურიდიული გარანტიით, რომელიც ცხადია ხელ-ფეხს შეუბორკავს პროლეტარულ სასამართლოს. რით ასაბუთებს ამას ავტორი? აი, რით: „სისხლის სსკ 319-ე მუხლი, რომელიც განაჩენის გამოტანაზე ლაპარაკობს, ცდილობს მართლმსაჯულების გარანტიის შექმნას, მაგრამ ამ მეტად პატივსადებ[ი] მიზეზის გამო ორ[ი] მომენტის შეერთებას ახდენს, **რომელთა შორის არავითარი პირდაპირი კავშირი არ არსებობს:** რაციონალური და ირაციონალური მომენტის, რომლებიც, როგორც თავისი აგებულობით, ისე წარმოშობით ერთი მეორესთან პირდაპირ კავშირში არ იმყოფებიან. მასში კანონმდებელმა თავი მოუყარა ორ შეურიგებელ მოვლენას...“[3]. ამრიგად, ავტორმა თავისი ჰუსერ[ლ]იანური იდეალისტური პოზიციებიდან სცადა პრაქტიკულ-პოპულიარულ[ი] ჟურნალის ფურცლებზე მიეთითები[ნ]ა შეურიგებელ წინააღმდეგობაზე, რომელიც თითქმის განუყრელი თან[მ]ხლებია იმ სასამართლო პოლიტიკისათვის, სადაც აშკარადაა გამოთქმული თავისი კლასიური ბუნება. ავტორისათვის მოსამართლის შინაგანი რწმენა წმინდა სუბიექტური ფსიქოლოგიური მხარეა და აქედან ლოღიკური და ფსიქოლოგიური წარმოგვიდგინა, როგორც ონტოლოგიურად გან-

---

1 „საბჭ. სამართალი“, №3, 1928, გვ. 52.

2 იქვე.

3 იქვე (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

სხვავებული რომელობანი, „რომელთა შორის არავითარი პირდაპირი კავშირი არ არსებობს“. ავტორის მეთოდოლოგიური დუალიზმი ისე შორს სდგას მარქსიზმისაგან როგორც ყოველგვარი ანტიდიალექტი[კ]ური დაპირისპირება წინააღმდეგობრივ ნაწილებს შორის. **ჰუსერლისა** და მისი სკოლის მარცხი ფსიქოლოგიზმის ლოგიზმით შეცვლისა, სრულიადაც ნაგრძნობი არ აქვს პროფ. **ნუცუბიძეს** და პირდაპირ კომიკურია, როდესაც ამ პოზიციებ[იდან] არიგებს ჭკუას საბჭოთა კანონმდებლობას. პროლეტარულ სასამართლოს არ სჭირდება ასეთი მოწყობილობა. **მისი შინაგანი რწმენა ეს კლასის შინაგანი რწმენაა, რომელშიდაც ობიექტივაციაქმნილია სინამდვილის ლოღიკური მოთხოვნილება.** ვინც ამას ვერ ხედავს, ის მხოლოდ წინააღმდეგობას ხედავს. ეს წინააღმდეგობა მართლაც არსებობს, მაგრამ არა პროლეტარულ[ი] სასამართლოს მოქმედების ლოღიკურ მოთხოვნილებასა და მის შინაგან კლასიურ რწმენას შორის, არამედ მოპირისპირე კლასებს შორის. პროფ. **ნუცუბიძე** ცდილობს იდეალისტურ[ი] პოზიციებიდან მოხსნას ეს წინააღმდეგობა პროლეტარულ[ი] სასამართლოს „შინაგანი რწმენის გამორიცხვით“. ავტორისათვის ეს გზა სავსებით ლოღიკურია, მაგრამ ის ფსიქოლოგიურიც არის, სავსებით და მთლიანად განსაზღვრული პროლეტარიატის მოპირდაპირე კლასის წარმომადგენლის „შინაგანი რწმენით“. ამ რწმენაში აუცილებლად გაობიექტივებულია კლასის ინტერესი.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის ისეთ[ი] პრინციპიალურ[ი] მნიშვნელობის მომენტებზე, როგორიც არის ანალოგია და სასამართლოს შინაგანი რწმენა, მრავალჯერ ყოფილა შეტევა გაკეთებული ჩვენი კლასიური მტრებისაგან. „სასამართლოს თვითნებობის“ წინააღმდეგ აყენებდნენ კანონში დაწერილ[ი] თვითეულ[ი] ანბანით მოსამართლის მოქმედების განსაზღვრას და ყველა დანაშაულ[ებრივი] მოქმედების კანონით ფიქსაციას. აქედან მოსამართლის სამოქმედო პრინციპია მხოლოდ და მხოლოდ კოდექსი. კლასიკური სკოლა სუბიექტურ[ი] უფლების საფუძველზე ასაბუთებდნენ ამ დებულებას. მართლაც, რომ ხელსაყრელია კანონის სოციალური ბუნების დასაფარავად სუბიექტის იურიდიული გარანტიის გაღმერთება.

უაღრესად მნიშვნელოვანია **ლენინის** მიერ გამოთქმული შეხედულება ამ პრინციპის შესახებ. სათანადო ეფექტის შენარჩუნებისათვის მოვიყვანთ **ლენინის** სიტყვებს გადაუთარგმნელად:

„Да это в самом деле ужасно, это нестерпимое отступление от чистой демократии, по правилам которой будет делать революцию наш революционный Иудушка **Каутский**. Нам русским большевикам **надо было сначала обещать неприкосновенность** Савинковым и К◦, Либерданам с Петросовыми („активистам“) и К◦, **потом написать уголовное уложение, об‘являющее „наказуемым**“, участие в Чехо-Словацкой контрреволюци-

онной войне или союз на Украине и в Грузии немецкими империалистами против рабочих своей страны, **и только потом на основании этого уголовного уложения, мы были бы в праве, согласно „чистой демократии**“ исключать из советов „определенных лиц“. Само собою разумеется при этом, что чехо-словаки, получающие через Савинковых и Либерданов (или при помощи их агитации) деньги от англо-французских капиталистов, а равно Красновы, имеющие снаряды от немцев, при помощи украинских и тифлисских меньшевиков, смирно сидели **бы до тех пор, пока мы изготовили бы правильное уголовное уложение** и как самые чистые демократы ограничивались ролью оппозиции“.[1]

ლენინის ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი სიტყვები რევოლიუციისა და სამოქალაქო ომების პირობებში წარმოთქმული, სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს ჩვენი კანონმდებლობისათვის, რომელიც ნაყოფია ამ რეცოლიუციისა და სამოქალაქო ომების. და ვინც აქედან უკან დახევას მოითხოვს, ის აუცილებლად ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის წინააღმდეგ მიდის.

ასეთ[ი] რეგრესის თაყვანისმცემელთა საილუსტრაციოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს გამოჩენილ[ი] ისტორიკოსის, პროფ. **ივ. ჯავახიშვილის** „მოღვაწეობა“ ჩვენს დარგში.

პროფ. **ივ. ჯავახიშვილის** სამ[ი] წიგნიდან, ქართული სამართლის ისტორიის შესახებ, ჩვენ, ამჟამად, გვაინტერესებს ის ნაწილი – ნაწილი საკმაოდ დიდი, – რომელიც სპეციალურად მიძღვნილი არის სისხლის სამართლის საკითხებისადმი. ავტორი ურიცხვ ფაქტთა აღნუსხვასთან ერთად გვაძლევს ზოგად დებულებებს ძირითად[ი] საკითხების შესახებ, რომლებიც უაღრესად იდეალისტური ხასიათისანი არიან. სისხლის სამართლის წარმოშობისა და განვითარების მასაზრდოებელი კლასიური ურთიერთობა ავტორისათვის სრულიად მიჩქმალული რჩება და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მთელს ისტორიას ესა თუ ის შემთხვევითი გარემოებანი და მმართველი პიროვნებები განაგებდ[ნ]ენ.

ისტორიკოსი თუ წინასწარ სუბიექტურად არ არის განწყობილი ფაქტებისადმი, როგორ შეიძლება მან სავსებით შებრუნებული სურათი დაგვიხატოს იმისა, რაც იყო.

სისხლის სამართლის იდეალისტურ[ი] თეორიის განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მაშინ, როდესაც პიროვნების დანაშაულ[ებრივი] მოქმედების ახსნას საფუძვლად დაედვა ნების თავისუფლების მეტაფიზიკური გაგება. დანაშაულ[ებრივი] ქმედობის ასეთი ინტერპრეტაცია მეტად ხელსაყრელი იყო ბურჟუაზიისათვის, რომ ამით დაფარულიყო დანაშაულ[ებრივი] ქმე-

[1] XV ტ., გვ. 487-488 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

დობის ნამდვილი მიზეზი – კლასობრივი ანტაგონიზმი. ადამიანის მოქმედებაში, თუ გადამწყვეტი მნიშვნელობის მისი ნებისყოფაა, ცხადია ამის შემდეგ მისი მოქმედება სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ შეიძლება ახსნილ იქნას მხოლოდ სუბიექტის „ბოროტი ნების“ წყალობით და არა სხვა რაიმე მიზეზებით. აქედან სასჯელის იდეის აგება სამაგიეროს მიზღვის პრინციპზე, რომელიც ერთადერთი უპასუხებს თავისუფალ[ი] ნების მატარებელ[ი] სუბიექტის მოქმედებას. სასჯელის მიზანში ამ ერთადერთი შინაარსის მოთავსება, იმიტომ არის აუცილებელი, რომ ყოველგვარი აზრი ეკარგება საზოგადოების დაცვის ან პიროვნების გამოსწორების იდეას, როგორ შეიძლება პიროვნების გამოსწორება, თუ მისი ნებისყოფა თავისუფალია და იგი მიზეზობრივად არ არის განსაზღვრული მის გარეშე მდებარე პირობებით. თუ მისი ნებისყოფა სრულიადაც არ არის დეტერმინირებული სასჯელის ზედმოქმედებით, ცხადია, სასჯელი ოდნავადაც ვერ განსაზღვრავს პიროვნების მომავალ მოქმედებას კანონსაწინააღმდეგო მოქმედებიდან თავის შეკავების მხრივ. ნების თავისუფლების იდეალისტური გაგება დანაშაულისა და სასჯელის პრობლემის დახასიათებაში, სავსებით ლოღიკურ ბოლომდე მიიყვანა **კანტმა,** როდესაც სთქვა, რომ დამნაშავე მაინც უნდა დაისაჯოს მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს მთელი მსოფლიო იღუპებოდესო. სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების გზაზე ბუნებრივი და ისტორიულად გამართლებული იყო ასეთი შეხედულებების არსებობა, მაგრამ რამდენად შეიძლება ასეთი აზრების გამართლება ჩვენს სინამდვილეში 1929 წელში?

პროფ. **ივ. ჯავახიშვილი,** მის მიერ აღწერილ ისტორიულ ფაქტთა წინააღმდეგ, გვაწვდის უაღრესად იდეალისტურ შეხედულებას ჩვენი ძირითად[ი] საკითხის შესახებ. აი, მისი სიტყვებიც: „ადამიანის **ყოველი მოქმედება მისი ნების** განსახიერებას წარმოადგენს: **გადამწყვეტი მნიშვნელობა** სწორედ ნებას აქვს, რომელიც მის თავში გაჩენილ აზრს საქმედ აქცევს ხოლმე. თავისთავად ცხადია, რომ გარდამავლობითი (დანაშაულობრივი – ი.ბ.) მოქმედების თვისების გამოსარკვევადაც მით უმეტეს **ამ მოქმედების გამომწვევ ნებისყოფას** უნდა მიექცეს ყურადღება“.[1] აქედან სავსებით ზედმეტი ხდება დანაშაულობის „გამომწვევ[ი]“ მიზეზების ძებნა საზოგადოებრივ[ი] წყობილების სტრუქტურაში, მატერიალურ სინამდვილეში. „ამ მოქმედების გამომწვევი ნებისყოფა“ სავსებით დამოუკიდებელია, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ნებას აქვს. საფიქრებელია, რომ ამ სიტყვების ავტორს აუცილებლად დიდი იმედები უნდა ჰქონდეს საკუთარი ნებისყოფისა, მას შემდეგ, რაც მისი არაკეთილი ნება, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარისად-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 259 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

მი, უცვლელი რჩება მთელი წლების განმავლობაში. მაგრამ სწორედ რომ აქ მარცხდება ჩვენი მკვლევარი: მისი ნებისყოფა მტკიცედ არის განსაზღვრული საკუთარი კლასის ინტერესებით.

მთელ[ი] რიგ[ი] იდეალისტურ[ი], არამეცნიერულ[ი] პოზიციებიდან, რომელსაც ავტორი იცავს თავის შრომაში, ჩვენ მი[ვ]უთითებთ, გარდა აღნიშნულისა, მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ხსნის იგი ისტორიულ ფაქტს დანაშაულობის საფასურით გამოსყიდვის შესახებ. „კანონთა **სიმკაცრის შემსუბუქების** მიზნით, – ამბობს ავტორი, – დასავლეთის ეკლესიამ დანაშაულობისათვის ქონებრივი საზღაური შემოიღო...“.[1] ასეთ სუბიექტურ, ხელოვნურ, ანტიმეცნიერულ დასკვნებს ზემოთ აღნიშნული სისხლის სამართლის იდეალისტური თეორიის წარმომადგენლებიც კი არ აკეთებენ, როდესაც საკითხს ისტორიული თვალსაზრისით იხილავენ. ამის დასადასტურებლად კლასიკურ[ი] სკოლის უდიდეს წარმომადგენელზედაც (ბინდინგი) შეგვეძლო მიგვეთითები[ნ]ა, რომელიც ამბობს, რომ დანაშაულზე საზღაურის დაწესება სახელმწიფოსათვის, „გამომდინარეობს მდიდარისა და ღარიბის უაღრესად განსხვავებიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობის წინაშე“.[2]

ივ. ჯავახიშვილი ამ ინსტიტუტის შემოღებას გაბატონებულთა კეთილ სურვილებზე მითითებით ახვევს ბურუსში მაშინ, როდესაც ამის ნამდვილი საფუძველი ექსპლოატატორთა გაუმაძღარი მადა იყო, რომელსაც იმ პერიოდში „ქონებრივი საზღაური“, ქონებრივი სასჯელი უფრო აკმაყოფილებდა, ვიდრე ფიზიკური. „ქონებრივი საზღაურის“ შემოღების ნამდვილი მიზეზის დასაფარავად ხშირად მიუთითებდნენ, აგრეთვე, იმაზე, რომ სახელმწიფო აქ თავს იკმაყოფილებს „სამართლიან[ი] საზღაურით დროის დაკარგვისათვის“. სინამდვილეში, როგორც სამართლიანად შენიშნავს **პაშუკანისი,** ეს წესი შემოღებულ იქნა „უმთავრესად ფისკალური მოსაზრებით და ემსახურებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა ხაზინის შევსებას“.[3]

დაუჯერებელია, რომ ჩვენი ისტორიკოსი ეკონომი[კ]ურ მომენტზე მითითებას შეგნებულად არ უვლიდეს გვერდს.

აღწერილ ფაქტთა ინტერპრეტაციას, რომ სუბიექტური გარემოებანი უძევს საფუძვლად ავტორის შრომაში, ეს კიდევ შემდეგ[ი] გარემოებიდან სჩანს: ავტორი, იხილავს რა აღმოსავლეთ ეკლესიის მიერ „სასჯელთა შემსუბუქების ნამდვილ მიზეზს“, დაასკვნის: „...მოსალოდნელი **სასჯელის სიმძიმის გამო შეცოდებულნი და დამნაშავენი თავიანთ ბრალეულობას მალავდნენ და მსჯავრს გაურბოდ[ნ]ენ** (ხაზგასმა ავტორისაა – ი.ბ.). **ეს რომ არ**

---

1 იგივე, გვ. 529 (ხაზი ჩვენია – ი.ბ.).

2 Карл Биндинг, Публичное наказание в германо-немецком праве, Н. ид. проповед., Сборник №3, 1941, გვ. 102.

3 დასახ. თხზ., გვ. 114.

მომხდარიყო, აღმოსავლეთის, განსაკუთრებით საბერძნეთის, ეკლესიამ სასჯელთა ხანგრძლივობის შემოკლება ისურვა... მრავალჯერ სასჯელი შეამცირა და შეამსუბუქა“[1]. ამრიგად, სასჯელის სიმკაცრე უაზრო ხდება, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, დანაშაულობის გახსნა აღარ არის შესაძლებელი. ამიტომ სახელმწიფომ ლმობიერებას უნდა მიმართოს და სოციალურად უაღრესად საშიში მოქმედებანი უნდა დააკანონოს. არასოდეს ისტორია ამ უაზრობამდის არ მისულა. რაიმე შეცდომის ნიადაგზე მომხდარ დროებით ფაქტზე რომ მიგვითითებდეს ავტორი, მაშინ კიდევ გასაგებია, მაგრამ აღნიშნული დასკვნა მან ლოღიკურ ფორმაში მოგვცა, რომელზედაც თითქოს უნდა დასდგომოდა მთელი აღმოსავლეთი ქვეყნები.

ავტორის არგუმენტაციის საფუძველი სავსებით სუბიექტურია და დამყარებულია დამნაშავის ანგარიშზე. მაგრამ მარტო ამ უკანასკნელის თვალსაზრისზე დადგომითაც ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ეს ანგარიში საფუძვლად ვერ დაედებოდა ანგარიშის არანაკლებად მოყვარულ აღმოსავლეთის ეკლესიის სისხლის სამართლის პოლიტიკას. სასჯელის აღნიშნულ[ი] მიზნით გალმობიერება არ იქნებოდა უდიდესი ბიძგი მძიმე დანაშაულობათა სწრაფად გაზრდისა? ავტორის ნიადაგზე სასჯელის შემსუბუქება არ მოხდება ნაკლებად საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი, ავტორის ლოღიკით, ხომ „არ მალავდნენ ბრალეულობას და არ გაურბოდ[ნ]ენ მსჯავრს“. ცხადია აქედან, რომ ერთნაირი მასშტაბით უნდა ყოფილიყო მიყენებული სავსებით სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობისათვის. ეს კი უსაზღვროდ ადიდებს მძიმე დანაშაულობათა პროცენტს, ვინაიდან ჩადენილი დანაშაულობით მიღებული სარგებლობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ის რაც მან უნდა უზღოს სამსჯავროს. გასაგებია აქედან საით წავიდოდა ასეთი საზოგადოების ბედი. არაჩვეულებრივად ძლიერი უნდა იყოს ავტორის სურვილი დაჰფაროს აღნიშნულ[ი] მოვლენის სოციალ-ეკონომი[კ]ური პირობები, როდესაც ასეთ ანტიმეცნიერულ აზრებს გვთავაზობს.

ყოვლად წარმოუდგენელია ავტორმა არ იცოდეს, რომ სასჯელის გალმობიერების მიზეზი არის ქვეყნის ეკონომი[კ]ური მდგომარეობა და პოლიტიკური ძლიერება.

საინტერესოა ჩვენი ავტორი, როგორც ისტორიკოსი, რას იტყოდა პირველყოფილ ველურთა მოქმედებაზე, როდესაც ისინი ტყვეებს ხოცავდნენ ან სჭამდნენ, ხოლო შემდეგ, საწარმოო იარაღების ნიადაგზე შრომის განაყოფიერების შემწეობით, ალმობიერებდნენ თავის საქციელს მტრის მიმართ, აღარ უსპობდნენ სიცოცხლეს და „საზღაურად“ იყენებდნენ მათ შრომას? ავტორი აქ ალბათ იტყვის, რომ ეს მოხდა იმ მიზნით, რომ მტერი არ გაქცეოდა დატყვევებას და ლმობიერ მოწინააღმდეგეს ადვილად ჩავარდნოდა ხელში.

[1] იქვე, 531 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

შეუძლებელია ავტორმა არ იცოდეს, რომ პირველყოფილ ხალხსაც არ ახასიათებდა აზროვნების ასეთი უაზრო თვისება, არა თუ აღმოსავლეთის „განათლებულ“ ხალხებს.

პროფ. **ივ. ჯავახიშვილი** იდეალისტია, მაგრამ ფაქტების აღწერას გვერდს ვერ უვლის და ამიტომ ბევრი წინააღმდეგობა მოიპოვება მის შრომებში.

როგორც ეხლა მი[ვ]უთითეთ, ავტორი სასჯელის გალმობიერებას იმით ხსნის, რომ სასჯელის სიმკაცრის შემთხვევაში დანაშაულობა დაფარული ხდება სახელმწიფოსათვის. მაშასადამე, დანაშაულობასთან ბრძოლის რაციონალური პრინციპი გულისხმობს სასჯელის სიმკაცრის უარყოფას. მაგრამ ის კი ა[ღ]გვიწერს ასეთ ფაქტს: „გიორგი III-ის მეფობაში, გახშირებულ[ი] მეკობრეობისა და პარვის გამო, საკანონმდებლო კრებამ 1170 წელს მშვიდობიანობის დამყარება **მკაცრი სასჯელის შემოღებით სცადა და ამ დადგენილებას მართლაც სრული მყუდროება და უშიშროება დაუმყარებია საქართველოში“.**[1] როგორც ვხედავთ, გიორგი III-ის დროს მომხდარა რაღაც სასწაული და „შეცოდებულნი“ თავის დანაშაულს აღარ მალავდნენ და არ გაურბოდნენ „ულმობელ სასჯელს“. ბევრ ანალოგიურ ადგილებზე მითითება შეიძლებოდა, სადაც ავტორის ანტიმატერიალისტური პოზიცია აშკარად არის აღიარებული. ან კი როგორ შეიძლება მდგომარეობის სხვაგვარად წარმოდგენა, როდესაც ავტორის წიგნი[ს] კარი მე-2 – „სისხლის სამართალი“, – იწყება შემდეგი სიტყვებით: **„ყოველი ერის სისხლის სამართალი და კანონმდებლობა გარკვეულ[ი] უფლებრივ[ი] შეგნების ნაყოფია...“.**

საკმარისია...

როგორც ვხედავთ, ჩვენს სინამდვილეში, საკმაოდ სიცხადით არის წარმოდგენილი სისხლის სამართლის საკითხების წმინდა იდეალისტური გაშუქება, ერთის მხრივ, ხოლო პოზიტიური – მექანისტური შეხედულებების გავრცელება, მეორეს მხრივ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ფართო ხასიათისაა და ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ენერგიული ბრძოლა მის წინააღმდეგ. ჩვენი საკითხების იდეალისტური ინტერპრეტაცია საბოლოოდ უნდა ამოვსწვათ ყოველგვარ შემრიგებლობასთან ერთად და **მარქსისტულ-ლენინურ[ი]** ახალგაზრდა ძალების მტკიცე კონსოლიდაციით, კოლექტიური შრომით, უნდა გადავლახოთ ყველა სიძნელენი ამ დარგში.

თებერვალი, 1932 წ.
ქ. ტფილისი

[1] იგივე, გვ. 538 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ბ.).

პროფესორ **გ. ნანეიშვილს**[*]

ა/წ 25 ოქტომბერს, საღამოს 7[1] საათზე ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის (ЗКУ) ქიმიის აუდიტორიაში (შიო ჩიტაძის ქუჩაზე) ჩატარდება სოციოლოგიის კათედრის ღია სხდომა.

დღის წესრიგი:

ამხანაგ ა. გეგენავას მოხსენება „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“.

თქვენ კათედრა გიწვევთ სხდომაზე და, გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში.

კათედრის გამგე: [ხელმოწერა][2] /ბოლოტნიკოვი/

ამხანაგ ა[ლექსანდრე] გეგენავას მოხსენების თეზისები

„საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“

(პროფესორების: ა. ვაჩეიშვილის, გ. ნანეიშვილისა და ირ. სურგულაძის ნაშრომების კრიტიკული ანალიზი)

1. თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფაქტი ნათლად მოწმობს კაპიტალისტური სისტემის კრახის შესახებ. კლასობრივ ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა მზარდი პროლეტარიატის სასარგებლოდ. საკუთარ სრულ გამოაშკარავებას უახლოვდება ბურჟუაზიული სახელმწიფოს, აგრეთვე, ერთ დროს „წმინდა“ „ნება“. ბურჟუაზიული კლასობრივი შეგნება ძრწის ამ ფაქტების გამო; მათი [მეშვეობით] ვერ მოხდება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებობისა და კაპიტალისტთა კლასის ბატონობის უფლების დასაბუთება. საჭიროა სულ სხვა საფუძვლები, ვიდრე ისეთები, რომლებსაც აქამომდე განაგებდა დოგმატური იურისპრუ-

---

[*] მოსაწვევისა და თეზისების რუსულად შესრულებული დედანი დაცულია პროფესორ ოთარ ლითანიშვილის საოჯახო არქივში. თეზისები ბოლონაკლულია. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

[1] მოსაწვევის ნაბეჭდ ვარიანტში მითითებულია 6 საათი, შემდეგ ფანქრით ჩასწორებულია როგორც – 7 [რედ.].

[2] ბოლოტნიკოვის მიერ ხელმოწერილია წითელი ფერის ფანქრით [რედ.].

დენცია. ბურჟუაზიული საზოგადოების აუცილებლობის დასაბუთების ამ ახალი ფაქტების მოსაძიებლად გაეშურა აღორძინებული სამართლის ფილოსოფია.

მეორე მხრივ, გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყნებში იგივე ფაქტები სოციალიზმის აღმშენებლობის პროცესში მთლიანად და სრულყოფილად ადასტურებენ რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური პრაქტიკისა და თეორიის მართებულობას.

2. საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი იბადება და იწყებს განვითარებას კლასობრივი ბრძოლის სწორედ ამ ვითარებაში – იდეოლოგიური ფრონტის სამართლებრივი მონაკვეთზე. თუმცა ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ პირველსავე, პროფ. ა. ვაჩეიშვილის ნაშრომში – „სამართლის ზოგადი თეორია“ (1926 წ.) – ის შეგნებულად უვლის გვერდს სამართლისა და სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და არ უერთდება რა სამართლის ფილოსოფიის უკანასკნელ დასკვნებს, გულუბრყვილოდ რჩება იურიდიული პოზიტივიზმისა და დოგმატიზმის ნიადაგზე – პროლეტარიატის იდეოლოგიისათვის ასე უცხო [ფენომენზე].

3. პროფ. სურგულაძის ნაშრომში – “Gewalt und Recht” (1925 წ.) – სამართლებრივი აზრი საბჭოთა საქართველოში უფრო მკვეთრად შეაქცევს ზურგს მარქსიზმ-ლენინიზმს, მკვეთრ ნაბიჯს გადადგამს წინ, სამართლის იდეალისტური ფილოსოფიის მიმართულებით.

საკუთარ ნაშრომში პროფ. სურგულაძე აყენებს საკითხს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების შესაძლებლობის შესახებ. მეცნიერების შესახებ ჰუსერლის თვალსაზრისიდან გამომდინარე, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნის განმარტებისას „სახელმწიფოს, როგორც სამართალს“, საკუთარი კანონზომიერების მქონე, ონტოლოგიურად დამოუკიდებელ არსად აცხადებს.

სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის კაუზალური კავშირის შესაძლებლობის გამორიცხვით მას აღარ შეუძლია სხვაგვარად ახსნას სამართალსა და სოციალურ ცხოვრებას შორის „ურთიერთქმედების“ ფაქტი, თუ არა როგორც თვით სამართლებრივი კანონზომიერებისადმი სოციალური სინამდვილის დაქვემდებარება და ამ სინამდვილის „სამართლებრივ რიგში“ „შეყვანა“.

ამრიგად, პროფ. სურგულაძე, მეცნიერების შესახებ ჰუსერლიანური დებულებიდან გამომდინარე, გარდაუვლად მიდის იდეალიზმამდე.

4. პროფ. გ. ნანეიშვილი („სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, 1929 წ.) „აღიარებს“ ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ მარქსისტული თეზისის მართებულობას, თუმცა სოციალური ცხოვრების **ფაქტობრიობის** სფეროში.

ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისათვის, „ეიდენტური განჭვრეტის“ მეთოდის [გამოყენებით], ის გამოშიგნავს ფაქტების სამყაროს, „აღმოაჩენს“ მასში ნებისმიერი გამოცდილების წინმსწრებ, სამართლის მუდმივ არსს/[რაობას].

სამართლის ნამდვილობის არსის/[რაობის] მეშვეობით პოზიტიური სამართლის განმარტებისას ავტორი ფაქტების ნორმატიულობას „ასაბუთებს“ არა მხოლოდ პოზიტიური სამართლის წყაროზე [დაყრდნობით], არამედ იმ გარემოებაზეც, რომ ნორმატიული ფაქტები, დამოუკიდებლად პოზიტიური სამართლის წყაროსა და ნორმებისაგან, თავისთავად, მხოლოდ საკუთარი არსებობის ფაქტიდან გამომდინარე, [უკვე] არის სამართლის ნამდვილობის არსი/[რაობა].

ამრიგად, ავტორი ანადგურებს სოციალური ცხოვრების მდიდარ სინამდვილეს, დაყავს ის მუდმივად არსებული, რაობის/[არსის] გამოხატვის მარტივი ფორმის ხარისხამდე, ანუ საგნებს თავდაყირა აყენებს და პრობლემის იდეალისტურ გადაწყვეტას იძლევა.

5. პროფ. ა. ვაჩეიშვილის სხვა ნაშრომი – „კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“ (1929 წ.), – ჩანს რა როგორც ამ მეცნიერის მარტივი პოპულარიზაცია, არსებითად, არის კელზენიანობის აპოლოგია. აღნიშნული ნაშრომის გამოჩენა 1929 წელს დამახასიათებელია საბჭოთა საქართველოში სამართლებრივი აზრის განვითარებისა იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი ჯერ კიდევ 1926 წელს იძლეოდა პირობას, ჩამოეყალიბებინა სამართლის სოციალისტური და მარქსისტული თეორია. სოციოლოგიური მიმართულება აშკარად გამოვიდა მოდიდან, ხოლო მარქსიზმს უკვე 1929 წლისათვის საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი მკვეთრად განუდგა.

6. სხვა ნაშრომებს შორის აუცილებელია აღინიშნოს პროფ. სურგულაძის სტატია სახელმწიფოს შესახებ [კ.][1] კაუცკის ახალი მოძღვრების თაობაზე და პროფ. ს. ჯაფარიძის ნაშრომი – „სამეურნეო-ადმინისტრაციული სამართალი“ (1930 წ.).

პირველი მათგანი, კაუცკის ნაშრომისადმი მატერიალისტურ-დიალექტიკური კრიტიკის ნაცვლად, ძირითადად, ფორმალურ-ლოგიკურ კრიტიკას [გვთავაზობს], და [ავტორი] აყენებს თეზისს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არის კლასობრივი საზოგადოება და რომ საზოგადოებრივი კანონზომიერების შემეცნება/[შეცნობა] შეუძლებელია სახელმწიფოს ბუნების საიდუმლოს გარკვევის გარეშე.

[1] დედანში მითითებულია „ს“, სინამდვილეში უნდა იყოს „კ“, ვინაიდან ავტორი საუბრობს კარლ კაუცკის მოძღვრებაზე [რედ.].

პროფ. ს. ჯაფარიძე თავის ნაშრომში დღაბნის არსებულ ხარისხობრივ განსხვავებას ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ მეურნეობის ორგანიზებას შორის, და ავლენს კომუნიზმის უცნაურ შეცნობას, ამტკიცებს რა, რომ სოციალიზმი (უკეთ რომ ვთქვათ, – მისი უზენაესი...[1]

[1] მოხსენების თეზისები ბოლონაკლულია; მიუხედავად ძიებისა, ვერც საქართველოს ეროვნულ არქივში და ვერც პროფ. ლითანიშვილის საოჯახო არქივში (სადაც ინახება გიორგი ნანეიშვილის მასალები) თეზისების ბოლო გვერდს ვერ მივაკვლიეთ [რედ.].

კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ*

სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპებისათვის

საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის უპარტიო პედაგოგიურმა პერსონალმა, რომელმაც მოისმინა ამხ[ანაგ] რამიშვილის მოხსენება კონდრატიევის, გრომანის, სუხანოვის, ჩაიანოვის და სხვ[ათა] მავნებლურ კონტრრევოლიუციონურ[ი] ორგანიზაციის შესახებ და ზიზღს გამოსთქვამს ამ ორგანიზაციის ვერაგულ[ი] მუშაობის გამო, რომელიც მიმართულია სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ, გამოხატავს პროლეტარული დიქტატურისადმი მტრულად განწყობილ[ი] ელემენტების ზრახვებს და მიზნათ ისახავს კაპიტალისტური სისტემის რესტავრაციას. ასეთი ვერაგული მოქმედება მუშათა კლასის მტრებისა, რომლ[ებ]იც ჰფიქრობენ ზურგიდან ჩასცენ მახვილი პროლეტარულ სახელმწიფოს, ჩვენ გვავალებს განსაკუთრებით გავაძლიეროთ მუშაობა სოციალისტურ ფრონტზე, მაქსიმალურად დავეხმაროთ სოციალისტურ სახელმწიფოს ყველგან, სადაც კი ჩვენი ენერგია და ცოდნა გამოსადეგი იქნება სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელ ისტორიულ მომენტში, როდესაც მუშათა კლასის ენერგია უკიდურესად დაჭიმულია და ახალ საზოგადოებას, კომუნისტურ საზოგადოებას სჭედავს, უკვე შეუძლებელია უბრალო ლოიალობის პოზიციაზე დგომა; ჩვენ სავსებით გარკვევით ვაცხადებთ, რომ ლოიალობის პოზიციიდან ჩვენ გადავდივართ იმ მხარეზე, რომელზედაც მუშათა კლასი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განსაცვიფრებელ[ი] ინტენსივობით აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას და მზად ვართ ამ მშენებლობისთვის არ დავზოგოთ ჩვენი ცოდნა და ენერგია.

პროფ. იროდიონ სურგულაძე
პროფ. გიორგი ნანეიშვილი
პროფ. ა[ლექსანდრე] ვაჩეიშვილი
ლექტ. კ[ონსტანტინე] მიქელაძე
დოც. ა[მბროსი] ინწკირველი
ლექტ. ს[ერგი] ჯაფარიძე
ლექტ. გ[რიგოლ] რცხილაძე
პროფ. კ[ონსტანტინე] ბაქრაძე
პროფ. გ[რიგოლ] ნათაძე
ლექტ. ს. ფურცელაძე
ლექტ. [ლაზარე] შურღაია
ლექტ. გ[იორგი] შენგელაია

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“, 16 ნოემბერი, 1930 [რედ.].

პროფ. ა. ვაჩეიშვილი გმობს თავის ანტიმარქსისტულ აზრებს*

იმ დისპუტთან დაკავშირებით, რომელიც მოაწყო სოციოლოგიის კათედრამ ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან, საბჭოთა მშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის მასწავლებელთა შრომების შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ახსნა-განმარტება:

პირველი ჩემი შრომა სამართლის ზოგად თეორიაში დაიწერა 1925 წ., გამოიცა 1926 წ.; ამ შრომას მე არც წინად ვსთვლიდი მარქსისტულად, ამჟამად კი, გარკვეულად ანტიმარქსისტულად ვსთვლი, ამიტომ ამ შრომის გამოსვლის დღიდან არ ვსთვლიდი მას როგორც ისეთ შრომას, რომელსაც შეუძლია ითამაშოს სახელმძღვანელოს როლი სამართლის თეორიაში; ვინაიდან აღნიშნულ შრომას მიუღებლად ვსთვლიდი, ამიტომ იგი არ შემქონდა ჩემი პროგრამების ბიბლიოგრაფიულ საძიებელში.

რაც შეეხება ჩემს მეორე შრომას – „კელზენის მოძღვრება სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ“[1], – არც ამ შრომას ვსთვლი მარქსისტულად: კელზენის თეორია აქ არ არის მარქსისტულად გაშუქებული, ამიტომ ამ წიგნს ობიექტური შედეგებით მავნე გავლენა უნდა მოეხდინა მკითხველთა გონებაზე და ჩაენერგა მათთვის გახრწნისა და დაცემის ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც ეწინააღმდეგება მარქსიზმს.

ჩემს გამოსვლაში მე ვლაპარაკობდი სამართლის მარქსისტული თეორიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ; რათა ჩემმა განცხადებამ გაუგებრობა არ გამოიწვიოს, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მე არასოდეს არ უარვყოფდი სამართლის მარქსისტული თეორიის არსებობას; ასეთი აზრი არ ეგუება არც ჩემს ძირითად თეორიულ შეხედულებებს, არც ჩემს სამასწავლებლო მოღვაწეობის ხასიათს, ვინაიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მე სწორედ სამართლის მარქსისტულ თეორიას ვასწავლიდი; ჩემი აზრი გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ ერთადერთმა სწორმა, თუმცა სამართლის აბნეულ ბურჟუაზიულ თეორიასთან შედარებით, ნორჩმა მეცნიერებამ ჯერჯერობით ვერ მოასწრო მთლიანად და დაწვრილებით დაემუშავები[ნ]ა სამართლის ახალი პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად ინტენსიურად მუშაობს საბჭოთა იურიდიული აზრი.

---

* პირველად გამოქვეყნდა ქართულ ენაზე გაზეთ „კომუნისტში“, 16 ნოემბერი, 1930; ხოლო რუსული თარგმანი კრებულში: Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу А. И. Гегенава: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией А. А. Болотникова, ЗКУ, Тифлис, 1931, 140-141 [რედ.].

1 წიგნის სახელწოდება შეცდომითაა, უნდა იწეროს: „Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“ [რედ.].

ასეთია ჩემი შეხედულება ამ საგანზე; იქნებ მე სწორად ვერ ჩამოვაყალიბე ჩემი აზრი, მაგრამ ჩემს განცხადებას სწორედ ეს აზრი ედო საფუძვლად.

მე მისაყვედურეს, რომ მიუხედავად ჩემ მიერ მიცემულ[ი] პირობისა, მე დღესაც არ დამიწერია სამართლის მარქსისტული თეორია. დღემდე არ მქონდა შესაძლებლობა დამეწერა სამართლის მარქსისტული კონცეპციის შემცველი შრომა, მიმდინარე სამოსწავლო წელში კი, ვალდებულებას ვკისრულობ შევასრულო ეს სამუშაო.

ა[ლექსანდრე] ვაჩეიშვილი

ჩემი განცხადება*

იმ დისკუსიის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში ამხანაგ გეგენავას მოხსენების ირგვლივ შემდეგ თემაზე – „სამართლის აზროვნების განვითარება საქართველოში“, – და გაუგებრობის თვიდან ასაცილებლად ვაცხადებ შემდეგს:

1. წიგნი – Gewalt und Recht, – რომელიც მე 1923-24 წელს დავწერე გერმანულ ენაზე, არ გამოხატავს იმ შეხედულებებს, რომლებსაც ამჟამად ვიცავ სახელმწიფოს და სამართლის საკითხებში და რომლებსაც ვატარებ ჩემი აკადემიური მუშაობის დროს. ძირითადი გეზით სამართლისა და სახელმწიფოს საკითხებში ამ ნაშრომს **მე ვთვლი ანტიმარქსისტულად** და ამიტომ ეხლა სრულებით აღარ ვიზიარებ ამ წიგნში გამოთქმულ შეხედულებებს.

2. კაუცკის შესახებ 1929 წლის „მნათობი“-ს მე-10 ნომერში მოთავსებულ წერილს საერთოდ და ძირითადად ვთვლი მარქსისტულად და კაუცკის შეხედულებათა კრიტიკა ამ წერილში გატარებულია იმ თვალსაზრისით, რომელსაც იცავს მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ წერილის ორ ადგილას აზრი სავსებით სწორედ ვერ არის გამოთქმული, რაც იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული წერილი სხვანაირად შეეფასებიათ.

პროფ. იროდიონ სურგულაძე

---

* პირველად გამოქვეყნდა ქართულ ენაზე გაზეთ „კომუნისტში“, 18 ნოემბერი, 1930; ხოლო რუსული თარგმანი კრებულში: Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу А. И. Гегенава: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией А. А. Болотникова, ЗКУ, Тифлис, 1931, 140. ამ უკანასკნელ კრებულში პროფ. სურგულაძის განცხადების გამოქვეყნების თარიღად მითითებულია 1930 წლის 15 ნოემბერი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან ის 1930 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა [რედ.].

რეცენზია წიგნზე – იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზროვნებაში, ამხანაგ ა.ი. გეგენავას მოხსენების – „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი აზრი“ – ირგვლივ გამართული დისკუსიის სტენოგრამა, ა.ა. ბოლოტნიკოვის რედაქტორობით, ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ტფილისი, 1930, 146 გვ.*

მიხეილ დოცენკო

მარქსისტმა ლენინელებმა, როგორც ამას მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების ყრილობაზე მიუთითებდა ამხანაგი კაგანოვიჩი, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ბურჟუაზიის კლასიკური მსოფლმხედველობის – იურიდიული მსოფლმხედველობის – წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოაშკარავებულ იქნა ყოველგვარი სახის ფსიქოლოგიური, ნორმატივისტული და მათი მსგავსი თეორიების კლასობრივი არსი.

მარქსისტი ლენინელები, რომლებიც, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, გააერთიანა კომ[უნისტურმა] აკადემიამ, იბრძოდნენ და იბრძვიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის; გამოაშკარავდა ნებისმიერი სახის ოპორტუნისტული დამახინჯება, რომელიც ხშირად უშუალოდ ეკვრის სხვადასხვა სახის ბურჟუაზიულ თეორიას. ბოლშევიკური თვითკრიტიკის განვითარებით მექანიკური და ფორმალისტური მეთოდოლოგიის დანალექის გადაგდებით, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც უმთავრესი საფრთხის, გამოაშკარავებით, აგრეთვე, იმ ოპორტუნისტული შეცდომების, რომლებიც „მემარცხენე“ ფრაზით შეიბურა; სახელმწიფოსა და სამართლის სფეროს მარქსისტულ-ლენინური თეორია წინ მიიწევს, სულ უფრო და უფრო მეტად სპობს თეორიასა და სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკას შორის არსებული წყვეტის ელემენტებს. კლასობრივი მტერი ცდილობს თითოეული შეცდომის გამოყენებას. კლასობრივი მტერი ბოლშევიკური თვითკრიტიკის წესით აღმოჩენილ შეცდომებს „ფრონტის ჩამოშლად“ აღიქვამს.

ამასთან მიმართებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სარეცენზიო კრებული. ტფილისის უნივერსიტეტში თავი მოიყარა ბურჟუაზიული პროფესორების ჯგუფმა, რომლებიც ღიად ქადაგებს იდეალიზმს, ან, როგორც ამას ახასიათებდა დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე, „იდეალიზმის უსიამოვნო სახეს..., ლპობადი ბურჟუაზიის იდეალიზმს“ (გვ. 81). ტფილისელი „პროფესო-

---

* რუსული ვარიანტი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „Советское государство и революция права“, №4, 1931, 167-169. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

რები, როგორც წინასიტყვაობაში წერს ბოლოტნიკოვი, ღია, დაუფარავი სამართლისა და სახელმწიფოს ბურჟუაზიული თეორიის ტიპური წარმომადგენლები არიან. მრავალი წლის განმავლობაში ისინი ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზრს და ანიჭებდნენ მას მკვეთრად გამოხატულ იდეალისტურ ხასიათს“ (გვ. III). უკანასკნელ დრომდე სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სფეროში მარქსისტულ-ლენინური კადრების არარსებობა აღნიშნულ პროფესორებს „მეცნიერების“ მონოპოლისტებად გამოსვლისა და კადრების სამღვდელო სულისკვეთებით მომზადების შესაძლებლობას აძლევდა. მხოლოდ 1930 წელს გახდა პირველად შესაძლებელი უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან ფართო დისკუსიაზე „სწავლული“ სიმდაბლის გამოდევნა და ამ დისკუსიის შედეგად მივიღეთ სარეცენზიო კრებული.

ტფილისის უნივერსიტეტში მთელი სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, და ქართულივე ენაზეა (ნაწილობრივ – გერმანულად) დაწერილი ბურჟუაზიული თეორიების ადეპტი „მეცნიერების“ ძირითადი ნაშრომები. თუმცა საბჭოთა პირობებში შეუძლებელია იდეალისტური „სიბრძნის“ ღია პროპაგანდა, ამიტომ საჭიროა მიმიკრიის დამკვიდრება. მაგალითად, პროფ. ვაჩეიშვილი ამტკიცებს: „რამდენიმე წლის განმავლობაში – ამბობს ის – ვასწავლი **სწორედ** სამართლის მარქსისტულ თეორიას“ (გვ. 141; ხაზგასმა ჩემია – მ.დ.). თუმცა, ამასთანავე, პროფ. ვაჩეიშვილი თვლის, რომ „სამართლის ბურჟუაზიული თეორია ამჟამად უფრო მეტად არის ჩამოყალიბებული, ვიდრე სამართლის საბჭოთა მარქსისტული თეორია“ (გვ. 50).

და, მართლაც, როგორ შეიძლება სერიოზულად ისაუბრო მარქსისტული თეორიის შესახებ? ჯაფარიძის აზრით, მარქსისტულ თეორიაში სრული ქაოსია. „თქვენ იცით, – ამბობს ის, – რომ პაშუკანისი უკანასკნელ დრომდე მარქსისტული სამართლის ყველაზე სერიოზულ და თანმიმდევრულ თეორეტიკოსად ითვლებოდა, და რას ვხედავთ ჩვენ? აი, მის წინააღმდეგ გამოდის მარქსისტების მთელი რიგი (ლიბერმანი, რეზუნოვი), განსაკუთრებით – სტალგევიჩი, რომელიც სუბიექტივიზმში ადანაშაულებს პაშუკანისს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. თავის მხრივ, სტალგევიჩს წმინდა წყლის იდეალიზმში ამხელს დოცენკო, – და, ასე უსასრულოდ. აი, სამართლის მარქსისტული თეორიის დღევანდელი მდგომარეობა, ძირითადი პრობლემების მიხედვითაც“ (გვ. 44).

და, თუ მარქსისტული თეორიის მდგომარეობა ასეთი უსაშველოა, მაშინ სრულებით ბუნებრივია დასკვნა, რომელიც გააკეთა პროფ. ნანეიშვილმა: მარქსისტული თეორია არ არსებობს, და ამიტომაც „თქვენგან ვერაფერს ვისწავლი“ (გვ. 66).

თავისი მეგობრებისაგან განსხვავებით, ნანეიშვილი პირდაპირ აცხადებს: „მე არ ვიტყვი, რომ ვარ მარქსისტი“ (გვ. 38), „ჩემი ნაშრომი არ არის მარქსისტული“ (გვ. 42).

ნანეიშვილი თვლის, რომ მარქსის, ლენინის არც ერთი დებულება არსებითად არ ხსნის სამართლის არსს/[რაობას]. ამ სფეროში მარქსიზმი უძლურია: „ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის სამართალი, სამართლის არსის/[რაობის] **გარეშე“** (გვ. 19; ხაზგასმა ჩემია – მ.დ.). „შეუძლებელია იმის უარყოფა (მარქსისტები კი, სწორედ ამას აკეთებენ – მ.დ.), რომ დროში ცვალებად, ნებისმიერ სამართლის ნორმაში არის არსის/[რაობის] ისეთი ნამდვილობა, რომელსაც სრულებით არ მიესადაგება ყველაფერი, რაც მიესადაგება ფიზიკური და ფსიქიკური სამყაროს ნამდვილობას“ (გვ. 19).

მაშასადამე, არსის/[რაობის] ნამდვილობა მოითხოვს საკუთარ ახსნას არა ფიზიკური და ფსიქიკური სამყაროს შეცნობისა და შეცვლის გზით.

ნანეიშვილს არ აკმაყოფილებს არა მხოლოდ მარქსისტული თეორია, არამედ ის უკუაგდებს საკუთარი კოლეგის – ვაჩეიშვილის „თეორიასაც“ იმის შესახებ, რომ „არსი/[რაობა]“, მაგალითად, ჩვეულებითი სამართლისა „ადამიანის ფსიქიკურ ბუნებაში უნდა ვეძიოთ“ (გვ. 7).

ნანეიშვილისათვის, როგორც ჰეგელიანელისათვის, საუბარი შეიძლება მიდიოდეს მხოლოდ „ლოგიკური ურთიერთობების“ შესახებ (გვ. 41). „სამართალშემოქმედება არის ის აქტი, რომლის მეშვეობითაც სამართლის იდეა გარდაისახება სამართლის ნამდვილ არსად/[რაობად]“ (გვ. 58).

ის, თუ როგორია ყველა ამ „მეცნიერის“ ვარჯიშების ნამდვილი არსი და როგორია „სამართლის იდეათა“ და „ფსიქიკური ბუნების“ კლასობრივი ბუნება, შესანიშნავად გამოაშკარავდა დისკუსიის მიმდინარეობისას. მთელი ეს სიბრძნე მხოლოდ იმისათვის გახდა საჭირო, რათა, მაგალითად, დაგვემტკიცებინა, რომ „კულტურულ სახელმწიფოებში მიღებულია პრინციპი, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია“. ხოლო საბჭოთა სახელმწიფოში, როგორც ცნობილია, ყველა სულაც არ არის თანასწორი: კულაკობა, როგორც კლასი, რაიონებში ნადგურდება საყოველთაო კოლექტივიზაციის გზით, ექსპლუატატორებს ჩამოართვეს ხმის უფლება და ა.შ., და, შესაბამისად, თავად იმსჯელეთ ასეთი სახელმწიფოს კულტურულობის შესახებ. ვაჩეიშვილის აზრით, სახელმწიფო არა გაბატონებული კლასის აპარატი, არამედ **„საზოგადოებრივი წესრიგის მოწყობის** უზენაესი და ურთულესი **წესია“.** თანაც, როგორც ამას დაწვრილებით განმარტავს პროფ. სურგულაძე, „სახელმწიფო, როგორც ის სოციალური წარმონაქმნი, რომელსაც თანაცხოვრების გარკვეულ ფორმად განვიხილავთ, უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოსაგან რაღაც სამართლებრივი ინსტიტუტის არსით. თუმცა მსგავსი გამიჯვნა წმინდა ლოგიკურია“.

მაშასადამე, კლასებს, კლასობრივ ბრძოლას, ტფილისელ პროფესორთა მთელი კოლექციის მოძღვრებით, არავითარი შეხება არა აქვთ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებთან. რომც არსებობდეს კიდეც მატერიალური

კლასობრივი საწარმოო ურთიერთობები და სამართალი, როგორც მათი გამოვლენის ფორმა, მაშინ ისინი დამოუკიდებელ რიგებს წარმოადგენენ. ჰუსერლიანური მეთოდოლოგიის საფუძველზე პროფ. სურგულაძე ამტკიცებს: „მეცნიერება დამოუკიდებლად მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ის იმ საკუთარ კანონებს ეყრდნობა, რომლებიც არ ეყრდნობიან იმ კანონებს, რომლებზეც სხვა არის დაშენებული“ (გვ. 12).

„მოვლენათა თითოეული ჯგუფის სპეციალური კანონზომიერება (ე.ი. საშუალებისა და მიზეზის), აუცილებელი წესით, დასაბუთდება **რიგის ძირითადი** კანონზომიერებით, თუმცა ის არის იდეალურსა და რეალურს შორის ონტოლოგიური წინააღმდეგობების გამოხატულება და, ამასთან ერთად, **ორი ფუნდამენტური განსხვავების გამოხატულებაც** არის“ (გვ. 14).

„...სამართალსა და სოციალურს შორის არათუ არ არის კაუზალური კავშირი, არამედ, როგორც კი დავუშვებთ მათ შორის ზოგიერთ ურთიერთდამოკიდებულებას, ჩვენ მაშინვე გავწყვეტთ კაუზალურ ურთიერთობათა კავშირს და, ამგვარად, დავკარგავთ ფაქტობრივ კაუზალურ კანონზომიერებას, ე.ი. სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებების ძირითადი წინაპირობებისადმი აშკარა წინააღმდეგობამდე მივალთ“ (გვ. 34).

„სამართალი ხასიათდება როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა, ის შინაგანი კანონზომიერება, რომელიც გამორიცხავს კაუზალურობის პრინციპს“ (გვ. 34).

„სოციალურსა და სამართლებრივს შორის განსხვავება არის ლოგიკური, ლოგიკურ აბსტრაქციაში მოცემული“ (გვ. 70).

არ გვაქვს იმის საჭიროება, რომ განვიხილოთ ყველა ეს ჰუსერლიანური ეშმაკობანი. ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის ეს უკვე განვლილი ეტაპია. აუცილებელია, აღინიშნოს კიდევ ერთი საინტერესო აგებულება: ძალზე გავრცელებულია მტკიცება, რომ კლასობრივი შემადგენლობით ერთგვაროვანი სოცსექტორის შიგნით არ არის სამართლებრივი რეგულირების ადგილი. ეს განსაკუთრებით ნათლად არის ჩამოყალიბებული ჯაფარიძის მიერ. „და, მართლაც, რომელ სამართალზე შეიძლება ვისაუბროთ – ამტკიცებს ჯაფარიძე – საქონელბრუნვასთან მიმართებით, როცა სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია ფაბრიკიდან, კოოპერაციის გავლით, მოძრაობს სოფლისაკენ, და, პირიქით, ნედლეული – სოფლიდან სახელმწიფო ფაბრიკების მიმართულებით, და როცა ამ ნიადაგზე წარმოშობილი დავები სრულებით ამოღებულია სასამართლო განხილვებიდან“ (გვ. 43-44).

ეს, არც ისე რთული „თეორია“, აგებულია სამართლისა და დაგეგმვის შეპირისპირების საფუძველზე. სამართალი – სასაქონლო ურთიერთობათა შუალობითი ფორმა, ჩვენს პირობებში რეაქციულია. სოცსექტორში ბატონობს დაგეგმარება, ამიტომ აქ არ აქვს ადგილი სამართალს. ჩვენ წინაშეა მენშევი-

კური კონცენტრაციის ნიმუში (იხ. აგრეთვე: გორდონი, შესავალი სახალხო მეურნეობის დაგეგმარებაში). საბჭოთა სამართლის რევოლუციური როლის, რევოლუციური ზედნაშენების გაუცნობიერებლობა, თანხვედრაშია – სოცსექტორში არსებულ – კლასობრივ განსხვავებათა ნარჩენების დავიწყებასთან. თანაც, უნდა ითქვას, ეს მტკიცებანი ძალზე მიესადაგება სტალგევიჩის „მოძღვრებას“ საბჭოთა სამართალში რეაქციული ტენდენციების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცრეა მარქსისტულ-ლენინური კადრების ოდენობა, დისკუსიის მიმდინარეობისას ბრწყინვალედ იქნა გამოაშკარავებული ყველა ასეთი „თეორია“.

მიუხედავად ცალკეული შეცდომებისა, თავდაუჯერებლობისა, პოლიტიკურსა და „აკადემიურს“ შორის ურთიერთობათა შეცნობაში არევ-დარევის შეტანისა, დავებში ტფილისური ბურჟუაზიული პროფესურის იდეალისტური დებულებების კლასობრივი არსი გამოააშკარავებულია. დისკუსიის დროს ზოგიერთმა ამხანაგმა ვერ გაბედა პრინციპულ პოლიტიკურ სიმაღლემდე აღზევება. პროფესორები მუდმივად ცდილობდნენ, დავა „აკადემიური განმარტებების“ რელსებზე გადაეტანათ (გვ. 69). ცალკეულ ამხანაგებს შეეშინდათ, რომ „დავა გასცდებოდა აკადემიური დავის ფარგლებს“, ამიტომ ამტკიცებდნენ, რომ „საკითხის აკადემიური დაყენება საუკეთესო შედეგს მოგვცემს“ (გვ. 2). თუმცა დავა გასცდა აკადემიურობის ფარგლებს, ვინაიდან „ჩვენ გვაქვს, თავისი კლასობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ერთმანეთის საწინააღმდეგო თეორიები“ (გვ. 80).

ბოლშევიკურმა დებულებამ შესაძლებლობა მოგვცა, არა მხოლოდ გვემხილებინა თეორიათა კლასობრივი არსი, არამედ იდეალისტური ჯგუფის ცალკეული წარმომადგენელი განგვეიარაღებინა. კრებული კლასობრივი მტრის მიმართ იდეოლოგიურ ფრონტზე კიდევ ერთი გამარჯვების დოკუმენტია, და ესაა მისი უდიდესი ფასეულობა.

ჩემი შრომების კრიტიკული ანალიზი*

[პროფესორი გიორგი ნანეიშვილი]

1. ჩემი შრომები – „სამართლის ნამდვილობა და ნორმატიული ფაქტების დასაბუთების ერთი ცდა“[1] და „სამართლის სუბიექტი“, – დაწერილია გარკვეული იდეალისტური მსოფლმხედველობის ზეგავლენით. აღნიშნული შრომები იმის საუკეთესო ილუსტრაციაა, რომ იურიდიული პრობლემების ორიენტაციით იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლებზე იქმნება მხოლოდ რეაქციონური და პროლეტარიატისათვის მავნებელი თეორია.

2. აღნიშნული შრომების ძირითადი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მე გამოვდიოდი ორი კანონზომიერების (სოციალურ-ეკონომი[კ]ურის და სამართლებრივის) დამოუკიდებლობიდან. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ სამართლის და ფაქტიურის ნამდვილობას ვანსხვავებდით მათი ქმედობის უნარით, სახელდობრ, ფაქტიურის ქმედობა გვქონდა წარმოდგენილი მხოლოდ ცუდ დაუსრულებლობაში, სამართლის კი – კარგ დაუსრულებლობაში.

3. გამოვდიოდით რა ამ კანონზომიერების დამოუკიდებლობიდან: ა) ყოველი სამართალი – სოციალურ ურთიერთობათა მიმართ უნდა ყოფილიყო განხილული როგორც უბრალო, გაუგებარი შემთხვევითობა; ბ) აღიარებული უნდა ყოფილიყო სამართლის ვარგისობა იმ სოციალური ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად, რომელშიაც ეს სამართალი ხორციელდება; გ) ყოველივე ამასთან დაკავშირებით, სამართლის ცნებიდან სავსებით განდევნილი უნდა ყოფილიყო კლასობრივი მომენტი.

4. რადგანაც აშკარა იყო, რომ ზემოაღნიშნული ორი კანონზომიერების დაპირისპირების საფუძველზე შეუძლებელია გარკვეული სოციალურ-ეკონომი[კ]ური ურთიერთობისათვის გარკვეული სამართლის აუცილებლობის დასაბუთება, მე შევეცადე ორი შეურიგებელი დებულების ხელოვნურად შერიგებას და, ამ მიზნით, შრომაში შევიტანე შანსების თეორია, რითაც გარეგნულად ეს თავიდან დაშვებული წინააღმდეგობა იმალებოდა, ხოლო არსებითად კი ეს წინააღმდეგობა დაუძლეველი რჩებოდა.

---

* მოხსენების დედანი დაცულია პროფესორ ოთარ ლითანიშვილის საოჯახო არქივში. ქვეყნდება პირველად. ავტორს წერილი მოხსენების თეზისებად მოუმზადებია. სავარაუდოდ, ეს გახლავთ ის მოხსენება, რომელიც პროფ. ნანეიშვილმა წაიკითხა 1932 წლის 6 ივნისს, საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრისა და სამეურნეო სამართლის კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო პროფ. ირ. სურგულაძისა და პროფ. გ. ნანეიშვილის შრომების კრიტიკული ანალიზი [რედ.].

1 მოხსენებაში წიგნის სათაური არასწორად არის მითითებული, უნდა იწეროს: „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ [რედ.].

5. რადგანაც ჩვენ გამოვდიოდით ჰუსერლის იმ იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლებიდან, რაც ლეიბნიცის ფილოსოფიის თავისებურ რესტავრაციას წარმოადგენს, იძულებული ვიყავით გვეხელმძღვანელებია სინამდვილის, აუცილებლობის და შესაძლებლობის ჰუსერლიანური გაგებით. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მომქმედ სამართალს ვიხილავდით როგორც შესაძლებელი სამართლის ერთ-ერთ სპეციფი[კ]ურ შემთხვევას. ვიღებდით რა მომქმედ სამართალს ამ მნიშვნელობით, ჩვენ სამუდამოთ ვკარგავდით მომქმედი სამართლის აუცილებლობის და პოზიტივობის დასაბუთების შესაძლებლობას, რითაც ვხსნიდით იმ სამართლის სუვერენიტეტის დოგმისათვის, რომელიც აშკარათ მავნებელია პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

6. ვგულისხმო[ბ]დით რა, რომ მომქმედი სამართალი არის მხოლოდ შესაძლებელი სამართლის ერთ-ერთი სპეციფი[კ]ური შემთხვევა, მომქმედ[ი] სამართლის პოზიტივობა ხელოვნურად გამოგვყავდა მომქმედი სამართლის კონკრეტი[ვ]ობიდან, ამასთან დაკავშირებით უნებლიეთ ვაღიარებდით სამართლის სუვერენიტეტის იმ კონცეპციას, რომელსაც დღეს იცავენ ჰარტმანი, კრაბე, კელზენი და სხვები, და რომელსაც ლოღიკურად მივყევართ უფლებრივ[ი] სახელმწიფოს დოგმის რესტავრაციამდე, ამრიგად, ობიექტურად ჩვენ სინამდვილეში გადმოგვქონდა ყველაზე უფრო რეაქციონური თეორია, ვინაიდან ეს თეორია მხოლოდ ბურჟუაზიული სამართლის სისტემის სტაბილიზაციისათვის არის შექმნილი და ძირშივე უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურას. სამართლის სუვერენიტეტის კონცეპცია, ერთის მხრით, წარმოადგენს ყველაზე უფრო რეაქციონური ისტორიული სკოლის დოგმის თავისებურ რესტავრაციას, და როგორც ისტორიული სკოლა იყო საერთოდ ოპოზიციონურად განწყობილი რევოლიუციების მიმართ, ისე სამართლის სუვერენიტეტის კონცეპციაც მტრულად არის განწყობილი რევოლიუციონური პროლეტარიატისადმი.

სამართლის სუვერენიტეტის კონცეპცია კი ლოღიკური შედეგია ორი კანონზომიერების დაპირისპირებისა, და ის შეიძლება დაძლეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომი[კ]ური ერთ დიალექტიკურ მთლიანობაში იქნება აღებული ორი კანონზომიერების ასეთი დაპირისპირება კი აუცილებელია იმ თეორიებისათვისაც, რომლებიც საწარმოო ძალთა განვითარებისაგან დამოუკიდებლად, – სამართლის წყაროს თვისობრივი სპეციფი[კ]ურობიდან და პირველობიდან გამომდინარეობენ.

7. ნორმატიული ფაქტების დამუშავება ჰუსერლის ფილოსოფიის საფუძვლებზე ვაწარმოეთ რაინახმა და მე. რაინახმა ყოველი მომქმედი სამართლის ნორმის საფუძვლად სპეციფი[კ]ური ნორმატიული ფაქტი იგულისხმა, რის გამოც რაინახი გადავარდა იმ ვულგარული ეკონომიზმის სფეროში, სადაც

სამართალს ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება. ჩვენ კი სამართალს ფაქტიური რადიკალურად და[ვ]უპირისპირეთ და ამ სამართლისაგან სამუდამოთ გათიშულ[ი] ფაქტების სამყაროში, მხოლოდ ზოგიერთ ფაქტებს ვაწერდით ნორმატიულ მნიშვნელობას. ამით ჩვენ ხელოვნურად თითქოს ვასაბუთებდით სამართლის საჭიროებას, ხოლო ნორმატიულ ფაქტებს კი ვალოგიზირებდით. ის მარცხი, რომელიც განიცადა როგორც რაინახმა, ისე მე, ნათლად გვიჩვენებს, რომ სამართლის ნამდვილი შესწავლა მხოლოდ და მხოლოდ იმ დიალექტიკურ მთლიანობაშია შესაძლებელია, რომელშიაც სამართალს იხილავს მარქსისტული მოძღვრება სამართლის შესახებ.

8. ნორმატიული ფაქტების თეორიას საფუძვლად უდევს პიროვნების ის ცნება, რომელიც მიღებულია ჰუსერლის, მაქს შელერის, გილდებრანტის ფილოსოფიაში, რაც უეჭველად იდეალისტური ფილოსოფიის ყველაზე რეაქციონურ შტოდ უნდა იქნეს აღიარებული, თუ ასეთ სუბიექტს არ მივიღებდით მხედველობაში, შეუძლებელი იყო ყოველივე იმის დასაბუთება, რასაც ჩვენ ნორმატიული ფაქტების შესახებ ვასაბუთებდით. აღნიშნული სუბიექტი იგულისხმება როგორც ღირებულებითი (ეთი[კ]ური) აქტების სუბიექტი. ხოლო რამდენადაც, ამასთან დაკავშირებით, ჩვენ [ვ]უშვებდით „ეთი[კ]ურ“ სუბიექტთა იგივეობას, იმდენად ჩვენს სინამდვილეში ობიექტურად გადმოგვქონდა პროლეტარიატისათვის მავნე და მიუღებელი თეორია.

9. მხოლოდ ეთი[კ]ურ სუბიექტთა იგივეობის დაშვების საფუძველზე შესაძლებელი ხდებოდა ხელოვნურად დასაბუთება, რომ ხელშეკრულება, თავისთავად, დაპირება, თავისთავად, სხვა სავალდებულოა ყველაფრისაგან (ეკონომი[კ]ური პირობებისა, კლასთა ბრძოლისა, იძულებისა, კანონიერებისა და სხვა) დამოუკიდებლად. [ა]მასთან ერთად, უსათუოდ იგულისხმებოდა, აგრეთვე, ნორმატიული ფაქტების სავალდებულო ხასიათის თავისუფალი აღიარება. თავისთავად ცხადია, რამდენადაც ჩვენ გამოვდიოდით ეთი[კ]ურ სუბიექტთა იგივეობიდან და თავისუფალი აღიარებიდან, ამით თავიდანვე და[ვ]უშვით საერთოდ ყოველი ხელშეკრულობის (ვალდებულებითი სამართლის) დაურღვევლობა და საერთო სამართლიანობა, რითაც შევქმენით უაღრესად რეაქციონური თეორია, ისე, რაც ითქვა, ცხადჰყოფს იმას, რომ საკმარისია იდეალისტური ფილოსოფიის დებულებანი რაიმე საკითხის შესახებ, ლოღიკურად განვავითაროთ და ამ ახალი საკითხის შესახებ მივიღებთ სულ ახალ რეაქციონურ თეორიას. მაგალითად, გამოვდიოდით რა ევროპიული იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლებიდან, უნებლიეთ ჩვენს სინამდვილეში ხელშეკრულების შესახებ შევქმენით თეორია, რომელიც შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიული სამართლის სტაბილიზაციისთვის იყოს საჭირო.

10. ნორმატიული ფაქტების არსებობის დაშვებით (ჩვენის გაგებით), ჩვენ უარვყავით სამართლის სახელმწიფოებრივი თეორია, თუ ამ თეორიის

საფუძველზე აშკარად შეიძლებოდა სამართლის კლასიური[1] ხასიათის გამოაშკარავება, ნორმატიული ფაქტების საშუალებით კი თვით უფლებრივი ცხოვრება უეჭველად კლასთა ბრძოლის გარეშე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. რადგანაც ნორმატიულ ფაქტებად იგულისხმებოდ[ნ]ენ ისეთი ფაქტები, რომლებიც თვითონ ყველაფრისაგან დამოუკიდებლად (კანონისაგან და სხვა) ჰქმნიან უფლებრივ ურთიერთობას, თავისთავად ცხადია, რომ ეს თეორია შეიძლებოდა რეაქციონური მიზნით გამოყენებულ იქნეს რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ. რა მავნებელ აზრებს მალავდა ობიექტიურად ის თეორია, რო[დე]საც ჩვენ მას ვქმნიდით, თავისთავად ნათელია.

11. პირველი ჩვენი შრომაც – „სამართლის სუბიექტის შესახებ“[2] – ეყრდნობა ყველა ამ ზემოაღნიშნულ შეცდომებს; ამ შრომასაც საფუძვლად უდევს ისევ ის სუბიექტი, რომელიც საერთოდ მოცემულია ფენომენოლოგისტების ფილოსოფიაში და, კერძოდ, კი [მხედველობაში] მაქვს შელერის რეაქციონურ[ი] ფილოსოფიურ[ი] სისტემა. ასეთი სუბიექტი ჩვენ გამოგვყავდა სამართლის [ნორმის][3] ლოღიკური ანალიზიდან, რის გამოც თვით სამართლის სუბიექტს ენიჭებოდა წმინდა აბსტრაქტული ხასიათი. ასეთ აბსტრაქტ[ულ] განმარტებას ვაძლევდით ჩვენ ქმედობაუნარიანობის და/თუ უფლებაუნარიანობის ცნებასაც.

12. აქ დასახელებულ შრომაში, წინააღმდეგ ბირლინგის აღიარების თეორიისა, ჩემს მიერ წამოყენებული იყო დებულება სამართლის ლოღიკური აღიარების შესახებ, რითაც ჩვენ ყოველი სამართლის სისტემის ფატალურ აუცილებლობას ვასაბუთებდით. ვინაიდან თვით ამ ლოღიკური აღიარების აქტში ყოველი სამართალი, ყოველგვარი რეალური გარემოებებისაგან დამოუკიდებლად აშკარავდებოდა, როგორც სავალდებულო სამართლის კლასობრივი ხასიათი სამუდამოთ იჩრდილებოდა.

13. როგორც ვხედავთ, არც ერთი იმ დებულებათა შორის, საიდანაც ჩვენ გამოვდიოდით, არ შეიძლება მიღებულ იქნეს და იმის მიხედვით, რაც ითქვა, ნათელია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების ფილოსოფიის საფუძველზე შეიძლება შექმნილ იქნეს პროლეტარიატისათვის მავნე, ხოლო ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ხელსაყრელი, მისი უფლებრივი სისტემისა და რეჟიმის განმამტკიცებელი თეორიები.

14. ამგვარად, იდეალიზმის ფილოსოფიის საფუძვლებზე სამართლის პრობლემების ორიენტაციამ და იმ მარცხმა, რომელიც მე ამ გზით განვიცა-

---

[1] იგულისხმება კლასობრივი [რედ.].

[2] სტატიის სახელწოდება შეცდომით არის მითითებული დედანში, უნდა ეწეროს: „იურიდიული სუბიექტი“ [რედ.].

[3] მოხსენების ტექსტში მითითებულია სიტყვა „შრომის“, რაც კონტექსტურად სრულიად უადგილოა და უნდა იწეროს სიტყვა „ნორმის“ [რედ.].

დე, სავსებით ნათელჰყვეს ჩემთვის, რომ ერთადერთი სწორი მსოფლმხედველობა, რომლის ფარგლებშიაც შეიძლება, საერთოდ, ფილოსოფიური და, კერძოდ, სამართლის პრობლემების მეცნიერული დამუშავება არის მარქსიზმ-ლენინიზმი.

ჩემი ნაშრომების კრიტიკული ანალიზი*

[პროფესორი იროდიონ სურგულაძე]

ძირითადი კანონზომიერება, რომელიც რეალურს ახასიათებს და რომელიც ნაშრომის მიხედვით კაუზალიტეტის კატეგორიაში პოულობს თავის გამოხატულებას, მიუღებელი და შეუფარდებელია იდეალურ ონტოლოგიურ სფეროში; და, პირიქით, ის ძირითადი კანონზომიერება, რომელიც ამ უკანასკნელს ახასიათებს, არსებითად, უცხო არის რეალურ მოვლენათა სამყაროსათვის. ეს იდეალური ონტოლოგიური სფერო განცალკევებული და დამოუკიდებელია არა მარტო ობიექტიური რეალური პროცესებიდან, არამედ იგი, ასევე, აბსოლუტურად გამოთიშულია შინაგან, ფსიქი[კ]ურ მოვლენათა მთლიანობიდან, ვინაიდგან ეს უკანასკნელიც, ნაშრომის თანახმად, რეალურ სამყაროს ეკუთვნის, უკანასკნელისათვის არსებითად დამახასიათებელ[ი] კაუზალიტეტის კატეგორიას ექვემდებარება და ამიტომ თავისი შინაგანი კანონზომიერებით აბსოლუტურად დაპირისპირებულია იდეალურისადმი.

თავისდათავად გასაგებია, რომ ამ ძირითად[ი] გამოსავალ[ი] დებულებების მიხედვით, ნაშრომშიდ პრინციპიალურად უარყოფილია სინამდვილეში მოცემულ სხვადასხვა მოვლენებ[ს] შორის უნივერსალური ურთიერთმოქმედების (универсального взаимодействия − Энгельс, Диалект. природ., стр. 17.) და, კერძოდ, რეალური კაუზალური მიმართების პრინციპი, ე.ი. ის ძირითადი თვალსაზრისი, რომელიც სინამდვილის ანალიზის დროს დამახასიათებელია მატერიალისტურ-დიალექტი[კ]ურ[ი] მსოფლმხედველობისათვის. და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ნაშრომის თანახმად, კაუზალური დამოკიდებულების პრინციპი არა საერთოდ სინამდვილის, არამედ მხოლოდ რეა-

---

* მოხსენების დედანი დაცულია პროფესორ მაია სულაქველიძის საოჯახო არქივში. ქვეყნდება პირველად. საოჯახო არქივში მიკვლეული ხელნაწერი დასათაურებული არ იყო, შესაბამისად, წინამდებარე სათაური ეკუთვნის კრებულის სამეცნიერო რედაქტორს.

ავტორს ეს წერილი მოხსენებად მოუმზადებია, რასაც ტექსტში თავადვე აღნიშნავს. სავარაუდოდ, ეს გახლავთ ის მოხსენება, რომელიც პროფ. სურგულაძემ წაიკითხა 1932 წლის 6 ივნისს, საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრისა და სამეურნეო სამართლის კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო პროფ. ირ. სურგულაძისა და პროფ. გ. ნანეიშვილის შრომების კრიტიკული ანალიზი.

ხელნაწერი სხვადასხვა მელნით არის დაწერილი და ხშირად ავტორის მიერვეა ნასწორები, რითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ავტორს სწორედ ამ ეგზემპლარში შეჰქონდა ცვლილებები და ის არის სრულყოფილი (ავთენტური) ვარიანტი, რომლის ანალოგი დოკუმენტისათვის ჯერ არ მიგვიკვლევია [რედ.].

ლურის შინაგან და ძირითად კანონზომიერებას გამოხატავს, ე.ი. იმ მოვლენების შინაგან კანონზომიერებას, რომლებიც დროის კატეგორიას ექვემდებარებიან; იდეალური კი თავისი შინაგანი ბუნებით დროშიდ უცვლელ არსს აღნიშნავს და ამიტომ კაუზალიტეტის პრინციპის შეფარდების შესაძლებლობას აბსოლუტურად უარყოფს. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ნაშრომშიდ დასმულ[ი] პრობლემების გაშუქების დროს აუცილებელი ხდება იდეალურის და რეალურის ურთიერთმიმართების დახასიათება, ეს უკანასკნელი განსაზღვრულია არა როგორც რეალური მიზეზობრივი კავშირი, არამედ როგორც ინტენციონალური მიმართება (направленность), ე.ი. ისეთი მიმართება, რომელიც პრინციპიალურად უარყოფს მიმართებაში მყოფ[ი] ელემენტების – მიმართების წევრების – რეალური კავშირის შესაძლებლობას.

ასეთია ის ძირითადი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ნაშრომის – "Gewalt und Recht" – ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ ორიენტაციას. ის ვინც საკითხს იცნობს, ადვილად შეამჩნევს, რომ მთელი ეს ფილოსოფიური აპარატურა ჰუსერლიანიზმიდან არის წამოღებული. სახელდობრ, როგორც იდეალური და რეალურის ფუნდამენტალურ-კატეგორიალური (fundamental kategorialer lentersehied – Husserl, Log. Unt., II, S. 124.) სხვაობა, ისე ინტენციონალური აქტის ცნება ის ძირითადი აზრებია, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით ჰუსერლის იდეალისტურ და უკიდურესად რეაქციონურ ფილოსოფიაში.

ეს იდეალისტურ-ფილოსოფიური აზრთა წყება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომშიდ გამოყენებულია სპეციალური საკითხის – სახელმწიფოს და სამართლის ცნების – ანალიზის დროს. თავისდათავად გასაგებია, რომ შედეგები, რომლებსაც ნაშრომი იძლევა აღნიშნულ საკითხში აშკარად ანტიმარქსისტულ, იდეალისტურ-რეაქციონურ ხასიათს ატარებენ. მოხსენების ფარგლებში შეუძლებელია თით[ო]ეული აზრის, თით[ო]ეული წინადადების კრიტიკული განხილვა იმ თვალსაზრისით და იმ პოზიციებიდან, რომელზედაც მე დღეს ვდგევარ; ნაშრომშიდ გამოთქმული არც ერთი აზრი მარქსისტულ ხასიათს არ ატარებს და ამიტომ აღნიშნულ გზას რომ გავყვეთ, ე.ი. თით[ო]ეულ[ი] წინადადების განხილვას რომ შე[ვ]უდგეთ, საჭირო გახდება მთელი ნაშრომის შინაარსის მთლიანი გადმოცემა, ნაშრომის, რომელიც 155 გვერდს შეიცავს და, გარდა ამისა, დაახლოებით ამავე მოცულობით კრიტიკული მსჯელობის განვითარებაა. ცხადია, რომ მოხსენების ტევადობა ასეთი ამოცანის შესრულებისათვის სავსებით შეუფერებელია; მაგრამ ნაშრომის კრიტიკული განხილვის მიზნით ასეთი გზა არც აუცილებელია; ჩემის აზრით, აქ საკმარისი იქნება იმ ძირითადი დებულებების გამოყოფა, რომლებიც ნაშრომის კონკრეტ[ულ] შედეგებს განსაზღვრავენ, ვინაიდგან ამ ძირითად[ი] დე-

ბულებების ანტიმარქსისტულ-რეაქციონური ხასიათის გამოაშკარავებით გამომჟღავნებული იქნება იმ კონკრეტ[ულ]ი შედეგების ანტიმარქსისტული და რეაქციონური შინაარსიც, რომლებიც აღნიშნულ[ი] ძირითადი დებულებებიდან არის მიღებული.

ასეთია ის გზა, რომელსაც მე მივყვები ნაშრომის – "Gewalt und Recht" – კრიტიკული ანალიზის მსვლელობის პროცესში ჩემი იდეოლოგიური წარსულიდან აბსოლუტური გამიჯვნის მიზნით.

1. პირველი ძირითადი დებულება, რომელიც ნაშრომშიდ მიღებულ[ი] კონკრეტ[ული] დასკვნების განმსაზღვრელ როლს თამაშობს და რომელზედაც საჭიროა, პირველ რიგში, შეჩერება – არის სახელმწიფოს და სამართლის იგივეობის თეზა. ეს დებულება სავსებით გარკვევით აღნიშნულია ნაშრომის დასაწყისშიდვე, სახელდობრ, მე-4 გვერდზე, სადაც სახელმწიფოს ცნება დახასიათებულია როგორც წმინდა იურიდიული ხასიათის ცნება. ამ სიბრტყეში სავსებით გასაგებია, ერთის მხრივ, ის აზრი, რომელიც სახელმწიფოზე სოციალური მოძღვრების (soziale Staatslehre) შეუძლებლობის დამტკიცებისაკენ არის მიმართული (გვ. 3-7), მეორე მხრით კი, მხოლოდ ამ სიბრტყეში გასაგები ხდება ის დებულება, რომელზედაც ჩვენ ქვევით შევჩერდებით და რომლის თანახმად სახელმწიფოს შესახებ მეცნიერება შესაძლებელია მხოლოდ როგორც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, ე.ი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გაგებული იქნება როგორც თავის შინაარსში მარტო სამართლებრივი სუბსტრატის გამომხატველი, როგორც მხოლოდ უფლებრივ მიმართებათა კომპლექსი, როგორც მხოლოდ სამართლებრივი ინსტიტუტი. ჩვენ აქ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ გარემოებამ, რომ ნაშრომის სხვადასხვა ადგილებზე ხშირად ლაპარაკია სოციალურ[ი] პროცესების ჯამზე, რომელიც სახელმწიფოში არის მოცემულ[ი], ლაპარაკია სოციალურ შინაარსზე, რომელიც სახელმწიფოს არსებობასთან არის დაკავშირებული. ყველა ეს გამოთქმები აქ სავსებით გარკვეული მნიშვნელობით იხმარება, რომელიც სრულებით არ გულისხმობს, თითქოს ნაშრომის თანახმად სამართლებრივი და სოციალური მხოლოდ თავის მთლიანობაშიდ ჰქმნიდეს სახელმწიფოს, ე.ი. სრულებით არ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც Zweiseitentheorie des Staates. ეს რომ ასე იყოს, მაშინ, ერთის მხრივ, ნაშრომშიდ გატარებულ შეხედულებებს ერთგვარი რეალისტური ელფერი ექნებოდა, რაც მათ სინამდვილეში სრულებით არ ახასიათებს, მეორე მხრივ კი, სრულებით გაუგებარი გახდებოდა მტკიცების ძირითადი ხაზები და მიმართულება, რომელიც აღნიშნული პრობლემის ირგვლივ მოცემულია აქ. მართლაც რაში მდგომარეობს ის ძირითადი შეხედულება, რომელიც ნაშრომის ამ ნაწილშიდ არის მოცემული? იგი მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ სახელმწიფოს შესახებ

მეცნიერება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გამონახული იქნება სპეციფი[კ]ური ობიექტი, რომელიც ერთი ძირითადი კანონზომიერებით ხასიათდება, რომელიც პრინციპიალურად განსხვავებული უნდა იყოს მოვლენათა სხვა დარგში მოცემულ[ი] კანონზომიერებისაგან; რომ ასეთ ობიექტათ ცნობილი ვერ იქნება სოციალური სინამდვილე, ვინაიდგან ეს უკანასკნელი შეისწავლება სპეციალურ[ი] სოციალურ[ი] დისციპლინების, და, ზოგადათ კი, სოციოლოგიის მხრივ, რომ სამართალი არის სწორედ ის ობიექტი, რომელიც არა მხოლოდ ძირითადი კანონზომიერების მხრივ, არამედ ონტოლოგიურადაც განსხვავდება სოციალური სინამდვილისაგან, და რომ სახელმწიფო გაგებული როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც წმინდა იურიდიული ხასიათის ცნება არის სახელმწიფო მოძღვრების ერთადერთი ობიექტი. აქედგან სავსებით უდავოა, რომ ნაშრომის საბოლოო დასკვნების მიხედვით სახელმწიფოს ცნების მთლიანი შინაარსი იურიდიულ მიმართებათა კომპლექსით ამოიწურება, ე.ი. სახელმწიფო და სამართალი მთლიან გაიგივებაშია აქ მოცემული. ის შეხედულება კი, რომელიც სახელმწიფოს შინაარსშიდ ხედავს სამართლებრივის და სოციალურის ერთგვარ მთლიანობას, გამოხატავს არა ნაშრომის საბოლოო დასკვნებში მიღებულ სახელმწიფოს კონცეფციას, არამედ გამოსავალ წერტილს, გამოსავალ დებულებას, რომლიდგანაც იწყება სახელმწიფოს ცნების ანალიზი; ამ ანალიზის შედეგშიდ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომი მიდის არა ამ კონცეპციის ლოღი[კ]ურ გამართლებამდე, არამედ მის აბსოლუტურ უარყოფამდე, სახელდობრ, არა სოციალურის და სამართლებრივის მთლიანობის იდეამდე, არამედ მათ აბსოლუტურ დაპირისპირებამდე და ამასთან დაკავშირებით კი სახელმწიფოს ისეთ კონცეპციამდე, რომლიდგანაც განდევნილია ყოველი სოციალური, ყოველი რეალური (იხ. გვ. 2); ამიტომ ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ნაშრომი სოციალურ[ი] პროცესების მთლიანობაზე ლაპარაკობს (გვ. 16), რომლებიც სახელმწიფოსთან დაკავშირებით არიან მოცემული, იგულისხმება არა ის, თითქოს ეს პროცესები სახელმწიფოს შინაარსის შინაგან და აუცილებელ მომენტს აღნიშნავდ[ნ]ენ, არამედ სოციალური სინამდვილე ნაშრომში გაგებულია როგორც სახელმწიფოს არსისათვის, გარეგნული, პერიფერიული ფონი, რომელთანაც სახელმწიფო როგორც იურიდიული ინსტიტუტი და, მაშასადამე, როგორც ონტოლოგიურად სხვა კანონზომიერების გამომხატველი აბსოლუტურ განსხვავებაში და დაპირისპირებაშია.

მთელი ეს ზევით მოყვანილი მსჯელობა, რომლის შედეგში ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ნაშრომშიდ მიღებული სახელმწიფოს კონცეპცია სახელმწიფოს და სამართლის გაიგივების პრინციპს ემყარება, მიზნათ ისახავს მეტის სიცხადით, მეტის რელიეფობით დაამტკიცოს ამ კონცეპციის იდეალისტური, აშკარად ანტიმარქსისტული, რეაქციონური შინაარსი. მარ-

თლაც, სახელმწიფოს მთლიანი და აბსოლუტური გათიშვა სოციალური სინამდვილიდან, იმის მტკიცებაა, რომ სახელმწიფო მთლიანად გაშიშვლებული და დაცარიელებულია რეალურ[ი], სოციალურ[ი] კომპონენტებისაგან სახელმწიფოზე იდეალისტურ-რეაქციონურ[ი] შეხედულების უკიდურესი გამოხატულებაა, რომელიც სახელმწიფოს მარქსისტულ გაგებასთან აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია.

2. ამ დასკვნის ჭეშმარიტება კიდევ უფრო ნათელი გახდება, როდესაც ჩვენ განვიხილავთ ნაშრომშიდ გატარებულ მეორე ძირითად დებულებას, რომელიც სოციალურის და სამართლებრივის ურთიერთდამოკიდებულებას, და მათ[ი] შინაგანი ბუნების და ძირითადი კანონზომიერების გამოაშკარავების საკითხს ეხება. ზევით, ჩვენ, უკვე მი[ვ]უთითეთ, რომ თავის ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ გამოსავალ დებულებებში ნაშრომი აშკარად ანტიმარქსისტულ[ი], დუალისტურ[ი] კონცეპციიდან გამოდის, რომელშიდაც იდეალური და რეალური აბსოლუტურ დაპირისპირებაში, ძირითად ონტოლოგიურ სხვაობაშია გაგებული. ასეთი ფილოსოფიური ორიენტაცია აღებულია ნაშრომში სპეციალური საკითხის – სამართლებრივის და სოციალურის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის დროს. არა მხოლოდ საერთოდ, არამედ იგი თანამიმდევრობით განვითარებულია ყველა კონკრეტ[ულ]ი პრობლემების, თით[ო]ეული კონკრეტ[ულ]ი საკითხის დამუშავების პროცესში. სამართლებრივი, ნაშრომის მიხედვით, სოციალური სინამდვილის შინაგან მომენტს კი არ აღნიშნავს, არამედ მას ძირითადათ უპირისპირდება როგორც სხვა ონტოლოგიური წყების გამოხატულება. სოციალური სინამდვილე რეალურის სინამდვილეა და მისი ძირითადი კანონზომიერება კაუზალიტეტის კატეგორიაში არის მოცემული; სამართლებრივი კი იდეალური, დროის გარეშე არსებული არსია, რომლის ძირითადი კანონზომიერება კაუზალურ კავშირს პრინციპიალურად უარყოფს (იხ. გვ. 86); უკანასკნელის ნაცვლად აქ მოცემულია ფუნდირების დამოკიდებულება (Fundierungsve[r]hältnis) (იხ. გვ. 122), რომელიც სამართალწყების (Rechtsordnung) სხვადასხვა ფენების ურთიერთგანსაზღვრულობას გამოხატავს.

კაუზალიტეტის კატეგორია აქ უარყოფილია არა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი უფლებრივ[ი] მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებას ეხება სამართალწყების (правопорядок) ფარგლებში, არამედ იმ შემთხვევებშიდაც კი, როდესაც სამართლებრივის და რეალურის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა სდგას გადასაჭრელად. იმ აბსოლუტური ონტოლოგიური დაპირისპირებიდან, რომელიც რეალურსა და იდეალურს, სოციალურს და სამართლებრივს შორის არის გატარებული ნაშრომშიდ, ასეთი დასკვნა სავსებით აუცილებელია. მაგრამ ისიც უდა[ვ]ოა, რომ, ამ შემთხვევაში, კაუზალიტეტის კატეგორიის შეფარდების შესაძლებლობის უარყოფით

თვით პრობლემა იდეალისტური აზროვნების ფარგლებშიდაც კი მოხსნილი სრულებით არ არის; აქედგან გასაგებია, რომ იმ ცარიელი ადგილის შესავსებათ, რომელიც ამ შემთხვევაში იქმნება მიზეზობრივობის უარყოფით, ნაშრომში მოზიდულია, ერთის მხრივ, ინტენციონალური მიმართების ცნება, რომელიც საშვალო საუკუნეების სქოლასტი[კ]ურ[ი] აზროვნებიდან და ბრენტანოს ფილოსოფიიდან არის წამოღებული თანამედროვე ჰუსერლიანიზმის თეორიაში, ხოლო, მეორე მხრივ კი, იურიდიული რელევანტობის კატეგორია და სამართლებრივი კანონზომიერების ფარგლებში რეალური პროცესების ონტოლოგიური შინაარსის დეფორმაციის თეზა (იხ. გვ. 109, 110), რომლის (დეფორმაციის) შედეგში ნაშრომის მიხედვით რეალური საგანი, გამოთიშული თავისი ბუნებრივი, კაუზალური კანონზომიერებისაგან, სამართლებრივი ფორმების კანონზომიერების ფარგლებში შედის (იხ. გვ. 155).

თავისდათავად ცხადია, ყველა ამ ნაწვალები (вымученные) კატეგორიების საშვალებით, რომლებიც ნაწილობრივ იდეალისტურ-სქოლასტი[კ]ური აზროვნების არსენალიდან არის წამოღებული, ნაწილობრივ კი მიღებულია ბურჟუაზიული სამართლის ფორმალურ-იურიდიული ტექნიკის აბსოლუტურად უნიადაგო ონტოლოგიზაციის გზით, შეუძლებელია იმ რეალური დამოკიდებულების გაგება, რომელიც სამართლისა და სოციალური სინამდვილის სხვა მხარეებს შორის არსებობს. ამიტომ აღნიშნულ[ი] პრობლემის გადაჭრის ცდა ზევით დასახელებულ[ი] კატეგორიების გამოყენებით, სინამდვილეშიდ პრობლემას არამც თუ ვერ სწყვეტავს, არამედ გადაჭრის მოჩვენებასაც (видимость) კი ვერ იძლევა.

3. იმის დასამტკიცებლად, რომ სამართალი იდეალური არსებობით ხასიათდება, რომ იგი ყველა თავის შემადგენელ მომენტებში დახვეწილია ყოველგვარი სოციალურიდან და საერთოდ რეალურიდან, რომ იგი ამ უკანასკნელს უპირისპირდება როგორც არსებითად განსხვავებულ[ი] ონტოლოგიურ[ი] წყების გამოხატულება, ნაშრომი ჩერდება, ერთის მხრივ, სოციალური სინამდვილის დახასიათებაზე მის უმარტივეს ფორმებში (გვ. 20-21), მეორე მხრივ კი, იურიდიულ[ი] მიმართების ანალიზზე, რომელიც (ე.ი. მიმართება) აქ გაგებულია როგორც სამართლის ძირითადი და უმარტივესი შემადგენელი ნაწილი. ქვევით ჩვენ დეტალურად შევეხებით იმ აბსოლუტურად ყალბ შეხედულებებს, რომლებიც ნაშრომში განვითარებულია იურიდიული მიმართების და მისი ელემენტების ბუნების გაშუქების დროს. მანამ კი საჭიროა განვიხილოთ სოციალური სინამდვილის ის დახასიათება, რომელიც ნაშრომშიდ არის მოცემული. თავისდათავად ცხადია, რომ ის, რაც ზევით იყო აღნიშნული სოციალური სინამდვილის შესახებ, სახელდობრ, სოციალურის როგორც რეალურის განსაზღვრა, საკმარისი არ არის. რეალობით ხასიათდება არა მარტო საზოგადოება, არამედ ბუნებაც; ამიტომ სოციალურის განსაზღ-

ვრის დროს მთავარი იმ სპეციფიკუმის გამონახვაშია, რომელიც საზოგადოებას ახასიათებს რეალობის სხვა სახეებთან შედარებით. პირველი, რაც ამ მიმართულებით არის აღნიშნული ნაშრომში, კაუზალიტეტის კატეგორიაა, რომელიც აქ მოყვანილია როგორც სოციალურის ძირითადი კანონზომიერების გამოხატულება (გვ. 21). ეს მსჯელობა სოციალურის სპეციფი[კ]ურობის დახასიათების მიზნით, ცხადია, საკმარისი არ არის, მაგრამ ის უსწორობა, რომელიც ნაშრომს ახასიათებს სოციალურის განსაზღვრის საკითხში, მარტო ამით არ ამოიწურება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნაშრომში სოციალური სინამდვილის თავისებურობის განსაზღვრის დროს გამოსავალ წერტილად აღებულია სოციალური სინამდვილის უმარტივესი ფორმა; უკანასკნელის ქვეშ აქ ნაგულისხმევია დამოკიდებულება ორ ინდივიდ[ს] შორის. ნაშრომში გატარებულ[ი] თვალსაზრისის მიხედვით ეს ელემენტარული საზოგადოებრივი დამოკიდებულება არის ამავე დროს ძირითადი სოციალური ფენომენი, რომლის შესწავლა სოციალური სინამდვილის მთლიანი ბუნების და ძირითადი კანონზომიერების გაშლის შესაძლებლობას იძლევა (S. 21.).

ძნელია წარმოვიდგინოთ ამაზედ უფრო შემცდარი შეხედულება სოციალურ სინამდვილეზე და ამაზედ უფრო დამახინჯებული მეთოდი ამ სინამდვილის შემეცნებისათვის. სავსებით უდავოა, რომ საზოგადოებრივი მიმართებები, რომლის ელემენტარულ სახეს, აბსოლუტურად უსაფუძვლოთ, ნაშრომი ორ ინდივიდს შორის არსებულ დამოკიდებულებაში ხედავს, სრულებით არ ატარებენ ერთ და იგივე ხასიათს ერთ და იგივე სოციალ[ურ]-ეკონომი[კ]ური ფორმაციის ფარგლებში, და, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მათ საზოგადოებრივი არსებობის ისტორიული განვითარების გასწვრივ განვიხილავთ. ისე, როგორც სინამდვილის სხვა დარგების შემეცნების დროს, სოციალური მოვლენების რთულ მრავალსახეობაში გარკვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებრივი სინამდვილის მთლიანობიდან გამოყოფილი იქნება ძირითადი და პირველადი (первоначальный) დამოკიდებულებები − საწარმოო მიმართებები, რომელნიც განსაზღვრავენ ყველა დანარჩენ საზოგადოებრივ მიმართებებს (Ленин, что такое „друзья народа“ − по Адоратекому, 3-е изд., 1930, стр. 110). მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საზოგადოებაზე საერთო და უშინაარსო ფრაზეოლოგიის ნაცვლად კონკრეტ[ული] საზოგადოებრივ-ეკონომი[კ]ურ[ი] ფორმაციების შემეცნება მათ ისტორიულ განვითარებაში; მხოლოდ ასეთი მეთოდი იძლევა შესაძლებლობას, ჩავსწვდეთ იმ კანონზომიერებას, რომელიც ახასიათებს როგორც თით[ო]ეულ საზოგადოებრივ-ეკონომი[კ]ურ ფორმაციას, ისე მათ გადასვლებს ერთმანეთში (Оч. ----[1]. матер., под ред.

[1] ტექსტი არ იკითხება [რედ.].

Медведева, 124). ნაშრომშიდ მოცემული კონცეპცია, რომელიც ორ ინდივიდთა შორის არსებულ დამოკიდებულებაში საზოგადოებრივი სინამდვილის ძირითად ფენომენს ხედავს, აბსოლუტურად უძლურია ახსნას სოციალური სინამდვილის ისეთი მოვლენები, როგორიცაა საზოგადოების დანაწილება ცალკე კლასებათ და კლასობრივი ბრძოლა, როგორიცაა კერძო საკუთრება მის სხვადასხვა ფორმებში და სხვა; იგი უძლურია ახსნას საზოგადოების ისტორიული განვითარება და ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც ამ განვითარებას განსაზღვრავს. მას საზოგადოება წარმოდგენილი აქვს არა როგორც მთლიანობა, რომელიც შინაგან წინააღმდეგობათა საფუძველზე მუდმივ[ი] ცვალებადობის პროცესშიდ იმყოფება, არამედ როგორც ცალკე ინდივიდების მექანი[კ]ური აგრეგატი, როგორც ცალკე ელემენტების მექანი[კ]ური ჯამი.

თავისდათავად ცხადია, რომ ასეთი წარმოდგენების საფუძველზე სოციალური სინამდვილის ნამდვილი შინაარსის გაგება აბსოლუტურად შეუძლებელი ამოცანაა. და რამდენადაც ნაშრომში საზოგადოებრივი სინამდვილის დახასიათება მოცემულია იმ თავსებურობის გამორკვევის მიზნით, რომელიც სამართალს ახასიათებს და რომელიც ამ დაპირისპირებაში უნდა გამოაშკარავდეს, უდავოა, რომ თვით სამართლის ნამდვილი ბუნების გარკვევის შესაძლებლობა წინასწარვე უარყოფილია; ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, სოციალურის განმარტებიდან, რომელიც ნაშრომშია მოცემული, სრულებით ამოვარდნილია კლასები და კლასობრივი ბრძოლა, ე.ი. იმთავითვე დაკარგულია ის რგოლი, რომლის გარეშე შეუძლებელია სამართლის შინაარსის შემეცნება. ამიტომ ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლის კონცეპცია, რომელსაც ნაშრომი იძლევა, ისევე ყალბი იქნება, როგორც სოციალურის ის განმარტება, რომელიც ზევით იყო განხილული.

ამ საკითხის განხილვაზე ჩვენ გადავდივართ ეხლა.

[4]. როგორც უკვე აღვნიშნეთ სამართლის თავისებურობის შემეცნების მიზნით ნაშრომი დეტალურად ჩერდება იურიდიული მიმართების ცნებაზე, რომელიც (მიმართება) აქ გაგებულია როგორც ძირითადი და უმარტივესი სამართლებრივი ფორმა. ჩვენ უკვე ვიცით ის ზოგადი დახასიათება, რომელსაც ნაშრომი აძლევს საერთოდ სამართლებრივს; უკანასკნელი აქ გაგებულია, როგორც იდეალური არსი, როგო[რ]ც რეალურისადმი აბსოლუტურად დაპირისპირებული. ეს განსაზღვრა ნაშრომში გადატანილია, აგრეთვე, იურიდიული მიმართების განმარტებაზე. ეს უკანასკნელიც აქ დახასიათებულია არა როგორც რეალური ფენომენი, არა როგორც სოციალური მიმართების ერთ-ერთი სახე, არამედ როგორც უფლების და ვალდებულების აბსტრაქტი, იდეალური კორელაცია. აქედგან სავსებით გასაგებია, რომ ნაშ-

რომის გასწვრივ მთელი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ იურიდიული რელიაციის კონცეპცია განთავისუფლებულ იქნეს რეალური კომპონენტებისაგან, რომლებსაც მას ჩვეულებრივ უკავშირებენ ლიტერატურაში. მხოლოდ ამ თვალსაზრისით გასაგები ხდება ის აზრთა წყობა, რომელიც ნაშრომს ახასიათებს არა მარტო პოლემიკურ ნაწილში, არამედ საკუთარ[ი] შეხედულებების ფორმულირების დროს.

ნაშრომში პოლემიკურ ელემენტს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. უკვე იურიდიული მიმართების პრობლემის დაყენებისთანავე აქ მოცემულია სხვადასხვა ბურჟუაზიულ[ი] თეორიების შედარებით ვრცელი კრიტიკა. მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ ეს კრიტიკა მიზნათ ისახავს არა ამ თეორიების სიყალბის გამოაშკარავებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, არა იმის გამოაშკარავებას, რომ აღნიშნული თეორიები არ უკავშირებენ სამართლებრივ მოვლენებს საზოგადოებრივ-ეკონომი[კ]ურ სტრუქტურას, არამედ ეს კრიტიკა აბსოლუტურად საწინააღმდეგო პოზიციებიდან იბრძვის: სახელდობრ, განხილულ[ი] ბურჟუაზიულ[ი] თეორიების მთავარ ნაკლს იგი იმაში ხედავს, რომ ამ თეორიებში (მაგ., ბირლინგთან, სავინისთან, ციტელმანთან და სხვა) იურიდიული მიმართება აღებულია ფაქტიურ მიმართებასთან (tatsächliche Berichung − მაგ., Savighny, System, I, S. 333) კავშირში, ანდა გაიგივებულია ფაქტიურთან (tatsächliches − მაგ., Bierling, Kritik der jurist. Grundbegriffe, Bd. II, S. 135); ე.ი. ეს თეორიები აქ უარყოფილია არა იმიტომ, რომ მათში საზოგადოებრივი მოვლენები აღებულია როგორც თანაბარი ხვედრითი წონის მატარებელი, არა იმიტომ, რომ ამ თეორიებისათვის სოციალური მთლიანობიდან ძირითად და სოციალური სინამდვილის სხვა მოვლენების განმსაზღვრელ საზოგადოებრივ მიმართებათა გამოყოფის მეთოდი, ე.ი. ის ერთადერთი მეთოდი, რომელიც სამართლებრივის ბუნების შემეცნების შესაძლებლობას იძლევა, უცხო და აბსოლუტურად მიუღებელია, არამედ ნაშრომში გატარებული კრიტიკა სრულებით საწინააღმდეგო პოლუსიდან იწყება. სახელდობრ, სწორედ იმიტომ, რომ აღნიშნულ თეორიებში კიდევ არის დარჩენილი რეალობის ლანდი, რომ ისინი მთლიანად არ არიან დახვეწილი ფაქტიურისაგან, ნაშრომი მათ მიუღებლად სთვლის. ვფიქრობ, რომ ასეთი კრიტიკის აშკარად იდეალისტური, ანტიმარქსისტული ხასიათი მტკიცებას აღარ მოითხოვს.

ასეთივე ანტიმარქსისტული თვალსაზრისი გატარებულია ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკაში იურიდიული მიმართების ცალკე ელემენტების (სუბიექტის, უფლება-მოვალეობის და სხვა) ანალიზის დროს. ამ შემთხვევაშიდაც „ნებისყოფის“ (Windscheid), „ინტერესის“ (Ihering, Dernburg) და იელინეკ-ბერნაციკის თეორიის (კომბინაციური თეორია) კრიტიკა იმ მხრივ კი არ სწარმოებს, რომ ამ თეორიებში ინდივიდუალისტური თვალსაზრისია აღებუ-

ლი გამოსავალ წერტილად, რომ აქ სამართლის აღნიშნულ[ი] კატეგორიების ანალიზის დროს აბსოლუტურად იგნორირებულია საწარმოო მიმართებათა კონკრეტ[ულ]ი სისტემა, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული თეორიები სამართლის დასახელებულ კატეგორიებს ამა თუ იმ სახით რეალურ მოვლენებს უკავშირებენ (სახელდობრ, ნებისყოფას, ინტერესს); ეს კი ნაშრომის მიხედვით იმიტომ არის ყალბი, რომ სამართლებრივის გაგება მხოლოდ ყოველგვარი რეალურიდან მისი აბსოლუტური გამოთიშვის გზით არის შესაძლებელი.

[5]. სამართლებრივის და სოციალურის აბსოლუტური დაპირისპირება გატარებულია ნაშრომის შემდეგ ნაწილებში, რომლებშიდაც მოცემულია იურიდიული მიმართების და მისი ელემენტების საკუთარი კონცეპცია. ამ უკანასკნელის ფარგლებში, როგორც თვით იურიდიული მიმართება, ისე ყველა მისი ელემენტები – სუბიექტი, ობიექტი და უფლება-მოვალეობა გაგებულია როგორც მხოლოდ იდეალური ფორმა, რომელიც აბსოლუტურად მოწყვეტილია და ონტოლოგიურად დაპირისპირებულია სოციალურ სინამდვილეს. ასე, მაგალითად, სამართლის სუბიექტი აქ განსაზღვრულია როგორც ძირითადი იურიდიული რელევანტობა, ე.ი. როგორც გარკვეულ ფაქტიურ მოცემულობათა (tatsächlichen Gegebeuheiten) ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც თვით ამ ფაქტიურის იმანენტური შინაარსით კი არ განისაზღვრება, არამედ სამართლის შინაგანი კანონზომიერებით (გვ. 143). ასე, მაგალითად, სამართლის ობიექტიც ნაშრომში აღებულია არა მის მატერიალურ არსებობაში, არა[მედ] როგორც მატერიალური სინამდვილის განსაზღვრული მომენტი; იურიდიული მიმართების ელემენტის სახით, საგანი, ნაშრომის მიხედვით აღჭურვილია ახალი თვისებებით, რომელსაც იგი თავისდათავად, ე.ი. თავის ბუნებრივ შინაარსში (natürlicher Inhalt) არ ატარებს და რომელიც მას სამართალწყობისაგან აქვს მიღებული; მხოლოდ ასეთ დეფორმაციაქმნილ, გადასხვაფერებულ (deformierten, veränderten Zustand) მდგომარეობაში საგანი შედის სამართლებრივ[ი] ფორმების თავისებურ კანონზომიერებაში (S. 110). და ბოლოს, უფლება და მოვალეობა ნაშრომში გაგებულია არა როგორც რეალური სოციალური მიმართების მომენტები, არამედ როგორც ადამიანთა შესაძლებელ[ი] ურთიერთდამოკიდებულების აბსტრაქტ[ული] იდეა (S. 90), რომელიც რეალურ სოციალურ დამოკიდებულებათა სპეციფი[კ]ურ გამოხატულებას კი არ წარმოადგენს, არამედ იდეალური არსის სახით წინ უსწრებს ყოველგვარ რეალობას და უკანასკნელში მხოლოდ თავის განხორციელებას პოულობს; თვით იურიდიული მიმართება კი აქ განსაზღვრულია როგორც უფლება და მოვალეობის აპრიორულად აუცილებელი კორელაცია (S. 79). ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ყველა აქ მოყვანილ განმარტებებში სამართლებრივი სინამდვილის ძირითადი ფენომენი – იურიდიული მიმართებები, რომელთა

გარკვეული კომპლექსი, ნაშრომის მიხედვით, სამართალწყობის მთლიანობას ჰქმნის, მთლიანად დახვეწილია სოციალური შინაარსიდან, აბსოლუტურად გამოთიშულია სოციალურ[ი] მოვლენების შინაგან[ი] კანონზომიერებისაგან. მთელი აქ მოყვანილი მსჯელობის ძირითადი ტენდენცია იქეთკენ არის მიმართული, რომ უმარტივესი სამართლებრივი ფენომენი, რომელსაც ნაშრომი უფლებრივ მიმართებაში ხედავს, მთლიანად განთავისუფლებულ იქნეს რეალურ[ი] სინამდვილის უცხო შენაერთებისაგან, რომ ამ გზით მიღებულ იქნეს ონტოლოგიურად სპეციფი[კ]ური ხალასი იურიდიული ფორმა, რომლიდგანაც ამოღებულია ყოველგვარი კონკრეტ[ულ]ობა, ყოველგვარი hie et nune. სავსებით უდავოა, რომ აქ მოყვანილი აზრთა წყობა თავიდან ბოლომდე აშკარად იდეალისტურ-რეაქციონურია, აშკარად ანტიმარქსისტულია.

[6]. ნაშრომის ასეთი ხასიათი კიდევ უფრო ცხადი იმ შემთხვევებში, როდესაც იგი სამართლებრივის და რეალურის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას ეხება. ნაშრომშიდ მოცემულ აზრთა წყობის ფარგლებში აუცილებელია იმ საკითხის გადაჭრა, თუ, იმ აბსოლუტური დაპირისპირების შემდეგ, რომელიც აქ გატარებულია სამართლებრივს და რეალურს შორის, რა ფორმებში არის შესაძლებელი რაიმე მიმართების დამყარება ამ ონტოლოგიურათ განსხვავებულ მოვლენებში. ეს საკითხი რომ თვით ნაშრომის თვალსაზრისით ძირითად ხასიათს ატარებს, იქედგანაც სჩანს, რომ სამართლებრივის ბუნების ანალიზის მიზნით აქ გამოსავალ დებულებათ იურიდიული მიმართების პრობლემა არის აღებული. რატომ? იმიტომ, რომ ნაშრომის თანახმად, უფლებრივი მიმართება ის ძირითადი იურიდიული ფორმაა, რომელშიდაც სამართლებრივი და სოციალური ყველაზე უფრო ახლოს მოდიან ერთმანეთთან კონტაქტში, რომ ამიტომ სწორედ აქ განსაკუთრებულად აქტუალური ხდება იმ ურთიერთობის ანალიზი, რომელიც ჩვეულებრივ იგულისხმება სამართლებრივ ფორმებს[ა] და სოციალურ სინამდვილ[ე]ს შორის. ამ საკითხის გადაჭრის დროს ნაშრომის მთელი ენერგია სამართლებრივის სოციალურთან დაკავშირებისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ სრულებით საწინააღმდეგო ტენდენციას გამოხატავს; იგი მიზნათ ისახავს დაამტკიცოს მოვლენათა ამ ორ დარგს შორის რეალური კავშირის აბსოლუტური შეუძლებლობა. აღნიშნულ[ი] პრობლემის გადაჭრის დროს ეს არის ძირითადი აზრი, რომელიც თანამიმდევრობით განვითარებულია როგორც სამართალწყობის და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, ისე სამართლის ცალკე კატეგორიებს და არასამართლებრივ მოვლენებ[ს] შორის ურთიერთობის საკითხის განსაზღვრის დროს. აქედგან სავსებით გასაგებია, რომ უნივერსალური ურთიერთმოქმედების და, მაშასადამე, კაუზალური კავშირის პრინციპი, ზევით აღნიშნულ[ი] პრობლემის გადაჭრის დროს ნაშრომისათვის აბსოლუტურად მიუღებელია.

ეს სავსებით გარკვევით არის აღნიშნული ნაშრომში როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება სამართლის განსაზღვრულობას საზოგადოების ეკონომი[კ]ური სტრუქტურით, ისე იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალურ[ი] მოვლენების მსვლელობაზე სამართლის ზემოქმედების პრობლემა არის განხილული. პირველი მიმართულებით ნაშრომის 93-ე გვერდზე ჩვენ ვხვდებით შემდეგ კატეგორიულ განცხადებას: „შეხედულება, რომელიც საზოგადოების სოციალ[ურ]-ეკონომი[კ]ურ სტრუქტურაში სამართლის განმსაზღვრელ მიზეზს ხედავს, მიუხედავათ მის[ი] გავრცელების პოპულიარობის[ა], უნდა ცნობილ იქნეს როგორც უდა[ვ]ოთ ყალბი“. ამგვარად მარქსიზმის ძირითადი დებულება, რომ სამართალს საზოგადოების ეკონომი[კ]ური სტრუქტურა განსაზღვრავს, ნაშრომს ყალბ შეხედულებათ მიაჩნია. სინამდვილეში, როგორც ამას ქვევით მოყვანილ[ი] მსჯელობიდან დავინახავთ, აბსოლუტურად ყალბი სწორედ ის შეხედულებაა, რომელიც ნაშრომში არის გატარებული ამ საკითხში. მაგრამ ნაშრომში უარყოფილია არა მხოლოდ სოციალური სინამდვილის ზემოქმედების შესაძლებლობა სამართალზე, არამედ სამართლებრივის ზემოქმედების შესაძლებლობა საზოგადოებრივ სინამდვილეზე. ასე, მაგალითად, ნაშრომის 88-ე გვერდზე გარკვევით არის აღნიშნული, რომ ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ სამართლის რეალიზაციაზე, განხორციელებაზე ვლაპარაკობთ, ის კი არ უნდა იქნეს ნაგულისხმევი, თითქოს სამართლებრივი რეალურ[ი] სინამდვილის შინაგან მომენტათ იქცეოდეს, ვინაიდგან ნაშრომის მიხედვით, ეს იქნებოდა რეალური სინამდვილის მთლიანობის დარღვევა, იმ შინაგანი კანონზომიერების გაუქმება, რომელიც აქ არის მოცემული; ასეთი შემთხვევები ჩვენ მხოლოდ იმ შინაარსით უნდა გავიგოთ, რომ სამართლებრივსა და სოციალურს შორის ერთგვარი პარალელიზმი, ერთგვარი შესაფერისობა (übereinstimmung) არის მოცემული.

რომ მთელი აქ მოყვანილი მსჯელობა აშკარად ანტიმარქსისტულია, იმდენათ ცხადია, რომ სრულებით ზედმეტია ამ საკითხზე დეტალური შეჩერება. მაგრამ იმანენტური კრიტიკის თვალსაზრისითაც რომ მი[ვ]უდგეთ ნაშრომის ამ ნაწილში მოყვანილ დებულებას, ადვილად დავრწმუნდებით იმ ამოცანის გადაჭრის შინაგან შეუძლებლობაში, რომელიც ნაშრომს აქვს დასახული. სახელდობრ, ნაშრომის ძირითადი დებულებაა, რომ სამართალი როგორც იდეალური, რეალურისაგან ონტოლოგიურად განსხვავებული არსი, უკანასკნელისაგან აბსოლუტურად არის გამოყოფილი, უკანასკნელს აბსოლუტურად უპირისპირდება; მაგრამ ასეთი ძირითადი გამოსავალი დებულების შემდეგ, სამართლებრივს და სოციალურს შორის რაიმე დამოკიდებულებების ძებნა სრულებით ამაო საქმეა; აბსოლუტური დაპირისპირება მხოლოდ მაშინ იქნება აბსოლუტური, თუ იგი დაპირისპირებულ მომენტებ[ს] შორის ყოველგვარ[ი] კავშირის შესაძლებლობას უარყოფს. ამის მიუხედავად, ნაშ-

რომი საკმაოდ ვრცელ ადგილს უთმობს იმ კავშირის ანალიზს, რომელიც მოცემულია სამართალსა და რეალურ მოვლენებს შორის. სავსებით აშკარაა აქ როგორც ის, რომ აზრთა ამ ორ წყებას შორის შინაგანი წინააღმდეგობა აუცილებელია, ისე ისიც, რომ ნაშრომში გატარებულ[ი] აბსოლუტური დუალიზმის საფუძველზე რეალურის და სამართლებრივის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა წინდაწინვე უარყოფილია. ამით აიხსნება ის ხელოვნური (иекуеейвесное) მსჯელობა, ახალ[ი] კატეგორიების გამოგონების უნაყოფო ცდები, სიტყვებით უშინაარსო თამაში, რომლის ნიმუშები უხვად არის მოცემულ ნაშრომში და რომლის შესახებ ჯერ კიდევ Goethe-მ სარკასტულად შენიშნა: “Denn cbeu, wo Begriffe fehlen, das stellt ein Wort zur rechten Zeit sich ein”.

ამ დახასიათების ილუსტრაციისათვის საკმარისია განვიხილოთ ის მსჯელობა, რომლის საშვალებით ნაშრომი ფიქრობს ზევით აღნიშნულ[ი] შინაგან[ი] წინააღმდეგობიდან გამოსვლას. ნაშრომის აზრით, ყველა შემთხვევებში, როდესაც ჩვენ დამოკიდებულების ცნებას ვიხილავთ, არ არის სავალდებულო აუცილებლად ვიგულისხმოთ ურთიერთობაში მყოფ[ი] მოვლენების შინაგანი ბუნებით განსაზღვრული რეალური კავშირი. სახელდობრ, როდესაც ჩვენ საქმე გვაქ[ვს] ონტოლოგიურად დაპირისპირებულ მოვლენებთან, რომელნიც აბსოლუტურ, ფუნდამენტურ სხვაობას გვიჩვენებენ, დამოკიდებულების შინაარსი განისაზღვრება არა უკანასკნელის წევრების შინაგანი ბუნებით, არამედ დამოკიდებულების მხოლოდ ერთი ელემენტის შინაგანი კანონზომიერებით, რომლის (ელემენტის) შინაგან[ი] თავისებურობის სახით ჩვენ ვხვდებით მის მიმართებაზე დამოკიდებულებას მეორე წევრთან (იხ. S. 93). სწორედ ამ აბსოლუტურად უსაფუძვლო დებულებას ნაშრომი უფარდებს იმ შემთხვევას, როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივის კავშირს სოციალურ მოვლენასთან; ამ შემთხვევაში, როგორც დამოკიდებულების შინაარსი, ისე დამოკიდებულების მეორე წევრი, განისაზღვრება არა სოციალური მოვლენების ბუნებით, არამედ მხოლოდ სამართლებრივი ფორმის შინაგანი კანონზომიერებით. რომ ამ მსჯელობაში სამართლებრივს და სოციალურს შორის არსებული დამოკიდებულება ყირაზედ არის დაყენებული, რომ სამართლის გაგება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მას საზოგადოებრივ სინამდვილეში მოცემულ კანონზომიერებას და[ვ]უკავშირებთ, თუ მას ჩვენ გავიგებთ როგორც თავის[ი] არსებობის სხვადასხვა ფორმებში საზოგადოებრივ[ი] საწარმოო მიმართებების კონკრეტ[ულ]ი სისტემით განსაზღვრულს, იმდენად ნათელია, რომ ვრცელი მსჯელობების მოყვანა ჩვენ აქ არ დაგვჭირდება. ამიტომ ჩვენ აქ საკითხს მეორე მხრივ შევეხებით, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ ნაშრომშიდ მოყვანილ[ი] დებულებების საფუძველზედ კავშირის დამყარება სამართ[ა]ლსა და სოციალურს შორის გადაუჭრელ ამო-

ცანად რჩება. ნაშრომშიდ მოცემულ[ი] მსჯელობის მიხედვით დამოკიდებულების მეორე წევრის შინაარსი, რომელთანაც მიმართებას ამყარებს სამართლებრივი, უკანასკნელისათვის აბსოლუტურად ინდიფერენტულია. მაგრამ მაშინ სრულებით გაუგებარია, თუ რატომ არ ამყარებს სამართალი მიმართებებს, ვსთქვათ, მზის სისტემის მოძრაობასთან, ანდა ელექტრონების წრებრუნვასთან პროტონის ირგვლივ? თუ ასეთის შესაძლებლობა როგორც სინამდვილეში, ისე თვით წარმოდგენაშიდ, აბსოლუტურად უარყოფილია, თუ სამართლებრივის დამოკიდებულება შესაძლებელია მხოლოდ სოციალურთან, მხოლოდ იმასთან რაც სოციალურ სინამდვილეში ამა თუ იმ სახით შედის, ეს სწორეთ იმით აიხსნება, რომ სამართლებრივისათვის სოციალურის შინაარსი ინდიფერენტული კი არ არის, არამედ იგი (ე.ი. სამართალი) თვით შედის საზოგადოებრივ[ი] მოვლენების ფარგლებში და ამ უკანასკნელის სპეციფი[კ]ურ[ი] კანონზომიერებით განისაზღვრება. გარდა ამისა აქ ისიც უდავოა, რომ ნაშრომშიდ მოცემულ თვალსაზრისზედ თუ დავდგებით, სამართლებრივის დამოკიდებულებას არასამართლებრივთან აბსოლუტური შემთხვევითობის ხასიათი უნდა მივცეთ; მაშინ კი რაიმე კანონზომიერებაზე მსჯელობა შეუძლებელია, ვინაიდგან აბსოლუტური შემთხვევითობის ცნება კანონზომიერების ცნებას ბუნებრივად უარყოფს; კანონზომიერების უარყოფა კი შემეცნების შესაძლებლობასაც უარყოფს, ვინაიდგან უკანასკნელი არსებითად სწორედ იმ კანონზომიერების გაშუქებაში მდგომარეობს, რომელიც მოვლენათა გარკვეული დარგის ანდა მთლიანად არსისათვის არის დამახასიათებელი. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ნაშრომში მოცემულ[ი] აზრთა წყობის საფუძველზე ჩვენ არამც თუ ვერ ვწვდებით სამართ[ა]ლს და სოციალურს შორის არსებულ[ი] დამოკიდებულების შემეცნებას, არამედ ყოველგვარი შემეცნების უარყოფამდე მივდივართ.

ამის შემდეგ სრულებით ზედმეტია იმ ახალ[ი] კატეგორიების განხილვაზე დეტალური შეჩერება, რომელიც ნაშრომში თვით არის მოზიდული სამართლებრივის და არასამართლებრივის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის განხილვის დროს. ნაშრომის ამ ნაწილში მოყვანილი დებულებები ან მხოლოდ დეკლარატიულ ხასიათს ატარებენ რაიმე დასაბუთების ცდის გარეშე, როგორიცაა, მაგ., სამართლებრივის შინაგანი კანონზომიერების ფარგლებში არასამართლებრივი მოვლენის ბუნებრივი შინაარსის ონტოლოგიური დეფორმაციის თეზა, თეზა, რომელიც არამც თუ არაფრით არ არის დასაბუთებული, არამედ რომლის დასაბუთების ცდაც კი არ არის მოცემული; ან კიდევ და ეს კატეგორიები ხელოვნურად შექმნილია იურიდიული ტექნიკის ზოგიერთი ხერხების აბსოლუტურად უსაფუძვლო ონტოლოგიზაციის გზით. ასეთია, მაგალითად, იურიდიული რელევანტობის კატეგორია, რომელსაც ნაშრომში ძალიან დიდი როლი აქვს მიცემული.

ყველა ამ ახლად აღმოჩენილ[ი] კატეგორიების განხილვა სრულებით ზედმეტია, ვინაიდგან, ერთის მხრივ, ნაშრომშიდ მათი raison d'étre არაფრით გამართლებული არ არის, მეორე მხრივ კი, ისინი სრულიად უძლურნი არიან იმ შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვისათვის, პრობლემის გადაჭრის იმ შინაგანი შეუძლებლობის გასაფანტავად, რომელზედაც ზევით იყო მითითებული.

ასეთია აზრთა წყობის ის მთავარი ხაზები, რომელნიც მხედველობაში უნდა იქნენ მიღებული "Gewalt und Recht"-ში მოცემულ[ი] ძირითად[ი] დებულებების კრიტიკული ანალიზის დროს. იდეალურის და რეალურის ორ, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად გათიშულ ონტოლოგიურ სფეროდ დასახვა, სამართლებრივის მიკუთვნება იდეალურ[ი] სფეროსადმი და, აქედგან გამომდინარე, სამართლის აბსოლუტური მოწყვეტა სოციალური სინამდვილისაგან – ასეთია ის აბსოლუტურად ყალბი და ანტიმარქსისტული გამოსავალი პოზიცია, რომელიც შინაგანი აუცილებლობით განსაზღვრავს ნაშრომის დასკვნებს ცალკე საკითხებში. სავსებით გასაგებია, რომ სამართლის კატეგორიების დამუშავება აღნიშნულ[ი] გამოსავალ[ი] დებულებების საფუძველზე იმანენტური აუცილებლობით იძლევა შინაგან და დაუძლეველ წინააღმდეგობებს და განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებს წამოყენებულ[ი] პრობლემების გადაჭრის ობიექტურ შეუძლებლობას იმ მეთოდოლოგიურ-ფილოსოფიურ[ი] ორიენტაციის ფარგლებში, რომელიც ნაშრომს აქვს აღებული. ის აბსოლუტური დუალიზმი, რომელიც იდეალურს და რეალურს მთლიანად სთიშავს ერთმანეთისაგან და რომელიც ნაშრომში შეფარდებული აქვს სოციალურის და სამართლებრივის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას, უკანასკნელის გარკვევის შესაძლებლობას წინდაწინვე სპობს. ეს შედეგი კი, რომელსაც ნაშრომში მოყვანილ[ი] ძირითად[ი] დებულებების კრიტიკული განხილვა იძლევა იმის მაჩვენებელია, რომ სამართლის ბუნების გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ჩვენ მას ავიღებთ სოციალურ მთლიანობაში, თუ ჩვენ მას განვიხილავთ როგორც სოციალურ მოვლენას, რომელიც თავის წარმოშობაში და არსებობა-განვითარებაში საზოგადოების ეკონომი[კ]ური სტრუქტურით არის განსაზღვრული. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ავიცდინოთ რეალური ცხოვრებიდან მოწყვეტილი, აბსოლუტურად არამეცნიერული და სქოლასტი[კ]ური Begriffsjurisprudenz, რომელიც ბურჟუაზიულ უფლებრივ აზროვნებას ახასიათებს და რომლის ერთ-ერთ ნიმუშს „Gewalt und Recht" წარმოადგენს. ზევით მოყვანილ[ი] კრიტიკიდან ცხადია, რომ დღეს ჩემთვის ამ ნაშრომის არც ერთი დებულება მისაღები არ არის.

* * *

ჩემი ანტიმარქსისტული იდეოლოგიური წარსულიდან მთლიანი გამიჯვნის მიზნით, დამატებით იმისა, რაც ზევით იყო თქმული საჭიროდ მიმაჩნია შემდეგის აღნიშვნა:

1. 1928 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№10) მე დავბეჭდე ნაშრომის – “Gewalt und Recht”-ის შესახებ დაწერილ[ი] გ. ნანეიშვილის რეცენზიის საპასუხო წერილი. უკანასკნელში გაკვრითაც არ არის მითითებული იმ ანტიმარქსისტულ და ყალბ დებულებებზე, რომლებზედაც მე ზევით შევჩერდი. ამ დებულებების კრიტიკის ნაცვლად, საპასუხო წერილში, ნაშრომში მოცემულ[ი] კონცეპციის დაცვის და გამართლების პოზიცია არის არჩეული. ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ ყველა ის მოსაზრებები, რომელნიც ზევით მოყვანილი იყო ნაშრომის – “Gewalt und Recht”-ის ძირითადი დებულებების საწინააღმდეგოთ, მთლიანად ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას იმ აზრების მიმართ, რომელნიც საპასუხო წერილშია განვითარებული. მაგრამ აქ საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ მომენტს: ზევით ჩვენ მი[ვ]უთითეთ, რომ იდეალურის და რეალურის, სამართლებრივის და სოციალურის აბსოლუტური დუალიზმი შედეგშიდ იძლევა ნაშრომშიდ დასმულ[ი] პრობლემების გადაჭრის შეუძლებლობას და იმანენტური აუცილებლობით შინაგან და გადაუჭრელ წინააღმდეგობამდე მიდის. რეცენზიის საპასუხო წერილში ამ წინააღმდეგობიდან გამოსვლის ცდა არის მოცემული; მაგრამ ეს უკანასკნელი აქ მოცემულია არა ნაშრომშიდ განვითარებულ[ი] დებულებების აშკარა და გარკვეულ[ი] უარყოფის, არამედ ამ დებულებების ნამდვილი შინაარსის დამახინჯების სახით; ე.ი. საპასუხო წერილში ის კი არ არის ნათქვამი, რომ ნაშრომში მოყვანილი დებულებები ყალბია, არამედ ამ დებულებებს დამახინჯებული, აშკარად არასწორი ინტერპრეტაცია ეძლევა იმ მიზნით, რომ გარეგნულად მაინც ფარდა აფარებული დარჩეს ი[მ] შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც ნაშრომს ახასიათებს. ამ აზრის ილუსტრაციისათვის ჩვენ შევჩერდებით იმ განმარტებაზე, რომელიც სახელმწიფოს და სოციალური სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას ეძლევა საპასუხო წერილში. უკანასკნელი იმ დებულებას ანვითარებს, რომ თითქოს ნაშრომის მიხედვით როგორც სამართალი, ისე სახელმწიფო შინაგან ორბუნ[ებო]ვანობას გვიჩვენებდეს, თითქოს ნაშრომში მოცემული სახელმწიფოს და სამართლის კონცეპცია სამართლებრივის და სოციალურის რეალური და ობიექტური მთლიანობის იდეიდან გამოდიოდეს, თითქოს სამართლის და სოციალურის დაპირისპირებას, რომელიც ნაშრომშია გატარებული ობიექტიურ-ონტოლოგიური მნიშვნელობა კი არ ჰქონდეს, არამედ მხოლოდ შემეცნებითი აბსტრაქციის შედეგს წარმოადგენდეს. ყველა იმ მსჯელობების შემდეგ, რომელიც ზევით იყო განვითარებული, სავსებით უდავოა, რომ ნაშრომში მოყვანილ დებულე-

ბებს აქ აშკარად ყალბი ინტერპრეტაცია ეძლევა. ასეთი ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოთ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სწორედ ნაშრომის ძირითადი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ[ი] ორიენტაციის საფუძველზე სამართლებრივის და სოციალურის დაპირისპირებას აქ მიცემული აქვს არა ლოღიკური აბსტრაქციის შედეგის ხასიათი, არამედ ობიექტიურ-ონტოლოგიური, ფუნდამენტალური სხვაობის შინაარსი. ამის შემდეგ სავსებით გასაგებია, რომ საპასუხო წერილში გაკეთებული მითითება იმ განსხვავებაზე, რომელიც წერილის მიხედვით უნდა გატარებულ იქნეს ინტენციონალურ[ი] და თავისდათავად არსებულ[ი] საგნის − objectum formale და objectum materiale-ს შორის, წერილში მოცემულ[ი] მსჯელობის გამართლების თვალსაზრისით ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია, ვინაიდგან, ერთის მხრივ, ეს განსხვავება, თავისდათავად აღებული, აშკარად ყალბია, მეორე მხრით კი, ნაშრომში მოყვანილ[ი] მსჯელობების გამართლების თვალსაზრისით ამ განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ნაშრომში მოცემული დაპირისპირება სამართ[ა]ლს და სოციალურ სინამდვილ[ე]ს შორის გატარებულია არა გნოსეოლოგიური, არამედ ონტოლოგიური შინაარსის სხვაობის სიბრტყეში.

ზევით მოყვანილ[ი] კრიტიკიდან გასაგებია, რომ მე არ ვიზიარებ იმ აზრებს, რომელნიც ამ წერილში არის განვითარებული.

2. გადავდივარ ეხლა ჩემი მეორე წერილის კრიტიკაზე, რომელიც დაბეჭდილი იყო, აგრეთვე, ჟურნალ „მნათობში“ (1929 წ., №10) კ. კაუცკის ახალი მოძღვრების შესახებ სახელმწიფოზე. აღნიშნულ წერილში, სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით, დაშვებულია მთელი რიგი პრინციპიალური შეცდომებისა, რომლებიც მთლიანად წერილს არამარქსისტულ ხასიათს აძლევენ.

რაშიდ მდგომარეობს ეს შეცდომები?

1) პირველი და ძირითადი შეცდომა, რომელიც ამ წერილშიდ არის დაშვებული, გამოიხატება სახელმწიფოს გაიგივებაში კლასობრივ საზოგადოებასთან, სახელდობრ, ნაშრომის დასაწყისშიდვე ჩვენ ასეთ გამოთქმას ვხვდებით: „სახელმწიფო, რომელიც იგივეა, რაც კლასობრივი საზოგადოება“. ეს დებულება აშკარად ყალბია. თავისდათავად ცხადია, რომ საზოგადოება, თუნდაც ანტაგონისტური საზოგადოების სახით აღებული, სრულებით არ არის იგივე რაც სახელმწიფო; უკანასკნელი კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოვლინებაა (проявление), იგი კლასობრივი ბატონობის, ერთი კლასისაგან მეორე კლასის დაჩაგვრის (угнетения) ორგანოა და ამიტომ, როგორც კლასობრივ[ი] ბატონობის ორგანო, როგორც პროდუქტი კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის, იგი არ შეიძლება იყოს იდენტური საზოგადოებასთან.

2) აშკარად შემცდარია, აგრეთვე, მეორე დებულება, რომელიც წერილში არის მოყვანილი და სიტყვასიტყვით შემდეგს ამბობს: „იმ ისტორიული კანონზომიერების გაგება, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოება თავის არსებობა-განვითარებაში, შეუძლებელია, სანამ სახელმწიფოს საიდუმლოება გახსნილი არ არის“. ამ დებულებაში საქმის ნამდვილი მდგომარეობა აშკარად შებრუნებულად არის წარმოდგენილი. სახელდობრ, უდავოა, რომ სახელმწიფოს ბუნების შემეცნება კი არ იძლევა იმ გასაღებს, რომლითაც შესაძლებელი გახდება საზოგადოების გაგება, არამედ, პირიქით, იმ კანონზომიერების გაშუქება, რომელიც საზოგადოების განვითარებაში არის მოცემული, შესაძლებლად ხდის სახელმწიფოს სწორ განსაზღვრას.

3) მესამე შეცდომა, რომელსაც წერილში ვხვდებით, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში ენგელსის შეხედულების არასწორ და დამახინჯებულ გადმოცემაშია მოცემული. სახელდობრ, წერილის ერთ ადგილზე ენგელსის შეხედულება შემდეგ სიტყვებშიდ არის გადმოცემული: „ძირითადი ფაქტორები, რომლებზედაც ენგელსი უთითებს, როგორც სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზს – შრომის დანაწილება, ქონებრივ[ი] უთანასწორობის განვითარება, კერძო საკუთრების ჩამოყალიბება და სხვა“... – გამოდის, თითქოს, ენგელსის აზრით, სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი იყოს შრომის დანაწილება, კერძო საკუთრების ჩამოყალიბება, ქონებრივ[ი] უთანასწორობის განვითარება და სხვა. სინამდვილეში კი, ენგელსის აზრით, სახელმწიფო კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტია: „იგი წარმოიშობა იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ობიექტიურად არ შეიძლება შერიგებულ იქნენ“ (Ленин, Г. и Р., изд. 1923 г., стр. 9.).

4) წერილში არის ადგილი, სადაც ნახმარია გამოთქმა თანამედროვე (იგულისხმება ბურჟუაზიული) სახელმწიფოს სოციალისტური ტრანსფორმაციის შესახებ. ცხადია, რომ ეს გამოთქმა უსწოროა, ვინაიდგან მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, ბურჟუაზიული სახელმწიფო ტრანსფორმაციას კი არ განიცდის, არამედ იგი პროლეტარული რევოლუციის დროს იმსხვრევა. ამ ძირითად[ი] შეცდომების აღნიშვნის შემდეგ, რომელნიც ჩემს წერილში კაუცკის შესახებ არის დაშვებული, აშკარაა, რომ ეს წერილი მარქსისტულად ვერ ჩაითვლება.

* * *

ჩემი იდეოლოგიური წარსულის კრიტიკასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია შემდეგის აღნიშვნა: 1930 წელს ა[მიერ]კ[ავკასიის] კომუნისტურ უნივერსიტეტში წარმოებული დისკუსიის დროს – საბჭოთა საქართველოში სამართლებრივი აზრის შესახებ, მე დავიკავე სავსებით ყალბი პოზიცია. [ი]-

მის ნაცვლად, რომ აშკარად და საბოლოოდ გავმიჯნულიყავი ჩემ[ს] ანტი-მარქსისტულ ნაშრომებში გამოთქმულ[ი] აზრებიდან და დებულებებიდან, მე მიზნად დავისახე იმის დამტკიცება, თითქოს ნაშრომებში გამოთქმულ[ი] დებულებების შერიგება მარქსიზმთან შესაძლებელი იყოს. რადგანაც ამ შესაძლებლობის დამტკიცება აბსოლუტურად შეუძლებელია ყველაფერი ის, რაც ჩემგან ამ დისკუსიის დროს იყო თქმული მოკლებულია რაიმე საფუძველს და, ერთის მხრივ, ნაშრომის შინაარსის სხვადასხვა ადგილების არასწორ გადმოცემას, მეორე მხრივ კი, ენგელსის და მარქსის შეხედულებების უსწორო ციტირებას და გაგებას ემყარება. ჩემი ნაშრომის ზევით მოცემულ[ი] კრიტიკის შემდეგ აშკარაა, რომ მე არ ვიზიარებ იმ დებულებებს, რომელნიც ჩემ[ს] მიერ განვითარებული იყო აღნიშნულ[ი] დისკუსიის დროს.

ასეთია ის შეცდომები, რომლების კრიტიკული განხილვა საჭირო იყო ჩემი იდეოლოგიური წარსულიდან მთლიანი გამიჯვნის მიზნით. როგორც ხედავთ, ამ ჩემს წარსულ მეცნიერულ მუშაობაში არ არის დარჩენილი არც ერთი წერტი[ლი], რომელსაც შეუძლია დასაყრდენად გამოდგეს მომავლისათვის. აქედგან გარკვევით ისახება ის ამოცანები, რომელნიც ჩემი მომავალი მეცნიერული მუშაობის წინაშე სდგანან: სახელმწიფოს და სამართლის თეორიის ძირითადი და აქტუალური პრობლემების დამუშავება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე. მაგრამ წინასწარ აუცილებელი იყო იმ იდეოლოგიური ბალასტიდან განთავისუფლება, რომელიც ზედმეტ ტვირთად იყო დაწოლილი ჩემს მეცნიერულ შემოქმედებაზე და მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში შესვლის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ვამთავრებ რა ჩემი ნაშრომების კრიტიკულ განხილვას მე შემიძლია ვსთქვა: dixi et salvavi animam meam.

მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების და სამართალმცოდნეების I საკავშირო ყრილობის რეზოლუცია ე. პაშუკანისისა და ი. ბერმანის მოხსენებების მიხედვით*

1. განცდილი პერიოდი კაპიტალისტურ ელემენტებზე ყოველმხრივი შეტევით ხასიათდება.

მრეწველობის წინაშე მდგარი საკითხი – „ვინ – ვის“ – სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა, გადაწყდა საბოლოოდ და შეუქცევადად. სოფლად საყოველთაო კოლექტივიზაციის გაჩაღება და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციამ ძირეული გარდატეხა შექმნა, რომელიც სოციალიზმისაკენ წარმატებულ სვლას უზრუნველყოფს. „ნათელია, რომ ჩვენ უკვე გამოვედით გარდამავალი პერიოდიდან – მისი ძველი გაგებით, შევედით პირდაპირი და განვითარებული სოციალიზმის აღმშენებლობის პერიოდში – მის ყველა ფრონტზე. ნათელია, რომ ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში, ვინაიდან სოციალისტურ სექტორს უკვე ხელთ უპყრია სახალხო მეურნეობის ყველა სამეურნეო ბერკეტი, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და კლასობრივი განსხვავებების მოსპობა ჯერ კიდევ შორს არის“. „ჩვენ არ ვაუქმებთ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას (нэп), ვინაიდან კერძო ვაჭრობა და კაპიტალისტური ელემენტები კიდევ რჩება, თუმცა ჩვენ უეჭველად ვაუქმებთ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (нэп) საწყის სტადიას, რადგან ვავითარებთ მის შემდგომ სტადიას, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (нэп) ამჟამინდელ სტადიას, რომელიც არის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (нэп) უკანასკნელი სტადია“ (სტალინი).

კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და გამოდევნის, პოლიტიკიდან კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლა, საყოველთაო კოლექტივიზაციის საფუძველზე, გეგმური საწყისის სულ უფრო და უფრო ღრმად დანერგვა, მთელი სახალხო მეურნეობის უშუალო დაგეგმარებაზე გადასვლა, წვრილი საგლეხო მეურნეობების უმსხვილეს საზოგადოებრივ მეურნეობებად გარდაქმნის გიგანტურად სწრაფი ტემპები, მშრომელთა აქტიურობის ზრდა, შრომის ახალი ფორმები – დამკვრელობა და სოცშეჯიბრი – დღის წესრიგში აყენებენ სოციალისტური საწარმოო ურთიერთობების უფრო თანმიმდევრულ და მკვეთრ ფორმირებას, ზედნაშენთა სწრაფ და მკვეთრ რეკონსტრუქციას.

---

* რუსული ვარიანტი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „Советское государство и революция права“, №3, 1931, 143-153. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

ყოველივე ეს გვიხსნის ფართო პერსპექტივას საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის თეორიისათვის და იწვევს მთელი თეორიული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაუყოვნებლივი შემობრუნების აუცილებლობას, რეკონსტრუქციის პერიოდის კონკრეტული ამოცანების მიმართულებით. ამხანაგი კაგანოვიჩის მიერ მარქსისტი სახელმწიფო[მცოდნეების] და სამართალმცოდნეების ყრილობაზე მის მოხსენებაში დასახული საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში [გასატარებელი] მორიგი თეორიული ამოცანები საფუძვლად უნდა დაედოს მარქსისტი სახელმწიფო[მცოდნეების] და სამართალმცოდნეების პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების გამოკვლევას, ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის ფორმების კონკრეტულ შემეცნებას – კომუნისტური პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოს ღონისძიებებთან, კლასების განადგურებისა და ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენების [კუთხით]. ლენინის მიერ მისეულ კონსპექტში – „პროლეტარიატის დიქტატურის“ შესახებ – აღწერილი კლასობრივი ბრძოლის ხუთი ფორმა უნდა გახდეს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის საკითხებზე პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საწყისი პუნქტი.

საბჭოთა აღმშენებლობის, სახელმწიფოსა და სამართლის სფეროში მომუშავე ყველა მარქსისტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ლენინის მოძღვრების ოპორტუნისტული შეუფასებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ყველაზე ნათელ გამოსახულებას პოვებს ოპორტუნისტულ ცრუ თეორიებში იმის შესახებ, რომ ლენინმა თავის ნაშრომებში არ მოგვცა სამართლის ზოგადი თეორიის ძირითადი მითითებანი.

ყრილობა ყველა მარქსისტისათვის, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობის, სახელმწიფოსა და სამართლის ფრონტზე საქმიანობს, პირველხარისხოვან ამოცანად სახავს ლენინის ამოუწურავი მემკვიდრეობის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას.

ყრილობა აღნიშნავს, როგორც განვლილი ეტაპის უდიდეს დანაკლისს, ლენინის უდიდესი თეორიული მემკვიდრეობის აშკარად არასათანადო დამუშავებას, რომელიც ზუსტ დებულებებს იძლევა გარდამავალი პერიოდისა და იმპერიალიზმის ეპოქის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემათა შემდგომ დამუშავებაში. მასალების დამუშავება აღმოგვიჩენს ლენინის სულ ახალ-ახალ ნაშრომებს, რომლებიც ჩვენ იარაღს გვაძლევენ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიისათვის ბრძოლაში („სახელმწიფოს შესახებ თეზისები“, „შენიშვნები ბუხარინისეული გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისადმი“, „მარქსიზმი და სახელმწიფო“).

2. ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფრონტზე მიღწეული გამარჯვებები კლასობრივ მტერთან მტკიცე ბრძოლაშია მოპოვებული, პარტიის გენერალური ხაზისათვის მტკიცე ბრძოლაში, ყოველგვარი დამახინჯებებისა და გადახრების წინააღმდეგ, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ, „მემარცხენე“ გადახრისა და უპრინციპო, ორპირი მტრის – „მემარცხენე“ ბლოკისა და მასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ.

ახლა, როგორც არასოდეს, მოგვეთხოვება უსასტიკესი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, სავალდებულოა მკვეთრი უკუგდება ყოველგვარი გამოცოცხლებული ანტიმარქსისტული და ანტილენინური თეორიებისა, ნებისმიერი შემოტევისა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ არის მიმართული, მისი განიარაღების ნებისმიერი მცდელობისა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულებების დაფარული და აშკარა ქადაგება, იდეალიზმისა და ბურჟუაზიულ-იურიდიული მსოფლმხედველობის მომხრეთა და სოციალ-ფაშისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა გამოხტომები, მაქსიმალურ სიფხიზლესა და მაქსიმალურ აქტიურობას ავალდებულებს მარქსისტულ-ლენინურ სამეცნიერო აზრს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეძღვნას კონტრრევოლუციური ტროცკიზმის, როგორც სოციალ-ფაშიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობის გამოაშკარავებას, მისი თეორიისა, რომ შეუძლებელია სოციალიზმის აღმშენებლობა ერთ ქვეყანაში და რომ შეუძლებელია გლეხობის ძირითადი მასის ჩართვა სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

უნდა გამოაშკარავდეს ტროცკიზმის თეორიის საფუძველში ჩადებული პროლეტარიატის ძალებისადმი უდიდესი უნდობლობა მისი უნარებისადმი – გარდაქმნას საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლები. უნდა გამოაშკარავდეს ტროცკიზმის მიერ სრულად დამახინჯებული პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე, მისი პოლიტიკური ხაზის კაპიტულანტური არსი, რომელიც მემარცხენე ფრაზეოლოგიითა და ისტერიული ავანტიურიზმით იბურება. უნდა დაიმსხვრეს მისი ორგანიზაციული თეორია, რომელსაც პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ მივყავართ.

3. საგარეო ფრონტზე წარმატებული შეტევა გულისხმობს თვით მარქსისტი ლენინელების რიგებიდან, მართებული ხაზიდან ყოველგვარი გადახრების ამოძირკვას, გულისხმობს ორ ფრონტზე ბრძოლის გაჩაღებას: მემარჯვენე ოპორტუნისტული „უკლონისა“, რომელიც მოცემულ დროში წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს, და „მემარცხენე“ მიმდინარეობების წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც წესი, წარმოადგენენ ტროცკისტული იდეოლოგიის რე-

ციდივს. მეთოდოლოგიის სფეროში მემარჯვენე „უკლონის“ საფუძველში დევს მექანისტური კონცეფცია, ანუ მატერიალისტური დიალექტიკის მიუღებლობა და უარყოფა, ამ ერთადერთი რევოლუციური მეთოდოლოგიისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვიცვათ და შევიმეცნოთ ყველა რთული კანონზომიერება, მათ შორის – გარდამავალი ეპოქის კანონზომიერებანი. დიალექტიკის შეცვლა მექანიკური მსოფლმხედველობით გვართმევს სოციალისტური აღმშენებლობისა და კლასობრივი ბრძოლის პროცესების შეცნობისა და მათზე აქტიური ზემოქმედების შესაძლებლობას, ყველა მხარის, ყველა კავშირის, ყველა შუალობის, ყველა შინაგანი წინააღმდეგობისა და გადასვლების გათვალისწინებით, რისი შედეგიც არის რევოლუციური პერსპექტივის დაკარგვა, ვიწრო ემპირიზმი, სირთულეების წინაშე კაპიტულაცია. სახელმწიფოსა და სამართლის საკითხთა სფეროში მემარჯვენე ოპორტუნისტულ „უკლონს“ არ მიჰყავს ბოლომდე პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, ანუ კლასების ლიკვიდაციამდე, უარყოფს კლასთა ინტერესების შეურიგებლობას და ქადაგებს კლასობრივი ბრძოლის ჩაქრობის თეორიას. ამას უკავშირდება სახელმწიფოს აქტიური როლის დამცრობა, რომელიც ზემოქმედებს ეკონომიკაზე, საბაზრო ურთიერთობების სტიქიურობისადმი მუხლის მოდრეკაზე, კაპიტალისტური ელემენტების სოციალიზმთან შერწყმის თეორიაზე, პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის დამცრობაზე გლეხობის მიმართ, საბჭოთა კანონისა და რევოლუციური კანონიერების ლიბერალურ აღქმაზე, კულაკობის მიმართ საგანგებო ღონისძიებათა გატარების და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის აუცილებლობისა და დასაშვებობის უარყოფაზე, საყოველთაო კოლექტივიზაციის საფუძველზე. მემარჯვენეები, აღნიშნული შეხედულებების სისტემის თანმიმდევრული გატარებით, არსებითად გადადიან „წმინდა“ დემოკრატიის პოზიციაზე, და როგორც ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, ასევე, სახელმწიფოსა და სამართლის სფეროშიც, ასახავენ კულაკური რესტავრაციის იდეოლოგთა შეხედულებებს (კონდრატიევის, გრომანოვის, ჰაუკეს, რუდინის, ევტიხნოვისას).

4. „მემარცხენე უკლონის“ მეთოდოლოგიურ საფუძველს, გარდა იმავე მექანიკური კონცეფციებისა, წარმოადგენს დიალექტიკის აბსტრაქტულ-ფორმალისტური გაუკუღმართება, რომელსაც რეალური სინამდვილიდან, მთელი მისი სირთულით და მთელი მისი ობიექტური წინააღმდეგობებით, მივყავართ ცარიელი აბსტრაქციებისა და წმინდა ლოგიკისაკენ. მემარჯვენე „უკლონისათვის“ დამახასიათებელი, სირთულეების წინაშე კაპიტულაციას, ამჯერად ჩაენაცვლება სირთულეებზე ხელის ჩაქნევის მცდელობა, მათი შეუმჩნევლობით, მათზე გადაბიჯებით.

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში მემარცხენე „გადამხრელები“, ტროცკისტების დებულებათა გამეორებით მოუთოკავი ავანტურიზმის-

კენ მიექანებიან, მიზნად ისახავენ შიშველ ადმინისტრაციულ ზეწოლას, რაც საშუალო გლეხების მიმართ ძალადობამდე დადის.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საკითხებში „მემარცხენე უკლონი“ ხასიათდება აგდებული დამოკიდებულებით მასობრივი საბჭოთა საქმიანობის მიმართ, იმ რეალური ბრძოლის მიმართ, რასაც პარტია და მუშათა კლასი ბიუროკრატიის წინააღმდეგ ეწევა, მუშათა კლასის ძალებისა და აქტიურობის მიმართ, უნდობლობით მისი უნარისადმი – დაძლიოს ეს ბიუროკრატიული წყლული.

5. სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებთან უდრეკ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მარქსისტ-ლენინელებს ბოლო დრომდე უწევთ უდრეკი ბრძოლის წარმოება მცდელობასთან, გამოყენებული იქნეს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსა და საბჭოთა სამართლის მიმართ ბურჟუაზიული ფორმალურ-იურიდიული მეთოდი.

როგორც ბურჟუაზიულ-იურიდიული მეთოდოლოგიის ტიპური ნიმუშები, რომელთა მეშვეობითაც იბურება და შეირყვნება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს კლასობრივი არსი და იდღაბნება მასსა და ბურჟუაზიის სახელმწიფოს შორის არსებული, პრინციპული განსხვავება, არსებობენ მაგაზინგერის, დურდენევსკის, დაბლოს, პალიენკოს, პონტოვიჩის, კოტლიაროვსკის, არხიპოვის, იგნატიევის, კრილცოვის, უსპენსკისა და, როგორც იმავე მეთოდოლოგიური დებულებების გავლენის ქვეშ მყოფთა, კომუნისტების – მაგეროვსკის, მალიცკის, რაიჰელის, გურვიჩისა და სტეკლოვის ნაშრომები.

აღნიშნულ საფრთხეებზე მიუთითებდა საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში (ИССП) [წაკითხულ] თავის მოხსენებაში ამხანაგი კაგანოვიჩი, როცა ის ამბობდა: „ჩვენში გამომუშავებულია ძველი, ბურჟუაზიული იურისტების თავისებური ბუნება, რომლებიც საკუთარი ბურჟუაზიული იდეოლოგიის პოზიციებზე დარჩენისას უარყოფენ რა თავისი არსით სოციალისტურ სახელმწიფოებრიობას, მშვენივრად ვირეშმაკულად წერენ საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ, მონაწილეობენ ჩვენს საბჭოთა ჟურნალებში, წერენ სრულიად გამოშიგნულ, ყოვლად უვარგის სტატიებს საბჭოთა დემოკრატიის შესახებ და, თანაც ბეჭდავენ მათ ცალკეული კრებულების [სახით], წერენ კანონებს, აყალბებენ მათ საბჭოური ტერმონოლოგიით, და, იმავდროულად, რჩებიან ძველი იურიდიული მეთოდოლოგიის ნიადაგზე – ბურჟუაზიული მეთოდოლოგიის ნიადაგზე“.

სამართლის სფეროში მარქსისტულ-ლენინურ სამეცნიერო აზრს უხდებოდა ბრძოლის წარმართვა ფსიქოლოგიური, იდეოლოგიური და ფორმალურ-ნორმატივისტული თეორიების ურიცხვ ნაირსახეობებთან, რომლებიც,

ზოგჯერ, დაჟინებით შელამაზდებოდა მარქსიზმად. კერძოდ, სამართლის ფსიქოლოგიური თეორია, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან მალევე, ლამის უმთავრეს ოფიციალურ საბჭოთა დოქტრინად გამოცხადდა და საკუთარი დამცველებიც მოძებნა რაისნერის, ენგელის, ილინსკის სახით. გარდა ამისა, იყო აშკარა იდეალისტთა გამოსვლები, რომლებიც მოუწოდებდნენ იურიდიული და ეთიკური ნორმატივიზმისაკენ (ა. მ. პოპოვი-ლოდიჟევსკი). ტფილისის უნივერსიტეტში იდეალისტურ და ნორმატივისტულ თეორიებს იცავენ ბურჟუაზიული იურისტ-პროფესორების ჯგუფი (სურგულაძე, ნანეიშვილი და სხვ.). იგივე იდეალისტური კონცეფციები თავის ასახვას პოვებენ კომუნისტთა რიგებშიც (გალანზა).

პირველი წლები აღინიშნა დიუგის თეორიის ფართო გავრცელებით. „სოციალური ფუნქციებისა“ და სამოქალაქო სამართლის გარდაქმნის შესახებ მისი იდეები (გოჰბარგისმიერ) საბჭოთა სამართლის სახელმძღვანელო იდეად გამოცხადდა. აღნიშნული იდეების დაცვასა და პროპაგანდირებას მომავალშიც ახდენდნენ პარტიის წევრები (ვოლფსონი).

ჟურნალში – „სამართალი და ცხოვრება“ – აბსტრაქტული კანონიერების, ზოგადად – კანონიერების ქადაგება, რაც, აღნიშნული ლოზუნგის ქვეშ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსაგან ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ, ვითომცდა, „სამართლებრივი“ სახელმწიფოსაკენ შემობრუნების ტოლფასი იყო. ეს ჟურნალი ბურჟუაზიულ-რესტავრატორული ელემენტების კონსოლიდაციის ცენტრად იქცა.

საბჭოთა სამეურნეო სამართალში, იმის დასაფარად, რომ სამოქალაქო სამართალი „უსახურ ინსტრუმენტარიუმს“ წარმოადგენს, ბურჟუაზიული კერძო სამართლის პრინციპების გათრევის ნიმუშად პროფ. შრეტერის ნაშრომი იქცა.

სისხლის სამართალში მარქსიზმად შელამაზებული ბურჟუაზიულ-სოციოლოგიური სკოლა ჰყვაოდა (ისაევი, პიონტკოვსკი, ტრაინინი, ჩელცოვი, ბებუთოვი, პაშე-ოზიორსკი), ან კიდევ ღიად ბურჟუაზიულ-იურიდიული დოგმატიკა და სმენოვეხოშჩინა (ლიუბლინსკი, ჟიჟილენკო, პოლიანსი, შირიაევი)[1].

გარდა ამისა, დანაშაულებრიობისა და დამნაშავის ობიექტური კრიმინოლოგიური კვლევის დროშის ქვეშ საბჭოთა ნიადაგზე რესტავრირდა ლომბროზოს იდეები და ხორციელდებოდა სისხლის სამართლის ბიოლოგიზაციის მცდელობა.

საერთაშორისო სამართალში ბოლო დრომდე ბატონობდნენ, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა აშკარად რეაქციული მოძღვრებანი

[1] რომელიც ცალკეული მარქსისტების მხარდაჭერას პოვებდა (შირვინდტი, კანერსკი).

(გრაბარი, საბანინი, კლიუჩნიკოვი), რომლებიც საერთოდაც უარყოფდნენ საბჭოთა კავშირის ხარისხობრივად განსხვავებულ საერთაშორისო ურთიერთობებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის „ნორმალური“ ურთიერთობებისგან; და, მეორე მხრივ, მარქსისტული ფრაზეოლოგიის შებურული, არსებითად კი წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის თვალსაზრისზე მდგარი, მცდელობა, აეგოთ საერთაშორისო სამართლის „სოციალისტურ კონსტრუქციათა“ განსაკუთრებული სისტემა (კოროვინი).

მიწის სამართალში იგივე სოციალურ ფუნქციათა თეორია გვევლინება „საგლეხო სამართლის“ ახალი ნაროდნიკული საბურველით (როზენბაუმი), რომელიც აიდეალებს წვრილ საქონელმწარმოებელს და ანიჭებს მას, როგორც ასეთს, სოციალიზმის მიმართულებით საწარმოო ძალთა განვითარების ფუნქციას. გარდა ამისა, გაისმოდა „ასაღორძინებელი“ კერძო საკუთრების აშკარა ჰიმნები (ევტიხიევი), რომლებიც გადაჯაჭვული იყო თეთრგვარდიელი უცხოელი იურისტების შესაბამის აღთქმებთან.

შრომის სამართლის თეორიაში ბუდობდნენ ბურჟუაზიულ-იურიდიული ტრედიუნიონთა და მენშევიკთა თეორიები, რომელთა წარმომადგენლებსაც საკუთარი მზერა ჯიუტად ჰქონდათ მიპყრობილი ბურჟუაზიულ-დემოკტარიული ნიმუშებისაკენ, საბჭოთა შრომის სამართალში ჯიუტად არ სურდათ ეხილათ მშრომელთა საწარმოო აქტიურობის ორგანიზებისა და სოციალისტური აღმშენებლობის საშუალებები (ვარშავსკი, კამინსკაია).

6. ბურჟუაზიულ-იურიდიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღების, სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემუშავებისა და დაცვის მნიშვნელოვან ეტაპებს წარმოადგენდნენ: კომუნისტური აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის სექციის მოწყობა, მისი გაერთიანება საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტთან, რესპუბლიკურ ცენტრებსა და პერიფერიებში საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტების ორგანიზება. მთლიანობაში, იდეოლოგიური ბრძოლის განვლილი ეტაპის შეფასებისას, უნდა ვაღიაროთ, რომ ხელმძღვანელი მუშაკების პოლიტიკური ხაზი სახელმწიფოსა და სამართლის თეორიულ ფრონტზე, მთლიანობაში, სწორი იყო, და ბურჟუაზიულ-იურიდიული მრწამსის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებსაც მივაღწიეთ.

სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამოჩენილი წარმომადგენლია პ. ი. სტუჩკა. მან პირველმა განავითარა სამართლის რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური შემეცნება, ხაზი გაუსვა თეზისს, რომ ყოველგვარი სამართალი არის კლასობრივი სამართალი – გაბატონებული კლასის სამართალი. სამართლის შემეცნებამ, როგორც ობიექტური საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემისა, გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა სამართლის მეტა-

ფიზიკურ, იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თეორიებს, რომლებიც დამკვიდრებული იყო იმ ადამიანებშიც კი, ვინც თავს მარქსისტად თვლიდა.

სტუჩკას ნაშრომების უდიდესი ღირსებაა თეორიულ პრობლემატიკასა და სოციალმშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს შორის არსებული მჭიდრო კავშირი, მის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს საკითხების შემუშავება, საბჭოთა სამართლისა ან გარდამავალი პერიოდის სამართლის პრობლემის წამოყენება და საბჭოთა სამოქალაქო სამართლის შემუშავება. პ. ი. სტუჩკას ნაშრომების თავისებურებაა, მარქსისა და ლენინის საფუძველზე, პრობლემის კონკრეტული რევულუციურ-დიალექტიკური დასახვა, კლასობრივი მტრისადმი საბრძოლო, შეურიგებელი ტონი, უცვლელი პარტიულ-პოლიტიკური წინათგრძნობა.

სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელია ამხანაგი პაშუკანისი. ამხანაგი პაშუკანისის ნაშრომების დიდად დადებითი მნიშვნელობა ისაა, რომ მარქსისა და ლენინის მიერ დასახული, მატერიალისტური კრიტიკისადმი მიდევნებით, მან გამოააშკარავა ბურჟუაზიული სამართლის ფეტიშიზმი, მისეული აბსტრაქტული სუბიექტის – ფორმალური თავისუფლებისა და ფორმალური თანასწორობის მატარებლის – ძირითადი ცნებით მოგვცა როგორც ბურჟუაზიული სამართლის, მთლიანობაში, ყველა მის ნაწილში, ყველა მის სფეროში, ასევე, ბურჟუაზიულ-იურიდიული იდეოლოგიისა და სამართლის ფილოსოფიის შეცნობის გასაღები. ბურჟუაზიულ-იურიდიული სისტემის მთლიანის შეცნობით, მის საფუძველში ჩადებული და მისი განმსჭვალველი პრინციპის მოცემით, ამხანაგი პაშუკანისის ნაშრომმა შეგვაიარაღა ბურჟუაზიულ-იურიდიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, რითაც წინ აღუდგა საბჭოთა თეორიასა და პრაქტიკაში უბრალო ტექნიკური ხარისხების სახით მისი ცალკეული ელემენტების შემოპარებას.

გარდა ამისა, ამხანაგი პაშუკანისის მიერ შემუშავებულია საბჭოთა აღმშენებლობის რიგი პრობლემებისა (კლასთა ბრძოლა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა), სახელმწიფოსა და სამართლის რევოლუციური პერიოდების ისტორიის სფეროში, კოლონიალური პოლიტიკისა და ფაშიზმის შესახებ.

7. პ. ი. სტუჩკასა და ე. ბ. პაშუკანისის ნაშრომების დადებითი მნიშვნელობა არ უნდა გვაბრკოლებდეს მათში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკისგან და იმისგან, რომ, თუ მათ არ გამოვავლენთ და არ გამოვასწორებთ, [ისინი] შეიძლება იქცნენ, და ნაწილობრივ უკვე იქცნენ კიდეც, შეცდომების შემდგომი გამწვავებისა და გაღრმავების საწყის წერტილად.

მექანიკური ხასიათის ასეთი, საკმაოდ მსხვილი, შეცდომების რიცხვს მიეკუთვნებიან: შრომითი დანაკარგების შესახებ კანონის დაცვა; თანაფარდობის შესახებ მექანიკური თეორიის გადმოღება; მონოპოლიისა და კონკურენ-

ციის თაობაზე ლენინისეული შემეცნების საწინააღმდეგო, იმპერიალიზმის შესახებ თეორიის მცდარი ფორმულირებები, რომლებსაც ორგანიზებული კაპიტალიზმის ბუხარინისეულ თეორიასთან მივყავართ (სტუჩკა, პაშუკანისი); იმის მცდელობა, რომ მატერიალური შრომითი ეკვივალენტის იდეის მეშვეობით შრომითი დანაკარგების შესახებ კანონი საფუძვლად დაედოს საბჭოთა სამოქალაქო სამართალს (სტუჩკა); კლასების შესახებ ბუხარინისეულ თეორიასთან შემრიგებლობა და აღნიშნულ თეორიასა და მარქსი-ლენინის თეორიას შორის პრინციპული განსხვავების გადღაბვნა (პაშუკანისი); სახელმწიფოს შესახებ საკითხში ლენინსა და ბუხარინს შორის არსებული აზრთა სხვაობის სიღრმისეული განსხვავების შეზელვა და „აფეთქების“ შესახებ ბუხარინისეულ თეორიასთან შემრიგებლობა (პაშუკანისი).

მექანიკური მეთოდოლოგიის გავლენა აისახა ეკონომიკისა და სამართლის ურთიერთზეგავლენის საკითხის ამხანაგი სტუჩკასეულ განმარტებაზეც, საწარმოო და სამართლებრივი ურთიერთობების გაიგივების სულისკვეთებით. ეს ნიშნავდა სამართალში ობიექტური მომენტის სუბიექტურისაგან (ანუ, ობიექტური ურთიერთობების [მოწყვეტას], აღნიშნულ ურთიერთობებზე, გაბატონებული კლასის მხრიდან აქტიური და შეგნებული ზემოქმედებისაგან) მექანიკურ მოწყვეტას, სუბიექტური მომენტის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმამდე დაყვანას (ნორმა, კანონი), რასაც, თავის მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში, გარდამავალი პერიოდის სამართლის არასწორ შეცნობამდე მივყავდით, სადაც გადამწყვეტ მნიშვნელობას პროლეტარიატის დიქტატურა იძენს.

ამხანაგი პაშუკანისის ნაშრომის – „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი“ – ძირითადი იდეოლოგიური ნაკლოვანებაა აბსტრაქტული მიდგომა ფორმალისტური ხასიათის შეცდომებით, რომლებსაც ფორმის შინაარსისაგან მოწყვეტასთან მივყავართ. აბსტრაქტულ კატეგორიებში ასახული ბურჟუაზიული სამართლის ფორმა არის სამართლის საგანი და, მთლიანობაში, სამართალთან არის გაიგივებული. სუბიექტის კატეგორიის იმ ატომად გამოცხადებამ, რომლისგანაც თითქოსდა უნდა გამომდინარეობდეს სამართლის თეორია, ზოგიერთ მკვლევარს მისცა საბაბი, ესაუბრათ სუბიექტის კატეგორიის თვითმოძრაობის შესახებ. ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული სამართლის მატერიალისტური კრიტიკა აშკარად იდეალისტური კონსტრუქციების გზას დაადგებოდა. ძირითადი მეთოდოლოგიური შეცდომიდან გამომდინარეობდა შეცდომები სამართლისა და სახელმწიფოს თეორიის მთელი პრობლემების რიგის თაობაზე, არსებულ დებულებებთან მიმართებითაც (ბურჟუაზიამდელი სამართლის სისტემების უსწორო განმარტება, სამართლის ბატონობა-მორჩილებისა და კლასობრივ-რეპრესიული მომენტების უკანა პლანზე გადაწევა, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობების

საკითხში, ზნეობის საკითხში, სისხლის სამართლის საკითხში დაშვებული შეცდომა).

ფორმალისტური შეცდომების არსებობას სამართლის თეორიის [სფეროში] აბსტრაქტულ სქოლასტიკამდე მივყავართ და [ეს] თეორიის პრაქტიკისაგან მოწყვეტის წყაროა. ასეთი სქოლასტიკის ყველაზე ნათელ მაგალითს ამხანაგი სტალგევიჩის თეზისები („სამართლის მარქსისტული თეორია“) და მისი სტატიები წარმოადგენენ, რომლებშიც ის საკუთარი თეზისების ძირითად დებულებებს იცავდა, სადაც სამართლის თეორიის აბსტრაქტულ-ლოგიკურ წყობას, პრაქტიკისგან მოწყვეტით, ფორმალისტური შეცდომების სისტემასთან მივყავართ. პოლიტიკური მიმართებით საბაზრო ურთიერთობების როლის გადაფასებამ ლოგიკურად მიგვიყვანა „ხვოსტისტურ“ და მემარჯვენე ოპორტუნისტულ დასკვნებამდე, იმ ბურჟუაზიული სამართლის ფორმების სრულად ხელშეუხებლად შენარჩუნების კუთხით, რომლებიც შეესაბამებოდა საბაზრო ბრუნვას. პირიქით, გაცვლა-გამოცვლის როლის სრულად იგნორირებას სამართლის არსის განხილვისას სამართლის კვდომის შესახებ „მემარცხენე“ მტკიცებამდე მივყავართ წარმოების საშუალებათა განზოგადების პროცესში.

ბოლო დროს ამხანაგი პაშუკანისი საკუთარი ნაშრომის თანმიმდევრულად გავრცობილი კრიტიკით გამოვიდა, რომელიც ააშკარავებდა ყველა მის შეცდომას და გვაძლევდა იმის რწმენას, რომ ყველა ეს შეცდომა გადალახული იქნება და აღარ მოახდენენ გავლენას შემდგომ ნაშრომებზე.

8. განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც საგარეო ანტიმარქსისტულ ფრონტზე საბრძოლველად უნდა გაგვემახვილებინა, კადრების არასაკმარისი რაოდენობა და იმ კადრების კონსოლიდაციაზე ზრუნვამ, ვინც მხოლოდ ახლა იწყებს ფორმირებას, მეცნიერული თვითკრიტიკის განვითარება გარკვეულწილად შეაფერხა. თუმცა, ამასთანავე, თვითკრიტიკა მთელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მეთოდად უნდა იქცეს. წინამდებარე სამუშაოს დროს დაშვებული თეორიული [ხასიათის] შეცდომების გამოაშკარავება და გამოსწორება შემდგომი წინსვლის აუცილებელ პირობაა. განსაკუთრებით, დაჟინებით აუცილებელია კრიტიკა და მემარჯვენე ოპორტუნისტული ხასიათის შეცდომების გამოსწორება, რომლებიც ბუხარინის ზოგიერთი თეორიული დებულების შემეცნებიდან გამომდინარეობს და აშკარად განუდგა მარქსიზმ-ლენინიზმსა და შემრიგებლობას. იმავდროულად, სავალდებულოა „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ტროცკიზმის მეთოდოლოგიის დაუძლეველ გავლენაზე მოწმობენ. გარდა თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისა, ჩვენი თეორიის განწმენდისა ყველა სახის მტრული ანტიმარქსისტული, ანტილენინური გავლენისაგან, აუცილებელია აბსტრაქტული თეორიებისგან სოციალისტური აღმშენებლობის პრობლემა-

თა შემუშავების მიმართულებით მკვეთრი შემობრუნება. სიმძიმის ცენტრი უნდა შემობრუნდეს წმინდა სამართლებრივი, წმინდა იურიდიული სფეროდან სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის და კლასთა ბრძოლის შესახებ საკითხების შემუშავებაზე. საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა სამართლის გარეგნული ფორმის განყენებული შესწავლის ნაცვლად აუცილებელია მათი რევოლუციურ-კლასობრივი შინაარსის შესწავლისაკენ შემობრუნება – ეკონომიკასთან, კლასობრივ ბრძოლასთან კავშირში [და] ახალი სოციალისტური საწარმოო ურთიერთობების შექმნასთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნული, გარდა კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერებისა და კლასობრივი მტრების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ფრონტზე საყოველთაო ბრძოლის წარმართვისა, ისეთი შემობრუნების შინაარსს უნდა ჰქმნიდეს, რომელსაც ჩვენ ვიწყებთ.

9. სამართლის თეორიის სფეროში დისკუსიის დადებით მხარედ ისიც იქცა, რომ ის [იგულისხმება დისკუსია – მთარგმნელი], მიუხედავად მისი, ძირითადად, სქოლასტიკური ხასიათისა, დაეხმარა ამხანაგებს, გაეაზრებინათ დაშვებული შეცდომები და მათი გამოსწორების გზით წასულიყვნენ. ამით შექმნილია წინაპირობა, [რათა] მთელი თეორიული სამუშაო გადაერთოს საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა სამართლის სოციალისტური აღმშენებლობის პრობლემებზე. ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელობამ არათუ არ გაუწია წინააღმდეგობა გაჩაღებულ თვითკრიტიკას, როგორც ეს მოხდა სხვა თეორიულ ფრონტებზე, არამედ მისი შემხვედრი ნაბიჯები გადადგა, მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო და სათავეშიც ჩაუდგა, გვაძლევს იმის რწმენას, რომ შემობრუნება მაქსიმალური სისწრაფით მოხდება და უახლოეს მომავალში თავის დადებით შედეგებს მოგვცემს.

10. საბჭოთა სამართლის სფეროში თეორიული მუშაობის ძირითადი და სრულიად უდავო გზავნილია საბჭოთა სამართლის განსაკუთრებული ხარისხის აღიარება, რაც მისი კლასობრივი არსიდან, ოქტომბრის რევოლუციიდან, რომელმაც პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარა, მიწისა და წარმოების ძირითადი საშუალებების ნაციონალიზაციის ფაქტიდან, ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის მოწინავე როლიდან და სოციალისტური ელემენტების კაპიტალიზმზე გამარჯვების პერსპექტივიდან გამომდინარეობს. საბჭოთა სამართლის სისტემის ერთიანობა, გარდამავალი პერიოდის ძირითადი ეკონომიკური კანონიდან (სოციალიზმისაკენ სვლა) გამომდინარეობს, [აგრეთვე] – მუშათა კლასის ერთიანობიდან, რომელმაც ძალაუფლება აიღო ხელთ და სხვადასხვა ეტაპების გავლით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლას ახორციელებს. საბჭოთა სამართლის აღნიშნული ერთიანობა არც სამართლის ბურჟუაზიული ფორმის გადმონაშთებით (თანასწორი მასშტაბის უთანასწოროს მიმართ გამოყენება) ნადგურდება, [და] არც გარკვეულ ეტა-

პებზე კერძოსამართლებრივი ან კაპიტალისტური ურთიერთობების არსებობით, რომლებიც საბჭოთა კანონებით დაიშვება არა მათი სამუდამოდ შენარჩუნების მიზნით, არამედ მათი დაძლევისა და, საბოლოო ჯამში, ლიკვიდაციის მიზნით. ამიტომ არასწორია საბჭოთა სამართალში რეაქციული ტენდენციების ან შესაძლებლობების არსებობის მტკიცება. ასეთი მტკიცებანი ობიექტურად განგვაიარაღებს იმ ბურჟუაზიული იურისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც, სინამდვილეში, საბჭოთა სამართალში რეაქციული ბურჟუაზიული შინაარსის შემოთრევისაკენ ისწრაფიან.

11. საბჭოთა სამართლის ერთიანობა მისი კლასობრივი არსისა და მიზნების მხრიდან პროლეტარული რევოლუციის შემდგომ არ ხსნის ბურჟუაზიული სამართლის ფორმის შენარჩუნების პრობლემას. პროლეტარული რევოლუციის შემდგომ ბურჟუაზიული სამართლის ფორმის გადმონაშთების არსებობის უარყოფა, რომელმაც საკუთარი ასახვა პოვა „პროლეტარული სამართლის“ კონცეფციაში – პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში და „ბურჟუაზიული სამართლის“ [კონცეფციაში] – კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაზე (ლიბერმანი) ეწინააღმდეგება მარქსისა და ლენინის დებულებებს და „მემარცხენე“ გადახრას წარმოადგენს.

საბჭოთა სამართლის თეორია პრაქტიკაში პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის იარაღად უნდა იქცეს. ეს თეორია უნდა ემსახუროს საბჭოთა სამართლის ძირეული გარდაქმნის საქმეს – მის ყველა დარგში (სამეურნეო, შრომის, მიწის, სისხლის სამართლის).

სამეურნეო სამართლის რეკონსტრუქციის პრობლემა საზოგადოებრივ სექტორში საწარმოო ძალების მიღწეული უკვე გიგანტური ზრდის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს; [აგრეთვე], საყოველთაო კოლექტივიზაციის საფუძველზე, კაპიტალიზმის უკანასკნელი დასაყრდენის – კულაკობის – ლიკვიდაციის, ქალაქსა და სოფელს [შორის] შემხებლობის ახალი ფორმების: გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის ხასიათის შეცვლის, სამომავლოდ საქონელბრუნვიდან სურსათის ბრუნვაზე გადასვლის პერსპექტივის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის უშუალო დაგეგმარების [გზით].

სამეურნეო სამართალი უნდა შემუშავდეს აღნიშნული ძვრების თვალთახედვის კუთხით, რომლებიც სოციალიზმში შესვლის პერიოდს ახასიათებენ.

შრომის სამართლის სფეროში აუცილებელია იმ ძირეული ცვლილებების გათვალისწინება, რომლებიც შრომის სოციალისტური ფორმების გაშლამ შეიტანა: დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრი.

შრომის სამართალი მშრომელთა ინტერესების დაცვის უწინდელი ამოცანის შენარჩუნების კვალდაკვალ მასების სამეურნეო აქტიურობის ორგანიზების ფორმად უნდა იქცეს.

მიწის სამართალი, თავის მხრივ, იმგვარად უნდა გარდაიქმნას, რომ მას მთლიანად შეეძლოს სოფლის მეურნეობის სრულყოფილი სოციალისტური რეკონსტრუირების უზრუნველყოფის ფაქტორად ქცევა და კოლმეურნეობებში კერძო მესაკუთრეთა მოზიდვა. აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმირება, რომელიც უკვე დაწყებულია რეპრესიის ორგანიზებაში ძირეული ცვლილებების [შეტანით] (თავისუფლების მოკლევადიან აღკვეთაზე უარის თქმა). აუცილებელია ამხანაგური სასამართლოებისა და მომრიგებლური საკნების გამოცდილების შესწავლა: რიგში დგას საცხოვრებელი საკითხისა და, აგრეთვე, საკოლმეურნეო-კოოპერაციული ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობის თეორიული შემუშავება. არ არსებობს სფერო, სადაც ახალი ურთიერთობების წარმოშობისა და ძველი, დრომოჭმული ურთიერთობებისა და ფორმების ლიკვიდაციის ხაზით ჩვენ მიერ გადატანილი გრანდიოზული ძვრები არ მოითხოვს აქტიურ ჩარევას.

ყოველივე [ზემო]აღნიშნული პრობლემა უნდა იქნეს შესწავლილი – პრაქტიკაში მათი გატარების როგორც საკანონმდებლო და საკოდიფიკაციო სიბრტყეში, ასევე – სასამართლოსა და პროკურატურის მუშაობაში. რევოლუციური კანონიერების გატარება, სოციალისტური აღმშენებლობის უზრუნველყოფა, პროლეტარიატის დიქტატურის ყოველმხრივი განმტკიცების გზები და ხერხები – აი, რა უნდა შეიმეცნონ მარქსისტმა სამართალმცოდნეებმა. უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნული საკითხები არის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის არენა და, რომ ჩვენი ამოცანაა, არა მხოლოდ მოვიგერიოთ აშკარა კლასობრივი მტრის შემოტევა, არამედ პროლეტარიატის რიგებში, მის აგენტებთან ბრძოლაც – „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან.

12. თანამედროვე ეტაპზე, მთელი თავისი მნიშვნელობით, გამოდის საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც იმ ძირითადი ბერკეტის როლი, რომლის მეშვეობით გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პროცესში პროლეტარიატი გარდაქმნის ეკონომიკას და ახორციელებს სოციალიზმზე გადასვლას, კაპიტალიზმის უკანასკნელი ნარჩენების ამოძირკვით. ყრილობა კიცხავს საყოველთაო კოლექტივიზაციის რაიონებში [არსებული] საბჭოების ლიკვიდაციის მემარჯვენე ოპორტუნისტულ თეორიას, აგრეთვე, იმ მცდელობას – გაათრიოს ის [თეორია] შეფარული სახით (კოლმეურნეობისათვის საბჭოთა ხელისუფლების ცალკეული ფუნქციის გადაცემა). აღნიშნულ თეორიებთან მტკიცე ბრძოლა მოცემულ ეტაპზე არის პროლეტარული სახელმწიფოსა და საბჭოთა აღმშენებლობის მართებული დაყენების უმნიშვნელოვანესი პირობა.

სოციალიზმის ზოლში ჩადგომით ჩვენ ძირეულად უნდა გარდავქმნათ საბჭოებისა და მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობა – „სოციალისტური რეკონსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად“. ამ სფეროში მარქსისტი ლე-

ნინელების წინაშე დგას სოციალისტური აღმშენებლობის ვრცელი გამოცდილების მეცნიერული განზოგადება იმ თვალსაზრისით, რომ დავეხმაროთ პარტიასა და მთავრობას, რათა ეს გარდაქმნა წარმატებით და სწრაფად გატარდეს. აქ კი პრობლემათა უდიდესი ოდენობა ჩნდება, რომელთა გადაჭრაზე დამკვრელური მეთოდებით მარქსისტ-ლენინელებმა უნდა იშრომონ. საბჭოების ხაზით ჩვენ წინაშე წამოიჭრება შემდეგი აქტუალური პრობლემები: საბჭოების როლის ამაღლება ხუთწლედის 4 წელში შესრულების კუთხით, საბჭოები და დამკვრელობა, საბჭოები და კოლექტივიზაცია, საბჭოების მუშაობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, პროლეტარული დემოკრატიზმის ამაღლების ახალი ფორმების გაშლა (სოციალისტური შეჯიბრი, შემხვედრი პროფესიულ-ფინანსური გეგმა, სახელმწიფო მმართველობაში ნებაყოფლობითი მონაწილეობა, ქვევიდან განხორციელებული კონტროლი და სხვ.) და მასობრივი საბჭოთა საქმიანობა (საწარმოებში სადეპუტატო ჯგუფების არსებობა, სოფლის საბჭოებში, ღარიბთა ჯგუფებში, სექციებში საწარმოო თათბირების მოწყობა, სოფლის საზოგადოებრივი სასამართლოების და დელეგატთა კრებების ჩატარება და სხვ.), რაიონების განმტკიცება – საბჭოების ახალი საწარმოო ბაზა, საბჭოების შემადგენლობა, გადარჩევა, დავალების მიცემა, უპარტიოთა და ქალების ჩართულობა საბჭოების მუშაობაში, საბჭოების მუშაობის ამაღლება მუშათა და კოლმეურნეთა მომარაგების, კვებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კუთხით. სახელმწიფო აპარატის ხაზით აუცილებელია, პირველ ყოვლისა, შედეგი პრობლემების დამუშავება: სახელმწიფო აპარატი და მავნებლობა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ამაღლება, წმენდის ჩატარების შედეგები, სახელმწიფო აპარატში სოციალისტური შეჯიბრი და დამკვრელობა, სახელმწიფო აპარატზე ფაბრიკებისა და ქარხნების მიერ შეფობის აღება, ახალი კადრების წამოყენება, საბჭოთა მშენებლების კადრები, სახელმწიფო აპარატი და საბჭოების მასობრივი საქმიანობა, ოლქების ხელმძღვანელობა – სასოფლო საბჭოების, აპარატის საქმიანობის ნაციონალიზაცია და სხვ.; ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში საბჭოთა აღმშენებლობის ხაზით: სახელმწიფო აპარატის მკვიდრი კადრებით [დაკომპლექტება], ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შიდა სახელმწიფოებრივი მოწყობა და კულტურული ზრდა და ა.შ.

ყოველივე აღნიშნული უნდა შევისწავლოთ კონკრეტული მასალის საფუძველზე, კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების (ლენინთან ჩამოთვლილი კლასობრივი ბრძოლის ხუთი ფორმა) ჩვენი კლასობრივი მტრების მზარდი წინააღმდეგობის ზედმიწევნითი შესწავლის გზით. ამ პრობლემების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესრულების, შემოწმებისა და თვითკრიტიკის როლის და სახელმწიფო აპარატისა და საბჭოების

შრომისუნარიანობის ამაღლების, როგორც პარტიის გენერალური ხაზის გამტარებლების, პრობლემის კვლევას.

ოქტომბრის რევოლუციის მეთხუთმეტე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილესთან დაკავშირებით შევუდგეთ კაპიტალური ნაშრომის მომზადებასა და გამოცემას, რომელიც მოიცავს პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა პრობლემას, რაშიც უნდა ჩაერთოს ყველა ძალა, როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებსა და ადგილებზე.

13. სოციალიზმის მშენებელ ქვეყანასა და კრიზისით შერყეულ კაპიტალისტურ სამყაროს შორის წინააღმდეგობების გამწვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოების ფაშიზაციისადმი გამძაფრებული ყურადღების გამოჩენას გვკარნახობს. იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიული სახელმწიფო და ბურჟუაზიული სამართალი ღრმა ცვლილებებს განიცდიან. მონოპოლისტური ორგანიზაციების განვითარება, მათი სახელმწიფოსთან შეზრდა, მეურნეობის რეგულირების მცდელობანი, რომლებმაც განსაკუთრებით ფართო მოცულობა იმპერიალისტური ომების დროს შეიძინეს, ძირს უთხრის ინდივიდუალისტური ბურჟუაზიული სამართლის სისტემის – მისი სამეურნეო საწყისების ავტონომიით, ხელშეკრულების თავისუფლებითა და სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობით, – მთლიანობასა და მდგრადობას. აღნიშნული ცვლილებების ანარეკლს წარმოადგენენ „სოციალური“ ან „სამეურნეო“ სამართლის იურიდიული თეორიები. აღნიშნული მოვლენების აღრიცხვისას დაუშვებელია, მხედველობიდან გამოგვრჩეს ის, რომ კაპიტალიზმის საფუძველში მყოფი კერძო მითვისების პრინციპი იმპერიალიზმის სტადიაზეც ხელშეუვალი რჩება; რომ ტრესტებისა და სხვა მონოპოლისტური ორგანიზაციების სახელმწიფოსთან შეზრდა არ ნიშნავს, სახელმწიფო „იქვემდებარებს“კაპიტალს, არამედ, პირიქით, [ნიშნავს] რომ სახელმწიფო მანქანა კიდევ უფრო უშუალოდ და მთლიანობაში ერთი მუჭა მონოპოლისტთა იარაღი ხდება. ასევე, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ, მიუხედავად კონკურენციისა და წინააღმდეგობებისა, მონოპოლიები განაგრძობენ არსებობას, [რასაც] კიდევ უფრო მეტად გამწვავებისაკენ მიჰყავთ, რომ „სრულ“ გეგმაზომიერებას ტრესტები არ იძლეოდნენ, დღემდე არ იძლევიან და არც შეუძლიათ მოგვცენ“ (ლენინი).

ბურჟუაზიული იურისტების ანტიინდივიდუალისტური თეორიების გადაფასების მნიშვნელობას კაპიტალიზმის დროს არსებული წინააღმდეგობების გადადღაბნამდე ულტრა-იმპერიალიზმისა და ორგანიზებული კაპიტალიზმის შესახებ სრულიად ოპორტუნისტულ თეორიამდე მივყავართ.

სისხლის სამართლის სფეროში კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავება, რაც იმპერიალიზმის ეპოქას ახასიათებს, პროლეტარული რევოლუციების მიმართ შიში და დამნაშავეობის ზრდა აიძულებს ბურჟუაზიას, მოიძიოს

რეპრესიის ახალი ფორმები და მეთოდები. აღნიშნული ძიების გამოხატულებაა, ერთი მხრივ, სოციოლოგიური სკოლის თეორია, სასჯელის სოციალური დაცვის ზომებით ჩანაცვლების მცდელობა და ა.შ. და, მეორე მხრივ, სისხლის სამართლისა და სასჯელი – შურისძიების კლასიკური თეორიის აღორძინების მცდელობა. იმავდროულად, უმძაფრესი კლასობრივი ბრძოლა არღვევს ბურჟუაზიული ლეგალიზმის ჩარჩოებს და აიძულებს ბურჟუაზიას, საკუთარი ბატონობა დაიცვას ღია ტერორის მეთოდებით, მობილიზება გაუკეთოს არა მხოლოდ პოლიციის ოფიციალურ აპარატს, არამედ ფაშისტებისა და სოციალ-ფაშისტების დაქირავებულ შეიარაღებულ ბანდებს.

სახელმწიფო მოწყობის სფეროში იმპერიალიზმის ეპოქა ხასიათდება ბურჟუაზიული სახელმწიფოების ფაშიზაციით, ფინანსური კაპიტალის დაუფარავ დიქტატურაზე გადასვლით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და საპარლამენტო ფორმებსა და გარანტიებზე უარის თქმით.

შრომით[სამართლებრივ] ურთიერთობებში ფაშისტური და სოციალ-ფაშისტური კავშირები, რომლებიც კორპორატიული სახელმწიფოსა და სამეურნეო დემოკრატიის ლოზუნგით გამოდიან, ახორციელებენ არა მხოლოდ ფაქტობრივ, არამედ კაპიტალისადმი მუშათა იურიდიულ დაკაბალებას.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე მშენებარე სოციალიზმსა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის არსებული უმწვავესი კლასობრივი ბრძოლა, კაპიტალისტურ სამყაროში კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავება, განსაკუთრებით გაღრმავებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რომელიც მრავალ ქვეყანაში პოლიტიკურ კრიზისშიც გადაიზარდა, აქტუალური ამოცანის ხარისხში აყენებენ იმპერიალისტური სახელმწიფოების, კაპიტალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ძვრების, კაპიტალისტურ წყობასთან ბრძოლაში – მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის, კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში კლასთა ბრძოლის, საბჭოებისათვის ბრძოლის გამოცდილების, მუშათა კლასის მზარდად რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლაში – ბურჟუაზიული სახელმწიფოების ფაშიზაციის პროცესის, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფაშიზაციისათვის სამსახურის გამწევი სოციალ-ფაშიზმის თეორიისა და პრაქტიკის და ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ, [აგრეთვე], პროლეტარული რევოლუციისათვის საბრძოლველად მშრომელთა მასების მობილიზაციის საქმეში მუშათა კლასობრივი ორგანიზაციების როლის შესწავლას.

14. გარდა ამისა, აუცილებელია დავაყენოთ ომისშემდგომი ეპოქის რევოლუციური გამოცდილების შესწავლა, კერძოდ, მაქსიმალური ყურადღება მიექცეს საბჭოების ისტორიას – არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ დასავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთში (ჩინეთი), შესაბამისი დოკუმენტების გამოცემის მცდელობით.

15. საყოველთაო სოციალისტური შეტევისა და საბჭოების როლის განმტკიცების პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურად მდგრადი და კვალიფიციური კადრების – საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის სფეროს მუშაკთა მომზადების ამოცანას. ამ ამოცანის განსახორციელებლად მოცემული კადრების მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემის განსამტკიცებლად და გასაშლელად აუცილებელია, მივიპყროთ საბჭოთა და პარტიული ყველა ორგანოს ყურადღება, დაწყებული სასოფლო საბჭოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ქვედა კურსებიდან, დამთავრებული სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კომუნისტური პარტიის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებით და ასპირანტურით. საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა სამართლის საკითხთა მთელი ზოლით უნდა გაიშალოს მასობრივი საპოპულარიზაციო სამუშაო, ბროშურების გამოცემის, საჯარო მოხსენებების მომზადების, რადიოს გამოყენების, დაუსწრებელი სწავლებისა და სხვა მეთოდების სახით.

მარქსისტი სახელმწიფომცოდნეებისა და სამართალმცოდნეების I საკავშირო ყრილობის რეზოლუცია ამხანაგ კრილენკოს მოხსენების მიხედვით*

1. რეკონსტრუქციული პერიოდი არის ჩვენი კავშირის ეკონომიკის ძირეული გარდატეხის პერიოდი, რომელიც ჩვენს ქვეყანას გარდასახავს აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების გაფართოების, განმტკიცებისა და დასრულების პერიოდად მრეწველობის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის და სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და საყოველთაო კოლექტივიზაციის ბაზაზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საფუძველზე.

პარტიის XVI ყრილობამ სოციალისტური აღმშენებლობის განცდილი ეტაპი დაახასიათა როგორც ისეთი ეტაპი, როცა ჩვენ უკვე უშუალოდ შევედით სოციალიზმის ზოლში, თუმცა კლასების განადგურებამდე ჯერ კიდევ შორს არის. კერძოდ, ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის სფეროში ეს პერიოდი იმით ხასიათდება, რომ, თუ ჩვენ არ გავაუქმებთ ნეპ-ს [ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას – მთარგმნელი], მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ვაუქმებთ მის საწყის სტადიას.

ამასთან დაკავშირებით ამჟამად ახლებურად წარმოგვიდგება თეორიისა და პრაქტიკის ყველა საკითხი, მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროშიც.

2. ჩვენს ეკონომიკაში მომხდარი ხარისხობრივი ცვლილებანი და ამით განპირობებული აუცილებელი ხარისხობრივი ცვლილებები სისხლისსამართლებრივი რეპრესიის პრაქტიკაში არის ის, რის წინააღმდეგაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიემართოს მარქსისტული კრიტიკის მახვილი, ვინაიდან კომუნისტთა რიგებში არსებული ეს გაუგებრობა ობიექტურად ასუსტებს და განაიარაღებს პროლეტარიატს მისსავე ბრძოლაში, [რომელიც მიმდინარეობს] სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში.

ამასთანავე, ჩვენი მარქსისტული კრიტიკის მახვილი იმ კომუნისტების წინააღმდეგაც უნდა იქნეს მიმართული, რომლებიც, ასევე, ვერ იგებენ რა რეკონსტრუქციული პერიოდის ხასიათს, განაიარაღებენ პროლეტარიატს და საბჭოთა სისხლის სამართლის ფორმის შეუფასებლობითაც, რითიც გამოსტაცებენ მას იარაღს, რომლის გამოყენებაც შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ამ ეტაპზე. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტების წინააღმდეგ ორ ფრონტზე ბრძოლა და, მათ შორის, კიდევ მემარჯვენე-„მემარცხენე“ ბლოკი-

* რუსული ვარიანტი პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „Советское государство и революция права“, №4, 1931, 129-133. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

საც, რომლებიც რეალობაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში პროლეტარიატის დასუსტებისაკენ მიმართულ ერთსა და იმავე პოლიტიკას ახორციელებენ, სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში მარქსისტი-ლენინელების მორიგ ამოცანად უნდა იქცეს.

3. მემარჯვენე „უკლონი“ [გადახრა – მთარგმნელი], როგორც მთავარი საფრთხე სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ, გამოიხატება:

1) სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის არსის – სოციალისტური აღმშენებლობის მისეული ახალი ამოცანების, მეთოდებისა და ბობოქარი ტემპების სრულ გაუცნობიერებლობაში; სოციალისტურ ეკონომიკაში მიმდინარე ხარისხობრივი ძვრების არასათანადო შეფასებაში; რეკონსტრუქციის პერიოდის, როგორც „მხოლოდ ნეპ-ის, ახალ ეტაპად“ შეფასებაში;

2) რევოლუციური კანონიერების ლიბერალურად შეცნობა და განმარტება, რაც, კერძოდ, სისხლის სამართლის პრაქტიკის მიმართ აშკარად ან ხატოვნად დაფარული ბურჟუაზიული თვალთმაქცი პრინციპის – „არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი, კანონში მის შესახებ მითითების გარეშე“, – გათრევას ნიშნავს;

3) იმისკენ სწრაფვაში, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკაში სრულად და მთლიანად შენარჩუნდეს ეკვივალენტურობა და დოზირება, გამომდინარე იქიდან, რომ რეპრესიის დოზირება გარდაუვალია, „ვიდრე სახეზეა მეურნეობის სასაქონლო ფორმები“ (ვინოკუროვი[1] და სხვები).

---

[1] **ალექსანდრე ვინოკუროვი** (1869-1944) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული ფუნქციონერი, საკავშირო ცაკ-ისა და სსრკ-ის ვაკ-ის (უმაღლესი საატესტაციო კომისიის) წევრი. დაიბადა საფინანსო უწყების მოხელის ოჯახში. 1888 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე. ვინოკუროვი 1890 წლიდან იყო რევოლუციური მოძრაობის წევრი, 1893 წელს – მოსკოვის, ხოლო 1895 წელს ეკატერინოსლავლის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა, 1913 წლიდან 1917 წლამდე ჟურნალ „დაზღვევის საკითხების“ ერთ-ერთი რედაქტორი იყო, 1917 წელს – პეტროგრადის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, ხოლო ოქტომბრის თვიდან – პეტროგრადის პირველი ბოლშევიკური სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე. იმავდროულად, იგი გახლდათ რსფსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 1918 წლიდან 1921 წლამდე – რსფსრ-ის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი, 1921 წლიდან 1923 წლამდე მუშაობდა მოშიმშილეებისათვის დახმარების გაწევის კომისიის შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ – შიმშილის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიაში, 1924 წლიდან 1938 წლამდე – სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის ორგანოებზე კონტროლის დამყარებისათვის იბრძოდა ვიშინსკისა და კრილენკოს წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა. 1938 წელს გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან და დანიშნეს სსრკ-ის ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სანიტარიული განათლების განყოფილების უფროსად. როგორც სსრკ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, უშუალოდ მიუძღვის ბრალი სსრკ-ში მოწყობილ მასობრივ რეპრესიებში [მთარგმნელი].

იმავდროულად, პრაქტიკაში მემარჯვენე ოპორტუნისტები სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით ამსუბუქებენ რეპრესიულ ღონისძიებებს კლასობრივი მტრების მიმართ (ამხანაგი შირვინდტის[1] სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი), ხოლო რეფორმის შეფერხებით იწვევენ პროლეტარია-

[1] **ევსეი შირვინდტი** (1891-1958) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, იურისტი, პენიტენციარული დაწესებულებების სპეციალისტი, თავისუფლების აღკვეთის ადგილების მთავარი სამმართველოს პირველი უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1910 წელს დაამთავრა ოდესის გიმნაზია, ხოლო 1914 წელს ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1915 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, თუმცა 1917 წელს თავი დაანება სწავლას და ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში. 1917-1918 წწ.-ში მემარცხენე ესერების პარტიის წევრია; 1917 წელს მუშაობდა პეტროგრადის საბჭოებისა და ცენტროფლოტის იურიდიულ განყოფილებაში, ოქტომბერ-ნოემბრის თვეში იკავებდა პეტროგრადის სამხედრო რევოლუციურ კომიტეტსა და უმაღლეს მთავარსარდალ ნ. კრილენკოსთან არსებული საგანგებო დავალებათა თანაშემწის, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების სამდივნოს უფროსის თანამდებობებს. იყო რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მდივანი და უმაღლეს ტრიბუნალთან არსებული საბრალდებო კოლეგიის წევრი, 1919-1920 წწ.-ში – სრულიად რუსეთის მთავარი შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული სამმართველოს სამხედრო კომისარი, 1918-1921 წწ.-ში – რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, შემდეგ კი, უკრაინის სსრ-ისა და სრულიად უკრაინის საგანგებო კომიტეტის წევრი, უკრაინის სსრ-ის მცირე სახალხო კომისარიატის წევრი. 1918 წელს შეიმუშავა ინსტრუქცია პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის ტრუბეცკოის ბასტიონში განთავსებული პატიმრების წესის შესახებ. 1919 წლიდან – რკპ(ბ)-ის წევრი (გარიცხულია 1938 წელს), 1922-1930 წწ.-ში იკავებდა რსფსრ-ის თავისუფლების აღკვეთის ადგილების მთავარი სამმართველოს პირველი უფროსის თანამდებობას, და, იმავდროულად, იყო სსრკ-ის შინსახკომის კოლეგიის წევრი, სსრკ-ის შინსახკომის საბადრაგო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი და სსრკ-ის საბადრაგო დაცვის ჯარების პირველი სარდალი (1925-1932). 1921 წლიდან მოსკოვის N1 უნივერსიტეტის (მსუ) სისხლის სამართლის კათედრის პროფესორია. იმავდროულად, 1925-1931 წწ.-ში ხელმძღვანელობდა მის მიერვე შექმნილ დანაშაულისა და დამნაშავის შემსწავლელ სახელმწიფო ინსტიტუტს და 1926 წელს სათავეში ჩაუდგა რსფსრ-ის შრომა-გასწორების (სისხლის სამართლის) კოდექსის ახალი რედაქციის პროექტის მომზადებას, 1931-1933 წწ. – სსრკ-ის წყლის ტრანსპორტის სახკომისარიატის გასამხედროებული დაცვის უფროსია, ხოლო 1932-1933 წწ.-ში სსრკ-ის წყლის ტრანსპორტის სახკომისარიატის კოლეგიის წევრია, 1933-1938 წწ.-ში – სსრკ-ის მთავარი პროკურორის და საპატიმროებსა და სსრკ-ის შინსახკომის შრომა-გასწორების დაწესებულებებზე ზედამხედველი პროკურორის უფროსი თანაშემწე. მინიჭებული ჰქონდა შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკისა, ხოლო შემდეგ იუსტიციის პოლკოვნიკის წოდება. 1938 წელს დააპატიმრეს და სასჯელს იხდიდა კრასლაგში. 1955 წელს, რეაბილიტაციისა და გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, სსრკ-ის შსს ე.წ. გულაგის სპეცბიუროს უფროსი მეცნიერ-მუშაკია. პენიტენციური კანონმდებლობის სფეროში რიგი ნაშრომებისა, რამდენიმე მონოგრაფიისა და რამდენჯერმე გამოცემული „საბჭოთა შრომა-გასწორების სამართლის“ სახელმძღვანელოს (1927, 1931, 1957) ავტორია [მთარგმნელი].

ტის განიარაღების პოლიტიკას, სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ, ასუსტებენ პროლეტარული სახელმწიფოს დამგეგმავ და მარეგულირებელ როლს, და, ამასთანავე, ავლენენ სრულ გაკოტრებასა და კაპიტულაციას ბურჟუაზიული იურიდიული მსოფლმხედველობის წინაშე.

4. სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ „მემარცხენე“ წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმი, კერძოდ, ვლინდება შემდეგში:

1) რევოლუციური კანონიერების არასათანადო შეფასებასა და იგნორირებაში, პროლეტარული სახელმწიფოს კანონების მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში, ადმინისტარციული „შეხედულების“ [გამოყენების] ფართო პრაქტიკაში;

2) სოციალისტური აღმშენებლობის პროცესში საბჭოთა სისხლის სამართლის რევოლუციური როლის არასათანადო შეფასებაში;

3) პროლეტარული სასამართლოს, როგორც კლასობრივი მტრის დამთრგუნავი ორგანოს, შეუცნობლობასა და აშკარად არასათანადო შეფასებაში, მშრომელი მასების რიგებში დისციპლინის დანერგვისა და თვითდისციპლინის დამყარების მიმართ სასამართლოს აქტიური რევოლუციურ-საორგანიზაციო როლის შეუცნობლობაში;

4) პირდაპირი კლასობრივი დათრგუნვისა და ძალადობის მეთოდების გამოყენების შეუცნობლობაში არა მხოლოდ მტრული კლასების მიმართ, მათ შორის, კულაკებისადმი, არამედ საშუალო დონის გლეხობისა და, ზოგადად, მშრომელებისადმი.

მხოლოდ ორ ფრონტზე გაშლილი შეურიგებელი ბრძოლა უზრუნველყოფს ჩვენს შესაძლებლობას, განვახორციელოთ სისხლის სამართლის სფეროში არსებული, ყველა ანტიმარქსისტული და ღრმად მტრული კონცეფციის იდეურ-თეორიული კრიტიკა (ა. პიონტკოვსკის[1], ტრაინინისა[1] და სხვა

[1] **ანდრეი პიონტკოვსკი** (1898-1973) – საბჭოთა მეცნიერ-იურისტი, სისხლის სამართლის, სამართლის ზოგადი თეორიის, ფილოსოფიისა და იურიდიული მეთოდოლოგიის მკვლევარი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1968), რსფსრ-ის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943), ვარშავის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. 1918 წელს დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1923 წლიდან ასწავლიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, 1931 წლიდან – მოსკოვის სამართლის ინსტიტუტში, ხოლო 1955 წლიდან საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, 1946-1951 წლებში იყო საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს წევრი. ძირითადი პუბლიკაციებია: Уголовно-правовые воззрения Канта, А. Фейербаха и Фихте, М., 1940, 192 с.; Уголовно-правовая теория Гегеля в связи с его учением о праве и государстве, М., 1948, 367 с.; Учение о преступлении по советскому уголовному праву, М.,

მრავალისა), რომლებიც პოულობენ დაცვასა და დაფარვას ცალკეული კომუნისტების (შირვინდტის, რუბინშტეინის[2]) მხრიდან. მსგავსადვე, სრულიად დაუშვებელია ცალკეული კომუნისტების მხრიდან შემრიგებლური დამოკიდებულების გამომჟღავნება წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი სისხლის სამართლის სფეროში.

5. ორ ამოცანას, ისეთსავეს, როგორიც ადრე იყო, თუმცა ახალი მითითებით, სისხლის სამართლის პოლიტიკის წინაშე აყენებს რეკონსტრუქციის პერიოდი. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რომელიც სულ უფრო მკაცრ ფორმებს იძენს, მათ შორის, შეიარაღებული ინტერვენციის მუქარის სახით, კონტრრევოლუციური დაჯგუფებების ბლოკი, სოფლად მოწყობილი კულაკური ტერორი კლასობრივი მტრების მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გამკაცრებას გვაიძულებს. სოციალისტური აღმშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები აიძულებენ პროლეტარიატს, დაძაბოს მთელი თავისი ძალა, რათა წარმატებით განამტკიცოს და განავითაროს სოციალისტური აღმშენებლობა. ეს კი, თავის მხრივ, მაქსიმალური ხარისხით მოითხოვს სასამართლო აპარატის გამოყენებას მშრომელთა საზოგადოებრივი თვითდისციპლინის ამაღლებისათვის, რათა აღმოიფხვრას მათ გარემოში შემორჩენილი ის ტრადიციები და უნარ-ჩვევები, რომლებიც აღიქმება როგორც კაპიტალისტური ურთიერთობების მემკვიდრეობა. აღნიშნულის შესაბამისად, რეპრესიულ ღონისძიებათა და თვით „დამნაშავეთა“ კატეგორიების კლასობრივი დიფერენცირების საწყისზე უნდა აიგოს ამჟამინდელი პერიოდის სისხლის სამართლის კოდექსი. თუმცა ეს უკანასკნელი სულაც არ გულისხმობს დანაშაულის სახეების მექანიკურ დაყოფას. კოდექსი იმგვარად უნდა აიგოს, რომ, გარდა რეპრესიის ორი მკვეთრი ხაზის გატარებისა, ყოველი ცალკეული შემ-

---

1961, 667 с.; Теория права и государства Канта, Философия Канта и современность, М., 1974 [მთარგმნელი].

1 **ილია ტრაინინი** (1886/1887-1949) – საბჭოთა იურისტი და საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი (1935), იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), კომუნისტური პარტიის წევრი 1904 წლიდან. 1911-1917 წლებში პარიზის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი იყო [მთარგმნელი].

2 **ლაზარ რუბინშტეინი** (1903-1938) – პარტიული ფუნქციონერი, ჟურნალისტი. 1929-1921 წწ.-ში კომკავშირის თათარსტანის საოლქო კომიტეტის მდივანი; შემდგომში, მოსკოვში, სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ, მუშაობდა სკკპ (ბ)-ის თათარსტანის საოლქო კომიტეტში, საიდანაც წარგზავნეს ქ. სამარაში (კუიბიშევში). დანაშაულთა მთელი რიგის ჩადენაში, გაყალბებული ბრალდების საფუძველზე, სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, 1938 წლის 11 მაისს ის დახვრიტეს ქ. კუიბიშევში. რეაბილიტირებულია 1957 წლის 08 ივნისს, სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს მიერ [მთარგმნელი].

თხვევის განხილვისას ის პროლეტარ-მოსამართლეებს მაქსიმალური მოქნილობის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს, რეპრესიის კონკრეტული ღონისძიების მისადაგების თვალსაზრისით, დანაშაულის ჩადენის კონკრეტულ ადგილთან, დროსთან, დანაშაულის არსსა და სამართალდამრღვევის კლასობრივ კუთვნილებასთან მიმართებით. ამასთანავე, კოდექსი უნდა აიგოს დამნაშავისა და დანაშაულის მიმართ, ბურჟუაზიულ-სამართლებრივი ფორმისათვის ტიპური ფორმალური მიდგომებისადმი უარის თქმის საფუძველზე, აგრეთვე, მან უარი უნდა თქვას ყოველივე ისეთზე, რაც ხელს დაუბორკავს პროლეტარიატს კლასობრივ ბრძოლაში, რაც ხელს უშლის მას, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, მოიძიოს ბრძოლის შესაბამისი, ყველაზე მიზანშეწონილი ღონისძიებები.

6. იმ პროექტად, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ყრილობა კომუნისტურ აკადემიასთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექციის მიერ შემუშავებულ სისხლის სამართლის კოდექსს აღიარებს. დანაშაულისა და რეპრესიული ღონისძიებების მიმართ მსგავსი მკვეთრად კლასობრივი, დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე შექმნილი პროექტი საკმარისად მოქნილია (მე-8, მე-9, მე-13, მე-14 მუხლები), რათა თავიდან ავირიდოთ ამ ორი კლასობრივად დიფერენცირებული მეთოდის პრიმიტიულად გამარტივებული გამოყენება. დანაშაულის ორივე კატეგორიის სავარაუდო ხასიათის ჩამონათვალის საფუძველზე შექმნილი პროექტი არ ცნობს ბურჟუაზიული სამართლის ფორმალურ მიდგომას დანაშაულისა და დამნაშავის მიმართ, რაც, საკმაო ხარისხით, კიდევ უფრო მკვეთრად გამოიხატა მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში.

პროექტი, ასევე, მართებულად წყვეტს საკითხს დამაშინებელი ან მადისციპლინირებელი ზემოქმედების აღრიცხვის შესახებ, რომელიც სასამართლო განაჩენს შეუძლია მოგვცეს, რითაც მოსამართლეს აკისრებს მოვალეობას, ყოველ ჯერზე, ასეთი ზემოქმედების მიზნით, გადაწყვიტოს საკითხი რეპრესიული ღონისძიებების გამკაცრებასთან დაკავშირებით. ბურჟუაზიისათვის საგანგებო კანონის შექმნის შესახებ, რუბინშტეინის ნახევრად ტორცკისტული წინადადების უარყოფით პროექტი ინარჩუნებს სასამართლო პროცესის გამოყენების შესაძლებლობას კლასობრივ მტერთან საბრძოლველად მშრომელთან მობილიზების მიზნით. დაბოლოს, იმ რეპრესიული ღონისძიებების შერჩევაც კი, რომლებიც მიზანშეწონილობის პრინციპზეა აგებული, მნიშვნელოვან ხარისხში იძლევა შესაძლებლობას, ამჟამად დაძლიოს ბურჟუაზიული სამართლებრივი ფორმა – „შურისძიება-მინიჭება“, რომელიც, ასევე, პოვებს თავის ასახვას ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში, მოქმედი კოდექსის მიხედვით.

7. ყრილობა ხაზს უსვამს კომუნისტური აკადემიის პროექტით ე.წ. დოზირების შესახებ დავის გადაწყვეტის მართებულობას. სამოქალაქო ომის პირობებში პროლეტარიატმა უკუაგდო სამეფო სისხლის სამართლის სჯულდების ძველი ფორმები, რომლებიც მთლიანად განმსჭვალულია მტრული კლასობრივი შინაარსით, და რევოლუციური ტაქტიკის საფუძველზე მოიძია კლასობრივ მტერთან ბრძოლის ყველაზე მიზანშეწონილი ხერხები (სამოქალაქო ომის დასრულებამდე ბანაკში გამოკეტვის თაობაზე განაჩენები, და სხვ.). აღნიშნული ეპოქის სასამართლოები, რევოლუციური მართლშეგნებისა და რევოლუციური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მიუხედავად ამისა, პრაქტიკულ საქმიანობაში ეკვივალენტური ზემოქმედების პრინციპითაც ხელმძღვანელობდნენ, ვინაიდან, იმ პერიოდის ეკონომიკის პირობებში მის დასაძლევად ჯერ კიდევ არ შექმნილა შესაბამისი ობიექტური პირობები, თუმცა ამისათვის ძირითადი წინაპირობები ოქტომბრის რევოლუციის მიერ უკვე იყო მოცემული.

8. სხვაგვარად იდგა იგივე საკითხი სისხლის სამართლის ფორმისა და შინაარსის შესახებ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის [პირობებში]. საქონელბრუნვის განვითარებამ ახალი ნიადაგი მოგვცა ბურჟუაზიული ფორმის აღნიშნული ელემენტების განმტკიცებისათვის. აღნიშნულ პირობებში მით უმეტეს არ შეიძლებოდა მისი დაძლევის თაობაზე პრობლემის წამოყენება. სამართლის ბურჟუაზიული ფორმის ამ ელემენტების დაშვება ბურჟუაზიულმა იურისტებმა პროლეტარულ სახელმწიფოში, დაუყოვნებლივ, ბურჟუაზიული სამართლის რეცეფციად გამოაცხადეს. თუმცა აღნიშნული ბურჟუაზიული ნორმების მსგავსი უსტრიალოვისეული[1] განმარტება,

---

[1] **ნიკოლოზ უსტრიალოვი** (1890-1937) – რუსი სამართალმცოდნე, ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე; იწოდება რუსული ნაციონალ-ბოლშევიზმის ფუძემდებლად, „სმენოვეხოვსტვოს“ იდეოლოგად. 1908 წელს ნ. უსრტიალოვი ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1913 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი I ხარისხის დიპლომით და დაიცვა სადიპლომო თხზულება თემაზე: „სამართლის თეორია, როგორც ეთიკური მინიმუმი“. ვიშესლავცევისა და ტრუბეცკოის რეკომენდაციით, უსტრიალოვი დატოვეს სამართლის ფილოსოფიის, ენციკლოპედიისა და ისტორიის კათედრაზე, პროფესორის წოდებისთვის მოსამზადებლად. მომდევნო წლის გაზაფხულზე ის ლექციებს ისმენდა სორბონისა და მარბურგის უნივერსიტეტებში. 1915-1916 წწ.-ში მან ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და, ორი საცდელი სალექციო კურსის – „პლატონის პოლიტიკური მოძღვრება“ და „თვითმპყრობელობის იდეა სლავიანოფილებთან“ – წაკითხვის შემდეგ უსტრიალოვს მიენიჭა მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის წოდება. იმავდროულად, ის გახდა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ემიგრაციაში ყოფნის დროს უსტრიალოვი ასწავლიდა ხარბინის იურიდიულ ფაკულტეტზე, მისი არსებობის პირველ წლებში და კითხულობდა საერთაშორისო სამართლის სალექციო კურსს. ხარბინში ცხოვრების პერიოდში ის აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა, წერდა ჟურნალების, გაზეთებისა და კრებუ-

ისევე, როგორც თვით რევოლუციური კანონიერების არსისა, გაბატონებული იყო არა მხოლოდ ბურჟუაზიული პროფესურის ფენებში, არამედ აისახა კომუნისტების გარკვეულ ნაწილში.

ყრილობა მკაცრად სჯის რევოლუციური კანონიერების იდეისა და სისხლის სამართლის 1922 წლის კოდექსის სამართლებრივი ფორმის არსის ასეთ განმარტებას, როგორც რევოლუციური კანონიერების იდეის პირდაპირ შერყვნას, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის რელსებზე პირდაპირ ჩამოჩოჩებას და ბურჟუაზიული იდეების ჩვენს რიგებში გათრევას.

ყრილობა მიუთითებს, რომ აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა სამართალი, არსებითად, პროლეტარიატის კლასობრივ სამართლად რჩებოდა და, რომ თვით ამ ბურჟუაზიული ფორმის გამოყენება, რაც ამ პერიოდის ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით იყო განპირობებული, იმავე მიზნით პროლეტარიატის დიქტატურის იარაღად მოგვევლინა, ძველი საზოგადოებისა და თანაცხოვრების ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური ფორმების გადასხვაფერების ბრძოლისათვის.

9. რეკონსტრუქციული პერიოდი, გარდამავალი პერიოდის სისხლის სამართლის იურიდიული ფორმის შესახებ ქმნის საკითხის ახლებურად წამოყენების ეკონომიკურ წინაპირობებს. მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთის მისჯის აშკარა ირაციონალობამ – დოზირების პრინციპით, პრაქტიკულად დააყენა საკითხი, მცირე ვადით თავისუფლების აღკვეთის გაუქმების შესახებ და, თვით თავისუფლების აღკვეთის პრინციპისა, – წმინდა სახით, როგორც რეპრესიული ღონისძიების [ნაირსახეობისა]. შემდეგ საკავშირო კანონით გატარდა მკაცრი გამიჯვნა – მართალია, გარეგანი, ფორმალური ნიშნით – ორი რეჟიმი სამ წლამდე ვადით მსჯავრდებულთათვის, თანაც, იდეაში

ლებისთვის; გამოსცა წიგნი „რუსეთისთვის ბრძოლაში“. ის გახლდათ „სმენოვეხოვური მიმართულების“ ფუძემდებელი. უსტრიალოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა მოსკოვისათვის. 1925 წელს საბჭოთა პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილებოდა მისი წიგნი – „რევოლუციის ნიშნის ქვეშ“, – რომლის გამოცემაც აიკრძალა სსრკ-ში. 1934 წლის 1 ივლისს უსტრიალოვმა დატოვა ხარბინის იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო 1935 წელს, იაპონიისათვის ჩინეთის აღმოსავლური რკინიგზის (КВЖД) მიყიდვის შემდეგ, ის დაბრუნდა სსრკ-ში, მანამდე კი საკუთარი არქივი გადააგზავნა აშშ-ში. 1935-1937 წწ.-ში მუშაობდა მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში ეკონომიკის პროფესორის თანამდებობაზე; მცირე დროით კი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1937 წლის 6 ივნისს უსტრიალოვი დააპატიმრეს, ხოლო 1937 წლის 14 სექტემბერს სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ის გაასამართლა „შპიონაჟის, კონტრრევოლუციური საქმიანობისა და ანტისაბჭოთა აგიტაციის“ დანაშაულისათვის და იმავე დღეს დახვრიტეს. 1989 წლის 20 სექტემბრიდან ნ. უსტრიალოვი – გამოჩენილი მეცნიერი-სამართალმცოდნე და სტუდენტების ფავორიტი პროფესორი – რეაბილიტირებულია [მთარგმნელი].

ივარაუდებოდა, რომ პირველ კატეგორიაში ხვდებოდა მხოლოდ შრომითი ან დეკლასირებული ელემენტები (რეციდივისტები), ხოლო მეორე კატეგორიაში – მხოლოდ მშრომელთა გარემოდან [გამოსული] დამნაშავეები. ასევე, სახელმძღვანელოდ აღიარეს პატიმართა შრომის რაციონალურად გამოყენების პრინციპი; შეინარჩუნეს და არც კი დაექვემდებარა კრიტიკას დოზირების პრინციპი.

10. მრეწველობაში საზოგადოებრივი სექტორის სახელმძღვანელო როლი, კოოპერაციის, როგორც განაწილების ორგანოს, ზრდამ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ზრდამ, სოფლის მეურნეობაში, ინდივიდუალური სექტორის მნიშვნელობის პროგრესირებად დაცემასთან ერთად, და დაგეგმარების ზრდამ მთელ სახალხო მეურნეობასა და სამეურნეო მშენებლობაში, შექმნა პირობები, რათა სინამდვილეში დამდგარიყო საკითხი სისხლის სამართლის რეპრესიაში ეკვივალენტურობის თეორიის დაძლევისა და რეპრესიის შემოღების მიზანშეწონილობის პრინციპის – როგორც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო პრინციპის – შესახებ. თუმცა კოდექსი ინარჩუნებს დოზირებას წვრილმანი საყოფაცხოვრებო სამართალდარღვევებისათვის, ექვს თვემდე ვადით იძულებითი სამუშაოების, ჯარიმებისა და გადასახლების შეფარდების დროს, რაც გამომდინარეობდა სასამართლოსათვის უფრო უკეთესი პირობების მინიჭების შესაძლებლობიდან, რათა მას, ცალკეულ შემთხვევაში, მოეძია ყველაზე მიზანშეწონილი ღონისძიება. აღნიშნულ ფაზაზე გადახტომის სურვილს მანამ, ვიდრე არსებობს წვრილი სასაქონლო მეურნეობა, და ამ ფარგლებში დოზირების გაუქმებას ყრილობა „მემარცხენე“ „უკლონად“ მიიჩნევს.

11. ყრილობა განსაკუთრებულად უსვამს ხაზს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ მემარჯვენე ოპორტუნისტული წინადადებების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას, რომელიც მკვეთრად გამოვლინდა სალიტერატურო სტატიებსა და ყრილობაზე ამხანაგი ვინოკუროვის გამოსვლებში.

საბჭოეთში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების არსის შეუცნობლობის გამო ის მკვეთრად იცავდა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსს, უწინდელ სამართლებრივ ფორმასა და დოზირების პრინციპს. და, ამავე დროს, სამართლის ბურჟუაზიული ფორმის აღნიშნული ელემენტების გარდამავალი პერიოდის სამართლებრივ ფორმად გამოცხადებით, ზოგადად, მას არც ის ესმის, რომ გარდამავალი პერიოდის სამართალი, თავისი განვითარებით, უნდა წარმოადგენდეს აღნიშნული ბურჟუაზიული ელემენტების დაძლევის პროცესს, არც ის, რომ სამართლის დრომოჭმული ფორმების დაცვით ის უკან მიგვათრევს, უკვე წარსულ პერიოდში.

ყრილობა საგანგებოდ უსვამს ხაზს სისხლის სამართლის საკითხებზე ამხანაგი ვინოკუროვის თეზისების ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ ხასი-

ათს, რომელიც, თავის არგუმენტებში იქამდეც კი მივიდა, რომ საბჭოთა სამართალში ბრალისა და შურისძიების კლასიკური სკოლის ძირითადი პრინციპების აღდგენის ქადაგებას მიჰყო ხელი, და, მაშასადამე, მისი აღნიშნული მოწოდებების ანტიმარქსისტული, იდეალისტური ხასიათი, რომლებსაც, არსებითად, სისხლის სამართლის ჩვენი თეორიის [სფეროში] მივყავართ ისეთი კატეგორიების აღდგენისაკენ, როგორიც არის ნების თავისუფლება და სხვ. მისი აღნიშნული მოწოდებანი სისხლის სამართლის თეორიაში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს.

12. ამავე საფუძვლებით, ყრილობა უარყოფს, თვით მასალის სახითაც კი, შირვინდტის მიერ შემუშავებულ პროექტს. ყრილობას შეუძლებლად მიაჩნია აღნიშნული პროექტისათვის სხვაგვარი დახასიათების მიცემა, გარდა პროლეტარიატის განმაიარაღებლისა და კლასობრივი მტრის შემაიარაღებლისა. აღნიშნული პრაქტიკული შემოთავაზებების დაწვრილებითი ანალიზი და მათი დახასიათება ამხანაგი კრილენკოს[1] თეზისებშია მოცემული და მათ

---

[1] **ნიკოლოზ კრილენკო** (1885-1938) (პარტიული მეტსახელი – აბრაამი) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული ფუნქციონერი, 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რუსული არმიის უმაღლესი მთავარსარდალი, სსრკ-ის ცაკ-ის 1-4 მოწვევის წევრობის კანდიდატი, 1927-1934 წწ.-ში – სსრკ-ის ცაკ-ის წევრი და მასობრივი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1895 წელს ჩაირიცხა ქ. ლუბლინის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1903 წელს დაამთავრა და იმავე წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ შეკრებებსა და ქუჩის გამოსვლებში. კრილენკო 1904 წლიდან რკპ(ბ)-ის წევრია, 1918 წლის მარტიდან – რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, იმავე წლის მაისის თვიდან – რევოლუციური (უზენაესი) სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, 1922-1929 წწ.-ში იკავებდა რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილისა და რსფსრ-ის პროკურორის უფროსი თანაშემწის მოვალეობას. თავის ნაშრომში – „საუბრები სამართალსა და სახელმწიფოზე“ (მოსკოვი, 1924), – სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იძულებას ის აიგივებდა ექსპლუატაციასთან და ამის საფუძველზე ასკვნიდა, რომ საბჭოთა სამართალი, ისევე, როგორც ბურჟუაზიული სამართალი, არის ექსპლუატატორული, სწორედ აქედან გამომდინარეობს სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანა – საბჭოთა სახელმწიფოს სამართლებრივი ფორმის გაუქმება. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის განყოფილების პროფესორი (1922-1925), და ამავე უნივერსიტეტის საბჭოთა სამართლის ფაკულტეტის პროფესორი (1925-1929), 1929-1931 წწ.-ში იკავებდა რსფსრ-ის პროკურორის, ხოლო 1931 წლის მაისიდან 1936 წლამდე რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისრის თანამდებობას, 1936 წლის 20 ივლისიდან 1938 წლის 15 იანვრამდე იყო სსრკ-ის იუსტიციის სახალხო კომისარი. 1934 წელს მიენიჭა სახელმწიფო და სამართლებრივ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სსრკ-ის იუსტიციის ორგანოთა სისტემაში გავლენის მოსაპოვებლად აქტიურად ებრძოდა ვიშინსკისა და ვინოკუროვის ჯგუფს და ამ ბრძოლაში სასტიკი მარცხი განიცადა, რის შედეგად კრილენკო და მისი ჯგუფის წევრები სიკვდილით დასაჯეს. 1938 წელს

დახასიათებას სრულად უერთდება ყრილობა. ყრილობაზევე გაკიცხეს შირვინდტისეული პროექტი მთლიანობაში და მისი დაცვა განიხილება როგორც მტრულ კლასობრივ პოზიციებზე გადასვლის [მცდელობა].

13. კლასობრივი ბრძოლის დღევანდელ გამწვავებულ პერიოდში პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებისა და თეორიული სფეროს ყველა ფრონტზე ყრილობას აუცილებლობად მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური ძალის სრული მობილიზაცია, რათა საგარეო ფრონტზე იბრძოლოს ყველა ანტიმარქსისტული დაჯგუფების, როგორც ღიადბურჟუაზიული ხასიათის, ასევე, მარქსისტული ფრაზეოლოგიით შეფარულის წინააღმდეგ და კომუნისტთა წრეებში სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ოპორტუნისტული ხასიათის ყოველგვარი შერყვნისა და [მისგან] გადახრის წინააღმდეგ, რომელთა შეფასება მოცემულია წინამდებარე რეზოლუციაში.

სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე კრილენკო ფორმალურად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ძალზე დიდ დროს უთმობდა ალპინიზმს. სსრკ-ის შინსახკომისარ ეჟოვის ბრძანებით, 1938 წლის 31 იანვარს კრილენკო დააპატიმრეს და ბრალად შეერაცხა ანტისაბჭოთა მემარჯვენე ორგანიზაციებთან კავშირი, რომელსაც, თითქოსდა ხელმძღვანელობდა ნ. ბუხარინი; რომ მან იუსტიციის ორგანოებში ჩამოაყალიბა მავნებლური ორგანიზაცია და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა; რომ ამ ორგანიზაციაში, პირადად, გადაიბირა 30 ადამიანი. ნ. კრილენკო, 1938 წლის 29 ივლისს, სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენის საფუძველზე, პოლიგონ „კომუნარკაზე“ პირადად დახვრიტა ულრიხმა. 1956 წლიდან რეაბილიტირებულია [მთარგმნელი].

სამართლის ზოგადი თეორია 1929–1931 წლებში: განვითარება, დისკუსიები, კონსოლიდაცია*

პროფესორი ანდრის პლოტნიეკსი

საბჭოთა იურიდიული მეცნიერების და, კერძოდ, სამართლის ზოგადი თეორიის მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში პირდაპირ გამომდინარეობდნენ კომუნისტური პარტიის მიერ, მეცნიერების შესაძლებლობების ყოველმხრივი გამოყენებით, სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის [მიზნით] დასახული კურსიდან.[1] სოციალიზმის პირობებში სამართლის ზოგადი თეორიის სფეროში ძირითადი ძალები თავმოყრილი იყო სამართლის პრობლემატიკისა და სოციალისტური კანონიერების პრობლემების შემუშავებაზე.

კომუნისტურმა პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა მოაწყო ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის, პარტიის [შიგნით] მემარჯვენე და მემარცხენე „უკლონების“ გამოვლინებასთან. მემარჯვენე „უკლონთან“ გამძაფრებული პოლიტიკური ბრძოლა აღნიშნული უკლონის თეორიული დებულებების მეცნიერული უვარგისობის გამოაშკარავების აუცილებლობას კარნახობდა და, იმისათვის, რომ აღკვეთილიყო საზოგადოებრივ მეცნიერებებში მემარჯვენე ოპორტუნისტთა სამართლებრივი იდეების შემდგომი შეღწევა, კრიტიკულად [უნდა] გადაეხედა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მდგომარეობისათვის. სკპ(ბ)-ს ცკ-ის სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობის 1928 წლის გეგმიდან გამომდინარე, აღნიშნული განყოფილება არის ფილოსოფიის, პოლიტეკონომიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების პრობლემებზე თეორიული დისკუსიის ორგანიზატორი.[2] ოციანი წლების ბოლოს და ოცდაათიანი წლების დასაწყისში გაცხოველებული დისკუსიები იმართებოდა, რომლებმაც „განსაზღვრეს ეკონომიკური და ფილოსოფიური აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ისინი დაეხმარნენ მეცნიერებს მარქსიტულ პოზიციებზე გაერთიანებულიყვნენ, აღმოეფხვრათ მთელი რიგი შემოქმედებითი კოლექტივებისა, ცალკეული მკვლევრების თეორიულ

---

* პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე კრებულში – Социалистическая революция и правовая идеология, республиканский межвузовский сборник научных трудов, под общей редакцией В.О. Миллер, Рига, 1977, 3-33. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

1 „Известия ЦК ВКП (б)“, №28, 1929, с. 22; „Партийное строительство“, №7, 1931, с. 67.

2 ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 74, д. 65, л. 1.

საქმიანობასა და საბჭოთა აღმშენებლობის პრაქტიკას შორის წარმოქმნილი განხეთქილება“.[1]

ფილოსოფიური დისკუსია დასრულდა 1931 წლის 25 იანვარს სკპ (ბ) ცკ-ის მიერ მიღებული დადგენილებით ჟურნალის – „მარქსიზმის ალმის ქვეშ“ – შესახებ. დადგენილებაში უმნიშვნელოვანესი ამოცანების სახით ნახსენები იყო: „ლენინის მიერ მისთვის დასახული პროგრამის ნამდვილი შესრულება, დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარების ლენინური ეტაპის შემუშავება, ფილოსოფიაში, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ყოველგვარი ანტიმარქსისტული და, მაშასადამე, ანტილენინური დებულებების დაუნდობელი კრიტიკა, მიუხედავად მათი შენიღბვისა. ჟურნალმა უნდა შეიმუშაოს მარქსისტული დიალექტიკის თეორია, ისტორიული მატერიალიზმის საკითხები სოციალისტურ აღმშენებლობასა და მსოფლიო რევოლუციის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში“.[2] ფილოსოფიური დისკუსიის შედეგი მეცნიერების სამომავლო განვითარების კუთხით იყო შემდეგი დებულებების დადგენა: ჯერ ერთი, უმნიშვნელოვანეს თეორიულ ამოცანად – მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში ლენინური ეპატის შემუშავების აღიარება; მეორე – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სიმძიმის ცენტრის ისეთი ამოცანების გადაწყვეტაზე გადატანა, რომლებიც სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკიდან გამომდინარეობენ; მესამე – კონკრეტული ცოდნისაკენ შემობრუნება, ანუ, ფილოსოფიური განზოგადების დროს სხვა მეცნიერებების ფაქტობრივი მასალის გამოყენების აუცილებლობის აღიარება; მეოთხე – მარქსისტული ფილოსოფიის პარტიულობის მნიშვნელობის გამოკვეთა.[3] ზემოჩამოთვლილი დებულებანი, ერთად აღებული, გამოხატავენ ოციანი წლების ბოლოს – ოცდაათიანი წლების დასაწყისში განხორციელებულ საზოგადოებრივ მეცნიერებებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემობრუნების არსს. იურიდიულ მეცნიერებათა სფეროში ასეთი შემობრუნების აუცილებლობა დაისახა საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტის 1929 წლის 29 მაისის პლენარულ სხდომაზე, სადაც სამართლის თეორეტიკოსების მისამართით გაიჟღერა საყვედურმა პრაქტიკისაგან მოწყვეტის გამო.[4] სამართლის ზოგადი თეორიის სფეროში განვითარებული შემდგომი მოვლენები, მიზეზთა მთელი რიგის გამო, სხვა მეცნიერებებში უკვე დასრულებული ან სრული სვლით მიმდინარე დისკუსიებთან შედარებით, გარკვეული სპეციფიკით გამოირჩეოდნენ.

---

1 История КПСС, т. 4, кн. 2, М., 1971, с. 92.

2 Под знаменем марксизма, №10-12, 1931, 2.

3 Митин М., Очередные задачи работы на философском фронте в связи с итогами дискуссии, „Под знаменем марксизма“, №3, 1931, 18, 24, 26, 33.

4 ААН СССР, ф. 350, оп. 1, д. 77, л. 12, 27.

აღნიშნულ სფეროში ძალთა პირველი განლაგება ისეთი იყო, რომ მეცნიერებაში [არსებული] ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის ნარჩენი მოვლენები არა მხოლოდ და არა იმდენად მარქსისტი-მეცნიერების თეორიულ შეცდომებში, რამდენადაც ძველი წყობიდან მემკვიდრეობით მიღებული, „საქმეში მყოფი“ პროფესურის პრაქტიკულ საქმიანობაში ვლინდებოდა.[1]

სამართლის ზოგადი თეორიის სფეროში ოციანი წლების მეორე ნახევარში საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი იყო სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის სექცია. სექცია აერთიანებდა ავტორიტეტულ მარქსისტ-მეცნიერებს და იყო საყოველთაოდ აღიარებული, იდეური ხელმძღვანელი სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, მისი ჟურნალი კი – „[საბჭოთა სახელმწიფო და] სამართლის რევოლუცია“ – ქვეყანაში წამყვანი იურიდიული ჟურნალი.

ადგილებზე, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, უმთავრეს როლს ასრულებდნენ ძველი სამეცნიერო კადრები.[2] ამიტომ მარ-

---

[1] ფილოსოფიის მეცნიერების სფეროში ფილოსოფიური დისკუსიის წინა პერიოდში შემდეგი ვითარება შეიქმნა: ცენტრსა და ადგილებზე გვყავდა მარქსისტულად მომზადებული კადრები, თუმცა არსებობდა კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის გარკვეული მოწყვეტა სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისაგან. ინსტიტუტში თავმოყრილი გამოჩენილი ფილოსოფოსები, ა.მ. დებორინის ხელმძღვანელობით, ბევრ საკითხზე აშკარად არასწორ მითითებებს იძლეოდნენ, კერძოდ, მათ გადაჭარბებულად შეაფასეს ჰეგელისტური დიალექტიკის, პლეხანოვის ნაშრომების მნიშვნელობა და აშკარად ვერ დააფასეს ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობა (Чагин Б. А., Очерк истории социологической мысли в СССР (1917-1969), Л., 1971, 156-163).

[2] აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1928 წელს სამართლის ზოგადი თეორია ისწავლებოდა ნ. ნ. კორკუნოვის სახელმძღვანელოთი (АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 87, л. 10). ვ.ს. უნდრევიჩი სტატიაში – „საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის უმაღლესი სასწავლებლები“ – ქალაქების მთელი რიგის ჩამონათვალს იძლევა, რომელთა უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ 1930 წელს სტუდენტების მომზადება, ძირითადად, ბურჟუაზიული პროფესურის ხელში იყო, მათ შორის: ირკუტსკში, ყაზანში, სარატოვში, კიევში, მინსკში, ბაქოში, ტაშკენტში („Известия“, 24 октября, 1930). ჯერ კიდევ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის კადრების მომზადების შესახებ მეორე საკავშირო თათბირის დროისათვის, 1931 წლის იანვარში, ბურჟუაზიული პროფესორების ბატონობა შენარჩუნებული იყო საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში. თათბირზე გამოსული ლენინგრადის, ყაზანის, უკრაინის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის წარმომადგენლები მიუთითებდნენ ძველი პროფესურისაგან საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების პედაგოგიური შემადგენლობის გაწმენდის თაობაზე. ბევრ ადგილას, მარქსისტულად მომზადებული კადრების არარსებობის გამო, საერთოდაც მოუხდათ მეცადინეობების გაუქმება ან პედაგოგიურ საქმიანობაში უფროსკურსელი სტუდენტების ჩართვა (АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 161, л. 69, 79, 87, 104, 334-335, 348, 373, 384).

ქსისტი-ლენინელი მეცნიერები თავის უპირველეს ამოცანად, მთელი ქვეყნის მასშტაბით პრინციპულად მარქსისტულ-ლენინურ პლატფორმაზე მეცნიერ-იურისტების გაერთიანებას თვლიდნენ. ასეთი გაერთიანების ინიციატორად გამოვიდა კომუნისტური აკადემიის სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის სექცია. სექციის ბიუროს 1929 წლის 1 მარტის სხდომაზე მიზანშეუწონლად მიიჩნიეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საბჭოთა სამართლის მოღვაწეთა საზოგადოების არსებობა, რომელიც აერთიანებდა არა მხოლოდ არამარქსისტულ, არამედ ანტიმარქსისტულ ძალებსაც კი, და გადაწყდა სექციის შიგნით საბჭოთა სამართალში მოღვაწე მარქსისტების საზოგადოების შექმნა. უკვე ივლისის თვისთვის მომზადდა საზოგადოების წესდების პროექტი, თუმცა საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტთან საზოგადოების შერწყმის შემდეგ საორგანიზაციო საქმიანობა დროებით შეჩერდა. სამართლისა და საბჭოთა აღმშენებლობის გაერთიანებული ინსტიტუტის შექმნის შემდეგ აღნიშნული მიმართულებით ძალისხმევა დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი. ამ კუთხით დასახული ამოცანების შესახებ ამომწურავ წარმოდგენას იძლევა სასი-ის [ИПСС – საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი – რედ.] წერილი, რომელიც სწავლული მდივნის, ი. ლ. ბერმანის ხელმოწერით 1929 წლის 5 დეკემბერს სკპ (ბ) ცკ-ში გაიგზავნა. მასში [იგულისხმება წერილი – მთარგმნელი] საზოგადოების შექმნა შეფასებულია როგორც სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის იდეური პოზიციების განმტკიცების საშუალება, ვინაიდან ეს „საშუალებას იძლევა, სსაი-ის ირგვლივ გავაერთიანოთ ყველა ის მუშაკი, რომლებიც ინსტიტუტის პლატფორმაზე დგება, გავავრცელოთ ინსტიტუტის გავლენა მუშაკთა ძირითად კადრებზე ... საზოგადოებაში მათი მუშაობის ხელმძღვანელობით“. ყველა მეცნიერის – ჭეშმარიტი მარქსისტი-ლენინელის გაერთიანების სხვა საშუალებად წერილში ნახსენებია კონფერენციის მოწვევა სამართლის, სახელმწიფოსა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების ირგვლივ.[1]

1930 წლის 23 მარტს სასი-ის ბიუროს სხდომაზე შეიქმნა საზოგადოების დამფუძნებელი კრების მომწვევი საორგანიზაციო კომისია, რომელსაც სათავეში მ.ე. კლიმოვი ჩაუდგა. აღნიშნული კომისიის შექმნის ფაქტს გვამცნობდა მ.ე. კლიმოვის სტატია – „მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოება“, რომელიც ჟურნალის – „საბჭოთა სახელმწიფო და სამართლის რევოლუცია“ – აპრილის ნომერში დაიბეჭდა. მეცნიერ-იურისტების წინაშე მდგარი იმ ამოცანების მოკლე დახასიათების შემდეგ, რომელთა შესრულება ახალ საორგანიზაციო ფორმებს მოითხოვს, ავტორმა განმარტა, რომ ახალ-

[1] АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 78, л. 23; д. 87, л. 7.

შექმნილი საზოგადოების მარქსისტულ-ლენინური თეორიული პლატფორმა წარმოადგენს „სამართლის, სახელმწიფოსა და საბჭოთა აღმშენებლობის მატერიალისტურ, რევოლუციურ-დიალექტიკურსა და კლასობრივ შეცნობას; დიქტატურის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამო, იურიდიული მსოფლმხედველობის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას და სამართლის, სახელმწიფოსა და საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში ნებისმიერი დამახინჯების მცდელობის გამოაშკარავებას“.[1]

16 მაისს შედგა მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც ესწრებოდნენ რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. კრებაზე მიიღეს მიმართვა – „საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის სფეროს ყველა მუშაკთათვის“ და აირჩიეს საზოგადოების საორგანიზაციო ბიურო.[2] მიმართვაში ჩამოყალიბებულ იქნა საზოგადოების პირველი რიგის ამოცანები: ჯერ ერთი, პარტიის გენერალური ხაზის საწინააღმდეგო ნებისმიერი სახის „უკლონისტების“ მიმართ გადამწყვეტი ბრძოლის [გამოცხადება]; მეორე, საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ყველაზე აქტუალური პრობლემატიკის თეორიული დამუშავება; მესამე, იურიდიული მსოფლმხედველობის ყოველგვარი ფორმის სახელმწიფოსა და სამართლის ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ ბრძოლა.[3]

საზოგადოების გამგეობის პირველ სხდომაზე შეიქმნა სექციები: საბჭოთა აღმშენებლობის, საბჭოთა სამართლის, აგიტაციისა და პროპაგანდის, საერთაშორისო სამართლისა და მეთოდურ-პედაგოგიური.

სამართლის ზოგადი თეორიის სფეროში განხორციელებული მეორე დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ კომუნისტური აკადემიის კედლებში შეიქმნა სამართლის ორი დამოუკიდებელი კონცეფცია: პ.ი. სტუჩკასი და ე.ბ. პაშუკანისისა. ორივე კონცეფცია, – თავდაპირველად მსგავსი, დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენებით, სამართლებრივი ურთიერთობებისა და მათ მიერ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებით, როგორც ფორმისა და შინაარსის, სამართლებრივი ურთიერთობების, როგორც სამართლის სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილის აღიარებით, – სამართლის შესახებ არსებული შეხედულებების კრიტიკულად გადამუშავების ასპექტში შექმნის მომენტიდანვე საკუთარ თავში მომავალი აზრთა სხვაობის ჩანასახს ატარებდა. სამართლის შესახებ ზოგადი მოძღვრების შემუშავებისას პ.ი. სტუჩკასა და ე.ბ. პაშუკანისს განსხვავებულად წარმოედგინათ

---

1 „Советское государство и революция права“, №4, 1930, 125-126.

2 АИГПАН, ф. 1, оп. 1, д. 10, л. 6-7.

3 Ко всем работникам в области советского государства и права, „Советское государство и революция права“, №7, 1930, 186-188.

დიალექტიკური მეთოდის პრაქტიკული გამოყენება – სამართლის განპირობებულება ეკონომიკით, სამართლისა და სახელმწიფოს თანაფარდობა. სამართლის თეორეტიკოსების ორგანიზაციული გაერთიანებისათვის ერთიანი თეორიული ნიადაგი იყო საჭირო. სამართლის „გაცვლითი“ კონცეფცია, უცვლელი სახით, ასეთ ნიადაგად ვერ გამოდგებოდა. ოციანი წლების ბოლოს ნათელი გახდა, რომ მისი ძირითადი დებულებანი საბჭოთა სამართლის პრაქტიკასთან აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდნენ და, გარკვეულწილად, საბჭოთა სამართლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების თეორიულ დასაბუთებას ემსახურებოდნენ. არაფრის მომტანი აღმოჩნდა მცდელობაც, რომ [არსებული] წინააღმდეგობანი ორივე კონცეფციის ძირითადი დებულებების გაერთიანების გზით აღმოფხვრილიყო.[1] ამიტომაც, 1930 წელს სამართლის ზოგად თეორიაში დისკუსია დაიწყო ახალი მცდელობით, [რათა] სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის ბაზაზე შემუშავებულიყო ახალი გაუმჯობესებული კონცეფცია. ასეთ მცდელობას წარმოადგენდა ა.კ. სტალგევიჩის თეზისები – „სამართლის მარქსისტული თეორია“. 1930 წლის 30 მარტს ა.კ. სტალგევიჩი მოხსენებით გამოვიდა სასი-ის სამართლის ზოგადი თეორიისა და კონკრეტული სამართლის გაერთიანებული სექციის სხდომაზე თემით: „სამართლის ზოგადი თეორიის კურსის სისტემა და პრინციპები“. 13 აპრილს კომუნისტური აკადემიის სასი-ის ბიურომ მხედველობაში მიიღო რა უკვე არსებული აზრთა სხვაობა, მოიწონა მოხსენების თეზისების პუბლიკაცია, თუმცა ინსტიტუტის შტამპის გარეშე.[2]

ა.კ. სტალგევიჩის თეზისებში მოცემული იყო სამართლის მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ზოგადი შეფასება. პ.ი. სტუჩკას, ე.ბ. პაშუკანისის და სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის სექციის სხვა მუშაკების ნაშრომების რევოლუციური როლი ის იყო, რომ აღნიშნული შრომები აკონკრეტებდნენ მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას და ამის წყალობით, ა.კ. სტალგევიჩის აზრით, მათი მეშვეობით იწყებოდა ახალი მარქსისტული სამართლის მეცნიერების ჩამოყალიბება. მეორე მხრივ, ავტორის მიერ დანახულია კავშირი ნეოკანტიანურ ფილოსოფიას, ეკონომიკურ მეცნიერებაში ფორმალურ-ლოგიკურ კონსტრუქციებსა და იურიდიულ ნორმატივიზმს შორის, რომლითაც „ობიექტურად არსებული მართლწესრიგი თავისი რეალური შინაარსისაგან მოწყვეტილ, აბსტრაქტულ ნორმამდეა“ დაყვანილი;[3] გაკრიტიკებულია სამართლის ზოგად თეორიაში [არსებული]

---

[1] იხ. Резунов М. К., К вопросу о методе изучения права, „Советское право“, №3, 1928, с. 59; Стальгевич А. К., Пути развития советской правовой мысли, М., 1928, 65.

[2] АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 133, л. 41.

[3] Стальгевич А. К., Марксистская теория права, Система и принципы курса, тезисы, М., 1930, 7.

მემარჯვენე „უკლონის“ მეთოდოლოგიის (სოციალური ფუნქციის თეორია, იურიდიული კომპრომისის თეორია და სხვა) გამოვლინება.

ჩათვალა [რა], რომ იმ დროისათვის მომწიფდა სამართლის შესახებ არსებული შეხედულებების კრიტიკული გადამუშავების აუცილებლობა, ა. კ. სტალგევიჩმა ჩამოაყალიბა გადამუშავების საწყისი დებულებანი. ასეთებს მიეკუთვნებოდა: ჯერ ერთი, მარქსიზმის ყველა შემადგენელ ნაწილთან სამართლის ზოგადი თეორიის კავშირის აღიარება. „სამართლის ზოგადი თეორია, როგორც მეცნიერება, – წერდა ა. კ. სტალგევიჩი, – მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შეიძლება ავაგოთ: პოლიტიკური ეკონომიის, მარქსიზმის ისტორიისა და ფილოსოფიის“;[1] მეორეც, სამართლებრივი ურთიერთობების სამართლის ფორმის პირველად მომენტად და სამართლის შემეცნების საწყისად აღიარება; მესამეც, საბჭოთა სამართლის ახალ ისტორიულ ტიპად აღიარება.

ა.კ. სტალგევიჩი უარყოფდა რა მარქსისტულ-ლენინური სამართლის ზოგადი თეორიის ჩარჩოებში სკოლების არსებობის მიზანშეწონილებას [მან] მეცნიერების შემდგომი განვითარების ძალზე საჭირო ერთიანობის მიღწევა სამართლის ზოგად თეორიაში გაბატონებული ორივე მიმართულების გაერთიანების ახალი მცდელობის გზით განიზრახა. თეზისებში, ისევე როგორც მანამდე, წიგნში – „საბჭოთა სამართლებრივი აზრის განვითარების გზები“, – [ა.კ. სტალგევიჩს] სამართალი განმარტებული აქვს როგორც ფორმა, რომლის ფესვები სასაქონლო წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობებშია. საბჭოთა სამართლის ე.ბ. პაშუკანისეულ განმარტებაში, ჩვენი აზრით, პრევალირებს მემკვიდრეობითობის მომენტები. პ.ი. სტუჩკასთან კი, პირიქით, ყურადღების ცენტრშია საბჭოთა სამართლის ახალი ხარისხი და რევოლუციური როლი. ა.კ. სტალგევიჩი კონსტატირებდა ერთდროულად საბჭოთა სამართლის რევოლუციურ არსსა და რეაქციულ შესაძლებლობებს, რაც იმით არის განპირობებული, რომ სამართლის წყარო არის „კაპიტალიზმის შემქმნელი, სასაქონლო წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობები“. აქედან, მისი აზრით, გამომდინარეობს საბჭოთა სამართლის ორგვარი ბუნება, „როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების იმ ფორმისა, რომელსაც თავის შინაარსად წინააღმდეგობათა ერთიანობის სახით აქვს პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალისტური დაგეგმარება და სასაქონლო ბრუნვის ურთიერთობანი, რომლებიც, თავისი არსით, [არის] კლასობრივი უთანასწორობისა და ექსპლუატაციის ურთიერთობები...“.[2] ე.ბ. პაშუკანისთან სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთკავშირის პრობლემატიკა მეორე პლანზე ინაცვლებს; ის შემოი-

[1] Стальгевич А. К., Марксистская теория права, Система и принципы курса, тезисы, М., 1930, 8.

[2] Стальгевич А. К., Марксистская теория права, 36-37.

ფარგლა დასკვნით, რომ სახელმწიფო და სამართალი, ერთნაირად წარმოიშობა საბაზრო ურთიერთობებისაგან. ა.კ. სტალგევიჩი, რომელიც სახელმწიფოსა და სამართალს განმარტავდა როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემას, პ.ი. სტუჩკას კვალდაკვალ მათი ურთიერთობების დიალექტიკის შეცნობის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. „სახელმწიფო და სამართალი – ამტკიცებდა ა.კ. სტალგევიჩი – განსხვავებაა ერთიანობის შიგნით. სახელმწიფო არ არის სამართლის უშუალო წყარო, მიუხედავად იმისა, რომ მასთან დიალექტიკურ კავშირში ყოფნით გარკვეული პირობების არსებობისას მას შესწევს უნარი, გამოიწვიოს სამართლებრივი მოვლენები, აუცილებელი მდგრადობა მიანიჭოს როგორც ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე, სამართლის მთელ სისტემას, ხოლო რევოლუციური მსხვრევისა და ეკონომიკური ურთიერთობების რეკონსტრუქციის მომენტში მოახდინოს სამართლის ფორმის მსხვრევა და გარდაქმნა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სამართლებრივი ურთიერთობების ხარისხი განისაზღვრება როგორც სასაქონლო ბრუნვის ურთიერთობებით, ასევე, გარკვეულწილად, სახელმწიფოთი – მათი დიალექტიკური თანაფარდობით. სამართალი კი, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოებრივი ურთიერთობების გარკვეული ნაწილის გარეგნული [მხარის] ირიბი გამოვლინებაა, თავად, გარკვეულ პირობებში, ირიბად გაპოლიტიკურდება კანონიერების ფორმით.[1]

თეზისებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ე.ბ. პაშუკანისის შეხედულებათა ძლიერი გავლენა, კერძოდ, სამართლის გენეზისი წარმოჩნდება პირველად გაცვლით აქტებში, სამართლებრივი ურთიერთობა და მისი ელემენტები გამოყვანილია გაცვლითი ურთიერთობებიდან, უარყოფილია გარდამავალი პერიოდის სამართლის სოციალისტური ხასიათი, მეურნეობის სოციალისტურ ფორმებზე გადასვლა შეფასებულია როგორც სამართლის ფორმის დაგდების მცდელობა.

ა.კ. სტალგევიჩმა კვლავ წარმოაჩინა იმ პერიოდში მარქსისტულ-ლენინური სამართლის ზოგად თეორიაში დამკვიდრებული თეზისი იურიდიულ ზედნაშენში სამართლებრივი ურთიერთობების განმსაზღვრელი როლის შესახებ, თუმცა უსაზღვროდ გააფართოვა სამართლის აღნიშნული მხარე და მიაკუთვნა მას, გარდა ობიექტისა და სუბიექტისა, სამართლის ნორმა და სამართლებრივი იდეოლოგია, ანუ, ფაქტობრივად, თითქმის ყველა სამართლებრივი მოვლენა.[2]

კომუნისტური აკადემიის სასი-ის ბიუროს 13 მაისის სხდომაზე გადაწყდა, რომ ჟურნალში – „საბჭოთა სახელმწიფო და სამართლის რევოლუცია“, –

[1] Стальгевич А.К., Марксистская теория права, 17.
[2] Стальгевич А. К., Марксистская теория права, 10-11.

სტატიის სახით გამოქვეყნებულიყო თეზისების განხილვის დროს ა.კ. სტალგევიჩის მიერ [წარმოთქმული] დასკვნითი სიტყვა – სათაურით: „სამართლის ზოგადი თეორიის სისტემა და პრინციპები“.[1] სტატია გამოქვეყნდა ჟურნალის მეშვიდე და მეათე ნომრებში, სათაურით: „სამართლის მარქსისტული თეორიის ძირითადი საკითხები“. თუ სტატიის შინაარსით ვიმსჯელებთ, უკვე ა.კ. სტალგევიჩის თეზისების განხილვის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ სამართლის ზოგად თეორიაში სადისკუსიო არის არა იმდენად კერძო პრობლემატიკა, რამდენადაც მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემები. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა მეცნიერ-იურისტების წრეში სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის პოპულარობა მეტწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ე.ბ. პაშუკანისი თავის საქმიანობაში სამართლის შემეცნებისას ცდილობდა მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენების პროცესის ლოგიკურად აღორძინებას. დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენება სამართლის ზოგად თეორიაში მას აღქმული ჰქონდა როგორც სამართლებრივი მეცნიერებების სფეროში მარქსისტული პოლიტეკონომიის მეთოდების გადმოტანა და, შესაბამისად, მან საკუთარ კვლევით საქმიანობაში ის [იგულისხმება მეთოდი – მთარგმნელი] მარქსისეული ეკონომიკური კვლევის კვლავწარმოების სვლასა და ორივე მეცნიერების კატეგორიებს შორის კავშირების ძებნამდე დაიყვანა. ასეთმა ხერხმა საშუალება მისცა ე.ბ. პაშუკანისს, მართებულად მიეგნო ეკონომიკური ბაზისისა და იურიდიული ზედნაშენის შეხების წერტილებისათვის, თუმცა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიური ხერხები მას არასრულად ჰქონდა ათვისებული. სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის მეთოდოლოგიური სისუსტე იმით გამოვლინდა, რომ სამართალი გაძლიერებულად მხოლოდ ერთგვაროვან კავშირებში ისწავლებოდა, მაშინ, როცა დანარჩენები მეორე პლანზე იდევნებოდნენ, ან საერთოდაც მიჩუმათდნენ; სამართლის განვითარება აბსტრაქტულად იყო წარმოდგენილი როგორც ცნებებისა და კატეგორიების ევოლუცია და იგნორირებულ იქნა ერთი ტიპის სამართლიდან მეორე – უფრო მაღალი [ტიპის სამართალზე] რევოლუციური გადასვლა.

მიუხედავად ამისა, თუ არ ჩავთვლით პ.ი. სტუჩკას არაერთგზის კრიტიკულ გამოსვლას, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნაკლოვანებანი დიდი ხნის განმავლობაში მიჩუმათებული იყო. სტატია „სამართლის მარქსისტული თეორიის ძირითადი საკითხები“ ასხივებს დისკუსიის შემობრუნებას – მისით იწყება სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის კრიტიკული გადაფასება მთლიანობაში და, კერძოდ, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა.

[1] АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 133, л. 61; Пашуканис Е., Положение на теоретическом правовом фронте, „Советское государство и революция права“, №11-12, 1930, 25.

სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიტიკული გადახედვა ა.კ. სტალგევიჩს განზრახული ჰქონდა, ეწარმოებინა იმავე ხერხების ნიადაგზე დარჩენით, რომლებითაც ე.ბ. პაშუკანისი სარგებლობდა. აღიქვამდა რა, როგორც უდავოს, ე.ბ. პაშუკანისის მცდელობას, შეემუშავებინა სამართლის შემეცნების მეთოდები, აღნიშნულ მეცნიერებაში მარქსისტული პოლიტეკონომიის მეთოდების გადმოტანით, ის აკრიტიკებდა აღნიშნული მიმართულებით გაწეული სამუშაოს ცალმხრივობასა და არასრულყოფილებას, ცდილობდა, დაეზუსტებინა პოლიტეკონომიისა და სამართლის ზოგადი თეორიის კატეგორიებს შორის აღმოჩენილი კავშირები და გაეფართოებინა ეკონომიკური კატეგორიების ის წრე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იურიდიულს, კერძოდ, კერძო საკუთრებასა და სამართალს ა.კ. სტალგევიჩი განმარტავდა როგორც, შესაბამისად, სამომხმარებლო და გაცვლითი ღირებულების გამოვლინებას.

ა.კ. სტალგევიჩმა გაამახვილა ყურადღება სამართლის მარქსისტული ზოგადი თეორიის საწყის, ამოსავალ მომენტზე. ე.ბ. პაშუკანისი ვარაუდობდა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა იურიდიული სუბიექტით იწყება. ა.კ. სტალგევიჩმა მის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე სუბიექტური კონცეფცია უწოდა. ე.ბ. პაშუკანისის თეორია, მისი აზრით, „როგორც სუბიექტთა თეორია, უძლურია, გამოააშკარაოს სამართლის ჭეშმარიტად კლასობრივი არსი, რომელიც არა სუბიექტის – საქონლის მფლობელის – აბსტრაქტულ პიროვნებაში იმალება, არამედ სასაქონლო წარმოების იდუმალ წიაღში“.[1] ა.კ. სტალგევიჩი სამართლებრივი ურთიერთობების განმაპირობებელ მომენტად ობიექტს თვლის. ამასთანავე, ის მიუთითებს კ. მარქსზე, რომელმაც ეკონომიკური ანალიზისას საწყისი მომენტის სახით გამოყო საქონელი, რომლის იურიდიული გამოვლინებაც არის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი.

იურიდიულ ზედნაშენში სამართლებრივი ურთიერთობების დომინანტური როლის შესახებ წარმოდგენის ლოგიკურ განვითარებაა სამართლის ზოგადი თეორიის მეცნიერების საგნის, როგორც „ობიექტური სამართლებრივი ურთიერთობების“, ა. კ. სტალგევიჩისეული განმარტება.

სტატიაში გაკრიტიკებულია ე.ბ. პაშუკანისის თვალსაზრისი სამართლის ეკონომიკური განპირობებულობის საკითხის თაობაზე. აღნიშნულ თვალსაზრისს ა.კ. სტალგევიჩი მხოლოდ სამართლის წარმოშობის მომენტთან მიმართებით მიიჩნევს მართებულად. სამართლის ეკონომიკურ განპირობებულობის, როგორც სასაქონლო წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობებით განპირობებულების, მისეულ შეცნობას ა.კ. სტალგევიჩი წარმოებისა და გაცვლის

[1] Стальгевич А. К., Основные вопросы марксистской теории права, „Советское государство и революция права“, №7, 1930, 163.

თანაფარდობის ორი ეტაპის შესახებ კ. მარქსისეულ მითითებებზე დაყრდნობით განმარტავს და განასხვავებს სამართლის წარმოშობის ორ ეტაპს: პირველი ეტაპი: სამართალი – სასაქონლო გაცვლის ურთიერთობათა ფორმა; მეორე ეტაპი: სამართალი – სასაქონლო წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობების ფორმა. „ამიტომ, სამართლის ფორმა, – წერს ა.კ. სტალგევიჩი, – რომელიც თავდაპირველად წინაკაპიტალისტურ ფორმაციებში გამომდინარებს სასაქონლო მეურნეობის პირველადი ურთიერთობებიდან, წარმოების გარკვეული პროცესითაა განპირობებული (შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, კერძო საკუთრება, წინაკაპიტალისტური ექსპლუატაციისა და კლასობრივი ბრძოლის ფორმები), ხოლო, თავისი წარმოშობის მომენტში ჯერ კიდევ დამოუკიდებელი და ინდიფერენტულია („გულგრილია“) წარმოების მიმართ“.[1]

ა.კ. სტალგევიჩი აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ სამართლის მარქსისტულ-ლენინურ ზოგად თეორიაში საგანგებო ადგილი უნდა ეკავოს მოძღვრებას სამართლის ტიპების შესახებ, თანაც განსაკუთრებით უნდა გამოიყოს საბჭოთა სამართლის, როგორც სამართლის ახალი ისტორიული ტიპის, პრაქტიკის შემეცნება. „კაპიტალში“ გამოკვლეულია წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობები ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის – კაპიტალიზმის შიგნით. ე.ბ. პაშუკანისმა თავისი კვლევის ობიექტად აირჩია სამართლის ფორმის გენეზისი ზოგადად, ხოლო სამართლის ეკონომიკური განპირობებულება მისი სასაქონლო გაცვლის ურთიერთობებით განპირობებულებამდე დაიყვანა და, შესაბამისად, სამართალი, მთლიანობაში – ბურჟუაზიულ სამართლამდე. ა.კ. სტალგევიჩი აკრიტიკებდა ე.ბ. პაშუკანისს ამ უკანასკნელის მიერ სამართლის კლასობრივი ხასიათის ბლაგვად წარმოჩენის გამო და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას სამართლის ისტორიული ტიპების ხარისხობრივი განსხვავების მიმართ ითხოვდა. „როგორც ჩანს, – წერდა ის, – ე.ბ. პაშუკანისისათვის არ არსებობს განსაკუთრებული, ახალი ტიპის სამართალი – საბჭოთა სამართალი, როგორც გარდამავალი პერიოდის ხარისხობრივად განსხვავებული სამართალი. მისთვის არსებობენ მხოლოდ ბურჟუაზიული სამართლის კატეგორიები, რომლებიც, ვითომცდა, კი არ იცვლებიან ახალი კატეგორიებით, არამედ კვდებიან ისევე, როგორც კვდებიან „ღირებულების, კაპიტალის, მოგებისა და ა.შ. კატეგორიები“. ე.ბ. პაშუკანისის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ ის ამოდის მხოლოდ და მხოლოდ „აბსტრაქტული იურიდიული ცნებებიდან“, და არა ისტორიულ პროცესში განვითარებადი, ეკონომიკური ცხოვრების ობიექტური პირობებიდან, კლა-

[1] Стальгевич А. К., Основные вопросы марксистской теории права, „Советское государство и революция права“, №7, 1930, 171-172.

სობრივი ურთიერთობებიდან და ნახტომისებრი, რევოლუციური მსხვრევის პროცესში ერთმანეთის ჩამნაცვლებელი სახელმწიფოსა და სამართლებრივი ურთიერთობების ტიპებიდან. დიალექტიკის ეს მეორე მხარე, ობიექტური რეალობის დიალექტიკა, პირველ ადგილზე თვალნათლივ წამოწევს ისტორიულ პროცესში ცვალებადი სამართლებრივი სისტემების ტიპების ხარისხობრიობის პრობლემას".[1]

დაბოლოს, ე.ბ. პაშუკანისის მიმართ საყვედური, [ამ უკანასკნელის მხრიდან] სახელმწიფოს არასათანადო შეფასებასაც გულისხმობდა. ა.კ. სტალგევიჩი ამტკიცებდა, რომ სამართალი არ არსებობს კლასობრივი ძალადობის მომენტის გარეშე და სახელმწიფო „არის სამართლებრივი ფორმის შინაარსის არსებითი მომენტი და, გარკვეულწილად, მასში გამოიხატება".[2]

გაზეთების – „პრავდა"-სა და „იზვესტია"-ს – ფურცლებზე, აგრეთვე, ჟურნალში – „საბჭოთა სახელმწიფო და სამართლის რევოლუცია" – გაცხოველებული სამეცნიერო დისკუსია თავდაპირველად ა.კ. სტალგევიჩის გამოსვლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ე.ბ. პაშუკანისის ირგვლივ გაერთიანებული მეცნიერები (ა.ი. ანგაროვი, ი.ლ. ბერმანი, მ.ნ. დოცენკო), ყველანაირად ცდილობდნენ ა.კ. სტალგევიჩის მიერ დაკავებული პოზიციის დისკრედიტაციას. ა.კ. სტალგევიჩის თეზისებს ა.ი. ანგაროვი მიაკუთვნებდა პ.ი. სტუჩკასა და ე.ბ. პაშუკანისის დებულებების „მექანიკური შეერთების ცდებს".[3] მ.ნ. დოცენკო საყვედურობდა ა.კ. სტალგევიჩს სამართლებრივი ურთიერთობების ცნების გაფართოებისა და სამართლის ზოგადი თეორიის საგნის „შევიწროების", აგრეთვე – სამართალში – ფორმისა და შინაარსის პრობლემის, სამართლის გენეზისისა და სამართლის კლასობრიობის გადაწყვეტის მეთოდოლოგიური უმართებულობის გამო. მ.ნ. დოცენკოს განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა სამართლის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემის, განმარტება, ვინაიდან სისტემაზე მითითება, მისი აზრით, არაფერს იძლევა სამართლის სპეციფიკურობის გამოსავლენად.[4] მ.ნ. დოცენკო თანხმდებოდა იმას, რომ სამართლებრივი ურთიერთობები არის სამართლის შემეცნების საწყისი მომენტი, თუმცა სამართლის ზოგადი ცნების შემუშავებისათვის საჭიროდ მიაჩნდა სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკურობის გამოვლენაც. „მაშასადამე, – ამტკიცებდა ის, – იმისათვის,

---

[1] Стальгевич А. К., Основные вопросы марксистской теории права, „Советское государство и революция права", №7, 1930, 182.

[2] იხ. იქვე, №10, 120.

[3] Ангаров А., На фронте советского строительства (К вопросу о подготовке теоретических кадров по советскому строительству и праву), „Известия", 6 октября, 1930.

[4] 20-იან წლებში აღნიშნულ საკითხზე დავის შესახებ იხ. Плотниекс А., Петр Стучка и истоки советской правовой мысли, Рига, 1970, 143-148.

რომ ამა თუ იმ კლასის მსოფლმხედველობაში გამოიყოს ნაწილი – იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმა, – ცხადია, რომ საჭიროა იმ სპეციფიკური ურთიერთობების წინასწარი გამოვლენა, რომლებიც ამა თუ იმ იდეებს ბადებენ. სამართალთან მიმართებითაც აუცილებელია იმ რეალური სამართლებრივი ფორმის გამოვლენა, რომელიც ბადებს სამართლებრივ იდეებს... აუცილებელია კონკრეტული ცნების მოცემა, რომელიც ასახავს არსს ან სამართლის ფორმის კანონს. აქ კი ეს, აღნიშნული საზოგადოებრივი ურთიერთობების, სპეციფიკურობის მითითებას ნიშნავს“.[1]

ა.კ. სტალგევიჩის მისამართით ათასგვარ ბრალდებას ვპოვებთ, აგრეთვე, ი.ლ. ბერმანის სტატიაში – „ვულგარული ეკონომიზმის აბჯარში“, რომელიც წარმოადგენდა ე.ბ. პაშუკანისის გამართლების მცდელობას სამართალში საწყისის საკითხის თაობაზე და მის მიერ პროლეტარული სამართლის, როგორც სამართლის განსაკუთრებული ისტორიული ტიპის, უარყოფისას. იმავდროულად, ი.ლ. ბერმანი მართებულად ამტკიცებდა, რომ სამართლის შემეცნებისას შეუძლებელია შინაარსისა და ფორმის კატეგორიებით შემოფარგვლა – ბაზისისა და ზედნაშენის კატეგორიების გამოყენებაც არის აუცილებელი.

ჟურნალის – „საბჭოთა სახელმწიფო და სამართლის რევოლუცია“ – გვერდებზე სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის კრიტიკით გამოდიოდნენ, აგრეთვე, ს.მ. ლიბერმანი და ლ. რეზცოვი. ს.მ. ლიბერმანი ე.ბ. პაშუკანისთან და პ.ი. სტუჩკასთან სამართლის გენეზისის პრობლემის შედარებისას უპირატესობას ანიჭებდა ამ უკანასკნელის შეხედულებებს და აკრიტიკებდა ე. ბ. პაშუკანისს ფორმისა და შინაარსის თანაფარდობის შესახებ ანტიმარქსისტული წარმოდგენის გამო, წარმოების მიმართ – გაცვლისათვის, საკუთრების მიმართ – საკუთრების ფორმისათვის უპირატესობის მინიჭების, აგრეთვე, სამართლის კლასობრივი ხასიათის იგნორირების გამო.

ს.მ. ლიბერმანის უდავო დამსახურებაა საბჭოთა კავშირში არსებული სამართლის, ხარისხობრივად განსაზღვრული სამართლის ახალი ისტორიული ტიპის აღიარება.

ე.ბ. პაშუკანისს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამართლის განვითარება იმგვარად წარმოედგინა, რომ ხდებოდა არა ბურჟუაზიული სამართლის კატეგორიების ჩანაცვლება პროლეტარული სამართლის კატეგორიებით, არამედ ბურჟუაზიული სამართლის თანდათანობითი კვდომა და, ამასთანავე, სამართლის გადაშენებაც ზოგადად.[2] ს.მ. ლიბერმანმა ცნება „საბჭოთა სამართალი“ არასაკმარისად მიიჩნია იმისათვის, რომ გამო-

[1] Доценко М., Против схоластики в теории права, „Советское государство и революция права“, №7, 1930, 144.

[2] Пашуканис Е. Б., Общая теория права и марксизм, М., 1924, 16.

ევლინა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის სამართლის კლასობრივი არსი. აღნიშნული სამართლის განსაკუთრებული ხარისხი, მისი აზრით, ისეთი ფაქტორებიდან გამომდინარეობს, როგორიც არის პროლეტარიატის სახელმწიფოს მიერ სამართლის დაცვა, სამართალი, როგორც პროლეტარიატის პოლიტიკის განხორციელების იარაღი. „სამართალი – კონსტატირებდა ს.მ. ლიბერმანი – არის გაბატონებული კლასის მიერ საზოგადოებრივი „ურთიერთობების“ ორგანიზებული მოწესრიგება. ჩვენთან კი გაბატონებული კლასი არის პროლეტარიატი. ამიტომაც ჩვენი სამართალი არის პროლეტარული სამართალი“.[1] იმავდროულად, კ. მარქსისა და ვ. ლენინის აზრების გამარტივებულ განმარტებას იმ უმართებულო დასკვნამდე მივყავართ, რომ სოციალიზმის დროს პროლეტარულ სამართალს ჩაანაცვლებს „ბურჟუაზიული“ ფორმის სამართალი.

სამართლის „გაცვლით“ კონცეფციას ნორმატივისტული პოზიციიდან ლ. რეზცოვიც აკრიტიკებდა. ისევე, როგორც სხვა კრიტიკოსები, ის მართებულად საყვედურობდა ე.ბ. პაშუკანისს სამართლის დაცვის მიმართ სახელმწიფოებრივი იძულების არასათანადო შეფასებაში, თუმცა სამართლის უმნიშვნელოვანეს თვისებად სახელმწიფოს მხრიდან – დაცვის არსებობის აღიარებას ლ. რეზცოვი იმ მეთოდოლოგიური ხერხის გამოყენებასთან აკავშირებდა, რომლის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობების გაანალიზებისას აუცილებელია ამოვიდეთ სამართლის ნორმის ცნებიდან. ისტორიული განვითარების პროცესში სამართლის ფორმის დიალექტიკის შეცნობის მიღწევისას ლ. რეზცოვი ცდილობდა, დაენახა კვალი, სამართლის ფორმის ესა თუ ის მხარე კონკრეტულ ისტორიულ პირობებში თუ როგორ და რატომ ასრულებს მოწინავე როლს, აგრეთვე, გაერკვია სამართლებრივი სინამდვილის ასახვის თავისებურებანი განსხვავებული კლასების მსოფლმხედველობაში. მას სამართალში განმსაზღვრელ [გარემოებად] ნორმატიული საწყისი ესახებოდა, ვინაიდან „სამართლის იდეოლოგიური თვითგანვითარება“ იწყება დაცული სახელმწიფო კანონის დადგენით და „სამართალი – ურთიერთობა“, თავდაპირველად, „სამართალი – ნორმითაა“ შთანთქმული. „სამართალი – ურთიერთობის“ აჯანყება „სამართალი – ნორმის“ წინააღმდეგ, ნორმატიულობაზე უარის თქმა – სასაქონლო-ფეტიშისტური იდეოლოგიის გამოვლინებაა. პროლეტარიატის დიქტატურის დროს სამართლის ნორმატიულობა, ლ. რეზცოვის აზრით, კვლავ წინა პლანზე წამოიწევა, ობიექტურად აუცილებელი შრომის ნორმირებისა და სურსათის განაწილების გამო.[2]

---

[1] Либерман С., Против сползания на позиции меновой концепции в праве, „Советское государство и революция права“, №8-9, 1930, 166.

[2] Резцов Л., Право-отношение и право-норма, „Советское государство и революция права“, №8-9, 1930, 170, 173, 177-180.

მთლიანობაში, [სამართლის] ზოგადი თეორიის მეცნიერებაში შექმნილი ვითარების ანალიზი მოცემულია პ.ი. სტუჩკას პლატფორმის თეზისების პროექტში, რომლის სათაურიცაა „ჩვენი სამუშაოს დასახვა“. მეცნიერების განვითარების აღნიშნული ეტაპის სპეციფიკურობას ის არა აზრთა სხვაობის, თვით ფაქტის არსებობაში ხედავდა, არამედ იმაში, რომ ამ აზრთა სხვაობის უკან ერთიანი მარქსისტულ-ლენინური თეორიული პლატფორმისა და პარტიის გენერალური ხაზის არარსებობა იმალებოდა. სიტყვიერად, სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის სექციის პლატფორმის „სამი ვეშაპის“: სამართლის მატერიალისტური შეცნობის, სამართლის კლასობრიობისა და სამართლის შემეცნების რევოლუციურ-დიალექტიკური მეთოდის აღიარებით, მარქსისტი სამართალმცოდნეები მათი ერგვაროვანი შეცნობისაგან ჯერ კიდევ ძალზე შორს იდგნენ.

სამართლის მარქსისტულ-ლენინური ზოგადი თეორიის, როგორც საბჭოთა იურიდიული მეცნიერების დარგის, ჩამოყალიბების პროცესში, ი.პ. სტუჩკას აზრით, გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში დაგროვილი ფაქტობრივი მასალა, არამედ რაღაც დოზით – მეთოდოლოგიური ხერხებიც. „აღნიშნული მიმართულებებიდან და მეთოდებიდან არცერთი ვლინდება წმინდა სახით: ხდება მათ სხვადასხვა კომბინაცია ან წარმოიქმნება შუალედური დინება. რამდენადაც ისინი ვლინდებიან რევოლუციურ გარემოსა და რევოლუციურ ატმოსფეროში, იმდენად ისინი კორექტირდებიან რევოლუციის დიალექტიკისა და მისი ფაქტების ობიექტური მიმდინარეობით. თუმცა თეორიის აღნიშნული კორექტივები დაგვიანებით ხორციელდება, ნაცვლად იმისა, რომ თეორია მოძრაობას სათავეში ედგას. შესაძლოა, კრიზისიც წარმოიშვას, ხოლო ჩვენთან ის თითქოს და უკვე დადგა, რომლისგან გამოყვანა მხოლოდ ერთიანი გენერალური ხაზის შემქმნელ, ზოგადი რევოლუციური დავალებების ფართო დაყენებას შეეძლება“.[1]

გამოსავალს აღნიშნული ვითარებიდან პ.ი. სტუჩკა სამართლის მარქსისტულ-ლენინური ზოგადი თეორიის ხარისხობრივი სპეციფიკურობის ხაზგასმაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების შემუშავებასა და დანერგვაში ხედავდა. ის უარყოფდა სამართლის შემეცნების აბსტრაქტულ მეთოდებს და კვლევის ობიექტად, უპირატესად, სამართლებრივი ურთიერთობების შერჩევისა და, საბჭოთა სამართლის გამოცდილების საფუძველზე, თეორიული პრობლემების შემუშავებისაკენ მოუწოდებდა: „სინამდვილეში, ჩვენ უნდა დაგვეწყო, რა თქმა უნდა, კონკრეტული სამართლიდან, რათა აღნიშნულ მასალაზე დაგვეშენებინა ჩვენი ზოგადი თეორია“.[2]

---

[1] Стучка П., Постановка нашей работы, „Советское государство и революция права“, №11-12, 1930, 52.

[2] იქვე, 54.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში იურიდიული მეცნიერების, მთლიანობაში, და, კერძოდ, სამართლის ზოგადი თეორიის ადგილის განსაზღვრას პ.ი. სტუჩკა პროლეტარულ სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის კავშირის, ხასიათის გათვალისწინებით გვთავაზობდა. თუ ბურჟუაზიული სახელმწიფო, როგორც სამართლის სუბიექტი, ეკონომიკურ ცხოვრებაში კერძო პირების დარად მონაწილეობს, პროლეტარული სახელმწიფო ეკონომიკური ცხოვრების სოციალისტურ გარდაქმნაში რევოლუციურ შემოქმედებით როლს ასრულებს. აქედან გამომდინარეობს სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის ეკონომიკურ მეცნიერებებთან მჭიდრო კავშირში შემუშავების აუცილებლობა.

გამოვლენილი აზრთა სხვაობის აღმოფხვრისა და ერთიანი თვალსაზრისის შემუშავების პირველ მცდელობად კომუნისტური აკადემიის სასი-ის ბიუროს 1930 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე ე.ბ. პაშუკანისის მოხსენების – „მდგომარეობა თეორიულ სამართლებრივ ფრონტზე“ – დაყენება უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ასეთი ზოგადი სახელწოდებისა, იურიდიული მეცნიერების – მთლიანობაში განვითარების ტენდენციებისა და შედეგების შესახებ მხოლოდ მოხსენების შესავალ ნაწილშია ნახსენები, დანარჩენი – მოხსენების ძირითადი ნაწილი, თვით მომხსენებლის შეცდომების გარჩევას, წიგნის – „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი“ – კრიტიკოსებთან პოლემიკასა და სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის გაუმჯობესებული ვარიანტის ჩამოყალიბებას წარმოადგენდა. მოხსენების მსგავსი აგებულება პირდაპირ გამომდინარეობდა იმ ფაქტის კონსტატაციიდან, რომ თეორიული მუშაკები „არასაკმარისად სიღრმისეულად და არასაკმარისად ყურადღებით მიუდგნენ... წარსულ თეორიულ საქმიანობას იმ ცალკეული შეცდომების გამოვლენისა და გამოაშკარავების მიმართულებით, იმ ანტილენინური კონცეფციების შემოდინებას, რომლებსაც ჰქონდა ადგილი“ და, რომ ყველაზე სერიოზული თეორიული შეცდომები უკავშირდება „თეორიულ საქმიანობაში... ბუხარინისეული კონცეფციის შემოღწევას“.[1]

მიუხედავად შეტყობინებისა, რომ ის რჩება სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციის ნიადაგზე, ე.ბ. პაშუკანისმა მაინც შეიტანა მასში მთელი რიგი შესწორებებისა. ნაშორმის – „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი“ – დაწერისას, ე.ბ. პაშუკანისის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდიკა სამართალს მთლიანობაში გარდაუვლად დაიყვანს ბურჟუაზიულ სამართლამდე. ე.ბ. პაშუკანისი ამგვარ ვითარებას [მხოლოდ] „უწინდელი კონცეფციის“ ნაკ-

[1] Пашуканис Е., Положение на теоретическом правовом фронте, „Советское государство и революция права“, №11-12, 1930, 20.

ლოვანებას უწოდებდა და მის აღმოფხვრას იმის განმარტებით ცდილობდა, რომ „ბურჟუაზიული სამართალი, მთლიანობაში, არ ამოიწურება იმ ნიშნებით, რომლებიც მას ფეოდალური სამართლისაგან განასხვავებენ, არამედ, აგრეთვე, ისეთებსაც შეიცავს, რომლებიც მასაც და ფეოდალურ სამართალსაც ახასიათებთ“.[1] მიუხედავად ბურჟუაზიული სამართლის ყველაზე განვითარებული სამართლის სისტემად აღიარებისა, მან, თუმცაღა, დაუშვა სამართლის სხვა სისტემების არსებობაც, ხოლო ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სახელმწიფოს ერთ-ერთ ფორმას უწოდებდა.

სამართლისა და ეკონომიკური ბაზისის თანაფარდობის პრობლემის დაყენებისას, ე.ბ. პაშუკანისი ცდილობდა პ.ი. სტუჩკასთან მიახლოებას – სამართლის არსს განმარტავდა როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებსა და უშუალოდ მწარმოებლებს შორის ურთიერთობას. „დასკვნა: სამართლის თითოეული ისტორიული სისტემის ღერძი, მისი შინაარსი არის წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებსა და უშუალოდ მწარმოებლებს შორის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა პასუხობს გაბატონებული კლასის ძირითად კლასობრივ ინტერესს, მხარდაჭერილია მისი ორგანიზებული ძალის მიერ. ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა რევოლუციური გზით ხდება. რევოლუციები დებენ წყალგამყოფს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებსა და მათ შესაბამის სამართლის სისტემებს შორის“.[2] იმავდროულად, ე.ბ. პაშუკანისი სულაც არ აპირებდა პროლეტარული სამართლისადმი, როგორც სამართლის განსაკუთრებული ისტორიული ტიპისადმი, საკუთარი, ღიად უარყოფითი თვალსაზრისის შეცვლას. ფაქტი, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდი „არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული დასრულებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია“,[3] მან პ.ი. სტუჩკასათვის სასაყვედურო წონად საფუძვლად მიიჩნია, [უკანასკნელის მიერ] „პროლეტარული სამართლის“ ტერმინის გამოყენების გამო. კ. მარქსისა და ვ. ლენინის მოსაზრებათა დიალექტიკის შეუცნობლობით, გარდამავალ პერიოდში სამართლის, როგორც ადამიანთა ქცევის სოციალური რეგულატორის განსაკუთრებული ნაირსახეობის, ხასიათში მიმდინარე ცვლილებების შესახებ მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ე.ბ. პაშუკანისი განმარტავდა როგორც სამართლის ბურჟუაზიული ფორმის შენარჩუნების აუცილებლობის აღიარებას. გარდამავალი პერიოდის სამართლის სპეციფიკურობის გამოვლენისათვის ცენტრალურ საკითხად ის თვლიდა არა ახალი კლასობრივი არსის საკითხს, არამედ პირიქით, საკითხს, „მოცემულ ეტაპზე

---

1 იქვე, 33.

2 Пашуканис Е., Положение на теоретическом правовом фронте, „Советское государство и революция права“, №11-12, 1930, 34.

3 იქვე, 42.

თუ რა შენარჩუნდა სამართლის ბურჟუაზიული ფორმიდან და რა გადადის და გადავიდა წარსულში“.[1] „პროლეტარული სამართლის სისტემის“ ან „პროლეტარული სამართლის იურიდიული სისტემის“ შექმნის პრაქტიკული შესაძლებლობის უარყოფისას ე.ბ. პაშუკანისი შემდეგი არგუმენტებით სარგებლობდა: ჯერ ერთი, გარდამავალ პერიოდში საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიკურობის გამო ეს არის პრაქტიკულად გადაუწყვეტელი ამოცანა; მეორეც – გარდამავალი ეტაპის დასრულებულ იურიდიულ სისტემაში გადაყვანა ისეთ ფაქტორად იქცევა, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარების შეფერხების უნარი შესწევს; მესამეც – გარდამავალ პერიოდში გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობები საკუთარ თავში შეიცავენ „ნებისმიერი სამართლის გადაშენების აუცილებლობას“; მეოთხე – სახეზეა პროლეტარული პოლიტიკის სისტემა, რომელთან მიმართებითაც სამართალს დაქვემდებარებული მდგომარეობა უჭირავს.[2]

მოხსენების შემდეგ წაკითხული იყო პ.ი. სტუჩკას თეზისები. მარქსისტი სამართალმცოდნეების შეხედულებათა განსხვავება, როგორც ვარაუდობდა პ.ი. სტუჩკა, სათავეს იღებს იმაში, რომ ნაშრომები – „სამართლისა და სახელმწიფოს რევოლუციური როლი“ და „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი“ – სხვადასხვა დროს დაიწერა, მათი ავტორები განსხვავებული ამოცანების გადაწყვეტას ლამობდნენ და პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომები იყო შერჩეული. იმავდროულად, მას შეუძლებლად მიაჩნდა „უკლონების“ შესახებ საკითხის დაყენება. „უკლონის არსებობისათვის – განმარტა პ.ი. სტუჩკამ – აუცილებელია, რომ აღნიშნულ სფეროში უკვე არსებობდეს გენერალური ხაზი“.[3] გენერალური ხაზის განსაზღვრის საკითხი თეზისებში ცენტრალურია. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიების იმ გზის უარყოფით, რომ მასა და ე.ბ. პაშუკანისს თავს მოახვიონ „მხოლოდ ერთისათვის ან ორივესათვის მიუღებელი დებულება, საკუთარი საშუალო აზრის სახით“ ან საკუთარი ახალი ხაზის „გენერალურად“ გამოცხადებით, ხოლო ყველა დანარჩენის – მისგან გადახვეულისა – „უკლონებად“ და გადახვევად“,[4] პ.ი. სტუჩკა ე.ბ. პაშუკანისთან დაახლოების ერთადერთ შესაძლებლობას იმაში ხედავდა, რომ ამ უკანასკნელს აღმოეფხვრა დაშვებული შეცდომები. აღნიშნული მიმართულებით, გარდა ე.ბ. პაშუკანისის მიერ [გადადგმული] პირველი ნაბიჯისა, სამართლის მისეული შეცნობის უფრო ზოგადი, პ.ი.

---

[1] Пашуканис Е., Положение на теоретическом правовом фронте, „Советское государство и революция права“, №11-12, 1930, 40.

[2] იქვე, 40, 42, 47-48.

[3] Стучка П., Наши „разногласия“ (тезисы к докладу), „Советская юстиция“, №31, 1930, 7.

[4] Стучка П., Наши „разногласия“ (тезисы к докладу), „Советская юстиция“, №31, 1930, 8.

სტუჩკას მიერ ჩამოყალიბებულისადმი დაქვემდებარებისა, თეზისებში ე.ბ. პაშუკანისს მოეთხოვებოდა მისი პოზიციის დაზუსტება სახელმწიფოს შესახებ საკითხთან დაკავშირებით, მის მიერ ცნების – კლასთა ინტერესების – აღქმის მკვეთრი განმარტება, ნებისმიერი სამართლის კლასობრივი ხასიათის აღიარება, საზოგადოებრივი ურთიერთობების უფრო მეტი განზოგადება, ბურჟუაზიული სამართლის აღიარებაც, როგორც ბატონობა-მორჩილების ურთიერთობებისა, საბჭოთა სამართლის პრინციპულად უსისტემობის შესახებ დებულებასა და მისი პოლიტიკისადმი შეპირისპირებაზე უარის თქმა.

მოხსენების განხილვაში, რომელიც ბიუროს ხუთ სხდომაზე გაგრძელდა, სტენოგრამით თუ ვიმსჯელებთ, ოცდაერთმა გამომსვლელმა მიიღო მონაწილეობა. ამასთანავე, გაირკვა, რომ საკითხზე, სამართლის თუ რომელი კონცეფცია არის თანმიმდევრულად მარქსისტულ-ლენინური და თუ როგორ უნდა დაედოს საფუძვლად ასეთი [კონცეფცია] მეცნიერების შემდგომ განვითარებას, განხილვის მონაწილეები საკმაოდ შორს იდგნენ ერთსულოვნებისაგან. ერთნი, უმთავრესად, აკრიტიკებდნენ ე.ბ. პაშუკანისს (გ.ი. კლიავა, ს.მ. ლიბერმანი), სხვები – პ.ი. სტუჩკას (ა.ი. ანგაროვი, მ.ნ. დოცენკო, ფ.დ. კორნილოვი), მესამენი – არსებითი ხასიათის შეცდომებს სამართლის ორივე წამყვანი თეორეტიკოსის ნაშრომებში პოულობდნენ (ზ.ზ. გრიშინი, მ.ე. კლიმოვი, ა.პ. პავლოვი, მ.დ. რეზუნოვი, ა.კ. სტალგევიჩი, ნ.ი. ჩელიაპოვი, ა.ს. შლიაპოჩნიკოვი).

განხილვის მონაწილეთა შორის არსებული არსებითი აზრთა სხვაობა გამოვლინდა სამართლის ზოგადი თეორიის ცენტრალური პრობლემატიკის ირგვლივ. „გაცვლითი“ კონცეფციის კრიტიკული განხილვა არ შემოფარგლულა ცალკეული შეცდომებისა და უზუსტობების მოძიებით, არამედ მეთოდოლოგიის სფეროზეც გავრცელდა. გარდა იმ მოხსენებებისა, რომლებშიც სრული თანხვედრა იყო ე.ბ. პაშუკანისის მეთოდოლოგიასთან[1], ისმოდა ხმები, პ.ი. სტუჩკას კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით,[2] მისი

---

[1] ა.ი. ანგაროვი გვთავაზობდა სამართლის წარმოებასთან დაკავშირებას, მთელი რიგი შუალობების მეშვეობით, მათ შორის გაცვლა-გამოცვლის [გზითაც] (АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 138, л. 100).

[2] ა.კ. სტალგევიჩი, რომელიც განაგრძობდა სამართლის რეალურ წყაროებად სასაქონლო წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის აღიარებას, ამტკიცებდა, რომ ეკონომიკის სოციალისტურ სექტორში სამართლებრივი ურთიერთობები პოლიტიკურ [ურთიერთობებად] გადაიქცევა. მ.დ. რეზუნოვი აცხადებდა, რომ სამართლის გენეზისის შემეცნება სასაქონლო-კაპიტალისტური ურთიერთობების შემეცნებით უნდა დავიწყოთ. ი.ლ. ბერმანი ძირითადი მეთოდოლოგიური დებულების სახით აყალიბებდა მოსაზრებას, რომ „სამართლებრივი ფორმა განისაზღვრება შრომის დანაწილებით, საკუთრებისა და გაცვლა-გამოცვლის საფუძვლების

გამოსწორების აუცილებლობის შესახებ, პარტიის გენერალური ხაზის დაცვით, მეთოდოლოგიის სფეროში თეორიული ბრძოლის გაჩაღების შესახებ.[1]

გარკვეული სიცხადე მიღწეულ იქნა სამართლის შემეცნებისას საწყისი კატეგორიის შესახებ საკითხზე. მას შემდეგ, რაც ე.ბ. პაშუკანისმა უარი თქვა, სამართლის თეორიის დაუშლელ ატომად სუბიექტი ეღიარებინა, ა.კ. სტალგევიჩმა და მ.დ. რეზუნოვმა მეცნიერების საწყის კატეგორიად სამართლებრივი ურთიერთობა დაასახელეს.[2]

ყველაზე გაცხოველებული დავა გაიშალა პროლეტარული სამართლის პრობლემატიკის ირგვლივ. გამომსვლელთა ნაწილი (ს.ნ. ბრატუსი, მ.ნ. დოცენკო, ფ.დ. კორნილოვი, მ.დ. რეზუნოვი, ა.ს. შლიაპოჩნიკოვი) აღნიშნულ საკითხში სოლიდარობას უცხადებდნენ ე.ბ. პაშუკანისს. სხვები კი, პირიქით, ხაზს უსვამდნენ საბჭოთა სამართლის ახალ თვისებას. ს.მ. ლიბერმანმა გაიმეორა თავის მიერ წინათ იმ სტატიაში გამოთქმული მოსაზრება, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში – „საბჭოთა სახელმწიფო და სამართლის რევოლუცია“ – და კონსტატირებდა, რომ საბჭოთა სამართალს ხარისხობრივი სპეციფიკურობა ახასიათებს არა მხოლოდ შინაარსის, არამედ ფორმის მიხედვითაც. საბჭოთა სამართლის, როგორც პროლეტარული სამართლის, შესახებ საუბრობდნენ ლ.ი. გინცბურგი, მ.პ. კარევა და გ.ი. კლიავა. ა.კ. სტალგევიჩი არ იყენებდა ტერმინს „პროლეტარული სამართალი“, თუმცა საბჭოთა სამართალს ისტორიულად ახალი ტიპის სამართლად მოიხსენიებდა. ის მხარს უჭერდა საბჭოთა სამართლის პრაქტიკის შესწავლასა და სამართლის მარქსისტული თეორიის შემადგენლობაში საბჭოთა სამართლის თეორიის შემუშავებას.[3]

საბჭოთა სამართლის სისტემის შექმნის შეუძლებლობაში ე.ბ. პაშუკანისს მხარს უბამდნენ ა.ი. ანგაროვი, ი.ლ. ბერმანი, ლ.ი. გინცბურგი და ა.ს. შლიაპოჩნიკოვი, თუმცა, მიუხედავად ამისა, განხილვის მიმდინარეობისას ნათელი გახდა აღნიშნული თვალსაზრისის უუნარობა. გარდამავალ პერიოდში საბჭოთა სამართლის სისტემის არსებობა დასაბუთდა მეურნეობის სის-

---

ხასიათით, რომლებსაც, თავის მხრივ, განაპირობებენ საწარმოო ურთიერთობები და დამოკიდებულება წარმოების საშუალებათა მესაკუთრისა მწარმოებლის მიმართ. თუმცა სამართალი არის კლასობრივ საზოგადოებაში ირიბი ფორმა... აქედან [მომდინარეობს] სამართლის არსი, ეს არის ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობა“ (АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 138, л. 82, 209, 597-598).

[1] გ.ი. კლიავამ თავის გამოსვლაში მეთოდოლოგიის სფეროში თეორიული ბრძოლის გაჩაღება პოლიტიკის [სფეროში] პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლას დაუკავშირა (АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 138, л. 143).

[2] АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 138, л. 54-55, 578. მხოლოდ ფ.დ. კორნილოვი გამოვიდა სუბიექტის კატეგორიის დამცველად, ხოლო ს.მ. ლიბერმანი – ობიექტისა. იხ. იქვე, ფურცლები 60, 231.

[3] იქვე, ფურცლები: 67, 75-76, 115, 136, 150-151, 233, 250, 272, 276, 358, 584.

ტემის, კლასობრივი ურთიერთობების, პროლეტარიატის დიქტატურის, აგრეთვე, პოლიტიკის არსებობით (ს.მ. ლიბერმანი, ა.კ. სტალგევიჩი). გ.ი. კლიავამ დაამტკიცა ე.ბ. პაშუკანისის მიერ გამოყენებული არგუმენტაციის მანკიერება, რომლითაც [ეს უკანასკნელი] პროლეტარული სამართლის სისტემის არსებობის შესაძლებლობის უარყოფისას სარგებლობდა. იმის შესახებ ყურადღების გამახვილებით, რომ გარდამავალი პერიოდი ფორმაციებთან მიმართებით არ არის რაღაც ინდიფერენტული, გ.ი. კლიავამ განმარტა, რომ ფორმაცია იმით განისაზღვრება, თუ „რომელი კლასი განაგებს აღნიშნულ ურთიერთობებს და მისი მხედველობიდან გაშვება და პროლეტარიატის ბატონობის, პროლეტარიატის დიქტატურის არდანახვა სწორედ იმას ნიშნავს, არ დაინახო ის, რაც ფორმაციას ახასიათებს“. საბჭოთა სამართალი „საკუთარ თავში კერძო საკუთრებისა და სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგობათა ბრძოლას შეიცავს, ამიტომაც შეუძლებელია იმის თქმა, რომ ჩვენთან არ შეიძლება იყოს ჩვენი, განსაკუთრებული პროლეტარული სამართალი“.[1] საბჭოთა სამართლის არსებობას, აგრეთვე, კონსტატირებდნენ ზ.ზ. გრიშინი, მ.პ. კარევა, ი.ფ. მიკოლენკო და ა.პ. პავლოვი.[2]

თითქმის ყველა კამათში მონაწილე [პირი] აღიარებდა სამართალსა და პოლიტიკას შორის კავშირის [არსებობას], თუმცა განსხვავებულად ხსნიდა აღნიშნულ კავშირს, კერძოდ: სამართლის პოლიტიკისადმი დაქვემდებარებას (ა.ი. ანგაროვი, ი.ლ. ბერმანი, მ.ე. კლიმოვი); სამართალი, როგორც პოლიტიკის ფორმა (მ.ნ. დოცენკო, მ.დ. რეზუნოვი); სამართალი – სახელმწიფო პოლიტიკის გარკვეული ნაწილის ირიბი [გამოხატულება] (ა.კ. სტალგევიჩი); სამართალი გაჟღენთილია პოლიტიკით (გ.ი. კლიავა).[3]

ე.ბ. პაშუკანისმა თავის დასკვნით სიტყვაში მოუწოდა მეცნიერებს, გაერთიანებულიყვნენ საბჭოთა სამართლის განსაკუთრებული თვისების აღიარებისა და კლასობრივი ბუნების ერთიანობის საფუძველზე. ის უშვებდა საბჭოთა სამართლის სისტემის არსებობას და ამის ქვეშ კლასობრივ არსს გულისხმობდა, თუმცა კატეგორიულად უკუაგდებდა საბჭოთა სამართლის იურიდიული სისტემის შექმნის შესაძლებლობას. იურიდიული სისტემა „მოკლებული უნდა იყოს შინაგან წინააღმდეგობას, უნდა დაექვემდებაროს ერთ პრინციპს და ფორმალურ-ლოგიკურად უნდა აიგოს აღნიშნული პრინციპის შესაბამისად“. საბჭოთა სამართალი აღნიშნულ სისტემად რომ იქცეს, ე.ბ. პაშუკანისის აზრით, საფუძვლად უნდა დავუდოთ „საწარმოო ურთიერთობების ისეთი სისტემა, რომელიც საკუთარ თავში შეიცავს მხოლოდ წარმოების

---

[1] АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 138, л. 150-151.

[2] იქვე, ფურცლები: 66, 98, 111-112, 114, 138, 203, 215-216, 248, 255, 258, 261, 286, 585.

[3] იქვე, ფურცლები: 77, 94, 153, 155, 224, 365, 593.

საშუალებათა საზოგადოებრივ ფლობასა და თანაბარ განაწილებას შრომის მიხედვით. გამომდინარე ამ ორი პრინციპიდან, შესაძლებელია დასრულებული იურიდიული სისტემის აგება. ის უნდა გვეყოს მთელი სოციალიზმის განმავლობაში – სამართლის კვდომამდე. სამაგიეროდ, კონკრეტული საბჭოთა სამართლიდან ჩვენ გარდაუვალად გადმოვყრით ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც არ არის სოციალისტური, ან არ არის ამგვარი სრული მოცულობით“.[1]

მაშასადამე, დისკუსიის აღნიშნულ სტადიაზე ე.ბ. პაშუკანისისა და მისი მიმდევრების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ უარის თქმით იმ მეთოდოლოგიურ პრინციპზე, რომელმაც სიცოცხლე მისცა სამართლის „გაცვლით“ კონცეფციას და რომელიც სამართლისა და მატერიალური საზოგადოებრივი ურთიერთობების თანაფარდობის, სამართლებრივი ურთიერთობებისა და საქონლისა და ბრუნვის ურთიერთობების თანაფარდობამდე დავიწროვებას გულისხმობდა, აგრეთვე, მათ მიერ საბჭოთა სამართლის განსაკუთრებული თვისების აღიარების შედეგად გადაიდგა პირველი ნაბიჯი სამართლის მარქსისტულ-ლენინური ზოგადი თეორიის ერთიანი ჩარჩოს [შიგნით] სკოლების ლიკვიდაციის გზაზე. თუმცა ერთიანი თეორიული კონცეფციის ირგვლივ გაერთიანება ვერ მოხერხდა – აზრთა სხვაობა დარჩა.

მომდევნო ნაბიჯად ერთიანობის გზაზე იქცა მარქსისტი სახელმწიფო და სამართალმცოდნეთა I საკავშირო ყრილობა, რომელიც 1931 წლის 8 იანვრიდან 14 იანვრის ჩათვლით ქ. მოსკოვში ჩატარდა.[2]

---

[1] Положение на теоретическом правовом фронте, Заключительное слово тов. Пашуканиса к докладу в Институте сов. строительства и права 10-31.XI, 1931 г., „Бюлетень заочной консультации ИКП“, №2, 1931, 38-39.

[2] პირველად კონფერენციის მოწვევის შესახებ ნახსენები იყო სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის ბიუროს სექციის 1929 წლის 1 მარტის სხდომაზე, როცა განისაზღვრა დირექტივები, 1929/1930 წწ.-ში სექციის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ. 1929 წლის მეორე ნახევარში, სექციის სასი-თან გაერთიანების შემდეგ, კონფერენციის მოსაწვევად დაიწყო პრაქტიკული საორგანიზაციო მუშაობა. თავდაპირველად კონფერენციის მოწვევა იგეგმებოდა 1930 წლის აპრილში. ინსტიტუტის ბიურომ შექმნა საორგანიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ა.ი. ანგაროვი, ი.ლ. ბერმანი და ა.კ. სტალგევიჩი, აგრეთვე, მოიწონა კონფერენციის მოწვევის გეგმა, რომლითაც კონფერენციაზე ნაგულისხმევი იყო შემდეგი საკითხების განხილვა: სახელმწიფოს, სამართლისა და პროლეტარიატის დიქტატურის ზოგადი თეორიული პრობლემები; საბჭოთა აღმშენებლობის ძირითადი პრობლემები; სამართლებრივი განათლებისა და კადრების მომზადების პრობლემები. გეგმა დასკვნისათვის გადაეცა ინსტიტუტის სექციების ბიუროებს. კონფერენციის მოწვევის დროისა და შემადგენლობის, მომზადების ორგანიზებისა და სავარაუდო მოხსენებების შესახებ წინადადებების განზოგადების შემდეგ ინსტიტუტის ბიუროს 13 თებერვლის სხდომაზე გადაწყდა, რომ კონფერენციის მუშაობა წარმართულიყო პლენუმისა და ოთხი სექციის სხდომის ფორმით:

ყრილობის მუშაობაში 200-ზე მეტმა მეცნიერ-იურისტმა და ხელმძღვანელმა მუშაკმა მიიღო მონაწილეობა, ისინი წარმოადგენდნენ რსფსრ-ს, უკრაინის სსრ-ს, ბელორუსიის სსრ-ს, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, უზბეკეთის სსრ-ს, მათ შორის 20 [იყო] სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის სპეციალისტი.[1] მოხსენებებით წარსდგნენ: ე.ბ. პაშუკანისი – „სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული თეორიის ძირითადი პრობლემები“; ი.ლ. ბერმანი – „საბჭოები ახალ ეტაპზე“; ნ.ა. სკრიპნიკი – „საბჭოთა სახელმწიფო და ეროვნული საკითხი“; ნ.ვ. კრილენკო – „სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის შესახებ“.

ე.ბ. პაშუკანისის მოხსენება, ძირითადად, კრიტიკულ ხასიათს ატარებდა. სამართლის „გაცვლითი“ კონცეფციისათვის სიცოცხლის მიმცემი მეთოდოლოგიურ ხერხებზე უარის თქმასთან ერთად, მომხსენებელი, იმავდროულად, აკრიტიკებდა პ.ი. სტუჩკას კონცეფციას – სამართალში სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს შორის [კავშირის] გაწყვეტის გამო და მესამე გზის სახით სამართლის, როგორც „სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის მიერ გატარებული გაბატონებული კლასის პოლიტიკის“ ფორმის შემეცნებას გვთა-

---

სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის, საბჭოთა აღმშენებლობის, საბჭოთა სამართლის, კადრების მომზადებისა და სამართლებრივი განათლების. ბიუროს მომდევნო სხდომაზე კონფერენციის მოწვევა ივნისის თვეში გადაწყდა, თუმცა შემდგომში კონფერენციის მოწვევა არაერთგზის გადაიდო (АИГПАН, ф. 1, оп. 5, д. 87, л. 7; д. 133, л. 4, 11, 24-25, 118, 122; д. 78, л. 29; оп. 1, д. 10, л. 10, 13). მარქსისტი სახელმწიფომცოდნეების საზოგადოების ორგანიზაციული გაფორმების შემდეგ ყრილობის ორგანიზება იქცა მისი საქმიანობის ცენტრალურ ღონისძიებად. ზოგად წარმოდგენას იმ ამოცანების შესახებ, რომელთა გადაწყვეტაც, ამასთანავე, საზოგადოების გამგეობას ევალებოდა, მ.ი. ხაევსკის მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო შეტყობინება იძლევა. მასში ნათქვამია, რომ: „ყრილობამ, გარდა საზოგადოების მიერ გაერთიანებული ძალების საორგანიზაციო განმტკიცებისა, უნდა დასახოს საქმიანობის შემდგომი პერსპექტივები საზოგადოების პლატფორმისა და დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული მიმართვის საფუძველზე, აგრეთვე, მოისმინოს რიგი თეორიული მოხსენებებისა“. ყრილობის მოწვევას წინ უნდა უსწრებდეს რესპუბლიკური ყრილობები და ადგილობრივი კონფერენციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ყრილობის დღის წესრიგის საკითხთა წინასწარ განხილვას (Хаевский М., К деятельности Общества марксистов-государственников, „Советское государство и революция права“, №11-12, 1930, 220). საზოგადოების გამგეობის 5 ნოემბრის სხდომაზე მიიღეს ყრილობის დღის წესრიგი. გამგეობის სხდომის ოქმში, ისევე, როგორც კომუნისტური აკადემიის სასი-ის ბიუროს 13 თებერვლის სხდომის ოქმში, აღნიშნულია ოთხი სექცია, თუმცა სულ სხვა დასახელებით: საბჭოთა სამართლის, საბჭოთა აღმშენებლობის, საერთაშორისო სამართლის, მეთოდურ-პედაგოგიური (АИГПАН, ф. 1, оп. 1, д. 10, л. 32).

[1] АИГПАН, ф. 1, оп. 1, д. 20, л. 1-2. (მასსია, ფ. 1, აღწერ. 1, საქმე 20, ფურც. 1-2).

ვაზობდა.[1] მოხსენებაში შემდგომი განვითარება აღნიშნულ თეზისს არ მიუღია; სამართლის მხოლოდ ერთი ფუნქციური თვისების აღნიშვნით, ის [იგულისხმება მოხსენება – მთარგმნელი] ვერ გამოდგება სამართლის ცნების დეფინიციის შემუშავების საფუძვლად.

ე.ბ. პაშუკანისი აღიარებდა, რომ მის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიური ხერხები „ხელს უშლიდნენ საბჭოთა სამართლის, როგორც გარდამავალი პერიოდის, იმ განსაკუთრებული სამართლის შესახებ საკითხის მკვეთრ დაყენებას, რომელიც ხარისხობრივად განსხვავდება ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური საზოგადოების სამართლისაგან“[2] და განსხვავებით თავისი უწინდელი გამოსვლებისა, საბჭოთა სამართლის შემეცნებისას [ის] აღარ მოუწოდებდა, რომ ძირითადი ყურადღება სამართლის კვდომაზე გამახვილებულიყო, არამედ გვთავაზობდა, რომ ძალისხმევა კონცენტრირებულიყო საბჭოთა სამართლის განსაკუთრებული თვისებისა და ერთიანობის შემეცნებაზე, საბჭოთა სამართლის რეკონსტრუქციასა და რეფორმების ხერხების რევოლუციური ხერხებით ჩანაცვლებაზე. საბჭოთა სამართლის განსაკუთრებული თვისება მას გამოჰყავდა პროლეტარიატის გაბატონებულ კლასად გარდასახვის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და წარმოების საშუალებებისა და იარაღების ნაციონალიზაციის ფაქტიდან, ხოლო სამართლის ერთიანობა – მუშათა კლასის ერთიანობის პოლიტიკიდან. მიუხედავად იმისა, რომ პირველად მოხდა საბჭოთა სამართლის პროლეტარული ბუნების აღიარება, ე.ბ. პაშუკანისი მაინც განაგრძობდა საბჭოთა სამართლის იურიდიული სისტემის შექმნის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის უარყოფას.

ყრილობის უდიდესი მონაპოვარი იყო თეორიული პლატფორმის ფორმულირება, რომლის ირგვლივ შემდგომში უნდა გაერთიანებულიყვნენ მთელი ქვეყნის მეცნიერ-იურისტები. მარქსისტი სამართალმცოდნეების ზოგადი ამოცანების სახით, ყრილობის რეზოლუციაში ჩამოთვლილი იყო: ვ.ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის ღრმა და ყოვლისმომცველი შესწავლა, სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ლენინური მოძღვრების ოპორტუნისტულ შეუფასებლობასთან ბრძოლა; საბჭოთა სამართლის განსაკუთრებული თვისების აღიარება, რომელიც მისი კლასობრივი არსიდან გამომდინარეობს; სამართლის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა და სამართლის მეცნიერებაში მემარჯვენე და მემარცხენე „უკლონების“ გამოვლინების აღმოფხვრა. „საბჭოთა სამართლის თეორია – ხაზგას-

[1] Пашуканис Е., Основные проблемы марксистской теории права и государства, „Советское государство и революция права“, №1, 1931, 23.

[2] იქვე, 24.

მულია ყრილობის რეზოლუციაში – პრაქტიკაში პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის იარაღად უნდა იქცეს“.[1]

სამართლის თეორიაში დასახული შემობრუნების არსს ყრილობა საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ეკონომიკასთან, კლასობრივ ბრძოლასა და ახალი სოციალისტური საწარმოო ურთიერთობების ფორმირებასთან კავშირში, რევოლუციურ-კლასობრივი შინაარსის შემეცნებისათვის ძალისხმევის კონცენტრირებაში ხედავდა.

ყრილობამ, არსებითად, აღიარა მემკვიდრეობითობის აუცილებლობა სამართლის მარქსისტულ-ლენინური ზოგადი თეორიის განვითარების [საქმეში]. ყრილობამ დაასახელა რა სამართლის მარქსისტულ-ლენინური ზოგადი თეორიის გამოჩენილ წარმომადგენლებად პ.ი. სტუჩკა და ე.ბ. პაშუკანისი, [მოახდინა] იმის კონსტატაცია, რომ ხელმძღვანელმა თეორეტიკოსებმა შეძლეს, აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა გავრცელებულ თვითკრიტიკაში და სათავეშიც ჩასდგომოდნენ მას, და გამოხატა რწმენა, რომ „შემობრუნება მოხდება მაქსიმალური სისწრაფით და უახლოეს მომავალში დადებით შედეგებსაც მოგვცემს“.[2] თუმცა ყრილობაზე მათ მიერ შემუშავებულ სამართლის კონცეფციებს ერთნაირი ბედი არ რგებიათ. წიგნის – „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი“ – მიმართ ყრილობის რეზოლუციაში ჩამოთვლილი მეთოდოლოგიური ნაკლოვანებებით, არსებითად, ამოიწურება, მთლიანობაში, სამართლის „გაცვლითი“ კონცეფცია. თავისი უწინდელი შეხედულებები მთლიანად უარყო მისმა ფუძემდებელმა. ე.ბ. პაშუკანისმა კი თავის დასკვნით სიტყვაში განაცხადა: „...ის, რომ ე.ბ. პაშუკანისის წიგნში – „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსისზმი“ – სწორია, ფასეულია და დადებითი მნიშვნელობა აქვს, ეს არახალია. ეს არის მარქსის, ენგელსისა და ლენინის ზოგიერთი დებულების სისტემატიზაცია... ის, რაც ავტორის მიერ თავისით არის დამატებული, და ისიც, რაც პრეტენზიას აცხადებს სამართლის ზოგადი თეორიის ტიტულზე – არასწორია...“ და შემდეგ: „...სამართლის მარქსისტული თეორიის შემეცნების საგანი არ შეიძლება იყოს ფორმა, როგორც ასეთი, და თანაც, აბსტრაქტულ კატეგორიებში ასახული“.[3]

ყრილობაზე პ.ი. სტუჩკას შეხედულებებიც გააკრიტიკეს, ძირითადად, მისი ცალკეული დებულებები სამოქალაქო სამართლის თეორიის შესახებ. სამართლის ზოგადი თეორიის სფეროში ყველაზე სერიოზული საყვედური

---

[1] Резолюция I Всесоюзного съезда марксистов-государственников и правоведов по докладам Е. Пашуканиса и Я. Бермана, „Советское государство и революция права“, №3, 1931, 150.

[2] Резолюция I Всесоюзного съезда марксистов-государственников и правоведов по докладам Е. Пашуканиса и Я. Бермана, „Советское государство и революция права“, №3, 1931, 150.

[3] АИГПАН, ф. 1, оп. 1, д. 14, л. 83-84.

[გამოითქვა] საწარმოო და სამართლებრივი ურთიერთობების გაიგივების გამო – როგორც რაღაც [გაურკვეველი] მექანიკური მეთოდოლოგიის გავლენის შედეგი. მთლიანობაში, სამართლის პ.ი. სტუჩკასეულმა კონცეფციამ გამოცდას გაუძლო, როგორც ყველაზე თანმიმდევრულმა მარქსისტულ-ლენინურმა კონცეფციამ და, როგორც ასეთს, შეეძლო, გამხდარიყო შემდგომი სამეცნიერო ძიებების საწყისი წერტილი.

ყრილობის [ჩატარებით] დასრულდა სამართლის ზოგადი თეორიის საბჭოთა მეცნიერების განვითარების თავისებური ეტაპი, როცა, ერთიანი მეცნიერების ფარგლებში, რამდენიმე მიმართულება ან კონცეფცია არსებობდა. ეს იყო ობიექტური მიზეზები. სამართლის მარქსისტულ-ლენინური ზოგადი თეორია, როგორც სპეციალური იურიდიული მეცნიერება და შესაბამისი სასწავლო დისციპლინები, პირველად საბჭოთა კავშირში შემუშავდა. თეორიულ სამუშაოს ართულებდა ის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებები სამართალზე სრულად და სისტემატიზებული სახით არსად იყო ჩამოყალიბებული და კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ლენინის მრავალი ნაშრომი, რომელთაც სამართლის შესახებ ზოგადთეორიული მეცნიერების შემუშავებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდათ, რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში მკვლევრებისათვის არ იყო ხელმისაწვდომი. ასე, მაგალითად, მხოლოდ 1927 წელს გამოქვეყნდა კ. მარქსის ნაშრომი – „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“, 1933 წელს კი რუსულ ენაზე კ. მარქსის „გერმანული იდეოლოგია“. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რიგი უმნიშვნელოვანესი ნაშრომებისა, მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობა გამოქვეყნდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა პირველ გამოცემაში, რომლის გამოსვლაც 1928 წლიდან დაიწყო. ვ.ი. ლენინის თხზულებათა კრებულის პირველი გამოცემა 1920-1926 წწ.-ში განხორციელდა. ოქტომბრის შემდგომ პირველ წლებში თითქმის არ არსებობდნენ მარქსისტულად მომზადებული მეცნიერ-იურისტების კადრები. მხოლოდ ოციანი წლების ბოლოს – ოცდაათიანი წლების დასაწყისში გაჩნდა ყველა აუცილებელი წინაპირობა იმისათვის, რათა, სამართლის ზოგადი თეორიის შემუშავებისათვის არა მხოლოდ აღიარებული იქნეს ლენინის თეორიული მემკვიდრეობის გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ საქმით გაერთიანებულიყვნენ ერთიანი კონცეფციის – თავისი არსით, თანმიმდევრულად მარქსისტულ-ლენინურის – ირგვლივ.

ოქმი № 1*

CHP-ის წევრთა საერთო კრებისა სტუდენტურ აქტივთან ერთად

1931 წლის 17 თებერვალი

ესწრებოდნენ ამხანაგები: სურგულაძე, ბაქრაძე, ვაჩეიშვილი, შურღაია, რამიშვილი, სოსელია, ჯაფარიძე, ბოჭორიშვილი, ნათაძე, ფურცელაძე, ძაძამიძე, მარკევიჩი, მირიანაშვილი, ბარდაველიძე, ბერიძე (15 ადამიანი) და 25 სტუდენტი

კრება დაიწყო 8 საათზე და დამთავრდა 11 საათზე

თავმჯდომარე: ამხანაგი ძაძამიძე
მდივანი: ამხანაგი მარკევიჩი

მოისმინეს:

1. პროფ. ნათაძის მოხსენება: ამხანაგ როტშტაინის არჩევის დროს სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა ჯგუფის რეაქციული გამოსვლა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა ამხანაგი როტშტაინის დახასიათებაზე, როგორც გამოჩენილი ისტორიკოსისა, და განიხილა მისი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ნაშრომები („ნარკვევები ინგლისში მუშათა მოძრაობის შესახებ“, „ინგლისელები ეგვიპტეში“ და „ეგვიპტის დაპყრობა და დამონება“). სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიაში ამხანაგი როტშტაინის ბალატირების დაბლოკვის მიზეზებზე მსჯელობისას მომხსენებელმა პირდაპირ მიუთითა, რომ აღნიშნულის ჭეშმარიტი მიზეზი არის არა მისი ნაშრომების „ანტიმეცნიერული ხასიათი“, არამედ ის გარემოება, რომ ამხანაგი როტშტაინი არის სკპ(ბ)-ის წევრი. ამიტომ ამხანაგი როტშტაინის ბალატირების დაბლოკვა რეაქციონერი აკადემიკოსების ჯგუფის მიერ უნდა განიხილებოდეს როგორც პოლიტიკური აქტი. „ჩვენ უნდა ვითხოვდეთ, – ასრულებს საკუთარ მოხსენებას პროფ. ნათაძე, – რომ სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიაში მსგავს აქტებს აღარ ჰქონდეს ადგილი“.

ამხანაგი სოსელია შეჩერდა აკადემიის შემადგენლობის კომუნიზაციის აუცილებლობაზე. განიხილავს მომხსენებლის მიერ მოყვანილ ფაქტს, რო-

---

* ოქმი შედგენილია რუსულ ენაზე 1931 წელს. დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 336, ანაწერი 1, საქმე 285, ფურცლები: 10-10ა-11-11ა. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

გორც პოლიტიკურ აქტს და აუცილებლობად მიიჩნევს პროტესტის შეტანას აკადემიკოსთა ჯგუფის გამოსვლის გამო.

პროფ. სურგულაძემ საკუთარ გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ აკადემიკოსთა ჯგუფის გამოსვლა უნდა შეფასდეს როგორც კონტრრევოლუციური აქტი და ამის გამო აუცილებლობად თვლის, [რომ] ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი შეუერთდეს პროტესტს აღნიშნული გამოსვლის გამო.

ამხანაგი ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ეს აღარ არის აკადემიკოსთა ჯგუფის გამოსვლის პირველი შემთხვევა. ამხანაგი როტშტაინის შემთხვევა კი, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი, წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ამხანაგი ბაქრაძე აუცილებლობად მიიჩნევს, არა მხოლოდ შეუერთდნენ პროტესტს, არამედ მოითხოვონ, რომ აკადემიაში არჩევის დროს უარყოფილ იქნეს არჩევის ძველი წესი და ყველა სამეცნიერო დაწესებულებისათვის გამოიყენებოდეს სსრკ-ისათვის ჩვეული არჩევნების წესი. შემოტანილ იქნა პროფ. ნათაძის მოხსენების მიმართ რეზოლუციის პროექტი. ამხანაგებმა: სოსელიამ, ბოჭორიშვილმა და ძაძამიძემ შეიტანეს შესწორებები (იხ. რეზოლუცია).

დაადგინეს:

1. საფუძვლად იქნეს მიღებული შემოტანილი რეზოლუცია თავისი შესწორებებით და დაევალოს МБ CHP-ს, საბოლოოდ მოახდინოს რეზოლუციის რედაქტირება და გადაიგზანოს ის სკპ (ბ) ცკ-ში.

მოისმინეს:

2. პროფ. ვაჩეიშვილის მოხსენება სტუდენტებსა და პედაგოგიურ პერსონალს შორის სოციალისტური შეჯიბრისა და დამკვრელობის შესახებ.

მომხსენებელი აცნობს დამსწრეებს სტუდენტებსა და პედაგოგიურ პერსონალს შორის შეჯიბრისა და დამკვრელობის ცალკეულ მომენტებს და სოციალისტურ შეჯიბრსა და დამკვრელობაში იწვევს საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის [სტუდენტებსა და პედაგოგიურ პერსონალს]. ამხანაგი ვაჩეიშვილი აცხადებს, რომ დღემდე არ არსებობს მასალები სოციალისტური შეჯიბრისა და დამკვრელობის შესრულების თაობაზე. ხოლო სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის შიგნით, აღნიშნულ სფეროში ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა. შემდეგ მომხსენებელმა დასახა სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალს შორის სოციალისტური შეჯიბრისა და დამკვრელობის ცალკეული პუნქტები. ელემენტარული პუნქტების რიცხვს მიეკუთვნება: 1. ლექციებზე უწყვეტი დასწრება; 2. ლექციებზე დაგვიანების გარეშე დასწრება. შემდეგ დაისახება პუნქტები: 3. ჩამორჩენილ სტუდენტებთან მუშაობა; 4. ასპირანტურაში წარდგენილებთან მუშაობა; 5. მეცადინეობისას ასპირანტებისათვის დახმარების გაწევა; 6 ქართულ ენაზე აუცილებელი ლიტერატურის

თარგმნა; 7. ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომები. სოციალისტური შეჯიბრისა და დამკვრელობის ფორმები ივარაუდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტივის [მიმართ] (მაგალითად, კათედრა).

ამხანაგმა ძაძამიძემ ხაზი გაუსვა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოთა არასაკმარის რაოდენობას, რაც ხელს უშლის მეცადინეობათა ჩატარების ლაბორატორიულ გეგმას. გვთავაზობს, ცენტრალური ინსტიტუტების მსგავსად, უკიდურეს შემთხვევაში, ძირითადი დისციპლინების მიმართ, ქრესტომათიების გამოცემას მაინც. თვლის, რომ დროა, გამოიცეს ინსტიტუტის სპეციალური ბიულეტენები, სადაც განთავსდება: ა) დავალება ცალკეული საგნების მიმართ, ბ) კონსპექტები ცალკეული საგნების მიმართ და სხვ. ბიულეტენების გამოცემის სამუშაო უნდა ჩატარდეს კოლექტიურად და ცალკეულ კათედრებზე უნდა იქნეს ორიენტირებული. აგრეთვე, ამხანაგი ძაძამიძე თვლის, რომ, სოციალისტური შეჯიბრის წესით, სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს ყველა არსებული გამოცემა და პროგრამა, მათი იდეოლოგიური მდგრადობის თვალსაზრისით.

ამხანაგმა სურგულაძემ ხაზი გაუსვა ცალკეულ კათედრებს შორის სოციალისტური შეჯიბრის აუცილებლობას, აგრეთვე – ინდივიდუალურისას.

ამხანაგი ბოჭორიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ, ფაქტობრივად, პედაგოგიური პერსონალს შორის მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრი, თუმცა ის არ აღირიცხება და ამიტომაც არ ფიქსირდება შედეგი.

სტუდენტობის წარმომადგენელი ხაზს უსვამს იმ სირთულეს, რომელიც წარმოიშობა დავალებათა დამუშავების დროს, სტუდენტების მიერ რუსული ენის არასათანადოდ ცოდნის გამო და აუცილებლობას, [რომ] 1) ქართულ ენაზე გამოიცეს დამხმარე სახელმძღვანელოები და 2) პედაგოგიური პერსონალის მხრიდან დახმარება გაეწიოთ რუსულ ენაზე ლიტერატურის ასათვისებლად.

დაადგინეს:

2. ინსტიტუტის შიგნით სოციალისტური შეჯიბრისა და დამკვრელობის შტაბში პედაგოგიური პერსონალის მხრიდან შეყვანილი იქნენ ამხანაგები: ვაჩეიშვილი, სოსელია და ბოჭორიშვილი. წინადადება მიეცეთ მათ, რათა 5 დღის ვადაში წარმოადგინონ ამომწურავი მასალები ინსტიტუტის შიგნით სოციალისტური შეჯიბრისა და დამკვრელობის განვითარებისა და შემდგომი გაღრმავების თვალსაზრისით.

მოისმინეს:

3. ამხანაგი ძაძამიძის საინფორმაციო მოხსენება МБ ÑÍÐ-ÈÑ ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. თავის საინფორმაციო მოხსენებაში ამხანაგი ძაძამიძე ყურადღებას ამახვილებს გასულ პერიოდში МБ ÑÍÐ-ÈÑ მუშაობის საკვან-

ძო მომენტებზე და ხაზს უსვამს ინსტიტუტის სამეცნიერო-პედაგოგიური ძალების განახლების განსაკუთრებულ ფასეულობას ასპირანტურის მომზადებისა და ასპირანტურაში წარდგენილი სტუდენტების სპეციალური მომზადების ირგვლივ. მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით ყველა პროგრამისა და გამოცემის იდეოლოგიური გადამუშავებისა და პროგრამებში ყოველგვარი იდეოლოგიური დამახინჯებების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საკითხის განხილვისას მომხსენებელმა მიუთითა რგოლური მუშაობის წესით პედაგოგიური პერსონალის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობაზე დიამატისა[1] და ისტმატის[2] სფეროებში. აღნიშნული მიზნით, უმოკლეს ვადაში, მუშაობა უნდა დაიწყოს დიამატის შემსწავლელმა რგოლმა. დასკვნით სიტყვაში ამხანაგი ძაძამიძე შეჩერდა ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც უკავშირდება ÑÍÐ-ÈÑ წევრთა მატერიალურ-ყოფით პირობებს.

დაადგინეს:

3. მიღებულ იქნეს ცნობად და МБ ÑÍÐ-ÈÑ დაევალოს პროგრამულ-მეთოდური მასალის გადახედვის დაჩქარება და [აღნიშნულის შესახებ] შედეგები ეცნობოს ÑÍÐ-ÈÑ წევრთა საერთო კრებას.

მოისმინეს:

4. ამხანაგი მარკევიჩის საინფორმაციო მოხსენება მეცნიერ-მუშაკთათვის ანაზღაურების საშტატო-სახელფასო სისტემის თაობაზე დებულებების გამოყენების საკითხის გამო МБ СНР 10/12/30 წლის №221/001 ცირკულარული წერილისა და ხელფასის თაობაზე 30/12/30 წლის სსრკ-ის №453/79 ინსტრუქციის შესახებ.

დაადგინეს:

4. მიღებულ იქნეს ცნობად.

თავმჯდომარე: (ხელმოწერა)[3] /ძაძამიძე/
მდივანი: (ხელმოწერა)[4] /მარკევიჩი/

დანართი: რეზოლუცია[5]

---

1 დიალექტიკური მატერიალიზმი [რედ.].
2 ისტორიული მატერიალიზმი [რედ.].
3 ხელმოწერილია მელნით [რედ.].
4 ხელმოწერილია მელნით [რედ.].
5 არქივში დაცულ დოკუმენტაციას რეზოლუცია არ ახლავს [რედ.].

ცკ-ის სამდივნოს დადგენილება 23/11-32 წ.*

საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის შესახებ

ცკ-ი აღნიშნავს, რომ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის კომუნისტურმა რგოლმა ამხანაგი სტალინის წერილის გადამუშავების დროს დროულად განავითარა ბოლშევიკური ბრძოლა ანტიმარქსისტული ძალების, სამართლისა და სახელმწიფოს სფეროში ანტილენინური თეორიებისა და კონტრრევოლუციური ტროცკიზმის რეციდივების წინააღმდეგ.

ინსტიტუტის პარტორგანიზაციას, აღნიშნულთან დაკავშირებით, უდავოდ აქვს მიღწევები.

თუმცა კომუნისტური რგოლის ბიუროდან ზოგიერთმა წევრმა (ამხანაგებმა: ჯინჭარაძემ, სულუხიამ, ძაძამიძემ) დაუშვა „მემარცხენე“ შეცდომები ძველი დროის ზოგიერთი პროფესორის (სურგულაძე და სხვ.) გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებმაც გადადგეს ნაბიჯები მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისზე გადასვლის კუთხით, რითაც არცთუ იშვიათად იყენებდნენ იდეურად პრინციპული ბრძოლის ნაცვლად შიშველ ადმინისტრირებას (მოთხოვნა მათი დაუყოვნებლივი გათავისუფლებისა ინსტიტუტში მუშაობიდან, უარის თქმა, წარმოედგინათ თვითკრიტიკული საჯარო მოხსენებები წინასწარ გაწერილი თეზისების სახით, ყოველგვარი წინაღობის შექმნა პარტიაში სურგულაძის მიღების საკითხის განხილვაზე და ა.შ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამდივნო ადგენს:

1. სამდივნოს უწინდელი დადგენილება პროფ. სურგულაძის, პროფ. ნანეიშვილისა და პროფ. ვაჩეიშვილის კათედრის გამგეებად და ლექტორებად დატოვების შესახებ დარჩეს ძალაში.

2. სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების, აგრეთვე, სხვა სოციალურ-ეკონომიკური დისციპლინების სწავლების სათანადო სიმაღლეზე აღზევების მიზნით, ცკ-ის კულტპროპ-ს შევთავაზოთ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის გაძლიერება გამობრძმედილი პარტიელი მეცნიერ-მუშაკებით და 1932 წელს მოვაწყოთ ასპირანტურა არანაკლებ 10 ადამიანის ოდენობით, რათა შეიქმნას სამართალ-[მცოდნე] და სახელმწიფომცოდნე პარტიული კადრები.

---

* დადგენილება შედგენილია რუსულ ენაზე 1932 წელს. დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 336, ანაწერი 1, საქმე 138, ფურცლები: 1-2-2ა. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის მიერ** და ქვეყნდება პირველად [რედ.].

3. ორჯონიკიძის სახელობის რკ-ს შევთავაზოთ, გადაიხედოს ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტილება ამხანაგ კვირკველიას მიმართ.

გვ. 5/27.
სწორია – მილშტაინი
ასლი დედანთან სწორია – /მ. ფილიშვილი/
ინსტიტუტის კანცელარიის გამგე

ცნობა*

ჯაფარიძე სერგი დავითის ძე

----[1] წლის, ქართველი, უმაღლესი განათლებით, ყოფილი ნაფიცი რწმუნებული, პოლიტიკური მრწამსით – სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), იყო II მოწვევის ერთ-ერთი სახელმწიფო დუმის წევრი, შემდეგ – მენშევიკების დროს, ჟორდანიას მთავრობის საქმეთა მმართველი, იურისკონსულტი, ხოლო შემდეგ – იუსტიციის მინისტრის ამხანაგი.[2] მენშევიკების დროს ტრიალებდა სამთავრობო წრეებში [და] მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სხვადასხვა სახის საკანონმდებლო კომისიებში, როგორებიცაა: მის მიერ არის შედგენილი თურქეთთან [დადებული] ხელშეკრულება, მასვე მიეწერება ჩხენკელის მიერ თურქებისათვის ყარსის ოლქის ჩაბარება, ვინაიდან ჩხენკელი მხოლოდ მასთან თათბირობდა, გარდა ამისა, ის გარეულია დენიკინთან [წარმოებულ] მოლაპარაკებებში, სხვადასხვა პროექტისა თუ მოლაპარაკებების მომზადების თვალსაზრისით და სხვ... ის, ჯაფარიძე, იყო საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი.

1926 წელს ჯაფარიძემ ნაღდი ფულით იყიდა 15 ათასი მანეთის ღირებულების სახლი. ჯაფარიძე ცნობილი კომბინატორია, პოლიტიკურ ურთიერთობებში ძალზე დაფარულია და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ საკმაოდ არალოიალური.

1922 წელს დაპატიმრებული იყო კონტრრევოლუციის გამო და [დანაშაულის] დაუმტკიცებლობის საფუძვლით გაათავისუფლეს.

საფუძველი: ს/ს №578-22 წ., არქივი №1782-22 წ., ს/ფ №1394-26 წ., ს/ფ №750-25 წ., არქივი №2153-26.

რწმუნ. მე-2 გრ. (ხელმოწერა)[3] /კავთელაძე/

---

* ცნობა შედგენილია რუსულად საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წელს. დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 225, ფურცელი 2. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

1 დედანში გამოტოვებულია ადგილი, მაგრამ მითითებული არ არის ს. ჯაფარიძის ასაკი. 1929 წლისათვის, როდესაც შედგენილია ეს დახასიათება, სერგი ჯაფარიძე 58 წლის გახლდათ [რედ.].

2 ამხანაგში იგულისხმება მოადგილე [რედ.].

3 ხელმოწერილია ფანქრით [რედ.].

სრული კმაყოფილებით ვესალმებით*

ათი დღის განმავლობაში ჩვენს წინაშე ჩაიარა დანაშაულებათა ზღვამ, რომელთა შორის თვითეულის სახელია – სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, მკვლელობა და მშრომელი ხალხის ტერიტორიით სისხლიან ფაშისტებთან ვაჭრობა.

კაცობრიობის ისტორიაში ბევრ აღმაშფოთებელ პროცესებს ჰქონია ადგილი, საშინელ ბოროტმოქმედებს გაუვლიათ სხვადასხვა დროს სასამართლოების წინაშე, მაგრამ არც ერთ პროცესზე ამდენი სისაძაგლე, ცბიერება და ვერაგობა არ გამოაშკარავებულა.

ყველამ უნდა იცოდეს რომ დიდი სტალინი ძლიერია 170 მილიონიან ბედნიერთა გულის სიყვარულით და მთელი მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობით. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მისი ხელმძღვანელობით გაკეთებული საქმე ყოველ[ი] პატიოსანი ადამიანის თვითმოყვარეობის საფუძველია და თვითეულ[ი] ჩვენგანის ცხოველი ბუნების განუყრელი ნაწილი.

სრული კმაყოფილებით ვესალმებით ჩვენ გამოტანილ განაჩენს. კმაყოფილნი ვართ, რომ ხალხის მტრებს ჩვენი სამშობლოს მოღალატეებს, ბედნიერი ცხოვრების დარღვევის მსურველებს საკავშირო უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სამართლიანი მსჯავრი გამოუტანა.

დღეს, როგორც არასოდეს ჩვენ ვიგრძენით გამოუთქმელი სიყვარული საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობისადმი: ამხ. სტალინის და მისი თანამებრძოლებისადმი და, კერძოდ, კი ამხ. ლ. ბერიას მიმართ. ამ განაჩენმა ჩვენ უფრო გაგვამხნევა და გაგვამაგრა. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ როგორ ფხიზლად სდგას ჩვენი მთავრობა და პარტია ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. დავინახეთ, თუ როგორ მუსრავს საბჭოთა მართლმსაჯულების ბასრი მახვილი ხალხის მტრებს.

პროფ. გ[იორგი] ნანეიშვილი

---

* პირველად გამოქვეყნდა გაზეთში – „ბოლშევიკური კადრებისათვის“, 5 თებერვალი, №5, 1937 (რუბრიკა: ხალხის მოღალატეებმა და გამყიდველებმა საკადრისი სასჯელი მიიღეს) [რედ.].

პროფესორ გიორგი (ზოზო) ნანეიშვილის გამოკვლევის – „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ – რეპრესირების ისტორია*

გ[იორგი] (ზ[ოზო])[1] ნანეიშვილის სტატია – „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ აიწყო და დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების VI ტომში (1937).

ეს ტომი იკინძებოდა, ავტორთათვის ამონაბეჭდებიც მზადდებოდა, როდესაც დააპატიმრეს ზოზო ნანეიშვილი და სხვა პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, თვით „შრომების“ რედაქტორი (იგივე რექტორი – კ[არლო] ორაგველიძე[2]).

---

* პროფესორ გიორგი (ზოზო) ნანეიშვილის გამოკვლევის – „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ – 1937 წელს დასაბეჭდად მომზადებული ერთადერთი ავთენტური ეგზემპლარი და ნაშრომის „რეპრესირების“ შესახებ ისტორია ინახება თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში. საქაღალდეზე არის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ხელით შესრულებული წარწერა: „საგანგებო ცვა-ფარვაში. ჩემი ნებართვის გარეშე არ გაიცეს. პ. გუგუშვილი (7.2.75)“. მასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს ქალბატონ **რუსუდან თავართქილაძეს**. ზემოთ მითითებული ნაშრომი გამოქვეყნდა კრებულში: ქართული სამართლის კლასიკა, წიგნი II, ეძღვნება პროფესორ გიორგი ნანეიშვილის 125 წლის იუბილეს, ***ზ. კორძაძისა*** და ***თ. ნემსწვერიძის*** რედაქტორობით, თბილისი, 2019, 240-262. აკადემიკოს პ. გუგუშვილის მიერ მომზადებული ისტორია დასათაურებულია – „ცნობა“, წინამდებარე სათაური ეკუთვნის კრებულის სამეცნიერო რედაქტორს. ტექსტის შინაარსის აღქმის გამარტივების მიზნით გადავწყვიტეთ, სპეციალურად დამაზუსტებელი სიტყვები ან ასოები ჩაგვემატებინა ოთხკუთხა კავებში ([...]), რითაც გარჩევადი იქნება ტექსტის ავტორისეული ვერსია და სამეცნიერო რედაქტორის მიერ ტექსტის გაგების მიზნით გაკეთებული ჩანართები. პროფ. ნანეიშვილის ბოლონაკლული გამოკვლევის ჩვენამდე მოღწეულ ბოლო, 128-ე გვერდზე პაატა გუგუშვილის მიერ შავი მელნით მითითებულია შემდეგი:

„----- --------“ [პირველი სიტყვა გადახაზულია ლურჯი მელნით, ხოლო მეორე – შავი მელნით; შენიშვნა: სიტყვების ამოკითხვა შეუძლებელია – თ.ნ.].

„ავტორი დააპატიმრეს და მერმე, ცხადია, მისი ნაწერიც ამოღებულ იქნა „შრომებიდან“, რომელიც სტამბიდან ჯერ კიდევ არ გამოსულიყო.

პ. გუგუშვილი

1937.X.15“ [თარიღი მითითებულია ლურჯი მელნით] [თ.ნ.].

1 პროფ. გიორგი ნანეიშვილს მეგობრები და კოლეგები ეძახდნენ ზოზოს [თ.ნ.].

2 „წითელი“ პროფესორი კარლო ორაგველიძე (1902-1937) – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „წითელი“ რექტორი 1935-1937 წლებში, 1936 წლის 23 მარტს თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მოხსენება – „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“, რომლის უმთავრესი მიზანი

თსუ[-ის] შრომები და სხვა წიგნებიც დააკავეს, მათ შორის, ჩემი – „Сельское хозяйство и и аграрные отношения, ტომი I[1]“, რომლის რედაქტორი იგივე პროფ. კ. ორაგველიძე იყო.

როდესაც ჩემი წიგნის ბედით დაინტერესებულმა უნივერსიტეტის გამომცემლობაში შევიარე, დაჟინებითი თხოვნის შემდეგ ნება მომცეს სტამბაში ჩავსულიყავი, სადაც ვიხილე: თსუ[-ის] შრომების VI ტომს „ამუშავებდნენ“, დაპატიმრებულთა სტატიებისაგან „სწმენდდ[ნ]ენ“. იქვე ეყარა მოსასპობად გადარჩეული ამონაბეჭდებიც.

მე ნება მომცეს წამომეღო ჩემი უკვე დაბეჭდილი წიგნის აუკინძავი კომპლექტი (საჭირო იყო სხვა რედაქტორის გამოძებნა) და თაბახები თსუ[-ის] შრომების VII ტომიდან ჩემი სტატიისა, რომელთაც შეცდომით გამოყვა გ. ნანეიშვილის სტატიის წინამდებარე ამონაბეჭდი, რომელსაც ბოლო აკლია.

მახსოვს ამ დროიდან დაახლოებით 1 წლით ადრე, როდესაც ჩემი ხსენებული წიგნის გამოცემის თაობაზე მქონდა საუბარი რექტორთან, – შემოვიდა პროფ. ნანეიშვილი (რომელსაც იმ ხანებში კრებებზე ხშირად უსაყვედურებდნენ – რომ არაფერს არ წერდა) და თან შემოიტანა ხელნაწერებით სავსე პორტფელი; ამოალაგა 5 თუ 6 თემაზე დაწერილი გამოკვლევები:

– „აი, ხელნაწერები, დასაბეჭდად მომზადებული, მაგრამ რა ვქნა, არსად არ მიბეჭდავენო“ [განაცხადა პროფ. ნანეიშვილმა].

სწორედ მაშინ დაიტოვა კ. ორაგველიძემ წინამდებარე და თუ არ ვცსდები, კიდევ ერთი სტატიის ხელნაწერი გამოსაქვეყნებლად. რედაქტორს (რომელსაც მასალათა სასტამბოდ მომზადებაში, სტილისტურ რედაქციაში მეც ვეხმარებოდი) შემდეგ ორ-სამჯერ მოუხდა ჩემთან საუბარი ზოზო ნანეიშვილის, მისი გაგებით, განვრცობილი და მძიმე სტილით დაწერილი ნაშრომების შესახებ.

თსუ[-ის] შრომები[ს] VI ტომი თითქმის ერთი წლის დაგვიანებით გამოიცა. ამოღებულთა ნაცვლად ადგილები სხვა ავტორთა სტატიებით შეავსეს. კერძოდ, ნანეიშვილის სტატიის ადგილი ს. ჯიქიას და ქ. ლომთათიძის გამოკვლევებმა დაიკავეს[2].

პაატა გუგუშვილი

უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის, განადგურება იყო [თ.ნ.].

[1] ***Гугушвили П.В***., Сельское хозяйство и аграрные отношения, т. 1, Дореформенный период, Тбилиси, 1937 [თ.ნ.].

[2] თსუ-ის შრომების VI ნომერი გამოქვეყნდა 1938 წელს. პროფ. გიორგი ნანეიშვილის ნაშრომი უნდა დაბეჭდილიყო 115-138 გვერდებზე, მაგრამ ავტორის რეპრესირების შემდეგ რეპრესირებულ იქნა მისივე გამოკვლევაც და მისი ადგილი დაიკავეს შემდეგმა ნაშრომებმა: ***Джикия С***., Об одном морфологическом явлении в ахалцихском наречии анатолийско-турецкого языка, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1938, 115-122; ***ლომთათიძე ქ***., ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1938, 123-138. ჟურნალი წარმოებას გადაეცა 1937 წლის 14 თებერვალს, დასაბეჭდად ხელმოწერილია 1937 წლის 26 ივნისს, ხოლო ბეჭდვა დამთავრდა 1937 წლის 29 ივნისს, მაგრამ წერილში მითითებული გასაგები მიზეზების გამო 1938 წელს გამოქვეყნდა [თ.ნ.].

24/7/63

P.S. გ. ნანეიშვილის ეს სტატია რამდენიმე წლის წინად მთხოვა პროფ. თინათინ წერეთელმა, მაგრამ მაშინ ვერ მივაგენი – შერეულ ფონდებში ჩაკარგულს. დღეს შემთხვევით მოინახა და ესაა მომაქვს ეკონომიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკისათვის.

ბ.პ.

თსუ[-ის] სამეცნიერო ნაწილის პრორექტორს
პროფესორ ს.მ. ჯორბენაძეს[1]

პროფ. გ. ნანეიშვილის შრომების გამოცემასთან დაკავშირებით გთხოვთ, მისცეთ განკარგულება ასლების გადამღებ ლაბორატორიას, რომ გადაიღოს გ. ნანეიშვილის სტატია: „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“. სტატია დაიბეჭდა 1937 წელს უნივერსიტეტის შრომებში. გავრცელებიდან ამოიღეს – ავტორის დაპატიმრების გამო. ამავე №-ში იბეჭდებოდა პროფ. პ. გუგუშვილის სტატია, რომელმაც გადაარჩინა დაღუპვას გ. ნანეიშვილის სტატია და უკანასკნელის ერთადერთი ეგზემპლიარი ინახება ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, საიდანაც ის ვითხოვეთ.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი
/ხელმოწერილია/ **ი[ვანე] სურგულაძე**

[1] განცხადება ინახება პროფესორ გიორგი (ზოზო) ნანეიშვილის გამოკვლევის – „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ – 1937 წელს დასაბეჭდად მომზადებულ ერთადერთ ავთენტურ ეგზემპლართან და ნაშრომის „რეპრესირების“ შესახებ ისტორიასთან ერთად თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში [თ.ნ.].

თუ როგორ სრულდება ჩვენთან სკპკპ(ბ) ცკ-ის 1946 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება: „ძვეყანაში იურიდიული განათლების გაფართოებისა და გაუმჯობესების შესახებ“*

ჩვენში იურიდიული განათლების ისტორია სულ რაღაც სამ ათეულ წელს ითვლის, თუმცა მისი განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ცოდნის სხვა სფეროთა განვითარებას; მხოლოდ უკანასკნელ წლებში შეინიშნება გარკვეული ძვრები.

არ შეიძლება ისტორიის გაკვეთილების უგულებელყოფა, ამიტომაც მოკლედ შევეხები ჩვენში ამ საქმის ისტორიას. იურიდიულ ფაკულტეტს შექმნისთანავე არ გაუმართლა. საერთაშორისო სამართლის ერთადერთი ქართველი დოცენტი ავალიშვილი[1] ცხოვრობდა ლონდონში, ხოლო იმ სამი ქართველიდან, რომლებიც რუსეთის უნივერსიტეტებში რჩებოდნენ, პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად ადგილზე მხოლოდ ორი აღმოჩნდა. და, აი, „მენტორის“ როლი დაეკისრა აწ გარდაცვლილ ლ.ნ. ანდრონიკაშვილს – ცნობილ პეტერბურგელ ადვოკატს, მემარჯვენე ჰეგელიანელსა და მარ-

---

* მოხსენების რუსული დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 2098, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები: 1-8. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

1 **ზურაბ ავალიშვილი** (1874-1944) – ქართველი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, დიპლომატი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი (1909), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1917). დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1898) და იქვე დარჩა აკადემიური კარიერის გასაგრძელებლად. 1902-1904 წლებში მივლინებული იყო საფრანგეთში. 1901 წელს გამოიცა მისი ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის ნაშრომი – „საქართველოს შეერთება რუსეთთან“. 1904 წელს დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც 1906 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე – „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში ნაპოლეონის დროიდან 1905 წლამდე“. 1907-1909 და 1912-1913 წლებში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრის პრივატ-დოცენტი, შემდეგ კი პროფესორი. 1909 წელს მიიწვიეს პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორად და ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგედ. ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა იგი 1913 წლის ჩათვლით. 1912-1917 წლებში იყო ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტი. 1918 წელს ავალიშვილი საქართველოში დაბრუნდა და დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარ მრჩევლად საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში (1918-1921) ზურაბ ავალიშვილი იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. იგი იყო მკვეთრად გამოხატული ევროპული ორიენტაციის მიმდევარი. საქართველოს ინტერესებს იცავდა ბათუმის კონფერენციაზე [რედ.].

თლმორწმუნე ქრისტიანს, რომელსაც არც ბურჟუაზიულ მეცნიერებასთან ჰქონდა პირდაპირი შეხება. ნათელია, რომ მარქსისტული მეცნიერების დამნერგავის ასეთი მძიმე როლი მისთვის დაუძლეველი იქნებოდა.

ამიტომაც ადვოკატურიდან მოწვეული იყვნენ სხვა ბურჟუაზიული იურისტები.[1] სამშობლოში დაბრუნდა ის მესამეც, ვინც ემზადებოდა პროფესორის წოდების მისაღებად. და, აი, ორი იმათაგანი, ვინც ადრე პროფესორის წოდებისათვის ემზადებოდა, – ირ. სურგულაძე და გ. ნანეიშვილი, – მალევე დაამტკიცეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხში, სპეციალისტი მეცნიერ-მუშაკების არარსებობის პირობებში; ერთ-ერთი მათგანი, ნანეიშვილი, საერთოდაც გაათავისუფლეს სადოქტორო მინიმუმის ჩაბარებისაგან (მაშინ დადგენილი იყო მეცნიერებათა დოქტორის მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხი).

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა იმ სირთულის გაუთვალისწინებლობა, რაც უკავშირდება ჩვენში იურიდიული მეცნიერების ორგანიზებას – სამეცნიერო კადრების სრული არარსებობის პირობებში, თუმცა არაფრით შეიძლება გამართლდეს სრულიად ინდიფერენტული დამოკიდებულება სამეცნიერო ნაშრომების იდეოლოგიური მხარისადმი.

ირ. სურგულაძის დისერტაცია – თემაზე: „ძალა და სამართალი“[2] – გერმანულ ენაზეა დაწერილი, სავარაუდოდ, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისაგან მისი ანტიმარქსისტული შინაარსის დასაფარად. მასში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ დებულება, თითქოსდა, ეკონომიკა არის ბაზისი, ხოლო სახელმწიფო და სამართალი – ზედნაშენი, არასწორია (“ist falsch”[3]). და, აი, ასეთი „სამეცნიერო“ ნაშრომის ავტორი საბჭოთა უნივერსიტეტში იძენს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. ოფიციალური ოპონენტები კი იყვნენ ანდრონიკოვი[4] და ნანეიშვილი.[5]

მალევე ნანეიშვილსაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მკვეთრად ანტიმარქსისტული ხასიათის დისერტაციისათვის. ის ქართულ ენაზე იყო დაწერილი, ამიტომაც რთული იყო მისი

---

[1] იგულისხმებიან იურისტები – სერგი ჯაფარიძე და გრიგოლ რცხილაძე, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ დისციპლინებს ასწავლიდნენ [რედ.].

[2] მოხსენების ავტორი პროფ. სურგულაძის წიგნის სახელწოდებად მიუთითებს – „Сила и право“, რაც არ არის მართებული, ვინაიდან წიგნს ეწოდება – Gewalt und Recht/ხელისუფლება და სამართალი (რუსულად – „Власть и право“) [რედ.].

[3] დედანში სიტყვები მიწერილია ფანქრით [რედ.].

[4] იგულისხმება პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელსაც რუსეთში ანდრონიკოვის გვარით იცნობდნენ [რედ.].

[5] აქვე ხაზგასასმელია, რომ მოხსენების ავტორს გამორჩა მესამე შემფასებელი – აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე [რედ.].

ქრისტიანულ-სამღვდელო არსის დამალვა. ამჯერად ოპონენტები იყვნენ ანდრონიკოვი და სურგულაძე.[1]

იყვნენ სხვა მუშაკებიც, თუმცა მათ ფეხი ვერ მოიკიდეს კარზე, ვერ დაიმსახურეს რაიმე სამეცნიერო ხარისხი, ხოლო ზოგიერთი უნივერსიტეტიდანაც კი გამოიდევნა.

ამგვარი იყო ის ტრადიცია, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის მუშაობას დაედო საფუძვლად. დამკვიდრდა სრულიად არაჯანსაღი გარემო მასწავლებლებს შორის ურთიერთობების კუთხითაც – შეინიშნებოდა „ჩვენიანებად“ და „არაჩვენიანებად“ დაყოფაც, რის მიმართ გულგრილნი ვერც სტუდენტები რჩებოდნენ; ზოგიერთი მასწავლებელი არ თაკილობდა სტუდენტების თანდასწრებითაც კი ერთმანეთის „დამუშავებას“.

რა თქმა უნდა, ყოველივე აღნიშნული ვერ შეუწყობდა ხელს მასწავლებლების სწორ შერჩევასა და ჩვენში მარქსისტული მეცნიერების განვითარებას. ჯერ კიდევ 1931[2] წელს, პროფ. ტალახაძის ინიციატივით, ჩვენთან – ამიერკავკასიის [კომუნისტურ] უნივერსიტეტში, მოეწყო დისკუსია იურიდიულ ფრონტზე არსებული მდგომარეობის საკითხის შესახებ.

გამოაშკარავდა მითითებული დისერტაციების ანტიმარქსისტული ხასიათი, ბურჟუაზიული სამართლის ცნებისა და სხვა ნაბეჭდ ნაშრომებში სხვაგვარი ხარვეზების შესახებ, მარქსისტული კრიტიკული დამოკიდებულების არარსებობა, თუმცა არც აღნიშნულ დისკუსიას მოუხდენია რამდენადმე შესამჩნევი გავლენა საქმის გაუმჯობესების მიმართულებით.

თითქოსდა, აუცილებელი იყო გადამჭრელი ზომების მიღება, მუშურგლეხური ახალგაზრდობიდან კადრების უსწრაფესი მომზადების მიზნით, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, გეგმაზომიერი და თანმიმდევრული მუშაობა არ წარმოებდა: იყვნენ ცალკეული ამხანაგები, რომლებმაც კვალიფიკაცია მიიღეს მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მასწავლებელთა თანამდებობაზე ისეთების მოწვევაც კი მოგვიხდა, ვისაც ასპირანტურა არ ჰქონდა განვლილი (ამხანაგები ფურცხვანიძე[3],

---

[1] აქვე ხაზგასასმელია, რომ მოხსენების ავტორს გამორჩა მესამე შემფასებელი – აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე [რედ.].

[2] უნდა იყოს მითითებული – 1930 [რედ.].

[3] **ბორის ფურცხვანიძე** (1901-1984) – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1946-1947 წლებში იყო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, 1947 წელს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილედ, 1952-1954 წლებში კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებდა, 1964-1984 წლებში განაგებდა თსუ-ის სისხლის სამართლის კათედრას [რედ.].

ნეიძე[1], ქილარჯიშვილი[2], მ. რაზმაძე[3]). მათმა უმრავლესობამ ჩააბარა აქ საკანდიდატო მინიმუმი და დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა, კვალიფიციური მეცნიერ-სპეციალისტების არარსებობა უარყოფითად უნდა ასახულიყო ისეთ მნიშვნელოვან საქმეზე, როგორიც არის სამეცნიერო ხარისხების მინიჭება.

კრიტიკის კუთხით, მე შევჩერდები უკანასკნელ წლებში დისერტაციების დაცვის რამდენიმე შემთხვევაზე.

1950 წელს ასისტენტმა, ამხანაგმა მ. რაზმაძემ წარმოადგინა დისერტაცია თემაზე: „საბჭოთა მართლმსაჯულების შესახებ“. ოფიციალურმა ოპონენტმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ამხანაგმა პოლუმორდვინოვმა[4] ამ ნაშრომს მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცა და, სრულებით მართებულად. ავტორს მხოლოდ დათანხმებაღა დარჩენოდა, თუმცა მან ჩათვალა რა, რომ დაიჩაგრა კრიტიკოსით და ბედით, რომლებმაც მას ხელი შეუშალეს, რათა დაეცვა დისერტაცია, უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორების, ამხანაგების – პოლუმორდვინოვისა და წერეთლის[5] – დაბრუ-

---

[1] **ევგენი ნეიძე (ნეიმანი)** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კითხულობდა ლექციებს საბჭოთა შრომის სამართალში [რედ.].

[2] **დავით ქილარჯიშვილი** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა 1946 წელს [რედ.].

[3] მ. რაზმაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე იკავებდა ასისტენტის თანამდებობას. საკანდიდატო დისერტაცია 1948 წელს წარადგინა დასაცავად, მაგრამ ამ დროს მას სამეცნიერო ხარისხი არ მიანიჭეს [რედ.].

[4] **დიმიტრი პოლუმორდვინოვი** (1906-1952) – სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი საქართველოში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, 1948-1950 წლებში პროფესორი დიმიტრი პოლუმორდვინოვი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, 1938-1952 წლებში – იურიდიულ ფაკულტეტზე კითხულობდა სამოქალაქო სამართლის პროცესის სალექციო კურსს. 1940 წლის 25 მაისს იურიდიულ მეცნიერებათა სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის – „Признание стороны в гражданском процессе“ – დაცვის შედეგად მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1948 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „О законной силе судебного рещения“. ხაზგასასმელია, რომ პროფ. პოლუმორდვინოვი სიცოცხლის ბოლომდე უპარტიო იყო. დაწვრილებით იხ. კორძაძე ზ., ნემსწვერიძე თ., პროფესორი დიმიტრი პოლუმორდვინოვი – სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი საქართველოში, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, №6, 2018, 38-57 [რედ.].

[5] **თინათინ წერეთელი** (1903-1980) – ცნობილი ქართველი იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურე-

ნებამდე მოისურვა ბედის ცდა და დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვებას მიაღწია. პროფ. პოლუმორდვინოვმა გაიმეორა საკუთარი შეფასება და წინადადებით შემოვიდა, რათა უარი თქმულიყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაზე. სხვა ოფიციალური ოპონენტი დოც. ერემოვი[1] მეტადრე ლმობიერი აღმოჩნდა და აზრი გამოთქვა დისერტანტისათვის საძიებელი ხარისხის მინიჭების თაობაზე. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ, ხმათა უმრავლესობით, ექვსი ხმით ორის წინააღმდეგ, მიანიჭა დისერტანტს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რითაც ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისადმი აშკარად უპასუხისმგებლო და უპრინციპო დამოკიდებულება გამოამჟღავნა (ადგილზე არ იმყოფებოდნენ პროფ. ვაჩეიშვილი და პროფ. ტალახაძე). როცა საკითხი იხილებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოში, მომხსენებელმა დოც. ი. დოლიძემ[2] მხარი დაუჭირა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს უმრავლესობის დადგენილებას, თუმცა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გადაარჩინა უნივერსიტეტისა და საბჭოთა მეცნიერების ღირსება, გააუქმა რა ფაკულტეტის დადგენილება.

ბული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი. 1926 წელს თინათინ წერეთელმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში პრაქტიკოს-იურისტად: 1934-1937 წწ. სსრ სახკომსაბჭოში იურისტ-კონსულტანტად; 1933 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: კითხულობდა ლექციებს სამოქალაქო სამართალში, 1937-1944 წწ.-ში მიჰყავდა სპეციალური კურსი – „მოძღვრება დანაშაულზე“, 1950-1952 წლებში იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ხელმძღვანელი [რედ.].

[1] **გრიგოლ ერემოვი** (1912-2002) – ქართველი მეცნიერ-იურისტი, სახელმწიფოსა და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1963), თსუ-ის პროფესორი (1964), სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1974), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997) [რედ.].

[2] **ისიდორე დოლიძე** (1915-1982) – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამართლის ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი (1960), სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (1954-1957). მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლები და ინსტიტუტები. მასვე ეკუთვნის ქართული სამართლის ძეგლების რვატომეულის შედგენა, კრიტიკული კომენტარების დართვა, გამოცემა და რედაქტორობა, რითაც განუზომელი წვლილი შეიტანა როგორც ქართული იურიდიული მეცნიერების, ასევე, ისტორიული მეცნიერებისათვის [რედ.].

სხვა შემთხვევაც. იმავე წელს დისერტაციას იცავდა შრომის სამართლის თემაზე ქ. ბაქოდან [ჩამოსული] ამხანაგი. პროფ. პოლუმორდვინოვმა მას უარყოფითი შეფასება მისცა, თუმცა დოც. ნეიძემ, პირიქით, გამოთქვა აზრი დისერტანტისათვის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების თაობაზე. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს უმრავლესობამ, მეცნიერებათა დოქტორის შეფასების საპირისპიროდ, მიანიჭა [დისერტანტს] საძიებელი ხარისხი: ჭეშმარიტად, მეცნიერებათა კანდიდატებს მტკიცედ გაუჯდათ თავში მეცნიერებათა დოქტორებისადმი წინააღმდეგობის სულისკვეთება! და, ამჯერადაც, მეცნიერებათა დოქტორის მხსნელად უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო მოგვევლინა!

მესამე შემთხვევა. 1951 წელს ქ. ერევნიდან [ჩამოსულ] ამხანაგს მიანიჭეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამჯერად კი შეცდომის გამოსწორება სსრკ-ის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულ უმაღლესს საკვალიფიკაციო კომისიას მოუწია.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი თავისებურებით გაგებული „ურთიერთდახმარების“ პრინციპი მასწავლებელთა შერჩევის დროსაც პოვებს გამოყენებას. უკანასკნელი წლების პრაქტიკიდან ორ შემთხვევაზე მივუთითებ:

ერთმა იურისტმა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანოდან გაათავისუფლეს და რომელსაც პერსონალური პენსიაც ჰქონდა, გადაწყვიტა, დარჩენილი წუთისოფელი მეცნიერებისათვის მიეძღვნა და წაიმძღვარა ანდაზა „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“. [მან] ძალზე კარგად გაითავისა უნივერსიტეტში შექმნილი, მისთვის ხელსაყრელი პირობები და არც შემცდარა: ჩააბარა რა საკანდიდატო მინიმუმი და დაიცვა რა დისერტაცია, მოიპოვა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (დოცენტის წოდებას დღემდე ვერ ღირსებია). პედაგოგიური საქმიანობის დაწყებისას ის იძულებული გახდა, გაეცნობიერებინა, რომ არც ისეთი „მსუბუქია მონომახის გვირგვინი“. მოსკოვიდან [მიღებული] განკარგულებით, შეუსაბამობის გამო, გაათავისუფლეს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული, იურიდიული საშუალო სკოლის მასწავლებლის საქმიანობიდან, თუმცა ის მშვიდად განაგრძობს უნივერსიტეტში საქმიანობას: მას მაშინაც კი არ შეხებიან, როცა სხვა მეცნიერებათა კანდიდატები, რომლებმაც ჩვენთან მიიღეს სამეცნიერო ხარისხი და მასზე არაფრით არიან ნაკლები, დათხოვილ იქნნენ სამსახურიდან.

სხვა შემთხვევაც. 1949 წელს ერთმა დოცენტმა[1], რომელიც სამ კურსს კითხულობდა უნივერსიტეტში და, სხვა დატვირთვასთან ერთად, საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობას იკავებდა უნივერსიტეტის ფარგლებს მიღ-

[1] იგულისხმება ბორის ფურცხვანიძე [რედ.].

მა, ითხოვა, გაეთავისუფლებინათ ის, თუნდაც ერთი კურსის წაკითხვის [მოვალეობისგან]. მოიძებნა დოცენტიც, რომელმაც მოისურვა ამ კურსის წაკითხვა. [თუმცა] იმისათვის, რათა არ შემოეშვათ არასასურველი დოცენტი, საკუთარი დოცენტი აიძულეს, სამივე კურსი წაეკითხა და, იმავდროულად, დაიწყეს აღნიშნული კურსის [წასაკითხად] სხვა, უკვე ხანდაზმული [მასწავლებლის] მომზადება. ამის შედეგად:

ა) დოცენტი სამი წლის განმავლობაში იძულებული იყო, უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ განეხორციელებინა სრულიად შეუსაბამო დატვირთვა, რითაც დაუფარავად მიადგა ზიანი როგორც მეცნიერებას, ისე მის საქმიანობას უნივერსიტეტის მიღმა;

ბ) ახალმა კანდიდატმა ამ სამი წლის განმავლობაში ძლივს დაძლია საკანდიდატო მინიმუმი, დისერტაცია კი ჯერაც არ ჩანს და, გარდა ამისა, სხვა სამეცნიერო დაწესებულებაშიც მიიღო ისეთი სამუშაო, რომ უკვე უნივერსიტეტში მუშაობის უნარიც კი აღარ შესწევს; თუ არ იქნება გაუქმებული სამეცნიერო საქმიანობაში მონოპოლიის მოპოვების არაჯანსაღი სისტემა, შეთავსებათა სისტემა „შეუცვლელობის“ საბაბით და „შეუცვლელთა“ მხრიდან თვითშეზღუდვაზე ნების არარსებობის პირობებში, „სავალალო შედეგს მივიღებთ“;

გ) ის დოცენტი კი, რომელიც გამოთქვამდა სურვილს, წაეკითხა კურსი უნივერსიტეტში, მოკლებული იყო სწავლების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ მას დოცენტის წოდება დაუმტკიცა სსრკ-ის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საკვალიფიკაციო კომისიამ, აქვს კარგი გამოხმაურება იმ დაწესებულებებიდან, სადაც დაწუნებულ იქნა პირველ შემთხვევაში ნახსენები იურიდიულ [მეცნიერებათა] კანდიდატი.

ნუთუ შესაძლებელია „კეთილისმსურველობის ნიშნით“ კადრების მოძიების უფრო მკვეთრი მაგალითები, რაც ასე მკვეთრად გაკიცხულია 1952 წლის 14 აპრილის გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი მოწინავე სტატიის ტექსტში: „კადრების სწორი შერჩევა და აღზრდა“. ასეთ ვითარებას ფამუსოვის დროსა და მისეულ „ფილოსოფიაში“ ხომ არ გადავყავართ?: „აბა, როგორ არ ვიზრუნოთ ჩვენს ნათესავზე?!“.

1950/1951 სასწავლო წლის დაწყებისათვის ფაკულტეტმა მოაწყო შიდა კონკურსი და პედაგოგიური საქმიანობიდან დაითხოვა კანდიდატთა მთელი ჯგუფი: როგორც ჩანს, თვითონვე დაეჭვდნენ წინათ მათ მიერვე მინიჭებულ სამეცნიერო ხარისხებში. ამასთან დაკავშირებით ხომ არ არის საჭირო, ჩვენთან დაცული ყველა დისერტაციის შესწავლის თაობაზე საკითხის დაყენება: ჯერ ერთი, ფაკულტეტი ხომ უნდა იცნობდეს თავისივე კადრებს და მეცნიერ-სპეციალისტების მხრიდან მათი დისერტაციების კრიტიკით, ახალი სამეცნიერო ნაშრომების შექმნით, დაეხმაროს მათ, ამაღლდნენ მინიჭებული ხარისხის დონემდე, მეორეც, არასოდეს არის დაგვიანებული აშკარა შეცდო-

მის გამოსწორების საკითხის დაყენება ასეთი სერიოზული საქმის მიმართ. „ლიტერატურული გაზეთი“ თავის სტატიაში [სამართლის] კათედრების მუშაობის შესახებ, არცთუ უსაფუძვლოდ, დროდადრო, ღია კონკურსების ჩატარებასაც კი გვთავაზობს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა [იურიდიულ მეცნიერებათა] კანდიდატმა მოისურვა საკუთარი ნაშრომის გამოქვეყნება, თუმცა ისინი მდარე ხარისხისა აღმოჩნდა, ზოგიც კი უხეშზე უხეში პლაგიატი, რის გამოც მათ უნივერსიტეტის დატოვებაც კი მოუხდათ (დოც. გვათუა[1]).

ამრიგად, ფაკულტეტი ცუდად უზრუნველყოფდა მასწავლებლების შერჩევას, სამეცნიერო ხარისხების მინიჭებას და ბეჭდვით ორგანოებში გამოცემული ნაშრომების რედაქტირებას.

კიდევ ერთ გარემოებაზე მივუთითებ: ფაკულტეტმა ვერ შეძლო ცოცხალ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის დამყარება, მაშინ, როცა სხვა სპეციალობების მიმართულების ხაზით გაზეთებში ხშირად ვკითხულობთ კათედრების და თვით ფაკულტეტების სხდომათა მოწყობის შესახებ წარმოებასა და საკოლმეურნეო მინდვრებში. დროა, გავიგოთ, რომ შეუძლებელია იყოს კადრების სრულფასოვანი მასწავლებელი ის, ვინც თვითონ არ არის იმ საქმის, თეორიის ოსტატი, რომელსაც ის ასწავლის: პრაქტიკასთან ყველაზე მჭიდრო და ცოცხალი კავშირის გარეშე წარმოუდგენელია ნამდვილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, სამეცნიერო ნაშრომი უნებლიეთ იქცევა სხვათა ნაშრომების მეტ-ნაკლებად წარმატებულ კომპილაციად, პრაქტიკაში მათი სისწორის შემოწმების შესაძლებლობის მოკლებით, ხოლო საგნისა და სასჯელის მოცულობა უნებლიეთ იძენს აბსტრაქტულ-სქოლასტიკურ ხასიათს, რომელიც უცხოა საბჭოთა სასამართლო პრაქტიკისათვის.

უნდა ვიფიქროთ ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ღონისძიებათა გაუმჯობესებაზე, რათა აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი და კიდევ უფრო ავამაღლოთ სამოსართლო-საპროკურორო კადრების მომზადების საქმე, და ამით – თვით მართლმსაჯულების საქმე ჩვენს ქვეყანაში.

ლ. შურღაია

ადვოკატი, სისხლის სამართლის კათედრის დოცენტის წოდებით

[1] **შალვა გვათუა** – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, კითხულობდა ლექციებს საერთაშორისო სამართალსა და ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალში. უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს დაბალი კვალიფიკაციის გამო [რედ.].

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს

ლაზარე ბეჟანის ძე შურღაიას
(სისხლის სამართლის კათედრის დოცენტის წოდებით)

განცხადება*

1914 წელს დატოვებული ვიქენი მოსკოვის უნივერსიტეტთან სისხლის სამართლის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად და ვიმუშავე ორი წელი პროფესორ ს.ვ. პოზნიშევის ხელმძღვანელობით.

1922 წელს მიმაგრებული ვიქენი თბილისის უნივერსიტეტთან იმ მიზნით, რომ განზრახული იყო იურიდიული ფაკულტეტის დაარსება და მე უნდა მეხელმძღვანელა სისხლის სამართლის დარგისათვის. ჩემთან ერთად მიმაგრებული იქნა იროდიონ სურგულაძე, რომელიც დატოვებული ყოფილა დორპატის[1] უნივერსიტეტთან სახელმწიფო სამართლის ხაზით საპროფესოროდ მოსამზადებლად (მის შესახებ მე თ[ვ]ითონ ვაცნობე პროფ. კ. კეკელიძეს, რომელიც მაშინ სასწავლო ნაწილს განაგებდა).

შემდგომ პროფ. შ. ნუცუბიძემ ჩამოიყვანა მოსკოვიდან ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელიც მენიერული მუშაკი არ იყო, მაგრამ ბურჟუაზიულ სამართალში საკმაოდ დიდი ერუდიციის მქონედ ითვლებოდა, ადვოკატურაში ცნობილი ფიგურა იყო და სწორედ ამიტომ კერენსკის დროებითი მთავრობის დროს სენატორად იყო დანიშნული (კერენსკის პატრონი ყოფილა ადვოკატურაში). ეს გასაკვირი არ არის, რამდენადაც ჩვენში ბოლშევიკები ამ საკითხში არ ჩარეულან, უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელები კი მას საბჭოთა იურისტების მომზადების საქმეში გამოსაყენებლად სთვლიდნენ. მსოფლმხედველობით ის იყო მემარჯვენე ჰეგელიანელი და ცრუმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი, შეურიგებელი ანტიმარქსისტი, რასაც არც მალავდა: სტუდენტებს უცხადებდა საბჭოური სახელმძღვანელოები თქვენთვის წაიკითხეთ, მე კი საგნები ჩამაბარეთ ტაგანცევის, სლუჩევსკის, ფოინიცკის სახელმძღვანელოებითო. რასაკვირველია, მისი გამოყენება შეიძლებოდა იმ პირობებში, მაგრამ მტკიცე კონტროლის ქვეშ, მას კი მიეცა

---

* დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 2098, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 1-9. ქვეყნდება პირველად [რედ.].

1 დღევანდელი ტარტუ [რედ.].

სრული [თავისუფლება], მთავარ ძალად და მრჩეველად იქნა მიჩნეული, რასაც არ შეიძლებოდა კარგი შედეგი მოჰყოლოდა.

საგნების არჩევანი მისი იყო. მან აირჩია სისხლის სამართლის კურსის ხელმძღვანელობა. ის და მე პირდაპირ მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობისა ვიყავით და ჩემი მასთან მუშაობა შეუძლებელი გახდა. იროდიონ სურგულაძემ რჩევა მომცა – შენ მას ნუ ედავები, უნივერსიტეტი ყველა საკითხს მისი რჩევით სწყვეტს; ჯერჯერობით მას დაემორჩილე, ხოლო როცა დამოუკიდებელი გახდები, როგორც გინდა ისე მოიქეციო. თ[ვ]ითონ ეს შეასრულა და კიდევაც წარმატებას მიაღწია. ანტიმარქსისტული ნაშრომის საფუძველზე, ლ. ანდრონიკაშვილის დახმარებით სამართლის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ასევე, გ. ნანეიშვილს. ლექტორთა კადრების სამეცნიერო მუშაობისათვის ახალი კანდიდატების შერჩევაც სამოქალაქოსა და სისხლის სამართლის დარგში მისი რჩევით ხდებოდა.

ლ. ანდრონიკაშვილი კათედრას განაგებდა და სისხლის სამართლის ზოგად ნაწილს კითხულობდა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების ახსნა მემარჯვენე ჰეგელიანელის და მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანის მიერ .

როდესაც სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის კურსის წაკითხვის დრო დადგა, იძულებული გახდა ეს კურსი ალექსანდრე ვაჩეიშვილისთვის მიეცა, რადგან თ[ვ]ითონ ფიზიკურად არ შეეძლო ამის წაკითხვა, ჩემი კანდიდატურა კი გამორიცხული ჰქონდა.

ალექსანდრე ვაჩეიშვილი მანამდის ე.წ. სამართლის ენციკლოპედიის[1] კურსს კითხულობდა. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა დიდი ტანჯვის გადატანა მოუხდა ვაჩეიშვილს ანდრონიკაშვილისაგან, რომელიც მუდამ და ყოველმხრივ ავიწრო[ვ]ებდა და ამუშავებდა მას. დაუსრულებელი ინტრიგის ქსელი გაიბა მათსა და მათ მიმდევართა შორის, რაც მთელი ფაკულტეტის მუშაობას ძირს უთხრიდა.

შეგნებულად ფერხდებოდა ახალი კადრების მზადება მუშათა და გლეხთა ფენებიდან, რამაც ფაკულტეტის საქმიანობას მეტად დიდი შეფერხება შეუქმნა და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა სხვა ფაკულტეტს ჩამოარჩინა.

ბრძოლა ანდრონიკაშვილსა და ვაჩეიშვილს შორის კათედრის დაუფლებაზე იმით დამთავრდა რომ სასწავლო ნაწილის გამგედ ძაძამიძის ყოფნის დროს კათედრა ანდრონიკაშვილს ჩამოერთვა და ვაჩეიშვილს გადაეცა: ამას მოჰყვა „დინასტიური“ ომი კათედრის გარშემო, მაგრამ როცა ლ. ანდრონი-

[1] ადრე სამართლის ზოგადი თეორიის კურსს სამართლის ენციკლოპედიის კურსს უწოდებდნენ [რედ.].

კაშვილი დარწმუნდა, რომ თ[ვ]ითონ კათედრას ვერ დაიბრუნებდა, რევანშის აღება თავის მოწაფეებს მიანდო. ერთხანს ამხ. თ. წერეთელი სამოქალაქო სამართლის კურსს კითხულობდა, მაგრამ მისივე რჩევით სისხლის სამართალს დაეწაფა.

რა გასაკვირია, რომ სისხლის სამართლის დარგში აღმოჩენილ დამახინჯებათა წინააღმდეგ მთელ კავშირში წარმოებულ დაძაბულ ბრძოლაში ჩვენი ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არც შეეძლო მიეღო. თითქოს ეს მას არც კი ეხებოდა.

მე მიხდებოდა ხან უნივერსიტეტში და ხან დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში მუშაობა, მაგრამ უნივერსიტეტში მატერიალურისა და პროცესუალური სისხლის სამართლის კურსს არ მიმაკარეს, თუმცა მე სისხლის სამართლის კათედრის საპროფესოროდ მოსამზადებლად ვმუშაობდი მოსკოვის უნივერსიტეტში.

ვფიქრობ, მეც შევძლებდი ზოგ სხვა კურსის წაკითხვას, გარდა პენიტენციალური სამართლისა. კერძოდ, ავიღოთ თუნდაც სისხლის სამართლის ან სისხლის სამართლის პროცესის კურსი. ამ უკანასკნელ კურსს ხელმძღვანელობდნენ ანდრონიკაშვილი, ვაჩეიშვილი, მირიანაშვილი, ფურცხვანიძე. არცერთი მათგანი არ იყო და არ არის ამჟამად პროცესუალისტი ძირითადი სპეციალობით[1].

1949 წელს, როცა მე შევწყვიტე მუშაობა დაუსწრებელი ინსტიტუტის ფილიალში, იქაური პირობების გამო თუმცა მაშინ კიდევ არ ვიცოდი რომ რამდენად ღრმად იყო იქ მორალური გახრწნა გამჯდარი, მივმართე რექტორს განცხადებით, რომ დამკისრებოდა პროცესის კურსის წაკითხვა. რექტორი თავდაპირველად ამას დადებითად შეხვდა და მითხრა – განცხადება პოლუმორდვინოვს დაუტოვეთ და მეც ვეტყვიო.

ეს ჩემი განცხადება უშედეგოდ იქნა დატოვებული, თუმცა დოც. ფურცხვანიძე მაშინ სამ კურსს კითხულობდა, გარდა სხვა დიდი დატვირთვისა.

არც 1950 წელს, როდესაც პოლუმორდვინოვი წერეთელმა შესცვალა მიმიწვიეს. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ორივე ესენი ლ. ანდრონიკაშვილის „სულიერი შვილებია“.

იმავე დროს დაუწყეს ამ კურსისთვის თავის ამხანაგს მზადება, რომელიც დღესაც მომზადებული არ არის.

---

[1] ამ შემთხვევაში შურღაია შეცდომას უშვებს, რადგან პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი წლების განმავლობაში იყო ადვოკატი, შესაბამისად, პროცესუალისტი. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, არაობიექტურია ლ. შურღაიას ეს მითითება, რომელიც ჩამოთვლილ პროფესორებზე შეიძლება გავავრცელოთ, მაგრამ არა პროფ. ანდრონიკაშვილზე [რედ.].

მე ამ საკითხებს ვეხები იმისათვის, რომ გასაგები იყოს, რატომ ვერ მოვიდგი მე ფეხი უნივერსიტეტში, როცა ერთი ძირითადი მუშაკთაგანი უნდა ვყოფილიყავი ფაკულტეტის დაარსებიდანვე.

ამით აიხსნება უმეტესად ის გარემოებაც, რომ სათანადო დისერტაციის დაცვით არ მაქვს გაფორმებული კვალიფიკაცია, თუმცა დამტკიცებული ვარ სისხლის სამართლის კათედრის დოცენტის წოდებაში, ვკითხულობდი, გარდა პენიტენციალური სამართლისა, აგრეთვე, სისხლის სამართლის ზოგადსა და განსაკუთრებულ ნაწილს, სასამართლო წყობილებას, ვაწარმოებდი გამოცდების პროცესსაც: ორჯერ სსრკ უმაღლეს[ი] სამინისტროს დამტკიცებით სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრი ვიყავი დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. რაც მთავარია ამით აიხსნება ისიც, რომ იურიდიული ფაკულტეტი, განსაკუთრებით კი, სისხლის სამართლის კათედრა შესამჩნევ[ი] სამეცნიერო მუშაობის კერად ვერ გადაიქცა და მეცნიერებათა აკადემიაში სექციის შექმნის პირობებიც ვერ მოამზადა.

მარქსისტული მეცნიერება ხომ პარტიულია, მუშათა კლასის რევოლუციური პრაქტიკიდან წარმოშობილი და ამ პრაქტიკის განზოგადოების გზით შექმნილი, რომელიც მუდამ ჟამს ცოცხალი პრაქტიკით უნდა ნოყიერდებოდეს, რომ მკვდარ დებულებად, დოგმად არ იქცეს. თეორია დოგმა კი არ არის, არამედ ცოცხალი სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. აქედან ცხადია, რომ არც ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა და არც საბჭოთა კადრის კარგად მზადება შეუძლია იმას, ვინც თ[ვ]ითონ არ არის იმ საქმეს პრაქტიკულად დაუფლებული, რომლის თეორიას[აც] სხვას ასწავლის. ვინც პრაქტიკას მოწყვეტილია მას, არ შეუძლია არც თეორიის სისწორის შემოწმება და არც პრაქტიკისათვის ცოცხალი სახელმძღვანელო დებულებათა განვითარება და სხვისთვის სწავლება.

ასეთი ტიპის „მეცნიერის“ ერუდიცია გამოიხატება სხვების ნაშრომთაგან ციტატების დამახსოვრებასა და ურთიერთდაპირისპირებაში, შემოქმედებითად გაკრიტიკებისათვის კი ის ნიადაგს მოკლებულია, რადგან ცოცხალ პრაქტიკას მოწყვეტილია. პრაქტიკული მუშაობა საშუალებას მისცემს მეცნიერულ მუშაკს – პედაგოგს კრიტიკულად მიითვისოს თავისი მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობის შედეგები და თვითკრიტიკას საშუალებით განავითაროს თავისი საქმიანობა ცოცხალ პრაქტიკასთან უშუალო კავშირში.

როგორც ზემოდ აღვნიშნე, ვინც სხვას თეორიას ასწავლის თ[ვ]ითონ უნდა იყოს იმ საქმის დიდი ოსტატი ან ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ გამოცდილი ოსტატი.

დიდოსტატობის პრეტენზიას არ ვაცხადებ, მაგრამ პრაქტიკულ[ი] მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს სამართლის დარგში და სწორედ ჩემი პედაგოგიური მუშაობის ამ მხარეს აღნიშნავდნენ იქ, სადაც ჩემს ლექ-

ციებს არატენდენციურად აფასებდნენ (მაგალითად, ძაუ-ჯიკაუში, სადაც ეს პროფ. სოსელიასთვის განუცხადებიათ).

ზოგი ლექტორის დამახასიათებელი და სულისკვეთების მაჩვენებელია თვით ის თემები, რომლებზედაც მუშაობენ ან დისერტაციებს სწერენ. ესენი ან ისტორიული ანდა მეტად განყენებული და სქოლასტიკურ[ი], ცოცხალი პრაქტიკისაგან მოწყვეტილი თემებია, რასაც ხაზი გაესვა პარტიის XIX ყრილობაზე.

ამიტომ მიზანშეწონილია და აუცილებელიც, რომ იურისტთა კადრების მომამზადებელი უშუალოდ პრაქტიკულად მუშაობდეს. თუ ეს მიზანშეწონილად იყო ცნობილი მეფისდროინდელ რუსეთშიც კი, როცა ცნობილი მეცნიერი ტაგანცევი სერატორიც იყო, მით უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ეს საბჭოთა ქვეყანაში.

თუ პრაქტიკით თეორიის სისწორე მოწმდება, ეს კადრების მასწავლებლის ვარგისიანობის შემოწმების საუკეთესო საშუალებაც არის.

აქედან აშკარაა, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, აგრეთვე, პროცესების ლექტორები უშუალოდ ჩაბმული უნდა იყვნენ პრაქტიკულ მუშაობაში და ამიტომ ნახევრად უნივერსიტეტში დაიტვირთონ, ნახევრად კი პრაქტიკულ სამუშაოზე. ამით შესაძლებელი გახდება მეტი პირის ჩაბმა მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობაში და შეიქმნება, აგრეთვე, სოციალისტური შეჯიბრის პირობები სამეცნიერო მუშაობის დარგში. ამით მოისპობა მონოპოლიის ყოველგვარი ნასახი, გაირღვევა ვიწრო შეკრული წრე-დაჯგუფება, პირობები.

ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში ნაცვლად 4 პირისა, შესაძლებელი იქნება მეტი პირის ჩაბმა სისხლის სამართლის კათედრის მუშაობაში, რაც უდავოდ კარგ შედეგს მოგვცემს, როგორც თეორიული, ისე პედაგოგიური მუშაობის მაღალ დონეზე ასაყვანად. მაშინ თემებიც ცოცხალი პრაქტიკიდან იქნება აღებული, მათი დამუშავება ცოცხალ პრაქტიკაზე იქნება დამყარებული, თეორიული დებულებათა კოლექტიური შემოწმება-გაკრიტიკება იწარმოებს პრაქტიკის ათვისების სხვადასხვა პირის უნარის მიხედვით.

მატერიალური სისხლის სამართალი ბასრი იარაღია იმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინც საზოგადოებრივად საშიში მოქმედებით სოციალისტურ წყობილებას ძირს უთხრიან, მართლწესრიგს არღვევს და კომუნიზმის მშენებლობას აფერხებს.

პრაქტიკული სისხლის სამართალი – გზის მაჩვენებელია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს იარაღი გამოყენებული. მხოლოდ პროცესში ესხმება ხორცი მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებს.

ხშირია, სამწუხაროდ, მეტად უხარისხო საგამომძიებლო წარმოება. მრავალტომიანი და სქელ[ტ]ანიანი წარმოება უმეტეს შემთხვევაში, უხარისხო

გამოძიების მაჩვენებელია, რაც ნაწილობრივ მაინც შეიძლება სისხლის სამართლის კათედრას დავაბრალოთ, რომელმაც ვერ აღჭურვა სტუდენტი მტკიცე თეორიული ცოდნით და აუცილებელი პრაქტიკული ჩვევებით.

საკვირველია ისიც, რომ სტუდენტებს არ ეტყობათ იურიდიული ტერმინოლოგიის და სტილის სათანადოთ დაუფლება. მათ მიერ შედგენილ საქმიან ქაღალდებში ხშირად არც იურიდიული აზროვნების მაღალი დონეა და არც აზრის კარგი ქართულით ჩამოყალიბება, რის შედეგად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საშუალო სკოლაში შეთვისებული ქართული ენა იურიდიულ უმაღლეს განათლებას არ გაუმდიდრებია.

სისხლის სამართლის კათედრამ უნდა იზრუნოს, რომ თავისი საქმიანობის ყველა ნაკლი გამოასწოროს.

მე მსურს საშუალება მომეცეს, რომ დავეხმარო კათედრას და ფაკულტეტს ამ საქმეში ჩემი დიდი ხნის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით და შედარებით საკმაო თეორიული ცოდნით.

მე მზადა ვარ ვიკისრო პროცესუალური სისხლის სამართლის კურსის წაკითხვა პასუხისმგებლობის შეგნებით, თუ სხვა სახის დავალება არ დამეკისრება.

დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ეს კურსი როგორც დამატება, დატვირთვის შესავსებად ჰქონდეს ვინმეს მინდობილი.

ამ კურსს ცალკე ხელმძღვანელი უნდა ყავდეს, თუნდაც ნახევარ განაკვეთზე იყოს მიწვეული, ნახევარი დრო კი ცოცხალ პრაქტიკულ მუშაობას შესწიროს, რაც მისთვის და თვით საქმისთვის მეტად სასარგებლო იქნება.

ყველა ამ მოსაზრებათა საფუძველზე მე გადავწყვიტე მივიღო მონაწილეობა სისხლის სამართის კათედრის პედაგოგების ასარჩევ კონკურსში და ვითხოვ, მიწვეულ ვიქნე, თუნდაც ნახევარ განაკვეთზე თუ მთელ განაკვეთზე მიწვევის საშუალება არ იქნება.

ამჟამად, ვმუშაობ ადვოკატურაში და ამ მუშაობის უნივერსიტეტში მუშაობასთან შეთავსება ადვილია, რამდენადაც ადვოკატურაში დავალების მიღება თვით ადვოკატის თანხმობაზეა დამოკიდებული, რაც სრულ საშუალებას აძლევს ამა თუ იმ დროს მთელი ძალღონით იქ იმუშაოს, სადაც მისი მუშაობა უფრო საჭიროა, ცოცხალ[ი] პრაქტიკიდან მოუწყვეტლად.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება: ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, რომ კათედრები აწყობენ სხდომებს საწარმოსა და კოლმეურნეობებშიც. სისხლის სამართლის კათედრას ეს 25 წლის არსებობის მანძილზე არასდროს უცდია და ეს გასაგებიც არის. ანდრონიკაშვილის საზრუნავი ის იყო, რომ როგორმე მისი ანტიმარქსისტულობა არ გამომჟღავნებულიყო. ერთხელ წაიკითხა მოხსენება-ლექცია ადვოკატურაში სამოქალაქო სამართლის თემაზე და თავისი დებულებები დაასაბუთა არგუმენტებით პობედონოსცე-

ვის ნაშრომებიდან, პობედონოსცევი კი ცნობილია, როგორც ნიკოლოზ სისხლიანის აღმზრდელი და ბ[ნ]ელეთის მოციქული. მისი „თეორიები“ რევოლუციური პრაქტიკისათვის გზის გამშუქებლად, რასაკვირველია, არ გამოდგებოდა და შესაძლებელი იყო ასეთ ცდას თვით მისი შეუფერებლობის ფაქტი გაეშუქები[ნ]ა თავის დროზე, თორემ დიდხანს თარეშობდა საბჭოთა მეცნიერების ტაძარში.

ვერც შემდგომ შესძლო კათედრამ ცოცხალ პრაქტიკასთან მისვლა სასამართლო-პროკურატურაში კათედრის სხდომის მოწყობით ან აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციების ჩატარებით.

არც ახლა არსებობს საფუძველი ამის იმედი ვიქონიოთ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრს პროფესორ ვ. კუპრაძეს
ლაზარე ბეჟანის ძე შურღაიას

განცხადება*

სპეციალური პედაგოგიური განათლება მაქვს მიღებული ქუთაისის (დ. ხონში) საოსტატო სემინარიაში, რის შემდეგ ვიმუშავე სახალხო მასწავლებლად 4 წელი. ექსტერნად ჩავაბარე გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად ამხ[ანაგ] შ. ნუცუბიძესთან, ს. დანელიას[1], ალექსანდრე ჯანელიძესა[2] და სხვებთან.

მოსკოვის იურიდიული ფაკულტეტის კურსის დამთავრების შემდეგ დატოვებული ვიქენი სისხლის სამართლის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ჯერ კიდევ სტუდენოტობის დროს მასწავლებლად ვიყავი მიწვეული ჩემი პროფესორის ს.ვ. პოზნიშევის რეკომენდაციით ბუტირის საპატიმროში „ინოროდცებისათვის“ მოწყობილ სკოლაში, სადაც „ინოროდცებს“ რუსული ენა უნდა შეესწავლათ.

საპროფესოროდ მოსამზადებლად მუშაობის პერიოდში ჩემი პროფესორის წინადადებით აღმზრდელის თანამდებობაზე ვმუშაობდი სოკოლნიკის საპატიმროს მცირეწლოვანთა განყოფილებაში.

საქართველოს საპატიმროთა სამმართველოს ხელმძღვანელად ვარ ნამუშევარი.

1922 წლიდან მიმაგრებული ვიყავი თბილისის უნივერსიტეტთან, მომავალში იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის. ცხადი იყო, რომ მე უნდა მეხელმძღვანელა სისხლის სამართლის კურსი-

---

* დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში – უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 2098, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები: 10-13. ქვეყნდება პირველად [რედ.].

1 **სერგი დანელია** (1888-1963) – ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე [რედ.].

2 **ალექსანდრე ჯანელიძე** (1888-1975) – ცნობილი ქართველი გეოლოგი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946) [რედ.].

სათვის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, და 1926 წლიდან დამეკისრა პენიტენციალური სამართლის კურსის წაკითხვა.

როდესაც ეს კურსი ამოღებული იქნა პროგრამიდან, მე დავიწყე მუშაობა საკ[ავშირო] [და]უსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. ვკითხულობდი სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის, აგრეთვე, სასამართლო წყობილების კურს[ებ]ს.

ორჯერ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრობა დამეკისრა ფილიალში უმაღლესი განათლების სამინისტროს დანიშვნით.

1949 წლიდან შევწყვიტე ფილიალში მუშაობა: არ მომეწონა უწესრიგობა, ხოლო არ ვიცოდი, თუ ისე ღრმად იყო გახრწნილება გამჯდარი, როგორც ეს 1950 წელს გამოვლინდა.

1949 წლის მაისში დავსვი საკითხი რექტორ პროფ. ნ. კეცხოველის წინაშე, რომ რაიმე სამუშაო დაეკისრები[ნ]ათ: დოც. ფურცხვანიძე (ჩემი ყოფილი მსმენელი) მეტად გადატვირთული იყო იმ დროს. ამას გარდა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილისა და პროცესის კურსის ერთ[ი] პირის მიერ წაკითხვა არც იყო მიზანშეწონილი. დოც. ფურცხვანიძე სადოქტორო დისერტაციას ამზადებდა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილიდან არჩეულ თემაზე. მაშასადამე, ვერ მიატოვებდა ამ კურსს. გავიგე, რომ ითხოვდა პროცესის კურსის სხვაზე დაკისრებას. ამიტომ განვაცხადე სურვილი პროცესის კურსის წაკითხვისა, რისთვისაც, ვფიქრობდი, საკმაო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მაქვს. რექტორი თავდაპირველად დადებითად შეხვდა ჩემს განცხადებას, ხოლო შემდგომ, როგორც ეს სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად ხდება, არ იქნა ჩემი სურვილი განხორციელებული.

მოგახსენებთ, რომ სასამართლო-პროკურატურაში ოპერატიული მუშაობისათვის უშუალო გამოყენებას პოულობს თეორიული ცოდნა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ორივე საპროცესო სამართლის და კრიმინალისტიკის დარგში მიღებული.

ცნობილია, ისიც, რომ თეორიული სწავლება აუცილებლად უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული სასამართლო-პროკურატურის და, ჩემი აზრით, გამასწორებელ შრომით დაწესებულებათა მუშაობასთან.

მეტად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ კურსების ხელმძღვანელები ჩაბმული იყვნენ სასამართლო-პროკურატურის მუშაობაში, თუნდაც მეცნიერ-კონსულტანტის სახით, განსაზღვრული რაოდენობის საათებში კვირაში. ეს გამოაცოცხლებს თეორიის სწავლების საქმეს, საგრძნობლად გააუმჯობესებს მას. ეს ხელს შეუწყობს, აგრეთვე, სამეცნიერ-კვლევით მუშაობას და პრაქტიკის საჭირო საკითხების დამუშავებას დისერტაციებში ან სხვა ნაწარმოებში.

უნდა ითქვას ისიც, რომ ეს იქნება გამოცდა თვით კურსის ხელმძღვანელისა, რადგან თეორიული კურსის კარგი ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს ამ დარგშიც პრაქტიკის დიდი ოსტატიც (გროსმეისტერი).

მე მინდა განსაკუთრებული ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის თეორიის გაღრმავება დანაშაულის შესწავლის ხაზით წარმოებს სპეციალურ სემინარში, ხოლო სასჯელის ხაზით იმდენად არა და ამიტომ, ვფიქრობ კურსი, ამ მხრივ, ცალ ფეხზე მოიკოჭლებს.

ერთგვარ ანალოგიას რომ მივმართოთ, ექიმების თეორიული სწავლება, უშუალოდ დაკავშირებულია კლინიკებში პრაქტიკულ მუშაობასთან, იურისტები კი თავის „კლინიკებს“ მთლიანად ჩამოშორებულნი არიან და ამიტომ არ იციან, რას წარმოადგენს პრაქტიკაში ის სასჯელი, რასაც მოითხოვენ პროკურორები და უსჯიან მოსამართლეები.

ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში საპატიმროთმცოდნეობას დიდი ყურადღება მიექცა პროფ. პოზნიშევი იყო ცნობილი საპატიმროთმცოდნეც, ცნობილი პროფესორი ფოინიცკი პეტერბურგი კითხულობდა ცალკე კურსს: [...][1]; მით უფრო საკვირველია, რომ ჩვენს დროში სასჯელთა ორგანიზაციის საქმის შესწავლას ყურადღება არ ექცევა.

ვფიქრობ, სასჯელზე თეორიულ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლა სხვადასხვა პენიტენციალური სისტემების შესწავლასთან დაკავშირებით სასარგებლოც იქნება სტუდენტთა მომზადების საქმისათვის და მათი მომავალი მუშაობისათვის.

სტუდენტების პრაქტიკუმის გავლაში უნდა შედიოდეს გამასწორებელი შრომითი დაწესებულებები. მოსალოდნელია, რომ ზოგი სტუდენტი დაინტერესდეს ამ დაწესებულებებში მუშაობით და იქ დაიწყოს მუშაობა, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს გამასწორებელ-შრომით დაწესებულებათა მუშაობას,

ვფიქრობ, კარგი კურსის შექმნა შესაძლებელია სათანადო დაწესებულებების და მათი მუშაობის კინოსურათების ჩვენებით.

სისხლის სამართლის კათედრის დოცენტის წოდებით
ლ. შურღაია
მაისი, 1956 წელი

[1] წერილის დედანში ცარიელი ადგილია დატოვებული [რედ.].

ამონაწერი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1941 წლის 17 აპრილის სხდომის №17 ოქმიდან*

თავმჯდომარე – უნივერსიტეტის რექტორი დ.ს. ყიფშიძე:

გადავდივართ პროფ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ვაჩეიშვილისათვის, დისერტაციის დაცვის გარეშე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების საკითხზე. ინფორმაციისათვის სიტყვა ეძლევა იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, დ.ე. მირიანაშვილს.

დ.ე. მირიანაშვილი:

სისხლის სამართლის კათედრამ იურიდიული ფაკულტეტის წინაშე აღძრა საკითხი, დისერტაციის დაცვის გარეშე, პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების შესახებ, იმისათვის, რომ საკითხი განსახილველად გადატანილ იქნეს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე; ა/წ 11 მარტს იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად გამოიტანა დადგენილება: უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე აღიძრას შუამდგომლობა, დისერტაციის დაცვის გარეშე, პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭებისა და სსუს უმაღლესი საატესტაციო კომისიის წინაშე საკითხის დაყენების შესახებ.

პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილს აქვს 10 სამეცნიერო ნაშრომი, 20 წლის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას იურიდიულ მეცნიერებათა სფეროში, 1930 წლიდან ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის კათედრას.

ახლა მე თქვენ წაგიკითხავთ რუსულ ენაზე [შესრულებულ] რეცენზიებს, როლებიც მისცეს პროფ. ი.ი. ტალახაძემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ბ.ზ. ფურცხვანიძემ და პროფესორმა მ.ი. გოგიბერიძემ (კითხულობს).

იურიდიული ფაკულტეტი შუამდგომლობს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, დისერტაციის დაცვის გარეშე, პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების თაობაზე იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც არსებობს საქმეში.

---

* რუსული დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 415, ფურცლები: 16-17. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

თავმჯდომარე:

ვის სურს აზრის გამოთქმა აღნიშნულ საკითხზე. სიტყვა ეძლევა პროფ. ი.ი. ტალახაძეს.

[პროფ. ი.ი. ტალახაძე]:

ფაკულტეტის საბჭომ დამავალა, გამეკეთებინა გამოხმაურება პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილის ნაშრომებზე. აღნიშნული ნაშრომები ჩვენთვის, იურიდიულ ფაკულტეტზე, ცნობილია. მას აქვს ძალიან ბევრი ფასეული ნაშრომი. სამწუხაროდ, მარქსისტული ნაშრომი მას არ გააჩნია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ყველა ნაშრომი, რომელიც არსებობს, ჩვენთვის ძალიან ფასეულია და სისხლის სამართლის სფეროში ეს ფასეული წყაროა. მაგალითად, კელზენის თხზულებას ჩვენი სტუდენტები ვერ შეისწავლიან პროფ. ა. ვაჩეიშვილის ნაშრომის გვერდის ავლით. მისი უკანასკნელი შრომები ანსელმ ფოიერბახის შესახებ და ბრალეულობის შესახებ ძალზე ფასეული ნაშრომებია და ისინი, უპირობოდ, დაიბეჭდება და სავსებით სასარგებლონიც იქნებიან.

ამხანაგ ვაჩეიშვილს სხვა დამსახურებანიც აქვს – ის მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის კათედრას, ფლობს მრავალ ევროპულ ენას, 3-4 ნაშრომს ამზადებს გამოსაქვეყნებლად. იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, რეცენზენტი ისაევი დადებით დასკვნას იძლევა მის ნაშრომზე და მეც ვთვლი, რომ მას შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხი, მით უმეტეს, რომ ჩვენ, შეიძლება ითქვას, იურიდიულ ფაკულტეტზე არ გვყავს მასზე უკეთ მომზადებული მეცნიერ-მუშაკი. მე არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, მას აქვს 10 საკმაოდ ფასეული ნაშრომი და, მიუხედავად ამისა, დროულად არ დამდგარა საკითხი ამ ნაშრომების დაბეჭდვისა და მათი ავტორისათვის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების შესახებ, მაშინ, როცა სამართლის ზოგიერთ დოქტორს[1] ერთეული ნაშრომი [აქვს], მე ვიტყოდი, ამ ნაშრომ[ებ]ის 1/100-აც რომ არ ღირან, თუმცა ისინი დაბეჭდილია და მათ ავტორებს [სამეცნიერო] ხარისხი აქვთ მინიჭებული. ვფიქრობ, ეს უსამართლობა უნდა გამოსწორდეს და აღიძრას საკითხი პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების თაობაზე.

თავმჯდომარე:

კიდევ ვის სურს აზრის გამოთქმა განსახილველი საკითხის შესახებ?

გამომსვლელებმა, აკადემიკოსმა ა.გ. შანიძემ და პროფესორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა მ.ი. გოგიბერიძემ დადებითი შეფასება

[1] „წითელ“ პროფესორ ტალახაძეს მხედველობაში უნდა ჰყავდეს პროფ. ირ. სურგულაძე და პროფ. გ. ნანეიშვილი [რედ.].

მისცეს პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას და აზრი გამოთქვეს, დისერტაციის დაცვის გარეშე, პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების თაობაზე.

ამის შემდეგ შემოვიდა წინადადება კენჭისყრის დაწყების შესახებ.

აღნიშნული წინადადება წამოყენებულ იქნა საბჭოს წინაშე, რომელმაც დაამტკიცა ეს [წინადადება].

სტალინის სახელობის თსუ-ის
სამეცნიერო საბჭოს მდივანი /გ. ფურცელაძე/

გამოხმაურება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილის ნაშრომზე*

1929[1] წელს პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილმა უნივერსიტეტის „მოამბეში“ დაბეჭდა მოცულობითი გამოკვლევა – „კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“.

აღნიშნულ ნაშრომში პროფ. ა. ვაჩეიშვილი მიზნად ისახავს, გადმოგვცეს კელზენის მოძღვრება სრულად, ყოველმხრივი ჩამოყალიბებით და მოგვცეს მისი იმანენტური კრიტიკა. ცნობილია, რომ კელზენი არის ბურჟუაზიული სამართლის თეორიის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. აგრეთვე, ცნობილია, რომ მისი მოძღვრება სამართლისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ წარმოადგენს ცნებათა ბნელ და, იმავდროულად, რთულ სქოლასტიკას. კელზენის სამართლებრივი შეხედულებანი წარმოადგენენ კაპიტალისტური წყობის უსამართლობის გამართლების მცდელობას; ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიის საკითხებში ის არის ნეოკანტიანელთა ერთერთი უმთავრესი წარმომადგენელი. ის ცდილობს, გაარკვიოს სამართლისა და მორალის/[ზნეობის], ჯერარსისა და ფაქტობრივის ურთიერთობა და უპირისპირებს მოვალეობას სამართალს, და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულის ერთად შეკრება, მათი ერთ, მთლიან მონოგრაფიაში გაერთიანება უკიდურესად დიდ შრომასა და სამართლის ფილოსოფიის პრობლემატიკის ირგვლივ ფართო ერუდიციას მოითხოვდა. პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომიდან ცხადად მოჩანს, რომ მას ერთიც აქვს და მეორეც; კელზენის მოძღვრების იმანენტური კრიტიკა მან თანამედროვე ბურჟუაზიული სამართლის ყველა თეორიის, უდავოდ, ცოდნის პირობებში განახორციელა. პროფ. ვაჩეიშვილის მართებული დასკვნით, კელზენის მოძღვრების მთელი არსი ასეთია: კელზენი, მკაცრად ფორმალური თვალსაზრისით, განიხილავს ბურჟუაზიული სამართლის თეორიის ძირითად ცნებებს, ობიექტური და სუბიექტური სამართლის ცნებას, მოვალეობას, სამართლის ნორმათა

---

* რეცენზიის რუსულენოვანი ტექსტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 415, ფურცლები: 10-10ა. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

1 დედანში მითითებულია 1923, უნდა იწეროს – 1929. ამასთან ხაზგასასმელია, რომ პროფ. ვაჩეიშვილის ეს პუბლიკაცია ორი გზით მიეწოდა მკითხველს:
1. 1928 წელს გამოიცა ცალკე წიგნაკად – 50 ეგზემპლარის ამონაბეჭდის სახით;
2. ნაშრომის I, II და III თავები გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის მოამბის 1929 წლის IX ნომერში (1-88), ხოლო IV და V თავები 1930 წლის X ნომერში (1-96) [რედ.].

ჯგუფებს, სახელმწიფოსა და ა.შ.; მისი მეთოდი დედუქციურ-იდეალისტურია; ყველა ეს ძირითადი ცნება მას იურიდიული ნორმების ცნებებიდან წმინდა ფორმალურ-ლოგიკური გზით გამოჰყავდა. პროფ. ვაჩეიშვილი გვიჩვენებს, რომ ეს მკაცრად იურიდიული ფორმალიზმი მაშინვე განიცდის იმანენტურ კრახს, რა წუთსაც კელზენს რეალურ იურიდიულ მოვლენებთან შეხება უწევს. სწორედ ამით აიხსნება კელზენის მოძღვრების რამდენადმე გაორება: ის ხან აიგივებს სამართალს სახელმწიფოსთან, ხან განაცალკევებს მათ, და ა.შ.

პროფ. ვაჩეიშვილის ნაშრომი, აგრეთვე, ნათლად გვიჩვენებს, რომ მისი ავტორი საფუძვლიანად იცნობს მთელ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიას და, იურიდიული პრობლემების კვლევისას თავისუფლად სარგებლობს მისით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მე დიდი სიამოვნებით ვუერთდები იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობას, პროფ. ა. ვაჩეიშვილისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოსე გოგიბერიძე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

გამოხმაურება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილის ნაშრომებზე*

პროფ. ა.კ. ვაჩეიშვილმა, თავისი მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში (1922 წლიდან იურიდიულ დისციპლინებში კითხულობს ლექციებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე) დაწერა რიგი ნაშრომებისა, კერძოდ:

I. სამართლის ზოგადი თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1926, 224 გვ. (ქართულ ენაზე).

აღნიშნულ ნაშრომში საკმაოდ ზედმიწევნით და ზუსტად გადმოცემულია გამოჩენილი ბურჟუაზიული მეცნიერებისა და იურისტების ძირითადი შეხედულებების ჩამოყალიბებით სამართლის ბურჟუაზიული თეორიების ყველა საკვანძო საკითხი; წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები:

1. სამართლის ზოგადი თეორია და სამართლის ენციკლოპედია;

2. სამართალი, ზნეობა და კონვენციური ნორმები;

3. ბუნებითი სამართლის თეორია;

4. სამართლის თეორია (საერთო ნების თეორია, თავისუფალი ნების თეორია, იძულების თეორია, ინტერესთა დაცვის თეორია, კორკუნოვის, მურომცევისა და პეტრაჟიცკის თეორია);

5. სამართლის წარმოშობა და განვითარება (ისტორიული სკოლა, იერინგის თეორია, შედარებით-ისტორიული მიმართულება);

6. სამართალი ობიექტური გაგებით (იძულებითი და დისპოზიციური ნორმები, იურიდიული ნორმების ელემენტები და სანქციები);

7. სამართლის წყაროები;

8. სამართალი სუბიექტური გაგებით;

9. საჯარო და კერძო სამართალი;

10. სამართლის გამოყენება.

როგორც ზემოთ ჩამოყალიბებული ცხადყოფს, წიგნში არ არის სამართლის მარქსისტული თეორია, ისევე, როგორც მარქსისტული იდეოლოგიის პოზიციიდან ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა; წიგნში გვხვდება ცალკეული შეცდომები, თუმცა დასახელებული ნაშრომი – პროფ. ა. ვაჩეიშვილის მი-

* რეცენზიის რუსულენოვანი ტექსტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 415, ფურცლები: 11-14. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

ერ ქართულ ენაზე შესრულებული ერთ-ერთი ადრეული ნაშრომი, – ერთადერთი წიგნია, [რომელიც შეიცავს] სამართლის თეორიის სფეროში ბურჟუაზიული მოძღვრებების სრულყოფილსა და თავისუფალ ჩამოყალიბებას და ამიტომ ის, უპირობოდ, ფასეული დამხმარე მასალაა სამართლის ზოგადი ცნებების შესწავლის საქმეში.

II. კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1928 წ., 184 გვ. (ქართულ ენაზე).

პროფ. ა. ვაჩეიშვილი კელზენის შესახებ წიგნში საკმაოდ დაწვრილებით და ზუსტად გადმოგვცემს კელზენის მოძღვრებას, თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფომცოდნეობის ნორმატიული სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლისა; პროფ. ა. ვაჩეიშვილის ნაშრომში ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებულია შემდეგი თემები: კელზენის მოძღვრება და თანამედროვე იურიდიული მეცნიერება, კელზენის მოძღვრების ძირითადი დებულებანი, სამართალი ობიექტური გაგებით, სუბიექტური სამართლის მნიშვნელობა, კელზენის თეორიის შემდგომი განვითარება და მისი ზოგადი მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, კელზენი არის სამართლის შესახებ ე.წ. წმინდა მოძღვრების მამამთავარი, ის ქადაგებს სამართლისა და სახელმწიფოს შემეცნების მიმართ აპოლიტიკურ მიდგომას, მისი მოძღვრება გულისხმობს იურიდიული ფორმალიზმის უზენაეს განვითარებას, ერთ-ერთ მცდელობას, საბურველით დაიფაროს სამართლის კლასობრივი ბუნება, რომელიც ფორმას შინაარსიდან მოწყვეტს და მარქსიზმის თვალსაზრისით კრიტიკას უძლებს; ჩვენს დროში, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისიდან გამომდინარე, ბურჟუაზიულ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფონზე კელზენის მოძღვრება საინტერესო დისკუსიებს იწვევს თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერებსა და იურისტებს შორის.

კელზენის შესახებ თითქმის არაფერია რუსულ ენაზე და სრულიად არაფერია ქართულად.

კელზენის მოძღვრების გაცნობა ქართველი მკითხველისათვის (უმთავრესად, მოსწავლე ახალგაზრდობისა), მისი ყოველმხრივი ჩამოყალიბების გზით (თუნდაც სათანადო კრიტიკის გარეშე), როგორც ეს პროფ. ა. ვაჩეიშვილმა განახორციელა, უდიდეს ინტერესს იწვევს და პროფ. ა. ვაჩეიშვილის წიგნი საკმაოდ სასარგებლოა მოცემულ ეტაპზე სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ ბურჟუაზიული მეცნიერების ზოგადი მდგომარეობის შესწავლის საქმეში.

III. შესავალი სოციოლოგიაში, ნაწილი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდკავშირის გამოცემა, 100 გვ. (ქართულ ენაზე).

წიგნი შედგება 1922 წელს პროფ. ა. ვაჩეიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის I კურსზე წაკითხული ლექციებისაგან და განკუთვნილია სახელმძღვანელოს სოციოლოგიის შემსწავლელთა დასახმარებლად; პროფ. ა. ვაჩეიშვილის მითითებული წიგნი ქართულ ენაზე სოციოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი მცდელობაა; მასში, ობიექტური ჩამოყალიბებით (კრიტიკული შეფასების გარეშე), განხილულია სოციოლოგიის ისტორიული საფუძვლები (პლატონის, არისტოტელესა და სხვათა ფილოსოფიური შეხედულებანი და პოლიტიკური მოძღვრებანი), იდეოლოგიური მიმართულება (სენ-სიმონი, ო. კონტი, ბოკლი), ფსიქოლოგიური მიმართულება (უორდი, ლებონი და სხვ.) და თეორია დიურკჰეიმისა – მექანიკური მიმართულების წარმომადგენლისა.

პროფ. ა. ვაჩეიშვილის ნაშრომი – შესავალი სოციოლოგიაში – ჩვენს დროშიც, გარკვეულწილად, ფასეულია, როგორც ქართულ ენაზე [შექმნილი] ერთადერთი საცნობარო მასალა სოციოლოგიის [სფეროში].

IV. Etude sur les théories du droit, ხელნაწერის უფლებით, 1927 წ. (ფრანგულ ენაზე).

აღნიშნულ ნაშრომში ჩამოყალიბებულია სამართლის ყველა ძირითადი ბურჟუაზიული თეორია, კერძოდ:

1. სამართლის ფსიქოლოგიური თეორია (პეტრაჟიცკის ემოციის თეორია, ნების თეორია, კრაბეს თეორია);

2. ფილოსოფიური თეორიები (კელზენი, სოლომონი, რაინახი);

3. სოციოლოგიური (დიურკჰეიმი, ტარდი, ერლიხი).

V. რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი (ჯერ არ გამოცემულა, დაახლოებით 6 ნაბეჭდი ფორმა).

პროფ. ა. ვაჩეიშვილის მიერ ლექსიკონი იქმნებოდა მისი მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში და მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის დახმარების გაწევას იურიდიული მეცნიერებების შესწავლის დროს, აგრეთვე, ცალკეული იურიდიული ტერმინების განმარტებას; იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ტერმინი არ ექვემდებარება სიტყვა-სიტყვით მოკლე თარგმანს – მასში მოცემულია [ტერმინის] გავრცობითი განმარტება.

VI. ბრალეულობის პრობლემა სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში (რუსულ ენაზე, ჯერ კიდევ არ გამოცემულა, დაახლოებით 15 ნაბეჭდი ფორმა).

აღნიშნულ კაპიტალურ ნაშრომში პროფ. ა. ვაჩეიშვილმა ჩამოაყალიბა იმ თეორიათა საბოლოო დასკვნები და შეცნობის ხერხები, რომლებსაც წამყვანი ადგილი უპყრიათ სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში და გადმოსცა მათი კრიტიკული გაშუქება; გარდა ბრალის პრობლემისა, ნაშრომში განიხილება მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი საკითხი: ნების თავისუფლებისა და ზნეობისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი; გარდა სხვადასხვა თეორიის ჩამოყალიბებისა (უმთავრესად, კლასიკური მიმართულების, ნეოკლასიკოსთა და სხვ.) ნაშრომში მიმოხილულია ბრალეულობის ისტორიული განვითარება, განმარტებულია „ობიექტური შერაცხვის“ საწყისი, სუბიექტური შერაცხვის პრინციპი, ბრალის ცალკეული ფორმების შემდგომ განვითარებასთან ერთად.

ნაშრომის ორ ძირითად თავში (პირველსა და ბოლოში) პროფ. ა. ვაჩეიშვილი შეჩერდა ბრალის პრობლემაზე საბჭოთა სისხლის სამართალში, გააკრიტიკა ბრალის ცნება, რომელიც მოცემულია იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის (ÂÈÞÍ) სახელმძღვანელოში, დაწვრილებით გააშუქა „შეფასებითი“ მომენტი, როგორც სისხლის სამართლის ორ ძირითად ცნებას – ბრალეულობასა და დასჯადობას – შორის შემაკავშირებელი რგოლი.

ნაშრომში სიღრმისეულად და ამომწურავად არის გაანალიზებული უდიდესი მასალა; ამის მიღწევა კი ავტორის მიერ მხოლოდ უცხო ენების ცოდნის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი, და, მართლაც, პროფ. ა. ვაჩეიშვილი სრულყოფილად ფლობს ევროპულ ენებს (ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს, იტალიურს).

პროფ. ა. ვაჩეიშვილის ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სამართალში ბრალეულობის პრობლემის შემდგომი შემუშავებისათვის.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მითითებულმა ნაშრომმა ავტორის მიერ იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექციის გამგისათვის, პროფ. ი.მ. ისაევისათვის გასაცნობად გაგზავნილმა, მისგან მაღალი შეფასება დაიმსახურა.

VII. ანსელმ ფოიერბახის მოძღვრება სასჯელის შესახებ (რუსულ ენაზე, დაახლოებით 4 ნაბეჭდი ფორმა).

ეს მონოგრაფია (პროფ. ა. ვაჩეიშვილის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი) იძლევა კლასიკური სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლის – ანსელმ ფოიერბახის მოძღვრების ჩამოყალიბებას, რომლის მსოფლმხედველობამაც ღრმა

გავლენა მოახდინა სისხლის სამართლის ძირითადი საკითხების შემდგომ შემუშავებაზე; ნაშრომში მოცემულია ანსელმ ფოიერბახის წინამორბედი მწერლების შეხედულებათა ისტორიული მიმოხილვა (ბეკარია და სხვ.), ჩამოყალიბებულია ფოიერბახის ფილოსოფიური მრწამსი, მისი კანტის ნააზრევისაგან განსხვავება ორ ძირითად საკითხზე – ადამიანის ნების თავისუფლება, როგორც სასჯელის წინაპირობა და იმ შურისძიების საწყისი, რომელიც ზნეობრივი კანონის მოთხოვნებთან კავშირში იმყოფება.

ნაშრომში გადმოცემულია ანსელმ ფოიერბახის შეხედულებანი სასჯელის, შერაცხადობის, ნების თავისუფლებისა და, ზოგადად, ბრალეულობის შესახებ; ჩამოყალიბებულია ე.წ. ფსიქოლოგიური იძულების თეორია; ანსელმ ფოიერბახის მოძღვრების შინაარსის გადმოცემისას პროფ. ა. ვაჩეიშვილი სარგებლობს კრიტიკული ანალიზის მეთოდით, ხაზს უსვამს იმას, რომ ფოიერბახის მოძღვრება, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური არსი აქვს, არის ახალი, აღმავალი კლასის – ბურჟუაზიის ვნებათა და ინტერესების გამოხატულება; მასში აღიბეჭდა, სისხლის სამართლის სფეროში ბურჟუაზიული კლასის ძირითადი პოლიტიკური მოთხოვნები.

გარდა ჩამოთვლილი ნაშრომებისა, პროფ. ა. ვაჩეიშვილს, აგრეთვე, აქვს სპეციალური გამოკვლევა გროლმანისა (მოძღვრება სპეციალური პრევენციის შესახებ – მოცულობით, დაახლოებით 3 ნაბეჭდი ფორმა) და ინკვიზიციური პროცესის წარმოშობისა და ბუნების (5 ნაბეჭდი ფორმა) შესახებ; აღნიშნულ ნაშრომებზე პროფ. ა. ვაჩეიშვილი მუშაობდა 1940 წლის განმავლობაში და ისინი დაასრულა მიმდინარე წლის მარტის თვეში.

წინამდებარე გამოხმაურება შედგენილია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოსათვის, რათა აღიძრას შუამდგომლობა პროფ. ა. კ. ვაჩეიშვილისათვის, როგორც დამსახურებული მეცნიერ-მუშაკისა და იურიდიული დისციპლინების სფეროში ზემოთ მითითებული ფასეული ნაშრომებისა და გამოკვლევების ავტორისათვის – დისერტაციის დაცვის გარეშე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭების შესახებ.

ილარიონ ტალახაძე
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის [„წითელი“] პროფესორი

ბორის ფურცხვანიძე
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
25/III-41

გამოხმაურება პროფ. ვაჩეიშვილის შრომებზე*

პროფესორი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ვაჩეიშვილი – უგანათლებულესი ქართველი იურისტი, განსაკუთრებული ერუდიციის მქონე მეცნიერი. პროფ. ვაჩეიშვილი არის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ძირითადი თანამშრომელი, რომელიც საუკუნის მეოთხედზე მეტი ხნის განმავლობაში ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას სამართლის სფეროში, კერძოდ – სისხლის სამართალში.

[უცხო] ენების ცოდნა (უძველესი: ძველი ბერძნულისა და ლათინურის, ევროპულის: ფრანგულის, გერმანულის, ინგლისურის, იტალიურის), განსაკუთრებული შრომისმოყვარეობისა და შრომისუნარიანობის პირობებში, საშუალებას აძლევს პროფ. ვაჩეიშვილს, გასწიოს დიდად ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა. პროფ. ვაჩეიშვილის კალამს ეკუთვნის ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი (გამოქვეყნებულიც და გამოუქვეყნებელიც) ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე, რომელთა შორის მივუთითებთ შემდეგს:

1. სამართლის ზოგადი თეორია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1926 წ., 224 გვ. (ქართულ ენაზე).

აღნიშნულ ნაშრომში დაწვრილებით არის შემუშავებული და განხილული სამართლის ბურჟუაზიული თეორიები, სამართალი ობიექტური და სუბიექტური გაგებით, სამართლის წყაროები, საჯარო და კერძო სამართალი და სხვა საკითხები. წიგნი, უპირობოდ, წარმოადგენს ფასეულ მასალას სამართლის ზოგადი თეორიის შესწავლის საქმეში.

2. შესავალი სოციოლოგიაში, ნაწილი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსი, 1923 წ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდკავშირის გამომცემლობა, 100 გვ. (ქართულ ენაზე).

ნაშრომი დიდ ინტერესს იწვევს, [ვინაიდან იგი] არის ქართულ ენაზე სოციოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი მცდელობა. ნაშრომში განხილულია: სოციოლოგიის ისტორიული საფუძვლები, პლატონის, არის-

---

* რუსული დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 415, ფურცლები: 87-90. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად. საარქივო დოკუმენტი დასათაურებული არ არის, სათაური – „გამოხმაურება პროფ. ვაჩეიშვილის შრომებზე“ – ეკუთვნის სამეცნიერო რედაქტორს. ქვეყნდება პირველად [რედ.].

ტოტელესა და სხვათა პოლიტიკური მოძღვრებანი, ფსიქოლოგიური და მექანიკური მიმართულება და სხვა საკითხები.

3. კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1928 წ., 184 გვ. (ქართულ ენაზე).

წიგნი უაღრესად ფასეულია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კელზენის მოძღვრების შესახებ არაფერი გაგვაჩნია არათუ ქართულ ენაზე, არამედ რუსულ ენაზეც კი არ არსებობს მონოგრაფია სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ ბურჟუაზიული მეცნიერების ამ ყველაზე გამოჩენილი მკვლევრის შესახებ. წიგნში მონოგრაფიულად არის დამუშავებული და ჩამოყალიბებული კელზენის მოძღვრების ყველა მხარე. ნაშრომი არის ძალზე საინტერესო და სასარგებლო სახელმწიფოსა და სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების შესწავლის საქმეში.

4. რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, გამოსაცემად მომზადებული.

პროფ. ვაჩეიშვილის მთელი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ნაყოფი, უპირობოდ, ძალზე ფასეული ნაშრომია.

5. ბრალეულობის პრობლემა სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, გამოსაცემად მომზადებული (რუსულ ენაზე, დაახლოებით 15 ნაბეჭდი ფორმა).

ეს კაპიტალური ნაშრომი ღირებული მონოგრაფიაა. მასში სიღრმისეულად და ამომწურავად გაანალიზებულია უდიდესი მასალა, მონოგრაფიულად არის დამუშავებული დასახული პრობლემატიკის ყველა მხარე. პროფ. ვაჩეიშვილის აღნიშნულ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სამართალში ბრალეულობის პრობლემის შემდგომი დამუშავების კუთხით.

პროფ. ვაჩეიშვილის დასახელებულმა ნაშრომმა სრულიად სამართლიანად მიიღო საკავშირო იურიდიულ მეცნიერებათა ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექციის გამგის, ი. მ. ისაევის მაღალი შეფასება.

6. ანსელმ ფოიერბახის მოძღვრება სასჯელის შესახებ, გამოსაცემად მომზადებული (რუსულ ენაზე, დაახლოებით 6 ნაბეჭდი ფორმა).

7. Etude sur les théories du droit, ხელნაწერის უფლებით, 1927 წ., 64 გვ. (ფრანგულ ენაზე).

8. დანაშაულის შემადგენლობის ცნება, ხელნაწერი, 54 გვ. (რუსულ ენაზე).

9. გროლმანის მოძღვრება სპეციალური პრევენციის შესახებ, ხელნაწერი, 57 გვ. (რუსულ ენაზე).

10. ქართული სამართლის წყაროების შესახებ: კომპოზიციის სისტემა ქართულ სამართალში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 26, 1944, გვ. 1-55 (ქართულ ენაზე).

11. სასჯელის მიზნები და იძულების სისტემა ქართულ სამართალში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 28, 1946, გვ. 1-62 (ქართულ ენაზე).

12. დანაშაულის სუბიექტური მხარე ქართულ სამართალში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, იბეჭდება (ქართულ ენაზე).

13. სისხლის სამართლის პროცესი, გამოსაცემად მომზადებულია, 50 გვ. (ქართულ ენაზე).

გარდა ამისა, პროფ. ვაჩეიშვილს აქვს რიგი სხვა ნაშრომებისა, აგრეთვე, რედაქტირებული სისხლის სამართლის სახელმძღვანელო და რიგი რეცენზიებისა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პროფ. ვაჩეიშვილის უახლესი ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ქართული სამართლის ისტორიის კვლევას: 1. ქართული სამართლის წყაროების შესახებ, 2. სასჯელის მიზნები და იძულების სისტემა ქართულ სამართალში, 3. დანაშაულის სუბიექტური მხარე ქართულ სამართალში, 4. სისხლის სამართლის პროცესი ქართულ სამართალში.

პროფ. ვაჩეიშვილის დასახელებული სამეცნიერო ნაშრომები ღირებული შენატანია არა მხოლოდ ქართული სამართლის ისტორიაში, არამედ, ზოგადად, სამართლის ისტორიაში. დიდი ერუდიცია, ენების ცოდნა და შრომისადმი უსაზღვრო სიყვარული პროფ. ვაჩეიშვილს საშუალებას აძლევს, კვლევით საქმიანობაში მოიყვანოს უზარმაზარი შედარებით-ისტორიული მასალა და ევროპელი ხალხის განვითარების ფონზე გამოიკვლიოს ქართული სამართლის ისტორიის პრობლემები.

ამაში უპირობოდ დიდია პროფ. ვაჩეიშვილის დამსახურება.

აქ აუცილებელია, აღვნიშნოთ შემდეგი: თუ პროფ. ვაჩეიშვილის პირველი ნაშრომები (სამართლის ზოგადი თეორია, შესავალი სოციოლოგიაში)[1]

[1] წიგნების ჩამონათვალში მითითებული არ არის პროფ. ვაჩეიშვილის წიგნი – „Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“, რომელიც 1930 წლის ოქტომბრის დისკუსიაზე მარქსისტებმა დაგმეს და გააკრიტიკეს (მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია „წითელი“ პროფ. ტალახაძის როლი). ეს ფაქტი

ჯერ კიდევ არ იყო მარქსისტული, შემდგომში მისი ნაშრომები მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებითაა შექმნილი.

პარტიამ და მთავრობამ დააფასა პროფ. ვაჩეიშვილის ღვაწლი სამცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის საქმეში და მას „მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ წოდება მიანიჭა.

მიგვაჩნია, რომ პროფ. ვაჩეიშვილი, დისერტაციის დაცვის გარეშე, სავსებით იმსახურებს მისთვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის [სამეცნიერო] ხარისხის მინიჭებას.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
[„წითელი“] პროფესორი *[ხელმოწერა]* [1] /ი. ტალახაძე/

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *[ხელმოწერა]* [2] /გ. სოსელია/

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი *[ხელმოწერა]* [3] /დ. მირიანაშვილი/

შესაძლოა ტექნიკურ ხარვეზად მიგვეჩნია, მაგრამ იმ პერიოდში მსგავსი „ხარვეზი“ ნამდვილად არ უნდა დაეშვათ „წითელ“ პროფესორებს [რედ.]

1 ხელმოწერილია შავი მელნით [რედ.].

2 ხელმოწერილია ლურჯი მელნით [რედ.].

3 ხელმოწერილია შავი მელნით [რედ.].

რეცენზია ამხანაგ გიორგი ნიკოლოზის ძე ახუმიანის სადისერტაციო ნაშრომზე*

თემა: „სამამულო ომის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“
[წარდგენილი] იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

სადისერტაციო ნაშრომის სახით ავტორმა აირჩია საკმაოდ საინტერესო, სრულებით თანამედროვე და უშუალოდ პრაქტიკული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რამდენადმე ვიწრო თემა. აღსანიშნავია, რომ საკუთრივ თემა მოიცავს ნაშრომის მხოლოდ ერთ მესამედს, ხოლო სხვა ორი მესამედი ეძღვნება საკმაოდ საინტერესო და წმინდა თეორიულ საკითხს – მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ადმინისტრაციული სამართლის შესახებ; ამასთანავე, ავტორის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილი მას მართებულად და ზუსტად აქვს დამუშავებული მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით, თუმცა მოკლედ, და, თუ ზოგიერთ ადგილზე გვხვდება გაურკვევლობა, ეს უფრო ტერმინოლოგიური და სტილისტური ხასიათის ფაქტებია და არა – თეორიული.

ნაშრომი იწყება შესავლით, რომელშიც განიხილება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საკითხი ომის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შესავლისათვის თამამად შეიძლებოდა გვერდის ავლა, მაგრამ ის სულაც არ არის რაღაც, მოცემულ ნაშრომთან დაუკავშირებელი, ვინაიდან მასში საუბარია სამამულო ომის პერიოდში არსებულ მართლწესრიგზე.

ავტორი სამართლიანად აღწერს გერმანიის სახელმწიფოს სამხედრო-ისტორიულ პოლიტიკას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, როგორც პრუსიელი მილიტარისტების ვერაგულ, მძარცველურ და სასტიკ წამოწყებას, რომელიც საკუთარ თავს რჩეულ რასად წარმოსახავდა და არაერთხელ განუზრახავს რუსეთისა და მთელი სამყაროს დაპყრობა.

ტევტონი მეომრების მძარცველურ ომს ავტორი უპირისპირებს ჩვენს საბჭოთა სამამულო სამართლიან ომს, ჩვენი ქვეყნის ღირსების, პატივის, თავისუფლებისა და კულტურისა და ევროპისა და სამყაროს ყველა თავისუფლებისმოყვარე დემოკრატიული ქვეყნების დასაცავად.

1941 წლის 3 ივლისის ბელადის მოწოდების, აგრეთვე, ჩვენი სახელმწიფო ხელმძღვანელობის, დაწესებულებებისა და პრესის ბევრი გამოსვლის გა-

---

* რეცენზიის რუსულენოვანი ტექსტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 422, ფურცლები: 49-57. ქართული თარგმანი შესრულებულია **ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილის** მიერ და ქვეყნდება პირველად [რედ.].

ანალიზებისას ავტორი გადადის საომარი დროის ბრძანებულებებზე, დადგენილებებსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა აქტებზე, აქტებზე, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელთა, სოციალიზმის დიადი შემოქმედების – ლენინისა და სტალინის – უკვდავ პატრიოტულ იდეებს.

საომარი დროის კანონმდებლობის მიმოხილვა იწყება, ზოგადად, სახელმწიფოს ადმინისტრაციულსამართლებრივი წესრიგის დეფინიციით.

მოცემული დეფინიცია განიცდის ზოგიერთ უზუსტობასა და გაურკვევლობას; ამაში არა იმდენად ავტორის ბრალეულობა, რამდენადაც დასახული საკითხის მოცულობის სირთულეა. განმარტება მაინც მიახლოებულად გამოხატავს ავტორის მიზანს, რომელიც მართებულად აკრიტიკებს ბრიგადას – „საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის“ სახელმძღვანელოთა შემქმნელებს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ცნებების გამიჯვნის კუთხით.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივი წესრიგის ყოველი დარღვევა, საკუთარ თავში კრიმინალის ელემენტებს შეიცავს, რათა გამოვიყენოთ სისხლის სამართალი“; თუმცა არც მთლად გასაგებად აყალიბებს დანაშაულში განზრახვის ცნებას, არაფერს ამბობს ევენტუალურ მომენტზე, რომელიც, როგორც ცნობილია, არანაკლებ როლს ასრულებს განზრახვის შემეცნების კუთხით.

საზოგადოებრივი წესრიგის, ანუ სოციალისტური კანონიერების აღწერაზე გადასვლისას ავტორი აღნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების მნიშვნელობას სოციალისტური საზოგადოებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში.

ავტორი მრავალჯერ უსვამს ხაზს, რომ სოციალისტური კანონიერება არის სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ასახვა და თავისი განვითარებით, მთლიანად მათზეა დამოკიდებული და გარდაუვლად მისდევს მათ განვითარებას. ავტორი არაერთხელ მიუბრუნდა აღნიშნულ საკითხს და გვახსენებს მ.-ს[1] და [ე.]-ს[2] სახელგანთქმულ გამონათქვამს, რომ „სამართალს არ აქვს თავისი დამოუკიდებელი ისტორია“ და, რომ სამართლის განვითარება და შეცვლა მხოლოდ გამოხატავს საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასა და შეცვლას.

ავტორის მთელი ნაშრომის შინაარსი არის მარქსის ამ გენიალური აღმოჩენის ბრწყინვალე პრაქტიკული მტკიცება.

მთელი ნაშრომი არის სოციალისტური ეკონომიკური ურთიერთობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შეცვლის და, ამასთან დაკავში-

---

[1] ინიციალში – „მ“ იგულისხმება მარქსი [რედ.].

[2] რუსულ დედანში მითითებულია ინიციალი – „Э“, სინამდვილეში უნდა იწეროს – „Э“, რაშიც, შესაბამისად, იგულისხმება ენგელსი [რედ.].

რებით, სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის თანმიმდევრული განვითარებისა და შეცვლის, ანალიზი; სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ორი ფაზის ანალიზისას ავტორი სქემატურად ხატავს საბჭოთა ეკონომიკის ზრდას და, ამასთან დაკავშირებით, სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის ამოცანების განვითარებასა და შეცვლას. აღნიშნულ საკითხში ავტორის სწორი თანმიმდევრულობა გვარწმუნებს, რომ ის ღრმად ჩასწვდა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საგანძურს და ღირსეულად შეითვისა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ აღნიშნული მეცნიერება.

ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია, არ აღინიშნოს საქართველოში სამართლებრივი აზრის განვითარების შესახებ სამწუხარო ფაქტი, კერძოდ, პროფ. სურგულაძის ანტიმარქსისტული და, მაშასადამე, ანტიმეცნიერული ნაშრომი − „Gewalt und Recht“, რომელშიც ავტორი მარქსი-ლენინის აშკარა კრიტიკის მცდელობისას წერს:

„საკმაოდ გავრცელებულ თეორია, რომელსაც სამართალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურიდან გამოჰყავს, აბსოლუტურად ცრუდ უნდა მივიჩნიოთ“.

თავის მითითებულ ნაშრომში პროფ. სურგულაძე ღიად აკრიტიკებს მარქსის მოძღვრებას, თუმცაღა არ ასახელებს მის გვარს.

თხუთმეტი წლის წინ ამხანაგი სურგულაძის აღნიშნული ნაშრომის გაკრიტიკებისას ჩვენ ნათლად გამოვააშკარავეთ ამ ნაშრომის ანტიმარქსისტული, ანტიმეცნიერული არსი.

შემდგომში ამხანაგი სურგულაძე იძულებული გახდა, ეღიარებინა[1] ჩვენი კრიტიკის მართებულობა და დაგვპირდა, მოეცა ამ ნაშრომის საჯარო კრიტიკა; მაგრამ, აი, უკვე თხუთმეტი წელია, ჩვენ არც კი გვინახავს ეს თვითკრიტიკა.[2] პირიქით, მის მიერ უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერე-

---

[1] განცხადების სახით გამოქვეყნდა გაზეთ – „კომუნისტში“, 18 ნოემბერი, 1930, ხოლო რუსული თარგმანი კრებულში: Против идеализма в правовой мысли советской Грузии, Стенограмма дискуссии по докладу А. И. Гегенава: „Правовая мысль в советской Грузии“, под редакцией А. А. Болотникова, ЗКУ, Тифлис, 1931, 140. ასევე, ქვეყნდება წინამდებარე კრებულში [რედ.].

[2] ხაზგასასმელია, რომ საარქივო დოკუმენტების მოპოვების შედეგად შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ ფაქტი, რომ პროფ. სურგულაძემ 1932 წლის 6 ივნისს საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრისა და სამეურნეო სამართლის კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, სადაც კრიტიკულად იყო განხილული თავისივე სამეცნიერო გამოკვლევები. სხდომაზე მოხსენებით, ასევე, გამოვიდა პროფ. გ. ნანეიშვილი (ამ უკანასკნელმაც გააკრიტიკა საკუთარი ნაშრომები). კათედრების გაერთიანებული სხდომის დღის წესრიგის მთავარი საკითხი გახლდათ პროფ. ირ. სურგულაძისა და პროფ. გ. ნანეიშვილის შრომების კრიტიკული ანალიზი. მოცემულ შემთხვევაში ილარიონ ტალახაძეს, როგორც

ბათა აკადემიისათვის შედგენილ ბიბლიოგრაფიულ საძიებელში ის მოიხსენიებს ამ ნაშრომს, როგორც თავის სამეცნიერო შრომას; უფრო მეტიც, მან ეს ნაშრომი წარუდგინა საქართველოს სსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატს, ავტორისათვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მისანიჭებლად.

ნება მიბოძეთ, ვიკითხო, ნუთუ პროფ. სურგულაძე აქამომდე თვლის აღნიშნულ ნაშრომს მეცნიერულად და რეკომენდაციას უწევს მას ჩვენი სტუდენტებისათვის?

ყოველ შემთხვევაში, არ იქნებოდა ზედმეტი, რომ პროფ. სურგულაძეს ამაზე გაეცა პასუხი, თუნდაც დღეს საჯაროდ.

ამხანაგი ახუმიანის ნაშრომი არის ყოველი მსგავსი ანტიმეცნიერული მსჯელობისა და ნაშრომის ბრწყინვალე კრიტიკა და ის გამანადგურებელ დარტყმას აყენებს ჰუსერლიანური ცრუმეცნიერული აბდაუბდის გადმოტანის მცდელობას საბჭოთა ნიადაგზე.

1929-1939 წლებში საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების აღწერისას დისერტანტი იძლევა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონის ანალიზს და გვიჩვენებს აღნიშნულ ცვლილებასთან მის შესაბამისობას.

სოფლებში განკულაკებული ექსპლუატატორების მდგომარეობის აღწერისას, როცა ყოფილი კულაკები „გაძვრნენ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ...აიფარეს „მუშებისა“ და „გლეხების“ ნიღაბი“, ავტორი აღნიშნავს, [არსებული] მომენტის ამოცანების შესაბამისად, საპასპორტო სისტემის შემოღების შესახებ დებულების გამოცემის დროულობას; ავტორი, აგრეთვე, უთითებს სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, როგორც ნორმატიული ხასიათის იმ აუცილებელ ღონისძიებაზე, რომელიც კულაკების ნახსენები „გაძვრომიდან“ გამომდინარეობს.

საბჭოთა ხალხის სამამულო ომის პერიოდში მრეწველობისა და ძალთა და საშუალებათა მობილიზაციის სფეროებზე, შრომისა და ჯარების დისციპლინის განმტკიცების სფეროებზე მსჯელობისას ავტორი მიუთითებს ზურგისა და ფრონტის ამოცანებზე, შემდეგ კი აღწერს იმ კანონებს, იმ ბრძანებულებებსა და დადგენილებებს, რომლებმაც აღნიშნული ამოცანების შესრულება ასახეს. ის განიხილავს საომარი მდგომარეობის საგანგებო კანონებს, როგორც ომისდროინდელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობების გარდაუვალ შედეგს.

ჩანს, არა აქვს ინფორმაცია ამ სხდომის გამართვის შესახებ, რის ლოგიკურ მიზეზად შეიძლება მივუთითოთ ის, რომ 1932 წელს ილარიონ ტალახაძე მოსკოვში იყო, კერძოდ, სწავლობდა მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტში. ალბათ ამიტომაც გამოაკლდა „საჯარო კრიტიკის“ ამ პერიპეტიებს [რედ.].

აღნიშნავს სახელმწიფო ორგანოების რიგის შექმნას (თსკ[1], ნაღმტყორცნი შეიარაღების, სატანკო, საავიაციო და ა.შ. მრეწველობის სახალხო კომისარიატები); აღწერს სასურსათო რესურსების მობილიზაციის, სა[ფ]რთხის ქვეშ მყოფი ოლქებიდან საწარმოთა და ქონების ევაკუაციის, სამოქალაქო მოსახლეობის საჰაერო თავდაცვისა და სხვა მრავალის შესახებ კანონებსა და ბრძანებულებებს და საბჭოთა ხალხის განცდებს.

ერთი სიტყვით, დისერტანტმა ყოჩაღად გვაჩვენა და დაგვიმტკიცა, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ომის დროს წარმატებით გარდაქმნა თავისი კანონმდებლობა, მომენტის მოთხოვნათა და ამოცანების შესაბამისად, – უპასუხა რა საგანგებო მდგომარეობას საგანგებო კანონების [შექმნით].

თავის ანალიზში ავტორმა გვიჩვენა აღნიშნული გარდაქმნის დროულობა და მიზანშეწონილობა, სოციალისტური საზოგადოებისა და საბჭოთა ჰუმანიზმის ინტერესებიდან გამომდინარე.

თუმცა ცნობილია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არ მოუწია განსაკუთრებით მკაცრი ზომების გატარება, ვინაიდან ხალხის პატრიოტიზმი და მაღალი სოციალისტური შეგნება წესრიგის დაცვის საიმედო ფორმა გახლდათ.

დისერტანტმა, ასევე, ღირსეულად გააშუქა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც მასების ხელახალი აღზრდის ორგანოს, არსი, ექსპლუატატორული სახელმწიფოს უკიდურესად სადამსჯელო ფუნქციებისგან განსხვავებით.

ნაშრომში არის ზოგიერთი უზუსტობა და საკითხის არასათანადო დამუშავება, თუმცა ისინი მეორეხარისხოვანი ხასიათისაა და ყოველთვის არის შესაძლებელი მათი შესწორება და შევსება.

ნაშრომის არსებით ნაკლოვანებად ჩვენ მიგვაჩნია მასში საბჭოთა დემოკრატიის ანალიზისა და შეფასების არქონა, უფრო სწორად, თვით ჩვენი სახელმწიფო აპარატის დემოკრატიული ბუნებისა, ჩვენი საბჭოების და მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების. ეს საკითხი, რატომღაც არ არის სახეზე; თუმცაღა, სოციალისტური დემოკრატიის არსი ისაა, რომ ჩვენთან ხელისუფლების ყველა ორგანო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, უშუალოდ ხალხის მიერ აირჩევა, განსხვავებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოებისაგან, სადაც მხოლოდ საკანონმდებლო და, ზოგჯერ, სასამართლო ორგანოები აირჩევა.

ჩვენი სახელმწიფოს საფუძველს ქმნიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც, საკუთარი ბუნებით კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული ორგანიზაციებია. ისინი მთელს მოსახლეობას წარმოადგენენ და ორგანულად არიან დაკავშირებული ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან. ხალხის დეპუტატები, რომლებიც საბჭოების წევრები არიან, იმავდროულად,

[1] თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი [მთარგმნელი].

მათი ამრჩევი მშრომელთა კოლექტივების წევრებადაც რჩებიან იმავე ჩარხებსა და სახნისებთან, საიდანაც ისინი აირჩიეს, იმავე მუშებად და კოლმეურნეებად, როგორებიც იყვნენ არჩევნებამდე. ისინი შეთავსების გზით ასრულებენ სახელმწიფოს მართვასა და თავის ჩვეულებრივ სამუშაოს სოციალისტურ მეურნეობაში. ისინი თანდათანობით აბარებენ ანგარიშს თავისი შრომითი კოლექტივის წინაშე, თავისი ამომრჩევლის წინაშე. მათი საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები არ იცვლება არჩევნების შემდეგ.

აი, რატომაც არ შეუძლიათ მათ მოსწყდნენ მასებს და გარდაიქმნენ ბიუროკრატ მოხელეებად.

გასაგებია, რომ ასეთი სახელმწიფო აპარატი არის ჭეშმარიტად დემოკრატიული და ყოველგვარი მისი ღონისძიება – საგანგებო ან ნორმალური, ყოველთვის დარჩება დემოკრატიულად, ყოველთვის ხალხის ინტერესებით იქნება განმსჭვალული. სწორედ ესაა საბჭოთა დემოკრატიის არსი. საქმე მხოლოდ ის როდია, თუ როგორ არის დაწერილი კანონები, არამედ ის, თუ ვინ ატარებს მათ ცხოვრებაში. ჩვენი კანონები გამოხატავენ და ასახავენ ხალხის ჭეშმარიტ თავისუფლებასა და თანასწორობას და მათ ცხოვრებაში გაატარებს ნამდვილად სახალხო, ჭეშმარიტად დემოკრატიული ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო კანონების აღწერისას საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაზე არ იქნებოდა ზედმეტი, ფრანგული კონვენტის კანონებთან მომხდარიყო მათი შედარება, რათა თვალნათლივ გვეჩვენებინა ჩვენი კანონებისა და სამართალწარმოების ჰუმანურობა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს რევოლუციურ ეპოქასთან შედარებით.

არცთუ მთლად გასაგებია 29-ე-30-ე გვერდებზე მოცემული ავტორისეული მსჯელობა. ავტორს სურს, მიუთითოს, რომ საზოგადოების საწარმოო ურთიერთობების ცალკეული დარგები წესრიგდება სამართლის სპეციალური სისტემებით და ახდენს აღნიშნულ მოსაზრებას [აყალიბებს] საკმაოდ გაუგებარი ფორმულირებით – ნაწილის მთლიანობასთან აღრევით.

ავტორისეული მსჯელობა რაღაც „შუალედურ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა“ და გადამკვეთ რკალებზე მხოლოდ ისეთ გაუგებრობას წარმოქმნის, რომელიც სულაც არ ხდება ნათელი, მიუხედავად შარგოროდსკის[1] ციტირებისა.

---

[1] **მიხეილ შარგოროდსკი** (1904-1973) – საბჭოთა მეცნიერ-იურისტი და კრიმინოლოგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1945 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. თავდაპირველად ხელმძღვანელობდა პეტერბურგის იურიდიული ინსტიტუტის სისხლის სამართლის კათედრას, ხოლო 1945-1963 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრას. არის 230-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, რომელთაგან 27

საომარი დროის საგანგებო აქტების რიგში არ არის ნახსენები თავდაცვის სახალხო კომისარიატის, შინსახკომისა და საკავშირო პროკურატურის და სხვა ორგანოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ბრძანებები და ინსტრუქციები.

ნაშრომში გვხვდება სტილისტური ხასიათის დეფექტებიც. მაგალითად, 21-ე გვერდზე წერია: „დანაშაული და გადაცდომა განსხვავდება ერთმანეთისაგან საკუთარი გამოვლენის **სფეროთი** და სამართლის განსხვავებული დარგებით **რეგულირდება**".

ამ შემთხვევაში უადგილოა სიტყვები: **„სფერო"** და **„რეგულირდება".**

ამავე სახის სტილისტური უწესრიგობა გვხვდება [ნაშრომის] 39-ე გვერდზე და სხვა გვერდებზეც.

ასევე, ვაწყდებით გარკვეულ დაუდევრობას, [ერთგვარ] თხუპნიაობას (неряшливость). 39-ე გვერდზე, სტრიქონზე არ არის მითითებული ნაწარმოებები და მათი ავტორები და ციტატა დაუსრულებელია: ორჯერ – ციტატები მე-12 და მე-60 გვერდებზე, თუმცა ყოველი ეს ნაკლოვანება არ ამცირებს იმას, რომ დისერტანტს ფართოდ აქვს მოცული მითითებული თემის ირგვლივ, [არსებული] ლიტერატურა ღრმად გააანალიზა და გაიაზრა ის. მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულმა, მართებულად ახსნა საომარი დროის კანონების არსი და მნიშვნელობა, რითაც გვაჩვენა თავისი სრულიად საკმარისი მეცნიერულ-კვლევითი უნარები, რათა მოიპოვოს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის [სამეცნიერო] ხარისხი.

[„წითელი"] პროფესორი ილარიონ ტალახაძე

12 ნოემბერი, 1945 წელი
ქ. თბილისი

ითარგმნა უცხო ენებზე. 1957-1963 წლებში პროფესორი შარგოროდსკი იყო ჟურნალ „Правоведение"-ს რედაქტორი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პროფ. შარგოროდსკი გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების დევნის ობიექტი გახდა. კერძოდ, ის 1962 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გამართულ კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით, სადაც ისაუბრა იურიდიულ ნიჰილიზმზე, რომელიც სამართლის მეცნიერების განვითარებას დიდ ზიანს აყენებდა. მან, ასევე, გააკრიტიკა სსრკ უზენაესი სასამართლოს გარკვეული ქმედებები. მასთან, კონფერენციის მონაწილემ, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა იურიდიულ საკითხებში პროფ. ლიფსონმა კმაყოფილებით აღნიშნა იდეოლოგიურ საკითხებზე ამერიკელი და საბჭოთა იურისტების პოზიციების დაახლოების თაობაზე. ყოველივე ამის შემდეგ 1963 წელს პროფ. შარგოროდსკი გაათავისუფლეს ჟურნალის რედაქტორისა და სისხლის სამართლის კათედრის გამგის თანამდებობიდან. ეს აღმოჩნდა საკმარისი არა მხოლოდ მეცნიერის მკაცრად დასასჯელად, არამედ მთელი ფაკულტეტის საქმიანობის სერიოზული შეზღუდვისათვის. შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლებამ პროფ. შარგოროდსკის „იდეოლოგიური შეცდომები" („Идеологические ошибки") არ აპატია [რედ.].

რეცენზია*

პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილი თბილისის [სახელმწიფო] უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი მეცნიერია, რომელიც 40 წლის განმავლობაში უწყვეტლივ ჩვენს უნივერსიტეტში მუშაობს, როგორც პედაგოგი და მკვლევარი.

დღეს იშვიათია ჩვენში ახალი თაობის მოღვაწე ქართველი იურისტი, რომელიც პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილის ლექციებსა და ნაშრომებზე არ იყოს აღზრდილი. პროფ. ალ. ვაჩეიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის იურიდიული მეცნიერების ქართულ ენაზე არსებულ[ი] ლიტერატურის შექმნაში. ამ მხრივ, მას ხელს უწყობდა დიდი ცოდნა იურისპრუდენციაში და ზოგადი ფართო განათლება. იგი დასავლეთ ევროპულ[ი] ენების მცოდნეა და მას საშუალება მიეცა საფუძვლიანად და შემოქმედებითად შეესწავლა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში მომუშავე ცნობილ სპეციალისტთა გამოკვლევები და ქართულ ენაზე არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია დაებეჭდა ევროპულ[ი] იურისპრუდენციიდან.

პროფ. ალ. ვაჩეიშვილი პირველი ქართველი იურისტია, რომელმაც სამართლის ზოგადი თეორიის კურსის ჩამოყალიბება სცადა ქართულ ენაზე და დაბეჭდა კიდეც. ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ქართულ ენაზე ასეთი კურსის ჩამოყალიბება მთელ რიგ სიძნელეების გადალახვასთან იყო დაკავშირებული. ტერმინოლოგია რა არის და ისიც კი ახლად დასადგენად იყო, გარდა იმისა, რომ სამართლის ზოგად თეორიაზე წერა, ფართო იურიდიულ განათლებასთან ერთად, საბჭოური მეთოდოლოგიის მომარჯვებას მოითხოვდა. თავისთავად ცხადია, ყველა სიძნელის ერთბაშად დაძლევა მარტივი საქმე არ იყო, მაგრამ გზა ჩვენში, ამ მხრივ, პატივცემულმა ალექსანდრე ვაჩეიშვილმა გაკაფა.

პატივცემულ[ი] ალ. ვაჩეიშვილის მიზანი იყო (და დღესაც არის) შექმნილიყო ისეთი საფუძველი, რომ ქართულ ენაზე ფართო იურიდიული განათლების მიღება ყოფილიყო შესაძლებელი. ამ მხრივ, მისი მუშაობა და ღვაწლი ჩვენს უნივერსიტეტში დამახასიათებელი და, რაც მთავარია, თანმიმდევრულია.

ამ რიგის სამუშაოებათ უნდა იქნეს მიჩნეული პროფ. ა. ვაჩეიშვილის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები იურისპრუდენციის სხვადასხვა დარგში: „სოციოლოგიის შესავალი“, „სამართლის ზოგადი თეორია“, „კელზენის მოძღვრება სახელმწიფოზე“, მისი რედაქტორობით თარგმნილი[ა] სახელმძღვანე-

---

* რეცენზია დაწერილია 1962 წლის 20 მარტს და დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 3558, ფურცლები 48-50. ხელნაწერი დასათაურებული არ არის, სათაური – „რეცენზია“ – ეკუთვნის სამეცნიერო რედაქტორს. ქვეყნდება პირველად [რედ.].

ლოები, და სხვა. ქართული იურიდიული ლიტერატურის შესაქმნელად იღვწოდა პატივცემული პროფესორი, როცა ის ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დასადგენად მასალას უყრიდა თავს. ქართული იურიდიული ლექსიკონი, სხვებთან ერთად, მარადჟამს ალექსანდრე ვაჩეიშვილის სახელთან იქნება დაკავშირებული.

ასეთ ფართო განათლების იურისტს, ქართული იურიდიულ[ი] განათლების მესვეურს, ალ. ვაჩეიშვილს, არ შეეძლო სამშობლოს სამართლისა და სახელმწიფოებრიობის ისტორია მხოლოდ სხვათა კვლევის ობიექტად დაეტოვებინა და არ შეესწავლა განვითარების რა საფეხურს მიაღწიეს გარდასულ საუკუნეთა [განმავლობაში] ქართველმა მოღვაწეებმა სამართლის ხაზით. რა თქმა უნდა, ამ მხრივ, პატივცემულ ალ. ვაჩეიშვილს წინამორბედები ჰყავდა, მართალია ამ წინამორბედთა რიცხვი მცირეა, მაგრამ საკმარისია მათ შორის დავასახელოთ განსვ[ენებული] აკად. ივანე ჯავახიშვილი, რომ ადვილად წარმოვიდგინოთ რაოდენ გაკაფული იყო გზა, ქართულ სამართლის ისტორიაში, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრი იყო და არის დღესაც დარჩენილი.

პროფ. ალ. ვაჩეიშვილმა შეძლო მეცნიერული სიფრთხილით საქართველოს ისტორიის და ქართული იურიდიული ძეგლების შესწავლა და არა ერთი ნაშრომი აქვს დღეს ქართული სამართლის ისტორიაში გამოქვეყნებული, უმთავრესად სისხლის სამართლის გარშემო. მისი, ორ ნაკვეთად გამოცემული – „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“ – ქართული სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის ინსტიტუტების ისტორიის მეცნიერული შესწავლის და სისტემატური დალაგების პირველი ცდაა. ქართული სამართლის ისტორიის ცალკეულ საკითხებს მიუძღვნა პატივცემულმა პროფესორმა არა ერთი სპეციალური წერილი, რომელიც უნივერსიტეტის შრომებში იბეჭდებოდა.

პროფ. ალ. ვაჩეიშვილი კვლავაც მუშაობას განაგრძობს ამ ხაზით. მართალია, პატივცემული ალ. ვაჩეიშვილი კრიტიკული თვალით უცქერის ახლა თავის პირვანდელ შრომებს, ზოგიერთი მათგანი ახლა მას მეთოდოლოგიურად გაუმართავად მიაჩნია, მაგრამ თვით ეს ფაქტიც მას დადებითად ახასიათებს, იგი ჭეშმარიტების მაძიებელი მეცნიერია.

პროფ. ალ. ვაჩეიშვილის მოღვაწეობის და დამსახურების ეს უაღრესად მოკლე მიმოხილვაც ნათელჰყოფს, თუ რაოდენ მრავალმხრივი, მაღალი განათლების მკვლევარი და თაობათა აღმზრდელი იურისტია ის. ვფიქრობთ, მართებულად ჩაითვლება, მეცნიერების დამსახურებულ[ი] მოღვაწის წოდების მქონე პროფესორისათვის, დაცვის გარეშე უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაზე შუამდგომლობა.

იასე ცინცაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

შინაგანი რწმენა, როგორც განაჩენის უზენაესი საფუძველი*

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე

სისხ[ლის] ს[ამართლის] ს[აპროცესო] კ[ოდექსის] 319-ე მუხლი, რომელიც განაჩენის გამოტანაზე ლაპარაკობს, ცდილობს მართლმსაჯულების გარანტიის შექმნას, მაგრამ ამ მეტად პატივსადებ[ი] მიზნისათვის ორი მომენტის შეერთებას ახდენს, რომელთა შორის არავითარი პირდაპირი კავშირი არ არსებობს: რაციონალ[ურ]ი და ირაციონალ[ურ]ი მომენტის, რომლებიც, როგორც თავისი აგებულობით, ისე წარმოშობით ერთი მეორესთან პირდაპირ კავშირში არ მიიყვანება. ამით დასმულია ერთი დიდი საკითხთაგანი, რომელზედაც პროცესუალისტები დიდი ხანია თავს იმტვრევდ[ნ]ენ და რომელმაც ვერც ჩვენს პროცესში მიაღწია საბოლოო გადაწყვეტას. 319-ე მუხლი ორი აბზაციდან შედგება. პირველი აბზაცი: „სასამართლომ თავისი განაჩენი უნდა დაამყაროს მარტოოდენ ცნობებს, რაც საქმეშია და განხილულ იქნა სამსჯავრო სხდომაზე“. „საქმის“ ცნებას ორჯერ განსაზღვრავს (და არა განმარტავს) – ერთხელ მითითებით „მარტოოდენ იმ ცნობებს“, რომლებიც (და ეს მეორეა) „განხილულ იქნა სამსჯავრო სხდომაზე“. ორმაგი განსაზღვრის მიზანია სწორად და შეუცდომლად აღნიშნოს განაჩენის საფუძველი: მას ორი ნიშანი აქვს – „საქმის ნაწილი“ და „განხილული“. ერთი მათგანის გამოკლება სპობს განაჩენის საფუძველს, რადგან: ა) პირველი უმეოროდ ნაკლოვანებაა (საქმეში იყო ელემენტი, რომელიც განუხილველი დარჩა), ბ) მეორე უპირველოდ შეცდომაა (განხილულ იქნა ის, რაც საქმეს არ ეხებოდა). როგორც ვხედავთ, აქ მთელი აგებულობა კანონის შინაარსის რაციონალ[ურ]ი აგებულებისაა, ე.ი. მის ნაწილებს შორის არსებული დამოკიდებულება ლოგიკური ბუნებისაა და ცნებასთან დაკავშირებულ წესებს ემორჩილება.

სულ სხვაა მეორე აბზაცი იმავე 319-ე მუხლისა. აქ სწერია: „დამამტკიცებელ საბუთებს მოსამართლე შეაფასებს თავისი **შინაგანი რწმენით,** რაც უნდა ემყარებოდეს საქმის ყოველ გარემოებას, ერთობლივ აღებულს“. ცხადია, რომ „ყოველი გარემოება“, რომელზედაც აქ კანონმდებელი ლაპარაკობს, არავითარ წინააღმდეგობაში არაა პირველ აბზაცში წარმოებულ განსაზღვრებასთან. ნათელია, რომ აქ „ყოველი“ ეხება ყველა იმას, რაც გადარჩება ორმაგი განსაზღვრის შემდეგ და განაჩენს საფუძვლად დაედება. ასეთივეა „ერთობლივ აღებული“ საქმის ცნებაც. დამახასიათებელი მეორე აბზაცისათვის არის „შინაგანი რწმენის“ მიღების მომენტი. კანონის რედაქცია

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „საბჭოთა სამართალი“, №3, 1928, 52-53 [რედ.].

ისეთია, თითქოს, ორი მოვლენა – განაჩენი[ს] დამყარება ცნობებზე და შინაგანი რწმენის დამყარება გარემოების **განხილვაზე,** და არა მარტო „გარემოებაზე“ (რუსული რედაქცია კანონისა უფრო სწორია) – ერთი და იმავე ბუნების იყოს. ეს კი სინამდვილეში ასე არაა – ეს ორი გარემოება სულ სხვადასხვაგვარია, რაც თუნდაც მარტო იქიდან ჩანს, რომ პირველის რეგლამენტაცია შესაძლებელია, ხოლო მეორე კი ასეთ რეგლამენტაციას არსებითად ვერ ეგუება.

ყოველი ნორმის აზრი, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ მისდამი ბუნებრივია საკითხი – არის თუ არა ნორმა შესრულებული. ასეთი კითხვა ნორმის მიყენების კონტროლის შესაძლებლობას შეიცავს და პოზიტიურ[ი] სამართლისათვის, ე.ი. კანონთა კრებულისათვის, როგორც მომწესრიგებელ[ი] მოვლენისათვის ეს საქმის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღია და, ამდენად, მართლმსაჯულების გარანტია. სწორედ ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო ნათელი ხდება ძირითადი განსხვავება ერთი და იმავე მუხლის ორ ნაწილს შუა: პირველი ნაწილის შესახებ თავისთავად ისმება საკითხი, რამდენად ასრულებს, ანუ აკმაყოფილებს განაჩენი კანონში გამოთქმულ პირობას. თუ იგი დამყარებულია ორმაგად განსაზღვრულ ცნებას „ცნობებისა“, მაშინ იგი სწორადაა გამოტანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შემცდარია და მართლმსაჯულების აღსადგენ[ი] მიმართულებით უნდა ხელახალ[ი] მსჯელობის საგანი გახდეს.

ასეთი არაა მდგომარეობა მეორე შემთხვევაში: 319-ე მუხ[ლის] მეორე ნაწილი არ ეგუება საკითხს მისი, როგორც ნორმის შესრულებისათვის. ეს ხდება იმიტომ, რომ არა ჩანს ობიექტური ნიშანი, რომლის მიხედვით ნათელი იყოს იმის გარკვევა, დაირღვა თუ არა კანონის მოთხოვნა. მართალია შინაგანი რწმენა „უნდა ემყარებოდეს საქმის ყოველივე გარემოებას და სხვა“, მაგრამ, თუ მართალია პროფ. ლიუბლინსკი, როდესაც ამბობს საერთოდ, რომ „ჩვენი კანონი მეტად მომჭირნედ აღნიშნავს მოსამართლის მოვალეობას საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს“, მით უფრო ითქმის ეს 319-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომელიც დეკლარაციის იქით ვერ მიდის. ამდენად, კანონში, ამ შემთხვევაში, გამოთქმულია ფრიად საჭირო და სასურველი მოთხოვნა, მაგრამ, რამდენადაც ნაცვლად ობიექტური ნიშნებისა საკითხი გადატანილია სუბიექტურ სფეროში, სადაც არა გარეგანი, არამედ „შინაგანი“ გარემოებაა გადამწყვეტი, იგი ბოლომდე მხოლოდ მოთხოვნად რჩება.

ასეთია ბუნება სისხლ[ის] სამ[ართლის] საპრ[ოცესო] კოდ[ექსის] 319-ე მუხლისა. მასში კანონმდებელმა თავი მოუყარა ორ შეუერთებელ მოვლენას და ამით მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მტკიცე სურვილი გამოხატა ცალმხრივობის დასაძლევად, რომელიც ახასიათებს „თავისუფალ[ი] რწმენის“ პრინციპს. XVIII საუკუნეში ბურჟუაზიულ რევოლუციონერობას, რამდენადაც იგი

მიმართული იყო ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, „თავისუფლებათა“ მთელი კრებული, როგორც იდეოლოგიური იარაღი, ზურგს უმაგრებდა. მათ შორის მოსამართლის „დარწმუნების თავისუფლებაც“ იმავე როლს თამაშობდა ლეგალ[ურ] თეორიაზე აგებულ[ი] იურისდიქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც თავისუფალი ეკონომიკის ლოზუნგი მფარველობითი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბურჟუაზიის დიქტატურის დამკვიდრებამ „თავისუფალი ეკონომიკა“ თავისუფალ ექსპლოატაციად აქცია და მოსამართლის „თავისუფალ[ი] დარწმუნების“ პრინციპი, ოდესღაც საფრანგეთის რევოლიუციის დროს დიდი პრინციპი იმავე ნიადაგზე უნდა დამდგარიყო.

როგორც სამართლიანად მიუთითებს მ. სტროგოვიჩი (Сов. Право, №2, 1927.) საბჭოთა სამართალი არ დგას და ვერც დაადგებოდა „თავისუფალ[ი] დარწმუნების“ თვალსაზრისს, მაგრამ არსებითად სხვა მოტივებით და მოსაზრებით, ვიდრე ამას ზოგი პროცესუალისტი სჩადის დასავლეთში; მიუხედავად ამისა, ვერც იგივე სტროგოვიჩი და ვერც რუბინშტეინი, ვერც ვიშინსკი, პროფესორი გროდზინსკი ან სხვა რომელიმე საბჭოთა პროცესუალისტი ვერ ახერხებს იმის დამტკიცებას, რომ ჩვენ კანონმდებლობაში მოცემული იყოს „შინაგანი რწმენის“ შესახებ რამე დადებითი სახელმძღვანელო, გარეშე პრობლემის დასმისა. მართალია სისხლ[ის] სამ[ართლის] საპრ[ოცესო] კოდ[ექსის] 56-ე მუხ[ლი], ერთის მხრივ, თავისი კატეგორიული შებრძოლებით ლეგალ[ური] ანუ ფორმალ[ური] პრინციპის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, მთელი რიგი მუხლებისა სასამართლოს ინიციატივის პირველ ადგილზე წამოყენებით (სისხლ[ის] სამ[ართლის] საპრ[ოცესო] კოდ[ექსის] 273-ე, 289-ე, 296-ე, 297-ე, მე-300, 302-ე და სხვა) ქმნის თავისებურ სიტუაციას, რომლის აზრი „თავისუფალი დარწმუნების“ პრინციპის კორექტივშია, მაგრამ ეს მხოლოდ მითითებაა დიდ საკითხზე და არა მისი გადაჭრა. ყველა ამის დასამტკიცებლად საკმარისია გამეორებულ იქნას კითხვა: რომელ ობიექტურ ნიშნებშია გამოხატული 319-ე მუხლ[ის] მეორე ნაწილის დარღვევა? საკმარისია ეს საკითხი დაისვას, რათა გაირკვეს, რომ 319-ე მუხლი ობიექტურ[ი] და სუბიექტურ[ი] მომენტების გაერთიანებას ცდილობს, მათი გაიგივეობის უმართებულო ნიადაგზე.

გამოსავლის მონახვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი პროცესი საბოლოოდ განთავისუფლებულ[ი] იქნება საფრანგეთის Code d'instruction Criminell'-ის გავლენისაგან. მართალია, ეს უკანასკნელი რევოლიუციამ შექმნა, მაგრამ იმ რევოლიუციის ისტორიულ-სოციალური კონიუნქტურა არსებითად განსხვავდება პროლეტარიატის რევოლიუციისაგან. პირველმა შექმნა მხოლოდ საკონსტიტუციო თავისუფლებათა გარანტიები, მეორე ქმნის ეკონომი[კ]ურ[ი] განთავისუფლების გარანტიებს. ფორმალიზმი არც ერთს და არც მეორეს არ აინტერესებს, მაგრამ არსება ორივესი ძირეულად სხვა-

დასხვაა. მიუხედავად ამისა გამოსავალი, რომელიც ნაჩვენებია 319-ე მუხ-[ლის] მეორე ნაწილში, ვერ სწყვეტს საკითხს. როგორც კი გადაიდგმება რაი-მე ნაბიჯი „თავისუფალი დარწმუნების“ პრინციპის განსაზღვრისაკენ, ორი გზა ისახება ამ მიზნის მისაღწევად, ან „თავისუფალი დარწმუნებისადმი“, ერ-თგვარი უნდობლობა – ასე იქცევიან ზოგიერთი ფრანგი პროცესუალისტები, მაგალითად, გარო, ან ამ დარწმუნების შემოფარგვლა მთელ[ი] წესებით, რომლებმაც ყოველი შესაძლებელი სიტუაცია უნდა გაითვალისწინოს – ასე იქცევიან ინგლისური დამტკიცებითი სამართლის წარმომადგენლები.

რომელი გამოსავალი უნდა იქნას მიღებული – დიდი საკითხია, რომე-ლიც განცალკევებულ[ი] მუშაობის ღირსია. იმ შევსებიდან კი, რომელსაც აწარმოებენ ზემო[თ] დასახელებული საბჭოთა პროცესუალისტები, ნათელია ერთი პრაქტიკული საკითხი, რომელზედაც აქვე უნდა შევჩერდეთ. რამდენა-დაც რთულად გაიშლება ის მსჯელობის აპარატი, რომელიც „შინაგან რწმე-ნასთანაა“ დაკავშირებული, იმდენად მწვავედ დგება საკითხი მოსამართლის სუბიექტურ[ი] კვალიფიკაციის შესახებ, რამდენადაც საბჭოთა სამართალი არ სცნობს ფაქტს მოსამართლის უფლების მოსამართლისაგან განსხვავე-ბას, იმდენად ამ საკითხისათვის თავის არიდება არ შეიძლება და „შინაგანი რწმენის“ პრინციპს პირდაპირ მივყევართ მოსამართლის კვალიფიკაციის აწევის აუცილებლობამდე. ასეთი პრაქტიკული დასკვნა მხოლოდ ერთ[ი] მო-მენტთაგანია ზემოთ დასმულ[ი] პრობლემის გადასაჭრელად.

ადვოკატურა *

მიხ[ეილ] ღვამიჩავა

ადვოკატურას თავისი ისტორია აქვს; ის არ არის ახალი ორგანიზაცია, მისი არსებობის აუცილებლობა ისტორიულად დადგენილი ფაქტია.

ადვოკატურამ მნიშვნელოვანი განვითარება მიიღო ძველს კლასიკურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რომში.

ძველი რუსეთის იმპერიის სინამდვილეში ადვოკატურა, როგორც საგანგებო ინსტიტუტი, შემოღებული იქნა 1867 წელს.

საბჭოთა ფორმის სახელმწიფოს არსებობის პერიოდში იყო ისეთი ხანა, როდესაც ადვოკატურა, როგორც ორგანიზაცია, უარყოფილი იყო, მიუხედავად სასამართლოების არსებობისა რევოლუციური ტრიბუნალების სახით.

სრულიად ლოღიკური იყო ისიც, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჰორიზონტზე არც პროკურორის ფიგურა სჩანდა.

მაგრამ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციის პირველ ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ სავსებით არ იყო დამთავრებული სისხლიანი ეპოქა სამოქალაქო ომისა, როდესაც სრულიად ახალსა და ჯანსაღ საფუძველზედ აშენებული სახელმწიფოს ხერხემალს სიმაგრე აკლდა და მისი გამაგრების ნერვიულ პროცესს ხელს უშლიდა, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტერთან წარმოებული ომის მძიმე ატმოსფერ[ო].

განვლო დრომ... ისტორიის კანონმა თავისი სიტყვა გარკვეულად და მკაფიოდ მოჰკვეთა. საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე სიმშვიდე დამყარდა, რაც სასწრაფოდ იქნა გამოყენებული სახელმწიფოს გამაგრებისა და დალაგებისათვის.

გამოჩნდ[ნ]ენ ნაცნობი ატრიბუტები სახელმწიფოსი და მათ შორის ადვოკატურა დამცველთა კოლეგიის სახით, როგორც დამხმარე ინსტიტუტი სასამართლოსი.

ამ წერილში ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, არა ერთხელ დასმული იურიდიულ ლიტერატურაში.

საკითხი შემდეგია: უნდა მიიღოს თუ არა დამცველთა კოლეგიის წევრმა ყოველი საქმე, რომელსაც მას კლიენტი შესთავაზებს? – თანადროულს პირობებში, როდესაც ადვოკატურის არსებობის აუცილებლობა დაკანონებული ფაქტია, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხის წამოყე-

---

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928, 84-86 [რედ.].

ნება, რადგანაც ჯერ კიდევ არ არის გაბათილებული და უარყოფილი მეტად ცუდი, მახინჯი და ყალბი შეხედულება ადვოკატურაზე.

„ვექილი სასამართლოში – მოქალაქის დაქირავებული მოადგილეა, რომელიც მოქმედობს მხოლოდ ნივთიერი ინტერესით“ – ამ შაბლონურმა აზრმა ფართო გასავალი მოიპოვა საზოგადოებაში და ღრმად გაიდგა ფესვები. ვის არ ახსოვს რუსეთში ცნობილი სატირიკოსის შჩედრინის მიერ ატეხილი კორიანტელი სპასოვიჩის გამოსვლის გამო კრონბერგის საქმეზედ და ამ კორიანტელის გაგრძელება ენერგიული ბრძოლის სახით ვექილების წინააღმდეგ, როგორც დაქირავებული მანეკენებისა?

ვის არ ახსოვს უსაზღვრო ყიჟინა არსენიევის გარშემო მიასნიკოვების საქმესთან დაკავშირებით, როდესაც ამ ფაქიზი პიროვნების გამოსვლა, როგორც დამცველისა, ახსნილი იქნა ჰონორარის სიდიდით, რამაც გამოიწვია არსენიევის გასვლა კორპორაციიდან?

ვის არ ახსოვს რუსეთის მონარქისტების გალაშქრება ვექილების წინააღმდეგ და მარკოვის ფორმულები: „ვექილი ფულის მონაა, შამპანურით მოქეიფე უმართლო საქმის მოგების შემდეგ და კარგად ჩაცმული ცოლის მოსიყვარულე“? მაგრამ ყველაზედ უფრო სამწუხარო იყო დოსტოევსკის აზრი, რომელმაც ვექილს უწოდა – „დაქირავებული სინიდისი“ და დასძინა: „ვექილისათვის ძნელია სიყალბის თავიდან აცდენა და პატიოსნების დაცვა“. მაგრამ ვინც მოიგონებს რობესპიერის სიტყვებს ვექილების შესახებ, ის დარწმუნდება ზემოთ მოყვანილ შეხედულებათა უვარგისობაზე.

რობესპიერმა სთქვა: „მხოლოდ ამ პროფესიაში იყვნენ ვაჟკაცები, რომელნიც სინდისით და სისხლით ეძებდნენ ჭეშმარიტებას, მხოლოდ აქ იყო შესაძლებელი მოქალაქეობრივი კეთილშობილების დაცვა, აქ ჰპოულობდა ნიჭი საშუალებას ხალხის ინტერესების დაცვისათვის“.

იურიდიულ ლიტერატურაში ეჭვსა და დავას არ იწვევს ის აზრი, რომ ვექილი სასამართლოში არის დამცველი საზოგადოების ინტერესისა.

ვექილი სასამართლოში დამცველია საზოგადოების წევრის ინტერესისა და ყოველი საქმის დაცვის დროს ის ხელმძღვანელობს, უმთავრესად, საზოგადოებრივს ინტერესს. დავუბრუნდეთ პირველ საკითხს.

რომის კანონმდებლობაში გარკვეულად არის გამოთქმული პასუხი დასმულ საკითხზე.

„იუსტინიანის კანონით ადვოკატებს ევალებოდათ, ვიდრე საქმის გარჩევა დაიწყებოდა, ფიცის მიცემა, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ მხოლოდ ჭეშმარიტს, სწორსა და სამართლიანს მოთხოვნას მათი კლიენტებისას და არ დააყოვნებდნენ საქმის წარმოების შეწყვეტას სასამართლოს გამოძიების პროცესშიც კი, თუ დარწმუნდებოდნენ მოთხოვნის უზნეობაზედ“.

ასეთი იყო ფიცის ფორმულა, შემუშავებული რომის კანონმდებელთა მიერ.

ძველად, ბელგეთის კანონმდებლობაც შეეხო ამ საგანს, რომელიც აკისრებდა ვექილს დაცვას მხოლოდ ისეთი საქმისა „რომელსაც სამართლიანად სცნობდა მისი სინდისი და გრძნობა“.

სხვა სახელმწიფოებში ამ საგანზედ არავითარი ფორმულა არ ყოფილა ჩამოყალიბებული, დამცველს ეკისრებოდა თავისი მოვალეობის კეთილშობილურად შესრულება და პროფესიული ეთიკის საკითხის გადაწყვეტა სადისციპლინო ზედამხედველობის ორგანოების ფუნქციას შეადგენდა...

იურიდიულ ლიტერატურაში ამ საგანზე დავამ ორი მიმდინარეობა, ორი თეორია დაამკვიდრა.

როგორია პირველი თეორიის ფორმულა?

„თუ კლიენტის მოთხოვნა ან თვით საქმის შინაარსი დაკავშირებულია უზნეობასთან, თუ საქმე წარმოების პერიოდში ჰთრგუნავს სიმართლეს, ვექილი ვალდებულია საქმის მიღებაზედ უარი უთხრას კლიენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოხდეს უსაფუძვლო შებრძოლება სიმართლესთან და ამ შებრძოლების ფაქტიური მწარმოებლის – ვექილის – ღირსება უნდა დაზარალდეს“.

არსენიევის წიგნში – „რუსული ადვოკატურის შესახებ“, – ამ თეორიის სიძლიერე და სისწორე გამაგრებულია შემდეგი სახით: „სასამართლო, რომელიც ადგენს განაჩენს კანონის აზრით, ვალდებულია იხელმძღვანელოს [ამ[კანონი[თ] მაშინაც, როდესაც თვით ეს ხელმძღვანელობა არღვევს სიმართლეს და ჭეშმარიტებას; მაგრამ ვექილი, რომელიც მეტი სიახლოვითაა დაკავშირებული საქმის ვითარებასთან, იცნობს მხარეების ურთიერთობას, რომელიც არაფრით არ არის შებოჭილი საქმის მიღებასა თუ არ მიღებაში, თავისი უარით ხელს შეუწყობს სიმართლესა და კანონს შორის სამწუხარო შეტაკების რაოდენობის შემცირებას“.

არსენიევის გზით მიდიან რუსეთში ჯანშიევი – „უმართლო საქმეების წარმოება“ და პლატინოვი – „რუსული ადვოკატურა“ (ეს უკანასკნელი ეხება მხოლოდ სამოქალაქო საქმეებს).

პირველი თეორიის ფორმულა თავისი ხანგრძლივი არსებობით იმზირება კლასიკური სიძველის მწერლის კვინტილიანის ნაწერებიდან, რომლის გავლენას ვერ ასცდნენ საფრანგეთის, იტალიის, ბელგეთის და ავსტრიის მწერლები: მოლო – საფრანგეთში, დიუბენი – ბელგეთში, ცინარდელი – იტალიაში და სხვები. როგორია მეორე თეორიის ფორმულა?

„ვექილმა არ უნდა უთხრას უარი კლიენტს არც ზნეობრივად უმართლო და არც იურიდიულად უიმედო მოთხოვნებს“. ბენტამი სწერს: „ვექილი მსაჯული არ არის, მის მოვალეობას შეადგენს საქმის ერთი მხარის განვითარება, დამტკიცება და არა გამორკვევა სიმართლისა და უმართლოების. ამიტომ, თუ მოსამართლისათვის კანონი სიმართლეზედ მაღლა სდგას, ვექილი-

სათვის მით უმეტეს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირად ვექილს არ შეუძლია დარწმუნებით სთქვას – მართალია მისი კლიენტი თუ არა“.

ამავე საგანზედ სწერს პიკანი თავის ბროშურაში – „პარადოქსი ადვოკატებზე“.

ამავე თეორიას იცავს ვლადიმიროვი თავის წიგნში – „სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საქმეების დაცვისათვის“ და ფოინიცკი – „დაცვა სისხლის სამართლის პროცესში“. აი, ორი, ერთი მეორის დიამეტრულად საწინააღმდეგო მიმართულება იურიდიულ ლიტერატურაში. რომელია უფრო სწორი და მისაღები?

ჩვენი შეხედულებით პირველი თეორიის დაცვა აუცილებელია მხოლოდ სამოქალაქო საქმეების მიღების დროს, მაგრამ რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს აქ კი პირველი თეორიის ნიადაგზე შეუძლებელია დადგომა, რადგან დამცველი, რომელიც უარით ისტუმრებს პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეს, გვერდს უქცევს და ცხადათ ჰღალატობს მის პირდაპირს მოვალეობას. ყალბია და უვარგისი სისხლის სამართლის საქმეების დაყოფა ორ კატეგორიად: სუფთა და ჭუჭყიან საქმეებად. ასეთი დაყოფა ვერ იქნება გამართლებული ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად და დიდ შეცდომას სჩადიან ისინი, ვინც ასეთს დაყოფას აკანონებენ.

სრულიად მართალია ცნობილი აკადემიკოსი კონი, რომელმაც კატეგორიულად უარჰყო ასეთი დაყოფა და სთქვა: „нет чистых и грязных дел“.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველი ბრალდებულის დაცვა შესაძლებელია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეორე მთავარი საკითხი მეცნიერული ხასიათისა, სახელდობრ, დანაშაულის ფაქტორების პრობლემა. ეს საკითხი მწვავედ იდგა იურიდიულ ლიტერატურაში. მას დიდი წარსული აქვს. არა ერთსა და ორ მეცნიერს, ექიმს თუ იურისტს მოუსურვებია ამ პრობლემის დამთავრებული განმარტებისა და გამოკვლევის მოცემა, მაგრამ ეს საკითხი ამჟამადაც დავის საგანია და ვინ იცის მიიღებს თუ არა დაინტერესებული კულტურული კაცობრიობა საბოლოო პასუხს.

ჩვენ გვერდს ვუქცევთ კლასიკოსების სკოლას მისი მშრალი ინტერესით იურიდიული დისციპლინისადმი და დამნაშავის პიროვნების სრული უგულვებელყოფით; აგრეთვე, დოგმატიკურ სკოლას, რომელმაც საკაცობრიო საკითხს ადამიანში არსებული თითქოს „ბოროტი ნებისყოფის“ აღმოჩენით უპასუხა; ზედმეტია მორალისტებისა და ფრენოლოგების დოგმებზე საუბარიც; საჭიროა მხოლოდ იტალიელი ფსიხიატრის ლომბროზოს სკოლის მოგონება.

რას ამბობდა ანთროპოლოგიური სკოლა?

„არსებობს ტიპი დაბადებით ბოროტმოქმედისა, ე.ი. ისეთი ადამიანის, რომელსაც არ შეუძლია არ ჩაიდინოს ბოროტმოქმედება, რადგანაც ამ ქმე-

დობას იწვევს მისი ანატომიური, ფიზიოლოგიური და ზნეობრივი თვისებების პათოლოგია. ამიტომ ყოველი ბოროტმოქმედების მიზეზი უნდა ვეძიოთ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანში, მის რთულს ანატომიურ ორგანიზაციაში. გარდა ამ ინდივიდუ[ალუ]რი ფაქტორებისა სხვა ფაქტორები არ არსებობს“.

ასეთი იყო ანთროპოლოგიური სკოლის ახალი სიტყვა.

ლომბროზო მოითხოვდა სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციის გაუქმებას და ექიმ-ექსპერტების, სპეციალისტ-ფსიქიატრების ახალ[ი] სასამართლოს შემოღებას. არა ერთხელ იზეიმა თავისი გამარჯვება ანთროპოლოგიურმა სკოლამ, მაგრამ ზეიმის ატმოსფერ[ო] დროებითი იყო, რადგანაც კაცობრიობის ინტერესის სრული დაკმაყოფილება ვერ შეძლო თავისი გამოკვლევით გატაცებულმა იტალიელმა ფსიხიატრმა, რომელმაც შემდეგ თავი მოიდრიკა ახალი მეცნიერული თეორიის წინაშე. ახალი სიტყვა კი სთქვა სოციოლოგიურმა სკოლამ: „ყოველი ბოროტმოქმედება, როგორც მსუბუქი, ისე მძიმე, არის შედეგი ორი ფაქტორისა: ბიოლოგიურის და სოციალურის“ – სწერდა ენრიკო ფერი, სოციოლოგიური სკოლის მამათმთავარი.

ენრიკო ფერის დებულება გაზიარებული არის ლისტის მიერ, რომელიც ამბობს: „დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყოველ ბოროტმოქმედებას იწვევს ორი ჯგუფი მიზეზებისა – ინდივიდუ[ალუ]რი თვისებები დამნაშავისა და სოციალ[ურ]ი პირობები“.

და, თუ სოციოლოგიური სკოლა უმთავრეს ფაქტორად სთვლიდა ბიოლოგიურ მოვლენებს, სოციალისტურმა სკოლამ მთავარი ფაქტორი დანაშაულისა აღმოაჩინა სოციალ[ურ]ი წყობილების უვარგისობაში, რომლის შეცვლისათვის საჭირო იყო არა რეფორმები, არამედ რევოლუცია.

მაშასადამე, დანაშაულის ფაქტორების გამორკვევა ჩვენ პირდაპირ იმას გვიკარნახებს, რომ ორი ფაქტორის მსხვერპლს, დანაშაულის ჩამდენს, დაცვაზედ უარს ვერ ვეტყვით.

ხშირად იტყვიან: რა საზიზღარი ბოროტმოქმედებაა, ნუთუ მას დაიცავს ვინმე, როდესაც მთელი საზოგადოება ბრალდებულის წინააღმდეგია?!

და, როდესაც ასეთი საზიზღარი ბოროტმოქმედების ჩამდენს გამოუჩნდება დამცველი, მას ხშირად საყვედურს ეუბნებიან, ეკამათებიან, შეურაცხჰყოფენ.

აქვს თუ არა ამ საყვედურს საფუძველი? რასაკვირველია არა.

როგორიც უნდა იყოს დანაშაული, რამდენი სისხლიც უნდა იყოს დაქცეული, მაინც აუცილებელია უბედური ადამიანის შესახებ ცოცხალი და სამართლიანი სიტყვის თქმა.

კონი ამბობს: „არ არის ისე დაცემული და ისეთი ბოროტმომქმედი ადამიანი, რომელშიც სრულიად დაჩრდილული იყოს ადამიანის სახე და რომლის შესახებ შეუძლებელი იყოს შეღავათზე სიტყვის თქმა“.

რუსეთში კარგად ცნობილი ვექილი კაზარინოვი ოლღა შტეინის საქმეზე ასე ამბობდა სასამართლოში: „ბრალდებული ჩაეფლო დანაშაულის მორევში, ყოველგვარი კეთილშობილება მას ჩამოშორდა. მოსამართლეთა გული სავსეა სიბრაზით და გამამტყუნებელი განაჩენი უკვე მზადაა. ასეთი საქმე, ცხადია, არ არის სიმპატიური, მაგრამ იმის ფიქრი, რომ დაცვა ან მონაწილეობა ასეთ საქმეში შავ ჩრდილად ედება დამცველს, რომ ასეთი საქმის მიღება შეუძლებელია – ეს იქნება სრული შეუგნებლობა დამცველის როლისა და მოვალეობისა. სწორედ ასეთ საქმეშია საჭირო ძლიერი დაცვა, რომელმაც უნდა აღადგინოს ბრალდებულსა და საზოგადოებ[ა]ს შორის შეწყვეტილი ურთიერთობა, კავშირი, მან უნდა აჩვენოს ყველას, რომ ბრალდებული ადამიანია, მას აქვს მისი სახე, რომ ის არის მსხვერპლი უბედური შემთხვევისა, ეკონომი[კ]ური საფუძვლების უვარგისობის, გააღვიძოს მასში გრძნობა მონანიებისა, რწმენა და სიყვარული ადამიანისადმი, შეამსუბუქოს მისი ბედი“.

და იქ, სადაც სასჯელის მიზანს შეადგენს არა შურისძიება, არამედ სწორი გზიდან გადავარდნილი ადამიანის გასწორება, განსაკუთრებით სავალდებულოა დაცვა იმ შეხედულებისა, რომელიც გამოთქმულია პირველი თეორიის ფორმულაში. ამაოა ფიქრი ლომბროზოს სნეული ტიპების გასწორებაზე და არც იტალიელ პროფესორს უფიქრია ამის შესახებ, რამდენადაც ის ყოველგვარ[ი] ბოროტმოქმედების გამომწვევ მიზეზს თვით დანაშაულის ჩამდენის პიროვნებაში ეძებდა – ამით განისაზღვრა მისი მეცნიერული კვლევის საგანი.

მაგრამ ჩვენ ამ გზით ვერ ვივლით, რადგანაც ანთროპოლოგიური მიმართულების გზა ფრიად ვიწროა და სახიფათო.

ჩვენთვის ყოველი ბრალდებული არის უბედური ადამიანი, შემთხვევით გასული საზოგადოებრივი ცხოვრების პატიოსანი წრიდან, რომელსაც დახმარება სჭირდება და ამ დახმარებისათვის გაწეულ[ი] შრომის ფასად ვექილმა უნდა მიიღოს უფლება, რომ სთქვას: „მე დავიცავი უბედური ადამიანი“.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ*

პროფესორი ივანე სურგულაძე

უმთავრესი, რითაც განისაზღვრება სისხ[ლის] სამ[ართლის] კოდექსის ხასიათი, დანაშაულისა და სოციალური დაცვის ღონისძიების საკითხებია: ამ ორ საკითხს უკავია კოდექსის პრინციპიული სიმაღლეები; დანარჩენი საკითხები ამათგან გამომდინარეობენ.

დანაშაული არის კანონის საწინააღმდეგო ქმედობა, – ამბობს ბურჟუაზიული სამართალი, საბჭოთა სამართალმა თავიდანვე უარჰყო ასეთი ფორმალ[ურ]ი განმარტება და წამოაყენა ბურჟუაზიული კოდექსებისათვის უჩვეულო მატერიალური განსაზღვრა: „საზოგადოებრივ საშიშ ქმედობად (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილებისათვის ან არღვევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“ (მ. 5). ეს არის დანაშაულის ნამდვილი შინაარსის გამომზეურება. მისი კლასიური ბუნების გამოვლენა სდგება რა დანაშაულის მატერიალურ[ი] განმარტების ნიადაგზედ, საბჭოთა კოდექსი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოქმედებათა მთელი რიგი შეიძლება ფორმალურად შეეფერებოდეს განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ რეალურად არ წარმოადგენდეს საფრთხეს საბჭოთა წესწყობილებისათვის; ამიტომ რუსეთის სისხ[ლის] სამ[ართლის] კოდექსის მე-6 მუხლს, რომლითაც განმარტებულია დანაშაული, ახლავს შენიშვნა: „არ წარმოადგენს დანაშაულს ქმედობა, რომელიც, თუმცა ფორმალურათ შეეფერება განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ აშკარად მცირემნიშვნელოვანია და არც მავნე შედეგი მოჰყოლია, რის გამოც მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“. უკრაინის კოდექსში არ არის ასეთი შენიშვნა და ეს საკითხი გადაჭრილია საპროცესო კოდექსით (მ. 5, ძველი 4). არც ჩვენი კოდექსის მე-4 მუხლს ახლავს შენიშვნა, მაგრამ სამაგიეროდ არის მე-14 მუხლი: „სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება სრულიადაც არ იქნეს შეფარდებული და თვით საქმე კი მოისპოს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მოქმედება, თუნდა[ც] იგი შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ხოლო იმის გამო, რომ იგი თავისთავად მეტად უმნიშვნელოა, რომ მას არავითარი მავნე შედეგი არ მოჰყოლია ან, თუ მოჰყოლია – სრულიად უმნიშვნელო, აგრეთვე,

---

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „საბჭოთა სამართალი“, №11, 1928, 269-271 [რედ.].

გარემოებათა შეცვლის გამო დაჰკარგა სასამართლოში საქმის გარჩევის დროისათვის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, თანაც, თუ ამ მოქმედების ჩამდენი აღნიშნული დროისათვის, სასამართლოს აზრით, არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებათ იქნეს მიჩნეული“. როგორც ვხედავთ, რუსეთის კოდექსს აქვს ლოღიკური დაბოლოებამდი[ს] მიყვანილი შეხედულება ამ საკითხზე; ჩვენი კოდექსი კი პირდაპირ არ ამბობს, რომ ასეთი მოქმედება არ არის დანაშაულიო, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნია, რომ „სოციალური დაცვის ღონისძიება სრულიადაც არ იქნეს შეფარდებული“ მათთვის.

დანაშაულის მატერიალურ[ი] განმარტებიდან გამომდინარეობს, აგრეთვე, ანალოგიის საკითხის თავისებური გადაჭრა, ბურჟუაზიულ კოდექსებში, სადაც დანაშაულის ფორმალ[ურ]ი განმარტება არის, გაბატონებულია პრინციპი nullum crimen sine lege („არავითარი დანაშაული კანონის გარეშე“), რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულთა რიცხვი სრულიად ამოწურულია კოდექსით, უკანასკნელი დახურულია და დისპოზიციის ანალოგია არ შეიძლება. ისტორიულად ეს პრინციპი რევოლიუციური წარმოშობისაა, როცა აბსოლუტიზმით შებოჭილი ბურჟუაზია ლამობდა განთავისუფლებას, მაშინ უნდობლად უყურებდ[ნ]ენ ყველაფერს, რაც ძველ სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული: (‚სასამართლო არ უნდა შეიჭრეს საკანონმდებლო ორგანოს კომპენტენციაში“ (მონტესკიე). ასეთი ხაზით მიმდინარეობს ბრძოლა XVIII საუკუნიდან; XIX საუკუნეში ე.წ. „თავისუფალი სამართლის სკოლამ“ (ერლიხი, ჟენი და სხვა) წამოაყენა დებულება, რომლითაც მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება ისე შეავსოს კოდექსის ხარვეზები, როგორც კანონმდებელმა, მაგრამ ამ სკოლის გავლენა უმნიშვნელოა და დღესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში ხსენებული პრინციპი თავისთავად ჭეშმარიტებად ითვლება.

სხვანაირად უყურებს ამ საკითხს საბჭოთა სამართალი. ჩვენში რევოლიუციური შეგნებიდან რევოლიუციურ კანონიერებაზედ გადასვლა რამდენიმე წელი სწარმოებს. ამ გადასვლას ერთგვარი თანდათანობა ესაჭიროება. შეუძლებელია ერთბაშად – რევოლიუციური შეგნების სრული თავისუფლებიდან სრულ შეზღუდვაზე გადასვლა. ამას გარდა, სრულიად ნორჩ კოდექსს არ შეეძლო გაეთვალისწინები[ნ]ა ცხოვრების მთელი სირთულე და დანაშაულობათა სრული კატალოგის შედგენა; ყველა ამის შედეგად ჩვენ გვაქვს მე-8 მუხლი: „უკეთუ ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხ[ლის] სამ[ართლის] კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე, სოციალური დაცვის ღონისძიებას, სასამართლო განსაზღვრავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლის ანალოგიით, რითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვარით ყველაზედ უფრო მსგავსი დანაშაული“. ამ მუხლის მნიშვნელობა ტეხნიკური ხასიათისაა და რამდენადაც ამომწურავი კოდექსი იქნება შედგენილი,

იმდენად ანალოგიაც შეიზღუდება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი ანალოგია რომ პრინციპის საკითხად აღვიაროთ და მის შეზღუდვას ვებრძოლოთ, მაშინ, საბოლოოდ, კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ზედმეტად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც უკანასკნელის აზრი სწორედ იმაშია, რომ კანონმდებლობის გზით ფიქსაცია უქნას ყველა ისეთ მოქმედებას, რომელიც სახელმწიფოს დანაშაულობად მიაჩნია და მისცეს გარანტია მოქალაქეს, რომ არის საზღვარი, რომელსაც სახელმწიფო არ გადალახავს. ანალოგიის შეზღუდვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სასამართლოს ერთობლივი პოლიტიკისათვის.

ჩვენი სამართალი არ უყურებს სოციალური დაცვის ღონისძიებას, როგორც სამაგიეროს გადახდის საშუალებას, არამედ მიაჩნია იგი საზოგადოების დაცვის იარაღად. 22 წლის[1] კოდექსებში იხსენიებდ[ნ]ენ სასჯელს, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიების ერთ-ერთს სახეს; ახალმა კოდექსებმა ტერმინი „სასჯელი“ განდევნა, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ სასჯელი, რომელიც ისტორიულად დაკავშირებულია ბრალისა და მორალური პასუხისმგებლობის საკითხთან, მას არ სწამს; მართალია ჩვენი კოდექსი (მ. 9) ასახელებს განზრახვას და გაუფრთხილებლობას, მაგრამ არა როგორც ბრალის ფორმებს, არამედ როგორც მაჩვენებელს დამნაშავის ფსიქი[კ]ური მიმართებისა თავის ქმედობასთან, რაც აუცილებელია პიროვნების საშიშროების ხარისხის გამოსარკვევად. ჩვენი კოდექსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ის უარყოფს შურისძიებას და დასჯას და სოციალური დაცვის ღონისძიებას მიზნად უსახავს: ა) დანაშაულის წინასწარ აცდენას, ბ) საზოგადოებრივად საშიშ[ი] ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობას და გ) მსჯავრდადებულის გამოსწორებას შრომა-გასწორების ზეგავლენით და მის შეგუებას მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის (მ. 7). აქ აშკარად სჩანს, რომ ჩვენი კოდექსით სოციალური დაცვის ღონისძიებას მიზნად აქვს, როგორც ზოგადი, ისე სპეციალ[ურ]ი პრევენცია. ასეთივე გარკვეულობით ლაპარაკობს კანონმდებელი ზოგადი და სპეციალ[ურ]ი პრევენციის შესახებ 42-ე მუხლში: სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დამნაშავის პიროვნება, დანაშაულის საფრთხიანობა და მოტივი, განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული ზოგად პრევენციას 44-ე მუხლში: სასამართლომ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოარკვიოს „რა საზოგადოებრივ საფრთხეს წარმოადგენს დანაშაული“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-7 მუხლი, რედაქციის მხრით, არ არის დამაკმაყოფილებელი. რას გულისხმობს კანონმდებელი „ა“ პუნქტში? ვინ უნდა ასცდეს დანაშაულის ჩადენას? თუ იმაზეა ლაპარაკი, რომ დამნაშავემ ხელმეო-

[1] იგულისხმება 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი [რედ.].

რედ არ ჩაიდინოს დანაშაული, ამის შესახებ ამომწურავად ლაპარაკობს „გ“ პუნქტი მსჯავრდებულის გამოსწორება – და გამოსწორება კი უეჭველად იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე დანაშაულს აღარ ჩაიდენს; თუ სხვა მერყევ ელემენტებზეა ლაპარაკი, ამის შესახებ არის „ბ“ პუნქტში. ასე, რომ აქ ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე და „ა“ პუნქტი სრულიად ზედმეტია.

ვის შეეფარდება სოციალური დაცვის ღონისძიება? „იმ პირს, ვისაც სოციალურად საშიში ქმედობა ჩაუდენია ან ვინც გამო კავშირის წრესთან დამნაშავეთა ან თავისი დანაშაულებრივი წარსულის გამო საფრთხეს წარმოადგენს“ (მ. 6). მე-5 მუხლი უფლებას აძლევს სასამართლოს 34-ე მუხლში აღნიშნული ღონისძიებანი სსსრ ფარგლებიდან განდევნის გარდა „შეუფარდოს, საქმეში ბრალდებულად ჩაბმულს, ხოლო ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გამართლებულ პირსაც კი, უკეთუ სცნობს, რომ იგი, დანაშაულებრივი წარსულისა და დამნაშავეთა წრესთან კავშირის გამო სოციალურად საშიში ელემენტია“. უპირველეს ყოვლისა, რას ნიშნავს „კავშირი დამნაშავეთა წრესთან“? კავშირი შეიძლება ათასგვარი იყოს. რომელ კავშირზეა ლაპარაკი? აქ მოსამართლის თვითნებობას უსაზღვროდ ფართე გზა ეხსნება. იგივე ითქმის „დანაშაულებრივი წარსულის“ შესახებაც. გამოდის, რომ წარსულის დავიწყება ჩვენმა კოდექსმა არ იცის. რით შეიძლება ამის ახსნა? კანონმდებელი ხომ უარჰყოფს „შურისძიებას და დასჯას“ (მ. 7). აქ კი გამოდის, რომ მას თვით გამოსწორება მიაჩნია შეუძლებლად (არაყოველთვის, რასაკვირველია) რაც ეწინააღმდეგება მე-7 მუხლს, სადაც გასწორებაზეა ლაპარაკი. ის მდგომარეობა, რომ დანაშაულებრივი წარსულის მქონეს ამის შემდეგ აღარ ჩაუდენია დანაშაული, ნიშნავს მის გა[მო]სწორებას. ერთადერთი საფუძველი, ასეთ შემთხვევებში სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებისა არის „საეჭვო“, არაკეთილსაიმედო მდგომარეობა, რაც, როგორც აღვნიშნეთ თვითნებობას უხსნის გზას.

ამას გარდა, მე-6 და 34-ე მუხლები ეწინააღმდეგებიან ამავე კოდექსის 1-ლ მუხლს და სისხ[ლის] სამ[ართლის] საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლს. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანია დაიცვას მშრომელთა სახელმწიფო სამართლით განსაზღვრული წესისამებრ, ისეთი საზოგადოებრივად საშიშ[ი] ქმედობისაგან (დანაშაულისაგან), რაც ძირს უთხრის მშრომელთა ხელისუფლებას...“ (მ. 1). საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „სისხლის სამართლით დევნა არ შეიძლება აღძრულ იქნეს, ხოლო აღძრული დევნა არ შეიძლება განგრძობილ იქნეს და უნდა მოისპოს პროცესის რა სტადიაშიც არ უნდა იყოს საქმე: ...5) უკეთუ ის მოქმედება, რომელსაც ბრალდებულს აბრალებენ, არ შეიცავს საზოგადოებრივად საშიში ქმედობის (დანაშაულის) ნიშნებს“. როგორც ვხედავთ, მატერიალური კოდექსი გარკვევით ლაპარაკობს, რომ მას საქმე აქვს მხოლოდ „საზოგადო-

ებრივად საშიშ ქმედობასთან“ (მ. 1) და, თუ სწორედ ასეთი მოქმედება არ არის, საქმე არ შეიძლება აღძრულ იქნეს და, თუ აღძრულია, უნდა მოისპოს ([სისხლის] საპრ[ოცესო] კოდ[ექსის] მე-4 მ[უხლის] მე-5 პ[უნქტი]). მაშასადამე, ამ მუხლების მიხედვით, სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება მხოლოდ ისეთ პიროვნებას, რომელსაც რაიმე დანაშაულებრივი ქმედობა ჩაუდენია; მე-7 და 34-ე მ[უხლები] კი სწორედ ამის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ.

საინტერესოა, როგორ გადასწყდა ეს საკითხი რუსეთსა და უკრაინაში. 1924 წლის 31 ოქტომბრის სსსრ ძირითად დებულებაში ვხვდებით 22-ე მუხლს, რომელიც სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას არ უკავშირებს აუცილებლად კონკრეტ[ულ] ქმედობას. ძირითადი დებულების ამ მუხლის მიხედვით რუსეთის მომქმედი კოდექსის პროექტში შეტანილი იყო მე-7 და 36-ე მუხლები, რომლებიც ისეთივე შინაარსისაა, როგორც ჩვენ მიერ განხილული მე-6 და 34-ე მუხლები. „ახალი საზოგადოებრივი წყობილების ანუ ახალი სოციალისტური მშენებლობის დაცვის იდეა გვიკარნახებს ჩვენ, რომ მივიღოთ ზომები არა მარტო იმ პირთა მიმართ, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული და გამოა[ა]შკარავეს დანაშაულებრივი მდგომარეობა, არამედ მომავალში დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგაც“. ასე ასაბუთებდა ამ მუხლებს ამხ[ანაგი] კრილენკო ცაკის სესიის წინაშე; მაგრამ ცაკმა, იმავე „სოციალისტური მშენებლობის დაცვის იდეის“ ინტერესებისათვის სახიფათოდ სცნო ეს აზრი, რადგან ამით „თვითნებობას ეხსნება ფართე გზა“ და ეს მუხლები უარყოფილ იქნა. მართალია მე-7 მუხლი მაინც დარჩა მომქმედ კოდექსში, მაგრამ მას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამ მუხლის განმსაზღვრელი 38-ე მ[უხლი] განდევნილია.

უკრაინამ შესაძლებლად სცნო სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება დამნაშავეთა წრესთან კავშირისა და დანაშაულებრივი წარსულის გამო (მ. 55). „საკითხი ამ ზომათა შეფარდებისა ასეთ სოციალურად საშიშ პიროვნებათადმი შეიძლება აღძრულ იქნეს პროკურატურის მიერ და მიუხედავად იმისა, მიცემულია თუ არა პასუხისგებაში რაიმე კონკრეტ[ულ]ი ქმედობისათვის (უსსრ სისხ[ლის] სამ[ართლის] კოდექსის 34-ე მ[უხლი]). ახლად შემოღებული საპროცესო კოდექსი უკრაინისა კიდევ უფრო აფართოვებს ასეთ შემთხვევებში პროკურატურის უფლებებს და ბრალდებულს არ აძლევს უფლებას პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას (393-ე-403-ე მ[უხლები]). როგორც ვხედავთ, საქართველოს კოდექსი დაადგა უკრაინის გზას.

ჩვენი კოდექსით (მ. 19) მომზადებას ეფარდება სოციალური დაცვის ღონისძიება, როგორც დამთავრებულ დანაშაულს; იგივეა რუსეთის კოდექსშიც (მ. 19). რასაკვირველია, რომ არსებობდეს იმისთანა უტყუარი იარაღი, რომ-

ლითაც წინასწარ შეიძლებოდეს შეუცდომლად გათვალისწინება, თუ რას ჩაიდენს ეს თუ ის პიროვნება, მაშინ სრულიად მისაღებია პრინციპულად სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება ისეთ პიროვნებათა მიმართაც, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ფიქრობენ დანაშაულზე; მაგრამ ასეთი იარაღი არ არსებობს და ამიტომ ადამიანის ფიქრს არა აქვს ბაჟი. ცდა ადამიანის შემდეგი მოქმედების გათვალისწინებისა ზუსტად მხოლოდ მარჩიელობა იქნებოდა; ამიტომ მომზადებასა და დასრულებულ ქმედობას შორის იგივეობის ნიშნის დასმა იმავე თვითნებობას უხსნის გზას, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. ხშირად მომზადებასა და დასრულებულ ქმედობას შორის დიდი დროა. რამდენი აუარებელი ფაქტორებია მოსალოდნელი ამ პერიოდში, რომლებიც სხვა მიმართულებას მისცემენ პიროვნების მოქმედებას! ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ გადასჭრა საკითხი უკრაინამ, რომლის სისხ[ლის] სამ[ართლის] კოდექსის მე-18 მუხლი ამბობს: „დანაშაულისათვის მომზადება არ იწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას“.

ჩვენი კოდექსი არ ასხვავებს ცდას მომზადებისაგან და ორსავეს გულისხმობს „დაწყებულ დანაშაულში“ (მ. 19). ცდა ჩვენი კოდექსით შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს, – ასე გამოდის მე-19 მუხლიდან: „უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, სასამართლომ სოციალური დაცვის იმ ღონისძიების არჩევის დროს, რაც ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული, მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენად საშიშია დანაშაულის ჩამდენი და რამდენად განხორციელებულ იქნა დანაშაულებრივი განზრახვა“. განზრახვის ბოლომდე მოყვანა გულისხმობს, რომ დამნაშავეს სურდა დანაშაულის შედეგი (პირდაპირი განზრახვა – მე-9 მ[უხლის] „ა“ პ[უნქტი]) და ან შეგნებულად მიანება მოქმედებას შედეგი მოჰყოლოდა (არაპირდაპირი განზრახვა – მე-9 მ[უხლის] „ა“ პ[უნქტი]). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ, თუ ცდა დანაშაულის დასაწყისია (მ. 19), მაშინ ის შესაძლებელია არა თუ ევენტუალი განზრახვის დროს, არამედ ყველა დანაშაულის ჩადენის დროსაც. ლოღიკურად სხვანაირად წარმოუდგენელია: არის შედეგი, უნდა იყოს დასაწყისი. თუ პრაქტიკულად მრავალ შემთხვევაში შეუძლებელია დანაშაულის დასაწყისი მომენტის დაჭერა, მისი გამხოლოება (ფორმალ[ურ]ი დანაშაულის დროს), მრავალ შემთხვევაში არის შესაძლებელი ამისთანა მომენტის დაჭერა. ავიღოთ მაგალითი: A-ს გაუვარდა თოფი და მოჰკლა ამხანაგი (გაუფრთხილებელი მკვლელობა); B-საც გაუვარდა თოფი, მაგრამ ტყვია ასცილდა ამხანაგს რამდენიმე სანტიმეტრით ან მოხვდა ისეთ ადგილას სადაც ტყვიამ არ იმოქმედა. პიროვნების საშიშროების თვალსაზრისით, A-სა და B-ს შორის არავითარი განსხვავება არ არის, მა-

თი ქმედობანი ხიფათიანობის ერთნაირს სიმპტომს გვიჩვენებენ და არავითარი საფუძველი არ არის მათ მიმართ განსხვავებული ზომების მიღებისა.

განსაკუთრებულათ უნდა აღინიშნოს კოდექსის მიერ ახლად შემოღებული პიროვნების რეაბილიტაცია, სასამართლოს განაჩენის გაბათილებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც მოტივს დამნაშავის გამოსწორებისას. ისეთ პირად, რომელიც სამართალში არ ყოფილა, ჩაითვლება: ა) ვინც სასამართლომ გაამართლა; ბ) ვინც პირობით იყო მსჯავრდადებული, უკეთუ სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია; გ) ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე და ამ ღონისძიების მოხდის შემდეგ 3 წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია, ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 3 წალმდე, უკეთუ 6 წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია (მ. 16). პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ პირს შეუძლია კითხვაზე: ყოფილხარ თუ არა სამართალში, უპასუხოს – არაო.

სოციალური დაცვის ღონისძიება უნდა შეეფარდოს ყველა თანამონაწილეს: წამქეზებელს, აღმსრულებელს და დამხმარეს (მ. 17). გაუგებრობას იწვევდა ძველ კოდექსში დამხმარის ცნება დანაშაულის კვალისა და დამნაშავის დაფარვის შემთხვევაში. მიზანშეწონილად გადასჭრა ეს საკითხი ახალმა კოდექსმა, რითაც ბოლო მოუღო ყოველგვარ გაუგებრობას: „დამნაშავის ან დანაშაულის კვალის ისეთ დაფარვას, რაც დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეწყობას არ წარმოადგენს... სოციალური დაცვის ღონისძიება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში [შეეფარდება], რაც სისხლის სამართლის კოდექსით სპეციალურადაა გათვალისწინებული“.

ახალი კოდექსით, ქონების კონფისკაციის შეფარდება არ შეიძლება ყოველთვის, როცა სასამართლო ამას საჭიროდ სცნობს, არამედ „მხოლოდ ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ეს ღონისძიება ამ კოდექსის კერძო ნაწილის ცალკე მუხლებითაა გათვალისწინებული...“ (მ. 39, მეორე ნაწილი).

ზარალის ანაზღაურება, როგორც სოციალური დაცვის ერთ-ერთი ღონისძიება, რომელსაც ღებულობს რუსეთი (რსფსრ სისხ[ლის] სამ[ართლის] კოდექსის მე-20 და 44-ე მ[უხლები]), ჩვენმა კოდექსმა არ იცის.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „სასამართლო გამასწორებელი“ (სოც[იალური] დაცვის ღონისძიების ერთი სახე) მიუთითებს მხოლოდ სპეციალურ პრევენციაზე, მაშინ როდესაც ნამდვილად ამ ღონისძიებას სხვა მიზნებიც აქვს.

პირველი საკავშირო საპენიტენციარო ყრილობა*

დოცენტი ლაზარე შურღაია

ა.წ. 20 სექტემბერს მოსკოვში იწყება პირველი საკავშირო საპენიტენციარო ყრილობა, რსფსრ-ის ინიციატივით. ასეთი ყრილობა სწორედ დროულია; 10 წლის განმავლობაში კავშირის პროლეტარიატმა თავის[ი] დიქტატურის განმტკიცების ხანაში აწარმოვა სასტიკი ბრძოლა როგორც კლასიურ[ი][1] მტრების, ისე დეკლასირებულ[ი] ელემენტების წინააღმდეგ და დააგროვა დაკვირვება-ცდის დიდი მასალა. თუ სხვადასხვა სახელმწიფოების ბურჟუაზია გრძნობდა ამ საქმეში თანამშრომლობის საჭიროებას, მიუხედავად ეკონომი[კ]ურ-პოლიტიკურ[ი] ანტაგონიზმისა, მით უფრო, უნდა შეიგნოს ასეთი თანამშრომლობის აუცილებლობა პროლეტარიატმა, რომელიც ასეთ[ი] ანტაგონიზმისგან თავისუფალია.

მართალია, არ შეიძლება სრული ანალოგიის გაყვანა საერთაშორისო საპენიტენციარო კონგრესებსა და საკავშირო საპენიტენციარო ყრილობებს შორის, რამდენადაც ყველა მონაწილენი ამ ყრილობისა შეადგენენ ერთ სახელმწიფოებრივ კავშირს, მაგრამ იგი მაინც უახლოვდება საერთაშორისო კონგრესს და ამიტომ არ იქნება ზედმეტი მოვიგონოთ კონგრესების ისტორია.

საპენიტენციარო მეცნიერება ახალია. მას საძირკველი ჩა[ე]ყარა მე-18 საუკუნის დამლევს ცნობილ[ი] ინგლისელ[ი] რეფორმატორ[ი] მოღვაწეების – ჯონ-გოვარდის და ფილოსოფოს-უტილიტარისტის იერემია ბენტა[მ]ის შრომით. ამავე ხანებში, იწყება ასეთივე მოძრაობა საპატიმროს გარდაქმნისათვის ჩრდილო-ამერიკაში, სადაც ინგლისელ[მა] ემიგრანტებმა შექმნეს ახალი სახელმწიფო და ჩაიტანეს სამშობლოდან საპატიმროს რაციონალურად მოწყობის იდეები.

ამერიკელებს მიბაძეს კონტინენტალურ[ი] ევროპის სახელმწიფოებმა, რომლებმაც გადმოიტანეს ამერიკის ახალი სისტემები. გაცხოველდა მუშაობა ყველა სახელმწიფოებში.

ამან წარმოშვა მოთხოვნილება საერთაშორისო კონგრესებისა. 1846 წ. მოხდა კერძო ინიციატივით პირველი საერთაშორისო საპენიტენციარო ყრილობა, მდ. მაინცზე მდებარე ფრანკფურტში, მეორე ყრილობა მოხდა ბრიუსელში 1847 წ., მესამე იმავე ფრანკფურტში 1857 წ..

---

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „საბჭოთა სამართალი“, №17, 1928, 410-414 [რედ.].

1 იგულისხმება კლასობრივი [რედ.].

სამივე კონგრესი იყო კერძო ხასიათის, რამდენადაც არც ერთ სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი იქ არ ყოფილა. პირველი საერთაშორისო კონგრესი სახელმწიფოების ოფიციალურ წარმომადგენლების მონაწილეობით მოხდა ლონდონში 1872 წ.; მას მოყვა, ასეთივე კონგრესები სხვადასხვა სატახტო ქალაქებში, მათ შორის, ყოფ. პეტერბურგში 1895 წ.

ეხლა, როდესაც მთელი კაცობრიობა დაყოფილია ორ ბანაკად, საბჭოთა რესპუბლიკებს უხდება დამოუკიდებლად და, უმეტესად, თავისი ძალღონით თავის[ი] პრაქტიკის და თეორიის დამუშავება ამ დარგში. სწორედ, ამ მხრივ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ საკავშირო საპენიტენციარო ყრილობას მომავალში; კომუნისტურ ხანაში, არ იქნება სახელმწიფო, როგორც გაბატონებული კლასის ორგანიზაცია, რადგან მაშინ იქნება ერთი მთლიანი საზოგადოება და არ იქნება საჭირო საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის იძულება და დათრგუნვა. მაშინ მოკვდება სახელმწიფოსთან ერთად თვით სამართალი, სასამართლო და საპატიმროც სხვა იძულების ორგანოებთან ერთად; ხოლო ამ გარდამავალ ხანაში, სანამდის გამარჯვებულ[ი] მუშათა კლასისთვის საჭიროა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მომავალ მდგომარეობაში გადასასვლელად, უნდა ვეცადოთ, რომ ეს იარაღი მან საუკეთესოდ და მიზანშეწონილად მოიმარჯვოს, აქედან კი იბადება საჭიროება, რომ რაციონალურად იყოს მოწყობილი და მუშაობდეს პროლეტარულ[ი] სახელმწიფოს ყველა ორგანოები, მათ შორის, გამასწორებელ[ი] შრომის დაწესებულებები. საკავშირო საპენიტენციარო ყრილობის მიზანია ხელი შეუწყოს ამ საქმეს.

ყრილობის პროგრამის მიხედვით, მას მიზნად აქვს დასახული განიხილოს ყველა მნიშვნელოვანი საპენიტენციარო საკითხები.

პროგრამა ასეთია:

1. მიღწევები და პერსპექტივები კავშირის საპენიტენციარო საქმეში.

2. ვადამდე განთავისუფლება და მისი შეფარდების პოლიტიკა.

3. შესწავლა დამნაშავის დამნაშავეობის და პიროვნების.

4. ცენტრალიზაცია საპენიტენციარო საქმეში და მისი ფარგლები.

5. სოციალურ[ი] დაცვის ღონისძიებათა აუცილებელი რეფორმები.

6. ამოცანები და მეთოდები საწარმოვო-სამნეო ნაწილისა საპატიმრო ადგილებში.

7. იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად.

8. ამოცანები და მეთოდები კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისა საპატიმრო ადგილებში.

9. დახმარება საპატიმროდან განთავისუფლებულებს.

10. შრომის სახლები სამართლის არასრულწლოვან დამრღვევთათვის, საბავშო დანაშაულობასთან საბრძოლველ[ი] დაწესებულებების სისტემაში.

11. საპენიტენციარო სამართალი და მისი სწავლება სსრკ-ში.

12. სოციალურ[ი] დაცვის ღონისძიებანი მედიკური ხასიათისა, პროფილაქტიკა და სანიტარია გამასწორებელ შრომის საქმეში.

მოხსენებებს ამ საკითხებზე ამზადებს რსფსრ, ხოლო, თუ სხვა რესპუბლიკიდან წარდგენილი იქნება ასეთი შეძლება მოსმენილ იქნეს თანამოხსენების სახით. ყრილობაზე მიწვეულნი არიან რსფსრ-ის ფარგლებში საპატიმროების ყველა ინსპექტორები, ყველა მნიშვნელოვან[ი] გამასწორებელ[ი] შრომის დაწესებულებების უფროსები, სრულიად რუსეთის და ადგილობრივ პატიმართა დამხმარე კომიტეტების წარმომადგენლები, დანაშაულობის და დამნაშავის შესწავლის სახელმწიფო ინსტიტუტის და ადგილობრივი კაბინეტების წარმომადგენლები, საკრიმინალო სამართლის და პენიტენციარიის კათედრების წარმომადგენლები, მოსკოვის, ლენინგრადის, სარატოვის და ირკუტსკის უნივერსიტეტებიდან. ამათ გარდა, მოწვეულია ყველა მოკავშირე და ავტონომიურ[ი] რესპუბლიკების წარმომადგენლები და, აგრეთვე, მეცნიერები. აქედან აშკარაა, რომ მიღებულია ზომები, რათა ფართოდ და ღრმად იქნეს განხილული ყველა მნიშვნელოვანი საპენიტენციარო საკითხები.

სხვა კითხვათა შორის ყრილობაზე განსახილველად დასმულია საკითხი საპენიტენციარო სამართლის სწავლების შესახებ.

თეორიული ცოდნა არის ის ლამპარი, რომლის მეშვეობით მუშათა კლასმა უნდა გაიკვლიოს გზა მომავლისკენ. ამიტომ არ სპობს სოციალურ მეცნიერებათა სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში, მხოლოდ ცდილობს გაანთავისუფლოს ასეთები ძველი იდეოლოგიის გავლენისაგან და შექმნას ჭეშმარიტი პროლეტარული მეცნიერება.

მართლმსაჯულების საქმე და, კერძოდ, საპენიტენციარო საქმე, სანამდის არსებობს სამართალი, უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია სახელმწიფოებრივ მოღვაწეობის, ვინაიდან საკრიმინალო და საპენიტენციარო სამართალი ეხება ადამიანის უძვირფასეს განძს, როგორიც არის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, პიროვნების ღირსება თუ ეკონომიკა, – ფუძეა სახელმწიფოს კეთილდღეობის, დანაშაულობა საზომია მისი ჯანსაღობის.

მაგრამ აქ შეიძლება დაისვას საკითხი, საჭიროა თუ არა საპენიტენციარო სამართლის ცალკე საგნად სწავლება, თუ საკმარისია ასეთი ცოდნის გადაცემა საკრიმინალო სამართლის ფარგლებში. მომავალ ყრილობაზე ესა და ამისგან გამომდინარე საკითხები იქნება განხილული. ჩვენ ვიცით, რომ სოციალური მეცნიერებები იშვა ერთი მეორისგან. თუ საპენიტენციარო სამართალი იმდენად მომწიფდა, რომ დაბადებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, რა საკვირველია, იგი ცალკე საგნად უნდა არსებობდეს უნივერსიტეტებში.

ამ მოკლე წერილში ჩვენ ვერ განვიხილავთ ვრცლად ამ საკითხს, მაგრამ რადგან ეს საკითხი დაკავშირებულია იმასთან, როგორ უყურებს საბჭოთა

ხელისუფლება, საერთოდ, საპენიტენციარო საქმეს, საპენიტენციარო ყრილობას და სამეცნიერო მუშაობას ამ დარგში, არ იქნება ზედმეტი გაკვრით შევეხოთ ამ საკითხს.

ძველ სამართალში დამნაშავის პასუხისმგებლობა დაფუძნებულია მორალურ[ი] ბრალეულობის ცნებაზე. ამიტომ იქ მთავარია ბრალეულობის და სასჯელის რაოდენობის გადაწყვეტა, რაც სასამართლოს ფუნქციას შეადგენს, ხოლო განაჩენის ა[ღ]სრულება ნაკლებად მნიშვნელოვან საქმედ ითვლება. იმ სახელმწიფოებში, სადაც ასეთი სამართალია, განაჩენის ა[ღ]სრულება ხდება რეგლამენტის ან წესდების ძალით; ამ საქმეს განაგებს დამოუკიდებლად რომელიმე სამინისტრო და შესაძლებელი ხდება თვითნებობა. საბჭოთა სამართალმა უკუაგდო ბრალეულობის და სასჯელის ცნება, დანაშაულის წინააღმდეგ უფლებრივ ბრძოლას საფუძვლად უდევს სოციალურ[ი] დაცვის ცნება და მიმართავს სასჯელის ცნების ნაცვლად სოციალურ[ი] დაცვის ღონისძიების ცნებას. აქ უკვე არ არის მთავარი მორალურ[ი] ბრალეულობის და დამსახურებულ[ი] სასჯელის ზუსტად განსაზღვრა. დანაშაულის წინააღმდეგ უფლებრივ ბრძოლაში თავიდან ბოლომდე სახელმძღვანელოა მიზანშეწონილობის პრინციპი. ამიტომ, თუ მთელ ამ ბრძოლის პროცესს გავყოფთ ორ პერიოდათ – განაჩენის გამოტანამდე და ამის შემდგომათ – ჩვენ ვერ ვიტყვით რომ საბჭოთა კანონმდებელი მეტ მნიშვნელობას პირველ პერიოდს აძლევდეს. ორივე პერიოდს თანაბარი მნიშვნელობა აქვს. გარეგნულად ეს გამოიხატება იმაში, რომ საპენიტენციარო საქმეს, როგორც, აგრეთვე, სასამართლო საქმეს, აწესრიგებს კოდექსი და არა ძველებურად რეგლამენტი ან წესდება. ამით კანონმდებელმა საპენიტენციარო საქმის მნიშვნელობა ასწია სასამართლო საქმის დონემდე.

პრაქტიკამ დაამტკიცა ძველი აზროვნების უვარგისობა ამ დარგში და გადააგდო ეს აზროვნება მეორე უკიდურესობაში: განუსაზღვრელ[ი] განაჩენის მოთხოვნაში, როდესაც პატიმრის ბედი განსაზღვრულ ფარგლებში ვადის მხრივ სავსებით საპატიმრო მართველობის ორგანოების ხელშია; საბჭოთა კანონმდებლობამ მიიღო საშუალო მდგომარეობა: სასამართლო საზღვრავს დაპატიმრების ან დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის ვადას, ხოლო განსაკუთრებულ საუწყებათაშორისო კომისიას, სასამართლოს წარმომადგენელების მონაწილეობით, დაკისრებული აქვს თვალყური ადევნოს განაჩენის ა[ღ]სრულებას და ზომები მიიღოს პატიმრობისგან ან დაუპატიმრებლად იძულებით[ი] მუშაობისგან გასანთავისუფლებლად იმ წამიდან, რა წამიდანაც ასეთი ღონისძიების გაგრძელება არამიზანშეწონილია. ამ საკითხის გადაწყვეტა, განსაზღვრულ შემთხვევებში, შეადგენს უშუალოდ კომისიის კომპეტენციას. განმანაწილებელი კომისია, რომელიც ხელმძღვანელი და გადამწყვეტი ორგანოა საბჭოთა საპენიტენციარო პროგრესიულ[ი] სისტემის

გატარებისა, არის საბჭოთა კანონმდებლობის წმინდა ნაყოფი, რომლის ბადალი არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს. სასამართლოს სფეროდან ნაწილი მოღვაწეობისა გადატანილია საპენიტენციარო მოღვაწეობის სფეროში.

საპენიტენციარო დარგი არსებობს საბჭოთა რესპუბლიკაში ცალკე თანაბარ[ი] მნიშვნელობით სასამართლო მოღვაწეობასთან, ამიტომ იგი უნდა იყოს საგანი (ობიექტი) ცალკე არსებულ[ი] სამეცნიერო დარგისა. ყოველ სამეცნიერო დარგს ახასიათებს ობიექტი და მეთოდი. ჩვენ აღვნიშნეთ, რო[მ] საპენიტენციარო სამართალს აქვს თავისი საგანი. აქვს თუ არა მას სამეცნიერო მეთოდი? თუ საკრიმინალო სამართალი მიმართავს უმთავრესად დაკვირვებას და სტატისტიკას, საპენიტენციარო სამართალი ერთადერთი დარგია სოციალურ მეცნიერებათა შორის, რომელიც ხმარობს ცდას და, ამ მხრივ, იგი უახლოვდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგს, რაც მისი უპირატესობაა. ამრიგად, საპენიტენციარო სამართალს აქვს თავისი საგანი და მეთოდი, ამიტომ იგი უნდა არსებობდეს ცალკე საგნად უნივერსიტეტში. უნდა მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ სასამართლოს განაჩენის ა[ღ]სრულების საქმე იყოს მეცნიერულად მომზადებულ[ი] პირების ხელში, როგორც ეს უნდა იყოს სასამართლოს საქმის მიმართ.

ეს საკითხები ავტორიტეტულად იქნება გადაწყვეტილი საპენიტენციარო ყრილობაზე საკრიმინალო (სადანაშაულო) და საპენიტენციარო სამართლის პროფესორების მონაწილეობით.

ყრილობის პროგრამაში შედის მრავალი სხვა ფრიად საინტერესო საკითხები. მე იმათ გაკვრითაც ვერ შევეხები ამ წერილში.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ყრილობასთან პარალელურად ეწყობა პატიმრების ნაწარმოების გამოფენა.

განზრახულია დელეგატების გაგზავნა ჩვენი რესპუბლიკიდან როგორც საპატიმროთა სამმართველოსგან, ისე პატიმართა დამხმარე კომიტეტისგან.

უკვე იგზავნება ექსპონატები პატიმართა ნაწარმოების გამოფენაზე. ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობა ამ ყრილობაში აუცილებელია.

სისხლის სამართლის უფლება, ბოროტქმედობა და ბოროტქმედთა პიროვნების შესწავლის საკითხი*

ექიმი გ[იორგი] მ[იხეილის] [ძე] შენგელაია
კლინიკის ორდინატორი
(ჯ[ანმრთელობის] ს[ახალხო] კ[ომისარიატის] ფსიქო-ნევროლოგიური

ინსტიტუტიდან, დირექ[ტორი] – პროფ. მ. ასათიანი)

სულით ავადმყოფობა, როგორც მიზეზი ჩაურიცხველობის, პირველად შეტანილია 530 წელში იუსტინიანის კანონთა კრებულში, რომელიც გარდა გაცოფებისა (furor-бешенство) არჩევდა კიდევ ფსიქი[კ]ურ[ი] აშლილობის სხვა ფორმებსაც, მაგალითად: Dementia – გრძნობათა გაუკუღმართებას ბოდვასთან ერთად, Insania – შეშლილობას, Fatuitas – ჭკუით დაქვეითებას, Moria – შეშლილობას ჭკუით დაქვეითებულთა მოქმედებით და mente capti – შერყეულებს (тронутые). იგივე კანონთა კრებული სრულიად უპასუხისმგებლოთ სთვლიდა მცირეწლოვანთ (infantes) 7 წლამდე; რაც შეეხება მოზარდებს (impuberes) 14 წლამდე და არასრულწლოვანებს (minores) 25 წლამდე, მათ შესახებ არსებობდა დამატებითი მომენტები ჩარიცხულობის საკითხის გამოსარკვევად და დასჯის მიყენებისათვის.

ამნაირად, იუსტინიანის Corpus Juris Civilis ხელმძღვანელობდა არა მარტო ბოროტმოქმედების გარეგანი ნიშნებით და მიყენებული ზარალის ოდენობით, რაც ახასიათებს ნაკლებ[ი] კულტურის მქონე ერთა კანონმდებლობას, არამედ მსჯელობაში ბოროტმოქმედების შესახებ მას შეყავდა ახალი კომპონენტები – თვით ბოროტმოქმედი სუბიექტი – მისი პიროვნება, მისი მოქალაქეობრივი ღირებულება.

A priori ცხადია, რომ ამ შესანიშნავ[ი] იურიდიული მონუმენტის კოდიფიკაციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ექიმებს, მაგრამ სისტემატიური საექიმო სასამართლო ფსიქოლოგიური ტრაქტატი გამოქვეყნებული იყო მხოლოდ XVI საუკუნეში პავლე ზაკხიას მიერ, რომელსაც უთუოდ ეკუთვნის პრიორიტეტი ამ საკითხის დამუშავების დაწყებაში (Questiones medicolegales). ხსენებული მეცნიერის აზრით, იურისტები აძლევენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სიტყვებს და მოქმედებებს, სულით ავადმყოფობის გამოკვლევის დროს, მხოლოდ ექიმებმა, იმავე მიზნით, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სულიერ აღელვებას, სახის გამომეტყველებას, სხეულის აგებულებას

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში – „თანამედროვე მედიცინა“, №9, 1927, 451-459 [რედ.].

და სხვა ავადმყოფურ ნიშნებს. Fortunatus Fidelis-მა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში უკვე შეკრი[ბ]ა სასამართლო-ფსიქიატრიული მასალები, რომელიც გამოსცა 1602 წელში სახელწოდებით – De relatio medicorum. იმავე ეპოქის მეცნიერებმა Wier-მა, J. Platner-მა, Ernest Platner-მა და სხვებმა განუწყვეტლივი მედგარი ბრძოლით მიაღწიეს მხოლოდ იმას, რომ ექიმებს ზოგჯერ ჰქონდა საშუალება მიეღოთ მონაწილეობა მხოლოდ სულით ავადმყოფის გამოცნობაში და რაც შეეხება თვით სისხლის სამართლის უფლების ევოლუციას და განვითარებას, საექიმო აზროვნებას მათზე არავითარი გავლენა არ ჰქონია.

კრიმინოლოგია იყო ჩაგდებული სქოლასტიკ[ოს]თა, კანონიკებთა და, უკეთეს შემთხვევაში, იეზუიტურ[ი] მიმართულების იურისტთა ხელში, რის გამო[ც] მასში სუფევდა საშინელი, შეუჩერებელი თვითნებობის თარეში და მხოლოდ XVII, XVII საუკუნეთა გა[ნ]მანათლებელმა მოძრაობამ დაამსხვრია შუა საუკუნის დოქტრინები და შეიტანა შუქი იმ დროის სისხლის სამართლის უფლების სიბნელეში.

ბეკარია, მონტესკიე, ვოლტერი, კანტი, გერბარტი, ჰეგელი – აი, ის უდიდესი პიროვნებები, რომლებმაც მოახდინეს კრიმინოლოგიის სრული გარდაქმნა და სწორედ ამ ხნიდან იწყება ამ დარგში სხვადასხვა მეცნიერული სკოლების დაარსება.

კლასიკური სკოლა სისხლის სამართლის უფლებისა, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა ანსელმ ფ[ო]იერბახმა, განიხილავს ბოროტმოქმედებას, როგორც თავისებურ დამოკიდებულებას, რომელიც ჩნდება ბოროტმოქმედ პირთა და სახელმწიფოს შორის, კლასიკური სკოლა შეისწავლის ბოროტმოქმედებას განყენებულათ, კონკრეტულ ფაქტთა გარეშე: ის არ შედის მსჯელობაში, თუ რატომ, რა მიზნებით, რის[ი] გავლენის ქვეშ მოხდა, სახელმწიფოს მიერ დაცულ, არსებულ კანონთა დარღვევა; მას აქვს საქმე მომხდარ ფაქტთან – მომხდარ ბოროტმოქმედებასთან – ე.ი. ობიექტიური დანაშაულობა არის ერთადერთი საფუძველი დასჯის მიყენებისათვის, რომელიც წინდაწინ გათვალისწინებული არის.

Nullum crimen, nulla poena sine lege – აი, რა ახასიათებს ამ მიმართულებას.

კლასიკურ[ი] სკოლის მოპირდაპირე პოლუსზე სდგას ეგრედ წოდებული ანტროპოლოგიური ანუ იტალიელთა პოზიტიური მიმართულება კრიმინოლოგიაში. ამ მოძღვრების შემქ[მ]ნელის ჩეზარე ლომბროზოს და მისი მრავალრიცხოვან[ი] მოწაფეების გაგებით ბოროტმომქმედი პიროვნება წარმოადგენს მემკვიდრეობით დატვირთულ, ატავისტურ, პრიმიტიულ ტიპს, რომელსაც თავისი განსაკუთრებულ[ი] ფსიქო-ფიზიკურ შენების გამო, დაკარგული აქვს შემგუებლობის უნარი, საზოგადოებრივი ცხოვრების ინსტიტუტი. ის არის მორალურად ბლაგვი ეპილეპტოიდი. ლომბროზო სრულიად

უარყოფს თავისუფალ ნებისყო[ფ]ას, რაც კლასიკურ[ი] სკოლის ძირითად პოსტულატს შეადგენს და აღიარებს აბსოლუტურ დეტერმინიზმს, საერთოდ, ადამიანის და, კერძოდ, კი ბოროტმომქმედთა ქცევაში. ლომბროზოს, გორაფალოს და დორადოს მტკიცებით არა ბოროტმოქმედება, როგორც ასეთი, წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის, არამედ თვით ბოროტმომქმედი სუბიექტი, რომელიც არის მატარებელი ყოველგვარ[ი] უარყოფითი თვისებებისა. აი, ამიტომ, მათივე გაგებით, აუცილებელია შესწავლა ბოროტმომქმედ[ი] ადამიანის და არა მის მიერ ჩადენილ[ი] ქმედობისა.

რა თქმა უნდა, ლომბროზოს სასტიკმა, რეფორმატორულმა იერიშმა იურისპრუდენციაში, გამოიწვია ცხარი ხანგრძლივი კამათი სათანადო წრეებში და ბევრი ლომბროზოს ძირითადი დებულებანი, სხვათა შორის, მაგალითად, განსაკუთრებულ[ი] ბოროტმომქმედ[ი] ადამიანის არსებობის შესახებ (Homo deliquente – homo deliquens), იქმნენ დამსხვრეულნი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს ლომბროზოს უდიდესი დამსახურებანი კაცობრიობის წინაშე, რომელნიც შემდეგში მდგომარეობენ: მან შეიტანა დეტერმინიზმის ცნება სისხლის სამართლის უფლებაში, მან დასვა კითხვა ბოროტმომქმედ[ი] ადამიანის შესწავლის აუცილებლობისა, მასთან საწინააღმდეგო კამათში გამოიჭედა კრიმინოლოგიის ახალი, ცხოველყოფითი სოციოლოგიური სკოლა.

სოციოლოგიური სკოლა, თუმცა არ უარყოფს პიროვნების კონსტრუქციის მნიშვნელობას ბოროტმოქმედების ეთიოლოგიაში, მაგრამ ის უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და ხაზს უსვამს სოციალურ-ეკონომი[კ]ურ ფაქტორებს. კეტლემ სტატისტიკური მეთოდებით დაამტკიცა, რომ ბოროტქმედობათა საერთო რიცხვი მკაფიოდ მატულობს სხვადასხვა ეკონომი[კ]ურ[ი] კრიზისის დროს; მანვე აღმოაჩინა, რომ ქონების მიმართ ბოროტმოქმედებანი უფრო ხშირია წელიწადის ცივ თვეებში (უმუშევრობის სეზონი); ქალთა შორის ბოროტმოქმედების სიმცირეს კეტლე ხსნის იმით კი არა, რომ მათ, ვითომდა, მეტი ინტელექტუალური და მორალური განვითარება აქვთ, ვიდრე ვაჟებს, არამედ იმით, რომ მათი მოქმედების სფერო ფიზიკურ[ი] და სოციალურ[ი] პირობების გამო საკმარისად შეზღუდული არის.

„არის ბიუჯეტი – ამბობს კეტლე – რომელსაც სახელმწიფო იხდის შემზარავი სიზუსტით: ეს არის ბიუჯეტი ციხეების, გადასახლების (каторга) და ეშაფოტის. ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, რამდენი პირი დაისვრის ხელს ადამიანის სისხლში, რამდენი შეადგენს ყალბ საბუთებს, რამდენი მომწამვლელი იქნება“.

აზრს, რომ ბოროტი ქმედობა უმთავრესად არის ფუნქცია სოციალურ-ეკონომი[კ]ურ[ი] ფაქტორებისა, სავსებით იზიარებენ ლისტი, პრინსი, ვან-გამელი და მათ მიერ 1884 წელში ლისტის წინადადებით, იყო შექმნილი კრიმინო-

ლოგების საერთაშორისო კავშირი, რომლის სამეცნიერო პროგრამა შეიცავდა ბოროტმოქმედების მიზეზობრივად შესწავლას და მასთან ბრძოლის გზების გამონახვას მაგრამ, რადგანაც სოციოლოგიური სკოლის ძირითადი წინამძღვრებიდან, წინდაწინვე ცხადი იყო, რომ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა, თავისდათავად, მოითხოვდა არსებულ[ი] სოციალ-ეკონომი[კ]ური ურთიერთობის ძირითად რეფორმას; კავშირმა პირველად აღებულ გეზს გვერდი აუხვია და შეუდგა ბოროტმოქმედების ფორმალ[ურ]ი მხარეების შესწავლას.

ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია სოციალისტურმა სკოლამ. სოციალისტები სავსებით ეთანხმებიან სოციოლოგებს იმ დებულებაში, რომ ბოროტი ქმედობა არის შედეგი ეკონომი[კ]ური ფაქტორების; სოციალისტები ეთანხმებიან ანტროპოლოგებს, რომ პიროვნების თავისებურებასაც აქვს სათანადო მნიშვნელობა, მაგრამ სოციალისტების გაგებით, მანამ სანამ არსებობს მბრძანებელი და დამორჩილებული, ბატონი და ყმა, მდიდარი და ღატაკი, ე.ი. არსებობს კლასთა შორის კონფლიქტი, ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა ამაო იქნება.

ამნაირად, სოციალისტ-კრიმინოლოგები ბოროტ ქმედობას განიხილავენ დიალექტი[კ]ურად, ისტორიის მატერიალური გაგების თვალსაზრისით (მარქსი, ენგელსი, კაუტსკი, ფერი, სურსკი, გერნეტი და სხვა).

არსებულ[ი] კრიმინოლოგიურ[ი] სკოლების ზემოთ მოყვანილ[ი] მოკლე განხილვიდან, თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ კლასიკურ მიმართულებას, ნათლად სჩანს, რომ ბოროტმოქმედება არ წარმოადგენს რაიმე განკერძოებულ ფაქტს, კეთილ[ი] ან ავი თავისუფალ[ი] ნებისყოფლობის თამაშს, რომ ბოროტ ქმედობას აქვს განსაკუთრებული მიზეზობრივი საფუძვლები და ეს უკანასკნელნი ჩვენ უნდა ვეძიოთ თვით ადამიანის პიროვნების შეგნებაში და მის გარშემო მყოფ სოციალურ არეში. „ბოროტმოქმედებას – ამბობს ენრიკო ფერი – აქვს რთული წარმოშვება, მასში ერთდროულად მოქმედებენ სხვადასხვა სიმძლავრით ბიოლოგიური, ფიზიკური და სოციალური ფაქტორები და არ არის ბოროტმოქმედებანი, სადაც ხსენებული მომენტები სათანადოდ წარმოდგენილნი არ იყვნენ“.

აქედან ცხადია, რომ ბოროტმოქმედების საკითხის სწორი გაგებისათვის საჭიროა, მასში შემავალ[ი] კომპონენტების მეცნიერული შესწავლა, მხოლოდ ამის შემდგომ შესაძლებელია სწორი შეფასება ყოველივე ცალკეულ[ი] შემთხვევისა.

ამ მიზნის განსახორციელებლად პროფესორ, დოქტორ ინჟენეროსის ინიციატივით 1907 წლის 6 ივნისს იყო გახსნილი არგენტინაში ბუენოს-აირესის საპყრობილესთა[ნ] „კრიმინოლოგიური ინსტიტუტი“. პროფესორ ინჟენეროსის განცხადებით: „შესაძლებელია, რომ, ინსტიტუტის თანამედროვე მუშაობას არ ჰქონდეს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ ლოღიკურად

ის მაინც მიაღწევს პრაქტიკულ შედეგებს. ამ გაგებით, კრიმინოლოგიურ ინსტიტუტს არა აქვს იურიდიული ფუნქცია; ის განსაკუთრებით სამეცნიერო როლს ასრულებს. ის არის ლაბორატორიუმი და კლინიკა, მათ არა აქვთ პრეტენზიები იურიდიულ უფლებებზე; ისინი აერთიანებენ მიღებულ მნიშვნელოვან მასალებს, რომ შემდეგში ხელი შეუწყონ უახლოვეს რეფორმებს სისხლის სამართლის უფლებისა“.

ბუენოს-აირესის კრიმინოლოგიური ინსტიტუტი შესდგება სამი სექციიდან: 1-ლი – სექცია სისხლის სამართლის ეთიოლოგიის. ამ სექციაში შეისწავლება ბოროტმოქმედების დამოკიდებულება სოციალურ არესთან; ბოროტმოქმედების და მეტეოროლოგიურ[ი] პირობების ურთიერთობა; ბოროტმომქმედ[ი] სუბიექტის ფსიქოლოგია და ანტროპოლოგია.

მე-2 სექცია კრიმინოლოგიურ[ი] კლინიკის სახელს ატარებს. აქ სწარმოებს ბოროტმოქმედების ფორმების შესწავლა და ყოველ ბოროტმოქმედ[ი] პირის გამოკვლევა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეუძლია მას შეეგუოს სოციალურ არეს.

მე-3 სექცია კრიმინალ-თერაპევტიულია. ის შეისწავლის პირობებს, სოციალურ და ინდივიდუალურ პროფილაკტიკას, რეპრესიებს ბოროტმოქმედების მიმართ, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს პრევენციულ დაწესებულებათა ორგანიზაციას, სისხლის სამართლის უფლების რეფორმებს და პენიტენციალურ სისტემებს.

იმავე, 1907 წლის ნოემბერს ბელგიაში იყო შექმნილი ლაბორატორიუმი – „პენიტენციალური ანტროპოლოგიისა“ – ბრიუსელში; ლაბორატორიუმის მიზანი იყო „ბოროტმოქმედების პირობების ყოველმხრივი შესწავლა, როგორც ანატომიურად, აგრეთვე, ფსიქი[კ]ურად და კრიმინოლოგიურად“.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ოთხი ტიპი ლაბორატორიუმებისა:

1-ლი ტიპი – ფსიქოპათოლოგიური ლაბორატორიუმი სასამართლოებთან. იქ ისმება ბოროტმომქმედ[ი] პიროვნების ფსიქი[კ]ური (ფსიქოლოგიური) დიაგნოზი სასამართლოსათვის (ბოსტონი, ჩიკაგო, ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბალტიმორი).

მე-2 ტიპი – იგივე ხასიათის ლაბორატორიუმები ციხეებთან.

მე-3 ტიპი – მოძრავი ლაბორატორიუმები, რომელნიც იკვლევენ ბოროტმოქმედთა წრეს იმ ციხეებში, სადაც საკუთარი ლაბორატორიები არა აქვთ.

მე-4 საპყრობილე – გამწესრიგებელი „სინგ-სინგ“ ნიუ-იორკში, რომელსაც ხელმძღვანელობს ფსიქიატრი ბერნარდ გლიუკი.

იქ მოწყობილია საჭირო სპეციალობის ლაბორატორიუმები, სადაც ყოველი ახლად შემოსული ბოროტმომქმედი დეტალურად შეისწავლება და შემდეგ იგზავნება სათანადო ციხეში, რომლის პენიტენციალური აპარატი და

რეჟიმი უფრო ეთანხმება ბოროტმომქმედ[ი] პიროვნების ფსიქო-ფიზიოლოგიურ ტიპს.

1919 წელში პორტუგალიაში იყო გახსნილი „კრიმინოლოგიური ინსტიტუტი“, რომელიც თავისი სტრუქტურით და მუშაობის გეგმით ბუენოს-აირესის ინსტიტუტს მოგვაგონებს.

1923 წლის აპრილში მოსკოვის საბჭოს ადმინისტრა[ც]იული განყოფილების უფროსის ვ. ორლეანსკის წინადადებით იყო მოხდენილი, განსაკუთრებული ანკეტის საშუალებით, გამოკვლევა მოსკოვის ყველა საპყრობილეებში მყოფ[ი] პატიმრებისა ფსიქიატრიულად, სოციოლოგიურად და ანტროპოლოგიურად. კვლევის პროცესში, რომელიც თავიდანვე ფრიად საინტერესო მასალებს იძლეოდა, ნათელი გახდა, რომ აუცილებრივ საჭიროა შეიქმნეს ისეთი დაწესებულება, რომელიც მუდმივად შეისწავლიდა ბოროტმოქმედების პრობლემებს, უმთავრესად, თანამედროვე პირობების მიხედვით. ამის გამო 1923 წლის ზაფხულის დამლევს მოსკოვის საბჭოს მიერ იყო დაარსებული ეგრედ წოდებული „კაბინეტი ბოროტმომქმედ პიროვნებათა და ბოროტმოქმედების შესწავლისათვის“. იმავე წლის დეკემბერში კაბინეტს გადაეცა ქ. მოსკოვში არბატზე მყოფი საპატიმრო სახლი; ეს უკანასკნელი კრიმინალურ-[ი] კლინიკის როლს ასრულებს.

ამნაირად დაარსდა რუსეთში პირველი კრიმინოლოგიური დაწესებულება. იმავე დროს ქ. მოსკოვში არსებობს „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ინსტიტუტი“ პროფ. სერბსკის სახელობისა, რომელსაც წმინდა პრაქტიკული ხასიათი აქვს, რადგანაც სწარმოებს ექსპერტიზა ბრალდებულის სულიერ[ი] ჯანმრთელობის გამოსაკვლევად სასამართლოს ან სხვა სათანადო ორგანოების საჭიროებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის მაგალითმა გამოიწვია სწრაფი გამოხმაურება დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში და ქალაქებში, ამჟამად, კრიმინოლოგიური ლაბორატორიუმები არსებობენ ლენინგრადში, კიევში, ოდესაში, ირკუტსკში და ერევანში.

1925 წლის 10 ოქტომბერს ქ. ტფილისში ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან იყო გახსნილი განყოფილება 10 საწოლით – „ფსიქიატრიული ექსპერტიზის და ბოროტმომქმედთა პიროვნების მეცნიერული შესწავლისათვის“ – როგორც ამას აღიარებს პირველი მუხლი დებულებისა ამ განყოფილებისათვის, რომელიც მიღებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

ქვემომოყვანილ ანგარიშ[შ]ი მსურს განვიხილო, თუ რა დადებითი მუშაობა გაატარა ამ განყოფილებამ და რა არის კიდევ საჭირო, რომ საქართველოში მართლად არსებობდეს ნამდვილი კრიმინოლოგიური დაწესებულება.

მაგრამ, ამავე დროს, მე არ მინდა უყურადღებოდ დავსტოვო ანგარიშის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალები.

დღიდან განყოფილების გახსნისა (1925 წლის 10 ოქტომბერი) 1927 წლის 1 იანვრამდე განყოფილებაში იყო მოთავსებული 38 ბოროტმომქმედი, რომელთა ფსიქი[კ]ური მდგომარეობა მოითხოვდა სპეციალ[ურ] დაკვირვებას, გამოკვლევას და ექსპერტიზას.

ზემოხსენებული პირები წლოვანობის მიხედვით განაწილდებიან შემდეგნაირად[1]:

I ცხრილი.
14-20 წალამდე -2
21-30 − 18
31-40 − 16
41-50 − 2

II ც[ხრილი]. ეროვნების მიხედვით:
ქართველი-22
რუსი-8
სომეხი-3
ებრაელი-1
ლეკი-1
ოსმალო-1
ბერძენი-2

II ც[ხრილი]. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით:
ცოლიანი − 15
უცოლო − 16
ქვრივი − 5
ცნობ. არა გვაქ. − 2

III ცხრ[ილი]. განათლების მიხედვით:
უმაღლესი − 2
საშუალო − 4
დაწყებითი − 17
წერა-კითხვ[ის]
არა მცოდნე − 15

IV ცხრ[ილი]. ხელობის მიხედვით:
მოსამსახურე − 12
მიწის მუშა − 9
მუშა − 2
წითელარმიელი − 6
გამოურკ. პროფ. − 7

V ცხრ[ილი]. საცხოვრებელ ადგილ. მიხედ.:
ტფილისი − 10
დანარჩენ საქარ. ქალ. − 8
სოფელი − 13
მეზობელ რესპუბლიკ. − 7

VI ც[ხრილი]. გამოგზავნილ. იყვნენ განყოფილ.:
სასამართლოს მიერ − 24
საგანგებო კომის. მიერ − 13
სისხლის სამარ. სამძ. მიერ − 1

VII ცხრილი. ავადმყოფობის ფორმების მიხედვით:
Dementia praecox − 7
Paraphrenia − 5
Psych. reactiva − 6
Psych. man.-depres − 1
Alcoholismus − 1
Epilepsia − 1
Psychopat. Degenerat − 6
Hysteria − 3
Neurasthen. − 1
Debilitas mentis − 1
Jmbecillitas − 4
Sanus − 2

[1] შემთხვევების სიმცირის გამო პროცენტული გამოანგარიშება ჩვენ მიერ წარმოებული არ იყო.

ამ ცხრილებიდან ნათლად სჩანს, რომ უდიდესი ნაწილი განყოფილებაში მოთავსებული ბრალდებულებისა იყვნენ შეპყრობილი ფორმალ[ურ]ი სულით ავადმყოფობით და მხოლოდ ოთხ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდა ფსიქო--ნერვოზთან. რაც შეეხება 2 უკანასკნელ შემთხვევას: ერთ მათგანს ბოროტ-მოქმედება ჩადენილი ჰქონდა აფექტურ მდგომარეობაში (საზღვარზე მდგა-რი აფექტი[1]), მეორე კი სასამართლოს მიერ სრულიად იყო განთავისუფლე-ბული ბრალდებისაგან.

VIII ცხრილი. კონსტიტუციის მიხედვით
(მიღებულია E. Kretschmer-ის კლასიფიკაცია):
ასტენიური − 12
ატლეტიური − 4
ატლეტიურ-ასტენიური შერეული − 10
პიკნიური შერეული − 6
პიკნიური − 1
დისპლასტიური − 4
გამოურკვეველი ფორმა − 1

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ ჩვენ მასალაში სჭარბობენ ბოროტმომქმე-დი სულით ავადმყოფნი შიზოიდური ჯგუფიდან.

IX ცხრილი. ავადმყოფობის ფორმა და ბოროტმოქმედების ხასიათი:

ავადმყოფობის ფორმები	მკვლე ლობა	პოლი ტიკ.	ბანდი ტიზმი	სქესობ რივი ბორ.	მკვლელობი სადმი წაქეზ.	გა[ძ]არცვა	ქურდობა	ხელისუფლე ბისადმი წინა[ღ]მ. გაწევა.	ყალბი საბ. შედგენა	კონტრაბან.	დეზერტირ.	გაფლანგვა
Dem. Praecox	2	2								1	2	
Paraphrenia	1	2			1						1	
Ps. Reactiva	4	2										
P. man-depr								1				
Alcoholismus								1				
Epilep-Breitz												
Psych. Degener	1		1	1			1	1	1	1	8	
Hystheria	1			1								1
Neurasth		1										
Debil. Ment	1	8										
Jmbeciltas				1		1						
Sanus	1			1 (?)							2	

[1] ეს შემთხვევა ცალკე იქნება ა[ღ]წერილი პროფ. ასათიანის მიერ.

X ცხრილი. კონსტიტუცია და ბოროტმოქმედების ხასიათი:

კონსტიტუცია	მკვლელობა	პოლიტიკ.	ბანდიტიზმი	სქესობრივი ბოროტ.	მკვლელობ. წაქეზება	გა[მა]რცვა	ქურდობა	ხელისუფლ. წინ. გაწევა	ყალბი საბ. შედგენა	კონტრაბ.	დეზერტირ.	გაფლანგვა	შემთხვევათა საერთო რიცხვი
ასტენური	6	3	1	1							1		12
ათლეტური					1		1		1	1			4
ათლეტური-ასტენ.	3	2		2				1		1		1	10
პიკნიური შერეული	2	2		1				1					6
პიკნიური								1					1
დისპლასტური				1							3		4
გამოუკვლ. ფორმები						1							1

ამ ცხრილებში აღსანიშნავია ერთი საგულისხმო მომენტი, საიდანაც სჩანს, რომ ბოროტმომქმედი, როგორც ჩადენილ[ი] საქციელის სიმძიმის მხრივ, აგრეთვე, რიცხობრივად, სჭარბობენ პირველ სამ კონსტიტუციონალ-[ურ] ტიპთა შორის, ე.ი შიზოიდურ ჯგუფში და რომ პიკნიური ტიპები, resp – ციკლოიდური ჯგუფი წარმოდგენილია მხოლოდ 7 შემთხვევით. დაკვირვებათა არასაკმარისი რაოდენობა არ გვაძლევს კატეგორიული მსჯელობის შესაძლებლობას, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მასალების მიხედვით მართლდება Krestschmer-ის თვალსაზრისი და გაგება ორივე ჯგუფის თითქმის მოპირდაპირე თავისებურ სოციალური დაყენების შესახებ[1].

ფსიქო-ნევროლოგიურ[ი] ინსტიტუტის ექიმების მიერ პროფ. მ. მ. ასათიანის ხელმძღვანელობით და თავმჯდომარეობით ექსპერტიზა იყო მოხდენილი 26 შემთხვევაში და ექსპერტიზის მიხედვით ბრალდებისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ 17 ბოროტმომქმედი სულით ავადმყოფნი.

თუ ეხლა ჩვენ გადავხედავთ ამ შემოკლებულ ანგარიშს, სრული სიცხადით დავინახავთ, რომ განყოფილების მასალა, რაც VII ცხრილის განმარტებაში უკვე აღნიშნული იყო, თითქმის მთლიანად შესდგება ბოროტმომქმედ[ი] სულით ავადმყოფებისაგან, რომ განყოფილების მუშაობას სავსებით ფსიქიატრიული ექსპერტიზის ხასიათი ჰქონდა და ეხლაც აქვს. ამ მხრივ, დებულების პირველი მუხლის პირველი ნახევრის მიერ დასმულ ამოცანას ის პირნათლად ასრულებდა, ხოლო, რაც შეეხება მეორე ნახევარს – ე.ი. „ბოროტმომქმედ[ი] პიროვნების მეცნიერულ შესწავლას“, ამ მიმართულებით განყოფილებაში მუშაობა ტარდებოდა იმდენათ, რამდენათ ზოგჯერ სულით ავადმყოფობის დროს პიროვნებაში შემავალ[ი] კომპონენტების გამოაშკარავება ხდება, მაგრამ ძირითადი საკითხის გაშუქებისათვის ეს საკმარისი არ არის, რადგანაც უდიდესი პროცენტი ამ სუბიექტებისა რომელნიც კანონთან კონ-

[1] იხილეთ Э. Кретчемер, Строение тела и характер, издание 1924, 153, 179.

ფლიქტში შედიან, წარმოადგენენ არასრულღირებულოვან პიროვნებებს, შესუსტებულ სოციალური აკომოდაციით, ემოციონალ[ურ]ი და მორალური დეფექტებით, მაგრამ შედარებით კარგი ინტელექტით. მათი მსჯელობა, ქცევა და მოქმედებანი გარეგნულად მიზანშეწონილი ფარავს ამ დეფექტებს და სასამართლოს მოღვაწეებს არ ებადებათ ეჭვი მათი ჯანმრთელობის შესახებ. ხსენებულ სუბიექტებს სთვლიან, როგორც ჯანმრთელთ და აყენებენ იმდაგვარ პირობებში, რომ გამოსწორების, აღზრდის, ან მკურნალობის მაგივრად ისენი შაბლონურად იხდიან სასჯელს იმისთვის, რომ განთავისუფლების შემდგომ განაგრძონ თავისი წინანდელი „მოღვაწეობა“.

ცხადია, რომ ყოველი ბოროტმომქმედი უნდა იყოს სათანადოთ შესწავლილი, უნდა მოხდეს მისი ფსიქიკის დინამიკის გაგება და მხოლოდ ამის შემდგომ შესაძლებელია მისი რეაქციის საწინააღმდეგო სწორი ზომების მიღება. საზოგადოებას არ უნდა დაეკარგოს არც ერთი მისი წევრი.

არაშემთხვევითია ის მოვლენა, რომ სუყველა კრიმინოლოგიური დაწესებულებანი ტერიტორიულად მჭიდროთ დაკავშირებული არიან ციხეებთან, რადგანაც მაშინ ადვილად შეიძლება პატიმრებზე ყოველდღიური დაკვირვების წარმოება, მათთან განუწყვეტელი კავშირის დაჭერა, საქმის უშუალო გაცნობა, მათი ყოველმხრივი გამოკვლევა და სხვა. რა თქმა უნდა, ამგვარ შესაძლებლობას ჩვენი განყოფილება სრულიად მოკლებულია.

მოხსენებულის მიხედვით უნდა ითქვას, რომ საქართველოში წმინდა კრიმინოლოგიური დაწესებულება დღემდე არ არსებობს. საქართველო თავისი მრავალფეროვან[ი] მოსახლეობით, განსაკუთრებული გეოგრაფიული სტრუქტურით, ეკონომი[კ]ური და სოციალური ურთიერთობით, წარმოადგენს დიდ თავისებურებას, რომელიც კრიმინოლოგიური თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლელი რჩება. როგორ შეიძლება ჩვენში, ან სადაც არ უნდა იყოს, ბოროტმოქმედებებთან სისტემატიური, რაციონალური ბრძოლის გატარება, თუ მის ფაქტორებზე ზოგადი, ზერელე და, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ თეორეტიული წარმოდგენა გვაქვს!

კრიმინოლოგიური დაწესებულების ორგანიზაცია საქართველოში აუცილებრივ მოკლე ხანში უნდა განხორციელდეს; ამას მოითხოვს არა მარტო მეცნიერების უკანასკნელი მიღწევანი – არამედ თვით ცხოვრება.

ჩემ მასწავლებელ ბ-ნ პროფესორ მ. მ. ასათიანს [ვ]უძღვნი დიდ მადლობას ამ შრომის მოცემისათვის და ხელმძღვანელობისათვის სასამართლო--ფსიქიატრიულ[ი] ექსპერტიზის განყოფილებაში მუშაობის დროს.

დანაშაულობა და დამნაშავე*

ექიმი, დოცენტი გ[იორგი] შენგელაია

ყველა, ვინც კი შეუდგება დანაშაულობის ისტორიის შესწავლას, აუცილებლივ იმ დასკვნამდე მივა, რომ დანაშაულს შესაძლო იყო[ს] ადგილი ჰქონოდა და შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანთა ისეთი ასოციაციების არსებობისას, რომელიც თავისი შინაგანი ურთიერთობის განვითარებაში რაიმე სოციალურ-ეკონომი[კ]ური ნორმების დაწესებამდე მისულან.

კაცობრიობის განვითარების იმ სტადიაში, როდესაც შრომის დანაწილება ჯერ კიდევ არ მომხდარა, სოციალურ-ეთი[კ]ურ ნორმებს უკარნახებს საზოგადოებას გარემო ბუნების პირობები. მაგრამ არსებობისათვის ბრძოლის პროცესში კაცობრიობის შემდგომი განვითარების დროს, როდესაც ფეხი მოიკიდა შრომის დიფერენციაციის აუცილებლობის შეგნებამ, თანდათან ჩნდება პირობები, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების გაბატონებული ფენების წარმოშობას და ამ ფენებმა პირადი და ქონებრივი კეთილდღეობის დასაცავად, ამა თუ იმ იდეოლოგიური ფორმებით, უმრავლესობას შესთავაზეს თავისთვის ხელსაყრელი სოციალურ-უფლებრივი დაწესებულებანი და ეთი[კ]ური ნორმები, რომელთა დარღვევაც დანაშაულს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს.

მხოლოდ ამ ერთადერთი სწორი გაგებით ატარებს კლასიურ[ი][1] ხასიათს როგორც პირველყოფილი ხალხების „წმინდა ტაბუ“, ისე თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს უზარმაზარი კანონმდებლობა. კლასიურია ჩვენი კოდექსებიც, მაგრამ იმ არსებითი განსხვავებით, რომ საბჭოთა სამართალი მშრომელთა უმრავლესობის ნებისყოფას უმცირესობას უკარნახებს და რომ ჩვენი იურიდიული აზრი თავის თავს არ მალავს ისეთი საეჭვო ლოზუნგით, როგორიც არის – „ყველას თანასწორობა კანონის წინაშე“. ნათქვამიდან ცხადია, რომ დანაშაულობის ცნება მეტისმეტად ცვალებადია და იგი (დანაშაულობა) უწყებულ ისტორიულ ეპოქაში ამა თუ იმ ხალხის სოციალურ-ეკონომი[კ]ური ფაქტორების პროდუქტს წარმოადგენს.

გაუგებარი იქნებოდა, რომ თვით დანაშაულის ცნების წარმომშობი „კანონ-სამართლის“ პირვანდელ სათავედ ეკონომი[კ]ური ფაქტორები არ მიგვეჩნია, ხოლო მიზეზები კი, რომელიც ცალკე პირს აიძულებს ეს უფლება შე-

---

* პირველად გამოქვეყნდა კრებულში – სსსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა 10 წელი, 1921-1931, ამხ. მ. ფირცხალავას წინასიტყვაობით, ტფილისი, 1931, 22-26 [რედ.].

[1] იგულისხმება კლასობრივი [რედ.].

ლახოს, რომელიმე სხვა სფეროში ყოფილიყო მოქცეული. კეტლეს ბრწყინვალე გამოკვლევებმა აშკარა გახადა დანაშაულის დამოკიდებულება ეკონომი[კ]ური პირობებისაგან. დამნაშავის „ბოროტი ნების“ ადგილი თვით „საზოგადოებამ“ დაიჭირა. კ. კაუცკის, ბინგერის, ლაფარის, სურსკის, რაკოვსკისა და სხვათა ნაშრომები ააშკარავებენ, თუ, სახელდობრ, რომელი „საზოგადოება“ პასუხისმგებელი დანაშაულის ჩადენისათვის და ადასტურებენ, რომ თვით კაპიტალისტური წარმოების სისტემა და მისგან გამომდინარე კლასიური ურთიერთობანი წარმოადგენენ უფლების დამრღვევთა სულ ახალი კადრების წარმოშობის დაუშრეტელ წყაროს.

ამგვარად, ისეთი რთული საზოგადოებრივი მოვლენის ასახსნელად, როგორიც არის დანაშაული და დამნაშავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკას ეძლევა. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, ვითომც დანაშაულის გენეზისში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს თვით უფლების დამრღვევის როლს. მართალია, ადამიანი თავისი იდეოლოგიით წარმოადგენს პროდუქტს იმ წრისა, სადაც სცხოვრობს, მაგრამ იგი ამავე დროს ხანგრძლივი ბიოლოგიური განვითარების პროდუქტიც არის; მასში ჩასახულია მეტისმეტად რთული მექანიზმები რომელიც შესაძლებლობას აძლევს მას გაერკვეს გარემო პირობებში. ამ მექანიზმებისა და მათი ნორმალური თუ არანორმალური მოქმედების პირობათა შეცნობა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე დანაშაულობის სოციალურ-ეკონომი[კ]ური ფაქტორების შესწავლა.

დანაშაულისა და დამნაშავის გამოკვლევაში მეთოდოლოგიურად სწორი აღმოჩნდება ის გზა, სადაც ერთსა და იმავე დროს შეთანხმებულად იქნება შესწავლილი როგორც თვით უფლების დამრღვევის პიროვნება, ისე ის ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომი[კ]ური მიზეზები, რომელზედაც ეს პიროვნება დამოკიდებულია.

დამნაშავის პიროვნების მეცნიერულად შესწავლის საკითხი პირველად დააყენა მკვიდრ ნიადაგზე იტალიელმა ფსიქიატრ-კრიმინოლოგმა ჩეზარე ლომბროზომ. ისა და მისი მრავალრიცხოვანი მიმდევრები დანაშაულის მიზეზს ადამიანის მახინჯ, ავადმყოფურ წყობაში ხედავდ[ნ]ენ. ამ კონცეპციამ, რომელიც მათ იქამდე მიიყვანეს, რომ გამოჰყვეს დანაშაულობის ჩამდენი ადამიანის სპეციალური ტიპი (“Hommo deliguente”). ბოლოს და ბოლოს, როგორც ცალმხრივმა მოძღვრებამ, კარიკატურული ფორმები მიიღო; იგი ადვილად დაამარცხეს ანტროპოლოგიური სკოლის იდელოგიურმა მოწინააღმდეგეებმა, რომელთაც სისხლის სამართალში სოციოლოგიური სკოლა შეჰქმნეს.

სოციოლოგები სრულიად სამართლიანად ამტკიცებდ[ნ]ენ, რომ დანაშაულობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკუთვნის ეკონომი[კ]ურ ფაქტორებს, თუმცა, ამავე დროს, ისინი სრულიადაც არ იცავდ[ნ]ენ იმ აზრს, თითქოს დანაშაულობის წარმოშობაში უფლების დამრღვევის პიროვნება არავითარ

როლს არ თამაშობდეს. სოციოლოგიური სკოლის ეს სწორი დებულება სისხლის სამართალში ვეღარ განვითარდა, რადგანაც ბურჟუაზიული იდეოლოგიით გაჟღენთილი მეცნიერები ვერ ბედავდნენ აშკარად ეღიარებინათ, რომ დანაშაულის ფესვები ჩამარხულია თვით თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომი[კ]ურ საფუძვლებში, თუმცა ამ მეცნიერთა კვლევა-ძიებას სწორედ აღნიშნულ დებულებამდე მივყავდით.

ასეთივე ორჭოფობა გამოსჭვივოდა ბუენოს-აირესის კრიმინოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელის, ფსიქიატრ პროფესორის ინჟენიეროსის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ფსიქიატრიისა, ნევროლოგიისა და ფსიქოლოგიის საერთაშორისო კონგრესზე 1907 წელს. ამ სიტყვაში მან სთქვა: „...ეს არის ლაბორატორია და კლინიკა, რომელიც არ ლახავს იუსტიციის თანამედროვე ორგანოების რაიმე უფლებას, მაგრამ რომელიც თავს უყრის დიდი მნიშვნელობის მქონე მასალებს, რათა ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის უახლოეს რეფორმებს მომქმედი კოდექსების შეუბღალავად“.

ბუენოს-აირესის კრიმინოლოგიური ინსტიტუტი სამ სექციად იყოფა:

1. სისხლის სამართლის ეთნოლოგიის სექცია, რომლის საგანსაც წარმოადგენს დანაშაულის მიზეზთა შესწავლა. ამ სექციაში იხილავენ დანაშაულის დამოკიდებულებას სოციალურ[ი] წრისაგან, მის ურთიერთობას მეტეოროლოგიურ პირობებთან და დამნაშავის ანტროპოლოგიასა და ფსიქოლოგიას;

2. მეორე სექციას ეწოდება კრიმინოლოგიური კლინიკა. აქ სწარმოებს დანაშაულის გამოხატულების ფორმების შესწავლა და, აგრეთვე, ცალკე დამნაშავეთა შესწავლა მათი სოციალურ წრესთან შეგუების ხარისხის მხრივ;

3. მესამე სექცია არის კრიმინალურ-თერაპევტიული. ის იკვლევს „პროფილაქტიკის სოციალურ და ინდივიდუალურ ზომებს და დანაშაულის რეპრესიებს, რათა ხელი შეუწყოს პრევენტიულ დაწესებულებათა ორგანიზაციას, სისხლის სამართლის რეფორმებს და პენიტენციარული სისტემის შექმნას“[1].

არგენტინაში კრიმინოლოგიური ინსტიტუტის დაარსების მცირე ხნის შემდეგ ბრიუსელში გაიხსნა „პენიტენციარული ანტროპოლოგიის“ ლაბორატორია, რომელმაც მიზნად დაისახა „მსჯავრდადებულის პიროვნების ანატომიურ, ფსიქი[კ]ურ, სოციალურ და კრიმინოლოგიურ დამახასიათებელ თვისებათა მთლიანობის“ შესწავლა. ამის შემდეგ ლისაბონში (პორტუგალია) გაიხსნა დანაშაულის შემსწავლელი კრიმინოლოგიური ინსტიტუტი.

[1] ციტატა ამოღებულია პროფ. გერნეტის წერილიდან: „პირველი საზღვარგარეთ და პირველი საბჭ[ოთა] კავშირში ლაბორატორიები დანაშაულის შესასწავლად“.

ჩვენ ვერ შევუდგებით ხსენებული ინსტიტუტების მოღვაწეობის დაწვრილებით განხილვას. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ იმ ინსტიტუტების ცალკე შრომები დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს, თუმცა, პროფესორ ინჟენიეროსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, მათ ოდნავადაც არ შეურყევიათ „მომქმედი კოდექსები“.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური სამართლებრივი აზრი დიალექტი[კ]ური მატერიალიზმის თვალსაზრისზე სდგას და ამიტომ მან პირველი დღიდანვე ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა ბურჟუაზიულ სისხლის სამართალთან. მეცნიერული დეტერმინიზმი ვერას გზით ვერ შეურიგდება მეტაფიზიკურ „თავისუფალ ნებას“, რომელიც როგორც საკანონმდებლო სფეროში, ისე სასჯელის საქმის მოწესრიგების სფეროში ფართო გასაქანს აძლევს ყოველგვარ სპეკულიატიურ მოძღვრებას.

ობიექტიურად გაგებული და დასაბუთებული კონიუნქტურა, ქმედობა და სუბიექტი მოქმედებისა (თანამედროვე ფსიქონევროლოგია საკმაოდ გაიზარდა იმისათვის, რომ გამოიცნოს პიროვნების უღრმესი მექანიზმები) გვაძლევს საიმედო კრიტერიუმს უფლების დამრღვევის სოციალური საშიშროების გამოსარკვევად და სოციალური დაცვის საჭირო ღონისძიებათა გამოსარჩევად.

საბჭოთა კავშირის პირველი „დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების შემსწავლელი კაბინეტი“ (დაარსდა 1921 წელს) მაშინვე შეუდგა მის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტას და ამ კაბინეტის მიერ გამოშვებული თემატიური კრებულები მალე გადაიქცა ცნობარად მოსკოვის სასამართლოთა პრაქტიკაში.

კრიმინოლოგიური პრობლემების შესწავლას, ფინანსური შესაძლებლობის გაძლიერების მეოხებით, გაცილებით უფრო ფართოდ მიუდგა „დანაშაულისა და დამნაშავის შესწავლის სახელმწიფო ინსტიტუტი“. ამ ინსტიტუტში არა მარტო საზღვრავენ უფლების დამრღვევი პირის ფსიქოლოგიურ დიაგნოზს, არამედ ექსპერიმენტალურ-პენიტენციარულ განყოფილებაში ამოწმებენ, აგრეთვე, ამა თუ იმ პედაგოგიური და შრომითი ზომების მოქმედებას დამნაშავეზე.

სახელმწიფო ინსტიტუტის გამოცდილებისა და სათანადო მეცნიერული მოსაზრების მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თანამედროვე პენიტენციარისტი ვერ შესძლებს თავის ყოველდღიურ მუშაობაში მოგვცეს ახალი და საყურადღებო რამ, თუ მას ჰყავს ისეთი უფლების დამრღვევი, რომელსაც მხოლოდ კოდექსის სათანადო მუხლი საზღვრავს.

ჩვენ არ ჩამოვთვლით საბჭოთა კავშირის ყველა კრიმინოლოგიურ კაბინეტებს; შევეხებით მხოლოდ იმას, თუ რა გაკეთდა ამ მხრივ საქართველოში.

1927 წელს საქართველოს ჯანმრთელობის სახკომისარიატის სამკურნალო განყოფილების თაოსნობით მოეწყო კრიმინოლოგიური კაბინეტები: ერთი ტფილისის სისხლის სამართლის სამძებროსთან, ხოლო მეორე ცენტრალურ გამასწორებელ სახლთან. კაბინეტებმა თავის მიზნად დაისახა დანაშაულისა და დამნაშავის შესწავლა როგორც სოციალურ-ეკონომი[კ]ური, ისე ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მხრივ, – მათი დინამიური ურთიერთ-მიზეზობრივი გავლენის მხედველობაში მიღებით.

ამ კაბინეტის მიერ დაგროვილი მდიდარი საგამოკვლეო-საანკეტო მასალა, ამჟამად, დამუშავების სტადიაშია. წინასწარი ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქ. ტფილისში მომხდარ დანაშაულთა ზოგიერთი თავისებურება ამ მუშაობის შედეგად თავის ახსნას ჰპოვებს.

1930 წლის ნოემბერში, საქართველოს მილიციისა, სამძებროსა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს ინიციატივით გაიხსნა „დანაშაულისა და დამნაშავის შესწავლის სახელმწიფო კაბინეტი“ კრიმინოლოგიური კლინიკით.

ხსენებული კაბინეტის დებულების თანახმად, მას აქვს სამეცნიერო--პრაქტიკული დაწესებულების ხასიათი, პრაქტიკული, იმდენად, რამდენადაც ეს კაბინეტი საკონსულტაციო ორგანო იქნება შრომა-გასწორების კოლონიებისათვის, და, აგრეთვე, მისცემს მათ უფლებისდამრღვევთ სისწორით განსაზღვრული სოციალური და ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკით.

არ შეიძლება არ მივესალმოთ იმ მოვლენას, რომ სახელმწიფო კრიმინოლოგიური კაბინეტი და ასეთივე კაბინეტი ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა უკვე კლინიკებს წარმოადგენენ საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის[1] სტუდენტობისათვის „დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლის“ სისტემატიური კურსის დარგში.

ზემოაღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ამიერიდან დანაშაულისა და სისხლის სამართლის ეთნოლოგიის შესწავლის საქმე საქართველოში სწორე გზას ადგია და ყველა, ვისაც ჩვენი მშენებლობა ნამდვილად აინტერესებს, სრული ნდობით უნდა მოეკიდოს ამ ახლად დაარსებულ დაწესებულებას და უაღრესად აქტიური და გულწრფელი მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში.

[1] ინსტიტუტის სახელწოდება შეცდომით არის მითითებული, უნდა ეწეროს: საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი [რედ.].

გამოცემის მენეჯერი მარიკა ერქომაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი თამარ გაბელაია

დამკაბადონებელი ნინო ვაჩეიშვილი

გარეკანის დიზაინერი ????????

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel 995(32) 2 25 14 32

www.tsu.ge/ka/publishing-house